პ. ბ. გუგუშვილი

საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში

მონოგრაფიები

ტომი მეორე

სახელგამი
თბილისი. 1956

შ ი ნ ა ა რ ს ი

სარჩევი V
ავტორისაგან XI
შემოკლებათა განმარტება XIII

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ფული და კრედიტი

I. ფულის ნიშნები და ფულის მიმოქცევა . . . 3—113

1. საერთო ვითარება 3
2. თბილისში რუსული ჭედის ქართული მონეტების გამოშვებისათვის 11
3. ახალი ზარაფხანა თბილისში (1804—1834). ფულის მოჭრის ტექნიკა 15
4. ფულის მასალა 29
5. ქართული ფულის სისტემის შესახებ 42
6. 1804—1834 წწ. მოჭრილი ქართული ფულების სინჯი და წონა 51
7. 1804—1834 წწ. მოჭრილი მონეტების ნიშნები და რაოდენობა 56
8. ადგილობრივი ხანებისა და თურქულ-ირანული ფულები . 60
9. ქართული მონეტის მიმოქცევა 78
10. საიმპერიო ფულის შემოსვლა და გაბატონება 91

II. მევახშეობა . 114—243

ა. კრედიტის ევოლუცია მე-19 საუკუნემდე . 114

1. მევახშეობის არსისათვის 114
2. მევახშური კრედიტის ფორმები შუა საუკუნეებში . 117
3. ორტაღი, როგორც საკრედიტო ასოციაცია 119
4. ორტაღი შუასაუკუნეობრივი მსოფლიო ვაჭრობის სიტუაციაში 126

5. კონკრეტული პარალელები 139
6. კომერციული თაოსნობისა და ქალაქთა შესახებ ე. წ. პირ-
ვანდელი დაგროვების ჩანასახებისათვის . . 144
7. ხარკთა სისტემის მნიშვნელობა . . . 151
8. საერთო საწყისები . . 156
9. ეკლესია-მევახშე 160
10. სარგებელი (%%) 164
11. მევახშური კრედიტის მოწესრიგებისათვის . 172
12. მევახშეობის შედეგები . 183
ბ. მევახშეობა მე 19—20 სს. . 187
1. *** 187
2. სავახშო კაპიტალი სტიქიური უბედურების დროს . . . 190
3. მევახშეობა საეკლესიო გლეხთა შორის 193
4. ფეოდალური არისტოკრატია მევახშის კლანჭებში . . 196
5. კომუტაციის გავლენა მევახშეობაზე 201
6. შემსყიდველი-მევახშე 210
7. დუქანი, როგორც საკრედიტო დაწესებულება 219
8. მევახშეობის სხვა ფორმები 229
9. მევახშეობის როლი სოფლად 240
III. პირველი საკრედიტო ორგანიზაცია . . . . . 244—264
IV. ამიერკავკასიის პრიკაზი . . . . . 265—307
V. შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი . . . . . 308—339
VI. თბილისის კომერციული ბანკის ისტორიისათვის 340—380

ნაწილი მეორე

განყოფილება პირველი

აგრარული ურთიერთობანი

VII. თემური მიწათმფლობელობის რღვევა 381—519
* * * 381
1. მიწათმფლობელობის ფორმები 382
2. პერიოდული გადანაწილება 402
3. გადანაწილების კრიტერიუმი 417
4. მიწათსარგებლობის ფორმები თუშ-ფშავ-ხევსურეთში . 438
5. მიწათმფლობელობა მომთაბარე ტომებში . 444
6. დატაცებითი მიწათსარგებლობა 452
7. მიწათმფლობელობის ფორმათა მრავალგვარობა ქუთა-
ისის გუბერნიაში 460
8. თემური მიწათმფლობელობის დასაცავად და წინააღმდეგ 471
9. თემის მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლა . 497

VIII. ადგილმამულთა გამიჯვნა . 520—538
IX. საგლეხო რეფორმის მომზადება . . . 539—638
1. რეფორმის საერთო საწყისები რუსეთში 539
2. ამოსავალი ვითარება 545
3. ბიუროკრატია ქართული ბატონყმობის შესწავლა-მოწესრიგებაში 550
4. აღმ. საქართველოს თავადაზნაურობის პროექტები და მოსაზრებანი . 560
5. მთავრობის პროექტი . . . 579
6. 1860-იანი წლების ინტელიგენცია . . . 583
7. რეფორმის მომზადება დას. საქართველოში 625
8. რეფორმის საკითხი აზერბაიჯანსა და სომხეთში . . . 630
9. მებატონეები და გლეხობა რეფორმის პერიოდში 636

განყოფილება მეორე

აგრარული ურთიერთობანი (გაგრძელება)

X. კერძო მიწათმფლობელობა 1864 — 1905 წწ. 639—754
1. მიწათმფლობელობის წოდებრივი ხასიათი 639
ა. მიწების განაწილება 639
ბ. კერძო მიწათმფლობელობა საერთოდ 646
გ. გლეხური მიწათმფლობელობა 656
დ. მიწადაქსაქსულობა 664
2. მიწის იჯარა 670
ა. მოკლეევადიანი იჯარა 672
ბ. გრძელვადიანი იჯარა. სანაშენო. ხიზნობა 677
გ. იჯარის ფორმები და ქირა 695
დ. საბალახოსა და ტყის იჯარა 709
ე. საიჯარო მიწების დანაწილება სახმარისობისა და მოიჯარეთა მიხედვით 716
ვ. იჯარის ქირის ზრდა და აგრარულ ურთიერთობათა გამწვავება 720
3. მიწის ფასი. მამულების დავალიანება 728
ა. მიწის ფასი 728
ბ. მამულების დავალიანება 731
XI. სოფლის სოციალური დიფერენციაცია 755—866
1. ფისკალური პოლიტიკისათვის 755
2. საშოვარზე გასვლა. დაქირავებული შრომა სოფლად . 775
ა. საშოვარზე გასვლის საფუძვლები 776
ბ. მოუსავლიანი წლები 784

გ. მცირემიწიანობა 789
დ. საშოვარზე გასულთა მდგომარეობა 794
ე. გარედან შემოსული სოფლის მუშები 800
ვ. სოფლის დაქირავებული მუშის ხელფასი 805
3. სოფლის დიფერენციაცია 812
ა. სავაჭრო მიწათმოქმედება 814
ბ. მევახშეობა 820
გ. სოფლის ბურჟუაზია 827
დ. გლეხის ბიუჯეტი 836
ე. საგლეხო რეფორმის ეკონომიკური შედეგები 845
ვ. სოფლის ბოგანო 849
ზ. წვრილი მიწათმფლობელობის დაშლის პროცესი 851
4. სოფლის მმართველობა 858

XII. აგრარული მოძრაობის ეკონომიკური საფუძვლები 867—901
1. „ქალაქელი გლეხები“ 867
2. ქალაქი და სოფელი 870
3. „უუფლებო პრივილეგიური წოდება“ 875
4. მომთაბარეობა და მიწათმოქმედება 878
5. ბატონყმობის გადანაშთები 882
6. რევოლუციური გლეხობის მოთხოვნები 891
7. აგრარული საკითხის ცენტრალური პუნქტი 895

XIII. აგრარული ევოლუცია 1905 — 1920 წწ. 902 — 949
1. ბურჟუაზიული საადგილმამულო საკუთრების განვითარება 902
2. მენშევიკების აგრარული პოლიტიკის კრახი 926

XIV. საძიებლები 950
ა. საკუთარ სახელთა 950
ბ. გეოგრაფიული 952
გ. საგნობრივი 969 — 985

СОДЕРЖАНИЕ

стр.

Оглавление . V
От автора XI
Список сокращений XIII

Часть I. Деньги и кредит

I. Денежные знаки и денежное обращение . . . 3 — 113
II. Ростовщичество . . . . . 114 — 243
III. Первая кредитная организация 244 — 264
IV. Закавказский Приказ . . 265 — 307
V. Ссудо-сберегательные товарищества . . . 308 — 339
VI. К истории Тбилисского коммерческого банка 340 — 380

Часть II. Аграрные отношения

Отдел первый

VII. Разложение общинного землевладения . . 381 — 519
VIII. Размежевание земель . . . 520 — 538
IX. Подготовление крестьянской реформы 539 — 638

Отдел второй

X. Частное землевладение в 1864 — 1905 гг. 639 — 754
XI. Социальная диференциация деревни . 755 — 866
XII. Экономические основы аграрного движения 867 — 901
XIII. Аграрная эволюция в 1905 — 1920 гг. 902 — 949
XIV. Указатели (собственных имен, географический, предметный) . . 950 — 985

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების საკითხებზე წინამდებარე ტომში მოთავსებული მონოგრაფიები დაწერილია უმთავრესად 1934 — 1944 წწ.. ზოგიერთი მათგანი გამოქვეყნებული იყო: „ფულის ნიშნები და ფულის მიმოქცევა“ — 1937 წელს (თსუ შრომების VI ტომში), „მევახშეობა“ — 1938 — 1940 წწ. (თსუ შრომების X — XIV ტომებში), „პირველი საკრედიტო ორგანიზაცია“ — 1940 წ. (საქ. სახ. მუზეუმის მოამბის XI b ტომში), „თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში“ — 1946 წ. (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების I ტომში), „საგლეხო რეფორმის მომზადება“ 1950 წ. (რუსულად, ჩემს წიგნში „Сельское хозяйство и аграрные отношения“, т. II).

მაგრამ როგორც თავის დროზე დასტამბული, ისე გამოუქვეყნებელი გამოკვლევებიც მონოგრაფიების ამ, მეორე, ტომში შევიდა მნიშვნელოვნად შევსებულ-შესწორებული, ხოლო ნაწილობრივ გადამუშავებული და არსებითად ახლადდაწერილი სახით. წარმოდგენილ მონოგრაფიათა გამოსაცემად მომზადებისას, ცხადია, შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ჩვენს ნაშრომებზე დასტამბული თუ ხელნაწერთა სახით მოწოდებული რეცენზიები, დისკუსიებზე თუ სხვ. მიღებული კრიტიკული შენიშვნები და რჩევა-სურვილები.

იმ პირთა შორის, რომელთაც დახმარება გამიწიეს, არ შეიძლება მადლობით არ მოვიხსენიო აწ განსვენებული პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი და აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომელთაგან

პირველმა 1944 — 1945 წწ. მეცნიერებათა აკადემიის დავალებით რედაქცია გაუკეთა აგრარულ ურთიერთობათა შესახებ მონოგრაფიებს, რაც მაშინ ცალკე წიგნად, — „აგრარული ურთიერთობანი საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801 — 1921 წწ.“, — გამოსაცემად იყო მომზადებული და რაზედაც მან წერილობითი რეცენზიის სახითაც ფრიად ანგარიშგასაწევი შენიშვნები გააკეთა, ხოლო მეორემ 1938 — 1939 წწ. უაღრესად მნიშვნელოვანი რჩევა-მითითებანი მომცა კრედიტის, სახელდობრ მევახშეობის ისტორიის საკითხებზე და ამასთანავე რედაქცია გაუკეთა „საქ. სახ. მუზეუმის მოამბეში“ გამოსაქვეყნებლად გადაცემულ ნაშრომს — „პირველი საკრედიტო ორგანიზაცია ამიერკავკასიაში“.

მადლობა უნდა მოვახსენო ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატებს, დოცენტებს მ. ასათიანს, ი. ბალანჩივაძეს, ა. კაკაბაძესა და ნ. პაიჭაძეს, რომელთაც ჩემი მონოგრაფიების I ტომზე კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული სტატიების გამოქვეყნებით (იხ. ჟურ. „მნათობი“, 1952 წ. № 11, გვ. 150 — 153 და გაზ. „Заря Востока“, 1952 г. № 100) თავიანთი საქმიანი შენიშვნები გამიზიარეს.

მადლობა ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივს, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია მონოგრაფიათა ამ ტომის გამოსაცემად მომზადებაში.

პ. ბ.

15.6.56.
თბილისი.

შემოკლებათა განმარტება

სცსს — საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო.
მსკი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.
მია — მთავარი ისტორიული არქივი.
АСКАК—Акты, собранные Кавказской археографической комиссией
АНХ — Архив народного хозяйства СССР.
АВПКБ — Архив внутренней политики, культуры и быта СССР.
ГИА — Главный исторический архив.
ЛОЦИА — Ленинградское отделение центрального исторического архива.
Ф. МГИ — фонд Министерства государственных имуществ.
Ф. ДУСХК — фонд Департамента управления сельским хозяйством и колониями.
Ф. УСХПК = фонд Управления сельского хозяйства и промышленности на Кавказе.
Ф. ГГЭ — фонд Грузинской горной экспедиции.
Ф ГКК — фонд Государственной коммерц-коллегии.
Ф. КГГ — фонд Канц. главноуправляющего Грузией.
ЗКОСХ — „Записки Кавказского общества сельского хозяйства".
КК — „Кавказский календарь".
ПСЗРИ — „Полное собрание законов Российской империи".
ТКОСХ — „Труды Кавказского общества сельского хозяйства".
КСХ — „Кавказское сельское хозяйство".
КХ — „Кавказское хозяйство".
МИЭБГКЗК — Материалы для изучения экономического быта гос. крестьян Закавказского края.
СМЭБГКЗК — Свод. матер. для изучения эконом. быта гос. крестьян Закавказского края.
ТССМХ — Труды съезда по скотоводству и молочному хозяйств. 1901 г. в Тифлисе. 1903 г. Тифлис.
ТПКССХ — Труды первого Кавказского съезда сельских хозяев 1909 г. в Тифлисе. 1911 г. Тифлис.
СССОУР — Сборн. свед. о сельскохоз. опытных учрежд. России, 1911 г. СПБ.

ССКЦРК — Сборн. свед. по культуре ценных растений на Кавказе.
ОФК — Отчет о деятельности Кавк. филокс. комитета.
ТМКСХП — Труды местных комитетов сельскохозяйственной промышленности.
РТКЭЖД — Район Тифлисско-Карсско-Эриванской железной дороги. 1897, Тифлис.
КВПС — журн. „Кавк. вестник практического садоводства".
ДГЗАЗ — Доклады губернских земск. агрономов Закавказья. 1913, Тифлис
СССК — Сборник статистических сведений о Кавказе. 1869, Тифлис.
НХЗ — Народное хозяйство Закавказья в цифрах. 1927, Тифлис.
ТПСНКЗЗ — Труды первого съезда НКЗ ЗСФР 30.III.5.IV 1924 г..., 1925 г. Тифлис.
ТЗЭС — Труды Закавказского экономического совещания 1 — 6 марта 1923 г.. 1923, Тифлис.
ТСДЧПК — Труды съезда деятелей черноморского побережья Кавказа. 1913 — 1914 г.г., СПБ.
КС — „Кавказский сборник".
АГС — Архив государственного совета.

„თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობათ, წარმოებრივ ურთიერთობათ, რაც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ' წარმოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას... მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს".

კ. მ ა რ ქ ს ი

„ჩვენი შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან... უეჭველია ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინა ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა".

ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ი ე

ნაწილი პირველი

ფული და კრედიტი

I

ფულის[1] ნიშნები და ფულის მიმოქცევა

1801 — 1864 წწ.*

1. საერთო ვითარება

რუსეთთან შეერთების წინახანებში ამიერკავკასიის სხვადასხვა ხალხისაგან შემდგარი მოსახლეობა დაქსაქსული იყო რიგ წვრილ სამეფოებად, სამთავროებად, სახანოებად. არსებული პოლიტიკური წარმონაქმნები სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით უმეტესწილად იმდენად სუსტნი იყვნენ, რომ

---

* ეს მონოგრაფია პირველად გამოქვეყნდა 1937 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, ტ. VI, გვ. 16 — 72. ამჟამად იბეჭდება ახლადდაწერილი სახით.

[1] თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი: „ფული სპარსული სახელი არის და ქართველები ამ სახელს ადრიდგანვე ხმარობენ. ქ ა რ თ უ ლ ა დ სა ფ ა ს ე ა რ ი ს ფ უ ლ ი. საფასე საზოგადო სახელი არის; ვერცხლს, რვალს (ესე იგი სპილენძსა) გასაყიდად ანუ გასაცვლელად მოკრილთა საფასე ეწოდება და ჩ-ნს საღმრთო წერილებში ყოველს ადგილს და უფროს ერთსა საერო წიგნებშიაცა ფული არა სწერია, საფასე სწერია, ვერცხლი და ზოგან ოქრო, მაგრამ საზოგადო მდაბალი ხალხი და ვაჭარნი ფულს ეძახიან“. — ასეთი განმარტება მისცა თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა აკადემიკოს მ ა რ ი ბ რ ო ს ე ს, უკანასკნელის თხოვნაზე თბილისში ქართული ფულის ზარაფხანის ლიკვიდაციიდან (1834 წ.) რამდენიმე წლის შემდეგ (იხ. „საისტორიო მოამბე“, ტ. I, 1925 წ. ტფ. გვ. 31); იხ. აგრეთვე ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“, 1925, ტფ., გვ. 7 და შემდ.

მათი დამოუკიდებლობა მოჩვენებით ხასიათს ატარებდა და მათს მეფეებსა და მთავრებს (ხანებს) ირანის შაჰები, თუ თურქეთის სულთნები თვითნებურად ეპყრობოდნენ — ნიშნავდნენ, გადააყენებდნენ, შერისხავდნენ.

ირან-თურქეთისა და მათი დამქაშების მხრივ გამუდმებული შემოსევები, თარეშები, ძარცვა-გლეჯა, უზომო და ბარბაროსული ხარკები, თვით ქვეყნის შიგნით ურთიერთშესევები, რაც უმთავრესად ისევ ირან-თურქეთის მხრივ წარმოებული მუხანათური პოლიტიკის შედეგი იყო, იწვევდა ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა სასტიკ დაქვეითებას და განადგურებას, თვით მოსახლეობის რაოდენობრივ შემცირებას. რაც ზოგჯერ მეტად საშიშ ხასიათს ღებულობდა და ამ ხალხებს გადაშენებით ემუქრებოდა.

საყოველთაო ეკონომიკური დაქვეითება იმდენად მძიმე იყო, რომ საქალაქო ცხოვრება სულს ღაფავდა, მრეწველობა ჩანასახურ მდგომარეობაში ბოგინობდა, სოფლის მეურნეობა დეგრადაციას განიცდიდა, ცალკე პროვინციებს შორის ვაჭრობა და კომერციული კავშირი მოშლილი იყო და უკეთეს შემთხვევაში არარეგულარულ ხასიათს ატარებდა.

არსებული მდგომარეობიდან ამიერკავკასიის ხალხებმა საკუთარი ძალებით თავის დაღწევა ვერ შესძლეს. აქეთკენ მიმართული ცდები სახელმწიფოებრივი (სამხედრო-პოლიტიკური) თვალსაზრისით ყველაზე უფრო ორგანიზებულ და ძლიერ ქართლ-კახეთის სამეფოშიც მარცხით მთავრდებოდა, ისევე როგორც ქართული მიწების გაერთიანებისაკენ შინაგანი მისწრაფებაც, რასაც ადგილი ჰქონდა მე-18 ს. ბოლო ხანებში, უნაყოფო აღმოჩნდა.

ამგვარად, რუსეთთან შეერთება იყო ერთადერთი გზა ამიერკავკასიის ხალხთა კულტურულ-ეკონომიკური აღორძინებისა და თვით ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენისათვის. ეს შეერთება ამასთანავე საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხების საუკუნოვანი ოცნების განხორციელებას წარმოადგენდა.

მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ დაიწყო ჩვენი ქვეყნის სასალხო მეურნეობის, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლება და განვითარება. რუსეთის კაპიტალიზმმა პროგრესული როლი შეასრულა აქ ფეოდალურ-ბატონყმური წარმოების წესის რღვევის დაჩქარებისა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა წარმოშობა-განვითარების საქმეში. რაც მწარმოებლურ ძალთა აღმავლობას, საერთოდ ქვეყნის ახალ, მაღალ საფეხურზე გადასვლას მოასწავებდა.

დიდი რუსი სალხის მოწინავე კულტურამ, რუსეთის პროგრესულმა მეცნიერებამ, ლიტერატურამ, რუსეთის უაღრესად რევოლუციურმა პროლეტარიატმა თავისი მსოფლიო-ისტორიული მისიის შესრულებისათვის ბრძოლაში განუზომელად დიდი და ყოველმხრივ კეთილმყოფელი დახმარება გაუწია საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხებს.

საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთებას უაღრესად დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი რუსეთი ბატონყმური ქვეყანა იყო, სადაც სახელმწიფოს ფეოდალური მემამულეები განაგებდნენ, მიუხედავად იმ ნაციონალური ჩაგვრისა და კოლონიური ექსპლოატაციისა, რასაც ცარიზმის ბიუროკრატია აქ იმთავითვე ახორციელებდა და რაც თვითმპყრობელური სახელმწიფო აპარატის სახით, ადგილობრივ თავადაზნაურობასა და ეკლესიასთან ერთად, საერთოდ ვაჭარ-მევახშეთა და ყველა ჯურის მყვლეფელებთან ერთად ძძიმე ტვირთად აწვა ამიერკავკასიელ უშუალო მწარმოებელთა ძირითად მასებს.

კულტურულ-ეკონომიკურად უფრო დაწინაურებულ რუსეთთან შეერთებას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ამიერკავკასიის სასალხომეურნეობრივი აღორძინება, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის და სხვ., გამოცოცხლება; — ამ მოვლენებისათვის ხელის შეწყობას მეფის რუსეთის ხელისუფლებას თვით საკუთარი ინტერესებიც კარნახობდა.

ჩვენ თავის ადგილას[1] დავინახეთ რუსეთთან შეერთების

[1] იხ. ჩვენი მონოგრაფიების პირველი ტომი.

შემდეგ, თუ როგორ თანდათანობით ვითარდებოდა აქ კერძოდ შინაგანი და საგარეო, აგრეთვე სატრანზიტო ვაჭრობა, რაც, თავის მხრივ, მეტნაკლები ინტენსივობით ხელს უწყობდა ფულის მიმოქცევის გაშლას და, მაშასადამე, იწვევდა თვით ფულის ნიშნების წარმოების განახლებასაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენები აქ ხორციელდებოდა კოლონიური ქვეყნის ვაჭრობის დამახასიათებელ ვითარებაში.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბაზრებზე პირველხანებში ბატონობდა სამხედრო ბიუროკრატია; იგი, როგორც ალ. ჭავჭავაძე უქვეშევრდომილეს მოხსენებაში წერს, ხშირად თვითონ, როგორც მყიდველი, აწესებდა თბილისის ბაზრებზე ფასებს. რაიონებში დაბანაკებული პოლკები არსებითად განაგებდნენ აბორიგენთა სვებედს; უკანასკნელნი „არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათ გააჩნიათ რაიმე საკუთრება“ [1].

სამოქალაქო ადმინისტრაციის მხრივ სახალხო დოვლათის მითვისებისა და მფლანგველობის მაგალითს იძლეოდა ჯერ კიდევ გიორგი XII კარზე „სრულუფლებიანი მინისტრის“ სახით მოვლენილი პ. კოვალენსკი, რომელსაც ახლა „საქართველოს მართებელის“ პოსტი ეკავა [2]. მან, რათა უფრო მოხერხებულად ეწარმოებია სახაზინო თუ მოსახლეობის ქონების მითვისება, გარშემოიკრიბა ნათესავები და მეგობრები, რომელთაც დაურიგა „მაღალი და შემოსავლიანი“ თანამდებობები [3]. ეს ხროვა არ ჯერდებოდა დიდძალი სახელმწიფო და „უპატრონო“ ქონების აშკარა მითვისებას და ხელს ჰკიდებდა აგრეთვე ისეთ „კომერციულ ოპერაციებსაც“, რითაც „ალქიმიკოსებზე უკეთესად შეეძლოთ ოქროს შექმნა არარაობისაგან“ [4].

---

[1] А. Чавчавадзе, „Краткий ист. очерк положения Грузии 1801 — 1831 гг.“ (Кавк. сб. XXIII, стр. 14 — 15).

[2] Н. Дубровин, „Георгий XII...“, 1897. СПБ. стр. 189.

[3] АСКАК, II, № 8, стр. 12—15.

[4] კ. მარქსი, „კაპიტალი“, 1930, ტფ. I, 694 — 695.

ცარიზმის ცენტრალური ხელისუფლება. მართალია, ებრძოდა ამგვარ ბოროტმოქმედებას, მაგრამ ეს ზომები ნაკლებ ეფექტური იყო. პეტერბურგიდან ფარულად გამოგზავნილი მოხელე სოკოლოვი თავის საიდუმლო მოხსენებაში სხვათაშორის წერს, რომ „მთელ საქართველოში კოვალენსკის მიერ შესყიდულია იაფ ფასებში მატყლი მაუდის ფაბრიკის[1] საჭიროებისათვის, მაგრამ როგორც აქ ამბობენ, ამ მატყლით კეთდება რაღაცნაირი განსაკუთრებული სპეკულაცია. მართებელი, რომელსაც შეუძენია 15.000 ფუთი მატყლი აპირებს მის გაგზავნას რუსეთში გასაყიდათ“. ეს მატყლი შეძენილი იყო ნაკარნახევ ფასებში, ე. ი. ბაზრის ფასის დაახლოებით ერთმეოთხედად. ამას გარდა პ. კოვალენსკი დაუკავშირდა თბილისში გაბატონებულ დიდვაჭრებს, რომელთა უსტაბაში იყო ი. ბეგთაბეგოვი, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე კარნახობდა თბილისში საქონლის ფასებსა და ფულის კურსს. კოვალენსკისთან კონტაქტში შესულმა აქაურმა ვაჭრებმა და ზარაფებმა, „ბანკირებმა“, რომლებიც მაშინდელი თბილისის პლუტოკრატებს წარმოადგენდნენ, გამოიწვიეს ბაზარზე საქონლის ხელოვნური გაძვირება, რის შედეგადაც დაეცა ჰოლანდური ჩერვონეცის კურსი, ხოლო ქართული ვერცხლის ფული სავსებით გაჰქრა მიმოქცევიდან. ზარაფებმა მიატოვეს ჩერვონცების ვერცხლზე დახურდავება[2].

ჯარის ნაწილების უფროსთაგან წარდგენილი მოხსენებებიდან ჩანს, რომ, მაგ., ქართლში (გორის მაზრაში) ვაჭრები საქართველოს საგუბერნიო მმართველობის გახსნის (1801 წ.) შემდეგ ჩერვონცების დახურდავებისას კურსზე, — რაც 4 მან. და 80 კაპ. (24 აბაზს) უდრიდა სპილენძის ნაშალი ფულით. — აკლებდნენ 70 — 80 კაპიკს; ზოგიერთი ვაჭარი კი სრულიად არ ახურდავებდა ჩერვონცებს; ხშირი იყო შემთხვევა.

[1] მაუდის ფაბრიკისა და სხვა ანალოგიური იმდროინდელი მაქინაციურ წამოწყებათა შესახებ იხ. ჩვენი „მანუფაქტურული წარმოება ამიერკავკასიაში“, 1934.

[2] Лофицкий, „Замечания о Грузии“ (АСКАК, III).

როდესაც ჩერვონეცს გაყიდვის დროსაც არ ღებულობდნენ. თუ ის (ჩერვონეცი) წონაში ნაკლები გამოდიოდა. 1802 წ. ოქტომბერში 1 ჩერვონეცზე იძლევიან უკვე მხოლოდ 4 მან. და 42 კაპ. სპილენძის ფულით ანდა 13 აბაზს ვერცხლით. ამავე დროს კი საქართველოს მუსლიმანურ პროვინციებში და მეზობელ საფაშოებსა და სახანოებში ჰოლანდური ჩერვონეცის კურსი ბევრად უფრო მაღალი იყო. მაგალითად, ახალციხის საფაშოში და ერევნის. ნახიჭევანის, შაქის, შირვანის სახანოებში იგი 5 მან. და 20 კაპ. (26 აბაზამდე) აღწევდა: ამგვარად, აქაური აბაზიანების ქართულ აბაზიანებთან შედარებით მდარე ღირსებაც რომ მხედველობაში მივიღოთ, საერთოდ კურსი მაინც უფრო მაღალი გამოდის.

ასეთ პირობებში სამხედრო ნაწილები, რომლებიც ყოველგვარ სახარჯოს ჩერვონცებით ღებულობდნენ, მეტად დაზარალდნენ. ამ დროს კავკასიაში ყოველი სამხედრო ნაწილი არტელურ პრინციპზე ჩამოყალიბებულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე იყო. არტელი არჩეული პირების მეშვეობით თვითონ განაგებდა სურსათ-სანოვაგით შომარაგების საქმეს. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ხაზინიდან ამისათვის მიღებულ ფულს ძალიან ხშირად ჯარის უფროსები ითვისებდნენ და ფლანგავდნენ, ახლა ჩერვონეცის კურსის დაცემამ ჯარის მონარაგების საქმე კიდევ უფრო კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. გასაგებია, საქართველოს სხვადასხვა რაიონებსა და მაზრებში დაბანაკებული ჯარის არტელს ცალკე უფროსი ოფიცრობის ღორმუცლობით და ცალკე ჩერვონცების კურსის დაცემით მიღებული დანაკლისი სოფლებიდან სურსათ-სანოვაგის უნაცვალგებოდ დატაცებით უნდა შეევსო.

როდესაც ჩერვონეცის კურსის დაცემით შეეიწროებულმა ჯარების უფროსებმა (გენერლებმა: ლ ა ზ ა რ ე ვ მ ა, ტ უ ჩ კ ო ვ მ ა. ლ ე ო ნ ტ ი ე ვ მ ა და სხვ.) ერთხმად მოითხოვეს პ. კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი ს ა გ ა ნ ჩერვონეცის კურსის განმტკიცებისათვის გადამჭრელი ზომების მიღება, უკანასკნელმა გენ.-ლეიტ. კ ნ ო რ ი ნ გ ს მოახსენა, რომ იგი ამ შემთხვევაში, როგორც ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლების მეთაური, უღონოა.

რადგან „მთავრობას უფლება არა აქვს განსაკუთრებული ბრძანების გარეშე ხელი მოკიდოს ჩერვონეცის კურსის დადგენას, მით უმეტეს, რომ ეს გამოიწვევდა აშკარა შევიწროებას ვაჭრობის თავისუფლებისა, რაც არის ხელისუფლების მფარველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანი სახელმწიფო მეურნეობის ნაწილში“. ქვემოთ პ. კოვალენსკი დიდის თანაგრძნობით აღნიშნავს, რუსი ჯარისკაცებისა და ქართველი გლეხობის მყვლეფელ, თავის მოკავშირე თ.ბილისელ ვაჭართა „ქველმოქმედებას“, რაც იმაში გამოიხატა. რომ „აქაურ მოქალაქეთა საზოგადოებამ, მხოლოდ [იმპერატორის] სამსახურისადმი ერთგულებით ამოძრავებულმა“ სავალდებულოდ გაიხადა ყოველთვიურად დაახურდავოს გარკვეული თანხა ჩერვონცებისა.

მაგალითად, ვაჭართა საზოგადოებამ 1802 წ. სექტემბერში დაახურდავა 2.000 ჩერვონეცი, „რისგანაც მათ იზარალეს ყოველ ჩერვონეცზე 30 კაპ.“. ახლა კი, განაგრძობს პ. კოვალენსკი, ვაჭრები ეტად შევიწროებულნი არიან, განსაკუთრებით დაბალ სამეცადრო მოხელეთაგან, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ ვაჭართაგან ყიდვისა და დასურდავების დროს ჩერვონცების ძველი კურსით მიღებას... ამიტომ პ. კოვალენსკი, — ნუ განცვიფრდებით მკითხველო! — გამოდის რა „ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან“, ვერ აიძულებს მათ დაასურდავონ ჩერვონცები ძველებური კურსით. პ. კოვალენსკის „დაავიწყდა“ ეთქვა, რომ იგი გამოდიოდა მისი მოკავშირე ადგილობრივი ვაჭრებისა და მევახშე ზარაფების ინტერესებიდან, ე. ი. წინააღმდეგ, როგორც რუსი ჯარისკაცების, ისე ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი მასების სასიცოცხლო ინტერესებისა.

კიდევ მეტი. პ. კოვალენსკი საქართველოს ხაზინაში დაგროვილი -მოსახლეობიდან ბეგარა-გამოსაღებთა სახით აკრეფილი - - ვერცხლის ფულით ბეგთაბეგოვს ჩუმად უხურდავებდა ჩერვონცებს 13 აბაზის ანგარიშით; ამავე დროს კი თბილისში დაბანაკებულ ჯარს ჩერვონეცს აძლევდა 14 აბაზის ანგარიშით, მაშინ როდესაც ბაზარზე ჩერვონეცის

კურსი დღითი-დღე ეცემოდა და ხშირად $12^1/_2$ აბაზამდეც ქვეითდებოდა. ამგვარად, მეფის მაღალი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები კოლონიაში ეწეოდნენ არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლოატაციას, არამედ მეტროპოლიის გლეხობის (ჯარისკაცების) ძარცვასა და ექსპლოატაციას, როცა მათ. გარდა ამისა, მუქთად ამუშავებდნენ სახელმწიფო სამუშაოებზე (გზების გაყვანა, ციხე-სიმაგრეების აგება და რესტავრაცია და სხვ.), ხოლო ამ მიზნით ხაზინიდან განკუთვნილ ფულებს კი თვითონ ითვისებდნენ.

მეორე მხრივ, მრეწველობის საქონლის და მალე ყოველგვარი სურსათის საგრძნობ გაძვირებას მოჰყვა ის, რომ საქართველოს, კერძოდ თბილისის ბაზრები გაივსო ირანული საქონელით, რისი საფასწარსაგებლის სახით აქედან ირანში და მის სახანოებში მიედინებოდა დიდძალი ვერცხლის ფული. პ. კოვალენსკი, თუმცა პეტერბურგისგან მოითხოვდა „სახაზინო და საზოგადოებრივი სარგებლობისათვის“ კანონით აკრძალულიყო საქართველოდან როგორც რუსული ჩხრიალა ფულის, ასევე ქართული აბაზებისა და ყოველგვარი ევროპული ვერცხლის მონეტის გატანა[1], მაგრამ ნამდვილად გვერდს უმაგრებდა თბილისელ ვაჭრებს და არავითარ ღონისძიებას არ ღებულობდა ჩერვონეცის კურსის განმტკიცებისა და აღდგენისათვის, რადგან ამ მაქინაციებით ათეულ ათასებს ღებულობდა. სოკოლოვი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ „ბანკირი“ ბეგთაბეგოვი და კოვალენსკი „რაღაც საეჭვო კავშირში არიანო“.

ცარიზმის ადმინისტრაციამ, ე. ი. ისევ პ. კოვალენსკიმ, თბილისში დაიწყო შენება უზარმაზარი სახლისა, რომელიც დანიშნული იყო მაუდის ფაბრიკისათვის. ხაზინიდან ამ საქმისათვის გაცემულ თანხებს კოვალენსკი ითვისებდა, ხოლო მშენებლობაზე მოჰქონდათ აღა-მაჰმედ ხანის შემოსევის დროს დანგრეული სასახლის მასალა. ამ სასახლის ნაწილი დავით ბატონიშვილს ეკუთვნოდა და უკანასკნელიც

[1] АСКАК., под ред. А. Берже, I. 1866, № 1126, стр. 762.

ჩიოდა მისი ქონების გატაცების გამო, მაგრამ კოვალენსკი მაინც თავისას აკეთებდა[1].

2. თბილისში რუსული ჯედის ძართული ბოლეტის გამოშვებისათვის

ბიუროკრატიის ცბიერული პოლიტიკის მეოხებით. როგორც ზემოთ დავინახეთ, მეტად დაეცა საქართველოში, იმ დროს მთელ იმპერიაში და აღმოსავლეთში გავრცელებული. ჰოლანდური ჩერვონეცის კურსი. 1802 წლის 12 ივლისის თარიღით გენერალ-პროკურორისადმი გაგზავნილ მოხსენებაში გრაფი მუსინ-პუშკინი აღნიშნავდა, რომ თბილისში მიმოქცევაში ხურდა ფულის ნაკლებობის გამო ჩერვონეცის კურსი დაეცა 3 მ. 50 კაპიკიდან 2 მან. და 60 კაპ.-მდე, რის გამოც „როგორც ჯარი, ისე ყველა, ვინც ჯამაგირს ღებულობს ჩერვონცებით, ზარალობს კურსზე თითქმის $^1/_3$-სო“. ხურდა ფულის ნაკლებობა ამასთანავე მე-19 საუკ. პირველ ათეულ წლებში, და კარგა ხანს მერმეც, ფრიად აბრკოლებდა მოსახლეობიდან სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებთა აკრეფასაც. ასეთ პირობებში, როდესაც ჩერვონეცის კურსის დაცემა ახსნილი იყო მარტივად, როგორც შედეგი ვერცხლისა და სპილენძის ხურდა-ფულის გამოლევისა, ცხადია, ბუნებრივად დაისმებოდა საკითხი, რომ ეს ხურდა ფული აქ მოეტანათ რუსეთიდან ანდა თბილისშივე მოეჭრათ. სწორედ ეს უკანასკნელი მოსაზრება წამოაყენა მ უ ს ი ნ-პ უ შ კ ი ნ მ ა, რომელსაც. როგორც ადგილობრივმა ისე ცენტრალურმა ხელისუფლებამ იმთავითვე მხარი დაუჭირა, რადგან გარდა ზემოხსენებულ დაბრკოლებათა მოსპობისა, ამავე გზით სახელმწიფო ხაზინას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოგების მიღებაც შეეძლო.

ვინ იყო გრაფი მ უ ს ი ნ-პ უ შ კ ი ნ ი? იგი ჯერ კიდევ 1799 წელს პეტერბურგიდან მოვლინებულ იქნა საქართველოში სამთომადნო საქმის მდგომარეობისა და მინერალურ სიმდიდრეთა შესასწავლად; უკვე 1800 წლის 17 დეკემბერს სახელმ-

[1] АСКАК, II. № 9, стр. 15.

წიფო საბჭოში წარდგენილ თავის მოხსენებაში იგი იხილავს რა საქართველოში შექმნილ სიტუაციას, აყენებს საკითხს „On удобности и выгодах присоединения Грузии к державе Российской“ [1]. საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე ადგილობრივ მინერალურ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას ხელი მოკიდა თვით ხაზინამ, რადგან მ უ ს ი ნ-პ უ შ კ ი ნ ი ს აზრით მას შეეძლო მოეცა მეტი შემოსავალი, ვიდრე ის 600.000 მანეთი, რომელსაც იჯარით გაცემის შემთხვევაში ყიზლარელი ვაჭრები, დ ე მ ი ა ნ ი ვ ი და პ ო პ ო ვ ი, რვა წლის განმავლობაში პირდებოდნენ ხაზინას. ამის შემდეგ მ უ ს ი ნ-პ უ შ კ ი ნ ი 1801 წელსვე დაინიშნა საქართველოში სამთამადნო საქმის გაგებლად [2]. მასვე უნდა ეწარმოებია ძიებაც წიაღისეულ სიმდიდრეთა ახალი საბადოების აღმოსაჩენად, რისთვისაც „საქართველოს შემოსავლიდან მომავალი [1802] წლის განმავლობაში“ უნდა მისცემოდა 12.000 მანეთი [3]. 1802 წ. 20 მაისს იმპერატორ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე I ბერგ-კოლეგიას უბრძანა საქართველოში მ უ ს ი ნ-პ უ შ კ ი ნ ი ს ა თ ვ ი ს ქვანახშირის მადნების მოსაძებნად და სამთო-საქარხნო საქმის გაუმჯობესებისათვის გაეგზავნა ორი ინგლისელი ოსტატი [4]. ამგვარად, ეცნობოდა რა აქ სამთამადნო და სამთო-საქარხნო საქმის მდგომარეობას და მის ხელში იყო რა ადგილობრივ მოპოვებული საკმაოდ დიდი მარაგი ვერცხლისა და სპილენძისა, ე. ი. ხურდა ფულისათვის საჭირო მასალისა, მ უ ს ი ნ-პ უ შ კ ი ნ ს შეეძლო პეტერბურგისათვის მიეცა წინადადება (1801 წ. 12 ივლისს), რომ ჩერვონეცის კურსის დაცემით ჯარისათვის შექმნილი აუტანელი „ბოროტების მოსპობა შეიძლება აქ ვერცხლისა და სპილენძისგან ხურდა (ნაშალი) ფუ-

[1] „Архив Государственного Совета“, II, 1888, СПБ., 881-2.

[2] მ უ ს ი ნ-პ უ შ კ ი ნ ი ს მოღვაწეობის შესახებ იხ. სპეციალური ნაშრომი: Э с а д з е С. „Очерк истории горного дела на Кавказе. I, Деятельность гр. Мусин-Пушкина и кн. Цицианова при впед. горн. произ. в Грузии“, 1903, Тифлис.

[3] I-ое ПСЗРИ., СПБ., 1830, XXVI № 20055, стр. 838.

[4] I-ое ПСЗРИ, СПБ., 1830. XXVII № 20277, стр. 133 — 4.

ლის მოსაპრელად პატარა ზარაფხანის მოწყობით"-ო. ერთი კვირის შემდეგ საქართველოს მთავარსარდალი გენ. კ ნ ო ر ი ნ ბ ი პ. კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი ს სწერდა: „თვითონ ვარ რა დარწმუნებული საქართველოში ვერცხლის მონეტის სიმცირეში. რის გამოც ჰოლანდური ჩერვონეცი ამჟამად ძლივს ხურდავდება 2 მან. და 65 კაპ., მე თანახმა ვარ, რომ იმპერატორის მიერ საქართველოში ზარაფხანის გახსნის დამტკიცებამდე. დაიწყოთ ვერცხლისგან ქართული აბაზების მოჭრა. და რადგანაც ამ მონეტის სიქაზე, როგორც ცნობილია, გამოყვანილია სახელი წინანდელი მეფისა. ხალხის შეხედულებაზე მავნებლური გავლენის აცილებისათვის უნდა გაკეთდეს შესაფერი ცვლილება წარწერაში, მაგრამ ისე, რომ იმპერატორის სახელიც არ იყოს გამოყვანილი, რადგან ასეთი უმაღლესობის ნებართვის გარეშე არ უნდა გაკეთდესო" [1]; რ ო გ ო რ ც ჩანს, ბიუროკრატიული აპარატი ახერხებს ასეთი საქმისათვის დროულად დატრიალებას.

საქმე იმაში იყო, რომ მარტო საქართველოში გადმოსულ ჯარისათვის, რომლის რაოდენობა პირველსავე წელს ოფიციალური ცნობით 7.000 კაცს უდრიდა, საჭირო იყო ხაზინას გაეღო მნიშვნელოვანი თანხები, რასაც ჩერვონეცის კურსის დაცემა კიდევ უფრო ადიდებდა. რუსეთიდან საქართველოში წამოსული გამდიდრებისა და კარიერისათვის ამოძრავებული ბიუროკრატია, გარდა იმისა, რომ თვითონ მოიხვეჭდა. ცდილობდა ხაზინასაც მოეხვეჭა. ამისათვის კი საჭირო იყო

[1] АСКАК., I, 1866, № 695, стр. 598; ხელისუფლება პირდაპირ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო ერიდებოდა ამ შემთხვევაში ე რ ე კ ლ ე II სახელით აბაზიანების მოჭრას; მეორეს მხრივ ის არ შეიძლებოდა მოჭრილიყო იმპერატორის სახელითაც. კიდევ მეტი, საერთოდ არ შეიძლებოდა ერთ სახელმწიფოში ფულის ორი სხვადასხვა სისტემის დაკანონება. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებზე რუსეთის გავლენა აღბეჭდილია ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდანვე. მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (1781, 1787, 1789 წ. წ.) თბილისში მოჭრილ ქართულ ფულებზე ზედაწერილია სხვათაშორის რუსული ღერბი — ორთავიანი არწივი (იხ. М. П. Баратаев, „Нумизматические факты Грузинского царства", 1844 СПБ. отд. IV, стр. 10, 14—16), ხოლო 1796 წ. მოჭრილ

კოლონიის გაძლიერებული ძარცვა და ექსპლოატაცია, რაშიაც მუსინ-პუშკინიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა[1]. ამგვარად, აქ ხურდა ფულის ნაკლებობით შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება არ შეიძლებოდა შიგა რუსეთიდან ჩხრიალა ფულის მასობრივი გამოგზავნით. 1802 წ. საქართველოში თეთრის ნაკლებობის გამო სამხედრო უწყებისათვის (პროვიანტის კომისიონერებისათვის) რუსეთიდან 70 000 მან. ვერცხლის გამოგზავნისას აფრთხილებენ: შემდეგისათვის საშუალება ადგილზე უნდა გაიჩინოთო. იმავე წელს საქართველოს მთავარსარდლად დანიშნულ პ. ციციანოვისადმი რესკრიპტში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ აქამდე რუსეთის ხაზინას საქართველოდან უმნიშვნელო შემოსავალი შემოსდის, მაშინ როდესაც საქართველოსთვის „სხვადასხვა საგნებზე გაწეულმა ხარჯებმა, რომლებიც დღითიდღე მრავლდებიან, მეტად მნიშვნელოვან თანხას მიაღწია“... ამიტომ იმპერატორი ბრძანებს: „მე არავითარ შემთხვევაში არ მსურს, რომ საქართველოს გამგებლობის ხარჯები დააწვეს მხოლოდ რუსეთსო“; რისთვისაც იგი მოითხოვს, გამრავლებულ და გაღრმავებულ იქნას საქართველოში სახაზინო შემოსავლის წყაროები.

მონეტებზე—ერთთავიანი არწივი (იხ. Вел. кн. Георгий Михайловичъ, „Русския монеты, чеканенныя для Пруссии, Грузии, Польши и Финляндии“, СПБ. 1893. отд. II, стр. III). 1783 წ. ერეკლე II და ეკატერინე II შორის დადებული ტრაქტატის შემდეგ, იმავე წელს ამ ტრაქტატის რატიფიკაციასთან ერთად ნოვგოროდის გენერალ-გუბერნატორისადმი გაცემული ბრძანებულებით სამეფო ინვესტიტურებთან ერთად რუსეთის იმპერატორის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის მეფეებს სხვათა შორის უფლება ეძლეოდა: „бить монету с их изображением и на обороте гербом царства Карталинского и Кахетинского, — над коим только изображен будет орел двуглавый в знак покровительства и верховной власти Всероссийских императоров над сими владетелями и их подданными“ (I-ое ПСЗРИ., Т. XXI, № 15841).

[1] 1804 წ. ტიტ. სოვეტ. ფიშერმა საჩივარი აღძრა პეტერბურგში გრაფ მუსინ-პუშკინის საქართველოში მტაცებლური მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ იგი უყურადღებოდ იქნა დატოვებული. იხ. „Архив гос. совета“, 1801 — 1810 гг., III, 1878, 453-4.

3. ახალი ზარაფხანა თბილისში (1804 — 1834 წწ.); ფულის მოჭრის ტექნიკა

ამგვარად, ნიადაგი ყოველმხრივ მზად იყო, რათა კოლონიის ექსპლოატაციისათვის შექმნილ ღონისძიებათ კიდევ ერთი ახალი საშუალება მიმატებოდა. 1802 წ. 26 აგვისტოს ბრძანება გაიცა, ბერგ-კოლეგიის პრეზიდენტ ალიაბიევისადმი, თბილისში ზარაფხანის დაარსების შესახებ[1].

თბილისში ძველი სამეფო ზარაფხანის მოქმედება-გიორგი მე-XII გარდაცვალების შემდეგ საბოლოოდ შეწყდა. უკანასკნელად: „მასვე ზარბი-ხანაში, რომელსაცა უწოდეს მონეტნი დვორი, ახტალისა მადნებიდამ გამოტანილისა ვერცხლისა მოჭრეს სახედ და საჩვენებლად რუსთა და ქართველთა რამოდენიმე ბრონზისა ფულნი; მათზედ იყვნენ გამოჩენილნი [ზედაწერილი] ერთსა მხარეს არწივი რუსეთისა და მეორესა —ღერბი ქართველთა მეფისა; ესენი შემდგომად წარუვლინეს რუსეთისა დიდთა კაცთა“[2]. ამის შემდეგ, ძველ ზარაფხანაში ფული არ მოჭრილა; იგი როგორც ჩანს, დაძველებული და გაცვეთილი ყოფილა თავისი იარაღებითა და ნაგებობით. ამის გამო „მონეტების უკეთესი წესით მოჭრის მიზნით“, რუსეთის ხელისუფლებამ საჭიროდ სცნო სავსებით ახალი ზარაფხანის მოწყობა; ამ მიზნით კი მუსინ-პუშკინისათვის, თანახმად იმპერატორის განკარგულებისა, უნდა მიეცათ პეტერბურგს ბანკის გაუქმებულ ზარაფხანაში უსმარად გდებული ფულის საჭედი 4 თუჯის ურო (копер), აგრეთვე საჭირო რაოდენობით შტემპელები და ლიტერის პუნსონები. ამასთანავე ერთად პეტერბურგიდან თბილისში უნდა გამოეგზავნათ ერთი მინცმეისტერი; ტულის თოფ-იარაღის ქარხნიდან — ფულის მომჭრელი (резчик) ორი კაცი, სათანადო ინსტრუმენტებითა და ფოლადის მარაგით. ტულელ მომჭრელებს და

---

[1] „Об учреждений монетного двора в Грузии“, № 20385; I-ое ПСЗРИ, т. XXVII, стр. 931.

[2] პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1936, ტფ. გვ. 252.

მინცმეისტერსაც ჯერ სათანადო პრაქტიკა უნდა მიეღოთ პეტერბურგის ზარაფხანაში.

თბილისში ზარაფხანის მოსაწყობად, თვით მუსინ-პუშკინის განზრახვით უნდა წამოეღოთ მარტივი იარაღები, რადგან აქ უნდა მოჭრილიყო მხოლოდ ხურდა ფული, სხვათა შორის იმ მოსაზრებითაც, რომ დიდი მონეტების მოსაჭრელად საჭირო მძიმე იარაღ-გაწყობილობათა წამოღება ძვირი დაჯდებოდა. მუსინ-პუშკინის მიერ შედგენილი გეგმით თბილისში ხურდა ფულის მოსაჭრელი დაწესებულება უნდა „მოეწყოს იმ საფუძველზე, როგორც აქ [პეტერბურგში] იჭრება ღილები მუნდირისათვის“. მუსინ-პუშკინი მის გამგებლობაში მყოფი სამთო ოფიცერთაგან ერთ-ერთს ნიშნავს ვარდეინად, ე. ი. სინჯისა და წონის მსრივ ფულის კანონიერების მეთვალყურედ და სხვ.

თბილისში ზარაფხანის მოწყობის მთავარი ტექნიკური ხელმძღვანელები იყვნენ სამთო ინჟინრები: მარკშრეიდერი პ. ზაიცევი, რომელიც შემდეგში განაგებდა ზარაფხანის მექანიკურ ნაწილს, ბერგ-პრობირერი ა. კარპინსკი, რომელიც განაგებდა ზარაფხანის ქიმიურ ნაწილს და შიშმარიოვი. მინცმეისტერი და სხვა საჭირო მოხელეები პეტერბურგიდან ჩამოვიდნენ იმავე წლის მაისში, ამ ახლად მოწყობილმა ზარაფხანამ მუშაობა დაიწყო 1804 წლის 15 სექტემბერს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დროს (1804—1834 წწ.) თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ ვეფხვიანი ლის მონეტებზე გამოყვანილი მინცმეისტერთა ინიციალები (სახელისა და გვარის პირველი ასოები) იკითხება შემდეგნაირად: „П. З.“ —პეტრე ზაიცევი; „А. К.“ —ალექსანდრე კარპინსკი; „А. Т.“ —ა. ტრიფონოვი; „В. К.“ —ვასს. კლემიონოვი[1].

[1] ЛОЦИА (Ленинградское отделение центр. истор. архива). АПХ (Архив народного хозяйства) ფონდი; „Госуд. коммерц-коллегии“ 1803-1811 гг. საქმე № 725/2395, ფ.ფ. 209 და შემდ.; აგრეთვე იხილე საქართველოს ცენტრ. არქივში ფონდი: 4 ГГЭ (Грузинская горная экспедиция), 1802 წ. საქმე № 9-10.

თბილისის ზარაფხანაში მუშაობის დაწყების პირველსავე წელს დაწესდა სინჯის დასმა ადგილობრივ ხელოსანთა (ოქრომჭედელთა) ვერცხლეულის ფრიად სხვადასხვაგვარ ნაკეთობაზე. დადაღვისათვის ნაკეთობის წონიდან ყოველ ქართულ მისხალზე ახდევინებდნენ 2 კაპ. ვერცხლით. ვერცხლის მსხვილი ნაკეთობა იდაღებოდა ქალაქის გვირგვინით, რომელიც ქართულ ფულზედაც იყო გამოყვანილი, და მინცპრობირერის ინიციალებით; ხოლო წვრილ ნაკეთობაზე, რაც არსებული ჩვეულებისამებრ არ მზადდებოდა წმინდა ვერცხლიდან, გამოჰყავდათ „ტ. ზ." — ტფილისის ზარაფხანა. 1805 წ. გაცემულ იქნა ბრძანება ზარაფხანისადმი, რათა უკანასკნელს თავისი დაღი არ დაესვა 84 სინჯზე დაბალი შედგენილობის ვერცხლის ნაკეთობაზე: მთავრობა ცდილობდა, კომერციული ინტერესებისათვის, რათა კანონით დადგენილი ლიგატურა საყოველთაო სავალდებულოდ გაეხადა. (იხ. ცხრილი, გვ. 18)[1].

თვით ზარაფხანა მოთავსებული იყო ყოფილ სამეფო ქვის აბანოებში; მას ეჭირა მხოლოდ ოთხი „ოთახი", უკეთ ვთქვათ საკანი, — „რის გამოც მეტად შეევიწროებული" იყო, როგორც ეს აღნიშნულია მინცმეისტრის მოხსენებაში. ეს სივიწროვე ეჭით უფრო საგრძნობი იყო ხოლმე, რაც უფრო მრავლდებ და, მეკვეთების გაზრდის მიხედვით, მუშათა რიცხვი და ს [illegible]შაო. 1828 წ. ამ ზარაფხანაში ქარგლებთან და შეგირდებ[illegible] ერთად, — რომელთა რაოდენობის შესახებ ჯერჯერობით [illegible]ცნობა ვერ გვიპოვნია, — მუშაობდა 11 კაცი მხოლოდ სახა[illegible]ნო ოსტატების სახით და კიდევ ერთი მუდმივად დაქირ[illegible]ული მუშა[2].

[1] საქ. ცენტრა[illegible]ვი, ფონდი: 5. ВГП ИЭ, 1804 წ. საქმე № 6606; აგრეთვე ფონდი: 4 ГГЭ, [illegible]4—1806 წ. წ. საქმე № 31, 61. ადგილობრივ ხელოსანთა ვერცხლის ნაკეთობის დადაღვა ხდებოდა აგრეთვე სიღნაღში (იქვე, საქმე № 347/18 1824 [illegible]), განჯაში, შემახიაში (იქვე, საქმე № 366,40, 1824 წ.) და სხვ. 1824 წელს თბილისელ ხელოსანთა ვერცხლის ნაკეთობებზე დაღის დასმისათვის, ზემოხსენებული მისაგებელის სახით, ზარაფხანას შემოსვლია 574 მანეთი (იხ. იქვე ფონდი ВГП ИЭ 1824 წ. საქმე № 6606).

[2] მეფეების დროინდელ ზარაფხანის მუშებს ხელობის მიხედვით ეძლეოდათ გასამრჯელო [illegible]ხ. ვახტანგ VI, „დასტურლამალი", 1886, გვ. 33—34).

თბილისის ზარაფხანის მიერ დადაღული ვერცხლის ნაკეთობათა რაოდენობა (წონა) და მიღებულ მისაგებელთა ყოველწლიური საერთო შემოსავალი 1804—1830 წწ.[1]

წელი	დადაღული ნაკეთობათა წონა ქართ. მისხლობით	მისაგებელი ვერცხლის	
		მან.	კაპ.
1804	12.871	257	41
1805	19.760	395	19
1806	28.662	573	25
1807	25.634	512	68
1808	24.665	495	30
1809	28.922	578	44
1810	23.467	469	33
1811	10.316	206	32
1812	7.352	147	05
1813	15.032	300	65
1814	14.831	296	61
1815	21.337	426	73
1816	24.685	493	70
1817	18.148	362	96
1818	18.674	373	48
1819	14.896	297	93
1820	14.581	291	62
1821	16.658	333	17
1822	30.285	605	69
1823	33.531	670	62
1824	34.060	681	21
1825	29.844	596	88
1826	28.378	567	57
1827	29.505	590	10
1828	29.039	580	77
1829	—	664	93
1830	—	480	03

[1] 1822 წლამდე აღებული მისაგებელი ხმარდებოდა თვით ზარაფხანას, ხოლო 1822 წლიდან კი ჩაირიცხებოდა სახაზინო ექსპედიციის ანგარიშში, როგორც საქართველოს შემოსავალი.

1831 წელს საკითხი დაისვა თბილისის ზარაფხანის ძველი და „სავსებით შერყეული შენობის“ საჯარო ვაჭრობით გაყიდვისა და, მის ნაცვლად, ამოგებული ფულით ზარაფხანისათვის „შესაფერ ადგილას სახაზინო სახლის აშენების“ შესახებ. ზარაფხანის ძველი შენობა ამ დროს ისე შერყეული ყოფილა, რომ შიშობდნენ შიგ მომუშავეთა დაღუპვას სახლის ჩამონგრევისაგან. სამთო ექსპედიცია ჩივის, რომ ამ სახლში მეტისმეტი სივიწროვის გამო შეუძლებელია წარმატებით მუშაობის გაშლა; ამასთანავე სიბნელე და სინესტე, რომელიც მეფობს ამ ყოფილ აბანოებში, მეტად ვნებს და ხშირად აავადებს მუშებს; თვით იარაღებიც ამავე მიზეზის გამო ძალიან ჩქარა იფარება ჟანგით და საზარელ სახეს ღებულობს; ხოლო მათი დაუსრულებელი წმენდა კი აუარებელ დროს ართმევს მუშებსო. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა ზარაფხანა მაინც ძველ შენობაში რჩებოდა, სანამ 1831 წ. ივლისში დიდი წვიმების გამო ჭერი სავსებით არ ჩაინგრა. მხოლოდ ამის შემდეგ ზარაფხანის იარაღ-გაწყობილობანი გადაიტანეს იქვე ახლოს მდგარ ძველ მეჩეთში, სადაც მუშაობის პირობები არაფრით არ იყო უკეთესი. ასეთი მდგომარეობის გამო 1833 წ. მიწურულში თბილისის ზარაფხანის ლიკვიდაციის შესახებ მოხსენების ავტორი აღნიშნავს, რომ ამ შენობაში ზარაფხანის მოქმედების გაგრძელება, სხვათა შორის, იმიტომაც შეუძლებელია, რომ „საუკეთესო ოსტატები ძლიერ ჩქარა იხოცებიან და ამავე დროს მათი შეცვლა ადგილობრივ დაქირავებული ხალხით შეუძლებელია“-ო [1].

თბილისის ზარაფხანაში ფულის მოჭრისა და ასევე ოქრომჭედელთა ნაკეთობებზე დაღის დასმის მთელი მუშაობა ხელით წარმოებდა. გარდა ადამიანის კუნთური ძალისა აქ არავითარი მექანიკური მამოძრავებელი ძალა არ იყო გამოყენებული. შრომა, რა თქმა უნდა, დანაწილებული იყო და, ამდენადვე, ცხადია, თ ბ ი ლ ი ს ი ს ზ ა რ ა ფ ხ ა ნ ა ა რ ს ე ბ ი-

[1] Вел. кн. Георгий Михайлович, I. с., 29.

თად წარმოადგენდა მანუფაქტურული ტიპის წარმოებას (საწარმოს), სადაც უფროსის ჩაუთვლელად მუშათა პერსონალი (ოსტატთა, ქარგალთა და ერთი „დამხმარე მუშის“ ჩათვლით) ჩვეულებრივ, თორმეტი კაცისაგან შედგებოდა. ზოგიერთ წელს, მაგალითად, 1807 წ., აქ მხოლოდ 9 კაცი მუშაობდა[1].

* * *

თბილისის ზარაფხანა როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, შედიოდა საქართველოს სამთო ექსპედიციის უწყებაში. 1812 წელს, კარგა ხნის მანძილზე მტაცებლური ექსპლოატაციის შემდეგ, საკითხი დაისვა არარენტაბელობის გამო ადგილობრივი სამთამადნო სარეწავების და, მაშასადამე, სამთამადნო საქმის გამგებლობის რეორგანიზაციის შესახებ. საკითხი იდგა სამთო ექსპედიციის უწყებაში შემავალი თბილისის ზარაფხანის ლიკვიდაციის შესახებაც. მაგრამ რადგან ამ დროს წინანდებურად ისევ მწვავედ საგრძნობი იყო ხურდა ფულის ნაკლებობა, რაც, სხვათა შორის, მეტად აძნელებდა სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებთა აკრეფას, ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა: ზარაფხანას კვლავ განეგრძო მუშაობა. წინდაუხედავი გენ. გუდოვიჩის მოსაზრებით კი ზარაფხანა იმავე წელს უნდა დაეკეტათ; ხოლო ამ შემთხვევაში საიმპერიო სამთო საბჭო მოითხოვდა: ფულის მოსაჭრელი მანქანები გაეფუჭებიათ, რათა ისინი ვისმეს ბოროტად არ გამოეყენებია.

1812 წელსვე წამოყენებულ იქნა იდეა, რომ თბილისში მოეჭრათ სპილენძისგან რუსული ხურდა ფული. ის უნდა მოეჭრათ ადგილობრივი (ალავერდის?) სპილენძისგან. საქმე იმაშია, რომ თბილისის ზარაფხანაში სპილენძისაგან ქართული ხურდა ფულის მოჭრა შეწყდა 1810 წელს და მთელი ამ ხნის — 1804-1810 წწ. — განმავლობაში მოიჭრა მხოლოდ 8311 მანეთისა, რაც, როგორც ირკვევა, არ კმაროდა მიმოქცევისათვის. მაგრამ თბილისში რუსული შავი ფულის მოჭრის

[1] „Горный журнал“, 1832 г. ч. I, кн. I, стр. 120.

ცდა არ განხორციელდა. 1815 წელს პეტერბურგიდან სამთა-შადნო საქმის დეპარტამენტის საბჭომ წინადადება მისცა საქართველოს მთავრობას, რათა საკუთარი ფულით გაეუქმებია თბილისის ზარაფხანა; ხოლო საქართველო სპილენძის ფულით უნდა მოემარაგებია ეკატერინბურგის ზარაფხანას, რომელსაც სპეციალურად საქართველოსთვის 1 ფუთი სპილენძიდან უნდა მოეჭრა 40 მან. ხურდა ფული, რომ საქართველოდან „ის არ გაეტანათ საზღვარგარეთ, ანდა აქვე არ გადაედნოთ ხელოსნებს“ (აქამდე კი თბილისის ზარაფხანაში 1 ფუთი სპილენძიდან იჭრებოდა 21 მანეთის ნაშალი ფული). მაგრამ შედეგად იმპერატორის ახალი ბრძანებისა, — გენ. ერმოლოვის დაჟინებითი თხოვნით — თბილისის ზარაფხანა განაგრძობს მუშაობას და სულ უფრო დიდი რაოდენობით ჭრის ქართულ ორაბაზიანს და აბაზიანს. ამავე დროს თბილისში და საერთოდ საქართველოში ჩერვონეცის კურსი სულ ეცემა[1].

1819 წ. გენ. ერმოლოვი შუამდგომლობს იმპერატორის წინაშე, რათა საქართველოში 1 ჩერვონეცის კურსი, ნაცვლად 3 მანეთისა, დაედგინათ 2 მან. და 60 კაპ. წინააღმდეგ ერმოლოვის მიზანდასახულობათა 1822 წ. ფინანსთა სამინისტროს სამთო საბჭოს დადგენილებით თბილისის ზარაფხანა უნდა გაეუქმებიათ, ხოლო საქართველოში უნდა მოეტანათ ნაშალი (დამხმარე) მონეტები რუსეთიდან; ამასთანავე როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის ფული ისეთივე ფორმისა და ღირსების უნდა ყოფილიყო, როგორიც ტრიალებდა შიგა რუსეთში, ე. ი. როგორც ჩანს უნდა შემოსულიყო რუსული საიმპერიო ხურდა ფული[2].

თბილისის ზარაფხანის დახურვის შემთხვევისათვის გენ. ერმოლოვმა 1823 წელს პეტერბურგიდან გამოითხოვა საკმაო რაოდენობით 10 და 20 კაპიკიანების გამოგზავნა ამიერკავკასიაში, ხოლო ქართული აბაზიანების გადახურდა-

[1] АСКАК, т. V, 1873, № 553, стр. 298.
[2] АСКАК, т. VI, ч. I, № 217, стр. 103.

ვების, ე. ი. ტრიალიდან გასვლისათვის საკმაოდ მიიჩნია 2 წლიანი ვადის დაწესება. მიუხედავად ასეთი მზადებისა, სავსებით მოულოდნელად ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, 1824 წ. დასაწყისს, იმპერატორმა, მოისმინა რა სახელმწიფო საბჭოს მოსაზრებები და ფინანსთა მინისტრისაგან დამატებითი ცნობები, საჭიროდ მიიჩნია თბილისის ზარაფხანის დატოვება არსებულ მდგომარეობაში[1]. 1824 წელს, ნოემბრიდან, თბილისის ზარაფხანის მუშაობა მაინც უნდა შეწყვეტილიყო, რადგან სამთო ექსპედიცია მთელი თავისი აპარატით და შტატით გადაყვანილ იქნა თბილისიდან ბაქოში მინერალურ სარეწავთა გამგებლობისთვის. ამის მერმე თბილისის ზარაფხანის მუშაობისათვის საჭირო მუშახელი და ხელმძღვანელობისათვის შესაფერი მოხელეები აქ აღარ დარჩა. ამავე დროს, რაკი ცენტრალურმა ხელისუფლებამ ინება გაეგრძელებია მოქმედება თბილისის ზარაფხანას, ამისათვის კვლავ იქნა გამოთხოვილი პეტერბურგიდან ოსტატები და სხვა სათანადო პერსონალი საჭირო იარაღებით. უკანასკნელთა აქ ჩამოსვლის და აქაური მანქანების შეკეთების შემდეგ, 1826 წ. დასაწყისს, კვლავ განახლდა ზარაფხანის მუშაობა[2].

თბილისის ზარაფხანა რუსულ ვერცხლის მონეტებთან შედარებით მცირე წონის ფულის მოჭრით, ცხადია, დიდ მოგებას აძლევდა სახელმწიფო ხაზინას. ბერგჰაუპტმანი ეიხფელდი 1818 წ. მაისს მოხსენებას ურდგენს გენ. ერმოლოვს შესახებ იმ მოგებისა, „რომლის მიღებაც შეიძლება რუსეთსა და საქართველოში არსებული სამონეტო სისტემის განსხვავების მეოხებით“. ჯერ კიდევ გენ. რტიშჩევის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით საქართველოში მყოფი რუსეთის არმიის ხარჯები წლიურად აღწევდა 600.000 მან. ვერ-

[1] ЛОЦИА. Арх. ВПКВ, ფონდი КК., საქმე № 144; ამ საქმეში თავმოყრილია მასალები თბილისის ზარაფხანის ისტორიისათვის.

[2] ამ დრომდე თბილისის ზარაფხანის ისტორიისათვის: საქ. ცენტრარქივის ფონდი 4. ГГЭ. 1805 წ. საქმე № 49/24; 1813 წ. საქმე № 120/75; 1813 წ. საქმე № 122/77; 1814 წ. № 134/80; 1824 წ. № 358/21.

ცხლით და 187.000 ჩერვონეცს (ვერცხლის კურსის მიხედვით 561.000 მან.), რაც უმთავრესად შემოჰქონდათ აქ რუსეთიდან. ეიხფელდმა გამოიანგარიშა, რომ ქართულ და რუსულ ვერცხლის ფულებს შორის წონასა და სინჯში არსებული განსხვავების გამო ხაზინას ყოველწლიურად შეეძლო მიეღო 100.000 მანეთამდე მოგება, თუ იგი ხსენებულ 600.000 მანეთს, რუსული ვერცხლის მონეტების მაგიერ, გამოგზავნიდა აქ პეტერბურგში მოჭრილი ქართული აბაზების სახით; ამასთანავე 187.000 ჩერვონეციც (ოქროს მონეტა), რომელიც კურსით (1 ჩერვონეცი 3 მან. ანგარიშით) უდრიდა 561.000 მან., შეიძლება შეიცვალოს 450.000 მან. ვერცხლის აბაზიანებითო. ეიხფელდის ასეთი გაანგარიშება დამყარებული იყო იმ გარემოებაზე, რომ ქართული 5 აბაზი, რომელიც უდრიდა რუსულ 1 ვერცხლის მანეთიანს, ფაქტიურად შეიცავდა მხოლოდ 80¹/₄ კაპიკის ვერცხლს.

ამგვარად, ამ ორმხრივი კომბინაციის გამოყენებით, გარდა იმისა, რომ თბილისში ადგილობრივი ვერცხლისგან ნაკლები წონის ვერცხლის ფულის მოჭრით გებულობდა, ხაზინას შეეძლო მიეღო კიდევ 100.000 მან. მეტი მოგება (560.000 მან. — 450.000 მან.), ე. ი. სულ მთელი მოგება, რომლის მიღებაც შეიძლებოდა რუსეთიდან საქართველოში რუსული ვერცხლის მანეთიანებისა და ჩერვონცების ნაცვლად ჯარის შესანახად ქართული აბაზიანების გამოგზავნით, აღემატებოდა 200.000 მან. ვერცხ. (ანუ 800.000 მან. ასიგნაც.). ხოლო ეს მოგება, როგორც ეიხფელდი ირწმუნებოდა, ხაზინას შეეძლო „მიეღო ყოველგვარ სიძნელეთა გარეშე“.

ამ გეგმის მიხედვით საქართველოში უნდა ტრიალებულიყო მხოლოდ ქართული ფული. ამის გამო იმათთვის, ვინც აქედან რუსეთს მიდიოდა (ბრუნდებოდა), აგრეთვე ვაჭრებისათვის, რომლებიც რუსეთის ქალაქებთან ან ირან-თურქეთის პროვინციებთან ვაჭრობდნენ, ნავარაუდევი იყო თბილისში „ბანკისმაგვარი დაწესებულების“ (ე. ი. საზარაფოს) დაარსება. ამ ბანკს, ე. ი. გადამხურდავებელ დაწესებულებას, ექნებოდა თავისი კაპიტალი (50.000 ვერცხლ. მან.,

15.000 ჩერვონეცი და 20.000 მან. ასიგნაც.). ეს ბანკი შევიდოდა თბილისის ზარაფხანის შემადგენლობაში. მთელ ამ ღონისძიებათა რეალიზაციით კი, გარდა ზემოხსენებული მოგებისა, აცილებული იქნებოდა აგრეთვე რუსული მანეთიანების საქართველოდან საზღვარგარეთ გატანაც და ადგილზე კიდევ ხელოსანთა მიერ მათი გადადნობაც[1].

ეიხფელდის გეგმა არ განხორციელებულა, თუმცა იგი მეტად ტიპიური და დამახასიათებელია თვითმპყრობელობის კოლონიური საფინანსო პოლიტიკისა. ცენტრი, როგორც ჩანს, უფრო კარგად სჭვრეტდა რა პოლიტიკურ პერსპექტივებს, ჯერდებოდა თბილისის ზარაფხანის მოქმედებით მიღებული მოგებით. თბილისის ზარაფხანისა და საქართველოში ფულის ტრიალის შესახებ თვით ფინანსთა მინისტრი, საფინანსო მეცნიერებაშიც ცნობილი ავტორი, გენ. კანკრინი შემდეგნაირად მსჯელობდა: თბილისის ზარაფხანის მიერ ქართული ფულის მოჭრით მიღებული „სარგებლობა შეიძლება განხილულ იქნას ორი მხრით: 1. ნომინალური ფასის მიხედვით. ამ მხრივ მოგება უდრის ნომინალურ და ნამდვილ ფასს შორის არსებულ განსხვავებას, გადაკეთებისა და გადატანის ხარჯების გამოკლებით. ამ ხარჯისათვის თუ 10%-ს ვივარაუდებთ, მოგება დარჩება 15%-მდე; 2. მონეტა, რომლის ნომინალური ფასი მეტია ნამდვილ ფასზე, ჩვეულებრივ სხვა უკეთესზე უფრო მეტ ხანს რჩება სახელმწიფოში, და თვით გატანაც ასეთი უარესი მონეტისა არ იწვევს საგრძნობ ზარალს. მაგრამ ასეთ მდგომარეობაში საქმე შეიძლება დარჩეს მხოლოდ გარკვეულ

[1] როგორც 1829 წ. გრაფი პასკევიჩი ირწმუნებოდა, წინათ ერევანში რუსული მონეტების გადასადნობად არსებობდა ზარაფხანა, რომლის მოიჯარადრეც მნიშვნელოვან სასყიდელს უხდიდა სერდარსა და აბასმირზას. ხოლო ახლა, ე. ი. 1829 წელს, პასკევიჩს რუსული მანეთიანის საზღვარგარეთ გატანის აღსაკვეთად ერთადერთ საშუალებად მიაჩნდა „ამოეღოთ საქართველოში სახალხო მიმოქცევიდან რუსული მსხვილი მონეტა და გადაეკეთებიათ იგი აქ ტრიალებულ ქართული ჰედის ფულებად“, რითაც, მისი მოსაზრებით, ხაზინაც მოიგებდა და ხურდა ფულიც გამრავლდებოდა.

პირობებში, სანამ ახალი მონეტის ყოველწლიური წამატება დარჩება განსაზღვრულ შეფარდებაში ამ მხარის შინაგან ვაჭრობასთან. მაგრამ რაც კი მალე გაივსება იგი ასეთი მონეტის დიდძალი მასით (რადგან შესანახავად კავკასიის კორპუსისა, შენობათა აგებისათვის და სხვა მსგავსი ხარჯებისათვის საჭიროა მილიონები), მაშინ შედეგები სავსებით საწინააღმდეგო იქნება: აბაზების ფასი დაეცემა და რუსული მონეტის გატანის აღსაკვეთად, სანამ მოასწრებდნენ მათს გადადნობას ან ხაზინაში თავმოყრას, მთავრობის მიერ მიღებული ყოველგვარი ღონისძიება ამაო იქნება". აქედან გამომდინარე კ ა ნ კ რ ი ნ ი მიდის დასკვნამდე, რომ საჭიროა „თბილისის ზარაფხანის დატოვება ძველი პირობების მიხედვით, რათა ის ამუშავებდეს იმდენ მონეტს, რამდენიც შეუძლია თავისი არსებული გაწყობილობით". ამავე დროს კ ა ნ კ რ ი ნ ი ნებას რთავს თბილისის ზარაფხანაში „წარმოებულ იქნას ცდა ჩვენი ვერცხლის მანეთიანების ქართულ მონეტად გადაკეთებისა" [1].

ყოველივე ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ზარაფხანა ტექნიკურად მეტად ცუდ მდგომარეობაში ყოფილა და მისი შეკეთებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ხარჯების გამო პ ა ს კ ე ვ ი ჩ ი უმჯობესად მიიჩნევდა ქართული ფულის მოჭრისათვის ხელი მოეკიდათ პეტერბურგში, აქ (თბილისში) გრძელდება ქართული ფულის მოჭრა. 1829-1832 წ წ. თბილისის ზარაფხანამ სავსებით მიატოვა ორშაურიანებისა და აბაზიანების მოჭრა და ძლიერ გაადიდა ორაბაზიანების გამოშვება. მხოლოდ ამ სამი წლის განმავლობაში გამოვიდა ორაბაზიანი 329.000 მანეთამდე [2].

დროთა მსვლელობაში, რაც უფრო ჩქარა ვითარდებოდა მეფის რუსეთი ეკონომიკურად, რაც უფრო მნიშვნელოვანი ზომით იჭრებოდა კაპიტალისტური თაოსნობა მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, მით უფრო იცვლებოდა კოლონიასთან

---

[1] АСКАК., VII, № 89.
[2] ЗКОИРГО., II, 1853, 261.

მეტროპოლიის დამოკიდებულება. ჯერ კიდევ 1831 წელს სენატორები კუტაისოვი და მეჩნიკოვი ამიერკავკასიის რევიზიის შემდეგ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში წერდნენ: „ამიერკავკასიაში, გარდა რუსული და ქართული ფულისა, მიმოქცევაშია ირანული, თურქული და კარაბახის, განჯის, შირვანის და შაქის წინანდელ მფლობელთა მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტები. ამ მონეტების ლითონის ღირსება და სიდიდე (წონა) მეტისმეტად მრავალგვარია. ფასობა მათი კი დღესაც იგივეა, რაც იყო წინათ. ასეთი თვითნებური ფასობა [მონეტისა] აძნელებს წვრილ ვაჭრობას და უხერხულია შესატანად ბეგარა-გამოსაღებთა, რაც ამ ფულებით არ მიიღება [ხაზინაში]". სენატორების აზრით ასეთი მონეტების მიმოქცევა ამიერკავკასიას აძლევს თითქოს რუსეთისგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხასიათს. ამის გამო მათ სასარგებლოდ და აუცილებლად მიაჩნიათ შეცვლილ იქნას ამ მხარეში არსებული სამონეტო სისტემა და მისი ადგილი დაიჭიროს რუსულმა ფულმა, ამასთანავე „მიმოქცევიდან გატანილ იქნას აზიური" ფულები [1].

ამის შემდეგ 1832 წ. 1 ივნისს სახელმწიფო საბჭომ, ფინანსთა მინისტრის მოხსენების შედეგად, დაადგინა: „საქართველოში სამთამადნო მრეწველობის უმნიშვნელობის, იქაური სპილენძის ქარხნებისა და სხვა სამთო სარეწაევების ახლანდელი მდგომარეობის გამო" გაუქმებულიყო საქ. სამთო ექსპედიცია და თბილისის ზარაფხანა. „ამასთანავე აქ წიაღისეულის შესასწავლად, — განსაკუთრებით ოქროს საბადოებისა, რომელთა არსებობა სენატორების აზრით ეჭვს გარეშეა" — დაარსდა სამთო განყოფილება საქართველოს სახაზინო ექსპედიციასთან (казен. экспедиц.). ზარაფხანას უნდა შეეწყვიტა საქმიანობა „მას შემდეგ, რაც მოათავებდა უკვე შეძენილი ვერცხლის გადამუშავებას რუსულ მონეტებად ან ქართულ აბაზებად". ამავე დროს „აზიური მონე-

[1] АСКАК. VIII, 101, 66.

ტების და სხვა სახის კეთილშობილი ლითონების მისაღებად და აგრეთვე ქართველ ოსტატთა ვერცხლის ნაკეთობებზე დაღის (სიქის) დასმისათვის დაარსდეს თბილისში მუდმივი სასინჯი პალატაო“ [1], ამბობს იმპერატორის მიერ დამტკიცებული, მაშასადამე, კანონად ქცეული სახელმწიფო საბჭოს ეს დადგენილება. თბილისის ზარაფხანის ლიკვიდაციის შემდეგაც „სავაჭრო ურთიერთობისა და სახალხო საჭიროებისათვის“ დატოვებულ იქნა ამიერკავკასიაში როგორც ქართული, ისე აზიური მონეტების მიმოქცევა. ფინანსთა მინისტრს კი მიენდო თანდათან გაემრავლებია ამ მხარეში რუსული ვერცხლისა და სპილენძის ხურდა ფული. მეორეს მხრივ, ნავარაუდევი იყო, რომ ქართული და ირანული აბაზიანები ხაზინას მიეღო დადგენილი კურსისა და არა ნომინალური ღირებულების მიხედვით.

თვითმპყრობელობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ყოველგვარი ადგილობრივი ფულის ტრიალის წინააღმდეგ მეოთხე ათეული წლების დასაწყისიდან მით უფრო აქტუალურად იბრძოდა, რაც უფრო გვერდაუხვეველ ამოცანად იყო მიჩნეული რუსული მანეთის კურსის ამაღლება და განმტკიცება, ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებებით. საქართველოს მთავარსარდლის ბარონ როზენის აზრით ამიერკავკასიაში ყოველგვარი არარუსული ფულის ტრიალის მოსპობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა „როგორც პოლიტიკური მოსაზრებით, აგრეთვე რუსული მანეთის კურსის განმტკიცებისათვის“; მას საჭიროდ მიაჩნდა ამოეღოთ მიმოქცევიდან ადგილობრივი აზიური და ქართველ მეფეთა ფულები, ხოლო დაეტოვებიათ ის ნაშალი ფულები, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ მოჭრა თბილისში (1804—1834 წ.წ.). ამის შემდეგ 1835 წ. 14 აგვისტოს კანონით საბოლოოდ გაუქმებულ იქნა თბილისის ზარაფხანა, ხოლო მის ნაცვლად დაარსდა სასინჯი პალატა [2].

[1] II-ое ПСЗРИ, VII, № 5410, 347-8.

[2] II-ое ПСЗРИ., X, отд. II, №8375, стр. 933-4; თბილისის ზარაფხანის ისტორიისათვის იხ. აგრეთვე საქ. ცენტრარქივში ფონდი 5 КЭ ВГП, საქმეების №№ 137; 173; 181; 202; 213; 215.

ობერბერგ-ჰაუპტმანის მოხსენებაში თბილისის ზარაფხანის ლიკვიდაციის ძირითად მოტივებად დასახელებულია: 1) თბილისში შეძენილი ვერცხლის აქვე მონეტებად გადამუშავების მეტად დიდი ხარჯები; 2) თბილისში მონეტა იჭრება პრიმიტიული ურიებით (копрами), რის გამო მიუღწეველია ის სილამაზე, სიფაქიზე და ხელოვნება, რაც პეტერბურგში გაადვილებულია უახლესი მანქანებისა და კარგი სპეციალისტების მეოხებით; 3) თბილისში ვერცხლის ფულებად მოჭრა, ასეთი მდგომარეობის გამო, ბევრად მეტი ჯდება, ვიდრე აქედან ვერცხლის ზოდების პეტერბურგში წაღება, იქ ფულებად გადამუშავება და მერე კვლავ თბილისში მოტანა და სხვ. ამათ გარდა ფინანსთა სამინისტროს საბჭო აღიარებდა, „რომ საქართველოში წარმოება მონეტებისა, რომლებიც, როგორც წონით ისე სინჯითაც განსხვავდება რუსეთში ტრიალებული ფულისგან, წარმოადგენს უარყოფას საერთო სამონეტო სისტემისა, რომელიც შემოღებულია მთელ რუსეთში და აყენებს საქართველოს რუსეთისგან განცალკევებულ სახელმწიფოთა რიცხვშიო“.

გასაგებია, რომ ცარიზმის მიერ ამ დროისათვის უკვე მნიშვნელოვანად სახეშეცვლილი აბორიგენთა ნაციონალური ჩაგვრა და ექსპლოატაცია, რომელიც თანდათანობით ახალი, უფრო ბურჟუაზიული, კოლონიური პოლიტიკის ხაზით უნდა განვითარებულიყო, ადგილობრივი ნაციონალური ელფერის მატარებელი ფულის ტრიალს კოლონიაში ვერ მოითმენდა. „როგორც საანგარიშო ფულის სახით, ისე მონეტის სახით ფული ადგილობრივ და პოლიტიკურ ხასიათს მოიპოვებს, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს და სხვადასხვა ეროვნულ ტანსაცმელს ატარებს“ [1]. ცარიზმი კი ასე გაშმაგებით და შეუნელებლად ეწეოდა ბრძოლას ყოველგვარი სეპარატიზმის წინააღმდეგ, რომ ამიერიდან საკუთარ შესაძლებლობათა მნიშვნელოვნად გაძლიერება მას პირდაპირ უკარნახებდა ქართული ფულის, როგორც „ინოროდცების“ ენაზე

[1] კ. მარქსი, „პოლიტ. ეკონომ. კრიტიკისათვის“. 1932, თბ. გვ. 140

მოლაპარაკის და ეროვნული ტანსაცმელის მატარებლის, მიმოქცევიდან რაც შეიძლება ჩქარა გადევნას.

მოვლენათა ასეთი განვითარების შემდეგ ამიერკავკასიაში ადგილობრივი ფულის ტრიალი უნდა აღკვეთილიყო, ხოლო ამ მიმართულებით წარმოებულ პოლიტიკას პირველ რიგში მისი გამრავლების შეჩერებისათვის უნდა მიეღწია და მიაღწია კიდევაც თბილისში ზარაფხანის ლიკვიდაციის გზით.

4. ფულის მასალა

წინათ, მე-19 საუკუნემდე, თბილისის სამეფო ზარაფხანა ფულის მოსაჭრელ მასალას — ოქროს, ვერცხლს, სპილენძს, — ღებულობდა საქართველოს სხვადასხვა სამადნეებიდან. როგორც ფულის მოჭრა, ისე წიაღისეული სამეფო რეგალიას წარმოადგენდა[1]. გენ. ლ ა ზ ა რ ე ვ ი ს მიერ 1801 წ. შეგროვილი ცნობებიდან ჩანს, რომ თბილისის სამეფო ზარაფხანაში ფული იჭრებოდა არა მარტო მეფის საჭურჭლეთაგან გაცემული სამონეტო მასალისგან, არამედ ყველას, ვისაც ჰქონდა ვერცხლი და სურდა მოეჭრა მისგან მონეტები, შეეძლო ეს გაეკეთებია; მხოლოდ ამისთვის უნდა გადაეხადა ვერცხლის გარკვეული ნაწილი, რომელიც სახაზინო შემოსავლის სახით მიიღებოდა.

თვით მეფე ფულს აჭრევინებდა არა მარტო ვერცხლის ზოდებისგან, არამედ, ამათი ნაკლებობის გამო, ვერცხლის სხვადასხვა ნაკეთობებისგანაც; პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი გადმოგვცემს: „ლეკთა გამო, რომელნიცა თხოულობდენ ჯამაგირსა, მეფემან [გიორგი XII-მ] უბოძა ვერცხლის ბადიები და ვერცხლის კოკები და აქედამ მოაჭრევინა 700 თუმა-

[1] J. R e i n e g g s, „Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus“, ნაწ. II, 1797 წ., 123-133; მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი ს კანონებში (მე-12 საუკ.) ნათქვამია: „ვინც მეფისაგან ნებართვის გარეშე საიდუმლოდ ფულს სჭრიდეს, მას მეფის ბრძანებით ხელი მოეჭრასო“ (იხ. Сб. Законов Вахтанга VI, стр. 339).

ნიო“ [1]. ასევე შეეძლოთ მოქცეულიყვნენ ვერცხლის სხვა მფლობელთაც, ოღონდ სათანადო გადასახდელი უნდა გაეღოთ. „მონეტის თავისუფალი მოჭრის“ ეს წესი აღმოსავლეთიდან შემოღებულ იქნა ევროპაში მე-18 საუკუნის გასულს. საფრანგეთში 1798 წლიდან, რუსეთში კი 1803 წლიდან ყველას ჰქონდა უფლება მიეტანა ვერცხლი თუ ოქრო სახელმწიფო ზარაფხანაში და მოეთხოვა მისი მონეტებად მოჭრა; ზოდის მიმტანს დაუჭერდნენ მხოლოდ მონეტის მოჭრის ხარჯს.

როგორც სამთო ქარხნები და მაღაროები, ისე ზარაფხანაც გაცემული იყო იჯარით, თუმცა ერეკლე II დროს ზოგიერთი სამადნეები და სამთო ქარხნები უშუალოდ სახელმწიფო გამგებლობაში იყო [2]. გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ სამეფო ზარაფხანის მოქმედება შეწყვეტილა; მაგრამ, არსებული ჩვეულების თანახმად, რუსეთის ხელისუფლების დამყარების მერმეც, როგორც კოვალენსკი წერს 1802 წ., თბილისში იყო მრავალი მსურველი თავისი ვერცხლი მიეცა მოსაჭრელად ზარაფხანისათვის, როდესაც ის იქნებოდა აქ გახსნილი; და მუსინ-პუშკინმაც, როგორც კი მოასწრო ზარაფხანის მოწყობა, საჯაროდ გამოაცხადა, რომ ამიერიდან (1804 წ.) მსურველებს შეეძლოთ მიეტანათ თავიანთი ვერცხლის ზოდები ზარაფხანაში აბაზებად მოჭრის მიზნით. შემდეგში ზარაფხანამ იწყო პირდაპირ შესყიდვაც ვერცხლისა მოსახლეობიდან. ზარაფხანა მოსახლეობიდან ვერცხლს ყიდულობდა საერთოდ როგორც ზოდებში, ისე მაღალსინჯიანი მონეტების სახითაც, მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ 1 ქართული მისხალი (ე. ი. რუს. 104 წილი) 96 სინჯისა მას არ დაჯდომოდა 26 კაპიკზე მეტი; ვერცხლის შესყიდვის საქმისათვის ზარაფხანამ თანამშრომლად აიყვანა სა-

---

[1] პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 199, 252.

[2] „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, ტფ. 1910, 44-47, 56; ერეკლე II წერილები იულონ ბატონიშვილთან და მიშკარბაშ იოსებ მელიქიშვილთან მიწერილი.

მეფო ზარაფხანაშიაც ამავე ფუნქციის შემსრულებლად ნამ-ყოფი იასე ნაზარაშვილი.

გარდა ადგილზე შესყიდული და მოპოვებული ვერცხლისა მუსინ-პუშკინი თხოულობდა, რომ ამიერიდან საქართველოში მყოფი სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის ხელ-ფასის სახით გასაცემი თანხა ოქროს ფულის ნაცვლად პეტერბურგიდან გამოეგზავნათ ვერცხლის ზოდებად, რომელ-საც თბილისის ზარაფხანა ფულებად (აბაზებად) მოჭრილს და-ურიგებდა აქ დანიშნულებისამებრ. მაგრამ ამის წინააღმდეგ წავიდა ფინანსთა მინისტრი, რის შემდეგაც იმპერატორმა ბრძანა: ზოდები ვერცხლისა აქედან არ გაიგზავნოს, ხოლო „გრაფი პუშკინი დაკმაყოფილდეს იქაური ვერცხლითო“ [1].

რაკი ზარაფხანას უნდა ეწარმოებია უმთავრესად ადგი-ლობრივად მოპოვებული ვერცხლის გადამუშავება, ცხადია, აქ ვერცხლის მოპოვება უნდა გაეფართოებიათ. 1803 წელს, მუ-სინ-პუშკინის თხოვნის შემდეგ, პ. ციციანოვმა თა-ვისი შუამდგომლობით იმპერატორისაგან მიიღო ნებართვა, რათა საქართველოში ბოროტმომქმედნი, რომელთაც სათა-ნადო ხელისუფლების მიერ მისჯილი ჰქონდათ ან ამიე-რიდან მიესჯებოდათ როზგის დარტყმა ან ციმბირში გადა-სახლება, ამის ნაცვლად გაეგზავნათ მუსინ-პუშკინის განკარ-გულებაში — საქართველოს სამთამადნო სარეწავებში [2], რაც, ამგვარად, აბორიგენთათვის კატორღად იქნა გადაქცეული.

თბილისის ზარაფხანა მნიშვნელოვანი ზომით ახდენდა აგ-რეთვე სხვადასხვა სისტემის ვერცხლის მონეტების გადად-ნობას და მათგან ქართული აბაზების მოჭრას. ჯერ კიდევ 1805 წელს ტარასოვი თხოულობს ნებართვას პ. ციცია-ნოვისაგან, რომ ამიერკავკასიაში ტრიალებული რუსული ვერცხლის მანეთიანები თბილისის ზარაფხანამ გადაადნოს ქართულ აბაზებად, რითაც ხაზინა მოიგებდა ყოველ გადად-ნობილ ვერცხლის მანეთიდან $^1/_5$, ე. ი. 20%-ს [3], რადგან რუ-

[1] I-ое ПСЗРИ., XXVII, № 20476, 918; АСКАК, V, 288.
[2] I-ое ПСЗРИ., XXVII, 1830, СПБ., № 20742, стр. 575.
[3] АСКАК., II, № 412.

სული ერთმანეთიანი თავისი ვერცხლის ღირსებით და წონით შეიცავდა ექვს აბაზსა და 4 კაპეიკს თბილისის ზარაფხანაში 1804 წლიდან მოჭრილი აბაზიანებისა [1]. მაგრამ, როგორც ჩანს, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს მოსაზრებები არამიზანშეწონილად სცნო. ამავე დროს ვერცხლის აღმოსავლური მონეტების გადადნობას არც ისე ერიდებოდნენ; ამას ფართო მასშტაბითაც კი აწარმოებდნენ.

მაგალითად, 1826 წელს თბილისის ზარაფხანამ ქართულ აბაზებად გადააკეთა 107 ფუთი ნუხის ხანის მიერ მოჭრილი ვერცხლის ფული; აგრეთვე 3 ფუთამდე თურქული ბეშლიყები და მნიშვნელოვანი რაოდენობის ირანული რეალები, რომლებიც დაგროვილი იყო თბილისის სამაზრო ხაზინაში. ამათი გადადნობა მორჩა 1828 წლის მაისში. ხოლო ამ დროიდან ზარაფხანამ ხელი მოკიდა ირანიდან კონტრიბუციის ანგარიშში მიღებული 88½ ფუთამდე ვერცხლის ირანული მონეტების გადამუშავებას. 1829 წელსაც ირანის მიერ კონტრიბუციის ანგარიშში გადახდილი მორიგი შესატანი თანხიდან თბილისში დასტოვეს 61.458 თუმანი, ე. ი. რუსული ფულის მიხედვით 245.832 მან. ვერცხლის ირანული მონეტები, რომელთა ქართულ აბაზებად გადამუშავებას იმავე წელს შეუდგა ზარაფხანა [2].

ამგვარად, როგორც ვხედავთ ძირითადი სამონეტო მასალა ვერცხლი იყო, ხოლო ოქროს ფული სრულებითაც არ იჭრებოდა. ამ ხანებში და თვით 70-იან წლებამდე მე-19 საუკუნისა რუსეთში, ოქროს ნაკლებობის გამო [illegible] ონებული იყო ვერცხლის - მონომეტალიზმი, რაც დაკ[illegible]ებულ იქნა

---

[1] რუსული მანეთიანების ასეთი ღირსების გამო, როგორც 1807 წ. წარდგენილი ერთი მოხსენებიდან ჩანს, თბილისელი ხელოსნები აგროვებდნენ რუსულ მანეთიანებს, ადნობდნენ და ასე, ზოდების სახით, ყიდდენ თბილისის ზარაფხანაზე, როგორც წიაღიდან მოპოვებულს (АСКАК., III, № 9; т. VI,ч. II, № 198).

[2] АСКАК. VII, № 89, стр. 79.

ალექსანდრე I მანიფესტით 1810 წელს[1]. საქართველოში მე-18 ს. და ადრეც საქმე გვაქვს ვერცხლის მონომეტალიზმთან; — ამის შესახებ მეტყველებს ვახტანგ VI „სამართლის წიგნიცა“[2] და „დასტურლამალიც“[3].

შავი ფული იჭრებოდა ადგილობრივ, საქართველოში, მოპოვებული სპილენძისგან. 1804 — 1810 წ წ. განმავლობაში თბილისის ზარაფხანამ მონეტებად გადაამუშავა სულ 760 ფუთამდე სპილენძი. მეორე ათეული წლის განმავლობაში თბილისში დაგროვდა დიდძალი სპილენძი — 30.000 ფუთამდე. 1818 წ. ეიხვალდმა (საქართველოს სამთო სამმართველოს უფროსმა) წამოაყენა პროექტი ამ სპილენძის მონეტებად გადამუშავებისა. მაგრამ ამ დროს თბილისის ზარაფხანას სპილენძის ფულის მოსაჭრელად ვარგისი ინსტრუმენტები უკვე არ გააჩნდა, თუმცა უამმიზეზოდაც პეტერბურგმა ეიხვალდის გეგმა არ დაამტკიცა.

ოქროს მონეტა თბილისში მე-19 საუკუნეში არ იჭრებოდა. მაგრამ მე-18 საუკუნეში კი, როგორც ჩანს, ოქროს მონეტები იჭრებოდა თბილისის ზარაფხანაში[4].

ვახტანგ VI აცხადებს: „ორი შაურის წონა ოქრო, რომ მისი ლეკი აჯდეს, ერთი ფლური არის. ამ ფლურის

---

[1] იხ. Н. Кудишер, „Денежное обращение в прошлом и настоящем“, 1922; Гурьев, „Денежное обращение в России в 19 веке“, 1903; И. Шауфман, „Серебряный рубль в России от его возникновения до конца XIX в.,“ СПБ., 1910.

[2] ვახტანგ VI, „სამართლის წიგნი“ (საქ. მუზ. ხელნაწ. კოლექცია). §§ 15, 16.

[3] ვახტანგ VI, „დასტურლამალი“, მუზ. ձ, ზარაფხანის რიგისათვის, გვ. 33 — 34.

[4] რა თქმა უნდა, საქართველოში ოქროს მონეტები საერთოდ ბევრად უფრო ადრეც იჭრებოდა. დ. კაპანაძემ უკვე თვით ნუმიზმატიკური ფაქტებით დაადგინა, რომ კოლხეთში, ე. ი. ანტიკურ საქართველოში ჯერ კიდევ მე-6 — 2 სს. ჩვენი წელთაღრიცხვამდე იჭრებოდა როგორც თეთრი (ე. წ. „კოლხური თეთრები“), ე. ი. ვერცხლის, აგრეთვე ოქროს მონეტე-

ფასი დრო არის შვიდ აბაზად ფასობდეს, დრო არის შვიდ-აბაზ უზალთუნად, ხან ერთშაურ ნაკლებადაც იქნებისო"[1].

საქართველოში მე-18 საუკუნეში და ადრეც ფ ლ უ რ ი საერთოდ ოქროს ფულის ზოგადი სახელწოდებაც იყო; როგორც, მაგალითად, თეთრიც საზოგადოდ ვერცხლის ფულის აღმნიშვნელ სახელად იხმარებოდა. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI „სამართლის წიგნში" ფლურის ფასად ნაჩვენებია: შვიდი აბაზი (140 კაპ.), შვიდი აბაზი და ერთი შაური (145 კაპ.) და შვიდ აბაზ უზალთუნი (150 კაპ.). მაგრამ ერთს 1764 წ. დაწერილს სამონასტრო საბუთში მოხსენებულია „სამი ფლური რვა-რვა აბაზიანი"[2], ე. ი. აქ ფლურის ფასი 160 კაპიკს უდრის. აქედან ჩანს რომ ფლურის ფასი (კურსი) მნიშვნელოვნად მერყეობდა.

ფლური ჰოლანდური ფლორინის ქართული სახელწოდებაა. მე-19 საუკ. პირველ ათეულწლებში მას ამიერკავკასიაში (ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად) ბ ა ჯ ა ღ ლ ო-ს ა ც უწოდებდნენ, ხოლო რუსულ წყაროებში — ჩ ე რ ვ ო ნ-ც ე ბ ს. ეს ფლორინები აქ პირველად ჰოლანდური „ოსტინდოეთის გაერთიანებული კომპანიის" (დაარსდა 1602 წ.) კომერციული ოპერაციების გზით, ადგილობრივ და უცხოელ სოვდაგართა (ნეგოციანტთა) მეშვეობით შემოვიდა და გავრ-

ბიც (იხ. დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, „ქართული ნუმიზმატიკა", 1950, თბ., 25 — 27, III).

სომხეთში ტ ი გ რ ა ნ II დროს (I საუკ. ჩვენი წელთაღრიცხვამდე) იკრებოდა ოქროსა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მონეტები („История Армянского народа", 1951, Ереван, ч. I, под. ред. Б. А р а к е л я н а и И. П о г а н е с и а н а, стр. 40 — 42; Б. А р а к е л я н, „Значение раскопок в Гарни для изучения культуры древней Армении", ВДИ, 1953 г., № 3, стр. 158 — 159).

ამ კონტექსტში საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოქროს მონეტები გერმანიაში პირველად მოიჭრა 1325 წელს, ხოლო ინგლისში კი — 1344 წელს.

[1] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „სამართლის წიგნი", § 16.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია", 1925, ტფ. გვ. 40.

ცელდა. იგი, ცხადია, ფართოდ იყო გავრცელებული ირანსა და თურქეთშიც[1].

აკად. მარი ბროსეს ათვის ქართული ფულის შესახებ მიცემულს განმარტებაში თეიმურაზ ბატონიშვილს აღნიშნული აქვს: „ოქრო ჩვენში სრულად გოლანდიისა მუშაობდა, ვენეტიკისაცა და ოსმალისაცა უფრო ცოტა (მაგრამ ოსმალის ოქრო წმინდა არ არის და ამიტომ არ უყვარდათ ქართველებსა)“[2]. მაგრამ, ეტყობა, ჰოლანდური ფლორინები მე-18 საუკ. საქართველოში არც თუ იმდენად უნდა ყოფილიყო მიმოქცევაში. თუმცა იგი მაინც ყველაზე გავრცელებული ოქროს ფული იყო ამიერკავკასიის მოსაზღვრე და მასთან კომერციული ურთიერთობის მქონე აღმოსავლეთის ქვეყნებში — ინდოეთს, ერაყს, თურქეთსა და ირანში. ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოში ისევე როგორც ევროპის რიგ ქვეყანაშიც, ფლორინი, ე. ი. ფლური (ქართული გამოთქმით) ოქროს ფულის ზოგად სახელწოდებას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ადგილობრივად მოჭრილი ოქროს ფულისათვის, ფლურისათვის, საფუძვლად ვერცხლის ფულის წონა და დაღი დაუდვიათ: „ორი შაუ-

[1] ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების პერიოდში მიმოქცევაში მყოფი ფლური (ფლორინი). საერთოდ კი ფლური, როგორც მონეტის სახელწოდება ქართულ წყაროებში ბევრად ადრეა დამოწმებული. ფლურის შესახებ უძველეს ქართულ ცნობათაგანში (1460 წ. დოკუმენტში) იხსენიება „ვენეტიკური ფლური“ (თ. ეორდანია, „ქრონიკები“, II, 278, იქვე, გვ. 314; „ფლურები“ — 1500 წ. დოკუმენტში). ფლური ფლორენციული წარმომავლობისაა. ფლორინი (florino) იჭრებოდა და მსოფლიო ვაჭრობაში გავრცელდა მე-13 საუკუნიდან. ფლორენციული ფლორინი (თავდაპირველი სახელწოდებაა „ფიორინო“) სიდიდითა და ფასით უახლოვდებოდა დუკატს (Friedensburg, „Die Münze in der Kulturgeschichte“, 1909; მისივე, „Münzkunde und Geldgesehichte der Einzelstaaten“, 1926). ფლორინებს, როგორც ფულის ერთეულებს მერმე სჭრიდნენ აგრეთვე ვენეციას, გერმანიასა, საფრანგეთში და რიგ სხვა სახელმწიფოშიაც. შუა საუკუნეთა ფლორინიდან წარმოიქმნა ოქროს გულდენი და ახალი დროის გულდენიც, რომელიც წერილობით fl. ასოებით აღინიშნება ხოლმე (A. Dopsch. „Naturalwirtschaft und Geldwirtschaft in der Weltgeschichte“, 1930).

[2] „საისტორიო მოამბე“, 1925, ტფ., I, გვ. 34.

რის წონა ოქრო, რომ მისი დაღი აჯდეს, ერთი ფლური არისო", — აცხადებს კანონმდებელი. მაშასადამე, მომხდარა ფლორინების, „მოშინაურება" ქართულ ნიადაგზედაც, სწორედ ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აზიისა და ევროპის რიგ სახელმწიფოში.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის განცხადებიდან ისე გამოდის, თითქოს საქართველოში მე-18 ს. ოქროს ფულს არ სჭრიდნენ: „...რაც ოქრო საქართველოს მადნებიდამ შემოდიოდა, იმას ჩვენი მეფეები არ აჭრევინებდნენ, ამისათვის რომ რაც დასჭირდებოდათ, თავიანთთვის იარაღათ ქალისა თუ კაცისას აკეთებინებდნენ: თავიანთ სახლეულებსაც ახმარებდენ და ვინც წყალობის ღირსნი იყვნენ, იმათაც უბოძებდენ. ეკლესიის ნივთებსაც აკეთებდენ და უფროს ნაწილს კი ჰყიდდენ. უფრო წმინდა და კარგი ოქრო რომ იყო, ვაჭრები ძვირად ყიდულობდენ ზოგი ევროპიისა მხარესა და ზოგს აზიის მხარეს ავაჭრებდნენ და თვითონაც სარგებლობა ჰქონდათ და მეფეთა ჩვენთა და მათს ხაზინას უფრო სარგებლობა ჰქონდათ ამითი, ვინემ რომ მოეჭრათ და ისე გაეყიდნათ" [1].

მართალია, აქ კატეგორიულად არაა უარყოფილი მე-18 ს. ოქროს მონეტების მოჭრა; ნათქვამია მხოლოდ, რომ ადგილობრივად მოპოვებული ოქროსაგან სამკაულებსა და ჭურჭლეულობას აკეთებდნენ, ხოლო უდიდეს ნაწილს ზოდებადვე ჰყიდდენ, რადგან ამ გზით მეფის ხაზინა მეტ შემოსავალს ღებულობდაო.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ მოგვეპოვება ისტორიული ცნობები და თვით საანგარიშგებო დოკუმენტებიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ მე-18 ს. საქართველოში, თბილისში, ჭრიდნენ ოქროს მონეტებს, ფლურებს.

ა. ორბელიანის ცნობით მეფე ერეკლეს ირანიდან მოუვიდა „ათასი თუმანი სულ ფლურად, რომელი, იყო ერთი

[1] „საისტორიო მოამბე", 1925, ტფ., I, გვ. 34.

ფლური ექვსის მინალთუნისა[1]. ეს ცნობა იმას მოწმობს, რომ იმჯერად ირანში მოჭრილი, ალბათ სპეციალურად მოჭრილი, ფლური შეიცავდა ექვს მინალთუნს, ე. ი. 30 აბაზს.

აქ უნდა ითქვას, რომ საერთოდ ირანში მე-18 საუკ. და თვით 1877 წლამდეც მეტისმეტად აბურდული იყო მონეტური სისტემა. აქ თითქმის ყოველ ქალაქში, და თუმცა იშვიათად სოფელშიც კი, იჭრებოდა მონეტა, კერძოდ ვერცხლისა (კრანები). ფულის გაფუჭება, დაბალი სინჯისა და წონის მონეტების მოჭრა, შედარებით მაღალსინჯიანი მონეტების „გადამუშავება", ერთისაგან თუ ორის არა, ყოველ შემთხვევაში ორისგან სამის ან სამისგან ოთხის მაინც „გამოყვანის მეთოდი" სავსებით ლეგალიზებული საშუალება იყო შემოსავლის გაჩენისა და ამ მეთოდს მიმართავდნენ არა მხოლოდ ცალკეული ნახევრად ავტონომიური ხანები, არამედ, არაიშვიათად, ცენტრალური ხელისუფალნიც. ხშირად კერძო პირებიც ხსნიდნენ საკუთარ ზარაფხანას და ბლომად ჭრიდნენ ყალბ მონეტებს. „ვერცხლის ოპერაციებში" გავარჯიშებულნი, ცხადია, არ ერიდებოდნენ ოქროს მონეტების მოჭრასაც, გასაგებია, თუკი ოქროს ზოდები ანდა შედარებით მაღალსინჯიანი ოქროს მონეტები მოეპოვებოდათ. მაინც ოქროს მონეტები ირანში მცირე ზომით მოიპოვებოდა, აქ ვ ე რ ც ხ ლ ი ს ვ ა ლ უ ტ ა იყო მიღებული.

ხსენებული პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი გვაუწყებს, რომ შ ა ჰ-ს უ ლ თ ა ნ ი ბ რ ე ი მ მ ა თბილისში გამოგზავნა ზარაფხანა და აქ „დაჰკრეს სიქა, ბრძანებისამებრ მისისა მოსჭრეს სამაბაზიანი და შაური, ფლური ოცდაათის შაურისა"[2]. აქედან უკვე ჩანს, რომ თბილური ჭედის ხსენებული ირანული ფლური 30 შაურს უდრიდა და თანაც ადგილობრივი ტრადიციის შესაბამისად, თუმცა შედგენილობრივი გადახვევით, გამოიცა. სახელდობრ მას, ეტყობა, ნაცვლად ორი შაურის წონისა და მისი დაღისა, ჰქონდა ერთი შაურის წონა და დაღი. თუმცა მოყვანილი ცნობიდან ისიც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ კონ-

[1] „ქართლ. ცხოვრება", 1854. სბ. II, 416.
[2] იქვე, 417.

ტექსტში — „შაური, ფლური ოცდაათის შაურისა“, — ლაპარაკი იყოს ოქროს საერთოდ შაურის (და არა ერთი შაურის, ე. ი. კანონით დადგენილი 2 შაურის) წონისა და სიქის მიხედვით მოჭრაზე; — მით უმეტეს, რომ როგორც ვხედავთ ეს ფლურიც უდრიდა 30 შაურს, ე. ი. ვახტანგ VI მიერ ფლურის ფასად ნაჩვენებ ფარგლებშია (შვიდი აბაზიდან შვიდაბაზ უზალთუნამდე) მოქცეული და მის მაქსიმუმსაც უჩვენებს.

მაგრამ, რაც მთავარია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოგვეპოვება დოკუმენტები და ისტორიული წყაროები, რომლებიც მოგვითხრობენ, რომ მე-18 ს. თბილისში თვით საქართველოს ხელისუფალთა მიერ იჭრებოდა ოქროს ფულები.

პ. ორბელიანი გადმოგვცემს, რომ ომისათვის სამზადისში მეფეებმა, თეიმურაზმა და ერეკლემ, გამოიტანეს „თავისსა სალაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრევინეს ფლური და თეთრი და აძლევდნენ ჯარსა, ცდილობდნენ კიდევ შეყრასა და ჯარისასა“ [1]. — მაშასადამე, აქ დამოწმებულია ოქროს მონეტების მოჭრა და ისიც დაქირავებული ჯარისათვის ხელფასის გადახდის მიზნით.

ამ საინტერესო საკითხის გამოსარკვევად, როგორც აღვნიშნეთ, მოგვეპოვება ანგარიშგებითი ხასიათის დოკუმენტებიც. მეფის მდივანი მ. თუმანიშვილი წერს: „ნასყიდა თავლადარს [2] ასლანას აწონილი შვიდი მისხალი ოქრო გაუგზავნე ხალასი ოქროს შაურების მოსაჭრელად; ოცდათვრამეტი შაური გამოეგზავნა; ესეც ასლანას ავაწონინე: შვიდს მისხალს აკლდა ნახევარმისხალი და ხუთი მუხუდო“ [3].

ეს დოკუმენტი ეჭვმიუტანელად ადასტურებს ოქროს შაურების მოჭრის ფაქტს. მაგრამ ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა ქვემოთ მოყვანილი საბუთიც, რომელიც 1783

[1] „ქართლ. ცხოვრება“, II, 442.

[2] თჰავლადარი (არაბ. thavladar) — ზარაფხანის მუშაკი; იხ. ვახტანგ VI, „დასტურლამალი“, მუხ. 22.

[3] საქ. მუზეუმი. ფ.-კ. გამავრც. საბ. ხელნაწ. კოლექცია, № 5238.

წელსაა დაწერილი: „სურგუნაშვილო სააკ, ჩვენთვის ექვსი ოქროს შაური გამოგზავნე, რომ ექვსივე ერთი მისხალი მოვიდეს და ამ ბარათს ბატონის მოანგარიშეები ანგარიშში ჩაგიგდებენო“ [1].

როგორც ვხედავთ, ორსავე შემთხვევაში, — ე. ი. როგორც ზარაფხანისადმი ოქროს შაურების მოჭრის შეკვეთისა, ისე ხაზინადარისადმი ოქროს შაურების გაცემის შესახებ ბრძანებაში, — ოქროს მონეტების (შაურების) წონა ერთმანეთს ემთხვევა, და თითქმის ზუსტად უდრის ვერცხლის შაურიანის წონას. ამგვარად, საქმე გვაქვს ოქროს ფულის ვერცხლის მონეტური საზომით მოჭრის ფაქტთან და ამასთანავე მტკიცდება დადგენილობითობა, ერთგვარი ტრადიციულობა ამ მოვლენისა.

ერთს, 1794 წელს, ერეკლე II მიერ გაცემულს ბრძანებაში ეკითხულობთ: „მიღდისას შვილო სტეფანე, ნაზარბეგაშვილს გოგიას სალეკოთ ნასყიდის ფარჩის ვალში ჩვენის მადნის შემოსავალი ოქროდამ იყოს, თუ ვერცხლიდამ ასი თუმანი მოეც...“ [2].

დ. ფურცელაძეს ეს დოკუმენტი მიუჩნევია საბუთად იმისა, რომ საქართველოში იჭრებოდა ოქროს მონეტები, თუმცა აქედან გარკვევით არა ჩანს, რომ ლაპარაკი იყოს მონეტებად მოჭრილი ოქროს გაცემის შესახებ. იგი შეიძლება ეხმაურებოდეს უფრო თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობას, რომ „რაც ოქრო საქართველოს მადნებიდამ შემოდიოდა, იმას ჩვენი მეფეები არ აჭრევინებდნენ... უფრო წმინდა და კარგი ოქრო რომ იყო ვაჭრები ძვირად ყიდულობდენ... ავაჭრებდნენ და თვითონაც სარგებლობა ჰქონდათ და მეფეთა ჩვენთა უფრო სარგებლობა ჰქონდათ იმითი, ვინემ რომ მოეჭრათ...“ [3].

---

[1] საქ. ცენტრარქივი, ძველ სიგელთა საცავი, საბუთი № 1255.

[2] Д. П. Пурцеладзе, „Груз. крестьян. грамоты“, 1882. Тифлис, стр. 59.

[3] „საისტ. მოამბე“, I, 34.

მაგრამ უფრო საინტერესოა ამ დოკუმენტისადმი დ. ფურცელაძის შენიშვნა, იმის შესახებ, რომ მის დროს პეტერბურგში გრაფ ტოლსტოის კოლექციაში ინახებოდა თურმე ერეკლე მეორის მიერ მოჭრილი ოქროს მონეტა. სამწუხაროდ, დ. ფურცელაძე არ იძლევა ამ მონეტის ნუმიზმატიკურ აღწერას.

მე-18 საუკ. 90-იან წლებში თბილისში მოჭრილი ერთი ოქროს მონეტის აღწერას იძლევა ნუმიზმატი დ. კაპანაძე[1]. მაგრამ ეს არაა არც „ორი შაურის წონა ოქრო, რომ მისი დაღი აჯდეს", ე. ი. ფლური და არც ოქროს შაურიანი, რომელთა აქ. მოჭრა დასტურდება წერილობითი დოკუმენტებით. დ. კაპანაძის მიერ აღწერილი თბილური ოქრო თავისებურ „მონეტურ ანომალიას" წარმოადგენს. მის ავერსზე გამოყვანილია ორთავიანი არწივი და თარიღი: 1796 წ., ხოლო რევერსზე სპარსულად: „იჭედა თბილისს 1203" (1788-89 წ.). სხვა სიტყვებით, მის ავერსზე დარტყმულია სპილენძის მონეტისა, ხოლო რევერსზე ვერცხლის (აბაზიანის) მონეტის სიქა (დაღი), ამასთანავე ორივე სხვადასხვა თარიღისა. ყოველივე ამის გამო დ. კაპანაძეს „ძალიან გაუგებრად" მიაჩნია „ამ ოქროს ჩერვონეცის გაჩენა"[2].

ამგვარად, ჯერჯერობით ცნობილი ნუმიზმატიკური ფაქტები ბევრს არაფერს ამბობენ მე-18 ს. თბილისში მოჭრილი ოქროს მონეტების შესახებ და ეს გასაგებიც იქნება, რამდენადაც გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ფლურები თუ ოქროს შაურები აქ არცთუ ისე ხშირად და დიდის რაოდენობით იჭრებოდა და განსაკუთრებით კი თუ მხედველობაში მივიღებთ ფლურებისა და ოქროს შაურების, როგორც ხალასი ოქროს, სხვადასხვა ნაკეთობის სახით გამოყენებითობის ხასიათს[3]. ქართულ ნუმიზმატიკას ამ მიმართულებით,

---

[1] დ. კაპანაძე, „ქართული ნუმიზმატიკა", 1950, თბ., გვ. 98.

[2] იქვე, გვ. 99.

[3] ორბელიანთა ერთს საბუთში („ნუსხა ანუ სია ხარჯისა") ვკითხულობთ: „ნიკოლოზისაგან ჩვიდმეტი ფლური ვიყიდეთ ელიზბარის ქამრისათვის და მივეცით თეთრი მარჩილი ორმოციო" (იხ. „საქართველოს სიძველენი", II, 280).

ე. ი. ქართული ჭედის ოქროს მონეტების შესწავლისათვის, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი.

მაინც, ლიტერატურული წყაროებით დასტურდება რომ თბილისში მე-18 ს. იჭრებოდა ოქროს მონეტები და ისიც რომ აქ საერთოდ როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ჭედის ოქროს ფლურები და თვით შაურები მიმოქცევაშიაც არ ყოფილან იშვიათი. უკანასკნელი მომენტის დასაბუთებისათვის შეგვიძლია დავასახელოთ კიდევ სხვა წყაროებიც.

როდესაც გენ. ტ ო ტ ლ ე ბ ე ნ მ ა 1770 წელს არაგვის მოურავის ქ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ოჯახი გაძარცვა, სხვა დიდძალ სიმდიდრეთა შორის „სამოცი ფ ლ უ რ ი ფინდიხი“ წაიღო[1]. მე-18 საუკ. მეორე ნახევარში ს ა ჩ ი ნ ო ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი სასამართლოში უჩივის პ ა პ უ ნ ა წ ე რ ე თ ე ლ ს: „ასი ფ ლ უ რ ი გემართა ჩემი, ასი მარჩილი მომეცი და ასი ისევ გმართებსო“[2]. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI „ამირ-ნასარიანში“ ვკითხულობთ: „ერთს მეფეს ვახლდი რვას წელსა, სამი რამ სჭირდა სრულადო: ორას ფ ლ უ რ ს ქვეით არ გასცის რაც რამე გამოკრულადო...“[3]; ვახტანგისავე „სიბრძნე მალალობელში“ ნათქვამია:

„... სამ ფ ლ უ რ ს აძლევდა კაკაბში, უძრახეს მუცლად აობა,
აგერ სამ ფულად გახდება — დაუწყეს მისა დაობა, —
ჩემთვის სამ ფ ლ უ რ ს ა — ეტყოდა — ესე აქვს შესაგობა,
მეცა მჩანს, ვითა მიგაჩანს, მაგა ფულისა შაობა“[4].

ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ს ასპინძის ომის აღწერაში ნათქვამი აქვს, რომ გამარჯვებულ ქართველებს „...ცხენნი მოჰყვანდეს ძვირფასნი, მისის ნაყიდი ფ ლ უ რ ე ბ ი თ ო“[5]; დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი გადმოგვცემს რომ კახელ დიაკვნებს მიუხაროდათ ქართლში: „... გვაწირვინებენ ქართველნი, ვიშოვნით მრავალ ფ რ უ ლ ე ბ ს ა ო“[6]. ი ე ს ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი თავის მემუარებში გადმოგვცემს: „ბანგუას ბოძებული

[1] პროფ. ალ. ც ა გ ა რ ე ლ ი, ГИДОГ, II, вып. I, 188.
[2] იხ. „საქ. ებრაელთა ისტ.-ეთნ. მუზეუმის შრომები“, I, 182.
[3] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „თხზულებათა კრებული“, 1947, თბ., 75.
[4] იქვე, გვ. 98.
[5] ბ ე ს ი კ ი, „თხზ. სრ. კრებული“, 1932, გვ. 27.
[6] დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „თხზ. სრ. კრებული“, 1931, გვ. 76.

ფლურები მქონდა, ის მივეც და ვიყიდე ახალშენი სამი საკამლოო“ (1751 წ.). ქვემოთ კიდევ იგი აცხადებს „იმისგან მოცემული ფლურები სხვაცა მქონდა, რომელიც წლითი წლად მესახმარებოდა დიდად და შემეწეოდა და მიზეზი იგა შეიქნა ჩემისა კეთილად ქცევისაო“ [1].

ამგვარად, როგორც ვხედავთ მე-18 საუკ. საქართველოში ოქროს მონეტა როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ფლურებისა და აგრეთვე ოქროს შაურების სახით საკმაოდ ყოფილა ცნობილი. ადრე ადგილობრივი ფლური ორი შაურის წონა იყო და უკანასკნელისავე სიქით იჭრებოდა. მერმე, (მე-18 ს. მეორე ნახევარში) დაუწყიათ ოქროს შაურიანების მოჭრაც, რაც, ეტყობა, ნახევარფლურს უდრიდა.

როგორც ზემოთმოყვანილი საბუთებიდან ჩანს ამ ფლურებითა და ოქროს შაურებით მეფეები ხელფასს უხდიდნენ დაქირავებულ ჯარს; — იგივე მონეტები გაიცემოდნენ საჩუქრებად; — ამავე მონეტებით ყიდულობდნენ უძრავ და მოძრავ ქონებას, ე. ი. ისინი გამოდიოდნენ ყიდვა-გაყიდვაში, როგორც ანგარიშსწორების, გადახდის საშუალებანი; ხდებოდა ფლურების სესხება-გასესხება; — მათვე ინახავდნენ განძის სახით. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ოქროს მონეტები აქ მიმოქცეულიყო ყოველდღიურ წვრილ ვაჭრობაში [2]. ოქრო, ვერცხლთან შედარებით, მიმოქცევაში იშვიათად გამოდიოდა სწორედ ისევე, როგორც, მაგალითად, იმდროინდელ ირანსა, თურქეთსა და თვით რუსეთშიც კი, თუმცა უკანასკნელში იგი უფრო იყო გავრცელებული, ვინემ სადმე სხვაგან აღმოსავლეთში.

5. ძართული ფულის სისტემის შესახებ

გრაფ მუსინ-პუშკინს მინდობილი ჰქონდა თბილისის ზარაფხანისათვის დაედგინა საერთოდ ფულის ნიშნების ერთეულები, აგრეთვე „სინჯი და წონა ვერცხლის მონეტებისა,

[1] იესე ბარათაშვილი, „ცხოვრება-ანდერძი“, ა. იოსელიანის რედაქციით, 1950, თბ., გვ. 14.

[2] შეად. ნ. ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა მე-18 ს.“, გვ. 93 — 94.

ადგილობრივი პირობებისა და ჩვეულების მიხედვით". მაგრამ, ჩვენთვის რომ გასაგები იქნეს წინასწარ არსებული ნიმუშები, რომელთათვისაც უნდა მიებაძა 1804 წ. თბილისში გახსნილ ზარაფხანას, საჭიროა გავეცნოთ კერძოდ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მიმოქცევაში მყოფ ქართულ ფულის ნიშნებს.

1. სპილენძის ფულები. „ფული": საქართველოში უკვე მე-11 საუკუნეშიც იხსენიება. ივ. ჯავახიშვილს, გ. მთაწმინდელის მიხედვით, დადგენილი აქვს, რომ ფული ანუ „ფოლი" მაშინ „საფასის უკნინესი ერთეული იყო"[1]. მეცნიერებაში უკვე დამტკიცებულია, რომ „ფოლის" წარმომდგარია სიტყვიდან follis dinariorum — ქისა ფულით. ეს ტერმინი ბიზანტიიდან გადავიდა არაბთა ნუმიზმატიკაში, ხოლო არაბებიდან თანდათანობით და შუალობით თურქეთსა, ირანსა და რუსეთშიაც[2]. ფული, „пул" — სპილენძის მონეტა — იჭრებოდა ძველად ნოვგოროდის, პსკოვის, მოსკოვის, ტვერის სამთავროებში[3]. მე-17 და მე-18 საუკუნეებში მოჭრილი ქართული „ფული" იყო რგვალი და კუთხოვანიც; „ერთი ფული" ქართული ფულის სისტემაში უკნინესი საანგარიშო ერთეული იყო და უდრიდა რუსულ $^1/_2$ კაპიკს.

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა...", 1925, ტფ., 27 — 29, 33 — 37; ს. კაკაბაძე, „საფასის ისტორიისათვის საქართველოში" (საისტორიო მოამბე, ტ. I, 1925, ტფ., 22 — 24).

[2] ძვ. აღმოსავლური (სასანიდებისა, ირანული, ხაზართა, არაბული და სხვ. მუსლიმანური) ფულები უკვე მე-6 საუკუნიდან მაინც ვრცელდება რუსეთში და, თავის მხრივ, გავლენას ახდენს რუსულ ნუმიზმატიკაზე. იხ. П. Савельев, „Мухамеданская нумизматика в отношении к русской истории", 1846 СПБ. I, стр. XLIУ и сл.; Б. Романов, „Деньги и денежное обращение" (Ист. культуры древней Руси, I, Материальная культура, 1948, М. стр. 370 — 396); А. Орешников, „Денежные знаки домонгольской Руси" (Труды гос. ист. музея в Москве, 1936. вып. УI); Д. Прозоровский, „Монета и вес в России до конца 18 века", 1865, СПБ.; А. Марков, „Топография кладов восточных монет", 1910, СПБ; „Нумизматический сборник", 1955, ч. I.

[3] Д. Солнцев, „Деньги и пулы древней Руси", 1862; М. Шодуар, „Обозрение русских и иностр. монет, употреб. в России с древн. времен", 1837 — 1842, СПБ., I — III.

„ბისტი“. საბა ორბელიანის ცნობით ბისტი მე-18 საუკუნეში უდრიდა 4 ფულს[1]. ბისტი ირანში მიმოიქცეოდა (ოლეარიუსის ცნობით) მე-17 საუკუნის დასაწყისიდანვე. ორნახევარი ბისტი უდრიდა შაურს. ჩვენში დღესაც კი 5 კაპიკს, ე. ი. $2^1/_2$ ბისტს (იხ. ქვემოთ), მაშასადამე, 10 ფულს შაურს უწოდებენ. თეიმურაზ ბატონიშვილს აღნიშნული აქვს: „შავი ფული... იჭრებოდა ტფილისში საკმაოდ. ა. ნახევარფულიანი; ბ. ცალფულიანი; გ. ორფულიანი; დ. ოთხფულიანი, რომელსა ბისტს ეძახდენ (ბისტი სპარსული სახელი არის). ხუთი ორფულიანი ერთი შაური არის, ხუთი ბისტი, რომელ არს ათი ორფულიანი, ორი შაური არისო“. ზემოთმოყვანილი ამონაწერიდან ჩანს აგრეთვე, თუ როგორი იყო თვით „ფულის“ დანაწევრება და შენაერთებიც: ნახევარ-ფულიანი, ცალფულიანი, ორფულიანი და ოთხფულიანი.

2. ვერცხლის ფულები. „შაური“ — უდრიდა ათ ფულს, იწონიდა 12,5 გრანს. ივ. ჯავახიშვილი წერს: „შაური საფასეს ერთეულის სახელად XVI საუკუნითგან შემოდის. თავისთავად იბადება საკითხი, ეს ახალი სახელი წინათაც არსებული ერთეულის სახელია, თუ სახელთან ერთად თვით ერთეული ახალი იყო“?.. და უპასუხებს: „საფიქრებელია, რომ შაურმა მე-16 საუკუნითგან სწორედ ძველი ერთეულის „დანგის“ სახელი დაიკავა“[2]. საბუთად მას მოყავს მე-18 ს. ცნობა ოთხდანგიანი აბაზის (= ოთხშაურიანი აბაზს) შესახებ[3].

იმ მოსაზრების შესახებ, რომ თითქოს შაური პირველად მე-16 საუკუნიდან შემოდის, უნდა ითქვას, რომ მოიპოვება საბუთი, რაც შაურის შემოსვლას ერთი საუკუნით ადრე ათარიღებს. სახელდობრ 1460 წელს საქართველოს მეფის მიერ რატიშვილებისათვის მიცემულს სიგელში ნათქვამია: „...რომელმანცა კაცმან თქვენ სისხლითა შეგცოდონ ას-სამოცდა-

[1] ს. ორბელიანი, „ქართული ლექსიკონი“, 1928, ტფ. გვ. 40.
[2] ივ. ჯავახიშვილი, „ქართ. საფ.-საზომთა მცოდნეობა...“, გვ. 26.
[3] „საქართველოს სიძველენი“, III, 522.

ათი ათასი კირმანეული გარდაგიხადოს. კ ი რ მ ა ნ ე უ ლ ი ო რ ი შ ა უ რ ი არის, რომ იქს ჩვენებურს თეთრსა სულ ერთად თუმანსაო“ [1].

დოკუმენტის (კონტექსტის მიხედვით) აზრიდან ჩანს, რომ შაური ამ დროისათვის, ე. ი. 15 საუკ. შუაში, ახალშემოსული უნდა ყოფილიყო. კირმანეულის კურსს უკვე შაურობით ანგარიშობდნენ. „ერთი შაური ერთი დანგის წინა ვერცხლაკი არის, სპარსულად შაჰ ეწოდება, შაური იქიდამ დაურქმევიათო“, — განუმარტავს თ. ბატონიშვილი აკადემიკოს მ. ბროსეს [2]. მე-16 საუკუნიდან შაური უფრო ხშირადაა დამოწმებული [3].

„უზალთუნი“: შეიცავდა ორ შაურს ანუ 20 ფულს; იწონიდა 25 გრანს.

„ა ბ ა ზ ი“ შეიცავდა 4 შაურს, იწონიდა 50 გრანს [4]. „თელთი და აბაზი ორივე თანასწორე და ერთი და იგივე არის. თელთი ქართული სახელი არის“ (თ. ბატონიშვილი). აბაზი, როგორც საფასე ქართულ წყაროებში, ცნობილია უკვე მე-17 საუკუნის დასაწყისიდან [5]. „აბაზი დიდისა ანუ პ-ლის შაჰაბაზის დროს მოუჭრიათ სპარსეთში და იმისი სახელით დაურქმევიათ ქართველებსაც თავიანთ ფულისათვის (ე. ი. ვერცხლისათვის). ერთხელ და ერთხელ დაჩვეულან აბაზის ძახილს, ასე რომ ეხლაც რუსულს იმ სიდიდის ვერცხლსა აბაზს ეძახიან“ [6].

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები...“, II, 280; საკუთრად კირმანეულის შესახებ იხ. თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „ახალი სახე კირმანეულისა“ (საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI — B, 1950, გვ. 133 — 138), აგრეთვე მისივე, „ორი დავითის მონეტა“ (იქვე, გვ. 139 — 143).

[2] თ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხსენ. წერილი, 33; იხ. აგრ. Л. Б о г д а н о в, „Персия...“, 1909 г. СПБ., стр. 97.

[3] „საქ. სიძველენი“, II, 23 — 24; ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან“, 1940, თბ. I, 351 — 362.

[4] И. Г и л ь д е н ш т е д т, „Географ. и статистическое описание Грузии и Кавказа“, 1809, СПБ., стр. 262 — 265.

[5] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, l. c., 24 — 25.

[6] თეიმურაზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, l. c. 33.

„მ ა რ ჩ ი ლ ი“. ს. კაკაბაძის აზრით მარჩილი უნდა იყოს იტალიური გამოთქმით შემოსული მარკა[1]. თ. ბატონიშვილი წერს, რომ „სამი თელთი, ე. ი. სამი აბაზი, რომელ არს ექვსი კირმანეული, ერთი მარჩილი არის. მარჩილი საკუთარი ქართული სახელი არისო“. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI „დასტურლამალის“ მიხედვითაც მარჩილი სამ აბაზს, ე. ი. 12 შაურს უდრის; ხოლო პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ შედგენილს „დასტურლამალის“ ლექსიკონში ნათქვამია, რომ მარჩილი ჩვენს დროში (წიგნი გამოიცა 1886 წელს): „სამეგრელოში ექვს შაურს, აჭარაში და ჭოროხის ხეობაზე ერთ შაურს“ უდრისო[2]. 1857 წ. შედგენილს ერთს სახელმძღვანელო დოკუმენტში ნაჩვენებია, რომ სამეგრელოში მიმოქცევაში მყოფ ფულთაგან მარჩილი 10 კაპიკს, ხოლო შაური 5 კაპიკს უდრიდა[3]. მარჩილი აქ 10 კაპიკს უდრიდა 1866 წელსაც[4].

ჯერჯერობით, მარჩილი როგორც მონეტა (რეალია) ნუმიზმატებისათვის უცნობია, რის გამოც დ. კაპანაძე ფიქრობს, რომ სამაბაზიანი მარჩილები „მხოლოდ საანგარიშო ერთეულებად ითვლებოდა“[5].

საკითხის გარკვევისათვის საინტერესოა ვიცოდეთ, რომ 1751 წელს ებრაელი მარდახა თ ე ი მ ურ ა ზ მ ე ო რ ი ს ა დ მი მირთმეულ არზაში ჩივის, რომ იოსებ და ბენია ჯანაშვილებს მისი „ოცი მ ა რ ჩ ი ლ ი ი მ ე რ უ ლ ი თ ე თ რ ი მართებსთ...“, მრავალგზის მოვსთხოვე, მაგრამ „არ მაძლევენ და არას მეპუებიანო“[5]. 1838 წელს შედგენილს ბ ე ჟ ა ნ წ ე რ ე თ ლ ი ს ანდერძში ვკითხულობთ: „მივეცი ყობია ურიას შოშიკას ცოლში ოთხმოცი მ ა რ ჩ ი ლ ი ს ცხენი, სპილენძის იარაღი, და ტანი და ფეხიო“[6].

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. თხზ., გვ. 25.

[2] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „დასტურლამალი“, გვ. 175.

[3] П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство и аграрн. отношения“, 1950, Тбилиси, т. II, стр. 465.

[4] იქვე, 497, 501.

[5] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, „ქართ. ნუმიზმატიკა“, გვ. 107.

[6] „საქ. ებრაელთა ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმის შრომები“, 1940, I, 179.

[7] იქვე, გვ. 244.

საერთოდ მე-18 საუკ. დასასრულს საქართველოში, კერძოდ იმერეთში შედგენილს დოკუმენტებში მარჩილი საყოველთაოდ გავრცელებულად ჩანს. ნიხრებში, ნასყიდობის, ვალისა და სხვა საბუთებში უპირატესად მარჩილია მოხსენებული.

აფხაზეთის კათალიკოს გრ. ლორთქიფანიძის მიერ 1706 წ. გაცემულს საბუთში თეთრის (ფულის) ბეგარა მარჩილობით იანგარიშება და, რადგან ფულადი პროდუქტადში გადაუყვანიათ იგი აცხადებს: „აწე მის (თეთრის) მაგიერად სანთელი დაგვიც: მარჩილის თავს შამახური და რუბის თავს ჩარექიო“ [1]; ეს რეფორმა მას, როგორც სხვა დოკუმენტიდან ჩანს, გაუტარებია: „იმერეთს, ოდიშს, გურიას და ბიჭვინთას“ [2]; 1767 წ. კაცია დადიანმა, — „ოდიშ-ლეჩხუმთა, სვანთა და პონტოსა ზღვისა მპყრობელმან“, — გრ. ჭყონდიდელ-მიტროპოლიტს „სამას · მარჩილად“ დაუთმო „ვაჭარი ურია მარდახა და მისი ძმა იაკობა მაგის ცოლშვილით“ [3]; ხოლო 1770 წ. გაცემული შეწირულობის წიგნით გრ. ჭყონდიდელი ავალდებულებს ხსენებულ მარდახასა და იაკობას, რათა სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიას „ყოველს სააღდგომოთ ხუთი მარჩილის სანთელ-საკმეველს“ მიართმევდეს და „თუ სანთელ-საკმაველი ვერ იშოვოს, იმისთანა დრო მოხთეს, ხუთს მარჩილს თეთრს მიართმევდეს“ [4]. იმერეთში წიგნების ფასებიც სულ მარჩილობით იანგარიშებოდა [5]. გვხვდება კიდევ სხვადასხვა საბუთებში: „ათი მარჩილი თეთრი“ (1787 წ.) [6]; „თეთრი ორმოცდაათი მარჩილი“ (იმერთა მეფის ალექსანდრე V 1721 — 1749 წ.წ. საბუთი) [7] და ა. შ. [8].

---

[1] ს. კაკაბაძე, „დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები“, 1921, I, 95.

[2] იქვე, 151, 155.

[3] ს. კაკაბაძე, „დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები“, 1921, II, 34.

[4] იქვე, 43.

[5] იქვე, 179; „საისტ. კრებული“, I, 140.

[6] „საისტ. კრებული“, 1928, III, 64.

[7] იქვე, 122.

[8] И. Гильденштедт, „Описание Грузии...“, 378.

აკად. ი. გვილდენშტედტის ცნობით მონეტა მარჩილი შეიცავდა 52 ფარას და ფასობდა 1 მანეთი. იგი იმერეთში იშვიათია, ხოლო სამეგრელოსა და გურიაში უფრო ხშირია[1]. რაც შეეხება მისსავე ცნობას იმის შესახებ, რომ იმერეთის მეფე მონეტას არ სჭრისო, თუ სწორია, გამოხატავს მხოლოდ თვით გვილდენშტედტის აქ ყოფნის დროინდელ (1770—1773) ვითარებას[2].

1808 წელს სოლომონ მეორის ბრძანებით მამია გურიელის კომისიის მიერ შედგენილს ნიხრში, სადაც სავაჭრო პროდუქტთა ფასებია განსაზღვრული, რამდენჯერმეა ნახსენები „ძველი მარჩილი“[3]. ამასთანავე 1809 და 1810 წწ. შედგენილ დოკუმენტში მოხსენებულია „მარჩილი იმერული ძველი თეთრი“[4].

1818—1822 წწ. გურიის მდივანბეგთაგან შედგენილს ოქმებშიც მოხსენებულია „ძველი მარჩილი“. მაგალითად, მოდავეებისათვის დაუდგენიათ: „რამდენს ათ ძველ მარჩილზე შეედაოს ათი მარჩილის თავზე თითო კაცი შეაფიცოსო“[5]. პ. ბოლქვაძე ჩივის, რომ მისგან თავართქილაძემ იყიდა „800 მარჩილად ერთი თათარი და 100 ძველ მარჩილად ერთი კარგი თოფი“[6]. ამავე ხანებში მარჩილი ფართოდ გავრცელებული ყოფილა სამეგრელოშიც[7].

ამგვარად, დოკუმენტებში მოხსენებულია „მარჩილი იმერული თეთრი“, ე. ბ. არაიმერული მარჩილიც ყოფილა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ აქ მარჩილი მოხსენებულია ამასთანავე როგორც თეთრი, ე. ი. როგორც ვერცხლის მონეტა. იგი რომ მხოლოდ საანგარიშო ერთეული ყოფილიყო, მაშინ, ცხადია, აზრი აღარ ექნებოდა

[1] II Гильденштедт, „Описание Грузии...“, გვ. 376.
[2] იქვე, გვ. 376.
[3] Д. Бакрадзе, АПГА., 329—331.
[4] „საისტ. კრებ.“, I, 1928, 116—117.
[5] Д. Бакрадзе, АПГА, 342.
[6] იქვე, 345.
[7] დადიანი, „დასტურ-ლამა“, ი. მეუნარგიას რედაქციით, 1897, ტფილისი.

მის თეთრობით (ვერცხლობით) მოხსენებას[1]. მაგრამ, როგორც ვნახეთ დოკუმენტებში მოხსენებულია „ძველი მარჩილიც"; ე. ი. ყოფილა ახალი მარჩილიც, რაც ისევ იმას უნდა ადასტურებდეს, რომ, როგორც ი. გვილდენშტედტი გადმოგვცემს, მარჩილი იჭრებოდა და მიმოქცევაში იყო მონეტის სახით[2]. ბოლოს თვით დ. კაპანაძეს თავისი ნაშრომისათვის დართულ ტაბულებში მოცემული აქვს ნახევარმარჩილიანის სურათი (№ 188), ხოლო ნახევარმარჩილიანი რეალია ისევ და ისევ იმას მეტყველებს, რომ უნდა ყოფილიყო მარჩილიანიც, რაც, სამწუხაროდ, ნუმიზმატიკური ფაქტის სახით, ჯერჯერობით არაა დადასტურებული.

დასასრულ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1831 წელს შედგენილს ამიერკავკასიაში მიმოქცევაში მყოფ სხვადასხვა მონეტის სიაში საკუთრივ გარკვევითაა დასახელებული (№ 22): „Грузинских полтора абаза" — რისი ფასიც რუსული ვერცხლის ფულით 30 კაპიკს უდრიდა[3]. ასე რომ ნახევარმარჩილიანი ვერცხლის მონეტა მიმოქცევაში ყოფილა 1830-იან წლებშიც კი.

5. „მინალთუნი". მინალთუნის, როგორც საანგარიშო ფულის ნიშანი იყო ჩ (= 1000). მინალთუნი შეიცავდა 5 აბაზს, ანუ 10 უზალთუნს, ანდა კიდევ 20 შაურს, ე. ი. 200 ფულს. მინალთუნი მე-18-ს. ჩვეულებრივი საანგარიშო ფული იყო; — რუსულ ფულზე გადაყვანით იგი უდრიდა 100 კაპიკს, 1 მანეთს.

ქართული ვერცხლის ფულის წონითი ოდენობის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ის ცნობა, რაც გენ. კნო-

[1] 1789 წელს სოლომონ მეორემ გელათის ეკლესიისათვის შეწირულ „ურიას კოკიას შაბათასშვილს" ბეგარად დაადო „თხუთმეტი მარჩილი თეთრი, ლიტრა სამთელი" და სხვ. (იხ. ს. კაკაბაძე, „დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები", 1921. თბ. II, გვ. 95, 43, 179); იხ. აგრ. „ძვ. საქართველო", IV, განყ. II, გვ. 71 — 72.

[2] აღსანიშნავია, რომ მარჩილი წონის ერთეულიც ყოფილა (იხ. Д. Бакрадзе, АПГА, 137).

[3] „О монетном деле и монетной системе в Грузии" („Горный журнал", 1832 г. ч. I, кн. I. стр. 118 — 122).

რინგის ბრძანებით სოლომონ მელიქიშვილის (საქართველოს მეფეთა ზარაფხანის მუშაკის) მიერ თბილისის ძველი ზარაფხანის მუშაობის შესახებ 1801 წელს წარდგენილს მოხსენებაშია აღნიშნული. ს. მელიქიშვილმა სახელდობრ უჩვენა, რომ ერეკლე II და გიორგი XII დროს თბილისში 1 ლიტრა (9 გირვანქა) ვერცხლისგან იჭრებოდა 211 მან. და 20 კაპ. (ე. ი. 1056 აბაზის) ვერცხლის მონეტა [1].

ჩვენ ვიცით, რომ ერეკლე II დროს, 1770-იან წლებში, აკად. გვილდენშტედტის ცნობით, 1 აბაზიანი ვერცხლის მონეტა 50 გრანს იწონიდა. ამგვარად, გამოდის რომ, ს. მელიქიშვილის მიერ მიცემული ცნობა მხოლოდ ძლიერ უმნიშვნელო განსხვავებას იძლევა.

საერთოდ ქართული ფულის სისტემის საფუძვლის შესახებ უკვე საკმაოდ დაიწერა. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამტკიცებდა: „რომ 1. ქართული ფულის აღრიცხვისა და სისტემის ერთეულად 0,5 დრახმა სპილენძი ყოფილა მიღებული; 2. აღრიცხვა ლითონის წონის რაოდენობაზე ყოფილა დამყარებული და 3. რომ თვით ვერცხლის ფულის ერთეულებისათვისაც საფუძვლად სპილენძის წონითი რაოდენობა მიუღიათო“ [2].

როდესაც ივ. ჯავახიშვილი ამას წერდა, მას ხელთ არ ჰქონდა ამ მხრივ თვით ქართული ფულის რეალიების ლაბორატორული შესწავლის მონაცემები და უმთავრესად ემყარებოდა აკად. გვილდენშტედტის მიერ 1772 წ. ჩაწერილ ცნობას, რომ ერთი ქართული ფული 2,5 დრახმს იწონიდა [3] და, რაკი ერთფულიან მონეტაზე ნიშანი (ციფრი) ხუთი (ე) ეწერა, ვარაუდობდა „აღრიცხვის ერთეულად 0,5 დრახმა სპილენძი არის მიღებულიო“.

ამავე დროს ჯერ კიდევ პროფ. ს. კაკაბაძემ აღნიშნა, რომ „გვილდენშტედტს შეცდომით ერთ ფულად მიუღია ორ ფულიანი საფასე“ [4]. 1928 წელს ს. კაკაბაძეს მხარი დაუჭირა

[1] АСКАК, I, № 623.

[2] ივ. ჯავახიშვილი, l. c., 31 — 35, 39 — 40.

[3] Гвильденштедт, l. c., 320.

[4] „საისტორიო მოამბე“, 1925, I, 23.

ე. პახომოვმა[1], ხოლო 1946 წ. — პროფ. ნ. ქოიავამ, რომელიც წერს: „გვილდენშტედტმა ამ საკითხში უხეში შეცდომა დაუშვა და გვიჩვენა არა ფულის, არამედ ორმაგი ფულის წონა“ და რომ „ივ. ჯავახიშვილი გვილდენშტედტისადმი ამ საკითხში ზედმეტი ნდობის მსხვერპლი გახდაო“[2].

ს. კაკაბაძის (და მის მომხრეთა) მოსაზრება საფუძვლიანია, რამდენადაც ის ემყარება 17—18 სს. რეალიების ლაბორატორულ შესწავლას — აწონვას. ოღონდ, მაინც გასათვალისწინებელი რჩება ის გარემოება, რომ: 1. ივ. ჯავახიშვილს 0,5 დრახმა მიაჩნდა კერძოდ არა მე-17—18 სს. მოჭრილი ქართული ფულის, არამედ საერთოდ ქართული ფულის „აღრიცხვისა და სისტემის ერთეულად“; 2. მისი ვარაუდით გვილდენშტედტს, როდესაც 1772 წ. იგი თბილისში ქართულ მონეტებს წონიდა, ხელში ეჭირა დრახმის არა თანამედროვე უნიფიცირებული საწონი; 3. გვილდენშტედტის ცნობა არ იყო მისი მოსაზრების ერთადერთი საფუძველი.

6. 1804 — 1834 წწ. მოჭრილი ქართული ფულების სინჯი და წონა

გრაფი მუსინ-პუშკინი, რომელსაც დაევალა თბილისში ზარაფხანის მოწყობისათვის ზრუნვა, 1802 წ. 3 აგვისტოს საქართველოს მთავარმართებლისადმი მიწერილ ბარათში აღნიშნავს, თითქოს ამდენხანს საქართველოში იჭრებოდა დაბალი ღირსების ვერცხლის მონეტა, როგორც წონის, ისე სინჯის მიხედვით; ამიტომ „მეტად არასაკადრისი იქნება რუსეთის მფლობელობისას... მოიჭრას ისეთი სახის [ფული], როგორც აქამდე ცნობილი აბაზები იჭრებოდა, რის გამოც მე საჭიროდ ვსცანი მოვაწყო ახალი მანქანები მონეტების უკეთესი წესით მოსაჭრელადო“.

[1] Е. Пахомов, „Вес и достойнство медной монеты...“, 1928, Баку, 107.

[2] ნ. ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა მე-18 ს.“ (თსუ შრომები, XXIX, 15).

ნამდვილად საქართველოში წინათ მოჭრილი აბაზიანები შედარებით კარგი ღირსებისა იყო[1], რის გამო შემდეგში მთავრობა იმასაც-კი აპირებდა, რომ განსაკუთრებული პოლიტიკა ეწარმოებია ძველი ქართული ვერცხლის მონეტების მიმოქცევისათვის. მაგალითად, პ. ციციანოვი 1805 წ. 8 ოქტომბრის თარიღით ზარაფხანისადმი გაცემულ ბრძანებაში მოითხოვს რა ახლად მოჭრილი ფულის ტრიალის შესახებ ცნობებს, ამასთანავე აღნიშნავს, რომ თავისი სიწმინდის გამო ძველი ქართული აბაზები „ადვილად გავა საზღვარგარეთ და ეს გარემოება მით უფრო შესაძლებელია, რომ ქართველი გლეხი მთელ თავის ტანისამოსს ატარებს საზღვარგარეთისას, როგორიცაა ნარმა და აბრეშუმის ქსოვილები; ხოლო ამ საქონლებზე კი წარმოებს არა გაცვლითი ვაჭრობაო“, ე. ი. ეს საქონლები ფულით უნდა ყოფილიყო ნაყიდი და არა სხვა (ადგილობრივ) საქონელზე გადაცვლითო. საქართველოს მმართებლის მოვალეობის ამსრულებელი ტარასოვი გენ. პ. ციციანოვს უპასუხებს, რომ უცხოური ტანსაცმელი აქაურებს ნაყიდი აქვთ ჩვენს ქალაქებში ადგილობრივი ვაჭრებისგან და არა უცხოელებისგანო; და თითქოს ამით უნდა დაერწმუნებია პ. ციციანოვი, რომ საზღვარგარეთ ძველი ქართული ვერცხლის მონეტები არ გადიოდნენ; ამავე დროს, როგორც მთელი რიგი არაპირდაპირი ცნობები მოწმობენ, ძველი ქართული აბაზების (თეთრის) დიდი რაოდენობა გაქონდათ საზღვარგარეთ (თურქეთსა და ირანში) როგორც ქართველ, ისე უცხოელ ვაჭრებს; ამასთანავე ხდებოდა მათი გადადნობაც ხელოსნების მიერ; ამგვარად, ე. წ. გრეშამის კანონს სრული გასაქანი ჰქონდა სინამდვილეში.

ახალი მონეტები ღირსების მიხედვით ძველ მონეტებზე ნაკლები იყო, მაგრამ პირველის მიმოქცევა, ცხადია, ხურდა ფულის მეტისმეტი სიმცირის გამო, თავისუფლად წარმოებდა.

[1] თეიმურაზ ბატონიშვილი: „ასეთს თეთრსა სპრიდენ ჩვენშია, რომელიც ყოველს ევროპიისა და აზიის ვერცხლზედ ჩვენი უფრო წმინდა ვერცხლი იყო“ („ს. მ.“, ტ. I, 34).

თვით ტ ო რ მ ა ს ო ვ ი აღნიშნავს, რომ აბაზები და სხვა ახალი ნაშალი მონეტა თუმცა დაბლა დგას ღირსებით ქართულთან შედარებით, მაგრამ ამ მხარის მცხოვრებთა შორის ისეთივე ნდობით სარგებლობს, როგორც ძველი ქართული მონეტაო[1].

რუსთა მიერ 1804 წ. თბილისში გახსნილ ზარაფხანაში სპილენძის ნაშალი ფულის წარმოება, რასაც „მხოლოდ თავისუფალ დროს“ ჰკიდებდნენ ხელს, დამყარებული იყო იმ ანგარიშზე, რომ ერთი ფუთი სპილენძისგან მოეჭრათ 21 მანეთის შავი ნაშალი ფული. სახელდობრ მოჭრილი მონეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ „ფული“ (денежка) იწონიდა $87^1/_2$ წილს; „ორფულიანი“ (копейка) — 1 მისხალსა და 79 წილს; ხოლო ბისტი (двужкопеечник) — 3 მისხალსა და 62 წილს[2]. მხოლოდ 1815 წ. წამოიჭრა საკითხი, რომ საქართველოში მიმოქცევისათვის ეკატერინბურგის ზარაფხანაში მოეჭრათ ერთი ფუთი სპილენძისგან 40 მანეთის ხურდა ფული; მაგრამ ეს განზრახვა არ განხორციელებულა[3].

რაც შეეხება ვერცხლის მონეტას, იგი იჭრებოდა 88 სინჯისა; ხოლო მთელი ამ პერიოდის მანძილზე რუსული მანეთიანები იჭრებოდა მხოლოდ $83^1/_3$ სინჯის ვერცხლისგან. მ უ ს ი ნ-პ უ შ კ ი ნ ი იძულებული იყო თავისი ინსტრუქციით თბილისის ზარაფხანისათვის ასე მაღალი — 88-სინჯიანი ფულის მოჭრა ებრძანებია, რადგან როგორც საქართველოში, ისე მეზობელ აზიურ ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, ჩვეულებისამებრ მაღალი სინჯის ვერცხლის მონეტა იყო გავრცელებული. ასეთ პირობებში რუსეთის მთავრობასაც საქართველოსთვის და ამიერკავკასიისათვის თბილისში მაღალი სინჯის ფული უნდა მოეჭრა: „საზოგადოებრივი ნდობის მოსაპოვებლად“, როგორც ამას განმარტავს კ ა ნ კ რ ი ნ ი.

[1] АСКАК, II, 1868 г. № 407, 412.

[2] იხ. Арх. ВПКБ., ფონდი КК., საქმე № 44.

[3] АСКАК, V, № 469, стр. 709.

წონის მხრივ თბილისის ზარაფხანაში 1804 — 1834 წწ. მოჭრილი ორაბაზიანი შეიცავდა 1 მისხალსა და 46 წილს; ერთი აბაზიანი — 71 წილს; ხოლო ორშაურიანი — $35^1/_2$ წილს[1].

აღნიშნული სინჯისა და წონის მიხედვით ერთ აბაზში ჭეშმარიტი შინაგანი ღირსებით (წმინდა ვერცხლით) გამოდიოდა 16,06 კაპიკი რუსული ფულის სისტემით. ამასთანავე ერთი აბაზი კურსით უდრიდა რუსულ 20 კაპიკს, ე. ი. აბაზის ნომინალური ფასობა 3,94 კაპიკით მეტი იყო. რუსული ერთმანეთიანი შეიცავდა 4 მისხალსა და 21 წილს წმინდა ვერცხლისა, ხოლო ქართული აბაზიანი — 65 წილს. რუსული ერთმანეთიანი, რომელიც კურსით 5 აბაზს უდრიდა, ხუთი აბაზიანის მთლიან წმინდა ვერცხლის წონაზე მეტი იყო 80 წილით, ე. ი. $1^3/_{13}$ აბაზით: რაც ყოველ ხუთ აბაზზე საიმპერიო ხაზინის მოგებას შეადგენდა. მაგრამ ის გარემოება, რომ რუსული ერთმანეთიანი, რომელიც სინჯადობის მიხედვით დაბალი იყო ქართულ აბაზიანებზე, მაგრამ წონით (წმინდა ვერცხლის მიხედვითაც) ბევრად აღემატებოდა დადგენილი კურსით მისი შესატყვისი ხუთი აბაზის წონას, შესაძლებელს ხდიდა — და ამ შესაძლებლობას არ შეელეოდნენ მოხერხებული და თაოსნიანი თბილისელი ხელოსნები — რუსული მანეთიანების ზოდებად გადადნობას და ამ სახით როგორც საზღვარგარეთ გატანას, ისე თვით თბილისის ზარაფხანისათვის მიყიდვას.

სწორედ ამ გარემოებამ თავის დროზე დაბადა აზრი, რომ თბილისის ზარაფხანას ხელი მოეკიდა ამიერკავკასიაში მიმოქცევაში მყოფი რუსული მანეთიანების ქართულ აბაზებად გადადნობისათვის. როგორც ოფიციალური კორესპონდენციიდან ირკვევა, თვით გენ.-ლეიტ. კანკრინსაც არ მიაჩნდა ეს აზრი — რუსული $83^1/_3$ სინჯიანი მანეთიანების 88 სინჯიან ქართულ აბაზებად გადამუშავებისა — ქიმერულად. ამისათვის საჭიროა მხოლოდ — დარიგებას აძლევს ფინანსთა მინისტრი გენ. პასკევიჩს — რუსულ ვერცხლის მონეტას შეერიოს მაღალსინჯიანი ვერცხლი, ანდა მოხდეს მისი ხელახალი დაწ-

[1] „Горный журнал," 1832 г. ч. I, кн. I, стр. 119.

მენდა შენადნობისგან; თუმცა უკანასკნელისათვის საჭირო იქნებოდა სპეციალური გაწყობილობა და ამასთანავე ვერცხლის გარკვეული ნაწილი სავსებით დაიკარგებოდა, დაიწვებოდა. მიუხედავად ამ ხარჯებისა, ეს ოპერაცია მეფის ხაზინას მაინც დიდ მოგებას მისცემდა, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ. ამიტომ კანკრინი ნებას რთავს პასკევიჩს: აწარმოოს კიდევაც თბილისში ასეთი ცდები: „ამ ცდებიდან თვალსაჩინო გახდება, თუ სახელდობრ რა მოგებას მიიღებს ხაზინა ამ წამოწყებიდან და მაშინ შესაძლებელი იქნება ამ მხრივ გარკვეული წესების დადგენაო“ [1]. იძლეოდა რა ამგვარ წინადადებას, კანკრინი თანახმა არ იყო, რომ მთელ ამიერკავკასიაში მიმოქცევაში მყოფი რუსული მანეთიანები გადაემუშავებიათ აბაზიანებად და ამგვარად აქ, გარდა აბაზიანებისა, სხვა, ე. ი. რუსული ფულები არ ყოფილიყო მიმოქცევაში... და ეს იმიტომაც რომ „...нарицательная монета меньшего против истинной цены достоинства может поддерживаться только при ограниченном выпуске оной, а при усиленном, скоро потеряет кредит и послужит единственно к общему и частному ущербу“.

მეორეს მხრივ ცენტრალური ხელისუფლება იმის ცდაშიც იყო, რომ ამიერკავკასიაში ნაცვლად 88 სინჯიანისა გაევრცელებია ფულის რუსული სისტემისათვის დადგენილი $83^1/_3$ სინჯიანი აბაზიანები. 1829 წელს პეტერბურგის ზარაფხანაში უკვე მზად ჰქონდათ შტემპელები — თბილისიდან მიღებული ნიმუშების მიხედვით — 2 და 1 აბაზიანისათვის. 1829 წ. მარტის დასაწყისს იგზავნება პეტერბურგიდან თბილისს ორგვარი ქართული მონეტები: 1. თბილისის ზარაფხანაში აქამდე წარმოებული სინჯისა და წონის მიხედვით გაკეთებული ორაბაზიანები და აბაზიანები, უკეთესი ხელოვნებით გაკეთებული, ვიდრე ეს შეეძლო თბილისის ზარაფხანას და 2. რუსული ($83^1/_3$) სინჯის ვერცხლისგან მოჭრილი ორაბაზიანები და აბაზიანები, მხოლოდ წონით უფრო მეტი, ვინემ პირველი; სახელდობრ, ორაბაზიანი — 1 მისხალი და 54 წილის, ხოლო აბაზიანი — 75

[1] АСКАК, VII, № 89. стр. 76-79.

წილის რაოდენობით. ამნაირად, ეს მეორეგვარი ახალი ქართული ვერცხლის ფული, რომელიც რუსული სინჯისა იყო და, მაშასადამე, ღირსებით უფრო დაბალი, ვინემ პირველი, წონაში მომატებით მაინც უსწორდებოდა პირველს წმინდა ვერცხლის მიხედვით, ასე რომ აქაც ორაბაზიანის ჭეშმარიტი ფასი უდრიდა 32,12 კაპიკს, ხოლო აბაზიანისა — 16,06 კაპიკს.

პეტერბურგში ამ საქმეს ხელი მოკიდეს იმიტომაც, რომ აბაზიანების ის რაოდენობა, რომლის მოჭრაც შეეძლო თბილისის ზარაფხანას, ადგილობრივი ხელისუფლების მოსაზრებათა მიხედვით არ ეყოფოდა და არც ყოფნიდა ამიერკავკასიას. ასეთ შემთხვევაში პეტერბურგი თხოულობდა თბილისიდან ცნობას იმის შესახებ, თუ დაახლოებით რამდენი უნდა მოჭრილიყო პეტერბურგის ზარაფხანაში ზემოხსენებული ახალნაირი — 83⅓ — სინჯის ორაბაზიანები და აბაზიანები ყოველწლიურად და გაგზავნილიყო ამიერკავკასიაში ტრიალისათვის.

ეს წამოწყება ჩაიშალა. ცარიზმმა მეოთხე ათეული წლების დასაწყისისათვის, განსაკუთრებით სენატორების — მ ე ჩ ნ ი კ ო ვ ი ს და კ უ ტ ა ი ს ო ვ ი ს — მიერ ჩატარებული ამიერკავკასიის რევიზიის შემდეგ, მნიშვნელოვნად შეატრიალა როგორც მთელი ეკონომიკური, ისე კერძოდ ფინანსური პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

7. 1804 — 1834 წწ. მოჭრილი ფულის ნიშნები და რაოდენობა

როგორც უკვე ზემოთქმულიდან ჩანს, 1804 წელს თბილისში გახსნილი ზარაფხანა[1] ჭრიდა როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის მონეტებსაც.

[1] თბილისის ზარაფხანის საზეიმო გახსნა მოხდა 1804 წლის 15 სექტემბერს. ამ ზარაფხანაში უწინარეს ყოვლისა ზეიმის დღისთვის მოჭრილ იქნა მედალი. მედალის 1 გვერდზე დახატულია ორთავიანი არწივი, რომელიც მიფრინავს; მას გულზე ჰკიდია ფარი ალექსანდრე პირველის ინიციალით, ხოლო კლანჭებში უჭირავს ოქროს ვერძი და ეშვება ძირს დედა-

სპილენძის მონეტები აქ იჭრებოდა მხოლოდ 1804—1810 წლების განმავლობაში. იჭრებოდა სულ სამი სახის მონეტა: 1. „ე ქართული ფული“ ანუ „ერთფულიანი“, რომელიც არსებული კურსის მიხედვით უდრიდა რუსულ ½ კაპიკს; 2. „ი ქართული ფული“ ანუ „ორფულიანი“, უდრიდა 1 კაპიკს; 3. „კ ქართული ფული“ ანუ „ბისტი“, უდრიდა 2 კაპიკს.

1810 წელს შეწყდა თბილისის ზარაფხანაში სპილენძის მონეტების ჭედვა. სულ მოიჭრა აქ 8311 მანეთის სპილენძის ფული, ამაში შედიოდა „ე ქართული ფული“ 94 მან. და 13½ კაპიკისა; „ი ქართული ფული“ — 992 მან. და 10 კაპ., ხოლო „კ ქართული ფული“ 7.224 მან. და 66 კაპიკის რაოდენობით. იმის შესახებ, თუ წონის მიხედვით რა რაოდენობის სპილენძი იქნა გადამუშავებული მონეტებად და რომელი მონეტა რა რაოდენობით იჭრებოდა წლების მიხედვით, წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი[1] (იხ. გვ. 58).

ვერცხლის მონეტები იჭრებოდა ზარაფხანის მოქმედების მთელი დროის, სახელდობრ 1804 — 1834 წწ. განმავლობაში. იჭრებოდა სულ სამი სახის ვერცხლის მონეტა: 1. „რ ქართული თეთრი“ ანუ ორშაურიანი, რომელიც რუსული ფულის მიხედვით უდრიდა 10 კაპიკს და შეიცავდა 10 „ი ქართულ ფულს“ ანუ 5 „კ ქართულ ფულს“; 2. „ს ქართული თეთრი“ ანუ აბაზიანი, უდრიდა 20 კაპიკს და შეი-

---

მიწის სფეროზე, რომელზედაც აწერია: „Иберия“ და „Колхида“. არწივსა და მის ზემოთ გამოყვანილ ვარსკვლავთა ჯგუფის გარშემო წერია „Похищенное возвращает“. მედალის მეორე გვერდზე ეკითხულობთ „Тифлисскій монетн. двор открыт 15 сентября 1804“ (იხ. М. Баратаев, „Нумизматические факты Грузинского царства“, 1844 Спб., отд. IV. стр. 21-22). მიხ. ბარათაევი (ბარათაშვილი) თავისი დროის ცნობილი ნუმიზმატი, ანტიკვარი და არქეოლოგი იყო. იგი დამაარსებელთაგანია რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოებისა; იყო აგრეთვე წევრი კავკასიის სტატისტიკური კომიტეტისა და ჩრდილოეთის ანტიკვარიის დანიის საზოგადოებისა. მ. ბარათაევი 1839 — 1842 წწ. იყო საქართველოს საოკრუგო საბაჟოს მმართველი. მერმე კვლავ რუსეთში ცხოვრობდა (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1948 წ. № 28, ს. ცაიშვილის სტატია).

[1] იხ. Вел. кн. Георгий Михайлович, l. c., отд. II, 45.

თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი სპილენძის ფულის რაოდენობა[1]

თ ა რ ი ღ ე ბ ი	ზარაფხანაში შემოვიდა სპილენძი			მიღებული სპილენძიდან მოჭრილი იქნა მონეტები						ს უ ლ	
	წ ო ნ ა			„ე ქართ. ფ."		„ი ქართ. ფ."		„კ ქართ. ფ."			
	ფუთი	გირვ.	მისხ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1805 წ. 10 მარტიდან 1806 წ. 1 იან-დე	22	24		18	45	29	94	26	—	74	39
1806 წელს	72	7	72	62	61	338	66	490	94	892	21
1808 წელს	43	14	25	13	7½	121	50	409	72	544	29½
1810 წელს	619	4	34	—	—	502	—	6.298	—	6.800	—
ს უ ლ	757	10	35	94	13½	994	10	7.224	66	8.310	89½

[1] სპილენძის ფულები ზარაფხანიდან თავდაპირველად მიდიოდა: 1. საქართველოს მთავარმართებლის ხაზინაში; 2. სახაზინო ექსპედიციაში და 3. სააღმშენებლო კომიტეტში. ზარაფხანაში მიღებული სპილენძის მთელი რაოდენობა არ ყოფილა მოჭრილი ფულად; 300 ფუთამდე სპილენძი აქედან გაიყიდა თბილისელ მესპილენძეებზე, რომლებიც მისგან სხვადასხვაგვარ საოჯახო ჭურჭლეულს აკეთებდნენ. 1805 — 1807 წწ. მოჭრილი სპილენძის მონეტები მიმოქცევაში არ გასულა.

ცავდა 2 „რ ქართულ თეთრს“ ანუ 20 „ი ქართულ ფულს“, და 3. „უ ქართული თეთრი“ ანუ ორაბაზიანი, უდრიდა 40 კაპიკს და შეიცავდა 2 „ს ქართულ თეთრს“ ანუ 4 „რ ქართულ თეთრს“, ან კიდევ 40 „ი ქართულ ფულს“.

აქვე უნდა ითქვას, რომ უკვე მე-18 საუკუნიდან „აბაზი“, როგორც სახელწოდება, მიისაკუთრა ჩვენში რუსულმა 20 კაპიკიანმა და ეს მოხდა იმიტომ, რომ მე-18 საუკუნიდანვე არსებული კურსის მიხედვით რუსული ვერცხლის ერთმანეთიანი უდრიდა ქართულ 5 აბაზს[1]. თეიმურაზ ბატონიშვილიც აღნიშნავს[2]: „ხუთი აბაზი ერთს რუბლად ითვლებოდა ანუ ერთს მინალთუნადო“[3].

როგორც ვხედავთ ცარიზმის ხელისუფლებამ მე-19 საუკუნეში თბილისში ქართული ფულის მოჭრა დაიწყო ძველი ქართული ფულის სისტემის შესაბამისად, ე. ი. რუსული ჭედის ქართული ფულიც კვარტალური სისტემით იჭრებოდა. ვერცხლისა: შაურიანი, ორშაურიანი, აბაზიანი, ორაბაზიანი; სპილენძისა: ერთფულიანი, ორფულიანი, ოთხფულიანი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სწორედ ასეთივე თანმიმდევრობა (1 : 2 : 4 : 8) ახასიათებდა ჯერ კიდევ ჩვ. წელთაღრიცხვამდე მე-6—2 საუკუნეებში მოჭრილ ქართულ მონეტებს, სახელდობრ კოლხურ თეთრებს: ნახევარდრაქმა, დრაქმა, დიდრაქმა, ტეტრადრაქმა.

ქვემოთ მოგვყავს „ქართული ფულის ანგარიში“ ერთი საცნობარო კრებულიდან, რომელიც შედგენილია მე-18 საუკუნეში „სამდივნო წიგნის“ სახელწოდებით:[4]

ე — ერთი ფული
ი — ორი ფული
კ — ერთი ბისტი
ლ — ექვსი ფული

---

[1] И. Гильденштедт, I. с. 264.

[2] თეიმურაზ ბატონიშვილი, დასახ. სტატია, „საისტ. მოამბე“, ტ. I. გვ. 34.

[3] მინალთუნს „ხუთ აბაზიანსაც“ უწოდებდნენ (იხ. იოანე ბატონიშვილი, „ქალმასობა“, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1936, ტფ. 186.).

[4] იხ. ე. თაყაიშვილი „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი“, 1933, პარიზი, გვ. 58—59.

მ — ორი ბისტი
ნ — ერთი შაური
ნი — სამი ბისტი
ო — თოთხმეტი ფული
პ — ოთხი ბისტი
ჟ — თვრამეტი ფული
რ — ორი შაური
ს — ერთი აბაზი
ტ — ექვსი შაური
უ — ორი აბაზი
ფ — ათი შაური
ქ — სამი აბაზი
ღ — თოთხმეტი შაური
ყ — ოთხი აბაზი
შ — თვრამეტი შაური
ჩ — ერთი მინალთუნი
ც — ორი „
ძ — სამი
წ — ოთხი
ჭ — ხუთი
ხ — ექვსი
ჯ — შვიდი
ჰ — რვა
ჱ — ცხრა „
ჲ — ერთი თუმანი

1804 — 1834 წწ. თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლის მონეტების ზედაწერილი ა ვ ე რ ს ზ ე: ქვემოთ ქართული ასოებით — მოჭრის თარიღი და რუსული ასოებით მინცმეისტერის ინიციალები, ხოლო ზემოთ გამოყვანილია: ორაბაზიანზე „უ ქართული თეთრი“, აბაზიანზე — „ს ქართული თეთრი“, ორშაურიანზე — „რ ქართული თეთრი“. რ ე ვ ე რ ს ზ ე: ზემოთ — ქალაქ თბილისის ღერბი (გვირგვინი), ქვემოთ — „ტფილისი“, სულ ქვემოთ ორი გადაჯვარედინებული შტო.

თბილისის ამ ზარაფხანამ მთელი თავისი არსებობის განმავლობაში გამოუშვა 1.060.714 მანეთის ვერცხლის ზემოდასახელებული მონეტები; ამათში „უ ქართული თეთრი“, ე. ი. ორაბაზიანი 1.018.801 მან. და 20 კაპიკისა; „ს ქართული თეთრი“ ანუ ერთაბაზიანი 37.159 მან. და 20 კაპ.; ხოლო „რ ქართული თეთრი“ ანუ ორშაურიანი 4.753 მან. და 30 კაპიკისა. ამ თანხის ცალკე წლების მიხედვით გამოშვების სურათს გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. გვ. 61).

8. ადგილობრივი ხანებისა და თურქულ-ირანული ფულები

აღმოსავლეთ საქართველოში და ამასთანავე იმდროინდელ ამიერკავკასიაში, გარდა ჰოლანდური ჩერვონცებისა, რუსული ვერცხლის მანეთიანებისა და ქართული, როგორც ძველად, მეფეების დროს მოჭრილი, ისე 1804—1834 წწ. მოჭრილი

თ ა რ ი ღ ე ბ ი	„უ ქართ. თეთრი“ (ორ-აბაზიანი)		„ს ქართ. თეთრი“ (აბაზ.)		„რ ქართ. თეთრი“ (ორშაურიანი)		ს უ ლ	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1804 წ. 15 IX-დან 1805 წლის 30 V-მდე	2.625	—	—	—	—	—	2.625	—
1805 წ. 30 V-დან 1806 წ. 1 იან.-მდე	10.555	60	3.724	60	409	—	14.686	66
1806 წელს	16.608	—	4.625	—	107	—	21.351	—
1807 „	28.472	40	1.850	80	8	—	30.331	20
1808	27.895	20	2.735	60	—	—	30.630	80
1809	33.459	20	3.347	80	—	—	37.806	40
1810	8.182	40	859	80	39	80	9.082	—
1811	1.842	—	167	40	—	—	2.009	40
1812	23.488	—	1.715	20	70	—	25.273	20
1813	19.118	80	1.362	20	127	90	20.608	90
1814 „	8.017	40	578	20	—	—	8.595	60
1815 „	8.209	60	655	80	—	—	8.865	40
1816 „	11.977	20	1.031	—	—	—	13.008	20
1817 „	19.616	80	1.375	40	—	—	20.992	20
1818 „	33.864	80	1.689	40	—	—	35.554	40
1819 „	42.071	40	2.085	80	—	—	44.157	20
1820 „	44.729	20	2.455	20	—	—	47.184	40
1821 „	30.186	40	2.729	40	375	90	33.289	70
1822 „	9.695	60	973	60	94	—	10.731	20
1823 „	15.634	—	1.041	20	377	—	17.052	20
1824 „	12.948	80	1.098	20	396	20	14.443	20
1825 „	—	—	—	—	—	—	—	—
1826 „	30.057	60	1.087	06	512	70	31.657	90
1827 „	68.902	80	—	—	680	60	69.583	40
1828 „	50.202	40	—	—	1.363	—	51.565	40
1829 „	85.202	40	—	—	194	20	85.396	60
1830 „	109.387	20	—	—	—	—	109.387	20
1831 „	135.132	80	—	—	—	—	135.132	80
1832 „	85.918	—	—	—	—	—	83.918	—
1833 „	42.384	20	—	—	—	—	42.384	20
1834 „	3.420	—	—	—	—	—	3.420	—
ჯ ა მ ი	1.018.801	20	37.159	20	4.753	30	1.060.713	70

ვერცხლის მონეტებისა, რომლებიც ყველა სხვა ადგილობრივ ფულზე უფრო მეტად იყო გავრცელებული, მიმოიქცეოდა აგრეთვე ირანული და თურქული ფულის ნიშნები და ამიერკავკასიის სხვადასხვა სახანოებში მოჭრილი მონეტებიც.

1812 წ. შეკრებილი ცნობების მიხედვით ასეთები იყო: 1. ყუბის ხანის მიერ მოჭრილი აბაზიანები, ვერცხლის მონეტა, 66 სინჯისა; 2. დერბენტის ხანის მონეტა, აბაზიანები, რომლებიც მე-19 საუკუნის დამდეგამდე კურსით უდრიდა რუსულ 10 კაპიკს, ე. ი. ვერცხლის მანეთიანი ხურდავდებოდა 10 ცალ დერბენტის აბაზიანზე, 1818 წელს კი—12—13 ცალზე. 1811 წელს თბილისის ზარაფხანამ დააწესა ფასები: ყუბის აბაზიანზე $9^1/_4$ კაპიკი, შემახიის ხანის აბაზიანზე — $6^3/_4$ კაპიკი; ხოლო დერბენტის აბაზიანზე — $10^1/_4$ კაპიკი ვერცხლით. ამათ გარდა მიმოქცევაში იყო აგრეთვე ბაქოს, შაქის, შირვანის, განჯის, ნუხის და სხვ. ხანების აბაზიანები[1]. ამ მრავალაბაზიანობის გავრცელებას ისიც უწყობდა ხელს, რომ რუსეთის ვასალურ დამოკიდებულებაში შესულ, მაგალითად, შირვანის, ნუხის, ყარაბაღის ხანებს რუსეთთან დადებული ტრაქტატით ნება ჰქონდათ მინიჭებული საკუთარი ფულები მოეჭრათ. უკვე მე-19 საუკუნის მეორე ათეული წლების დასაწყისიდანვე ამიერკავკასიაში რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა შეენელებია ფრიად მრავალგვარ საფუძვლებზე დამყარებული და თანაც დაბალი ღირსების ე. წ. „აზიური აბაზიანების“ მიმოქცევა, მაგრამ ეს არც ისე ადვილად მისაღწევი ამოცანა იყო.

ჯერ კიდევ 1811 წლის გასულს საქართველოს უზენაესი მთავრობის სახაზინო ექსპედიციის მიერ წამოყენებულ იქნა

[1] ОРВЗК, I, 263. 1810 წ. ცნობით ბაქოსა და დერბენტში ტრიალებდა უმთავრესად შირვანის, შაქის და ყარაბაღის ხანების მიერ მოჭრილი ფულები. დერბენტის ხანის ზარაფხანა 1806 წელს რუსის გენ. ლეიტ. გლაზენაპმა იჯარით გასცა, 4 წლის ვადით, დერბენტელ მაიორ ალფანაბეკოვზე; უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ჭრიდა ხანის სახელით მონეტებს, რითაც ამარაგებდა მახლობლად დაბანაკებულ რუსის ჯარს (იხ. საქ. ცენტრ. საარქივო სამმართველო, ფონდი 5ა КЭВГП, 1818 წ. საქმე № 243 ფურც. 5, 6, 10, 12-16).

იდეა, რომ ეს აზიური აბაზიანები ხაზინას მიეღო არა ნომინალური, არამედ ნამდვილი ღირებულების მიხედვით — ვერცხლის წონით. მაგრამ მაშინდელი მთავარსარდალი მარკიზ პაულუჩი ამის წინააღმდეგ წავიდა, რადგან „კერძო პირები ამით იზარალებენ და ჩათვლიან [მთავრობის] ასეთ მოქმედებას არასამართლიანადო“. მაგრამ თავისთავად ამ მონეტებს, დაბალი ღირსების გამო, სხვადასხვა პროვინციაში სხვადასხვა ფასი ჰქონდა; ცხადია, ამ ნიადაგზე ხაზინასაც არ უნდა მიეღო ზარალი, რისთვისაც პაულუჩი ბრძანებს: „1. ხანების მონეტები, რომლებიც მიიღება სახაზინო შემოსავალში, არ იქნას სხვაგან გადატანილი იმ ადგილიდან, სადაც მათ თავიანთ ფასში აქვთ გასავალი; 2. ხოლო ამის გამო ყველა ამისთანა მონეტი აუცილებლად დახარჯულ უნდა იქნას იმავე ადგილებში, სადაც მიღებულ იქნა შემოსავლის სახით“ სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებთა აკრეფის დროს. ცხადია, ადგილობრივი სამაზრო ხაზინაც ამ დავალებას პირნათლად ასრულებდა; და რომ ადგილზე მიღებული ხანთა მონეტები იქვე გაესაღებიათ, ამისათვის სანამ უკანასკნელი არ გამოილეოდა, ხაზინა არ უშვებდა ხარჯებისათვის რუსული ვერცხლის ფულსა და ჩერვონცებს. ამასთანავე ბეგარა-გამოსაღებთა აკრეფის დროს ცდილობდნენ მიეღოთ უპირატესად რუსული მონეტა. მთავრობა იმ ხანებში ფიქრობდა მეფეების დროს მოჭრილი ქართული აბაზიანების მიმართაც ასეთი პოლიტიკა ეწარმოებია, მაგრამ როცა გამორკვეულ იქნა, რომ ძველი ქართული აბაზიანები ხალხში დიდი ნდობით სარგებლობდა და მაღალი ღირსებისაც იყო, აღნიშნული მოსაზრება მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული.

არა თუ პირველ ათეულ წლებში მე-19 საუკუნისა, შემდეგაც კი მეფეების ქართული აბაზიანები დიდი ნდობით სარგებლობდნენ სახალხო მიმოქცევაში. ასე, მაგალითად, 1842 წ. დასაწყისს სენატორ განისათვის თბილისის მაზრის უფროსის თანაშემწე გლუხოვსკის მიერ წარდგენილ „თბილისის მაზრის სტატისტიკურ მიმოხილვაში“ ვკითხულობთ, რომ

1830-იან წწ. ამიერკავკასიაში მიმოქცევაში იყო შემდეგი სახის მონეტები [1]

დასახელება ადგილობრივი და აზიური წარმომავლობის ნონეტებისა	ფასი მონეტისა კაპიკობით	
	რუს. ვერცხ. ფულზე	რუს. სპილ. ფულზე
1. განჯური (ჯევათხანის) ონშაგი, ორნახევარაბაზიანი	42,5	—
2. თეჰერანული (ბაბახანის) იქიფანაბადი	40,0	—
3. განჯური (ჯევათხანის) ბეშაბაზი ანუ დორთშაგი	17,0	—
4. განჯური (ჯევათხანის) ბეშაგი	21,25	—
5. ნუხური (ისმაილხანის) ფანაბადი ანუ იუჩშაგი	10,0	—
6. ყარაბაღული (იბრაჰიმხანის) ფანაბადი	20,0	—
8. ჩიურუკი ანუ აბაზი (ჯაფარ ყულიხანისა) .	8,0	24,0
8. იზმაილხანის აბაზი .	11,5	36,0
9. ყარაბაღული ფანაბადი: თბილისში	18.0	—
ნუხაში	20,0	—
10. შაქური აბაზი (მამათ ჰასანხანისა)	11,5	36,0
11. შირვანული აბაზი . .	12,0	38,0
12. ირანული საჰიბკრანი (ორფანაბადი):		
თბილისში	36,0	—
ნუხაში	40,0	—
13. შაქური (ჰუსეინხანის) აბაზი .	11,5	36,0
14/20. სხვადასხვა წარმომავლობის შაურიანი ყარაფულები (სპილ.) . .	2,0	6,0
21. ქართული ორშაურიანი (ნახევარაბაზიანი)	10,0	—
22. ქართული ერთაბაზნახევრიანი (მარჩილიანი) .	30,0	—
23. ქართული აბაზიანი	20,0	—

[1] „Горный журнал", 1832 г. ч. I, кн. I, стр, 120.

ამ აბაზიანებს „სიამოვნებით ღებულობენო“ [1]. მაგრამ თვითმპყრობელობამ იმ ხანებში ვერ შესძლო გაედევნა მიმოქცევიდან არა თუ ქართველ მეფეთა მოჭრილი მონეტები, არამედ ხანების მიერ მოჭრილი ფულებიც-კი. აქეთკენ მიმართული ყოველგვარი ღონისძიება მარცხით დამთავრდა; იმპერატორის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს 1832 წ. 7 ივნისის თარიღით გამოტანილი დადგენილება ამბობს: ქართველ მეფეთა და ირანული მონეტები „в Закавказском крае и Грузии оставить в настоящем положении, на основании узаконения 1827 г. об иностранной монете“ [2].

მეოთხე ათეული წლების მიწურულს მთავრობა ყოველი ღონით ცდილობდა რა კოლონიაში ცალკე ნაციონალური ერთეულების წინანდელი დამოუკიდებლობის ნაშთთა მოსპობას, ამასთანავე ცდილობდა „აზიური აბაზიანების“ მიმოქცევიდან გადევნას. მაგრამ ჯერჯერობით მიღებული ეფექტი არც ისე სანუგეშო იყო. ასე, მაგალითად, 1835—1837 წლებში შეკრებილი ცნობების მიხედვით ამიერკავკასიაში კიდევ ტრიალებდა:

1. შირვანის, შექის და ლენქორანის ხანების მიერ მოჭრილი მონეტები, მცირე რაოდენობით;

2. ახალციხის პროვინციაში მიმოქცევაშია სხვადასხვაგვარი თურქული მონეტა, რომელთა დაახლოებითი ჯამი არსებული კურსის მიხედვით გამოანგარიშებული იყო 62.000 მან. რაოდენობით;

3. სომხეთის (ერევნის) ოლქში ტრიალებდა სხვადასხვაგვარი აზიური წარმოშობის მონეტა, რუსულ ფულზე გადაყვანით დაახლოებით 301.000 მან. რაოდენობით;

4. იგივე მონეტები ტრიალებდნენ ყარაბაღის, ტალიშის და სხვ. პროვინციებში 19.000 მანეთამდე რუსული ფულის კურსით.

5. თვით საქართველოში ტრიალებდა ძველი (მეფეების) აბაზიანები და სხვ. მონეტა 72.000 მანეთამდე და განჯის ხა-

---

[1] Арх. ВПКБ, ფონდი К.К., 1842, საქმე № 194, ფურც. 83.

[2] Арх. ВПКБ, საქმე № 14.

ნის ფულები კიდევ 2500 მანეთამდე. ამას გარდა ძველი ქართული აბაზიანები საქართველოს ფარგლებს გარეთაც მნიშვნელოვანი ზომით იყო გავრცელებული. ასე რომ მთელ ამიერკავკასიაში რუსული ფულის კურსის მიხედვით ამ დროს ტრიალში იყო დაახლოებით 500.000 მანეთის ვერცხლისა და სპილენძის ფული „აზიური წარმოშობისა", რომელშიაც 1804—1834 წწ. მოჭრილი ქართული ფულები არ შედის.

სახელდობრ იმის შესახებ, თუ რომელ პროვინციაში რა ფულები ტრიალებდა, იმავე 1835—36 წლებში დაგროვილი ცნობებიდან ვგებულობთ შემდეგს:

1. შირვანში, გარდა ჰოლანდური ჩერვონცებისა, რუსული ვერცხლისა და სპილენძის მონეტებისა, რომლებიც მეტნაკლები ზომით ყველა პროვინციაში მიმოიქცეოდა, იდეალურ მონეტად ითვლებოდა ირანული თუმანი (tuman) და მინალთუნი (minaltun). თუმანი უდრიდა შირვანულ 10 მანეთს (მინალთუნს) ან 2 ჰოლანდურ ჩერვონეცს. უკანასკნელი ხურდავდებოდა შირვანულ 5 მინალთუნზე (მანეთზე). მინალთუნი შეიცავდა შირვანულ 5 აბაზს. რუსული ვერცხლის ფულის კურსზე კი 1 ჰოლანდური ჩერვონეცი უდრიდა 3 მანეთს; $1^2/_3$ მინალთუნი ანუ 8⅓ შირვანული აბაზი — 1 მანეთს; ამგვარად, შირვანული 1 აბაზი შეიცავდა რუსულ 12 კაპიკს. „ხალხი მეტად ეტანება რუსულ ფულებს, მაგრამ არ შეიძლება უპირატესობას არ აძლევდეს შირვანულს, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსული ჭედის ვერცხლის ნაშალი ფული თითქმის არ არის მიმოქცევაშიო[1]",— ვკითხულობთ ოფიციალურ გამოცემაში.

2. შექის პროვინციაში ტრიალებდა ჩიურიუკები (çeyrek?) შექის ხანისა და შირვანული აბაზები, აგრეთვე — ყარაბაღული ფენაბადები (phenabàd) და ირანული საჰიბკირანები (sahibqьran). ჩიურიუკი შეიცავდა შექისხანისავე სპილენძის ოთხ კარაფულს (qarapul). ჩიურიუკი ფასობდა 8 კაპ. რუს. ვერცხ. ფულზე. ქ. ნუხაში შექური აბაზები ჰუსეინ-ხან მაჰმედ-ასან-ხანისა და ის-

[1] ОРВЗК., III, 1836, СПБ. 134—135.

მ ა ი ლ-ხ ა ნ ი ს ა უდრიდა 11½ კაპ. რ. ვ.; ყარაბაღული ფენაბადი — 20 კაპ.; ირანული საჰიბკირანი — 40 კაპ., რუსული 1 მან. ვერცხლისა უდრიდა 12½ ჩიურიუკს. „ქართული ფულები ტრიალებენ მხოლოდ ქ. ნუხაში; ისინი, ისე როგორც ჰოლანდური ჩერვონცები, მსახურებენ ირანთან ვაჭრობისათვის“ [1].

3. ყ ა რ ა ბ ა ღ ი ს პ რ ო ვ ი ნ ც ი ა ში, განსაკუთრებით ქ. შუშაში ტრიალებდა ყარაბაღული ფენაბადები (penabad, რუს. წყაროებში: пенагбат) და სპილენძის იარიმშაჰები (iarьmsah; iarьm — ნახევარი); აგრეთვე ქართული, შექური, განჯური აბაზები, ირანული თუმანები (tuman) და რეალები (rial).

4. ტ ა ლ ი შ ის პ რ ო ვ ი ნ ც ი ა ში: ირანული თუმნები (ოქროს მონეტა), ვერცხლის რეალები, საჰიბკირანები (რუს. წყ. сагибкиран) და ფენაბადები (phenabad). ქ. ლენქორანის ხაზინაში ოფიციალური კურსით რუს. ვერცხ. ფულზე მიიღებოდა: თუმანი — 4 მანეთად, რეალი — 45⅞ კაპ., საჰიბკირანი — 35½ კაპ., ფენაბადი — 17½ კაპ.; სახალხო მიმოქცევაში კი მათ მნიშვნელოვნად მეტი კურსი ჰქონდათ.

5. ბ ა ქ ოს პ რ ო ვ ი ნ ც ი ა ში: შირვანული — თ ე მ ი რ ხ ა ნ ი ს ა და მ უ ს ტ ა ფ ა ხ ა ნ ი ს — აბაზები; რაც უდრიდა 8 კაპ. რუს. ვერ. და შეიცავდა ½ მისხალ წმ. ვერცხლს; აგრეთვე ნ უ ხ ი ს, ყ უ ბ ი ს და ბ ა ქ ოს ხ ა ნ ი ს ა ბ ა ზ ე ბ ი. პირველი ორი ფასობდა 16 კაპ., ხოლო უკანასკნელი — 20 კაპ. ასიგნაციები მხოლოდ ქ. ბაქოში მიიღებოდა ვაჭართა მიერ. 1835 წ. ასმანეთიანი ასიგნაციის კურსი უდრიდა 27 მან. ვერცხ. [2].

6. ე რ ე ვ ნ ის პ რ ო ვ ი ნ ც ი ა ში: ბ ა ჯ ა ღ ლ ო (ჰოლანდ. ჩერვ.), რომელიც უდრიდა 16 ქართულ აბაზს ან 8 ირანულ მ ი ნ ა ლ თ უ ნ ს (minaltun — ათასი ოქრო); ირანული თუ-

[1] ОРВЗК., III, СПБ. 391—392. უნდა შევნიშნო, რომ თურქულ-ირანული და აზერბაიჯანული სახანოების ფულების სახელები მეტისმეტად დამახინჯებულადაა შესული იმდროინდელ რუსულ საარქივო მასალებსა და ლიტერატურაში. ასე რომ, მიუხედავად იმ დახმარებისა, რაც გამიწიეს დოც. თ. ლ ო მ ო ურ მ ა, დოც. ს. ჯ ი ქ ი ა მ და პროფ. დ. კ ო ბ ი ძ ე მ, ამ სახელების სისწორით დადგენის მხრივ მაინც არ მიმაჩნია თავი დაზღვეულად.

[2] ОРВЗК. IV, 78—79.

მანი (tumən) — 20 ქართ. აბაზს; თურქული დარულ-ხლიახფა (? რუს. წყ. дарульхлыахфа) — 1 მან. 34 კაპ.; სამგვარი მაჰმუდი (mahmudiye — სულთან მაჰმუდ II დროის ოქროს ფულები) — 4, 2 და 1 მან. ვერცხლით; ორგვარი რუბი (rubi — არაბ. მეოთხედი) — 50 და 30 კაპ. ვერცხ. ქართული აბაზი — ½ მინალთუნს ან ირანულ 10 თანგს (thenge); ყარაბაღული ფენაბადი (phenabad) — ქართულ აბაზს; ირანული საჰიბკირანი (sahibqıran) — 2 აბაზს ქ. ვ.; ფული (pul) — 10 კაპ. ვ.; ფარა — დაახლოებით 1 კაპ. ვ.; ერევანში სერდარის დროს მოჭრილი სპილენძის 4 კარა-ფული (qarapul) უდრიდა 6 კაპ.[1]

7. ნახჭევანის პროვინციაში ტრიალებული თურ-ქულ-ირანული ფულების შეფარდება რუს. ვერცხ. ფულზე: თურქული ოქროს ფულები: მაჰმუდი (mahmudiye) — 4 მან.; ½ მაჰმუდი — 2 მან., დარულხლარ (?) — 1 მან. 40 კაპ.; რუბი № 1 — 1 მან.; რუბი № 2 — 50 კაპ.; სტამბული (Jstanbul) № 1 — 1 მან. 60 კაპ., სტამბული №2 — 80 კაპ.; № 3 — 40 კაპ.; თურქული ვერცხლის ფულები: საქსანლუყი (saksənlik) — 1 მან.; იუზლუყი (iysluk) — 80 კაპ.; კილიკი — 60 კაპ.; სენჯერ-ლუ-ყურუშ — 20 კაპ.; ჩინჭლაგ-ყურუშ — 20 კაპ.; ყურუში — 20 კაპ.; სპილენძის 1 ფარა — 1 კაპიკს. ირანული ოქროს ფულები: თუმანი (tumən) — 4 მან.; იარიმთუმანი (iarım — ნახევარი) — 2 მან.; ვერცხლსა: საჰიბკირანი — 40 კაპ.; ფენაბადი (რუს. წყ. пенагабат) — 20 კაპ.; იარიმ-ფენაბად — 10 კაპ.; სპილენძისა: იარიმ-შაჰ — 3 კაპ.; ფარა — 1 კაპიკს.

8. განჯის პროვინციაში: ჯევათხანის მანეთიანები ანუ ბეშაბაზები — 71 კაპ. ვ.; ონშაჰი — 42 კაპ.; ბეშ-შაჰი — 21 კაპ.; განჯის ხანის აბაზი — 17 კაპ.; ირანული საჰიბკირანი; ყარაბაღული ფენაბადი (phenabad); ნუხური აბაზი — 10 კაპ.; შემახური ანუ თემირ-შაჰის ფენაბადი — 15 კაპ.; ქართული აბაზიანები[2].

[1] ОРВЗК. IV, 287—288.
[2] ОРВЗК., 1836 г. II, 401.

9. აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც სოფლად ისე ქალაქად, ვერცხლის ნაშალი ფულის სახით ამ დროს საერთოდ გაბატონებული იყო 1804—1834 წწ. მოჭრილი ქართული თეთრი, განსაკუთრებით აბაზიანები და ორაბაზიანები. მნიშვნელოვანი ზომით იყო მიმოქცევაში შემოსული რუსული ვერცხლის ფული; ტრიალებდა აგრეთვე იმერული (?) და ირანული ხურდა ფული. მაგრამ წარმოშობის მხრივ ფრიად მრავალგვარი ფულის ნიშნების მიმოქცევით ამ დროს (1835—1836 წწ.) განსაკუთრებით განირჩეოდა წინანდელი სამცხე-საათაბაგო ანუ ახალციხის ყოფილი საფაშო, რომელიც შემოერთებულ იქნა 1828 წელს[1]. ქ. ახალციხე, როგორც ჯერ კიდევ მის განთავისუფლებამდე მეფის გენერლები არწმუნებდნენ პეტერბურგს, იყო „მთელ მცირე აზიაში უდიდესი სავაჭრო ქალაქი“, მაგრამ 1828/29 წწ. ომისა და შემოსევების გამო დიდად დაზარალდა. მიუხედავად ამისა, აქ ისევ მალე დაიწყო მესარეწეობის აღორძინება. 1835 წ. რუსი მოხელეები უკვე წერენ, რომ „კურსი და ღირსება ახალციხის საფაშოში ტრიალებული მონეტებისა, — მათი რთული და დიდი დანაწევრებისა და აგრეთვე დაბალი და არაერთგვარი სინჯის გამოისობით, — იწვევს რუსულ ფულზე გაანგარიშების დროს ხშირ შეუფარდებლობას და ვაჭრობის მნიშვნელოვანად შეფერხებასო“[2]; აქედანვე ვგებულობთ, რომ 1830 — 1835 წწ., ე. ი. შემოერთებიდან 5 წლის განმავლობაში, ახალციხის პროვინციაში ტრიალებული თურქული მონეტების კურსი 37%-ით დაეცა ქართულ და რუსულ ვერცხლის ფულთან შეფარდებით.

საერთოდ ახალციხის მაზრაში ტრიალებული აზიური წარმოშობის მონეტების კურსის წარმოდგენას 1835 წელს რუსული და ქართული თეთრის მიხედვით იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი: (იხ. გვ. 71).

რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ 1842 წ. შედგენილ „ახალციხის სტატისტიკურ მიმოხილვაში“ ნათქვამია, რომ აქ

[1] ОРВЗК., 1836 г. I, 262—263.

[2] ОРВЗК., IV, 240.

გარდა ქართული და რუსული მონეტებისა მიმოქცევაშია თურქული ფულები: 1. ოქროსი: ეგირმირლინი, რაც უდრის 25½ ბაღდადურს, ფინდიხი — 48 ბაღდადურს, სტამბული (Jstambul) — 35, მისირი (misir — ეგვიპტე) — 28, რუბი (rubi)—12, დოხსანლიკი — 8½, მაჰმუდი (mahmudiye) — 36 და გაზაეგირმირლინი — 29 ბაღდადურს. 2. ვერცხლისა: იუზლუკი (iuzluk), რომელიც უდრის 17 ფარას, ბაღდადური ენიბეშლიკი — 3½, ბეშლიკი (beslik) — 6, ბაღდადური — 10 ფარას, ხოლო თვით ბირფარა (სპილენძის მონეტა) უდრის ½ კაპ., ე. ი. ქართულ 1 ფულს. 1 მანეთიანი ვერცხლი უდრიდა 22 ბაღდადურს[1].

იმის გასაგებად, თუ როგორი მეთოდებით ხდებოდა მიმოქცევიდან ე. წ. აზიური ფულების გამოდევნა, საკმარისია გავეცნოთ ზოგიერთ მასალას მხოლოდ ერთ საჰიბკირანების მიმოქცევის ისტორიიდან. როგორც უკვე განხილული მასალებიდან ჩანს, იგი მიმოქცევაში იყო ერევნისა და ნახჭევანის მაზრებში. 1843 წელს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი საქართველოს მთავარმართებლის მოხსენების თანახმად ამ დროს (1842/3 წწ.) საქართველო-იმერეთის გუბერნიის, ერევნისა და ნახჭევანის მაზრებში მიმოიქცეოდა როგორც ძველი, ისე ახალი ჭედის საჰიბკირანები. ძველი ჭედის საჰიბკირანის კურსი ერევნის ხაზინაში მიღებისას და სახალხო მიმოქცევაშიც უდრიდა 30½ კაპიკს; ხოლო ნახჭევანის ხაზინას ნაბრძანები ჰქონდა მისი მიღება მხოლოდ 30 კაპიკად. რაც შეეხება ახალი ჭედის საჰიბკირანებს, ადმინისტრაციის ბრძანებით მათი მიღება აკრძალული ჰქონდა როგორც ერევნის, ისე ნახჭევანის ხაზინასაც; სახალხო მიმოქცევაში კი იგი გადიოდა 30 კაპიკად. იმავე 1843 წელს ს.-პეტერბურგის ზარაფხანის მიერ გასინჯულ იქნა საჰიბკირანების ღირსება და გამოირკვა, რომ როგორც ახალი ჭედის, ისე ძველისაც შეიცავს 1 მისხალსა და 20 წილს (долей) წმინდა ვერცხლისა, რაც რუსული სისტემის საზღვ-

[1] ЛОЦИА, АВПКБ., 1842 г. д. № 246, л. л. 73—74.

აზიური მონეტების დასახელება	ფასობა (კურსი) 1835 წელს			
	ყურუ-ზეები	ფარებში	რუსული ვერცხლი	
			მან.	კაპ.
ვერცხლის მონეტები				
80 ფარიანი .	4	—	—	25
ბეშლიყი (beslik) .	6	—	—	37 1/2
1/2 ბეშლიყიანი .	3	—	—	18 3/4
ელილიქი .	1	10	—	08
1/2 ელილიქიანი .	—	25	—	04
ალთმიშლიყი .	2	30	—	18
ნახევარალთმიშლიყიანი .	1	15	—	09
ბაღდადი .	—	36	—	06
ყურუში (kurus) .	—	40	—	06 1/4
ოქროს მონეტები				
ყაზიხანი	48	—	3	—
ნახევარყაზიხანი .	24	—	1	50
მეოთხედი ყაზიხანი .	12	—	—	75
მაჰმუდი (mahmudye)	64	—	4	—
ნახევარმაჰმუდი	32	—	2	—
მეოთხედი მაჰმუდი	16	—	1	—
მაჰმუდი სხვანაირი სინჯისა . .	28	—	1	75
მეჟუსიე იაზილი	18	—	1	12 1/2
ნახევარმეჟუსიე	9	—	—	56 1/4
მეჟუსიე, სხვანაირი სინჯისა .	16	2	1	03
მისი ნახევარი	8	10	—	51 1/2
მისი მეოთხედი	4	5	—	25 3/4
მისირ დოკუნზლუკ (misir dokunzluk)	9	—	—	56 1/2
ფინდიხ რუბი	9	10	—	58 1/2

რითი ფასით უდრიდა 28½ კაპიკს. ამგვარად, გამოირკვა რომ ეს მონეტები მიმოქცევაში იყო თავის შინაგან ღირებულებაზე 1½—2 კაპ. მეტად ვერცხლის რუსულ მონეტთან შედარებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, რაკი ეს მონეტები „ადგილობრივი ხაზინებიდან არ იგზავნება რუსეთში, ხოლო ადგილზე ხაზინის მიერ იხარჯება მიღებისავე ფასებში, რის გამოც არ შეიძლება რაიმე ზარალი მოუტანოს ხაზინას“ [1], ამიტომ ფინანსთა სამინისტრომ შესაძლებლად სცნო „დატოვებულ იქნას ეს საქმე დღევანდელ მდგომარეობაში, რადგან ხალხი მას მიეჩვია და ამ შემთხვევაში არ ჩანს განსაკუთრებული და მაიძულებელი საჭიროება შევეხოთ ამჟამად ხალხის ჩვეულებასო“ [2].

მას შემდეგ რაც ფინანსთა სამინისტროს (ვრონჩენკოს) ეს მოსაზრებანი სახელმძღვანელოდ ეცნობა საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატას, უკანასკნელი 1844 წლის აპრილის თარიღით მიმართვაში ფინანსთა სამინისტროს ატყობინებს, რომ ერევნისა და ნახჭევანის მაზრის მცხოვრებთ ადგილობრივ ხაზინებში ბეგარა-გამოსაღებთა დასაფარავად შეაქვთ უმეტესად ირანული საჰიბკირანები, რომელზედაც წინასწარ განგებ ახურდავებენ ამ მიზნით რუსულ მონეტებს, ხოლო უკანასკნელს დიდის სარფით ასაღებენ საზღვარგარეთ. ამ მიზეზით ორივე ხაზინაში მეტისმეტად დაგროვდა საჰიბკირანები, ხოლო ადგილობრივი მოხელეები ღებულობენ რა ჯამაგირს საჰიბკირანებით, დიდად ზარალობენ როდესაც, ფულის სხვაგან გაგზავნის შემთხვევაში, უხდებათ მათი გადახურდავება რუსულ მონეტებზე. ამის შემდეგ საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატა ნებართვას თხოვს, რათა ხაზინა საჰიბკირანებს მოსახლეობიდან ღებულობდეს მხოლოდ 28½ კაპიკად.

ამავე დროს სახაზინო პალატის მიერ მდგომარეობის შესწავლამ გამოარკვია, რომ განსაკუთრებით ერევნის მაზრაში „მნიშვნელოვანი ზომით იყო მიმოქცევაში“ რუსული მონე-

[1] АВПКВ, 1842 г., д. № 246. л. л. 73—74.
[2] ЛОЦИА, ф. К. К. 1843 г. д. № 431, л. л. 29—35.

ტები, რომელსაც მოსახლეობიდან ბეგარების სახით ღებულობდნენ მამასახლისები; მერე კი, თავის მხრივ, მამასახლისები, პირადი სარგებლობის მიზნით, თურმე ამ რუსულ ფულს ახურდავებდნენ საჰიბკირანებზე, რათა ეს უკანასკნელი შეეტანათ ხაზინაში, ხოლო რუსული ფული გაეტანათ საზღვარგარეთ. რაც შეეხება კურსს საჰიბკირანებისა, იგი ამ მხრივაც არ ყოფილა სტაბილური და საერთოდაც „შინაგანი ღირსება ირანული მონეტებისა ისე გაურკვეველია, რომ როგორც უნდა იქნეს განსაზღვრული საჰიბკირანების კურსი“, მაინც ადვილად შეიძლება მისგან ხაზინამ იზარალოს. მიუხედავად ამისა, მთავრობამ (კ ა ნ კ რ ი ნ მ ა) უხერხულად სცნო მოსახლეობაში ესოდენ გავრცელებული მონეტების მიღებაზე სავსებით უარის თქმა; და, ამის შემდეგ, ადგილობრივ ხაზინებს ებრძანა ირანული საჰიბკირანები მიეღოთ მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ხაზინას შეეძლო ადგილზევე მათი დახარჯვა. ამ მიზნით კი უნდა შეედგინათ ლიმიტები ყოველი სოფლისათვის იმის შესახებ, თუ ბეგარების მთელი ჯამიდან რამდენი შეიძლება ყოფილიყო გადახდილი საჰიბკირანებით და რამდენი რუსული მონეტებით. საჰიბკირანის ფასად დადგენილ იქნა 28½ კაპ., ნაცვლად 30½ კაპიკისა[1]. ამ ღონისძიებამ, რომელიც მტკიცედ გატარდა პრაქტიკაში, საზღვარი დაუდო ერევნისა და ნახჭევანის მაზრებში ირანული საჰიბკირანის ტრიალს.

მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში დ ა ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი მიმოქცევაში იყო უმთავრესად თურქული ფულის ნიშნები. 1805 წლის ოფიციალური ცნობით იმერეთში მიმოიქცეოდა შემდეგი ფულის ნიშნები: 1. ა ს ფ ა რ ი ა ნ ი (თურქ. ფარა ნიშნავს ნაწილს). სამეგრელოსა, გურიასა და იმერეთში, აკად. ი. ა. გ ვ ი ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ცნობით (1772 წ.), თურქული ფ ა რ ა (უდრიდა დაახლოებით რუსულ 1½ კაპ. და იწონიდა 8 გრანს, იყო დაბალი სინჯისა), ხ უ თ ფ ა რ ი ა ნ ი, ა თ ფ ა რ ი ა ნ ი და ო ც ფ ა რ ი ა ნ ი მიმოიქცეოდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარშიც[2]. 1805

[1] ЛОЦИА, Ф. К. К. 1843 г., д. № 431, л. л. фурц, 45—48.

[2] И. Г и л ь д е н ш т е д т, „Геогр. и стат. опис. Грузии и Кавк.“, 376 — 378.

წელს არსებული კურსის მიხედვით ასფარიანი იმერეთში უდრიდა დაახლოებით 89 კაპიკს იმერეთშივე მიმოქცევაში მყოფი რუსული ვერცხლის მანეთისა; 2. კილიკი, უდრიდა 80 ფარას; 3. ყურუში, უდრიდა 40 ფარას, იგი მიმოიქცეოდა აღმოსავლეთ საქართველოშიაც; 4. მარჩილი იყო მიჩნეული იდეალურ მონეტად, უდრიდა 52 ფარას[1]. საბა-სულხან ორბელიანს თავის „ლექსიკონში" აღნიშნული აქვს, რომ მარჩილის კურსი მის დროს (ალბათ უფრო აღმოსავლეთ საქართველოში) სამ აბაზს უდრიდა; მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პირველ ათეულშიაც, საფიქრებელია, რომ ცოტა ხანს მერეც ყოფილა მარჩილი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, სადაც ამ დროს მისი კურსი, როგორც ამას რაფ. ერისთავი გადმოგვცემს, უდრიდა ორ შაურს; 5. რუბი (თურქული მონეტაა) 1805 წელს არსებული კურსით უდრიდა 13 ფარას, ხოლო 60-იანი წლების დასაწყისისათვის სამეგრელოში მისი კურსი განსაზღვრული იყო 2½ კაპიკით[2]; 6. ჰოლანდური ჩერვონეცი (ოქროს მონეტა)[3] როგორც ყველგან, ისე იმერეთშიც დიდ პატივში იყო. 1805 წელს ჰოლანდური ჩერვონეცი ტრადიციულად არსებული კურსის მიხედვით უდრიდა მსხვილ ფულში 308 ფარას, ნაშალში კი — 288 ფარას; 7. რუსული ერთმანეთიანი ამ დროს უდრიდა 110—115 ფარას, ხოლო 1811 წელს—120 ფარას, 1814 წ. — 195 ფარას, 1815 წელს — 200 ფარას. და ასე თანდათან იზრდება რუსული მანეთიანის პრესტიჟი იმერეთში რუსეთის პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებისდა მიხედვით, რასაც, ცხადია, მეორე მხრივ, თურქთა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური გავლენის შესუსტება მოსდევდა.

[1] ბოროზდინი, ერისთავი, მურიე. „ბატონყმობა სამეგრელოში", თ. სახოკიას მიერ შედგენილი და თარგმნილი, 1927 წ. ტფ. გვ. 106; იხ. აგრეთვე Д. Бакрадзе, АПГА., 329 — 31.

[2] АСКАК. VI, ч. II, 532; АКАК. IV, 352.

[3] ჰოლანდურ ჩერვონეცს ჩვენში უფრო ხშირად „ბაჯაღლოს" ანუ „ბაჯაღლუს" უწოდებდნენ (იხ. იოანე ბატონიშვილი, „ქალმასობა", 1936. ტფ. 192).

სამეგრელოსა და გურიაში, გარდა ზემოხსენებულთა, იმ-დროინდელ კერძო და ადმინისტრაციულ კორესპონდენციაში ხშირად გვხვდება „ქისა“, როგორც ფულადი თანხის აღმნიშ-ვნელი ცნება. ქ ე ს ა, ქ ი ს ა არის არაბულ-ირანული სიტყვა (ქესაჰ), რომელიც თავდაპირველად ნიშნავდა საფულეს, ფუ-ლის ტომარას[1]. თურქეთში და აქედან დასავლეთ საქართვე-ლოში, უფრო მეტად სამეგრელოსა და გურიაში, „ქისას“ უწოდებდნენ გავსებულ ქისაში მოთავსებული ფულის რა-ოდენობას. თურქული ერთი ქისა უდრის 500 პიასტრს. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI წერს: „ოცდაათ თუმანს ურუმნი [თურ-ქნი] ერთ ქისას ეძახიანო“ [2]. მე-19 საუკუნის მეორე ათეულის გასულს სამეგრელოში ერთი ქისა უდრიდა დაახ-ლოებით რუსულ 100 მანეთს ვერცხლით, ხოლო 1870-იანი წლებიდან აჭარაში 1 ქისა უდრიდა 50 მანეთს[3].

აქვე უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე რომ, 1842 წელს პეტერ-ბურგიდან ამიერკავკასიაში სარევიზიოდ ჩამოსულ სენატორ გ ა ნ ი ს თ ვ ი ს გ ლ უ ხ ო ვ ს კ ი ს ძიერ წარდგენილ „თბილისის მაზრის სტატისტიკურ მიმოხილვაში“, აღნიშნულია რა ძველი (მეფეების) ქართული აბაზიანების წარმატებითი მი-მოქცევა, ნათქვამია: „абазы-же и м е р е т и н с к и е, кото-рые также встречаются в обращении и весьма в малом числе, неполновесны и серебро их низкого достоинства, по этому всякий избегает принимать их“ [4].

მე-19 საუკუნეში ტრიალებული ი მ ე რ ე თ ი ს ა ბ ა ზ ი ა-ნ ე ბ ი ს წარმოშობისა და მიმოქცევის თაობაზე ჯერჯერო-ბით რაიმეს თქმა კიდევ ძნელია სათანადო წყაროების აღ-მოუჩენლობის გამო; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ დ. ბაქრა-ძის მიერ „არქ. მგზ.-ში“ გამოქვეყნებულ ერთ დოკუმენტში (1821) მოხსენებულია „ი მ ე რ უ ლ ი მ ა რ ჩ ი ლ ი“.

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, I. ტ. 29.

[2] „Сб. законов .ц. В а х т а н г а...“, დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს რედაქციით, გვ. 9, § 16.

[3] Д. Б а к р а д з е, АПГА, 13.

[4] ЛОЦИА. ფონდი К. К. 1842. საქმე № 194. ფურც. 83.

1830 წელს პეტერბურგში სპეციალურად იქნა შესწავლილი ამიერკავკასიაში მიმოქცევაში მყოფი ოქროსა და ვერცხლის მონეტების ღირსება, — დოსიმაზიკური დაშლის მეთოდით. ამ გამოკვლევის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში[1].

მონეტის დასახელება	წონა მონეტისა		სინჯი	წმინდა ლითონი	
	მისხალი	წილი		მისხალი	წილი
I. ოქროს მონეტები					
ირანული თუმანები					
ერთი ხარისხის . .	1	$7\frac{4}{5}$	93 1/3	1	$4\frac{88}{96}$
სხვა ხარისხის	1	$7\frac{4}{5}$	94	1	$5\frac{61}{96}$
II. ვერცხლის მონეტები					
შემახური აბაზები . .	—	51	89 1/6	—	$47\frac{36}{96}$
შაქური აბაზები .	—	51	89 1/6	—	—
შუშის აბაზები	1	4	89	—	$92\frac{68}{96}$
ბაქოური აბაზები	—	47	56 1/3	—	$27\frac{56}{96}$
ყუბური აბაზები .	—	50 2/3	63 5/6	—	$33\frac{66}{96}$
ლენქორანული აბაზები	—	47	59 5/6	—	$29\frac{28}{96}$
ძველი ქართული აბაზები (მოჭრ. მე-19 საუკუნემდე) .	—	68	93 1/3	—	$66\frac{11}{96}$
განჯური აბაზები	—	$67\frac{1}{6}$	91	—	$63\frac{67}{96}$
ძვ. ქართ. აბაზები, მოჭრ. მე-19 საუკუნემდე	—	$67\frac{1}{5}$	94	—	$65\frac{77}{96}$

[1] „Горный журнал“, 1832 г. ч. I, кн. I, стр. 122.

მონეტის დასახელება	წონა მონეტისა		სინჯი	ᲬᲫᲘᲜᲓᲐ ᲚᲘᲗᲝᲜᲘ	
	მისხალი	წილი		მისხალი	წილი
ძვ. ნუხური აბაზები .	—	$48\frac{3792}{7601}$	86 1/2	—	$43\frac{67}{96}$
ახ. ნუხური აბაზები .	—	47	80 1/3	—	$39\frac{32}{96}$
ქართ. აბაზები, მოკრილი მე-19 საუკუნეში . .	—	71	88	—	$65\frac{8}{96}$
ნუხური აბაზები . .	—	$48\frac{18}{25}$	87	—	$44\frac{47}{96}$
შირვანული აბაზები .	—	$49\frac{23}{25}$	89	—	$46\frac{27}{96}$
ჯაფარ ყულიხანის აბაზები: უკეთესი ღირსებისა .	—	$47\frac{9}{10}$	76	—	$37\frac{89}{96}$
—უარესი ღირსებისა .	—	$46\frac{1}{10}$	72	—	$34\frac{55}{96}$
ყარაბალური ფანაბადები .	—	$95\frac{1}{25}$	75 1/3	—	$74\frac{56}{96}$
განჯური ფანაბადები	—	68	91 1/3	—	$64\frac{67}{96}$
თურქული ბეშლიკები .	5	89	69 2/3	4	$28\frac{88}{96}$
თურქული ფარები: ძვ. ბედისა .	—	4 3/4	37	—	$1\frac{80}{96}$
—ახ. ბედისა	—	3 3/4	34	—	$1\frac{42}{96}$
თურქული ᲨᲣᲚᲢᲣᲙᲔᲑᲘ .	7	34	44	3	$35\frac{56}{96}$
განჯური მანეთიანი	3	48	92	3	34
განჯური 80 კაპიკიანი	2	76 3/4	93	2	$68\frac{34}{96}$

9. ქართული მონეტის მიმოქცევა

როგორც ვიცით, თბილისის ზარაფხანამ მოქმედება შეწყვიტა 1834 წელს. ამ დროიდან მიმოქცევაში ქართული ფულის მასის გამრავლება შეწყდა. ამასთანავე დროთა მსვლელობაში, ხურდა ფულის სიმცირის გამოც, ინტენსიური მიმოქცევის შედეგად როგორც ძველი (მეფეების) აბაზიანები, ისე რუსთა მიერ მოჭრილი ქართული მონეტები ცვდებოდა. მეხუთე ათეული წლის დასაწყისიდან სულ უფრო მრავლდება გაუგებრობანი იმის გამო, რომ ქართული მონეტები ხშირად სავსებით გაცვეთილი და ზედაწერილ-გადალესილია.

როგორც კ. მ ა რ ქ ს ი წერს, „იმის გამო, რომ იგი მოხვდება სხვადასხვა ხელში, ჩანთაში, ჯიბეში, ქისაში, სარტყელში, პარკში, უჯრაში, ყუთში, — მონეტა იხეხება... ასე ხეხვის გზით ქვეყნად ხეტიალში ჰკარგავს უფრო და უფრო თავის შინაგან შინაარსს. ცვდება ხმარებაში“ [1]. ჯ ე კ ო ბ ი (Jacob) ანგარიშობს, რომ 380 მილიონი გირვანქა სტერლინგიდან, რომელიც 1809 წელს ევროპაში მოიპოვებოდა, 20 წლის განმავლობაში, ე. ი. 1829 წლამდე, 19 მილიონი გირვანქა სტერლინგი სავსებით მოისპო გახეხვის მიზეზითო. და სრულიადაც არ იყო სინამდვილესთან დაშორებული პეტერბურგის ზარაფხანის ანგარიშიც, რითაც მტკიცდება, რომ ქართულმა აბაზიანებმა ხანგრძლივი მიმოქცევის პროცესში — 1804—1834 წლებიდან დაწყებული (რა ხნის განმავლობაშიც ხდებოდა მათი წარმოება თბილისის ზარაფხანაში) 1860 წლამდე, — როდესაც თავის გამოანგარიშებას აწარმოებდა პეტერბურგის ზარაფხანა — ხეხვის გზით უკვე დაჰკარგა 22%-ზე მეტი; ეს გარემოება მით უფრო სარწმუნო ხდება, რომ ამ შემთხვევაში „ქართულ აბაზიანებში“ იგულისხმება მე-18 საუკუნეში მოჭრილი ქართული მონეტებიც [2].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, 1932 წ., გვ. 142.

[2] ლითონის ფულის გაცვეთას, ცხადია, ხელს უწყობდა, უკეთ ვთქვათ აჩქარებდა, აქ არსებული ჩვეულება მონეტების ხეხვისა. მაგალითად, ბარბარე ხერხეულიძე-ქობულაშვილის მოწმობით: გ ი ო რ გ ი XII-ს „ვინ გაუ-

ამიერკავკასიაში საერთოდ ადგილობრივი მონეტების მიმოქცევის „მოწესრიგებისაკენ“ თვითმპყრობელობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის უნდა აღინიშნოს, ჯერ კიდევ თბილისის ზარაფხანის მუშაობის დროს, სახელდობრ 1832 წლის 7 ივნისს იმპერატორის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილება, რომელშიც ნათქვამია:

„ა. სავაჭრო ურთიერთობათა და სახალხო საჭიროების შემსუბუქებისათვის ამიერკავკასიასა და საქართველოში აზიური მონეტების მიმოქცევა დარჩეს ახლანდელს მდგომარეობაში — უცხოური მონეტის შესახებ 1827 წლის კანონმდებლობის საფუძველზე; ბ. ქართული და ირანული აბაზიანები, ნახევარაბაზიანები და ორაბაზიანები და სხვა სახელწოდების აზიური ვერცხლის ფულები, 88 სინჯისა, და რუსულზე მაღალი ან თანასწორი ღირსების ოქროს მონეტები მიიღებოდეს ხაზინაში დადგენილი კურსით, — ისე რომ გადასახდელთა გადამხდელის სურვილზე იყოს: შეიტანს ხაზინაში რუსულ, თუ აღნიშნული სინჯის აზიურ ფულებს, გარკვეული ფასით; გ. მიენდოს ფინანსთა მინისტრს, რათა გამოსცადოს აზიური მონეტები და მათგან იმათ რომელთა გადასახდელებში მიღება დაშვებული იქნება, დაუნიშნოს ფასები“ [1].

პეტერბურგის ზარაფხანის მიერ ჩატარებული გამოკვლევით ამიერკავკასიაში მიმოქცევაში მყოფი აზიური მონეტების დიდი ნაწილი „აღმოჩნდა დაბალი სინჯისა, ხოლო ფრიად მრავალი ერთნაირი ნომინალური ფასის მონეტა გამოდგა სხვადასხვაგვარი სინჯისა, წონისა და შინაგანი ღირ-

ბედავდა რომ (ფულები) გაურეცხავი მიერთმიათ. ხაზინადარი მეფისა იყო ქაიხოსრო სუმბათაშვილი. ის სულ იმ საქმეში იყო, რომ ჯერ თეთრს მიწით გახეხდა და მერე საპნით და ისე მიართმევდა“ (იხ. პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 62). მეორე, ისევ პლ. იოსელიანის მიერ შემონახული ცნობით, სახელდობრ „საქართველოს ვიკარის“ იოანე ეპისკოპოსის (ავალიანის) სიტყვებით, „ფულსა თეთრსა, რომელიცა მუშაობდა დროთა ამათ ქალაქსა, და რომელიცა მიერთმევოდა მეფესა, ყოველთვის ჩაჰყრიდნენ ადუღებულს ნაცრიან წყალში და ესრეთ ფულსა გაწმენდილსა და ჩირქიდამ მოშორებულსა, მიართმევდნენ მეფესაო“ (იქვე, გვ. 180).

[1] II ПСЗРИ, 1850, СПБ. XXIV, стр. 343—344.

სებისა". ამის გამო ფინანსთა სამინისტრო ფიქრობდა, საკ-სებით უარი ეთქვა ამ მონეტების ხაზინაში მიღებაზე. მაგრამ ამ მოსაზრებათა გატარება არ შეიძლებოდა, რადგან 1832 წლის დადგენილებით ხაზინას აუცილებლად უნდა მიეღო „თუნდაც მცოლოდ ზოგიერთი აზიური მონეტა, რომელთა სინჯიც აღემატებოდა ანდა უახლოვდებოდა". რუსულს.

ასეთ ვითარებაში ფინანსთა სამინისტრო ითვალისწინებდა რა პეტერბურგის ზარაფხანის მიერ შესწავლილი აზიური მონეტების: წონას, სინჯს, წმინდა ლითონურ რაოდენობასა და ღირებულებას, რუსულ ფულზე გადაყვანით, ვარაუდობდა ამიერკავკასიაში მიმოქცევაში მყოფი აზიური მონეტებიდან ხაზინის მხრივ მისაღებად ჩაეთვალა: 1. ძვ. ქართული აბაზიანები, ორშაურიანები და შაურიანები და 2. „რაც თავისთავად იგულისხმება" 1804—1834 წწ. მოჭრილი ქართული ორაბაზიანები, აბაზიანები და ორშაურიანები. ამასთანავე ხაზინას ევალებოდა, რომ ამ მონეტებიდან მიეღო მხოლოდ ისეთები, რომლებიც არ იქნებოდნენ „არც გაცვეთილი, არც ჩამოჭრილი და, ცხადია, არც ყალბი"; რისთვისაც საჭიროდ იყო ცნობილი ხაზინებისათვის გადაეცათ მიმოქცევაში დაშვებული ყოველი ასეთი მონეტის ნიმუში და აგრეთვე ამონაწერი მათი წონისა, სინჯისა და რუსულ ფულზე ფასობის შესახებ.

რაც შეეხება ამიერკავკასიაში მიმოქცევაში მყოფ აზიურ მონეტებს, რომლებიც მოჭრილნი იყვნენ ადგილობრივი ხანების მიერ, ასევე თურქულსა და ირანულ მონეტებს — მათი ხაზინის მხრივ მიღების გ ა რ კ ვ ე უ ლ ი დ რ ო ი თ გაგრძელებას ამიერკავკასიის მთავარმართებელი ფიქრობდა „არა მათი შინაგანი ღირსების, არამედ ნომინალურის მიხედვით"; — მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ ეს დაუშვებლად მიიჩნია, „როგორც ამ მონეტების სინჯისა და წონის მხრივ სხვადასხვაგვარობის, ასევე იმიტომაც, რომ ეს გახდებოდა საბაბი ჩვენს ოლქებში მიმოქცევაში მყოფი უვარგისი მონეტების გასაღებისა და აგრეთვე ასეთი მონეტების ირანისა და თურქეთის სამფლობელოებიდან შემოტანისა და ამასთანავე ისეთი რაოდენობითაც, რომ შეუძლებელი იქნებოდა მათი

გადახურდავებისათვის საჭირო რაოდენობით ჩვეული მონეტებით ხაზინების მომარაგება“.

უკანასკნელი შესაძლებლობა, სახელდობრ ირანიდან დაბალი ღირსების მონეტების შემოსვლისა, მართლაც რეალური იყო. ირანში ამ დროს ცალკე სახანოები თავისუფლად ჭრიდნენ ფულებს და ძალიან ხშირად ჭრიდნენ მეტად დაბალი სინჯისას. მხოლოდ 1879 წელს გამოიცა კანონი, რამაც მთელს ირანის სახელმწიფოში ფულის მოჭრის საქმე თეჰერანის სამეფო ზარაფხანის რეგალიად გამოაცხადა[1]. თვით ერევნის სახანოში ზარაფხანა სულ ბოლომდე (1827 წლამდე) იჯარაგამოსყიდვის საფუძველზე იყო გაცემული და მეიჯარე-გამომსყიდველი თავისუფლად ჭრიდა მონეტებს.

ერევნის სახანოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც, სახელდობრ 1832 წელს, როგორც ი. შოპენი წერდა, ქ. ერევანში 20 ზარაფი მუშაობდა, „რაც გვაფიქრებინებს აქ მნიშვნელოვან სავაჭრო ბრუნვების არსებობას, მაგრამ ნამდვილად ამ ზარაფთა საქმიანობა ისაზღვრება რუსული მონეტების ირანში გადაგზავნით, სადაც მათგან, ლაჟის მიმატებით, სჭრიან საჰიბკრანებს, რაც უკანვე შემოაქვთ ერევანში კვლავ რუსულ მონეტებზე გადასახურდავებლად (გადასაცვლელად). ყოველი ასეთი გადაცვლითი ბრუნვა იძლევა 5% მოგებას და ეს ბოროტმოქმედება აღმოიფხვრა მხოლოდ მაშინ, როდესაც აიკრძალა ირანული საჰიბკრანებისა და ფანაჰბადების მიღება ჩვენს ხაზინებში“[2].

ამიტომაც, არსებულ ვითარებაში, იმპერიის ფინანსთა მინისტრის აზრი იყო ამიერკავკასიაში მიმოქცევაში მყოფი ირანული წარმოშობის მონეტები კვლავ დაეტოვებიათ მიმოქცევაში—უცხოური მონეტის შესახებ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, „სანამ ისინი არ იქნებოდნენ გამოდევნილი“ რუსული მონეტების მიერ. ხოლო ამ მხრივ „მოსახ-

[1] Г. Шитов, „Персия под властью последних каджаров“, 1933, Л., стр. 179.

[2] И. Шопен, „Историч. памятник состояния Армянской области...“, стр. 851.

ლეობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად თბილისის სასინჯ პალატაში მსურველთაგან აზიური მონეტების მიღება უნდა გაიხსნასო"; — ცხადია, იგულისხმებოდა მონეტის შინაგანი ღირსების, ე. ი. წონისა და წმინდა ლითონური შედგენილობის მიხედვით.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ადგილობრივი ხელისუფლება „ადგილობრივ პირობათა" შესაბამისად არ ჩქარობდა ამ მხრივ სასწრაფო და გადამჭრელ ღონისძიებათა გატარებას. 1839 წ. ივნისს გენ. გ ო ლ ო ვ ი ნ მ ა ხაზინას უბრძანა: რუსული ჭედის ქართული მონეტების მიღება, „სათანადო განკარგულების მიღებამდე", ეწარმოებიათ ძველებურად.

ამასთანავე, „თუმცა პეტერბურგის ზარაფხანის მ ო ს ა ზ რ ე ბ ე ბ შ ი" ქართული ჭედის მონეტების ღირებულება „ძლიერ დაბალია ნაჩვენები", მაგრამ იმის გამო, რომ „ასეთი მონეტები სახალხო მიმოქცევაში რუსული ჭედის მონეტისავე კურსით ტრიალებს და დღემდე არ ყოფილა არავითარი დაბრკოლება ამავე კურსით ხაზინიდან მათი გაცემისა", გენ. გოლოვინს საჭიროდ მიაჩნდა, არსებული პარიტეტით ხაზინის მიერ ქართული ჭედის მონეტების მიღების გაგრძელება: „როგორც საერთოდ წვრილი რუსული ფულის ნაკლებობის გამო, ასევე იმისთვისაც, რომ პეტერბურგის ზარაფხანის მიერ დადგენილი ფასის მიხედვით მათი კურსის დაწევა აუცილებლად გამოიწვევს ხალხში უკმაყოფილებას, მრავალს მიაყენებს არამცირედ ზარალს და გააძნელებს ხაზინაში გამოსაღებთა შემოსვლასა და უკვე ძველი კურსით მიღებული ამ მონეტების ხაზინიდან გაცემას".

იმავე 1839 წ. 18 სექტემბერს ფინანსთა მინისტრი გრაფი კ ა ნ კ რ ი ნ ი გენ. გოლოვინს ატყობინებდა, რომ რუსული ჭედის ქართული მონეტები „ხაზინას უნდა მიეღო მათი ნომინალური ფასის მიხედვით შეუფერხებლად", ხოლო ქართული ჭედის მონეტები კი „მათი შინაგანი ღირსების მიხედვით", რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლებელი ზარალი, რადგან „პეტერბურგის ზარაფხანის მიერ წარმოებული მათი გამოცდით აღმოჩნდა, რომ 20 კაპიკის ანგარიშით მი-

მოქცევაში მყოფი აბაზიანი ღირს მხოლოდ 12 კაპიკი; ნახევარაბაზიანი ნაცვლად 10 კაპიკისა, 7¾ კაპიკი; ხოლო შაური, ნაცვლად 5 კაპიკისა, 4 კაპიკი. მაგრამ რაკი გენ. გ ო ლ ო ვ ი ნ ს დიდად საძნელოდ მიაჩნდა ამ მონეტების შინაგანი ღირსების მიხედვით მიღების განხორციელება და ამიტომ მისი განკარგულებით მათ ნომინალური ფასის მიხედვით ღებულობდნენ, ფინანსთა მინისტრი ითხოვდა, რომ „ასეთი მონეტები ხაზინაში შემოსვლისთანავე უნაშთოდ იქნან გაცემული საქართველოსა და ამიერკავკასიის ადგილობრივი ხარჯებისათვის“ (ცხრილი, გვ. 84).

ოთხიოდე წლის შემდეგ, 1843 წ. პეტერბურგიდან საქართველოს მთავარმართებელს გენ.-ად. ნ ე ი დ გ ა რ დ ტ ს ფინანსთა მინისტრი ატყობინებდა, რომ „ზოგიერთ გარემოებათათვის ანგარიშის გაწევით“ იმპერატორმა ინება ებრძანებია: „არ გაკეთდეს არავითარი განსაკუთრებული განკარგულება, რომელიც შეეხებოდეს ამიერკავკასიაში სხვადასხვაგვარი ადგილობრივი მონეტების მიმოქცევიდან ამოღებას“.

ამავე დროს, როგორც ჩანს, ცენტრში სწავლობდნენ საკითხს, თუ როგორ მოეხერხებიათ „აზიური მონეტების მიმოქცევიდან უმტკივნეულოდ ამოღება“ ახლო მომავალში. სწორედ ამ თვალსაზრისით, რამდენიმე ხნის შემდეგ ფინანსთა მინისტრი კავკასიის ნამესტნიკს სთხოვდა: ადგილობრივ პირობებთან შესაბამისად ხომ არ შეეძლო მას გამოენახა „სახელმწიფო ხაზინისათვის ნაკლებად სამძიმო რაიმე სხვა საშუალება ამ მონეტების სახალხო მიმოქცევიდან თანდათანი გამოდევნისათვის“ [1]. ცხადია, ადგილობრივი ხელისუფლება არ დააყოვნებდა ზრუნვას „შესაფერის ღონისძიებათა“ დასახვისათვის.

და აი, 1848 წ. 8 მაისს, ადგილობრივი მთავრობის შუამდგომლობის შედეგად მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა: როგორც ქართველ მეფეთა, ისე რუსთა მიერ მოჭრილი გაცვეთილი ქართული მონეტები ხაზინას უნდა მიეღო (გადაეხურდავებია) ნომინალური ფასის მიხედვით სამი თვის განმავ-

[1] II ПСЗРИ, СПБ., 1850 г., XXIV, № 23329, стр. 345—346.

ამიერკავკასიაში ყველაზე გავრცელებული აზიური მონეტების შედარება რუსულთან 1845 წელს[1]

მონეტების დასახელება	ლიგატურული წონა: მისხალი („ბოლოტნიკი")	ლიგატურული წონა: წილი („დოლია")	სუფთა	წმინდა წონა: მისხალი	წმინდა წონა: წილი	წმინდა ფასი: მან	წმინდა ფასი: კაპ.	ფასი მიმოქცევაში რუს. ფულზე: მან.	ფასი მიმოქცევაში რუს. ფულზე: კაპ.
I. ქართული მონეტები									
ვერცხლისა									
ა. ქართული ჭედის:									
აბაზიანი	—	60	93²/₃	—	48	—	12	—	20
ორშაურიანი	—	33	93¹/₃	—	32	—	3³/₄	—	10
შაურიანი	—	17	94	—	16	—	4	—	5
ბ. რუსული ჭედის:									
ორაბაზიანი	1	44	86¹/₂	1	30	—	31³/₄	—	40
აბაზიანი	—	70	86⁵/₆	—	63	—	15¹/₂	—	20
ორშაურიანი	—	36	86⁵/₆	—	32	—	7³/₄	—	10
II. ირანული მონეტები									
ოქროსი									
თუმნიანი	1	8	93	1	4³/₄	3	73¹/₄	4	—
ნახევართუმნიანი	—	51¹/₂	94²/₃	—	50³/₄	1	88	2	—
ბაჯაღლო	—	76¹/₂	89²/₃	—	71¹/₂	2	64³/₄	3	—
ვერცხლისა									
ძველი მინალთუნი	1	57	91	1	49	—	35³/₄	—	35
საჰიბკრანი	1	37	92	1	28	—	27¹/₂	—	32
ახ. ფანაჰბადი	—	62	91	—	58	—	14¹/₄	—	16

[1] „Кавказский календарь на 1846 г." стр. 127.

ლობაში, და, ცხადია, მერე უკანვე მიმოქცევაში არ უნდა გაეშვა.

მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, სხვა ხურდა ფულის საჭირო რაოდენობით უქონლობის გამო ხაზინის მიერ ამ ამოცანის განხორციელება დროზე ვერ იქნა მიღწეული და 1849 წლის 6 იანვარს გამოიცა ახალი ბრძანებულება, რითაც კიდევ სამი თვით იქნა გაგრძელებული ხაზინაში მიღება ყოველგვარი გადასახადებისა და ბეგარების დასაფარავად „გაცვეთილი და გახვრეტილი ვერცხლის მონეტებისა და ასევე მათი გადახურდავება ნაღდ ფულზე ნომინალური ღირებულების მიხედვით“ [1]. ხაზინას თუმცა არ ეეაშნიკებოდა ამ მონეტების ნომინალური ფასით მიღება, მაგრამ უხერხულად იქნა ცნობილი, რომ „მთავრობას მის მიერვე გამოშვებული ფული უკანვე არ მიეღო ნომინალური ფასით“. სამი თვის შემდეგ კი ეს მონეტები მიიღებოდა მხოლოდ წონით. მაგრამ ასეთ პირობებში, როგორც ადგილებიდან იტყობინებოდნენ, ეს მონეტები არავის არ მიჰქონდა ხაზინაში.

პირველ ხანებში ეს საქმე თითქოს წარმატებით უნდა წასულიყო. მაგრამ სულ მალე გამოაშკარავდა მისი განხორციელების შეუძლებლობა. ირკვევა, რომ ხაზინა, როგორც ღებულობდა და აგროვებდა, ასევე უკან მიმოქცევაში უშვებდა ამ ფულს სხვა ხურდა ფულისა და ხშირად კიდევ ფულის სხვა ნიშნის სავსებით უქონლობის გამო. ამ მიზეზით ამ მონეტების ტრიალი კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა [2].

ამის შემდეგ ცენტრმა გადასწყვიტა მიმოქცევიდან ამოეღო პირველ რიგში ადგილობრივ მეფეთა მიერ მოჭრილი მონეტები და ამ საკითხზე ფინანსთა სამინისტრომ ახალი ვრცელი მოსაზრებები წარადგინა კავკასიის კომიტეტში 1852 წელს [3]; ამ შემთხვევაში ხაზინა, არ სურდა რა ზარა-

---

[1] Арх. ВПКБ. Дело канц. Кавк. Ком. 1849—1861 г. г. № 44 „О приеме и обмене в Грузии и Закавказском крае грузинской истертой и проколотой серебрянной монеты“..., ფურც. 12.

[2] იქვე, ფურც. 13.

[3] Арх. ВПКБ СССР, 1852 г. საქმე № 94 „По предмету из'ятия из народного обращения серебрянной монеты, чеканенной при грузинских царях“. ფურც. 15—27.

ლის მიღება, ღებულობდა მხოლოდ ისეთ მონეტებს, რომელთაც შერჩენილი ჰქონდათ დაღი (სიქა) და საერთოდ „დამაკმაყოფილებელი გარეგნობა“; რაც შეეხება სიქა-გაცვეთილ მონეტებს, მათ მიღებაზე სავსებით უარს აცხადებდნენ. დადგენილ იქნა ხაზინას მიეღო სიქა-შერჩენილი მონეტები 1 წლის განმავლობაში, რის მერმე ხაზინა სავსებით უარს აცხადებდა ქართველ მეფეთა დროს მოჭრილი ფულების მიღებაზე[1].

1851 წ. დასაწყისს, ოფიციალური ცნობით, ქართველ მეფეთა დროინდელი მონეტები სახალხო მიმოქცევაში იყო:

1. თბილისის გუბერნიაში	48.750	მანეთამდე
2. ერევნის „	4.950	
3. ქუთაისის „	22.000	
4. შემახიას „	5.500	„
5. ჰარ-ბელაქნის სამხედრო ოლქში	6.390	„
სულ	87.590	მანეთამდე

ამავე დროს ნაღდად თვით ხაზინაში იყო:

1 თბილისის ხაზინაში .	1.786	მანეთისა,
2. გორის	209	„
3. თელავის „	984	„
4. ერევნის „	198	
5. ქუთაისის „	168	„
6. ბელაქნის „	398	„
სულ	3.743	„
ჯამი	91.333	მან.

ამ დროს პეტერბურგის ზარაფხანის შემოწმებით ადგილობრივ მეფეთა დროინდელი აბაზიანები — რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ტრიალებდა და ცვდებოდა — თავისი ნამდვილი ღირსებით უდრიდა საშუალოდ 12 კაპ.; ორშაურიანი — 7¾ კაპ.; ხოლო შაურიანი 4 კაპიკს. აქედან გამოანგარიშებულ იქნა რომ 1851 წლისთვის მიმოქცევაში დარჩენილი 91.333 მანეთის მეფეთადროინდელი ქართული მონეტების ნომინალური ფასით მიღება,

[1] Арх. ВПКБ СССР, 1852 г. საქმე № 94 „По предмету из'ятия из народного обращения серебрянной монеты, чеканенной при грузинских царях“.ფურც. 18.

მაშინ როდესაც ყოველ აბაზს 8 კაპ. ზარალი მოჰქონდა, ხაზინას მოუტანდა 36.533 მან. და 30 კაპ. ზარალს. ამიტომაც არ უნდოდა ხაზინას მათი მიღება ნომინალური ფასის მიხედვით.

1852 წელს, თანახმად ადგილებიდან მიღებული ცნობებისა, ძველი ქართული მონეტები ძალიან ძნელად გადის მიმოქცევაში. ამავე დროს ხაზინები იტყობინებიან: „серебряную монету, которую надлежало-бы принимать в казну со взысканием довесных денег, частные лица почти вовсе не вносят в уездные казначейства“ [1]. ცხადია, პეტერბურგის ზარაფხანა „შეცდა“ გაანგარიშებაში. მისი პოლიტიკა ვერ ტარდებოდა ცხოვრებაში. რუსულ კანონსა და ქართულ ვერცხლს შორის მოსახლეობა თვალსაჩინო განსხვავებას ამჩნევდა. 1852 წ. იმპერატორმა დაამტკიცა კავკასიის კომიტეტის დადგენილება: 1. მეფეთა დროინდელი გალესილ-გაცვეთილი ვერცხლის მონეტები მიიღებოდეს ამიერკავკასიის ყველა ხაზინაში ნომინალური ფასით და ხურდავდებოდეს რუსულ მონეტზე 6 თვის განმავლობაში; 2. მიმოქცევისათვის ვარგისი (გაუცვეთავი) მონეტები მიიღებოდეს ხაზინაში ნომინალური ფასით და განუსაზღვრელი ვადით; 3. ამასთანავე უკანვე, სახალხო მიმოქცევაში ეს ფული არ იქნას გაშვებული; 4. ამიერკავკასიის ხაზინებში დაგროვილი, როგორც გაცვეთილი, ისე გაუცვეთავი ძველი ქართული მონეტები გადაეგზავნოს პეტერბურგის ზარაფხანას გადასადნობად. ამ კანონში ის ცვლილება მოხდა, რომ მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს შუამდგომლობით 6 თვე გაგრძელდა ორ წლამდე, რათა თ უ რ ქ ე თ ს ა და ი რ ა ნ შ ი გ ა ს უ ლ ქ ა რ თ ვ ე ლ მ ე ფ ე თ ა მ ო ნ ე ტ ე ბ ი ს მ ი ღ ე ბ ა ც ყ ო ფ ი ლ ი ყ ო შ ე ს ა ძ ლ ებ ე ლ ი ხ ა ზ ი ნ ი ს მ ი ე რ“. წინააღმდეგ შემთხვევაში, — როგორც ვორონცოვი წერდა, — ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა შეფერხდებოდა და მოსალოდნელი იქნებოდა კონფლიქტიც [2].

[1] Арх. ВПКБ СССР, 1852 г. საქმე № 94 „По предмету из'ятия из народного обращения серебрянной монеты, чеканенной при грузинских царях“. ფურც. 24—26.

[2] იქვე, ფურ. 33.

ამის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში სავსებით გავიდა მიმოქცევიდან მეფეთა დროინდელი ქართული აბაზიანები. მეფეთა დროინდელი ქართული მონეტების მიმოქცევიდან განდევნის შემდეგ მორიგ ამოცანად იქცა 1804—1834 წწ. მოჭრილი ქართული მონეტების ამოღება მიმოქცევიდან, რამდენადაც ადრინდელი პერიოდის მონეტების ხსენებაც კი ამ დროს უკვე აღარ იყო. როგორც დავინახეთ, თვითმპყრობელობა აქამდეც ხშირად მიმართავდა სხვადასხვა ღონისძიებას მუსინ-პუშკინის ხელმძღვანელობით დაარსებულ ზარაფხანაში მოჭრილი ფულის ტრიალიდან ამოღებისათვის. 1853 წლის ივნისის დასაწყისს თბილისის ხაზინა უკვე იტყობინება, რომ „მრავალი პირი, რომლებიც ღებულობენ ხაზინიდან პენსიონებსა და სარჩოს, უარს ამბობს ქართული ორ, ერთ და ნახევარ აბაზიანის [ორშაურიანის] მიღებაზე, იმ მოტივით, რომ იმათ არავინ არ ღებულობს, განსაკუთრებით მდაბიო ხალხთაგანიო“ [1]. ამის შემდეგ ხაზინამ ნელ-ნელა შესწყვიტა მათი მიღება.

იმავე 1851 წელს მიხ. თუმანიშვილი ნამესტნიკისათვის წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავს რომ „რუსეთ მიერ თბილისში მოჭრილ აბაზიანებს არ აქვთ თავისუფალი მიმოქცევა ხალხში და ხაზინიდან მათ მიღებაზე უარს ამბობენ არა მხოლოდ კერძო, არამედ თანამდებობის პირნიც“. ეს დაბრკოლება ამ მონეტების მიმოქცევაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ამას თვით მიხ. თუმანიშვილი, წარმოსდგა იმის გამო, რომ ამიერკავკასიაში უკვე გაძლიერდა ტრიალი რუსული ხურდა ფულისა, „რომელსაც 26 წ. მეტი ხნის წინათ რუსთა მიერ თბილისში ქართული ასოებით მოჭრილი მონეტების წინაშე უპირატესობა აქვს არა მხოლოდ გარეგნობით, არამედ შინაგანი ღირსებითაც“; ამას გარდა, ქართული სიქის მონეტები ვერ გადიოდნენ ამიერკავკასიის ფარგლებს იქით, „მაშინ როდესაც რუსეთის შიგა გუბერნიებთან და იმპერიის მოსაზღვრე ქვეყნებთან სავაჭრო და

[1] Арх. ВПКВ. 1849—1861. საქმე № 44, ფურც. 41.

სამრეწველო ბრუნვათა გაფართოებასთან ერთად“ საჭიროა მხოლოდ „ნამდვილად რუსეთის იმპერიის მონეტა“.

1857 წელს გენ. ბარიატინსკიმ კავკასიის კომიტეტში წარადგინა ამიერკავკასიის მთავარმართებლობის საბჭოს დადგენილება „რუსეთის მთავრობის დროს მოჭრილი ქართული ვერცხლის მონეტების სახალხო მიმოქცევიდან ამოღების შესახებ“ [1]. საბჭომ დაადგინა: ქართული ფულები ტრიალიდან ამოეღოთ ნელ-ნელა; ხაზინის მიერ შემოსავლის სახით მიღებული ეს ფული უკანვე სახალხო მიმოქცევაში არ უნდა გაეშვათ, არამედ გადაედნოთ აქვე, ანდა ამავე მიზნით გაეგზავნათ პეტერბურგს. 1858 წლამდე გაცვეთის გამო მიმოქცევიდან გამოსულიყო მხოლოდ 4.406 მანეთის აბაზიანები, მაშასადამე, მიმოქცევაში იყო შედარებით დიდძალი დარჩენილი თანხა. რომ შესაძლებელი გამხდარიყო ამ ერთ მილიონ მანეთზე მეტი ქართული ხურდა ფულის მიმოქცევიდან ამოღება, ამისათვის შიგა რუსეთიდან ამიერკავკასიაში იგზავნებოდა რუსული ხურდა ფულის დიდი მასა; მაგალითად, პეტერბურგის ზარაფხანიდან ამიერკავკასიის სახაზინო პალატას გაეგზავნა:

1858 წელს .	100.000	მან.
1859 „	50.000	„
1860	50.000	„
1861 . .	30.000	„
სულ .	230.000	მანეთის

ნაშალი ფული ოთხი წლის განმავლობაში; გარდა ამისა, კიდევ მრავალი სხვა გზითაც მოედინებოდა ამ ხანებში შიგა რუსეთიდან ამიერკავკასიისაკენ ხურდა ფული [2].

მაგრამ მთავრობამ ეს უკანასკნელი გადაწყვეტილებაც ჯეროვანად ვერ გაატარა ცხოვრებაში. ფინანსთა სამინისტრო საქმის სისრულეში მოყვანას არ აჩქარებდა, რადგან დიდძალი ქართული ვერცხლის მონეტების მასა, რომელიც უნდა გადაედნოთ, ხაზინას მნიშვნელოვან ზარალს მოუტანდა; ამავე

[1] АСКАК, XII № 911.

[2] ЛОЦИА, ფონდი КК № 44, ფურც. 58—62.

დროს, როგორც კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის ამსრულებელი გენ.-ად. გრ. ორბელიანი ირწმუნებოდა (1861 წ. 31/V), ქართული მონეტები არა თუ ძნელად გადის სახალხო მიმოქცევაში, არამედ „დაუბრკოლებელ მიმოქცევაშია“. სახელდობრ, „ქართული მონეტები თბილისის სამაზრო ხაზინაში [1860 წ. დასაწყისს] იყო ნაღდად 40.000 მანეთამდე, 1860 წ. აპრილისათვის იყო 19.000 მანეთამდე, ხოლო ამა [1861] წლის თებერვალში დარჩა მხოლოდ 6.147 მანეთი, დანარჩენი 33.853 მან. დახარჯულ იქნა“. ეს ცნობები კი იმას მოწმობენო, წერს გრიგოლ ორბელიანი, „რომ ეს მონეტა ამ მხარეში, თავისი საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით თითქმის მთლიანად დაუბრკოლებელ მიმოქცევაშია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მცხოვრებნი ხომ ეცდებოდნენ შეიტანონ ის ხაზინაში და არ წაიღონ უკან“. ყოველივე ამის შემდეგ საბოლოოდ დადგენილ იქნა:

1. სავსებით გაცვეთილი და დამღა (სიქა) გადასული ქართული მონეტები გადახურდავებულ იქნას რუსულ ჩხრიალა ფულზე და საკრედიტო ბილეთებზე, წონაში დანაკლისის დაქვითვით. დრო გადახურდავებისა იქნას განუსაზღვრელი. „ეს ღონისძიება, ნათქვამია კავკასიის კომიტეტისადმი გრიგოლ ორბელიანის მიმართვაში, თუმცა არა ჩქარა, მაგრამ ხელს შეუწყობს ამოღებულ იქნას მიმოქცევისათვის უვარგისი (გაცვეთილი) ქართული მონეტები, ხოლო ვარგისი მონეტები, რომლებიც დარჩებიან მიმოქცევაში, მცხოვრებთ მოუტანს არამცირედი მნიშვნელობის სარგებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფინანსთა სამინისტროს უძნელდება საკმაო რაოდენობით მოამარაგოს ეს მხარე რუსული ჭედის ვერცხლის მონეტითო“ [1]. ეს უკანასკნელი ღონისძიება ძალაში დარჩა ბოლომდე, რის გამოც ქართული მონეტები მიმოქცევიდან სავსებით არ განდევნილა თვით 90-იან წლებამდე მე-19 საუკუნისა; და ეს გარემოება, — რუსეთის მთავრობის მიერ კოლონიაში მოჭრილი თავდაპირველი საწყისების მიხედვითაც დაბალი ღირსების მონეტების

[1] АСКАК., XII, 174.

მიმოქცევის ვადის გაგრძელება — გასაგებია, ხაზინისათვის მეტად მოსაგები იყო.

საერთოდ, რამდენადაც მიმოქცევის პროცესში გაცვეთილი და, მაშასადამე, თავდაპირველი ღირსებისაგან დაცლილი მონეტა ყიდვა-გაყიდვის დროს ინარჩუნებს თავდაპირველი რაოდენობის მნიშვნელობას, იგი განაგრძობს მოჩვენებითი ვერცხლის (ან ოქროს) სახით კანონიერი ვერცხლის მონეტის ფუნქციის შესრულებას. თავდაპირველი ღირსებისაგან დაცლის შემდეგ „სხვა არსებანი რეალურ ცხოვრებაში ჰკარგავენ თავიანთ იდეალიზმს, მონეტა იდეალიზაციაქმნილი ხდება პრაქტიკის მიერ, თავისი ოქრო-სხეულის ანუ ვერცხლ-სხეულის მაჩვენებელ სახედ გარდაიქმნება. ლითონის ფულის ეს მეორე იდეალიზაცია, თვით მიმოქცევის პროცესის მიერ გამოწვეული, ანუ მისი ნომინალური შინაარსის მისი რეალური შინაარსისაგან განცალკევება ექსპლოატაციის საგანს შეადგენს ნაწილობრივ მთავრობებისა და ნაწილობრივ კერძო ავანტურისტების მიერ წარმოებულ სხვადასხვაგვარ მონეტის გაყალბებაში. სამონეტო საქმის მთელი ისტორია საშუალო საუკუნეების დასაწყისიდან მოყოლებული მეთვრამეტე საუკუნის თითქმის ბოლომდე ამ ორმხრივი და ანტაგონისტური გაყალბების ისტორიას წარმოადგენს არსებითად“ [1]. ჩვენ მხოლოდ ის უნდა დავუმატოთ, რომ ფულის ისტორიაში ის ბნელი კომბინაციები, რომელიც დასავლეთ ევროპაში მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე აღწევდა, ჩვენში მე-19 საუკ. პირველ ნახევარშიაც ჰპოულობდა საჭირო ნიადაგს.

10. რუსული ფულის ნიშნების შემოსვლა და გაბატონება

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსული ფულის ნიშნები სპორადულად ტრიალში იყო ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეშიც; განსაკუთრებით მიღებული იყო რუსული ერთმანეთიანი ვერცხლის მონეტები. გრაფ ტოტლებენის ავანტურისტული ლაშქრობის ჟამს თავ. ანტონ მოურავოვის შეკითხვაზე

[1] კ. მარქსი, „პოლ. ეკონ. კრიტიკისათვის“, 142—143.

ერეკლე II უპასუხებს (1770 წ.), რომ საქართველოში რუსული „ძველი რუბლი [იხარჯება] ექვს აბაზად აქაურს თეთრზედ, და ახალი რუბლი ხუთაბაზ ერთ შაურად“ გადისო[1]. როგორც მე-18 საუკუნეში, ისე მე-19 საუკ. პირველ ნახევარში და ხშირად მერმეც, ერთმანეთიანს ქართულად „რუბლს“ უწოდებდნენ.

მაგალითად, 1818 წ. მიწურულს გამოქვეყნებულს განცხადებაში, რომელიც იუწყებოდა, რომ 1819 წლიდან დაიწყებოდა გამოცემა „საქართველოს გაზეთისა“, ნათქვამია, რომ „მოსაწერი ფასი დანიშნულ არს ფრიად ზომიერი“,—„ორი რუბლი ვერცხლის ფული“[2].

ი. ბატონიშვილის განმარტებით „ხუთი აბაზი ანუ ხუთი თელთი ერთი რ უ ბ ლ ი არის ანუ ერთი მ ო ნ ე თ ა... ქართულად ზუზა ეწოდება რუბლსა“[3].

1832 წ. თბილისში გამოიცემოდა პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომლისა და თვით გაზ. „ტფილისის უწყებანის“ წლიური ხელმოწერის ფასის შესახებ ამ გაზეთის 1832 წლის პირველსავე ნომერში ვკითხულობთ, რომ გაზეთის, რომელიც გამოდიოდა სამშაბათობით და ჟურნალისა, რომელიც გამოიცემოდა თვეში ორჯერ, — „წელიწადში ორისავე ფასი დადებულ არს რუა მ ა ნ ე თ ი თეთრი ფული“[4]. 1840-იან წლებში განზრახული ჟურ. „სინათლის“ გამომცემელ-ჟურნალისტთა საზოგადოების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „წევრნი ხელის მოწერისთანავე წარადგენენ ფულს თოთხმეტს მანათს“...[5].

1840-იან და მერმინდელი წლების გრ. ორბელიანის კერძო წერილებში გვხვდება „სიქა მანათი“[6], „თეთი სიქა მანე-

---

[1] პროფ. ა. ცაგარელი, ГДИДОГ, II, I, стр. 37.

[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „ქართული ჟურნალისტიკა“, 1941, ტ. I, 52.

[3] „საისტ. მოამბე“, I, 34.

[4] „ტფილისის უწყებანი“, 1832 წ. № 1.

[5] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „ქართული წიგნი 1629—1929 წწ.“, 1929, ტფ. გვ. 111.

[6] გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „წერილები“, 1937, ტ. I, ა. გაწერელიას რედაქციით, გვ. 126, 194, 199.

თი"[1], „თეთრი სიქა მანათი მანათი ხუთაბაზიანი"[2]; ერთს წერილში ილ. ორბელიანისადმი (1852 წ.) იგი სწერს: „ჩემს ანგარიშში უნდა მოგსვლოდა 400 მანათი, სულ სიქა, ჩემს ვალშიო"[3]; ანდა კიდევ მის წერილებში (დ. ჯორჯაძისადმი) ნათქვამია: „სამოცი თუმანი სიქა მანეთი"[4] და სხვ. „სიქა მანეთი" ამ შემთხვევაში მანეთიან ვერცხლის მონეტას („целковык", „целковый") უნდა ნიშნავდეს.

მაგრამ საინტერესოა ვიკითხოთ, თუ რატომ დაერქვა რუსულ „რ უ ბ ლ ს" ქართულად მ ა ნ ე თ ი. საქმე იმაშია, რომ, თვით რუსულ ერთმანეთიან ვერცხლის მონეტის ავერსზე ზედაწერილი იყო: „монета". მაგალითად, ე კ ა ტ ე რ ი ნ ე II ერთმანეთიანზე ეწერა: „монета новая, цена рубль". პ ა ვ ლ ე I ერთმანეთიანზე—„монета рубль 1796 года"[5] და ა. შ.

სწორედ აქედან რუსულ ერთმანეთიან ვერცხლის მონეტას, რასაც თვით რუსები „რუბლს" ეძახოდნენ, ქართულად (ასევე აზერბაიჯანულად, სომხურად და სხვ. ენებზედაც) უწოდებდნენ ჯერ „რუბლს", მერმე, მიმოქცევაში უფრო მასობრივად შემოსვლის შემდეგ, „მონეთას" და საბოლოოდ კიდევ მანათსა და მანეთს.

გარდა ერთმანეთიანებისა მე-19 ს. პირველსავე ათეულ წლებში ბლომად შემოდის 25, 30, 50 და 75 კაპიკიანი ვერცხლის მონეტები. 1842 წელს ჩატარებული გორის მაზრის და ქ. გორის აღწერის მასალებში აღნიშნულია კიდევ რუსული ვერცხლის სამშაურიანის, ორშაურიანის და შაურიანის მიმოქცევა[6]. თანდათან მატულობდა აგრეთვე ტრიალი სპილენძის რუსული ფულისა. 40-იანი წლებიდან-კი უკვე მასობრივი ხდება სპილენძის ორშაურიანის, შაურიანისა და კაპიკიანის მიმოქცევა, რასაც განსაკუთრებით ხელს უწ-

[1] გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „წერილები", 1937, ტ. I, ა. გაწერელიას რედაქციით, გვ. 210.

[2] იქვე, ტ. II, 25.

[3] იქვე, 49.

[4] იქვე, 125.

[5] Ф. М и х а л е в с к и й, „История денег...", 1925, приложение, табл. III—IV.

[6] ЛОЦИА. ф. Кавк. Комитета, д. № 245, л.л. 28—32.

ყობდა სპილენძის ქართული ფულის (ნაშალის) მეტისმეტი ხაკლებობა.

ჰოლანდურ ოქროს ჩერვონცებს (ბაჯაღლოს) მე-19 ს. მეორე მეოთხედიდანვე ავიწროებს რუსული იმპერიალები და ნახევარიმპერიალები. მაგრამ როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი წერს, ჯერ კიდევ მე-18 ს. უკანასკნელ მეოთხედშიც, ტრიალებდა აქ რუსული იმპერიალები და „ათი რუბლი ერთს თუმნად ანუ ერთს იმპერიალად ითვლებოდა“ [1] და ეს შეფარდება ბოლომდე ძალაში დარჩა. საერთოდ წვრილ ვაჭრობაში და ბეგარა-გამოსაღებთა გადახდაში მე-19 ს. პირველი ნახევრის მიწურულიდან ქართული ფულის (თეთრის) შევიწროებისდა მიხედვით ბატონდება რუსული ვერცხლის ხურდა ფული, ხოლო მსხვილ მიმოქცევაში ჰოლანდური ოქროს შემდეგ რუსული ოქრო იკავებს უპირატეს ადგილს.

* * *

საქართველოსა და ამიერკავკასიის შეერთების შემდეგ ცარიზმის ხელისუფლება აქ ფულის ტრიალის საკითხში კარგა ხნის განმავლობაში გამოუვალ წინააღმდეგობაში მოექცა. იგი ერთის მხრივ ცდილობდა გაემრავლებია აქ რუსული ფულის ნიშნების ტრიალი, და მეორეს მხრივ, განსაკუთრებით თბილისში 1804 წ. ზარაფხანის გახსნის შემდეგ, — შეენელებია რუსეთიდან საქართველოსაკენ ოქროს და ვერცხლის ფულის დენა, რადგან ის აქედან ბლომად გადიოდა თურქეთსა და ირანში, საიდანაც იმ დროს აქ შემოქონდათ „თითქმის ყოველგვარი სამრეწველო საქონელი“; მაგრამ შეუძლებელი შეიქნა რუსეთიდან საქართველოში ჩხრიალა ფულის დენის შეჩერება: მთელი სახელმწიფო ბიუროკრატია საქართველოში ხელფასს ღებულობდა ჩხრიალა ფულით, ხოლო თბილისის ზარაფხანა, ამ მხრივ, ცხადია, მთელ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდა.

შიგა რუსეთიდან საქართველოში ჩხრიალა ფულის დენა რომ შეეჩერებია, მთავრობა შეეცადა შემოეღო და გაემრავ-

[1] „საისტ. მოამბე“, ტ. I, 34.

ლებია აქ მიმოქცევა რუსეთის იმპერიის ასიგნაციებისა, მაგრამ უკანასკნელმა საქართველოში ჯეროვანი ნდობა ვერ მოიპოვა[1], რასაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საფუძვლიანი მიზეზიც ჰქონდა. საქართველოდან რუსული ჩხრიალა ფულის ირანსა და თურქეთში გასვლის შეჩერებისაკენ მიმართული ღონისძიებებიც სასურველ ეფექტს ვერ იძლეოდა[2], რადგან, როგორც საქართველოს მთავარსარდალი გენ. ტორმასოვი წერდა, საქართველოში არ იყო განვითარებული მრეწველობა, რათა, როგორც ადგილობრივი მოთხოვნილება ისე მეზობელი ხალხებიც მოემარაგებია სამრეწველო საქონლით. საქართველოში მოჰყავდათ „მხოლოდ პური და ღვინო", რაც მეზობელ ხალხებს „სრულებით არ ჭირდებათ", ხოლო საქართველოში არსებობს „აუცილებელი მოთხოვნილება მეზობელთა საქონლისა და ნაკეთობისა, რომელთაც არ ღებულობენ რა რუსეთიდან, — კავკასიის მთებზე სამიმოსვლო გზების სიძნელისა და მთიელ ყაჩაღ-მტაცებელთა მძვინვარების გამო, — ღებულობენ ირანიდან და უხდიან ნაღდად ოქროს და ვერცხლის მონეტებით, ამასთანავე კარგად გამაგრებული საზღვრებისა და მათზე დაარსებული სადარაჯოების უქონლობის გამო თავისუფლად გააქვთ მონეტები ირანსა და თურქეთში"; მეორეს მხრივ, იმ უმნიშვნელო რაოდენობის საქონლისთვისაც-კი, რომელიც თბილისელ ვაჭრებს რუსეთიდან მოჰქონდათ საქართველოში, უხდიდნენ რუს ვაჭრებს არა ფულით, არამედ აბრეშუმითა და ბამბით.

ასე რომ საქართველოდან რუსეთში ჩხრიალა ფული შედარებით მეტად ნაკლებად მიედინებოდა. ასეთ პირობებში, ტორმასოვის აზრით (1810 წ.), იმისათვის რათა საქართ-

---

[1] 1810-იან წლებში ასიგნაციებს იცნობდნენ ამიერკავკასიის მხოლოდ ისეთ ცენტრებში, როგორიც იყო თბილისი და ბაქო. სხვაგან არც ქალაქებსა და, განსაკუთრებით, არც სოფლებში ასიგნაციები არ იხმარებოდა. გენ. ტორმასოვი გრაფ რუმიანცევს ატყობინებდა, რომ, მაგ., გურიაში „სახელმწიფო ასიგნაციები არა თუ მიმოქცევაში არ არის, არამედ აქაურ ხალხს ის ჯერ არც-კი უხილავსო" (АСКАК., IV, № 597, стр. 1378).

[2] Арх. Нар. Хоз. СССР, Ф. ГКК., 1811 г. д. № 725 л. л. 9—10.

ველოში მოეპოვებიათ ნდობა ასიგნაციებს და ამასთანავე ჩხრიალა ფულსაც აქედან რუსეთში უკანვე დენა დაეწყო, ერთადერთი გზა იყო ამ მხარეში რუსული სამრეწველო საქონლის ბლომად შემოტანა იმ ზომით, რომ აქაურ ვაჭრებს ხელი აეღოთ ირან-თურქეთის ქალაქებიდან საქონლის შემოტანაზე; და კიდევ მეტი: თვით ირანელ თუ ადგილობრივ ვაჭრებს გაეტანათ აქედან ირანსა და თურქეთში საქონელი, ე. ი. შემოეტანათ ოქროს და ვერცხლის მონეტა. რუსული საქონლის საქართველოში შემოტანას კი ამიერიდან ხელს შეუწყობდა კავკასიონის მთაგრეხილების ფათერაკიანი გზების ნაცვლად კასპიის ზღვით ბაქოში და შავი ზღვით ფოთში ტვირთის მოტანის გაადვილება. მაგრამ გენ. ტორმასოვის და რუს ვაჭართა და მრეწველთა ეს მოსაზრებები მირაჟებივით გაჰქრენ. საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსული სამრეწველო საქონლისთვის ასეთი მდგომარეობის შექმნა ათეული წლების მერმეც-კი ოცნების საგანს წარმოადგენდა [1].

მთელ იმპერიაში არმია (სამხედრო უწყება მთლიანად) მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ასიგნაციებს ხარჯავდა, მხოლოდ საქართველოში სამოქალაქო მმართველობასთან ერთად საქართველოს ცალკე კორპუსსაც ყოველგვარი ხარჯები ჩხრიალა ფულით უნდა გაეწია. სახელმწიფო ხაზინა დროს არ ჰკარგავდა და ახალ-ახალ გეგმებს სთხზავდა, რათა საქართველოშიაც შემოეღო ასიგნატთა დაუბრკოლებელი მიმოქცევა და გენ. ტორმასოვის რეპუტაციის გაფასების შემდეგ, 1814 წ. გრაფი არკაჩეევი მიმართავს გენ. რტიშჩევს რომ: „იმპერატორის სურვილია ასიგნაციები მიმოქცევაში იყვნენ საქართველოშიც, რასაც მთელის გულმოდგინებით ხელი უნდა შეუწყოთო“. იმავე წლის 10 იანვარს გამოიცა ბრძანებულება საქართველოსა და ამიერკავკასიაში ასიგნაციების სავალდებულო ტრიალის შესახებ. ხოლო აპრილიდან კი საქართველოს აღმასრულებელ ექსპე-

[1] პ. გუგუშვილი, „შეღავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, 1936 (ტ ს. უ. შრომები, ტომი III და V); მონოგრაფიები, I, გვ. 135—257.

დიციას დაევალა მიეღო „შესაფერი და ყოველგვარი ზომები იმპერატორის ხსენებული ნების ცხოვრებაში გასატარებლად“ [1].

ამოძრავდა ბიუროკრატიული აპარატი. საქართველოს მთავრობამ ყოველ ქალაქში, თემში, სოფელში გამოაქვეყნა სათანადო განკარგულება. მაგ., თბილისის პოლიცმეისტერი ი ო ს ე ბ შ ა ღ უ ბ ა თ ო ვ ი, რუსული მმართველობის პოლიცმეისტერი, რომელმაც მხოლოდ ქართული წერა-კითხვა იცოდა, — აღმასრულებელ ექსპედიციას ატყობინებს, რომ მიიღო ყოველგვარი ღონისძიება ასიგნაციების ტრიალისათვის, „მაგრამ კურსი [ასიგნაციისა] მაინც არ იწევს მაღლაო“. საქართველოს სახაზინო ექსპედიცია კი ადგილებიდან მოითხოვდა ყოველკვირეულად წარმოდგენას ნუსხებისა, თუ როგორ შედიოდა მიმოქცევაში ასიგნაციები. ასეთ ღონისძიებათა შემდეგ, მაგ., სიღნაღის კომენდანტი აღმასრულებელ ექსპედიციას ატყობინებს, რომ მან თავი მოუყარა ყველა ვაჭარს და მოქალაქეს და აცნობა იმპერატორის ნება ასიგნაციათა მიმოქცევაში შემოტანის შესახებ, რის შემდეგაც „უმცირესობამ განაცხადა: საიმპერიო ასიგნატების მიმოქცევაში დიდი უხერხულობაა იმიტომ, რომ ვაჭართა უმრავლესობა ვაჭრობას აწარმოებს ირანთან, თურქეთთან და ლეკებთან, საიდანაც იძენენ ბამბას, აბრეშუმს და მრავალგვარ აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებს და სხვ. ამასთანავე განაცხადეს, რომ არავის არა აქვს იმდენი კაპიტალი, რათა შეეძლოს დახურდავება ასიგნაციებისა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი საკმაოდ გამრავლდებიან; ამასთანავე ისინი სავაჭროდ რუსეთის ქალაქებში ძალიან იშვიათად მიდიან, და თუ ასიგნაციებს ყველგან ექნება მსვლელობა, მაშინ ვაჭრებიც არ იტყვიან უარს მის მიღებაზეო“. განჯისა და თელავის კომენდანტები 1814 წ. მაისის დასაწყისშივე იუწყებიან, რომ იქ ჯერჯერობით ასიგნაციები არ არის მიმოქცევაში [2].

როგორც ჩანს, ამდენმა ღონისძიებამ უშედეგოდ ჩაიარა. იმავე 1814 წლის გასულს გენ. რ ტ ი შ ჩ ე ვ ი თავის უქვეშევრ-

[1] საქ. ცენტრარქივი, ფ. 5 ВГПИЭ, 1814 წ. საქმე № 6494, ფურც. 1—4.
[2] იქვე, ფურც. 5—19.

დომილეს მოხსენებაში იძულებულია აღნიშნოს, რომ საქართველოში ასიგნაციებს მაინც არა აქვთ გასავალი, რომ აქ „ხალხმა არ იცის სხვა ფული გარდა ოქროსა და ვერცხლისა“, ასე რომ რუსულ ასიგნაციებზე წარმოდგენა აქვთ „მხოლოდ იმ ვაჭრებს, რომელთაც რაიმე კავშირი და ურთიერთობა ჰქონიათ და აქვთ რუსეთთან. მთელ ამ მხარეში ასიგნაციების მცირეოდენი მიმოქცევაა მხოლოდ თბილისსა და ბაქოში, რომელთაც კომერციული კავშირი აქვთ ასტრახანთან. თბილისსა და ბაქოშიაც მხოლოდ მაშინაა მოთხოვნილება ასიგნატებზე, როდესაც აქედან ვაჭრები მიემგზავრებიან მოსკოვს, მაკარევს და ასტრახანში რუსული საქონლის შესასყიდად, რაც წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხდება, როდესაც მთელი სავაჭრო ბრუნვა, იქ გატანილი ნაღდი ფულის (ჩვეულებრივად ასიგნაციების) მიხედვით, არ აღემატება 250.000 მანეთს...“ მართალია, რუსეთიდან იმ დროს საქართველოსა და ამიერკავკასიაში 250.000 მან. ბევრად მეტი ღირებულების საქონელი შემოდიოდა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ საქონლის უდიდესი მასის შეძენა ხდებოდა აქედან რუსეთის ქალაქებში გატანილი ადგილობრივი თუ ირანული წარმოშობის საქონლიდან ამოგებული ფულით. საქართველოს მთელი საგარეო ვაჭრობა კი — თურქეთთან, ირანთან, ინდოეთთან, ბუხარასთან — მხოლოდ და მხოლოდ ჩხრიალა ფულით უნდა წარმოებულიყო, რადგან ამ ქვეყნებში გასავალი ჰქონდა მხოლოდ მონეტებს. კავკასიის მთიელებთანაც ვაჭრობა, ცხადია, მხოლოდ ჩხრიალა ფულზე შეიძლებოდა, რამდენადაც ეს ვაჭრობა უბრალოდ პროდუქტის პროდუქტზე გაცვლის სახით არ ხდებოდა: ამგვარად, ადგილობრივ ვაჭრებს, გასაგებია, ასიგნაციების ტრიალი ნაკლებად შეეძლოთ.

გარდა ამისა საქართველოში ასიგნაციების მიმოქცევას აფერხებდა ის გარემოებაც, რომ აქ „სპილენძის ფულზე დიდი ნაკლებობა“ იყო; ამის გამო რტიშჩევი 1814 წ. მოითხოვდა, რათა რუსეთიდან საქართველოში შემოეტანათ—„ასიგნაციების დახურდავების გაადვილებისა და, მაშასადამე, მი-

მოქცევისათვის ხელისშეწყობის მიზნით“, პირველ ხანებში, ½ მილიონი მანეთის სპილენძის მონეტები მაინც. გენ. რ ტ ი შ ჩ ე ვ ს ამავე მიზნით საჭიროდ მიაჩნდა თბილისსა და ბაქოში ს ა ბ ა ნ კ ო კ ა ნ ტ ო რ ე ბ ი ს დაარსება: რომ ამ გზით „ადგილობრივ მიწათმომქმედთ, რომელთაც სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებნი ხაზინაში ვერცხლის მონეტებით“ უნდა შეეტანათ, საშუალება მისცემოდათ, თუნდაც მცირე ზომით (10 მანეთამდე), ასიგნაცია დაეხურდავებიათ ოქროსა და ვერცხლში, რომ ამით ხალხში გამტკიცებულიყო ნდობა ასიგნაციებისადმი. რუსეთის ბანკის ამ განყოფილებათათვის უნდა მიეცათ კაპიტალი ოქროთი და ვერცხლით (თუნდაც თვით საქართველოს შემოსავლიდან) 250.000 მანეთამდე. ბანკები ხელს შეუწყობდნენ ვაჭრობის განვითარებას. მაგრამ, გარდა ამისა, რუსეთის ვაჭრებს, რომლებიც ხელს მოკიდებდნენ საქართველოში ვაჭრობას, ადგილობრივი მთავრობა ჰპირდებოდა „ყოველგვარ დახმარებას“: მათ ნება მიეცემათ „თბილისსა და სხვა სამაზრო ქალაქებში გახსნან დუქნები და მაღაზიები და თავისუფლად ისარგებლონ ყოველგვარი სავაჭრო უფლებებითო“. ამგვარი ღონისძიებებით, უკეთ ვთქვათ ჯერ კიდევ გენ. ტ ო რ მ ა ს ო ვ ი ს გეგმების განხორციელებით, ცდილობდა გენ. რ ტ ი შ ჩ ე ვ ი საქართველოში რუსეთის ვაჭრობის გაბატონებას და ირანელ ვაჭართა გადმობირებას, რაც ყველაზე სასარგებლო ღონისძიებათ წარმოუდგებოდა მას იმ მ ე რ კ ა ნ ტ ი ლ უ რ ი მიზანდასახულების განხორციელებაში, რაც „სახელმწიფოში ოქროსა და ვერცხლის დაცვის“, ანუ ირან-თურქეთში ჩხრიალა ფულის გასვლის შეჩერებაში გამოიხატებოდა[1].

რტიშჩევის გეგმები განუხორციელებელი დარჩა, უფრო იმის გამო, რომ ამ დროს ფინანსთა სამინისტროს უფრო მწვავედ აწუხებდა თვით შიგა რუსეთში ფინანსური და კრედიტის საქმის მეტისმეტი აბნეულობა. მიზეზი იმისა, რომ ამიერკავკასიაში ასიგნაციებს გასავალი არ ჰქონდა და აქედან რუსული ჩხრიალა ფული ირან-თურქეთში გადიოდა, იყო, სხვა-

[1] АСКАК, VIII, № 294, стр, 443.

თა შორის, ის გარემოებაც, რომ „უკვე მე-18 ს. ბოლოდან რუსეთში დარჩენა არ შეეძლო არავითარ ჩხრიალა ფულს; მათ უცხოეთში მიერეკებოდა მეტად გამრავლებული და გაფასებული ასიგნაციები“ [1].

ასიგნაციარუსეთშიპირველადგაჩნდა1769წ.; ასიგნაციის გამოშვებისას ეკატერინე II მთავრობამ, როგორც კ. მარქსი შენიშნავს, „განზრახ დაივიწყა ეთქვა ხალხისათვის, თუ რა ფულით იქნებოდა გადახდილი ეს ქაღალდები“ [2]... ასიგნაციებს უნდა ემსახურნა უმთავრესად კომერციული ბრუნვის შესამსუბუქებლად, რადგან რუსეთში აქამდე გაბატონებული სპილენძის მონეტა მეტად აფერხებდა ვაჭრობას: 25 მანეთის სპილენძის მონეტა იწონიდა $1^1/_2$ ფუთს [3]. მაგრამ სულ მალე, ომების გამო (ომი თურქეთთან, სუვოროვის ძლევამოსილი ლაშქრობა იტალიაში, ნაპოლეონის ომები) — ასიგნაციის უხვად გამოშვებამ გამოიწვია მისი კურსის კატასტროფული დაცემა. პეტერბურგში ასიგნაციის ერთი მანეთის საბირჟო კურსი ვერცხლით უდრიდა: 1769 წელს 99 კაპ., 1801 წ. — $71^2/_3$, 1806 წ. — $67^1/_2$ კაპ., 1806 წ.—$33^1/_3$, 1812 წ. — $25^2/_5$, 1815 წ. — 20 კაპ. 1818 წლიდან შეწყდა ასიგნაციის გამოშვება და დაიწყო მისი თანდათანი განადგურება (1823 წლამდე), რის გამო მიმოქცევაში უკვე მცირე რაოდენობით დარჩენილი ასიგნაციის კურსმა ცოტაოდენი აიწია, მაგრამ მაინც უმნიშვნელოდ. 1833 წ. ასიგნაციის მანეთი $27^1/_4$ კაპ. ღირდა. ამგვარად კანკრინის ცდამ, რომ ასიგნაცია ჩხრიალა ფულთან გაესწორებია, მიზანს ვერ მიაღწია. ამ მარცხის შემდეგ მთავრობამ, ლითონის ვალიუტის აღდგენისათვის, დევალვაციას მიმართა. დადგენილ იქნა, რომ ვერცხლის ერთმანეთიანი (იდეალური მონეტა) უდრიდა ასიგნაციით ოთხ მანეთს. ამავე დროს ასიგ-

[1] თვით ფინ. სამინისტროს ცნობით მე-18 საუკ. ბოლოსა და მე-19 ს. დასაწყისს „რუსეთმა დაჭკარგა 300—500 მილ. მან. ჩხრიალა ფული“, რომელიც საზღვარგარეთ გავიდა.

[2] Маркс и Энгельс, Сочинения, т. IX, 1933. М., 624—627.

[3] Я. И. Печерин, „История госуд. доходов и расходов с 1784 г. по 1864 г.“, 1898, СПБ., 236—237.

ნაციაზე ეწერა, რომ ის უდრის მანეთს ვერცხლით და არა 25 კაპიკს... ამ წინააღმდეგობიდან გამოსვლის ძიებას მოჰყვა საკრედიტო ბილეთების გამოშვება[1].

საკრედიტო ბილეთების გამოშვება რუსეთში დაიწყო 1843 წელს. საკრედიტო ბილეთმა დაიკავა ასიგნაციის ადგილი. საკრედიტო ბილეთების მთელი თანხის $^1/_6$ ნაწილი უზრუნველყოფილი იყო იურიდიულად ლითონის (ოქროს და ვერცხლის) ფონდით. საკრედიტო მანეთი უდრიდა 3 მ. 50 კ. ასიგნაციაზე და ხურდავდებოდა ვერცხლის 1 მანეთზე. მაგრამ შემდეგში, ყირიმის ომის დროს, იწყეს საკრედიტო ბილეთების უხვად გამოშვება; შედეგად ამისა დაეცა მისი კურსი. თუმცა 1858 წელს 90½ მილ. მანეთის საკრედიტო ბილეთი იქნა მიმოქცევიდან ამოღებული, მაგრამ, რამდენადაც ლითონური ფონდიც მცირდებოდა, მისმა კურსმა მოლოდინისამებრ ვერ აიწია. 1859 წ. საკრედიტო მანეთი ღირდა 68¾ კაპ., 1859—61 წწ. ბაზარს მოაწყდა კვლავ ახალი ტალღა საკრედიტო ბილეთებისა, რამაც მისი კურსი 68⅔ კაპ. ჩამოიყვანა. რეფორმების დასაწყისის ამ ფინანსურ აბნეულობას რუსეთი ებრძოდა შემდგომი ათეული წლების განმავლობაშიც[2].

აღსანიშნავია, რომ ასეთ პირობებში ხელისუფლება ცდილობს შემოიღოს პ ლ ა ტ ი ნ ი ს მ ო ნ ე ტ ე ბ ი. უკვე მესამე ათეული წლის მიწურულს ირანში შესული პლატინის რუსული მონეტები დიდი სისწრაფით ვრცელდებიან. ამ გარემოებამ საფუძველი მისცა ცენტრს დაეწყო ცდა მისი ამიერკავკასიაშიც გავრცელებისათვის. 1829 წელს ფინ. მინ. კ ა ნ კ რ ი ნ ი, ატყობინებს რა გრაფ პ ა ს კ ე ვ ი ჩ ს ხელისუფლების ამ განზრახვას, თანვე აგზავნის თბილისში პლატინის 1000 ცალ მონეტას და ავალებს ადგილობრივ ხელისუფლებას[3],

[1] Н. И. Р о ж к о в, „Финансовая реформа Канкрина", 234—9. (Сб. „Ист. России в XIX в.").

[2] И. И. К а у ф м а н, „Из истории бумажных денег в России", СПБ., 1909 г. 143—169; И. С. Б л и о х, „Финансы России в XIX ст.," т. II, 98—140.

[3] АСКАК., VII, № 8687; პლატინის შესახებ იხ. აგრეთვე საქ. ცენტრარქივში ფონდი 4 ГГЭ, საქმე № 305/22.

„რათა მან მიიღოს ყოველგვარი ღონისძიება აღნიშნული მონეტის საყოველთაო ხმარებაში შეტანისათვის“. პლატინის ერთი მონეტა უნდა დახურდავებულიყო ვერცხლის 3 მანეთზე. ადგილობრივ ხელისუფლებას, — რომელსაც შეეძლო სასურველი რაოდენობით გამოეთხოვა ცენტრიდან პლატინის მონეტები, — ებრძანა აგრეთვე, რომ პლატინის მონეტები საჭიროებისამებრ გაეცა საჩუქრადაც ოქროს ადგილას, „რათა მისი გავრცელებისათვის ამით ზედმეტი ბიძგი მიეცა“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ათიოდე წლის შემდეგ, საერთოდ ძვირფას ლითონთა შორის პლატინის შეფარდებაში მომხდარ ცვლილებათა გამო, მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა უკანვე დაებრუნებია მიმოქცევაში გასული პლატინის მონეტები[1]. კერძოდ ამიერკავკასიაში 1846 წ. კიდევ ერთხელ იქნა გაგრძელებული ვადა პლატინის მონეტების გადახურდავებისა.

1822 წლიდან საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის გამოცხადების პერიოდში გაშლილი კომერციული თაოსნობის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა ფულის მიმოქცევა და, მაშასადამე, უფრო მეტად საგრძნობი შეიქნა მისი მოუწესრიგებლობა. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის საქმეში არსებულ სიძნელეთა შერბილების მიზნით თბილისის გენ.-გუბერნატორმა გენ. სიპიაგინმა 1828 წელს იშუამდგომლა ფინანსთა სამინისტროში, რათა თბილისში დაეარსებიათ კომერციული ბანკი, ანუ გაეხსნათ განყოფილება მოსკოვის კომერციული ბანკისა. სიპიაგინი ფინანსთა მინისტრს კანკრინს სწერს: „ამჟამად საქართველოში ვაჭრობა და მრეწველობა ისეთი ძლიერებით იშლება, რომ მიმოქცევაში მყოფი ფულის არასაკმარისობა აშკარავდება ყოველდღიური გამოცდილებით; რადგან შეუჩერებელი გამრავლებით მიწათმოქმედების ნაწარმოებთა და შემოტანილი საქონლისა ძვირდება ფული, რომელიც ახლანდელი მდგომარეობის დროს შეიძლება გაიაფდეს მხოლოდ კრედიტის მეოხებითო“. სიპიაგინი მოითხოვდა რა დაეარსებიათ თბილისში კომერციული ბანკი

[1] Арх. ВПКБ, 1846, საქმე № 217.

ამასთანავე საჭიროდ სთვლიდა უკანასკნელს ძირითადი კაპიტალის სახით მისცემოდა: 100.000 მან. ვერცხლით, და 50.000 ჩერვონეცით; მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ არ შეიწყნარა მისი შუამდგომლობა: „საქართველოს ვაჭრებს ჯერ კიდევ ვერ მიუღწევიათ ევროპული განათლების სათანადო ხარისხამდე, რის გამოც თამასუქებზე გაცემული სესხის დაბრუნება მეტად საეჭვო იქნებაო“.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი ხელისუფლების გულმოდგინე ცდისა, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ასიგნატებმა ვერ მოიპოვა ნდობა. უკვე 1842 წელს შედგენილ თბილისის მაზრის სტატისტიკურ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ „ასიგნაციებსა და დეპოზიტურ ბილეთებს გლეხები თითქმის სავსებით არ ღებულობენო“ [2]; ხოლო 8 წლის წინათ შეკრებილი ცნობებით რუსული ასიგნაციები „გადიოდა მხოლოდ ქალაქებში“ [3]; ზარაფებს (დამხურდავებლებს) ასიგნაციის ვერცხლზე დახურდავებისათვის 1% მიჰქონდათ [4]. სოფელში კი ამ დროს ასიგნაციები უცნობი ყოფილა.

ამიერკავკასიის ისედაც განუვითარებელი ბაზრების სათანადო ასორტიმენტის და ხარისხის რუსული საქონლით მომარაგების შეუძლებლობა, რაც შედეგი იყო როგორც რუსეთის მრეწველობის ჩამორჩენილობის, ისე რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის კავშირგაბმულობის და მიმოსვლა-საქონელბრუნვის ჩამორჩენილობისა, — იწვევდა ამიერკავკასიიდან რუსული ჩხრიალა ფულის საზღვარგარეთ დენას. ხელისუფლება, როგორც ზემოთ დავინახეთ, შეეცადა შეენელებია ეს უკანასკნელი პროცესი რუსეთის ვაჭრობის ხვედრიწონის გაზრდისა და გაბატონებისათვის იმ პირობებში შესაძლებელ ღონისძიებათა მიღებით. მაგრამ როდესაც, მიუხედავად განსაკუთრებული მფარველობის და პრე-

[1] კრედიტის განვითარების შესახებ იხ. ქვემოდ.

[2] АВПКБ, 1842. д. № 194. л. 83.

[3] О. Евецкий, „Стат. опис. Зак. края“, 1835. СПБ. 153.

[4] ЛОЦИА., ф. К. К. 1846 г. д. № 325.

მიებისა, რუსეთის ვაჭრობამ ამიერკავკასიაში სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, მთავრობა იძულებული შეიქნა 1846 წლის კანონით აეკრძალა ამიერკავკასიის შავი ზღვის პორტებიდან ჩხრიალა ფულის უცხოეთში გატანა[1]. მიუხედავად ამ ღონისძიებათა, რასაც მთავრობა მიმართავდა ოქროს და ვერცხლის ფულის საზღვარგარეთ დენის შესაჩერებლად, ეს ფული მაინც დიდი ზომით გადიოდა აქედან — განსაკუთრებით ირანსა და თურქეთში, სადაც მას იზიდავდა, სხვათა შორის, თვით ამ ქვეყნების ქაოსური ფინანსური მდგომარეობაც.

კავკასიის კომიტეტის ხელმძღვანელის პოზენის მიერ 1842 წელს ამიერკავკასიის რევიზიის დროს მოპოვებული და უქვეშევრდომილეს მოხსენებაში დაცული ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გატანილი და საზღვარგარეთიდან ამიერკავკასიაში შეტანილი ფულის ნუსხა—სამი წლის (1839-41 წწ.) განმავლობაში—შემდეგ საინტერესო სურათს გვიშლის:

გატანილ იქნა საზღვარგარეთ მონეტები	4.589.043	მან. ვერცხლით.
შემოტანილ იქნა საზღვარგარეთიდან . . .	63.266	მან. „

ამ ცნობიდან პოზენს ერთი მისთვის „სასიამოვნო დასკვნა“ გამოყავს, რომ „ჩვენკენ უცხოეთის დაბალღირსებიანი მონეტების დენა სავსებით უმნიშვნელოა. მით უმეტეს, რომ ფულის ნაჩვენებ რაოდენობაში ფრიად მცირეა თურქული და ირანული ფულებიო“[2]. თურქეთში გასული რუსული ფულის შესახებ სამნახევარი ათეული წლის გასვლის შემდეგ მეფის ერთი სამხედრო მოხელე წერდა: „საკუთარი მონეტების ნაკლებობამ თურქეთში მიიზიდა დიდძალი უცხოეთისა და განსაკუთრებით რუსეთის ოქრო და ვერცხლი. ვფიქრობ დიდი შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სულ უკანასკნელი ნახევარი მაინც ჩვენი ძველი ჭედის, 84 სინჯიანი, ვერცხლი მიმოქცევაშია თურქეთში. აქ ყველგან შევხვდებით 25, 30, 50 და 75 კაპიკიან მონეტებს, რომლებიც ჩვენში ამჟამად

[1] ЛОПИА., ф. К. К. 1842 г., д. № 245 л. л., 940—946.
[2] იქვე, 1843 г. д. № 431, л. л. 41—43.

დიდ იშვიათობად ითვლება. რუსული ოქროც ბევრია, უმეტესად ნახევარიმპერიალები"-ო[1].

ამიერკავკასიაში რუსული მონეტების და ზომისა და წონის ერთეულების[2] გაბატონებისათვის თვითმპყრობელობამ განსაკუთრებულ ღონისძიებებს მიმართა 40-იანი წლების დასაწყისიდან. ღონისძიებათა ეს ახალი ტალღები გამომდინარეობდა ამიერკავკასიაში იმავე ხანებში დაწყებული ფინანსური და, მაშასადამე, მთელი ეკონომიკური პოლიტიკის გადახალისების ცდებიდან, რაც უშუალო რეზონანსი იყო შიგა რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა.

ბარონმა პ. გ ა ნ მ ა შეადგინა პროექტი „Об устройстве финансовой части в Закавказском крае". პ. გ ა ნ ი თავის პროექტში, კერძოდ ფულის ნიშნების მიმოქცევის შესახებ, წერს: „ცოცხალი მოგონება ამიერკავკასიაში არსებული ცალ-ცალკე მთავრობებისა დაცულია ყოველ მათგანში წინათ არსებულ მონეტებში, რომლებიც დღემდე ხმარებაშია. საქართველოსა და იმერეთში მიმოიქცევა საქართველოსა და იმერეთის აბაზები; სხვა პროვინციებში — აბაზები სხვადასხვა ხანებისა; ირანისა და თურქეთის მეზობელ ოლქებში, როგორიცაა ტალიშის სახანო, ახალციხის საფაშო და სხვ. — ირანული და თურქული მონეტები. თუმცა ჩერვონცები და ვერცხლის რუსული მონეტები ყველგან მიიღება, მაგრამ წვრილი ვერცხლის მონეტა — ძველი ზომისა და ძველი ჩვეულების მიხედვით — ყოველ პროვინციაში მიმოიქცევა საკუთარი [ადგილობრივი ჭედისა], რომელსაც ფასობა აქვს მხოლოდ მის [პროვინციის] საზღვრებში: ასე, მაგალითად, იმერული აბაზები მიიღება მხოლოდ იმერეთში; თვით ქართული აბაზიანებიც-კი არ მიდის განჯის იქით, სადაც აქვთ თავისი მონეტა, მხოლოდ იქ რომ მიიღება. ბაქოში იხმარება შირვანის, ყუბის სხვადასხვა ხანთა სხვადასხვა ღირსების აბაზები.

[1] Я. М а л а м а, „Деньги, весы и меры Ерзерумского вилаета", 1876. Т. стр. 3—4.

[2] მე-19 ს. საქართველოსა და ამიერკავკასიაში ზომა-წონის (მეტროლოგიის) ისტორიისათვის სპეციალურ გამოკვლევაში გვექნება საუბარი.

მონეტების ასეთი მრავალგვარობა არა მხოლოდ მთელ მხარეში, არამედ ყოველ პროვინციაშიაც კი, დაურწმუნებლობა მათს ჭეშმარიტ ღირსებაში და ხშირად მოხვედრილი სიყალბე, განსაკუთრებით იმერული და ჰუსეინ ყული-ხანის [ყუბის სახანოს] აბაზებისა, დასასრულ, საერთოდ მცირე რაოდენობა წვრილი ნონეტებისა სახალხო მიმოქცევაში, აძნელებენ ბრუნვას, აფერხებენ შინაგან ვაჭრობის მოძრაობას, ძირს უთხრიან ურთიერთ ნდობას (კრედიტს), არსებითად ვნებენ სახალხო კეთილმდგომარეობის განვითარებას და ქმნიან მოსახლეობისათვის დიდ სიძნელეს ხაზინაში ბეგარა-გამოსაღებთა შეტანაში. თუ ყოველივე ამას დავუკავშირებთ შესახედავად რამდენადაც უმნიშვნელოს, თავის არსებით იმდენადვე მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ყოველ პროვინციაში წინანდელი მონეტების დაცვა [დატოვება] ემსახურება ცალკე ეროვნებათა გრძნობების განმტკიცებას და აფერხებს მათს ერთ მთელში გათქვეფას, მაშინ არ შეიძლება არ დავრწმუნდეთ, რომ ამ მრავალგვარი და უხეში მონეტების განადგურება და საყოველთაოდ შემოღება რუსული მონეტებისა არის ერთ-ერთი იმ პოლიტიკურ ღონისძიებათაგანი, რომელიც სავსებით ათანხმებს მთავრობისათვის სასარგებლოს ამ მხარისათვის მოსაგებთან“.

ბარონ ჰ. გ ა ნ ი ს მოსაზრებებს ძირითადად შეუერთდნენ ფინანსთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრები. მხოლოდ პირველი მათგანი განმარტების სახით დასძენდა: „რადგანაც სავაჭრო ბალანსი აზიის მოსაზღვრე ქვეყნებთან რუსეთისათვის საკმაოდ არასასარგებლო ხასიათისაა, ამიტომ ძნელია რუსული ფულებისათვის ამიერკავკასიაში გაჩერება: ისინი გააქვთ საზღვარგარეთ ან მიმოქცევისათვის ან ცუდ მონეტებად გადასადნობად და უკანასკნელი რომ მიიღებოდეს [ამიერკავკასიაში] ნომინალური ღირებულებით, მაშინ მთელი ნაკლებვარგისიანი აზიური მონეტები იწყებდნენ დენას ამიერკავკასიისაკენ, რათა აქ გადაცვლილ იქნენ რუსულ მონეტებზე, რომელთა გატანა [საზღვარგარეთ], ადგილობრივი მდგომარეობის გამო, არ შეიძლება აღიკვეთოს“; ამ მიზეზების გამო,

ფინანსთა მინისტრის მოსაზრებებით, მხოლოდ მაშინ შეიძლება „ამ ბოროტების“ გამოსწორება, როდესაც „თვით ხალხი გადაეჩვევა აზიურ ფულებს“; ფინანსთა მინისტრი ამ შეხედულების დასამტკიცებლად ასახელებდა მსგავსსავე მდგომარეობას პოლონური ბილონებისა, რუსეთის დასავლეთის საზღვრებზე რომ ჰქონდა ადგილი. საბელმწიფო ქონებათა მინისტრი კი მომხრე იყო უფრო რადიკალურ ღონისძიებათა მიღებისა და მოითხოვდა, რომ ადგილობრივ ხაზინებს სავსებით უარი ეთქვათ „დაბალსინჯიანი აზიური მონეტების მიღებაზე“, რითაც ეს მონეტები დაკარგავდნენ კრედიტს და თანდათან გაიდევნებოდნენ „უკიდურესი ზომების მიღების გარეშეო“; თითქოს ხაზინის მიერ მათს მიღებაზე უარის თქმა არ იყო უკიდურესი ღონისძიება.

1842 წელს იმპერატორის მიერ ამიერკავკასიაში სარევიზიოდ მივლინებულ სტატს-სეკრეტარ პოზენს დავალებული ჰქონდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია, სხვათა შორის, ფულის მიმოქცევისთვისაც. მიუხედავად გულმოდგინე ცდებისა, პოზენმა ვერ შეძლო მოეპოვებია დაახლოებითი ცნობები მაინც აქ მიმოქცევაში მყოფი „ფულადი კაპიტალის მთელი მასის, და არც რუსული ქაღალდის ფულისა და მონეტების ადგილობრივთან შეფარდების შესახებ“, რადგან ამიერკავკასიაში „არ არის საკრედიტო დაწესებულებები სიტყვის პირდაპირი აზრით, არ არის წესიერი ვაჭრობა და მნიშვნელოვანი კაპიტალებიც-კი“[1]. მიუხედავად ამისა, მის მიერ დაგროვილ იქნა მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობები ამ საკითხის შესახებ. სახელდობრ პოზენის მიერ ჩატარებული რევიზიის დროს აღმოჩენილა სამაზრო ხაზინებში ნაღდად:

ყოველგვარი ფული საერთოდ . . .	**305.656 ვერცხ. მან.**
ამათში რუსული ფულის ნიშნები:	
1. იმპერიალები და ნახევარიმპერიალები	. 4.945 მან. ვერცხლით
2. ვერცხლის ფული . .	. 227.758 „
3. პლატინა	36 „

[1] ЛОЦИА., ф. К. К. 1813 г. д. № 431 „По всеподданнейшему докладу, об определении единообразных мер, весов и монет“, л.л. 9—11.

4. სპილენძის ფული . .	85.513	მან. ვერცხლით
5. სადეპოზიტო კასის ბილეთები	362	„
6. ასიგნაციები . . .	25.771	„
უცხოური მონეტები (ჰოლანდური ჩერვონცები) .	**1.125**	**„**
სხვადასხვა ადგილობრივი მონეტები	**4.931**	**ცალი.**

ანგვარად, განაგრძობს პ ო ზ ე ნ ი, „ხაზინის კუთვნილ თანხებში ქაღალდის ფული შეეფარდება ჩხრიალა მონეტებს როგორც 1 : 12; ხოლო ადგილობრივი მონეტა ჩვენს ჩხრიალა მონეტებსა და ქაღალდის ფულებს როგორც 1 : 75“. ასეთია, პოზენის აშკარად რუსული ფულის სასარგებლოდ გამოანგარიშებული შეფარდება.

იხილავს რა თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ზემოხსენებულ მოვლენებს, რომელთაც დასძენს ცნობებს იმის შესახებ, რომ რუსული ქაღალდის ფულები მიმოქცევაშია ყიდვა-გაყიდვის პროცესში მხოლოდ ქ. თბილისსა და კიდევ რამდენსამე ქალაქში, რომ რუსული ჩხრიალა ფული — ოქრო და ვერცხლი — ყველგან სიამოვნებით მიიღება, ხოლო ადგილობრივი მონეტა იხმარება მხოლოდ წვრილი ვაჭრობის დროს, პ ო ზ ე ნ ი დაასკვნის: 1. ამჟამად, ე. ი. 40-იანი წლების დასაწყისს, ადგილობრივი მონეტა გარკვეულად ადგილს უთმობს რუსულ ფულს; და 2. რომ რაოდენობა ადვილად მიმოძრაობის უნარიანი ქაღალდის ფულისა მეტისმეტად ჩამორჩება ჩხრიალა მონეტის რაოდენობას. ხოლო „ეს მოვლენები აიხსნება იმით, რომ ხალხი იწყებს რა გაცნობას რუსული მონეტის ღირსებისა, მას ამჯობინებს ადგილობრივს და რომ, პირიქით, სავსებით არ იცნობს რა ჯერ კიდევ ქაღალდის ნიშნების ღირსებას, გაურბის მას“. ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა იყო, გარდა კურსის მერყეობისა, მთავარი მიზეზთაგანი ათიოდე წლის წინათ საქართველოში ქაღალდის ფულისადმი უნდობლობისა. იგივე მიზეზი, — ე. ი. არ არსებობა სათანადო საკრედიტო დაწესებულებათა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საჭიროებისამებრ ჩხრიალა ფულზე ასიგნაციების გადახურდავება, — აბრკოლებდა მეხუთე ათეული წლების დასაწყისშიაც ჩვენში ქაღალდის ფულის სა-

ხალხო ტრიალს. აღსანიშნავია, რომ ერთგან თვით პოზენი აღნიშნავს ამ გარემოებას და ურჩევს ადგილობრივ ადმინისტრაციას, რათა უკანასკნელმა მიმართოს სხვადასხვა ღონისძიებას (ადგილობრივ ენებზე შედგენა ქაღალდის ფულისა და ხალხისათვის ცნობილი მონეტების შეფარდების ცხრილებისა და სხვ.) ქაღალდის ფულის პოპულარიზაციისათვის.

პოზენის უქვეშევრდომილესი მოხსენებიდან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი საჭიროდ არ სთვლის რუსული ფულის ნიშნების გაბატონებისათვის ადგილობრივი ფულების ტრიალიდან გადევნის მიზნით რადიკალურ ღონისძიებას. მისი აზრით არაა მოსალოდნელი, რომ ამიერკავკასიაში ადგილობრივი ფულები „გადაიქცეს ეროვნულ სიამაყედ ყოველი ცალკე პროვინციისა და მიზეზად რუსეთიდან ამიერკავკასიის ჩამოშორებისა"; პირიქით, ადგილობრივი მონეტების უვარგისობა და დაბალი ღირსება თვით მკვიდრთა ყურადღებას მიაპყრობს უფრო დეფექტებზე წინანდელი მმართველობისა, ვინემ ეროვნულ სიამაყეზე და, ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივი მონეტა ხალხისათვის, რომლისთვისაც უკვე ისტორიული დიდება — მკვდარი ანბანიაო, დასძენს დიდმპყრობელობისა და თვითმპყრობელობის ეს ერთგული მოღვაწე; იგი იმპერატორს მოაგონებს 1841 წ. გურიის აჯანყებას, რაც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ „ადგილობრივ ხელისუფალთ არ უნდოდათ ბეგარა-გამოსაღებთა დასაფარავად მიმოქცევაში მყოფი თურქული მონეტების მიღება" და ურჩევს თანდათანობით და არა სწრაფად მოქმედ ღონისძიებათა საშუალებით იქნას გამოდევნილი ამიერკავკასიის სხვადასხვა პროვინციებიდან ადგილობრივი მონეტები; იგი უერთდება ფინანსთა მინისტრის მოსაზრებებს: „რომ ამ შემთხვევაში მოქმედება ხელისუფლების მხრივ დროით, ხოლო ხალხის მხრით — ჩვეულებით, არის ყველაზე სანდო და უვნებელი ღონისძიება" [1].

---

[1] აი, ერთი ყველაზე დამახასიათებელი ამონაწერი სტატს-სეკრეტარ პოზენის უქვეშევრდომილესი მოხსენებიდან: „Из сведений, собранных при ревизии гражданских установлений Закавказского края,

ამგვარად, მას შემდეგ, რაც მიზანი ძირითადად უკვე მიღწეულია, თვითმპყრობელობის მოხელეები ერთგვარ ლიბერალობასაც არ გაურბიან. უკვე არ იბრძვიან ადგილობრივი მონეტების საჩქაროდ გამოდევნისათვის, რამდენადაც მისი გამოდევნა უზრუნველყოფილია ცხოვრებაში გატარებული ღონისძიებებით. არ მიმართავენ „რადიკალურ ადმინისტრაციულ ღონისძიებათ“ რუსული ფულის გაბატონებისათვის, რადგან მისი გაბატონება უზრუნველყოფილია იმით, რაც ამდენხანს იქნა გაკეთებული. 40-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში რუსული ფულის საბოლოო გაბატონება და ადგილობრივი ფულების აღმოფხვრა უკვე მართლაც დროის საქმე იყო და ასედაც დარჩა. შემდეგში წარმოქმნილი საკრედიტო დაწესებულებანი და ჩატარებული ფინანსური პოლიტიკა ფართო გზახსნილს აძლევდა ამ მოვლენათა განვითარებას.

* * *

შ ე ვ ა ჯ ა მ ო თ: საქართველოსა და ამიერკავკასიის უმთავრესად პოლიტიკური ათვისებისა და ექსპლოატაციისთვის ბრძოლის პირველ წლებში მეფის რუსეთი აქ არა თუ ითმენს ყოფილ ადგილობრივ მეფეთა და ხანების მიერ მოჭრილ

видно, что на местных рынках и вообще при купле и продаже бумажные деньги имеют ход только в главных городах; но звонкая монета наша, особенно золото и серебро, везде охотно принимаются и за тем местная монета употребляется только при мелких покупках.

Вообще народ, начиная знакомиться с достоинством русской монеты, предпочитает ее туземной и напротив, совершенно не понимая еще достоинства бумажных знаков, избегает их.

Между тем, по местности и даже по правам жителей, бумажные деньги должны иметь самый успешный ход. Трудность перевозки монеты в горах; неудобство скрыть ее от хищников; и, наконец, алчность их к серебру и золоту чрезвычайно возвышает достоинство бумажных денег, вовсе для горцев незнакомых и не имеющих в горах обращения; а потому, если туземцы, несмотря на все преимущества ассигнаций пред металлом, избегают их, то

ფულებს, არამედ თვითონ ხსნის თბილისში ახალ ზარაფხანას და იმ დროისთვის დიდი რაოდენობით ჭრის მნიშვნელოვანი ზომით გაყალბებულ ქართულ ფულს: გარემოება, რომელიც ნახევარზე უფრო ფეოდალური ქვეყნის მიერ თავისი კოლონიის ექსპლოატაციისათვის გამოგონილ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ხერხია. ბიუროკრატიამ, როგორც დავინახეთ, ეს ხერხი თავისებურად გამოიყენა პრაქტიკაში, რითაც საიმპერიო ხაზინას და მისთვის ბზრუნველებსაც დიდი სარფა მოუტანა.

მაგრამ შიგა რუსეთის შემდგომი ეკონომიკური დაწინაურება, ბურჟუაზიული მეწარმეობის მხრივ მსხვილი მრეწველობისა და ვაჭრობის მბრძანებელი სიმაღლეების დაპყრობა, ქმნიდა რა ახალ საშუალებებს განაპირა ქვეყნების ექსპლოატაციისათვის, იმავე დროს ხელისუფლებას კარნახობდა ახალ ფინანსურ პოლიტიკასაც. კოლონიის პოლიტიკური და ეკონომიკური ათვისების ახალ სიტუაციაში: ადგილობრივად მეტროპოლიის საქონლის ბაზრების შექმნისათვის; — კომერციულ თაოსნობაში მეტროპოლიის საკავშირო კაპიტალის გაბატონებისათვის; — ყოფაცხოვრებაში მეტროპოლიის ნაწარმის და ადათ-მორალის მოთხოვნილება-მოხმარებისათვის; — დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობისათვის; — ადგილობრივ თავისებურებათა ნიველირები-

---

причина сего кроется единственно в том, что народ решительно не понимает нарицательной цены их и возможности вымена на них, в случае надобности, звонкой монеты.

Мелкая туземная монета чрезвычайно разнообразна и низкокачественна, а потому и не представляет удобства в обращении. Едвали однакоже можно думать, чтобы это обстоятельство могло обратиться в народную гордость каждой отдельной провинции и в причину раз'единения Россиии с Закавказским краем. Совершенная во многих провинциях негодность местной монеты, обращает ее в глазах самых туземцев скорее в неудобства прежнего правления, нежели в гордость народную, и, во всяком случае туземная монета, для народа, чуждого исторической славы — есть мертвая буква. Следовательно, в деле этом остается место одним чисто финансовым соображениям. В этом отношении, как бы необходимость, в единстве

სათვის; — ფეოდალურ-კუთხურ შეუვალობათა იურიდიული ნორმების აფეთქებისა და მოსახლეობის რუსიფიკაციისათვის წარმოებული ბრძოლა, ცხადია, ვერ მოითმენდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, როგორც ყოფილი ადგილობრივი მეფეებისა და ხანების, ისე წინათ თვით ცარიზმის ბიუროკრატიის მიერ მოჭრილი, მაგრამ ქართული სიქის, ე. ი. „ადგილობრივი ნაციონალური“ ფულის სახალხო მიმოქცევას. იგი თვით იმპერიის ფინანსური ძლიერების ზრდის შესაბამისად უნდა ალაგმულიყო.

ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მე-19 ს. 40-იან წლებში დაწყებული ცდები ეფექტურ შედეგს აღწევს 60-იანი წლების გასულს: ბევრად უფრო ადრე გამოდევნილ ხანთა მონეტების შემდეგ, ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლად,—რამდენადაც თვით წყარო, წარმოება, ჯერ კიდევ 1834 წელს იქნა მოსპობილი, — მთელ ამიერკავკასიაში გავრცელებული ქართული მონეტებიც იდევნებიან მიმოქცევიდან. ამ მიზნის მისაღწევად, გარდა ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ და განხილულ ღონისძიებათა გამოყენებისა, ცარიზმი მიმართავდა მოსახლეობაზე ფისკალური პრესის სასტიკ დაწოლას[1] — უკვე კომუტაციაქმნილ სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებთა აკრეფისა და, მაშასადამე, ფულის ნიშნების მიმოქცევის დაჩქარებისთვი-

монетной системы не была настоятельна, едва ли удобны меры решительные. Общее и внезапное воспрещение принимать туземную монету в казначейства и вообще в расчетах с казною, может повергнуть все Закавказское народонаселение в крайнее затруднение и возбудить такие же волнения какие недавно еще были по этому же самому случаю в Гурии, где местные власти не хотели принять податей обращающеюся в народе Турецкой монетою.

По сим соображениям, нельзя не признать, что предположение министра финансов действовать в этом случае, со стороны правительства временем, а со стороны народа привычкой, есть самая надежная и безопасная мера" (ЛОЦИА, ф. К. К., 1843 г. № 481, л.л. 16 — 17).

[1] იხ. საქ. ცენტრარქივში: Дело канц. нач. гражд. упр. Зак. к 1849 — 1850 г.г. № 252; მაგრამ ამ საკითხზე ვრცლად გვექნება საუბარი საქართველოსა და ამიერკავკასიის ფინანსური მეურნეობის ისტორიისათვის მიძღვნილ მონოგრაფიაში.

საც. ამ პროცესის (ადგილობრივი ფულის ნიშნების გამოდევნის) მეორე მხარე ჩვენ იმავე დროს წარმოგვიდგენს, თუ როგორი ტემპით ხდებოდა ამიერკავკასიაში რუსული ჭედის მონეტისა და ქაღალდის ფულის გავრცელება.

ჩვენ დავინახეთ, რომ:

1. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ზემოხსენებული პროცესი, რაც იმავე დროს არსებულ წარმოებრივ ურთიერთობათა საფუძველზე განვითარებულ და განმტკიცებულ მეურნეობრივი თაოსნობის რღვევის მომენტებს გამოხატავდა, ხასიათდება დიდი კონტრასტებით.

2. რუსული ფულის ნიშნების საქართველოსა და ამიერკავკასიაში შემოსვლისა და გაბატონების ისტორია თვალსაჩინოდ და ცხადად წარმოგვიდგენს მთელ იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ღონისძიებებს, რომელთაც ატარებდა საერთოდ თვითმპყრობელობა, ამ ქვეყნის, როგორც კოლონიის ეკონომიკური ათვისებისათვის;

3. ამავე დროს სახალხო მიმოქცევიდან ადგილობრივი ფულების გამოდევნისა და მათ ადგილას, — ქვეყნის საერთო მეურნეობრივი აღორძინების საფუძველზე ბევრად უფრო ფართო მასშტაბით, — საიმპერიო ფულის ნიშნების გაბატონების პროცესი წარმოგვიდგენს ამიერკავკასიისა და საქართველოს აქამდე პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად ცალკე ერთეულებად დაქსაქსულ კუთხეებსა და პროვინციებს შორის ერთიანი ცხოვრებისა და მეურნეობრივი კავშირის წარმოქმნასა და განვითარებას და ამდენადვე რუსეთის საერთოდ უფრო განვითარებულ ეკონომიკურ ურთიერთობაში ამიერკავკასიის თანდათანი ჩაბმის მომენტებს;

4. ეს პროცესი არ შეიძლებოდა უაღრესად პროგრესული არ ყოფილიყო, რამდენადაც სწორედ ფეოდალური პარტიკულარიზმისა და ურთიერთობათა რღვევის და, მაშასადამე, ბურჟუაზიული მეწარმეობისათვის ხელის შემწყობ მოვლენათა განვითარების გზით იყო შესაძლებელი საქართველოსა და ამიერკავკასიის უფრო მაღალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების საფეხურზე გადასვლა და, მაშასადამე, ეროვნული აღორძინება და კონსოლიდაცია.

II

მ ე ვ ა ხ შ ე ო ბ ა*

კრედიტის ევოლუცია მე-19 საუკუნემდე

1. მევახშეობის არსისათვის

სავახშო კაპიტალი, ვაჭრულ კაპიტალთან ერთად, უძველესი დროის მოვლენაა. მევახშეობა დაწყებული პირველყოფილ-თემური საზოგადოებიდან, — რომლის რღვევაშიაც იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, — კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში ფართო გასაქანს პოულობს. რათა სავახშო კაპიტალი არსებობდეს, ამისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: „პროდუქტების ერთი ნაწილი მაინც საქონლად იყოს ქცეული და სასაქონლო ვაჭრობასთან ერთად ფული მის სხვადასხვა ფუნქციებში იყოს განვითარებული“ [1]. ამგვარად, სავახშო კაპიტალის განვითარება დაკავშირებულია ვაჭრული კაპიტალის და სპეციალურად ფულად-სავაჭრო კაპიტალის განვითარებასთან.

ფეოდალურ ურთიერთობაში სავახშო კაპიტალი არსებობს ორ მისთვის დამახასიათებელ ფორმაში: 1. ფულის გასესხება (ვახში) მფლანგველ არისტოკრატიაზე, ფეოდალურ მემამულეებზე, 2. ვახში წვრილ (თვითმშრომელ) მწარმოებლებზე, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ხელოსანი და, განსაკუთრებით, გლეხი, როგორც ფეოდალური ეპოქის წვრილმწარმოებელთა მასის დიდძალი უმრავლესობის წარმომადგენელი. ორსაეე

* ეს მონოგრაფია პირველად გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში ტტ. X (1938 წ.) XIV (1940 წ.). ამჟამად იბეჭდება ახლად დაწერილი სახით.

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, III, II, 124.

ფორმაში მევახშეობა, ანადგურებს რა თავის მსხვერპლს, იწვევს მევახშეთა ხელში დიდი ფულადი კაპიტალების გაჩენას და კონცენტრაციას. „მაგრამ თუ რამდენად სპობს ეს პროცესი ძველი წარმოების წესს... და აყენებს იგი თუ არა მის ადგილას კაპიტალისტური წარმოების წესს, ეს სავსებით ისტორიული განვითარების საფეხურზე და მასთან დაკავშირებულ გარემოებებზე არის დამოკიდებული“ [1].

მევახშეობა, ხელუხლებელს სტოვებს რა თვით ფეოდალურ წარმოების წესს, რევოლუციურ როლს ასრულებს იმდენად რამდენადაც არღვევს და ანადგურებს ფეოდალურ საკუთრებას; — იგი არღვევს და ანადგურებს წვრილგლეხურ და აგრეთვე წვრილბურჟუაზიულ საკუთრებას, ყველა იმ ფორმებს, როდესაც მწარმოებელი ჯერ კიდევ მესაკუთრეა თავისი წარმოების საშუალებებისა. ამგვარად, მევახშეობა კაპიტალიზმამდელ ეპოქაში სპობს და არღვევს საკუთრების ფორმებს, რომელთა მტკიცე საფუძველზე და ერთსადაიმავე ფორმაში აღწარმოებაზე (რეპროდუქციაზე) „დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება“ [2].

ვიდრე ხელმეტ პროდუქტს ფეოდალი და მისი ამალა ჭამს და მევახშეს ხელში უვარდება ფეოდალი, — წარმოების წესი იგივე რჩება; მხოლოდ იგი უფრო ძნელი ასატანი ხდება გლეხისათვის, ბუშისათვის. ვალებით დატვირთული ფეოდალი კიდევ უფრო მეტს გამოსწოვს გლეხს, იმიტომ რომ მასაც მეტს გამოსწოვენ. ანდა ბოლოს და ბოლოს მოხდება ისე, რომ მევახშე თვითონ ხდება მემამულე. ამის შემდეგ ფეოდალ-ექსპლუატატორის ადგილს იჭერს მევახშე, ეს „სასტიკი და გულხარბი ვიგინდარა“, მაგრამ წარმოების წესი მაინც არ იცვლება. „სავახშო კაპიტალს ახასიათებს ექსპლოატაციის წესი კაპიტალისა მისი წარმოების წესის უქონლად“ [3].

კაპიტალისტური კრედიტის დროს გასესხებული ფული კაპიტალია ორივე მხარისათვის. მევახშეობის დროს კი

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, III, II, გვ. 125.
[2] იქვე, გვ. 128.
[3] იქვე, გვ. 128.

გასესხებული ფული კაპიტალია მხოლოდ გამსესხებელისათვის. მევახშური კრედიტი ხელს კი არ უწყობს სესხის ამღების მეურნეობის განვითარებას, — პირიქით, ანადგურებს მას იმ უზომო სარგებლის მეოხებით, რომელსაც გამსესხებელი ღებულობს. ამასთანავე ამ შემთხვევაში სესხის ამღები, როგორც წესი, ფულს იღებს არა როგორც კაპიტალს, არამედ როგორც ყიდვისა და გადახდის საშუალებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მევახშის ქსელში წვრილი მწარმოებელი ებმება, უკანასკნელი ვარდება კრედიტორის პირად კაბალურ დამოკიდებულებაში [1]. მევახშე ღორმუცელა და გაუმაძღარია. სავახშო სარგებლის მტკიცე ნორმები, მიუხედავად ათასგვარ კანონმდებლობათა, არასოდეს არ არსებულა. „მევახშემ სხვა ზღუდე არ იცის, გარდა ფულის მსაჭიროებელთა გადახდის უნარისა ან მათი წინააღმდეგობის უნარისა“ [2].

მევახშე იყენებს თავის სასარგებლოდ ომიანობის, შიმშილიანობისა და სხვადასხვა სტიქიური უბედურების შედეგებს, რაც თავს დაატყდება მოსახლეობას. საკმარისია წვრილ გლეხს ძროხა მოუკვდეს, და მას უკვე არ შეუძლია თავისი აღწარმოება (რეპროდუქცია) კვლავ განაგრძოს ძველი მასშტაბით. მაშასადამე, „იგი მევახშეს უვარდება ხელში და, რაკი ერთხელ ჩაუვარდა, მერე ვერასოდეს თავს ვერ დააღწევს იქიდან“ [3]. მაგრამ მევახშეს დიდი სარფით უღიმის ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია. სახელმწიფო თუ საბატონო ნატურალურ ბეგარა-გამოსაღებთა კომუტაციის შემდეგ, განსაზღვრულ ვადებთან დაკავშირებული ყოველი ფულადი გადასახდელი გლეხობას აიძულებს მოხვდეს მევახშის კლანჭებში, ხოლო მევახშეს შესაძლებლობას აძლევს ასწიოს სარგებელი.

მევახშეობის განვითარებიდანვე იწყება ბრძოლა მევახშეობის წინააღმდეგ. კაპიტალიზმამდელი ეპოქები იცნობენ მთელ

---

[1] ვ. ლენინი, თხზულებანი, 1948 თბ. III, 429.
[2] კ. მარქსი, „კაპიტალი“, III, II, 129.
[3] იქვე, გვ. 130.

რიგ კანონმდებლობით აქტებს მევახშეობის წინააღმდეგ და შესაზღუდავად, კანონებს პროცენტის განსაზღვრისა და შემცირებისათვის. მაგრამ განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა მევახშეობის წინააღმდეგ იწყება მხოლოდ კაპიტალიზმის წარმოშობის დროიდან. „ეს გააფთრებული ბრძოლა მევახშეობის წინააღმდეგ, ეს მოთხოვნა, რომ სარგებლის მომცემი კაპიტალი დაექვემდებაროს სამრეწველო კაპიტალს, წინამორბედია იმ ორგანიულ მოქმედებათა, რომელთაც კაპიტალისტური წარმოების ეს პირობები განახორციელებს საბანკო წყობილების სახით“ [1].

საბანკო სისტემის განვითარება კი მევახშეობას ართმევს მონოპოლიურ მდგომარეობას, რადგან იწვევს ყველა უძრავად დებული ფულის კონცენტრაციას და ისვრის მას ფულის ბაზარზე. „საკრედიტო საქმის განვითარება წარმოსდგება როგორც რეაქცია მევახშეობის წინააღმდეგ“ [2].

2. მევახშური კრედიტის ფორმები შუა საუკუნეებში

მე-19 საუკუნემდე კრედიტის ისტორიას ჩვენ ვეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია თვით მე-19 საუკუნეში, როგორც კრედიტის საქმის ამოსავალი საწყისების, ისე საერთოდ კრედიტის განვითარების თავისებური გზებისა და მიზეზების ახსნა-გაგებისათვის. სწორედ ამიტომ ჩვენ ვჩერდებით მე-18 საუკუნისა და უფრო ადრინდელ ფაქტებზე, რომლებიც გვისურათებენ საკრედიტო პრაქტიკის იმ მხარეს, რაც ჩვეულებრივად მოცემულია დაწერილი თუ ადათობრივი სამართლის სახით და რაც, როგორც ასეთი, განსაზღვრავს და განმარტავს კრედიტის როგორც იურიდიულ ნორმებს, ისე ეკონომიკურ ხასიათსა და მნიშვნელობას.

მე-18 საუკუნისა და უფრო ადრინდელი ჩვენი იურიდიული ძეგლების გვერდაუხვევლობა ამ მხრივ ნათელი გახდება, როდესაც მკითხველს მოვაგონებთ, რომ ჩვენში მე-19 საუკუნის თითქმის მთელ რეფორმამდელ პერიოდში სამოქალაქო

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, III, II, 134.
[2] იქვე, 131.

საქმეების სფეროში, მცირეოდენი დამატება-შესწორებებით, თვითმპყრობელობის მიერ დატოვებული იყო ძვ. ქართული კანონმდებლობა, კერძოდ ვახტანგ VI კანონთა სამოქალაქო ნაწილი და ადრიდანვე განმტკიცებულ-ჩამოყალიბებული ადათობრივი სამართალი, რომელიც ცარიზმის ხელისუფლების ბრძანებით ჩაიწერა 1808 — 1814 წწ. და რუსულად თარგმნის შემდეგ დაკანონდა როგორც ვახტანგის კოდექსების სამოქალაქო ნაწილის უშუალო დამატება ანდა შესწორება.

* * *

ფეოდალურ საქართველოსა და ამიერკავკასიაში კრედიტი საერთოდ ჩანასახურ ფორმებში ვითარდებოდა. როგორც ცნობილია, ფულადი მეურნეობა საკრედიტო მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს. კრედიტის საქმის, ე. ი. ფულით ვაჭრობის განვითარება საქონლით ვაჭრობის განვითარების პარალელურად მიმდინარეობს.

ფეოდალურ წარმოებრივ ურთიერთობათა ნიადაგზე ასე თუ ისე განვითარებული ვაჭრობა, ცხადია, როგორც სხვაგან-ისე ჩვენშიც, ჰქმნიდა პირობას უმარტივესი და მარტივი ფორმის კრედიტის გაჩენისათვის, — იმ კრედიტისა, რომელსაც განვითარება შეუძლია მარტივ საქონლურ მეურნეობაშიც.

ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის განვითარების ბრწყინვალე ხანაში, რაც მე-11 — 13 სს. დაახლოებით 200 წელიწადი გრძელდებოდა და როდესაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრები არსებითად ამიერკავკასიის ფარგლებს სცილდებოდა საერთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღმავლობასთან ერთად, ვაჭრობა ფართო გასაქანს ღებულობს.

თუ რამდენად ფართოდ იყო ჩაბმული მე-12 — 13 სს. ამიერკავკასია იმდროინდელ მსოფლიო ვაჭრობაში ნათლად ჩანს, როგორც ლიტერატურული წყაროებიდან, ასევე ნუმიზმატიკური მასალებისა და არქეოლოგიური გათხრების შე-

დეგად მოპოვებული მრავალგვარი ნივთიერი ძეგლისა და სხვ. მიხედვით [1].

ამ მხრივ საკმარისია ითქვას, რომ მე-12 ს. საქართველოში შალის ძვირფას ქსოვილთათვის მატყლი შემოჰქონდათ ეგვიპტიდან. მემატიანე მოგვითხრობს, რომ „იწყო ამანცა (თამარმა) ალექსანდრიით ვაჭართაგან მოღებულისა მატყლისაგან სთვად და ქმნად შესამოსელისა“ [2]. ასეთის „ხელსაქმარისა“ პროდუქტები, როგორც ჩანს მსხვილ ფეოდალთა მეურნეობიდანაც გაჰქონდათ ხოლმე გასასყიდად, როგორც შინაგან, ისე საგარეო ბაზრებშიაც.

როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, და განსაკუთრებით, უცხოეთთან კომერციული კავშირურთიერთობის განვითარების შედეგად ამ პერიოდში ჩნდება ვაჭართა ერთგვარი კორპორაციებიც, რაც თავისი დანიშნულებით, საკრედიტო ამხანაგობასაც (ასოციაციასაც) წარმოადგენდა. მაგრამ მერმინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური დაქვეითების საუკუნეებში შეუძლებელი იყო ჩვენში კრედიტის ამგვარი ჩანასახური ფორმების განვითარებაც-კი.

მაინც, აქ საჭიროდ მიგვაჩნია, თუნდაც ძლიერ მოკლედ, გავეცნოთ ხსენებულ პერიოდში საქართველოსა და, მაშასადამე, ამიერკავკასიაში, კრედიტის ისტორიისათვის ერთ მეტად საინტერესო მომენტს, რაც საერთოდ ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

3. ორტაღი, როგორც საკრედიტო ასოციაცია

იმდროინდელ საქართველოში კრედიტის განვითარების შესახებ ძვირფასი ცნობა შემოგვინახა კ ა ხ ა თ ო რ ე ლ ი ს

---

[1] თ. ლ ო მ ო უ რ ი, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, 1938, თბ. იხ. კრებული: „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1938, თბ.; აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, III, — მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი, აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს რედაქციით, 1938 თბ.

[2] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით, 1941, თბ. გვ. 113 — 115.

(მეჭურჭლეთ უხუცესის) მიერ 1259 წელს[1] რკონის ეკლესიისადმი გაცემულმა, სხვა მრავალმხრივაც საინტერესო, სიგელმა. ამ დოკუმენტის ამჟამად ჩვენთვის საჭირო ნაწილში ვკითხულობთ:

„...შვილი არ გუესვა და ვიყიდეთ სოფელი ხოველე თქუენთვის, მემამულეთა აღბუღაჲსგან და მისთა შვილთაგან გასყიდულნი, ვითა თუით დაწერილნი მათნი თქუენს წინაშე დაგუისხმან ორტაღთა ზედა გასყიდულობისანი და მათგან ჩუენ ვიყიდეთ. მათ ჟამთა დია ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან. ოქროჲ ძუირად იყვის და სოფელი იეფად. პატრონმა მამამან ჩემმა ეზომი მამული დამიგდო რომე თუმცა სხუა რომელი მამულისა სოფელი შემომეწირა ესეც ხელმეწიფებოდა. მაგრამ თუ შვილი მომეცემის მას არ ვემართლები და თუ შვილი [არ] მომეცემის ჩემთა ძმათა არ უზმიდი და ჩემგან ნასყიდი უკეთ დაგრჩებოდა. მას ჟამსა, ოდეს ბაღდადი გატეხეს თათართა, პატრონმან აფხაზთა მეფემან ულაოს წინაშე გამგზავნა მოციქულად. მაშინ ბაღდადური ალაფი ყუელაჲ იეფად იყო და მე არა მქონდა სასყიდელი; წავედი, ორტაღთაგან ლარი და თეთრი ავიღი. ვიარებოდი და ვიყიდდი თუალსა მარგალიტსა და ზარქაშსა. ორტაღთა მათი ხელთავე მივსცი და მე შიგა ეზომი დამრჩა, შენითა წყალობითა, რომე ხოვლისა ფასი მითა მოვიგე; და ვიყიდე ხოვლე ხოჯა სალამის ცოლისა და შვილისაგან ნახევარი და ნახევარი ჰასან სუმბატისძისა. სომეხისაგან და იოსებ ბუღბაფაისძისა ჰურიისაგან. მათ სამოც და ხუთი ათას თეთრად ეყიდა აღბუღასაგან და მისთა შვილთაგან, ვითა დაწერილთა შიგა სწერია; და აწ მე მივეც ფასი სრული და ჰასრე მიმჭირდა იმისსა სყიდასა შიგა, რომე ზოგი მათ მომსყიდელთა წამიღიან იეფად: რაიც ხუთი ათას თეთრად ღირდის ორ ათასად ძლივ დავაჭირვინი; და ზოგი სხუაგან — დიდებულთა ზედა გავყიდი: რაიც ათი ათას თეთ-

[1] ნ. შოშიაშვილის მოსაზრებით სიგელი 1260 წელს უნდა იყოს დაწერილი (იხ. ნ. შოშიაშვილი. „რკონის დაწერილი", როგორც ისტორიული წყარო", 1952, თბ. საკანდ. დისერტაცია. თსუ ფუნდ. ბიბლ. F 25121, გვ. 1, 7).

რად ღირდის ხუთი ათასად ძლივ გავყიდი და ეგრე გარდა-ვეც ყუელა და არა ვისი წამიგია ამას შიგა; რომე ასი ცხუ-არი და ექუსასი თეთრი პატრონმა მამამან ჩემმა მიბოძა და მისთუის მწირველი გამიჩენია. მისითა წყალობითა დია მქონდა, მაგრამ ამის მეტი არა წამიგია და ჩემთუის სიკეთისათუის ხუთასი თეთრი ბიძამ ჩემმა მიბოძა, და ერთნი ჯუბაჩანი საჰ-მადავლა. სხუა არა ვისი მომიხმარებია ხოვლის ფასს შიგა, არც მამეულისა არც დედულისა, არც სხუა რა გუარისაჲ[1].

მოყვანილი ამონაწერის შინაარსი, დაახლოებით, ასე უნდა გავიგოთ. დამპყრობელ მონღოლთაგან ქვეყნის მეტის-მეტად მძიმედ დახარკვის შედეგად „ქუეყანანი დაის-ყიდნეს“, ე. ი. ადგილ-მამულთა გაყიდვას მასობ-რივი ხასიათი მიუღია. ამასთანავე, როგორც ანალო-გიურ შემთხვევაში ხდებოდა საზოგადოდ, მამულების და საერთოდ უძრავი ქონების ფასი ძლიერ დაცე-მულა: „ოქროჲ ძუირად იყვის და სოფელი იეფად“-ო.

ასეთს ვითარებაში მემამულეს აღბუღას და „მისთა შვილთა“ მამული, სახელდობრ სოფ. ხოვლე, გაუყიდიათ. ს. ხოვლე აღბუღასაგან გადასულა სამი მფლობელის ხელში: მამულის ნახევარი ერთის („ხოჯა სალამის ცოლისა და შვი-ლების“), ხოლო მეორე ნახევარი ორის (სახელდობრ, ჰასან სუმბატისძისა და იოსებ ბუღბაფაისძის) ხელში. ამათ ს. ხოვლე „აღბუღასაგან და მისთა შვილთაგან“ უყიდიათ 65 ათას თეთ-რად — „ვითა დაწერილთა შიგა წერია“, ე. ი. როგორც ეს თამასუქში[2] ან ორტაღის დავთარ-ში, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ნასყიდობის საბუთში ყოფილა აღნიშნული.

ნათლად არა ჩანს ერთი მომენტი. სახელდობრ თუ რა გზით მოხვდა ს. ხოვლე ორტაღთა ხელში: 1. დაუგირავა ან მიყიდა იგი ორტაღებს თვით აღბუღამ და მერმე (ვადაზე

[1] თ. ჟორდანია, „ქრონიკები“, II, 133—134.

[2] დას. ევროპაში, მაგალითად, საფრანგეთში თამასუქი ჩნდება უკვე მე-13 საუკუნიდან, ხოლო გენუასა და პიზაში-კი — მე-12 საუკუნიდან.

დაუხსნელობის, გამოუსყიდველობის შედეგად) ორტაღთა მეშვეობით ჰქონდათ ნაყიდი ახალ მფლობელებს; 2. თუ ამ უკანასკნელთ იყიდეს აღბუღასაგან და თავის მხრივ დააგირავეს ორტაღებში; 3. უფრო-კი საფიქრებელია, რომ სამი უკანასკნელი მფლობელი თვით მეორტაღეთა სახით წარმოვიდგინოთ, რამდენადაც შესაძლებელია სწორედ ასე გავიგოთ სიგელის სიტყვები: „ვიყიდეთ ხოვლე... მემამულეთა აღბუღასაგან და მისთა შვილთაგან გასყიდულნი, ვითა თუით დაწერილნი მათნი თქუენს (რკონის ეკლესიის — პ. გ.) წინაშე დაგუისხმან ორტაღთა ზედა გასყიდულობისანი და მათგან ჩუენ ვიყიდეთ“.

ჩანს, კახა თორელს რკონის ეკლესიისათვის გადაუცია (წარუდგენია) აღბუღას მიერ ს. ხოვლეს ორტაღთათვის მიყიდვის (თუ დაგირავების) საბუთებიც.

თუ ჩვენი განმარტება სწორია, მაშინ გამოდის, რომ მეორტაღეებმა: ხოჯა სალამის ოჯახმა, ჰასან სუმბატისძემა და იოსებ ბულბაფაისძემ აღბუღას მიერ გაყიდული (დაგირავებული) მამული, ან იქნებ მხოლოდ რენტა, დაინაწილეს. ხოლო შემდეგ, რკონის ეკლესიისათვის შეწირვის მიზნით, უკანასკნელთაგან (ორტაღთაგან) ს. ხოვლე მთლიანად გამოისყიდა მეჭურჭელთ უხუცესმა, რომელიც სხვათა შორის აღნიშნავს, რომ „ჰასრე მიმჭირდა იმისსა სყიდასა შიგა, რომე ზოგი მათ მომსყიდელთა წამიღიან იეფად...“ და ზოგი სხვათაო.

ვფიქრობ, შეგვიძლია ისიც ვივარაუდოთ, რომ „მათ მომსყიდელთა“ სახით იგულისხმება არა აღბუღა და შვილნი მისნი („გამსყიდველნი“), არამედ ორტაღები, რომელთათვისაც აღბუღას მიუყიდია (დაუგირავებია) მისი მამული. შემდეგ, რაკი აღბუღას ვადაზე ვერ მოუხერხებია ორტაღთაგან მიღებული სესხის დაფარვა, მამული (სოფელი) სამი კაცის ხელში გადასულა; ხოლო ესენი არათანასწორუფლებიანი, თანაც არაარისტოკრატიული და დროებითი მონაწილემფლობელები არიან[1].

[1] შესაძლებელია დავის საგანი გახდეს საკითხი იმის შესახებ, ს. ხოვლეს შეძენა კახა თორელს მოუხდა ვაჭართა ერთი ასოციაციის სამი წევრი-

ზემოთმოყვანილ ამონაწერში მეჭურჭლეთ-უხუცესი, კახა თორელ-გამრეკელი, სხვათა შორის, აცხადებს: „მას ჟამსა ოდეს ბაღდათი გასტეხეს თათართა პატრონმან აფხაზთა მეფემან ულაოს წინაშე გამგზავნა მოციქულადო“. ბაღდადი მონგოლებმა, როგორც ცნობილია, აიღეს 1258 წ.[1]. იმავე წელს მეჭურჭლეთ უხუცესი კახა თორელი მეფეს გაუგზავნია ჰულაგუ (ქართ. ულაო) ყაენთან.

საგან, თუ სამი (ან ორი) სხვადასხვა ასოციაციის წევრთაგან, ე. ი. აქ ერთ ორტაღთან გვაქვს საქმე თუ ორთან ან სამთან.

არის გამოთქმული მოსაზრება, რომ აქ ორი ორტაღია წარმოდგენილი: ერთში შედიან ხოჯა სალამის ცოლი და შვილი, მეორეში კი — ჰასან სუმბატისძე სომეხი და იოსებ ბულბაფაისძე ჰურია (ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, „რკონის დაწერილი“, როგორც ისტორიული წყარო“, 1952, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 264, — თსუ ფუნდ. ბიბლ. ₽ 2521).

თუ დავუშვებთ, რომ ს. ხოვლე „მემამულეთა აღბუღაასაგან და მისთა შვილთაგან“ ვაჭართა არა ერთი, არამედ ორი ან სამი ასოციაციის ხელში გადავიდა, მაშინ შესაძლებელია ისიც ვივარაუდოთ, რომ აქ ასოციაციებს შორისაც გარკვეული კავშირი არსებულა, რაც უწინარეს ყოვლისა სარგებლის (%%) ერთიანი ნორმის და სხვ., კოორდინაციის სახით უნდა წარმოვიდგინოთ და რაც იმდროისათვის მნიშვნელოვან სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული; თუმცა, ცხადია, შეუძლებელი რამ არ იყო.

ანალოგიისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ 1292 წ. ქ. პარიზში იტალიელ ვაჭართა 16 ასოციაცია იყო, რომლებიც ფართო სავაჭრო და საკრედიტო ოპერაციებს ეწეოდნენ. მაინც ცნობილი არაა ფაქტი რომ ერთიდა იგივე ქონება (მამული) ერთდროულად ერთმანეთსშეზიარებული ორი ან სამი ასოციაციისათვის დაეგირავებინოთ. კახა თორელის მიერ ს. ხოვლეს ორი ორტაღისათვის დაგირავების შესახებ მოსაზრება ემყარება, ეტყობა, მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მეგირავნეთა შორისაც ორს ნახევარი და მესამეს კიდევ ნახევარი ჰქონდა გადაცემული მამულისა (ერთი ქონებისა), რაც უბრალოდ, ქონებისათვის გაცემულ მთელ თანხაში სამი კრედიტორის, (მყიდველის) სხვადასხვა ზომით მონაწილეობის შედეგიც შეიძლება იყოს, და, ცხადია, რენტის შესაბამის დანაწილებაზე იქნებოდა დამყარებული.

[1] ბაღდადის აღებაში ქართველთა ჯარმაც მიიღო მონაწილეობა. დავით მეფის სარდლობით ქართველთა ლაშქარმა ქ. ბაღდადის ზღუდე გაარღვია „ქვე-კერძო“ და შიგნით „შევიდეს ქართველნი... და მოსვრიდეს სპათა ბაღდადელთა... ესრეთ განუხვნეს კარნი ქართულთა, და შეიყვანნეს თათარნი ქალაქად... აღივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვერცხლითა, თვალითა, მარგალიტითა, ლარითა და შესამოსელითა პატიოსნითა, სამსახურებელითა ჭურჭლითა, ოქროსა და ვერცხლისათა, რომელ არავინ აიღებდა

ქართველი ჟამთააღმწერელის მოწმობით არაბთა სახალიფოს დედაქალაქის ბაღდადის აღებაში მონაწილე ჯარებს, მათ შორის ქართველ მოლაშქრეებსაც, დიდძალი ნადავლი დარჩენიათ. გამარჯვებულნი, თურმე მხოლოდ ძვირფას ნივთებს იტაცებდნენ: „არავინ აღიღებდა თვინიერ ოქროსა და ვერცხლისა, თვალისა და მარგალიტისა და შესამოსელთაგან კიდეო“ [1].

სწორედ ამ ხანებში მოუხდა კახა თორელს გამგზავრება.

თვინიერ ოქროსა და ვერცხლისა, თვალთა და მარგალიტთა, ლართა და შესამოსელთაგან კიდე. და სხუანი ჯურჯელნი ჩინეთით და ქაშანით მოხმულნი, და მუნ შექმნილნი, სპილენძი და რკინა უპატიოდ მიმოდაიბნებოდა და ილეწებოდა. რამეთუ ესრეთ აღივსნეს ლაშქარნი, რომელ უნაგირი ცხენ-ჯორისა, ყოველი შეურაცხი სამსახურებელი თვალითა და მარგალიტითა და წითლითა ოქროთა განტენიან...“ („ქართლის ცხოვრება“, I, 385 — 386).

1260 წელს შიო მღვიმის მონასტრისადმი მიცემულ სიგელში ერისთავთ-ერისთავი ძაგან აბულეთისძე აცხადებს: „...შევსწირე... სოფელი ანგროინი ჩემგან ნასყიდი, რომელი ჩემსა ბიძაისძესა გიორგის შვილსა ივანეს გაეყიდა და მეზევე უკუ მოვიყიდე, ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა; იცოდეს ღმერთმან მუნ ჩემითა ხმლითა ნაშოებისაგან კიდე არაჲ ვისი ყოფილა ამის ადგილისა სყიდასა შიგა, არ მამულისაჲ და არ სოფელთაგან ანაღები...“ (თ. ჟორდანია, „ქრონიკები“, II, 146 — 147).

ამ საბუთიდან ისიც ჩანს, რომ სოფელი, რომელიც ძაგან აბულეთისძემ მონასტერს შეწირა მისი ადრინდელი მესაკუთრის მიერ გაყიდული ყოფილა, ხოლო ძაგან აბულეთისძეს „უკუ მოუყიდია“, ე. ი. [გამოუხსნია თავისი ნათესავის ქონება.

ამგვარად, აშკარაა, რომ აქ კახა თორელისაგან აღებულას მიერ გაყიდული სოფლის გამოსყიდვის მსგავს ოპერაციასთან გვაქვს საქმე და თუმცა ორტაღი ნახსენები არაა, მაგრამ ნათლად გამოსჩვივის მისი (ანდა ანალოგიური სხვა დაწესებულების) მონაწილეობა, რამდენადაც სავსებით ბუნებრივია დავუშვათ, რომ სოფელი ანგროინი ძაგან აბულეთისძემ ისეთი დროებითი მფლობელისაგან იყიდა, რომელსაც, თავის მხრივ, იგი ნაყიდი (ან გირაოს სახით აღებული) ჰქონდა მესაკუთრის, ან (უკანასკნელის მხრივ გამოსყიდვის მოუხერხებლობის შემთხვევაში) მისი ნათესავებისათვის უკუმიყიდვის ანდა, დასასრულ, ყოველი მყიდველისათვის მიყიდვის ვარაუდით,— ცხადია, მოგების მიღებისათვის.

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, III, 58—59

„მაშინო, აცხადებს კახა თორელი, ბ ა ღ დ ა დ უ რ ი ა ლ ა ფ ი ყ უ ე ლ ა ჲ ი ე ფ ა დ ი ყ ო დ ა მ ე ა რ ა მ ქ ო ნ დ ა ს ა ს ყ ი დ ე ლ ი ო“. სწორედ ამიტომ, ფულის მოგების მიზნით, გამგზავრების წინ, მას ო რ ტ ა ღ თ ა გ ა ნ ს ე ს ხ ი ა უ ღ ი ა — „ო რ ტ ა ღ თ ა გ ა ნ ლ ა რ ი დ ა თ ე თ რ ი ა ვ ი ღ ი“.

სესხად მიღებული სახსრებით ვაჭრობა დაუწყია, რაც საკუთარი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც იმდროინდელ ისე მერძინდელ სახელმწიფო ელჩთა ცხოვრებაში, და რასაც ისინი თავისუფლად ათავსებდნენ თავიანთ დიპლომატიურ მისიასთან.

კახა თორელს ს ე ს ხ ა დ ა ღ ე ბ უ ლ ნ ა ღ დ ფ უ ლ ს გ ა რ დ ა კ რ ე დ ი ტ შ ი (ნ ი ს ი ა თ) ა ღ ე ბ უ ლ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ტ ე ქ ს ტ ი ლ უ რ ი ნ ა წ ა რ მ ი (ლ ა რ ი)[1] წ ა უ ღ ი ა;—ი ქ ი დ ა ნ ა ც კ ი დ ე ვ ძ ვ ი რ ფ ა ს ი (პ ა ტ ი ო ს ა ნ ი) თ ვ ლ ე ბ ი დ ა ო ქ რ ო ქ ს ო ვ ი ლ ე ბ ი წ ა მ ო უ ღ ი ა: „ვ ი ა რ ე ბ ო დ ი დ ა ვ ი ყ ი დ დ ი თ უ ა ლ ს ა მ ა რ გ ა ლ ი ტ ს ა დ ა ზ ა რ ქ ა შ ს ა ო“.

ამ ოპერაციების შედეგად კახა თორელს მნიშვნელოვანი მოგება უნახავს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ, ე. ი. მოგების მიღების მხრივ, დესპანები (ელჩები) მით უფრო გარანტირებულნი იყვნენ, რომ ისინი, ბაჟებისა და სხვა მოსაკრებელთაგან, რომელთაც ჩვეულებრივ ვაჭრებს ახდევინებდნენ, თავისუფალნი იყვნენ. მათი ბარგები და მხლებლები საბაჟო საყარაულოებში ხელშეუხებლად გადიოდნენ. კახა თორელიც აცხადებს, რომ დ ი პ ლ ო მ ა ტ ი უ რ ი მ ი ს ი ი დ ა ნ დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ „ო რ ტ ა ღ თ ა მ ა თ ი ხ ე ლ თ ა ვ ე მ ი ვ ს ც ი დ ა მ ე შ ი გ ა ე ზ ო შ ი დ ა მ რ ჩ ა... რ ო მ ე ხ ო ვ ლ ი ს ფ ა ს ი მ ი თ ა მ ო ვ ი გ ე ო“.

ახლა ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენდა საკუთრად ო რ ტ ა ღ ი?

---

[1] „ლ ა რ ი“ ზოგადი სახელწოდებაა ტექსტილური (აბრეშუმის, შალის) ნაწარმისა (იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 1941, თბ. გვ. 82, სადაც ლაპარაკია „ლართა-კერულთა და უკერულთანის“ შესახებ) და ამ დენადვე ნიშნავს საერთოდ განძს, სიმდიდრეს, ძვირფასეულობას. თავდაპირველად მაინც „ლარი“ მხოლოდ, ანდა უპირატესად, ტექსტილის მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო ხმარებული.

რკონის ეკლესიის ამ შესანიშნავი სიგელის გამომქვეყნებელი თ. ჟორდანია, ცხადია, სცდება, როდესაც სიტყვას „ორტაღს“ [1] უპირისპირებს ს. ორბელიანის ლექსიკონში შემონახულ „ჰრაორტაგს“ [2]. ცხადია, სწორი იყო აკად. მ. ბროსეს განმარტება, რომ ორტაღი ვაჭართა საზოგადოებას წარმოადგენდა [3] და კიდევ უფრო სწორია აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრი, რომ ორტაღი („ურტაღი“) იყო „საკრედიტო, გამსესხებელ-დამგირავებელი ამხანაგობა“ [4].

მონგ. (თურქ.) სიტყვა ortag—ამხანაგობას, კომპანიას, ასოციაციას, ამხანაგურ შეთანხმებას ნიშნავს და უპირატესად სწორედ ვაჭრობის დარგში [5].

4. ორტაღი შუასაუკუნეობრივი მსოფლიო ვაჭრობის სიტუაციაში

ორტაღები მოქმედებდნენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მონგოლთა უზარმაზარი სახელმწიფოს რიგ ცივილიზებულ ქვეყანაში.

ორტაღთა (ურტაღთა) სახით ვაჭრების ხელში გაერთიანებული იყო იმდროინდელი საქარავნო, ე. ი. საქალაქთაშორისო და სატრანზიტო ვაჭრობა. ორტაღები არაიშვიათად ასრულებდნენ თვით ყაენთა, სულთანთა, ფადიშაჰებისა და, საერთოდ, მონგოლთა ფეოდალური იმპერიის მსხვილ სენიორთა კონტრაგენტების როლს. მაგალითად, რაშიდ ად-დინის ცნობით დიდმა ყაენმა უგედეიმ ერთ ასეთ სავაჭრო გაერთიანებაში პაის სახით შეიტანა 200 ოქროს ბალიში [6] — იმ დროისათვის დიდი თანხა.

---

[1] თ. ჟორდანია, „ქრონიკები“, II, 133.

[2] იხ. ს. ორბელიანი, „ქართული ლექსიკონი“, 1928, თბ., გვ. 473.

[3] M. Broset, „Histoire de la Géorgie“, 1856, II, 452.

[4] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, 1941, III, 67, 79.

[5] H. Поппе, „Монгольский словарь“, 1938, I—II, 271; „Русско-турецкий словарь“, 1931, 807.

[6] ერთი ბალიში ექვს დინარს უდრიდა.

ორტაღთა სავაჭრო ოპერაციები, ცხადია, სცილდებოდა თვით მონგოლთა სახელმწიფოს საზღვრებსაც. მათ კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ ჩინეთთან, ინდოეთთან, ევროპის ქვეყნებთან. ისინი ვაჭრობდნენ აბრეშუმით, ფარჩით, მაუ-დით (როგორც შეკერილით, ასევე შეუკერავით), სამხედრო იარაღ-საჭურველით, ოქროსა და ვერცხლის ზოდებითა და ნაკეთობებით, ძვირფასი თვლებით, ფაიფურით, ქაშანურით და სხვ.

ორტაღებს მფარველობას უწევდნენ თვით მონგოლთა ყაენები. თავის მხრივაც, რა თქმა უნდა, ისინი, ვაჭრები, ემსა-ხურებოდნენ მათ. ჩ ი ნ გ ი ს-ყ ა ე ნ მ ა (გარდაიცვალა 1227 წ.), ხოლო მერმე უ გ ე დ ე ი მ (1229 — 1241) შუა აზიის ოლქები და კერძოდ მავერანახრი, რომლებიც ჩაგატაის ულუსში შე-დიოდნენ, საგანგიოდ, ე. ი. არსებითად იჯარა-გამოსყიდვის საფუძველზე გადასცა ხორეზმელ ვაჭარს, ორტაღის საქმო-სანს — მაჰმუდს, შემდგომში მ ა ჰ მ უ დ ი ა ლ ა ვ ი ჩ ი ს სახე-ლით ცნობილს, რომელიც ომების წლებში გადაიქცა თავისი დროის ერთ-ერთ უმდიდრეს კაცად და დიდ ფეოდალად[1].

მაჰმუდ იალავიჩის განკარგულებაში იყო რაზმებად დაყო-ფილი მონგოლთა ჯარები; მან თავის რეზიდენციად აირჩია ქ. ხოჯენდი და აქედან „მეთვალყურეობდა ქვეყნის ეკონო-მიკურ, ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ცხოვრებას“. ჩ ა-გ ა ტ ა ი კ ი შორს ცხოვრობდა და არც ერეოდა თავისი ულუსის გამგებლობის დეტალებში; იგი იქიდან მხოლოდ შე-მოსავლის გარკვეული ნაწილის მიღებით კმაყოფილდებოდა.

ერთხნობით შერისხული მაჰმუდ იალავაჩი ბოლოს პეკინის გუბერნატორის პოსტზე გარდაიცვალა, ხოლო ჩაგატაის ულუ-სის გამგებლობა მის შვილს მ ა ს უ დ-ბ ე გ ს გადაეცა და,

---

[1] მაჰმუდ იალავაჩი შუამავლობდა ხ ო რ ე ზ მ შ ა ჰ ს ა და ჩ ი ნ გ ი ს-ყ ა ე ნ ს შორის. მან მიიღო ხორეზმშაჰის წინადადება ყოფილიყო მისი ჯაშუში ჩინგის-ყაენის კარზე. მაგრამ უკანასკნელიც დიდად კმაყოფილი იყო მაჰმუდისა, რომელიც, ეტყობა, ხორეზმის შესახებ უფრო მეტ ცნობას აწვდიდა მონგოლებს, ვინემ მონგოლთა შესახებ ხოროზმშაჰს.

ამგვარად, მაჰმუდ იალავაჩმა საწყისი დაუდო მაევრანახრის მართველთა დინასტიას[1].

ზემოთქმულიდან, ცხადია, რომ ორტაღთა ხელში თავს იყრიდა დიდძალი ფულადი თანხები, რაც საშუალებას იძლეოდა თვით ფულით ვაჭრობის ოპერაციებისთვისაც. ხსენებული მაჰმუდ იალავაჩი ორტაღის ანუ ვაჭართა კომპანიის სათავეში იდგა; მას შეეძლო წინასწარ შეეტანა დიდი ყაენის ხაზინაში ხარკები, გამოსაღებნი და სხვადასხვა გადასახდელები, რაც მთელ მეევრანახრიდან უნდა ყოფილიყო აკრეფილი; თავის მხრივ კი უფლებას ღებულობდა აეკრიფა მოსახლეობიდან ფულადი და ნატურალური გადასახდელები, რა თქმა უნდა, იმ ანგარიშით, რომ მთელი თანხის გარკვეული პროცენტი მას დარჩენოდა. იგი ხომ მონგოლთა მბრძანებლებისათვის არსებითად ხარკებისა და ბეგარა-გამოსაღებთა მეიჯარე-გამომსყიდველი იყო; ეს ოპერაცია ორტაღთათვის, ცხადია, უმნიშვნელოვანესი, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთ-ერთი წყარო იქნებოდა გამდიდრებისა.

შუა საუკუნეებში, როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთშიც ფულის სისტემათა ქაოსურობას, ერთსა და იმავე ბაზარზე მიმოქცევაში მყოფ მონეტების მრავალ სხვადასხვაგვარ წარმომავლობას, მათი სინჯისა და წონის განსხვავებულობას, ერთი მონეტის მეორეთი შეცვლის სიხშირეს, ჭედის ხელოვნების განუვითარებლობას, ყალბი მონეტების გავრცელებულობას, ფულის კურსის ხშირ ცვალებადობას[2] და სხვ., არ შეეძლო არ გამოეწვია საერთოდ ვაჭრობისგან ფულის გადახურდავების, ე. ი. მოცემული ჭედის, სისტემის

[1] „История народов Узбекистана", под ред. С. Толстова и др., 1950, Ташкент, I; А. Якубовский, „Феодальное общество Ср. Азии и его торговля с Вост. Европой" („Мат. по ист. народов СССР", 1932, III); И. Петрушевский, „Городская знать в государстве хулагидов" („Сов. Востоковедение", 1948, V).

[2] მონეტის ფასის აწევ-დაწევა ყოველდღიური მოვლენა იყო, მაგალითად, ფრანგული ფულის სისტემისათვის. ფრანგული მონეტის ფასი შეიცვალა 1348 წელს 11-ჯერ, 1349 წ. — 9-ჯერ, 1351 წ. — 18-ჯერ, 1453 წ. 13-ჯერ, 1355 წ. — 18-ჯერ. და ამ მოკლე დროის მანძილზე 1½ მარკაზე ლივრის კურსი სისტემატურად მერყეობდა 4 ლივრიდან 17,5 ლივრამდე.

(ქვეყნის) მონეტების მეორე სისტემის (ქვეყნის) ფულებზე გაცვლის ფუნქციის წარმოშობა (გამოყოფა)[1].

ამ გზით გაჩნდნენ ზარაფები (cambiatores) ანუ ბანკირები (bancherii, tabularii, სიტყვიდან banco, tabula — მაგიდა, რომელზედაც ეწყო ქისები, ფულები), რომლებიც ეწეოდნენ ფულების გადახურდავებას ანუ გაცვლას (ყიდვა-გაყიდვას). ზარაფები, ჩვეულებრივ კარგად ერკვეოდნენ მონეტების სინჯისა (ლიგატურისა, შედგენილობისა) და წონის საკითხებში. მე-12 ს. გენუასა და ვენეციაში ზარაფები უკვე კორპორაციებში, ასოციაციებში, არიან გაერთიანებულნი[2].

ზარაფობის ინსტიტუტი და მათი მონაწილეობა საკრედიტო ოპერაციებში თუ უფრო მეტად არა, ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, არა ნაკლები ზომით ყოფილა ამ დროს განვითარებული აღმოსავლეთშიც.

ᲰᲐᲛᲓᲐᲚᲚᲐᲰ ᲧᲐᲖᲕᲘᲜᲘᲡ მოწმობით ᲛᲔᲚᲘᲥ-ᲨᲐᲰᲛᲐ 1089 წელს თავისი, იმ დროისათვის უზარმაზარი, ლაშქრის ამუ-დარიაზე ხომალდებით გადაყვანის დამთავრების შემდეგ ᲜᲘᲖᲐᲛ ᲐᲚ-ᲛᲣᲚᲚᲡ („სიასეთ-ნამეს“ ავტორს) დაავალა, რათა მეხომალდეებისათვის კუთვნილი თანხა გადაეხადათ არა ნაღდი ფულით, არამედ ჩეკებით, რომლებიც გაცემულ იქნენ ანტიოქიელი ზარაფების სახელზე. „კომერციულ გარიგებათა მიხედვით ანგარიშსწორება მაშინ წარმოებდა არა ნაღდი ფულებით, არამედ ჩეკებით, რომელთაც პირველმოთხოვნისთანავე ანაღდებდნენ ხოლმე, როგორადაც მოცემულ შემთხვევაში უნდა მოქცეულიყვნენ ანტიოქიელი ზარაფებიც“[3].

თბილისში მე-12 — 13 სს., რა თქმა უნდა, ზარაფობა ფართოდ იქნებოდა განვითარებული, რასაც ბუნებრივად გულისხმობს, გარდა ძველი და ახალი სხვადასხვა სინჯისა და წონის

[1] Ф. Михалевский, „Очерки истории денег и денежного обращения“, I, деньги в феодальном хозяйстве, 1948; В. Рутенбург, „Очерк из истории раннего капитализма в Италии“, 1951.

[2] П. Рота, „История старинных кредитных учреждений“, 1877, Кулишер, „История эконом. быта Зап. Европы“, 1931, I.

[3] „История народов Узбекистана“, 1950, Ташкент, I, стр. 294 — 295.

ფულისა, ის გარემოებაც, რომ აქ მიმოქცევაში იყო მრავალი დასავლური თუ აღმოსავლური სახელმწიფოს ფულები[1].

ეს გარემოება დადასტურებულია მხითარ გოშის (მე-12 ს.) კანონებშიაც. აქ გათვალისწინებულია, რომ თუ მოვალემ იკისრა სესხი იმავე ჭედის მონეტით დააბრუნოს, რა სახითაც მიიღო, იგი ვალდებულია ეს პირობა შეასრულოს[2]. ეს მომენტი, ცხადია, გულისხმობს სახელმწიფოში სხვადასხვა ჭედის, ე. ი. ერთნაირი ნომინალის, მაგრამ სხვადასხვა ღირებულების მონეტების მიმოქცევას.

მე-17 საუკ. I ნახევარშიც კი, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობის პირობებში მეურნეობრივ ურთიერთობათა ფულადიდან ნატურალურისაკენ უკუგადასვლა კვლავ გრძელდებოდა[3], თბილისში დამოწმებულია ზარაფბაშის არსებობა[4], რაც თავისთავად მეტყველებს ზარაფთა შორის კავშირის შესახებ[5].

---

[1] Е. Пахомов, „Монеты Грузии...", 1910 г.; его же, „Монетные клады Азербайджана..." (Труды об-ва обсл. и изуч. Азерб., 1926, III); ივ. ჯავახიშვილი, „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა..." 1925; თ. ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში" (შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, კრებული, 1938).

[2] Сборн. законов Вахтанга VI; — Законы армянские, § 130. стр. 258.

[3] აღსანიშნავია, რომ დას. საქართველოში მე-18 საუკუნეშიაც გრძელდებოდა ბეგარა-გამოსაღებთა ფულადიდან ნატურალურ ფორმაში გადაყვანა. მაგალითად, აფხაზეთის კათალიკოზ გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ 1706 წ. ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძრისადმი გაცემულ „შესაწირავის წიგნის" არშიაზე მიწერილია. „მათხოვჯელებს ყველას თეთრის ბეგარა ემართა, ცუდად იხარჯებოდა, ხატს არას ემატებოდა. აწე მის მაგიერად სანთელი დაგვიც, მარჩილის თავს შამახური და რუბის თავს ჩარექიო" (იხ. ს. კაკაბაძე „დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები", 1921, ტფ. წ. I, გვ. 95). ქვემოთ კიდევ ვკითხულობთ: „კიდევ საგელათოში საწირეს, ბუეთს, ოხუმირას, სორმონს, რიონს საკათალიკოზო კაცებს თეთრის ბეგარა ემართა. ისიც ცუდათ იხარჯებოდა, ხატს არას ემატებოდა. აწე იმის მაგიერად სანთელი დაგვიც" (იქვე).

[4] ნ. ბერძენიშვილი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან", 1940, თბ. I, გვ. 62.

[5] 1711 წ. სხვადასხვა მხარეს გასასაღებლად გაგზავნილი გარდაცვლილ ვახუშტი ორბელიანის სხვადასხვა საქონლის გაყიდვის შემდეგ „იქიდამ რომ თეთრი მოვიდა აქ (თბილისში — პ. გ.) არ გავიდა და ხუთი თუმანი დაგვაკლესაქაურს თეთრზე რომგავცვალეთ ზარაფისაგან" („საქ. სიძვ." II, 288), — ამგვარად, ზარაფები, ცხადია, მე-18 ს. დასაწყისშიაც მესარეწეობდნენ თბილისში.

ცხადია, მე-12 — 13 სს. თბილისში ზარაფებს თავიანთი კორპორაცია და, მაშასადამე, მეთაურიც ეყოლებოდათ.

მაგრამ საკუთრივ ზარაფობიდან ბანკირობამდე მნიშვნელოვანი მანძილია — ვაჭრობის და კერძოდ ფულადი ოპერაციების განვითარებისა. მე-12 — 14 სს. ვენეციასა და იტალიის სხვა ქალაქებში ბანკები, საკრედიტო ასოციაციები, წარმოიშვნენ შედეგად საგარეო (საზღვაო) ვაჭრობის და ბითუმად ვაჭრობის განვითარებისა, მისწრაფებით რათა ეს ვაჭრობა განთავისუფლებულიყო მევახშის კლანჭებისაგან.

ამასთანავე ვაჭართაგან საკრედიტო ასოციაციების შექმნა შეიძლებოდა მხოლოდ იმ დროიდან რაც საერთოდ ვაჭართა წოდება იმდენად ძლიერდებოდა, რომ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. საერთოდ ფულით ვაჭრობა სავსებით ვითარდება მას შემდეგ, რაც მის სხვა ფუნქციებს მიემატება სესხების გაცემა და ნისიათ (კრედიტში) ვაჭრობა; — სწორედ ამ გზით ხდება ზარაფთა (ფულის დამხურდავებელ-გადამხურდავებელთა) საქმიანობისაგან თანდათანობით ბანკების წარმოშობა.

ფულის სხვადასხვაგვარი ოპერაციის პარალელურად წარმოიშვება კრედიტის ოპერაციაც, — მიწაზე კერძო საკუთრების განვითარების შემდეგ საადგილმამულო კრედიტის სახითაც. ამ მხრივ კრედიტის ჩანასახი უკვე მოცემულია ყიდვა-გაყიდვის იმ ადრინდელ ფორმაში, როდესაც გამყიდველი უფლებას იტოვებს გაყიდული საგანი (განძი, მამული) გარკვეული ვადის გასვლამდე შესცვალოს (უკანვე დაიბრუნოს) მყიდველისათვის სხვა ექვივალენტური წარსაგებელის (საგნის) გადაცემის გზით. მაგრამ ყიდვა-გაყიდვის ამ ფორმაშიაც დროებით გაყიდული საგანი იმთავითვე გადადიოდა მყიდველის (ემბრიონალური კრედიტორის) ხელში (მფლობელობაში), თუმცა უკანასკნელი მაშინვე (ვადის გასვლამდე) არ ხდებოდა მის მესაკუთრედ, — გარკვეულ დრომდე არ ფლობდა, თავის მხრივ, მისი თვითნებურად გასხვისების უფლებას [1].

დას. ევროპის, კერძოდ საფრანგეთის ეკონომიკური ცხოვრების ისტორიაში ვალის ანგარიშში ამ სახით უძრავი ქონების

[1] У д и н ц е в, „История займа", 1910.

გადაცემის ფაქტი ფიქსირებულია უკვე მე-9 საუკ.. მევალისათვის მიწის დროებით, მისი სხვა წარსაგებლით შეცვლის უფლებით, გადაეცემა, ცხადია, მაინც არ შეელოდა მოვალეს და ვადის განმავლობაში მამულის დაუხსნელობის მიზეზით უკანასკნელი საბოლოოდ გადადიოდა მევალის საკუთრებაში[1].

ამგვარ, ანდა დაახლოებით ამგვარ, მოვლენათა შემდგომი განვითარების შედეგად წარმოიშობა საადგილმამულო კრედიტის, უკეთა ვთქვათ, რენტის ყიდვა-გაყიდვის ფორმა. მამულის პატრონი ფულადი კაპიტალის პატრონს გადასცემს მიწას და ღებულობს ფულს (სესხს), მიწის შემოსავალი (რენტა) გადადის კრედიტორის ხელში და, გირავნობით უზრუნველყოფასთან ერთად, არსებითად წარმოადგენს სესხად მიღებული თანხის (თავნის) სარგებლის დაფარვის საშუალებას. თუ ვადაზე მოვალემ (სხვა წარსაგებელით) ვალი არ დაფარა, მიწა გადადის მევალის საკუთრებაში[2]. ანალოგიური მოვლენები ხშირი იყო, ცხადია, ფეოდალურ რუსეთშიაც[3].

ამას უფრო გვიან მოყვება კიდევ სხვა სახის ოპერაცია. ფულის გამცემი, რათა მას არ ეშინოდეს, რომ სათანადო ვადის გასვლამდე მიწაზე პრეტენზია არ განაცხადონ ფულის ამღების მოგვარეებმა, სახლისკაცებმა (ნათესავებმა), საჭიროდ სთვლის ჰყავდეს თავმდებნი (გარანტები). უფრო გვიან თავმდებთაგან გაცემული გარანტიის დოკუმენტის მსგავსად მიწის დროებით, გამოსყიდვამდე, გაყიდვის შემთხვევაში კრედიტორი ღებულობდა მხოლოდ ხელწერილს, ე. ი. ხდებოდა მიწის მხოლოდ ფიქციური გადაცემა (დოკუმენტურად გაფორმების სახით); და ფაქტიურად მიწა მოვალის ხელში რჩებოდა, ხოლო კრედიტორი ითვისებდა რენტას, — სანამ მოვალე არ დაუბრუნებდა მისესხებულ თანხას[4].

მაგრამ ამ გზით წარმოქმნილი ვალის (კრედიტის) დოკუმენტი (რენტის მითვისების უფლება) მევალეს (კრედიტორს)

[1] Levasser, „Histoire du commerce do la Franse", 1911, I.

[2] Goldschmidt, „Universalgeschichte des Handelsrechts", 1891, I.

[3] იხ. Рождественский, „Служилое землевладение в Московском государстве XVI в.", 1897.

[4] შდრ. „Армянский судебник Мхитара Гоша". 1954, стр. 174.

შეეძლო თავის მხრივ გადაეცა სხვისთვის და ამ სახით მესამე პირისაგან უკანვე მიეღო მიწის (სახლის) გირავნობით გაცემული თანხა (კაპიტალი). ვადის გასვლამდე, ცხადია, რენტის უკანასკნელ მყიდველსაც არ შეეძლო მოვალისაგან, ე. ი. მიწის პატრონისაგან მოეთხოვა თავნის (კაპიტალის) დაბრუნება [1].

ამგვარი კრედიტი უპირატესად ატარებდა მომხმარებლურ ხასიათს. ბევრად უფრო გვიან წარმოიშვა და ნაკლებადაც იყო განვითარებული ჩანასახური ფორმა კომერციული კრედიტისა. იგი შუა საუკუნეებში მეტნაკლები ზომით განვითარდა ვენეციას, ფლორენციას, გენუას და ხმელთაშუაზღვის სხვა ქალაქებში.

იტალიის ქალაქებში საქონლისათვის ფულის გადახდის ვადის გადადების სახით წარმომდგარ კრედიტთან ერთად ჩნდება აგრეთვე ფულის სესხებაზე დამყარებული კრედიტიც. მევალე ღებულობს დოკუმენტს (თამასუქს), რაც მოვალეს აკისრებს გარკვეული ვადის განმავლობაში დაფაროს როგორც თავნი, ისე სარგებელიც. ხშირად ვალის დაფარვა ხდება არა იქ, სადაც იგი იყო აღებული. ამგვარად, თამასუქები მალე გადაიქცნენ კომერციული კრედიტის იარაღებად [2].

ამგვარი საკრედიტო ოპერაციები მე-12—13 სს., განსაკუთრებით განვითარებული იყო ფლორენციაში, სადაც უკვე ჩაისახენ ბანკირები, რომელთაგან ცნობილნი იყვნენ ფირმები, კერძოდ ბარდისა, პერუჩჩისა, ფრესკობალდისა და სხვ. ამათი ფულები ემართათ არა მხოლოდ ვაჭრებსა და რიგით აზნაურობას, არამედ გვირგვინოსნებსაც. მაგალითად, ბარდის ფირმა (კომპანია) სესხს აძლევდა ინგლისისა და საფრანგეთის მეფეებს, ფლამანდელ გრაფებსა და ა.შ.[3].

---

[1] П. Рота, „История банков".

[2] Pöhlman, „Die Wirtschaftspolitik der florentier Renesansse", 1878.

[3] Doren, „Italianische Wirtschaftsgeschichte", 1934; Davidson, „Geschichte von Florenz", 1926, IV; Рутенбург, „Налогообложение и общественный кредит Флоренции XII — XV вв.", 1941.

* * *

როგორც 1259 წ. რკონის ეკლესიის სიგელი მოგვითხრობს, მეჭურჭლეთ უხუცესი კახა გამრეკელ-თორელი საქართველოს მეფის დავალებით, როგორც ელჩი, მიემგზავრება უცხოეთში. კახა თორელმა გადასწყვიტა თავის დიპლომატიურ მისიასთან შეათავსოს კომერციული ოპერაციებიც. მაგრამ მას საჭირო საკუთარი სახსრები არ გააჩნია, რის გამოც ვაჭართა საკრედიტო ასოციაციიდან (ამხანაგობიდან, კორპორაციიდან) — ორტაღიდან — ღებულობს სესხს. მაგრამ ნაღდ ფულს გარდა იგი ვალში (კრედიტში, ნისიად) ღებულობს საქონელსაც (ლარს).

კ. თორელი თავისი სავაჭრო ოპერაციების დამთავრების (უცხოეთიდან დაბრუნების) შემდეგ ორტაღს, ცხადია, უბრუნებს თავნს (როგორც ნაღდი ფულის, ისე საქონლის სახით წაღებულს), ამასთანავე უხდის სარგებელსაც, უკეთუ მან გირაოს სახით და, მაშასადამე, სარგებელის დასაფარავადაც (ე. ი. რენტის მიყიდვის ანუ დროებით დათმობის სახით) ორტაღს, სესხის აღების მომენტში, დროებით მფლობელობაში არ გადასცა მამული, რაც სესხის (კაპიტალის) დაფარვის შემდეგ კ. თორელს უკანვე დაუბრუნდებოდა.

ეს უკანასკნელი მომენტი მით უფროა სავარაუდებელი, რომ სიგელში არაფერია ნათქვამი ორტაღისათვის, სახელდობრ სარგებელის გადახდის შესახებ. ეს გარემოება, იქნება იმითაც აიხსნებოდეს რომ კ. თორელი შეიძლება თვითონაც ყოფილიყო (იქნებ სხვის სახელს ამოფარებული) ორტაღის წევრთაგანი.

აქ მოსახსენებელია ის გარემოებაც, რომ მე-12 ს. საქართველოს, არსებითად მთელი ამიერკავკასიის შემცველ სახელმწიფოში მოქმედი სომხური, სახელდობრ მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი ს, კანონების მიხედვითაც გათვალისწინებულია კრედიტორისათვის გირაოდ მიწის გადაცემა. ამ შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს მოხნას და საერთოდ ისარგებლოს მიწით (მამულით, სოფლით) და ამ სახით მიიღოს გაცემული

სესხის სარგებელი (%%). მოვალე, ასეთ პირობებში, ვადაზე იხდის მხოლოდ კაპიტალს (თავნს)[1].

რა თქმა უნდა, ყალბია ვ. ზ ო მ ბ ა რ ტ ი ს მტკიცება, თითქოს „სარგებელზე (%%-ზე) ფულის გასესხების იდეას... შეეძლო წარმოშობილიყო მხოლოდ უცხოელებთან (ებრაელებთან, ლომბარდიელებთან) კავშირურთიერთობის პირობებში“;—აგრეთვე მისი მოსაზრება, თითქოს შუასაუკუნეებში ფულის სარგებელზე გასესხება, მევახშეობა, უმნიშვნელო რამ იყო[2]. თვით ის ფაქტი, რომ ფლორენციელ ზარაფთა 1367 წლის სტატუტიც-კი (რომ არა ვთქვათ რა ეკლესიებზე) კრძალავდა სარგებელზე ფულის გასესხებას, და საერთოდ მევახშეობას, მხოლოდ იმას მოწმობს, რომ იგი ფართოდ გავრცელებულ-განვითარებული იყო და შესაბამის როლსაც თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ამგვარად, როგორც განხილულ მასალათაგან ჩანს, ორტაღი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც: 1. უძრავი ქონების, მამულის (სოფლის), გირავნობით იძლევა სესხს („ყიდულობს“ ასეთს ქონებას); 2. ამ გზით მიღებულ ქონებას (სესხის გადახდის ვადის გადაცილების, ე. ი. მესაკუთრე-დამგირავებლისაგან გამოუხსნელობის შემთხვევაში) ორტაღი, თავის მხრივ, ჰყიდის მესამე პირზე; 3. ორტაღი იძლევა სესხად ფულს; 4. იგი იძლევა საქონელს კრედიტში (ნისიად); 5. სესხად გაცემული სახსრებისათვის ორტაღი ღებულობს სარგებელს;— მართალია, ეს უკანასკნელი მომენტი რკონის ეკლესიის სიგელიდან უშუალოდ არა ჩანს, მაგრამ ზემოხსენებული ოპერაციებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს.

რკონის ეკლესიის 1259 წლის სიგელი მოწმობს, რომ იმ ეპოქის საქართველოში, საერთოდ შუა საუკუნეებისათვის შესაბამის, ე. ი. ე მ ბ რ ი ო ნ ულ ფორმებში განვითარებული იყო როგორც საადგილმამულო (ჰიპოტეკური), აგრეთვე კომერციული კრედიტიც, რაც საერთოდ, ცხადია, მევახშური კრედიტის ორბიტში მოძრაობდა, რამდენადაც საკუთრად საკრედიტო

[1] იხ. Сб. Законов Вахтанга VI, — Законы армянские § 133, стр. 257; შეადარე აგრეთვე § 244, გვ. 292; „Армянский судебник Мхитара Гоша“, 1954, стр. 171.

[2] В. З о м б а р т, „Современный капитализм“, II, 303 — 304.

სისტემა მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების დროიდან ყალიბდება.

ამასთანავე აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ იმ დროს, მე-13 ს. შუაში, საქართველო და ამიერკავკასია ეკონომიკური თვალსაზრისით, მონგოლთა განმანადგურებელ შემოსევათა შედეგად, მნიშვნელოვანად დაქვეითებული იყო, ვინემ ნახევარი საუკუნით ადრე.

აქ ანგარიშგასაწევია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაც ხშირად ისტორიკოსთა ყურადღების გარეშე რჩება ხოლმე. კულტურულად დაწინაურებული, ძლიერი და მდიდარი ქვეყნის პოლიტიკური დაპყრობა, და ისიც ჩამორჩენილი ეკონომიკური კულტურის მქონე ხალხის მიერ, კიდევ არ ნიშნავს დაპყრობილ ქვეყნის წინანდელი მსოფლიო კომერციული კავშირურთიერთობიდან გამოთიშვას. კიდევ მეტიც. არაა გამორიცხული ასეთი კავშირურთიერთობის შემდგომი, დროებითი განვითარების შესაძლებლობაც, რამდენადაც უფრო ფართო პოლიტიკური და, მაშასადამე, ტერიტორიული გაერთიანების ორბიტში მოქცევა, თვით სამხედრო მოქმედებათა პერიოდებშიაც-კი, შესაბამისი ზომითა და მიმართულებით შეიძლება იწვევდეს სავაჭრო ოპერაციების გაფართოებასა და, მაშასადამე, ვაჭართა წოდებისა და კორპორაციათა როლისა და თვით პოლიტიკური წონის ზრდასაც[1].

[1] აკად. ვ. ბარტოლდი: „ჩინგის-ყაენს სულთანის სახელმწიფოზე ლაშქრობის დროს თან მიყვებოდნენ მუსლიმანი ვაჭრები, რომლებიც მისი საიმედო მრჩეველები იყვნენ: იგი, რა თქმა უნდა, იმათ უნდა უმადლოდეს გეოგრაფიული პირობების იმ დაწვრილებითი ცოდნისათვის, რის შესახებაც მეტყველებენ მის მიერ შესრულებულ ლაშქრობათა გეგმები“ („История Туркестана“, 1922, Ташкент, стр. 29); საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩინგის-ყაენის ელჩები, დასავლეთისაკენ გალაშქრებამდე, შუაზიის სულთანისაგან მოითხოვდნენ „მხოლოდ“ სავაჭრო გზებზე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას. ხოლო მერმე, „მონგოლთა ძლევამოსილი ლაშქრობის დამთავრების შემდეგ“, მონგოლებმა „მათს [სამხეთურში მყოფი ხელოსნების დახმარებით წესრიგში მოიყვანეს გზები“ (იქვე, გვ. 29 — 28, 32), თუმცა, რასაკვირველია, ამას ისინი აკეთებდნენ დაპყრობილ ქვეყნებში არა ცივილიზაციის შეტანისათვის, როგორც ეს, ეტყობა, აკად. ვ. ბარტოლდს წარმოუდგენია, არამედ ისევ და ისევ თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებისათვის.

სწორედ ამის ერთგვარ მაგალითს წარმოადგენს ამიერკავკასიელ ვაჭართა ოპერაციების შემდგომი დ რ ო ე ბ ი თ ი გაშლა მე-13 ს. მეორე მეოთხედიდან მოყოლებული. სულ სხვა საკითხია, თუ სანამდე გაგრძელდება ეს „კომერციული აღმავლობა", რომლის პარალელურად დაპყრობილ ქვეყანაში მიმდინარეობს მოსახლეობის ძირითადი მასების სასტიკი არა მხოლოდ ექსპლოატაცია, არამედ პირდაპირი ძარცვა დამპყრობელის სახარკო პოლიტიკის გამტარებელი აპარატის მიერ[1]. ეს გარემოება, თავის მხრივ, ერთხნობით ხელს უწყობს კიდევაც ვაჭრობის, ფულის ტრიალისა და მევახშეობის (კრედიტის) განვითარებას, რამდენადაც ულმობელი სამხედროფისკალური აპარატი ქვეყნის აღწერებისა და სხვა ღონისძიებათა დახმარებით აამოძრავებს აქ ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების პერიოდში დაგროვილ დიდძალ სიმდიდრეს, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი აქამდე სხვადასხვა სახის (საეკლესიო თუ საერო) განძეულობათა სახით ინახებოდა და, მაშასადამე, ამოღებული იყო მიმოქცევის სფეროდან.

მაგრამ ამოძრავება, ე. ი. ამოქაჩვა და გატანა შეიძლება მხოლოდ მოძრავი ქონებისა, პირველ რიგში მხოლოდ ფულისა და სხვა ძვირფასი ნივთებისა, რასაც ადრე თუ გვიან არ შეუძლია არ იმოქმედოს უძრავ ქონებაზედაც, ცხადია, მისი ყიდვა-გაყიდვის შემდგომი განვითარებისა და, — საბოლოო ანგარიშით, ძვირფასეულობათა (ოქროს, ვერცხლის, პატიოსანი თვლების, ოქროქსოვილთა და საერთოდ ტრანსპორტაბელურ ტექსტილურ და სხვ. ძვირფას ნაკეთობათა) ქვეყნიდან სისტემატური გატანის აუცილებლობის პირობებში, — მეტნაკლები ზომით მისი, სახელდობრ უძრავი ქონების, ფასის დაცემის მიმართულებით.

ეს მომენტიც, როგორც დავინახეთ, გამოხატულია ჩვენს დოკუმენტში: „მათ ჟამთა დია ქვეყანანი (მიწები — პ. გ.) დაისყიდნენ ხარკობისაგან. ოქროჲ ძუირად იყვის და სოფელი (მამული — პ. გ.) იეფადო". მაგრამ ამ მხრივ ამიერკავკასიაში 1250-იანი წლების მდგომარეობა არ შეცვლილა 1280-იან წლებშიაც.

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართველი ერის ისტორია", 1941, III, 53—120.

ამ თვალსაზრისით[1] დიდად საინტერესო ცნობას შეიცავს გომავანკის მონასტრის 1283 წ. წარწერა:

სომეხი დიდვაჭარი, პარონ უმეკის შვილი, ჭარის შვილიშვილი, ჭარი, წარმოშობით მანაზკერტელი, ამ წარწერაში აცხადებს:

„...მსოფლიოში ყარანუინის ბატონობისა და საქართველოში დიმიტრი ბაგრატიდის მეფობის დროს მამიჩემმა უმეკმა შეისყიდა გეტიკი ორმოც ათას წითელ დუკატად, ხოლო მე ჭარმა ვიყიდე ჰოვკი, ყოვლითა მისითა საზღვრითა, მძიმე დროში, როდესაც მ ა მ უ ლ ი ი ა ფ ა დ ი ყ ო, ხ ო ლ ო ო ქ რ ო ძ ვ ი რ ა დ, ოთხი ათას წითელ დუკატად, და მივეც გეტიკის ღვთისმშობლის ეკლესიასო“ [2].

---

[1] აქ შეიძლება კიდევ აღინიშნოს, რომ მსგავსი მოვლენები დას. ევროპის ეკონომიკური ცხოვრების ისტორიაშიც არ ყოფილა იშვიათი. მაგალითად, ჯვაროსანთა ომების პერიოდში, როდესაც მოლაშქრენი მასობრივად ყიდულობდნენ შორეულ ქვეყანაში ლაშქრობისა, მგზავრობისა და, მაშასადამე, ყველგან და ადვილად სარეალიზაციო ნივთებს, ე. წ., „Gesta Dei Per Francos“ ისტორიის ავტორის გ ი ვ ბ ე რ ტ ი ს ცნობით, ფრიად გაძვირდა სამხედრო საჭურველი, ცხენი, ოქრო, ვერცხლი, ხოლო გაიაფდა ადგილმამული: „... ყოველი ცდილობდა ყოველგვარი საშუალებით, რათა რაც შეიძლება მეტი ფული დაეგროვებინა და (ამისათვის) ჰყიდდა ყველაფერს, რაც-კი ჰქონდა, მეტად იაფად, ყველაფერზე რასაც-კი შეაძლევდნენ: მაშინ მოხდა საოცარი მოვლენა... ძვირად ყიდულობდნენ ყველაფერს, რაც აუცილებელია გზისათვის, ხოლო მეტისმეტად იაფად ჰყიდნენ ყველაფერს, რითაც შეიძლებოდა ხარჯების დაფარვა“; მეორე თანამედროვე Ordericus-Vitalis (1175—1242), საეკლესიო ისტორიის ცნობილი ავტორი, გადმოგვცემს, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობის მოწყობისას „ყოველგვარი უძრავი ქონება, რაც ამ დრომდე ძვირად ფასობდა, ფრიად მცირე ფასად იყიდებოდა და ამ ფულით ყიდულობდნენ იარაღებს სარაცინებზე (სარკინოზებზე) წმინდა შურისძიებისათვისო“ (იხ. L e v a s s e r, „Histoire du commerce de la Franse“, 1911, I).

[2] К. К о с т а н я н ц, „Летопись на камнях“ (Bibliotheca Armeno-Georgica“, II), 1913, СПБ, 124—125; ჭარის მამა უმეკი ყოფილა მდიდარი თეოდოსიოპოლელი (არზრუმელი) ვაჭარი, რომელიც მონგოლთა მიერ არზრუმის აღების (1239 წ.) შემდეგ გადმოსახლებულა თბილისს (Я. М а н а н д я н, „О торговле и городах Армении...“, 1930, Эривань, стр. 190—191). რა თქმა უნდა, სცდება აკად. ი. მანანდიანი, როდესაც წარწერაში მოხსენებულ დიმიტრი ბაგრატიდისა და, მაშასადამე, ოქროს სიძვირისა და ად-

ამგვარად, მონგოლთა ბატონობის დასაწყისიდანვე ამიერკავკასიის ეკონომიკური დაჩიავება, თვით მოსახლეობის რიცხობრივი შემცირება პროგრესულად მიმდინარეობდა და, მაშასადამე, „კომერციულ აღმავლობას“ არ შეიძლებოდა სხვა საფუძველი ჰქონოდა გარდა ომისა და ხარკისა, რასაც, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის გამოფიტვა და, მაშასადამე, ვაჭრობის დაცემაც უნდა მოყოლოდა. მონგოლთა „მფარველობაში“ ვაჭრობასა და კრედიტს, ცხადია, მხოლოდღა უკვე მანამდე ჩამოყალიბებული ორგანიზაციული ფორმების დროებითი შენარჩუნება თუ შეეძლო.

ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ისიც ითქვას, რომ ანალოგიური ფორმები კრედიტისა, — რაც დას. ევროპული რენესანსის ეკონომიკურ ვითარებას შეესაბამება და რაც იქ, მაგალითად, ვენეციასა და გენუაში მე-12 — 14 სს. საკრედიტო ასოციაციების[1] სახით იყვნენ წარმოქმნილი, — აქ, საქართველოში, არანაკლებ განვითარებული უნდა ყოფილიყო მე-12 — 13 საუკუნეთა მიჯნაზე, ვინემ მე-13 საუკუნის შუაში, როდესაც იგი ზემოთგანხილული „ორტაღის“ სახით იყო წარმოდგენილი.

5. ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘ

კახა თორელის სიგელი რომ იმასაც გვეუბნებოდეს, თუ სახელდობრ რამდენი ლარი და თეთრი აიღო მან ორტაღისგან სესხად, მაშინ ჩვენ შეგვეძლებოდა მისი საბრუნავი სა-

---

გილმამულის სიიაფის დროდ (ალბათ, სომეხ ისტორიკოსის კირიაკ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი ს ცნობის მიხედვით) მე-13ს. მეორე მეოთხედი მიუჩნევია (ი. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი, დასახ. თხზ., გვ. 191). ნამდვილად წარწერის დიმიტრი ბაგრატიდი არის საქართველოს მეფე დემეტრე II (1270 — 1289) და წარწერაც ოქროს სიძვირის შესახებ გადმოგვცემს არა უმეყის, არამედ ჰარის (შვილის) და, მაშასადამე, საკუთრად წარწერის გაკეთების დროინდელ (1283 წ.) მოვლენას. ამასთანავე სომხეთის და ამიერკავკასიის ქალაქთა საერთაშორისო ვაკრობაში მონაწილეობის დასასაბუთებლად, სრულებითაც არაა აუცილებელი ამ ქალაქებში (მე-13 ს. მეორე მეოთხედში), დიდძალ ფულად საშუალებათა არსებობის, ე. ი. ფულის სიიაფის შესახები ვერსია.

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, III, II, 132.

შუალებები შეგვედარებია იმდროინდელ დას. ევროპულ ცალკე მოვაჭრეთა ხელში არსებულ საშუალებებთან და ამ გზით ზოგიერთი საინტერესო დასკვნა მიგვეღო, როგორც კ. თორელის კომერციული ოპერაციების მასშტაბის, ისე თვით ორტაღის, როგორც ვაჭართა კომპანიის შესახებაც[1].

როგორც კ. თორელი აცხადებს თავისი კომერციული საქმიანობის შედეგად მას დიდი მოგება დარჩენია. ოპერაციების დამთავრების შემდეგ „ორტაღთა მათი ხელთავე მივსცი და მე შიგა ეზოში დამრჩა...“ რომე ხოვლისა ფასი მითა მოვიგეო“, ე. ი. სახელდობრ ამ ვაჭრობიდან მოგებული ფულით ვიყიდე ხოვლეო.

ხოვლეს ფასი კი სიგელიდან ცნობილია: „აღბუღას და შვილთა მისთა“ ხოვლე ხომ 65.000 თეთრად გაეყიდათ და „აწ მე მივეც ფასი სრულიო“, აცხადებს კახა თორელი.

მაგრამ ამ თანხის (65.000 თეთრის) ნაღდად გადახდა კ. თორელს ძალიან გაჭირვებია და „მომსყიდველთათვისაც“ ნაწილი ნატურით (ცხადია, განძეულის სახით) გადაუხდია. ჩანს, რომ მას თავისი მოგება თან ჩამოუტანია არა მხოლოდ ნაღდი ფულის, არამედ სხვადასხვაგვარი ძვირფასი ნივთების, — განძების (კეთილშობილი ლითონის, პატიოსანი თვლების, ლარისა, იარაღ-სამკაულისა და სხვ.) სახით.

კ. თორელი აცხადებს: „ასრე მიმჭირდა იმისსა (ხოვლეს — პ. გ.) სყიდასა შიგა, რამე ზოგი რამ მათ მომსყიდველთა წამიღიან იაფად: რაიც ხუთ ათას თეთრად ღირდის ორ ათასად ძლივ დავაჭირვინი; და ზოგი სხუაგან — დიდებულთა ზედა გავყიდი: რაიც ათი ათას თეთრად ღირდის ხუთი ათასად ძლივ გავყიდი და ეგრე გარდავეც ყუელა და არავისი წამიგია ამას შიგაო“. თუმცა ქვემოთ სიგელში ლაპარაკია ზოგიერთი ნაბოძები, შედარებით მცირეოდენი, თეთრისა და სხვა ქონების გამოყენების შესახებაც, მაგრამ უდავოა, რომ კ. თორელმა სოფელი ხოვლე, — რომელიც თავი-

[1] იმდროინდელ დას. ევროპელ ვაჭართა ამხანაგობების შესახებ იხ. **Max Weber, „Zur Geschichte der Handels-gesellschaften im Mittelalter“, 1889.**

სის: „ზურითა, ხოდაბუნითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქუილითა და ყოვლითა სამართლიანითა ზღვრითა, სახმრითა და უხმრითა...“ შესწირა რკონის ღვთისმშობლის ეკლესიას — საერთოდ ხსენებული სავაჭრო ოპერაციებიდან მოგებული საშუალებებით იყიდა. ე. ი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ხსენებული ოპერაციებიდან კახა თორელმა თუ მეტი არა, 65.000 თეთრი მაინც მოიგო, რამდენადაც აქ მხედველობაში არ ვღებულობთ იმ გარემოებას, რომ დიდი გადასახდელის დაფარვისას კ. თორელს მოუხდა ჩამოტანილი განძეულის ნაწილის მაინც ნახევარფასად რეალიზაცია ან, 65.000 თეთრის ანგარიშში, ხოვლეს გამყიდველთათვის კიდევ უფრო იაფად ჩათვლა, რადგან, როგორც ეტყობა სოფლის მთელი ფასი ერთბაშად ან მოკლე დროში მაინც უნდა გადაეხადა.

მართალია, იმ დროს სავაჭრო მოგება ხშირად მაღალი და არაიშვიათად კიდევ ძალიან მაღალიც იყო, მაგრამ როგორც გინდ არ ვიანგარიშოთ 65.000 თეთრი[1] წმინდა მოგების მისაღებად მაინც მნიშვნელოვანი თანხების დაბანდება იქნებოდა საჭირო ამ ვაჭრობაში.

[1] თ ე თ რ ი, როგორც ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი ტერმინი ქართულში შემოდის მე-11 საუკუნიდან (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული საფასსაზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“, 1925, გვ. 17 — 18). მე-14 საუკ. მემატიანე (ეამთააღმწერელი) გადმოგვცემს, რომ არღუნ-ყაენის ბრძანებით „რაიცა განისყიდებოდეს ტფილისს, ასსა თ ე თ რ ს ა ზედა სამი თ ე თ რ ი საყაენოდ დაიდებოდესო“; იქვე ნათქვამია: „მიზდი (ქირა, საზღაური — პ. გ.) ცხენისა თ ე თ რ ი სამი — დღესა ერთსაო“ („ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ვარიანტი, 1906, ტფ., ე. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 665, 670; „ქართლის ცხოვრება“, 1849, I, 389). ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით 1227 — 1230 წწ. $12\frac{2}{3}$ თეთრი (ვერცხლ. დრამა) უდრიდა 1 ოქროს დინარს ანუ დრაჰკანს (იქვე, გვ. 50; იხ. აგრეთვე მისივე, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, 1907 ტფ. გვ. 109). ერთი ოქროს დინარი შეიცავდა ერთ მისხალ წმინდა ოქროს, ხოლო ერთი მისხ. წმ. ოქრო პირველი მსოფლიო ომის წინახანებში ღირდა 5 მან. 50, 96 კაპ. აქედან, თუ ეს ვარაუდი რამდენადმე მაინც არის სინამდვილესთან მიახლოებული, გამოდის, რომ კახა თორელის დროინდელი (1259 წ.) 65.000 თეთრი უდრის (ცხადია, დაახლოებით) 5.132 ოქრ. დინარს ანუ დრაჰკანს, რაც, თავის მხრივ (1 მისხ. ოქროს 5 მან. და 50, 96 კაპ. ანგარიშით) უდრის 28.295 ოქროს მანეთს პირველი მსოფლიო ომის წინა წლებისა.

ვ. ზომბარტის გამოანგარიშებით გენუაში მე-12 ს. მეორე ნახევარში დადებულ 50 სავაჭრო ხელშეკრულებათა და გარიგებათა საერთო ჯამი უდრის 7.470 ლირას (მხედველობაშია გენუის ლირა), რაც საშუალოდ ერთ ხელშეკრულებაზე შეადგენს 150 ლირას ანუ 120 ფლორინს (ფლურს), ე. ი. დაახლოებით 500 მანეთს (ოქროთი).

დასახელებული 50-დან ყველაზე მსხვილი თანხა ერთი ხელშეკრულებისა, რამდენადმე აღემატება 900 ლირას; მეორე ადგილს იჭერს ხელშეკრულება, რომლის თანხა 400 ლირაზე ცოტათი მეტია; შემდეგ მხოლოდ ორია ორმოცდაათში ისეთი გარიგება, რომელთა თანხა ცალ-ცალკე აღემატება 300 ლირას. ყველა დანარჩენ ხელშეკრულებათა თანხა უფრო ნაკლებია. ქ. ლიუბეკში მე-14 — 15 სს. დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებათა თანხები არ აღემატება მე-12 ს. გენუაში დადებულ ხელშეკრულებათა თანხებს.

შტიდას ცნობით 1369 წ. რეველიდან გავიდა 12 ხომალდი, რომელთა ტვირთის ფასი უდრიდა 29.304 ლიუბეკურ მარკას. მთელი ეს საქონელი 170 ვაჭარს ეკუთვნოდა. მაშასადამე, თვითეულ ვაჭარზე საშუალოდ 164 ლ. მარკის ანუ დაახლოებით 800 მან. (ოქრ.) საქონელი მოდიოდა.

მე-12 ს. ვენეციაში სავაჭრო ხომალდის მთელი ტვირთის (საქონლის) ღირებულებას მაგალითისათვის განსაზღვრავენ 630 პერპერით (დაახლოებით 3.000 ოქრ. მან.). ამასთანავე ყველაზე მსხვილ მონაწილეზე აქედან მოდის 158 პერპერის საქონელი. ქ. ბაზელიდან 1391 წელს ფრანქფურტის მესაზე გამგზავრებულ და გზაზე რაინდთაგან გაძარცული ქარავნის, რომელშიაც სამოცზე მეტი ვაჭარი შედიოდა, ღირებულება უდრიდა 9.544 ფლორინს ანუ 12.430 ლივრს. ამგვარად, შორეულ და სახიფათო გზაზე დამდგარ ვაჭართაგან საშუალოდ, თვითეულზე მოდის 156 ფლორინის (ფლურის) საქონელი. ქ. იპრის ბაზრობაზე 1251 — 1291 წწ. დაწერილ 102 თამასუქიდან მხოლოდ 17-ის თანხა აღემატება 100 გირ. სტ., ხოლო ყველაზე დიდთანხიანი თამასუქის ვალუტა უდრის 239 გირ. სტრ. და 6 შილ.[1].

[1] В. Зомбарт, „Современный капитализм", I, I.

1429 წელს ისეთ მდიდარ სავაჭრო ქალაქში როგორიც იყო ბაზელი, მხოლოდ ხუთი ვაჭრის ქონება აღემატებოდა 4 ათას ფლორინს; მათ შორის ყველაზე მდიდარის ქონება აღწევდა 6500 ფლორინამდე. უკვე მე-15 საუკუნის ბოლოს ქ. აუგსბურგშიაც კი მხოლოდ 70 ვაჭარი ცხოვრობდა ისეთი, რომელთა ქონება 6.000 ფლორინს აღემატებოდა და მათში ოთხიღა იყო ისეთი, რომელთაც თვითეულს 30.000 ფლორინზე მეტის ქონება გააჩნდა[1].

---

[1] არსებითად მხოლოდ ფლორენციაში და ისიც მხოლოდ მე-14 საუკუნიდან, როდესაც აქ მეურნეობრივი თაოსნობა უკვე მნიშვნელოვანად გასცილდა საერთოდ ფეოდალური წარმოების წესის ფარგლებს, ჩნდებიან შედარებით უფრო დიდი შეძლების მქონე კომერციული თაოსნობის ადამიანები.

ჯ ო ვ ა ნ ი ვ ი ლ ლ ა ნ ი ს თქმისა არ იყოს ამ დროის „ფლორენციელები დიდი კრედიტორი-მევახშეებია". ფლორენციული კომპანიები ამიერიდან უფრო დიდ სესხებს აძლევენ როგორც კერძო პირებს, ასევე სხვადასხვა ქალაქ-კომუნებსა და მეფეებს; ეს კომპანიები ატრიალებენ უკვე არა ათეულ ათასობით, არამედ ასეულ ათასობით ფლორინებს.

ფლორენციული კომპანიების კომერციული კავშირის სფეროებში შედიოდნენ ხმელთაშუა ზღვის კუნძულები და სანაპიროების ქვეყნები; თითქმის მთელი დას. ევროპა, ეგვიპტე, ლევანტის ქვეყნები, მცირე აზია, შავი და აზოვის ზღვების სანაპიროები. მათ შესძლეს კავშირი დაემყარებიათ შორეულ ჩინეთთან, ინდოეთთან, მოლუკისა და ზონდის კუნძულებთან; ამ კავშირურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი გზაც ამიერკავკასიაზე გადიოდა (თავრიზი-ყარსი-ტრაპიზონი); მაინც ისტორიულ სინამდვილეს არა სწორად წარმოგვიდგენს ი. კ.ულ ი შ ე რ ი, რომელიც წერს, რომ ფლორენციულ კომპანიათა საკრედიტო ოპერაციებში მეტისმეტად ნათლად ვლინდება კაპიტალიზმი, რომელმაც აქ „უკვე ნამდვილად მოასწრო თავისთავის გამომეღავნებაო" (И. К у л и ш е р, „Ист. экон. быта Зап. Европы", I, 311 — 312).

ფლორენციაში ამ დროს შუასაუკუნეობრივი ზარაფი უკვე თითქმის გამოდევნილია და კამბიოთა (ზარაფთა) ასოციაციის ხელიდან მევახშური კრედიტის ოპერაციები გადასულია ვაჭარ-ბანკირთა კომპანიების ხელში.

აღსანიშნავია, რომ ამ ფლორენციული კომპანიების მხრივ ღვთისმსახურეებისადმი მიდრეკილება იზრდება მათი ვაჭრული კაპიტალების ზრდასავე შესაბამისად. მაგალითად, პერუცცის კომპანიას (1335 წ. — ძირ. კაპ. 90.000 ფლორინი) გახსნილი ჰქონდა ცალკე ანგარიში „საღვთო დინარისა", ბარდის კომპანიის დავთრებში ამ ანგარიშს ეწოდებოდა „Conto di messer Domeneddio" („უფლისა ღვთისა მესერის ანგარიში"). ამგვარად,

6. კომერციული თაოსნობისა, ძალაძთა მნიშვნელობისა და ე. წ. პირველანდელი დაგროვების ჩანასახებისათვის

არაპირდაპირი და მიახლოებითი შედარებაც კი ცხადსა ხდის იმ გარემოებას, რომ კერძო პირთა (ვაჭართა) ხელში კომერციული თაოსნობით, ე. ი. სავაჭრო ოპერაციებით მიღებულ მოგებათა გზით ამიერკავკასიაშიაც ამდენად მნიშვნელოვანი სიმდიდრის დაგროვება ხერხდებოდა, რომ იგი (ვაჭრული კაპიტალი) თავისი სიდიდის მიხედვით ძალიან უახლოვდება იმდროინდელ, კერძოდ მე-12 — 13 სს. იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებში, — „პირველ კაპიტალისტურ ერს იტალია წარმოადგენდა“ [1], — და რამდენადმე შეგვიანებით საერთოდ დას. ევროპაში მიმდინარე შესაბამის მოვლენებს.

ძნელი არ არის წარმოდგენა იმისა, თუ რამდენი სიმდიდრის პატრონი უნდა ყოფილიყო სომეხი დიდვაჭარი კ ა რ ო ნ უ მ ე კ ი, რათა „ორმოც ათას წითელ დუკატად“ შესყიდული ქონება საეკლესიოდ დაედვა, ანდა უკვე „გალარიბებული“ მისი შვილი, რომელმაც მთელი სოფელი იყიდა და სულის საცხონებლადვე შესწირა ეკლესიას.

მე-13 ს. პირველ ნახევარში ქ. ანისში ცხოვრობდა დიდვაჭარი ტ ი გ რ ა ნ ჰ ო ნ ე ნ ც ი, რომელსაც კ. თორელის მიერ შესრულებული დაგირავებული მამულის გამოსყიდვის მსგავსი ოპერაცია, ეტყობა, არაერთგზის უწარმოებია. ქ. ანისში, ტ. ჰონენცისავე საფასწარსაგებელით აშენებული ეკლესიის წარწერა მოწმობს, რომ ჰონენცს გარდა სხვადასხვა მამულებისა, სახლებისა, სასტუმროებისა, წყალსადენისა, დუქნებისა, როგორც ქ. ანისში, ისე სხვა ადგილებშიაც ეკუთვნოდა წისქვილები და ზეთსახდელი სარეწები [2].

ღმერთი აქ ფორმალურად წარმოდგენილია როგორც კომპანიის წევრი, რომელსაც თავისი ქვოტა აქვს კომპანიის ძირითად კაპიტალში. ცხადია, ღმერთის პირად ანგარიშში ჩარიცხული თანხას ღებულობდა რომელიმე ეკლესია ან მონასტერი. ამასთანავე ეს ანარიცხები კომპანიას მორალურ უფლებას აძლევდა გასესხებულ ფულებზე სარგებლის აღებისა, ე. ი. ამგვარად მიიღწევოდა მევახშეობის ცოდვათა განტევება.

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, 1948, თბ. გვ., 36.

[2] „История Армянского народа“, I, 166 — 168.

ახასიათებდა რა ტიგრან ჰონენცის საქმიანობას აკად. ნ. მარი წერდა: „ტიგრანი — თავისი ეპოქის ტიპიური კაპიტალისტია“. იგი ეკუთვნოდა ადამიანთა რიცხვს, „რომელთა ხელში თავს იყრიდა ქვეყნის მთელი სიმდიდრე, რაც შეძენილი იყო ყველა სახის გაცვლითი ვაჭრობით, ფულით ვაჭრობის გამოუკლებლივ“. ამ მხრივ დამახასიათებელია პირდაპირი მითითება, რომ ტიგრანი ეწეოდა გირავნობითი სასესხო ოპერაციებს და გირავნობის (საწინდართა) სახით ეპირა მრავალი ადგილ-მამული; იგი იყო „თავისი დროის ბანკირი, რომელიც მსხვილ სესხებს იძლეოდა უძრავ ქონებათა გირავნობით, რაც მერმე, ჩვეულებრივ, პრაქტიკულად, მას, ანდა იმას ვისაც იგი მოისურვებდა, რჩებოდა“.

იხილავს რა საერთოდ ტ. ჰონენცის საქმიანობას აკად. ნ. მარი წერს: „ეტყობა მიმდინარეობდა სათავადო და სააზნაურო მამულების გადასვლა მსხვილი კაპიტალისტების ხელში, რომელთაც თუკი უწევდა კიდევ რომელიმე კლასი მეტოქეობას, ეს იყო მხოლოდ სასულიერო და განსაკუთრებით მაშინ ჯერ კიდევ ძლიერი მონასტრების მოსახლეობაო“ [1].

რა თქმა უნდა, ტიგრან ჰონენცი არ შეიძლებოდა ყოფილიყო კაპიტალისტი და არც ბანკირი, მაგრამ თავისი დროის „ბანკირი“, ე. ი. არსებითად უმსხვილესი ვაჭარი-მევახშე იგი მართლაც ყოფილა.

იგივე ითქმის ზემოხსენებულ კარინელ (არზრუმელ) პრონ უმეკის შესახებაც, რომელიც ქ. კარინის მონგოლთაგან აღებისა და დანგრევის მერმე გადმოსახლდა თბილისში და „ქართველთა მეფის დავითის მამად იწოდებოდა და ყაენმა განადიდა სიგლის ბოძებით“ [2]. უმეკი, როგორც ქვემოთხსენებული სადუნ მანკაბერდელი, ფეოდალური არისტოკრატიის წრეშიც იკაფავს გზას და, ცხადია, გვარსაც „იკეთილშობილებს“.

მეორე ანისელმა დიდვაჭარმა ავეტენც საჰმადინმა 1264 წ. შეისყიდა ერევანი, მთელი მისი სანახებით, „მიწითა

[1] Н. Марр, „Ани...“, 1939, стр. 63 — 65.

[2] შ. მესხია, „საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“ („მიმომხილველი“, 1951, II; 97); ლ. მელიქსედ-ბეგი, „ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის“ (თსუ მოამბე, 1924, V, 87).

და წყლითა". ამას გარდა მას კიდევ მრავალ სხვადასხვა ადგილას ქონდა საკუთარი მამულები[1]. ცხადია, აქ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ვაჭარს მამულების შესყიდვაში და საერთოდ უძრავ ქონებაში შეუძლია დააბანდოს მხოლოდ ნაწილი მთელი თავისი შეძლებისა.

არანაკლებ საინტერესოა მედროვე სადუნ მანკაბერდელის პიროვნება; იგი თვით ყაენისა და მონგოლთა სახელმწიფოს უძლიერესი მოხელის არღუნის თარჯიმანი და მრჩეველი გახდა საქართველოსა და ამიერკავკასიის საკითხებში და თავის დიპლომატიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობას ყოველთვის ჩინებულად უთანხმებდა ვაჭრობისა და გამდიდრებისათვის ზრუნვას. საქართველოს ათაბაგის ყოფილი ყმა სადუნ მანკაბერდელი მონგოლებმა თვით გაათაბაგეს და აღმ. საქართველოს მცირეწლოვანი მეფის დემეტრე II მზრუნველად დანიშნეს; „საქართველოს ლაშქართა საქმე და განგებაც" აბაღა ყაენმა მასვე „ხელთ უდვა".

სადუნი, ცხადია, კიდევ უფრო გაძლიერდა. 1270-იან წლებში მან დემეტრე II-საგან თელავის, ბელაქნისა და ბევრი სხვა ადგილების დაურვება მოახერხა. ამავე ხანებში, ურდოში ყოფნისას დემეტრე მეფეს მონგოლებმა „სთხოვეს საფასე ურიცხვი... განზრახვითა სადუნისათა". მეფემ მონგოლთაგან შეწერილი გადასახდელის დაფარვა ვერ შესძლო. ამ დროისათვის მანკაბერდელი უკვე იმდენად დიდი შეძლების პატრონია, რომ მხოლოდ იგი ერთი კისრულობს მეფისათვის შეწერილი „ურიცხვი საფასის" გადახდას; მაგრამ, ცხადია, არა უნაცვალგებოდ. გადასახდელი იმდენად დიდი ყოფილა, რომ მეფე იძულებული შეიქნა სადუნ მანკებერდელისათვის დაეთმო იმ დროისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქი, როგორიც იყო „დმანისი და მიმდგომი მისი"[2].

---

[1] „История Армянского народа", под ред. В. Аракеляна и А. Иоаннисиана, 1951, I, 166 — 168.

[2] „ქართლის ცხოვრება", მ. ბროსეს გამოც., 1849, სპბ, I, გვ. 388, 402, 412.

კიდევ ცოტა ხანი და სადუნმა ხელში ჩაიგდო დმანისზე უფრო დიდი ქალაქი — ყარსი (კარი)[1], რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იმდროინდელი ვაჭრობის სატრანზიტო გზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო.

ყარსი, რომელთანაც მე-13 ს. დამდეგს საგანგებო საავაჭრო ხელშეკრულება დასდო გენუამ, ეტყობა თავისუფალ ქალაქს წარმოადგენდა[2]. მისი ხელში ჩაგდებას დიდხანს ცდილობდნენ ჯერ კიდევ სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი „გარნა ვერარა ღონე ქნეს აღებისა". მერმე თამარ მეფემ „განიზრახა კეთილისა გონებითა და წარავლინა დავით... და უბრძანა რათა... ძლიერად ეომონ".

ალყაშემორტყმული ყარსი არ დანებდა დავით მეფეს და მხოლოდ თვით თამარ მეფისაგან მიღებული შეპირების მერმე, — „რათა არა განსცეს კარი, ვითარ ანისი და დვინი, არამედ სამეფოდ დაიჭიროს"[3], — დანებდა იგი თამარის ძეს გიორგის (ლაშას), რომელმაც თამარის ბრძანებისამებრ „მიითვალა ქალაქი და ციხე".

ცნობილია, თუ რაოდენი უპირატესობით სარგებლობდა შუა საუკუნეებში სამეფო (სახელმწიფო) ქალაქი ფეოდალურ სენიორთა ქალაქებთან შედარებით[4], როგორც თვითმმართველობის, ისე საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთოდ ე. წ. მესამე წოდების „თავისუფალი თაოსნობის

---

[1] „ქართლის ცხოვრება", მ. ბროსეს გამოც., 1849, სპბ, I, გვ. 412.

[2] შეხედულებას, რომ საქართველოში მე-11 — 12 სს. არ იყო თავისუფალი ქალაქი (შ. მესხია, „საქ. ქალაქ. სოც. ურთიერთ. ისტორიიდან", 88) ადვილად შეიძლება გადასინჯვა დასჭირდეს. ყარსს რომ თავი დავანებოთ, „ბერთა ტფილელთა" თბილისის მდგომარეობა („ქართლის ცხოვრება", ანა დედოფლისეული, 1942, 186) და მე-12 ს. არაბი მწერლის ფარიკის ცნობაც (ვ. ფუთურიძე, „არაბი ისტორიკოსი მე-12 ს. თბილისის შესახებ") თბილისის თვითმმართველობის შესახებ ამ მხრივ აუცილებლად ანგარიშგასაწევია.

[3] ბასილი ეზოსმოძღვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", 1944, თბ., გვ. 24; „ქართლის ცხოვრება", I, 326.

[4] პ. გუგუშვილი, „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება", 1931, ტ. I, წიგნი II.

თავისუფლების“ მხრივ... ამიერიდან-კი ყარსს, სადუნის ხელში, ეს უპირატესობანი უნდა დაეკარგა[1].

[1] ქართულ მატიანეებში შემონახულია ცნობები, თუ როგორ იბრძოდნენ ქალაქები დამოუკიდებლობისათვის, კერძოდ ფეოდალთა ხელში ჩავარდნისაგან თავის დასაცავად და, მეორე მხრით, საკმაო სისრულითაა ცნობილი ფაქტები, თუ რაოდენ ინტენსიური იყო სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის მიძალება ხელში ჩაეგდოთ ქალაქები, როგორც უმნიშვნელოვანესი წყაროები შემოსავლისა და დასაყრდენები სამხედრო-პოლიტიკური ძლიერებისა.

მეფეები იძულებულნი იყვნენ დაპყრობილ-შემოერთებული ქალაქების დიდი ნაწილი სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიისათვის დაეთმოთ. თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს ისტორიკოსი ეხება რა წარმატებებს სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის დარგში აღნიშნავს, რომ თამარი „არა თუისისა ქონებისა მოქენე იყო და არცა სამეფოდ იმჭირვიდა ესოდენთა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თუით მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა, თუისთა ლაშქართა, ვითარ წამებს დიდი და სახელგანთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანისი, რომელი წარულო სპარსთა შანშაობისა თანა მრავალჟამ მათგან ქონებული, ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი დვინი (ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, 1944, გვ. 24).

მემატიანე აცხადებს, რომ თამარი ასე იქცეოდა ორი მიზეზისა გამო: 1. რათა ლაშქარს, უკეთა ვსთქვათ მის მეთაურებს, „მარადის გული უთქმიდეს და შური აიღონ ერთმანერთისა წარმართთა შეძინებისათვის თუისისა“ და 2. „რათა მოუკვეთოს ყოველი მიზეზი, რომელი დახსნის ერთგულობასა“. სწორედ ამის გამო თამარმა ყარსს გარდა კიდევ „მხოლოდ ერთი ქალაქი და ციხე თვისად დაიმჭირა, მათ ყოველთაგან რომელნი აიხუნა, ზორაკერტით რახსამდის, გაგით განძამდის და ჯავახეთით სპერამდის“ (იქვე, გვ. 32).

სამხედრო-პოლიტიკური დამსახურებისა, თუ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშვნისას მეფე მოხელეებს ქალაქებსაც უწყალობებდა ხოლმე. ასეთი ქალაქის ფლობისა და მფლობელობის უფლებებშიაც განსხვავება ყოფილა. ქალაქების გაცემა ხდებოდა „ს ა ხ ა რ ა ჯ ო თ“, როგორც, მაგალითად, თამარმა უბოძა თავის მსახურთუხუცეს ი ვ ა ნ ე ს ა რ გ ი ს ი ს ძ ს („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 1941, 94).

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით „სახარაჯოთ“ ბოძებული ქალაქიდან დასაჩუქრებულს „მხოლოდ «ხარაჯათი», ანუ დაწესებული გადასახადით შეეძლო ესარგებლა“ (ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული სამართლის ისტორია“, II, I, 81; შ. მ ე ს ხ ი ა, „საქ. ქალაქის... ისტორიიდან“, მიმომხილველი“, II, 90—91). ერთი სიტყვით, ასეთი ბოძებით მეფე დიდი სახელმწიფო თანამდებობის პირს, რომლის გამგებლობაშიაც ქალაქი გადადიოდა, ს ა მ ო ხ ე ლ ე ო ს ა რ გ ო ს და განსაკუთრებული დამსახურებისათვის საზღაურსაც (ჯილდოსაც) უნიშნავდა. ასეთი ქალაქები თვითმმართვე-

ჟამთააღმწერელის სიტყვებიდან ნათლადა ჩანს, რომ სადუნი დამპყრობელთათვის საქართველოში ხარკის აკრეფის და ილხანების სახელმწიფო ხაზინაში ჩაბარების საქმესაც მეთაურობდა. ეს საქმე კი, ცხადია, მისი გამდიდრების უმთავრესი წყაროთაგანი იქნებოდა.

არსებულ ვითარებაში, დამპყრობელ მონგოლთა ყაენების მეგობარს (მონგოლურად „სადუნი“ მეგობარსა და დაახლოვებულ კაცს ნიშნავს), საქართველოს მეფის მზრუნველსა და სახელმწიფოში უმდიდრეს ადამიანს, ცხადია, არ შეეძლო თავისი ქონებრივი შეძლებულობა და პოლიტიკური წონაც ფეოდალური იერარქიის კიბეზე შემდგომი ამაღლებით არ განემტკიცებინა.

ქ. ყარსში გაბატონებულმა სადუნმა ცოლად შეირთო ახალციხელის ასული და ამ გზით ყარსის „მიმდგომი ქვეყანა მოიევრაგა ახალციხელთაგან“ [1]. სადუნმა ისიც მოახერხა, რომ მონგოლთა ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოხელის არღუნის (რომელმაც ორჯერ მოახდინა „მონგოლთა ყოველი საბრძანებულისა“ და მათ შორის საქართველოს „აღთვალვა“)

ლობის მხრივ, ალბათ, მეტი შეღავათებით სარგებლობდნენ, ვინემ საკუთრების სახით გაცემულნი.

ზ ა ქ ა რ ი ა ვ ა რ ა მ ი ს ძ ე მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ს თამარ მეფემ „უბოძა გაგი ქურდ-ვაჭართა განძამდის, მრავალთა ს ა კ უ თ რ ი თ ა და მრავალითა ს ა ნ ა ხ ე ვ რ ო ი თ ა ქალაქებითა („ისტორიანი და აზმანი...“, 94; H. M a r r, „Ани...“, 33). სანახევრო ქალაქის მეორე ნაწილი, ცხადია, სხვა მფლობელისა იყო. შუასაუკუნეებრივ დას. ევროპაში, მაგალითად, საფრანგეთში, იყო შემთხვევები, როდესაც ერთი ქალაქი ორს, სამსა და მეტს მფლობელსაც ეკუთვნოდა.

მაგრამ მეფისაგან ნაწყალობევთან შედარებით მფლობელობისა და კერძოდ მესაკუთრეობის სიმტკიცის მხრივ, ცხადია, მეტი უპირატესობა ენიჭებოდა ნაყიდ ქალაქს (ისევე როგორც საერთოდ ყოველგვარ ადგილმამულს). ამ გზით-კი ქალაქების ხელში ჩაგდებას უპირატესად ფეოდალის რანგამდე ამაღლებული კომერციული თაოსნობის ისეთი ადამიანები ახერხებდნენ როგორიც იყვნენ, მაგალითად, შ ე დ ა დ ი ნ ი, რომელმაც იყიდა ქ. ანისი, ავეტენც ს ა ჰ ა მ ა დ ი ნ ი, რომელმაც შეისყიდა ქ. ერევანი, ს. მ ა ნ კ ა ბ ერ დ ე ლ ი, რომელმაც ასეთივე გზით ხელთ იგდო ყარსი, დმანისი და სხვ. ქალაქები.

[1] „ქართლის ცხოვრება“, I, 412.

შვილზე იძულებით გათხოვილი დემეტრე II და, თამარი, მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ქმარს გაექცა და მთიულეთში დაიმალა, შეესყიდა ყოფილი ქმრისაგან და ამ გზით ცოლად შეერთო (სადუნს მონგოლთა ჩვეულებისამებრ მრავალი, სახელდობრ სამი ცოლი ჰყავდა). სადუნი, ამგვარად (იგი ცოლსაც ყიდულობს!), მეფის სიძე გახდა[1].

სიმდიდრით აღზევებულმა სადუნმა ქართველი მემატიანის სიტყვით „იყიდნა მრავალნი ქვეყანანი", იგი „განდიდნა დიდად ლაშქრითა და სიმდიდრითა"; და საერთოდ მის ხელში დაგროვილი „ოქროსა და ვერცხლისა, და ჯოგისა და ხვასტაგისა, არა იყო რიცხვი"[2].

„დიდთა ცოდვათა მომქმედსა" სადუნ მანკაბერდელს, ცხადია, არ შეეძლო არ ეზრუნა ეკლესია-მონასტრების მესვეურთა გულის მოგებისათვის. ქართველი მემატიანეც აკი აცხადებს, რომ მან „ჰქმნა კეთილიცა საქმე მონასტერთა და გლახაკთა მიმართ, რომელ დღეთა ცხოვრებისა მისისათა, მანცა მისცა ყალანი, და მალი ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა, და განათავისუფლნა ქუეყანაჲ გარეჯისა"[3].

ამგვარად, თვით მემატიანის მიერ აღწერილ (სხვა ხასიათის ცნობები კი ჩვენთვის უცნობია), ე. ი. მხოლოდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმიანობიდანაც სადუნ მანკაბერდელისა ნათლად გამოსჭვივის, თუ რაოდენ დიდ კარიერას მიაღწია „ქვედა ფენებიდან" წამოსულმა „სიმდიდრით აღზევებულმა" ადამიანმა, როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკური კარიერის, ასევე ფეოდალური წოდებრივობის კიბის უმაღლეს საფეხურებზე ამაღლების მსრივ (იგი 1281 წ. გარდაიცვალა).

თვით მეფისათვის შეუძლებელი „საფასეთა ურიცხვთა" გადახდისა და ბოლოს იმდროინდელ საერთაშორისო ვაჭრობისა და ტრანზიტის ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქების, როგორიც დმანისი და განსაკუთრებით ყარსი იყო ხელში ჩაგ-

[1] „ქართლის ცხოვრება", I, 413, 416.
[2] იქვე, 412.
[3] იქვე, 412.

დებისაკენ მისწრაფება და თვით განხორციელებაც ამ ფართო მასშტაბის მიზანდასახულობისა, რაც არსებითად მაინც კომერციული ოპერაციების გზით უნდა მომხდარიყო, ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ — „იმ ხანისათვის დამახასიათებელი უეროვნობა, საკუთარ აღზევება-გამდიდრების წადილით შეპყრობილი“ [1], სადუნ მანკაბერდელი, ადვილად შესაძლებელია ყოფილიყო ორტაღთა წევრი ან იქნებ ხელმძღვანელიც.

ცხადია, აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას გამოდიოდა იგი (და თუნდაც თვით კახა თორელიც), როგორც ორტაღთა მონაწილე აშკარად, თუ ვინმე სხვა პიროვნებას იყო ამოფარებული, — როგორც იმ დროსაც ხშირად აკეთებდნენ უკვე მაღალ სახელმწიფო თანამდებობას მიღწეული საქმოსნები.

საერთოდ მაჰმუდ იალავაჩი, ტიგრან ჰონენცი, პარონ უმეკი, სადუნ მანკაბერდელი, ზანქან ზორაბაბელი თავისი დროის საქმოსნები არიან, რომლებიც კომერციული და საერთოდ მეურნეობრივი მეწარმეობის მხრივ აგრძელებენ უფრო ადრე, მე-11 — 12 საუკუნეებში ჩასახულ თაოსნობას, რომლისთვისაც სავსებით არ იყო უცხო დაგროვება დაგროვებისათვის, რომლებშიაც დაბუდებული ჰია უკვე ისევე ღრნის ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებულ ნორმებს, როგორც მე-11 — 12 საუკუნეებიდან იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებში მოქმედი ვაჭარი-მევახშეები, კამბიოთა (ზარაფთა), „ბანკირთა“ ასოციაციები, რომელთაგან მალე წარმოიქმნენ ისეთი ცნობილი სავაჭრო და საკრედიტო კომპანიები (ბარდის, პერუჩჩის, აკაიუოლის, ალბერტის, ფრესკობალდის, მოჩჩის, მედიჩისა და სხვ.), რომლებიც სწორედ ისევე ატრიალებდნენ მეფე-მთავართა და დიდებულთა ბედიღბალს, როგორც სადუნ მანკაბერდელი, ზანქან ზორაბაბელი და მისთანანი.

7. ხარკთა სისტემის მნიშვნელობა

ჩვენ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ორტაღის ოპერაციათა შესახებ სხვა უფრო კონკრეტული ცნობა გარდა რკო-

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, III, 99.

ნის ეკლესიის სიგელში შემონახულისა, მაგრამ განხილულ მასალათა მიხედვით არაა გამორიცხული შესაძლებლობა ვივარაუდოთ, რომ ორტაღი (ეს მონგოლური შესატყვისი, „ამხანაგობისა“, ცხადია, შედეგია მონგოლთა პოლიტიკური ბატონობისა), ან სხვა ანალოგიური ორგანიზაცია, იმავე დროს ყოფილიყო საჯარო კრედიტის დაწესებულებაც და ასეთი ხასიათი მას შეეძლო შეენარჩუნებია მონგოლთა ბატონობის დროსაც, რამდენადაც სავსებით ბუნებრივია მისი აქცია დამპყრობელისათვის ხარკების აკრეფისა და გადახდის ოპერაციებში.

ამ მოსაზრების დაშვებას გვიადვილებს ის გარემოებაც, რომ რკონის ეკლესიის სიგელში ორტაღის ხსენებულ ოპერაციებზე ლაპარაკია როგორც ჩვეულებრივი (და არა უცხო) მოვლენის შესახებ და ისიც, რომ მონგოლები, როგორც ცნობილია, „მფარველობდნენ“ საერთოდ ვაჭრებს, რომელთაც ახლა თავიანთი გავლენა სახელმწიფოში, როდესაც იგი პოლიტიკურად უცხო დამპყრობელის გავლენაში იყო მოქცეული, შეეძლოთ კიდევ უფრო გაეძლიერებიათ და, ამგვარად, „პირველი კაცები“ და „დიდი წონის მქონე ადამიანები“ გამხდარიყვნენ ქვეყნის არა მხოლოდ კომერციული, არამედ პოლიტიკური ცხოვრების სფეროშიც.

ორტაღი, როგორც საკრედიტო დაწესებულება სავსებით შეესაბამებოდა იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას.

ქვეყნის საერთო ეკონომიკური ვითარების წარმოდგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სახელმწიფო შემოსავალისა, თუ მის მიერ დამპყრობელისათვის გადახდილი ხარკის სიდიდის შესახებ მონაცემებს.

1339 წელს შედგენილს ჰ ა მ დ ა ლ ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი ს გეოგრაფულ თხზულებაში, შემონახულია გაზან ყაენის მიერ 1336 წელს დამტკიცებული ნუსხა დაპყრობილ ქვეყნებზე შეწერილი ხარკებისა.

ჰამდალლაჰ ყაზვინის ამ ცნობიდან—რაც ჩვენ აკად. ვ. ბარტოლდის მიხედვით მოგვყავს, — ჩანს, რომ საქართველოდან

ილხანების ხაზინაში წლიურად შედიოდა 120 მონგოლური თუმანი და 2000 დინარი, ე. ი. 901.500 ოქროს მანეთი.

აქ აკადემიკოსი ბარტოლდი შენიშნავს: „ეს ციფრი გვიჩვენებს, რომ საქართველო თავისი შემოსავლიანობით მონგოლთა სახელმწიფოს სხვა ქვეყნების უდიდეს ნაწილზე, განსაკუთრებით მეზობელ პროვინციებზე, მნიშვნელოვნად უფრო მაღლა იდგა“-ო; მონგოლთა სახელმწიფოში შემავალ ქვეყნებს შორის შედარებით მეტ შემოსავალს იძლეოდნენ მხოლოდ მცირე აზია (330 მონგ. თუმანი = 2.475.000 მან.), არაბული ერაყი (300 თუმანზე მეტი = 2.250.000 მ.) და ფარსი (287 თუმ. და 1280 დინარი = 2.153.460 მან.). ხოლო საქართველოს მეზობელ ქვეყანათაგან, მაგალითად, შირვანიდან მონგოლთა ხაზინაში შედიოდა სულ 11 თუმანი და 3000 დინარი (= 84.750 მან.), არანიდან — 30 თუმ. და 3000 დინარი (= 227.520 მან.), დიდი სომხეთიდან (რომლის დედაქალაქად მაშინ ითვლებოდა ვანის ტბის ნაპირზე მდებარე ქ. ხლათი) — 39 თუმანი (= 292.500 მან.). ირანის ქვეყნებიდან ქერმანს შეჰქონდა 67 თუმანი და 6500 დინარი (= დაახლოებით 507.375 მან.), ისფაჰანს — 50 თუმანი (= 375.000 მან.), ხუზისტანს — 32,5 თუმანი (= 243.750 მან.) [1].

აკადემიკოს ბ ა რ ტ ო ლ დ ს იქვე მოჰყავს ჰ ა მ დ ა ლ ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი ს ცნობა იმის შესახებ, რომ „წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი მ ე ფ ე ე ბ ი ს დ რ ო ს“ საქართველოს შემოსავალი 500 მონგოლურ თუმანს ანუ 3.750.000 ოქროს მანეთს უდრიდა. მაგრამ ქვემოთ შენიშნავს: საეჭვოა რომ წინანდელი მეფეების დროინდელი საქართველოს შემოსავლის შესახებ ჰამდალლაჰ ყაზვინს ესარგებლა „რაიმეგვარი დოკუმენტური მონაცემებითო“ [2].

მართალია, დაპყრობილ ქვეყნებში და, ცხადია, მათ შორის საქართველოშიაც, ჩვეულებრივ ანადგურებდნენ სახელმწიფო შემოსავალთა წყაროების აღწერებსა და საერთოდ შემოსა-

[1] В. Б а р т о л ь д, „Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче“, 1911, СПБ, 23 — 25.

[2] იქვე, 25.

ვალთა და თვით ხარჯთა ნუსხებს, რათა ისინი ხელში არ ჩავარდნოდა დამპყრობელს და არ გაეგო ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ დეტალური ცნობები, მაგრამ ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ თვით დამპყრობელები (ხოლო, კერძოდ, მონგოლებს, იმ დროისათვის, როდესაც მათ საქართველო დაიპყრეს უკვე სათანადოდ ჩამოყალიბებული ფისკალური აპარატი გააჩნდათ) პირველ რიგში ეპატრონებოდნენ ხოლმე სახელმწიფო არქივებსა და კერძოდ, ბიუჯეტის შემოსავალთა წყაროების აღწერებსა და ნუსხებს, რომ არა ვთქვათ რა წინასწარ, თვით დაპყრობამდე, დაზვერვის გზით მოპოვებულ ცნობათა და დაპყრობის მერმე შესაბამისი უწყების სახელმწიფო მოხელეთაგან საჭირო ცნობების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რითაც როგორც ცნობილია, მონგოლებიც ჩინებულად სარგებლობდნენ ხოლმე.

ანალოგიური მოვლენები ხდებოდა კერძოდ საქართველოშიც. მაგალითად, მემატიანე გადმოგვცემს, რომ სუმბათ ორბელმა ბრალი დასდო მესტუმრე ჯიქურს, რომ იგი „წარავლენს კაცთა არღუნს წინაშე, რათა აუწყოს ყაენს ულოს სიმდიდრე მეფისა“ დავითისა[1]. ხოლო დემეტრე II (1289 წ.) მონგოლებმა უბრძანეს, რათა „აღწეროს ყოველი სიმდიდრე მისი, საჭურჭლე, ზროხა და ცხვარი და ყოველი საქონელი მისი“, და „რამეთუ პყრობილ იყო თვით მეფე... არღარა იყო ღონე“, და მან „აღწერა რაჲცა აქუნდა, სიმდიდრე ფრიადი“. ამ გზით მიღებული ცნობების შემდეგ მონგოლებმა საქართველოში „წარგზავნეს კაცი“, და „წარიღეს ყოველი“ — იმიტომაც რომ, „მოქალაქეთაცა უწყოდეს საგანძურნი მეფისანი და შინა გამცემად იქმნეს“, ე. ი. მონგოლებს კიდევ სხვა წყაროებითაც შეუმოწმებიათ თან წამოღებული აღწერა მეფის ქონებისა, „...რომლისა სიმრავლისათვის განკვირდა“ ყაინი[2].

ამგვარად, ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია ჰამდალლაჰ ყაზვინის ცნობა „წინანდელი მეფეების დროის“ საქართველოს შე-

[1] „ქართლის ცხოვრება“, 1849, I, 389.

[2] იქვე, 423.

მოსავლის შესახებ[1]; მით უმეტეს რომ ჰამდალლაჰ ყაზვინის წინაპრებსაც ძველი დროიდანვე ეჭირათ მაღალი თანამდებობანი სწორედ სახელმწიფოს ფინანსურ გამგებლობაში და თვითონაც ამ დარგში მოღვაწეობდა, ე. ი. ფინანსური მეურნეობის საქმეთა კურსშიაც იყო და ციფრობრივ მონაცემებამდეც ხელი მიუწვდებოდა.

სამწუხაროდ, არა ჩანს (არა ჩანს კერძოდ აკად. ბარტოლდის მიერ მოყვანილი ამონაწერებიდან), თუ სახელდობრ რომელი „წინანდელი მეფეების დროს“ გულისხმობს ჰამდალლაჰ ყაზვინი: ჯ ე ლ ა ლ ე დ ი ნ ი ს შემოსევისა და მონგოლთა ბატონობის პირველი პერიოდისა თუ უფრო ადრინდელს, ე. ი. გ ი ო რ გ ი III, თ ა მ ა რ ი ს ა და მისი შვილების დროინდელ საქართველოს. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ მას მხედველობაში აქვს სწორედ საქართველოში მონგოლთა ბატონობის პირველი პერიოდის მეფეების დრო, სხვა სიტყვებით მე-13 ს. მეორე ნახევარი, ე. ი. დრო ორტაღთა გაშლილი მოღვა-

[1] უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელ სახელმწიფოთა შემოსავალზე მთელი ეს მსჯელობა მხოლოდ მიახლოებითია. საერთოდ ძლიერ ძნელია და, მაგალითად, შ ა რ ლ პ ტ ი-დ ი უ ტ ა ი ი ს კი „ყოველად შეუძლებლად“ მიაჩნია „ზუსტად აღირიცხოს ყველა ფინანსური საშუალებანი“, რაც გააჩნდათ ინგლისის მეფეებს ჰ ე ნ რ ი ხ II (1154—1189), რ ი ჩ ა რ დ ლ ო მ გ უ ლ ს (1189—1199) და ი ო ა ნ ე უ მ ი წ ა წ ყ ლ ო ს (1199—1216). P a r o w-მა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ჰ ე ნ რ ი ხ II მეფობის მეთექვსმეტე წელი, დაადგინა, რომ საკუთრად ინგლისში ამოგებული ჩვეულებრივი შემოსავლის საერთო ჯამი უდრიდა 23.536 სტერლინგს (საიდანაც 13.426 სტ. შესულა ხაზინაში, ხოლო დანარჩენი ადგილებზე დახარჯულა (Ш а р л ь П т и-Д ю т а й и, „Феодальная монархия во Франции и в Англии X—XIII вв.“, 1938). მაგრამ გამოანგარიშებაც მხოლოდ ფულად შემოსავალს შეეხება, ხოლო პროდუქტადი შემოსავალი, რაც, ცხადია, ნატურალური ურთიერთობის პირობებში ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, არსებითად მთლიანი აღრიცხვის გარეშე რჩება, თუმცა, ერთგვარ კონტროლს მაინც ემორჩილება. საერთოდ თანამედროვენი მეტისმეტად ბერავდნენ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული სახელმწიფო შემოსავლის სიდიდეს. მაგალითად, გ ე რ ვ ა ს ი კ ე ნ ტ ე რ ბ ე რ ი ე ლ ი ს სიტყვით, 1159 წელს „დიდი ფარის გადასახადმა“ ინგლისის მეფეს თითქოს 180.000 სტერლინგი მისცა; ნამდვილად კი, თანამედროვე სპეციალისტების გამოანგარიშებით, ამ სახით აკრეფილი მთელი თანხის ჯამი 2.240 სტერლინგს არ აღემატებოდა.

წეობისა, როდესაც მთელი ქვეყანა ეკონომიკურად ჯერ კიდევ არ იყო არსებითად გამოფიტული და მას შეეძლო დიდი შემოსავალი მიეცა დამპყრობელისათვის.

ერთი რამ მაინც უდავოა. სახელდობრ ის, რომ მთელი ქვეყნიდან ესოდენ დიდძალი ხარკების სისტემატური ამოქაჩვა, მოსახლეობის ძირითადი მასების გაღატაკების პარალელურად, თავის მხრივ, ცხადია, დიდად შეუწყობდა ხელს, როგორც საკრედიტო ოპერაციების განვითარებას, ისე გამდიდრებას თვით ხარკის ამკრეფი ადამიანებისა, რომელთა საქმიანობა იმ დროს საერთოდ, და მონგოლთა იმპერიაში განსაკუთრებით, არსებითად კომერციული თაოსნობის სფეროში შედიოდა.

8. საერთო საწყისები

ამასთანავე უფრო ადრინდელი და საერთო საწყისების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ სწორედ მე-12—13 სს. მიჯნაზე იწყება შავი ზღვის ვაჭრობის ახალი აღმავლობა და საერთაშორისო ვაჭრულ კავშირურთიერთობაში როლის ზრდა ტრაპიზონისა, რომელიც 1204 წ. თამარის ჯარმა დაიკავა და ამიერიდან, ცალკე სამეფოდ წარმოქმნილი, საქართველოს სამეფოს გავლენის სფეროში შედიოდა. ამ დროისათვის საქართველოს სახელმწიფოსადმი ვასალურ დამოკიდებულებაში და გავლენის სფეროებში შემავალი ქვეყნების საზღვრები არსებითად უკვე სცილდებოდა კავკასიის ფარგლებს და, ამგვარად, საკმაოდ დიდი პოლიტიკური კავშირის ტერიტორიაზე გადიოდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, როგორც ანტიკური ეპოქიდანვე ცნობილი მსოფლიო ვაჭრობის სატრანზიტო გზა — შავი ზღვა—ფაზისი (ფოთი)—რიონი — მტკვარი — კასპიის ზღვა, ასევე შუასაუკუნეთა საერთაშორისო ვაჭრობის გზაც: შავი ზღვა—ტრაპიზონი—ყარსი—ანისი — თავრიზი (ანუ ტრაპიზონი — არზუმი — ხლათი—თავრიზი), საიდანაც ეს ვაჭრობა აღწევდა ირანის ყურემდე

და ასევე ინდოეთისა და თვით ჩინეთის სიღრმეშიაც. თავრიზის როლი მსოფლიო ვაჭრობაში გაიზარდა კერძოდ ბაღდადის სახალიფოს დაცემისა და ჰულაგუ ყაენის მიერ ქ. ბაღდადის აღების (1258 წ.) ხანებში.

მარკო პოლოს მოწმობით მე-13 ს. გენუელებს თავიანთი ხომალდები შავი ზღვიდან გადაჰქონდათ კასპიის ზღვაზე[1]. აქედან მათ მიჰქონდათ აბრეშუმი (უმთავრესად გილანური), რაც იმ დროს მსოფლიო ვაჭრობის ცნობილი საგანთაგანი იყო[2]. გენუელები ფიქრობდნენ ამ მიმართულებით (სპარსეთის ყურეს მეშვეობით) რეგულარული სავაჭრო კავშირი დაეარსებინათ ინდოეთთან. მარკო პოლო აღნიშნავს, რომ თავრიზში საქონელი მიჰქონდათ ინდოეთიდან, ბაღდადიდან, მოსულიდან და აღმოსავლეთის სხვა ქალაქებიდან. აღმოსავლეთის საქონლის შესაძენად აქ მოდიოდნენ იტალიელი (ვენეციელი, გენუელი) ვაჭრები. თავრიზში აწარმოებდნენ აბრეშუმისა და ოქროქსოვილებს; აქვე დიდის რაოდენობით იყიდებოდა ძვირფასი თვლები[3]. ხოლო იტალიელ ვაჭრებს აქ მოჰქონდათ ვენეციური, ლომბარდიული, გერმანული, ფლანდრიული მაუდი და სხვ. ტექსტილური ნაწარმი, ბეწვეული და სხვ.[4] მთელი ამ კომერციული ოპერაციების გზა საქართველოზეც, ე. ი. ამიერკავკასიაზეც გადიოდა.

ამ ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სომეხი ვაჭრები, რომელთაც მე-12—13 სს. კომერციული ოპერაციები აკავშირებდათ როგორც ყირიმის, სამხრეთ რუსეთის, პოლონეთისა და შავი ზღვის, კასპიის ზღვისა და ვოლგის სანაპირო ქალაქებთან, ასევე შუააზიისა და მცირეაზიის ქვეყნებთან[5].

---

[1] Марко Поло, „Путешествие", 1902, I, СПБ., 31.

[2] В. Бартольд, „Место прикаспийских областей в истории мусульманского мира", 73.

[3] Марко Поло, „Путешествие", I, 36.

[4] იხ. აგრეთვე გ. რუბრუკვისი, „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში", თარგმ. გ. ქიქოძისა (მსკი, 1942, თბ. V, გვ. 170 და შემდეგ).

[5] Н. Марр, „Кавказский культурный мир и Армения", Пгд. 1915, стр. 43.

ამ ასპექტში ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად გამოიყურება კერძოდ გენუის მიერ მე-13 ს. დასაწყისში საგანგებო სავაჭრო ხელშეკრულების დადება ქ. ყარსთან, რომელიც, ცხადია, საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში შედიოდა. ამასთანავე, როგორც ცნობილი ისტორიკოსი აკად. ი. მანანდიანი, სათანადო მასალათა შესწავლის საფუძველზე, აცხადებს, „სომხეთის საქალაქო ცენტრების ვაჭართა კლასმა, რომელსაც ყველგან კავშირი ჰქონდა გაძლიერებულ სომხურ კოლონიებთან, მე-13 საუკუნეში შავი ზღვის ვაჭრობის განვითარების შესაბამისად, კვლავ მოიპოვა მნიშვნელობა აღმოსავლეთთან ტრანზიტულ ვაჭრობაში“ [1].

ასეთ ვითარებაში გასაგებია, ამიერკავკასიის ზოგიერთი ქალაქი მაინც შედარებით სწრაფად უნდა განვითარებულიყო.

ქრისტეანულ და მუსლიმანურ მსოფლიოს შორის საერთაშორისო ვაჭრობისათვის უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო ტერიტორიის, მრავალწახნაგოვან დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შესაყარის, ძლიერი და დამოუკიდებელი პოლიტიკის გამტარებელი მფლობელი ასე ნათლად ჩანს უკვე დავით აღმაშენებელში (1089 — 1125), რომელიც, როგორც ერთხმად ღაღადებენ საისტორიო წყაროები, უდიდეს შემწყნარებლობას იჩენდა სხვა და უცხო რელიგიისა და ადათ-ჩვეულების მატარებელთა მიმართ და ეს სწორედ იმ ეპოქაში, ჯვაროსნული ომების პერიოდში, როდესაც ორ მსოფლიოს შორის შეტაკებები უმძაფრეს ხასიათს ატარებდა და თვით სხვადასხვა მრწამსის ქრისტეანეთა და მუსლიმანთა შორისაც ხშირად შეურიგებელი შინაბრძოლები ჩაღდებოდა ხოლმე.

საქართველოსა და კავკასიაში როგორც შინაგანი, ისე საგარეო ვაჭრობის განვითარებისა და ვაჭართა კორპორაციების (ამხანაგობათა) ეკონომიკური როლისა და მნიშვნელობის შესახებ საკმარისია ითქვას, რომ მემატიანის სიტყვებით თამარის მეფობაში (1184 — 1213 წწ.) ვაჭართა ქარავნები ფაქ-

[1] Я. Манандян, „О торговле и городах Армении...“, стр. 189.

ტიურად სარგებლობდნენ ხელუხლებლობის უფლებით: „ქარავანსა ვერავინ ძარცუიდა“ [1].

თუ რამდენად ძლიერი და გავლენიანი იყო მე-12 ს. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ე.წ. მესამე წოდება, ვაჭართა და საერთოდ „სიმდიდრით აღზევებულთა“ წოდება, რომლისათვისაც, როგორც საკუთრად ვაჭრობა, ასევე კერძოდ „ვახშად და აღნადგინებად გაცემა სახმართა მსოფლიოთა, გინა დაჭირვებულთა ზედა“ [2] გამდიდრების ჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენდა, — ეს ნათლად ჩანს, მაგალითად, თამარ მეფის დროის იმ შესანიშნავი ეპიზოდიდან, რასაც მემატიანე „უცხო მოსაგონებელ“ [3] ამბავად გადმოგვცემს და რაც ამ ეპოქაში, მესამე წოდების ბუნებრივი მესიტყვის, მეჭურჭლეთ უხუცესის, სახელდობრ ყუთლუ-ასლანის დასის პოლიტიკურ იდეალებშია მოცემული [4]. მაგრამ ეს საკითხი უკვე ცალკე მსჯელობის საგანია.

[1] „ქართლის ცხოვრება“ (ანა დედოფლისეული), პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, თბ. გვ. 241.

[2] თ. ჟორდანია, „ძეგლი ვაჰანის ქუაბთა...“, 1896. გვ. 35.

[3] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, გვ. 77.

[4] აღსანიშნავია, რომ კახა გამრეკელ-თორელის სიგელში მოხსენებულია ყუთლუ-ასლანი, რომელსაც, ეტყობა, ეკლესია-მონასტრებისათვის ჩამოურთმევია შეწირული მამულები, ცხადია, სახელმწიფოს სასარგებლოდ. კახა თორელი წყევლა-კრულვით იხსენიებს ყველას, ვინც მის მიერ შეწირულ ქონებას ეკლესიას შეედავება და წაართმევს. ნათლად ჩანს, რომ შეწირული მამულები და ამდენადვე თვით ეკლესიაც იმ დროს არცთუ იმდენად სარგებლობდა შეუვალობით. ამიტომაც კახა თორელი არაერთგზის აცხადებს: ხოვლე „ჩემი სულისათვის მიყიდია“ და ხელს ნურავინ ნუ ახლებთო: „...და თუ შვილი მომეცეს და ერთიც სოფელი არღა ქონდეს და გამოძებულიც სით მოვიდეს დასაჭირავად ანუ მოსახმარებლად შიგაც ვერ გაიაროს; — და თუ ტყუედაც ვინ ჯდეს ჩემის გუარის კაცი მითა ნუ იხსნების და თუ ღმერთი შეგურისხოდეს აფხაზთა მეფეთა არაი შეცოდებაი მოუვიდეს: თუ მონასტერს და საფლავთაც დათხრას ემართლებოდეს ხოვლეს ნურაი მაშინ ხელიც მიჰყოს...; — და თუ მე რაი შემეცოდოს: თუ ცოცხალი ვიყო ცოცხალს გარდამახდევინონ და თუ აღარ ცოცხალ ვიყო ჩემნი ძუალნი ძაღლთა მიუყარნენ და სხუითა მამულითა გარდამახდევინონ“, ხოლო ხოვლეს ნურავინ ნუ შეეხებაო. შემდეგ კიდევ: თუ ჩემი შეწირულების „მომშლელი გამოვიდეს ანუ შვილი, ანუ ძმა, ანუ მოყვასი, ანუ ყუთულ-ასლან ვითარ ყო და ვითა ქიშიშ ელარიონს უყო; თუ

9. ეკლესია — მევახშე

მევახშეობა, როგორც კრედიტის თავისებური ფორმა ფეოდალურ საქართველოში ეკლესია-მონასტრებშიაც ფართოდ იყო განვითარებული და საამისო საბუთებიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება. ჩვენს დრომდე მიაღწია მე-13 საუკ. ამ მხრივ ფრიად საინტერესო დოკუმენტმა. ეს არის ვალის წიგნი: „ქ: სახელთა ღვთისათა და თავსდებობითა სუეტისა ცხოველისათა ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ ბურჯულთა კავთულამა და თევდორამა და ჩვენთა შვილთა ბასილმა და მშუიდამა: დაგუეჭირუა ჰავისა ჟამისაგან და ხარაჯობისაგან და ავიღეთ თქვენ მოძღურისაგან დემეტრესგა ტუხუაიძისაგან სამოცი თეთრი, დეკემბერსა ათსა და გამიჩინეთ ოცი კოკაჲ ტკბილი წელიწადსა შიგა მზაჲ, რომე უსიტყუელადა, ხელთა მოგახსენებდეთ, ვირემდისცაღა ამა თეთრსა შენსა ხელთა მოგახსენებდეთ, ამისნი მოწამენი არიან ხარაჲსძე ებაჲ და წამალაჲსძე იაჲ“ [1].

აბხაზთა მეფეთა წარიკითხონ ესე ჩემი დაწერილი ღ[illegible] [illegible]ათ არა მიასაბიონ, მათ ჰკითხეს ღმერთმან ჩემნი ბრალნიო“ და სხვ. (თ. ჟორდანია, „ქრონიკები“, II, გვ. 134 — 136).

საერთოდ ყუთლუ-ასლანის მოღვაწეობისათვის ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ეკლესია-მონასტერთათვის შეწირული მამულების ნაწილობრივ მაინც სახელმწიფო ინტერესებისათვის გამოყენებისადმი მიდრეკილება, რაც, ცხადია, კიდევ უფრო გააძლიერებდა მის მოწინააღმდეგეთა ბანაკს.

ყუთლუ-ასლანს, ამგვარად, ეტყობა დაახლოებით ისეთივე ღონისძიება გაუტარებია, რამაც 1260-იან წლებში იმსხვერპლა მწიგნობართ-უხუცესი ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელი (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, III, გვ. 79 — 84). აღსანიშნავია, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით კახა თორელის სიგელში მოხსენებული ყუთლუ-არსლან „თამარის დროინდელი ცნობილი პირი არ უნდა იყოს“ (იხ. „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში მე-9 — 13 ს.“, 1934, ტფ. გვ. 36). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხსენებულ სიგელში ყუთლუ-არსლანი მოხსენებულია არა როგორც ეკლესიისადმი საკუთრად მისი წინაპრების შეწირულობის დამრღვევი, არამედ როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც, მსგავსად ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელისა, ეკლესიისათვის შეწირული ადგილმამულები სახელმწიფო საჭიროებისათვის გამოიყენა და იგი სწორედ თამარის დროინდელი ცნობილი პიროვნება უნდა იყოს.

[1] თ. ჟორდანია, „ისტორიული საბუთები. შიო მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა“, 1896, თბილისი, გვ. 62.

როგორც ჩანს, ბერები და ხუცები უპირველესი მევახშეები ყოფილან. — თვით ვაჰანის ქუაბთა მონასტრის „განგებიდან“, რომელიც 1212 — 1227 წლებშია დაწერილი და წარმოადგენს მონასტრის შინაგანაწესს, ვგებულობთ, თუ რამდენად აყვავებული იყო მევახშეობა ღვთისმსახურთა შორის. საქმე იქამდე მისულა, რომ უმაღლესი ადმინისტრაცია იძულებული გამხდარა უმკაცრესი ზომების შემოღებით დაეწყო ბრძოლა ბერთა შორის მევახშეობის წინააღმდეგ. ძეგლში ვკითხულობთ: „არავის ძმათაგანსა ხელმწიფეების მონასტერსა ამას შინა ვაჭრობად და თავნობად ანუ მოფარდულობად ღვინისა გინა რაჲსაცა სხვისაჲ, არცა ვახშად და აღნადგინებად გაცემაჲ სახმართა, მსოფლიოთა, გინა დაჭირებულთა ზედა და სისხლითა გლახაკთათა განმდიდრებაჲ, რომელი ესე დიდისა უწესოებისა არს საზღვარიო“. ზემოთ გამოთქმულია ის უმკაცრესი სასჯელი, რითაც ეს ახალი სამონასტრო წესდება ემუქრება მევახშეებს: „რომელსაცა ძმათაგანსა ემხილოს... მევახშობა მყის განიდევნოს მონასტრით და მოიკუეთოს ყოვლითურთ და მისსა ადგილსა სხუა დაიდგინოსო“ [1].

ამგვარად, ეკლესია თვითონ ეწეოდა და თანვე ებრძოდა მევახშეობას. ეკლესია აჯარიმებდა მევახშეებს და ამითაც ზრდიდა თავის შემოსავალს. ეს უკანასკნელი ფრიად შესანიშნავი საშუალება იყო: ეკლესია ებრძოდა ბოროტებას მისგან სიკეთის ამოქაჩვის გზითაც.

უძველესი ქართულის თვით საკრედიტო ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი ტერმინოლოგია გვიმტკიცებს, თუ რამდენად იყო განვითარებული ჩვენში მევახშეობა. ჯერ კიდევ უძველეს ქართულ ნათარგმნ ძეგლებში, როგორც ეს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს აქვს შესწავლილი და დადგენილი, გვხვდება სესხისა და ვალის აღსანიშნავი ტერმინები: თანანადები, ვახში, ვასხი, სესხი.

დაბადების ქართულ თარგმანში „სესხი“ წარმოადგენს ლათინური mutuus-ის შესატყვისს, „სესხის მიღებაჲ“ — mu-

[1] თედო ჟორდანია, „ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა და „ძეგლის“ ვაჰანის ქვაბთა“, 1896, თბილისი, გვ. 35.

tuam sumere-ს გადმოგვცემს. „ვ ა ს ხ ი“ გადმოგვცემს ლათინურ mutuus-ს, ე. ი. ისევ სესხს, ანუ სარგებელზე (%%) გაცემულ ფულს, თუ სახმარს. ხოლო ვ ა ს ხ ი ს (ა ნ უ ს ე ს ხ ი ს) მ ი მ ც ე მ ს „მ ა ვ ა ს ხ ე ბ ე ლ ი“ (foenerater), ამღებს კი — „მ ო ვ ა ს ხ ე“ ეწოდებოდა. სიტყვა „თ ა ნ ა ნ ა დ ე ბ ი ც“ საკრედიტო ტერმინს გამოხატავდა და უდრიდა (ლათ.) mutuus-ს ან debitum-ს. „მ ო ხ დ ა ჲ თ ა ნ ა ნ ა დ ე ბ ი ს ა ჲ“ — ვალის გადახდევინებას გამოხატავდა, ხოლო „თანანადების მიტევებაჲ“— ვალის პატიებას (ლათ. remissio-ს) უდრიდა. იმ პირს, რომელსაც ვალი ემართა („თანაედვა“) „თანამდები“ (ლათ. debitor) ეწოდებოდა. „ვ ა ლ ი“ უძველეს ქართულ დამწერლობით ძეგლებში არ იხმარება, მის ადგილას „თ ა ნ ა ნ ა დ ე ბ ი“ და „ვასხი“ გვხვდება. მე-12 საუკუნეში წინანდელი „თანანადების“ ადგილს „ვალი“ იკავებს. ამ დროის ათონის ალაპებში მოხსენებულია „ძოვალეც“ და „ვალის უფალიც“ [1].

ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს სულ სხვანაირად აქვს განმარტებული სიტყვები „ვ ა ს ხ ი“ და „ვ ა ხ შ ი“. ვ ა ს ხ ი, მისი განმარტებით, ეს არის „ვალის წესიერი სარგებელი“. ხოლო ვ ა ხ შ ი კი არის „ვალის სარგებლის სარგებელი, უწესო“ [2]. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი დიდებული ლექსიკოგრაფი უკვე მის დროს გაბატონებული შესატყვისობის მიხედვით განმარტავს ხსენებულ ტერმინებს. და ალბათ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლექსიკონის გავლენით იყო, რომ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში გაზ. „გ უ თ ნ ი ს დ ე დ ა მ“ სოფლის სასესხო-შენახველ ამხანაგობას, — რომელსაც წესიერი სარგებლით უნდა მიეცა სესხი გლეხობისათვის, — „ვ ა ს ხ ე ბ ი თ ი ამხანაგობა“ უწოდა [3].

შემდეგ უნდა ავღნიშნოთ, რომ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი „ს ე ს ხ ს“ განმარტავს როგორც „უსარგებელო ვალს“ [4], რამდენადაც მის დროს საერთოდ წესიერი კრედიტის არ არსე-

[1] აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული სამართლის ისტორია“, ტ. II, ნაწ. 2, 1929 წ. თბილისი, გვ. 447 — 452.

[2] ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ლექსიკონი“, გვ. 117 — 118.

[3] იხ. გაზ. „გ უ თ ნ ი ს დ ე დ ა“, 1873 წ. № 2.

[4] ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ლექსიკონი“, 311.

ბობის გამო სარგებელზე (%%) გასესხების ყოველი ოპერაცია ბუნებრივად მევახშური უნდა ყოფილიყო; ხოლო მევახშეობა (ვახში)' უზომო სარგებლის გადახდევინებაზე და შემდეგ თავნზე გასული ვადის მონაკვეთის (წლის, უფრო ხშირად თვის) სარგებლის ზედშეკვეცით ახალი უზომო სარგებლის (მევახშური %%) აღებაზე ახუ, „ვალის სარგებელზე სარგებლის“ აღებაზეც იყო დაფუძნებული.

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო წიგნების უძველეს ქართულ თარგმანებში „ვ ა ხ შ ი“ უდრის ბერძნულ „ჰოტოკო“-ს, ხოლო ლათინურ usura-ს. შემდეგ ე ფ თ ვ ი ძ ე მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ს ა ც ამავე ტერმინების შესატყვისად „ვახში“ უპმარია. ბერძნული „ჰო ტოკოს“ და ლათინური usura ნიშნავს ს ა რ გ ე ბ ე ლ ს, ტერმინს, რომელიც, — ამ გაგებით — როგორც ჩანს, არ არსებობდა მაშინ, როდესაც ხდებოდა დაბადების თარგმნა ქართულად. ამგვარად, უძველეს ქართულ ნათარგმნ ძეგლებში ტერმინი ვ ა ხ შ ი გამოხატავდა დღევანდელ სარგებელს (%%). აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს დადგენილი აქვს, რომ ტერმინი „ვ ა ხ შ“ ქართულში შემოსულია ირანულიდან. ფაჰლაურად „ ვ ა ხ შ“ ჩვენებურ „სარგებელს“ უდრის, ხოლო ზენდურად „ვაუშა“ ზრდას, ძატებას, გადძოსცემს[1].

„სარგებელი“ დღევანდელი გაგებით (%%) გვხვდება იურიდიულ და სხვა ძეგლებში მოყოლებული უკვე მე-12 საუკუნიდან. ხოლო მანამ, სანამ ქართულში გაბატონდებოდა უშუალოდ ფაჰლაურიდან გადმოსული „ვახში“, აღსანიშნავად ამავე ცნებისა, — რომელიც დღევანდელი „სარგებლის“ შესატყვისი იყო, — იხმარებოდა „ა ღ ნ ა დ გ ი ნ ე ბ ი“. „აღნადგინები“ მე-10 და მე-11 საუკუნის ქართულ მწერლობაში, როგორც ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ძ ა გამოარკვია, წარმოადგენს „კანონიერი სარგებლის აღმნიშვნელ სიტყვას“ — იმ სახით როგორც ეს სიტყვა გამოუყენებია ე ფ თ ვ ი ძ ე მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ს. მაგრამ უფრო ძველად „აღნადგინები“ საერთოდ „სარგებლის“ გამომხატველი ყოფილა[2]. ამგვარად, თუ ბერძნული

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. თხზ., 453 — 454.
[2] იქვე, 455.

„ტოკოს“ — რაც დღევანდელ ქართულ „სარგებელს“ უდრის— ნიშნავს შობას, ნაშობს, ძველი ქართული „აღნადგინები“ უფრო უახლოვდება და ენათესავება იმავე მნიშვნელობის ლათინურ ტერმინს — usura-ს, რომელიც ხმარებას, სარგებლობას, ბოლოს სესხსა და სარგებელს უდრის.

10. ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ (%%)

ქართულ იურიდიულ ძეგლებში ნათლადაა გამოხატული ის ბრძოლა, რომელიც ძველი დროიდგან დაწყებული წარმოებდა ჩვენში განვითარებული მევახშეობის წინააღმდეგ, კერძოდ მევახშური ანუ უზომო („უწესო“) სარგებლის (%%) აღების წინააღმდეგ. მაგალითად, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ (1318 — 1346 წწ.) „ძეგლისდებაში“ ნათქვამია რომ „სარგებელი არც ქართველთ სჯულთა სძეთ წესად რომე აიღონ და არცა სხუათა სჯულთა უწერია და სარგებელი არის „უწესო“-ო, მაგრამ თუ ვინმე იმდენად ანგარების (ვერცხლის) მოყვარეა, რომ მოინდომებს მაინც მიიღოს სარგებელი, მაშინ მას უნდა მიეცეს ათ ვერცხლში ორი ვერცხლი, ე. ი. $^1/_5$ ანუ 20%, რამდენი ხნის განმავლობაშიც არ დარჩეს ფული მოვალის ხელშიო“ [1].

კიდევ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს და უფრო მრავალმხრივ განსაზღვრავს და განმარტავს როგორც ვალისა და სესხის, ისე კერძოდ სარგებლის საკითხს ᲑᲔᲥᲐᲡ (1361—1394) და ᲐᲦᲑᲣᲦᲐᲡ (1444 — 1451 წწ.) სამართალი. აქედან ირკვევა, რომ მე-14 და მე-15 საუკუნეებში, და ცხადია მანამდეც, — რამდენადაც კანონმდებელნი, როგორც თვითონ იხსენიებენ, ემყარებიან წინანდელ მეფეთა დროს შემოღებულ კოდექსებს, — დიდად შორს წასულა საეახშო კაპიტალის გამანადგურებელი გავლენა წვრილი მიწათმფლობელი მოსახლეობის, ე. ი. გლეხობის მიმართ. ამ დროს და, ცხადია, უფრო ადრეც, ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა მოვალისაგან კრედიტორის ხელში გადასვლა დაწინდებული [2] მამულისა (მი-

---

[1] ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ, „ძეგლისდება“ § 46; იხ. ნ. ᲣᲠᲑᲜᲔᲚᲘ, „ძეგლის დება გიორგი ბრწყინვალესი“, 1890 თბ. გვ. 129 — 130.

[2] „ᲬᲘᲜᲓᲘ“ თანამედროვე გაგებით იხმარება უძველეს ქართულ დამწერლობითს ძეგლებშიც; ჯერ კიდევ დაბადების ქართულ თარგმანშიც

წისა), ბ ე ქ ა-ა ღ ბ უ ღ ა ს კანონთა კრებულს მიზანშეწონილად მიაჩნია, რათა მოვალის მდგომარეობის შესამსუბუქებლად კრედიტორი კმაყოფილდებოდეს (ცხადია, ლაპარაკი უნდა იყოს მხოლოდ სარგებლის შესახებ) მისთვის დაწინდებული მამულის შემოსავალით[1].

რაც შეეხება სარგებლის (%%) სიდიდეს, ამის შესახებ ბ ე ქ ა-ა ღ ბ უ ღ ა ს კანონში ვკითხულობთ: „თუ კაცმან პური ივალოს და დაჭირებისათვის დიდი სარგებელი შეუკვეთოს მიმცემელმან, ნუ იყოფინ: ორისათვის სამი კმაო“, ე. ი. ამ შემთხვევაში კანონმდებელს 50% ნორმალურად მიაჩნია, ხოლო თუ კრედიტორი მეტს წაიღებდა, მაშინ გარდამეტი მოვალისათვის უკანვე უნდა დაებრუნებია კანონის დამცველს[2]. ნაღდი ფულის სესხებისათვის სარგებელი უფრო დაბალია: „თუ კაცმან თეთრი ივალოს სასარგებლოდ, ათასისათვის ათასორასს

წინდი“ ვალის ამღებისაგან გამსესხებლისათვის მიცემული სესხის გადახდის უზრუნველმყოფელი ქონებრივი სახსარის სახით იყო წარმოდგენილი (იხ. აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, I. c., 461). მაგრამ ძველ ქართულ მწერლობაში წინდი ბ ე ს ა ც (задаток, das Angeld-ს, Unterpfand-ს) უდრიდა და საერთოდ ყოველგვარი ვალდებულებითი შეთანხმების და პირობის უზრუნველსაყოფად გაცემულ ნივთს, მძევალს ნიშნავდა. ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებითაც „წინდი ვალისათვის მძევალს“ ნიშნავს („ლექსიკ.“ 438). წინდისავე მნიშვნელობა მოიპოვა შემდეგში ირანულიდან შემოსულმა ტერმინმა „ გ ი რ ა ო მ ა ც“. ს ა ბ ა წერს, რომ „გირაო სხვათა ენაა, ქართულად წ ი ნ დ ი ჰქვიანო“ (იქვე, 69).

[1] ბ ე ქ ა-ა ღ ბ უ ღ ა, „კანონები“ § 84, იხ. აგრეთვე § 96; დ ი მ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს გამოცემის მიხედვით. მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი ს მიერ მე-12 საუკუნის ბოლოსა და მე-13 საუკუნის დასაწყისში შედგენილ სომეხთა კანონებშიაც მიღებულია კრედიტორისათვის წინდად მიწის მიცემა, იმ პირობით, რომ უკანასკნელმა იგი უნდა დაამუშაოს და ისარგებლოს მოსავლით, როგორც გასესხებული კაპიტალის სარგებლით. ასეთ შემთხვევაში მოვალე ვადაზე იხდის მხოლოდ თავს. ასეთსავე საფუძველზე შეიძლებოდა დაგირავება ცხენის, ვირის, ხარის, ძროხის ან ცხვრისა. მაგრამ ვალის უზრუნველსაყოფად შეიძლებოდა გოგოს გაცემაც, რომლის სამსახურიც ჰფარავდა %%-ს, ხოლო თუ წინდად გაცემული იყო ვაჟი, მაშინ მოვალეს ვადაზე უნდა გადაეხადა როგორც კაპიტალი (თავნი), ისე სარგებელიც და ამის შემდეგ დაუბრუნდებოდა მისი შვილი უკანვე (იხ. „Законы Армянские“, § 133).

[2] ბ ე ქ ა დ ა ა ღ ბ უ ღ ა, „კანონები“, § 94.

დასჯერდეს წელიწადსა შიგაო"[1]. ე. ი. ნორმალურ სარგებლად ცხადდება 20% წლიურად, იმდენივე, რამდენიც მიღებული იყო ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში".

ბექა-აღბუღას კანონები ილაშქრებენ სარგებელზე სარგებლის აღების წინააღმდეგ, ასე რომ ვალი სარგებლის ზედშეკეცით უზომოდ არ უნდა გაიზარდოს, რამდენიც გინდ ხნის განმავლობაში ვერ გადაიხადოს იგი მოვალემაო. იდევნება აგრეთვე უმნიშვნელო თანხისათვის დიდი ქონების (მამულის) წინდად ანუ გირაოდ აღებაც[2].

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად გამოსჭვივის ძვ. ფეოდალურ საქართველოში მევახშეობის როლი და ხასიათი. ჩანს რომ მევახშეობა ფართოდ ყოფილა განვითარებული და მევახშეთაგან დაკაბალებული წვრილმწარმოებელთა და, ცხადია, ნაწილობრივ ფეოდალური არისტოკრატიის ბედიც მძიმე ყოფილა.

თამარ მეფის უცნობი ისტორიკოსი ჩამოთვლის რა თამარის მოღვაწეობისა და დამსახურების ძირითად მომენტებს, სხვათა შორის აღნიშნავს, რომ თამარმა „...იხსნა მოვალენი ვალთაგან, და მისცა ობოლთა ღონე და ქურივთა ხელმწიფებაჲ ქორწინებად და ღონიერ ყვნა გლახაკნი და მდიდარ ღონიერნიო"[3]; — ჩანს, რომ მევახშეთა ხლართებში გაბმული მოსახლეობისათვის ზრუნვა, მათი ვალთაგან გამოხსნა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგნად ყოფილა ქცეული. სამწუხაროდ, მოვლენათა შესახებ თხრობის მირივ ფრიად ძუნწმა ქართველმა მემატიანემ არ შემოგვინახა ცნობა, თუ სახელდობრ რა გზით „...იხსნა მოყალენი ვალთაგან" თამარმა; თვითონ (სახელმწიფომ) გადაიხადა მათი ვალები, მევახშეებს ააღებინა ხელი შეუძლო მოვალეთა ვალისაგან, თუ კანონმდებლობითი ან სხვა რაიმე საშუალებით გაუქმებულად გამოაცხადა თავნზე შეკეცილი სარგებელი, რაც ხშირად, ცხადია, თავნზე ბევრად მეტი იქნებოდა და სხვ.

[1] ბექა და აღბუღა, „კანონები", § 95.
[2] იქვე, § 95.
[3] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", გვ. 76.

ყოველ შემთხვევაში მოვალეთა ვალთაგან დახსნის სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების ფაქტი თავისთავადაც მრავალმეტყველია.

ვალისა და სესხის საკითხს დიდ ყურადღებას აქცევს სახელგანთქმული სჯულმდებელი ვახტანგ VI. ვახტანგ VI თავის კანონებში (1709 წ.) წერს, რომ სესხის საკითხს საქართველოში არასოდეს არ ექცეოდა (კანონმდებელთაგან) განსაკუთრებული ყურადღება, რის გამოც, ახლო წარსულშიც-კი ფული სესხად გაიცემოდა 120, 96, 72, 60, 48, 30, 24, 18 და 12 პროცენტიან სარგებელზეო[1]; პურის გასესხებაც ხდებოდა ორჯერ (100%) და ერთნახევარჯერ (50%) გაზრდილი სახით დაბრუნების პირობით; ღვინის გასესხებაც — 200—300 და 150 პროცენტზე ნატურითვე. ფულის, პურის და ღვინის გამსესხებელნი ხშირად ღებულობდნენ სარგებლის სარგებელსაც[2]. როგორც ჩანს მე-18 საუკუნის დასაწყისში, — და ცხადია უფრო ადრეც — მოვალე ვალდებული ხდებოდა სესხად აღებული ერთი მარჩილისათვის (=3 აბაზს) ყოველწლიურად ეხადა სარგებლის სახით ერთი კოკა ტკბილი, ან ოთხი კოდი ხორბალი, ან ერთი აბაზი (33,3%) ანდა კიდევ 4 დღე კრედიტორისათვის ემუშავა[3].

ყოველივე ამას, ე. ი. როგორც უზომო სარგებლის აღებას, ისე განსაკუთრებით სარგებელზე სარგებლის აღებას ვახტანგ VI მეტად არასამართლიან და ღვთის საწინააღმდეგო საქმედ აცხადებს და თავის სამართლის წიგნში იძლევა ფულის, ხორბლისა და ღვინის გასესხებისათვის ნორმალური სარგებლის განსაზღვრას.

---

[1] „Сб. законов ц. Вахтанга VI, ა. ფ რ ე ნ კ ე ლ ი ს გამოცემა, დ ი მ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს რედაქციით, 1887, § 116.

[2] იქვე, § 117 — 118.

[3] გასესხებული ფულისათვის ნატურის სახით არსებული ზემოხსენებული სარგებლის პროცენტული შეფარდების გამოსაანგარიშებლად საჭიროა ვიცოდეთ, რომ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI-ის კანონის დაწერის წლებში 1 კოკა ტკბილი ფასობდა 1 აბაზი. 1 კოდი ხორბლის ჩვეულებრივი ფასი სამი ბისტი და სამი ფული ($7^1/_2$ კაპ.) იყო, მაგრამ სიძვირის დროს იგი შეიძლება 2 აბაზიდან 1 მარჩილამდე (60 კაპ.) ასულიყო; ხოლო დღიური მუშის ნორმალურ ხელფასად მიღებული იყო ერთი შაური.

სჯულმდებელი წერს: მხოლოდ თავის სულის მოძულეს შეუძლია გაასესხოს ფული 30%-ად, ვისაც ოდნავ მაინც უყვარს სული თვისი—24%, ვისაც კიდევ უფრო უყვარს—18%, ხოლო ვისაც ნამდვილად უყვარს სული — 12%-ად უნდა ასესხებდეს. მაგრამ ყველაფერზე უმჯობესია სულის ცხონებისათვის, სავსებით რომ არ აიღებოდეს სარგებელი[1]. ვახტანგ VI გადაჭრით ილაშქრებს სარგებელზე სარგებლის აღების და მიცემის წინააღმდეგ. იგი წერს, რომ ნორმალური სარგებელიც უნდა შეჩერდეს იქ, როდესაც იგი გაუთანასწორდება თავნსო (§-125).

ხორბლის, ქერის და ფეტვის გამსესხებელს სარგებლად შეეძლო აეღო ათისათვის თორმეტიდან თხუთმეტამდე, ე. ი. 20—50%; მაგრამ ძვირობის დროს 100% აღებაც შეიძლებოდა. ამასთანავე ვახტანგი მოსამართლეებს ავალებს არ შეიწყნარონ სოფლებში სარგებლის შესახებ დადებული უკანონო გარიგებები. ღვინის სარგებლისათვის გათვალისწინე-

[1] აღსანიშნავია, რომ სულის ცხონებაზე ასე თვით წმინდა მამებიც არ ზრუნავდნენ და სარგებლის გარეშე ფულს არ ასესხებდნენ. მაგალითად, ერთს 1666 წელს დაწერილ სიგელში სალოცავად იერუსალიმს გამგზავრებული ღვთის მსახური სიონსა და მის „საჭეთ მპყრობელ“ იოსებ თბილელს ავალებს საკუთარი ფულის გასესხებას: „ასრე რომე თუ, მნის თავსა თვეში ერთი შაურის სარგებელი მომცენო“; სიმართლე უნდა ითქვას, რომ სულის საცხონებლად წასული „წმინდა მამა“ შედარებით ნაკლებ სარგებელს (6%) თხოულობს (იხ. პროფ. ალ. ხახანაშვილი, „გუჯრები“, 1891 წ. ქუთაისი, გვ 5).

საქართველოს უკანასკნელ მეფეთა მთავრობის დროს, — ვახტანგ VI კანონების შემდეგ მაინც — სასამართლოთა განაჩენებსა და საერთოდ ოფიციალურ დადგენილებებში 12% მიღებული იყო ნორმალურ სარგებლად. მაგ., 1800 წელს ერთი დავის გამო „სრულიად საქართველოს მეფის ძის, რუსეთის ღენერალლეიტენანტის და კავალერის დავითის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ დაადგინა და მერმე დავითმაც დაამტკიცა ეს განაჩენი, სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ: „...ეს ათი თუმანი ფილიპემ [ქაშვეთის დეკანოზმა] ოთხის წლის სარგებლით უნდა მისცეს ნალბანდებს [ხელოსნებს] რომ სარგებელი იქნება ოთხი თუმანი და რვა მინალთუნი. რომ შეიქნა თავნი [და] სარგებელი თოთხმეტი თუმანი და რვა მინალთუნი“-ო (ალ. ხახანაშვილი „გუჯრები“, 191). ამგვარად ათი თუმნის წლიური სარგებელი გამოდის 1 თუმანი და 2 მინალთუნი, ე. ი. 12% წლიურად; სარგებლის ეს ნორმა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პირველ ხანებში დატოვა ცარიზმის მთავრობამაც.

ბულია გრადაციები: ძველი ღვინისათვის — მაჭრით 100%, მაჭრისათვის — ტკბილით 70%, ტკბილისათვის—ტკბილითვე 50 — 100%, ძველი ღვინისათვის — ძველითვე 50%, ამდენივე მაჭრისათვის — ძველი ღვინით ანდა მაჭრითვე[1]. ყველა შემთხვევაში თავნიც იმავე ღვინით უნდა იქნას გადახდილი რომლითაც სარგებელი.

ვ ა ხ ტ ა ნ გ VI ითვალისწინებს აგრეთვე ფულის სახით აღებული (§-124) ვალისათვის სარგებლის ნატურით გადახდას[2]. ამ შემთხვევაში მის მიერ დადგენილია წლიურად 1 მარჩილისათვის: 1 კოკა ტკბილი (§-128); — 1½ კოდი ხორბალი, და თუ კრედიტორი თავის სულს ხორბალს არჩევდა, მაშინ 2 კოდი, და თუ სავსებით დაივიწყებდა სულსა თვისსა 3 კოდიც (მაგრამ ამ შემთხვევაში ნავარაუდევია ხორბლის იაფობა: 1 კოდი ხორბალი საშუალოდ 7½ კაპ.), ასე რომ მარჩილზე წლიურად 1 აბაზზე მეტი არ გამოსულიყო (§-129);— ოთხი კაც-დღე, როდესაც მუშის დღიური ხელფასი უდრის ერთ შაურს (§-130).

აკანონებს რა სარგებლის ასეთ ნორმას, ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს სამართალი ვალის დაფარვის საქმეში დამატებით მხედველობაში ღებულობს მოვალის მდგომარეობას (§-131): თუ მოვალე ისე გაღარიბდა, რომ ვალის გადახდა არ ძალუძს, მაშინ მას არამცთუ სარგებელი, არამედ თავნიცკი არ მოეთხოვება მთლიანად; მაგრამ თუ საკმაო შეძლება აქვს — გადახდება მხოლოდ თავნი (§-132); — თუ მოვალე ტყვეობაშია მისი ცოლი და მცირეწლოვანი შვილები ვალდებული არიან მხოლოდ შეძლებისამებრ გადაიხადონ ვალი; თუ ისინი უსახსროა, მაშინ კრედიტორი იძულებული ხდება დაუცადოს მოვალეს, რომელმაც ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ უნდა დაფაროს ვალი;—თუ მოვალე მოკვდა, მევალეს არა აქვს უფლება ვალი მოთხოვოს მის ოჯახს მცირეწლოვან შვილთა მომწიფებამდე (14 — 15 წ. ჰასაკამდე); — თუ მოვალე სხვა-

[1] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „სამართალი", დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს რედაქციით, § 125—127.

[2] შეად. „საქ. სიძვ." ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, II, 501.

განაა წასული, ხოლო მასესხებელს თვითონ ავიწროვებენ მისი კრედიტორები, მაშინ პირველის ცოლშვილი ვალდებულია შეძლებისამებრ გადაუხადოს ვალი; თუ ამის საზუალება არა აქვთ, მაშინ ისინი არ უნდა შეაწუხონ (§-132); — იგი, ვინც გაყიდული იქნებოდა მამის, ძმის ან სხვა ვინმეს მიერ, ანდა ტყვედ ჩავარდებოდა, არ იყო ვალდებული პასუხი ეგო მამისა და თავისი ოჯახის ვალისათვის, უკეთუ ისევ არ დაუბრუნდებოდა და არ შეუერთდებოდა მამისეულ სახლს (§-136);— უცოლშვილოდ გარდაცვლილი მოვალის ქონებას იყოფდნენ კრედიტორები და თუ რამე გადარჩებოდა მიდიოდა მიცვალებულის სულის სახსენებლად და მებატონის სასარგებლოდ (§-137).

1769 წელს ერეკლე II-სათვის მოხელის მიერ მირთმეულ ერთ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ეს სახლები ხელმწიფის ყმა ასლანასი არის, თვითონ უძეოდ ამოვარდნილა და ნ-ი-ც-, კვ[1] ვალი დარჩომია, ეს სახლი უნდა გასყიდულიყო და ამ ვალებში, როგორც ქალაქის რიგი არის, ისე მისცემოდაო“ [2].

თუ მიცვალებულ მოვალეს დარჩებოდა მხოლოდ ასული, მაშინ უკანასკნელის წილის გამოყოფის შემდეგ დანარჩენ ქონებაზე ვრცელდებოდა კრედიტორების პრეტენზია; — თუ უქონებოდ მიიცვლებოდა, ასულს არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მამის ვალისათვის. როდესაც ერთადერთი ასული მამის სიკვდილის შემდეგ გათხოვდებოდა, მას ეკუთვნოდა მამის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება და მასვე ეკისრებოდა, ქმართან ერთად (მათ მემკვიდრეებსაც) გადაეხადა მამისეული (წინაპრის) ვალები (§-195). მიცვალებული მოვალის დედა და დები არ აგებდნენ პასუხს კრედიტორების წინაშე (§-146). საერთოდ მასესხებელს ვალის აღება შეეძლო მოვალის მოძრავი ქონების და უკანასკნელის მიერვე ნაყიდი მამულის ხარჯზე. საგვარეულო ქონებიდან კრედიტორს ძიების დაკმაყოფილების ნებას ბატონი არ მისცემსო (§-138). ძმები,

[1] ასოების ზემოთ: ~ თუმანს ნიშნავს.

[2] „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, 1910, თბ. 468.

შვილები და ძმისშვილები, რომლებიც არ იყვნენ გაყრილნი მიცვალებული მოვალისაგან, ღებულობენ მის ქონებას და პასუხს აგებენ ვალისათვისაც.

მაგ., ორბელიანთა ერთ ნასყიდობის წიგნში, რომელიც დათარიღებულია 1717 წ. 6 იანვარით, ვკითხულობთ: „...ოდეს ჩვენის ძმის პაპუას ვალი ბევრი დაგვედვა, სხვა ღონე არა მქონდა და სხვის მამულის გასყიდვას ესევე ვარჩიე, ამითი დაგვეჭირა და მოგყიდეთ ბატონის პაპის ჩვენისაგან შენებული სასახლე“ და სხვა ქონებაო [1].

ამასთანავე ვახტანგ VI სამართლით ყოველ კანონიერ მემკვიდრეს შეეძლო თუ უარს იტყოდა მოვალის ქონებაზე, არ ეკისრა მისი ვალიც (§ 139), მამა არ იხდიდა მისი თანხმობის გარეშე ვაჟის მიერ აღებულ ვალს (§-140); დაშვებული იყო თვით შეუძლო მოვალის ყმად, მონად მიცემა კრედიტორისათვის, ოღონდ უკანასკნელს არ შეეძლო მიეყიდა იგი ურჯულოთათვის (§-142), და ეს უკანასკნელი შერბილება თავისი დროისთვის დიდ ჰუმანურობად ითვლებოდა. პრაქტიკაში ხდებოდა ისეც, რომ კრედიტორთაგან უზომოდ შევიწროებული მოვალე თავისი ნებით ყმად უხდებოდა მისი ვალის გადამხდელ მესამე პირსაც. ამის მაგალითები მოგვეპოვება როგორც უფრო ადრინდელი, ისე ვახტანგ VI სამართლის გამოცემის მერმინდელ ხანებშიაც. მაგ., 1715 წ. მკათათვის 20 ის თარიღით გაცემულ ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე ნაყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ, მელაძემ თამაზამ თქვენ, მროველს ორბელიშვილს ბატონ ნიკოლოზს, ასე რომე ვალი მემართა და მოველ და შემოგეხვეწე და ვალისაგან დამიხსენით; თავიან შვილიანად თქუენ გეყმევით ყოვლის კაცის უცილებლად, ღვთის გარდა თქვენს მეტს ჩემთან საბატონოდ ხელი არავისარა ჰქონდეს“ [2].

---

[1] „საქ. სიძვ.“ ტ. II. 299 — 300.

[2] „საქ. სიძველენი“, ტ. II, 1909, თბ. 250.

11. მევახშური კრედიტის მოწესრიგებისათვის

ვახტანგის სამართალი ითვალისწინებს სავალო დოკუმენტების შედგენის, ფლობისა და გადაცემის, თუ დაბრუნების წესებს (§-143, 144), ასევე სათანადო სავალო დოკუმენტის გარეშე გაცემული სესხის საკითხს (§-147, 148) და ამ ნიადაგზე წარმომდგარ გაუგებრობათა გარჩევა-გათვალისწინების საქმესაც (§§-143, 144, 148).

დიდ ყურადღებას აქცევს სესხისა და ვალის, ასევე თამასუქის საკითხს საქართველოში უკვე ცარიზმის მმართველობის დროს, სახელდობრ 1808 — 1815 წლებში შეკრებილი და აღნუსხული ადათობრივი სამართალი; აქ ჩაწერილი იქნა ის იურიდიული ხასიათის ადათ-ჩვეულებანი, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და იქნებ უფრო ადრეც მოქმედებდნენ საქართველოში დაწერილი კანონების გვერდით. თვით ამ ნუსხის სახელწოდება — „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი“, გვაფიქრებინებს, რომ აქ აღწერილი ადათები პრაქტიკულ ცხოვრებაში (მათში ზოგიერთი მაინც) იქნებ შემუშავებული იყო უფრო ადრეც, ვინემ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარია[1].

„საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰსჯულნი“, თავის მოცულობასთან შედარებით მეტად დიდ ადგილს უთმობს სესხისა და ვალის საკითხს და როგორც საერთოდ, ისე ამ მხრივაც წარმოადგენს დროთა ვითარებაში წარმოქმნილ ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით შევსებას და ერთგვარ შესწორებასაც ვახტანგ VI კანონებისა. ამ ქართული ადათობრივი სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლში, — რომლის ქართული დედანი ჩვენ 1938 წელს აღმოვაჩინეთ საქართველოს

[1] ამ „ადათობრივი ჰსჯულის“ მთელი ტექსტი და შენიშვნები მისი აღნუსხვის დროისა, მიზნებისა და სხვ. შესახებ იხ. პ. გუგუშვილი, „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰსჯულნი“ („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1939, ნაკვეთი III, ტფ. გვ. 67 — 90).

ცენტრალურ საარქივო სამმართველოს მთავარ ისტორიულ-არქივში — ვალის და სესხის საკითხი განსაზღვრულია სამ თავში; 1. „საზოგადოთ თამასუქით ვალისათვის“, 2. „საზოგადოთ გირაოთ აღებულის ვალისათვის“ და 3. „საზოგადოთ ვალის გარდუმხთელთათვის“. ეს სამი თავი შეიცავს სულ 20 მუხლს, ხოლო მთლიანად „ჩვეულებითნი ჰსჯულნი“ შედგება 74 მუხლისგან.

საზოგადოდ თამასუქის შესახები განყოფილება განსაზღვრავს თამასუქით ან ხელწერილით აღებული სესხის საკითხს. აქ ვკითხულობთ, რომ თამასუქის[1] გამცემს, თუ იგი თამასუქს ვადაზე არ დაიხსნიდა „დასაცველად საზოგადო ესტიბრისა [ნდობისა, კრედიტისა] და ვაჭრობის წარმართებისათვის აიძულებენ ყოვლის ღონითა... არა ქონებისაგამო ხელად თეთრისა გასყიდვით ანუ დაგირავებით მოძრავის და უძრავის ქონებისა, თვინიერ ყოვლისა აპელაციისა და სამართლის წარმოებისაო“ (§-3).

თუ თამასუქით გაცემული სესხის საქმე სასამართლომდე მიაღწევდა და იქ სარგებლის საკითხი დაისმოდა, „მაშინ ჯერეთ მიუცემელს სარგებელს თუმანზედ თვეში ორშაურს გაუჩენდნენ“ — თუნდაც თამასუქში ამაზე მეტი სარგებლის გადახდა ყოფილიყო საეალდებულო (§-4).

ამგვარად, აქ ნორმალურ სარგებლად მიჩნეულია 12%, ე. ი. იმდენივე რამდენსაც აკანონებს ვახტანგ VI, იმათთვის ვისაც ნამდვილად უყვარს სული თვისი.

როგორც „ჩვეულებითნი ჰსჯულნი“ აღნიშნავს, ხშირი ყოფილა შემთხვევა, როდესაც ვალი 5 ან 6 წლის განმავლო-

[1] აი როგორ იწერებოდა თამასუქი მე-18 საუკუნეში: „ავიღე მე ერასტი უბბაშმა თქვენ ბატონის თამარისაგანა ხუთი თუმანი ახალი თეთრი, თუმანზე ორი შაური და ნახევარი სარგებელი უნდა გაძლიო. გირაო ამისთვის არ მოგართვი, რომ ჩემგან ხათრიჯამი ბრძანდებოდით. იანვრის დამდეგს ქ-კს უჟი (1782 წ.) (მონა ხთისა ერესტი)“. თამასუქის მეორე გვერდზე მინაწერი: 1. „ქ. ამის სარგებელში მისცემია თხუთმეტი მინალთუნი და სამი აბაზი; 2. „ამ თამასუქის თეთრი თავნი და სარგებელი სრულიად მივეც თამარს მე დავითმა მაისის ი, ქ-კს უჟა. ამ თამასუქის თავნიც მომბარდა, სარგებელიც მე სოლომანს სრულათ მელიქოვს“ (იხ. „საქ. სიძველენი“, I, ნ. [. 1920 თბ. 149).

ბაში გადაუხდელი რჩებოდა, ამასთანავე მოვალე მევახშეს თანდათანობით უხდიდა სარგებელს, მაგრამ „მას უკან რამდენიმე ხანი გასულიყო სარგებელი აღარ ეძლია, ასე რომ თავნს სარგებელი შესწორებიყო და იქნებოდა კიდეც გარდამეტებოდა“. როდესაც ასეთი საქმე სასამართლომდე მიაღწევდა „იმ პირველად მიცემულს სარგებელს ვეღარ უანგარიშებდნენ თეთრის პატრონს, არამედ თავნს ერთიორად გამოართმევდნენ და მასესხებელს მისცემდნენო“ (§-5). ისეც ხდებოდა, რომ ვადიანი თამასუქით ან ხელწერილით აღებულ ვალს თუ მოვალე მასესხებელს ვადაზე არ გადაუხდიდა, სასამართლო მოვალეს აიძულებდა გადაეხადა თავნი და სარგებელიც მაშინაც-კი, როდესაც თამასუქში სარგებელი ხსენებულიც არ იყო საერთოდ (§-6).

გირაოთი აღებული ვალის შესახებ ვკითხულობთ, რომ თუ დავის დროს მოვალე გადაუხდელი ვალის დასაფარავად საკუთარი ხელს აიღებდა გირაოზე, „თეთრის პატრონი ვეღარას იტყოდა და თუნდა ნაკლებიც ღირებულიყო, უნდა თავის გირაოს დასჯერებულიყო, უკეთუ მოვალე შეკრულ არ იქნებოდა პირობით, რომ თუ ზემთხვევით გირაო საკმარ არ ყოფილიყო, სხვა ქონებიდამ შეესრულებინა“. მაგრამ თუ მოვალე „გააცოდვილებდა და ალაპარაკებდა“, მაშინ საჩივრის აღძვრიდან ვალის დაფარვამდე მთელ კაპიტალს მისი სარგებლის ზედშეკეცით მიაცემინებდნენ „თუნდა გირაოდამაც არ შესრულებულიყო“ [1].

ჩვენ მოგვეპოვება ასეთი გარიგების დოკუმენტებიც. მაგ., 1721 წ. აპრილის 16-ს გაცემულ ვალის წიგნში ვკითხულობთ: „ქ. ავიღე მე ასლანასშვილი პაპამ შენ ანჩისხატის დეკანოზის შვილ პეტრესაგან რვა თუმანი, ახალი თეთრი... არის ამისი გირაო ჩემი სახლი; თუ შენი თეთრი ვერ მოგცე, ჩემმა სახლმა გაგცეს შენ თეთრის პასუხი, თუ გაგსარჯო, სადივანბეგოსა და საიასაულოს მიმცემი მე ვი-

[1] პ. გუგუშვილი „საქართვ. ძველთაგან... შემოღებულნი ჩუეულებითნი ჰსჯულნი“, § 7, გვ. 76.

ყო"-ო[1]. თუ მოვალე თავადი ან აზნაური იქნებოდა, მას შეეძლო თავისი ყმის ოჯახის ანუ მისი რომელიმე წევრის დაგირავება. დაგირავებულ ყმებს კრედიტორისათვის უნდა ემუშავნათ სარგებლის დასაფარავად. ბ. ერისთავმა ქუთაისის მიტროპოლიტ დოსითეოსისაგან ისესხა 500 მარჩილი და წინდის სახით მისცა სოფ. ბაშის 5 კომლი გლეხი მათი უძრავ-მოძრავი ქონებით. ერისთავის მიერ თავნის გადასადამდე გლეხები ფაქტიურად მიტროპოლიტის ყმებად ხდებიან[2].

როდესაც მასესხებელს მიღებული ჰქონდა გირაოდ მოძრავი ან უძრავი ქონება და აღმოჩნდებოდა, რომ იგივე ქონება მოვალეს სხვისთვისაც დაეგირავებინა, მაშინ, როდესაც სასამართლოს დადგებილებით კრედიტორების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად გირაო გაიყიდებოდა, „პირველად სიგელით მოგირავნეს მიეცემოდა თეთრი და მას უკან შემდგომსა", ხოლო თუ უსიგელოთ იქნებოდა დაგირავებული, მაშინ პირველ რიგში პირველი მოგირავნის პრეტენზია უნდა დაკმაყოფილებულიყო (§-8). ჩვეულებრივ ფორმად იყო მიღებული გირაოს მასესხებლისთვის გადაცემის შემთხვევაში უკანასკნელის მიერ გირაოს შემოსავლის სახით სარგებლის მიღება; ამგვარად კი შეიძლებოდა ქონება დიდი ხნის განმავლობაში და ხშირად სამუდამოდაც მასესხებლის ხელში გადასულიყო. ამგვარ გირავნობის წიგნში სწერდნენ ხოლმე: „რაერთხანსაც შენი თეთრი ჩემთან დარჩეს, არც შენ თეთრის სარგებელი მთხოვო და არც მე ჩემგან გირაოთ მოცემულის მამულის შემოსავალიო". ასეთ შემთხვევაში დაგირავებული მამულის შემოსავალი ხშირად ბევრად აღემატებოდა არა თუ ნორმალურს, არამედ „უზომო" სარგებელსაც-კი (§-10).

აი, გირაოთი ვალის აღების წიგნიც გაცემული 1745 წ. ღვინობისთვის 15: „ქ. ავიღე მე ხითარანთ ისაის დედამა შენ მეფურნე არუთინასაგან თორმეტი მინალთუნი ახალი თეთრი, მოგეცი ამის გირაოთ ჩემი გარეთი

[1] „საქ. სიძვ.", ტ. III. 414 — 415.

[2] დ. ფურცელაძე, „Грузинск. дворянск. грамоты", 1881, Т. 129.

ერთი ოთახი, სანამდის შენი თეთრი ჩემს ხელთ იყოს, არც მე ოთახის ქირა ვითხოვო და არც შენ თეთრის სარგებელი ითხოვო და როცა შენი თეთრი მოგცე, ჩემი ოთახი მე დამანებო და ღმერთმან ნუ ქნას, თუ კედელი დაიქცეს და ან ქალაქილი უნდოდეს, მე ისაიას დედამ გავაკეთო"... ქვემოდ დასახელებულია მოწმეები[1]. ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს გირაოს [წინდის] გაცემის სწორედ ისეთ მოვლენასთან, რომელიც გათვალისწინებულია ჯერ კიდევ ბ ე ქ ა-ა ღ ბ უ ღ ა ს სამართალში (§ — 84) და მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი ს კანონებშიაც (§ — 133). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს წესი ძალაში იყო ჩვენში მე-19 საუკუნეშიაც-კი.

ხდებოდა ისეც, რომ დაგირავებული მამული ნასესხებ კაპიტალზე ბევრად მეტი ღირდა, მაგრამ მოვალე იძულებული იყო გირაოს წიგნში ჩაეწერა: „შენს თეთრში ეს მამული დაგიგირავე და თუ ამ ვადას გარდავაცილო და შენი თეთრი არ მოგცე, გირაო შენი იყოსო". როგორც ჩანს, გირაოს ასეთი ფორმა ირანიდან შემოსულა, — ამგვარ ხელშეკრულებას „ბეუშართი" ე წ ო დ ე ბ ო დ ა. — მაგრამ იგი „საქართველოსა შინა შეუწყნარებელი იყო", თუ საქმე მიაღწევდა სასამართლომდე, რომელიც „მასესხებელს კანონისამებრ კმაყოფას მისცემდა ხოლმე" (§-11).

აღსანიშნავია, რომ 1795 წელს ა ღ ა-მ ა ჰ მ ე დ ხ ა ნ ი ს მიერ თბილისის აოხრებისა და გადაწვის შემდეგ „მოხდა საჩივარნი სახლისა და დუქნის მოგირავნეთაგან".

ე რ ე კ ლ ე II ამის გამო „მოხელეთ თანდასწრებით დასდვა კანონად თბილისსა შინა", რომ სახლის მოგირავნეთ „მეოთხედი მოუკლო და სამი წილი მიაცემინა მოვალეს მასესხებლისათვის და რომელთაც დუქანი ჰქონდათ გირაოთ და დამწვარიყო, მოგირავნეს ააშენებინა და დამგირავებელს მასუკან თეთრი მიაცემინა მასესხებლისათვის რაერთიც ემართა"; ე რ ე კ ლ ე II ამ კანონით გამოხატა დავალიანებულთა ერთგვარი მფარველობა და იგი მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ გავრცელდა არა მარტო თბილისზე, „არამედ საყოველთაოდ,

[1] „საქ. სიძვ.", ტ. III, 422.

რომ სადაც ესეთი ცხადი საზოგადო წახდენა ქალაქთა და დაბათა შემთხვევ იყო“ კრედიტორს ყველგან ასეთი ვალდებულება ეკისრებოდა მიღებული გირაოსათვის.

„საზოგადოთ ვალის გარდუმხთელთათვის“ მიძღვნილ პარაგრაფებში სხვათა შორის ვკითხულობთ: „თუ თავადნი ანუ აზნაურნი და მოქალაქენი“ კრედიტორს ბოროტგანძრახვით არ გადაუხდიდნენ ვალს და თავს „არ მქონებლად გამოაცხადებდნენ და ამგვარის მიზნით გააჯანჯალებდნენ თეთრის გადახდას“, მაშინ მოსამართლე ძალის დატანებით ყმასა და მამულს გაუყიდდა მოვალეს და ასე აზღვევინებდა[1].

მოვალის შვილს (მემკვიდრეს) არ ჰქონდა უფლება „მამის სიკვდილის უკან ვალის გარდუხდელობის გამო მემკვიდრეობაზე“ უარის თქმისა[2]. ამ მხრივ მე-18 საუკუნიდან მოგვეპოვება ერთი საინტერესო განჩინება ქალაქ თბილისის მოურავ ციციშვილისა. 1764 წელს უმეკანთ სტეფანას შვილის ცოლი ერეკლე II არზას აძლევს, რომ მის ქმარს „მამის ვალი დარჩა, მევალეების შიშით აქ [თბილისში] ვეღარ დადგა; ათი წელიწადი არის კარდაკარ იარება; საითაც წავიდა, ჩელი არ მოემართა; ცოლშვილი აქ მშიერი ეხოცება. მევალეები ცალკე გვალონებენო“ და დასძენს: „თქვენგან ამ წყალობას გთხოვთ, რომ მამის სახლკარი დარჩომია, ერთის ოქმის წყალობა უყოთ: მოვიდეს, გაყიდოს, მევალეებს ეისცეს, თვითონ ამ ქალაქში დადგეს, ამ ქვეყნიდამ არ დაიკარგოსო“[3]. ქალაქის მოურავ ციციშვილის მიერ 1773 წელს გამოტანილი განჩინებით ზემოხსენებულ უმეკანთ ოსეფას, — რომელიც ქალაქში დაბრუნდა — ვალების დასაფარავად სახლი არ გააყიდვინეს, თუმცა ის უკვე დაგირავებული იყო ერთ-ერთ მევალესთან 11 თუმანში, ხოლო სულ-კი დაფასდა 21 თუმანი; ოსეფას კიდევ ააღებინეს 12 თუმანი ვალი, საიდანაც ძველ მევალეებს (ვინც გამოცხადდნენ) „თუმანზე ოცდაათი შაური ერგოთ და

[1] „ჩუბულებითნი ჰსჯულნი“, § 13. გვ. 77.
[2] იქვე, გვ. 78.
[3] „საქ. სიძველენი“, ტ. III, 5 — 7.

გაიყვეს"; ხოლო „სახლი ამ მიზეზით ვერ გავასყიდვინეთ,— სწერია განჩინებაში — რომ რადგან მოვალის შიშით ყიზ-ლარს თავიანთვის ბინა ჩაეგდოთ, სახლიც რომ არა ჰქონე-ბოდათ, ქალაქში რაღას იმედით მოვიდნენ? ეგების ამას იქით ეცადნენ და თავიანთი სახლიც დაიხსნან და ახლაც რომ თორ-მეტი თუმანი ვალი აიღეს, რომ მევალებს მისცენ, ისიც გარ, დიხადონ და არც ხელმწიფის ას...ლი დაიკარგოს და არც მევალების მეზობელიო"[1].

ამგვარად, ერეკლე II სასამართლო, როგორც ვხედავთ, სავახშო კაპიტალის გამანადგურებელი გავლენის წინაშე ერთ-გვარ მფარველობას უწევდა წვრილ მწარმოებლებს, რომელთა ქალაქში მოზიდვა და გამრავლება იყო ალბათ მისი მიზანი.

„ჩვეულებითნი ჰსჯულნის" თანახმად სასამართლოს იძუ-ლებითი წესით უნდა გადაეხდევინებია ვალი ვაჭრისა და გლეხისათვის, როდესაც უკანასკნელნი არ იხდიდნენ ვალს ბოროტი განზრახვით, ისე რომ არავითარი „დაზიანება შე-მთხვევიყო მტრით, ცეცხლით და წყლით, არამედ მხოლოდ თეთრის პატრონის [კრედიტორის] გაცოდვილებისათვის" იქცეოდა ასე (§-14). ასეც მოხდებოდა, რომ მოვალე, რათა ვალის გადახდა აეცდინა თავს „არამქონებლად" გამოაცხა-დებდა და კვლევა-ძიებით კი აღმოჩნდებოდა „რომ თავის ცოლისათვის მიეცეს ღირებული რამ"; ასეთ შემთხვევაში „ცოლს მხოლოდ მზითევი, ნიშანი და პირის სანახავი მიეცე-მოდა და სხვა ყოველივე მოვალის ქონებად აღითვლებოდა,— შეკერილსა და მოსახმარებელს ნივთს გარდაო", ნათქვამია ადათების ნუსხაში. აქედანვე ჩანს, რომ ვახტანგ VI რე-დაქციით გამოსული სომხური სამართლის მიხედვით დაშვე-ბული ცოლისა და რძლის მზითვის ვალში მიცემა ჩვენში არ ყოფილა ჩვეულებით მიღებული[2].

თუ გლეხი ვალს აიღებდა ბატონის დაუკითხავად და საქმე სასამართლომდე მიაღწევდა, მაშინ გლეხს აზღვევინებდნენ მთელი თავისი მოძრავი ქონებით; ხოლო როცა ამით ვერ

[1] „საქ. სიძველენი", ტ. III, გვ. 9.

[2] იხ. Сб. „Закон. ц. Вахтанга VI", отд. VII, „Законы армянские", § 135.

აუვიდოდა ავალდებულებდნენ „მოეგო და გარდაეხადნა“. რაც შეეხება მამულს და თვით კაცს, კრედიტორი ხელს ვერ ახლებდა, რამდენადაც გლეხისათვის სესხი ბატონის დაუკითხავად მიუცია; იმ შემთხვევაში-კი როცა გლეხს ვალი „მებატონის ბეჭდით და ნებით“ ექნებოდა აღებული, კრედიტორს „მამულსაც მისცემდნენ და კაცსაც“, თუ მოძრავის ქონებით ვერ აუვიდოდა აღებულ ვალს და მასზე რიცხულ სარგებელს. ცოლს არ შეეძლო ქმრის დაუკითხავად სესხის აღება — ქმარი არ იყო პასუხისმგებელი ამ ვალისათვის, მაგრამ თუ ცოლი ისესხებდა მაშინ როდესაც ქმარი „სხვას მხარეს იყო გამგზავრებული“, ანდა „საოჯახოს საჭიროებისათვის აიღებდა და მოიხმარდა“, ასეთი ვალი „შეიწყნარებოდა და ქმრის ქონებიდამ გარდიხდებოდა“.

თანანადები იმდენად ძლიერი იყო, რომ უცხო ქვეყანაში წასულ ან გაქცეულ მოვალეს უკან დააბრუნებდა და მთელის ქონებით აზღვევინებდა[1]. მოვალეს, რომელსაც შეხვდებოდა მოულოდნელი დაზიანება, ე. ი. „ცეცხლით, წყლით, გაქურდვით, მტრისაგან დარბევით და ანუ ვაჭრობით“ და ეს დადგენილი იქნებოდა სარწმუნოდ, მაშინ „მეფის ბრძანებით და მასესხებლის თანხმობით“, მას ვადას გაუგრძელებდნენ და თუ ამ გზითაც ვალის დაფარვის იმედს არ იძლეოდა, მაშინ ყოველსავე ქონებას გაუყიდდნენ და კრედიტორებს „თავნისა და სარგებლის მიხედვით“, ვისაც რამდენი შეხვდებოდა, გაუნაწილებდნენ, „გარნა გირაოსა მქონებელი გირაოსა თვისსა არ მოაკლდებოდა“. თუ გარდაცვლილ მოვალეს მცირეწლოვანი მემკვიდრე და ვალის დასაფარავად არასაკმაო ქონება დარჩებოდა, მაშინ გამოიძიებდნენ, თუ რამდენად საიმედო იყო „ობლად დარჩენილი“ და თუ შეიძლებდა იგი ვალის გარდახდას, მაშინ შუამდგომლობდნენ კრედიტორის წინაშე ვადის გაგრძელებისათვის, იმ პირობით, რომ მემკვიდრეს „არა როგორისამე ქონების გასყიდვა“ შესძლე-

[1] იხ. Сб. Закон. ц. Вахтанга VI, отд. VII, „Законы армянские“, § 22, §§. 80.

ბოდა მევალის ნებადაურთველად"[1]; უკეთუ მცირეწლოვანი მემკვიდრისაგან მომავალში ვალის დაფარვის იმედი არ იყო და არც მასესხებელი დასთანხმდებოდა ვადის გაგრძელებას, მაშინ მოვალის ქონება გაიყიდებოდა და კრედიტორებს უნაწილდებოდა. „მამის უმორჩილო შვილის" მიერ აღებული ვალისათვის მამა არ იყო პასუხისმგებელი; მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ კრედიტორის პრეტენზია კანონიერ ძალაში შედიოდა, თუნდაც სესხის ამღები შვილიც არ ყოფილიყო ამ დროს ცოცხალი[2].

ასეთია ის მომენტები, რომელთაც ვალისა და სესხის საკითხში შეეხება „ჩუეულებითნი ჰსჯულნი". როგორც დავინახეთ, ქართულ იურიდიულ ძეგლებში მევალისა და მოვალის ურთიერთობის, სარგებლის და გირაოს ანუ წინდის, ხელწერილის და თამასუქის და საერთოდ ვალისა და სესხის ნორმებისა და ფორმების შემდგომი და თანდათანი განვითარება მკაფიოდ არის გამოხატული. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ და რამდენად ავსებს და ანვითარებს (მაგ., გირაოს ანუ წინდის და სხვა საკითხებში) ვახტანგ VI სამართალს უმთავრესად მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან განმტკიცებული ადათობრივი სამართალი, რომელიც უფრო განვითარებული აღებ-მიცემობის და საერთოდ უფრო აღორძინებულ ეკონომიკური ცხოვრების ნიადაგზე იქნა შემუშავებული.

ახლა შევჩერდეთ კიდევ ზოგიერთ მომენტებზე, რომლებსაც ზემოხსენებულ იურიდიულ ნორმებში ვერ მოუპოვებიათ სათანადო ადგილი, მაგრამ რომლებიც პრაქტიკულ ცხოვრებაში წარმოშობილან და, მაშასადამე, საჭირონი ყოფილან სესხისა და ვალის საქმეში.

მოხდებოდა, რომ მოვალის მიერ ვალის გადახდის შემდეგაც სხვადასხვა მიზეზით მევალის ხელში დარჩებოდა ხოლმე სავალო ვალდებულების გამომხატველი რაიმე დოკუმენტი, თამასუქი ან ხელწერილი. ამ გარემოებას გაუგებრობის გამოწვევა შეეძლო და მე-18 საუკუნის განა-

[1] „ჩუეულებითნი ჰსჯულნი" § 18, გვ. 78 — 79.
[2] იქვე, § 20, გვ. 79.

ჩენთა და ოქმთა წიგნებშიაც მრავლად მოიპოვება ამის მაგალითები: კრედიტორი მეორედ მოითხოვს ვალს. ამგვარ გაუგებრობათა თავიდან აცილების მიზნით პრაქტიკაში გამომუშავებულია ე. წ. „ᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ“. ქვემოთ მოგვყავს ერთი ასეთი დოკუმენტი, რომლის შინაარსიდანაც ნათლად ჩანს მისი მიზანდასახულობა. ეს დოკუმენტი დაწერილია 1712 წ. ენკენისთვის 19-ს: „ᲥᲔ ᲔᲡᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲝᲒᲕᲔᲪ ᲛᲔ ᲔᲨᲘᲙᲐᲚᲐᲓᲑᲐᲨᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐᲜ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲨᲔᲜ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲕᲘᲛᲝᲜᲡ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲕᲐᲚᲘ ᲒᲔᲛᲐᲠᲗᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲨᲔᲒᲯᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲐᲛᲝᲒᲐᲠᲗᲕᲘ, ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲘᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ, ᲨᲔᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲚᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ. ᲗᲣ ᲠᲝᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲗᲐᲛᲐᲡᲣᲥᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ, ᲐᲛᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲛᲢᲧᲣᲕᲜᲝᲡ“-ო, უწერს სავახშო კაპიტალის წარმომადგენელი ფეოდალ-მემამულეს[1].

ჩვენ დავინახეთ, რომ როგორც სამართლის სხვადასხვა ძეგლებში, ისე ვალის წიგნებშიაც სარგებლის ნორმების დადგენა სხვადასხვანაირი ვადით ხდება; მაგ., ბექა-აღბუღას სამართალში (14—15 ს. ს.) თუ ფულია გასესხებული, იგი წლიურად იანგარიშება[2] და ნორმალურ სარგებლად 20%-ია დაწესებული. მაგრამ ბევრად უფრო ადრინდელ სამართალში, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ (1318—1346 წწ.) „ძეგლისდებაში“, სარგებელი „ქართველთა სჯულით“ სავსებით უარყოფილია, უკეთუ ანგარებიანი ადამიანი მაინც არ მოინდომებს მას; ხოლო უკიდურეს შემთხვევაში-კი დადგენილია 20%, მაგრამ არა -წლიურად, არამედ განუსაზღვრელი ვადით, რამდენი ხნის განმავლობაშიც არ დარჩეს ვალი მოვალის ხელშიო[3].

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ VI, როგორც ისტორიკოსი, გადმოგვცემს, რომ საქართველოში სარგებელი გასესხებული ფულისა დაწყებული 12%-დან 120%-მდე და იქნებ კიდევ უფრო მაღლა იწევდა ხოლმე, — ხოლო, როგორც კანონმდებელს, მას ნორმალურად მიაჩნდა 12%, მაგრამ შესაძლებლად თვლიდა

[1] „საქ. სიძვ.“ ტ. II, 245.
[2] ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲑᲣᲦᲐ, „სამართალი“, § 84.
[3] ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ, „ძეგლისდება“, § 46.

30% აღებასაკკი, თუმცა ამასთანავე საერთოდ სარგებლის წინააღმდეგ ქადაგებდა[1].

რაც შეეხება გასესხებული პროდუქტის სარგებელს, რომელიც ისევ ნატურით იხდევინებოდა, ისევე როგორც საერთოდ ნატურით გაანგარიშებულ სარგებელს, იგი ბევრად აჭარბებდა ფულადს და 100-დან ხშირად 300%-მდეც-კი აღწევდა, როგორც ვახტანგ VI გადმოგვცემს. მაგრამ სინამდვილეში, ცხადია, ბევრად მეტი იქნებოდა. არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნატურით გაანგარიშებული სარგებელი თითქმის ყოველთვის წელიწადზე ნაკლებ ვადაში იხდევინება როგორც წესი — ვალის აღებიდან შემოდგომამდე, მოსავლის აკრება-დაუნჯებამდე და, ამგვარად, იშვიათად აღემატება ხოლმე 7 — 8 თვეს; ამდენადვე რეალურად სარგებელი შესაბამისი ზომით ყოველთვის მეტი გამოდის.

სარგებლის ნორმის დადგენა სამართლის ძეგლებში, როგორც დავინახეთ, ხდებოდა თვიურად ან წლიურად, მაგრამ პრაქტიკაში უფრო ხშირად გვხვდება თვიურად. მე-18 საუკუნეში, როგორც წესი, სარგებლად მიღებული იყო თვეში თუმანზე აბაზი, ე. ი. 24% წლიურად[2], მაგრამ ასეთი სარგებლის მტვირთველი უფრო ხშირად წვრილი მწარმოებელი და საერთოდ წვრილი მოვალე იყო. რაც შეეხება შეძლებულ და მაღალი წოდების მოვალეს, იგი შედარებით უფრო ნაკლებ სარგებელს იხდის და ვახტანგ VI მიერ დაწესებულ ნორმას არ სცილდება და თვეში თუმანზე ორ შაურს აძლევს[3]. მაგრამ მფლანგველი არისტოკრატის ეკონომიკური განადგურებისათვის ძალიან ხშირად ეს მცირე სარგებელიც საკმარისი იყო. 1678 წელს გაცემულ ნასყიდობის წიგნში შიო ბარათაშვილი წერს: „...მოქალაქე ამ სარქისას ვალი მემართა და ბატონმა [მეფემ?] კაცი დამაყენა და იმის ვალს მთხოვდნენ და ვეღარას თავს აუველ და მოველ და თქვენ ბა-

[1] ვახტანგ VI, „სამართალი“, § 125.

[2] „საქ. სიძვ.“ II, 500 — 501.

[3] „საქ. სიძვ.“ III, 414; წმინდა მამები ხშირად 6%-საც ჯერდებოდნენ: „თუმნის თავსა თვეში ერთი შაური სარგებელი მომცენო“, იბარებს იერუსალუმში გამგზავრებული ღვთისმსახური. იხ. ალ. ხახანაშვილი, „გუჯრები“, გვ. 55.

ტონს მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ს შემოგეხვეწე, და ჩემი ვალი თქვენ გარდამიხადეთ, და ამის ვალში ქუეშისხევზედ ღორისთავს და ჯალდაბს ჩემი კერძო [მამული] მოგყიდე თავისის მთითა, და თავისის ბარითა“ [1].

მაგრამ შეიძლება აღნუსხვა ისეთი მაგალითებისაც, როდესაც არც ისე წვრილი მესაკუთრე იძულებულია ჩვეულებრივზე ბევრათ უფრო მაღალი სარგებელი აძლიოს. ცნობილი ი ე ს ე ო ს ე ს შ ვ ი ლ ი თავისი ოჯახის თავგადასავალში გადმოგვცემს, რომ მამამისმა სოფელი იყიდა „მთელი თავისი გლეხებით“. მათ საკმაო ნაღდი ფული არ ჰქონიათ და „თეთრი ციხელის შ ე ფ ი ნ ა ს შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ თუმანი ათ შაურად“ აუღიათ. სარგებელი როგორც ვხედავთ ჩვეულებრივზე ბევრად მეტია, — 60%-ში გამოიხატება, რამდენადაც, როგორც უკვე ვიცით, პროცენტები ყოველთვიურად იანგარიშებოდა. ი. ო ს ე ს შ ვ ი ლ ი კიდევაც აღნიშნავს: „იმის სარგებელს ყოველს თვეს გვართმევდა და ან თამასუქზედ თავნად გვაწერდა თუმანს ათ შაურადო“. ასეთი მაღალსარგებლიანი ვალი იმდენად გაზრდილა, რომ ნავარაუდევი საშუალებებით მისი გადახდა ოსესშვილებს ვერ მოუხერხებიათ: „მამა ჩემი იმერეთს წავიდა სათხოვნელად, ამისთვის რომ ვალმა დიაღ შეაწუხა და საქმე გაუჭირაო“, — წერს იესე [2].

12. მევახშეობის შედეგები

თუ როგორ ანადგურებდა და აღატაკებდა ასეთი მეტად მაღალსარგებლიანი მევახშური კრედიტი ცალკე ფეოდალებს, იწვევდა რა მათი ადგილ-მამულისა და ყმების სავახშო კაპიტალის წარმომადგენელთა ხელში გადასვლას, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია ქვემოთ მოყვანილი ამონაწერი 1729 წელს გაცემული ნასყიდობის წიგნიდან; თავ. ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ კათალიკოზის მოლარეთუხუცესის პ ა პ უ ნ ა დ ო ქ ე ძ ი ს ა თ ვ ი ს მიცემულ საბუთში ნათქვამია: „ახე რომ,

[1] „ს ა ქ. ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი“, ტ. II, ნაწ. I, 1920, ტფ., II გამოც., 70 — 71.

[2] ი ე ს ე ო ს ე ს შ ვ ი ლ ი, „თავგადასავალი“, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913, გვ. 8 — 9.

შენი დიაღ ბევრი ვალი გვემართა და ჩვენ ამთონის თეთრის მოცემა ვერ შევძელით და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ყმა ყარაღაჯსა კილაკეტურასშვილი ხოსია თავისის შვილით, ბერუა და მომავალნი სახლისა მისისანი, დღეს რისაც მქონებელნი არიან და დღეს წაღმაც სახნავითა სათესითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, მთითა, ბარითა, მარნითა, სახლითა, კარითა, კალო-საბძელითა, თავისის შესავალ-გამოსავლითა, მისადგომ-მოსადგომითა, ყოვლის სამართლიანის გზისათა; კიდევ ამაზედ აძევს გრაკალის თავს ჩემი სახასო ხოდაბუნი თორმეტის დღისა საზომითა, კიდევ შარაშუა ჩემი წილი მესამედი იმ ხოდაბუნისა, კიდევ ქაფქიაურში ერთი დღის მიწა, ესეები ყველა მოგვიყიდია თქვენთვისაო"[1]. ასეთი დოკუმენტების მოყვანა მრავლად შეიძლება[2], რაც იმას მოწმობს, რომ სავახშო კაპიტალის დამშლელი და გამომფიტველი გავლენა არსებული წარმოების წესის მიმართ მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ფეოდალურ საქართველოში.

როგორც საერთოდ ისე ჩვენშიც, რაკი სხვა კრედიტი არ არსებობდა იმდროინდელ მევახშური კრედიტის სისტემაში ვხვდებით აგრეთვე, როგორც იტყვიან, ექსტრავაგანტულ შემთხვევებსაც. მაგალითად, მოვალე სარგებელს მხოლოდ წინასწარ დანიშნული მოკლე ვადის გადაცილების შემდეგ უხდის: „ვადაზე შენი თეთრი თუ არ მოგცე, თვეში ორი შაური სარგებელი მოგცეო"[3]. გვხვდება ასეთი ვალის წიგნებიც, მოკლევადიან სესხზე: მოვალეს სამი მინალთუნი აუღია და პირობას სდებს (1736 წ.). „თუ ამ ერთს კვირაში, შენი თეთრი ულაპარაკოთ მოგიტანო, მე სარგებელი არა მთხოვო და, თუ ამ ერთს კვირას გასცილდეს, დღეში შაურ-ნახევარი სარგებლის მომცემი ვიყოო", პირობას იძლევა გლეხი მევახშის წინაშე, რომელმაც ალბათ რაღაც მეტად გამოუვალ მდგო-

[1] „საქართველოს სიძველენი", ტ. II, 1909. ტფ. ე. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 322.
[2] იქვე, გვ. 491.
[3] „საქ. სიძვ." ტ. III, 423.

მარეობაში დაინახა და ასე უწყალოდ დააწვა მას[1]. ამ შემთხვევაში, გარდა ზღაპრული სარგებლისა, ისიც აღსანიშნავია, რომ %% არა თვიურად, არამედ დღიურად იანგარიშება.

ასეთ პირობებში, გასაგებია, რომ თანანადები (ვალი) და, მაშასადამე, კრედიტორი ყოვლის შემძლეა; იგი არა თუ სავსებით იმორჩილებს ეკონომიკურად მოვალეს — წვრილ-მწარმოებელს—და მიაქვს მთელი მისი ზედმეტი და ხშირად აუცილებელი პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ ადამიანს პირადი თავისუფლების დაკარგვამდეც მიიყვანს ხოლმე. და ეს პროცესები სავახშო კაპიტალმა ჩვენში განავითარა ჯერ კიდევ უძველესი დროიდანვე. ერთი მე-11 საუკუნის ქართულ ქადაგებაში ნათქვამია: „გლახაკ ხარ, არამედ თავისუფალ ხარ, უკეთუ კულა ისესხო, გაველარმდიდრდე და თავისუფლებაჲ თანაწარმავალ არსო“. მე-17 საუკუნეში, კერძოდ 1682 წ. გაცემულ ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ ამ მხრივ ფრიად საყურადღებო ცნობას: „...საბოლოოთ სიკუდილამდის გასათავებელი ფიცი და პირი,-მტკიცე და შეუცვალებელი ნასყიდობის სიგელი დაგიწერე და ეს ჩემი თავი ჩემის ნებით მოგყიდე მე ქიმათელმა ა რ ა ქ ე ლ ა ს შ ვ ი ლ მ ა ზ ურ ა ბ ა მ ა და ჩემან შვილმან პ ა ა ტ ა მ ა ნ, მომავალმან ჩვენმან, ასრე რომე ღონე და ილაჯი თქვენს მეტი არა მქონდა, მევალეებმა ძალა მიყვეს, გარდახდა არ შემეძლო, მოველ და შემოგეხვეწე; მევალეებს მამარჩინე, ვალი რაც მემართა გარდამიხადე და გეყმევ და მზითვის მუახლე შევირთევი თქვენი, მოგყიდე ჩემი შვილიც თქვენ, გორელის ი ა რ ა ლ ი ს შ ვ ი ლ ს პ ა პ უ ნ ა ს ა, შვილსა თქვენსა ბ ე ჟ ა ნ ს ა... გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, როგორც მრავალს ალალს მონასყიდეს და როგორც მზითის ყმას მართებდეს ხელი გეწიფოდესო“[2].

ასე ობობასავით წუწნიდა მევახშეობა როგორც მდიდარ მემამულეს, ისე წვრილ მწარმოებლებსაც. ასე ჰფიტავდა მათ

[1] „საქ. სიძვ.“ ტ. III, 421.
[2] „საქ. სიძვ.“ ტ. II, 180 — 181.

ეკონომიკურად, აუძლურებდა და ანადგურებდა. მაგრამ ყოველივე ეს ხელუხლებელს სტოვებდა ფეოდალურ ურთიერთობათა საფუძვლებს და არამც თუ მე-17 — 18 საუკუნეებში, არამედ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მე-19 საუკუნეშიაც, მევახშეობას და სავახშო კაპიტალს ჩვენში არ უთამაშია ფეოდალურ ურთიერთობათა საბოლოოდ დამრღვევი რევოლუციური როლი; პირიქით, იგი მის კონსერვირებას უფრო ემსახურებოდა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. ჩვენ დავინახეთ, რომ მე-18 საუკუნეში მევახშეობა ჩვენში ფართოდ იყო განვითარებული: მაღალი სარგებელი, რომელიც ანადგურებს, როგორც წვრილ მწარმოებელს, ისე ფეოდალურ მემამულესაც, ცხადია, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ფულადი კაპიტალების დაგროვებას მევახშეთა ხელში. მევახშეობას მისდევდნენ თვით მემამულეებიც, შეძლებული გლეხობაც და სასულიერო პირებიც, მაგრამ მევახშეთა მთავარი კონტინგენტი ე. წ. მესამე წოდებიდან გამოდიოდა. ესენი იყვნენ კომერციული თაოსნობის ადამიანები, მისდევდნენ ვაჭრობას, დალალობას, და ხშირად ეკავათ რაიმე შესაფერი თანამდებობები საერო თუ სასულიერო ფეოდალთა კარზე. მათი სიმდიდრე უმთავრესად ფულისა და სხვა მოძრავი ქონებისაგან შედგებოდა. ისინი ნაკლებ ეტანებოდნენ უძრავ ქონებას: ქარიშხლიანი პოლიტიკური ჰორიზონტი, მუდმივი შემოსევათარეშები ღირსებას უკარგავდა მათს თვალში ფეოდალური საკუთრების ძირითად საფუძვლებს. მიუხედავად ამისა, მეტი თუ ნაკლები ზომით, გამდიდრების პროცესში ისინი მაინც ხდებოდნენ ადგილ-მამულისა და ყმების პატრონებად. აქედან მათ ხშირად შეეძლოთ პრეტენზია განეცხადებიათ ფეოდალური პრივილეგიებისაკენაც-კი. მით უმეტეს, რომ ზოგი მათგანი მნიშვნელოვან გავლენას მოიპოვებდა ხოლმე მეფის კარზეც. ფულის მხრივ მუდამ ხელცალიერი მეფეები დავალიანებული იყვნენ მევახშეთაგან. მაგ., 1779 წ. ერეკლე II მუგდის აკოფას წერს, რომ ჩვენ შენი 600 მანეთი და კიდევ სხვა ფული გვმართებს და ღმერთი შეგვაძლებინებს მალე

მათს გადახდასო[1]. იგივე არა მყარი პოლიტიკური მდგომარეობა, სახელმწიფო ხელისუფლების სიმტკიცისადმი უნდობლობა, რაც გამოწვეული იყო არსებული სინამდვილით, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა, მრეწველობის პროდუქტების მომხმარებელთა შორის ეკვივალენტური შარაგის უქონლობა, ანუ მეტად უმნიშვნელო ზომით განვითარება, თავისთავად ცხადია, რომ ვერ წარმოქმნიდა სტიმულს რათა მევახშეობის თუ სხვა გზით დაგროვილი ფულადი კაპიტალი მიმოქცევის სფეროდან გადასულიყო წარმოების სფეროში; მით უმეტეს რომ მოგების ნორმა მეურნეობრივი თაოსნობის ყველა დარგში, გარდა დიდ რისკთან დაკავშირებული საქარავნო ვაჭრობისა და საერთოდ სპორადულად განვითარებული სპეკულაციური ოპერაციებისა, ბევრად უფრო დაბალი იყო ვინემ მევახშური კრედიტის სარგებელი. ამის თქმა, ცხადია იმას არ ნიშნავს, რომ აბსოლუტურად არ ხდებოდა ფულადი კაპიტალების გადასვლა წარმოებაში; ამას ჰქონდა ზოგჯერ ადგილი, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო ზომით, რომ მის შესახებ უკეთეს შემთხვევაში ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ როგორც ბურჟუაზიული მეწარმეობის ეფემერულ ჩანასახებზე.

მევახშეობა მე-19 — 20 საუკუნეში

1.

მევახშეობა როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიც მე-19 საუკუნეში ვითარდებოდა მთელ რიგ სხვადასხვა სახეებით. რამდენადაც ამიერკავკასია ისტორიულად მოძრაობდა ფეოდალური ურთიერთობის ჩარჩოებში, იმდენად სავახშო კაპიტალს. მე-19 საუკუნეში, ისე როგორც მანამდეც, შეეძლო ეარსება ორ მისთვის დამახასიათებელ ფორმაში: 1. მევახშეობა წვრილ მწარმოებელთა (გლეხის, ხელოსნის, შინამრეწველის) მიმართ და 2. მევახშეობა ფეოდალურ-მემამულეთა,

[1] Д. Пурцеладзе, „Грузинские крестьян. грамоты", 1881, Тифлис, стр. 32.

ე. ი. მფლანგველი სიმდიდრის წარმომადგენელთა მიმართ. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ მევახშეობამ ჩვენში უდიდესი როლი ითამაშა, როგორც წვრილი მწარმოებელის, ისე თავადაზნაურული არისტოკრატიის გაღატაკებისა და გაჩანაგების და ამდენადვე საერთოდ ფეოდალურ-პატრიარქალური საკუთრების დარღვევის საქმეში; მაგრამ იგი (მევახშეობა) უძლური იყო იმისათვის, რომ გამოეწვია შეცვლა არსებული წარმოების წესისა — ფეოდალურ ურთიერთობათა, — თუმცა ამასთანავე სულ უფრო სასტიკს და აუტანელს ხდიდა ამ ურთიერთობათ უშუალო მწარმოებელთა ექსპლოატირებული მასებისათვის.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კრედიტის სხვა ფორმის არ არსებობის გამო, მე-19 საუკუნის პირველივე წლებიდან უფრო და უფრო განვითარებული და აყვავებული მევახშეობისა და უზომო სარგებლისათვის ყურადღება მიუქცევია ხელისუფლებასაც, რომელიც ცდილა კაპიტალზე სარგებლის რამდენიმედ მაინც განსაზღვრას. ცხადია, ამ საქმეში ხელისუფლების მოქმედებას გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ თბილისელი მოქალაქენი, რომელთა სურვილიც ყოფილა, რომ სესხისა და ვალის საქმეში ძალაში დარჩენილიყო ვახტანგ VI დებულებები, რაც როგორც ცნობილია, კიდევაც მიიღო თვითმპყრობელობამ. მაგრამ, როგორც ირკვევა და მოსალოდნელი იყო, პრაქტიკაში ადგილი ჰქონია კრედიტორთაგან ბევრად უფრო მეტი სარგებლის აღებას. ამიტომ მას შემდეგ რაც ოფიციალურად დაკანონდა 12%-ანი სარგებელი, 1815 წელს აუარებელ, როგორც ყოფილ ისე ნამდვილ მოვალემ მიმართა ხელისუფლებას, რათა მათთვის კრედიტორებს უკან დაებრუნებიათ აქამდე მიღებული სარგებლის ის ნაწილი, რაც ნორმალურს აღემატებოდა; მოითხოვდნენ რამდენიმე წლის წინათაც გადახდილ უზომო სარგებლიდან შესაბამი განსხვავების უკან დაბრუნებას.

თვითმპყრობელობას, ცდილობდა რა ჩვენში ვალისა და სესხის საქმის მოწესრიგებას, თავისი ცდებით მეტი არეულობა და უთანხმოება შეჰქონდა დროით განმტკიცებულ ჩვე-

ულებებში. მაგ., საქართველოს მთავარსარდალმა გენ. პ. ციციანოვმა 1805 წელს ძალაში დატოვა ვახტანგ VI კანონი; ხოლო 1808 წელს გენ. გუდოვიჩმა ნება დართო პირველთან ერთად ესარგებლათ რუსული კანონითაც, რომელიც ნორმალურად თვლიდა 6% სარგებელს. გუდოვიჩის განკარგულებით, დავების დროს ვახტანგის კანონით უნდა ესარგებლა ადმინისტრაციას და სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ თამასუქი (ან სხვა რაიმე სავალო ვალდებულება) დაწერილი იყო ქართულად და ქართული ჩვეულების მიხედვით, ხოლო რუსული კანონით ეხდევინებია სარგებელი, თუ თამასუქი შედგენილი იყო საიმპერიო კანონით მიღებული წესის მიხედვით.

საკითხის ასე დაყენება, ცხადია, მრავალ გაუგებრობას და გაურკვევლობას ჰბადებდა. ბოლოს 1811 წელს უმართებულესმა სენატმა დაადგინა: „შეღავათისათვის ამ მხარის მცხოვრებლებისა, რომელთაც არ იციან რუსული კანონმდებლობა, და მათ (ქართველებსა, სომხებსა და რუსებს) შორის ურთიერთ ნდობის შესანარჩუნებლად“ დატოვებულ იქნას ასეთ საქმეთა გარჩევაში ქართული სამართალიო[1]. სენატის ეს დადგენილება უახლოვდება გენ. სიმონოვიჩის მოსაზრებას, რომ საქართველოში ამ მხრივ დაეტოვებიათ ვახტანგის კანონები, მხოლოდ სარგებელი განსაზღვრულიყო 10%-ით[2]. ამის შემდეგ 1815 წელს საქართველოს მთავარმართებელი, გენ. რტიშჩევი განკარგულებას უგზავნის სასამართლოსა და განსჯის ექსპედიციას, რომ საქართველოში თამასუქით გაცემულ ვალზე სარგებელი აიღებოდეს ვახტანგ VI სამართლის წიგნის მიხედვით: „რა საფუძველითაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ანგარებიან კრედიტორს, ყველას შეუძლია მიიღოს სარგებელი ყოველთვიურად ათი მანეთიდან 20, 15 და 10 კაპიკი., რაც დამოკიდებული იქნება კრედიტორისა და მოვალის ურთიერთშორის შეთანხმებაზეო“[3].

---

[1] АСКАК, V, № 308, стр. 252—3.

[2] ЦГИА., მია, ფონდი 8, КГГ., 1816 г. д. № 429.

[3] იქვე, ფურც. 14.

მასესხებლისა და მოვალის ურთიერთშორის შეთანხმება, ცხადია, იგივეა რაც კრედიტორის კარნახით სარგებლის დაწესება, ე. ი. კანონით მიღებული მაქსიმალური სარგებლის (24%) პრაქტიკის მიერ მინიმუმად მიღება, და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ამა თუ იმ სახით სასამართლო თუ ადმინისტრაციულ ორგანოებში უნდა გატარებულიყო. ამგვარად, სინამდვილეში თვითმპყრობელობის ხელისუფლებამ ამით სავახშო კაპიტალს ბევრად მეტი გასაქანი და უფლებამოსილება მოუპოვა, ვინემ ჰქონდა ადრინდელ დროს. ცარიზმი საერთოდ გულმოდგინედ იცავდა ამიერკავკასიაში როგორც ფეოდალური, ისე ბურჟუაზიული ექსპლუატაციის ყოველგვარ წესებს, რათა ამ გზით ფეოდალური და ბურჟუაზიული ელემენტებისაგან შეექმნა თავისთვის მტკიცე დასაყრდენი და მხოლოდ მაშინ მიმართავდა ზომებს აქ არსებული დიდი სარგებლის წინააღმდეგ, როცა ეს აღელვებული ან აჯანყებული ხალხის მოსათვინიერებელი ცბიერული პოლიტიკის მასალად სჭირდებოდა. როგორც მაგ., 1837 წ. კ. მარღანიასთვის მიცემულ მემორიალურ ბარათში გენ. როზენი აღნიშნავდა რომ: აფხაზეთსა და წებელდაში „აეკრძალათ ყველასათვის უზომო %% აღება და ეწარმოებიათ ამისათვის სასტიკი მეთვალყურეობა“ [1].

მაგრამ, მიუხედავად ხელისუფლების რეალურ თუ თვალთმაქცურ ღონისძიებათა, მევახშეები თავისას აკეთებდნენ; სავახშო კაპიტალის გავლენა დღითიდღე იზრდებოდა, და როგორც ქვემოთ დავინახავთ, მეტი თუ ნაკლები ზომით ეპატრონებოდა წვრილმწარმოებელთა საბადებელს.

2. სავახშო კაპიტალი სტიქიური უბედურების დროს

სავახშო კაპიტალი თავის სასარგებლოდ იყენებდა ყოველგვარ სტიქიურ თუ სხვა მოვლენას, რაც უბედურების სახით დაატყდებოდა თავს გლეხობას და წვრილ მწარმოებელს საერთოდ; იგი მოხერხებულად იყენებდა, მაგალითად, მოუსავ-

[1] АСКАК, VIII, № 333, стр. 450.

ლიან წლებს და მათ მომყოლ შიმშილობას, ჟამიანობას და სხვა სახის ეპიდემიებს, საქონლის ჭირს, ცეცხლის გაჩენას, ავადმყოფობას და სხვა გამოუვალ მდგომარეობას გლეხობისა[1]. ასეთ ნიადაგზე მევახშეობის გავლენა იქამდეც კი მიდიოდა, რომ ვალის გადახდის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული გლეხი მის კაბალაში[2] ვარდებოდა; იგი იძულებული ხდებოდა გაეყიდა თავისი ოჯახის წევრი ანდა თვით კრედიტორისათვის გადაეცა იგი სამუდამო მონობაში, მიეყიდა ისე, როგორც ხარი ან რაიმე სხვა მოძრავი ქონება.

---

[1] შეად. კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი", ტ. III, ნაწ. 2. გვ. 129.

[2] „კაბალა" უახლეს ქართულში რუსულიდან შემოვიდა; იგი არაბული სიტყვაა და ნიშნავს პირობას, სიმტკიცეს, აგრეთვე ოჯარასაც და საიჯარო გადასახდელსაც. „კაბალა" თურქების მეოხებით გადავიდა მოსკოვის რუსეთში და აქაც, ისე როგორც თურქთა შორის, ვალის წიგნის (ხელწერილის) გამოსახატავ სიტყვას წარმოადგენდა. რამდენადაც ვალის ვერ გადამხდელი მევახშის პირად დამოკიდებულებაში ვარდებოდა, ამდენადვე წარმოიშვა კ ა ბ ა ლ უ რ ი ყ მ ო ბ ა (кабальное холопство), ხოლო რამდენადაც მევახშეს სარგებელს მოვალე შრომით უხდიდა, საქმე გვაქვს მსახურებითი კაბალასთან (служилая кабала — „за рост служати") და სხვ. იხ. К л ю ч е в с к и й, „Происхожд. крепостного права", 1885. მაგრამ „კაბალა" გვხვდება ბევრად უფრო ადრინდელ ძველ ქართულ იურიდიულ ძეგლებშიაც. მაგ., ნიკორწმინდის მე-XI საუკუნის სიგელში ნათქვამია: „ცხილათს მოვიგე მიწა და მივეცი მათვე ს ა კ ა ბ ა ლ ო დ", და მოწმე არიან კაცნიო (ა კ ა დ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართულ სამართლის ისტორია", ტ. II, ნაწ. II, გვ. 443 — 444); იქვე ლაპარაკია სახლის „საკაბალოდ" დადებაზედაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „კაბალა" ამ შემთხვევაში უფრო არაბული მნიშვნელობით — ქონების საიჯაროდ გაცემა — უნდა იხმარებოდეს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ა ც აქვს „კაბალა": „ხართა გაბარებენ სასარგებლოდ იფქლთა (შემოდგომაზე ნათესი ხორბლის) მოსაცემელად პირობითა რითამე სხვადასხვითაო" („ლექსიკონი", 158); ხოლო „მიიკაბალოს" — იგი განმარტავს: „კაბალად შეიქმნასო" (იქვე, 212). ამგვარად, ნიკორწმინდის მე-XI-ს. სიგელის „კაბალასა" და ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „კაბალას" შორის, ისე როგორც მე-14 — 16 სს. შემუშავებულ რუსულ „კაბალასა" და პირველთა შორის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი განსხვავება უნდა იყოს და იგი ამ ხალხთა მიერ საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განცდილი არაბულ-თურქული გავლენის სხვადასხვანაირობის გამომხატველიც იქნება უთუოდ.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ფართოდ იყო გავრცელებული ადამიანებით ვაჭრობა, რასაც ცხადია, სავახშო კაპიტალიც — სხვა სოც.-ეკონომიკურ მოვლენათა შორის — დიდად უწყობდა ხელს[1]. ჩვენ მოგვეპოვება მრავალი დოკუმენტი, რომელიც მოგვითხრობს იმ ამაზრზენ საშინელებაზე, რაც მოყვებოდა ხოლმე შედეგად მოუსავლიან წლებს, შიმშილობას, ეპიდემიებს, მტერთა თარეშებს და თავზე დაატყდებოდა განსაკუთრებით წვრილ მწარმოებელთა წოდებას — გლეხობას, რომელიც იძულებული ხდებოდა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ევაჭრა საკუთარი შვილებით.

მაგალითად, 1812 წელს, შფოთიან, შიმშილიან, გვალვიან, მოუსავლიან, შემდეგ წყალდიდობიან და ომიან-თარეშებიან წელს გლეხი ქრიშობედა კოსტავა თავად დ. თარხნიშვილისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში წერს: „...გამიჭირდა და შიმშილით მიკვდებოდა ჩემი შვილი დარიჯანი და მოგყიდე ეს ჩემი შვილი დარიჯანა და ფასიც სრული გამოგართვი, როგორც გული შემჯერდებოდაო“[2]. და ის ფასიც, რაზედაც შვილის გამყიდველ მამას გული უნდა შეეჯერებია, არ აღემატებოდა ერთი-ორი კოდი ფეტვის ღირებულებას, — როგორაც იყიდებოდა 1812 წ. იმერეთში საერთოდ გოგო და ბიჭი.

იმის დასამოწმებლად, თუ რამდენად განმანადგურებელი იყო კერძოდ სავახშო კაპიტალის მოქმედება იმ ხანებში, საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი დოკუმენტი, დაწერილი 1809 წელს: „ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე კიკოლა ბერიძემ და ნასყიდა ბერიძემ შენ მემანიშვილს ზიორგის, ასე რომ შენი ცხრა ფრული თეთრი მემართა და მისი სარგებელი სამი მარჩილი ვეღარ შევიძელი; შენი თეთრი ვერ გადაგიხადე და ჩემი შვილი მოგყიდე გოგო მარინა,

[1] ამ საკითხზე იხ. სპეციალური ნარკვევი: პ. გუგუშვილი, „ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში“ (ჟურ. „მნათობი“, 1938, № 10 და 11).

[2] საქ. მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია Hd 2842.

ხელმოახლეთ მომიცემია; არას კაცი, არც მე და არც სხვა ალარ გედაოთ და თუ ვინმე გედაოს, შეჩვენებული იყოსო“ [1].

ადამიანების მიყიდვას სავახშო კაპიტალისადმი ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველ ათეულში, არამედ სამოცდაათიან წლებშიაც-კი, როდესაც ბატონყმობა უკვე გადავარდნილი იყო, როდესაც საქართველოში სარკინიგზო მშენებლობა იყო გაჩაღებული და კაპიტალისტური თაოსნობა ყოველდღე ახალ-ახალ საფეხურებს იპყრობდა. 1873 წელს პეტრე ლავროვის რედაქციით ციურიხში გამოდიოდა რუს რადიკალ-ემიგრანტთა ორგანო „Вперед“, რომლის პირველსავე ნომერში, სადაც იმ წელს კახეთში გამძვინვარებული შიმშილობის შესახებ ცნობაა დაბეჭდილი, სხვათა შორის ვკითხულობთ, რომ ხალხი „საშინელმა შიმშილმა იქამდე მიიყვანა, რომ სტოვებენ სახლ-კარს და ოჯახს და სამათხოვროდ მიდიან“. არაქათგამოლეული დედები ჩარჩებსა და მევახშეებზე ჰყიდიან თავიანთ გოგოებს მონობაში, რათა იხსნან საკუთარი თავი და ისინიც შიმშილით სიკვდილისაგან [2]; — ასეთი ამაზრზენი ფაქტების დასახელება ბევრი შეიძლება მე-19 საუკუნის ისტორიიდან.

3. მევახშეობა საეკლესიო გლეხთა შორის

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მევახშეობა სხვა კატეგორიის გლეხობაზე არა ნაკლებ და იქნებ უფრო მეტადაც იყო განვითარებული საეკლესიო ყმა-გლეხთა შორის. საეკლესიო გლეხები არაიშვიათად უფრო მეტის ზომით, ვინემ საბატონო ყმები დაახლოებული იყვნენ გაცვლა-გამოცვლასთან. ხშირად, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნემდე, ეკლესია მოიპოვებდა ხოლმე თავისი გლეხებისათვის საქალაქო თუ სასოფლო ბაზრობაზე, სავაჭრო გზებზე და ხიდებზე ვაჭრობისა და მიმოსვლის ერთგვარ უპირატესობას, პრივილე-

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწ. კოლექცია — Hd 2606.

[2] იხ. „Вперед“ ციურიხი, 1873 წ. № 1 განყ. II, გვ. 15. (კომპლექტი ინახება მოსკოვში, ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის საკავშირო ბიბლიოთეკაში).

გიებს ბაღების გადახდაში და სხვა, რაც კიდევ უფრო ითრევდა საეკლესიო ყმებს იქეთკენ, რათა მათ ბაზარში გაეტანათ თავიანთი ნაწარმოები, მიწათმოქმედების და შინამრეწველობის პროდუქტები, დასასრულ, რათა მომავალი წლის მოსავლის ანგარიშში მევახშეთაგან აეღოთ სესხი საოჯახო ხარჯების საჭიროებისათვის.

საეკლესიო ყმა-გლეხები ვალისათვის მევახშეს უგირავებდნენ, როგორც მე-18 საუკუნეში, ისე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშიაც, თავიანთ მოძრავ ქონებას. ასეთი სახით გლეხთა დავალიანება ისე შორს წასულა და ისე დიდი ზომით დატვირთულან ისინი მევახშის ვალებით, რომ 1819 წლის აპრილში თელავის დროებითი საოლქო სასამართლო საქართველოს უზენაესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციისგან თხოულობს ნებართვას, რათა კრედიტორები, — რომელთათვისაც თვით საეკლესიო გლეხებს ნებაყოფლობით ვერ გადაუხდიათ ვალი, — დაკმაყოფილებულ იქნან გლეხთა მოძრავი ქონების საჯარო გაყიდვით ამოგებული თანხებიდან.

ეკლესია, მიტროპოლიტ თეოფილაქტეს სახით, საჭიროდ სცნობს გამოესარჩლოს თავის გლეხებს — ესენი ხომ „ეკლესიის ცხვრებია!“ ირკვევა, რომ საეკლესიო გლეხები მევალეებს თავნსა და სარგებელსაც უმთავრესად ნატურით უხდიდნენ. კერძოდ ღვინით, შინაური საქონლით და სხვა მოძრავი ქონებით. ამასთანავე ძალიან ხშირად ვალი თურმე დიდი ხნის განმავლობაში — რამდენიმე წლის მანძილზე — გადაუხდელი რჩებოდა და ამიტომ არა იშვიათად სარგებელი თავნს (კაპიტალს) რამდენიმეჯერ აღემატებოდა. სწორედ ამის გამო მიტროპოლიტი თეოფილაქტე საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს გენ.-მაიორ ხოვენს სწერს: „თუ საეკლესიო გლეხებს უნდა გადაახდევინონ ვალები ღვინით, პირუტყვით და სხვა მათი მოძრავი ქონებით, მაშინ, იმათი დავალიანებიდან ხანგრძლივი დროის გასვლისა და აქ კაპიტალზე არსებული მაღალი %%-ის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გლეხები თვითონაც მთელის ოჯახით დაჰკარგავენ დღიურ საზრდოს და არც რაიმე ღონისძიება შერჩებათ უხადონ ეკლესიას მათზე

დადებული ბეგარა-გამოსაღებნიო“ [1]. ამჟღავნებს რა ამგვარად „მათი უსამღვდელოესობა“, თუ რა აიძულებდა ეკლესიას ეზრუნა მევახშეთაგან გლეხების დასაფარავად, შემდეგ განაგრძობს: „...ცნობილია... მევახშეთა ხერხიანობა ისარგებლონ უმეცრებით უბრალო და მიამიტი ხალხისა, რომელიც ყოველთვის ცხოვრობს დღევანდელი დღით, ივიწყებს რა წარსულს და არ ფიქრობს რა მომავალზეო“.

ამის შემდეგ მიტროპოლიტი, იმოწმებს რა ვახტანგ VI კანონს, რომ ყმას არ შეუძლია არც ისესხოს და არც გაასესხოს, რადგან მასარაფერი არ გააჩნია და დასძენს რა, რომ რუსული კანონმდებლობითაც გლეხისათვის არ შეიძლება 5 მანეთზე მეტი თანხის სესხებაო, გაკვირვებას გამოთქვამს, რომ საქართველოში ანგარიშს არ უწევენ არც ვახტანგის სამართალს და არც საიმპერიო კანონმდებლობას; იგი ილაშქრებს წინააღმდეგ ადათებისა, თუ ისინი არ ეთანხმებიან დაწერილ კანონებს, — რადგან ასეთ შემთხვევაში, თუ ადათს მივყვებით, კანონი საჭირო არ იქნებოდაო. თეოფილაქტე ქადაგებს, რომ გლეხთათვის მევახშეების მიერ ფულის სესხების აკრძალვა არ ნიშნავს გლეხობისათვის საზოგადოებაში ნდობის დაკარგვას; რუსეთში უბრალო ხალხს არა აქვს ასეთი ნდობა, მაგრამ იგი უფრო კეთილმდგომარეობაშია, ვინემ აქაური გლეხიო; „მე არ ვიცი, — წერს იგი, — არც ერთი მაგალითი, რომ რომელიმე რუსი გლეხი გაბმულიყოს გადაუხდელ ვალებში, მაშინ როდესაც, თუ ჩვენ საქართველოს საეკლესიო გლეხებს მათზე დაგროვილ ვალებს მათივ საკუთრებიდან გადავახდევინებთ, იშვიათი მათგანი თუ გადაურჩება სრულ გაკოტრებასო“ [2].

აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ რა გავლენა ჰქონია სავახშო კაპიტალს საეკლესიო გლეხებზე. მევახშეებს თელავის მაზრის თითქმის მთელი საეკლესიო გლეხები ისე ჩაუხლართავთ ვა-

[1] სცსს., მია, ფონდი 8. „Канц. Главноупрарл. Грузией“, საქმე № 426, 1816 წ., ფ. 3; იხ. აგრეთვე იქვე საქმე № 696, 1819 წ. ფურც. 118; ციდეკ საქმე № 753, 1819 წ. ფურც. 34.

[2] სცსს., მია, ფონდი 8. КГГ., აღწ. დავთ. 52, 1819 წ. საქმე № 4696. ფურც. 100 — 112.

ლებში, რომ, როგორც მიტროპოლიტი თეოფილაქტე მოწმობს, ამ გლეხების მთელი ქონებაც რომ გაეყიდათ მაინც არ იქნებოდა საკმარისი მათი კრედიტორების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

შეცდომა არ იქნება ჩვენგან იმის თქმა, რომ ამ პერიოდში საეკლესიო გლეხებზე არა ნაკლებ იყვნენ მევახშეთა ქსელში გაბმული სახაზინო და საბატონო ყმა-გლეხებიც.

4. ფეოდალური არისტოკრატია მევახშის კლანჭებში

მევახშეობის კლანჭებში ვარდებოდა არა მარტო გლეხობა. მევახშეობისათვის ხარკი უნდა ეხადა თავადაზნაურობასაც. ცხადია, რომ ფეოდალური მემამულე თვითონ არავითარ ექსპლუატაციას არ განიცდიდა და ის მაღალი სარგებელი, რომელსაც იგი სავახშო კაპიტალის წარმომადგენელს უხდიდა, ისევ ყმაგლეხების კისერზე გადადიოდა. მიუხედავად ამისა არისტოკრატ-ფეოდალებს არა ნაკლებ სძულდათ მევახშე, რომელიც სულ უფრო მეტის ზომით ეპატრონებოდა მათს დედულ-მამულს. ამ გზით საქმე ისეც შეიძლება წავიდეს რომ მევახშე თვითონ დაეპატრონოს ფეოდალის სახლ-კარს, თვითონ გახდეს მემამულე. ამის შემდეგ ფეოდალ-არისტოკრატის ადგილს იჭერს მევახშე, ეგ „სასტიკი და გულხარბი ვიგინდარა“, მაგრამ წარმოების წესი მაინც არ იცვლება. საერთოდ სავახშო კაპიტალს ახასიათებს „ექსპლუატაციის წესი კაპიტალისა მისი წარმოების წესის უქონლად“ [1].

მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ქართველი თავადაზნაურობა სულ უფრო დიდის ზომით ვარდება სავახშო კაპიტალის კლანჭებში; მთელი ის თავისებური გარემოებანი, რომელთაც ეს გამოიწვიეს, მშვენივრადაა, სხვათა შორის, გამოთქმული იმ პასუხში, რაც ქართველმა ფეოდალებმა გასცეს 1863 წელს თბილისის გუბერნიის მარშალს დიმიტრი ყიფიანს ანკეტა-კითხვებზე, რომელიც უკანასკნელმა მათ დაუგზავნა გლეხთა განთავისუფლების საკითხის გამო. პირ-

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი“, III, ნ. 2, 128.

ველი კითხვა ეხებოდა სწორედ ყველაზე საჭირბოროტო გარემოებას: ყმათა განთავისუფლების სანაცვალგებოდ თავადაზნაურობას უნდა მოეთხოვა თუ არა ხელისუფლებისაგან ფული და თუ „ფულს ვითხოვთ რა ანგარიშით და მიზეზითო“—კითხულობდა ანკეტა.

ჩვენ მოვიყვანთ ორიოდე ამონაწერს, თუ რას უპასუხებენ ამ კითხვაზე. მაგალითად, გორის მაზრის 74 თავადი და აზნაური: ერისთავები, თარხან-მოურავები, ამილახვრები, ციციშვილები, ჯავახიშვილები, ავალიშვილები, ფავლენიშვილები, მაღალაშვილები, მაჩაბლები, აბაშიძენი და სხვ., ჩივიან:

„რა რომ გლეხებს თავისუფლება გამოეცხადებათ, ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან, ჩვენ კარითი კარათ უნდა ვეთრიოთ და მოწყალება ვითხოვოთ, აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახებისა და მიწის შემმუშავებელი, აღარც საქონლისათვის მწყემსი და აღარც შვილების გამომზრდელი ძიძა“ [1]. ასეთ პირობებში ჩვენ უდავოდ დავიღუპებით თუ ფულები არ მოგვეცა, მით უმეტეს, რომ მთლიანად ჩაფლული ვართ ვალებშიო.

თელავის მაზრის 48 თავადი და აზნაური: ჩოლოყაშვილები, ჭავჭავაძეები, მაყაშვილები, ვახვახიშვილები, ყარალაშვილები, ჯანდიერები, ქობულაშვილები და სხვ. ერთხმად ღაღადებდნენ: „არ არის მთელს კახეთში არც ერთი კეთილშობილის ოჯახი, რომ დატვირთული არ იყოს პრიკაზის ვალითა, ან გარეშე პირთაგან დიდი სარგებლით ნასესხები ფულითა. ეს სამძიმო მდგომარეობა წარმოდგა ამ საუკუნეში; სხვა და სხვა გარემოებამ შეგვავიწროვა და ნამეტნავად სასამართლოებში ბრძოლამ ჩუენს ყმებთან, ანუ თუ ურთიერთა შორის, ასე რომ არ არის ჩვენში არც ერთი გუარი, რომელსაც თავისი ყმა და მამული დიდის ტანჯვით და ხარჯით არ გამოეხსნას დავისაგან და არ განეელოს რუსეთის მთავრობის სამჯავროებში ერთხელ ანუ ორჯელ“.

„ეს ვალი ისე აღორძინებულია ყოველს საგუარეულოში, რომ თვითეულს ოჯახს ექადის დაცემა და აოხრება, ამის

[1] საქ. მუზეუმი, ხელნაწერთა კოლექცია Hd № 2348, გვ. 17., იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „ქართული ჟურნალისტიკა“, I, 396 — 470.

გარდახთაც არავის შეეძლო აქომამდე, რადგანაც მხარე ჩუენი, გარემოცული განძვინებულთა ჩუენზედ ველურთა კავკასიის შვილთაგან, ასეთს აღშფოთებულს და განუსვენებელს მდგომარეობაში იყო 1859-მდე; თვითეულის სახლის ყოველნი ჰასაკოვანნი წევრნი მამრნი, დაიარაღებულნი დარაჯობდნენ თავის სახლობას უეცრად მტრის ზედა დასხმისაგან; — უნდა ვსთქვათ ესეცა, რომ მრავალი მათგანი უმეტესს ნაწილსა წელიწადისასა განატარებდნენ სამსახურში თავისს სახლობათაგან გაშორებულნი, და ამისთანა მდგომარეობაში ნუ თუ შესაძლებელ იყო ჩვენგან გაუმჯობესება ყმისა და მამულისა და იქიდამ შემოსავლით ვალების გადახდა? ამისთანას განწირულებითს მდგომარეობაში მყოფნი ჩუენ, გლეხების განთავისუფლების შემდეგ, უეჭველია უარეს ვიწროებაში ჩავვარდებით, რადგან მოვაკლდებით სხუა და სხუა იმათს სამსახურსა და გამოსაღებსა და აგრეთვე მოსამსახურეებსა და მუახლეებს, თუ ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ხელს არ აგვიპყრობს ამაში“.

თავ. დავით ციციშვილი უპასუხებს, რომ „თვით მართველობა დარწმუნებული არის, რომელ საქართველოს კეთილშობილნი კნინლა გამოურიცხველად არიან შთაფლულნი გარდუხთელთა ვალთა შინა; ყმანიცა და მამულნი მათნი არიან გირაოდ, ზოგნი პოდრიადებში, ზოგნი პრიკაზში და ზოგნი კერძოობითთ პირთან; ამ ვალების სარგებელსაც კი ხშირად ვერ ფარავს მამულის მთელი შემოსავალიო“.

სიღნაღის მაზრიდან 69 თავადი და აზნაური მოსთქვამს:

„არ არის კახეთში თითქმის არც თუ ერთი ოჯახი კეთილ-შობილის, რომელიცა დატვირთულ არ იყოს პრიკაზის ვალითა და გარეშე პირთა დიდის სარგებლით ნასესხების ფულითა. ამის მიზეზნი არა ვართ თვით ჩვენ. ესე სამძიმო მდგომარეობა ჩვენი წარმოსდგა აწყნოს საუკუნეში, სადაც სხვა და სხვა გარემოებამ შეგვავიწროვეს ჩვენ და ნამეტანვად სასამართლოებში ბრძოლამ ჩვენ ყმებთან და ურთიერთშორის...“

ამის მერმე, ქვემოთ ისინი აცხადებენ: „ეს ვალი ესრედ აღორძინებულია თვითეულს საგვარეულოსაგან, რომ თვითეულს ათასი წლის ოჯახსა ექადის დაცემითა. ამის სარგებლის გადახდა არავის შეეძლო აქამომდე, რადგან მხარე ჩვენი გარემოცული განძვინებულთა ჩვენზედ ველურთა კავკასიის შვილთაგან ისეთს აღშფოთებულს და მოუსვენელს მდგომარეობაში იყო დაყენებული;... რომ თვითეულსა სახლსა ყოველნი ასაკოვანნი მამრნი და თოფის ამღებელნი დარაჯობდნენ თავიანთ სახლობას მტრის უეცარის დაცემისაგან. — უნდა ვსთქვათ ესეცა, რომ მრავალი მათგანი უმეტეს ნაწილთა წელიწადთა განატარებდნენ სამსახურში თავიანთ სახლობათაგან მოშორებულნი... და ამისთანა მდგომარეობაში ნუ თუ შესაძლებელი იყო ჩვენგან გაუმჯობესება ყმისა და მამულისა და იქიდან შემოსავლით ვალების გადახდა? წინადვე დავკარგავდით ვალში ჩვენთა ყმათა, უკეთუ ბრწყინვალეს კარის კაცს განსვენებულს ვ ა რ ა ნ ც ო ვ ს არ დაეწესებინა ბანკი“ [1].

აქ ნათლად არის აღნიშნული ის მიზეზები, რომელთაც აიძულეს თავადაზნაურობა ჩავარდნილიყო სავახშო კაპიტალის კლანჭებში. უკანასკნელმა ისე მოხერხებულად და „მშვიდობიანად“ გაფცქვნა ბრწყინვალე თავადი და ტახტის აზნაური, რომ უკანასკნელთ ამ მათთვის ყველაზე დაუძინებელი და დაუნდობელი მტრის წინააღმდეგ ერთხელაც არის ხმალი არ უშიშვლიათ, ერთხელაც არის მათი სისხლი არ დაუღვრიათ!

მაგრამ თუ ასეთი იყო მდგომარეობა რეფორმამდე თავადაზნაურობისათვის, იგი არ გაუმჯობესებულა მისთვის არც რეფორმის შემდეგ. პირიქით, რეფორმის შემდეგ ბევრად უფრო ფართოდ გაიდგა ფეხები მევახშეობამ, რამდენადაც ფული სულ უფრო და უფრო დიდი ზომით ჭირდებოდა ფეოდალს ასე ძლიერად შემოჭრილი ფუფუნებითი ცხოვრების მოსაწყობად, მოდური კოსტიუმებისათვის, ნადიმებისა და დღეო-

[1] შეადარე ნ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, „ბურებთან“ (მოგონება), 1951, თბილისი, გვ. 17, 40.

ბათათვის, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში დაწინაურების მიზნით ქრთამებისათვის, თეატრებისათვის და საერთოდ თავისი უსაქმური ცხოვრებისათვის „შინაარსის“ მისაცემად.

1873 წელს გაზ. „გუთნის დედა“-ში ანტონ ფურცელაძე წერდა: „რომ შეიკრიბებოდეს სტატისტიკური ცნობანი, ვნახავთ, რომ მომეტებულს ნაწილს ჩვენი მამულის მეპატრონეთ: გლეხთა თუ თავადაზნაურთა ჰმართებთ იმდენი ვალი, რომ ამათი მამულები არ აუხდებათ ამ ვალსა. მომეტებული ნაწილი ამ მამულების შემოსავლისა მიდის ვალების სარგებელში დარამდენიცხანი გადის, იმდენი მოკლების მაგიერათ ემატებათ ამ ვალებს. უეჭველია თუ ეს გარემოებანი და საზოგადო დაწყობილებანი არ შეიცვალენ, დღეს იქნება თუ ხვალ (ჩვენი მამულები) წავა ჩვენი ხელიდამ და ჩვენ დავინახავთ თავს მამულში, რომელისაც ყოველი ნაბიჯი არის მორწყული მამაპაპის სისხლით, იმაზედ უარეს მდგომარეობაში, რაშიაც არიან დღეს ირლანდიელნი და სხვა ზოგიერთი დასავლეთ ევროპისა და ინგლისეთის პროლეტარი და პაუპერები. იქაურს უმამულო ხალხს კიდევ აქვს გზა რაიმე ლონისძიებით, შიგადაშიგ მაინც არ მოიკლას თავი შიმშილითა: მიჰმართავს ქარხნებს და სხვა სამუშაო ადგილთა. მაგრამ ჩვენ რა გვრჩება თუ მამულები ხელიდამ გავუშვით?“ [1].

ამგვარად, რეფორმების მერე სავახშო კაპიტალის მეოხებით ადგილმამულს კიდევ უფრო დიდის რაოდენობით და სიჩქარით ჰკარგავენ როგორც გლეხები, ისე ფეოდალები, განსაკუთრებით წვრილი თავადაზნაურობა; რომელთაგან ამიერკავკასიაში „ამის გამო წარმოსდგება ყველაზე მოუსვენარი და საშიში კლასი პროლეტარებისაო“, — გაფრთხილებას იძლეოდა რუსული რეაქციული ორგანო „Слово“ [2].

---

[1] ა. ფურცელაძე, „სასოფლო წერილები“, იხ. გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ., № 14.

[2] გაზ. „Слово“, მოსკოვი. 1879, № 164.

5. კომუტაციის გავლენა მევახშეობაზე

სავახშო კაპიტალის როლი და მნიშვნელობა მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო ვითარდებოდა ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე აღებ-მიცემობა, გაცვლა-გამოცვლა, ფულის ტრიალი, საქალაქო ცხოვრების გავლენა და სხვ. მევახშეობის აყვავებას ყოველგან დიდად უწყობდა ხელს აგრეთვე სახელმწიფოს მიერ ნატურალურ ბეგარა-გამოსაღებთა კომუტაცია — ფულში გადაყვანა.

ცნობილია, რომ მეტროპოლიის ხელისუფლება ჩვენში იმ-თავითვე ყოველთვის ცდილობდა ნატურალური სახაზინო გადასახადების ფულზე გადაყვანის დაჩქარებას და ამის გამო თითქმის მთელს ამიერკავკასიაში ის მოხდა კიდევაც ნაადრევად — და ამას ადგილობრივი ხელისუფლებაც აღიარებდა თავის დროზე, — ე. ი. მაშინ, როდესაც გამომღებელთა წოდებაში (податное сословие), ე. ი. მოსახლეობის ძირითად მასებში, გლეხობაში ჯერ კიდევ არ იყო სათანადო ზომით შეჭრილი ფულის ტრიალი. მაგალითად, გურიაში 1838 წლამდე სახაზინო ბეგარებს იხდიდნენ ნატურით, პროდუქტით. 1838 წლიდან-კი ხელისუფლება იწყებს ცდებს აქ შემოიღოს ფულადი გადასახადები; მაგრამ შიშობენ, რომ ეს მეტისმეტად დაამძიმებს საერთოდ ბეგარებს, რამდენადაც ეს ხალხი, „არ იცნობს რა ჯერ კიდევ კომერციულ მესარეწეობას, მეტად ღარიბია ფულითო“, როგორც წერდა 1838 წლის 1 იანვარს ბარონ როზენი სამხედრო მინისტრ თავ. ა. ი. ჩერნიშევს. იმ საგანგებო მინდობილების მოხელემაც, რომელიც როზენმა სწორედ ამ საქმის შესასწავლად მიავლინა გურიაში, ძირითადად უარყოფითი დასკვნა გამოიტანა, თუმცა საბოლოოდ მაინც შესაძლებლად ცნობდა „ზომიერ ფასებში ნატურალური ბეგარების გადაანგარიშების“ გზით მომხდარიყო კომუტაცია. მართლაც, სულ მალე, მთავრობის განკარგულებით, მოხდა ნატურალური ბეგარების „ზომიერ ფასებში“ ფულზე გადაყვანა და მოსახლეობას დაეკისრა უკვე გასული, 1837, წლის გადაუხდელი ბეგარების ფულით გადახდა.

გასაგებია, მოსახლეობას, რომელიც „მეტად ღარიბი იყო ფულით“ და რომელსაც თავისი ნაწარმოების გასასაღებელი ბაზარიც არ მოეპოვებოდა, ძლიერ გაუჭირდებოდა ბეგარების ფულით გადახდა; გასაგებია ისიც, რომ ასე დიდი მოთხოვნილება ფულზე, რაც ხელისუფლებამ ერთბაშად წამოაყენა, გამოიწვევდა მევახშეობის აყვავებას და ფულადი კაპიტალის პატრონები მეტად გაზრდიდნენ სარგებელს, რაც გურიაში ისედაც ძეტად მაღალ დონეზე იდგა.

მაგ., 1820 წელს ომაინ ნაკაშიძისათვის გიორგი გოგიტაძის მიერ მიცემულ ბარათში ნათქვამია: „მე ფული მიჭირდა, მასესხე შენ 37 ყურუში და 17 ფარა. სანამ ეს შენი თეთრი ჩემს ხელთ იყოს, მე ვალდებული ვარ გადაგიხადო შენ თვეში 100 ფარა, შენ შეგებრალე და ამ სარგებელს დამსჯერდიო“ [1]. თუ ყურუში იმ ხანებში 40 ფარად ხურდავდებოდა [2], მაშინ 1497 ფარისათვის თვეში 100 ფარა სარგებელი, რაც დოკუმენტში მცირე სარგებელადაა მიჩნეული, უდრის 84%-ს წლიურად; და ამ დროიდან ოციოდე წლის შემდეგაც სარგებლის ეს დონე არაფრით არ უნდა ყოფილიყო დაწეული. ცნობილია, ასეთ პირობებში, თუ რა შედეგი მოჰყვა ზემოხსენებულ ნაადრევ კომუტაციას, რითაც მეტროპოლია, სხვათა შორის, ცდილობდა კოლონიაში ნატურალური მეურნეობის დარღვევის დაჩქარებასაც; 1841 წ. გურიის მრისხანე აჯანყების ერთ-ერთი მიზეზთაგანი შეიქნა სწორედ კომუტაცია [3] — ნატურალურ ბეგარა-გადასახადთა ფულში გადაყვანა [4].

საქართველოს წვრილმწარმოებელთა მასებზე ამ ნაადრევი კომუტაციის გამანადგურებელი გავლენა მხედველობიდან არ გამოპარვია დიდი ქართველი პოეტისა და პუბლიცისტის ილია ჭავჭავაძის ყურადღებას: „უწინ, ამ საუკუნის სა-

---

[1] დ. ბაქრაძე, АПГА, 333.

[2] იხ. პ. გუგუშვილი „ფულის ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ 1937. თბ. 49.

[3] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1938 г., I, 608—636.

[4] დიმ. ყიფიანი, „მემუარები“, 1930. ტფ. გვ. 86.

წყისამდე — წერდა ი ლ ი ა 1887 წელს — თვით სახელმწიფო ხარჯსაც-კი პურითა და ღვინით იხდიდა [მებეგრე წოდება]. მხოლოდ ამ საუკუნეში, როდესაც ჩვენი ეროვნული ცხოვრება ძირეულად შეიცვალა, შემოღებულ იქნა ფულით გადახდა ხარკისა. ცხოვრებამ კი ისეთი მიმდინარეობა მიიღო, რომ ჩვენს ხალხს, მეტადრე მოხარკეს (податное сословие), რაც უნდა ექნა და ფული კი უნდა ეშოვა და ყოველი ხარკი ისე უნდა გაესტუმრებინა: მაგრამ როგორ ეშოვა ფული, როგორ ექცია თავისი ნაწარმოები ფულადა?" — სვამს ი ლ ი ა კითხვას და უპასუხებს, რომ, რადგან სოფლის ნაწარმოებზე მოთხოვნილება და მისი მიწოდებაც არ არის განვითარებულ-ორგანიზებული, ამიტომ გლეხი „იძულებულია ფულიან კაცს მიმართოს და უნდა ჩალის ფასად მიჰყიდოს თავისი ნაწარმოები, ოღონდ გაჭირვებაში ხელი გაიმართოს. აი, აქ იჩენენ ხოლმე თავს ყოველგვარი ჩარჩები და მევახშეებიო[1]".

პროფ. ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, იხილავს რა საქართველოში კომუტაციის საკითხს წერს: „რა თქმა უნდა, ნატურალური გადასახადის ფულადი დაბეგვრით შეცვლას თავისთავად მოსახლეობის ფართო მასისათვის, გლეხობისათვის, არც ბაზარი გაუდიდებია და არც ფულის შოვნა გაუადვილებია, მაგრამ ეს ფაქტი მით არის მნიშვნელოვანი, რომ მან იძულებული გახადა ხალხი გაცვლა-გამოცვლისათვის, საბაზრო წარმოებისათვის მეტი ყურადღება მიექცია და ამით კარჩაკეტილი მეურნეობის კედლები გაერღვიაო"[2];—სწორედ ეს გარემოება უმთავრესი ფაქტორთაგანი იყო სოფლად მევახშეობის აყვავებისათვის და, მაშასადამე, გლეხობის გაღატაკებისათვის, რასაც განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიეცა ყმა გლეხთა ე. წ. განთავისუფლების შემდეგ, როდესაც გლეხის პიროვნება „თავისუფალი" შეიქნა და გლეხთა გარეშე-ეკონომიკურ იძულებაზე დამყარებულ ექსპლუატაციას არ ჩამოელვარდებოდა წმინდა ეკონომიკურ იძულებაზე დაფუძნებული ფორმები ყვლეფისა და მით უფრო დიდი ზომით,

[1] იხ. გაზ. „ი ვ ე რ ი ა" 1887 წ. მოწინავე.

[2] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი. „საქართველოს ეკონომიური განვითარება მე-19 საუკ." (იხ. ჟურ. „კ ვ ა ლ ი", 1902 წ., № 49 — 50).

რაც ამასობაში კომუტაცია თანდათან უფრო ფართე ხასიათს ღებულობდა.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სოფლად მევახშეობის განვითარებას განსაკუთრებით შეუწყობდა ხელს, ცხადია, გამოსასყიდელი ოპერაციები. როგორც ცნობილია ამიერკავკასიაში „განთავისუფლებული“ გლეხობისათვის მიწების გამოსყიდვის მხრივ მთავრობას არსებითად არავითარი დახმარება არ გაუწევია. მართალია, კავკასიის ნამესტნიკი გლეხობას უცხადებდა, რომ „გამოსასყიდელი ოპერაციის მიზანია გამოსყიდვა ბეგარებისა და არა სანადელო მიწების ღირებულებისა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოყიდვა ხდება მიწის რენტისა და არა მიწის ღირებულებისა. გამოსასყიდელი ოპერაციის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ გამოსასყიდელი თანხის ჯამი იანგარიშება არა მიწის ხარისხოვნობის ნიშნის, არამედ ღალის კაპიტალიზაციის მიხედვითო“.

მაგრამ ეს ლათაიები, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, მხოლოდ იმისათვის იყო გამოგონილი, რათა ღალის კაპიტალიზაციის მიხედვით ნაანგარიშევი მიწის გამოსასყიდელი თანხა ბევრად უფრო მეტი ყოფილიყო, ვინემ იმ ხანებში იყო მიწის ჩვეულებრივი გასაყიდი ფასი, რათა ამ მეთოდით მიწის გამოსყიდვის გზით გლეხობას გამოესყიდა არა მხოლოდ მიწა, არამედ თავისი თავიც, ე. ი. „ყმის სულიც“;— ანდა, უკეთ ვთქვათ, არსებითად ვერ მოეხერხებია ვერც ერთისა და ვერც მეორის გამოსყიდვა.

რეფორმის გატარების დროიდანვე ჩვენმა გლეხობამ გულსრულად შეუტია „ცხრათავიან დევს“, — წოდებრივ, მემამულურ მიწათმფლობელობას—და დამოუკიდებლად გაშალა მიწის გამოსყიდვის ოპერაციები, რადგან ცარიზმის ხელისუფლებამ თითქმის არავითარი სურვილი არ გამოააშკარავა ამ „განაპირა ქვეყნის“ გლეხობისათვის დახმარების გაწევის მიმართულებით.

ხელისუფლებისაგან „უპატრონოდ მიგდებულ გლეხობას“ ერთადერთ „მზრუნველად“ მევახშეები გამოუჩნდნენ, რომლებიც დიდის ხელგაშლილობით, განსაკუთრებულ ფორმალობათა გარეშე, აძლევდნენ მათ ფულს სესხად მიწების გა-

მოსასყიდად. მევახშეთა მისწრაფებას სარგებლის (%%) განუწყვეტლად აწევაში საზღვარი არ ჰქონდა. უკვე პირველსავე ათეულ წლებში დაიწყო ყრუ დრტვინვა გლეხობისა არაჩვეულებრივად მაღალი მევახშური სარგებლის წინააღმდეგ. პროგრესული ინტელიგენცია და პრესა ალაპარაკდა მევახშეობის დამღუპველი გავლენის შესახებ; — მათ ზურგს უმაგრებდა მევახშისავე კლანჭებში მომწყვდეული თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თვით ცარიზმის ადგილობრივი მსხვილი მოხელეებიც კი ახმაურდნენ და დაიწყეს „ზრუნვა“ გლეხობისათვის იაფი კრედიტის მიწოდებისათვის. მაგალითად, მ. კ უ ჩ ა ე ვ ი 1881 წ. წერდა: „მოთხოვნილება საადგილმამულო კრედიტში განსაკუთრებით საგრძნობია კავკასიის სანამესტნიკოში, სადაც გლეხობისა და სოფლელთა ნადელების გამოსყიდვის ოპერაციები მთავრობისაგან დახმარების გარეშე წარმოებსო“ [1]. ამასთანავე იგი ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებასაც, რომ „ამიერკავკასიის მრავალ ადგილას მორწყვა ძირითადი დამახასიათებელი ფაქტორია მიწათმოქმედებისა, ხოლო ფართო მასშტაბით და სისტემატურად ირიგაციულ სამუშაოთა წარმოება კერძო კაპიტალებით, კრედიტის დახმარების გარეშე... მეტად ძნელი საქმეაო“ [2].

ესენი აქეზებდნენ რა გლეხობას მიწების გამოსყიდვისა და მიწათმოქმედების გაუმჯობესებისაკენ თანვე „ხელის გამართვას“, „პრაქტიკულ დახმარებას“ ჰპირდებოდნენ სხვადასხვაგვარი საკრედიტო ორგანიზაციების, ბანკების, დაარსების მეოხებით. ადგენდნენ ასეთ საკრედიტო დაწესებულებათა პროექტებს, რომელთაც ვითომ იაფი კრედიტის მიწოდებით უნდა გაეადვილებიათ გლეხობისათვის მიწების გამოსყიდვა.

მართალია, 1870 — 1900-იან წლებში სხვადასხვა საშუალებებით გლეხებმა მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიძინეს მემამულეთა მიწები, მაგრამ მათში ეს მიწები მხოლოდ მდიდარმა და ნაწილობრივ საშუალო გლეხებმა შეინარჩუნეს.

[1] М. К у ч а е в, „Аграрные вопросы в Закавказском крае с точки зрения политико-экономической“, 1881. Тифлис, стр. 44.
[2] იქვე, 45.

ღარიბ გლეხობას არამცთუ არ შეეძლო მიწების გამოსყიდვა და შესყიდვა, არამედ თავისი მცირეოდენი მიწის ნაჭერიც ხელიდან ეცლებოდა.

ამ მხრივ ამიერკავკასიელ ღარიბი გლეხობის მდგომარეობას სავსებით შეესაბამება, რუსეთის ღარიბი გლეხობის დახასიათება მოცემული ვ. ლენინის მიერ: „სოფლის ღარიბ გლეხობას მიწის შეძენაზე კი არ უხდება ფიქრი, არამედ იმაზე, რომ როგორმე გაიტანოს თავი. მას პურისათვის არა ჰყოფნის ხშირად ფული, არა თუ მიწის საყიდლად. ამიტომ ყოველგვარი ბანკი, საერთოდ, და საგლეხო ბანკი, განსაკუთრებით, მიწის შეძენაში ეხმარება არა ყველა გლეხს (როგორც ხანდახან გვარწმუნებენ გლეხის მატყუარა ადამიანები ან მეტად გულუბრყვილონი), არამედ გლეხების მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვს, მხოლოდ ბობოლებს. ამიტომ გლეხის ის ცუდი მრჩეველნიც... არ არიან მართალნი, როცა ამბობენ, თითქოს გლეხები იძენდნენ მიწას, თითქოს მიწა გადადიოდეს კაპიტალიდან შრომისაკენ. შრომისაკენ, ესე იგი ღარიბი მუშაკაცის ხელში მიწა არასოდეს არ შეიძლება გადავიდეს, იმიტომ რომ მიწისათვის ფულის გადახდაა საჭირო, ხოლო ზედმეტი ფული ღარიბ გლეხობას, რა თქმა უნდა, არასოდეს არა აქვს. მიწა გადადის მხოლოდ მდიდარი, ფულიანი გლეხების ხელში, კაპიტალისაკენ“ [1].

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების დროიდანვე გლეხების მისწრაფებას მიწების გამოსყიდვა-შეძენისაკენ, საბოლოო ანგარიშით, მოსდევდა „განთავისუფლებული“ ღარიბი გლეხობის დაკაბალება მემამულისა და კულაკ-მევახშის მხრივ. ს. მესხი 1875 წ. გაზ. „დროებაში“ (№ 12) წერდა, რომ „ახლანდელი ჩვენი გლეხობის... სიღარიბესა და დაცემას, სხვათა შორის, ორი ეკონომიური ძალა უწყობს ხელს: სოფლის ვაჭრები, ანუ უკეთ ვსთქვათ ფულის გამსესხებელნი და ნაბატონრებიო“ [2].

ორიოდე წლით ადრე პ. ფურცელაძე ბევრად უფრო გარკვევით მიუთითებდა, რომ გლეხობის ძირითად მასებს

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, VI, 474.
[2] ს. მესხი, ნაწერები, I, გვ. 229 — 231.

ნადელების შესასყიდათ ერთადერთი გზა გააჩნიათ: მათ მოუხდებათ გამოსასყიდელი თანხის „ვალად აღება, რომლისაც გადახდას ძვირად თუ შესძლებს ვინმე, და ამათი ნადელი უნდა დარჩეს მევალეებსო“. აღსანიშნავია, რომ აქედან გამომდინარე იგი აცხადებდა: „აქამდის ჩვენი სასიხარულო ის იყო, რომ თითქმის არ გვყვანდა პროლეტარი, მაგრამ ახლა თუ გავხედეთ კარგად მომავალში და ჩავაცქერდით იმ გარემოებათა, რომელშიაც ჩვენ თანდათანა ვცვივდებით, ჩვენში პროლეტარი არადა პაუპერიზმიც აუცილებელიაო“ [1].

ერევნის გუბერნატორი გენ. შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ეხებოდა რა სომხეთის გლეხობის მდგომარეობას აღიარებდა, რომ მიწების გამოსყიდვის მიზნით გლეხობა „იძულებულია სესხისათვის მიმართოს კერძო პირებს ანუ, უფრო სწორად, მევახშეებს, სპეკულანტებს და სხვ. მოხვდებიან რა ასეთ პირთა ბადეში სოფლელნი იშვიათად თუ თავისუფლდებიან ვალებისაგან და იძულებულნი ხდებიან ნელ-ნელა დაუთმონ კრედიტორებს არა მხოლოდ შემოსავალი, არამედ თვით მიწაც“ [2].

სახელმწიფო გადასახადთა ამკრები ინსპექტორი, რომელმაც 1900-იანი წლების დამდეგს გამოიკვლია სოფ. ნაფარეულის (თელავის მაზრა) გლეხთა მდგომარეობა, აღნიშნავს, რომ ნადელების გამოსასყიდლად აღებული ვალი და მისი სარგებელი ისე მძიმე ტვირთად აწევს ამ გლეხობას, რომ „ეს ოდესღაც აყვავებული და მდიდარი სოფელი ლამის კვალ-წმინდათ ამოწყდესო“ [3].

სოფ. კონდოლელმა გლეხებმა 1897 წ. თხოვნით მიმართეს თბილისის გუბერნატორს: მოუსავლობისა და სხვა გაჭირვებათა გამო ისეთს მდგომარეობაში ვართ, რომ „არ შეგვიძლია ერთსადაიმავე დროს ვიხადოთ სახელმწიფო ხარჯიცა, საერობო გადასახადიცა და ნადელების შესყიდვაზე დადებული ვალის თავნ-სარგებელიცა. ამიტომ გთხოვთ სრულიად განგვათავისუფლოთ ნადელების ფულის ხდისაგან და ჩვენი

[1] ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, „სასოფლო წერილები“, I (გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ. № 14).

[2] СМЭБГК, V, I, 27.

[3] ჟურ. „მოამბე“, 1904 წ. № 11, გვ. 108 — 109.

გამოსყიდული მამულები ისევ ხაზინას დაუბრუნოთო"[1]. გლეხობის ამ თხოვნისა და მდგომარეობის განსახილველად გამოყოფილმა მომრიგებელმა შუამავალმა აღიარა, რომ „ჩვენი და დრტვინვა კონდოლელებისა საზოგადოთ სიმართლეს არ არის მოკლებულიო".

ამგვარად, მიწის გამოსასყიდელ ოპერაციებისა და საერთოდ მიწის შეძენისაკენ მისწრაფებისაგან წარმომდგარ შესატანებთან ერთად სახელმწიფო გადასახადები, საერობო მოსაკრებლები და სხვ. გადასახდელები ისე მძიმე ტვირთად აწვებოდა გლეხობის ძირითად მასებს, რომ უკიდურეს გაჭირვებამდე მიყავდა ისინი[2].

ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თვითმპყრობელობის ბიუროკრატია ყოველმხრივ ცდილობდა გაედიდებია სხვადასხვა ბეგარა-გადასახადების მოცულობა „განაპირა ქვეყნების" გლეხობისათვის. მაგალითად, 1900-იანი წლების მიწურულს, ამ მიზნით, დაიწყეს მტკიცება, რომ თითქოს ამიერკავკასიაში საადგილმამულო გადასახადი უფრო დაბალია, ვინემ „მიგა რუსეთშიო.

ამიერკავკასიაში ერობის შემოღების თაობაზე 1909 წ. თბილისში შემდგარ საგუბერნიო თათბირზე გამოსული ფ. გოგიჩაიშვილი აცხადებდა: „იმ აზრს, ვითომ მიწები ჩვენში უფრო ნაკლებად იყოს დაბეგრილი ვინემ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, მე ვთვლი საკვლევით არასწორად... ამ აზრს არავითარი საფუძველი არა აქვს. დაბეგვრის ნორმის გამოანგარიშების საფუძველი ცენტრალურ გუბერნიებში და ჩვენში სხვადასხვანაირია. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენში ყოველი გადამხდელისათვის გადასახადის ჯამი იანგარიშება ცალკე რაიონების მიხედვით, მიწის შემოსავლიანობის საფუძველზე. შემოსავლიანობას კი თავის მხრივ საზღვრავენ, უმრავლეს შემთხვევაში, თეორიული ხასიათის გამოანგარიშებათა და მიახლოებათა გზით. ფრიად და ფრიად ხშირად შემოსავლიანობა იან-

[1] „მოამბე", 1897 წ. № V.

[2] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...", IV, 46, 810, 814—15, 830—31.

გარიშება არა იმ ზომით რაც არის ნამდვილად, არამედ იმ ზომით, რაც შეიძლება იყოს წესიერი მეურნეობის პირობებში. მაგალითად, რაიმე სახმარი მიწა, ვთქვათ ტყე, საიდანაც მფლობელი არც ერთ კაპიკ შემოსავალს არ ღებულობს, უგზოობისა თუ სხვა ეკონომიკური ხასიათის მიზეზთა გამო, თავისუფალი უნდა იყოს გადასახადისაგან, თუ რომ დაბეგვრის დროს მხედველობაში მიიღებოდა მამულის ფაქტიური შემოსავალი. სინამდვილეში კი ასე არ არის და მაშინაც კი როდესაც გამოანგარიშება ეხება ნამდვილად შემოსავლიან სახმარ მიწებს, უმრავლეს შემთხვევაში გამოანგარიშებული ჯამი შემოსავლიანობისა, რაც გადასახადის გაწერის ბაზას წარმოადგენს, დიდად ჩამორჩება ნამდვილ შემოსავლიანობას, ე. ი. ფაქტიური შემოსავლიანობა ბევრად უფრო დაბალია ამ „საგადასახადო შემოსავლიანობისაგან". მე უკვე არაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ჩვენში არსებული დაბეგვრის სისტემით გადასახადის საერთო ჯამი არაა დამოკიდებული მიწების შემოსავლიანობაზე, არამედ, პირიქით, ამ საერთო ჯამზეა დამოკიდებული საგადასახადო დაბეგვრის სიმაღლე, და ამიტომაც გუბერნიის მოსახლეობისგან საერობო გადასახადის საერთო ჯამის (1.100 ათასი მან.) „ამოქაჩვის" ფაქტის საფუძველზე, როგორც აქ ითქვა, ვაკეთოთ დასკვნა მოსახლეობისათვის გადასახადის არსებული ზომის ამტანუნარიანობის შესახებ და თვით მისი გადიდების შესაძლებლობის შესახებაც, მეტი რომ არა ვთქვათ, უსაფუძვლოა"[1].

თავის ადგილას ჩვენ დავინახეთ, რომ სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი და, მაშასადამე, სხვადასხვაგვარი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები [მოსახლეობის ერთ სულზე ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანად უფრო მეტი იყო ვინემ შიგარუსეთის გუბერნიებში. და ამდენადვე, ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიკური ჩამორჩენილობის პირობებში, ცხადია, ამიერკავკასიელი გლეხობის მევახშეებისადმი დამოკიდებულებაც უფრო მძიმე ფორმებში უნდა ყოფილიყო და იყო კიდევაც განვითარებული. ჯერ კიდევ 1889 წ. გაზ. „მეურნეს" ფელეტონისტი აღნიშნავდა, რომ სხვადასხვაგვარ

[1] МВЗУЗ, VII, Стр. 249—250.

უზომო გადასახდელთა მეოხებით, "რაც კისრად აწევს ჩვენს გლეხობას, ხდება ის „რომ უბრალო სოფლის მ ე წ ვ რ ი ლ მ ა ნ ე, ორიოდ თუმნის მქონე მედუქნე, თითქმის სრულებით ხელში იჭერს გლეხკაცის ყოველგვარ ქონებას, მოძრავსა და უძრავსა. იმ ორიოდ თუმნის მსხვერპლადა ხდება დიდი ხნის ნაჭირნახულევი და ოფლით მორწყული ვაზები, მამა-პაპის შიგ ძვლებ ჩაყრილი სახნავი მიწები, საქონელი და თვით ერთადერთი თავშესაფარებელი ქოხიც კი“ [1].

30 წლის შემდეგ თბილისში გამართულ „საერობო თათბირზე“ გამოსული ი. ჯ ა ბ ა დ ა რ ი აცხადებდა: „ნუ თუ თქვენ არ გინახავთ, რომ 2 — 3 კულაკს ხელში ეჭიროს 500 და 1000 კომლისაგანაც შემდგარი მოსახლეობა (სოფელი)“— რაც ასე ჩვეულებრივია ჩვენს სინამდვილეში და ანგარიშის გაწევას მოითხოვსო [2].

6. შემსყიდველი — მევახშე

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ანსხვავებს რა წვრილ სარეწავებში სავაჭრო კაპიტალის ძირითად ფორმებს, ერთ-ერთი ფორმის სპეციფიკურობას იმაში ხედავს, რომ ს ა ვ ა ჭ რ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მეორე ფორმა არის მისი შ ე ე რ თ ე ბ ა მ ე ვ ა ხ შ ე ო ბ ა ს თ ა ნ. „გლეხი, რომელსაც ფული მუდამ სჭირდება, სესხულობს შემყიდველისაგან ფულს და შემდეგ ვალში აძლევს მას თავის საქონელს. ამ შემთხვევაში (რაც ძალიან გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს) საქონლის გასაღება ყოველთვის ხდება ხელოვნურად დაწეულ ფასებში, რის გამოც შინამრეწველს ხშირად ხელში იმდენიც არ რჩება, რამდენის მიღებაც დაჭირავებულ მუშას შეეძლო. ამასთან, კრედიტორის და მოვალის ურთიერთობა აუცილებლად იწვევს უკანასკნელის პირად დამოკიდებულებას, კაბალას, იმას, რომ კრედიტორი სარგებლობს მოვალის გაჭირვების განსაკუთრებული შემთხვევებით და სხვ.“ [3].

---

[1] გაზეთი „მეურნე“, 1889 წ. № 29 — 30, გვ. 9.

[2] МВЗУЗ, VII, 152.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, III, 429.

შემსყიდველის ევოლუცია უშუალოდ დაკავშირებულია საერთოდ საქალაქო ცხოვრების განვითარებასთან. მისი მთავარი მიზანია, — რამდენადაც იგი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ქალაქში მიმწოდებელს, — გაბატონდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გამსაღებელ სოფლებში, მევენახეობის, მებაღეობის, მეაბრეშუმეობის, მებამბეობის და მემინდვრეობის მოწინავე რაიონებში; ანდა, თუ იგი შინამრეწველობის პროდუქტებით ვაჭრობს, სოფლის ნაწარმოების უშუალოდ მწარმოებელთაგან შეძენისა და უახლოეს ცენტრში მისი რეალიზაციის საქმეში მონოპოლიური მდგომარეობა შეიქმნას, რაც შეიძლება დიდი მოგების მისაღებად.

ჩვენში შემსყიდველები იყვნენ უმთავრესად სომხები, ებრაელები და აგრეთვე არაიშვიათად — განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში — ადგილობრივი კულაკები. ადგილობრივი ბობოლები საბოლოო ანგარიშით უმეტესად მხოლოდ პირველთა აგენტებს წარმოადგენდნენ, რამდენადაც მათს სავაჭრო ბრუნვებში უშუალო მონაწილეობას ან სრულებით არ ღებულობდნენ, ან თუ მონაწილეობდნენ, მხოლოდ უმნიშვნელო ზომით.

ის მთავარი იარაღი, რომლის მეოხებითაც შემსყიდველი ხელში ჩაიგდებდა ხოლმე, მაგალითად, კახეთში მევენახეობის რომელსამე თემს ან რაიონს, იყო მევახშეობა, რასაკვირველია, შემსყიდველ-მევახშეთა (სირაჯთა) შორის ჩვეულებრივად არსებული პირიანობისა და ერთმანეთის გატანის მეოხებით [1].

ასეთ პირობებში კი, როგორც 1861 წ. [ი. სერებრიაკოვი წერდა, კახეთსა და ქართლში „ღვინოში სირაჯის მეტს მოგება არავისა აქვს“ [2]. სირაჯი-მევახშის ხელში იყო არა მარტო გლეხი, არამედ მემამულეც, მაგ., 1863 წ. კა-

[1] ვრცლად იხ. პ. გუგუშვილი, „შინამრეწველური მეღვინეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (ეკონ. ინსტ. შრომები, 1949, III, 121 — 131).

[2] იხ. გაზ. „გუთნის დედა“, 1861 წ. № 1.

ხელი მემამულეები აცხადებენ: „ქალაქელი სირაჯების ხელში ვართ და იმათზე ჰკიდია ჩვენი სარფა და სარგებლობა“ [1]. გაზ. „გუთნის დედა“ წერს, რომ „სირაჯმა სრულიად იცის მდგომარეობა ღვინის გამსყიდავისა, იცის რა დროს ვისთან მივიდეს ჭაშნიკის სანახავად, სად რა წუნი დასდოს ღვინოსა, რა ფასი შეაძლიოს ანუ ხმაამოუღებლივ დაიწყოს უკან დაბრუნება... მამულის პატრონს, ვიცით უჭირს ფული პრიკაზში შესატანად, ხარჯის მისაცემად, პურის სასყიდლად, თუ სხვა სახლის საჭიროების გასაძღოლად“ [2].

ს. მაჩაბელი აგვიწერს, თუ რა მტკიცე კავშირი ჰქონდათ გორის მაზრაში შემსყიდველებს, რომელთაც მოხერხებულად გააბეს თავიანთი ვალების ქსელში მთელი მაზრის გლეხობა და ამათგან შემდეგში ჩალის ფასად ღებულობდნენ პროდუქტებს. თვით მაჩაბელს [3] „ასეთი სამწუხარო მოვლენის მიზეზად“ გულუბრყვილოდ მიაჩნია სოფლად იაფი წვრილი კრედიტის არარსებობა, თვით ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ხასიათი და მიამიტობა ქართველი გლეხისა, „რომელიც არ სცილდება ტრადიციულ მინდორს და გუთანს — ამას იგი ამჯობინებს ადვილად გამდიდრების სხვა საშუალებათ“.

მართალია, გლეხი გრძნობს, რომ მოსული შემსყიდველი მას ატყუებს, მაგრამ შეკითხვაზე, თუ რატომ თვითონ არ მიაქვს პროდუქტი, უპასუხებს: „პროდუქტი რომ ქალაქში წავიღო, იქ მე მაინც არ მიმიშვებენ მომხმარებლებამდე და იძულებული ვიქნები ისევ ვაჭარს მივყიდო, რომელსაც უფრო ნაკლებ ვიცნობ და რომელიც უფრო მეტის მოურიდებლობით მომატყუილებს, ვინემ სოფლის შემსყიდველი“ [4]. შემსყიდველი დადის სოფელ-სოფელ მაშინაც კი, როდესაც არაფრის ყიდვას არ აპირებს, მაგრამ როდესაც სოფელში ბეგარას ჰკრეფენ; იგი მზად არის ასესხოს გლეხს ფული მომავალი მოსავლის ანგარიშში და თანაც არწმუნებს: „თუ არა მე, ადმინისტრაცია

[1] საქ. მუზ. ქ. მ. წ-ქ. ბ. ს., № 28 4.
[2] „გუთნის დედა“ 1863 წ. № 14, 15. გვ. 154 — 160.
[3] С. В. Мачабели, „Экономический быт государственных крестьян (ЭБГК) Горийского уезда“; МИЭБГКЗК, т. VI, ч. 1, 218.
[4] იქვე, გვ. 221.

შენ საოჯახო ნივთებს მოგსთხრიდა, უკანასკნელ ძროხას ან ხარს წაგართმევდა". გლეხიც იძულებულია შემსყიდველ-მევახშეში „თავისი კეთილისმყოფელი" დაინახოს, მაგრამ „თუ რა ძვირად უჯდება თავისი კეთილისმყოფელის დამხმარე ხელი გლეხობას, ჩანს იქიდან, რომ მთელ მაზრაში 50 — 75% სავსებით ნორმალურ მოვლენად ითვლება". და ამ გზით — წერს მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, — „ოსებიც, მსგავსად ქართლელებისა, მუდამ გადაუხდელ ვალებში არიან გაბმული და ცხინვალელ მევახშეთა ხელში ჰგმინავენ"[1].

ა. ა რ ღ უ თ ი ნ ს კ ი გადმოგვცემს: „სიღნაღის თითქმის მთელი ვაჭრობა დამყარებულია მეტად არაკეთილსინდისიერ ექსპლუატაციაზე მიამიტი და მიმნდობი გლეხისა. მრავალისათვის ვაჭრობა მსახურებს ს ა ვ ს ე ბ ი თ ს ხ ვ ა ს ა ხ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი ს მ ი ს ა ჩ ქ მ ა ლ ა ვ ა დ". სიღნაღის მაზრაში მევახშეობამ მიიღო მეტად ფართო ხასიათი. „გამონაკლისს გარეშე ყოველი სოფელი გახვეულია, როგორც ბადეში, თავიანთი „ოჯახიშვილების" ქსელში. ყველაზე მაღალი სარგებელი — 100 და უფრო მაღალი პროცენტები, ორმაგი და სამმაგი ჯარიმა, 3 — 4 წლის მანძილზე ვალის გადაქცევა რამოდენიმე ათეული მანეთიდან ასეულ მანეთებად. ვალისთვის მთელი ქონების გაყიდვა, მ ე ვ ა ხ შ ე თ ა თ ვ ი ს შ ი ნ ა მ ო ს ა მ ს ა ხ ურ ე ე ბ ა თ ბ ა ვ შ ვ ე ბ ი ს მ ი ც ე მ ა ვ ა ლ ი ს ს ა რ გ ებ ლ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ი, — ყოველივე ეს იმდენად ყოველდღიური მოვლენაა, რომ აქ არავის არ აკვირვებს". სიღნაღის მაზრის სოფლებში, როგორც ჩანს, ადგილობრივი კულაკობა უკვე 70-იანი წლებიდან ვერ ერევა კრედიტზე არსებული მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და გლეხებს ხშირად უხდებათ მიმართონ სიღნაღელ ვაჭრებს; ამის გამო კი სიღნაღის თითქმის ყოველი შეძლებული ვაჭარი ხელს ჰკიდებს მევახშეობას. გლეხის დაკაბალება და უწილადოდ (უმიწოთ) დარჩენის საქმე სრულდება ერთი და იმავე გეგმით და თავდება ერთნაირი შედეგით. საქმე თითქმის ყოველთვის იწყებმხოლოდ რამდენიმე ათეული მანეთიდან, რაც გაიცემა აუცილება

[1] С. В. М а ч а б е л и, „Экономический быт государственных крестьян Горийского уезда", МИЭВГКЗК, т. VI ч. 1, 239.

ბლად მოკლე ვადით. სხვადასხვაგვარი მიზეზით (არაიშვიათად გლეხისაგან დამოუკიდებელი მიზეზითაც) — ვალის გადახდა ვადაზე არ ხერხდება. იწყება ხვეწნა-მუდარა და მოციქულების გზავნა კრედიტორთან და, ბოლოს, იწერება ახალი თამასუქი, რომელშიაც წინანდელ ვალს ემატება ჯარიმა და სარგებელი. ასე, თამასუქის რამდენიმეჯერ გადაწერით ვალი აღწევს ისეთ ზომას, რომ მისი გადახდის საშუალება გლეხს უკვე საერთოდ არ მოეპოვება და არც მომავალი მოსავლის ნაწილისგან შეუძლია მისი გადახდა. ვაჭარიც ამ მომენტს უცდის: იგი არდგენს თამასუქს გასანაღდებლად; ხდება გლეხის ქონების გაყიდვა, ანდა შემოსავლის უდიდესი ნაწილის ყოველწლიური სეკვესტრი.

აი როგორ აგვიწერს ამ პროცესს ა. ფურცელაძე: „როცა გლეხკაცს გაუჭირდება ფული, ის იძულებული ხდება მიიქცეს ერთი თავის მძარცველისადმი და ესესხოს ფულს; და ეს უკანასკნელიც სარგებლობს გლეხის გაჭირვებული მდგომარეობით და ყიდულობს მისგან მომავალი წლის მოსავალს, რომლის ფასი არც კი იციან რა იქნება. მაგ., ვაჭარი აძლევს გლეხს სესხად ხუთ მანეთს და ამაში ოთხი კოდი პურის ვექსილს უწერს; მოხდება, რომ მეორე წელიწადს ისეთი ცუდი მოსავალი მოვა, რომ კოდი პური სამ მანეთად ეღირება და გლეხკაცს კი არ მოუვა მოსავალი, რომ გადიხადოს ვალი. ამითი სარგებლობს ვაჭარი, კოდს სამ მანეთად უანგარიშებს და დაუწერს (ახალს) თამასუქს. აი ამისთანა შემთხვევებიდან მოხდება ხოლმე, რომ ხუთი მანეთი ათი წლის განმავლობაში ორმოც და სამოც თუმნად იქცევა ხოლმე“ [1].

მაგრამ შევახშე-შემსყიდველთა სარფა მარტო მაღალი სარგებლის აღებით როდი ამოიწურება: იმ პროდუქტებს, რომლებიც მათ სარგებლის ანგარიშში მიაქვთ მომავალი წლის მოსავლიდან, ისინი წყავენ საკუთარი საწყავებით, რომლებიც ატარებს რა კოდის, ლიტრის, ჩანახისა და სხვ. სახელწოდებას, მნიშვნელოვნად აღემატება საყოველთაოდ ხმარე-

[1] ა. ფურცელაძე, „რა შემოსდის გლეხს მამულიდან“? 1875 წ., §§. 2—3.

ბულ შესაბამ საწყავებს. გარდა ამისა, მომავალი პროდუქტის ფასი, არსებულთან შედარებით, გარიგებაში აღინიშნება მნიშვნელოვნად მცირე. ს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ს აღნუსხული აქვს შემთხვევა, როდესაც (1886 წ.) სოფ. ურბნისში გლეხმა კრედიტორს გადაუხადა ხორბალი, რაც გარიგებისამებრ იანგარიშებოდა 1 კოდი (3 ფუთი) 1 მან. 50 კაპიკად, როდესაც კოდი ხორბალი ადგილზევე იყიდებოდა არანაკლებ 2 მან. 50 კაპ.; ეს კი წესად ქცეული შემთხვევა იყო; ასე რომ, თუ მევახშის ყველა სარფას ვიანგარიშებთ, იგი 100-დან 200%-მდე მაინც აღწევს[1].

იგივე პროცესები, რასაც ამ მხრივ ადგილი ჰქონდა ქართლ-კახეთში, მეტი თუ ნაკლები ზომით, მეორდებოდა სხვაგანაც. მაგ., განჯის გუბერნიაში, ყაზახის მაზრაში, როგორც ა. ე რ ი ც ი ა ნ ც ი მოგვითხრობს, მევახშის ქსელში გლეხთა გაბმის მიზეზი იყო: მოუსავლიანი წლები, ბეგარის სასწრაფოდ შეტანის საჭიროება, ქორწილი, დამარხვა, გაყრა, საქონლის და სატრანსპორტო საშუალებათა შეძენა და სხვ. აქ „კრედიტორებად უმრავლეს შემთხვევაში გამოდიან შემსყიდველი-მევახშენი. ყველაზე ნორმალურ და სინიდისიერ სარგებლად თვეში თუმანზე აბაზი (24%) ითვლება, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი ახდევინებენ 60%. სავალო ვალდებულების დოკუმენტთა გადაწერა (ვადის გაგრძელება) ხდება 6 თვეში ერთხელ და გასული ხნის პროცენტები ზედ შეეკეცება ხოლმე თავვს. სარგებელი უმეტეს შემთხვევაში იფარება სოფლის ნაწარმოების გადახდით. ცუდ, მოუსავლიან, წლებში კრედიტორს მიაქვს გლეხის მეურნეობის მთელი შემოსავალიც კი. მცხოვრებთა დავალიანება წლითიწლობით იზრდება“[2], იგივე ე რ ი ც ი ა ნ ც ი იტყობინება, რომ სოფლისა და მომრიგებელი სასამართლოები გაჭედილია კრედიტორთა მიერ წაყენებულ ძიებათა საქმეებითო.

შემსყიდველ-მევახშეთა ასეთი მოღვაწეობის შედეგად მეპურეობის, მევენახეობა-მებაღეობის და სხვა რაიონებში გლე-

[1] МИЭБГКЗК, т. VI, I, 219.

[2] А. Д. Е р и ц о в, „ЭБГК Казахского уезда“, МИЭБГКЗК, т. II, ч. II, 212.

ხები უკვე გაზაფხულიდანვე დავალიანებული იყვნენ მომავალი შემოდგომის მოსავლის ანგარიშში: მათ მიერ გაცემული თამასუქები სახლში ეწყო შემსყიდველ-მევახშეს, რათა შესაფერ მომენტში წარედგინა მათთვის. კუჩაევი 1887 წ. წერდა, რომ „ქართველთა შორის იშვიათია გლეხი, რომელსაც ჰქონდეს ვენახი და არ იყოს მოვალე ერთი ან ორი თამასუქით ღვინის შემსყიდველისა. ეს გარემოება, გარდა იმისა, რომ ანადგურებდა გლეხის მეურნეობას, იწვევდა თვით ღვინის ხარისხის სასტიკად დაცემას; ასეთი გარიგების თამასუქში სწერია, რომ გლეხმა მევალეს უნდა მისცეს ამდენიდა-ამდენი ჩაფი ღვინო, რომლის ხარისხი არ არის განსაზღვრული, ხოლო ფასი გლეხს, ვითომდა უკვე მთლიანად აქვს მიღებული. ამიტომ გლეხი პირდაპირ დაინტერესებულია ღვინის მოსავლის რაოდენობაში, რისთვისაც, რომ არა ვთქვათ რა ღვინოში დიდი ზომით წყლის გარევის შესახებ, გლეხი ძალიან ადრე ჰკრეფს ყურძენს, რაც ამ სახით, გარდა იმისა, რომ მას მეტს ღვინოს მისცემს, აგრეთვე შეაძლებინებს რაც შეიძლება მალე გადაიხადოს ვალი და შეიმციროს გადასახდელი სარგებელი. ყოველივე ეს სცემს და ხელს უშლის მეღვინეობის კულტურის განვითარებას“ [1].

მაგრამ უდიდესი ზიანი მოჰქონდა იმ გარემოებას, რომ ვაჭარი-მევახშე თვითონ აფუჭებდა კიდევ ამ ღვინოს როგორც ცუდი ხარისხის პროდუქტის ჩამატებით, ისე წყლისა და სხვადასხვა ხელოვნური საფერავის გარევით, რის გამოც უკარგავდა ბაზარს, განსაკუთრებით შორეული რაიონებისა და უცხოეთის ბაზარს. ეს გარემოება აშკარად აქვს გამოთქმული რუსეთის სავაჭრო კაპიტალის ცნობილ აგენტს ა. მაკაროვს, რომელიც წერს: „საგარეო ვაჭრობაში ჩაბმულ სომეხს ხშირად არ შეუძლია თავიდან აიცდინოს ცდუნება და დაბალი ღირსების საქონელი არ აურიოს ძვირფას საქონელში, რითაც იგი ამ საქონელს უკარგავს უცხოეთში მოთხოვნილებას და ფასს, ხოლო ამავე დროს, თავისი შემს-

[1] იხ. А. М. Аргутинский, „ЭБГК Сигнахского уезда“, МИЭБГКЗК, т. IV, ч. II. 302—3.

ყიდველ-აგენტების მეოხებით, მიჯაჭვული ჰყავს რა სოფლის მოსახლეობა, ზღუდავს ქვეყნის კეთილმდგომარეობის განვითარებას, ხელს უშლის იმასაც, რომ მოსახლეობამ დაიკმაყოფილოს თავისი არსებითი მოთხოვნილებანი".

რათა უფრო მაგრად მიეჯაჭვათ სოფლის მოსახლეობა, მევახშე-შემსყიდველთ დაყოფილ-დანაწილებული ჰქონდათ მაზრაში თავიანთი მოღვაწეობის რაიონები. „ვაჭრები, რომლებიც მოქმედებენ მოცემულ რაიონში, კარგად იცნობენ ერთმანეთს და თითქმის მთელ გლეხობასაც; მათ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის პირი აქვთ შეკრული და შეუცდომლად შეუძლიანთ ივარაუდონ, თუ რომელი გლეხი და რა ზომით განიცდის გაჭირვებას ფულში და ამგვარად რომელი მათგანის გაბმა ქსელში შეიძლება უფრო ადვილად" [1].

ს. ტ ი მ ო ფ ე ე ვ ი მოგვითხრობს მეღვინეობის რაიონებში 90-იან წლებში გაბატონებული შემსყიდველი-მევახშეების შესახებ: „თბილისის გუბერნიაში ისინი (შემსყიდველები) იწოდებიან სირაჯებად და უმეტეს შემთხვევაში წარმოგვიდგებიან, როგორც მტკიცედ ორგანიზებული კავშირები. სირაჯთა მთავარ კონტინგენტს შეადგენენ ღვინით მოვაჭრე თბილისელი სომხები". შემსყიდველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოდიოდა აგრეთვე ბაქოდან, ბათუმიდან, კავკავიდან, ოდესიდან, ნოვოროსისკიდან, დონის-როსტოვიდან და იმიერკავკასიის ქალაქებიდან. თბილისელი სირაჯები „მოვლენ რა სოფელში, დადიან ეზო-ეზო, სინჯავენ და აფასებენ ღვინოს, ამასთანავე აწარმოებენ ჩაწერას, თუ ვისი ღვინო იქნა გასინჯული და რა ფასი შეაძლიეს მას. თუ ღვინის გამყიდველი მეურნე მაღალ ფასს მოითხოვს, მაშინ შემდეგ მოსული შემსყიდველები სულ უფრო ნაკლებს შეაძლევენ ხოლმე და ამგვარად სასურველ დონემდე სცემენ ძირს ფასებს". შემდეგ ს. ტ ი მ ო ფ ე ე ვ ი წერს, რომ ეს „შემსყიდველები და ადგილობრივი მედუქნეები ძალიან ხშირად გლეხებსა და მემა-

[1] А. М а к а р о в, „Закавказье в торговом отношении", იხ. ჟურნ, „Рус. Вестник", Москва, 1884 г. № 1, 176.

მულეებს ასესხებენ ფულებს, როდესაც მომავალი მოსავალი იყიდება წინასწარ დანიშნულ ფასში, ანდა მისი დიდი ნაწილი მიაქვთ უზომო სარგებლის ანგარიშში (ყოველ ათ მანეთზე სარგებელში აძლევენ ერთ ჩაფ ღვინოს). ამგვარად, ისინი წინასწარ აწესებენ ღვინოზე ფასს"[1]. ეს შემსყიდველები სოფლებში ჩნდებიან „შობისა და აღდგომის დღესასწაულების წინ, რათა სოფლის მეურნეებს ასესხონ ფული დღესასწაულებისათვის". ამასთანავე „შემსყიდველი სიამოვნებით ასესხებს მოთხოვნილზე მეტსაც, რათა მოვალემ ვერ შესძლოს ამ ერთი წლის განმავლობაში მისი გასტუმრება. ვალი და სარგებელი შემდეგ იზრდება და საბოლოოდ განადგურებული სოფლის მეურნე ჰკარგავს თავის მამულს, რომელიც არაიშვიათად გადადის თვით შემსყიდველის ხელში"[2].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მევახშეობის მეოხებით შემსყიდველი აღწევს იმას, რომ თვითონ ხდება წარმოების საშუალებათა პატრონი, თვითონ ხდება მწარმოებელი. და ეს პროცესი მით უფრო დიდი ზომით ვითარდება, რაც უფრო ვუახლოვდებით XX საუკუნეს, ხოლო ამ საუკუნის პირველ ათეულ წლებში მან პირდაპირ მასობრივი ხასიათი მიიღო[3].

ასეთ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი, ცხადია, არა მხოლოდ თბილისის გუბერნიაში. ძალიან ხშირად „ღვინით ვაჭრები იმავე დროს მევახშეებადაც იყვნენ". როგორც ქართლ-კახეთში, ისე სომხეთში, აზერბაიჯანსა და დასავლეთ საქართველოშიაც — ყველგან „ყველა პატარა მწარმოებელი თავის აღებ-მიცემობაში დიდ ბაზართან არის შეკავშირებული შუამავალთა აუარებელი რიცხვით. აი სწორედ ეს უკიდურესი მდგომარეობა, რომელსაც განიცდის დღეს წვრილი წარმოება ამ შუამავალთა და მათი ხელისშემწყობი სახელმწიფო... წეს-

[1] С. Н. Тимофеев, „Сбыт кавказских вин", 1895, стр. 16—17.

[2] იქვე, 10—19; იხ. აგრეთვე Аргутинский-Долгоруков, ИСЭЗЖД, 1896. Т. 648—651.

[3] ვრცლად იხ. პ. გუგუშვილი, „შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—1920 წწ." (ეკონ. ინსტ. შრომები, IV, 1950. თბ. გვ. 49—114).

რიგის წყალობით არის გამოწვეული, მიუხედავად იმისა ეს შუამავლები ჩარჩები არიან, მევახშეები თუ სოვდაგარი ვაჭრები. სულშეხუთული სოფელი ამ შუამავალთა ხელში ყურმოჭრილ ყმად არის ქცეული. მხოლოდ მათთვინ შრომობს და მრეწველობს"[1].

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი წერდა, რომ „გლეხების დამოკიდებულება ფულის პატრონთაგან აუცილებლად ღებულობს კაბალის ფორმას. ისე, როგორც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ განვითარებული კაპიტალიზმი თუ არ არის მსხვილი სასაქონლო-სავაჭრო და ფულად-სავაჭრო კაპიტალი, სწორედ ასევე წარმოუდგენელია წინაკაპიტალისტური სოფელი, თუ იქ არ არიან წვრილი ვაჭრები და შემყიდველები, რომელნიც წვრილი ადგილობრივი ბაზრების „ბატონ-პატრონებს" წარმოადგენენ"[2]. მაგრამ შემდგომი განვითარების პროცესში, რამდენადაც აქაც შემოიჭრება, ყალიბდება და ბატონდება კაპიტალისტური წარმოების წესი, „კაპიტალიზმი თავს უყრის ყველა ამ ბაზარს, აერთებს მათ დიდ ნაციონალურ და შემდეგ მსოფლიო ბაზრად, არღვევს კაბალისა და პირადი დამოკიდებულების პირველყოფილ ფორმებს, ღრმად და ფართოდ ავითარებს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ჩანასახი ფორმით უკვე არსებობენ თემურ-გლეხობაშიც, — და ამნაირად ამზადებს ამ წინააღმდეგობათა გადაჭრას"[3].

7. დუქანი, როგორც საკრედიტო დაწესებულება

დუქანს ამიერკავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დამკვირვებელნი ერთხმად ახასიათებენ, როგორც „ქვეყნის ტიპიურ კუთვნილებას"; იგი „რაღაც საერთოა სოფლის ტრაქტირსა და ფუნდუკს შორის". სოფლის დუქანში გლეხს და ყოველ გამვლელსაც (მგზავრსაც) შეეძლო ეშოვნა შესაფერი — ხშირად საკმაოდ მაღალი ფასით — ღამის გასა-

[1] ჟურ. „მომავალი" 1909 წ. № 5, გვ. 8; იხ. აგრეთვე, С. Зелинский, „Садоводство в Закавказье", 46.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, III, 448.

[3] იქვე, გვ. 448.

თევი, ცხენის თუ ხარის საკვები თივა, სასმელი და საჭმელი. ამას გარდა, დუქანში მოიპოვებოდა სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების საგანთა უმრავლესობა.

დუქნის ევოლუციისათვის საინტერესოა აღინიშნოს, რომ ა. დიუმა (მამა), რომელმაც ამიერკავკასიაში იმოგზაურა 1858—1859 წ წ., თითქმის ზემოხსენებული სახითვე აგვიწერს დაბა მარანში „სასტუმრო-დუქანს"[1]. ასე, რომ დუქნის ასეთი ინსტიტუტი ჩვენში გარკვევით და მტკიცედ ყალიბდება XIX საუკუნის დასაწყისიდანვე. მაგრამ XIX საუკ. პირველ ათეულ წლებში დუქანი საერთოდ იშვიათი იყო და შედარებით უფრო ღარიბი შემოტანილი საქონლით. ორმოციანი წლებიდან კი, როცა საერთოდ აღებმიცემობა და ფულის ტრიალი უფრო მნიშვნელოვანი შეიქნა, დუქანიც უკვე მეტად თუ ნაკლებად ღებულობს იმ ხასიათს, რაც მას ჰქონდა უკვე XIX საუკუნის 60-იან წლებში და შემდეგაც. მისი მერმინდელი განვითარება ძირითადად უფრო რაოდენობრივი ხასიათის იყო.

ხშირად ამ დუქნის ვაჭრობა არც ისე მნიშვნელოვანი იყო და, როგორც ა. არღუთინსკი წერს, „ერთის შეხედვით გაუგებარი ხდება, თუ რა სარგებლობას ღებულობს მისი პატრონი, რომელმაც დიდი თანხა უნდა გადაიხადოს ვაჭრობისა და აქციზის მოწმობისათვის. მაგრამ—განაგრძობს იგი,—ეს ვაჭრობა მხოლოდ საფარველია სხვა უფრო სარფიანი ოპერაციებისა, რომელთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს ფულის გასესხებას მაღალ პროცენტებში. ამ მხრივ, მედუქნეები არაფრით არ ჩამორჩებიან თავიანთ თანამოძმეთ—სოფლის ბანკირებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან თემის საპატიო წევრებისა და ხემსყიდველ-ვაჭართა სახით"[2].

ს. მაჩაბელი გადმოგვცემს, რომ „ყოველი გლეხი გრძნობს დუქნის მავნე გავლენას, მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმასაც, რომ ყოველი მათგანი გრძნობდეს აგრეთვე მის

[1] A. Dumas, „Impressions de Voyage. Le Caucase", 1884, Paris, II, 196—197.

[2] А. Аргутинский, „ЭБГК Сигнахского уезда", 312.

საჭიროებას". უქმე დღეებში დუქანთან დილაადრიან შეიძლება შეხვდე მთელი სოფლის გლეხებს. გლეხს დუქანში შეუძლია გაიგოს ყველაფერი, რაც მისი ინტერესების სფეროში შედის. აქ უამბობენ ერთმანეთს: თავიანთ თავგადასავალს ქალაქში, შესახებ პროდუქტების გასაღების მაზანდისა, ადმინისტრაციის განკარგულებისა. დუქანში ხშირად დაესწრება კაცი მღელვარე სცენას შეძლებულ და ღარიბ გლეხთა ინტერესების შეჯახებით გამოწვეულს. ხშირად ეს შეჯახებები ჩხუბში გადადის, რასაც, რასაკვირველია, ხელს უწყობს დუქანი. მდიდარ და ღარიბ გლეხთა შორის უკმაყოფილების მთავარი მიზეზია საბალახოების, სათიბების და პირუტყვთა სასმელი წყლებით მდიდრების მიერ მონოპოლიური სარგებლობა, აგრეთვე სახნავი მიწები, ბეგარების არასწორი გაწერა, მაღალი სარგებელი და მრავალი სხვ. ამ დავიდარაბაში მდიდართა (კულაკობის) გამარჯვებას დიდად უწყობს ხელს დუქანი, სადაც ისინი იკრებენ და რაზმავენ მომხრეებს: „უქმე დღეებში მამასახლისი და მოსამართლენი დილაადრიანვე დამთვრალია, რის გამოც არ შეუძლიათ იქონიონ სათანადო გავლენა კრებაზე და საკითხების მშვიდობიან გადაწყვეტაზე". მამასახლისი ხშირად კრებას იწვევს მუშაობის დროს, როდესაც ღარიბ გლეხებს დასწრება არ შეუძლიათ და ამ დროს კულაკთა კარნახით გამოაქვთ დადგენილება, რაც მიუღებელია და საზარალო სოფლის უმრავლესობისათვის. დუქანი უარყოფით გავლენას ახდენს გლეხის ოჯახზედაც, „რადგან თბილისის მაზრის გლეხები თითქმის მთელ თავიანთ სიამოვნებათ და მწუხარებათ დუქანში ხვდებიან და არა ოჯახებში"[1].

გლეხს მედუქნე თითქმის ყველაფერს აძლევს ნისიად. ასეთი ნდობა, ცხადია, გლეხს იაფად არ უჯდება. მაგრამ მედუქნე არა მარტო საქონელს იძლევა ნისიად, არამედ იგი საჭიროების დროს გლეხს ფულსაც ასესხებს. ამგვარ დუქნებს აგვიწერს ა. ერიციანცი ყაზახის მაზრაში[2]. ს. მაჩაბელი თიანეთში (და ასეთი იყო მდგომარეობა საერთოდ მთიან

[1] С. Мачабели, МИЭБГКЗК., т. V, ч.-I, 271.
[2] А. Ерицов, МИЭБГКЗК., т. II, ч. II, 216.

ადგილებში) აგვიწერს დუქანს, როგორც უპირატესად საკრედიტო დაწესებულებას. აქ „გლეხს, რაკი ერთხელ გაება მედუქნე-კრედიტორის ბადეში, უკვე არ ძალუძს თავის დაღწევა და მთელ მის შრომას ნთქავს „ორფეხიანი ობობა“... აქ „ერთად-ერთი პირი ვისაც შეუძლია გლეხს ფული ასესხოს, არის ადგილობრივი მედუქნე; მან კარგად იცის თავისი მომავალი მოვალის მდგომარეობა და ამიტომ წინასწარვე ანგარიშობს თავის მოსახვეჭელს“. ჩვეულებრივად, მედუქნისაგან გლეხი სესხულობს ფულს ისეთი ვალდებულებით, რომ მომავალ სექტემბერში თავნი გადაუხადოს ფულით, ხოლო სარგებელი ღვინით ან პურით, ისევ მომავალი წლის მოსავლიდან. ასეთი კრედიტი, ს. მაჩაბლის გამოანგარიშებით, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, გლეხს უჯდებოდა 80 — 140% წლიურად.

ამგვარად, „წვრილი ადგილობრივი ბაზრების აუცილებელ კუთვნილებას, გარდა ხელოსნების პრიმიტიული ფორმებისა, წარმოადგენს აგრეთვე სავაჭრო და სავახშო კაპიტალის პრიმიტიული ფორმები“[1]. და ამასთანავე „რაც უფრო მიყრუებულია სოფელი, რაც უფრო დაშორებულია ის ახალი კაპიტალისტური წესების, რკინიგზების, დიდი ფაბრიკების, მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების გავლენას,—მით უფრო ძლიერია ადგილობრივი ვაჭრებისა და მევახშეების მონოპოლია, მით უფრო ძლიერია გარეშემო გლეხობის დამორჩილება მათდამი და მით უფრო უხეშ ფორმებს ღებულობს ეს დამორჩილება. ეს წვრილი წურბელა აუარებელია (გლეხთა პროდუქტების სიმცირესთან შედარებით), და მათთვის ბევრნაირი ადგილობრივი სახელია გამოგონილი“[2].

ერევნის გუბერნიის მაგალითზე ს. ზელინსკი გადმოგვცემს, რომ მედუქნე ჩვეულებრივ შეარჩევს ისეთ მომენტს, როდესაც გლეხი გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც, მაგ., ბეგარების აკრეფის, საქონლის დახოცვის, დასაფლავების და სხვა დროს. ასეთ შემთხვევაში გლეხი იძულებულია აუცილებლად მიმართოს მედუქნეს, რათა

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, III, 447.
[2] იქვე.

მისგან შეიძინოს მისთვის საჭირო ნივთები ან ისესხოს ფული მომავალი წლის მოსავლის ანგარიშში. გასაგებია, რომ ვაჭარი არ დაერიდება გაასაღოს თავისი საქონელი სამ-ოთხჯერ უფრო ძვირად, ანდა ასესხოს ფული გლეხს მეტად დიდ პროცენტებში, რა სახითაც თავის გამოუვალ ქსელში აბამს მას. ზ ე ლ ი ნ ს კ ი დასძენს, რომ „გლეხების ექსპლუატატორებს წარმოადგენენ ისეთი მესარეწეებიც, რომლებიც დააატარებენ სოფლებში თავიანთ საქონელს და ყოველგვარ ნაყარ-ნუყარს სცვლიან სოფლის ნაწარმზე ანდა ხსნიან დუქნებს თვით სოფელში“ [1].

სოფლის მედუქნეს ჰქონდა დავთარი, რომელშიაც ანგარიშს უხსნიდა კლიენტს. აქ სოფლის თითქმის ყველა გლეხი იყო აღნუსხული. შემოდგომას, როდესაც იწყებოდა ანგარიშის გასწორება, ხშირად აღმოჩნდებოდა, რომ გლეხს ბევრად მეტი ეწერა, ვინემ ნამდვილად უნდა მართებოდა. მედუქნე არ ჯერდებოდა იმას, რომ საქონელს ორ-სამჯერ უფრო ძვირად ჰყიდდა, რომ სოფლის ნაწარმოებს ჩალის ფასად ყიდულობდა, არც იმას, რომ უზომო სარგებელს იღებდა და ყოველივე ამის გარდა ატყუებდა გლეხს იმითაც, რომ წლის განმავლობაში ზედმეტს ჩაუწერდა კიდევ პირად ანგარიშში, ვითომდა წაღებული საქონლის ფასს. ხოლო დავთარში ჩაწერილი ყოველი სიტყვა და ციფრი ისე ჭრიდა გლეხის მიმართ, როგორც თამასუქი. არაიშვიათად ხდებოდა ისიც, რომ ერთხელ გადახდილ თანხას გლეხი მეორედაც იხდიდა, რამდენადაც მედუქნე-მევახშეს ადვილად შეეძლო არ დაებრუნებია (ან არ დაეხია) მისი ხელწერილი ან თამასუქი, ანდა არ ამოეშალა თავისი დავთრიდან გლეხის მიერ უკვე გადახდილი ვალი [2].

---

[1] С. П. З е л и н с к и й, „ЭБГК в Шорагеле, Александропольского уезда, Эриванской губ.“, 63.

[2] სოფლის მედუქნე-მევახშის მოღვაწეობა აღწერილი აქვს ე კ ა ტ ე რ ი ნ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ს მოთხრობაში „სოფლის მევახშენი“; იხ. მისი „რჩეული ნაწერები“, 1932 წ. ტფ. 361 — 378.

გლეხებზე ფულს ასესხებდნენ არა მარტო სოფლის მედუქნეები, არამედ და უფრო ფართო მასშტაბითაც, სამაზრო ქალაქთა მედუქნეებიც. ხშირად ასეთი მედუქნეებისათვის საგაჭრო წერტი მხოლოდ გარეგნულ საფარველს წარმოადგენდა, რათა უფრო მოხერხებულად ეწარმოებიათ საკრედიტო ოპერაციები. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ მ ე დ უ ქ ნ ე ე ბ ი ს ა ვ ს ე ბ ი თ ხ ე ლ ს ი ღ ებ დ ნ ე ნ ს ა ქ ო ნ ლ ი თ ვ ა ჭ რ ო ბ ა ზ ე დ ა მ ხ ო ლ ო დ ფ უ ლ ი თ, რ ო გ ო რ ც ს ა ქ ო ნ ლ ი თ, ვ ა ჭ რ ო ბ ა ს ი წ ყ ე ბ დ ნ ე ნ; ა მ დ ე ნ ა დ ვ ე მ ა თ ი დ უ ქ ა ნ ი უ კ ვ ე „ფ უ ლ ი ს გ ა ს ე ს ხ ე ბ ი ს კ ა ნ ტ ო რ ა დ“ გ ა დ ა ე ქ ც ე ო დ ა ხ ო ლ მ ე.

მოვისმინოთ, თუ როგორ აღწერა 1871 წელს ი ნ გ ი ლ ო ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა ქ. სიღნაღში არსებული ფულის გასესხების ასეთი კანტორა: „მისი დანიშნულება ის გახლავთ, რომ გლეხკაცს თუ ფული დასჭირდა, ყველას შეუძლიან ამ კანტორიდან ის მიიღოს. ამის გამო (მედუქნე) ყველას ასესხებს ფულს, ვინც კი სთხოვს და ართმევს თამასუქს. ამ თამასუქების საწერად მას ჰყავს საკუთარი მწერლები. ესენი არიან ახალგაზრდა ყმაწვილი კაცები და იციან ქართული, რუსული და სომხური. ესენი უწერავენ მასესხებელსა და მსესხებელს თამასუქებს და პირობებს, რასაკვირველია, ისე, როგორათაც მასესხებელს ჰსურს და ხელს აწერინებს მასზე. ჩვენ გაჭირვებულ კაცს ამჟამად არა ჰფიქრი და ჯავრი აქვს: თუმცა ფული ძვირი სარგებლით იშოვნა, მაინც და მაინც უხარიან, გული უცემს, უფანცქალებს, ღმერთსა მადლობას ჰსწირავს, რომ იშოვნა და ახლა იმას ჰფიქრობს, თუ რა გვარი დანიშნულება მისცეს ნასესხებ ფულებს, და იმას კი სრულიად არ დასდევს, თუ რა პირობებით იწერება თამასუქი“, — რაც ხშირად ნოტარიუსთანაც მტკიცდება ხოლმე. მაგრამ მევახშე კიდევაც ამადლის ფულის სესხებისათვის: «რა ეშველებოდა თქვენ გლეხკაცს, ჩვენ რომ არ ვიყოთ? ჩვენი ყადრი და ხათრი გლეხკაცებმა მაინც არ იცით! ფულს წაიღებთ, საქმეს გააკეთებთ და მერე კი ფულის მიზღვაში (დაბრუნებაში) გვაწუხებთ... თავის ვადაზე ფულს არ გვაძლევთ, კეთილ საქმეს

გვიჯანჯალებთ და დავი-დარაბად გვიხდითო» — ეუბნება რომელიმე მელქო გაჭირვებულ გლეხკაცს“ [1].

თუ რა მამასისხლად უჯდებოდა გლეხს ასეთი კანტორიდან ან დუქნიდან ნასესხები ფული, საკმარისია ისევ ინგილო ჯანაშვილს მოვუსმინოთ: ერთს იმერელს ძალიან უჭირდა 5 მანეთი ფული, მივიდა ა-სთან და სესხად სთხოვა ეს ფული ზამთარში, რომ გაზაფხულზე მიეცა, მაშასადამე, 3 — 4 თვის ვადით. მასესხებელმა სთხოვა სარგებელი ოცი გირვანქა ლობიო, როდესაც იმის გირვანქა ერთი აბაზი ღირდა. მაშასადამე, კრედიტორი სთხოვდა სარგებელს 5 მანეთში 4 თვის განმავლობაში 4 მანეთს. იმერელს მეტი ილაჯი არ ჰქონდა, უნდა აეღო. აიღო ფული და დაუწერა თამასუქი იმ პირობით, რომ ეს ოცი გირვანქა ლობიო მიეცა ამთავითვე. მაგრამ დახე უბედურებას: იმან ამ დროს ვერ იშოვნა და დაპირებული ლობიო შეაძლია მაშინ, როდესაც ის ღირდა ორი შაური, რის გამო ისიც 1 ფუთს აძლევდა. მაგრამ იმან არ მიიღო და მოითხოვა ფული ლობიოს ნაცვლად“ [2]. მოვალე იძულებული შეიქნა გადაეხადა 9 მანეთი. ამგვარად, გამოდის რომ „ფულის გამსესხებელი კანტორის პატრონს 240% სარგებელი აუღია! სწორედ ასეთ სარგებელს სიღნაღელები „ურულსა“ უწოდებდნენ. მაგალითად, 1872 წ. „დროების“ კორესპონდენტი წერდა: „სანამდის გლეხ-კაცი იქნება იმ გაჭირვებაში, რომელშიაც ახლა არის, სულყოველთვის ის მიმართავს სიღნაღის ფულის მასესხებელს და უკანასკნელიც გამოართმევს იმისთანა სარგებელს, რომელსაც ჩვენში ურულსა... ვეძახით“ [3].

შედარებით ნაკლები ზომით, — რამდენადაც კიდევ დაურღვეველი იყო ნატურალური ყოფიერების საფუძვლები, — ...მაგრამ ძირითადში იმავე საქმეს აკეთებდა დუქანი ამიერკავკასიის მთის თემებში. ვაჭარი-მედუქნე უკვე შეიჭრა, მაგ.,

---

[1] ინგილო ჯანაშვილი. „ა-ის ფულის გასესხების კანტორა“; იხ. გაზ. „დროება“ 1871 წ. № 33.

[2] იქვე.

[3] გაზ. „დროება“, 1872 წ. № 1.

ხევსურეთში და იგი აქ, როგორც:

„ერბოების მწონელი,
სკლატ-აბრაშუმის გამყიდი,
ფარჩების გადამზომელი“

და, საერთოდ, როგორც ჩარჩულ-მევახშური ოპერაციების მწარმოებელი მოსახლეობისაგან სამართლიანი გაკიცხვის ობიექტი ხდება[1].

მეტი თუ ნაკლები ზომით ასეთსავე როლს ასრულებდა დუქანი დასავლეთ საქართველოშიაც, სადაც ო. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს თქმით, ნორმალურ სარგებლად ითვლებოდა 50 — 80%[2]. განსაკუთრებულის სიცხადით აგვიწერს ამ გარემოებას ი. ბ ა ხ ტ ა ძ ე რაჭის მაგალითზე. როგორც ჩანს, რაჭაში დუქანმა, როგორც ტრაქტირმა (питейное заведение), ვერ შესძლო გლეხობაზე გავლენის მოხდენა; „მაგრამ მან ნახა სხვა საშუალება გლეხების ხელში ჩასაგდებად, უკანასკნელ ხანებში (ე. ი. 80-იან წლებში — პ. გ.) იგი ნელ-ნელა გ ა დ ა ი ქ ც ა ს ო ფ ლ ი ს ს ა ს ე ს ხ ო ს ა ლ ა რ ო დ, რომელსაც არ ზღუდავს არავითარი გარკვეული წესები და კანონმდებლობა... მედუქნე ყოვლის ღონით ცდილობს გადააქციოს ის (გლეხი) ვალიდან გამოუვალ მოვალედ და ასესხებს მას ფულს უზომო სარგებლით“[3]. როგორც გლეხთა ეკონომიკური ცხოვრების დანარჩენი მკვლევარები გვიმტკიცებენ, 80-იან წლებში ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიაც.

შემდგომ ათეულ წლებში, ცხადია, ამ მხრივ მდგომარეობა თვისობრივად არ შეცვლილა. მედუქნე, როგორც მევახშე, კიდევ უფრო სასტიკად და მტკიცედ მიიჯაჭვავს გლეხს, რომელსაც ხელიდან აცლის მისი შემოსავლის უდიდეს ნაწილს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ 70-იან

[1] იხ. პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე, „ხალხური პოეზია“, ტ. I, „ხევსურული“, გვ. 254, № 610 და სხვ.

[2] О. И. И о с е л и а н и, „ЭБГК юго-западной части Кутаисского уезда“, МИЭБГКЗК., т. VII, ч. II, 242.

[3] И. Л. В а х т а д з е, „ЭБГК Рачинского уезда“, 139.

და 80-იან წლებში თვითმპყრობელობის ცენზურა შედარებით „ლიბერალურად“ ეკიდებოდა მევახშეობის შესახებ ბეჭდვას, სამაგიეროდ 90-იან და 900-იან წლებიდან სოფლად გამძვინვარებული მევახშეების წინააღმდეგ წერა და, მაშასადამე, ბეჭდვა ისე იკრძალება, როგორც რაიმე რევოლუციური იდეების ქადაგი. ასე, მაგალითად, 1893 წელს გაზ. „ივერიას“ უკრძალავენ კორესპონდენციას სოფლად მევახშეთა და ჩარჩ-ვაჭართა გამანადგურებელი მოღვაწეობის შესახებ; იმის შესახებ, რომ ვაჭრები იქამდეც კი მისულან, რომ კალოებზედაც ცხადდებიან და აქედანვე მიაქვთ უკვე საფუძვლიანად დავალიანებული გლეხის, ე. ი. — თვით „ივერიის“ სიტყვით რომ ვთქვათ, — „ტანჯული ხალხის ოფლით ნაწვავ-ნადაგი სარჩო“ [1].

როგორც ვხედავთ, ვაჭარ-მევახშეთა გავლენა არამცთუ არ შენელებულა, არამედ ისინი სოფლის ნამდვილი ბატონ-პატრონად გადაქცეულან; ისინი, მსგავსად ფეოდალ-მემამულეებისა, კალოზედაც კი ცხადდებიან, რომ აქედანვე წაიღონ გლეხის სარჩო-საბადებელი; და ეს ხდება, ცხადია, იმიტომ, რომ მევახშეთა ვალებით ისე მძიმედაა დატვირთული გლეხი, რომ უკანასკნელს მათი და მათთან ერთად სახელმწიფო, საერობო, სახუცო და სხვა ბეგარების დასაფარავად აღარ ჰყოფნის თავისი შემოსავალი. ამიტომ თაოსნიანი და მეტიჩარა მედუქნე-მევახშე პირველი მოდის, რათა უზრუნველჰყოს თავისი მოსახვეჭელის ხელში ჩაგდება. გაზ. „ივერიის“ აკრძალული სტატიის ავტორი კითხულობს, თუ ვინ არიან ეს მტარვალები და ხალხის მძარცველებიო, და თვითვე უპასუხებს — ესენია „სოფლელი ტეტია-ბობოლები... დედის ძუძუს მომჭრელი მედუქნეები, რომლებიც კარგა ხანია დაუცხრომელის ფაცი-ფუცით სტენავენ ქიზიყის კალოებზე ას-ას ურმიან გომებს ბზის ფასად მოხვეჭილი სულადით, რომელსაც, დადგება თუ არა ზამთარი, ქიზიყე-

[1] სცსს., მია, ფ. 114, საქმე № 632, ფურც. 24.

ლებზედვე გაასესხებენ და გაყიდიან ერთ-ოცად"[1].

რაც უფრო ეპატრონებოდა დუქანი სოფლის შემოსავალს და ხდებოდა ერთგვარ „სასოფლო სალაროდ", სოფლად კრედიტის ერთადერთ ინსტიტუტად, მით უფრო მეტის მონდომებით ქადაგებდნენ ჩვენი ხალხოსნები, — მსგავსად რუსი ნაროდნიკებისა, — რომ გლეხობის ამ „ორფეხა ობობის" კლანჭებიდან დახსნის, მაშასადამე, ნახევრად ფეოდალურ-პატრიარქალური სოფლის დაშლისაგან გადარჩენის ერთადერთი საშუალება არის სოფელში საკრედიტო სალაროების გახსნა და ამ გზით გლეხობისათვის წვრილი კრედიტის მიწოდება ნორმალური სარგებლითო. მაგ., „დროების" სიღნაღელი კორესპონდენტი გლეხობის „ურული სარგებლიდან", ე. ი. მედუქნე-მევახშის მონობიდან დახსნის მიზნით მოითხოვს რაც შეიძლება ჩქარა მოეწყოს „საგლეხო საზოგადო ბანკები", რომელნიც იაფ სესხს მისცემენ სოფელს[2].

როგორც რუსი, ისე ჩვენი ხალხოსნების ღაღადისი დამყარებული იყო მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური მოვლენების არასწორ და უტოპიურ გაგებაზე. მათ ეშინოდათ, რომ სოფლად სავაჭრო და სავახშო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება გამოიწვევდა გლეხობის, ე. ი. ნატურალურ მეურნეობაზე დამყარებული სასოფლო თემის დაშლას და გარდაქმნას. სინამდვილეში კი, როგორც ეს პირველად გენიალურად ცხადჰყო ლენინმა, აღნიშნული გარემოება, პირიქით, აფერხებდა ნატურალურ მეურნეობაზე დაფუძნებული სოფლის დაშლისა და გარდაქმნის პროცესებს; ლენინი წერდა, რომ „... რაც უფრო განვითარდება ვაჭრობა, რაც უფრო დააახლოებს იგი სოფელს ქალაქთან, მოსპობს სოფლის პრიმიტიულ ბაზრებს და ძირს გამოუთხრის სოფლის მედუქნის მონოპოლიურ მდგომარეობას, რაც უფრო განვი-

[1] იხ. პ. გუგუშვილი, „«ევროპა» ცენზურის რკალში" (ილ. ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული, 1938) 215.

[2] გაზ. „დროება" 1872, № 1.

თარდება კრედიტის ევროპულად სწორი ფორმები და გამოიდევნება სოფლის მევახშე, — მით უფრო შორს და უფრო ღრმად უნდა წავიდეს გლეხობის დაშლა“ [1].

8. მევახშეობის სხვა ფორმები

საქართველოს სოფლებში ღარიბი გლეხობა მევახშეთაგან ფულს სესხულობდა ჩვეულებრივად ზამთარსა და გაზაფხულზე, უფრო იშვიათად ზაფხულშიაც მომავალ სექტემბრისათვის ან ოქტომბრისათვის გადახდის ვალდებულებით. თავნს, ჩვეულებრივად, უხდიდნენ ფულით, ხოლო სარგებელს მომავალი მოსავლის ღვინით, პურით ან სხვა პროდუქტით. XIX საუკუნის 80-იან წლებში საერთოდ ამიერკავკასიის სოფლებში მევახშეობის შესწავლამ მ. კ უ ჩ ა ე ვ ი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საკრედიტო ოპერაციებს გლეხობა აწარმოებდა თითქმის ყოველთვის მომავალი წლის მოსავლის ანდა სანადელე მიწის დაგირავებით (დაწინდებით). კრედიტი, რომელიც გაიცემოდა მომავალი წლის მოსავლის (სოფლის ნაწარმის) დაგირავებით, იყო ორი სახის: 1. გლეხზე გასესხებული კაპიტალის (თავნის) უკან დაბრუნება და მისი სარგებლის მიღებაც მევახშისათვის უზრუნველყოფილი იყო იმ პროდუქტებით, რომელსაც გლეხი თავის მეურნეობაში მოიწევდა შემოდგომით; 2. გლეხი სოფლის ვაჭრისაგან ნისიად (ვალში) ყიდულობდა ყოველივეს, რაც კი მას უნდა შეეძინა თავისი მეურნეობის გარეშე, აგრეთვე სესხულობდა ფულსაც ფულადი ბეგარებისა და სხვა გადასახდელთა დასაფარავად და სამაგიეროდ კისრულობდა, წინასწარ განსაზღვრული ფასით, აენაზღაურებია ვაჭარ-მევახშისათვის მთელი ვალი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს გაცვლის თავისებურ ფორმასთან, რაც ესოდენ სასარგებლოა ვაჭრისათვის, ხოლო საზარალოა გლეხისათვის.

კრედიტის პირველი სახეობა გავრცელებული იყო საერთოდ მთელს საქართველოსა და აზერბაიჯანის ბარში, ხოლო მე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, 3, 202.

ორე — ქალაქის მახლობელ და დიდ სავაჭრო სოფლებსა და მივარდნილ მთიან ადგილებში, რომლებიც დაშორებული იყვნენ სოფლის პროდუქტთა გამსაღებელ ბაზრებს.

ო. კონსტანტინოვი, ნიჭიერი დამკვირვებელი ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიკური ცხოვრებისა, ჯერ კიდევ 1847 წელს წერდა: „მუსლიმანურ პროვინციებში თითქმის ყველგან ღრმად აქვს ფესვები გადგმული მთელი აღმოსავლეთის დამახასიათებელ საკრედიტო სისტემას, რაც ისრუტავს მცხოვრებთა მთელ სიმდიდრეს და ხდის მათ მუდამ-ამ ვალგადაუხდელ მოვალეებად რომელიმე კაპიტალისტისა... აქაური მცხოვრებნი (გლეხნი) მუდამ უფულოთ და მუდამ დავალიანებული არიან. ხანების ანგარებით აღვსილმა გამგებლობის წინანდელმა სისტემამ, სოფლელთა ცხოვრების ხელგაშლილობამ, რაც ჩვეულებრივ აუცილებლობადაა გადაქცეული და ბუნების ნაწარმოებთა გასაღების სიძნელემ, ანუ შეუძლებლობამ, აქაური მცხოვრებნი ჩააყენა ისეთ მდგომარეობაში, რომ იძულებული გახადა ისესხონ ფული კაპიტალისტებისაგან მეტად უზომო პროცენტებში, ხანდისხან 50 და 100%-ში; მაგრამ უფრო ხშირად ისინი ვალს ღებულობენ სხვადასხვა საქონლის სახით, რასაც შემდეგ უხდიან თავიანთი მეურნეობის პროდუქტებით, ცხადია, საბაზროსთან შედარებით, დაბალ ფასებში; ხოლო სესხის აღების სიადვილე და ვალის გადახდის სიძნელე მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხდის მოვალეებად ანუ მუდმივ მსახურებად (მუშებად) მევახშეებისა, რომელთაც მოხერხება შესწევთ განამტკიცონ ეს დამღუპველი სისტემა, რაც დამყარებულია ხალხის უგუნურ ფუფუნებაზე“. ასე ამბობს კონსტანტინოვი, რომელსაც ჩვეულებისა და რელიგიის მეოხებით მუსლიმანი გლეხისათვის აუცილებელ მოთხოვნილებად გადაქცეული ზოგიერთი საქონლის შეძენა ფუფუნებად მიაჩნია.

კონსტანტინოვი გადმოგვცემს, რომ იშვიათია ამიერკავკასიის მუსლიმანურ პროვინციებში გლეხის „ოჯახი, რომელსაც მის შეძლებასთან შედარებით უზარმაზარი ვალები არ

ემართოს; ამასთანავე მცირეა ისეთი სოფლები, რომელთაც თვითონ შეჰქონდეთ არა მარტო ფულით, არამედ ნატურითაც მათზე რიცხული ბეგარები და ძალიან ხშირად, ამ ბეგარა-გამოსაღებთა გადახდა იძულებული არიან მიანდონ რამდენსამე კაპიტალისტს, რომელთაც მიმართავდნენ ჯერ კიდევ მათი მამები და პაპები". ცხადია, ასეთი მეიჯარე-მევახშეები ბევრად უფრო მეტს გამოქაჩავდნენ სოფლიდან, ვინემ თავიანთი მხრივ შეიტანდნენ ხაზინაში; ასეთი სისტემის მეოხებით მათ უკვე დამორჩილებული ჰყავდათ არა მარტო ცალკე ოჯახები გლეხებისა, არამედ მთელი სოფლები და თემები, რომელთაც მიიჯაჭვავდნენ, ყვლეფდნენ, უფრო სასტიკად და დაუნდობლად, ვინემ თვით ბეგები და ხანები.

ამის გამო გლეხობა, „არ ხედავს რა შესაძლებლობას ოდესმე თავი დააღწიოს კრედიტორისაგან დამოკიდებულებას, არ მიაჩნია რა ყანებიდან და ბაღებიდან მოწეული ნაყოფი თავის საკუთრებად, უგულოდ და უმუყაითოდ მისდევს მეურნეობას; ხოლო არა აქვს რა ფულადი თანხა არც შეუძლია ხელი მოკიდოს რაიმე კომერციულ მესარეწეობას", — დასძენს კონსტანტინოვი[1]. ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს მევახშეობის უსასტიკეს შედეგებთან; მან უშუალო მწარმოებელს წაართვა სტიმული თაოსნობისა და მუშაობისა, რამდენადაც იგი კრედიტორის ნამდვილ მონად გადააქცია. სავახშო კაპიტალი ამიერკავკასიის თურქებით დასახლებულ სოფლებში და აზერბაიჯანში ასეთსავე როლს, ზოგან უფრო მკაცრ ფორმებშიც, თამაშობდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე.

მომავალი წლის მოსავლის დაგირავებით კრედიტი განსაკუთრებით გავრცელებული იყო მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებში. ა. მ. არღუთინსკი გადმოგვცემს, რომ ამ ადგილებში სესხება თითქმის ყოველთვის იწარმოება მომავალი წლის მოსავალი ღვინის ანგარიშში. ეს საუკეთესო საშუალებაა შემსყიდველთა მიერ გლეხობის ექსპლუატაციისათვის. თავისი ვენახის მოსავლის იმედი გლეხს ყველაზე ნაკ-

[1] იხ. გაზ. „Кавказ", 1847, № 45.

ლებად შეუძლია იქონიოს. სეტყვას შეუძლია გაანადგუროს მისი ვენახი და აიძულოს გლეხი მიმართოს კრედიტორს თხოვნით — პირობის გამოცვლისათვის. გლეხი იძლევა ახალ ხელწერილს ან თამასუქს, სადაც თავნს ზედ შეეკეცება როგორც სარგებელი, ისე ჯარიმაც (პირგასამტეხლო), ვალის დანიშნულ დროზე გადაუხდელობისათვის რომ უნდა გადაეხადა. საკმარისია სეტყვა განმეორდეს ზედიზედ ორ-სამჯერ, რომ გლეხი საბოლოოდ გაებას გამოუვალ ვალებში და უეჭველი იმედი შეუძლია იქონიოს, რომ ადრე თუ გვიან დაჰკარგავს თვით ვენახსაც. გასული საუკუნის 80-იან წლებში ა. არღუთინსკი ამტკიცებდა, რომ ამიერკავკასიის მევენახეობის რაიონებში „მოსახლეობის $^3/_4$ მაინც გაბმულია ასეთ გამოუვალ ვალებში“ [1].

მომავალი წლის მოსავლის ანგარიშში სესხის აღება და მისი სარგებლის გადახდა პროდუქტებით, და კერძოდ ღვინით, საქართველოში, როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ, ძველი დროიდანვე ყოფილა განვითარებული. უკვე XIII საუკუნეში გლეხის მიერ გაცემულ სავალო ვალდებულების წიგნში ნათქვამია: ნასესხები 60 თეთრის სარგებლად „ოცი კოკაჲ წელიწადსა შიგა მზაჲ, რომე უსიტყველადა ხელთა მოგახსენებდეთო“ [2]. ამ დროიდან მოყოლებული ქართულ იურიდიულ ძეგლებში, კერძოდ სამართლის წიგნებში, როგორც უკვე გვაქვს ზემოთ განხილული, მთელი ნორმებია დადგენილი მომავალი წლის მოსავლის ანგარიშში აღებული სესხისათვის; და ასეთ შემთხვევაში ჯერ კიდევ XIII საუკუნეში მიღებული სავალო დოკუმენტების ფორმას მხოლოდ უმნიშვნელო, უფრო სტილისტური, ცვლილება განუცდია და ისე მოუღწევია თვით XX საუკუნემდე.

XIX საუკუნის 40-იან წლებიდან ჩვენში საბოლოოდ ჩამოყალიბებული იყო სარგებლის პროდუქტებით გადახდის

[1] А. М. Арутинский, „ЭВГК Сигнахского уезда“, МИЭВГКЗК, т. IV, ч. II, 303.

[2] თ. ყორდანია, „ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა და «ძეგლი» ვაჰანის ქუაბთა“. 1896. თბ. 62; იხ. აგრეთვე „დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები“ ს. კაკაბაძის გამოცემა, ნაწ. II, 1921, ტფ., გვ. 3.

შემდეგი ნორმები: 10 მანეთისათვის სარგებელს უხდიდნენ 6—10 ჩაფ ღვინოს, ანდა 8—14 მანეთს წლიურად, რაც შეადგენს 80—140%; თუ პურით უხდიდნენ სარგებელს, მაშინ კრედიტორი 10 მანეთისათვის 6 თვეში ღებულობდა 2 კოდ (6 ფუთი) ხორბალს. მევახშეობაში ეს ნორმა გაბატონებული იყო მიმდინარე საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებშიაც კი. მაგრამ სავახშო კაპიტალი ეტანებოდა არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, არამედ ადგილმამულსაც, მიწასაც. მევახშის ქსელში, გახლართული გლეხი, და არაიშვიათად არისტოკრატი მემამულეც, ჰკარგავს მიწას, რომელიც ხშირად თვით მევახშის ხელში გადადის. რეფორმების მერმინდელ ხანებში საქართველოსა და ამიერკავკასიაში სავახშო კაპიტალი ამ მხრივ იქამდეც კი მივიდა, რომ გლეხის სანადელო მიწებსაც კი ხელში იგდებდა.

გლეხი, რომელსაც სხვა ღონისძიება არ გააჩნდა, იძულებული იყო მევახშისაგან ფული ესესხა თავისი სანადელო მიწის გირავნობით. სანადელო მიწების დაწინდებით გლეხების დავალიანება განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული თბილისის, განჯის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში. ამ სახით გლეხები ჰკარგავდნენ მათს სარგებლობაში მყოფ სახაზინო მიწებს. ეს მიწები თვით სასამართლო ორგანოების დადგენილებით სახაზინო გლეხების ხელიდან გადადიოდა სხვა პირთა საკუთრებაში, რაც ეწინააღმდეგებოდა იმპერიაში მომქმედ კანონმდებლობას, რამდენადაც ეს მიწები იყო სახაზინო და არა გლეხთა საკუთრება. მიუხედავად ამისა, ეს მოვლენა იმდენად იყო გავრცელებული, რომ, მ. კუჩაევის ცნობით, 80-იან წლებში სიღნაღის მაზრაში მცხოვრებ 9.500 სახელმწიფო გლეხთაგან 317 დავალიანების შემთხვევით სახაზინო-სანადელო მიწებიდან გასხვისებულ იქნა 494 დესეტინა საბაღე მიწა, რომელთაგან 127 დესეტინა შეიძინეს სასულიერო წოდების პირებმა, ხოლო არა გლეხური წოდების სხვა პირებმა — 367 დესეტინა. თელავის მაზრაშიაც ამავე გზით გასხვისებულ იქნა 392 დესეტინა სანადელო მიწა. მსგავსი მოვლენები აღნუსხულია როგორც თბილისის, ისე

განჯის, ბაქოს და ერევნის გუბერნიების მევენახეობის რაიონებში; მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში შედარებით ნაკლებად ხდებოდა ვალებისათვის გლეხების მიერ ბაღ-ვენახების და საერთოდ მიწების დაკარგვა.

თელავის მაზრაში ამ მოვლენის შესწავლამ ა. არღუთინსკი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ უკვე 80-იან წლებში მტკიცე კავშირია დამყარებული ადამიანთა იმ ჯგუფში, რომელიც ყოველი საშუალებით მიისწრაფვის, რათა ხელში ჩაიგდოს გლეხთა ბაღ-ვენახები; ამ პირთა უდიდესი ნაწილი წარმოადგენს მევახშეებს, კრედიტორებს, რომლებიც „კრედიტის მეოხებით აღწევენ მოსახლეობის დაკაბალებას და გადაუხდელ ვალებში ჩაფლვას". ამ კრედიტორთაგან ერთი და იგივე პირი თავის ქსელს აბამს მრავალ ერთმანეთთან ახლობელ სოფლებში. „ამის შემთხვევით ახსნა ¦საკმაოდ ძნელია; იგი აუცილებლად უნდა მიეწეროს გასაოცარ სიმედგრეს ერთხელ დასახული მიზნის მიღწევაში"[1].

გლეხთა მიერ მევახშეთათვის დაგირავებული სახაზინო მიწების საჯარო ვაჭრობით გაყიდვამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო 70-იან წლებში, მაგრამ ეს პროცესი გრძელდებოდა 80-იან წლებშიაც, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მამულების სამმართველომ ამის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სანადელო მიწაზე გაშენებული ვენახების გაყიდვაში ადგილი ჰქონდა მრავალ უწესოებას. მაგ., მიწის შეფასება ხდებოდა მეტად დაბალ ფასებში, რადგან მყიდველებს (იმავე კრედიტორებს) მტკიცე კავშირი და პირიანობა ჰქონდათ ერთმანეთში.

ვენახის გლეხისაგან უცხო პირის ხელში გადასვლა მეტად ცუდ გავლენას ახდენდა საერთოდ თემის მდგომარეობაზეც. საქმე იმაშია, რომ ვენახის ახალი პატრონი—ვაჭარი, მევახშე თუ ხუცესი მონაწილეობას არ ღებულობდა თემისათვის საერთო ბეგარების გადახდაში, ხოლო გლეხი, რომელიც ჰკარგავდა ვენახს, მითვე ჰკარგავდა ბეგარის გადახდის უნარს და სახელმ-

[1] А. М. Аргутинский. „ЭВГК Телавского уезда"; МИЭВГКЗК., т. V, ч. I, 60

წიფო თუ საერობო გადასახადის ის ნაწილი, რომელსაც აქამდე იგი იხდიდა, ახლა მთელ თემს უნდა მიეღო თავისთავზე.

მევახშის ვალის მეოხებით გლეხი ჰკარგავდა არა მარტო ვენახს, არამედ სახნავ და საეზოვე მიწასაც. ჩვეულებრივად მიწის საბოლოოდ დაკარგვას წინ უსწრებდა მისი დაწინდება კრედიტორისათვის, რომელიც ამ მომენტიდან ფაქტიური პატრონი ხდებოდა დაგირავებული მიწის ნაჭრისა: სარგებლობდა მიწის შემოსავლით ვითარცა სარგებლით მის მიერ გაცემული სესხისათვის, თვით თავნის მიღებამდე. მაგრამ საბოლოოდ მიწა მევახშეს დარჩებოდა მით უმეტეს, რომ გირავნობის წიგნში, როგორც ს. მაჩაბელი გადმოგვცემს, ვალს აღნიშნავდნენ ნამდვილზე არაიშვიათად ოთხ-ხუთჯერ მეტი რაოდენობით. ასე, მაგ., „40 მან. სესხის დროს დაგირავების ბარათში ვალი აღინიშნება 200 მან. ან კიდევ მეტი რაოდენობით“ [1]. ასეთი დაგირავების წესები განსაკუთრებით გავრცელებული იყო სურამის, ცხინვალის და გორის რაიონებში, აგრეთვე განჯის და ბაქოს გუბერნიების მაზრებში.

* * *

თავისებური სახის კრედიტი იყო გავრცელებული თბილისელ ხელოსნებსა და წვრილ ვაჭრებში, ე. ი. ამქრულ კორპორაციებში გაერთიანებულ წვრილ მესარეწეთა შორის.

ი. ახვერდოვის, — „ამქრული კორპორაციის იდეოლოგის“, — გადმოცემით ამქრის წევრებს ან სავსებით არ გააჩნდათ ფულადი კაპიტალი, ანდა „მეტად მცირე კაპიტალი ჰქონდათ“. ამიტომ „მთელი მათი ბრუნვები დამყარებულია კრედიტზე“. ამ კრედიტით ფართოდ სარგებლობენ ისინი „როგორც ბითუმად მოვაჭრეთაგან, ისე ერთმანეთს შორისაც“. „...კრედიტი ამქართა შორის, როგორც ერთადერთი წყარო მათი არსებობისა, წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საწყისს ამქრული წყობილებისა“ [2].

[1] С. В. Мачабели, „ЭБГК Горийского уезда“, МИЭБГКЗК., т V, ч. I, 173.

[2] Ю. Ахвердов, „Тифлисские амкары“, 1883. стр. 24. დაიწერა 1857 წელს, ავტორი იცავს ამქრულ კორპორაციებს.

ხელოსანთა ამქარი ისევ ხელოსანთა ან ვაჭართა ამქრისაგან, ანდა ხელოსანი ვაჭრისაგან თავისი ხელობისათვის აუცილებელ ნედლ მასალას იშვიათად ყიდულობდა ნაღდ ანგარიშზე. უმეტეს ნაწილად ხელოსანს მასალა მიჰქონდა ვალში, კრედიტში. ასე, მაგ., დაბაღს ნედლი ტყავი ყასაბისაგან, ხოლო მეჩექმესა და ხარაზს დამუშავებული ტყავი დაბაღისაგან ვალში მიჰქონდა. ესენი დაახლოებით კვირაში ერთხელ ასწორებდნენ ერთმანეთს შორის ანგარიშს. ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი წვრილ ვაჭრებსა და ბითუმად მოვაჭრეთა შორისაც[1].

კრედიტის ასეთი ფორმა ვითომც, — როგორც ი. ახვერდოვი ირწმუნება, — არ უნდა ყოფილიყო მევახშური, ე. ი. ანგარებიანი. სინამდვილეში კი, — რომ არა ვთქვათ რა ამქრული წყობილების პირველი პერიოდისათვის, როდესაც ამქრის წევრთა შორის კრედიტი მართლაც ნაკლებად ანგარებიანი და მევახშური იყო, — სწორედ ი. ახვერდოვის დროს, ე. ი. 40—60-იან წლებში, და შემდეგშიაც, ამგვარი კრედიტით იმორჩილებდნენ და თავის იარაღად იხდიდნენ ხელოსანსა და წვრილ ვაჭარს, ე. ი. მთელ ამქრებს მსხვილი ვაჭრები, რომლებიც ხშირად ამქრის წევრებადაც ითვლებოდნენ და ამათუიმ სახით გაბატონებული იყვნენ ამქარში.

რეფორმის მერმინდელ ხანებში, დაწყებული თვით სამოციანი წლების ბოლოდან, ამიერკავკასიაში ე. წ. „დროებით“ ვალდებულ“ გლეხებში თავს იჩენს საკმაოდ ძლიერი მიდრეკილება სანადელო მიწების „ადრითვე“ გამოსყიდვისაკენ. ეს გარემოება პოხიერ ნიადაგს უქმნიდა სოფლად მევახშეობის განვითარებას, რასაც თვითმპყრობელობის დაქირავებული მწერლები და ხალხოსნები ხსნიდნენ სასოფლო კრედიტის ჩამორჩენილობით, რაც სინამდვილეში კიდევ უფრო მეტი ზომით იყო გავრცელებული სწორედ იმ რაიონებში, სადაც სასოფლო ამხანაგობათა შემნახველ-გამსესხებელი სალაროები არსებობდა.

[1] Ю. Ахвердов, „Тифлисские амкары“, 1883, стр. 25.

ერევნის გუბერნატორ გენ. შალიკაშვილის მოწმობით 1880-იან წლებში ერევნის გუბერნიის „დროებითვალდებულ“ გლეხთა გამოსასყიდელი ოპერაციებისაკენ მიდრეკილებას ნაღდ ანგარიშზე, ე. ი. საკრედიტო დაწესებულებათა დახმარების გარეშე, შედეგად მოსდევდა სოფლად მევახშეობის აყვავება და ამისავე პარალელურად მუსლიმანი მოსახლეობის მიწებიდან ექსპროპრიაცია (განთავისუფლება) მეზობელ სომხების სასარგებლოდ. გენ. შალიკაშვილი 1884 წელს წერდა: „სოფლის მოსახლეობა, გუბერნიაში სასოფლო ბანკებისა და სხვა მათთვის ხელმისაწვდომ საკრედიტო დაწესებულებათა არარსებობისა გამო, იძულებულია სესხისათვის მიმართოს კერძო პირებს, ანუ უფრო სწორად, მევახშეებს, სპეკულანტებს და სხვ. მოხვდებიან რა ასეთ პირთა ბადეში, სოფლელნი იშვიათად თუ თავისუფლდებიან ვალებისაგან და იძულებული ხდებიან ნელ-ნელა დაუთმონ კრედიტორებს არა მხოლოდ შემოსავალი, არამედ თვით მიწაც დაუთმონ მათ საესებით, ანდა გრძელყადიანი იჯარის სახით, და ამით — ანადგურებენ რა მთელ თავიანთ ოჯახს— ტვირთად აწვებიან სახელმწიფოს. ამგვარად, რომც არ იყოს მიწის შემსყიდველი, რომელიც, რასაკვირველია, არ აყოვნებს მოევლინოს საზოგადოების ყოველი წოდებიდან, სოფლის მოსახლეობის მასის ექსპროპრიაცია მაინც აუცილებელია“[1]. ამგვარად, „დროებითვალდებულ“ გლეხთა მისწრაფებას მიწების შეძენისაკენ, სინამდვილეში სულ საწინააღმდეგო შედეგი მოსდევდა.

ქუთაისის გუბერნიის (იმერეთი, გურია, სამეგრელო) „დროებით ვალდებულ“ გლეხებშიაც იმავე ხანებში ასეთივე მიდრეკილება იჩენს თავს. აქ, დიდ მისწრაფებას სანადელო მიწების გამოსყიდვისაკენ, აგრეთვე ხშირ საოჯახო გაყრას, რაც იწვევდა მიწის მეტისმეტ დაქუცმაცებას, ქონებრივი საკუთრების არაუზრუნველყოფილ მდგომარეობას, შედეგად მიწების ძალით მიტაცებისა და გლეხისათვის მართლმსაჯუ-

[1] СМИЭБГКЗК. т. III, отд. II, 27.

ლების ძნელად მისაწვდომობისა, ამასთანავე არაჩვეულებრივად განვითარებულ დავაქრობას და სასამართლოებში სიარულს — შედეგად მოსდევდა დიდი მოთხოვნილება კრედიტზე, რასაც კიდევ უფრო ამწვავებდა გუბერნიაში ფულის მიმოქცევის უმნიშვნელოდ განვითარება. ყოველივე ამის გამო მევახშური კრედიტი მეტად ძვირი იყო; იგი მერყეობდა 80 — 120%-მდე. დასავლეთ საქართველოში მევახშეობას მისდევდნენ უფრო მემამულეები და შეძლებული გლეხები-ბობოლები. საკრედიტო ოპერაციების გაანგარიშება ხდებოდა არა წლიური, არამედ თვიური ბრუნვის საფუძველზე.

ამგვარად, მიუხედავად გლეხობის გულმოდგინე მისწრაფებისა საკუთრების სახით ჩაეგდოთ ხელში სანადელო მიწები,—რა მიზნითაც ისინი მიმართავდნენ გარდა სავახშო კაპიტალისა აგრეთვე სხვა მრავალგვარ ღონისძიებათ, დღედაღამ „სარტყელ-მოჭერილი“ (ე. ი. კუჭცარიელი) მუშაობის თანჩართვითაც, — საბოლოო ანგარიშით, მეტი თუ ნაკლები ზომით, უკვე მათი სანადელო მიწებიც კი ხელიდან ეცლებოდათ და მემამულისა და მევახშის ყმურ დამოკიდებულებაში ვარდებოდნენ:—რაც დრო მიდიოდა სულ უფრო მეტ ყვლეფას განიცდიდნენ, მით უფრო დიდი ზომით, რაც უფრო ვითარდებოდა მემამულეთა მოთხოვნილებები და მფლანგველობა, ერთი მხრით, და რაც უფრო გაუმაძღარი და გულხარბი ხდებოდა კაპიტალისტური დაგროვების ჟინით ატანილი მევახშე;—რამდენადაც ამ პროცესის მანძილზე სოფლის მეურნეობის ტექნიკა თითქმის სავსებით არ ვითარდებოდა და მყვლეფელთა გაზრდილი მოთხოვნილება გლეხს მხოლოდ ინტენსიური შრომით, სამუშაო დროის დაძაბვით და თავისი აუცილებელი მოთხოვნილების კიდევ უფრო შეზღუდვით უნდა დაეკმაყოფილებია; — მით უმეტეს, რომ სახელმწიფო ბეგარებიც სულ უფრო მძიმედ აწვებოდა მას კისერზე.

ასეთი გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალს გლეხი, სხვათა შორის, რაც შეიძლება მეტი მიწის დამუშავებაში ეძებს. მაგრამ ეს მიწები მას არ მოეპოვება და არც მოპოვებაა ადვილი საქმე.

აი, რას გადმოგვცემდა 1873 წ. გაზ. „დროება“: გლეხებს საღალოდ აღებული მიწა არ ყოფნით; „საცოდაობა ბრუნავს ხოლმე ჩვენს ზოგიერთა სოფლებში, მეტადრე სადაც წვრილი მებატონეები ცხოვრობენ. ბევრგან გლეხკაცი იღებს მამულს სანახევროდ და ამაშიაც კი ქრთამს აძლევს მემამულეს. მე თვითონ მინახავს, წერს ფელეტონისტი, გარდა იმისა, რომ სანახევროდ აეღოთ გლეხებს მამული, კიდევ დღიურზედ ხუთი მანეთი ქრთამი გაეღოთ, ოღონდ ჩვენ მოგვახნევინე მამულიო“. ეს ხუთი მანეთები ხომ მევახშისაგან არის ნასესხები და სწორედ ამგვარად გამოდის ის, რომ სახელმწიფოსაგან და მებატონისაგან გაოთხკეცებული ბეგარა-გადასახადებს ზედ ერთვის „დედის ძუძუს მომჭრელი“ მევახშისათვის გადასახდელიც. ღარიბი გლეხი გამოუვალ ვალშია და არსებულ ურთიერთობაში მას შველაც არსაიდან უჩანს.

ამიერკავკასიის გლეხობა ასეთ მდგომარეობაში, რომელიც სულ უფრო აუტანელი ხდებოდა, დარჩა არა მხოლოდ მთელი XIX საუკუნის მანძილზე, არამედ მიმდინარე საუკუნის პირველი ორი ათეული წლის განმავლობაშიც. 900-იანი წლების დასაწყისში ერ.თი დამკვირვებელი წერს, რომ გლეხის მთელი ზედმეტი პროდუქტის უდიდესი ნაწილი უნდება კრედიტორებს. მოუსავლობის შემთხვევაში გლეხს არ ძალუძს გაისტუმროს ზამთარსა და გაზაფხულზე ნაკისრი ვალები და იგი „საბოლოოდ უვარდება კლანჭებში თავის «კეთილისმყოფელს», რომლის ხელიდან თავის გამოხსნა მას ისე უძნელდება (თუნდაც მას მოყვეს მოსავლიანი წლებიც!), როგორც ობობას ქსელში შემთხვევით გაბმულ ბუზსო[1]“.

რ-გორც სამოცდაათიან წლებში, ისე და უფრო სასტიკად 900-იან წლებშიც, მიწის სიმცირის გამო არაორგანიზებულ გლეხებს შორის კონკურენციის მეოხებით მიწის საიჯარო ფასი სულ უფრო იზრდება და „იჯარის პირობა სულ უფრო მძიმე და არასარფიანი ხდება გლეხისათვის“. ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ გლეხი უვარდება ხელში მევახ-

[1] КСХ., 1900, 605 — 607.

შეს და სულ უფრო გამოუვალად ებმება მის ბადეში. ამრიგად, როგორც 1903 წ. პროფ. ფილ. გოგიჩაიშვილი უშუალო დაკვირვების შედეგად წერდა: „გლეხთა უმრავლესობა თანდათან ღატაკდება და პროლეტარიზაციის გზას ადგება. გასულ წელს მე დავიარე გორის მაზრა და საკუთარი თვალით ვიხილე გლეხობის სიღარიბე, რომლის აღწერაც შეუძლებელია“ [1].

1909 წ. ე. ხრამელაშვილი წერდა, რომ ჩვენს სოფელში 100-დან 95 ოჯახი გაჭირვებულ მდგომარეობაშია, რომელიც, „რაკი ვერას გახდება თავის მსგავს უმწეო მოკეთესთან, ნებაუნებლიეთ სოფლის ჩარჩ-მევახშეს მიმართავს. ეს უკანასკნელიც აბა რის მევახშეა, რომ მარჯვე შემთხვევით არ ისარგებლოს“. ამიტომ ძალიან ხშირია, რომ „გაჭირვებულ გლეხს ერთი დღის კარგად შემუშავებული ვენახი ორ თუმანში დაეგირავებინოს და ნაბარტყ-სარგებლის გამო 4 — 5 წელიწადს ვენახი ხელიდან გამოსცლოდეს“ [2]. მევახშეობის ეს გამანადგურებელი გავლენა გრძელდებოდა ჩვენში თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

9. მევახშეობის როლი სოფლად

XIX საუკუნის მანძილზე საქართველოსა და ამიერკავკასიის გლეხობაში განვითარებული მევახშეობის თითქმის ყველა ძირითადი სახე, ამათუიმ ზომით, უკვე ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ 40 — 50-იან წლებიდან მაინც. საგლეხო რეფორმამ მას მხოლოდ უფრო მეტი გასაქანი მისცა, რამდენადაც შესაძლებლობა წარმოიშვა სოფლის მოსახლეობის მასების ფართო მასშტაბით და თავისუფალი ექსპროპრიაციისა. ბატონყმობის იურიდიული ნორმების გაუქმებამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა ვაჭარ-მედუქნეს, შემსყიდველს, მევახშეს

[1] Ф. Г. Гогичайшвили, „Малоземелье среди крестьян Закавказья“, 1903, 21 — 22.

[2] ე. ხრამელაშვილი, „წვრილი სესხი სოფლად“. იხ. „ჟურნ. „მოსავალი“, 1909 წ. № 6, გვ. 78.

და კულაკს, — და ხშირად ყოველივე ეს ერთ პიროვნებაში იყო კონცენტრირებული, — ღარიბი გლეხის დამონებისათვის და ამასთანავე თითქმის ხელუხლებლად შეუნარჩუნა და კიდევ უფრო განუმტკიცა ფეოდალ-მემამულეს ეკონომიკური ბატონობა მისი ყოფილი ყმების მიმართ.

ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხობის ყვლეფას და დამონებას სავახშო კაპიტალი მთელი ამიერკავკასიის ხალხებში თითქმის ერთნაირი ინტენსივობით ახორციელებდა. სოფლად უმცირესობის ხელში, რომელიც ფლობდა უფრო მსხვილ და სარფიან სარეწავს, ღებულობდა „წმინდა“ შემოსავალს სხვისი შრომიდან და სხვ., თავს იყრის „მონაგარი“, მაშინ როდესაც უმრავლესობა ღატაკდება. ამრიგად დაგროვილ „მონაგარს“ იმდროინდელ სოფელში ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი პირდაპირ დაიმორჩილოს მუშა მისი სამუშაო ძალის ღირებულებისამებრ უბრალოდ შესყიდვის გზით, რის გამოც იგი მშრომელებს თავზე ახვევს მევახშურ ქსელს, მიიჯაჭვავს ამ მშრომელებს კულაკური მეთოდებით და ამ გზით ეწევა მათს ყვლეფას.

სოფლის ბურჟუაზიის ხელში თანდათანობით თავს იყრიდა როგორც სავახშო კაპიტალის, ისე სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ძაფები, რამდენადაც კულაკი ეწეოდა როგორც „მონაგარის“ გასესხებას, მიწის და სხვ. გირავნობით, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შესყიდვას, მისი უახლოესი ვაჭრისათვის და შემსყიდველისათვის მისაწოდებლად, და აგრეთვე, 900-იან წლების მოახლოებისადამიხედვით, სულ უფრო შესამჩნევი ზომით გადადიოდა სავაჭრო მიწათმოქმედებაზე — დაქირავებული მუშების ექსპლუატაციით. მაგრამ უკანასკნელი მომენტი, ზემოხსენებულებთან შედარებით, უმნიშვნელოდ იყო განვითარებული თვით პირველი მსოფლიო ომისწინა წლებშიაც კი და ამდენადვე ბობოლა გლეხების ხელში თავმოყრილი თავისუფალი კაპიტალები უმთავრესად მევახშეობისა და ვაჭრობის ასპარეზზე ეძებდნენ დაბანდების ადგილს; თუმცა როგორც ამ გზით, ისე პირდაპირი სახითაც ეს კაპიტალი გვერდს არ უვლიდა როგორც

მიწების შესყიდვის, ისევე მიწათმოქმედებისა და, მაშასადამე, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საქმესაც და ამდენადვე იგი ხელს უწყობდა სოფლად წვრილი წარმოების დაშლას.

სავახშო კაპიტალის სამრეწველო სარეწავებში დაბანდებას ხელს უშლიდა მთელი რიგი მომენტები, რომელთა შორის, რომ არა ვთქვათ რა ძლიერი ფეოდალური გადმონაშთებისა და სხვათა შესახებ, უმთავრესი გარემოება იყო ისევ ის, რომ სავახშო და სავაჭრო კაპიტალი ამავე სახით, ე. ი. დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ, როგორც ზემოთ უკვე გვაქვს ნაჩვენები, იძლეოდა მეტად დიდ შემოსავალს მოგებისა და სარგებლის მოტანით. სწორედ ეს გარემოება აფერხებდა კაპიტალის დაბანდებას მრეწველობაში და კერძოდ სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებას. ამის გამო კი „...სავაჭრო და სავახშო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება ჩვენს სოფელში ა ფ ე რ ხ ე ბ ს გლეხობის დაშლას“ [1], როგორც ეს. დაადგინა ლ ე ნ ი ნ მ ა კერძოდ რუსული სოფლის მაგალითზე. მაგრამ ეს კანონი კიდევ უფრო დიდის სიმტკიცით მოქმედებდა კოლონიურ საქართველოსა და ამიერკავკასიის სოფელში, სადაც მეტროპოლიასთან შედარებით, უფრო ნაკლები ტემპით მიდიოდა „...კ ა პ ი ტ ა ლ ი ს შემდგომი გაევროპულება, მისი გარდაქმნა სავაჭრო კაპიტალიდან მწარმოებლურ კაპიტალად, შუასაუკუნეობრივი კაპიტალიდან — უახლეს კაპიტალად“ [2].

საქართველოს და ამიერკავკასიის სოფლებში, მიუხედავად იმისა, რომ სავახშო კაპიტალი აქ მეტნაკლები ზომით იყო განვითარებული, საერთოდ იგი ყველგან ერთ საქმეს აკეთებდა, რაც სოფლის ღარიბი და უღარიბესი გლეხობის — იქნებოდა ის ბინადარი თუ მომთაბარე — სავახშო კაპიტალის ყმად გადაქცევაში გამოიხატებოდა და ეს მაშინ, როდესაც იგი ძველებურად კვლავ რჩებოდა ფაქტიურ ყმად

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, 3, 202.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, I, 448.

შემამულისა: უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასების ბატონყმური ექსპლუატაციის ბარბაროსულ მეთოდებს კაპიტალისტური ექსპლუატაციის ამაზრზენი საშინელებანი ემატებოდა და იმას, რაც მემამულეს და მის მოურავს გამოუწურავი რჩებოდა, გაუმაძღარი და მეტიჩარა მევახშე ობობასავით წუწნიდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მომენტი იყო ძარცვისა და დამონების იმ შეუნელებელი მოქმედებიდან, რაც ფეოდალური მემამულეების, ეკლესიისა და მისი დამქაშების, შემსყიდველებისა და ყოველგვარი ბურჟუაზიული მესარეწეების, კულაკებისა და სოფლის მოხელეების, მეტროპოლიის ბიუროკრატიისა და სხვა ათასგვარი მტაცებელისა და მუხანათის სახით ენით გამოუთქმელი და კალმით აუწერელი სისასტიკით თავზე რომ ატყდებოდა საქართველოს და ამიერკავკასიის სოფლისა და ქალაქის ღარიბ მოსახლეობას, რომელთა პროტესტი და აღშფოთება მთელი აღებული პერიოდის განმავლობაში გამოხატულებას ჰპოულობდა მყვლეფელთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ მიმართულ მძვინვარე ამბოხებებში და თავგამოდებულ გმირულ ბრძოლებში.

საქართველოსა და ამიერკავკასიის გლეხობამ და მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დააღწია თავი მევახშეთა კლანჭებს, რადგან, როგორც ცნობილია, „თებერვლის რევოლუციას არსებითი ცვლილებები არ შეუტანია მხარის მშრომელი კლასების მდგომარეობაში“ [1].

[1] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, 4, 56.

III

პირველი საკრედიტო ორგანიზაცია ამიერკავკასიაში

საძართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიო

საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიო (Приказ общественного призрения) რუსეთში დაარსებულ იქნა ეკატერინე II დროს, 1775 წელს, მაშინ როდესაც მოხდა იმპერიის დაყოფა ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად — გუბერნიებად. ყოველ გუბერნიაში დაარსდა თითო საგანგიო (პრიკაზი); ამ დაწესებულების მთავარი მიზანი იყო ქველმოქმედებითი მოღვაწეობა: სკოლების, თავშესაფართა და სხვ., გახსნა და მოწყობა, მაგრამ პრიკაზს საკუთარ ქველმოქმედებითი ღონისძიებათა გაძლიერების მიზნით შეეძლო აგრეთვე ხელი მოეკიდა საკრედიტო ოპერაციებისათვის. ამ მიზნით ყოველ პრიკაზს იმთავითვე ეძლეოდა 15.000 მანეთი. პრიკაზს შეეძლო კერძო პირთაგან ანაბრისა და აგრეთვე ყოველგვარი შემოწირულების მიღება. სესხი უნდა გაეცა მხოლოდ უძრავი ქონების გირავნობით, თვითეულ პირზე არა უმეტეს 1000 მანეთისა და ერთი წლის ვადისა. 1802 წლის კანონით ეს ვადა მნიშვნელოვნად იქნა გადიდებული.

პრიკაზები შედიოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში. მხოლოდ 1859 წლიდან — როდესაც გამოცემულ იქნა კანონი, რამაც მთელს იმპერიაში საქველმოქმედო ორგანიზაციებს ჩამოაცილა საკრედიტო ოპერაციები, — პრიკაზი გადავიდა ფინანსთა სამინისტროს უწყებაში. 1859 წ. 1 სექტემბრიდან შეწყვეტილ იქნა პრიკაზების მიერ სესხის გაცემა და ანაბრების მიღება. შიგარუსეთში ამიერიდან პრიკაზს, როგორც მხოლოდ საქველმოქმედო ორგანიზაციას,

თვით ხაზინა აძლევდა ფულად დახმარებას, ხოლო როგორც საკრედიტო დაწესებულება — იგი ლიკვიდირებულ იქნა.

რუსეთის ხელისუფლება იძულებული შეიქნა იმთავითვე მიექცია ყურადღება კრედიტის მოწესრიგებისათვის ყოფილ ქართლ-კახეთის სამეფოში. ჯერ კიდევ გენ. პ. ციციანოვმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას რაიმე საკრედიტო ორგანიზაციის საშუალებით გარკვეული დახმარება გაეწია საქართველოში გადმოსულ სახელმწიფო მოხელეთათვის და აგრეთვე ადგილობრივ თავად—აზნაურობისათვის. მაგრამ იმ ხნობით ამ „რაიმეგვარი საკრედიტო დაწესებულების“ დაარსება საქართველოში არ მოხერხდა; ფულის მიმოქცევისა და კრედიტის მოწესრიგებისაკენ მიმართული ცდები მიზანს აღწევენ მხოლოდ იმ მხრივ, რომ 1804 წლიდან თბილისში იხსნება „ქართული თეთრის“ საჭრელი ზარაფხანა და 1806 წლის 19 ოქტომბერს ალექსანდრე I-ის მიერ გენ. გუდოვიჩისადმი გაცემული ბრძანებულებით ერთგვარი „შეღავათები“ წესდება „კავკასიის პრიკაზის“ (Кавказский приказ общественного призрения)[1] მიერ სესხის გაცემის პირობებში.

საქმე ისაა, რომ აქამდე (1806 წ.) არსებული წესის მიხედვით „კავკასიის პრიკაზს“ სესხის გაცემა შეეძლო მხოლოდ ქვის შენობისა და პირველი მოთხოვნილების საქონლის გირავნობით; რამდენიმე ხნის წინათ წარდგენილ მოხსენებაში კი გენ. გუდოვიჩი აღნიშნავდა, რომ ამ სახის დასაწინდებელი (დასაგირავებელი) ქონება აქ არასაკმარისად მოიძებნებაო. ამ მოხსენების შემდეგ, 1806 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულებით დადგენილ იქნა: კავკასიის პრიკაზის მიერ სესხი გაცემულიყო აგრეთვე ბაღ-ვენახებისა და ხის შენობათა გირავნობით. ხოლო ამ გირაოთა ღირსებისა და ფასის შესახებ სესხის ამღებს უნდა აეღო მოწმობა თავდებთაგან: თავადაზნაურთა ქონებისათვის — თავადაზნაურთა წი-

[1] ეს იყო „საკუთრად კავკასიის“, ე. ი. ახლანდელი იმიერკავკასიის „პრიკაზი“, მაგრამ 1810 წლამდე იგი სესხს აძლევდა საქართველოს გუბერნიის მცხოვრებთაც, კერძოდ სახელმწიფო მოხელეებსა და მსხვილ თავადებს.

ნამძღოლთაგან; ხოლო ვაჭართა ქონებისათვის — საქალაქო თემისგან (თვითმმართველობისგან), რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ მოვალის-უსახსრობის შემთხვევაში[1].

კავკასიის პრიკაზიდან საქართველოს (აღმ. საქართვ.) მცხოვრებთაგან სესხის აღებას უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. თვით აქაურ მაღალ სახელმწიფო მოხელეებსა და რუსეთთან მოვაჭრე თბილისელ ვაჭრებსაც-კი ძნელად მიუწვდებოდათ ხელი იქიდან სესხის ასაღებად.

ასეთ პირობებში, გასაგებია, ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა პრიკაზის დაარსებას საქართველოში და, აი, გენ. ტორმასოვის შუამდგომლობის შედეგად 1810 წლის მაისს, როგორც შინ. საქმ. მინისტრის ამხანაგი კოზოდავლევი იტყობინება, იმპერატორმა ინება „დაარსდეს საქართველოში საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი და მის დასაფუძნებლად, მსგავსად საერთოდ ყველა სხვა გუბერნიებისა, გაცემულ იქნას კაპიტალად 15.000 მან. ასიგნატებით; ამასთანავე ამ კაპიტალის ზომის მიხედვით დაარსებულ იქნას აგრეთვე საქველმოქმედო დაწესებულებებიც“[2]. ფინანსთა მინისტრს ებრძანა აღნიშნული თანხის გაცემა.

ამგვარად, 1810 წლიდან იწყება საქართველოს პრიკაზის არსებობა. ამ პრიკაზს, გარდა იმისა, რომ წარმოადგენდა ერთგვარ საკრედიტო დაწესებულებას, მსგავსად შიგა რუსეთის გუბერნიებში არსებული პრიკაზებისა, შემდეგში ჰქონდა აგრეთვე საქველმოქმედო დაწესებულებებიც: საავადმყოფო, უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი, საშობიარო და სხვ.

1812 წელს გამოიცა კანონი, რომელმაც საერთოდ იმპერიაში პრიკაზების მთავარ დანიშნულებად გამოაცხადა „სახელმწიფო ხაზინის განმტკიცება“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პრიკაზებს ადგილობრივი (საგუბერნიო) სახელმწიფო დაწესებულებებისათვის საჭიროების დროს თავიანთი კაპიტალიდან უნდა მიეცათ სესხად თანხები. ეს გარემოება, თა-

[1] 1-ое ПСЗРИ., т. XXIX, № 22324, стр. 792.
[2] АСКАК, IV, под ред. А. Бержe, № 32, стр. 34.

ვისთავად ცხადია, უარყოფითად იმოქმედებდა იმ მხრივ, რომ პრიკაზიდან კერძო პირთა მიერ სესხის აღებას გააძნელებდა და შეანელებდა. საქართველოს პრიკაზი, თავისი დაარსებიდანვე, საერთო საიმპერიო კანონის მიხედვით, სესხად გაცემული თანხიდან სარგებელს ღებულობდა 6%-ის რაოდენობით.

ამასთანავე, როგორც ვიცით, საქართველოში ე. წ. ჩვეულებრივი სარგებელი ამ დროს მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო. თვით თბილისში სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებები იძლეოდნენ სესხად ხაზინის თანხებს ბევრად მეტი სარგებელით: კერძოდ არა რუსული, არამედ ქართული კანონების მიხედვით — ვახტანგ VI სამართლისა და ადათობრივი ჰსჯულის საფუძველზე, — ე. ი. არა ნაკლებ 12%-ისა. ეს შეუსაბამო გარემოება 1815 წელს გენ. რტიშჩევმა შემდეგნაირად დაუსაბუთა სასამართლოსა და განსჯის ექსპედიციას (экспед. суда и расправы): „თუ რომ ფულის გასესხება კერძო პირთა შორის იწარმოება ქართული კანონების მიხედვით, მაშინ ხაზინამაც არ უნდა დაკარგოს თავისი სარგებელი და ასევე უნდა მიიღოს %% ქართული კანონების საფუძველზეო“. გარდა ამისა რტიშჩევი ამტკიცებდა, რომ პრაქტიკაში მაღალი, 12 — 24%%, სარგებლის არსებობის დროს თუ სახელმწიფო დაწესებულება სესხს 6%-ად გასცემს, მაშინ „ამ ნიადაგზე დაიწყება ბოროტმოქმედება“, სახელდობრ იმ სახისა, რომ მრავალი პირი ვინც პრიკაზიდან ფულს 6%-ად მიიღებს, თავის მხრივ დაიწყებს ამ ფულის სხვაზე გაცემას 20 და კიდევ უფრო მაღალ %%-შიო.

გენ. რტიშჩევმა იმავე 1815 წელს იშუამდგომლა მინისტრთა კომიტეტის წინაშე, რათა საქართველოს პრიკაზს, თავისი კუთვნილი თანხები გაეცა სესხად, ჩვეულებრივი გირავნობით, 12%-იანი სარგებლით. სულ მალე, 1816 წ. 28 მარტიდან, მინისტრთა კომიტეტის დადგენილების თანახმად, რტიშჩევის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნა, მი-

უხედავად იმისა, რომ რუსეთის ყველა გუბერნიაში პრიკაზები ღებულობდნენ მხოლოდ 6%-ს[1].

როგორც ჩანს, 12% სარგებლის დამწესებელთა მოლოდინი არ გამართლდა. საქართველოს ახალ მთავარსარდალ გენ. ერმოლოვს, იმავე 1816 წლის 15 ნოემბრის თარიღით, საქართველოს პრიკაზი ატყობინებს, რომ ზემოხსენებული დადგენილების სისრულეში მოყვანა მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წააწყდა. აქაურ მცხოვრებთაგან არავის, ვისაც კეთილსაიმედო დასაგირავებელი ქონება აქვს, ფულადი სესხი ამ პრიკაზიდან არ მიაქვს, მხოლოდ მაღალი სარგებლის (%%-ს) მიზეზით, რადგან ასეთი სარგებლით სესხის აღება ადვილად შეიძლება კერძო პირთაგანაც, რომლებიც საწინდარისა და ვალდებულების შესრულების სიზუსტის მხრივაც უფრო ნაკლებ მოთხოვნილებებს აყენებენო[2].

ამგვარად, პრიკაზისათვის დასაგირავებელი ობიექტის გამონახვა და დაგირავებასთან დაკავშირებულ ფორმალობათა (ქონების შეფასება, აღწერა და სხვ.) შესრულება, ასევე შემდეგ სესხის აღების დოკუმენტური გაფორმება იმდენად გაჭიანურებული იყო ბიუროკრატიული ინსტანციების მეოხებით, რომ საქართველოს პრიკაზიდან სესხის აღებას გაურბიან, როგორც-კი უკანასკნელმა თითქმის იმდენივე სარგებელი დააწესა, რამდენსაც კერძო „ბანკირები“ ღებულობდნენ.

შექმნილი მდგომარეობის გამო, რომ თანხები საესებით უხმარად არ ეწყოს, პრიკაზი იძულებულია იშუამდგომლოს გენ. ერმოლოვთან, რათა უკანასკნელმა ნება დართოს, მსგავსად რუსეთის შიგა გუბერნიების პრიკაზებისა, აქაც 6%-იანი სარგებლით გაიცეს სესხი. „რის შემდეგ პრიკაზი, რასაკვირველია, არ განიცდიდეს იქნება სესხის ამღებთა ნაკლებობას და მის კაპიტალებსაც მეტი ნამატის მოტანა შეეძლება“. გენ. ერმოლოვმა გასცა განკარგულება, რომ კვლავ 6% სარგებელი დაეწესებია პრიკაზს და თანაც აცნობა,

[1] სცსს. მია, ფონდი VIII, КГГ., д. № 429, л. 8; АСКАК, V, № 317 — 318, стр. 254 — 258.

[2] АСКАК, VI, ч. II, стр. 92.

მისი ამ განკარგულების შესახებ, პოლიციის მინისტრს. უკანასკნელი 1816 წლის 28 დეკემბრის თარიღით გამოგზავნილ მიმართვაში გენ. ᲔᲠᲛᲝᲚᲝᲕᲘᲡ ატყობინებს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია მინისტრთა კომიტეტის მიერ, თვით ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნის საფუძველზე, დაწესებული 12%-ის შემცირება, რის გამოც სთხოვს ᲔᲠᲛᲝᲚᲝᲕᲘᲡ, რათა მან შესცვალოს თავისი ბრძანება საქართველოს პრიკაზისადმი და უკანასკნელი ამიერიდან სესხს გასცემდეს ისევ 12% სარგებლის აღებით. თუ რომ ამ პირობებში სესხის ამღებნი არ აღმოჩნდებიან, მაშინ პრიკაზს 6%-ის წინასწარ დაჭერით თავისი კაპიტალიდან გარკვეული თანხები შეეძლო სესხად გაეცა საქართველოს სახაზინო ექსპედიციისათვის „სახელმწიფო ხაზინის გახსამტკიცებლად“ [1].

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, კერძო პირები უკვე ძალიან იშვიათად მიმართავენ საქართველოს პრიკაზს სესხისათვის. ასე, მაგალითად, 1819 წ. 5 მარტისათვის შედგენილი ცნობა ცხადყოფს, რომ ამ დროს პრიკაზის მთელი საკუთარი თანხიდან—45.804 მან. ასიგნ., 15.333 მან. ვერცხლ., 20 მან. ოქრ. და 777 ჩერვონეციდან (ჰოლანდ.-3 მან.) — კერძო პირებზე სესხად გაცემული იყო მხოლოდ 4.000 მან. ასიგნ. და 970 მან. ვერცხლით [2]. ...ამგვარად, პრიკაზის თანხები თითქმის უხმარად ეწყო, არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა არც ხაზინისა და არც თაოსნიანი კერძო პირებისათვის; მხოლოდ რომელიმე გაქნილი კომბინატორი სახელმწიფო მოხელე ჩაყოფდა ხოლმე ხელს მის სალაროში, რათა პრიკაზიდან ნასესხები ფულით რომელიმე სახელმწიფო (უფრო სამხედრო) უწყებისგან აღებული ფრიად მომგებიანი იჯარა მოეკვარახჩინებია.

1816 წლიდანვე იწყება თბილისსა და პეტერბურგს შორის დაუსრულებელი ჯირითი — სამ წელიწადს რომ გაგრძელდა — კანცელარიული ბარათებისა, რომელთაგან პირველნი მოითხოვენ 6%-ის დაწესებას, ხოლო მეორენი მძლავ-

[1] სცსს, მია., ფონდი VIII, КГГ, 1821 წ. საქ. № 931, იხ. აგრეთვე АСКАК, VI, ч. II. 1 — 2.

[2] АСКАК, VI, ч. II, 23.

რობით ამტკიცებენ 12% სარგებლის ძალაში დატოვების საჭიროებას; სანამ, დასასრულ, 1819 წ. მაისის გასულს, გენ. ერმოლოვმა არ მიიღო პოლიციის მინისტრისაგან მომართვა, სადაც უკანასკნელი იტყობინება, რომ მინისტრთა კომიტეტმა ნება დართო საქართველოს პრიკაზს კერძო პირებზე გასცეს სესხი 6%-ის აღებით, ხოლო „ექვსზე მეტი პროცენტის გადახდევინების ნებაც მისცეს პრიკაზს", მაგრამ ამ მეტის მოთხოვნა მას არ შეეძლო, თუ თვით სესხის ამღები არ ინებებდა ამის გადახდას პრიკაზის საქველმოქმედო დაწესებულებისათვის შეწირულების სახით. მინისტრთა კომიტეტის დადგენილება დაამტკიცა იმპერატორმა, რომელმაც გენ. ერმოლოვს დამატებითი მითითება მისცა: პრიკაზიდან 6% სარგებლით სესხის ამღებთ არ დაეწყოთ ბოროტმოქმედება იმ სახით, „რომ ეს ფული თავის მხრივ უფრო მაღალ სარგებელში არ გასცენ სხვებზეო"[1].

ეს იყო მდგომარეობის ერთგვარი შემსუბუქება, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ კრედიტის მოუწესრიგებლობა, ცხადია, ამით არ შეიძლებოდა გამოსწორებულიყო. საქართველოს პრიკაზს, ჯერ-ერთი, მეტად უმნიშვნელო რაოდენობის თანხა გააჩნდა და მასაც პირველ რიგში სახელმწიფო დაწესებულებები და დიდი მოხელეები ღებულობდნენ სესხად. სახელმწიფო სამსახურში მყოფი თავადაზნაურობა კი პრიკაზიდან მიღებულ თანხას თითქმის მხოლოდ სამომხმარებლო საჭიროებისათვის ხარჯავდა. ასე რომ კომერციული თაოსნობისათვის სახაზინო კრედიტი მიუწვდომელი იყო.

ეს უკანასკნელი გარემოება მით უფრო საგრძნობი და აუტანელი ხდებოდა, რაც უფრო ვითარდებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში გაცვლა-გამოცვლა, ვაჭრობა და ეკონომიკური კავშირი ცალკე პროვინციებს შორის. ამიტომ 1822—1831 წწ., შელავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის პერიოდში,— როდესაც ჩვენში ასე ფართოდ შემოჭრილმა ევროპის სავაჭრო კაპიტალმა დიდად აამოძრავა კომერციული თაოსნობის მა-

[1] სცსს., მია., ფონდი VIII, КГГ, 1821 წ. საქმე № 931; იხ. აგრეთვე АСКАК., VII., стр. 28 — 30.

ნამდე მთვლემარე ძალები, — მეტადსაგრძნობი შეიქნა კრედიტის მოუწესრიგებლობა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სასტიკი ჩამორჩენა. უზომოდ გაიზარდა სარგებელი კაპიტალიდან, რადგან საჭირო რაოდენობით საკუთარ თანხებს მოკლებული ვაჭრები, სახელმწიფო ან კერძო წესიერი საკრედიტო დაწესებულების თითქმის სავსებით არარსებობისა გამო, იძულებული იყვნენ 30 და ხშირად უფრო მაღალი %% ეძლიათ მევახშეებისათვის. რაც, ცხადია, აძვირებდა რა საქონელს, ხელს უშლიდა მოხმარების განვითარებასაც. ასეთი მდგომარეობის გამო მე-19 საუკუნის მესამე ათეული წლების მიწურულს, ადგილობრივ ხელისუფალთა შორის წამოიჭრა საკითხი თ ბ ი ლ ი ს შ ი კ ო მ ე რ ც ი უ ლ ი ბ ა ნ კ ი ს დაარსების შესახებ, მაგრამ, როგორც თავის ადგილას დავინახავთ [1], ეს ცდა მაშინ არ განხორციელებულა. ამიერკავკასიის მმართველობის სარევიზიოდ პეტერბურგიდან მოვლინებული სენატორები კ უ ტ ა ი ს ო ვ ი და მ ე ჩ ნ ი კ ო ვ ი 1831 წელს წარდგენილს უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნავდნენ, სხვათა შორის, კრედიტის „მეტისმეტად ჩამორჩენილ, პირველყოფილ მდგომარეობას“, რითაც ბოროტად სარგებლობენ თვით ხელისუფლების ორგანოებიო.

საქართველოს პრიკაზიდან ქონების გირავნობით სესხის მიღება დაკავშირებული იყო მოსყიდვისა და მოქრთამვის თვალთმაქცურ ხერხებთან, თვით დასაგირავებელი ქონების შეფასებიდან დაწყებული. აი, რას წერენ ზემოხსენებული სენატორები: „საქართველოს აღმასრულებელი ექსპედიცია, კანონთა დაცვისათვის მეთვალყურეობის ნაცვლად, თვითონ არ ასრულებს მათ; იგი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე ართმევდა კერძო პირებს უძრავ ქონებას და მერმე სხვას აძლევდა, ხოლო მისი თავმჯდომარე, ახლანდელი სამოქალაქო გუბერნატორი ზ ა ვ ი ლ ე ი ს კ ი, თვითონ მარტო თავისი პერსონით, სცემდა განკარგულებებს იქაური საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზში შემოსულ ქაღალდებზე და პრიკაზის მიერ უკვე გირაოდ მიღებულ მიწების კვლავ გადაფასე-

[1] თბილისის კომერციული ბანკის ისტორიისათვის იხ. აქვე. თავი VI.

ბას აკეთებინებდა. ბოროტება ჩვენ აღვკვეთეთ სასტიკ განკარგულებათა გაცემით და ვაცნობეთ ამის შესახებ სენატსო“, — დასძენენ სენატორები, თითქოს ამით საქმე მართლა გამოესწორებიათ!

შემდეგ იგივე სენატორები აღნიშნავენ, რომ აღმასრულებელი ექსპედიცია ოცდაათი წლის განმავლობაში, ე. ი. თვით ცარიზმის მმართველობის შემოჭრის დღიდან დაწყებული, ადგილმამულებს ჰყიდდა საჯარო პუბლიკაციის გზით — გაზეთების მეშვეობით — შესყიდვის მსურველთა გამოძახების გარეშე და ამ მამულებიდან უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ამოგებული საშუალო შემოსავლის მაედველობაში მიუღებლად, რითაც მეტად ავიწროებდა როგორც კრედიტორებს, ისე მოვალეთაცო.

მეტად გაჭიანურებული და „უკიდურესობამდე შევიწროებული იყო“,—თვით სენატორების სიტყვით რომ ვთქვათ,— შესყიდვა, გაყიდვა და დაგირავება კერძო პირთა ადგილმამულისა. ჯერ კიდევ გენ. ერმოლოვმა ყოველგვარი საამისო კანონის წინააღმდეგ გასცა ბრძანება სამართლისა და განსჯის ექსპედიციის მიმართ, რომ მამულის გაყიდვისა და დაგირავების შესახებ არ იქნეს დამტკიცებული შესაფერი დოკუმენტები, სანამ არ იქნება ზუსტად გამორკვეული, თუ ვის ეკუთვნის აღნიშნული მამული და არ ეცნობება ეს საქართველოს მთელ მცხოვრებთ. ხოლო ამ რთული ოპერაციის შესრულების პროცესში ხშირად ათიოდე წელიწადი გადიოდა, მყიდველი და გამყიდველი ამ ხნის განმავლობაში არაიშვიათად იხოცებოდა, ანდა ნასყიდობის აქტების შედგენის ნაცვლად წარმოიშობოდა ახალი სადავო საქმეებიო, აცხადებდნენ კუტაისოვი და მეჩნიკოვი[1].

ადგილმამულის გაუმიჯნელობაც დიდად უშლიდა ხელს მამულის დაგირავებით სესხის მიღებას, რადგან მესაკუთრის დადგენის ის მეთოდი, რომელიც ხელისუფლებამ გამოიმუშავა, წლობით აჭიანურებდა პროცესს და ყოველგვარ სტიმულს უკარგავდა ადამიანს პრიკაზიდან სესხის აღებისადმი მისწ-

[1] АСКАК. VIII, 5—6.

რაფებაში. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ეს დაბრკოლება, ადგილმამულის გაუმიჯვნელობისა და მესაკუთრეთა დაუდგენლობის სახით რომ იყო წარმოშობილი, მას მერმეც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში არ მოსპობილა. ჯერ კიდევ 1863 წ. ილია ჭავჭავაძე დიდ მიღწევად სთვლიდა „საქართველოს გამიჯნავების“ საქმის საფუძვლიანად დაწყებას, რადგან სადავო მამული არამცთუ პრიკაზში დასაგირაებლად არ გამოდგებოდა, არამედ მისი მოვლა-პატრონობის საქმეც მეტად ჩამორჩენილი იყო, და რამდენადაც მრავალრიცხოვანი და მასობრივი იყო სადავო მამულები, მით უფრო შეფერხებული იყო სოფლის მეურნეობის განვითარება [1].

* * *

ამგვარად, მე-19 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისისათვის საერთოდ კრედიტის საქმის ჩამორჩენილობასთან ერთად განსაკუთრებით მტკივნეული ხდება პრიკაზიდან სესხის მიღების გასაფორმებლად არსებული ბიუროკრატიული წესები, რომელიც ხშირად ბუნდოვანი მომენტებით ხასიათდება და ფართო გასაქანს აძლევს მექრთამეობასა და სხვა სახის ბოროტმოქმედებას. ამიტომ მეფის მთავრობამ ბოლოს, როგორც იქნა, საჭიროდ მიიჩნია პრიკაზიდან სესხის გაცემის შესახებ მტკიცე და გარკვეული წესების გამოცემა.

ჯერ კიდევ 1826 წელს გამოიცა ახალი კანონი კავკასიის გუბერნიის (ჩრდ. კავკასიის) პრიკაზიდან ქონების გირავნობით სესხის გაცემისა [2]. ხოლო 1832 წლის 14 დეკემბერს უკვე გამოდის, იმპერატორის მიერ დამტკიცებული „Правила на выдачу ссуд из грузинского приказа общественного призрения“ [3]. ეს წესდება მოქმედებდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, თვით საქართველოს პრიკაზის ლიკვიდაციამდე; ამიტომ საჭიროა ახლოს გავეცნოთ იმ დროის, ე. ი.

---

[1] ილია ჭავჭავაძე — „საქართველოს გამიჯნავების გამო“ (იხ. ჟურ. „საქართველოს მოამბე“, 1863 წ. № 2, გვ. 129 — 202).

[2] II-ое ПСЗРИ, I, 1827, СПБ., № 609, стр. 1019 — 1022.

[3] II-ое ПСЗРИ, VII, 1833, СПБ, № 5827, стр. 904 — 906.

შე-19 საუკ. პირველი ნახევრის განმავლობაში მთელ ამიერკავკასიაში ამ ერთადერთი საკრედიტო დაწესებულების წესდებას:

1. საქართველოს პრიკაზი სესხის გაცემის დროს გირაოდ ღებულობს: ა. ქვის სახლებს, ქვისავე კომერციულ აბანოებს, ქარვასლებს, დუქნებსა და წისქვილებს, რომლებიც იმყოფებიან საგუბერნიო ქალაქ თბილისში. სესხი გაიცემა ცეცხლისაგან უშიშარი ქონების შეფასებითი თანხიდან 50%-ის რაოდენობით; ბ. ქვის სახლებსაც, რომლებიც შენდებიან; გ. ვენახებს და სხვა გარკვეული შემოსავლის მომცემ მამულს როგორც თბილისში, ისე სამაზრო და საოლქო ქალაქებში და მათს გარეუბნებში, აგრეთვე მაზრებშიაც, შეფასებითი თანხის ნახევარში.

2. საქართველოს პრიკაზიდან სესხის მიღების მსურველს უნდა ეთხოვა გუბერნიის ხელისუფლებისათვის შეფასება მამულისა, რომლის დაგირავებასაც ფიქრობდა სესხის უზრუნველსაყოფად.

3. ქვის შენობის შეფასებას წარდგენილი აღწერების მიხედვით ახდენდა ნაფიცი შემფასებელი. (присяжный ценовщик), არქიტექტორისა და პოლიციის წარმომადგენელის დასწრებით.

4. ბაღებისა და მიწების შეფასება ხდებოდა მემამულეთაგან საქალაქო ანუ საერობო პოლიციის თანდასწრებით: ისინი ადგენდნენ დაწვრილებითს აღწერას შესაფასებელი მამულისა, მასზე აღმართულ შენობათა და სარეწავთა შემოსავლისა. ამ აღწერისა და შეფასების სისწორეს მერმე ადასტურებდა თავადაზნაურობის სამაზრო მარშალი (წინამძღოლი), როდესაც ქონება ამ წოდების წარმომადგენელს ეკუთვნოდა; — ანდა ქალაქის საბჭო (სოფლად — სოფლის სასამართლო), როდესაც გირავდებოდა ვაჭრის ანუ მოქალაქის (მეშჩანის) ქონება.

5. შეფასების დროს მხედველობაში ღებულობდნენ შენობათა სიმკვიდრესა და ადგილმდებარეობის ხელსაყრელობას;—

---

[1] II-ое ПСЗРИ, VII, 1833, СПБ, № 5827, стр. 904 — 906.

ასევე ბაღებისა და მიწების მიმართაც; მხოლოდ უკანასკნელთა შეფასების დროს საფუძვლად მიიღებოდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მიღებული საშუალო შემოსავალი.

6. ამგვარი წესით შესრულებულ შეფასების აქტს, თხოვნასთან ერთად, სესხის ამღები არდგენდა საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოსა და განსჯის ექსპედიციაში, საიდანაც უნდა მიეღოთ მოწმობა მის მიერ დასაგირავებელი ქონების კეთილსაიმედოობის შესახებ.

7. სასამართლოსა და განსჯის ექსპედიცია ხელახლა იხილავდა მთელს წარმოდგენილ მასალას, და თუ მიზანშეწონილად სცნობდა, გასცემდა ხოლმე სათანადო მოწმობას მთელი ქონების, მისი შემოსავლის შემფასებელთა და თანდამსწრეთა ვინაობისა და სხვ. შესახებ.

8. მთელი მიმოწერა აღნიშნულ საკითხებზე წარმოებდა უბრალო ქაღალდზე.

9. სასამართლოს და განსჯის ექსპედიციიდან მიღებულ მოწმობას სესხის ამღები არდგენდა საქართველოს პრიკაზში და ითხოვდა სესხის აღებას.

10. სანამ სესხს გასცემდა, პრიკაზი ყოველივე ამის შემდეგ თვით ირკვევდა, კიდევ ირიცხება თუ არა დასაგირავებლად წარდგენილ მამულზე რაიმე კერძო ვალები, ანდა გადაუხდელი სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებნი.

11. სესხი სავსებით დამთავრებული ქვის შენობების, ვენახების და მიწების გირავნობით გაიცემოდა ერთიდან სამ წლამდე, ხოლო ჯერ დაუმთავრებელი სახლების გირავნობით კი — არა უმეტეს ერთი წლის ვადისა.

12. ასეთ გირაოთა მიხედვით ერთი ან რამდენიმე პირისათვის, — მაგრამ ერთი მესაკუთრის ქონების გირავნობით, — გასაცემი სესხი განსაზღვრული იყო 15.000 მან. ასიგნატებით, ანდა 3750 მან. ვერცხლით.

13. სესხის გაცემისთანავე პრიკაზი ატყობინებდა ზემოხსენებულ ექსპედიციას დაგირავებული ქონების დაყადაღების (ანუ დახუთვის) შესახებ[1].

[1] ძველ ქართულში დაყადაღების შესატყვისად „დახუთვა“ იხმარებოდა. იხ. აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული სამართლის ისტორია“, ტ. II, ნაწ. II, 633 — 4.

14. სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოვალე წესიერად იხდიდა სარგებელს; მხოლოდ მოვალეს ამის შესახებ ვადამდე ადრე უნდა შეეტანა თხოვნა პრიკაზში.

15. სესხის გადახდის ვადის გაგრძელების შემთხვევაში პრიკაზი ახდენდა გირაოს ხელახალ შეფასებას, ახლად ირკვევდა საერთოდ მოვალის კრედიტუნარიანობას, და თუ ყველაფერი რიგზე აღმოჩნდებოდა, მაშინ უგრძელებდა ვადას ერთიდან სამ წლამდე, იმ პირობით, რომ სარგებელი უნდა გადახდილიყო წინასწარ ყოველი წლისა.

16. თუ მოვალე ვერ შესძლებდა ანდა არ მოისურვებდა ვადაზე ვალის დაფარვას, მაშინ დაგირავებული ქონება (მამული) გადაეცემოდა სამეურვეო სამმართველოს; ქონების მთელი შემოსავალი განიკუთვნებოდა ვალის დასაფარავად, ხოლო შემდეგ გაიყიდებოდა სათანადო საფუძველზე.

17. დაგირავებული ქონების გაყიდვის შემთხვევაში იმპერიაში არსებულ პრიკაზებს საერთოდ ევალებოდათ ამის შესახებ დაებეჭდათ განცხადება „სენატის უწყებებში", მაგრამ საქართველოს პრიკაზი ამისგან თავისუფალი იყო; მას მხოლოდ საქართველოში უნდა განეცხადებია ამის შესახებ.

18. თუ დაგირავებული ქონების (მამულის) გაყიდვით ამოღებული ფული ვერ დაფარავდა ვალს და პროცენტებს, მაშინ პრიკაზს შეეძლო სარჩელი აღეძრა დაგირავებული ქონების შემფასებელთა მიმართ, ხოლო თუ ნაფიცი შემფასებლებიც შეუძლონი აღმოჩნდებოდნენ, იმ შემთხვევაში დაუფარავი ვალისათვის პასუხს აგებდა შემფასებელთა ამომრჩევი საზოგადოება.

19. საქართველოს პრიკაზს შეეძლო გაეცა სესხი აგრეთვე საჭიროების დროს სახელმწიფო (სახაზინო) დაწესებულებებისათვისაც, ოღონდ ამისთვის უნდა ყოფილიყო შესაბამისი უწყების უმაღლესი ადმინისტრაციის ნებართვა და შესაფერი ქონება დაგირავებული.

20. როგორც კერძო პირებისათვის, ისე სახელმწიფო დაწესებულებისათვის გაცემულ სესხზე პრიკაზი ღებულობდა

სარგებელს 6%-ის რაოდენობით, — როგორც ეს იყო დაწესებული საერთოდ მოკლევადიანი სესხისათვის.

* * *

1832 წელს გამოცემულმა წესდებამ ერთგვარ გარკვეულ ნორმებში ჩააყენა კრედიტის საქმე საქართველოს გუბერნიაში, ე. ი. არსებითად ამიერკავკასიაში. მაგრამ საქართველოს პრიკაზის მოღვაწეობა, ცხადია, არ სწვდებოდა იმერეთსაც კი, რომ არა ვთქვათ რა სხვა უფრო შორეულ კუთხეებზე საქართველოს გუბერნიისა. აქედან გასაგებია, რომ, მაგალითად, იმერეთში კრედიტის საკითხი კიდევ უფრო უნუგეშო მდგომარეობაში იქნებოდა. მთელ დას. საქართველოში საერთოდ არ არსებობდა არც ერთი კერძო საკრედიტო დაწესებულებაც-კი, რომ არა ვთქვათ რა სახელმწიფო დაწესებულების შესახებ; ხოლო კრედიტზე მოთხოვნილება-კი, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი ყოფილა.

ამ გარემოებამ იმერეთში ცარიზმის ბიუროკრატებს ხალხის გასაძარცვავად ახალი მაქინაციების გაშლის საშუალება მისცა. იმერეთის სამმართველომ, გასული საუკუნის ოციანი წლებიდან ხელი მოჰკიდა მეტისმეტად თაღლითურ საქმეს: ის, მოვალე კერძო პირებს, სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების მეოხებით, თანახმად კრედიტორთა ძიებისა, — ახდევინებდა ვალებს, მაგრამ შემდეგ თავის მხრივ ამ თანხას როდი აძლევდა კრედიტორებს (მომჩივანთ); არა, იმერეთის მმართველობა ამ ფულს თავის მხრივ აძლევდა სესხად სხვებს, რომელთაც უზომო სარგებელს ახდევინებდა.

მდგომარეობას კიდევ უფრო ის ართულებდა, რომ ამ ფულს ასესხებდნენ ყოველგვარი საწინდრის გარეშე, სხვა მოქალაქეთა თავდებობით. ეს, ერთის შეხედვით, შეღავათიანი გარემოება, სინამდვილეში დიდ ოინბაზობას წარმოადგენდა: მოვალეს განგებ არ აწუხებდნენ, რათა ვადაზე მცირე დროით მაინც გადაეცილებია და თავსარგებელი დროზე არ გადაეხადა. როგორც კი პირობა (ვადა) დაირღვევოდა, ცარიზმის ბიუროკრატია, ეს ოფიციალური პირატების ბრბო, მზად იყო

საქმე ყოველმხრივ დაეხლართა, გაეზვიადებია; იწყებოდა დაგვიანების მიზეზთა გამორკვევა, რასაც მოვალე სრულებით არ თხოულობდა, მაგრამ რაც მოგონილი იყო იმისათვის, რათა ვადის გადაცდენა უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო (მიზეზების გამორკვევამდე ვალს არ ღებულობდნენ). ხოლო ყოველივე ამის შემდეგ თავნსა და სარგებელს ემატებოდა პირსაგამტეხლო, ჯარიმა, სასამართლოს და კომისიების ხარჯები და ხშირად უკვე მოვალის ქონება არ ყოფნიდა მთელ გადასასდელს, რომელიც ახლა თავდაპირველ ვალს (თავნს) ხუთჯერ და იქნებ ათჯერაც აღემატებოდა. სწორედ ამიტომ იყო საჭირო რამდენიმე პირის თავდებობა, რათა გაეფცქვნათ მოვალეც და თავდებნიც. ასეთი იყო ამ ოფიციალური ძარცვის ერთ-ერთი სახე.

მართალია, 1831 წელს სენატორები კუტაისოვი და მეჩნიკოვი აღნიშნავენ, რომ ყოველივე ეს „основано было не на законе, а на самовластном распоряжений членов правления“, — მაგრამ ამით, გასაგებია, გაძარცულ მოვალეს და მის თავდებთ შვება არ მიეცემოდა. მხოლოდ 1837 წელს გამოცემულ იქნა კანონი, რითაც დაწესდა, რომ საკრედიტო დაწესებულების არარსებობის გამო იმერეთის მმართველობაში თავმოყრილი ხაზინის (და არა კერძო პირთა!) თანხები გაეცათ სესხად მოთხოვნისამებრ იმერეთის მცხოვრებლებზე; სარგებელი უნდა აეღოთ ადგილობრივი ჩვეულებისამებრ, — ე. ი. მევახშური. %%; სესხის გაცემა შეიძლებოდა მხოლოდ სათანადო გირავნობით უზრუნველყოფის შემდეგ და არა უმეტეს ერთი წლის ვადისა[1].

საქართველოსა და ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ მმართველობაში 1841 წლის დასაწყისიდანვე გატარებულ ცვლილებათა შემდეგ, — რაც ამიერკავკასიაში რუსეთის სამფლობელოებისათვის საქართველოს გუბერნიის ნაცვლად საქართველო-იმერეთის გუბერნიის სახელწოდების მინიჭებაშიღა გამოიხატა, — საქართველოს პრიკაზს ეწოდა საქართველო-იმერეთის პრიკაზი. ამ ცვლილებებს, როგორც საერთოდ, ისე

[1] II-ое ПСЗРИ., VII, 1838 г., СПБ, № 10936, стр. 829—830.

კერძოდ პრიკაზისათვის, შედეგად არავითარი რეალური ხასიათის გაუმჯობესება არ მოყოლია. 1832 წელს გამოცემული წესები თითქმის სავსებით უცვლელად იქნა დატოვებული ძალაში საქართველო-იმერეთის პრიკაზისათვისაც; მეტად უმნიშვნელო იყო ის ღონისძიებები, რომელთაც მოვალის მდგომარეობა ვითომ რამდენადმე უნდა შეემსუბუქებია. პირიქით, საყოველთაოდ გაბატონებული ბიუროკრატიზმი და ფორმალიზმი ბევრად უფრო აუარესებდა როგორც საერთო მდგომარეობას, ისე კერძოდ პრიკაზის, როგორც საკრედიტო ორგანიზაციის, მნიშვნელობას სახალხო მეურნეობისათვის.

აი როგორ ახასიათებს ადმინისტრაციული მმართველობის ამ რეფორმათა ზოგად მნიშვნელობას თვით ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსი ვ. ი ვ ა ნ ე ნ კ ო: „ახალმა მმართველობამ გამოიწვია საყოველთაო უკმაყოფილება: ჩივოდა ხალხი, ჩივოდნენ მოხელეები, ჩივოდა და სასოწარკვეთილებაში მოდიოდა თვით (მთავარსარდალი) გ ო ლ ო ვ ი ნ ი. საშინელმა ფორმალიზმმა მოიცვა მთელი ხელისუფლების სისტემა, — არავინ ბედავდა არზა მიერთმია მაზრის უფროსისათვისაც კი, რაიონის უფროსისათვის გვერდის ავლით. გურიაში აჯანყებამ იფეთქა; ოსეთსა და ბელაქანში მოხდა მღელვარებები; ყველგან გაჩნდნენ ყაჩაღთა ბრბოები. აშკარა ყაჩაღი, — ფორმალური, კანონით წინასწარ დადგენილი, დასამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო, — სასამართლოდგან გამართლებული გამოდიოდა“... გამეფებული იყო ცრუმოწმეობა და სასამართლოს მოსყიდვა. გამართლებულებს მაინც ციხეებში აჩერებდნენ და ათასგვარი საზიზღროებანი და საშინელებანი ხდებოდა, და მთელი ეს ბოროტმოქმედება დაუსჯელი რჩებოდა[1]. ამ ხანებში ამიერკავკასიაში იმოგზაურა ფრანგმა პუბლიცისტმა სიუზანემ (Suzannet), რომელმაც თავის წერილებში სასტიკად გააკრიტიკა ცარიზმის ადმინისტრაცია და სასამართლო საქართველოში.

---

[1] В. И. И в а н е н к о, „Гражд. упр. Закавказьем“, 1901, Тифлис, стр. 298.

ცენტრალური ხელისუფლება იძულებული შეიქნა გადაესინჯა სენატორ განის ავანტურისტული რეფორმები ამიერკავკასიაში. იმპერატორმა ამ მიზნით 1842 წლის დასაწყისში აქეთკენ მოავლინა სამხედრო მინისტრი თავადი ჩერნიშევი და სტატს-სეკრეტარი პოზენი. უკანასკნელმა, სხვათაშორის, ამიერკავკასიაში ვაჭრობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ მოსაზრებათა წარდგენა დაავალა სტატსკი სოვეტნიკ თავ. ბარათაევს (ბარათაშვილს), რომელმაც ამიერკავკასიაში ვაჭრობის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შორის წამოაყენა თბილისში კომერციული ბანკის კანტორის დაარსების საკითხი. 1843 წ. 13 თებერვალს იმპერატორისათვის მირთმეულ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში, პოზენი, აღნიშნავს რა თბილისში ასეთი ბანკის დაარსების მიზანშეუწონლობას, საჭიროდ და აუცილებლად სცნობს: „გაადვილებულ იქნეს საშუალებები ფულის სესხად აღებისა უძრავ საკუთრებათა მფლობელთათვის და საერთოდ იმოქმედოს (ხელისუფლებამ) ხაზინის საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით შემცირებისათვის იქ აზიური ხელისუფლების (ბატონობის) დროიდან არსებული უზომოდ გაზრდილი პროცენტებისა, რომელსაც ზოგიერთის მხრივ მფარველობას უწევს ვახტანგ მეფის კანონებიო“ [1].

ამიერკავკასიაში კრედიტის მოწესრიგების და მევახშური სარგებლის წინააღმდეგ ბრძოლა პოზენის აზრით უნდა წარმოებულიყო სახაზინო, ე. ი. სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულების მეოხებით. ხოლო ასეთ დაწესებულებად კი მას მიაჩნდა ამიერკავკასიაში უკვე არსებული საქართველო-იმერეთის საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიო (პრიკაზი). ამასთანავე პოზენს ამ მიზნით აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდა საქართველო-იმერეთის პრიკაზის „ბრუნვათა უკეთ მოწესრიგება“ [2]. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამ დროისთვის საქართველო-იმერეთის პრიკაზს,

[1] УЦГАЛ, Арх. ВПКБ СССР, Ф. К. К., 1843 г., д. № 406, л. 2.
[2] იქვე, ფურც. 2.

ვითარცა საკრედიტო დაწესებულებას, უკვე ჰქონდა მინიჭებული ზოგიერთი თავისებურებანი საერთოდ იმპერიაში არსებულ პრიკაზთა შორის.

საქართველო-იმერეთის პრიკაზის კაპიტალი 1842 წელს უდრიდა დაახლოებით 273.000 მანეთს ვერცხლით, ამ თანხიდან 118.000 მანეთი ამ პრიკაზს შეტანილი ჰქონდა შიგა რუსეთის (მოსკოვის, პეტერბურგის) საკრედიტო დაწესებულებებში, ხოლო 138.000 მანეთი გაცემული იყო კერძო პირებზე სესხად, გარკვეული გირავნობით, თვით საქართველოში. როგორც ირკვევა, სესხის უზრუნველსაყოფად მიღებული გირაო ხშირად საეჭვო ხასიათისა იყო. აღსანიშნავია, რომ პოზენს ამ საეჭვო ხასიათის გირაოდ მიაჩნია კერძოდ „ვენახი და ხეხილის ბაღები, რომელთა ღირებულება დამოკიდებულია მრავალ პირობათაგან“. ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ თვით კანონი ვენახებსა და ხეხილის ბაღებს ყველა სხვა სახის უძრავ ქონებათა შორის უფრო საიმედო დასაგირავებელ ქონებად თვლიდა, და თავისთავადაც ცხადია, რომ გაშენებული და კულტურულად მოვლილი მამული მეტ გარანტიას იძლეოდა პრიკაზიდან მიღებული სესხის დასაფარავად. მაგრამ სინამდვილეში ყველაზე მეტად ღირებული ამგვარი მამულის შემოსავალი მართლაც ხშირად მეტად საეჭვო იყო. საეჭვო იყო ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ღვინოს და ხილეულს კიდევ არ ჰქონდა შექმნილი შესაფერი ბაზარი; მეორედ, მაღალი სააქციზო მოსაკრებელი მეტად აფერხებდა მეღვინეობისა და არაყის გამოხდის განვითარებას; ქ. თბილისში, რომელიც ამ პროდუქტთა მთავარი მომხმარებელი იყო, ბატონობდა ღვინით და არაყით ვაჭრობის უფლების მონოპოლიის მფლობელი სულ რამდენიმე ვაჭარი, რომელნიც სოფელს კარნახობდნენ მეტად დაბალ ფასებს, ხოლო თვითონ ქალაქში კონცენტრირებულ სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატიაზე მაღალ ფასებში ჰყიდდენ ამ საქონელს. ერთ-ერთი მთავარი მომენტი ისიც იყო, რომ გაუმიჯნაობის გამო საადგილმამულო საკუთრება არამტკიცე იყო და ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ვენახების და მარანთა აოხრება

ცარიზმის ზოგიერთი სამხედრო ნაწილებისაგან, რომლებიც სოფლებში იყვნენ დაბანაკებული. პოეტი ალ. ჭავჭავაძე თვით იმპერატორისათვის 1831 წელს მირთმეულ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნავს, რომ სოფლის მთელი ქონება სამხედრო ნაწილების სრულ განკარგულებაში იყო; ვენახის ღობით და სარებით ყაზარმებს ათბობდნენ; ძალით და დაუკითხავად ხდიდნენ ჭურებს, და რაც დაულეველი ღვინო შიგ რჩებოდათ, იმას სიბინძურის ჩაყრით აფუჭებდნენო[1]. ალ. პუშკინი, თავის არზრუმში მოგზაურობის აღწერაში, გადმოგვცემს ანალოგიურ შემთხვევას[2].

ასეთს პირობებში, როდესაც ვენახებზე და ბაღებზე საკუთრება არ იყო უზრუნველყოფილი, ხოლო მათი პროდუქტების სარფიანი რეალიზაცია კიდევ რიგ დაბრკოლებებს აწყდებოდა, თავისთავად ცხადია, რომ ისინი ვერ გამოდგებოდნენ ჯეროვან საწინდრად სესხად მიღებული თანხებისა. და ამგვარ ვითარებაში, როდესაც ადგილმამულის გირავნობით პრიკაზი დიდის „ხელგაშლილობით“ იძლეოდა სესხს, იგი (სესხი) მაინც ნაკლებად მიჰქონდათ.

პოზენი განცვიფრებულია იმ გარემოებით, რომ ამიერკავკასიაში ესოდენ საგრძნობი უფულობის დროს საქართველო-იმერეთის პრიკაზის სალაროში უხმარად (გაუსესხებლად) ჰყრია მნიშვნელოვანი თანხები, და სრულებით ვერ ამჩნევს, რომ ამის უმთავრესი მიზეზი, გარდა ჩამოთვლილი მომენტებისა, იყო კიდევ, და უმნიშვნელოვანესი ზომით, სესხის მიღების მეტისმეტად გაჭიანურებული ბიუროკრატიული წესი, რომელსაც ჩვენ ზემოთ გავეცანით. საბოლოოდ, პოზენი მაინც იძულებულია, — ბარათაშვილის მოხსენების საფუძველზე, — აღიაროს, რომ საქართველო-იმერეთის პრიკაზის წესდება არაა შეგუებული ადგილობრივ პირობებთან და ამასთანავე არაა მიზანშეწონილი დასაგირავებელი ქონება განისაზღვროს მხოლოდ უძრავი მამულით[3].

[1] А. Г. Чавчавадзе, „Краткий историч. очерк Грузии“, 1902 г. Тифлис, 14 — 15.

[2] А. С. Пушкин, „Полн. собр. сочинений“, 1937 г., IV, 405.

[3] УЦГАЛ, Арх. ВКПБ СССР, ф. К. К., 1843 г. дело № 406 б л. л. 3—4.

აქედან იწყება ცარიზმის აგენტების მიერ გამოგონილი ხერხების ამოძრავება იმისათვის, რათა ამიერიდან საქართველო-იმერეთის პრიკაზი ემსახურებოდეს არა მარტო მკვიდრთა კერძო ადგილმამულების სახაზინოდ გადაქცევის და საერთოდ მეტროპოლიის მოხელეთაგან დატაცების საქმეს, არამედ აქედან ძვირფასი ქვებისა და ლითონების გაზიდვის საქმესაც.

1843 წ. 11 თებერვალს სტატს-სეკრეტარი პ ო ზ ე ნ ი იმპერატორს ურდგენს შემდეგ მოსაზრებებს: „ამიერკავკასიის მცხოვრებთ, ყველაზე განათლებული თავადაზნაურობისა და ვაჭრების გამოუკლებლად, დღემდე შენარჩუნებული აქვთ აღმოსავლური მიდრეკილება სხვადასხვა ძვირფასი ნივთებისადმი იმ ზომამდე, რომ იშვიათად თუ ვინმე იმათგანი დასთანხმდება შეიძინოს როგორიც გინდ არ იყოს უძრავი ქონება (საკუთრება) მემკვიდრეობით მიღებულ მარგალიტის მძივზე. ამის გამო, როცა ფულს საჭიროებენ, ისინი სესხს იღებენ კერძო პირთაგან, რომელთაც უგირავებენ ძვირფას ნივთებს და უსდიან განმანადგურებელ პროცენტებს". ამასთანავე პ ო ზ ე ნ ს „ამ ბოროტების აღკვეთა კანონმდებლობითი ღონისძიებათა მეშვეობით" შეუძლებლად მიაჩნია; პირიქით, მოსალოდნელია, რაც მკაცრი იქნება აკრძალვა და გაზრდილი რისკი სესხის გაცემისა, მით უფრო გაიზრდება პროცენტებიო. გამოდიოდა რა „ამ მოსაზრებიდან და ზემოხსენებული მდგომარეობიდან", ცარიზმის ცბიერი მოხელე წინადადებას იძლეოდა, რომ საქართველო-იმერეთის პრიკაზს სესხის გაცემა დაეწყო ძვირფასი ქვებისა და ლითონების გირავნობითაც [1].

იმპერატორმა პ ო ზ ე ნ ი ს წინადადება-პროექტი დაამტკიცა და მალე ფინანსთა სამინისტრო ამ მიმართულებით მოქმედების მთელ გეგმას უგზავნის საქართველო-იმერეთის პრიკაზს, რომლის მეშვეობით დიდძალი ძვირფასი საგვარეულო ნივთები—საჭურველები, მოსასხამები, სამკაულები, რელი-

[1] УЦГАЛ. Арх. В. ПКБ ССР, Ф. К. К. 1843 г. дело № 106 б, л. л. 5—6.

კვიები, ბრძოლის ველზე სისხლის ფასად დაურვებული, თუ ნამზითვი და მეფე-დედოფალთაგან მიღებული განძები, რომლებიც ხშირად საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა და დიდის მოწიწებით გადაეცემოდა ხოლმე თაობიდან თაობას და რომლებიც სიგელ-გუჯრებთან ერთად ძველი თავადაზნაურული ოჯახების დიდებული წარსულის, მეფეთა წინაშე დამსახურების, სვიანობის, ზვიადობის, სიქველის, შეუვალობისა და საერთოდ ფეოდალური არისტოკრატიის საგვარეულო სიამაყის აუცილებელ და ყველაზე ეფექტურ ატრიბუტებს წარმოადგენდნენ — აშმორებული ბევახშის ქსელს გარდა ახლა მეტროპოლიის ბიუროკრატიის მიერ მოფიქრებული საკრედიტო მაქინაციების ბადეშიც მოხვდა: თვითმპყრობელობა, მას შემდეგ რაც ამ ძვირფასეულობათა აშკარა ძარცვა და მითვისება შესწყდა, ახლა, სხვა ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებათა შორის, საკრედიტო პოლიტიკის მეოხებითაც ეპატრონება მათ.

მაგრამ ამ ღონისძიებათა ფართო მასშტაბით განხორციელებისათვის საჭირო იყო უფრო მოქნილი, უფრო მეტად ბურჟუაზიული თაოსნობით ამოძრავებული საკრედიტო ორგანიზაცია. ამ მოშწიფებული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს პრიკაზის ადგილას არსდება ამიერკავკასიის პრიკაზი, რომელიც თბილისში სახელმწიფო ბანკის კანტორის განყოფილების გახსნამდე (1866 წ.) იყო ერთადერთი საკრედიტო ორგანიზაცია მთელს ამიერკავკასიაში.

IV

ამიერკავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიო როგორც საკრედიტო ორგანიზაცია

„საქართველო-იმერეთის პრიკაზი", როგორც საკრედიტო დაწესებულება 40-იანი წლებიდან მაინც სულ უფრო შეუხამებელი ხდებოდა; რაც დრო მიდიოდა მით უფრო მეტი ზომით აშკარავდებოდა ამიერკავკასიაში ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საკრედიტო დაწესებულების აუცილებლობა; ამასთანავე არც კერძო და არც საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო კრედიტის დაწესებულება, გარდა პრიკაზისა, არ არსებობდა; კომერციული ან სხვა რაიმეგვარი ბანკის თბილისში დაარსებისაკენ მიმართული ადგილობრივ ხელისუფალთა ცდები უშედეგოდ რჩებოდა. ეკონომიკური ცხოვრება კი ნელა მაგრამ შეუჩერებლად წინ მიდიოდა. ბურჟუაზიული თაოსნობა და მესაკრედიტეობა სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა, ხოლო კომერციული და საერთოდ მეურნეობრივი მოღვაწეობის შემდგომი გაშლა-განვითარება უდიდეს სიძნელეებს აწყდებოდა კრედიტის მეტისმეტი ჩამორჩენილობით.

ასეთს პირობებში, რამდენადაც ცალკე საკრედიტო დაწესებულების დაარსება თბილისში ცენტრალურ ხელისუფლებას ჯერჯერობით შეუძლებლად მიაჩნდა, მ. ს. ვ ო რ ო ნ ც ო ვ მ ა, ადგილობრივი თავადაზნაურობისა და ვაჭართა კლასის მრავალგზისი თხოვნის შემდეგ, საჭიროდ მიიჩნია „საქართველო-იმერეთის პრიკაზის" რეორგანიზაცია. რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოებული მიმოწერის შემდეგ, ბოლოს, 1848 წელს, კავკასიის მთავრობას პეტერბურგმა ნება დართო, ძველი პრიკაზის ნაცვლად — რომელსაც ამ დროს სიმოკლისათვის თბილისის პრიკაზს უწოდებდნენ, — მნიშვნელოვნად უფრო გაფართოებული საკრედიტო ოპერაციების საფუძველზე, ჩამოეყალიბებინა ამიერკავკასიის საზოგადოებ-

რივი მზრუნველობის საგანგიო (Закавказский приказ общественного призрения), პრიკაზი.

1848 წ. 10 მაისს კავკასიის კომიტეტის მოსაზრებათა საფუძველზე იმპერატორმა დაამტკიცა დებულება ამიერკავკასიის პრიკაზისა. მეფის ხელისუფლება ამ შემთხვევაში გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან რომ: „ამიერკავკასიაში საბანკო დაწესებულებების არ არსებობის გამო მემამულეები, ვაჭართა კლასი და საერთოდ მოსახლეობა მოკლებულია შესაძლებლობას აწარმოოს კაპიტალების ტრიალი, სესხის გაცემა და აღება, ანაბრების შეტანა; ხოლო რომელიმე ცალკე საკრედიტო დაწესებულების დაარსება კი მოითხოვს სახელმწიფო ხაზინისგან გაცემას ახალი თანხებისა“, რაც ამ დროს ხაზინას ასე ნაკლებად გააჩნდა; ამის გამო კი „შესაძლებლად იქნა ცნობილი პრიკაზის მოღვაწეობა და საბანკო ბრუნვები გაერთიანებულ იქნეს ერთ დაწესებულებაში“ [1].

თვით მ. ს. ვორონცოვი 1848 წელს იმპერატორისადმი უქვეშევრდომილეს მოხსენებაში იმედოვნებს, რომ „მომავალი წლის დასაწყისიდან პრიკაზი დაიწყებს ფუნქციონირებას და განსაკუთრებით საგრძნობ სარგებლობას მოუტანს უძრავი მამულების ადგილობრივ მფლობელთ, რომლებიც ახლა, ფულის საჭიროების დროს, ხშირად სანდო და დიდი გირავნობით ღებულობენ მეტად უმნიშვნელო თანხებს, უზარმაზარი პროცენტების გადახდით“ [2]. ამიერკავკასიის პრიკაზი გახსნილ იქნა 1849 წლის 1 თებერვალს.

როგორც წინათ ისე შემდეგაც ამიერკავკასიაში ყოველგვარი საკრედიტო ოპერაციები თავს იყრიდნენ პრიკაზში, რომელიც მთელ ამ მხარეში ასრულებდა აგრეთვე სასესხო ბანკის, შემნახველი და სასესხო ხაზინის, შემნახველი სალაროს როლს და, მაშასადამე, სარგებლობდა ყველა იმ უფლებებით, რომელიც ჰქონდა შიგა რუსეთში ხსენებულ ორგანიზაციებს [3].

---

[1] АСКАК, X, 851.

[2] ЛОЦИА, Ф. К. К., 1848, № 184, л. л. 16.

[3] АСКАК, XII, 1339—1340.

1851 წელს მ. ვორონცოვი თავის ანგარიშგებაში აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის პრიკაზის დაარსება „სიხარულით იქნა მიღებული ადგილობრივი მოსახლეობის ყველა წოდებათა მიერ... თავადაზნაურთა მამულები, აქამდე შეუნელებლად იყიდებოდნენ მევახშეებზე უზომო პროცენტების გადაუხდელობის გამო—(ასე რომ მრავალი აქაური ყველაზე ძველი და საპატიო გვარეულობანი ღატაკდებოდნენ); — ახლა კი ეს დაგირავებული მამულები რჩება მათ ძველ მფლობელთა საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებათა გირავნობით ხაზინის (პრიკაზის) მიერ გაცემული სესხი საშუალებას აძლევს მათ უკეთ იზრუნონ მეურნეობის სხვადასხვა დარგის გაუმჯობესებისა და სრულქმნილი მეთოდების შემოღებისათვის, რომელთა განვითარებას გულმოდგინედ ემსახურება უმაღლესობისაგან დამტკიცებული (1850 წ.) სოფლის მეურნეობის საზოგადოების მთელი მოღვაწეობაო“ [1].

თვით საქართველოს თავადაზნაურობაც დარწმუნებული იყო, რომ მ. ვორონცოვი როდესაც ამიერკავკასიის პრიკაზს, როგორც საკრედიტო დაწესებულებას, მხარს უჭერდა, ამით დიდ სამსახურს უწევდა მემამულეთა წოდებას. 1863 წელს ბატონყმობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებში გორის მაზრის 74 თავადი და აზნაური, რომელთა შორის უმრავლესობას შეადგენდნენ ერისთავები, ციციშვილები, ჯავახიშვილები და მაღალაშვილები, აცხადებენ: „... ვალი გვმართებს მრავალი და ამ ვალის მიზეზი არის სადავო საქმეების წარმოება, არ არის ჩვენში არც ერთი გვარი, რომ თავისი უფლება ყმასა და მამულზე ორჯერ და ერთხელ მაინც არ დაემტკიცებინოს სუდის წესითა და ყოველის ინსტანციების გავლითა. ენა რომ არ გვესმოდა და ახალი (რუსული) კანონები, რომ არ ვიცოდით და ამასთან ჩვეულებითი წესი რომ მოგვეშალა, რომლითაც სადავო საქმე სახალისოდ და სიტყვიერად განიხილებოდა ხოლმე, — ქაღალდებისა და არზების წერას უნდებოდა სამასი მანეთიდამ ათას მანეთამდე. ამ გვარს ხარჯთაგან არა გვაქვს გზები, რომ

[1] АСКАК, X, 877.

მიწის ნაყოფს ღირებული გასავალი ჰქონდეს; დრო არ გექონია, რომ სასოფლო მომჭირნეობა სამჯობინარად გავრცელებულიყო. ყოველ წლივ შევიჭურვებოდით და რუსეთის მხედრობასთან საზოგადო მტერს ვებრძოდით; ამისათვის ვაჭრებისაგან ვალს ვღებულობდით და საშინელ სარგებელს ვიხდიდით;—განსვენებულს კნიაზს ვორონცოვს რომ არ ეშუამდგომლა და პრიკაზისათვის ბანკის თვისება არ დაესაკუთრებინა ჩვენს დაღუპვას საშველი აღარ ექნებოდა"[1].

ახლად დაარსებული ამიერკავკასიის პრიკაზი სესხს აძლევდა:

1. ქ. თბილისში ქვის შენობათა გირავნობით; 2. თავადაზნაურთა მამულების გირავნობით თელავის, სიღნაღის, თბილისისა და გორის მაზრებში; 3. საერობო მოსაკრებელთათვის და კავკასიის ცალკე კორპუსის საიხდენდანტოს; 4. სახელდახელო ნივთთა გირავნობით.

აღსანიშნავია აგრეთვე რომ 1851 წელს ამიერკავკასიის პრიკაზთან დაარსებულ იქნა შემნახველი სალარო (сохранная касса), რომელიც ანაბრების სახით ღებულობდა შესანახად მცირე თანხებს, ერთი პირისაგან არანაკლებ ათი შაურისა და არა უმეტეს ოცდახუთი მანეთისა ერთგზისი შეტანისას. შემნახველ სალაროში ერთი პიროვნების მიერ შეტანილი ანაბრის საერთო ჯამი არ უნდა აღმატებოდა 750 მანეთს. შემნახველი სალარო თავის მეანაბრეებს უხდიდა 4% სარგებელს. მ. ს. ვორონცოვის განმარტებით შემნახველი სალაროს დაარსებას „მიზნად ჰქონდა საშუალება მიეცა რათა ყოველი წოდების მცირე შეძლების ადამიანს შეენახა საიმედო ადგილას და ხელსაყრელ პირობებში თავისი მონაგარიდან ის მცირეოდენი თანხები, რომელიც ხარჯებიდან გადაურჩებოდა და მომავალი საჭიროებისათვის შეიძლებოდა განკუთვნილიყო". მ. ს. ვორონცოვი თავის მოღვაწეობა-

[1] პ. გუგუშვილი, „ქართული ჟურნალისტიკა", 1941, თბ. I, 403, 410, 451.

ში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამსახურებად თვლიდა ამ შემნახველი სალაროს დაარსებას.

ეს შ ე მ ნ ა ხ ვ ე ლ ი ს ა ლ ა რ ო თავისი საკრედიტო ოპერაციებითა და მიზანდასახულობით წარმოადგენდა ანალოგიურ დაწესებულებას იმ ხანებში პეტერბურგსა და მოსკოვს არსებული შემნახველი სალაროებისა; თუმცა უნდა ითქვას, რომ პეტერბურგისა და მოსკოვის შემნახველი სალაროები ამ დროისათვის უკვე შედარებით მნიშვნელოვან საკრედიტო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ, მაშინ როდესაც თბილისის შემნახველი სალარო, თავისი არსებობის პირველ წლებში მაინც, არ სარგებლობდა მოსახლეობის შესაბამისი ფენის ნდობითა და ყურადღებით.

თვით ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი 1849—1851 წ. წ. თავისი მოღვაწეობის ანგარიშგებაში იძულებულია აღიაროს, რომ „თბილისში დაარსებული შემნახველი სალარო პირველ ხანებში მოსახლეობისათვის გაუგებარი იყოო“ [1]. თავისთავად ცხადია, რომ მთავარი მიზეზი, რამაც პირველხანებში თბილისის შემნახველი სალარო მოსახლეობიდან განამხოლოვა იყო ის ბიუროკრატიული წესები, რომელიც ცარიზმის სახელმწიფო დაწესებულებაში ბატონობდა.

ბაგრამ როგორც ჩანს მალე, მეორე-მესამე წელს, შემნახველი სალარო საკმაო პოპულარობით სარგებლობდა განსაკუთრებით ვაჭართა შორის და მსახურეულ ინტელიგენციაში; რაც შეეხება წვრილ ვაჭრებსა და ხელოსნებს მათ, გასაგებია, თავიანთი მონაგარისათვის უფრო მეტი გასაქანი და პერსპექტივები ეხატებოდათ საკუთარ მოღვაწეობაში და მევახშეობაში, ვინემ მათი 4%-იანი სარგებლით შემნახველ სალაროში შეტანა. და სხვაც არა იყოს რა, ამ ხალხს საკმაოდ ეჯავრებოდა და არც ეხერხებოდა არზებისა და განცხადებების წერა, რაც აუცილებელი იყო შემნახველ სალაროში ანაბრის შეტანისა და გამოტანისათვის.

[1] ÀCKAK, X, 878. ქრონოლოგიურად მეორე მსგავსი საკრედიტო ორგანიზაცია ამიერკავკასიაში გაიხსნა 1868 წელს, თბილისის გიმნაზიის ასესხო-შემნახველი სალაროს სახით, რომელიც მასწავლებლებს უწევდა მომსახურებას და რომლის კაპიტალი 1700 მანეთს შეადგენდა.

ფრიად საინტერესოა პრიკაზის შემნახველი სალაროს შეანაბრეთა კლასობრივი შედგენილობა.

	მიღებული ანაბარი (მანეთობით)	
	1866 წ.	1867 წ.
1. მაღალი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებისაგან	42.102	38.516
2. თავადაზნაურობისაგან .	45	326
3. „მოქალაქეებისაგან“	59.827	48. 142
4. „დროებით-ვალდებული“ გლეხებისაგან	222	870
5. დაბალი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებისაგან	23.718	6.808
სულ	125.911	94.662

როგორც ვხედავთ ამ შემნახველი სალაროს ძირითადი შეანაბრეები იყვნენ „მოქალაქეები“, ე. ი. ვაჭრები და დაბალი თუ მაღალი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები. რაც შეეხება წვრილ მწარმოებელთა მასებს, ხელოსნებს და გლეხებს, ამათი მონაწილეობა შემნახველ სალაროს ოპერაციებში ფრიად უმნიშვნელოა. თავადაზნაურობას, ცხადია, არ შეეძლო შესანახად ფულის გამეტება.

ამიერკავკასიის პრიკაზს საკმაოდ პოხიერი ნიადაგი ჰქონდა შექმნილი. ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას, მიუხედავად საშინელი ფორმალიზმისა, უკვე საქართველოს და მერმე საქართველო-იმერეთის პრიკაზმა გაუხსნა მადა და შეუქმნა ტრადიცია ადგილ-მამულის დაგირავებით სესხის მიღებისა.

მაგრამ ამ დროისათვის ვაჭრობისა და მრეწველობის, საერთოდ ბურჟუაზიული მესარეწეობისა და თაოსნობის საკმაოდ განვითარების გამო თბილისში მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვებოდა თავისუფალი, უკეთ ვთქვათ, დროებით თავისუფალი კაპიტალები, რომლებიც ანაბრების სახით დიდი რაოდენობით მიაწყდნენ ამიერკავკასიის პრიკაზის სალაროს. ასე, მაგალითად, ამიერკავკასიის პრიკაზის გახსნის მხოლოდ პირველი სამი წლის განძავლობაში, კერძო პირთაგან პრიკაზში შეტანილი იქნა ანაბრები:

1849 წელს	380.953	მანეთის	რაოდენობით
1850 წელს	502.395	„	„
1851 „	896.427	„	„

ასეთივე სისწრაფით იზრდება პრიკაზის მიერ ადგილმამულთა გირავნობით გაცემული სესხის რაოდენობა[1].

ადგილმამულის გირავნობით გაცემული სესხი ნაწილდებოდა (მანეთობით):

	1857 წ.	1858 წ.	1859 წ.
1. დასახლებული მიწის გირავნობით	153.823	161.950	95.200
2. დაუსახლებელი მიწისა და ბაღ-ვენახის გირავნობით	3.000	26.300	8.700
3. ქვის სახლების გირავნობით — ქ. თბილისში . . .	293.395	560.300	722.003
4. ქვის სახლების . გირავნობით ამიერკავკასიის სხვა საგუბერნიო ქალაქებში .	36.850	35.250	10.700
სულ	487.068	783.800	836.603.

ამიერკავკასიის პრიკაზი სულ მალე იქცევა აუცილებელ და პოპულარულ საკრედიტო დაწესებულებად ვაჭარ-მრეწველთა და მემამულე თავადაზნაურობისათვის. პრიკაზი გადაიქცა ასეთ დაწესებულებად მიუხედავად იმ ფრიად მნიშვნელოვანი დეფექტებისა, რომლებიც ახასიათებდნენ მის, როგორც საკრედიტო დაწესებულების, დებულებას.

ამიერკავკასიის პრიკაზის დებულება (წესდება) ძირითად ხაზებში ისეთივე იყო (დასაგირავებელი ქონების შეფასების, სარგებლის, პასუხისმგებლობის და სხვ. მხრივ), როგორიც 1832 წელს გამოცემული, ჩვენ მიერ თავის ადგილას განხილული, საქართველოს პრიკაზის წესდება[2]. თვით მთავრობის კომისიამ, რომელიც 1879 წ. იკვლევდა ამიერკავკასიის პრიკაზის მოღვაწეობას, აღნიშნა, რომ პრიკაზის დებულება

[1] АСКАК, XII, 1343; „Сборник статистических сведений о Кавказе“, 1869, Тифлис. т. I, отд. II, 143 — 149.

[2] იხ. აქვე, გვ. 254—256.

იმთავითვე არადამაკმაყოფილებელი იყო. მთავრობის კომისია (თავმჯდ. ტაინი სოვეტნიკი ლ ო ბ ი ზ ე) აღიარებდა, რომ დებულების მთავარი ნაკლი გამოიხატება პრიკაზისათვის დასაგირავებელი მამულის შეფასების წესებში, რამდენადაც ეს წესები შესაძლებელს ხდიან დასაგირავებელი ქონების (მამულის) გაზვიადებულ შეფასებას. ასეთ მდგომარეობას პრიკაზის ადმინისტრაციამ პირველწლებშივე მიაქცია ყურადღება; საკითხი იდგა პრიკაზის დებულების საფუძვლიანი გადასინჯვის შესახებ. მაგრამ, როგორც ცნობილია, 1859 წელს მთელს იმპერიაში ჩატარებულ იქნა საფუძვლიანი რეფორმა კრედიტის საქმეში, რასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის პრიკაზის საკრედიტო ოპერაციები დროებით შეწყდა.

1859—1860 წ. წ. ჩატარებულ საკრედიტო რეფორმამდე მთელს იმპერიაში კრედიტზე მოთხოვნილება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისებს, კმაყოფილდებოდა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა მეშვეობით; კერძო ბანკები იმდენად უმნიშვნელოდ იყო განვითარებული, რომ 1857 წელს მათი მთელი ძირითადი კაპიტალი არ აღემატებოდა ნახევარ მილიონ მანეთს და სულ ითვლებოდა ამ დროისათვის 21 კერძო ბანკი. ესენი სახალხო მეურნეობაში, ცხადია, არ თამაშობდნენ რამდენადმე შესამჩნევ როლს.

ხოლო სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებები კი 60-იანი წლების დასაწყისისათვის რუსეთში იყო: 1. სახელმწიფო კომერციული ბანკი (თავისი კანტორებით); 2. სახელმწიფო სასესხო ბანკი; 3. შემნახველი სალაროები (პეტერბურგსა და მოსკოვში); 4. საიმპერატორო საალმზრდელო სახლი და 5. პრიკაზები (თითქმის ყოველ საგუბერნიო ქალაქში). კომერციული ბანკი იძლეოდა მხოლოდ მოკლევადიან სესხს, ხოლო დანარჩენები ჰიპოტეკურ ოპერაციებსაც აწარმოებდნენ.

ასეთი იყო მთელი საკრედიტო სისტემა რუსეთში გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისათვის. ეს საკრედიტო სისტემა შემოღებული იყო ჯერ კიდევ ერთი საუკუ-

ნის წინათ და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე მეტად ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის არსებულ მოთხოვნილებებს. კერძო კაპიტალისტური კრედიტი თითქმის არ არსებობდა; რის გამოც ბურჟუაზიული თაოსნობა, სხვა მრავალ გარემოებათა გარდა, კრედიტის მეტისმეტი ჩამორჩენილობითაც იზღუდებოდა. ამის გამო 1859 წელს იმპერატორისათვის წარდგენილ მოხსენებაში ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს რომ „საკრედიტო სისტემის გაშლა და კერძო ბანკების გახსნა იქნებოდა ჭეშმარიტად უდიდესი კეთილმოქმედებაო“ და სხვ.

1859 წელს ჩატარებული საკრედიტო რეფორმა უმთავრესად იმაში გამოიხატა, რომ მთავრობამ ხელი აიღო გრძელვადიანი (ჰიპოტეკური) საკრედიტო ოპერაციებისაგან; ამ სახის საკრედიტო ოპერაციები ამიერიდან უნდა ეწარმოებია კერძო თაოსნობას, რომელიც უკვე მნიშვნელოვანად იყო განვითარებული. სახელმწიფომ თავისთვის დაიტოვა მხოლოდ მოკლევადიანი კომერციული კრედიტი, რომელსაც აწარმოებდა თვით სახელმწიფო კომერციული ბანკი.

სწორედ ამ, 1859 წელს დაწყებულმა საკრედიტო რეფორმამ შეაჩერა ამიერკავკასიის პრიკაზის დებულების გადასინჯვის საქმე, რაც უკვე დაწყებული იყო თბილისში[1].

ამ ხანებში ამიერკავკასიის პრიკაზის ბრუნვები უდრიდა (მანეთობით): (ცხრილი იხ. 274 გვერდზე).

1860 წელს პეტერბურგიდან მიღებული ბრძანებით პრიკაზს უნდა შეეწყვიტა საკრედიტო ოპერაციები; მაგრამ ნამესტნიკის გენ.-ფელდმარშალ თავ. ა. ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი ს შუამდგომლობით — „რომ საქართველოში აუცილებელია არსებობა სახაზინო (სახელმწიფო) კრედიტისა, რომელიც სესხს გასცემს თავადაზნაურთა სოფლის ადგილ-მამულების გირავნობით“— დაუყოვნებლივ იქნა განახლებული პრიკაზის მიერ საკრედიტო ოპერაციები. სახელდობრ, 1860 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებით ამიერკავკასიის პრიკაზს, იმპერიის დანარ-

[1] АСКАК, XII, стр. 1343.

	1857 წ.	1858 წ.	1859 წ.
ანაბრები:			
1. შემოტანა .	2.045.640	4.018.749	1.837.969
2. გატანა	1.593.932	2.930.320	3.817.306
3. შემნახველი სალარო			
შემოტანა	7.800	11.461	12.327
გატანა	7.519	6.919	13.799
სესხები:			
4. უძრავ ქონებათა გირავნობით	487.068	783.800	836.603
5. მოძრავ ქონებათა (ძვირფ. ნივთები, განძეულობა და სხვ.) გირავნობით . .	46.115	85.235	95.521
6. დანარჩენი ოპერაციები	1.850	7.700	1281.573
საერთო ბრუნვა . .	4.189.922	7.844.183	8.896.098

ჩენ პრიკაზთაგან გამონაკლისის სახით, ნება დაერთო „აწარმოოს სხვა პრიკაზებში შეწყვეტილი ანაბრების მიღებისა და სესხის გაცემის ოპერაციები“. ხოლო საკითხი პრიკაზის წესდების გადასინჯვის შესახებ ისევ ღიად რჩებოდა და ის ასეთად დარჩა ბოლომდე, — ბიუხედავად სამი ათეული წლის განმავლობაში ამის გარშემო წარმოებული მიმოწერისა, — სანამ, 1872 წელს, არ დაიწყო მთელს იმპერიაში საზოგადოდ პრიკაზების გაუქმება.

*
* *

კავკასიის ნამესტნიკმა დიდმა მთავარმა გენერალ-ფელდცეხმეისტერმა მიხეილმა 1872 წ. დეკემბრის გასულს გამოყო კომისია, რომელსაც დააკისრა ამიერკავკასიის პრიკაზის რეორგანიზაცია; კომისიაში შედიოდნენ კავკასიის მთავარმართებლობის საბჭოს წევრი დეისტვ. სტატ. სოვეტნიკი ლომიზე (თავმჯდომარე), თბილისის სახაზინო პალატის მმართველი დ. ს. ს. შმაკოვი, ამიერკავკასიის პრიკაზის მმართველი დ. ს. ს. ვოლფრამი, სახელმწიფო ბან-

კის თბილისის განყოფილების მმართველი სტატსკი სოვეტნიკი კ ა ი დ ა ნ ო ვ ი.

კომისიას უმთავრესად ევალებოდა: ამიერკავკასიის პრიკაზის საქმეთა აბურდულობის მიზეზების შესწავლა და აგრეთვე წესდების გადასინჯვა, რათა იგი შეეხამებიათ საერთოდ იმპერიაში მომხვდარი პრიკაზების რეორგანიზაციისათვის, ისე რომ მხედველობაში ყოფილიყო მიღებული ადგილობრივი პირობები, კერძოდ საადგილმამულო კრედიტის მდგომარეობა ამიერკავკასიაში.

ორნახევარი თვის განმავლობაში მუშაობის შემდეგ კომისია მივიდა დასკვნამდე რომ: 1. დაკმაყოფილებულ იქნას შემოსული თხოვნები ანაბართა დაბრუნების შესახებ, ხოლო შემდეგისათვის ამ მიზნით წარმოიქმნას განსაკუთრებული ფულადი ფონდი[1]. 2. პრიკაზის საქმეთა მოწესრიგების შემდეგ სესხები გაიცეს უმთავრესად საქალაქო შენობათა გირავნობით; რადგან სესხების გაცემა სასოფლო მამულების გირავნობით ხელს უწყობს მხოლოდ ნარჩენების (недоимок) დაგროვებას; 3. 1873 წლიდან პრიკაზს უნდა დაეწყო ყოველწლიურად გადახდა სახელმწიფო ბანკისათვის 82.000 მანეთისა პრიკაზის ვალის დაფარვის ანგარიშში; 4. შეეწყვიტა პრიკაზს ნაცვლად ნაღდი ფულისა სესხის გაცემა თავისი ბილეთებით[2]; 5. პრიკაზს დროებით უნდა შეეწყვიტა სესხის გაცემა, — სანამ ანგარიშები არ იქნებოდა წესრიგში მოყვანილი.

ამის შემდეგ პრიკაზმა სესხის გაცემა განაახლა მხოლოდ 1873 წლის 14 მაისიდან, მაგრამ ისე რომ ერთ პიროვნებას

---

[1] ეს იყო გამოწვეული იმით, რომ პრიკაზი ხშირად განიცდიდა ნაღდი ფულის კრიზისს, რადგან ისედაც გრძელ ვადიან სესხს დებიტორები ვადაზე არ იხდიდნენ.

[2] საქმე იმაშია რომ ამიერკავკასიის პრიკაზმა მხოლოდ და მხოლოდ ნამესტნიკის ნებართვით, საერთოსაიმპერიო კანონების გარეშე, 1866 წლიდან შემოიღო ნაღდი ფულის ნაცვლად სესხის გაცემა თავისივე (პრიკაზის) საკუთარი ბილეთებით. ეს ბილეთები თამაშობდნენ ერთგვარ საგირავნო ფურცლების როლს. სესხის ამღებთ ამ ბილეთების რეალიზაცია (განაღდება) უნდა მოეხდინათ სხვაგან და ახდენდნენ კიდეევაც, მაგრამ არა იშვიათად 40%/0 დაკლებით ბილეთის ნომინალური ღირებულებიდან.

არ აძლევდა 1000 მანეთზე მეტს და მასაც მხოლოდ ქალაქ თბილისში არსებულ შენობათა გირავნობით.

მუშაობის მთლიანად დამთავრების (1873 წ. 24 აგვისტოს) შემდეგ კომისიამ დაადგინა, რომ უძრავ ქონებათა გირავნობით გაცემული სესხის მოვალეთაგან ნარჩენების აკრეფა პრიკაზის მიერ ხდებოდა დაგვიანებით; პრიკაზი აგვიანებდა ვადების გადაცილების შემთხვევაში დაგირავებულ ქონებათა საჯარო ვაჭრობით გაყიდვას და არაწესიერ მოვალეთა მამულების სამეურვეო სამმართველოში გადაცემას; ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სავსებით არ აკეთებდა ამ მხრივ არავითარ განკარგულებას. პრიკაზი არ ახდევინებდა შემფასებლებს ვალებს, როდესაც მათ მიერ შეფასებული ქონების გაყიდვით არ ნაზღაურდებოდა მასზე რიცხული დავალიანება. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც დაგირავებული ქონების გაყიდვით დაუფარავი ვალის ნაწილის ანაზღაურება სავსებით შეუძლებელი ხდებოდა.

ყოველივე ამის გამო კომისიამ აღიარა პრიკაზის როგორც საკრედიტო, ისე საქველმოქმედო ნაწილის ლიკვიდაციის აუცილებლობა. ამიერკავკასიის პრიკაზის ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო იმავე წესით როგორც ეს მოხდა რუსეთის შიგა გუბერნიებში, ე. ი. პრიკაზის საკრედიტო ნაწილი უნდა გადასცემოდა სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებას. კომისიის ეს მოსაზრებები მოიწონა ნამესტნიკმაც, რომელმაც საკითხის საკანონმდებლო აქტის სახით გაფორმებამდე გამოითხოვა ფინანსთა მინისტრის სტატს-სეკრეტარ რეიტერნის დასკვნაც. ნამესტნიკი ფიქრობდა: 1. სახელმწიფო ბანკის წინაშე პრიკაზის მთელი ვალი — 2.300.000 მანეთი — გადასცემოდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკს; 2. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას, რომელთაც მამულები ჰქონდათ დაგირავებული პრიკაზში, მისცემოდა შეღავათები, რაც უნდა გამოხატულიყო მათზე რიცხულ ვალთა გადახდის 56 წლით განაწილვადებაში.

მაგრამ ფინანსთა სამინისტრო არ დათანხმდა სახელმწიფო ბანკისადმი პრიკაზის ვალის (2.300.000 მან.) თავად-

აზნაურთა საადგილმამულო ბანკისათვის გადაცემას, უმთავრესად იმიტომ, რომ საადგილმამულო ბანკის ძირითადი კაპიტალი — 300.000 მან. — „მეტად უმნიშვნელოა სახელმწიფო ბანკისადმი პრიკაზის ზემოხსენებულ ვალთან შედარებით“. ფინანსთა საბინისტრო მნიშვნელოვნად კვეცავდა აგრეთვე პრიკაზის წინაშე დავალიანებული თავადაზნაურობისათვის გასაწევ შეღავათებსაც.

ამგვარად, ნამესტნიკის მიერაც დაიმედებულ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა პრეტენზიას, მეტისმეტად დიდი შეღავათების მიღებისა, სცილასა და ქარიბდას შუა უნდა გაევლო! ეს კი არც ისე ადვილი საქმე იყო. როგორც პრიკაზის ლიკვიდაციის, ისე მძიმედ დავალიანებული თავადაზნაურობისათვის შეღავათების მიცემის საქმე აქ შეჩერდა და გაიყინა რამოდენიმე წლის განმავლობაში.

ლ ო მ ი ზ ე ს კომისიამ არამცთუ რაიმე რეალური არ გააკეთა პრიკაზის უკვე აბურდულ საქმეთა გამოსწორებისათვის, არამედ მომავალი მუშაობისათვისაც ვერ დაუსახა პრიკაზს ჯეროვანი გზები და მეთოდები. განსაკუთრებით მტკივნეულ საკითხად ითვლებოდა სხვათა შორის გ ი რ ა ო ს ს ა კ ი თ ხ ი.

ამიერკავკასიის პრიკაზი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე 1872 წლიდან სესხს, 20.000 მანეთამდე, ერთ პიროვნებას აძლევდა მხოლოდ ქ. თბილისის ფარგლებში არსებულ ქვის შენობათა დაგირავებით, არა უმეტეს 15 წლის ვადისა.

პრიკაზი სესხად აძლევდა დაგირავებული ქვის შენობის შემფასებელთა მიერ დადგენილი თანხის $^3/_4$-ს. მაგრამ აქაც მხედველობაში მიიღებოდა შენობის ადგილმდებარეობა, რის გამოც ხშირად სესხი გაიცემოდა არა უმეტეს შეფასების თანხის მხოლოდ ორი მესამედის ან ნახევრის რაოდენობით. პრიკაზი შეფასების $^3/_4$-ს აძლევდა თუ სახლი მდებარეობდა, მაგ., სოლოლაკში, გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის და მიხეილის ქუჩებზე, სავაჭრო ცენტრებში, სადაც მიწის ფასი, რაც სახლის შეფასებაში არ შედიოდა, მეტად მაღალი იყო; პირიქით, მაგ., ნავთლუღს, ავლაბარს, ვერაში და საერთოდ ცენტრს და სავაჭრო პუნქტებს დაშორებული სახ-

ლების გირავნობით სესხს იძლეოდა შეფასების $^2/_3$ ან $^1/_3$-ის რაოდენობით.

როდესაც დაგირავებული შენობა შეფასებულ ფასში ვერ გაიყიდებოდა და ამით პრიკაზი იზარალებდა, ეს ზარალი, უკეთუ იგი არ იყო გამოწვეული ისეთი მიზეზებით რომელთა გათვალისწინება შემფასებელთ არ შეეძლოთ (მაგ. მიწისძვრისაგან სახლის დაზიანება და მისთანანი), უნდა აენაზღაურებია შემფასებლებს. თუ რომ საჯარო ვაჭრობისას დაგირავებული შენობა ნავარაუდევ ფასში ვერ გაიყიდებოდა, ე. ი. შეფასებული იქნებოდა გაზვიადებულად, მაშინ ქვის შენობები გადაეცემოდა შემფასებელთ, რომელთაც უნდა გადაეხადათ პრიკაზის ვალი. ხოლო თუ შემფასებლებიც შეუძლონი აღმოჩნდებოდნენ, მათ მოექცეოდნენ როგორც სახაზინო მოვალეებს, ე. ი. დანაკლისს აანაზღაურებინებდნენ იმ საზოგადოებას (თემს), რომელმაც ეს შემფასებლები აირჩია, ხოლო უკანასკნელთ გაკოტრებულად გამოაცხადებდნენ.

მიუხედავად ამგვარი წესებისა, როგორც ჩანს, 70-იან წლებშიაც ხშირი იყო შემთხვევები შემფასებელთა მიერ ქონების გადაჭარბებულად შეფასებისა, რის გამოც პრიკაზმა შემოიღო გაორმაგებული კონტროლი: სესხი გაიცემოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრიკაზის დირექტორები შეამოწმებდნენ შემფასებელთა ნამოქმედარს. ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაგირავებული სახლების საჯარო ვაჭრობით გაყიდვისას, პრიკაზი თითქმის ყოველთვის აღწევდა მიზანს.

ამავე დროს, მართალია, ქვის შენობათა გირავნობით სესხი კანონისამებრ გაიცემოდა მხოლოდ 15 წლის ვადით, მაგრამ სინამდვილეში კი ადგილი ჰქონდა როგორც მეტი ვადით დაგირავებას, ისე უკანონოდ გადაგირავებას და ვალის გადახდის უფრო დიდი ხნით განაწილვადებასაც.

საერთოდ 1859 წლამდე პრიკაზი საქალაქო შენობათა გირავნობით სესხს აძლევდა მხოლოდ 15 წლის ვადით, მაგრამ 1859 წელს მოვალეთა თხოვნით, რომელიც შეიწყნარა კავკასიის ნამესტნიკმა, მოხდა დაგირავებული სახლების გადაგირავება 26 წლის ვადამდე. ამ დროიდან ასეთ შეღავა-

თებს უკვე ხშირად ჰქონდა ადგილი, სანამ 1872 წელს არ იქნა აღკვეთილი ყოველგვარი გადაგირავება. ახლა (1876 წ.) კი პრიკაზს კვლავ შესაძლებლად მიაჩნდა 26 წლამდე გადაგირავება, მაგრამ მხოლოდ „განსაკუთრებით საპატიო მიზეზებისა და ნამესტნიკის ნებართვის საფუძველზე“.

პრიკაზი ახლა შესაძლებლად თვლიდა ერთ პირზე სესხად ოცი ათას მანეთზე მეტი თანხის გაცემას, ისე როგორც, გარდა თბილისისა, ამიერკავკასიის კიდევ სხვა საგუბერნიო ქალაქებში არსებული სახლების გირავნობით სესხის გაცემას და აგრეთვე სოფლის მამულების გირავნობით სესხის გაცემის განახლებასაც; ნაგრამ სესხი უნდა გაცემულიყო სოფლის მხოლოდ ისეთი მამულების გირავნობით, რომლებიც უკვე გადამიჯნული ტერიტორიების ზონაში შედიოდნენ.

ერთ-ერთი მთავარი უხერხულობა, რასაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის პრიკაზის მოღვაწეობაში იყო ის, რომ პრიკაზი აძლევდა რა გრძელვადიან სესხს, თავის მხრივ ღებულობდა უვადო ანაბრებს, რამაც სულ მალე გამოაშკარავა უარყოფითი გავლენა პრიკაზის საკრედიტო ოპერაციებზე. მაგრამ სანამ მთელ ამიერკავკასიაში არ იყო სხვა საკრედიტო დაწესებულება, და პრიკაზი დამოუკიდებლად კარნახობდა კრედიტის ვითარებას, ამ მხრივ მდგომარეობა არ რთულდებოდა. ხოლო მას შემდეგ რაც 1866 წელს თბილისში გაიხსნა სახელმწიფო ბანკის კანტორა და მერმე კიდევ რამოდენიმე კერძო საკრედიტო დაწესებულება და ამასთანავე საგლეხო რეფორმის ჩატარებამ ე. წ. „დროებით-ვალდებულ“ გლეხთა მიმართ ახალნაირ ურთიერთობაში ჩააყენა პრიკაზის მოვალე მეწამულეები — უკვე ერთბაშად თავი იჩინა ზემოხსენებულმა შეუსაბამობამ გრძელვადიანი კრედიტისა და უვადო ანაბრების ოპერაციების სახით რომ არსებობდა.

თავს გრძნობდნენ შევიწროებულად როგორც პრიკაზის მეანაბრეები, ისე მოვალეებიც; პირველნი იმის გამო, რომ მათ ანაბრები სასურველ დროზე არ უბრუნდებათ, ანდა ნაწილ-ნაწილ უბრუნდებათ, ხოლო მეორენი იმის გამო, რომ თხოვნისამებრ სესხებს ვერ ღებულობდნენ. თვით პრიკაზი კი

ხშირად განიცდიდა ნაღდი ფულის უქონლობის გამო კრიტიკულ მომენტებს. სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი, რათა ნამესტნიკს 1872 წელს დაენიშნა სპეციალური კომისია, რომელსაც ევალებოდა პრიკაზის საქმეთა მოწესრიგების მიზნით მისი წესდების გადასინჯვა. ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით ამ კომისიის მუშაობის შედეგებს.

აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კომისიამ როგორც ზემოთაც გვაქვს ნათქვამი, აუცილებლად სცნო შეეწყვიტა პრიკაზს ნაღდი ფულის გასესხების ნაცვლად საკუთარი ბილეთების გაცემა. პრიკაზმა 1866 წლიდან სესხის ამღებთათვის ნაღდი ფულის მაგიერ თავისი ბილეთების გაცემა სწორედ იმიტომ დაიწყო, რომ ამით საშუალება მისცემოდა მოვალეთაგან შემოსული თანხები და მიღებული ანაბარები მთლიანად გამოეყენებია მეანაბარეთაგან ანაბართა დაბრუნების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად[1], რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმდროიდან გამუდმებით დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. მაგალითად, 1873 წ. 1 იანვრისათვის ასეთი შეუსრულებელი მოთხოვნა 330.000 მანეთამდე აღწევდა, მაშინ როდესაც პრიკაზის სალაროში მხოლოდ 3.000 მანეთამდე ნაღდი ფული იყო.

ასეთი მდგომარეობიდან მერმის თავის დაღწევის მიზნით კავკასიის მთავრობამ პრიკაზს 1873 წ. 17 მარტიდან აუკრძალა ფულის ნაცვლად თავისი ბილეთების გაცემა სესხად. ამასთანავე, იმ მიზნით რათა შესძლებოდა დაეფარა სახელმწიფო ბანკის წინაშე თავისი დავალიანება, პრიკაზს აეკრძალა ამიერიდან სესხის გაცემა სოფლის თუ ქალაქის უძრავ ქონებათა გირავნობით. აქედან გამონაკლისი გაკეთდა იმავე წლის 14 მაისიდან მხოლოდ ქ. თბილისში არსებულ ქვის შენობათა მიმართ, როგორც უკვე გვაქვს ნათქვამი.

1875 წლის 5 თებერვალს ამიერკავკასიის პრიკაზს ებრძანა: 1. სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში პროცენტიან მიმდინარე ანგარიშზე შეეტანა მთელი თავისი თავისუფალი თანხები; 2. იმავე ბანკში პროცენტიან მიმდინარე ანგა-

[1] ამავე მიზნით პრიკაზმა გაადიდა აგრეთვე %%-ც ანაბრებზე.

რიშზე შეეტანა 50.000 მანეთიანი ფონდი ანაბართა დროზე დაბრუნების უზრუნველსაყოფად; 3. ამიერიდან არსებული წესისამებრ გაეცა სესხი და ეწარმოებია ბრუნვები საერთოდ ისეთი ანგარიშით, რომ სესხის გაცემა შეეჩერებია როგორც კი გამოილეოდა სახელმწიფო ბანკში მისი ანაბარი და დარჩებოდა მხოლოდ ის ფონდი, რომელიც განკუთვნილი იყო პრიკაზის მეანაბარეთა დაუგვიანებელი დაკმაყოფილებისათვის.

* * *

ამიერკავკასიის პრიკაზი გაცემულ სესხზე ღებულობდა სარგებელს: 1871 წლის 15 მარტამდე — 5%; 1871 წ. 15 მარტიდან 1872 წლის 1 დეკემბრამდე—6%; ხოლო 1872 წლის 1 დეკემბრიდან მოყოლებული—8%-ს.

მიღებულ უვადო ანაბრებზე პრიკაზი საერთოდ მცირე სარგებელს იძლეოდა, მაგრამ სანამ ამიერკავკასიაში არ იყო სხვა საკრედიტო დაწესებულება, ამით მისი საქმე არ ფუჭდებოდა. 1859 წ., როდესაც სახელმწიფომ გამოსცა ბანკის 5 პროცენტიანი ბილეთები, ამიერკავკასიის პრიკაზმა ნაცვლად იმისა რომ გაედიდებია ანაბრებზე %%, პირიქით, დაუკლო კიდევაც 4-დან 3-მდე, — რაც უდაოდ ხეპრული ნაბიჯი იყო. 1860 წლიდან პრიკაზმა უკვე 2%-მდე დაიყვანა მიღებული ანაბრის სარგებელი და ასე გრძელდებოდა, სანამ თბილისში 1866 წელს არ გაიხსნა სახელმწიფო ბანკის კანტორა, რომელმაც დააწესა 3%, რასაც პრიკაზი ვერ ჩამორჩებოდა. ხოლო 1871 წ. 15 მარტიდან პრიკაზმა დააწესა 4%, შემდეგ 1872 წლის 1 დეკემბრიდან—5%, ვიდრე 1877 წ. 1 ივლისამდე. ამ უკანასკნელი დროიდან პრიკაზმა უვადო ანაბარზე დააწესა 4½%.

უვადო ანაბრისათვის 1871 წლიდან დაწყებული პრიკაზის მიერ სარგებლის თანდათანი მომატება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ამ დროიდან განსაკუთრებით მკაცრად იჩინა თავი გამოუვალმა მდგომარეობამ უფულობის სახით, რაშიაც პრიკაზი მოყვა იმის გამო, რომ იგი შეუფარდებელი ზომით ეწეოდა გრძელვადიანი (ჰიპოტეკური)

კრედიტის გაცემას და უვადო ანაბრების მიღებას, რაც ფინანსთა მინისტრის, რ ე ი ტ ე რ ნ ი ს, დასკვნით უკანასკნელი გარემოების ბუნებრივი მიზეზი იყო.

პრიკაზი-კი ანაბრებზე სარგებლის მომატებით ცდილობდა თანხების მიზიდვას, რათა თავი დაეღწია ნაღდი ფულის უქონლობით შექმნილი სიძნელეებისგან; მაგრამ რომ არა ვთქვათ რა იმაზე, რომ პრიკაზს ამ მიზნის მიღწევაც უძნელდებოდა, საერთოდ იმპერიაში მაშინ ანაბრებზე არსებული სარგებლის ნორმების აწევა კომერციული თვალსაზრისით უარყოფითად მოქმედებდა თვით პრიკაზის მეურნეობაზე.

მაგრამ პრიკაზს ხსენებული მიზეზების გამო სარგებელი უნდა აეწია ვადიანი ანაბრებზედაც; ასე, მაგალითად, 15 მარტამდე 1871 წლისა ანაბრებს ვადით 1-დან 14 წლამდე უხდიდა $4^1/_2$%, ხოლო 15-დან 21 წლამდე — 5%-ს. 1872 წ. 1 დეკემბრიდან დაწესებულ იქნა სარგებელი ანაბრებზე, ვადით: 2 წლამდე — $5^1/_2$%; 3 — 6 წლამდე — 6%; 6—9 წ.— $6^1/_2$%; 9 — 12 წ. — 7%; 12 — 15 და მეტი წლით — $7^1/_2$%. შემდეგ 1875 წ. 27 იანვრიდან შემოღებულ იქნა ახალი ნორმები: ანაბრებზე ვადით 1—6 წლამდე—$5^1/_2$%; 6—12 წ. 6%; 12 წ. და ზევით—$6^1/_2$%; 1877 წ. 1 ივნისიდან პრიკაზმა კიდევ დაუკლო ვადიან ანაბრებზე სარგებელი: 1-დან 6 წლამდე—5%; 6—12 წლ.—$5^1/_2$%; 12 და მეტი წლით—6%.

პრიკაზის მიერ გაცემულ სესხზე და მიღებულ ანაბრებზე სარგებლის რყევას განსაზღვრავდა საერთოდ ფულის მიწოდება-მოთხოვნის მდგომარეობა. ამიერკავკასიის პრიკაზს ამ მხრივ 60-იან წლებამდე საქმე ჰქონდა გარკვეული თანმიმდევრობით მზარდ მოვლენებთან, რომელთა წინასწარ გათვალისწინება მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მაგრამ 1859 წლიდან იმპერიაში დაწყებული ფინანსური და საკრედიტო რეფორმების შემდეგ, საერთოდ ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარების პირობებში, რასაც სხვათა შორის ზედიზედ მოყვა რიგი ახალი საკრედიტო დაწესებულებები და ანას გარდა პროცენტებიანი სახელმწიფო ბილეთების გამოშვება, ცხადია, პრიკაზის პირვანდელი თვითმყოფობა უნდა დარღვეულიყო.

აღორძინებულმა საკრედიტო ცხოვრებამ ამიერკავკასიის პრიკაზი თავის ორომტრიალში ჩაითრია და ისე დასდრიკა მისი მოუქნელი აპარატი და მთელი მოძველებული სისტემა, რომ ერთხელ და ორჯერ მას კიდევაც აეცილებია კრახი, საბოლოოდ მაინც უნდა დაეკარგა ცხოველმყოფელობის უნარი, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისთავად მაინც მომგებიანი დაწესებულება იყო.

ამიერკავკასიის თავისუფალი კაპიტალები თავს იყრიდა პრიკაზში, უკანასკნელის არსებობის მთელ მანძილზე, ვიდრე 1859 წლამდე. 1859 წ. 1 იანვრისათვის ამ სახით პრიკაზში თავმოყრილი იყო 3.700.000 მანეთი. და სწორედ ამ დროიდან დაიწყო აქ ფულის კრიზისი. 1859 წელს 5%-იანი სახელმწიფო ბილეთების გამოშვების შედეგად პრიკაზის სალარომ ერთი წლის განმავლობაში არა მხოლოდ გასცა 3,7 მილიონი მანეთი, რაც მას თავისუფალ თანხად ჰქონდა, არამედ მოითხოვა სახელმწიფო სასესხო ბანკიდან სუბსიდია 1.271.000 მან., რაც შემდეგ ვალად დაეწერა პრიკაზს და რამაც 1879 წელს %% მიმატებით 2 მილიონ მანეთამდე მიაღწია.

1859 წ. დაწყებული პრიკაზის სალაროს დაცალიერება გრძელდებოდა მთელი 15 წლის განმავლობაში, 1874 წლამდე, სანამ ჯერ სავსებით არ იქნა შეწყვეტილი, ხოლო შემდეგ შეზღუდული იმისი სასესხო ოპერაციები. ამ დროიდან დაწყებული თბილისში „ჭარბი" კაპიტალი ჩნდება მხოლოდ 1878 წლის მერმე, თურქეთთან ომის შემდეგ, როდესაც თავისუფალმა კაპიტალებმა ოფიციალური დოკუმენტის სიტყვით: „გაავსეს ყველა აქ არსებული საკრედიტო დაწესებულებები".

მაგრამ პრიკაზის სალაროს დაცალიერებამ განსაკუთრებით მკაცრად იჩინა თავი 1859, 1866, 1872 წლებში. 1859 წ. სალაროს დაცალიერებამ პრიკაზს დაადო სახელმწიფო სასესხო ბანკის ვალი, რაც, სარგებლის სახით, ყოველწლივ ნთქავდა 41.000 მანეთს პრიკაზის მოგებიდან. 1866 წლიდან, რათა თავი დაეღწია „უფულო კრედიტორის მდგომარეობიდან" პრიკაზმა დაიწყო საკუთარი ბილეთების (გირავ-

ნობითი ფურცლების) გაცემა, — როგორც უკვე გვქონდა ლაპარაკი; ხოლო 1872 წელს პრიკაზი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ ვერაფრით ვერ შეძლო თავის მეანაბრეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, რის გამოც იგი იძულებული შეიქნა აეწია %% ვადიან ანაბრებზე ისეთ ზომამდე ($7^1/_2$%), რამდენიც არასოდეს არ არსებულა რუსეთის საბანკო დაწესებულებებში. ასეთი მაღალი სარგებლით მიღებული ანაბრები 1879 წლისათვისაც ჰქონდა პრიკაზს შერჩენილი 1.164.000 მან. რაოდენობით.

ამგვარად უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის პრიკაზის მიერ განცდილი კრიზისები ემთხვეოდა: 1859 წლისა— ბანკის 5 პროცენტიანი ბილეთების გამოშვებას; 1866 წლისა—თბილისში სახელმწიფო ბანკის კანტორის გახსნას, ხოლო 1872 წლის კრიზისი კი—თბილისში ორი ახალი საკრედიტო დაწესებულების (კომერციული ბანკისა და საურთიერთო კრედიტის საზ-ბის) დაარსებას. მაგრამ ამ, ასე ვთქვათ, ადგილობრივი ხასიათის მიზეზთა გარდა იყო ზოგადი მნიშვნელობის მოვლენები, რომლებიც ხსენებულ წლებში გავლენას ახდენდნენ საერთოდ მეურნეობის სისტემაზე. ასეთი იყო, მაგალითად, 1872—73 წწ. ეკონომიკური კრიზისი, რომელიც მოედო როგორც რუსეთს, ისე ფითქმის მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოს.

* * *

1872 წ. გამოცემული ბრძანებულებით საერთოდ რუსეთის იმპერიაში უნდა მომხდარიყო პრიკაზების ლიკვიდაცია. ამიერკავკასიის მთავრობამ ითხოვა რომ აქაურ პრიკაზს გაეგრძელებია თავისი ოპერაციები. 1872 წელსავე დანიშნულმა კომისიამ, რომელსაც უნდა განოემუშავებია ამიერკავკასიის პრიკაზის გაჯანსაღებისათვის საჭირო ღონისძიებები, როგორც დავინახეთ, მიზანს ვერ მიაღწია. ამის შემდეგ 1878 წლის მაისს უკვე ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით დაინიშნა ახალი კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ამიერკავკასიის პრიკაზის საერთო მდგომარეობა და გამოერკვია საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა პრიკაზის

ლიკვიდაცია, ანდა დატოვება და ორივე შემთხვევისათვის გამოემუშავებია შესაფერის ღონისძიებათა პროექტები.

ამ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ჩვენთვის უკვე ცნობილი ნამესტნიკის საბჭოს წევრი, ტაინი სოვეტნიკი, ლ ო მ ი ზ ე. კომისიაში შედიოდნენ: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ვ. ნ. ხ ი ტ რ ო ვ ო, დ. ს. ს. მიხ. ნიკ. კ უ ჩ ა ე ვ ი, დ. ს. ს. იასე ნოშრევანის ძე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, სტატსკი სოვეტნიკი პ ე ტ რ ე მ ი ხ. ვ ე ს ე ლ ო ვ ზ ო რ ო ვ ი, კოლეგსკი სეკრეტარი თ. ი. ბ რ ა უ ნ ი, ნადვორნი სოვეტნიკი ვლად. ა პ. დ უ კ ე ლ ს კ ი, კოლეგსკი ასესორი ალ. ალ. ა ლ ი მ ო ვ ი; ამათ გარდა კომისიაში მოწვევით მონაწილეობდნენ თბილისის გუბერნიის მსხვილი მემამულეები: გენ.-ლეიტ. გრ. დ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ივ. კონსტ. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი, ნიკო დიმიტრისძე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი გვარდიის პოლკოვნიკი დავით ა ლ. ს უ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი, დიმ. დ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, იესე ადამის ძე ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშალი ლუარსაბ ა ლ. მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მმართველი ილია გრიგოლის ძე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, გაზ. „Обзор"-ის რედაქტორი ნიკო იაკობის ძე ნ ი კ ო ლ ა ძ ე.

ლ ო მ ი ზ ე ს კომისიამ მუშაობა დაამთავრა და დასკვნები გამოიტანა 1879 წელს. კომისიის დასკვნით დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო პრიკაზის ლიკვიდაცია. ამისათვის პრიკაზის საკრედიტო ნაწილს ამთავითვე უნდა შეეწყვიტა: 1. სესხის გაცემა სოფლის ადგილმამულთა გირავნობით; 2. გაცემული სესხის გადახდის ვადების გაგრძელება და ვადით დაგირავებულ ქონებათა (თბილისში ქვის შენობათა) გადაგირავება ახალ ვადამდე, თუ ეს აღემატებოდა კანონით დადგენილ 15 წლიან ვადას; 3. პრიკაზს თავისი თავისუფალი თანხებიდან 800.000 მან. ამთავითვე უნდა დაებანდებია ყველაზე ხელსაყრელ სახელმწიფო პროცენტიან ბილეთებში; 4. პრიკაზს სავსებით უნდა შეეწყვიტა თბილისს გარდა სხვა ქალაქში არსებულ ქვის შენობათა გირავნობით სესხის გა-

ცემა; 5. კომისიამ საფუძვლიანად მიიჩნია თავადაზნაურობის თხოვნა გაენთავისუფლებიათ ისინი პრიკაზისათვის დაგირავებულ სოფლის ადგილმამულის ვალთა გადახდისაგან (ამ უკანასკნელი საკითხისათვის ქვემოთ გვექნება სპეციალურად მსჯელობა).

თავის, მუშაობის პროცესში კომისია მივიდა იმ დასკვნამდეც, რომ ამიერკავკასიის პრიკაზი, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელთაც ასრულებდნენ რუსეთის შიგა გუბერნიების პრიკაზები, ამიერკავკასიისათვის ასრულებდა აგრეთვე, სხვათა შორის, სახელმწიფო საადგილმამულო ბანკისა და საიმპერატორო აღმზრდელობითი სახლის შენახველი სალაროების ფუნქციებს. ამას გარდა ამიერკავკასიის პრიკაზი, რომელიც 1866 წლამდე (ე. ი. თბილისში სახელმწიფო ბანკის კანტორის გახსნამდე) ერთადერთი საკრედიტო დაწესებულება იყო, რომელმაც, — „ფართო მასშტაბით იზიდავდა რა ანაბრებს,—მიაჩვია მოსახლეობა ფულის დატრიალებას; ხოლო პრიკაზი აძლევდა რა სესხებს—ხელსაყრელ პირობებში აწოდებდა კრედიტს, რასაც წესიერი სახით მანამდე ამ მხარეში ადგილი არ ჰქონია, და მით მნიშვნელოვან სამსახურს უწევდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას“.

უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის ეს დასკვნა სწორიცაა და შემცდარიც; იგი სიმართლეს შეეფერება რამდენადაც შეეხება პრიკაზის იმ კლიენტებს, რომლებიც ვაჭრებსა და მრეწველებს, საერთოდ კომერციული მესარეწეობის ხალხს წარმოადგენენ. პრიკაზის კლიენტთა ამ კატეგორიამ მართლაც ისარგებლა მიღებული სესხებით იმ ნახრივ, რომ გააფართოვა თავისი მეურნეობრივი თაოსნობა, მესარეწეობაში დააბანდა რა იაფი სარგებელით მიღებული მნიშვნელოვანი თანხები. რაც შეეხება პრიკაზის კლიენტთა მეორე და ძირითად კატეგორიას, რომელიც თავადაზნაურული მემამულეებისგან შედგებოდა, ამათში დიდ უმრავლესობას პრიკაზმა მხოლოდ გადაუხდელი ვალები მოუტანა, რაც საბოლოო ანგარიშით ამ მემამულეთა განადგურებას იწვევდა, რამდენადაც ესენი პრიკაზიდან მიღებულ სესხს აბანდებდნენ არა კომერციულ და საზოგადოდ მეურნეობრივ საქმიანობაში,

არამედ მას ხარჯავდნენ ფუფუნებისა და საერთოდ პირადი მომხმარებლური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს თავადაზნაურთა ცხოვრების ისეთი კომპეტენტური მცოდნე, როგორიც იყო ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი აცხადებს, რომ პრიკაზმა „ვერ მიაღწია იმას, რომ ეწარმოებია მეთვალყურეობა იმისთვის, რათა პრიკაზიდან ნასესხები ფულები ნამდვილად მოხმარებულიყო ვაჭრობის, მრეწველობის, მიწათმოქმედების და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას; ხოლო თვით მემამულეებს არ შეეძლოთ პრიკაზიდან გამოტანილი სესხი სარფიანად გამოეყენებიათ ამ საქმისათვის, რადგან ჩვენი თავადაზნაურობა არ იცნობს რაციონალური მეურნეობის წარმართვის კანონებს“. სწორედ ამის გამო პრიკაზის დაარსებით ვერ იქნა მიღწეული მთავრობის მიზანდასახულობაო, აღნიშნავს ქ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი[1].

ქ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი წერს, რომ პრიკაზის „კრედიტით თაოსნიანად ისარგებლა მარტო ვაჭართა კლასმა, ხოლო მიწათმფლობელები მისი მეოხებით მხოლოდღა მეტად მნიშვნელოვან ვალებში ჩაცვინდნენ და იძულებულნი არიან იხადონ ის იმ საცოდავი შემოსავლიდან, რაც შემოსდით თავიანთი მამულების მტაცებლური ექსპლოატაციით; მიწათმფლობელნი ჩავარდნენ მეტად საცოდავ მდგომარეობაში, ხოლო მათ მიერ აღებული ფულები დაიხარჯნენ ახლად წარმოშობილ მოთხოვნილებებზე, შედეგად იმ ხანებში ძლიერ განვითარებული ფუფუნებისაო“[2].

მაგრამ ჯერ დავუბრუნდეთ ისევ ზემოხსენებული კომისიის საქმიანობას. კომისიის დასკვნას, რომ მოეხდინათ მთლიანი ლიკვიდაცია პრიკაზის საკრედიტო ნაწილისა არ ეთანხმებოდნენ მისი წევრები იასე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე და ვ ე ს ე ლ ო ვ ზ ო რ ო ვ ი, რომლებიც ამტკიცებდნენ რომ: 1. ამიერკავკასია ეკონომიკურად „კიდევ არ არის რუსეთის შიგა გუბერნიების დონემდე ამაღლებული“, რისთვისაც საკრედიტო რეფორმები,

[1] Х. М а м а ц о в, „Пора спохватиться!“ (газ. „Кавказ“, 1872 г. № 137).

[2] იქვე.

რაც იქ ჩატარდა (პრიკაზების ლიკვიდაცია და სხვ. სახით) ჩვენთვის ჯერ ნაადრევია; 2. თვით რუსეთშიაც ყოფილ საბანკო დაწესებულებათა ლიკვიდაცია ნაადრევი იყო; 3. არაა საშიში, რომ უვადო მეანაბრეები ერთბაშად მოითხოვენ თავიანთ ანაბარს, რაც ჩანს იქედან, რომ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში შემოტანილ უვადო ანაბართა ჯამი მეტია გატანილზე. 4. „კრედიტი, რომელსაც აწოდებს პრიკაზი 8 პროცენტიანი სარგებლით ერთი დაფარვისა, იაფია იმ კრედიტზე, რომელსაც იძლევიან აქაური საადგილმამულო ბანკები 6 პროცენტიანი სარგებლით“ და 5. პრიკაზი სხვა რომელიმე ორგანოზე უფრო მეტ ყურადღებას აქცევს საქველმოქმედო დაწესებულებებს. არსებითად ამავე მოსაზრებებს ემხრობოდა ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე ც, მხოლოდ იგი წინადადებას იძლეოდა რათა „პრიკაზი რეორგანიზებულიყო მთავრობის საკრედიტო დაწესებულებად, რომელიც მიაწოდებდა გრძელვადიან საადგილმამულო კრედიტს, — ამიერკავკასიაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად არსებული ყოველგვარი უძრავი ქონების გირავნობით“. მიუხედავად ამ წინააღმდეგობათა კომისია მაინც დარჩა თავის აზრზე. რამდენიმე ხნის შემდეგ, კომისიის მოსაზრებები პრიკაზის ლიკვიდაციის შესახებ ძირითადად დაამტკიცა კავკასიის ნამესტნიკმა. ამის შემდეგ ამიერკავკასიის პრიკაზის ლიკვიდაცია უკვე დროის საქმე იყო, რაც დასრულდა კიდევაც ოთხმოციანი წლების დასაწყისში.

* * *

ამიერკავკასიის პრიკაზის საკრედიტო ნაწილის მთელი მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო ადგილმამულის გირავნობით გრძელვადიანი სესხის გაცემა. პრიკაზის მოღვაწეობის ეს მხარე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა ამიერკავკასიასა და განსაკუთრებით საქართველოში ბატონყმური და საერთოდ მემამულური მეურნეობის განვითარებაში, როგორც რეფორმამდე ისე მას შემდეგაც—ორიოდე ათეული წლის განმავლობაში. ყოველივე ამის გამო სა-

ჭიროა სპეციალურად შევჩერდეთ პრიკაზის მოღვაწეობის ამ მხარეზე.

ამიერკავკასიის პრიკაზის ვალებით დატვირთული იყო განსაკუთრებით თბილისის გუბერნიის, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა. როგორც უკვე ვიცით ქართველ მემამულეებს პრიკაზიდან სესხის გამოტანა შეეძლოთ მიწის გირავნობით, მაგრამ 1864 წლამდე, ე. ი. ბატონყმობის გაუქმებამდე თავადაზნაურობა პრიკაზში აგირავებდა აგრეთვე მის მამულზე მოსახლე ყმებსაც. თანახმად თვით პრიკაზის ცნობისა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ დაგირავებული იყო: 1863 წლის 1 იანვრისათვის 4316 კომლი გლეხი, ხოლო 1864 წ. 1 ივნისისათვის 4846 კომლი, რომელიც შედგებოდა 17.392 მამრისა და 13.322 მდედრისაგან, ე. ი. სულ 30.714 კაცისაგან.

ამგვარად, იმის გამოსახატავად, თუ როგორ იზრდებოდა თავადაზნაურობის დავალიანება პრიკაზის წინაშე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ 17 თვის განმავლობაში სესხისათვის დაგირავებული გლეხთა ოჯახების საერთო რაოდენობა გაიზარდა 532 ოჯახით. 1864 წ. 1 ივნისისათვის დაგირავებულ გლეხთა 4846 ოჯახი მათი მიწებით და ვენახბაღ-ბოსტნებით დადგენილი კატეგორიული ფასების მიხედვით შეფასებული იყო 2.042.100 მანეთად, ხოლო მემამულეთა მიწებიანად 5.047.126 მანეთად[1].

თბილისის გუბერნიის მემამულეთა მთელი ადგილ-მამულის მეოთხედზე მეტი მათზე დასახლებულ გლეხობასთან ერთად 1864 წელს უკვე დაგირავებული იყო პრიკაზში. პრიკაზში დაგირავებული საბატონო გლეხთა ყოველი კომლი, ამასთანავე ერთად აღწერილი მიწებითა და ვენახებით შეფასებული იყო საშუალოდ 425 მანეთად, ხოლო მემამულის მიწებთან ერთად 1041 მანეთად.

აღმ. საქართველოს თავადაზნაურობის მიერ ყმებისა და ადგილმამულის გირავნობით პრიკაზიდან გამოტანილი თანხის საერთო ჯამი უდრიდა:

[1] П. В. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения", 1937 г. I, стр. 433.

1863 წ. 1 იანვრისათვის 1.652.940 მანეთს, ხოლო
1864 წ. 1 ივნისისათვის 1.810.840 მანეთს, ე. ი.
17 თვის განმავლობაში დავალიანება გაზრდილა 147.900 მანეთით[1].

თუმცა რეფორმების მერმე თავადაზნაურობას არ შეეძლო ამიერიდან „დროებით-ვალდებულ“ გლეხებად გადაქცეული ყოფილი ყმების დაგირავება, მაგრამ ისინი სამაგიეროდ კიდევ უფრო დიდის მასშტაბით აგირავებენ თავიანთ ადგილმამულს, რომელზედაც ეს გლეხები იყვნენ დასახლებულნი. როგორც რეფორმამდე ისე შემდეგაც მეტად უნუგეშო იყო ამ გლეხების მდგომარეობა. ძალიან ხშირად მათ ორი ერთმანეთზე უფრო გაუმაძღარი ბატონი უჩნდებოდა. ეს მაშინ, როდესაც მემამულე ვადაზე ვალს ვერ დაფარავდა და მამულზე პრიკაზის უშუალო პრეტენზია აშკარავდებოდა: პრიკაზი ცალკე მოითხოვდა, ხოლო მემამულეს კიდევ თავისთვის მიჰქონდა ღალა და კულუხი.

მემამულეთა დავალიანება პრიკაზის წინაშე სულ უფრო იზრდებოდა. ამის მთავარი მიზეზები აღნიშნულია როგორც თვით თავადაზნაურობის არზებსა და მიმართვებში უმაღლესი ორგანოებისადმი, ასევე იმდროინდელ პრესაშიაც. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ცნობილ გვარებს შორის სულ უფრო მრავლდებოდა ე. წ. „უწესივრო მოვალეთა“, ანდა „გამოუსწორებელ მოვალეთა“ რიცხვი.

ასეთ უწესივრო მოვალეთა სიაში თანდათანობით მოყვნენ ისეთი გვარებიც-კი როგორიც იყვნენ მუხრან-ბატონები, ორბელიანები და სხვ. აი, რას მოგვითხრობს ამ მხრივ თავის საინტერესო მემუარებში ნ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი (მუხრან-ბატონი): „ქართველი არისტოკრატია... როგორც ყველგან აქაც (თბილისში—პ. გ.) ცდილობდა ერთმანეთისათვის ფუფუნებით ცხოვრებაში გადაეჭარბებიათ და ამიტომ ხშირად უხდებოდათ წყეულ „პრიკაზში“ შესვლა, რომელიც ჭაობის მსგავსად თანდათან ითრევდა მათ“[2].

ეხება რა „პრიკაზის“ მოღვაწეობის ისტორიას, იგი აღნიშნავს, რომ „პრიკაზის“ საქმის კარგად და წესიერად დაყე-

[1] П. В. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1937 г. I, стр. 434.

[2] ნიკო ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, „ბურებთან“ (მოგონება), 1950, თბ., გვ. 40.

ნებისათვის მ. ს. ვორონცოვმა „მოიწვია ვილაც ებრაელი ხასკინი, როგორც მცოდნე ფინანსისტი, რომელმაც სულ ცოტა ხანში გაფცქვნა მემამულეები, მოაგროვა ორი მილიონი მანეთი და ამ ფულიანად ამერიკაში გაიქცა...". მერმე ნ. ბაგრატიონი წერს: „პაპაჩემს ვალად დაედვა ექვსასი ათასი მანეთი თავისი პროცენტებით; ეს ისეთი დიდი თანხა იყო, რომ მის გონებას ვერც-კი წარმოედგინა. გადახდის ვადები მალე მოვიდა და რადგანაც ფული არ მოეპოვებოდა, სახლიდან ორი ურემი ვერცხლეულის და რამდენიმე ძვირფასი ნივთის გატანა მოუხდა. ყველაფერი ეს ახალგორელმა სომეხმა მზარეულოვმა შეიყიდა და ფული „პრიკაზში" იქნა შეტანილი სართის, ანუ პროცენტების გადასახდელად. ვალი კი კვლავ ვალად დარჩა" [1].

ვალაუვალი თავადაზნაურობის მამულებს ვადების არაერთხელი გადაცილების მერმე მაინც პრიკაზი საჯარო ვაჭრობის გზით ჰყიდდა. სათანადო განცხადებები პრიკაზისა ხშირია იმდროინდელ გაზეთებში.

მაგალითად, გაზ. „დროებაში" ვკითხულობთ: „თელავის უეზდის სამსჯავროში 19 მაისს ამა წლისა მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელნიც ეკუთვნიან ქვემოხსენებულს მებატონეებს თელავისა და სიღნაღის უეზდებისა. ეს მამულები იყიდება იმისათვის, რომ მათმა მეპატრონეებმა არ შეიტანეს შემდეგის პრიკაზიდან ნასესხი ფულის სარგებელი: პადპარუჩიკმა სოლომონ ნიკოლოზის ძე ჩოლოყაშვილმა 3000 მანეთი ერთხელ და მეორედ 1600 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მისი მამული თელავის უეზდაში, სოფელ ლალისყურს: 2. მამუკა თომას ძე ჯამბაკურ-ორბელიანისა. ეს მამული იმყოფება ტფილისის უეზდაში, ბორჩალოს უჩასტკაში. სოფ. გიაურარხს, და ისყიდება, იმისათვის, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა სარგებელი პრიკაზიდამ ნასესხის 40.000 მან." და სხვ. [2].

მდგომარეობა სულ უფრო გამოუვალი ხდებოდა. თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ვერ იხდიდა რა ვალებს,

[1] ნიკო ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, „ბურებთან" (მოგონება), 1950, თბ. გვ. 13—14.
[2] გაზ. „დროება", 1867 წ. № 4.

კარგავდა ადგილმამულს. 1871 წელს, თვით ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წაქეზებულმა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ თხოვნით მიმართა იმპერატორს: ისინი ჩამოსთვლიან რა ცარიზმის წინაშე თავიანთ დამსახურებას თხოულობენ მთელ რიგ მნიშვნელოვან შეღავათებს მათზე რიცხული პრიკაზის ვალის დაფარვისათვის. ამ თხოვნის მიცემის შემდეგ, იმპერატორისაგან მოწყალების მოლოდინში, მემამულეებმა თითქმის სულ აიღეს ხელი ვალების დაფარვისათვის ზრუნვაზე. იმპერატორმა მიღებული თხოვნა დასკვნისათვის ადგილობრივ ხელისუფლებას გამოუგზავნა. უკანასკნელმა ეს საქმე დაუკავშირა 1872 წლიდან დაწყებულ საერთოდ პრიკაზების ლიკვიდაციის საკითხს, მაგრამ რამდენადაც კერძოდ ამიერკავკასიის პრიკაზის ლიკვიდაცია შეჩერებულ იქნა გაურკვეველ ვადამდე, ამიტომ თავადაზნაურობის არზისათვის საბოლოო პასუხის გაცემას წლობით აგვიანდებოდა.

თავადაზნაურობამ ამასობაში თითქმის სავსებით შესწყვიტა პრიკაზში მორიგი შესატანების გადახდა. ასე, მაგალითად, 1875—1877 სამწლედში მათ მიერ ვალის დაფარვის ოპერაციები შემდეგში გამოიხატა (მანეთობით):

	უნდა შეეტანათ	შეიტანეს	% შეფარდება
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას	439.132	48.865	11%
ქუთაისის	47.958	24.675	51%
ქუთაისის მაზრის „	27.817	5.511	19%

მაგრამ ამ შეტანილ თანხებში შედის აგრეთვე ის თანხაც, რაც თანახმად „გამოსყიდვითი“ ხელშეკრულებისა[1] გლეხებს უნდა გადაეხადათ მებატონეებისათვის და რაც მიდიოდა დასაფარავად პრიკაზისადმი მემამულის ვალისა, რო-

[1] მხედველობაში გვაქვს „დროებითვალდებულ“ გლეხთა მიერ მებატონისაგან საბოლოოდ თავის დასახსნელად (გამოსასყიდელად) გადასახდელი (ამ შემთხვევებში გადახდილი) თანხა.

მელიც აღებული იყო იმ მიწის გირავნობით, რომელზედაც „დროებით-ვალდებული“ გლეხობა ესახლა, ხოლო ეს „გამოსასყიდელი“ შესატანი ამ პერიოდში ქუთაისის და თბილისის გუბერნიიდან შემოვიდა 41.577 მან. რაოდენობით. ამგვარად, ეს თანხაც რომ გამოვაკლოთ ამ გუბერნიებიდან პრიკაზის ვალის დასაფარავად საერთოდ შეტანილ თანხას, აღმოჩნდება რომ ნამდვილად თვით მემამულეთაგან პრიკაზის წინაშე მათი ვალის დასაფარავად შეტანილა მხოლოდ 6½% იმისა, რაც უნდა შეტანილიყო.

მრავალგზის ვადაგადაცილებულ დაგირავებულ მამულს პრიკაზი საჯარო ვაჭრობით ყიდდა, მაგრამ ხშირად გაზვიადებული შეფასებითი ფასის გამო საჯარო ვაჭრობითაც ეს მამული არ იყიდებოდა. მაშინ დაგირავებული მამული გადაეცემოდა სასელმწიფო მამულების სამმართველოს უწყებაში და იქცეოდა სახაზინოდ. ხოლო სასელმწიფო მამულების სამმართველოს თავის მხრივ პრიკაზისათვის უნდა აენაზღაურებია მამულზე რიცხული ვალი; მაგრამ როგორაც გაზვიადებულად შეფასებული მამულის ნამდვილი ფასი ჩამორჩებოდა მის შეფასებით თანხას, ასევე მამულის შემოსავალი, რომელიც ამიერიდან მამულთან ერთად ხაზინის ხელში გადადიოდა, ვერ ფარავდა მასზე პრიკაზიდან რიცხული ვალის მორიგ შესატანს, რის გამოც ამ ვალის ნაწილი ხაზინის მიერ იფარებოდა—ჩვენი ქვეყნის საერთო შემოსავლიდან, ე. ი. გლეხობის ხარჯზე.

მეორეს მხრივ, მამულების ნამდვილ ფასზე ბევრად გადაჭარბებული შეფასება, ცალკე პირთა შორის ამა თუ იმ მამულისათვის დავაქრობა და პრეტენზიები, მიჯნების აბურდულობა და გაურკვევლობა და სხვ., ძალიან აბრკოლებდა ვადაგადაცილებული დაგირავებული მიწების დროულად ხაზინისათვის გადაცემას. ამასთანავე ხაზინის მიერ მამულის წაღების მოლოდინში მემამულე ყოველმხრივ ცდილობდა რაც შეიძლება მალე და მეტი ამოექაჩა „მისი“ მამულიდან, რაც იწვევდა სოფლის მეურნეობის დაცემას—შედეგად მემამულეთა მიერ მამულების მტაცებ-

ლური ექსპლოატაციისა. ყოველივე ამის გამო და მოვალეთა თხოვნის შეწყნარების სახითაც ნამესტნიკმა, ფელდცეხმეისტერმა მიხეილ რომანოვმა, 1876 წ. ბრძანება გასცა შეეჩერებიათ პრიკაზში დაგირავებულ და ვადაგადაცილებულ სოფლის. უძრავ ქონებათა ხაზინაში მიღება და მოვალეთათვის მიეცათ ნება ვადაგადაცილებული შესატანების შემდგომი განაწილვადებისა.

მაგრამ 1876 წლამდეც ხშირი იყო შემთხვევა, რომ ხაზინა ისედაც არ ღებულობდა თავის გამგებლობაში პრიკაზში დაგირავებულ მცირეშემოსავლიან მამულებს. მაგალითად, 1876 წ. 1 იანვრისათვის პრიკაზის განკარგულებისამებრ სახელმწიფო მამულების სამმართველოს უნდა ჩაებარებია, მაგრამ სინამდვილეში უკანასკნელს არ მიუღია 33 მამული; ამათ რიცხვში:

	მამულის რაოდენობა	გაცემული სესხი მანეთობით	1876 წ. მათზე რიცხული ვადაგადაცილებული შესატანი მანეთობით
თიანეთის მაზრიდან	1	2.200	1.343
თბილისის	2	2.700	1.528
გორის	7	24.488	25.488
თელავის	11	42.650	23.031
სიღნაღის	12	67.470	44.844
სულ	33	142.500	96.235

ამავე დროს ამ მამულების სახაზინოდ მიღების შესახებ პრიკაზის მიერ განკარგულება გაცემული იყო შემდეგ თარიღებში: 1861 წელს—3 მამულზე; 1862 წ. — 2, 1865 წ. — 1;1869 წ.—4; 1870 წ. — 11, ხოლო 1871 წ. — 12 მამულზე. მათი სახაზინოდ გადაცემის შესახებ განკარგულების გაცემის დროიდან ეს მამულები ჩაბარებული ჰქონდა ე. წ. სამეურვეო სამმართველოს, რომლის ხელში მამულთა შემოსავალი ისე უმნიშვნელო იყო, რომ არა თუ ვერ ფარავდა მათზე რიცხულ პრიკაზის ვალის სარგებელსაც კი, არამედ უმეტე-

სად მხოლოდ თვით მამულის გადაუდებელ მეურნეობრივ საჭიროებებს (შემოღობვა და სხვ.) უნდებოდა.

ასეთ პირობებში, გასაგებია, მემამულეთა დავალიანება სულ უფრო იზრდებოდა. პრიკაზი ვადის გადაცილებისათვის უწესივრო დებიტორებს (მოვალეებს) ჩვეულებრივად არიცხავდა %%, როგორც პირგასამტეხლოს. ეს თანხა პრიკაზის კაპიტალს ემატებოდა. და თუ რამდენად მასობრივი იყო ვადის გადაცილება ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 1879 წლის 1 იანვრისათვის სოფლის ადგილმამულის გირავნობით გაცემული სესხის დანიშნულ ვადებზე შეუტანლობისათვის დებიტორებზე, ე. ი. საქართველოს თავადაზნაურობაზე დარიცხული იყო პირგასამტეხლო ჯარიმა 305.000 მანეთის რაოდენობით. ამავე რიცხვისათვის მათზე ვადაგადაცილებული თანხა (ნარჩენი) ირიცხებოდა 1,44 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ყოველივე ეს დიდად აწუხებდა თავადაზნაურობის მეურვეს გრ. ორბელიანს: „... ნეტაი შენ, დიმიტრი, წერდა იგი დ. ორბელიანს, რომ ხარ მოშორებული და არ გესმის ყოვლის მხრით ამათი (თავადაზნაურთა) კვნესა სიღარიბისა გამო! მოვიდა ჩვენზე წარღვნა და არსადა ჩანს ახალი ნოეს კიდობანი, სადაცა შევაფაროთ თავი ჩვენი, არსადა ჩანს გამომხსნელი! ვითხოვეთ მილიონი სესხად ხაზინისაგან სამის პროცენტით, როგორაცა ისესხა პრიკაზმა; ეს იყო უკანასკნელი ჩვენი იმედი და ღონისძიება და მინისტრმა გვითხრა უარი... საუკუნოდ დაეცემა ჩვენი თავადაზნაურობა, ოდესმე ბრწყინვალე თავის ისტორიულის ცხოვრებითა, რომელისა სახელი პატივისცემით იხსენებოდა თვით ინდოეთშიაცა... განქრება ჩვენი სახსენებელი მიწისა პირით, მაგრამ მართებლობამ უნდა იცოდეს... აქ მხოლოდ ჩვენა ვართ და უნდა ვიყვნეთ ჩვენვე, თვით მართებლობისავე სასარგებლოდ... ჩვენთან ერთად იღუპება მთლად გლეხობაცა: კახეთის ვენახები ერთიანად დაგირავებულია სომხების ხელში, ისე რომ თავის დღეში ვერ გამოვლენ ვალიდამ...“[1].

[1] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, „ქართველი მწერლები“, 1941, თბ. I, 110—111.

როგორც ი. მეუნარგია გადმოგვცემს ანალოგიური ხასიათის წერილებს სწერდა გრ. ორბელიანი გრაფ მ. ტ. ლორის-მელიქოვს, თავად მირსკის, ვორონცოვ-დაშკოვს, დონდუკოვ-კორსაკოვს, რომელთაგან მოითხოვდა დახმარებას დავალიანებული თავადაზნაურობის მდგომარეობის შემსუბუქებისათვის. იგი იცავდა იმ აზრს, რომ მემამულეების ესოდენი დავალიანების მიზეზია მათი დღენიადაგ ომებსა და ლაშქრობებში ყოფნა, ის რომ, ისინი, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, თავგანწირვით იბრძოდნენ რუსეთის იმპერიის გაძლიერებისა და გაფართოებისათვის[1].

მდგომარეობა სულ უფრო დაძაბული ხდებოდა. შეღავათების მომლოდინე დავალიანებულ მემამულეებს პეტერბურგი პასუხს არ აძლევდა... 1877-1878 წელი. ომი თურქეთთან. რუსეთის ცარიზმს განსაკუთრებით ახლა სჭირია ქართველ მემამულეთა სამსახური. ამ სიტუაციით სარგებლობს საქართველოს თავადაზნაურობა და კვლავ ახალ უქვეშევრდომილეს არზას უგზავნის რა იმპერატორს, თხოულობს ვალების სრულ პატიებას. ამ შემთხვევაში „კრიჟანგ ფინანსთა მინისტრს“ არ შეეძლო ცოტაოდნივ დათმობებზე მაინც არ წასულიყო. იმპერატორმა ბრძანება გასცა, შეეჩერებიათ ამიერკავკასიის პრიკაზში დაგირავებული თბილისის და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა ვადაგადაცილებული მამულების გაყიდვა.

საინტერესოა გავეცნოთ, თუ რა მოტივებით ასაბუთებდა თავადაზნაურობა თავის პრეტენზიას, როდესაც პრიკაზის ვალების პატიებას თხოულობდა. ეი არზის ძირითადი შინაარსი:

„არა თუ არ გამართლდა მოლოდინი რკინიგზის გაყვანის და სხვა მოვლენათა მიერ საადგილმამულო საკუთრების ფასების აწევის შესახებ, არამედ პოლიტიკურ ვითარებათა ცვალებადობამ თავადაზნაურობა ჩააგდო ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, რომ მას არ ძალუძს ისარგებლოს იმ შე-

[1] ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1941, თბ. I, 112—113.

ღავათებითაც-კი, რომელსაც ამასწინად თხოულობდა... ხმებმა ომის შესახებ თავადაზნაურობაში აამოძრავა იგივე გრძნობები, რაც მას მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული წინაპართაგან და მამათაგან. დაივიწყეს რა ვალებისა და სხვა მეურნეობრივ ანგარიშიანობათა შესახებ, იმათ იწყეს მზადება მტრებთან შესახვედრად და როგორც კი დაიწყო ომი მრავალი მათგანი დაუყოვნებლივ გაეშურა ბრძოლის ველზე. მათგან ბევრმა იქ დასტოვა თავისი სიცოცხლე, ბევრი სახლში დაბრუნდა დასახიჩრებულ-გახეიბრებული, რომელთაც თავიანთი მეურნეობა დაუხვდათ იმდენად აწეწილ-დაწეწილი საერთოდ ცხოვრების სიძვირისაგან, ჭირის გამო პირუტყვის განადგურებისაგან, ხოლო კახეთში აჯანყებული მეზობელ მთიელთაგან, რომ ფრიად მრავალი წელიწადია საჭირო, რათა მათი მამულების მდგომარეობა გამოსწორდეს“.

„ასეთ მდგომარეობაში ყველაზე მძიმე ხვედრი ელის პრიკაზისადმი დავალიანებულ თავადაზნაურობას. მათ მიერ დაგირავებულ სოფლის მამულებს მოელის გაყიდვა: ან გამოცხადდებიან მყიდველები, რომლებიც ჩირის ფასად იყიდიან მათ, ანდა ვაჭრობა უშედეგოდ დამთავრდება და მამულები გადავლენ ხელში ხაზინისა, რომელიც ამით თავის ფულებს ვერ აინაზღაურებს, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება. ამ მამულების პატრონები საბოლოოდ გაღატაკდებიან და მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობა — აბორიგენთა შორის საუკეთესოთა წარმომადგენელნი — უნდა გადაიქცნენ პროლეტარებად“.

„ერთადერთი საშუალება, რომლის მეოხებითაც შეიძლება მათი ხსნა ასეთი ხვედრისაგან ეს ახლა იქნება თავადაზნაურობის სოფლის მამულთა გირავნობით უზრუნველყოფილი ვალების,—იმ თანხის რაოდენობით, რამდენიც თვით პრიკაზს მართებს სახელმწიფო ბანკისა, — გადატანა სახელმწიფო ბანკის ანგარიშში და აქედან კი მ თ ლ ი ა ნ ა დ ჩ ა მ ო წ ე რ ა ა მ თ ა ნ ხ ი ს ა“.

ქვემოთ, არზაში აღნიშნულია, რომ თუმცა „თავადაზნაურობას ასეთი მოწყალების უფლება არ დაუმსახურებია“,

მაგრამ იგი „ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა შედეგად ისტორიული ვითარებათა“, რომ იგი „სამოცდაათწელზე მეტი ხნის განმავლობაში იღწვოდა (იმპერატორისათვის) იმ მხნეობით, რაც მას უანდერძეს მისმა წინაპრებმა“, რომ ბოლოს, ამიერკავკასიის პრიკაზი „დაარსებულ იქნა იმისათვის, რათა წესიერი საადგილმამულო კრედიტი მიეწოდებია აქაური უმაღლესი წოდებისათვის“, რომელმაც ჯეროვანად ვერ ისარგებლა ამ კრედიტით და რომელსაც ყოველივე ამის გამო „მოელის საბოლოო და გამოუსწორებელი განადგურება“ უკეთუ იმპერატორი „არ დაიხსნის მათ აუცილებელი დაღუპვისაგან“.

1880 წლის თებერვალს კავკასიის ნამესტნიკმა მიხეილ რომანოვმა იმპერატორის წინაშე იშუამდგომლა, რათა ქართველ თავად-აზნაურთაგან საესებით ჩამოეწერათ პრიკაზის ვალები.

თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში იგი სხვათა შორის წერდა: „ხელისუფლებამ კიდევაც რომ გადასწყვეტოს გამოიყენოს უკიდურესი ღონისძიებანი, რათა აანაზღაურებინოს ქართველ მოვალე თავადაზნაურობას მათზე რიცხული პრიკაზის ვალები, მაინც საეჭვოა შესაძლებელი შეიქნეს სინამდვილეში ამ ვალის ერთ მეხუთედზე მეტის დაფარვა, რადგან ასე მნიშვნელოვანი რაოდენობის სასოფლო მამულების გაყიდვა სავსებით გააფასებს (ფასს დაუკარგავს) მათს უამისოდაც მცირე ქონებრივ ღირებულებიანობას და უმრავლესობას, ფრიად მოსალოდნელია, სავსებითაც არ აღმოუჩნდება მყიდველი, რისთვისაც ამ ღონისძიების შედეგი ფაქტიურად იგივე იქნებოდა, რაც ანგარიშებიდან ვალის მთელი ჯამების ჩამოწერა, მაგრამ მხოლოდ ისეთ პირობებში, რომ საბოლოოდ განადგურდებოდა ქართველ თავადაზნაურთა ოჯახების უმრავლესობა“ [1].

იმპერატორმა ეს საქმე გადასცა კავკასიის კომიტეტს (პეტერბურგში) განსახილველად. კავკასიის კომიტეტმა ვალების სრული პატიება შეუძლებლად მიიჩნია. მაგრამ სანამ

[1] სცსს., მია, ფ. 16, საქმე № 21712, ფურც. 26.

გასაწევი შეღავათები კონკრეტულ სახეს მიიღებდა საჭიროდ სცნო ამ ვალებისათვის პრიკაზის მიერ სარგებლის (%%) შემდგომი დარიცხვის შეჩერება. კავკასიის კომიტეტის დადგენილება 1880 წ. 23 აპრილს დაამტკიცა იმპერატორმა[1].

ამავე დადგენილებით კავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებას დაევალა შეეკრიბა დაწვრილებითი ცნობები ყოველი მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ცალ-ცალკე და შემდეგ ცენტრში აღეძრა შუამდგომლობა ისევ ცალ-ცალკე, ანდა გარკვეული კატეგორიის მოვალეთათვის ერთად, ამა თუ იმ ზომით, შეღავათების მინიჭებისათვის.

ნამესტნიკმა ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების მიზნით საქართველოში შექმნა მემამულეთა საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები, რომელთაც უნდა შეედგინათ პრიკაზში დაგირავებული ყოველი მამულის შემოსავლიანობისა და მისი პატრონის საერთო ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები. მაგრამ სულ მალე ნათელი შეიქნა, რომ საქმის ამ სახით გაკეთებას ნაცვლად მოცემული 3 წლისა დასჭირდებოდა 10 წელიწადზე მეტი, გარდა იმისა, რომ იგი მოითხოვდა მნიშვნელოვან ხარჯებსაც.

ამის შემდეგ, 1882 წლის აპრილში, კავკასიის მთავარმართებელმა გენ.-ადიუტ. თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვმა გენ.-ადიუტ. გრიგოლ ორბელიანს დაავალა წარედგინა მისთვის მოსაზრებები, თუ რა პირობებში იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი „მატერიალურად და მეურნეობრივად ყველაზე უფრო შევიწროებული თავადაზნაურობისათვის“ მათს მამულებზე რიცხული პრიკაზის ვალების დაფარვაში შემამსუბუქებელი შეღავათების მინიჭება.

გენ. დონდუკოვ-კორსაკოვს განზრახული ჰქონდა გრ. ორბელიანის ამ მოსაზრებათა საფუძველზე ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე საქართველოს ხსენებულ მემამულეთათვის კონკრეტული შეღავათების მიცემისათვის, რითაც, ცხადია, იგი უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საქმესაც აკე-

[1] АВПКБ СССР. ф. К. К., 1879—1884 г. г., д. № 274, л. л. 194—200

თებდა, რამდენადაც ამ თავადაზნაურობას უფრო მეტად შემოიმტკიცებდა 1881 წლიდან დაწყებული გაშმაგებული რეაქციის პარპაშის პირობებში.

გრ. ორბელიანმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელშიაც, გარდა ქართველ მემამულეთა, ჩააბა უკანასკნელთა მდგომარეობის მცოდნე სახელმწიფო მოხელეებიც. ამ კომისიაში მუდმივ წევრებად შედიოდნენ: მთავარმართებლობის საბჭოს წევრი ტ. ს. თავ. დიმიტრი ჯორჯაძე, სასამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე თავ. იასე ანდრონიკაშვილი, მთავარმართებლობის თანამშრომელი დ. ს. ს. ვასილ სარაჯიშვილი, თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა პრისუსტვიის წევრი-მდივანი დ. ს.ს. თავ. იასე ჭავჭავაძე, ამიერკავკასიის პრიკაზის მმართველის მ. ა. ს. ს. პეტრე ვესელოვზოროვი და ნადვ. სოვ. ალ. ალიმოვი. კომისიის სხდომებს ესწრებოდნენ აგრეთვე თავადაზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლნი და კიდევ მრავალი თავადი და აზნაური.

გრ. ორბელიანის კომისიამ საფუძვლიანი მუშაობის ჩატარების შემდეგ პრიკაზის წინაშე დავალიანებული მემამულეები მათი ქონებრივი მდგომარეობის (ე. ი. ვალის გადახდის უნარიანობის) მიხედვით დაყო 5 კატეგორიად: პირველში შევიდა დაგირავებული მამულები, რომელთა პატრონებს საერთო ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით შეეძლოთ გადაეხადათ ვალები ყოველგვარი შეღავათების გარეშე; მეორეში — მოვალეები, რომელთაც მთელი მათი ვალის და მისი ჩვეულებრივი სარგებლის დაფარვა ეკისრებოდა 37 წლის განმავლობაში; მესამეში—მოვალეები, რომელთაც ჩამოეწერებოდა მთელი ვალის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი 3% სარგებლის დარიცხვით უნდა დაეფარა 37 წლის განმავლობაში; მეოთხეში — მოვალეები, რომელთაც ჩამოეწერებოდა $^2/_3$ მთელი ვალისა, ხოლო $^1/_3$ უნდა გადაეხადა, იმავე პირობებში როგორც მესამე კატეგორიის მოვალეებს; მეხუთეში — ისეთი მოვალეები, რომელნიც სავსებით არაფსაიმედონი იყვნენ და ამიტომ სავსებით უნდა განთავისუფლებულიყვნენ დავალიანებისაგან,—მათი ვალების პირდაპირი ჩამოწერის გზით.

კომისიამ თანვე წარადგინა დაწვრილებითი სია, თუ სახელდობრ რომელი მოვალე რომელ კატეგორიაში ხვდებოდა, რამდენი იყო მისი დავალიანება, როგორი იყო მისი ქონებრივი მდგომარეობა და რაში უნდა გამოხატულიყო მისთვის მისანიჭებელი შეღავათი. ამასთანავე ერთად გრ. ორბელიანმა წარადგინა სათანადო კრებსითი ტაბულაც (იხ. გვ. 302).

ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვისადმი მიმართვაში გრ. ორბელიანი პირველის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ: „საქართველოს თავადაზნაურობის მატერიალური მდგომარეობა, — არის იგი სოფლად ადგილმამულის თუ ქალაქად შენობებისა და მიწის მფლობელი, — ერთრიგად გამოუვალი და უნუგეშოა, რის გამოც ქალაქის მიწების გირავნობით დავალიანებული თავადაზნაურობა „არ შეიძლება ჩამოცილებულ იქნას სოფლის მამულის გირავნობით სესხის ამღებთაგან, რამდენადაც მიზეზები, რამაც აიძულა როგორც ერთნი, ისე მეორენი დაეგირავებიათ ქონება, და თვით დამგირავებელნიც ერთი და იგივენი არიან“, ამიტომ სამართლიანი იქნებოდაო, რომ ის შეღავათები, რაც უნდა გავრცელდეს სოფლის მამულთა მ ო გ ი რ ა ვ ნ ე ე ბ-ზე გავრცელდეს აგრეთვე ქალაქის მიწების მოგირავნეებზედაც“ [1].

ამის შემდეგ ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი გრაფ. დ. ა ტ ო ლ ს ტ ო ი ს მეშვეობით შუამდგომლობს იმპერატორთან, რომ თუ არა გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს გეგმისამებრ შეღავათების მინიჭება, სხვარიგად „გ ა ნ ა დ გ ო ო რ დ ე ბ ა მ თ ე ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ ი წ ო დ ე ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც მ ტ კ ი ც ე დ ა ს ა ყ ო რ დ ე ნ ი ა კ ა ვ კ ა ს ი ა ში დ ი დ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ო“ [2].

1883 წ. 21 თებერვლის თარიღით ფინანსთა მინისტრი გენ.-ად. დონდუკოვ-კორსაკოვს ატყობინებს, რომ მან 15 იანვარს 1883 წ. იმპერატორს მოახსენა ქართველ. თავად-

[1] ЦАУГ, Департ. главн. упр. нам. канц., 1882—1883 г. г., дело № 2172, л. л. 46—49.

[2] იქვე. ფურც. 52—74.

დავალიანებათა კატეგორიები	სესხების რიცხვი	ადმინისტრაციულ ერთეულთა დასახელება														კატეგორიების მიხედვით ვალის საერთო ჯამიდან:			
		თბილისის მაზრისა		ღუშეთის მაზრისა		გორის მაზრისა		თელავის მაზრისა		სიღნაღის მაზრისა		ქუთაისის გუბერნიისა		მ ი		რჩება მოვალეებზე		ჩამოწერებათ	
		მან.	კან.	მან.	კან.	მან.	კან.	მან.	კან.	მან.	კან.	მან.	კან.	მან.	კან.	მან.	კან.	მან.	კან.
I																			
უშეღავათოდ	33	53.562	99	1.741	83	17.707	58	39.985	72	32.692	79	—	—	145.690	91	145.690	91	—	—
II																			
განაწილებადებით	33	40.978	81	14.071	42	15.098	18	22.281	8	13.389	16	63.951	20	169.164	93	169.164	93	—	—
III																			
½ ჩამოწერით	95	194.960	34	80.084	6	116.777	78	110.220	59	85.612	4	40.198	4	577.852	85	288.926	42	288.926	43
IV																			
⅔ ჩამოწერით	134	145.563	84	170.726	66	275.760	91	469.212	9	338.934	67	40.317	62	1440.520	70	480.173	59	960.347	20
V																			
მთელი დავალიანების ჩამოწერით	121	37.913	42	29.263	89	134.277	01	99.408	15	181.118	42	5.603	72	487.587	51	—	—	487.587	51
ს უ ლ	421	472384	40	245687	86	559617	49	741107	58	651747	08	150072	58	2820816	99	1083955	85	1736861	14

აზნაურთა ვალების შესახებ და გააცნო როგორც მისი, დონდუკოვ-კორსაკოვის, უქვეშევრდომილესი მოხსენება, ისე მასთანავე დართული კავკასიის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მდგომარეობის მიმოხილვაც.

ფრიად საინტერესოა დონდუკოვ-კორსაკოვის შუამდგომლობის ზოგიერთ პუნქტებზე თვით იმპერატორის მინაწერები, რომელსაც ფინანსთა მინისტრი ატყობინებს დონდუკოვ-კორსაკოვს:

1. დ ო ნ დ.-კ ო რ ს.: „აუცილებელია მიღებულ იქნას შესაბამისი ღონისძიება ქართველ თავადაზნაურობის დასახმარებლად, რადგანაც ამ თავადაზნაურობის მამულები დამძიმებულია რა ვალებით გადადის სომხების ხელში“.

ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი: „აუცილებელია“.

2. დ ო ნ დ.-კ ო რ ს.: ამ საქმეს უშველიდა მხოლოდ მთლიანი ჩამოწერა ვალებისა უიმედო მოვალე თავადაზნაურობისგან, რადგან მხოლოდ ამრიგად შეიძლება „აცილებულ იქნას აუცილებელი დაცემა ქართველი თავადაზნაურობისა და აღდგენილ იქნას მისი დაცემული კეთილმდგომარეობა“.

ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი: „მე მგონია, რომ ეს შეიძლება გაკეთდეს“[1].

შემდეგ, 18 თებერვალს, ფინანსთა მინისტრმა იმპერატორს მოახსენა კერძოდ გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს მიერ შედგენილი გეგმა ვალების ჩამოწერისა და შეღავათებისა. იმპერატორმა სურვილი გაანაცხადა ამ გეგმის ცხოვრებაში გატარებისა. პირველი კატეგორიის მოვალეებზე, რომელთა მიმართ არავითარი შეღავათი არ ვრცელდებოდა ირიცხებოდა მხოლოდ 146 ათასი მან.; მეორე კატეგორიის მოვალეებზე, რომელთაც შეღავათი მიეცათ ვალის 37 წლით განაწილვადებისა, ირიცხებოდა 169 ათასი მანეთი; მესამე კატეგორიის მოვალეებზე, რომელთაც ნახევარი ვალი ჩამოეწერათ ირიცხებოდა 578 ათასი მანეთი; მეოთხე კატეგორიის მევალეებს, რომელთაც ჩამოეწერათ ორი მესამედი ვალისა, ემართათ 1.441 ათასი მანეთი; ხოლო მეხუთე კატეგორიის, ე. ი. საესებით

[1] ЦАУГ, Департ. Главн. упр. нам. кавк., 1882—1883 г. г., Дѣло № 2172, л. л. 114—120.

შეუძლო თავადაზნაურობას, რომელსაც მთლიანად ეპატია ვალები, ემართა 488 ათასი მან.

ამგვარად, ხუთივე კატეგორიის მოვალეებზე რიცხული 2.821 ათასი მანეთიდან ჩამოეწერა 1.737 ათასი მანეთი, დარჩა გადასახდელი 1.084 ათასი მანეთი, ე. ი. საერთო თანხის ნახევარზე ნაკლები[1]. ეს ვალი თავადაზნაურობას, 1884 წლიდან დაწყებული, უნდა გადაეხადა 37 წლის განმავლობაში. ასე რომ დავალიანების მთლიანად დაფარვის ვადა 1884 წლიდან 1921 წლამდე გრძელდებოდა. ამიტომაც იყო რომ „პრიკაზის" როგორც მომქმედი დაწესებულების ხსენება ჩვენში თვით 1917 წლის რევოლუციამდეც არ შეწყვეტილა პუბლიცისტურ ლიტერატურაშიაც.

ასე ზრუნავდა თვითმპყრობელობა ქართველ თავადაზნაურობაზე, რომელიც მისი ბატონობის ერთგულ მოკავშირეს და დასაყრდენს წარმოადგენდა; ასე ზრუნავდა იგი მემამულეთა კეთილდღეობისათვის, მაშინ როდესაც უკიდურესად გაძვალტყავებულ გლეხს ორივე ერთად, — მემამულე და ცარიზმი,—მარჩენალ ხარს უყიდიდა, ქამარ-სატევარს ხდიდა, თოხსა და სახნისს, წალდსა და ქვაბს ამოთხრიდა ხოლმე საეკლესიო, საბატონო და სახელმწიფო ბეგარა-გადასახადების გადაუხდელობისათვის, უკანასკნელ კოდ ხორბალს წაართმევდა მევახშის ვალის დასაფარავად და 1—2 მანეთს სახელმწიფო გადასახადს არ აპატიებდა!

* * *

გრ. ორბელიანი, მისი კომისიის მუშაობის შედეგად დაგროვილ მასალათა საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამიერკავკასიის პრიკაზის ლიკვიდაცია მიზანშეუწონლად მიაჩნია. მისი მოსაზრება უმთავრესად გამოდის იმ გარემოებიდან, რომ: 1.1880 წლის მერმეც, ე. ი. მას შემდეგ რაც პრიკაზმა შესწყვიტა დაგირავებულ სოფლის მამულებზე სარგებლის დარიცხვა, პრიკაზი მაინც მომგებიანი დაწესებულებაა და თანაც დიდ დახმარებას უწევს მოსახლეობას, რომელსაც პრიკაზში შეტანილ უვადო ანაბრებზე აძლევს საანაბარო

[1] იხ. „დროება", 1884 წ. № 3.

ბილეთს, რომლის დაგირავება შეიძლება საიჯარო და სამიმწოდებლო ხელშეკრულებათა უზრუნველსაყოფად; 2. თბილისის მოსახლეობა დიდ სარგებლობას ხედავს პრიკაზიდან სახელდახელო ნივთების გირავნობით მიღებული კრედიტით, რასაც მოაკლდება პრიკაზის ლიკვიდაციის შემთხვევაში; 3. პრიკაზის ლიკვიდაციის შემდეგ დაუკმაყოფილებელი დარჩება თბილისში მდგარ შენობათა გირავნობით კრედიტზე არსებული მოთხოვნილება[1]. ეს სახლები „უმეტეს წილად აშენებულია პრიკაზის ფულებით“. ასე რომ ახლაც (1882 წ.) ქალაქის შენობებზე ირიცხება პრიკაზის 8 მილ. მანეთი და სხვ.

გარდა ამისა, როგორც თავადაზნაურობის განწყობილებათა გამომხატველი, გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი სკეპტიკურად უყურებდა თბილისში კერძო ბანკების განვითარებას. ეს ჩანს მისი შემდეგი დებულებიდან: „თბილისში ქალაქის საზოგადოებრივი ბანკის დაარსებისა და ქალაქის საკრედიტო საზოგადოების მოღვაწეობის განვითარების შემთხვევაში ამიერკავკასიის პრიკაზი, როგორც მთავრობის საკრედიტო დაწესებულება, რომლისათვისაც უცხოა ექსპლოატატორული მისწრაფებანი, მსახურებდეს იქნება ამ ბანკების ხალხისათვის სასარგებლო კონკურენტად და გააიაფებს კრედიტს, რომელსაც მიაწოდებენ ეს ბანკები“.

ფეოდალური მემამულეები ყოველმხრივ ცდილობენ დაიცვან პრიკაზი, როგორც სახელმწიფო კრედიტის დაწესებულება, როგორც ფეოდალურ-მემამულური კრედიტის დაწესებულება; ისინი მხოლოდ განვითარებულ ბურჟუაზიულ ბანკებში ხედავენ ექსპლოატატორულ მისწრაფებებს. ფეოდალური მემამულეები გრძნობენ (და, ამ დროს ნაწილობრივ უკვე განიცდიან კიდეეაც) იმ უფრო მეტად გამანადგურებელ გავლენას, რომელსაც ახორციელებს მათ მიმართ ნამდვილად კაპიტალისტური კრედიტი. სწორედ ამიტომაა რომ მათ ისევ

[1] თბილისის ქალაქის საზოგადოებრივი ბანკი ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი.

დრომოჭმული, ჯერ კიდევ ეკატერინე II დროს დაარსებული პრიკაზი ურჩევნიათ კაპიტალისტურ ბანკებს, რომლებიც ცხადია, მსგავსად პრიკაზისა, მათ არავითარ შეღავათებს არ მიანიჭებდა.

მაგრამ ამაოა დაცვა და მფარველობა ყოველივე დრომოჭმულისა. ამიერკავკასიის პრიკაზი დაარსებულ იქნა ჯერ კიდევ 1849 წელს—საქართველოს პრიკაზის საფუძველზე. 1849 წელს მას ჰქონდა 114.000 მან. საკუთარი კაპიტალი. ხოლო მისი წლიური ბალანსი გამოიხატებოდა 503.000 მანეთში. 33 წლის განმავლობაში (1883 წლამდე) მისმა საკუთარმა კაპიტალმა მიაღწია 1.234.000 მ. და გარდა ამისა პრიკაზმა თავის საქველმოქმედო დაწესებულებებზე დახარჯა 2.030.000 მან., რასაც უნდა მიემატოს კიდევ — რათა გავიგოთ მთელი მისი შემოსავალი ამ ხნის განმავლობაში—960.000 მან., რომელიც პრიკაზმა თავის თავის შენახვაზე დახარჯა. ამგვარად, 33 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის პრიკაზმა უმთავრესად საქართველოს მემამულეებისაგან, საბოლოო ანგარიშით კი გლეხობისაგან, გამოქაჩა 4.225.000 მანეთი და ისიც მხოლოდ 114.000 მან. თავდაპირველი კაპიტალის მეოხებით. 1880 წ. 23 აპრილის მერმეც, — ე. ი. მას შემდეგ რაც შეწყდა სარგებლის დარიცხვა სოფლის მამულების გირავნობით გაცემულ სესხზე,—პრიკაზის ყოველწლიური მოგება 675.000 მანეთს აღწევდა. აქედან იგი საქველმოქმედო საქმეებზე ხარჯავდა საშუალოდ მხოლოდ 165.000 მანეთს წლიურად.

ამგვარად, პრიკაზი ბოლომდე დარჩა მომგებიან საკრედიტო დაწესებულებად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1880-იანი წლებიდან მას არსებობის გაგრძელება დიდხანს მაინც არ შეეძლო. იგი უნდა მომკვდარიყო ბუნებრივი აუცილებლობით. მას ადგილი უნდა დაეთმო ახალი, უფრო ბურჟუაზიული კრედიტისათვის და ხელისუფლებასაც რომ არ მოეხდინა მისი ლიკვიდაცია, იგი მალე გახდებოდა იმ კრახის მსხვერპლი, რომლის აცილება არ შეეძლებოდა იმას მას შემდეგ, რაც ასე ფართო გაქანება ჰპოვა ჩვენში კაპიტალის-

ტურმა მეწარმეობამ საერთოდ და კრედიტმა კერძოდ, რომელიც მეტი თუ ნაკლები სიჩქარით ანგრევდა და ანადგურებდა ფეოდალურ ურთიერთობათა საფუძველზე დამყარებული მეურნეობრივი მოღვაწეობის ყველა სფეროს[1].

---

[1] ამიერკავკასიის პრიკაზის ისტორიის ძირითადი წყაროა საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს მთავარ საისტორიო არქივში დაცული ფონდი № 515: „Закавказский приказ общественного призрения" (1849—1884 гг.).

V

შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი

(სასოფლო ბანკები)

სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა (сельские ссудо-сберегательные товарищества), ანუ სასოფლო ბანკების ისტორია რუსეთის იმპერიაში იწყება რეფორმების შემდეგ — პირველსავე წლებიდან. პირველი ასეთი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა რუსეთ'ში დაარსდა 1865 წელს. შემდეგ, 1868 წელს, ამ საკითხის დამუშავება დაიწყო ნოვგოროდის ერობაში, ხოლო 1870 წელს კი — სოფლის მეურნეობის პეტერბურგის საზოგადოებაში. 1871 წელს სოფლის მეურნეობის მოსკოვის საზოგადოებასთან (МОСХ) დაარსებულ იქნა სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა დამხმარე კომიტეტი. 1872 წ. ამ კომიტეტთან გაიხსნა პეტერბურგის განყოფილება, რომლის ხელშიაც გადავიდა ხელმძღვანელობა „სახალხო კრედიტის" საქმეში. სოფლის მეურნეობის მოსკოვის საზოგადოების მიერ გამოყოფილმა საგანგებო კომისიამ შეიმუშავა სანიმუშო წესდება, რომელიც მალე მოიწონა ფინანსთა სამინისტრომ.

ამ სანიმუშო წესდების მიხედვით სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რათა „სოფლის მეურნეობისა და მესარეწეობის მიმდევარ პირთათვის მიეცა საბრუნავი თანხები". ყოველ წევრს ამხანაგობისა უნდა შეეტანა ერთი პაი, რომელიც არ უნდა აღმატებოდა 50 მანეთს; სასესხო კაპიტალის რაოდენობა ათჯერზე უფრო მეტად არ უნდა გადაჭარბებულიყო ძირითად კაპიტალს. შემდეგ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო სექტორის საგანგებო კანცელარიამ შეიმუშავა მეორე წესდება, რამაც მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებები შეიტანა წინანდელში.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დაწყებული მთელ იმპერიაში შეიმჩნეოდა გამრავლება შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა ქსელისა. ამხანაგობათა დაარსებაში ხშირად მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფო ბანკი და ერობები. იმავე ხანებში მოწვეულ იქნა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა რამდენიმე საგუბერნიო ყრილობა. თავდაპირველად ამ ახალ საქმეს დიდი წარმატება ემჩნეოდა; მას სათავეში ჩაუდგნენ იმპერიის ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწენი.

მაგრამ შემდეგ სწრაფი აღორძინების პირველი პერიოდისა, რომელიც მხოლოდ ერთ ათეულ წელს ძლივს გაგრძელდა, 80-იანი წლებიდან ერთბაშად დაიწყო ძლიერი მოდუნება. უკვე გახსნილი ამხანაგობანი იხურებიან, ისინი რომელთაც გახსნის ნებართვა მიიღეს ფუნქციონირების დაწყებას ვერ ახერხებენ, ისე ჰქრებიან. ეცემა საერთოდ წვრილი კრედიტი და ამხანაგობათა რიცხვი თანდათან კლებულობს.

90-იანი წლებიდან გასული საუკუნისა კვლავ იწყება ამ მხრივ გამოცოცხლების ახალი მოძრაობა, რომელსაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები მეთაურობენ. 1895 წელს ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა ახალი წესდება, რომლის მიღებაც ამხანაგობას სესხის აღების გარანტიას აძლევდა სახელმწიფო ბანკიდან. ამ ახალი წესდების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას: 1. გარდა საკრედიტო ოპერაციებისა შეეძლო ეწარმოებია შუამავლობითი ოპერაციებიც წევრთა მიერ აუცილებელი ნივთების ყიდვისა და საკუთარი შრომის პროდუქტის გაყიდვის დროს; 2. შეეძლო გაეცა სესხი უძრავ-მოძრავი ქონების გირავნობით; 3. ძირითად კაპიტალს წარმოადგენდა სახელმწიფო ბანკიდან მიღებული თანხები; 4. შეეძლო გაეცა გრძელვადიანი (1—5 წლამდე) სესხიც; 5. გარდა საბჭოსი და საერთო კრების ზედამხედველობისა დაწესებულ იქნა მთავრობის მეთვალყურეობაც, რათა ზუსტად ყოფილიყო დაცული კანონის და წესდების ნორმები ამხანაგობის ყოველგვარ ოპერაციაში.

1865 წლიდან ვიდრე 1905 წლის 1-ლ იანვრამდე ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ იქნა სულ 1903 წესდება სოფლის შემნახველი-გამსესხებელ ამხანაგობათა, რომელთაგან ზოგიერთს სავსებით არ დაუწყია მოქმედება. 1905 წლის 1-ლ იანვრისათვის მთელ იმპერიაში სულ ითვლებოდა 934 ამხანაგობა. ამ ამხანაგობათაგან 886-ის ოპერაციები, ათას მანეთობით, გამოიხატებოდა შემდეგნაირად: საპაიო კაპიტალი — 14.768; სათადარიგო კაპიტალი — 2.943; სესხები—5.271; ანაბრები — 37.982; გაცემული იყო ამხანაგობის წევრებზე სესხად—54.853 ათასი მანეთი[1].

ასეთია ძირითადი სამანები რუსეთის იმპერიაში სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა ანუ, როგორც მათ შემოკლებულად უწოდებდნენ, სასოფლო ბანკების წარმოშობისა და განვითარებისა.

* * *

საქართველოში სოფლის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის საკითხი პირველად წარმოიშვა 1871 წელს. ეს „სასოფლო ბანკი“,—როგორც იმდროინდელი ქართული პრესა მას შემოკლებულად უწოდებდა,—უნდა დაარსებულიყო დუშეთის მაზრაში.

საქართველოში ამ პირველი სასოფლო ბანკის დაარსების საკითხს გაზ. „დ რ ო ე ბ ა მ“ სპეციალური მოწინავე სტატია უძღვნა: „სასოფლო ბანკი დუშეთის მაზრაში“. როგორც ჩანს ამ სასოფლო ბანკის დაფუძნების საბაბად ინიციატორებს გაუხდიათ შემდეგი გარემოება: დუშეთის მაზრის გლეხობაზე ხელისუფლების მიერ გაწერილი ერთ-ერთი სახე ნატურალური ბეგარისა გამოიხატებოდა იმაში, რომ გლეხობას ქ. დუშეთში დაბანაკებული ჯარისათვის უნდა მიეწოდებია შეშა. სამხედრო უწყება შეშის ბეგარის გადამხდელთ აძლევდა მცირეოდენ ფულად ნაცვალგებასაც, მაგრამ ამ ფულის მი-

[1] П. Х. Спасский, „Исторический очерк развития кредитных учреждении в России“, 1911, СПБ., 340—50; Л. В. Ходский, „Поземельный кредит в России...“, 1922. Москва, гл. V; П. Печерин, „Исторический обзор правительственных, общественных и частных кредитных установлении в России“, 1907. СПБ. гл. VI.

ღებას წლობით აგვიანდებოდა. ასე რომ 1871 წლის აპრილში სამხედრო უწყებას ეს თანხა გადაუხდელი ჰქონია გლეხობისათვის 1868 წლიდან მოყოლებული, რაც შეადგენდა სულ 2058 მანეთს (ყოველწლიურად 686 მანეთის ანგარიშით)[1].

როგორც გაზეთი „დროება" იუწყება „მეკომურნი, რომელნიც ამ ბეგარას ჰსწევენ რიცხვით 4714 არიან"; ამასთანავე დუშეთის მაზრის უფროს ზ უ ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ს „დაუნახავს, რომ ზემოხსენებულის ფულის... განაწილება მეკომურობაზედ გლეხთათვის დიდი არაფერი იქნება, იმიტომ რომ თითო მეკომურს ათ შაურზე ცოტა მეტი შეხვდება; ამის გამო მოულაპარაკნია სოფლის მოხელე და სხვა პატივცემულ გლეხკაცებთანა და ურჩევია, რომ ეგ ორასხუთი თუმანი და რვა მანეთი გადადონ სოფლის საგლეხო ბანკისათვის. გლეხთა დიდის სიხარულით მიუღიათ თურმე ეს სამაგალითო რჩევა და დაჰპირებიან, რომ მაგ ფულის ბანკისათვის გადადებაზედ ყოვლის სოფლის საზოგადოებისაგან გადაწყვეტილებას შეადგენენ და წარმოუდგენენ"[2].

„დ რ ო ე ბ ა" იუწყება, რომ ამის მერმე ზ უ ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ს სათანადო მოხსენება წარუდგენია თბილისის გუბერნატორისათვის და უკანასკნელისაგანაც თანხმობა მიუღია. დასასრულ, უკვე შესდგომიან შესაფერი წესდების შედგენასაც. ბოლოს გაზეთი აღნიშნავს, რომ „დუშეთის მაზრის მიროვოი პოსრედნიკს (მომრიგებელ შუამავალს) ამ სასარგებლო საქმისათვის" ცოტაოდნავ ხელი შეუშლია: „დროებით-ვალდებულ გლეხთა საზოგადოებაზედ მაგ ბანკსა ნუ განავრცობთო, რადგან მე თვითონ ვაპირობო მაგისთანაზედ ჩემი წინადადებანი წარუდგინო თბილისის გუბერნატორსო"[3].

ეს იყო, ასე ვთქვათ, პირველი და საკმაოდ ძლიერი შერხევა საზოგადოებრივი აზრისა ჩვენში სასოფლო შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა დაარსების შესახებ, თუმცა მას ეფექტიანი შედეგი არ მოყოლია. არ ვიცით რა იყო მი-

[1] „სასოფლო ბანკი დუშეთის მაზრაში", იხ. გაზ. „დ რ ო ე ბ ა", 1871, № 16. იხ. აგრეთვე გაზ. „დროება", 1872 წ. № 1.

[2] იქვე.

[3] იქვე; იხ. აგრეთვე გაზ. „დროება", 1872 წ. № 1.

ზეზი რამაც გამოიწვია ამ წამოწყების—რომელსაც თითქოს საიმედო საფუძველი ჰქონდა—ჩაფუშვა, მაგრამ არ გასულა წელიწადნახევარიც, რომ ისევ დუშეთის მაზრაში კვლავ წამოიჭრა საკითხი სასოფლო ბანკის დაარსების შესახებ.

დუშეთის მაზრის მომრიგებელი შუამავალი ზ ა ქ ა რ ი ა ე რ ი ს თ ა ვ ი, — რომელსაც 1871 წლის აპრილს „დროების“ მოწინავე ბრალს სდებდა დუშეთში სასოფლო ბანკის დაარსებისათვის ხელის შეშლაში, — თავზე იღებს ინიციატივას პირველად დუშეთის მაზრაში და, მაშასადამე, საქართველოშიაც, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დაარსებისა. ეს იყო სოფელ ოძისის შემნახველ-გამსესხებელი (სასესხო-შემნახველი) სალაროა[1].

ზ ა ქ ა რ ი ა ე რ ი ს თ ა ვ მ ა თვითონვე შეადგინა წესდება ო ძ ი ს ი ს ს ა ს ო ფ ლ ო ბ ა ნ კ ი ს ა, რომლის ძირითადი კაპიტალი მან განსაზღვრა 500 მანეთით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს 500 მანეთიც თვითონ ზ. ე რ ი ს თ ა ვ მ ა ასესხა ამ სალაროს[2]. შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას ზ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს უნდა ეხადა ყოველწლივ 6% ხსენებული 500 მანეთიდან, როგორც სარგებელი. ხოლო მას შემდეგ რაც სოფელი (ამხანაგობა) ზ. ე რ ი ს თ ა ვ ს გადაუხდიდა თავნსაც (500 მან.) ზ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს ყოველგვარ მონაწილეობას ამხანაგობაში ბოლო ეღებოდა.

თვით ზ. ე რ ი ს თ ა ვ მ ა, ოძისის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას, მსგავსად რუსეთში მომქმედ შესაბამის წამოწყებათა, მიზნად დაუსახა: 1. წვრილი გლეხობისათვის (მიწის მუშისათვის) წვრილი კრედიტის მიწოდება; ამასთანავე ეს კრედიტი გარანტირებული უნდა ყოფილიყო მოვალის პირადი შრომით; 2. შემნახველ-გამსესხებელ სალაროს გლეხობა

---

[1] არა სასოფლო ტიპის შემნახველ-გამსესხებელი სალარო ამიერკავკასიაში პირველად დაარსებულ იქნა ჯერ კიდევ 1868 წელს. ეს იყო თბილისის პირველი გიმნაზიის სასესხო-შემნახველი სალარო; მის კაპიტალს შეადგენდა 1700 მანეთი; იხ. „В память пятидесятилетия первой Тифлисской гимназии (1830—1880)“, 1881. Тифлис, стр. 159.

[2] იხ. გაზ. „Кавказ“, 1872 г. № 131.

უნდა მიეჩვია მეურნეობრივი თაოსნობისათვის და მომჭირნეობისათვის—შესაბამისი გამოცდილების გავრცელებით [1].

ამგვარად მახლობელ, ამხანაგობაში შემავალ, გლეხებს შეეძლებოდათ ოძისის შემნახველ-გამსესხებელ სალაროში შეეტანათ შესანახად, ანაბრების სახით, თავიანთ მცირეოდენი მონაგარი, რისთვისაც ისინი ღებულობდნენ გარკვეულ სარგებელს. გარდა ამისა მათ შესაძლებლობა ჰქონდათ სალაროდან მიეღოთ სესხი ბევრად უფრო ნაკლები სარგებლის გადახდით, ვინემ მევახშისათვის უნდა ეძლიათ.

წესდების თანახმად ამხანაგობის ყოველ წევრს საბრუნავი თანხის შესადგენად შეჰქონდა 1 მანეთიდან 50 მანეთამდე, — როგორც საპაიო შესატანი. წევრთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 15 კაცისა; ყოველ წევრს უნდა შეეტანა აგრეთვე, გარდა პაისა, სათადარიგო კაპიტალის შესადგენად, არა ნაკლებ 10% მისი პაის ჯამიდან და არა უმეტეს 5 მანეთისა. ამხანაგობის წევრ ერთ პირზე გასაცემი სესხის მაქსიმუმი განსაზღვრული იყო 300 მანეთით. ყოველ წევრს, ყოველგვარი გარანტიის გარეშე, შეეძლო მიეღო სესხად 150% თავისი საპაიო თანხისა, ე. ი. იმას ვისაც საპაიო შესატანი ჰქონდა 50 მანეთი, შეეძლო გაეტანა 75 მანეთი. ამაზე მეტი თანხის სესხად გაცემა შეიძლებოდა მხოლოდ ამხანაგობის 2—3 წევრისაგან მიღებული წერილობითი გარანტიის შემდეგ. ამასთანავე ამხანაგობის წევრს შეეძლო სხვისი გარანტობა ეკისრა მხოლოდ თავისი პაის ფარგლებში, ე. ი. თანხაზე, რომელიც არ აღემატება 'გარანტის (თავდების) საპაიო შენატანს.

ოძისის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წესდება წარდგენილ იქნა დასამტკიცებლად 1872 წელს. თითქმის წელიწადნახევარი მოუნდა თვითმპყრობელობის ბიუროკრატულ მექანიზმში წესდების დასამტკიცებლად საჭირო მანიპულაციების გავლას. ბოლოს დამტკიცებულ იქნა წესდებაც, რომელსაც ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით.

[1] В. Дукельский, „Сельския ссудо-сберегательныя товарищества", 1872 г., 31.

ოძისის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დაარსებას ფართოდ გამოეხმაურა ადგილობრივი (თბილისის) როგორც ქართული, ისე რუსული პრესა[1]. განსაკუთრებით გულთბილად მიესალმა მას ქართული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „გუთნის დედა“. გაზეთს მოყავს რა „ოძისის ბანკის“ დაფუძნების ზოგადი ცნობები, აღფრთოვანებული გაიძახის: „ამგვარი დაწყობილობანი არიან დღეს იმედი მომავლისათვის და ჩვენი ღონეათასის ჩარჩებისა და ქვეყნის გამტყავებლების ხელიდამ დახსნისაო“[2]. მაგრამ წერილის ავტორი არ ივიწყებს „ოძისის ვასხებითი ამხანაგობის“ წესდების კრიტიკულ განხილვასაც. მას ამ „ბანკისათვის“ ძირითად თანხად 500 მანეთის ქონების პირობებში 300 მანეთის გასაცემი სესხის მაქსიმუმად დაწესება შეუსაბამოდ მიაჩნია. პირველი მეტად ცოტაა, მეორე მეტად დიდია, წერს იგი და მოითხოვს, რომ გასაცემი სესხის მაქსიმუმი შემცირდეს ექვს თუმნამდე; წინააღმდეგში, ზოგიერთი შეძლებული პირი, ანუ რამოდენიმე პირი, გაატანს სალაროდან მთელ თანხას, ხოლო წევრთა დიდი უმრავლესობა პირმშრალი დარჩებაო, — საესებით სამართლიანად შენიშნავს ჩვენი ავტორი[3].

მაგრამ სანამ კერძოდ ოძისის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წესდებისა და მოღვაწეობის განხილვას შევუდგებოდეთ უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ოძისის ამხანაგობისა 70-იანი წლებიდან დაწყებული თბილისის გუბერნიაში, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ სხვა მაზრებსა და თემებში იწყეს წარმოშობა სასოფლო ბანკებმა, რომელთა დაარსების ისტორია მეტნაკლები ვარიაციით თითქმის ერთნაირია და ამიტომ მის თხრობას ჩვენ აქ არ შეკვუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ იმავე 1874 წელს როდესაც ფუნქციონირება

[1] იხ. გაზ. „Тифлисский Вестник“, 1873 г. № 24; „Кавказ“, 1873 г. №№ 3, 4, 12, 277; „დროება“, 1873 წ. № 18, 26; „გუთნის დედა“, 1873 წ. № 2.

[2] „რამოდენიმე სიტყვა ოძისის ვასხებითის ამხანაგობაზედ“, იხ. გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ. № 2.

[3] გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ. № 2 გვ. 4—5.

დაიწყო ოძისის სასოფლო ბანკმა, — და იგი ამ მხრივ იყო პირველი მერცხალი მთელს ამიერკავკასიაში — დაარსებულ იქნა აგრეთვე თიანეთის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, შემდეგ 1876 წელს დაარსებულ იქნა ასეთივე ამხანაგობანი ოორში, ყვარელში, ბორჯომსა და ა. შ.

როგორც უკვე ნათქვამი იყო შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა წარმოშობა-განვითარება შიგა რუსეთის გუბერნიებში მნიშვნელოვან ხასიათს ღებულობს რეფორმების მერმინდელ პირველსავე ათეულ წლებში. საქართველოსა და ამიერკავკასიაში-კი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი მხოლოდ 70-იანი წლებიდან ჩნდებიან და ამ დროიდანაც დაწყებული მათი საქმიანობისა და საერთოდ მნიშვნელობის განვითარება ჩვენში დიდად ჩამორჩებოდა შიგა რუსეთის გუბერნიებისას. მართალია, 70-იანი წლებიდანვე ჩვენში მრავლად გაჩნდა ინიციატორები, საკმაო ინტენსივობით იწერებოდა ამის შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიაც სათანადო სტატიები, მაგრამ, ჩვენი ქვეყნის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური და რაც მთავარია პოლიტიკური მდგომარეობა ნაკლებ გასაქანს ქმნიდა ამ სახის თაოსნობისათვის. ჩვენ შესაძლებლობა გვექნება, თავის დროზე, საკითხის შესახებ სპეციალურ ნარკვევში, წარვუდგინოთ დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას ამ მოსაზრებათა დამადასტურებელი საბუთები.

ახლა კი გადავავლოთ თვალი ჩვენში შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოებათა მდგომარეობას მათი წარმოშობის პირველ წლებში. სამწუხაროდ, ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების განვითარების, ისე კერძოდ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა ისტორიის სრული სურათის წარმოდგენისათვის საჭირო მასალები, სახელდობრ სტატისტიკა, და ძირითადი კი ეს არის მსგავსი პრობლემისათვის, არ მოგვეპოვება. ამის გამო მხოლოდ ზოგად და დაახლოებით წარმოდგენათა შემუშავება ძალგვიძს.

თბილისის გუბერნიაში, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოში 1870-იან წლებში წარმოშობილ შემნახველ-გამსესხებელ

ამხანაგობათა ვითარების შესახებ ერთგვარ სურათს გვიხატავს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, სადაც მოცემულია ამასთანავე ამ ამხანაგობათა საერთო მდგომარეობა 1879 წელს:

№№ რიგზე	ამხანაგობათა დასახელება	გახსნის თარიღი	წევრთა რიცხვი	შენატანი ნეთობით.	სესხები მან.	წმინდა მოგება მან.
1.	ს. ოძისისა	1874	—	—	—	—
2.	თიანეთისა	1874	317	3643	5731	319
3.	საბუე-ენისელისა	1876	152	2498	7174	554
4.	იორისა	1876	400	2842	7866	848
5.	ბორჯომისა	1876	75	840	2545	196
6.	ყვარელისა	1876	169	1147	4173	156
7.	ნაფარეულისა	1877	—	—	—	—
8.	რუისისა	1877	289	3232	6981	349
9.	კარდანახისა	1879	69	1735	5286	387

ზემოთ ჩამოთვლილ ამხანაგობათაგან ყველაზე ძლიერი, 70-იანი წლების ბოლოს, როგორც ეს ცხრილიდანაც ნათლად ჩანს, იყო საგარეჯოს (იორის) ამხანაგობა, დაარსებული 1876 წ. 25 აპრილს. ამ ამხანაგობას 1879 წელს ჰყავდა 400 წევრი, რომელთა შორის გასესხებული ჰქონდა 7866 მანეთი. რაც შეეხება, მაგალითად, ოძისის ამხანაგობას, რომელიც „პირველი მერცხალი“ იყო თავის დარგში მთელ კავკასიაში და რომლის ინიციატორებმა ამხანაგობის წესდება დასამტკიცებლად წარადგინეს ჯერ კიდევ 1872 წელს[1] — ამ დროისთვის (1879 წ.), გვგონია, უკვე ლიკვიდაციაქმნილი უნდა ყოფილიყო,—უსახსრობისა გამო.

[1] გაზ. „Кавказ“, 1872 г., № 131.

თბილისის გუბერნიის სოფლებში შემნახველ-გამსესხებელ სალაროთა ანუ ამხანაგობათა გავრცელებისა და დახმარებისათვის 1877 წელს ქ. თბილისში დაარსებული იყო სათანადო კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობდა დ ი მ ი ტ რ ი დ ა ვ ი თ ი ს ძ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ე. აღნიშნული კომიტეტის შემდგენლობაში შედიოდნენ წვრილი კრედიტის თვალსაჩინო მოღვაწენი, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ კერძოდ ბ. გ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე, რომელმაც საერთოდ დიდი როლი ითამაშა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა პოპულარიზაციის საქმეში. აღსანიშნავია, რომ კომიტეტი სულ მთლიანად თავადაზნაურობისაგან შედგებოდა, მის საპატიო თავმჯდომარედ კი თბილისის გუბერნატორი იყო მოწვეული. ალბათ იმ მიზნით, რომ აქ იმთავითვე უზრუნველეყოთ „ნორმალური და კანონიერი საწყისების“ განვითარება, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა მოღვაწეობისადმი მეთვალყურე კომიტეტის როლი თვითონ სათავადაზნაურო ბანკმა იკისრა— „დიდის სულგრძელობით“. კომიტეტი თავისი მოღვაწეობის ასპარეზს საზღვრავდა მხოლოდ თბილისის გუბერნიით.

სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა თბილისის კომიტეტის შუამდგომლობით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკმა ზოგიერთ ამხანაგობას, ძირითადი კაპიტალის შესაქმნელად, 1881 წლამდე, სესხად მისცა სულ 6.000 მანეთი; კომიტეტი ამარაგებდა სოფლის შემნახველ-გამსესხებელ სალაროებს ანგარიშწარმოებისათვის საჭირო დავთრებითა და ბლანკებით[1].

მაგრამ კომიტეტის მუშაობა საერთოდ არ იყო დამაკმაყოფილებელი; იგი წარმოსდგა „სახალხო საქმით“ გატაცებულთა მიერ ერთგვარი კამპანიის ჩატარების სახით და მერმე, მალე, თითქმის მივიწყებას მიეცა. 1887 წ. სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა მესვეურები გაზეთში პუბლიკაციით დაეძებდნენ თუ სადმე არსებობს ასეთი კომიტეტი, მაგრამ მისგან გამოხმაურებას ამაოდ ელოდნენ.

---

[1] Газ. „Кавказъ“, 1882 г., № 245, 246.

3. თარხან-მოურავი გაზ. „ივერიაში“ სტატიას ბეჭდავს თბილისში არსებულ „შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა კომიტეტის“ შესახებ, რომელსაც „თავისი წესდებულებით ვალად სძევს დააჯეროს ხალხი, რომ „ამხანაგობა“ სასარგებლოა და ანგარიშებიც დაბეჭდოს. ნუთუ კომიტეტმა მიიძინა ან სულ გულიდან ამოიყარა „ამხანაგობანი“. ცუდი არ იქნება, რომ კომიტეტმა ხმა ამოიღოს. ხშირად იძულებულნი ვართ, რომ საქმეში რჩევა და დარიგება პეტერბურგის კომიტეტსა ვკითხოთ, საიდანაც თვენახევარზე ძლივს მივიღებთ ხოლმე პასუხსა; რომ გვინდოდეს კიდეც თბილისის კომიტეტს მივმართოთ სწორედ არც კი ვიცით, კიდევ არსებობს თუ გაუქმდა, და თუ არ გაუქმებულა იქნება თქვენის გაზეთის წყალობით შევიტყოთ და კვლავ ჩვენი საქმეები პეტერბურგის კომიტეტის მაგიერ, ისევ მანდ შევატყობინოთ ხოლმეო“ [1].

შემნახველ-გამსესხებელი სალაროები (ამხანაგობანი) 1870-იან წლებში გაჩნდა, ცხადია, ქუთაისის გუბერნიაშიც. აქ სოფლის წვრილი კრედიტის პოპულარიზაციის მხრივ ცნობილია მოღვაწეობა სახალხო მასწავლებლის ნ. ტ. წერეთლისა; მალე დას. საქართველოში გადაიტანა ამ მხრივ თავისი საქმიანობა ბ. ლოლობერიძემაც.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს თუ რამდენი ასეთი ამხანაგობის დაარსების ნებართვა იქნა გაცემული 1874—1885 წლებში, ცალ-ცალკე თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში.

ადმინისტრ. ერთეული	1874—75 წ.	1876—77 წ.	1878—79 წ.	1880—81 წ.	1882—83 წ.	1884—85 წ.	სულ
თბილისის გუბ.	4	8	1	3	1	—	17
ქუთაისის „	—	5	1	8	4	2	20
საქართველოში	4	13	2	11	5	2	37

[1] ვ. ლ. თარხან-მოურავი, „წერილი რედაქციის მიმართ“, გაზ. „ივერია“, 1887, წ., № 14.

ნებართვის გაცემა, ცხადია, კიდევ არ ნიშნავდა სოფლად შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დაარსებას; იყო შემთხვევები, როდესაც დიდის დაგვიანებით მიიღებდნენ ხოლმე ნებართვას, მაგრამ ამასობაში ინიციატორებს „გული უცივდებოდათ ესოდენ გაჭიანურებულ საქმეზე“ და ნებართვის მოსვლის დროისათვის მათი თაოსნიანი გატაცება უკვე გამქრალი იყო. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ამხანაგობა დიდხანს ვერ ძლებდა. ასე, მაგალითად, 1881 წლის ბოლოსათვის სულ გაცემული იყო ნებართვა 30 ამხანაგობის დაარსებაზე, ხოლო 1881 წლის ბოლოს მოქმედთა შორის სულ ითვლებოდა: თბილისის გუბერნიაში — 12 (ნებართვა მიიღო 16-მა), ხოლო ქუთაისის გუბერნიაში—6 (ნებართვა მიიღო 14-მა წამოწყებამ). ამიერკავკასიის დანარჩენ გუბერნიებში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა ჯერ კიდევ არ წარმოქმნილიყო.

ამავე დროს სოფლის წვრილი კრედიტით მომარაგების საქმეს დიდ პერსპექტივებს უსახავდნენ ადგილობრივი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია და თვით ცარიზმის ბიუროკრატიის „განათლებული მოღვაწენიც“. მათი აზრით ბატონყმობის გაუქმების დღიდანვე სოფელი განუხრელი აღმავლობის გზით უნდა წასულიყო.

მიწების გამოსყიდვისაკენ გლეხთა მასობრივ მისწრაფებას, რასაც ემთხვეოდა რკინიგზების გაყვანა, სახნავ-სათესი ფართობის ზრდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სულ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილის საქონლად გადაქცევა, ნატურალურ ბეგარა-გადასახადთა კომუტაცია და სხვ. უნდა გამოეწვია ნატურალურ მეურნეობრივ ურთიერთობათა რღვევის დაჩქარება, განვითარება შინაგანი და საგარეო ვაჭრობისა, მრეწველობისა და, ამასთანავე, ვაჭრობა-მრეწველობის ცენტრებში, დაქირავებულ მუშახელზე დიდი მოთხოვნილების გაჩენა. ყოველივე ამას არ შეეძლო არ გაეღრმავებია სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობაში, არ მოეხდინა ერთგვარი რევოლუცია მიწათმოქმედებაში, სადაც ახალი დარგების წარმოქმნისა თუ ძველთა განვითარების აუცილებლობას ასევე აუცი-

ლებლად უნდა წარმოეშვა ინტენსიური მოთხოვნილება კრედიტზე. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა კი გლეხობის მოჭირნახულეთა მოღვაწეობის საპატიო ამოცანათაგანი უნდა ყოფილიყო.

ასე ჰქონდა წარმოდგენილი არსებული ვითარება და საკუთრად თავისი მიხიაც ზემოხსენებულ ძალებს, რომელთაც ხელმძღვანელი როლი უნდა ეთამაშათ სოფლად წვრილი კრედიტის განვითარების საქმეში.

შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა მოღვაწეობის დასახასიათებლად საჭიროა გავეცნოთ ზოგიერთ მონაცემებს მათი ოპერაციების შესახებ. 1889 წელს საშუალოდ ერთ ამხანაგობაზე მოდიოდა (საშუალო გამოყვანილია თბილისის გუბერნიის 5 და ქუთაისის გუბერნიის 7 ამხანაგობის მაჩვენებელთაგან):

ადმინისტრაც. ერთეულის დასახელება	წევრთა რიცხვობა	პაი ათას მანეთობით.	საშალოდ ერთ კაპიტალი მანეთობით	ანბარები მანეთობით	ბალანსი სულ მანეთობით	ბრუნვა ათას მანეთობით	მოგება მანეთობით	ალბალანსი სულ მანეთობით
თბილისის გუბ.	120	2,9	478	900	5,0	14,8	345	560
ქუთაისის „	145	4,5	573	1,207	7,4	32,0	631	746

ე. კანჩერი, რომლის მიხედვითაც ეს ცნობები მოგვყავს, იმ გარემოებას, რომ 1880-იანი წლების ბოლოსათვის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა მოღვაწეობა უფრო ფართოდ გაიშალა ქუთაისის გუბერნიაში, იმით ხსნის, რომ აქ „მოსახლეობა უფრო შეძლებულია... ბუნებრივი პირობები უკეთესია“, ამასთანავე იმითაც, რომ იგი „უფრო კულტურულია, უფრო მეტია აქ ინტელიგენტური ძალები, რომელთაც თავიანთ საქმიანობად გაიხადეს კოოპერატივებში მოღვაწეობა...“ [1].

[1] „Вестник кооперации“, СПБ, 1912 г., кн. II, 101.

ამავე მიზეზებით უნდა აიხსნას მისი აზრით ისიც, რომ 1900 წლისათვის თბილისის გუბერნიაში მოქმედებდა სულ მხოლოდ 3 ამხანაგობა (მაშინ, როდესაც ამ დროისათვის უკვე გაცემული იყო 18 ამხანაგობის დაარსების ნებართვა), ხოლო ქუთაისის გუბერნიაში კი — 17 (გაცემული იყო 33 ამხანაგობის დაარსების ნებართვა). ამასთანავე 1880-იანი წლებიდან მოყოლებული ამხანაგობათა ოპერაციები (ბრუნვა) უფრო და უფრო ფართოვდებოდა ქუთაისის გუბერნიაში (1882 წ. — 13 ათასი მან; 1889 წ. — 32 ათასი მან.), ხოლო შესამჩნევად კლებულობდა თბილისის გუბერნიაში (1882 წ.— 15 ათასი მან., 1889 წ. — 14 ათასი მან.). 1905 წლისათვის თბილისის გუბერნიაში დარჩა მხოლოდ 1 ამხანაგობა (სულ გაცემული იყო 18 ამხანაგობის დაარსების ნებართვა), ხოლო ქუთაისის გუბერნიაში კი მოქმედებდა — 25 (სულ გაცემული იყო ამ დროისათვის 54 ამხანაგობის დაარსების ნებართვა).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თბილისის გუბერნიაში შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა შორის კავშირი არ არსებობდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში მათ შესძლეს ურთიერთშორის ერთგვარი კავშირის გაბმა. საერთოდ კი ამხანაგობათა „ნორმალურ მუშაობას“ დიდად აფერხებდა სათანადო კადრების უყოლობა, საქმის წარმოებაში გამოუცდელობა.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ რაჭის მაზრა. აქ პირველი, ს. ხვანჭკარის, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა დაარსდა 1876 წ.. ამ ამხანაგობის საქმეები პირველ წლებში წარმატებით მიდიოდა[1]. ამ გარემოებამ სხვა სოფლის გლეხობაშიაც „აღძრა სურვილი ამგვარი ამხანაგობის დაარსებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ საზოგადოებაში არ მოიპოვება კაცი, რომელმაც იკისროს ამხანაგობის საქმეების მართვა. მაგალითებრ, სხვავისა და ბარის სოფლის საზოგადოებანი დიდი ხანია მეცადინეობენ, რომ იპოვონ კაცი, მაგრამ ვერ უპოვნიათ“. ონშიც კი, სადაც იმხანად უკვე მიღებული ჰქონიათ „სასოფლო ბანკის“ გახსნის ნებართვა,

[1] გაზ. „დროება“, 1877 წ. № 23.

სათანადო კაცი ვერ უპოვნიათ „და ღმერთმა იცის მონახავენ ხეირიან კაცს თუ არაო“—დასძენდა კორესპონდენტი[1]. ონის ამხანაგობამ, მართალია, დაიწყო მოქმედება, მაგრამ, ალბათ, საქმის მცოდნე და ერთგული ხელმძღვანელის უყოლობის გამო, მხოლოდ ერთი წელიწადი იარსება.

შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა უფრო ფართო და შემდგომი განვითარების საქმეს, როგორც ვხედავთ, არ დახვდა ჩვენში სათანადო ნიადაგი. 1880-იანი წლების მიწურულისათვის როგორც ზემოთჩამოთვლილი, ისე შემდეგ დაარსებული ამხანაგობანი თანდათან მიიღივნენ; — როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი რუსეთშიაც, — ასე რომ 1888 წ. მ. ნ. კუჩაევს შეეძლო უკვე ეთქვა, რომ ისინი „ამჟამად არ ააშკარავებენ სიცოცხლის არავითარ ნიშნებსო“[2].

ცოტა უფრო ადრე, სახელდობრ 1887 წელს ვ. ლ. თარხან-მოურავი გაზ. „ივერიაში“ წერდა: „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობანი... დაარსდნენ თითქმის ჩვენის ქვეყნის ყოველ მხარეში და ეხლა კი, სამწუხაროდ, მხოლოდ სამი ან ოთხი მოქმედებს და ისინიც ვაი-ვაგლახობითაო“.

ვ. ლ. თარხან-მოურავის აზრით უპირველესი მიზეზი ამხანაგობათა გაუქმებისა ის არის, რომ „1. ნასესხი ფული დროზე არ შემოჰქონდათ და 2. ერთის ხელში ტრიალებდა ამხანაგობის ფული“. მაგრამ მოვუსმინოთ კიდევ ქვემოთ: „ისიც უნდა ვთქვათ, რომ გლეხიკაცი ძნელად გადასული ვალის გადახდის ვადას და რაც შეეხება თავადაზნაურობას, სჯობს გავჩუმდეთ-ო“ (კურსივი ყველგან ჩვენია—პ. გ.).

აქედან ნათლად ჩანს, რომ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაზე გლეხობის გულის აცრუებაში, — გარდა იმისა რომ იქ გაბატონებული იყო კულაკური ელემენტები, — უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებდა ის გარემოებაც, რომ სოფლის

[1] გაზ. „ივერია“, 1877 წ., № 47.

[2] М. Кучаев, „Ростовщичество в среде крестьянского населения“, 1888 г. Тифлис, стр. 71.

წვრილმა თავადაზნაურობამაც წილი დაიდო ამ ამხანაგობაში; იგი, სარგებლობდა რა თავისი გავლენით, აქედან რაც შეიძლება ბევრს ეზიდებოდა და ცოტას ან სავსებით არაფერს არ აბრუნებდა უკან. ეს გარემოება კი ერთ-ერთი პირველი მომენტთაგანი იქნებოდა, რომელსაც შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში რღვევისა და დაშლის ელემენტები შეეძლო შეეტანა.

შემდეგ ვ. თ ა რ ხ ა ნ-მ ო უ რ ა ვ ი სოფ. ახალ-ქალაქის (გორის მაზრა) ამხანაგობის შესახებ,—რომლის ხელმძღვანელიც თვითონ იგი იყო, — წერს: რომ წინათ აქ „არა ერთს კინწგადაგდებულს გლეხს უხვეწნია რომელისამე „სვავისათვის", რომ ერთი-ორი „გროში" ესესხებინა დიდის სარგებლით, ე. ი. 8—12% თვეში, და ახლა კი იგივე გლეხი არხეინად მიდის თავის საამხანაგოში, სადაც თვეში მხოლოდ ერთს % აძლევს, ეს ერთი %-იც ერთის წლის შემდეგ უბრუნდება უკანვე თავისის მოგებით. მაშასადამე, რა შეღავათს აძლევს ამხანაგობა თავის მოძმე წევრსა?: უნახავს თვეში 11%, რომელიც უნდა ჩაჩხრიალებულიყო ვიღაცის ჯიბეშიო"[1], ამთავრებს ავტორი.

გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა საქმეს თავის დროზე გამოეხმაურა ჩვენი ცხოვრების დიდი ჰირისუფალი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. 1886 წ. „ივერიი"-ს მოწინავეში იგი წერდა: „ის პაწია კრედიტი, რომელიც ასე აუცილებლად საჭიროა გლეხკაცობისათვის და რომელიც იხსნის გაჭირვებულს გლეხს ანგარებით გამგელებულ სვავთა ბრჭყალებისაგან, იმოდენად ვერ გავრცელდა ჩვენში, როგორც სანატრელია. პირველ ხანებში, როცა ე. წ. შემნახველი-გამსესხებელი ამხანაგობანი ჯერ ახალი ხილი იყო, ყველა დიდი თუ პატარა ამისთანა ამხანაგობაზედ ლაპარაკობდა, ყველა ამ ამხანაგობის დაარსებას ჰქადაგებდა, ყველა მის გამრავლებას ჰსცდილობდა... მაგრამ ეგეც, როგორც ყოველგვარი გატაცება მალე გაგვინელდა და დღეს არც-კი ვიცით,—პირველ ხანებში მაგ გატაცებისაგან დაარსებული ამხანაგობანი არსებობენ სამ-

[1] ვ. ლ. თ ა რ ხ ა ნ-მ ო უ რ ა ვ ი ს წერილი „ივერიაში", 1887 წ. № 14.

და თუ არსებობენ, როგორ და რა სიმარჯვით, თუ სიმარ-ცხით მიდის მათი საქმე. ამ ამხანაგობათა შესაწევრად და ხელთსამძღვანებლად დაარსდა კიდეც რაღაც საერთო საზო-გადოება 1875 თუ 1876 წელს, ერთი ორიოდე თვე ხმას იღებდა კიდეც, მაგრამ ეხლა ამ საზოგადოების ჩამი-ჩუმიც არ ისმის".

ილია სვამს კითხვას, თუ რა იყო მიზეზი ამ ამხანაგო-ბათა უხეირობისა და თანდათანობით ლიკვიდირებისა: „რას უნდა მივაწეროთ ჯერ დაცხრომა ალაპლაპებულის გატაცე-ბისა და მერე დამხობა უკვე დაარსებულის ამხანაგობისა! ნუ თუ იმას, რომ გლეხნი ვერ მიუხვდნენ სიკეთეს პაწია კრე-დიტისას და თვისის გულ-გრილობით დააცხრეს გულმხურ-ვალება ამ კრედიტისათვის სამართლიანად თავ-გამოდებუ-ლებისა?" და იქვე უპასუხებს: „ჩვენ ეს არა გვგონია; იგი პატარა კრედიტი, რომელსაც ფეხი აადგმევინა ჩვენში ამ გულმხურვალებამ, ისეთი რამ არის, რომ თავის სიკეთეს პირდაპირ დაანახვებდა გლეხკაცსა და გლეხკაცი, თუ კი თავის სახეიროს დაინახავს, კამეჩსავით უკანდაუხევლად გამ-წევია: ჩოქით აიტანს აღმართზე სიმძიმეს ამ შემთხვევაში ხოლმე. ჩანს მიზეზი სხვა უნდა იყვეს და არა ერთი და ორი".

შემდეგ, ავტორი ასახელებს ამ მიზეზსაც: „ერთი ამ მიზეზ-თაგანი ის არის, რომ გამტანელს თავის დროზე არ შემოქონდა უკან ნასესხი ფული. ეს ფულის ტრიალს ჰბუთავდა იმ მხრით, რომ პირველნი გამტანელნი ხელს იმართავდნენ ხოლმე ნასესხი ფულითა და სხვანი კი, რომელთაც არანაკლებ უჭირდათ ფული, ცარიელზედ ისხდნენ მთელის წლობის განმავლობაში, რადგა-ნაც ამხანაგობას ფული არ უბრუნდებოდა ასლა სხვა გაჭივრე-ბულთათვის მისაწვდენად. ლოდინი და დიდის ხნით ლოდინი გაჭივრებულთათვის უფრო აუტანელია ამ შემთხვევაში, ვიდ-რე პირდაპირი უარი... ამან დააფრთხო გლეხკაცობა და გუ-ლი ააყრევინა იმისთანა კარგს დაწყობილებაზედ, როგორიც „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობაა". თვითონ მმართველნი და გამგებელნი ვერ მიუხვდნენ მათდამი რწმუნებულ ამხანა-

ბობათა სიკეთის ნასკვს. გლეხკაცს ის კი არ ეხარბება, რომ ჩემი ხუთ-ხუთ შაურობით შეტანილი საწილო ფული თავის დროზედ თანხად მექცევაო, არამედ ისა, რომ უეცარის გაჭირვების დროს, რომელიც ასე ხშირად ეწევა ხოლმე გლეხსა, იეფად ხელი გავიმართო და ჩემის ცხოვრების ტანზედ წურბელა ცალკე კაცის ანგარებისა არ მოვიკიდო და სისხლიდამ არ დავეცლევინოვო. ამ სახით გლეხკაცისათვის „ამხანაგობაში“ სახარბიელო არის სესხით ხელის გამართვა, როცა უჭირს და არა საწილო ფულის შენახვა და მოგროვება“.

რადგან გლეხს იმედი არ გაუმართლდა, რადგან მთელი ფული მთლოდ ერთი-ორ შეძლებულ წევრმა ჩაიგდო და არც აბრუნებდნენ, სწორედ ამიტომ ეს ამხანაგობა „ზოგისთვის მამაა და ზოგისთვის კი მამინაცვალიო, იძახდა იგი (გლეხი). აი რამ აუცრუა გული გლეხკაცობას ამხანაგობაზედ“.

გამგეობის ასეთმა „გულჩვილობამ“, რომ თავის დროზე არ შემოატანიეს (არ აიძულეს) პირველთ გამტანთ, მიიყვანა დაღუპვამდე „ამხანაგობანი“ — რ ო მ ე ლ ს ა ც დ ი დ ი ზ ო გ ა დ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ა ქ ვ ს გ ლ ე ხ-კ ა ც თ ა კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს-“ო, წერს ილია[1].

ე. კ ა ნ ჩ ე რ ი აღნიშნავს, რომ წარმოშობის ხანებში „ამხანაგობის“ წევრთა შორის ჯერ კიდევ ბუნდოვანად გრძნობდნენ ღარიბ და მდიდარ წევრთა შორის განსხვავებას. „მაგრამ როგორც კი მათ გაშალეს თავიანთი მოღვაწეობა მაშინვე თავი იჩინა ინტერესთა ერთგვარმა წინააღმდეგობამ. შეძლებულთა ჯგუფს არ სურდა საქმე დაეჭირა ღარიბებთან, რადგან უკანასკნელნი კრედიტუნარიანობის თვალსაზრისით თავისდაუნებურად უწესივრონი გამოდიოდნენ. მაშინ დემოკრატიული პრინციპიდან ამხანაგობები მიიწევენ ავტოკრატიულისაკენ: მათ იწყეს ღარიბების გამოდევნა და შეძლებულ ჯგუფთა გაერთიანება. ე. კანჩერი სწორედ ამ ნაბიჯში ხედავს „ზოგიერთ დადებით მხარეს“, რადგან „ამ გზით გა-

[1] გაზ. „ივერია“, 1886 წ. № 279, მოწინავე.

დარჩნენ ორგანიზაციები დარღვევას, რითაც მათ ემუქრებოდნენ ღარიბები, რომლებიც მოაწყდნენ მას და რომლებიც მოითხოვდნენ რა სესხებს ძნელად ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებათ“ [1]. — ამგვარად, ე. კანჩერმა, წვრილბურჟუაზიული მეწარმეობის მესიტყვემ, აქ უკვე აშკარად გვიჩვენა თავისი საკუთარი ფიზიონომია.

* * *

ჩვენ არ მოგვეპოვება სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა და რა გვარი საჭიროებისათვის ღებულობდნენ ჩვენი გლეხები თავიანთი სასოფლო ბანკებიდან სესხებს, როგორი იყო მეპაიეთა შედგენილობა ცალკე სასოფლო ბანკებისა და სხვ.

1876 წელს წარმოებულმა დაკვირვებამ ვ. ი. ორლოვი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მოსკოვის მაზრაში არსებობდა ორი სახის საგლეხო სესხი: 1. როდესაც სესხს ღებულობდა მთელი სასოფლო თემი ყველა მეურნის ურთიერთთავდებობით და 2. როდესაც სესხს ღებულობდა კერძო პირი. ამასთანავე თემობრივად სესხის აღება უფრო ყოფილა განვითარებული და უმრავლეს შემთხვევაში (60%) მისი მიზანი ყოფილა თესლეულის შეძენა; შემდეგ მოდის ბეგარა-გამოსაღებთა გადასახდელად აღებული სესხი (მთელი ჯამის 32%); მერმე — მიწის საიჯარო ქირის გადასახდელად (3½%); ყველა სხვა სახის საჭიროებისათვის აღებული სესხი შეადგენს 4½%-ს. როგორც თემობრივად, ისე ინდივიდუალურად აღებული სესხის ვადების უდიდესი რაოდენობა (54%) ხვდება ექვსთვეზე მეტიდან 1 წლამდე; უფრო მეტი ვადით გაცემულია მხოლოდ 16%, უფრო ნაკლებით — 26½%, ხოლო უვადოთ კი — 3½% [2].

---

[1] Ев. Канчер, „Кредитная кооперация и условия ея развития в Закавказье“ („Вестник Кооперации“, 1912, II, 102).

[2] იხ. ვ. ი. ორლოვის მოხსენება: „Первый с'езд представителей ссудо-сберегательных товариществ Московской губернии“, 1877 г., Москва, 78.

საქართველოში სოფლის შემნახველ-გამსესხებელ სალაროთაგან სესხი გაიცემოდა უფრო ხშირად კერძოდ გლეხებზე მათი, როგორც ამხანაგობის წევრის მიერ შეტანილი პაისა და როგორც სხვა წევრების გარანტიით, ისე პირადი ქონების დაგირავებით. რაც შეეხება თემობრივად სესხის აღებას სათანადო მასალების უქონლობის გამო ჯერჯერობით კიდევ არ შეგვიძლია მის შესახებ რაიმეს თქმა. ვიტყვით მხოლოდ, რომ თემობრივად სესხის აღების საკითხი 1870-იან წლებში წამოყენებული იყო ჯერ კიდევ თიანეთის, შემდეგ საგარეჯოს (იორის) და იქნებ კიდევ სხვა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა წევრების მიერ, მაგრამ გადაწყდა თუ არა იგი დადებითად ამის შესახებ ცნობა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

ახლა კი გავეცნოთ, თუ როგორი იყო სოციალურ-ეკონომიკური ბუნება და როლი სოფლის შემნახველი-გამსესხებელ ამხანაგობათა, რომლებიც ასე თუ ისე, როგორც ვნახეთ, ჩვენშიაც წარმოიშვნენ და განვითარდნენ და რომელთა ქსელის გაფართოებას მეტად თუ ნაკლებად ხელს უწყობდა თვით ხელისუფლებაც.

ხალხოსნები, როგორც ჩვენში ისე რუსეთშიც, საგლეხო რეფორმებს მოყოლილი მთავრობის მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელიც სხვათა შორის მიმართული იყო სასოფლო კრედიტის მოწესრიგებისაკენ, აფასებდნენ როგორც დადებით მოვლენას იმ გაგებით, რომ იგი (სასოფლო კრედიტი) ხელს შეუწყობდა გლეხობის კონსერვაციას, თემის დაურღვევლობის საქმეს. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი გადაჭრით ილაშქრებს თავად ვ ა ს ი ლ ჩ ი კ ო ვ ი ს ამგვარი წვრილბურჟუაზიული, უტოპიური შეხედულების წინააღმდეგ. ლ ე ნ ი ნ ი წერს: არავითარი რეფორმებით, თანამედროვე წესწყობილების ნიადაგზე, არ შეიძლება საქმისათვის შველა, რომ არც კრედიტი, არც გადასახლება, არც საგანმეღლო რეფორმები და არც გლეხთა ხელში მთელი მიწების გადასვლა — არსებითად არაფერს არ შესცვლიან, არამედ, პირიქით — უნდა გააძ-

ლიერონ და გაანვითარონ კაპიტალისტური მეურნეობაო[1].

ნაროდნიკების ზემოხსენებული შეხედულება გასაგებია, რადგან ნაროდნიკს „კრედიტი, — ეს აუცილებელი მოთხოვნილება ყოველი წვრილი თუ მსხვილი მეურნისა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, — წარმოუდგენია ერთგვარ (რაღაცნაირ) ელემენტად შრომის ორგანიზაციის სისტემაში. კავშირები და მეურნეთა გაერთიანებანი მათ წარმოუდგენიათ ჩანასახითი გამოხატულებად კოოპერაციის იდეისა საერთოდ, გამოხატულებად კუსტარული ემანსიპაციის“ იდეისა და სხვ., მაშინ როდესაც ყოველმა იცის, რომ ყველა ასეთი კავშირი სინამდვილეში ისახავს ისეთ მიზნებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მაღალ მატერიებთან, არამედ უბრალოდ მისდევენ, ამ მეურნეობათა შემოსავლისდა მიხედვით, თავიანთი მდგომარეობის განმტკიცების, მოგების გაზრდის ამოცანებს“.

ამგვარად, როგორც ლენინი წერს, არსებობა-არარსებობის საკითხი ყოველი მეურნისა,—შემსყიდველისა, ვაჭრისა—კრედიტი, კავშირები, ტექნიკური დასმარება,—ნაროდნიკი ახერხებს წარმოადგინოს როგორც ზოგადი საკითხი, რომელიც სცილდება ცალკეულთა ინტერესების ფარგლებს. ნაროდნიკებს ვერ გაეგოთ, რომ ისეთი პრაქტიკული ღონისძიებანი, როგორიცაა კრედიტი, არტელი, ტექნიკური დახმარება და სხვ. გამოხატავდნენ განვითარების გზაზე მდგარი კაპიტალიზმის მოთხოვნილებებს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მომზადარიყო მათი მეოხებით სოფლის წვრილი და ღარიბი გლეხობის წინ წამოწევა და მეურნეობრივი წარმატება.

და ეს ასე იმიტომ ხდებოდა, რომ სოფლის შემნახველ-გამსესხებელ სალაროებიდან მთელ რუსეთში სარგებლობდნენ არა წვრილი და შეუძლო გლეხობა, რომელთა დახმარება უნდა ყოფილიყო—თანახმად იდეისა — მიზანი სოფლის ბანკებისა, არამედ კულაკობა, ხუცები, სოფლის ბობოლები, საერთოდ შეძლებული გლეხები.

---

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. I. გვ. 275—276.

კერძოდ სამბრეთ რუსეთის (თავრიდის გუბერნიის) მაგალითზე — ვ. პ ო ს ტ ნ ი კ ო ვ ი ს[1] მიერ მოხდენილი „დაწვრილებითი და საფუძვლიანი“ (ლ ე ნ ი ნ ი) აღწერილობის მიხედვით—ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ს ნაჩვენები აქვს, თუ როგორ ხდება, რომ სინამდვილეში მხოლოდ შეძლებული გლეხები სარგებლობენ სოფლის შემნახველ-გამსესხებელი სალაროებიდან, შეძლებული გლეხები, რომლებიც აღწევენ კრედიტის თავიანთ ხელში მონოპოლიზებას. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი წერს, რომ კრედიტის ასეთი მონოპოლიზაცია არ წარმოადგენს რაიმე მოულოდნელს: საკრედიტო გარიგება სხვა არა არის რა, როგორც ყიდვა-გაყიდვა გადახდის ვადის გადადებით. მეტად ბუნებრივია რომ გადასახდელის დაფარვა შეუძლიან მხოლოდ იმას, ვისაც საშუალება გააჩნია; ხოლო ასეთ საშუალებას სამბრეთ რუსეთის გლეხებს შორის ფლობს მხოლოდ შეძლებული უმცირესობა[2].

სოფლის მცხოვრებთა უმცირესობის ხელში, რომელიც ფლობს უფრო მსხვილი მიწის ნაჭერს და უფრო სარფიანი სარეწავისათვის (შინამრეწველობა და სხვ.) უკიდია ხელი და, მაშასადამე, ღებულობს ე. წ. „წმინდა“ შემოსავალს სხვისი შრომიდან, თავს იყრის „დანაზოგი“ („сбережение“), მაშინ როდესაც, მეორეს მხრივ, სოფლის უმრავლესობა სულ უფრო ღატაკდება. ამ დაგროვილ „მონაგარს“, „კაპიტალს“, იმდროინდელ სოფელში ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი პირდაპირ დაიმორჩილოს მუშაბელი მისი მუშაძალის შესყიდვით, მაგრამ იგი თავისუფლად აღწევს იმას, რომ თავის მევაჭურ ქსელში აბამს წვრილ, შეუძლო, ღარიბ გლეხს, იმორჩილებს მას კულაკური მეთოდებით და ასეთ პირობებში-კი მოიპოვებს შესაძლებლობას გაფცქვნას იგი, — წაართვას უშუალო მწარმოებელ გლეხს (და შინამრეწველსაც) არა მხოლოდ ზედირე-

[1] В. П о с т н и к о в, „Южно-русское крестьянское хозяйство“. 1891. М. 368.

[2] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, I, 66.

ბულება (сверхстоимость), არამედ ხელფასის უდიდესი ნაწილიც.

სოფლის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა ცის მანანასავით ევლინება ასეთ ბობოლა გლეხებს. ისინი უფრო დიდი ზომით და ხანგრძლივი დროით სესხულობენ ამხანაგობის სალაროდან ფულს, სესხულობენ დაბალ სარგებელში და მერე, თავის მხრივ, თვით ამხანაგობის მცირეპაიან და შეუძლო წევრ, ანდა არაწევრ ღარიბ და ხელმოკლე გლეხს— სარგებლობენ რა მისი გამოუვალი მდგომარეობით — ასესხებენ ამ ფულს, მაგრამ უკვე მეტად მაღალი, მევახშური სარგებლით. ეს სარგებელი ღარიბმა გლეხმა გარიგებისამებრ უნდა დაფაროს უფრო ხშირად ნატურით (ბორბალი, ღვინო, შრომა-მიგება და სხვ.) და უფრო იშვიათად ფულით, რომელიც მას ისედაც არ გააჩნია.

ახლა ვნახოთ როგორი იყო ამ მხრივ მდგომარეობა კერძოდ საქართველოს სოფლებში დაარსებულ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან, როდესაც ჩვენში ზედიზედ რამდენიმე სოფლის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა იქნა დაარსებული, ამ საკითხმა ქართული საზოგადოებრივი აზრის უფრო და უფრო გაფართოებული ყურადღება მიიქცია. სოფლის სასესხო-შემნახველ ამხანაგობისათვის ყველაზე ხშირად ბეჭდავდნენ კორესპონდენციებსა და ფელეტონებს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო გაზეთები, კერძოდ „გუთნის დედა“ და „სასოფლო გაზეთი“. და, ამ საგაზეთო მასალებში, მიუხედავად საყოველთაოდ ცნობილი სასტიკი საცენზურო პირობებისა, მაინც საკმაოდაა აღბეჭდილი ის ნამდვილი ვითარება, რასაც პრაქტიკაში, — წინააღმდეგ ხელისუფლებისა და „ტეტიათა მოტრფიალე“ ქართველი ინტელიგენტის მისწრაფება-სურვილებისა, შეხედულებათა და ნაქადაგები აზრებისა, — ანვითარებდნენ და აღვივებდნენ ეს სოფლის სასესხო-შემნახველი ამხანაგობანი.

ამ შემთხვევაში ჩვენს საგანს არ შეადგენს შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორი შეხედულებები განვითარდნენ ქართულ საზოგადოებაში საერთოდ წვრილ და კერძოდ წვრილ სასოფლო კრედიტზე, რა სახით და გზით იქნა ჩვენს სინამდვილეში გადმონერგილი ეს იდეები რუსეთიდან და დას. ევროპიდან, რა ინტენსივობით ხდებოდა შულცე დელიჩის და სხვ. მოძღვრების პოპულარიზაცია იმდროინდელი ქართული პრესის მიერ და სხვ. საკითხზე, რაც თავისთავად ფრიად საინტერესოა და თავისი დროის ქართული საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვან ნაკადს წარმოადგენს. ჩვენ სხვა დროს, ვფიქრობთ, გვექნება შესაძლებლობა რათა მათ სპეციალურად და საფუძვლიანად შევეხოთ, აქ კი, სხვათაშორის, მათზე ლაპარაკი უფრო მეტ ადგილს წაგვართმევდა ვინემ სარგებლობას მოიტანდა.

ანტონ ფურცელაძე — იმ დროს რედაქტორი გაზ. „გუთნის დედისა", ავტორი სასოფლო კრედიტის შესახებ რიგი მნიშვნელოვანი წერილისა,—ერთ-ერთ თავის ფელეტონში წერს, რომ სასოფლო „ბანკები მდიდრებისა და შუათანა შეძლების კაცების ხელში არიან მეტად საეონი, რადგან უიმისოდაც მდიდრებს და შემძლეთა აძლევენ კიდევ უარეს ძალას გამდიდრებისათვის და, მაშასადამე, ღარიბთა უფრო აღარიბებენ. აი ეს აზრი ვერ გამოარკვია შულცე დელიჩმა და მისმა მიმდევრებმა ბოლომდის და დაჰკრეს საყვირსა და ნაღარას, რომ სასარგებლონი არიან სახელოსნო და სასოფლო ამხანაგობანიო. და მართეს ბანკები, და, რასაკვირველია, სასარგებლონი გამოდგნენ; მხოლოდ ვისთვის?— ვინც ეს ბანკები დააწესეს. ვინ იყვნენ დამწესებელნი? უჭირდათ ამ დამწესებელთ ამ ბანკების დამართვა თუ არა? ეს ვეღარ შენიშნა შულცე დელიჩმა, ან თუ შენიშნა არ მოინდომა გამორკვევა. ბანკები წესდებოდნენ სახელოსნოებსა და სოფლებში, გაურჩევლად. მდიდრებისა, შუა შეძლებისა და სხვა ამგვართა ხელებში. რასაკვირველია, ამათ შეეძლოთ ეთქვათ და ეყვირნათ, რომ ჩვენთვის დიდი სარგებლობა მოაქვს ბანკებსაო. მაგრამ რა მოსდიოდათ ამ ბანკებით სოფლის საწყალ

კაცებს, რომელნიც ვერ შედიოდნენ ამ ბანკების წყობილებაში?—ამას აღარ გვიცხადებენ შულცე დელიჩისა და მისი მიმდევარი კაცებით შემკობილ გაზეთებში და ჟურნალებშიო“, დასძენს ჩვენი ავტორი[1].

მაგრამ ა. ფურცელაძე საერთოდ და ხელაღებით როდი უარყოფს სასესხო-შემნახველ ამბანაგობათა დადებით მნიშვნელობას მშრომელი მოსახლეობისათვის; იგი წერს, რომ ამ ბანკებმა დროებითი სარგებლობა მოუტანეს ფაბრიკა-ქარხნების მუშებს, მაგრამ იმიტომ რომ „აქ მუშა ხალხი თითქმის ერთრიგი შეძლების კაცნი არიან; ესე იგი, არიან დამყარებულნი მარტო თავის ჯანზედ და სხვა ქონება არა გააჩნიათ რა“, და ამგვარად მათი ბანკები „იყენენ იმგვართა კაცთა ხელში, რომელთაც უჭირდათ ნამდვილად სესხი, უჭირდათ ფული და ამგვარს ბანკებს თუნდ კიდეც რომ ენაბათ მოგება სხვის ხელისა და ჯიბიდამ ის ხელი და ჯიბე არ იქნებოდა ამ მუშებზედ უქონელთა (ნაკლებ შეძლებულთა) კაცებისა“. სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი სოფელში. თუ ქალაქის მუშებს შორის დაახლოებით ერთგვარ ქონებრივ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, სამაგიეროთ სოფელში „მდიდრებს და ღარიბებს შორის ათასგვარი გარჩევაა“. აქ „შემძლებელი გლეხი არის ისეთივე შემეიწროებელი ღარიბის გლეხისა, როგორც ყველა ჩარჩი, ვაჭარი და მებატონე“. ამის გამო კი,—ასკვნის ა. ფურცელაძე,—სოფელში „გაურჩევლად ამგვარი ბანკის ხელში ჩაგდება შემძლეთა მიერ, უეჭველია ზარალს მოუტანდა გაჭირვებულს ხალხსო“.

ყოველივე ამას ჩვენი ავტორი როდი ამბობს მხოლოდ ზოგადად, აბსტრაქტულად. ამ ზოგადი ვითარების კონკრეტული მაგალითები მის მიერ გამონახულია ჩვენს სინამდვილეში. იგი ჯერ ეხება საერთოდ რუსეთის იმპერიაში მოქმედ ნორმატიულ წესდებას სოფლის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობათა და წერს, რომ სასოფლო ბანკები გაჭირვებულ ხალხს ზარალს მოუტანს ჩვენშიაც „თუ მოთაოსნეებს არ ექ-

[1] ა. ფურცელაძე, „რამოდენიმე სიტყვა სასოფლო-საამხანაგო ბანკებზედ“ (იხ. გაზ. „გუთნის დედა“, 1875 წ. № 1, გვ. 2—3).

ნებათ კარგად აწონილი და გამორკვეული ეს ზარალი და სარგებლობა საამხანაგო ბანკებისა. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ სოფელში დაწესდა სწორედ ისეთი ამხანაგობა როგორიც აქვს სახეში რუსულს ნორმალურს სასესხებელს წესდებას, რომელიც საუკეთესოა სხვა ყველა წესდებაზედ; ეს პირველადვე ჩავარდა სოფელში ამგვარი კაცების ხელში, რომლებიც თუმცა არც მდიდრები არიან, მაგრამ იმოდენა შეძლება კი აქვთ, რომ ცხოვრება შეუძლიანთ, აქვთ ვენახი, აქვთ სახნავი მიწები; ჰყავთ საქონელი და სხვა ამგვარები". სვამს რა ამ განხრით საკითხს, სავსებით მართებულად, ავტორი კითხულობს: „რას იზამს ის იმ ფულებით, რომელთაც გამოიტანს ის საამხანაგო ბანკიდამ სესხათა?" და თვითონვე უპასუხებს: „ის ფულს სესხად გამოიტანს ვთქვათ ორშაურად (თუმანს), გაასესხებს სხვა გაჭირვებულს კაცებზედ აბაზათ, ორაბაზათ, ათშაურად, ორ კოკა ტკბილათ, ორ კოდ პურად, სამ კოკათ, ზოგჯერ თუმანს თვეში მანეთადაცო",—წერს იგი.

ამის შემდეგ ა ნ ტ ო ნ ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე კვლავ კითხულობს: „უჭირდა ამგვარს კაცს სესხიო?" და უპასუხებს: „არა! იმიტომ, რომ თვითონ იმდენი ჰქონდა, რომ იმისთვის შვიდირვა თუმნის სესხი მეტი იყო. ის სესხულობს ახლა მხოლოდ იმგვარი რამეებისათვის, რომელიც არ შეადგენს უმთავრესს საჭიროებას, როდესაც სხვები ამ უმთავრესთაც მოკლებულნი არიან; ანდა სესხულობს მოგებისთვის, რომ გ ა ა ს ე ს ხ ო ს მ ე ტ ა დ გ ა ჭ ი რ ვ ე ბ უ ლ ე ბ შ ი, რ ო მ ე ლ თ ა ც თ უ ფ უ ლ ი თ, პ უ რ ი თ ა ნ ღ ვ ი ნ ი თ ს ა რ გ ებ ლ ი ს ა დ ა თ ა ვ ნ ი ს გ ა დ ა ხ დ ა ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ნ, მ ა შ ი ნ პ ი რ ა დ ყ მ ა დ ი ხ დ ი ა ნ, ე ს ე ი გ ი, ა მ უ შ ა ვ ებ ე ნ თ ა ვ ი ს ს ა ქ მ ე ზ ე დ ჩ ი რ ი ს ფ ა ს ა დ". ავტორმა, ამგვარად, წარმოგვიდგინა ნამდვილი სურათი იმისა, თუ რა შეიძლება მოყვეს შედეგად სოფლის სასესხო-შემნახველ ამხანაგობას, მაშინ, როდესაც ის გადაიქცევა სოფლის ბობოლა გლეხების საკრედიტო ორგანიზაციად, როდესაც სოფლის ბანკიდან კრედიტით სარგებლობის მონოპოლიას ხელთ იგდებს კულაკობა, რომელიც

იმორჩილებს და ფაქტიურ ყმად იხდის სოფლის წვრილ და ღარიბ გლეხობას.

ხდება ის, რომ ამ გზით კიდევ უფრო ძლიერდება სოფლის შეძლებული გლეხების ფენა, კიდევ უფრო ღატაკდება უმრავლესობა. აი რას წერს თვით ა. ფურცელაძე ამის შესახებ: „...აქედამ გამოდის ისა, რომ სომხისა და ურიის მაგივრად, მხოლოდ უფრო მარჯვე შემთხვევით, იხდის გაჭივრებულს კაცს ყურმოჭრილ ყმად თავისივე მეზობელი, რომელსაც აქამდის არა ჰქონია ეს ძალა და შეძლება. ამ-გვარის წესით სოფლის გაჭივრებული გლეხი. უფრო ვარდება სხვის ხელში და ხდება სხვის მონათ, რადგან წინათ არ იყო ისე ადვილი სესხი; (მას) უნდა ედევნა სომხისა და ურიისათვის, რომელიც მომეტებული ნაწილი ვერ კი ანდობდა ამას ფულსა, რადგან ის არა ჰსაჭიროებდა ამის მუშაობასა და შრომაში და სხვა სარჩო კი არა ჰქონდა, რომ გაესტუმრებინა ამათი თავნი და სარგებელი. ახლა კი, რაკი ამ მეზობელს, რომელსაც ამის მუშა-ხელი უფრო უჭირს, აქვს ფული გასესხებული. ეს სესხულობს ბრალიან-უბრალოთ მამასისხლათ ფულსა და რჩება ნიადაგ ტყვეთ თავისივე მეზობლისა“. ასეთია, მაშასადამე, ა. ფურცელაძის მიერ ნავარაუდევი შედეგი სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა ჩვენს სოფლებში დაარსებისა.

როგორც მოსალოდნელიც იყო მისი ვარაუდი მართლდება. მოვუსმინოთ თვითონ ფურცელაძეს: „როგორც შევიტყვეთ და გვესმის სწორედ ამ წესზედ დაადგნენ ჩვენი აბლად (დაარსებული) საამხანაგო ბანკები. აქედამ გამოტანილი ფულებით, მაგალითად, თიანეთის ოკრუღში ჰმართავენ დუქნებსა თვით მამასახლისებივე, რომელნიც არიან წევრნი საამხანაგო

ბანკებისა, ახდენენ სასოფლო ყრილობებს თავისი დუქნების კარისწინ, სადაც შემდეგ ყრილობისა, იწყება ლოთობა; ეგრეთვე ამგვარივე პირები აქედამ გამოტანილს ფულებს ასესხებენ თუმანს ორაბაზათ, ათშაურად და კიდევ მეტადაც. ერთი სიტყვით ეს ბანკები ჰხდებიან ლოთობისა და ვალებში ჩაცვივნის მიზეზი უიმისოდაც გაჭირებულს კაცთათვის“, აცხადებს ჩვენი ავტორი.

მაგრამ ასეთ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი არა მარტო თიანეთის ოლქში, არამედ თითქმის ყველგან სხვაგანაც; ა. ფურცელაძე გადმოგვცემს, რომ „თითქმის ამგვარივე ამბები გვესმის ოძისის ბანკისა. დუქნები იმართება თუ არა ამგვარი ფულებიდამ ეს არ ვიცით, და რავდენადაც ჩვენ გავიგონეთ ამ ბანკის ამხანაგები არიან მომეტებული ნაწილი შეძლებულნი, და, ეს კიდევ არაფერი, არიან სულ სხვადასხვა თემისა და სოფლის კაცნიო“. მაშასადამე, ჩვენ აქ, უდავოდ კიდევ უფრო გამოკვეთილ ფორმებში, ვინემ სამხრეთ რუსეთში გვაქვს მოცემული კულაკური ელემენტების გაერთიანება სასოფლო ბანკების ირგვლივ და თანაც გაერთიანება არა მარტო მოცემული თემის თუ სოფლის ფარგლებში, არამედ გაერთიანება მოცემული ოლქის თუ რაიონის მთელი რიგი თემების შეძლებული გლეხობისა, რომლებიც სასოფლო ბანკების მეოხებით კიდევ უფრო დიდი ზომით ხდებიან ვაჭრები და მევახშეები და, მაშასადამე, კიდევ უფრო დიდი ზომით ეწევიან მთელი რაიონის ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ექსპლოატაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ამას, ასე თუ ისე, გარკვევით ამჩნევს და აღნუსხავს ანტონ ფურცელაძე, იგი მაინც დიდად ვერ სცილდება იმდროინდელ რუსეთში სასოფლო ბანკების შესახებ ნაროდნიკებს შორის ფესვგადგმულ შეხედულებებს. ა. ფურცელაძე მაინც ვერ მისულა იქამდე, რომ ხელაღებით უარყოს არსებულ პირობებში საერ-

თოდ სასოფლო ბანკების სასარგებლო მნიშვნელობა შეუძლო, ღარიბი გლეხობისათვის. კიდევ მეტი, მას ეს ბანკები სასარგებლო მოვლენათაც კი მიაჩნია, მხოლოდ იმ პირობით, რომ „თუ უნდათ ამ ბანკებმა სარგებლობა მოუტანოს იმათ კი არა, ვისაც აგრე რიგათ არ უჭირთ, არამედ იმათა, რომელთაც ნამდვილად უჭირთ, უნდა თავდაპირველ წყობილებაშივე შეიყვანონ წევრებათ იმ გვარნი პირნი, რომელთაც ენდობიან როგორც სინდისიერთ პირთა და ამასთან ეს პირნი უნდა იყვნენ უგაჭირვებულესენი მთელს სოფელში. ამხანაგები უნდა იყვნენ ერთის სოფლისანი, ან არა და ძალიან მახლობელი მეზობელი სოფლისანი. წესდებულება ისე უნდა იყოს დაწყობილი, რომ ამ პირებზედ იყვეს დამოკიდებული სხვების მიღება ამხანაგობაში და წესად უნდა იყვეს დადებული, რომ ერიდონ ხოლმე შემძლე კაცებისა და მეტადრე კი ჩარჩებისა და აღებ-მიცემის კაცების მიღებას ამხანაგობაში“. თუ რომ ყოველივე ეს წესები დაცული იქნება „მხოლოდ მაშინ. დარჩება ამგვარი ამხანაგობა იმგვართ კაცთ ხელში, რომელთაც უჭირთ ფული და რომელნიც მოიხმარებენ ამ ფულს თავის სასარგებლოთ და არა ღარიბთა საზარალოთ, ამასთან ამხანაგობა უნდა იყვეს ურთიერთა თავდებობისა და არ უნდა იყვეს სესხისათვის გირავნობა. წესდება მიიღონ რუსული ნორმალური სასოფლო-საამხანაგო ბანკებისა“ [1].

ამგვარად, ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ მსგავსად რუსი ნაროდნიკებისა, ა. ფურცელაძეს, ვ. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერ წარმოუდგენია, რომ ეს სასოფლო კრედიტი — მსგავსად სხვადასხვა სახის პრაქტიკულ ღონისძიებათა — „გამოხატავს განვითარების გზაზე შემდგარი კაპიტალიზმის მოთხოვნილებათ და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მომხდარიყო მათი მეოხებით სოფლის წვრილი და ღარიბი გლეხობის წინ წამოწევა და მეურნეობრივი წარმატება“. ა. ფურცელაძის მიერ გამოწერილი რეცეპტი, რომ

[1] იხ. გაზ. „გუთნის დედა“, 1875 წ., № 1. გვ. 2—4.

როგორმე მხოლოდ წვრილ და უღარიბეს გლეხობამ ჩაიგდოს თავის ხელში სოფლის ბანკები ისევე უტოპიურია, როგორც სხვა მთელი რიგი შეხედულებანი ხალხოსნებისა (ნაროდნიკებისა) და საერთოდ წვრილბურჟუაზიული სოციალისტებისა.

მაგრამ საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ა/კავკასიაში თვითმპყრობელობის ხელისუფლების ცნობილი მოღვაწე სოფლის მეურნეობისა და აგრარულ ურთიერთობათა მკვლევარი მ. ნ. ᲙᲣᲩᲐᲔᲕᲘᲪ სოფლის გლეხობის მევახშეობიდან ხსნის ერთადერთ საშუალებას ხედავს ხელისუფლებისა და ერობათა ღონისძიებაში სასოფლო კრედიტის განვითარებით რომ უნდა იქნას მიღწეული.

მოვუსმინოთ რას წერს თვით მ. ნ. ᲙᲣᲩᲐᲔᲕᲘ: „გლეხობისათვის ხელმისაწვდომი, წესიერად ორგანიზებული მოკლევადიანი სესხისათვის იაფი სახალხო კრედიტის არ არსებობამ შექმნა ნიადაგი, რომელზედაც განმტკიცდა და ღრმად გაიდგა ფესვები მევახშეობამ; მევახშეობამ, რომელიც მიმართავს ყოველგვარ საშუალებათ და მაქინაციებს და ისახავს ერთადერთ მიზანს — ადვილად გამდიდრებას. ქონებრივი მდგომარეობა, კარში გაუსვლელობა და საერთოდ ყოველგვარი პირობები არაკრედიტუნარიანობისა გზას უხშავს გლეხს საკრედიტო დაწესებულებისაკენ, რომლებიც ორგანიზებულია მსხვილ მიწათმფლობელთა, ვაჭართა და მრეწველთა წოდებისათვის. მაგრამ კრედიტის საჭიროება უფრო მაიძულებელია გლეხობაში, ვინემ რომელიმე სხვა წოდებაში; კრედიტი მისთვის აუცილებელია მინდვრების დასათესად, ბეგარებისა და გამოსაღებთა გადასახდელად, ოჯახის სურსათით მოსამარაგებლად, როდესაც მოსავალი იქნება არასაკმარისი, მემამულეთა მიწებზე ბალახობის, ტყის მოჭრის და სხვ., უფლებათა მოსაპოვებლად, ურომლისოდაც მისი მუშა-პირუტყვი ვერ იარსებებს. გარდა ამისა, ხშირად წარმოსდგება მაიძულებელი აუცილებლობა ცხენის შეძენისა, ხანძრის შემდეგ განადგურებულ შენობათა აღდგენისა, ქორწილის, საკურთხის, აღაპის და სხვ. ხარჯების დაფარვისა და

სხვ. ასეთი საჭიროებისას გლეხი ვერ პოულობს დასაყრდენს არც თავისი შრომის მონაგარში, არც თანასოფლელთა დახმარებაში, არც საკრედიტო დაწესებულებაში. მან უნდა იმედი დაამყაროს თავის პირად შრომაზე ანუ კრედიტორზე, თავის მეურნეობაში ყოველივე „ზედმეტის“ გაყიდვაზე, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, თავისი სანადელო მიწის იჯარით ან სამუდამოდ გასხვისებაზე. ასეთი გაჭირვებული გლეხის დასახმარებლად მზად არის მხოლოდ და მხოლოდ მევახშე: სოფელი მდიდარი-ბანკირი, შემსყიდველი, მეიჯარე, სოფლის ხელისუფალნი და სხვ. მთელი ეს ჭრელი და სხვადასხვაგვარი ხალხი ეშვიათად იხილავენ თავიანთ მოქმედებას როგორც მხოლოდ საკრედიტო ოპერაციებს. არ ჯერდებიან რა უზომო სარგებელს (%%),—რისი მიღებაც მათ შეუძლიათ გლეხთაგან, უკანასკნელთათვის რამდენიმე მანეთის სესხად მიცემისათვის და მოკლე ვადაში, — მევახშეები, ჩვეულებრივად თავიანთ საკრედიტო ოპერაციებს უკავშირებენ რაიმე სხვა მომენტებს, მაგალითად, ხვნას, სოფლის ნაწარმოებთა შესყიდვას, გლეხთა მიერ მიწების იჯარით აღებას, ანდა საკუთრებად შეძენას. ამგვარად, ხდება გლეხის თავისუფალი შრომის დაკაბალება. გლეხის მეურნეობიდან მიედინება ბევრად უფრო მეტი რაოდენობის პროდუქტები, ვინემ ეს შეიძლებოდა გასულიყო თვით მეურნეობისათვის ზარალის მოტანის გარეშე და, დასასრულ—ადგილი აქვს გლეხთა მთელი მასების ექსპროპრიაციას (უმიწოდ დარჩენას). ხალხის ასეთი უწილადოდ დარჩენას, მევახშეებისა და შემსყიდველთა სასარგებლოდ რომ ხდება, ამსხვრევს (აქარწყლებს) ხელისუფლებისა და ერობათა გაძლიერებული ღონისძიებანი გლეხობის ქონებრივი კეთილმდგომარეობის გასაძლიერებლად რომ არის მიმართული“, ამთავრებს კუჩაევი[1], — ცარიზმის დაქირავებული მკვლევარი ა/კავკასიელ გლეხთა ეკონომიკური ცხოვრებისა.

[1] М. Н. Кучаев, „Ростовщичество в среде крестьянского населения“, 1888, Тифлис, 15 — 16.

როგორც ვხედავთ მ. ნ. კუჩაევმა საკმაოდ დაგვიხასიათა ის გამოუვალი მდგომარეობა, რომელშიც ვარდება ღარიბი და უღარიბესი გლეხობა, რომლის „თავისუფალი შრომა", რეფორმების შემდეგ, კვლავ ვარდება არათავისუფალ მდგომარეობაში, სხვათა შორის, შედეგად სოფლად გაბატონებული მევახშეებისა, — არავითარ საშუალებას რომ არ ერიდებიან და ყოველგვარ ღონისძიებას რომ მიმართავენ წვრილი გლეხობის გასაძარცვავად და დასამონებლად. ამ გაჭირვებული გლეხობის განადგურებისაგან ხსნის ერთადერთ გზად მ. ნ. კუჩაევმა ისევ თვითმპყრობელობისა და ერობათა მიერ მიღებული ღონისძიებანი მიიჩნია.

სინამდვილეში კი, როგორც ვიცით, მთავრობისა და ერობათა ყოველგვარი ღონისძიებანი, არა მარტო სახალხო კრედიტის, არამედ კიდევ სხვა მთელი რიგი, ე. წ. „პრაქტიკულ დახმარებათა" სახით რომ ხორციელდებოდა მოცემულ მდგომარეობაში, „არსებითად არაფერს არ ცვლიდნენ, არამედ პირიქით, მათ უნდა გაეძლიერებიათ და განევითარებიათ კაპიტალისტური მეურნეობა"[1], ე. ი. მეტი თუ ნაკლები ზომით უნდა მოეხდინათ წვრილი მწარმოებელი გლეხობის საბოლოო დაშლა და პროლეტარიზაცია.

სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა განვითარებაში ხელახალი გამოცოცხლება განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან იწყება, რის შესახებაც ჩვენ სხვა ადგილას გვექნება სპეციალურად მსჯელობა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. ტ. I, გვ. 126.

VI

თბილისის კომერციული ბანკის ისტორიისათვის

სანამ უშუალოდ თბილისის კომერციული ბანკის ისტორიას შევეხებოდეთ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ კომერციული კრედიტის ისტორიისათვის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, როგორიც არის კომერციული სასამართლო.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ათიან წლებში რუსეთის თვითმპყრობელობის ყურადღებას იქცევდა ადგილობრივ ვაჭარ-მესარეწეთა შორის და განსაკუთრებით ადგილობრივ და უცხოელ ვაჭართა შორის ხშირი გაუგებრობანი წარმოშობილი ამა თუ იმ მხარის (პირის) არაკრედიტუნარიანობის ნიადაგზე. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი ვაჭრები ჩივიან საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე იმის შესახებ, რომ თბილისელი ვაჭრები ძალიან ხშირად ვერ ანაღდებენ თამასუქებს, რაც ხელს უშლის კომერციული კრედიტის (თამასუქით ანგარიშსწორების) და საერთოდ ვაჭრობის განვითარებას ამ ქვეყნებს შორისო.

თბილისელი ვაჭრები ირანის და თურქეთის და არა იშვიათად ინდოელ ვაჭართაგან შეძენილი საქონლის ღირებულების ერთ ნაწილს (⅛ — ¾-მდე) ფარავდნენ მოკლევადიანი (3 — 10 თვე) თამასუქების გაცემით. მაგრამ ისინი ზოგჯერ ვერ ახერხებდნენ თავის დროზე ამ თამასუქების განაღდებას; თავს გაკოტრებულად აცხადებდნენ და უცხოეთის ქვეშევრდომი ვაჭრები (უფრო ხშირად სომხები) ზარალობდნენ. უცხოელი ვაჭრები ჩივიან, რომ თბილისელ ვაჭრებს შორის არაიშვიათად აქვს ადგილი ფიქციურ გაკოტრებას: ისინი, მას შემდეგ, როცა ასწრებენ მთელი საქონლის რეალიზაციას, აღებულ ფულს აბარებენ საიმედო პირებს და თავს აცხადებენ გაკოტრებულად, რათა ამ გზით აიცილონ თავიდან ვალის

გადახდაო; — ადგილობრივი ადმინისტრაციის დაკვირვებით ეს მით უფრო ადვილად მისაღწევი იყო თბილისელი ვაჭრებისათვის, რომ მათ არ გააჩნდათ არავითარი, ოფიციალურად ცნობილი, კორპორაცია[1].

1810 წელს საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა ტორმასოვმა ამგვარ გაუგებრობათა შემდგომში ლიკვიდაციის მიზნით, საჭიროდ მიიჩნია თბილისში კომერციული კანტორის დაარსება[2]. ეს კომერციული კანტორა უნდა შემდგარიყო თბილისელ ქართველ, სომეხ და თურქ ვაჭართა საზოგადოების მამასახლისების სახით. კომერციული კანტორის ფუნქცია იქნებოდა გარჩევა როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ვაჭრების პრეტენზიებისა თამასუქის გამცემთა თუ საქონლის ნისიად (უბრალო ხელწერილით) ამღებთა მიმართ, როდესაც უკანასკნელნი ვადაზე არ გამოისყიდიდნენ თამასუქს, ანდა არ გადაუხდიდნენ თავის დროზე ფულს ნისიად აღებული საქონლისათვის.

ამგვარად, ეს კომერციული კანტორა უნდა ყოფილიყო ერთგვარი ვაჭართა სასამართლო. სწორედ იმ ხანებში ასეთი სასამართლოები, სომეხ ვაჭართა სასამართლოების სახით, არსებობდა ქ. ასტრახანსა და ყიზლარში.

გენ. ტორმასოვის განზრახვა თბილისში კომერციული კანტორის დაარსების შესახებ განუხორციელებელი დარჩა. უნდა ვიფიქროთ, რომ მთავარი ძალა, რაც მის დაარსებას დააბრკოლებდა იქნებოდა თბილისელ ვაჭართა ოფიციალურად არარსებული, მაგრამ ტრადიციულად საკმაოდ მტკიცე კორპორაცია, რომლის შესახებ სხვა დროს გვექნება მსჯელობა და რომელიც იმდენად ძლიერი იყო, რომ დიდის გაჭირვების გარეშე შეეძლო ამის მიღწევა. ტრადიციის ნიადაგზე წარმოქმნილი თბილისელ ვაჭართა კორპორაცია, რომელიც ფაქტიურად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა და დიდის გულმოდგინებით იცავდა თავისი ამქრის (გილდიის) წევრთა ინტერესებს, ცხადია, არამიზანშეწონილად მიიჩნევდა კომერ-

[1] ნამდვილად-კი თბილისელ ვაჭრებს ჰქონდათ საკმაოდ მტკიცე კორპორაცია.

[2] АСКАК, IV, № 39, стр. 44.

ციული კანტორის სახით ისეთი ორგანიზაციის არსებობას, რომლის მეშვეობითაც მთავრობა კონტროლს გაუწევდა ვაჭართა მთელ საქმიანობას. ცხადია, რომ თვით ხელისუფლებაც არ დააყოვნებდა, რათა ეს კომერციული კანტორა ვაჭართა გილდიისმაგვარ ოფიციალურ ორგანიზაციად გადაექცია, — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კანონით განსაზღვრული წესების მიხედვით, თანახმად შიგა რუსეთის სავაჭრო კაპიტალის მოთხოვნისა, თბილისში ვაჭართა გილდიის დაარსებისაკენ მიმართული ადგილობრივნ ხელისუფლების ცდები უშედეგოდ დასრულდა.

გენ. ტორმასოვის ცდის შემდეგ კიდევ გავიდა ათეული წლები, სანამ თბილისში დაარსდებოდა კომერციული სასამართლო. თბილისის კომერციული სასამართლო გახსნილ იქნა 1854 წლის 1 იანვარს.

თბილისის კომერციული სასამართლოს დაარსებით მთავრობა მიზნად ისახავდა კომერციულ (სავაჭრო) ბრუნვათა ნიადაგზე წარმოშობილი სადავო საქმეები გადაჭრილიყო მარტივი, ჩქარი და ადგილობრივ ადათ-ჩვეულებებთან შეთანხმებული სასამართლო წესით, რათა, ამრიგად, ამ საქმეთა სამართლიანი და სწრაფი გადაჭრის გზით, ვაჭართა წოდებაში „განმტკიცებულიყო კეთილსინდისიერება კომერციულ გარიგებებში“ და აგრეთვე, რაც მთავარია, შესაძლებელი ზომით, შეუძლებელი გამხდარიყო ვაჭართა მიერ ბოროტგანზრახვით თავიანთი თავის გაკოტრებულად (შეუძლო მოვალედ) გამოცხადება, რასაც ხელისუფლება ამ დროიდან მაინც სასტიკად ებრძოდა და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე შეეხებოდა სახაზინო (სამხედრო თუ სამოქალაქო) იჯარებს[1].

მაგრამ თბილისის კომერციული სასამართლოს დაარსებისას ხელისუფლება ძირითად მიზნად ისახავდა, განსაკუთრებით, შიგა რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის და, ამ გზით, რუსეთსა და ირანს შორის ვაჭრობის განვითარებას, ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეტროპოლიის ფაბრიკანტებისთვის ამიერკავკასიასა და ირან-თურქეთში ბაზრის გაფარ-

[1] АСКАК, XII, стр. 1330 — 1331.

თოებას — კრედიტის მნიშვნელობისა და როლის გაზრდის გზითაც.

ეს იდეები და მიზანდასახულობანი მშვენივრად აქვს გამოთქმული კავკასიის ნამესტნიკის გენერალ-ფელდმარშალ მ. ს. ვორონცოვის უახლოეს თანამშრომელსა და დროებით შემცვლელ გენ. რეადს, რომელიც მოსკოვის გენ.-გუბ. გრაფ ზაკრევსკისადმი 1854 წლის 15 დეკემბერს გაგზავნილ მიმართვაში წერს:

„თბილისელ ვაჭართა უმთავრესი სავაჭრო ოპერაციები ამიერკავკასიისათვის და ირანში გასასაღებლად საქონლის ბითუმად შესყიდვისა წარმოებს მოსკოვში და მთელი წარმატება ამ ოპერაციებისა და შემდგომი გაფართოება მშობლიური ვაჭრობის ამ თვალსაჩინო დარგისა თითქმის მთლიანად დამოკიდებულია კრედიტისაგან, რომლითაც სარგებლობენ ამიერკავკასიელი ვაჭრები მოსკოველ ვაჭრებთან და ფაბრიკანტებთან. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში აქაური ვაჭრებისადმი კომერციული ნდობა მნიშვნელოვნად შეირყა, ამ ვაჭართა კომერციული შეუძლობის არაიშვიათი მაგალითებისა და აგრეთვე იმის გამო, რომ ზოგიერთი მათგანი თავს არიდებს აღებულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერ და დროულ შესრულებას. ამ ბოროტების მოსპობისა და კომერციული კრედიტის აღდგენის მიზნით თბილისში დაარსებულ იქნა კომერციული სასამართლო“.

ამგვარად, აქ უკვე თქმულია, თუ რა ამოცანა დაუსახა ხელისუფლებამ თბილისის კომერციულ სასამართლოს; მაგრამ გენ. რეადი იქვე დასძენს, რომ „ამ მხარის სიშორისა და აქაურ დაწესებულებათა შესახებ ცნობების უქონლობის გამო მოსკოველ ვაჭრებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს ათვისება მთავრობის ამ ახალი კეთილმოქმედებისა. ხშირი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ისინი თავიანთი მოთხოვნებით მიმართავენ არა იმ წესით და არა იმ ადგილებში, სადაც კანონისამებრ უნდა მიმართავდნენ, რის გამოც ეს მოთხოვნებიც ვერ პოულობენ დროულ დაკმაყოფილებას და, ამგვარად, წინანდებურად იწვევენ, თუმცა არასამართლიან, მაგრამ მიუხედავად ამისა,

კრედიტისათვის არა ნაკლებ მავნე, უკმაყოფილებას და უნდობლობასო“ [1].

იმისათვის, რათა მოსკოველ ვაჭრებს თბილისის კომერციული სასამართლო წარმოედგინათ არა როგორც მხოლოდ ახალი სასამართლო დაწესებულება, „არამედ როგორც დაწესებულება, რომლის გარკვეულ მიზანს წარმოადგენს მყარ საფუძვლებზე განამტკიცოს ადგილობრივი კომერციული სავაჭრო კრედიტი და უზრუნველყოს კეთილსინდისიერება კომერციული ოპერაციებისა“, — და იმ მიზნით, რათა მოსკოველ ვაჭრებს თვით მოსკოვში შეძლებოდათ პოვნა ისეთი პიროვნებისა, რომელსაც საშუალება ექნებოდა მიეცა მათთვის ამ „შორეულ და უცნობ მხარეში“ თავიანთი ინტერესების დასაცავად საჭირო ყოველგვარი აუცილებელი ცნობები და დარიგებანი და რომელსაც შეეძლებოდა ემსახურა, როგორც „ნახევრად ოფიციალურ შუამავალს“, ამიერკავკასიაში მოსკოველი ვაჭრების საქმეთა მდგომარეობისა, მსვლელობისა და მშვიდობიანი საშუალებით დამთავრების შესახებ ცნობათა მიწოდებისათვის, — გენ. რ ე ა დ მ ა 1854 წლის მიწურულს მოსკოვში მიავლინა თბილისის კომერციული სასამართლოს შტატგარეშე თანამშრომელი კოლეგსკი ასესორი თავ. მ ი ხ ე ი ლ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს ძ ე მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი (ბაგრატიონ-მუხრანსკი).

საინტერესოა ის ინსტრუქციაც, რომელიც გენ. რ ე ა დ მ ა მისცა ზემოხსენებული მიზნით მოსკოვს მივლინებულ მიხ. კ. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ს: „თქვენ გევალებათ მთელი თქვენი მივლინების განმავლობაში თვალყური ადევნოთ ამიერკავკასიელ და სხვა გუბერნიების ვაჭართა შორის მოსკოვში სავაჭრო ურთიერთობას, და იმ შემთხვევაში, როდესაც მათი გარიგებების გარშემო წარმოიშვება რაიმეგვარი დავა, რომელსაც შეიძლება სჭირდებოდეს სასამართლოს ხაზით გარჩევა, მისცეთ მათ დარიგებანი, თუ სახელდობრ რომელ დაწესებულებებს უნდა მიმართონ მათ თავიანთი ძიებით, და რა წესებთან და ფორმებთან იქნება სახელდობრ დაკავშირებული ამ დავებზე

[1] АСКАК, XI, № 824, стр. 835 — 6.

საქმეთა წარმოება; — შესაფერ შემთხვევაში შენ გამოითხოვდე ხოლმე თბილისის კომერციული სასამართლოს თავმჯდომარისაგან ისეთ ცნობებს, რომელიც საჭირო იქნება მოდავე მხარეთათვის; — საერთოდ უნდა ცდილობდე დაახლოებას ამიერკავკასიის მცხოვრებლებთან მოვაჭრე პირებთან, უნდა აწვდიდე მათ ზუსტ ცნობებს შესახებ ამიერკავკასიაში არსებულ დაწესებულებათა, რომლებიც იცავენ ვაჭრობის სისწორეს (წესებს) და შესახებაც იმ საშუალებათა, რომელთაც კანონი ანიჭებს ამ საქმეში თავის უფლებათა დასაცავად, როდესაც მას ა რ ღ ვ ე ვ ს რომელიმე მხარე“ [1].

თუ როგორ მიმდინარეობდა თბილისის კომერციული სასამართლოს მოღვაწეობა მოგვეპოვება შემდეგი ცნობები: 1854 წლის 1 იანვრიდან, მაშასადამე, დაარსების დღიდან, ვიდრე 1860 წლამდე, ე. ი. 6 წლის განმავლობაში სასამართლოში განსახილველად შემოვიდა სულ 1492 საქმე, რომელთაგან ორივე მხარის მორიგებით დამთავრდა 492, სასამართლოს გადაწყვეტილებით — 718, შუამავალთა მიერ გარჩევით — 200, ხოლო 80 საქმე კი გადაუწყვეტელი დარჩა 1860 წ. 1 იანვრისათვის, მხოლოდ იმის გამო, რომ მათ გარშემო გამოთხოვილი ცნობები კიდევ არ იყო მიღებული სასამართლოში.

თბილისის კომერციულ სასამართლოში შემოსული საქმე ირჩეოდა სიტყვიერი (ზეპირი) წესით, რაც ხელს უწყობდა საქმის დაჩქარებას. ამ სასამართლოს როლისა და მნიშვნელობის შესახებ გენ. ფელდმარშალი თავ. ა. ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ამ დაწესებულების დაარსებამ მნიშვნელოვანი ზომით მიაღწია თავის მიზანს, რის გამოც არა მარტო თბილისის, არამედ მთელი ამიერკავკასიის ვაჭართა შორის განმტკიცდა ნდობა ამ დაწესებულებისადმი და რაც კიდევ მნიშვნელოვანია „თუ სავსებით არა, ყოველ შემთხვევაში დიდი ზომით შემცირდა არაკეთილსინდისიერ მოქმედებათა შემთხვევები სავაჭრო ბრუნვებში“. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ყირიმის ომის

[1] АСКАК, XI, № 824, стр. 836.

გამო ერთბაშად შეწყდა ვაჭრობა თურქეთთან და სავაჭრო ნაოსნობა შავ ზღვაზე—„თბილისში თითქმის არ ყოფილა შემთხვევები მნიშვნელოვან გაკოტრებათა, მაშინ როდესაც ეს შემთხვევები, კომერციული სასამართლოს გახსნამდე, ყოველწლიურად უფრო და უფრო ჩვეულებრივი ხდებოდა და ამასთანავე გაკოტრებულთა დავალებების სიდიდე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა“ [1]. ასეთია კავკასიის ადგილობრივი ხელისუფლების მეთაურის შეფასება თბილისის კომერციული სასამართლოს მოღვაწეობისა.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, თბილისის კომერციული სასამართლოს დაარსებით, ისე როგორც კომერციული ბანკის დაარსებითაც, რამდენადაც საამისოდ ნიადაგი შექმნილად მიაჩნდა — მეტროპოლიის ხელისუფლება მიზნად ისახავდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, და ამ გზით კიდევ ირან-თურქეთში რუსული სავაჭრო კაპიტალის გაბატონებას, მაშასადამე, ამ ქვეყნებში რუსული მანუფაქტურებისა და ფაბრიკებისათვის გამსაღებელი ბაზრების შექმნას.

ამასთანავე თბილისის კომერციული სასამართლო, როგორც ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა კომერციული კრედიტის განვითარებასა და განმტკიცებას, უნდა წარმოვიდგინოთ როგორც უშუალო წინამსრბოლი ამიერკავკასიაში, ე. ი. თბილისში კომერციული ბანკის დაარსებისა.

* * *

როგორც საყოველთაოდ ცნობილია კომერციული კრედიტის, — ე. ი. იმ კრედიტის, „რომელსაც რეპროდუქციის პროცესში მოსაქმე კაპიტალისტები აძლევენ ერთმანეთს“ [2], — განვითარება სავსებით დამოკიდებულია საქონლით ვაჭრობის განვითარების დონესთან.

ჩვენში სწორედ საქონლით ვაჭრობის და მისი ატრიბუტების სათანადო ზომით განუვითარებლობა იყო მიზეზი კო-

[1] АСКАК, XII, стр. 1330 — 1331.

[2] კ. მარქსი — „კაპიტალი“, III, II, 356.

შერციული კრედიტის ჩამორჩენილობისა, და მანამ სანამ საქონლით ვაჭრობის განვითარების დონემ ჯეროვან სიმაღლეს არ მიაღწია უშედეგოდ ჩაიარეს თვით ადგილობრივი ხელისუფლების თუ კერძო პირთა ცდებმა თბილისში კომერციული ბანკის დაარსებისაკენ რომ იყვნენ მიმართული; მეორეს მხრივ, მე-19 საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის თბილისში კომერციული ბანკის დაარსება, თვით თბილისელი ვაჭრებისავე მიერ, იმას მოწმობს რომ ამ დროისათვის როგორც კაპიტალისტურმა თაოსნობამ საერთოდ, ისე კერძოდ ვაჭრობამაც განვითარების მნიშვნელოვან დონეს მიაღწია, — რასაც ჩვენ ნათლად დავინახავთ ვაჭრობის ევოლუციისათვის მიძღვნილ მონოგრაფიაში.

ვაჭრობისა და კრედიტის მსოფლიო ისტორია გვიმტკიცებს, რომ კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების პირველ პერიოდში, ბურჟუაზიული თაოსნობის გენეზისის ხანაში, კომერციული ბანკები საერთოდ ატარებდნენ უპირატესად ინდივიდუალური ბანკების ხასიათს; ეს ინდივიდუალური ბანკები იმავე დროს იყვნენ აგრეთვე ფულის დამხურდავებელი კანტორებიც, ზარაფხანებიც და შესაბამისად პირველ „ბანკირებად“ ზარაფები გამოდიოდნენ[1].

ასეთი ზარაფები მე-19 საუკუნეშიაც მრავლად მოიპოვებოდნენ: თბილისს, ახალციხეს, ქუთაისს, სიღნაღს, ერევანს, ბაქოს, განჯას, შემახიაში და სხვ. მაგალითად, მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში ამიერკავკასიაში და აქედან ირანსა და რუსეთშიც ცნობილი იყო თბილისელი ზარაფი ანუ მაშინდელი „ბანკირი“ ბეგთაბეგაშვილი (ბეგთაბეგოვი); იგი იმდროინდელი თბილისის ნამდვილი მაგნატი იყო, მეთაურობდა თბილისელ დიდვაჭართა ამქარს და პირდაპირ კარნახობდა თბილისში ფულის კურსსა და საქონლის ფასებსაც-კი[2].

---

[1] Лексис,—„Кредит и банк“, 1923. М.; Витгерс, „Денежный рынок“, 1923. М.; „Банковая энциклопедия“, 1914. Киев, I.

[2] იხ. აქვე, „ფულის მიმოქცევა საქართველოსა და ამიერკავკასიაში“.

მაგრამ, როგორც საფიქრებელია, არც ბეგთაბეგაშვილს და არც სხვა იმდროინდელ და მერმინდელ თბილისელ ზარაფებს, რეფორმამდელი პერიოდისა, არ ჰქონდათ უცხოეთთან რეგულარული უშუალო კავშირი და არც სარგებლობდნენ უცხოეთის საკრედიტო ორგანიზაციების მტკიცე ნდობით. ფრანგი ნეგოციანტი კასტელა, რომელმაც თბილისში და საერთოდ ამიერკავკასიაში კარგა ხანი იცხოვრა, 1828 წელს იმპერიის ფინანსთა მინისტრს გრაფ კანკრინს სწერდა, რომ თბილისელ „ეგრეთ წოდებულ ბანკირებს (ზარაფებს) არა აქვთ არავითარი კავშირი და კრედიტი საზღვარგარეთ, რის გამოც ვაჭრები, რომლებიც აქ მოგზაურობენ იძულებული არიან თან იქონიონ ნაღდი ფულიო“ [1].

ბეგთაბეგაშვილის მსგავსი ზარაფები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისა, რეფორმის მერმინდელ ხანებში ნელ-ნელა გადაიქცნენ ნამდვილ ბანკირებად, მათ, განსაკუთრებით თბილისში, გახსნეს ინდივიდუალური საბანკო კანტორები.

ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება სათანადო ცნობები ამ, ე. წ. ინდივიდუალური ბანკების ცალკე ერთეულების წარმოშობისა და მოღვაწეობის შესახებ [2]. ვიცით მხოლოდ, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის თბილისში მოქმედებდა შემდეგი ინდივიდუალური საბანკო კანტორები: ი. ა. ჩითახოვისა, ი. ა. ემინოვისა, ი. კ. მუხრან-ბატონისა [3], გ. გ. ბარუჩევისა, კასტუმოვისა და ცოვიანოვისა.

---

[1] კასტელას მოღვაწეობის შესახებ ვრცლად იხ. პ. გუგუშვილი, „მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში“ 1939. თბ. (მკსი ტ. 111).

[2] კომერციული კრედიტისა და ინდივიდუალური ბანკების ჩანასახების ისტორიისათვის იხ. აქვე, მონოგრაფია „მეევახშეობის განვითარების შესახებ“.

[3] 1833 წელს ივ. მუხრან-ბატონის ინდივიდუალურმა საბანკო კანტორამ ანუ „სავაჭრო სახლმა“: „ოპერაცია ბანკისა შეაჩერა იმ მიზეზით, როგორც ვფიქრობთ, სანამ გასესხებულ ფულებს არ მოუყრის თავს, მანამ ვერ აძლევს წინანდელს მსვლელობას და წარმოებას თავისს სავაჭრო სახლსო“,—იტყობინებოდა გაზ. „დროება“ (1883 წ. № 135.)

ინდივიდუალური საბანკო სახლები ანუ კანტორები იმავე ოპერაციებს აწარმოებდნენ, როგორსაც აქციონერული კომერციული ბანკები; მხოლოდ ინდივიდუალური საბანკო კანტორების ოპერაციები შედარებით მცირე ზომისა და მასშტაბისა იყო. ამ ერთპიროვნულ საბანკო სახლებს არ ჰქონდათ წესდება და ისინი არც იყვნენ ვალდებული ეწარმოებიათ საჯარო ანგარიშგება.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიაში თვით ოთხმოციანი წლების მიწურულამდე არ არსებობდა არავითარი კანონმდებლობა ამგვარ საკრედიტო დაწესებულებათა შესახებ. მხოლოდ 1889 წლის 26 ივნისს გამოცემულ იქნა დებულება საბანკო სახლებისა და კანტორების შესახებ; ამ დებულებამ ფინანსთა მინისტრს მიანიჭა უფლება ამგვარი საბანკო კანტორების მეპატრონეთაგან დავთრებისა და სხვა დოკუმენტების მოთხოვნისა, საერთოდ მათს. ოპერაციებზე ერთგვარი კონტროლის გაწევისა და მათთვის ამა თუ იმ საბანკო ოპერაციის აკრძალვისა. ამიერიდან დაწესებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამ ბანკირთა მიერ უკანონო ოპერაციების წარმოებისათვის. 1894 წ. 3 ივნისის კანონით კიდევ უფრო გაფართოვდა ფინანსთა მინისტრის კონტროლი ამგვარი ბანკების მიმართ. მინისტრს შეეძლო გაეცა განკარგულება ამ ბანკების მოულოდნელი რევიზიის შესახებაც[1].

ინდივიდუალური ბანკები უკვე უშუალო წინამორბედია კომერციული ბანკებისა. თბილისის კომერციული ბანკის წარმოშობისათვისაც ნიადაგი სწორედ ამ ინდივიდუალური ბანკების მეოხებით იქნა მომზადებული.

* * *

პეტერბურგში სახელმწიფო კომერციული ბანკი დაარსებულ იქნა 1818 წელს, მან შესცვალა ასიგნაციურ ბანკთან არსებული, ე. წ. „სადისკონტო კანტორა“. კომერციული

[1] П. Х. Спасский, „Ист. кред. учрежд. в России“, 1911, стр. 303.

ბანკის მიზანი იყო დახმარებოდა ვაჭართა წოდებას და ხელი შეეწყო საერთოდ კომერციული თაოსნობის განვითარებისათვის. იგი აწარმოებდა შემდეგ ოპერაციებს: ანაბართა მიღებას შესანახად, თამასუქების დისკონტს (учет) და გირავნობით სესხის გაცემას. კომერციული ბანკის განყოფილებები თანდათან გაიხსნა მოსკოვს, ასტრახანს, კიევს, ხარკოვს, ეკატერინბურგს, ნოვგოროდს, ირბიტს, პოლტავას და სხვ.[1].

სახელმწიფო კომერციული ბანკი ამ სახით განაგრძობდა თავის მოქმედებას, — ვიდრე ორმოცდაათიანი წლების მიწურულს მთელი იმპერიის მასშტაბით ჩატარებულ საფუძვლიან ფინანსურ და საკრედიტო რეფორმამდე. 1860 წ. დაარსებულმა სახელმწიფო ბანკმა[2] დაიკავა ლიკვიდირებული სახელმწიფო კომერციული ბანკის ადგილი. ამის შემდეგ, ახალი კანონმდებლობით კომერციული ბანკი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კერძო, აქციონერული, ბანკი. 1864 წელს დამტკიცებულ იქნა წესდება პეტერბურგის პირველი აქციონერული (კერძო) კომერციული ბანკისა[3].

ამიერკავკასიაში, კერძოდ თბილისში კომერციული ბანკის დაარსების საკითხი პირველად დაისვა XIX-ე საუკუნის მესამე ათეულის მიწურულს. როგორც ცნობილია, 1822—1831 წწ. საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეღავათიანმა ვაჭრობამ და ტრანზიტმა დიდად შეუწყო ხელი კომერციული თაოსნობის განვითარებას. სწორედ ამ ხანებში წამოიჭრა პირველად საჭიროება და საკითხიც თბილისში კომერციული ბანკის დაარსებისა.

აღორძინების გზაზე შემდგარი ვაჭრობის შემდგომ განვითარებას მეტად აბრკოლებდა საერთოდ ფულის ტრიალის მოუწესრიგებელი (ჩამორჩენილი) მდგომარეობა და კერძოდ თითქმის არქაულ ვითარებაში გაყინული კრედიტი. როგორც საერთოდ, ჩვეულებრივად, ისე ჩვენშიც, არსებულ მდგომა-

[1] „Банковая энциклопедия", под ред. Яснопольского, 1914. Киев, т. I.

[2] В. Судейкин, „Государственный банк", 1891, СПВ.

[3] „Банковая Энциклопедия", I, 271 — 272.

რეობაში გაბატონებული იყო მევახშეობა. მევახშეები ფრიად დიდ სარგებელს მოითხოვდნენ, რაც აუტანელი იყო ვაჭრობისა და საერთოდ ყოველგვარი მეურნეობრივი თაოსნობა-მესარეწეობისათვის.

კრედიტის ჩამორჩენილობა აშკარა და საგრძნობი იყო არა მარტო უშუალოდ კომერციულ საქმიანობაში ჩაბმული ადამიანებისათვის, არამედ ხელისუფლებისათვისაც, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა განვითარებია ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა, რათა ხელი შეეწყო რუსეთის სავაჭრო კაპიტალისათვის ამიერკავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებაში. სწორედ ასეთი მოტივებით ამოძრავებული საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი გენ. სიპიაგინი 1828 წ. იმპერიის ფინანსთა მინისტრს წერდა, რომ ამიერკავკასიაში ვაჭრობის განვითარებას ხელს უშლის დიდი მევახშური სარგებელი (%%).

გენ. სიპიაგინი აღნიშნავდა რომ „საქართველოს ვაჭრები. რომლებიც იძულებული არიან თავიანთი კომერციული ბრუნვებისათვის კერძო პირებისაგან ისესხონ ფულები, წლიურად იხდიან ჩვეულებრივად 30 და უფრო % მანეთისათვის. კისრულობენ რა ვალდებულებას ნასესხები თანხები გადაუხადონ მათ (კრედიტორებს) დანიშნულ ვადაზე, ისინი (ვაჭრები) იძულებულნი არიან ასწიონ საქონლის ფასები, რათა ამოიღონ კაპიტალი, პროცენტები, და, გარდა ამისა, საკუთრად თავიანთთვისაც მიიღონ რაიმე სარფა“. მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუძლია მიმართოს ამის წინააღმდეგ რაიმე ღონისძიებას, რადგან „ვაჭრები, — როცა მათ მთავრობა მოუწოდებს ზომიერი ფასებისაკენ — მოაგონებენ იმ დიდი სარგებლის შესახებ, რომელსაც ისინი უხდიან ფულადი კაპიტალის მფლობელებს“. ხოლო თუ მთავრობას ნამდვილად სურს ფასების დაწევა, ამისათვის საჭიროა, რათა მან თვითონ მისცეს ზომიერი სარგებლით სესხი ვაჭართა კლასსო.

ყოველივე ამის გამო კი სიპიაგინი წერს: „აუცილებლად მიმაჩნია თბილისში დაარსება კო-

მერციული ბანკისა ანუ მისი განყოფილებისა"[1], — იმ წესებითა და საფუძვლით როგორაც ისინი არსებობენ რუსეთშიო. ამასთანავე, სიპიაგინი გრაფ კანკრინს არწმუნებს რომ, ამ გზით ხაზინაც, მიიღებს რა უტყუარ სარგებელს ამ საქმისათვის ასიგნებული კაპიტალიდან, მოიპოვებს მნიშვნელოვან მოგებასო.

კომერციული კრედიტის მოწესრიგებაში დაინტერესებული იყვნენ არა მარტო ადგილობრივი ვაჭრები და ხელისუფლება, არამედ — და იქნებ სხვებზე უფროც, — უცხოელი ნეგოციანტებიც, რომლებიც ბლომად ჩნდებიან ამ პერიოდიდან ამიერკავკასიაში, უმთავრესად, როგორც ისევ რუსეთის კაპიტალის აგენტები. იმავე 1828 წელს ფრანგი ნეგოციანტი კასტელა, — თბილისში აბრეშუმის პირველი მანუფაქტურის ორგანიზატორი, — თავის მფარველ ფინანსთა მინისტრს გენ.-ლეიტ. კანკრინს წერს, რომ „მიზეზით მაღალი პროცენტებისა, რომელსაც იხდიან საქართველოში, სავაჭრო ბრუნვები მეტად შეფერხებულია (გაძნელებულია), ხოლო ფასები საქონელზე-კი მაღალია. ამასთანავე იქაურ ეგრეთწოდებულ ბანკირებს (ზარაფებს) არა აქვთ არავითარი კავშირი და კრედიტი საზღვარგარეთ, რის გამოც ნეგოციანტები (ჩამოსული ვაჭრები) იძულებული არიან თან ატარონ ნაღდი ფულები, რაც აგრეთვე ხელს უშლის ამ მხარეში ვაჭრობის განვითარებასო".

ყოველივე ამის გამო კასტელა მეტად საჭიროდ და სასარგებლოდ სთვლის თბილისში კომერციული ბანკის დაარსებას. კასტელას გეგმით ამ ბანკს უნდა ჰქონოდა ღონისძიება და უფლება: 1. გაეცა თამასუქები და აკრედიტივები რუსეთის და საზღვარგარეთის ქალაქებში მყოფ ბანკებზე, — მათთვის ნაღდი ფულის გადახდით; 2. ქონებისა და საქონლის გირავნობით სესხის გაცემისა; 3. სარგებელზე (%%) ანაბრების მიღებისა[2].

---

[1] АСКАК, VII, № 117, стр. 156 — 7.
[2] АСКАК, VII, № 119, стр. 159.

ამავე 1828 წელს გენ. სიპიაგინი კვლავ უბრუნდება თბილისში კომერციული ბანკის დაარსების საკითხს, — ესოდენ საგრძნობი ყოფილა, როგორც ჩანს, აქ მისი საჭიროება, და კანკრინს ატყობინებს რომ:

„ამჟამად საქართველოში ვაჭრობა და ადგილობრივი მეწარმეობა ისეთი ძალით ვითარდება, რომ არასაკმარისობა ფულისა, რომელიც იმყოფება სახალხო მიმოქცევაში მტკიცდება ყოველდღიური გამოცდილებით; რადგან შეუწყვეტელი გამრავლებით მიწათმოქმედების ნაწარმოებისა და შემოტანილი საქონლისა იზრდება ფულზე სარგებელი (%%), რისი დაწევა ახლანდელი მდგომარეობის პირობებში არ შეიძლება მოხერხდეს სხვა გზით თუ არა კრედიტის მეოხებით“. გენ. სიპიაგინი შუამდგომლობდა თბილისისათვის ამ აუცილებელ კომერციულ ბანკს მისცემოდა ძირითადი კაპიტალის სახით მხოლოდ: 100.000 მანეთი ვერცხლით, 500.000 მანეთი ასიგნაციით და 50.000 ჰოლანდური ჩერვონეცი (ჰოლანდური ჩერვონეცის კურსი თბილისში ამ დროს უდრიდა 3 მან. ვერცხლით).

მაგრამ უცხოელ ნეგოციანტთა (სოვდაგრების) მიერ ამოძრავებული ადგილობრივი ხელისუფლების მისწრაფებას, რომ თბილისში დაეარსებიათ კომერციული ბანკის კანტორა, რათა ამ გზით ხელი შეეწყოთ ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და ტრანზიტის შემდგომი განვითარებისათვის, უცხოეთის ვაჭრების და უცხოეთის საქონლის მოზიდვისათვის, სულ სხვა თვალსაზრისით უყურებდა შიგა რუსეთის მბრძანებელი კაპიტალი, რომლის ერთგული მსახური, იმპერიის ფინანსთა მინისტრი კანკრინი ზედიზედ უარყოფს თბილისში კომერციული ბანკის დაარსების იდეას.

ფინანსთა მინისტრის მოსაზრებებში, თუ რა მოტივით უარყოფს იგი თბილისში კომერციული ბანკის დაარსებას, ასე აშკარად ჩანს არსი მეტროპოლიის მთელი კოლონიური პოლიტიკისა. სიპიაგინისათვის გაგზავნილ საპასუხო წერილში კანკრინი, კვლავ უარყოფს რა თბილისში კომერციული ბანკის დაარსების იდეას, იტყობინება თავის მოტივებსაც, თუ რატომ მივიდა იგი ამ დასკვნამდე. კანკ-

რ ი ნ ი წერს, რომ თბილისში კომერციული ბანკის დაარსება ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან „საქართველოს ვაჭართა კლასს ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია სათანადო ხარისხამდე ევროპული ცივილიზაციისა, რის გამოც თამასუქების დისკონტით გაცემული სესხის დაფარვის იმედი დიდად საეჭვო ხდება“. გარდა ამისა, კ ა ნ კ რ ი ნ ს უდიდეს დაბრკოლებად მიაჩნდა ისიც, რომ თანახმად 1801 წ. მანიფესტისა საქართველოში სამოქალაქო სამართალში ჯერ კიდევ დატოვებული იყო ადგილობრივი (ვახტანგ VI) კანონმდებლობა, რაც ვერ ეგუება იმპერიაში მოქმედ სათამასუქო წესდებას, რომლის საფუძველზე წარმოებს ხოლმე რუსეთში საბანკო კანტორებიდან თამასუქებზე ფულის გაცემის ოპერაციები.

მაგრამ ყველა ეს დაბრკოლება, ცხადია, უმნიშვნელო და თანაც ადვილად ასაცილებელი იყო, იმ ნამდვილ და მთავარ მიზეზთან შედარებით, რომელსაც როგორც არა არსებითს, სხვათაშორის და ბოლოს გამოსთქვამს კ ა ნ კ რ ი ნ ი; ეს ისაა, — და ამის უშუალოდ იმპერატორისათვის მოხსენებაც მინისტრს არ დაუყოვნებია, — რომ თბილისში ნავარაუდევი კომერციული ბანკიდან სესხის გაცემა უცხოეთის საქონლის გირავნობით გამოიწვევდა თბილისში უცხოეთის საქონელზე ფასის აწევას და ამასთანავე რუსი ვაჭრების უცხოეთის ვაჭრებისადმი აშკარა დამოკიდებულებაში ჩავარდნას. მეორეს მხრივ, თბილისში დაგროვდებოდა უცხოეთის დიდძალი საქონელი, რაც აქედან უფრო ფართოდ გაიკაფავდა რა გზას აღმოსავლეთისაკენ, — ხელს შეუწყლიდა აზიასთან რუსეთის ვაჭრობას, ხოლო ევროპის ვაჭრობას (ლაიპციგის იარმარკის თბილისთან მეტად დაახლოების მეოხებით) კიდევ უფრო გააფართოებდა.

მთელი ეს თავისი მოსაზრებები, ვიდრე გენ. ს ი პ ი ა გ ი ნ თ ა ნ იქონიებდა ამის შესახებ მსჯელობას, ფინანსთა მინისტრმა მოახსენა თვით იმპერატორს, რომელმაც თბილისში კომერციული ბანკის გახსნის შესახებ, ბრძანა: „Отложить сей предмет до дальнейшего усмотрения“ [1].

[1] АСКАК, VII, № 127, стр. 168 — 169.

ამგვარად, თბილისში კომერციული ბანკის დაარსების საკითხი, რომელიც წამოიჭრა 1828 წელს, იმავე წელს დამთავრებული მიმოწერის შედეგად, გაურკვეველი ვადით გადადებულ იქნა როგორც მომავლის საქმე. ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, სულ მალე აღიკვეთა ამიერკავკასიაში შეღავათიანი ვაჭრობა და ტრანზიტი, რამაც მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში შეაფერხა ადგილობრივი ვაჭრობისა და მრეწველობის შემდგომი განვითარების ტემპები.

ერთის სიტყვით, მას შემდეგ მხოლოდ 1842 წელს დაისვა კვლავ საკითხი თბილისში კომერციული ბანკის კანტორის დაარსების შესახებ. ამიერკავკასიის მძართველობისათვის სენატორ ე. გ ა ნ ი ს მიერ შეთითხნილი მრავალცოდვილი გეგმის პრაქტიკაში დისკრედიტიზაციის შედეგად რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში არსებული ვითარების შესასწავლად მოავლინა სტატს-სეკრეტარი პ ო ზ ე ნ ი. უკანასკნელმა როგორც მოსალოდნელიც იყო, სხვათა შორის ყურადღება მიაქცია ამიერკავკასიაში ვაჭრობის მდგომარეობასაც და მის გასაუმჯობესებლად მისაღებ ღონისძიებათა თვის ადგილობრივ საბაჟო სამმართველოს უფროს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს თავ. მიხ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს (ბარათაევს) მიანდო შეემუშავებია საკუთარი მოსაზრებები.

სწორედ ამ მიზ. ბარათაშვილმა 1842 წელს წამოაყენა მოსაზრება დაეარსებიათ თბილისში კომერციული ბანკის კანტორა.

სტატს-სეკრეტარ პ ო ზ ე ნ მ ა თავ. ბარათაშვილის მოსაზრებანი წარუდგინა განსახილველად ფინანსთა მინისტრს. ფინანსთა სამინისტრომ ახლაც, როგორც თხუთმეტიოდე წლის წინათ, თბილისში კომერციული ბანკის დაარსება არ დაინახა საჭიროდ, რადგან კომერციული ბანკის კანტორისათვის აუცილებელია: „წესიერი ვაჭრობა, განმტკიცებული და ღრმად ფესვებგადგმული ვაჭრული სინდისიანობა და სხვა პირობები, რომელთა არასაკმაოდ განვითარებამ ასტრახანში გამოიწვია გაუქმება[1] იქაური კანტორისა,

[1] ასტრახანის კომერციული ბანკის შესახებ იხ. სცსს, მია, ფონდი № 8, КІТ, 1821 წ. საქმე № 911, ფურც. 37

რამაც შედეგად მოიტანა მხოლოდ დიდი ზარალი ხაზინისათვის და თვით ვაჭრობის აბნეულობა და შეფერხება, რადგან გაბედული სპეკულანტები ხაზინის ფულის დახმარებით ვნებდნენ მხოლოდ დამფუძნებელ ნეგოციანტებს".

ამის შემდეგ სტატს-სეკრეტარი პოზენიც, — თუმცა იგი არ ეთანხმება ფინანსთა მინისტრს, რომ ვითომ ამიერკავკასიის სავაჭრო ურთიერთდამოკიდებულება ისეთივე იყოს როგორიც ასტრახანისა, — ეთანხმება მინისტრის მოსაზრებას, რომ თბილისში კომერციული ბანკის კანტორის დაარსება იქნებოდა არა თანადროული, რამდენადაც „კომერციული ბანკების ოპერაციები უმთავრესად გამოიხატება ვაჭართა თამასუქების დისკონტში, ხოლო ამიერკავკასიაში არ არის არც ვაჭართა კლასი, არც წესიერი ვაჭრობა, არც სავაჭრო კრედიტიო". მაგრამ მიუხედავად ამისა პოზენს აუცილებლად მიაჩნია რომ აქ „გაადვილებულ იქნეს საშუალებები ფულის სესხად აღებისა უძრავ ქონებათა მფლობელთათვის და საერთოდ ხელისუფლებამ იმოქმედოს ხაზინის საკრედიტო დაწესებულების მეოხებით იმ მიმართულებით, რათა შემცირებულ იქნას უზომოდ გაზრდილი სარგებელი (%%), რომელიც არსებობს იქ აზიური ბატონობის (ხელისუფლების) დროიდან მოკიდებული და რომელსაც გარკვეული ზომით მფარველობს ვახტანგ VI კანონებიც"[1]. დასასრულ, პოზენი აღნიშნავს, რომ ასეთი ღონისძიება მისი აზრით შეიძლება განხორციელებულ იქნას საქართველოში უკვე არსებული საქართველო-იმერეთის საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიოს („პრიკაზის") უკეთესად მოწყობის, კერძოდ მისი საკრედიტო მოღვაწეობის გაუმჯობესების სახით.

მიხ. ბარათაშვილის შემდეგ თბილისში სახელმწიფო კომერციული ბანკის დაარსების აუცილებლობა კვლავ წამოაყენა კავკასიის პირველმა ნამესტნიკმა მ. ს. ვორონცოვმა. თავის ანგარიშგებით მოხსენებაში, 1846 წლის დასაწყისს,

[1] „Об учреждении в Тифлисе конторы или отделения коммерческого банка". УЦГАЛ. ф. К. К. 1843 г. д. № 406 б, л.л. 12 — 13.

ვორონცოვი წერდა, რომ როგორც რუსეთის შიგა გუბერნიებთან, ისე უცხოეთთან სავაჭრო კავშირის განვითარების საქმეში დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს თბილისში კომერციული ბანკის განყოფილების არარსებობა. კომერციული ბანკი რუსეთის სხვა ადგილებზე უფრო აუცილებელია აქ. ვაჭრები მოკლებულნი არიან ყოველგვარ საშუალებას აწარმოონ თავიანთი კაპიტალების ტრიალი, და სიძნელეთა გარეშე გადაგზავნონ ისინი რუსეთსა და სხვა ადგილებში. ისინი, ძალიან ხშირად აუცილებლობით იძულებული არიან მიმართონ მევახშეებს, რომლებიც სარგებლობენ ვაჭართა დროებითი გაჭირვებით და ახდევინებენ მათ უზომო სარგებელს. ეს გარემოება კი მეტად არაკეთილსასურველ გავლენას ახდენს სავაჭრო ბრუნვაზე. მხედველობაში მქონდა რა ყოველივე ეს, ხელი მოვკიდე თბილისში კომერციული ბანკის განყოფილების დაარსების შესაძლებლობის დადგენის საქმეს და ვიმედოვნებ ამის შესახებ მოხსენებით მივმართო ფინანსთა მინისტრსო".

როგორც ცნობილია, ყირიმის ომის დამთავრებისთანავე რუსეთში დაიწყო გაძლიერებული ზრუნვა მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებისათვის. კავკასიის ნამესტნიკად ახლადდანიშნული თავ. ა. ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი ცდილობს იზრუნოს ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანისათვის.

ა. ბარიატინსკის განზრახული ჰქონდა რკინიგზა პირველ რიგში გაეყვანა სამუხსა და თბილისს შორის; მან ამ საქმის შესწავლა მიანდო თავ. კ ო ჩ უ ბ ე ი ს, რომელსაც დასავლეთ ევროპაში უნდა გამოენახა კაპიტალისტები, რომლებიც ხელს მოკიდებდნენ აქ რკინიგზის გაყვანის საქმეს.

თავ. კოჩუბეი 1857 წელს ა. ბარიატინსკის ატყობინებს, რომ ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანის საქმის თაობაზე მან მოლაპარაკება აწარმოვა ბანკირთა პარიზის კომიტეტთან, რომელშიც შედიოდნენ ბერინგი (ლონდონი), ჰოპი (ამსტერდამი), პერეირიე (პარიზი) და სხვ. ქალაქთა ბანკირები.

ეს „კაპიტალისტები, იტყობინება თავ. კოჩუბეი, ერთხმად აცხადებენ, რომ ევროპის ახლანდელი ფინანსური მდგომარეობა და ფულის კრიზისი, რისგანაც საერთოდ ყოველგვარი

საქმე შევიწროებულია... საშუალებას არ აძლევს მათ ხელი მოკიდონ ახალ წამოწყებას". ამიტომაც დას. ევროპელმა კაპიტალისტებმა კოჩუბეის ურჩიეს მიემართათ ადგილობრივი წყაროებისათვის. ხოლო ადგილობრივი სახსრების მობილიზაცია კი მოეხდინათ შესაბამისი ბანკის დაარსების გზით.

თვით თავ. კოჩუბეის შესაძლებლად მიაჩნია „კავკასიაში, რომელიც თავისი სიდიდითა და მწარმოებლურობის მრავალგვარობით სავსებით ამას იმსახურებს, დაარსებულ იქნას ადგილობრივი ბანკი, მსგავსი პოლონეთის ბანკისა, ანდა მსგავსი იმ ბანკებისა, რომლებიც არსებობენ მრავალ გერმანულ სახელმწიფოში" [1].

თავ. კოჩუბეი ფიქრობდა, რომ თბილისში დაარსებულ ამგვარ ბანკში „აღმოსავლეთის, თურქეთის, ირანის ყველა კაპიტალისტი, სომეხი ხალხის მეშვეობით, თავს მოიყრიდა ერთ ადგილას, — რუსეთის მთავრობის ძლიერებისა და მფარველობის მეოხებით".

ამგვარად, ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობის საქმემაც მთელი სიძლიერით დააყენა აქ ბანკის დაარსების საკითხი. რაც შეეხება თვით რკინიგზას, ამ მხრივ, კოჩუბეი ურჩევდა კავკასიის ნამესტნიკს, რათა აქ გამოეცადათ ცხენის გამწევ ძალაზე დამყარებული რკინიგზა (система железно-конных дорог), რომელიც მე ბელგიაში ვნახეო, რამდენადაც, „სიმძიმეთა გადაზიდვის ეს, ამერიკულად წოდებული, ხერხი სავსებით საკმარისია ამიერკავკასიისათვისო" [2].

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიაში რკინიგზების გაყვანა სავსებით სხვა დროსა და სხვა პირობებში დაიწყო. კოჩუბეის მიერ ნავარაუდევი ბანკიც, ცხადია, არ დაარსებულა.

ამის შემდეგ კიდევ დიდ დროს უნდა გაევლო სანამ მეტროპოლიის ხელისუფლება საჭიროდ და აუცილებლად დაინახავდა თბილისში კომერციული ბანკის დაარსებას. აქვე უნდა ითქვას, რომ თვით ხელისუფლების ხელმძღვანელობითა და ინიციატივით კომერციული ბანკები თავის დროზე დაარსე-

[1] АСКАК, XII, I, 565.

[2] იქვე, გვ. 566.

ბულ იქნენ მოსკოვს, პეტერბურგს და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებშიც; თბილისში-კი კომერციული ბანკის დაარსება არ მოხერხდა, სანამ ადგილობრივი ვაჭართა კლასი არ მომწიფდა იქამდე, რომ გარდა მნიშვნელოვანი კაპიტალებისა მათ მოიპოვეს ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალაც.

რეფორმებმა და განსაკუთრებით რკინიგზების გაყვანამ ფართო გასაქანი მისცა ბურჟუაზიულ თაოსნობას, რამაც ამიერკავკასიის მივარდნილი და მივიწყებული კუთხეების სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ბუნებრივი სიმდიდრე, ამა თუ იმ ზომით, გადაისროლა მსოფლიო ბაზარში და მით ტრიალში ჩაითრია სკივრებში შენახული მკვდარი ფულადი თანხებიც და ასწია ტემპი საერთოდ ფულის მიმოქცევისა, რამდენადაც გაზარდა მოთხოვნილება ფულზე, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტად გახადა.

ჯერ კიდევ რეფორმის წინაათეულ წლებში ისე დიდია ფულის გავლენა, რომ მას უმღერიან პოეტები; ფულის შეძენის სხვადასხვა საშუალებებზე წერენ ქართულ პერიოდულ გამოცემებში. ჩვენში ბურჟუაზიული თაოსნობის ცნობილი მბატვრული მესიტყვე ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ა რ დ ა ზ ი ა ნ ი, ავტორი „მეჯღანუაშვილისა“, 1859 წელს ჟურნ. „ცისკარში“ ბეჭდავს ლექსს: „ფულები“, რომელშიაც სხვათა შორის ვკითხულობთ:

„უწესოდ გაჩენილო, ურიცხვთ დასამხობელად,
იუდას სისხლით სვრილო, ბოროტად სახმარებლად,
კაცთა ამპარტავნების ამწეო მეტად მაღლად,
მაგრამ ამასთან ერთად კეთილს იქმ დიდათ მრავლად...

ბარემ ისევ ფულებო,
ვერცხლის სიამოვნებო,
ჩუენო თვალის სინათლევ,
გონების მიმტაცებო.

ხშირად გიყვარს სტუმრობა, მარად განურჩეველი.
ამაო ფუფუნება, ჟამი დაუდგრომელი,

კაცთ ბუნების აღმძვრელი და შურით აღმვსებელი
სიმართლის დამჩაგვრელი, კაცთ ზნეობის გამრყვნელი...

რა ვსთქვა? — ისევ ფულებო.
ვერცხლის სიამოვნებო,
ჩვენო თვალის სინათლევ.
გონების მიმტაცებო.

ყოვლნი სულნი გეტრფიან, გაქვს ესრეთი ბუნება.
არა გწამს მეგობრობა, არც ნათესავთ თვისება;
ახუალ ზევით, გეძლევა ხარისხი და დიდება;
საააქაოს ცხოვრება არს კაცთ ფულის მონება

რახან ასე, ფულებო (და სხვ.).

რაგინდ ვინმემ გაძაგოს, კვლავ და კიდევ ვართ შენი.
ლხინსა თუ ჭირვებაში შენ გიგალობს ხმა ჩვენი,
ბნელის ღამის გამნათო, უცნობის გზის მაჩვენი,
პყრობილთ ტყვეთ გამომხსნელო, — ფულებო არს დრო თქვენი

აბა ისევ, ფულებო (და სხვ.).

ძილი აღარ მოუვა, ვის ეწვევი სტუმრადა.
პირს ევლება მარად ჟამს მოღიმება ხშირადა.
მიხვალ, მიგდევს, ფულებო, რაზმი კარგი წყობითა.
მიხვალ, მიგდევს, მაგრამა ნუ თუ ღალატობითა?

თურმე ასე, ფულებო (და სხვ.).

ძლივს გავბედე, ფულებო, ამგვარი შენი ქება.
უმჯობეს ხარ ყველაზე ვერვინ შეგედარება,
რა არ ხელთა გიპყრიეს: შექცევა, შვება, ვნება.
ვინცა უმცირეს იყო, იგიც შენით შვენდება...“ [1]

თუ აქამდე მიაღწია ფულის გავლენამ რეფორმის წინა ხანებში, გასაგებია რა ფართო გასაქანი უნდა მისცემოდა მას რეფორმისა და განსაკუთრებით რკინიგზების გაყვანის პერიოდში და შემდეგ. და მართლაც, ბუნებრივად აუცილებელი მოვლენების ნიადაგზე უნდა მომხვდარიყო კრედიტის არსებულ ორგანიზაციათა გაფართოება და გადახალისება

[1] ჟურნ. „ცისკარი“. 1859 წ. № 9. გვ. 14 — 16

და ამასთანავე უნდა წარმოქმნილიყვნენ ახალი, უფრო ელასტიკური, საკრედიტო დაწესებულებანი. ამათ შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს თბილისში 1866 წ. სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნას და შემდეგ 1871 წ. თბილისის კომერციული ბანკის დაარსებას.

* * *

რამდენიმე შუამდგომლობამ თბილისელი ვაჭრებისა თბილისში კომერციული ბანკის დაარსების შესახებ — უშედეგოდ ჩაიარა, სანამ, უკანასკნელად, 1870 წლის მაისს თბილისის ვაჭართა წარმომადგენლები მიმართავდნენ თხოვნით თბილისის გუბერნატორს, რომ უკანასკნელს ეშუამდგომლა უმაღლესი ხელისუფლების წინაშე, რათა ნება მისცემოდათ მათ (ვაჭრებს) თბილისში კომერციული ბანკის გახსნისა, — იმპერიის სხვა ქალაქებში არსებული კომერციული ბანკების მიხედვით. იმავე 1870 წლის 29 მაისს კავკასიის ნამესტნიკის მთავარსამმართველოს უფროსი იმპერიის ფინანსთა მინისტრს. წერს რა ამის შესახებ, თანვე უგზავნის თბილისის კომერციული ბანკის წესდების პროექტს. სწორედ ერთი წლის გასვლის შემდეგ, სახელდობრ, 1871 წლის 28 მაისის თარიღით ფინანსთა მინისტრი იტყობინება, რომ „თანახმად სახელმწიფო საბჭოს მოსაზრებათა, იმპერატორმა 21 მაისს ინება დაემტკიცებია წესდება თბილისის კომერციული ბანკისა“ [1].

თბილისის ეს კომერციული ბანკი პირველი აქციონერული საზოგადოებაა (კომპანიაა) თბილისშიო, წერს გაზ. „კავკაზ“-ი [2], რომელსაც დავიწყებული აქვს თბილისში ჯერ კიდევ მე-19 საუკ. მეორე ათეული წლებიდანვე მრავლად წარმოშობილი აქციონერული საზოგადოებანი, რომლებიც საპნის ბუშტებივით ჰქრებოდნენ.

---

[1] იხ. სცსს, მია, Канц. Нам. Кавк. 1870 г. д. № 39.

[2] „Кавказ“, 1872 № 32. თბილისის კომერციული ბანკის ისტორიისათვის ძირითადი წყაროა საქ. ცენტრ. საარქივო სამმართველოს მთავარ საისტორიო არქივში დაცული ფონდი: „Тифлисский Коммерческий Банк“ (1871 — 1920 гг.).

თბილისის კომერციული ბანკის დამფუძნებელთა პირველი სხდომა მოხდა 1870 წ. 5 მაისს. შეგროვილი თანხები დამფუძნებლებმა თავდაპირველად შეიტანეს ი. მ. ცოვიანოვისა და ს. მ. მირიმანოვის, ხოლო შემდეგ მ. ე. თამამშევის ინდივიდუალურ საბანკო კანტორაში, საიდანაც ღებულობდნენ სარგებელს.

ბანკის წესდება, როგორც აღინიშნა, საბოლოოდ დამტკიცებულ იქნა 1871 წლის 21 მაისს. დამფუძნებელთა პირველი საერთო კრება შედგა 1871 წ. 11 სექტემბერს. აქ საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ: რ. პ. ნადიროვი, კ. ნ. რეიტერი, ა. ს. ყორღანოვი, ე. გ. ეჯუბოვი, გ. ს. თამამშევი, ა. ნ. ონიკოვი, ს. ი. იზმიროვი, ხ. ნ. ტერ-მკრტჩიანცი, შ. გ. ცურინოვი და ა. ლ. თაიროვი. საბჭოს თავმჯდომარედ გამოყოფილ იქნა რეიტერი.

თბილისის კომერციული ბანკი გაიხსნა 1872 წლის 24 იანვარს. მისი ძირითადი კაპიტალი ამ დროს განსაზღვრული იყო 500.000 მანეთით, რომელიც შედგებოდა თითო 200 მანეთიანი 2500 აქციისაგან[1]. წესდება ითვალისწინებდა ამ კაპიტალის გადიდებას იმავე ნომინალური ღირებულების ახალი აქციების გამოშვების გზით. ეს კი შეიძლებოდა მომხდარიყო აქციონერთა საერთო კრების დადგენილებითა და ფინანსთა მინისტრის ნებართვით. ძირითადი კაპიტალის გადიდებას ადგილი ჰქონდა სინამდვილეშიც, ასე რომ პირველი მსოფლიო ომის წინ (1909 წელს) იგი უდრიდა უკვე 2.000.000 მანეთს, ამავე დროს ბანკს ჰქონდა კიდევ 1.000.000 მან. სათადარიგო კაპიტალი.

ყოველი აქციონერი, თანახმად წესდებისა, მოგება-ზარალში მონაწილეობდა მისი კუთვნილი აქციების პროპორციულად; ამის იქით მას არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა.

ბანკი აწარმოებდა შემდეგ ოპერაციებს: დისკონტს (учет) რუსული და უცხოური თამასუქებისა და სხვა სავაჭრო გა-

[1] მთელი ეს თანხა ბანკის სალაროში შეტანილ იქნა ნაწილნაწილად 1871 წ. 13 ნოემბრიდან 1872 წ. 1 ნოემბრამდე.

რიგებებზე შედგენილი ფულადი დოკუმენტებისა, რომელთაც ექნებოდა არა ნაკლები ორი ხელისმოწერისა და რომელთა განაღდების ვადა არ აღემატებოდა 9 თვეს — როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ; აგრეთვე რედისკონტს (переучет) ყოველგვარი ზემოხსენებული დოკუმენტისა, მათზე ბანკის ზედწარწერით... ერთი ხელის მოწერილ თამასუქსაც ღებულობდა ბანკი სადისკონტოდ, თუ კი ეს თამასუქი უზრუნველყოფილი იყო პროცენტიანი ქაღალდით, ძვირფასი ლითონებით და ისეთი საქონელით, რომელთა გირავნობით ბანკი აწარმოებდა სესხის გაცემას. ბანკი იძლეოდა ს ე ს ხ ს ვადით არა უმეტეს 9 თვისა: 1. სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდების, აქციების, სამრეწველო და საკრედიტო საზოგადოებათა ობლიგაციების გირავნობით, მაგრამ მათ მიითვლიდა არა უმეტეს მათი საბირჟო ფასის 90%-ისა; 2. კონოსამენტების, აგრეთვე რუსეთის სატრანსპორტო კანტორათა, რკინიგზების და სანაოსნო საზოგადოებათა მიერ — უკანასკნელთა მეშვეობითვე გაგზავნილი საქონლისათვის — გაცემული ქვითრების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ამ საქონელთა ღირებულების 50%-ისა; 3. გირავნობით ისეთი საქონლისა, რომელიც ადვილად არ ფუჭდება, არა უმეტეს ამ საქონლის საბაზრო ღირებულების ⅔-ისა; 4. პროცენტიანი ქაღალდების და სხვა მოძრავი ქონების დაგირავება ხდებოდა ამ გირაოთა პირდაპირ ბანკის გამგეობისათვის გადაცემით, როდესაც მათ პატრონს წერილობით უნდა განეცხადებია, რომ იმ შემთხვევაში თუ სესხი ვადაზე არ იქნებოდა დაფარული, გამგეობას ნება ჰქონდა გირაოს რეალიზაციისა (გაყიდვისა).

კომერციული ბანკი დავალებით ასრულებდა: სახელმწიფო ქაღალდების, აქციების, ობლიგაციების, კუპონების და საერთოდ ყოველგვარი ფულადი დოკუმენტების მიხედვით მიღებას ფულისა, როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებში, იარმარკებზე და როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის ნავსადგურებში; — ახდენდა ფულის გადარიცხვას რუსეთისა და უცხოეთის ყველა ქალაქში; — ყიდულობდა და ჰყიდდა მესამე პირთა ანგარიშში რუსეთში მიმოქცევის ნებადართულ სახელ-

შწიფო და კერძო პროცენტიან ქაღალდებს, ყიდულობდა და ჰყიდდა თავის ანგარიშზე და დავალებითაც ძვირფას ლითონებს ზოდებისა და მონეტების სახით; — ყიდდა და ყიდულობდა თავის ანგარიშზე სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებს, აქციებს და ობლიგაციებს, რომელთა გარანტად სახელმწიფო გამოდიოდა; — ღებულობდა აგრეთვე საკომისიოდ ხელმოწერას საზოგადოებრივ სესხებზე, აქციებზე და ობლიგაციებზე, რომელთა გამოცემის ნებართვას სახელმწიფო აძლევდა კერძო კომპანიებს; — ღებულობდა ანაბარს როგორც უვადოს, ისე ვადიანს და აგრეთვე მიმდინარე ანგარიშებზედაც, მაგრამ არა ნაკლებ 100 მანეთისა; — ღებულობდა შესანახად ყოველგვარ პროცენტიან ქაღალდებს და ყოველგვარ სხვა ღირებულებათაც.

საერთო კრებაზე დასწრება შეეძლო ყველა აქციონერს. მაგრამ ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც ფლობდნენ არა ნაკლებ 20 აქციისა. საერთო კრების მოწვევა ხდებოდა წელიწადში ერთხელ, აპრილში, ბანკის შენობაში და კანონიერად ითვლებოდა თუ დაესწრებოდა არა ნაკლებ ხმის მიცემის უფლებიანი 40 აქციონერისა. ბანკის წმინდა მოგება ნაწილდებოდა შემდეგნაირად: 5% ბანკის სათადარიგო კაპიტალს ემატებოდა, 10% ეძლეოდა გასამრჯელოდ საბჭოს წევრებს. თუ დანარჩენი მოგება არ აღემატებოდა 10% უკვე შემოტანილი აქციური კაპიტალისა, ურიგდებოდა, როგორც დივიდენდი აქციონერთ, — თუ აღემატებოდა ამ უკანასკნელ 10%-ს, მაშინ გადანაჭარბი ასე იყოფოდა: 60% ემატებოდა დივიდენდს, 20% მიდიოდა დამფუძნებელთა სასარგებლოდ; 10% — მმართველისა და დირექტორების სასარგებლოდ; 10% — საბჭოს განკარგულებაში ბანკის მოსამსახურეთა დაჯილდოებისათვის.

* * *

თბილისში კომერციული ბანკის დაარსებისადმი მისწრაფება ჯერ კიდევ მე-19 საუკ. 30-იან წლებში წარმოიშვა. მაგრამ, როგორც დავინახეთ, მისი განხორციელება მოხერხდა

მხოლოდ 1872 წ., ე. ი. მას მერმე რაც ამიერკავკასიაში, რკინიგზის გაყვანის მეოხებით, შესაძლებლობა მიეცა მეტროპოლიის კაპიტალს ფართო მასშტაბით შედგომოდა ადგილობრივი ბაზრებისა და მწარმოებლური ძალების დაპყრობასა და ექსპლოატაციას და, მეორე მხრივ, უკვე იმდენად განვითარებული და რუსიფიკაციაქმნილი იყო ადგილობრივი საკაჭრო კაპიტალი და საერთოდ ბურჟუაზიული თაოსნობა, რომ თბილისის კერძო კომერციული ბანკის დაარსებისათვის პირობები ყოველმხრივ მზად მიიჩნია იმპერიის ფინანსთა მინისტრმა.

თბილისის კომერციული ბანკის არსებობის 25 წლის თავზე მოწვეულ აქციონერთა კრებაზე აღინიშნა, რომ იმ დროს, როდესაც ეს ბანკი არსდებოდა „საბანკო საქმე მიაჩნდათ სარისკოდ და სახიფათოდ. კაპიტალისტების დიდ ნაწილს არ სწამდა ამ წამოწყების წარმატება, რის გამოც აქციებზე ხელის მომწერთა მოგროვება ძნელ პირობებში ხდებოდა“.

„საბანკო საქმე ჩვენში სავსებით უცხო იყო და მას საფუძვლიანად თითქმის არავინ არ იცნობდა, რის გამოც თავდაპირველად საბჭოს წევრებს მოუხდათ ძნელი მოვალეობის შესრულება: ბანკის მიმდინარე საქმეთა წარმოების სახით. პრაქტიკული ჩვეულებისა და საბანკო საქმის ორგანიზაციის შესახებ ცნობათა უქონლობა მნიშვნელოვნად აძნელებდა ხელმძღვანელთა პირველ ნაბიჯებს, მაგრამ ყველა ამ შემფერხებელმა პირობებმა ვერ შესძლეს შეეშალათ ხელი საქმის წარმატებისათვის, რისი საბუთიცაა ის ნდობა, რაც ბანკმა დაიმსახურა ხალხში, და რაც გამოიხატა ანაბართა სწრაფ ზრდაში“. მართლაც, პირველი წლის ბოლოს ანაბართა ნაშთი უდრიდა 384.155 მან., რამაც მეორე წლის ბოლოს მიაღწია 1.356.191 მან., ხოლო მესამე წლის ბოლოს კი — 2.094.947 მანეთს.

ასეთივე სისწრაფით იზრდება, მაგალითად, სალაროსა (იხ. ტაბულა № 1) და მიმდინარე ანგარიშების ოპერაციები (იხ. ტაბულა № 2).

თბილისის კომერციული ბანკის გახსნა თითქმის დაემთხვა 1873 წლის ეკონომიკურ კრიზისს. ცნობილია, რომ ამ კრი-

თბილისის კომერციული ბანკის სალარო (მანეთობით)

(ცხრილი № 1)

წლები	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
1872	15.427.450	15.422.129	5.321
1873	29.355.784	29.357.943	3.162
1874	26.157.783	26.145.723	15.178
1875	28.264.285	28.252.707	26.756
1876	24.701.617	24.698.933	29.440
1877	36.644.548	36.641.158	32.831
1878	44.608.483	44.563.202	78.112
1879	38.750.774	38.779.576	49.310
1880	42.089.816	42.087.327	51.799
1881	38.485.493	38.512.912	24.379
1882	38.993.065	38.960.205	57.240
1883	33.254.250	33.213.643	97.847
1884	32.844.547	32.870.672	71.721
1885	31.477.175	31.501.604	47.293
1886	42.636.359	42.618.368	65.284
1887	49.470.231	49.406.875	128.640
1888	64.885.720	64.852.620	161.740
1889	66.146.341	66.155.896	152.185
1890	80.032.428	79.871.810	312.803
1891	82.660.010	82.616.619	356.193
1892	97.422.072	97.267.764	510.501
1893	95.741.787	95.931.221	321.066
1894	99.629.565	99.544.830	405.801
1895	135.055.998	134.931.668	530.132
1896	157.767.211	157.867.870	429.473

[1] ЦАУ Груз. ССР, Тифлисский Коммерческий Банк, XXV, стр. 18.

უბრალო და პირობითი ანაბრები მიმდინარე ანგარიშებზე (მანეთობით)

(ცხრილი № 2)

წლები	შემოტანა	გატანა	ნაშთი
1872	5.455.018	4.907.296	547.722
1873	8.147.569	8.158.711	536.580
1874	6.074.406	5.988.783	622.203
1875	5.572.302	5.665.789	528.717
1876	4.520.623	4.475.461	573.878
1877	8.769.013	8.447.545	895.347
1878	8.750.428	8.590.735	1.055.040
1879	5.508.581	6.003.299	560.322
1880	7.708.719	7.705.405	563.636
1881	6.658.745	6.641.053	581.328
1882	5.861.766	5.790.416	652.679
1883	4.806.584	4.963.691	495.571
1884	5.016.738	4.854.065	658.244
1385	6.939.771	6.699.691	898.325
1886	11.417.567	11.087.993	1.227.899
1887	14.332.049	14.294.513	1.265.435
1888	18.364.182	18.430.504	1,199.113
1889	19.522.987	18.787.849	1.934.250
1890	25.086.037	25.034.702	1.985.585
1891	22.428.360	21.996.726	2·417.219
1892	26.197.526	25.966.878	2.647.866
1893	23.716.770	24.083.706	2.280.931
1894	22.251.078	21.671.610	2.860.399
1895	39.621.329	38.708.963	3.772.765
1896	37.576.453	37.739.367	3.609.851

ზისმა ფართოდ იჩინა თავი საერთოდ რუსეთში. ამ მხრივ საკრედიტო საქმეში განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია მოსკოვის სასესხო კომერციული ბანკის გაკოტრებამ — 1875 წ. შემოდგომაში, რამაც გაამწვავა ფულის კრიზისი რუსეთში, სადაც, ეტყობა, ამ დროისათვის უკვე მომწიფებული იყო ნიადაგი გადამეტწარმოების კრიზისებისათვის[1].

რუსეთში ამ ეკონომიკურ კრიზისს ჰქონდა გამწვავების ორი პერიოდი, სახელდობრ, 1873 წ. და 1876 — 1877 წწ. მისი უკანასკნელი პერიოდი ემთხვევა რუსეთ-თურქეთის ომის სამზადისის წლებს. ზემოთმოყვანილ ცხრილში (№ 2) ჩვენ ვხედავთ, რომ თბილისის კომერციული ბანკის ანაბრებისა და მიმდინარე ანგარიშების ანგარიშში ფულის შეტანამ ფრიად შესამჩნევად იკლო 1874 — 1876 წლებში: 1873 წ. — 8.150 ათასი მანეთიდან (დამრგვალებულად) იგი 1876 წ. დაეცა 4.520 ათას მანეთამდე.

რუსეთ-თურქეთის ომმა საერთოდ რუსეთში ხელი შეუწყო რა მრეწველობის გამოცოცხლებას.—„ომმა... გამოაცოცხლა მრეწველობა და ვაჭრობა“[2], — სწორედ ამ გზით დააჩქარა კრიზისიდან რუსეთის გამოსვლა.

1877 წელს დაწყებულმა რუსეთ-თურქეთის ომმა პირველ ხანებში — უცხოელ სახელმწიფოთა ჩარევის მოლოდინში — მნიშვნელოვანი საფრთხე შექმნა თბილისის კომერციული ბანკისათვის, მაგრამ, როგორც კი გაიარა „ამ ომში სხვა სახელმწიფოთა ჩარევის საშიშროებამ, დაიწყო სულ უფრო მზარდი დენა ჩვენსკენ ანაბრებისა, რამაც აშკარა გახადა ის ფაქტი, რომ საომარ მოქმედებათა თეატრთან თბილისის სიახლოვემ ოდნავადაც ვერ შეარყია საზოგადოების ნდობა ჩვენი საკრედიტო დაწესებულებისადმი“, — ვკითხულობთ თვით ბანკის მოღვაწეობის მიმოხილვაში[3].

[1] Л. Мендельсон, „Экономические кризисы и циклы XIX века“, 1949. М., стр. 503 — 510.

[2] И. С. Блох, „Финансы России XIX столетия“, 1882, II. стр. 230.

[3] „Обзор двадцатипятилетней деятельности Тифлисского коммерческого банка“, 1897. Т. стр. 4 — 5.

ამგვარად, 1877, 1878 და 1879 წლის პირველი ნახევარი წარმოადგენდა ამიერკავკასიის „სავაჭრო-სამრეწველო ბაზრისათვის ხელსაყრელ პირობებს“. საკრედიტო დაწესებულებათა სალაროები, კერძოდ თბილისის კომერციული ბანკის სალარო სავსეა. თბილისში კრედიტი გაიაფდა. დისკონტს აწარმოებდნენ 6%-ში, ხოლო სესხს აძლევდნენ 5%-ად. „აღმოსავლეთის სესხზე“ წარმოებულმა „სამივე ხელმოწერამ თბილისში გამოიღო ბრწყინვალე შედეგები“.

მაგრამ 1879 წ. მეორე ნახევრიდან უკვე იწყება ფულის კრიზისი. თბილისის ფულის ბაზარზე განსაკუთრებით იმოქმედა ქაღალდის ფულის გაძლიერებულმა გამოშვებამ.

თურქეთთან ხსენებული ომის დაფინანსებისათვის შეუჩერებლად მუშაობდა საბეჭდი დაზგაც. თუ 1876 წ. რუსეთში მიმოქცევაში იყო დაახლოებით 700 მილ. მანეთი, 1878 წლის შემოდგომაზე მან მიაღწია თითქმის 1200 მილ. მანეთს, რასაც შედეგად მოყვა ინფლაცია. საკრედიტო მანეთის კურსი 1879 წელს პარიტეტზე 37%-ით დაბალი იყო (1875 წელს-კი მხოლოდ 14%-ით იყო დაბალი). დაეცა რუსეთის კრედიტუნარიანობა დას. ევროპის ქვეყნებში. უცხოეთის კაპიტალის აქეთკენ დენის მკაცრ შემცირებას შედეგად მოყვა რკინიგზების მშენებლობის შეფერხება... მზადდებოდა 1882 წლის მრეწველობის კრიზისი.

ამიერკავკასიაში უკვე 1879 წლის ბოლოს „გაქრა სიადვილე კრედიტისა, რასაც მოჰყვა ძლიერი და ხანგრძლივი შევიწროება“. ფულისა და კრედიტის კრიზისი გააძლიერა მთელ კავკასიაში დიდმა მოუსავლობამ, რასაც, ცხადია, უნდა მოყოლოდა რუსეთის 'მიგა გუბერნიებიდან პურის შემოტანის მნიშვნელოვანი ზრდა.

ამიერკავკასიაში იწყება საყოველთაო სიძვირე. მართალია, ეს პროცესი მიმდინარეობდა შიგა რუსეთშიაც, მაგრამ ჩვენში იგი განსაკუთრებით მკაცრ ხასიათს ღებულობს. საკრედიტო ორგანიზაციებიდან გადის ფულები. მცირდება ანაბრები, კერძოდ თბილისის კომერციულ ბანკშიც.

1885 წლიდან დაწყებული მდგომარეობა კვლავ „საბოლოოდ“ გამოკეთდა. თუმცა მომდევნო 1886 წელს თბილისის კომერციულ ბანკს მოუხდა დიდძალი თამასუქების გაპროტესტება. გაპროტესტებულ იქნა 492.952 მან. თამასუქი, საიდანაც ჩამოწერილ იქნა (ზარალში) 80.513 მანეთი. ასეთი მსხვილი პროტესტები და ჩამოწერა ამ ბანკს არ ჰქონია არც მანამდე და არც მერმე მთელი 25 წლის განმავლობაში, როდესაც გაპროტესტებულ თამასუქთა საშუალო ჯამი არ აღემატებოდა წლიურად 40.000 მან. ხოლო ჩამოწერა—16.000 მანეთს (ბანკის სათამასუქო ოპერაციების შესახებ იხ. ტაბულა № 3).

თბილისის კომერციულ ბანკს მწვავედ დაარტყა კერძოდ იმ მძიმე კრიზისმა, რომელიც იმ ხანებში განიცადა ბაქოს ნავთობის მრეწველობამ. ნავთობის ცნობილი მრეწველები ძძ. მირზოევები (რომელთაც ჰქონდათ დიდძალი ნავთობიანი მიწები, ნავთობისა და მაზუთის მსხვილი ქარხნები) იყვნენ თბილისის კომერციული ბანკის ძირითადი კლიენტები. მართალია, მირზოევების აქტივი მნიშვნელოვნად აღემატებოდა პასივს, მაგრამ ეს აქტივი გამოიხატებოდა იმ ხანებში ძნელად სარეალიზაციო უძრავ ქონებასა და ნავთობის საწარმოებში, რომელიც მძიმე კრიზისს განიცდიდა. გაპროტესტებულ იქნა მირზოევების 400.000 მან. მეტის თამასუქები.

ამ გარემოებამ თბილისის კომერციულ ბანკს მისცა მწარე გამოცდილება, რის შედეგადაც აქციონერთა კრებამ 1885 წლის მთელი წმინდა მოგება — 131.233 მან. — გადასდო განსაკუთრებულ სარეზერვო ფონდათ, საიდანაც უნდა მომხდარიყო გაპროტესტებული თამასუქებიდან მოსალოდნელი ზარალის დაფარვა, და, ამას გარდა, 1886 წლის მოგებიდანაც 65.997 მანეთი ჩამოწერა ამგვარ თამასუქთაგან მიღებული ზარალის დასაფარავად.

1888 წელს მირზოევების ფირმამ, თავის კრედიტორებთან შეთანხმებით, მოახდინა დაფარვა თავისი ვალდებულებებისა. ამ მომენტით ისარგებლა თბილისის კომერციულმა ბანკმა და ვალის ანგარიშში მიიღო მირზოევების მიერ დაარსებულ „ნავთობის მრეწველთა და ვაჭართა ამხანაგობის“ პაები— 110.000

დისკონტი თამასუქებისა, რომელთაც მქონდათ არა ნაკლებ ორი ხელმოწერისა (მ ა ნ ე თ ო ბ ი თ)

(ტ ა ბ უ ლ ა № 3).

წლები	დისკონტებული	მიღებული და ჩამოწერილი	ნაშთი პორტფელში
1872	2.231.231	1.139.960	1.091.271
1873	4.735.670	3.984.386	1.842.555
1874	5.344.716	4.836.535	2.350.737
1875	5.528.416	5.617.626	2.261.527
1876	5.627.370	5.388 987	2.499.910
1877	4.883.989	5.134.246	2.249.653
1878	4.464.177	4.546.609	2.167.220
1879	6.189.573	5.557.487	2.799.307
1880	5.762.388	6.266.887	2 294.809
1881	5 461.471	5.230.825	2.525.454
1882	6.386.871	6.142.408	2.469.918
1883	6.618.595	7.042.076	2.046.438
1884	8.765.189	8.907.556	1.904.069
1885	7.318.069	7.143.638	2.078.500
1886	5.535.703	5.812.120	1.802.083
1887	5.004.492	4.458.736	2.347.838
1888	7.251.687	6.365.818	3.233.707
1889	7.446.838	7.498.926	3.181.619
1890	7.216.328	7.111.115	3.286.832
1891	7.469.635	7.462.807	3.293.661
1892	7.591.359	7.427.377	3.457.642
1893	8.128.616	7.691.177	3.895.081
1894	9.411.206	9.333.498	3.972.789
1895	8.857.639	9.236.137.	3.594.291
1896	9.659.105	8.912.300	4.341.096

მანეთისა. ამასთანავე ეს პაები ბანკმა მიითვალა: მანეთი მხოლოდ 59 კაპიკის ანგარიშით.

ამიერიდან ეს ბანკი შეიქმნა მონაწილე ნავთობის მრეწველობაში. 1888 წელს ერთ მანეთზე 59 კაპ. ანგარიშით მიღებული პაი 1897 წელს, ე. ი. ათი წლის შემდეგ ბირჟაზე უკვე 2 მანეთზე მეტად ფასობდა.

ამიერკავკასიაში ფულის ტრიალისა და საკრედიტო ოპერაციების მთავარი მომწესრიგებელი დაწესებულების როლს თამაშობდა სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა, სადაც კომერციულ ბანკს ჰქონდა თავისი მიმდინარე ანგარიში (იხ. ტაბულა № 4).

1880-იანი წლებიდან ბანკმა გააფართოვა თავისი ოპერაციები პროცენტიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის დარგში. ამასთანავე 1886 წელს, როგორც სახელმწიფო ისე საზოგადოებრივ და კერძო პროცენტიანი ქაღალდების კურსის სწრაფმა აწევამ ბანკს ამ ოპერაციებიდან მოუპოვა დიდი მოგება.

1880-იანი წლების დამდეგიდან ბანკი სულ უფრო გრძნობდა თავისი ძირითადი კაპიტალის სიმცირეს, მით უმეტეს, რომ ბანკის ოპერაციები დღითი-დღე ფართოვდებოდა. 1883 წელს მოხდა მეორე გამოშვება აქციებისა. გამოშვებულ იქნა 2500 აქცია სულ ნახევარი მილიონი მანეთის ჯამით. ამგვარად, ბანკის ძირითადი კაპიტალი გაიზარდა 1 მილ. მანეთამდე. თითო აქცია გამოშვებულ იქნა 225 მან. ფასობაზე, საიდანაც ყოველი აქციიდან 25 მან. შედიოდა ბანკის სათადარიგო კაპიტალში. მთელი აქციები სულ მოკლე ხანში იქნა დატაცებული. ხელის მომწერთა ანგარიშების დახურვის შემდეგ დარჩენილი 57 ცალი აქცია გაიყიდა 260 მან. კურსით.

1870-იანი წლების ბოლოდან, განსაკუთრებით კი ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანის დროიდან ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებაში სულ უფრო წინაურდებოდა ბაქო, თავისი ნავთობის მრეწველობით, რომელმაც ამ დროიდან უკვე მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა. ბაქოსთან შედარებით „თბილისის საავაჭრო მოღვაწეობა ღებულობს უძრაობისა და

თბილისის კომერციული ბანკის მიმდინარე ანგარიში სახბანკის თბილისის კანტორაში (მანეთობით)

(ცხრილი № 4)

წლები	შ ე ტ ა ნ ა	გ ა ტ ა ნ ა	ნაშთი
1872	2.488.778	2.331.600	157.178
1873	5.625.865	5.403.064	379.978
1874	4.478.388	4.595.100	263.267
1875	4.620.568	4.477.215	406.620
1876	3.461.961	3.657.719	210.863
1877	8.220.684	7.441.846	989.701
1878	10.753.383	11.207.313	535 771
1879	3.956.653	4.486.576	5.848
1880	3.717.787	3.721.148	2.487
1881	3.709.930	3.705.929	6.488
1882	656.513	661.194	1.807
1883	376.705	375.182	3.330
1884	3.654.946	3.557.461	100.816
1885	5.400.202	5.015.979	485.039
1886	7.513.110	7.584.000	414.148
1887	7.089.472	7.241.000	262.620
1888	6.399.322	6.426.779	235.164
1889	4.544.685	4.460.130	419.718
1890	10.810.307	10.899.500	230.525
1891	13.088.693	12.595.218	724.000
1892	15.162.447	15.191,447	695.000
1893	13.021.815	13.444.000	172.815
1894	13.215.061	13 216.776	271.100
1895	20.747.619	19.209.310	1.809.409
1896	26.483.423	27.515.609	777.230

ხეხი on call და ხეხი სპეციალურ ანგარიშებში — პროცენტიანი ქალალ-დებით, თამასუქებით და ხაქონლით უზრუნველყოფილი (მანეთობით)

(ცხრილი № 5)

წლები	გაცემა	მიღება	ნაშთი
1872	—	—	—
1873	26.838	16.845	9.993
1874	1.368.274	1.092.478	285.789
1875	2.821.472	2.795.956	311.305
1876	2.871.180	2.820.755	361.730
1877	3.522.995	3.643.030	241.694
1878	6.982.049	6.453.160	770.583
1879	8.615.583	8.388.028	998.139
1880	8.243.823	8.208.070	1.038.892
1881	8.636.841	8.014.256	1.661.477
1882	8.323.434	8.671.690	1.313.221
1883	5.660.512	5.793.700	1.180.033
1884	4.006.646	4.498.258	688.422
1885	3.372.734	3.415.748	645.408
1886	4.745.848	4.153.108	1.238.148
1887	4 832.717	5.045.045	1.025.820
1888	5.566.801	5.643.956	948.665
1889	5.253.125	5.155 882	1.045.907
1890	6.394.274	5.872.837	1.567.344
1891	5.815.086	5.919.481	1.462.950
1892	5.584.665	5.833.029	1.214.586
1893	7.953.753	7.713.190	1.455.150
1894	10.202.730	9.690·612	1.967.267
1895	11.526.963	11.144.439	2.349.792
1896	15.913.507	15.194.358	3.068.941

ჩამორჩენილობის ხასიათს და ნელ-ნელა ჰკარგავს მთელი ამიერკავკასიის ვაჭრობის ცენტრის როლს“.

ამ დროიდან ბანკის ინტერესები მოითხოვს მისი მოქმედების ასპარეზის გაფართოებას. ბანკის მესვეურების მთავარ ყურადღებას იპყრობს კერძოდ ბაქო, სადაც დიდი მასშტაბით განვითარებული ნავთობის მრეწველობა საჭიროებს კრედიტს. 1886 წელს თბილისის კომერციული ბანკი თავის განყოფილებას ხსნის ქ. ბაქოში, სადაც ნავთობის მრეწველობა ამ დროს განიცდიდა ფულის მძიმე კრიზისს; განყოფილების ოპერაციები იმთავითვე იწყებს ფრიად მნიშვნელოვანი მოგების მოტანას.

სადისკონტო ოპერაციებთან ერთად თბილისის კომერციული ბანკის ყურადღებას იპყრობს საკრედიტო მოღვაწეობის ისეთი მომგებიანი სფერო როგორიცაა საქონლის გირავნობით სესხის გაცემა (იხ. ცხრილა № 5). ბანკმა ამ მიზნით ბაქოში, ნავსადგურთან (საბაჟოს მახლობლად), შეიძინა მიწა, სახლი და საწყობები. მაგრამ ბაქოში განყოფილების გახსნასთან ერთად კომერციულმა ბანკმა ფინანსთა მინისტრისაგან ითხოვა ნებართვა ასეთივე განყოფილების ბათუმში გახსნისა.

საქმე იმაშია, რომ ბაქოს განყოფილებას და საერთოდ კომერციულ ბანკს ნავთობის მრეწველობის საქმეში საკრედიტო ოპერაციების ჯეროვანი გაშლა არ შეეძლო თუ შესაფერი ბაზა არ ექნებოდა ბათუმში, რომელიც თითქმის ერთადერთი პუნქტი იყო, საიდანაც ბაქოს ნავთობი გზას იკაფავდა უცხოეთის, ე. ი. მსოფლიო ბაზრისაკენ და სადაც თავს იყრიდა ბაქოს ნავთობის მთელი საექსპორტო ოპერაციების კვანძები; ბათუმმა ასეთი მნიშვნელობა მოიპოვა განსაკუთრებით მას მერმე, რაც მთავრობამ 5,5 მილ. მანეთი მისცა ამიერკავკასიის რკინისგზას, ნავთობის გადაზიდვის საშუალებათა გასაუმჯობესებლად. ბათუმი შეიქნა ნავთობის როგორც მთავარი საექსპორტო ნავსადგური, ასევე ნავთობის ტარის (ყუთების) მწარმოებელი და, მაშასადამე, მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი.

თბილისის კომერციული ბანკის ბ ა თ უ მ ი ს გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა გაიხსნა 1890 წ. დასაწყისს. განყოფილება ეწოდა

უმთავრესად საქონლის (ნავთობისა და მისი ტარის) გირავნობით სესხის გაცემას და უცხოეთის ტრატების ყიდვა-გაყიდვას. ბათუმელი ნეგოციანტების (ექსპორტერების) თამასუქების დისკონტი ხდებოდა თბილისში. ეს ოპერაცია სულ მალე ისე გაფართოვდა, რომ კომერციული ბანკის საბჭომ საჭიროდ მიიჩნია და ბათუმის განყოფილებასთან 1894 წელს კიდევაც მოაწყო დისკონტის კომიტეტი.

ამავე ხანებში ამიერკავკასიის კომერციულ ცხოვრებაში ყურადღებას იპყრობს ერევანიც, სადაც თავს იყრიდა განსაკუთრებით ბამბის შესყიდვა-მიწოდების ოპერაციები. 90-იან წლებში სომხეთში მხოლოდ ბამბის საშუალოწლიურმა წარმოებამ მიაღწია .700.000 ფუთს. ამავე დროს ერევანში არ არსებობდა საკრედიტო დაწესებულება. 1895 წ ე ლ ს გ ა ი ხ ს ნ ა ე რ ე ვ ნ ი ს გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა.

იმავე წელს ისმება საკითხი თბილისის კომერციული ბანკის ძირითადი კაპიტალის გადიდებისა, რასაც ბანკის საბჭო საჭიროდ თვლიდა, რათა „მოეწესრიგებია შეფარდება საანაბარო ოპერაციებისა და ბანკის საკუთარ კაპიტალს შორის, რათა გაცხოველებული სავაჭრო და სამრეწველო ბრუნვების დროს კლიენტების შეუვიწროებლად უზრუნველეყო ბანკის ურყევი მდგომარეობა ანაბართა მსხვილი გატანების მომენტში“. ამათ გარდა ძირითადი კაპიტალის გადიდებას ის გარემოებაც კარნახობდა თბილისის კომერციულ ბანკს, რომ „მის გავლენათა სფეროებში“ ამიერიდან მოღვაწეობა იწყეს სხვა მსხვილმა საკრედიტო ორგანიზაციებმა, რომლებთანაც კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება აუცილებლობით მოითხოვდა დიდძალ კაპიტალს.

1895 წ. მოეწყო აქციათა მესამე გამოშვება. გამოშვებულ იქნა 5000 აქცია სულ 1.000.000 მანეთისა. ერთი აქცია ფასობდა 349 მან. საიდანაც 149 მან. გადადიოდა ბანკის სათადარიგო კაპიტალში. აქციონერთა შორის დანაწილებისა და ანგარიშთა დახურვის შემდეგ დარჩენილი 134 აქცია გაიყიდა 413 — 437 მანეთად. 1896 წ. 1 ნოემბრისათვის აქციათა მესამე გამოშვება უკვე მთლიანად რეალიზებული იყო. ბანკის ძირითადმა კაპიტალმა მიაღწია 2.000.000 მან., ხოლო სათადა-

რიგომ — 1.000.000 მანეთს; შეიქნა აგრეთვე სპეციალური ფონდი — 14.694 მან. რაოდენობით, რამაც 1903 წელს უკვე 33.890 მან. მიაღწია და რაც უკვე ირიცხებოდა სათადარიგო დივიდენდის სახით[1].

როგორც აღვნიშნეთ თბილისის კომერციული ბანკი სულ უფრო აძლიერებდა საქონლის, განსაკუთრებით საექსპორტო საქონლის გირავნობით სესხის გაცემას. 90-იანი წლების ბოლოდან ამ მხრივ, ბაქოს ნავთობისა და მისი ტარის გარდა ბანკის ყურადღებას იქცევს განსაკუთრებით ჭიათურის მარგანეცი, რომლის მთავარი საექსპორტო პუნქტი იყო ფოთი.

1900 — 1920 წწ. თბილისის კომერციული ბანკის მოღვაწეობის შესახებ ჩვენ მსჯელობა გვექნება სხვა დროს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის კომერციული ბანკის დამაარსებელნი იყვნენ მთელ ამიერკავკასიაში განთქმული თბილისელი მსხვილი ვაჭრები, მრეწველები და მოიჯარადრენი: დავითაშვილი ე., ევანგულაშვილი ა., ალელოვი ი., ალიხანოვი მ., ამირაღოვი ი., ანანოვი ი., ბაბანოსოვი ა., ბექთაბეგოვი ნ., ეჯუბოვი ე., ზუბალაშვილი ი., იზმიროვები, ყორღანოვები, მირიმანოვები, მარქაროვი ი., ნადირაძე პ., ნაკაშიძე პ., ონიკაშვილი ა., ფრიდონოვი ნ., რეიტერი კ., როტინოვი ი., თაიროვი, თამამშევები, ცურინოვები, წოვიანოვები, ჩაიგეტოვი და შახფარონიანცი.

თანახმად წესდების შესაბამისი მუხლისა ბანკის დამფუძნებელნი, გარდა ჩვეულებრივი დივიდენდისა (იხ. ტაბულა № 6— გვ. 379—380) ღებულობდნენ პრემიასაც. ამ პრემიის სახით 1897 წლამდე მათ მიიღეს 268.000 მანეთი.

რაც შეეხება კერძოდ დივიდენდს, იგი, როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, ფრიად მაღალი იყო. აქ, შედარებისათვის, შეიძლება მოვიყვანოთ თბილისშივე არსებული მრეწველური ხასიათის აქციონერულ საზოგადოებათა მიერ გაცემული დივიდენდები (პროცენტობით—იხ. გვ. 378).

ამგვარად, ვაჭრობა-მრეწველობის 1901 — 1903 წწ. კრიზისის პერიოდშიც-კი თბილისის კომერციული ბანკი თავის

[1] УАПТД, 1905 г. СПБ. стр. 1744 — 1746.

აქციონ. საზოგადოებათა დასახელება	1898 წ.	1899 წ.	1900 წ.	1901 წ.	1902 წ.	1903 წ.
გ. იარალოვისა და კომპ. ქარხნისა (დაარს. 1882 წ.)	—	—	—	4,1	5,5	4,5
ადელხანოვისა და კომპ. ქარხნისა (დაარს. 1878 წ.)	8,5	8,5	8,0	6,0	6,0	2,8
ალიხანოვისა და კომპ. ქარხნისა (დაარს. 1900 წ.)	—	—	—	5,0	7,0	2,0
თბილისის კომერც. ბანკისა	16,7	16,9	18,5	16,9	15,6	12,4

აქციონერთ დიდად მაღალ დივიდენდს აძლევდა; კერძოდ 1903 წელს 3 — 6-ჯერ მეტს, ვინემ მრეწველური საწარმონი. ამ პერიოდში საერთოდ მრეწველობის დარგებში არსებულ აქც. საზოგადოებათა დივიდენდი ძლიერ დაეცა, ხოლო მათში უმრავლესობას, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, დივიდენდი საერთოდაც არ გაუცია და მნიშვნელოვანმა ნაწილმა კიდევ დიდი ზარალიც ნახა.

თბილისის კომერციული ბანკის კომერციულ წარმატებათა დასახასიათებლად აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი აქციის ბირჟულმა ფასმა (თბილისს, მოსკოვსა და პეტერბურგში) 1897 წელს 510 მანეთს, ხოლო 1899 წელს უკვე 550 — 565 მანეთს მიაღწია, რაც, მართალია, 1900 წელს 491 მანეთამდე დაეცა (აქციის ნომინალური ფასი კი, როგორც ვიცით, მხოლოდ 200 მანეთს უდრიდა).

როგორც დავინახეთ, თბილისის კომერციული ბანკის მოღვაწეობაში სარკესავით იხატება ამიერკავკასიაში ფულის ტრიალისა და საკრედიტო ოპერაციების და საერთოდ კაპიტალისტური მეწარმეობის განვითარების მნიშვნელოვანი მომენტები. სწორედ ამიტომ თბილისის კომერციული ბანკი უდავოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია საქართველოსა და ამიერკავკასიაში წარმოქმნილ ბურჟუაზიულ დაწესებულებათა სისტემაში.

თბილისის კომერციული ბანკის მიერ თავის აქციონერთათვის გადახდილი დივიდენდი (მანეთობით)

(ცხრილი № 6)

წლები	მანეთობით	პროცენტობით	ყოველ აქციაზე	
			მან.	კაპ.
1872	28.925	10,0	11	57
1873	67.125	13,425	26	85
1874	70.750	14,15	28	30
1875	69.475	19,895	27	79
1876	80.150	16,03	32	06
1877	65.475	13,095	26	19
1878	69.525	13,905	27	81
1879	80.325	16,065	32	13
1880.	97.500	19,5	30	—
1881	82.000	16,4	32	80
1882	92.000	18,4	36	80
1883	93.000	18,6	37	20
1884	125.000	12,5	25	—
1885	71.450	7,145	14	29
1886	60.000	6,0	12	—
1887	100.000	10,0	20	—
1888	153.000	15,3	30	60
1889	152.500	15,25	30	50
1890	140.000	14,0	28	—
1891	150.000	15,0	30	—
1892	157.500	15,75	31	50
1893	144.500	14,45	28	90

1894	167.000	16,7	33	40
1895	154.000	15,4	30	80
1896	264.000	17,6	35,1	20
1897	—	14,4	17	60
1898	—	16,7	—	—
1899	—	16,9	—	—
1900	—	18,5	—	—
1901	—	16,9	—	—
1902	—	15,6	—	—
1903	—	12,4	—	—

ნაწილი მეოთხე

აგრარული ურთიერთობანი

* * *

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ აღებული მთელი პერიოდის მანძილზე, ისე როგორც მანამდეც, ამიერკავკასიის ხალხთა შინაგანი განვითარების ისტორია უმთავრესად მიწათმფლობელობის გარშემო ტრიალებს. ამიტომ გასაგებია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ისტორიის მკვლევარს, რა გინდ მოკლედ ეხებოდეს იგი მოცემულ საგანს, არ შეუძლია პირველხარისხოვან პრობლემად არ გაიხადოს საადგილმამულო ურთიერთობათა საკითხი.

აგრარულ ურთიერთობათა შესწავლა თავის მხრივ, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, ფარდას ხდის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის რიგ, ბურუსით მოცულ, მოვლენათა წარმოქმნა-განვითარების საიდუმლოებას. ამასთანავე ირკვევა, რომ ეს საადგილმამულო ურთიერთობანი — ისეთი პატარა ტერიტორიისათვის, როგორიცაა ამიერკავკასია, — ხასიათდება არაჩვეულებრივი მრავალწახნაგოვანობით, რაც, უდავოა, ყოველთვის განმსაზღვრელ საწყისს წარმოადგენდა ადგილობრივ ხალხთა მრავალფეროვანი კულტურულ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი ყოფიერებისათვის და რაც თავისი დანაშრევებით, — როგორც გეოლოგს ნიადაგის ფენები მიწის ქერქის ისტორიისათვის, — გვაძლევს ერთგვარ გასაღებს იმის ასახსნელადაც, თუ რა და რა ეკონომიკური კულტურის შორეულ თუ ახლობელ ხალხებს მოუხდენიათ გავლენა ამიერკავკასიის აგრარული წყობისა და, მაშასადამე, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე.

VII

თემური მიწათმფლობელობის რღვევა

1. მიწათმფლობელობის ფორმები

ამიერკავკასიის ყოფილ სახანოებში, ე. ი. თანამედროვე აზერბაიჯანსა და სომხეთში, ირანის შაჰის სატრაპები (ხანები, სერდარები) ფორმალურად არ ერეოდნენ თემის შინაგან ცხოვრებაში. ხშირი თარეშებისა და ომების შედეგად თემები (სოფლები) ისპობოდნენ, ადგილს ინაცვლებდნენ, წარმოიქმნებოდნენ, მაგრამ მთელი ეს მეტამორფოზი ნაკლებად იწვევდა თემის სტრუქტურულ ცვლილებას, ახალი ძველის «სტერეოტიპული» განმეორება იყო; შინაგან ყოფიერებაში თემი თითქმის ყოველთვის ავტონომიით სარგებლობდა.

ფადიშაჰის ხელისუფლება თემს უკავშირდებოდა ზემოდან დანიშნულ ან თვით თემის მიერ არჩეულ მოხელეთა მეშვეობით. მაგრამ მე-19 საუკუნიდან, აქ ცარიზმის გაბატონების შემდეგ, სახელმწიფო და თემის მოხელეები: ხანები, მელიქები, ბეგები, სულთნები, ნაიბები, აღები თანდათანობით განმტკიცდნენ წვრილ თუ მსხვილ ფეოდალურ მემამულეებად.

თუ საქართველოში ბატონობდა ადრიდანვე ჩამოყალიბებული, — უპირატესად საშხედრო და სამოქალაქო გამგებლობისა და ლაშქრობისათვის გამოყოფილი — მემკვიდრეობითი საგვარეულო თავადაზნაურობა, რომელსაც პირად (ყმურ) დამოკიდებულებაში ჰყავდა უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასები, ამიერკავკასიის „მუსლიმანურ პროვინციებში“ მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბებულ ფეოდალურ მემამულეთა უმრავლესობის წინაპარნი ჯერ კიდევ მე-18 საუკ. და ზოგან თვით მე-19 ს. დასაწყისშიც თვითონვე ამუშავებდნენ მიწას, მისდევდნენ მეჯოგეობას. ესენი, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, მაშინ კიდევ „სოფლელთა“, ე. ი. მიწათმოქმედთა წოდებას ეკუთვნოდნენ.

-ცარიზმის გაბატონებამდე აქ გამომღებელ წოდებას ძირითადად ჰქმნიდნენ რ ა ი ი ე ბ ი (raiye, რაიიატები) [1]. ამათგან ყოველი, ვისაც სახელმწიფო (სათემო) მიწა, ეჭირა და ამ მიწას ამუშავებდა, ეკუთვნოდა რა ამ ფაქტით რაიიეს წოდებას, იხდიდა თემისათვის შეწერილ ბეგარა-გამოსაღებთა შესაბამის ნაწილს. ბეგრისაგან მხოლოდ თარხნები თავისუფლდებოდნენ. რაიიეს შეეძლო იურიდიულად (თეორიულად) სურვილისამებრ გამოეცვალა ადგილსამყოფელი, გადასულიყო ქალაქში, ხელი მოეკიდა სხვა საქმიანობისათვის, — თემი არ ეწინააღმდეგებოდა, რამდენადაც თითქმის არ არსებობდა ურთიერთთავდებობა (круговая порука).

რაიიე, — მიუხედავად იმისა, ეჭირა სახელმწიფოს, ხანის თუ მიულკადარის (ბეგის, აღალარის, მელიქის, მონასტრის) მიწა, მუსლიმანური კანონის მიხედვით, სრული პირადი თავისუფლებით სარგებლობდა. რაიიე იყო ეკონომიკურად დამოკიდებული მიწათმფლობელისადმი (თუ დროებით მფლობელისადმი) მხოლოდ როგორც მიწის მსხვილი მეიჯარისადმი, სანამ მისი მიწა ეჭირა, მაგრამ მსგავსად საქართველოსა და რუსეთის გლეხობისა არ იყო ყმა, არ იმყოფებოდა მემამულის (ფეოდალის) პირად, იურიდიულ, დამოკიდებულებაში.

მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ რაიიე ყმა-გლეხთან შედარებით იქნებ რბილ ფორმაში, მაგრამ მაინც თავისებუ-

[1] რაიიე («რაიიატ»), არაბ., იხმარებოდა ორგვარი აზრით: რაიიე ეწოდებოდა საერთოდ ქვეშევრდომს, არაპრივილეგიური წოდების მოსახლეობას. ფართო გაგებით რაიიატები ქმნიდნენ გამომღებელთა წოდებას, — ესახლენ ისინი სახაზინო თუ კერძომფლობელის მიწებზე. ვიწრო გაგებით რაიიატებს სახელმწიფო გლეხები შეადგენდნენ. რაიიატებს — მიწის მუშათა წოდებას — უპირისპირდებოდა ი ლ ი ა ტ ე ბ ი (აზერბ. „ელ" — ტომი, ქართულში „ელი") — მომთაბარე-მეჯოგეები, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების მხრივ უფრო დაბალ დონეზე იდგნენ; მაგალითად, ბორჩალუს, შამშადილუს და სხვ. აზერბაიჯანული ტომები (იხ. И. П е т р у ш е в с к и й, „Очерки по истории феод. отнош. в Азербайджане и Армении", 1949. Л. стр. 248 — 254). მუსლიმანურ აღმოსავლეთში საერთოდ რაიიატების წოდების შესახებ იხ. მაგალითად, И. Р е й с н е р, „Развитие феодализма и образование государства у Афганцев". 1954. М.

რად განიცდიდა გარეშეეკონომიკურ იძულებაზე დამყარებულ ექსპლოატაციას, რამდენადაც სინამდვილეში ადგილსამყოფელის გამოცვლა დიდ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული და რამდენადაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რაიიე არც თუ სავსებით თავისუფალი იყო მიწათმფლობელისადმი პირადი სამსახურისაგან. საერთოდ, რაიიე, როგორც «თავისუფალი მიწის მუშა», მიწათსარგებლობისათვის იხდიდა რენტას პროდუქტით, შრომით და, იშვიათად, ფულით.

სოფლის უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასების ასეთი მდგომარეობა შეესაბამებოდა საერთოდ აღმოსავლურ, ირანულ, თურქულ და კერძოდ შირვანის, ყარაბაღის, შაქის, ბაქოს, ყუბის, ერევნის, საერთოდ ამიერკავკასიაში ირანის სახანოებში გაბატონებულ საადგილმამულო ურთიერთობას. ამ ქვეყნებში, ე. ი. განჯის, ბაქოს და ერევნის მერმინდელ გუბერნიებში, სრული, მემკვიდრეობითი, კერძო საკუთრების ინსტიტუტი არსებობდა მხოლოდ ისეთ უძრავ ქონებაზე, როგორიცაა სახლკარი, მაღაზია, საწყობი, ქარვასლა (ფუნდუკი), სახელოსნო, ბაღი, ბოსტანი, ვენახი და სხვ. მაგრამ კერძო საკუთრების ამგვარი ფორმა არ ვრცელდებოდა: 1. დაუსახლებელ მიწებზე, როგორიცაა საძოვარი და ტყე, რომელიც ხანის ანუ ცენტრალური ხელისუფლების მფლობელობაში შედიოდა. მართალია, საძოვრები (ყიშლაღები) ებოძებოდა კერძო პირებს, მაგრამ მხოლოდ მათი სიცოცხლის განმავლობაში და არა მემკვიდრეობითი საკუთრების სახით[1]; 2. დასახლებულ სათემო მიწებზე. ხანი თავის მოხელეებს (ანალოგიურად იმისა, როგორც ფადიშაჰი თავის ხანებს) ნაცვლად ფულადი ჯამაგირისა შემოსავლის წყაროდ (სარგოდ) უნიშნავდა (უბოძებდა) სოფლებსა და იალაღებს, რომლებიც ამიერიდან იმყოფებოდნენ ამ მოხელის გამგებლობაში, სანამ უკანასკნელს სხვა არ შესცვლიდა. მართალია, შეიძლებოდა ამ თანამ-

[1] П. С. Варавин, „Летния и зимния пастбища Закавказского края", (СМИЭБГКЗК, V, I, 82—89).

დებობაზე მამის მემკვიდრედ შვილის დარჩენა, მაგრამ მხოლოდ ხანის სპეციალური განკარგულებით, ასე რომ თანამდებობა და, მაშასადამე, სოფლის გამგებლობა (ამ შემთხვევაში სოფლისგან ბეგარების აკრეფის უფლებაც) არ იყო მემკვიდრეობითი; 3. ხანის ნებართვით ბეგების მიერ ტიალ მიწებზე უმიწაწყლო, ლტოლვილ, ტყვე და მისთანა ხალხთაგან დასახლებულ ადგილებზე.

ამგვარ მიწებს უმთავრესად ხ ა ლ ი ს ა ეწოდებოდა[3]. ხალისა გადადიოდა მამიდან შვილზე. ეს ფორმა მემკვიდრეობითი იჯარისაგან (მაგ., ქართული ხიზნობის საფუძველზე წარმომდგარი საადგილმამულო ურთიერთობისაგან) განსხვავდებოდა იმით, რომ ხანის გამოცვლის ან სიკვდილის შემდეგ აუცილებელი იყო ახალი ხანის ნებართვა ხალისაზე. ყველა შემთხვევაში დასახლებული ადგილებიდან შემოსავლის (ღალის) მიღება შეადგენდა ბეგთა წოდების პრივილეგიას. მაგრამ შემდეგში, ასეთი მიწების გაცემა იწყეს არა მხოლოდ ბეგებზე, არამედ უბრალო, გლეხთა წოდებიდან გამოსულ ადამიანებზედაც[4].

ამასთანავე განჯის, ბორჩალოს, ყაზახის პროვინციებში საქართველოს მეფეები, ირანის შაჰები, თუ თურქეთის სულთნები თავიანთ მოხელეებს ანიჭებდნენ ხოლმე აღალარის, სულთანის, ვექილის, მელიქის წოდებას. ამათ საგანგებოდ უბოძებდნენ სოფლებს, თემებს, იალაღებს, საიდანაც ბეგარების სახით უნდა მიეღოთ სარჩო (ჯამაგირი). ეს პირები აღის (ბატონის) ტიტულს მემკვიდრეობით ატარებდნენ[5]. საგამგებლოდ ბოძებულ სოფლებში აღალარის ხელში იყო, როგორც პოლიციური, აგრეთვე სამოსამართლო უფლებაც. აღალარი მოსახლეობიდან აკრეფილი ბეგარების ნაწილს თვითონ იტოვებდა. აღალარს უწევდნენ პირად სამსახურსაც.

---

[3] АСКАК. IX. 215, стр. 189—190.

[4] შეადარე АСКАК, IX, № 214, стр. 187.

[5] М. К у ч а с в. „Поземельное устройство гос. крестьян в Закавказских губерниях" (СМИЭБГКЗК, I, II, 1—3). В. И в а н е н к о, „Гражданск. управл. Закавк.," 338—340.

მუსლიმანური პროვინციების აღალარის წოდებას შეესაბამებოდა სომხური პროვინციებისა და სოფლების მელიქი.

ახალციხის ყოფილ საფაშოში საადგილმამულო ურთიერთობის ორი ფორმა ბატონობდა[6]: 1. ა ხ ჩ ი, რაც თავდაპირველად ფულად გადასახდელს ნიშნავდა და გულისხმობდა, რომ სოფლების ახჩი, ე. ი. შემოსავლის მეხუთედი ხაზინისა იყო. სულთანი ახჩის აძლევდა ბარათით ბეგს, რომელიც მოცემულ რაიონში ეწეოდა სახელმწიფო სამსახურს. ახჩი — საგანგიო ადგილმამული, მოსახლეობა, სოფელი — სხვადასხვა ზომისა იყო. ახჩის (ე. ი. გაბგებლობისა და შემოსავლის მიღების უფლების) გაყიდვა შეიძლებოდა, მხოლოდ მყიდველს უნდა ეკისრა გამყიდველის ვალდებულებანიც. ამასთანავე გაყიდვის კანონიერებისათვის აუცილებელი იყო სულთანის დასტური. უკანასკნელის სიკვდილით ან გადაყენებით მის მიერ გაცემული ბარათები უქმდებოდა და საჭირო იყო ახალის მიღება მემკვიდრისაგან. თუ ბეგის შვილს არ შეეძლო თავი გაერთვა მამის. საქმისათვის, ახჩი სხვას გადაეცემოდა, თუმცა უნარიან მემკვიდრესაც ახალი ბარათი უნდა მიეღო სულთანისაგან. 2. თ ა ფ უ[7]. სათაფო მიწის მჭერელი ხელშეკრულების (ტრადიციის) საფუძველზე იხდიდა შემოსავლის მეხუთედს. მას შეეძლო ამ მიწის მთლიანად თუ ნაწილობრივ იჯარით გაცემაც. მხოლოდ მემკვიდრეობითი სარგებლობის სხვისთვის გადაცემა-კი ადგილობრივი ხელისუფლების სპეციალური ნებართვითღა შეიძლებოდა.

ერევნის სახანოში მიწათმფლობელობის მ ი უ ლ კ უ რ ი და თ ი უ ლ უ რ ი ფორმა ბატონობდა. ჩვეულებრივ მთელი

---

[6] М. К у ч а е в. „Ахчевое и тапное землевладение в Ахалцихском уезде" (СМЭБГК, V, II, 323—337); МИЭБГКЗК, III, II, 70.

[7] თაფუ (ტაპუ) ბერძ. topos (— ადგილი)-დანაა წარმომდგარი და თავდაპირველი აზრით ბიზანტიის ნამსხვრევებზე გაშლილ ოტომანთა იმპერიაში საადგილმამულო გადასახდელს („ბაჟს") და თანაც ადგილის (მიწის) მფლობელობის დოკუმენტს ნიშნავდა (იხ. Проф. И. С о к о л о в, „Земельное податное обложение в Турции до танзимата" (Н. В. 1926 г., № 8—9, стр. 85—86).

მიწები სოფლელთა ხელში იყო. მიწისმუშა იხდიდა შემოსავლის 7/30-ედს. აქედან 3/30 შეადგენდა სახაზინო ბეგარას — თიულს, ხოლო 4/30 წარმოადგენდა მიულკს, რაც მიჰქონდა ირანის სახელმწიფო მოხელეს, სოფლის უფროსს, მამასახლისს. მიულკის მიღების უფლება მემკვიდრეობითი იყო. მაგრამ შაჰი ზოგიერთ მოხელეს განსაკუთრებული დამსახურებისათვის ანიჭებდა თიულის მიღების უფლებას მხოლოდ სიცოცხლის განმავლობაში და არა მემკვიდრეობით. ამგვარად, როგორც თიული ისე მიულკი შეიძლებოდა მინიჭებოდა ერთს პიროვნებას. ხანს თვითნებურად შეეძლო თიულისტი მიულკადარად ექცია. მიულკადარი შეიძლება არ ყოფილიყო პრივილეგიური წოდებისა, რამდენადაც შეიძლებოდა მიულკის აღების უფლების გაყიდვა ანდა დათმობა, გლეხისათვისაც კი. მიწის შემოსავლის 7/30-დის გადამხდელი გლეხობა პირადად თავისუფალი იყო. ამასთანავე შეიძლებოდა ბეგს მის პირად დამოკიდებულებაშიაც ჰყოლოდა გლეხობა: რეჩბარი, რაიიე, ნუქერი. პირველი ორი წოდება უმიწაწყლო იყო, ანდა სახელმწიფო მიწაზე იჯდა; ესენი პირადად ემსახურებოდნენ ბეგებს, ანდა ამუშავებდნენ ბეგის მიწებს (ბაღებს, ბოსტნებს, ბრინჯის პლანტაციებს და სხვ.). ნუქერები ბეგის ოჯახის მსახურები და დამცველები იყვნენ. ყოველ აღალარსაც ჰყავდა ნუქერთა ორი ოჯახი. ნუქერი არსებითად საოჯახო მონას ან შინაყმას წარმოადგენდა.

პირველი წლების მანძილზე ცარიზმის ხელისუფლებამ სომხეთის ოლქში ძველებური ფინანსური სისტემა არსებითად უცვლელად დასტოვა. ხოლო 1840 წლიდან თიულის მაგიერ დააწესა კომლობრივი ფულადი ბეგარა, ამასთანავე მოსახლეობა გაანთავისუფლა ბაღისა და ბაღჩა-ბოსტნიდან გადასახდელი თიულისაგან და თანვე გააუქმა ბეგარათა ამკრეფი სოფლისმიერი მოხელის თანამდებობაც. მაგრამ მიულკადარს დაუტოვა მემკვიდრეობით უფლება თავის სარჩოდ გლეხობისაგან აეკრიფა მიწის ყოველგვარი შემოსავლის გარკვეული ნაწილი. ამის საფუძველზე მიულკადარმა მალე გაიჩინა ბეგარათა ამკრეფი საკუთარი მოხელე და ერეოდა რა სოფლის

შინაგან ცხოვრებაში, იგი ხულ უფრო ემსგავსებოდა ნამდვილ ფეოდალურ მემამულეს.

ა. ჰაქსტჰაუზენი (1843 წ.) წერდა, რომ „სომხებში სავსებით არ ეტყობა. განსაკუთრებული განსხვავება, ანდა აშკარა დაპირისპირება ხალხის სხვადასხვა წოდებათა შორის. აქ არ არსებობს შესამჩნევი განსხვავება ქალაქსა და სოფელს, ქალაქელსა და გლეხს შორის. გლეხი განსხვავდება ქალაქელისაგან მხოლოდ იმით, რომ ცხოვრობს სოფელში და არა ქალაქში; ქალაქებში მოსახლეობის უმთავრესი ნაწილი მისდევს ვაჭრობასა და ხელოსნობას, სოფელში ამას ნაკლებად მისდევენ და პირუკუ შეიძლება ითქვას მიწათმოქმედების შესახებ. მხოლოდ მცირეოდენი ძველი, წარჩინებული გვარები, ე. წ. თარხანთა გვარები სარგებლობენ განსაკუთრებული საპატიო უპირატესობებით და თავისუფლდებიან ბეგარათა გადახდისაგან“. სწორედ ასევეა აზერბაიჯანშიაც. „უბრალო თურქებს უდიდესი პატივისცემა აქვთ ბეგთა ძველი გვარებისადმი, მაგრამ მხოლოდ ძველი გვარებისადმი“. წინათ აქ სოფლის მამასახლისი (ქეთხუდი) ემორჩილებოდა ბეგს, ახლა (1841 წლიდან) არა, მაგრამ „ბეგებიც მათ არ ემორჩილებიან“ [8].

ერთი სიტყვით, მიწისმუშათა ძირითადი მასები, რაიიატები ირანის ყოფილ სახანოებში, ეჭირათ მათ სახელმწიფოს, ხანის თუ მიულკადარის (ბეგის, აღალარის, მელიქის, მონასტრის) მიწები, „პირადი თავისუფლებით“ სარგებლობდნენ. რაიიე იყო ეკონომიკურად დამოკიდებული მიწისმფლობელებისადმი სანამ მისი მიწა ეჭირა, მაგრამ არ იყო ყმა, ნაკლებად იმყოფებოდა ფეოდალ-მემამულის პირად, იურიდიულ დამოკიდებულებაში.

ცარიზმის გაბატონებიდან მდგომარეობა შესამჩნევად იცვლება. მუსლიმანური (აღმოსავლური) საადგილმამულო ურთიერთობის თავისებურებათა უცოდინარობის მეოხებით ცარიზმის აგრარულ პოლიტიკას ათეული წლების მანძილზე

[8] A. v. Haxthausen, „Transkaukasia“, 1856. Leipzig, I, SS. 165, 137.

აქ ახასიათებდა მრავალი შეუსაბამობა და კურიოზი, თვით კანონმდებლობითი ხასიათის აქტებშიაც-კი, — რაც, ცხადია, ძლიერ ამწვავებდა, როგორც სხვადასხვა წოდებათა შორის, აგრეთვე მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის დამოკიდებულებას.

1837 წელს ამიერკავკასიაში ჩამოსულ ნიკოლოზ I არზა მიართვა ყაზახის დისტანციის სომეხთა ათმა სოფელმა; ესენი აღალართა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას თხოულობდნენ: აღალარები „წინათ ძარცვავდნენ სომხებს, ხოლო ახლა მათ განაგებენო“. თბილისის გუბერნატორის თავად ფალავანდიშვილის მოსაზრებათა საფუძველზე იმპერატორის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ საჭიროდ დაინახა საერთოდ ქრისტიანი გლეხობის განთავისუფლება აღალართა და ბეგთა დამოკიდებულებისაგან. მაგრამ საკითხის ხანგრძლივი შესწავლის შემდეგ, განსაკუთრებით გენ. ნეიდგარდტის მიერ გენ. ჭავჭავაძის მოხსენების გაცნობის შემდეგ, ნათელი შეიქნა, რომ შეუძლებელია ფალავანდიშვილის მოსაზრებათა ცხოვრებაში გატარება. მრავალ მოსაზრებათა, „სპეციალისტების“ დასკვნათა და პროექტთა შორის ხშირად კარდინალური წინააღმდეგობანი აშკარავდებოდა. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ირანის ყოფილ სახანოებში მუსლიმანთა პრივილეგიური წოდება რუსეთის და საქართველოს აზნაურობის მსგავს ფეოდალურ მემამულეებს წარმოადგენენ და ასეთივე უფლებით ეკუთვნით მათ მიწებზე მცხოვრები გლეხებიო. ზოგნი სავსებით უარყოფდნენ ბეგების, აღალარების, ხანების და მელიქების რაიმე უფლებას მიწებსა და გლეხობისადმი და იხილავდნენ მათ, როგორც მხოლოდ ირანის სახელმწიფო მოხელეებს, რომელთაც თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ არავითარი უფლება არა აქვთ აქამდე მათს გამგებლობაში მყოფ სოფლებსა და თემებზე.

საბოლოოდ (1844 წ.) იმპერატორის სურვილი იყო „...ბეგებს შეენარჩუნებინათ გლეხებზე გავლენა... აღალარები ყოველგვარ უფლებებში გაეთანასწორებიათ ბეგებთან. როგორც

ბეგთა, ისე აღალართა ცხოვრების უზრუნველყოფისათვის გამონახულიყო ერთგვარი და სანდო (მტკიცე) საშუალება".

შემდეგში მ. ს. ვორონცოვი, მიზნად ისახავდა რა ბეგებისა და აღალარებისაგან შეექმნა ცარიზმის ერთგული წოდება, სამხედრო მინისტრს გრაფ ჩერნიშოვს სწერდა, რომ კავკასიის ვითარების თავისებურებისა გამო „ჯერ არს, არა მხოლოდ ხელს არ ვყოფდეთ უმაღლესი წოდების უფლებებს, არამედ ყოველი ღონისძიებით ვცდილობდეთ მათს დაცვა-მფარველობასა და განმტკიცებას, რადგან მხოლოდდა-მხოლოდ არისტოკრატიულ საწყისს შეუძლია დასძლიოს ის დემოკრატიული მიმართულება (მიურიდიზმი — პ. გ.), რაც განვითარდა და რამაც ასე ღრმად გაიდგა ფესვები დაღისტანში"[9]. ამიტომაც ნამესტნიკს დიდ ბოროტებად მიაჩნდა აღალართა და ბეგებისათვის ადგილ-მამულის ჩამორთმევის ფაქტი[10], 1841 წლის კანონით რომ იქნა გატარებული.

---

[9] АСКАК, X, № 5, стр. VII — VIII.

[10] მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი აზერბაიჯანელი განმანათლებელი, პოეტი და ისტორიკოსი პოლკოვნიკი აბას-ყული აღა ბაქიხანოვი (გუდსი), რომლის წინაპრები მე-18 საუკუნეში ბაქოსა და ყუბის ხანები იყვნენ, წერს, რომ ირანის შაჰინ-შაჰები „ქვეყნის გამგებლებად ნიშნავდნენ სრულუფლებიან ბეგლარ-ბეგებს ანუ გუბერნატორებს. ამათი ხელქვეითი გამგებლები მათი ხელისუფლების ხარისხის მიხედვით იწოდებოდნენ: ოკრუგის მმართველებად — ხანებად, სულთანებად. მელიქებად; ერთი ან რამდენიმე სოფლისაგან შემდგარი თემის მმართველები — იუზბაშებად. ბეგის წოდება საერთო იყო ყველასათვის, თვით მეფის ჩათვლითაც. ამათ გარდა იყვნენ უხუცესები (მამასახლისები) სოფლელთაგან, რომლებიც ქეთხუდებად იწოდებოდნენ.

... ირანის ხელმწიფეები ცდილობდნენ განემტკიცებიათ ძველი გვარები და საერთოდ მაღალი წოდება, რომელთაც გარეშე განსაკუთრებული მიზეზისა არ გადააყენებდნენ ხოლმე მათ გვარში დიდხანს შერჩენილი თანამდებობიდან, რადგანაც ეს იყო ერთადერთი საშუალება მორჩილებაში ჰყოლოდათ დემოკრატიული წესწყობილების მქონე მთიელთა მეზობლად მცხოვრები ხალხი (იგულისხმება უმთავრესად ამიერკავკასიის აზერბაიჯანის სახანოები პ. გ.).

ნადირ-შაჰის. სიკვდილის (1742 წ.) შემდეგ ყოველ სახანოში, მანამდე შაჰზე დამოკიდებული მემკვიდრეობითი გამგებლები გარდაიქმნენ დამოუკიდებელ მფლობელებად (მთავრებად), ხოლო შაქში, შირვანსა და

იმპერატორის 1846 წ. 6 დეკემბერს რესკრიპტით [11], როგორც საქართველოს მუსლიმანურ დისტანციებში, ისე ყოფილ სახანოებსა და ახალციხის ყოფილ საფაშოში საერთოდ მიწებისა და კერძოდ დასახლებული ადგილების მემკვიდრეობით მესაკუთრეებად დამტკიცებულ იქნენ აქ მცხოვრებ მუსლიმანთა პრივილეგიური წოდებანი, რომლებიც აქამდე ნამდვილად სარგებლობდნენ ამ მიწებით. ამასთანავე ანალოგიურ პირობებში უბრუნდებოდათ მიწები იმათ, რომელთაც ჩამოერთვათ იგი 1841 წლის კანონით.

1846 წ. 6 დეკემბრის რესკრიპტის დედააზრი იმაშია, რომ ხსენებულ მიწებზე მცხოვრები გლეხობა (поселяне) ადგილზევე რჩებოდა და ამიერიდან ჩაირიცხებოდა სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში. ამ გლეხობას — რაიიებს, რეჩბარებს, ხა-

---

ყარაბაღში ამ ხარისხს მიაღწიეს თვით არამაღალი წარმოშობის, მაგრამ ხალხზე ძლიერი გავლენის მქონე ადამიანებმაც-კი.

როდესაც მემკვიდრეობითი გამგებლები გარდაიქმნენ დამოუკიდებელ მთავრებად ხანებად, მაშინ წინათ მათი ხელქვეითი სხვადასხვა კატეგორიის მემკვიდრეობითი ბეგები გადაიქცნენ მუდმივ ბეგებად (коренными беками).

პირადი ბეგები, რომლებიც ხელმწიფის სამსახურის მიტოვების შემდეგ თავიანთს წოდებას ვერ გადასცემდნენ მემკვიდრეებს, მაგრამ რომელთაც პირველი ხანების დროს თანამდებობა რამდენიმე თაობაში შეინარჩუნეს, გადაიქცნენ მემკვიდრეობით ბეგებად; ხოლო პირადი ბეგობა ახლადაც (სხვებს) ებოძებოდათ ხოლმე ხანთაგან.

ხანისათვის გაწეულ სამსახურს და ომში გამოჩენილ მამაცობას შეეძლო ყოველი აემაღლებინა ამ წოდებამდე და თუ წოდება მემკვიდრეობით რამდენიმე თაობას გადაეცემოდა, მაშინ ისიც მემკვიდრეობითად იქცეოდა" (газ. „Кавказ", 1848 г. № 1, стр. 3 — 4). შეიძლება აქვე აღინიშნოს, რომ ცარიზმის მოხელეებსა და ოფიციალურ სპეციალისტებს, სულ ბოლო დრომდე, ამიერკავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესახებ თავიანთ თხზულებებში, უხვად მოყავდათ ამონაწერები, ხოლო უფრო გულმოდგინენი მთლიანად გადმოიწერდნენ ხოლმე აბას-ყულის გამოკვლევებს ისე, რომ ერთხელაც არ მოიხსენებდნენ მის ავტორს.

[11] II-ое ПСЗРII, № 20672; Свод законов, IX, изд. 1857 г., приложение к ст. 1097; С. Есадзе, „Ист. записки об управлении Кавказом", I, 526 — 545.

ლისებს, ნუქერებს და სხვ. — მიეკუთვნა ერთი საერთო სახელწოდება მიულკედერ-ტაბიგი, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს კერძომფლობელის მიწაზე დასახლებულს. გლეხები ვალდებული იყვნენ მიწათმფლობელთათვის, მათი მიწებით სარგებლობისათვის, ეხადათ სხვადასხვაგვარი ბეგარა. მიწათმფლობელთ (მემამულეთ) კვლავ მიენიჭათ წინანდელი უფლება: მეთვალყურეობა გაეწიათ გლეხთა ყოფა-ცხოვრებაზე, დაეცვათ უკანასკნელთა შორის წესრიგი, ე. ი. მიწათმფლობელებმა კვლავ მოიპოვეს სოფლის მიმართ პოლიციური უფლებები [12].

მიწათმფლობელთა და გლეხობას შორის ურთიერთობა უფრო დაზუსტებულ და გარკვეულ იქნა 1847 წ. 20 აპრილსა და 28 დეკემბერს დამტკიცებული დებულებებით [13]. გლეხობა საბოლოოდ თავისუფლდება მიწათმფლობელთა (პრივილეგიურ წოდებათა) წინაშე ყოველგვარი პირადი დამოკიდებულება-ბეგარათაგან გარდა იმ ბეგარა-ვალდებულებათა, რაც უნდა ეხადათ და გაეწიათ მხოლოდ მიწისათვის, რომელიც მემამულეს ეკუთვნოდა და რომლითაც გლეხობა სარგებლობდა. ამგვარად ბეგები, აღალარები, საერთოდ პრივილეგიური წოდების მუსლიმანები ცხადდებიან მემამულეებად, ხოლო მათს მიწებზე მცხოვრები გლეხები-კი თავისუფალ, მემკვიდრეობით მეიჯარეებად. ბეგებსა და აღალარებს არ შეეძლოთ გლეხობისათვის მიწის შემცირება (ჩამოჭრა); პირიქით, მცირემიწიანი გლეხებისათვის უნდა მიეცათ თავისუფალი მიწა. გლეხი (სოფელი) ვალდებული იყო მემამულისათვის მიეცა: 1. საკუთარი საშუალებებით დამუშავებული მიწის მოსავლის 1/16, ხოლო გამწევი ძალის, თესლის თუ იარაღის სახით მემამულის მონაწილეობით დამუშავებული მიწიდან — შეთანხმებისამებრ, მაგრამ არა უმეტეს 1/3-ისა. 2. მოსამსახურე, საოჯახო და მინდვრის სამუშაოებისათვის —

[12] В. Линден, „Высшие классы коренного населения Кавказского края", 1917, Тифлис, 34 — 36.

[13] II-ое ПСЗРИ. № 21825.

10 კომლიდან 1 მამაკაცი, მემამულის შერჩევით, 1 წლის ვადით. 3. აღალარისათვის ყოველი კომლიდან 1 კაცი წლიურად რვა დღით მინდვრის, მიმოსვლის, საკარმიდამო მშენებლობის და სხვ. სამუშაოსათვის, ხოლო შემახიას გუბერნიის (აზერბაიჯანის სახანოების) ბეგისათვის — 18 დღით, იმავე მიზნით და ამას გარდა აქ გლეხები ვალდებულნი იყვნენ წლიურად 2 დღით თემურად (სოფლურად), ე. ი. ევრეზულად ემუშავათ მემამულისათვის[14].

ბეგის თუ აღალარის მამულზე მცხოვრებ გლეხს, სამუშაო წლის გასვლისა და მემამულისათვის ყოველგვარი ბეგარის გადახდის შემდეგ, თავისუფლად შეეძლო სხვაგან გადასახლება; მას ამასთანავე უფლება ჰქონდა, რომ მის მიერ გაშენებული ბაღი, ბოსტანი და სხვ. გაეყიდა, შენობები გაეყიდა, წაეღო ან სხვისთვის დაეთმო. მაგრამ გადასახლების მსურველს უწინარეს უნდა მიეღო სათანადო ნებართვა ამიერკავკასიის მთავარმართებლობისაგან, — რაც, ცხადია, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. სოფელი ირჩევდა მამასახლისს, მაგრამ მემამულის მიერ მოწონებულ კანდიდატთაგან. მემამულეს ეკუთვნოდა სოფლის გამგებლისა და პოლიციური უფროსის უფლებები. მასვე ევალებოდა ეზრუნა არხების, ხიდების, გზებისათვის და შეეძლო ამ მიზნით სამუშაოდ გაეყვანა გლეხობა — თემურად (ევრეზულად); მემამულე ამტკიცებდა სოფლის სასამართლოს განაჩენს. ბალე ასეთივე დებულება იქნა მიღებული ქურთთა ტომების მამასახლისებისა[15] და ერევნის გუბერნიის ბეგებისა[16] და საქართველოს მუსლიმანური დისტანციების მელიქებისათვისაც[17]. ერთი სიტყვით, 1846-1847 წ. წ. დადგენილებებმა[18] ყოველგვარი პირობა

---

[14] II-ое ПСЗРИ, XXI, № 21825/26; газ. „Кавказ", 1848 г. № 7, стр. 25 — 27.

[15] АСКАК, X, 853.

[16] იქვე, 880.

[17] В. Иваненко, l. c., 355 — 360.

[18] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения", 1950, II, 700 — 702.

შექმნეს იმისათვის, რათა ბეგები და აღალარები „დაკანონებულ“ ფეოდალურ-მემამულეებად, მებატონეებად, გადაქცეულიყვნენ [19]. და სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთში ბატონყმობა უქმდებოდა, ამიერკავკასიაში მანამდე ნახევრადთავისუფალი გლეხობაც ყმად იქცეოდა.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში ფეოდალურ ურთიერთობათა ისტორიის საკითხზე უახლესი მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორი პროფ. ი. პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი იმ დასკვნამდე მიდის, რომ რევოლუციამდელი ეპოქის ისტორიკოსთაგან გავრცელებული აზრი „თითქოს გლეხის მიწაზე მიმაგრებას ადგილი ქონდა მხოლოდ საქართველოში და არა სომხეთისა და აზერბაიჯანის სახანოებში, სწორი არ არის“ [20].

მე-16 — 18 სს. აზერბაიჯანსა და სომხეთში „ბატონობდა ერთი (ფეოდალური) წარმოების წესი, ერთი და იგივე წყობილება... ერთი და იგივე ფეოდალური ინსტიტუტები... ყველგან გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი არათავისუფალ მდგომარეობაში იყო, დამოკიდებულების სხვადასხვა ხარისხით, რაც დამოკიდებულ ადამიანთა ძირითადი ჯგუფებისათვის ყმურ მდგომარეობას უახლოვდებოდა“. ცხადია, ეს დებულება არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის ამ პერიოდის საზოგადოებრივ წყობას ახასიათებდა რიგი თავისებურებანი [21].

მ ი წ ა ზ ე, უ ფ რ ო ზ უ ს ტ ა დ რ ო მ ვ თ ქ ვ ა თ, მ ო ც ე მ უ ლ ი ა დ გ ი ლ ი დ ა ნ მ ი ს ა ღ ე ბ ხ ა რ ა ჯ ა ს ა და ბ ე გ ა რ ე ბ ზ ე, ე. ი. ს ა ა დ გ ი ლ მ ა მ უ ლ ო გ ა მ ო ს ა ღ ე ბ ზ ე გ ლ ე ხ ო ბ ა მ ი მ ა გ რ ე ბ უ ლ ი ი ყ ო, ა ნ დ ა, ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ დ ა მ ე დ გ ა რ ი ც დ ე ბ ი ა მ გ ვ ა რ ი მ ი მ ა გ რ ე ბ ი ს გ ა ტ ა რ ე ბ ი ს ა.

---

[19] В. Линден, l. c., 37 — 48; МИЭБГКЗК, VI, II, 386; VII, 309 — 310.

[20] И. Петрушевский, l. c., стр. 262.

[21] იქვე, გვ. 320 — 321.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში მე-16 — 18 სს. მიმდინარე პროცესმა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების შესაბამისი ასახვა ვერ ჰპოვა მუსლიმანურ სამართალში (კანონმდებლობაში)[22] და იგი მხოლოდ ადგილობრივი ადათების სახით ყალიბდებოდა.

სპეციფიკურობათა მხრივ როგორც არ იყოს, ცხადია, ცდებიან ისინი, რომლებიც ამტკიცებენ თითქოს აღმ. ამიერკავკასიაში მე-19 საუკუნემდე ბატონყმობის ჩანასახებიც-კი არ იყოო, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ცარიზმის აგრარულმა პოლიტიკამ, რაც საერთოდ ამ ქვეყნის მიმართ წარმოებული კოლონიური პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა, ერთხნობით გამოიწვია აქ ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი სწრაფი განვითარება და განმტკიცება.

1861 წელს ერევნის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის ნამესტნიკის მთავარმართებლობის უფროსისადმი მიმართვაში აცხადებდა, რომ ამიერკავკასიაში „უმაღლესი წოდების მნიშვნელოვანი ნაწილი სასამსახურო ასპარეზზე მიეჩვია ოფიციალურ ძარცვას (რაც, ცხადია, მხოლოდ ადმინისტრაციის წაქეზებით შეიძლებოდა — პ. გ.) და არ გაეგება რა დროის ვითარება, მიისწრაფვის თავზე მოახვიოს მიწის მუშას დამოკიდებულების ბორკილები, რაც აქ, მაგალითად, ერევნის გუბერნიაში არასოდეს არ არსებულა არც ისტორიულად და არც იურიდიულად, ხოლო რუსეთში ირღვევა, მიუხედავად თავისი საუკუნეებრივი ავტორიტეტისაო“[23]. ასეთი იყო შეპირებული „მდგომარეობის საყოველთაო გაუმჯობესება“, რაც ცარიზმის მმართველობამ მოუტანა ამიერკავკასიის ხსენებულ გლეხობას.

* * *

რეფორმამდელ საქართველოში სოფლის მოსახლეობის ძირითადი მასა შედგებოდა საბატონო და სახელმწიფო (სა-

---

[22] იხ. მაგ.. Н. Торнау. „О праве собственности по мусульманскому законодательству“, 1882. СПБ.

[23] АСКАК, XII, I, 221.

ხაზინო) გლეხებისაგან. ცხადია, აქ თემური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის გადმონაშთები დაცულ იქნა უპირატესად სახელმწიფო გლეხთა შორის.. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო გლეხებში შემდეგ გაერთიანებული იქნენ აგრეთვე ყოფილი სახასო და საეკლესიო გლეხებიც. რუსეთში 1861 წლის კანონით სახელმწიფო გლეხები გადაიქცნენ კერძომფლობელ გლეხებად. ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხებზე არც 1861 წ. და არც 1906 წ. კანონი არ გაუვრცელებიათ; ასე რომ აქაური სახელმწიფო გლეხები თვით 1917 წ. რევოლუციამდე დარჩნენ სახაზინო მიწებზე, ე. ი. რეფორმამდელი რუსეთის სახელმწიფო გლეხების მსგავსად იხდიდნენ სახაზინო მიწებზე საღალო გადასახადს და თემობრივად სარგებლობდნენ სახელმწიფო მიწებით, როგორც ამ მიწების მემკვიდრეობითი მოიჯარენი. სწორედ ამ გარემოებამ შესამჩნევი ზომით შეუწყო ხელი ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში მიწის თემური სარგებლობისა და მფლობელობის გადმონაშთების შემდგომ შენარჩუნებას და ზოგან კიდევ, ვინ იცის, იქნება აღდგენასაც.

ძველ საქართველოში სოფელი (თემი) საგვარეულო იყო. „შემდეგშიაც საგვარეულო წესწყობილების დარღვევის და პატარა ოჯახების გაჩენისდა მიუხედავად ერთსადაიმავე სოფელში ერთისადაიმავე გვარის მეკომურები ცხოვრობდნენ; ეს გარემოება უფრო მეტი სიცხადით წარმოგვიდგებოდა, ხალხის აღწერის დავთრებში რომ თანდათან საგვარეულო სახელების მაგიერ მამისშვილობის სახელების ჩაწერა არ დაეწყოთ და ამით ჩვენთვის მეკომურთა ნამდვილი გვარის გაგების საშუალება არ მოესპოთ“ [24].

ილია ჭავჭავაძე 1880 წ. წერდა „პირველ-ქამური მფლობელობა ანუ ხმარება მამულისა — სათემო მფლობელობა და ხმარება იყო. ამისი ცხადი საბუთები და ნიშნები დღესაც მრავალია ყველგან და ნამეტნავად ჩვენში. ამისი

[24] ი. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, 1928, ტფ. I, 151.

აშკარა მაგალითი ტყისა და საძოვრის სათემოდ ხმარებაა, რომელიც ჩვენს თვალწინ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს სულთებრძვის რუსთა კანონების ზედმოქმედების გამო და რომლის რწმენაც ჩვენი ხალხის გონებიდან დღევანდლამდე ვერ გამოდევნა თითქმის ოთხმოცი წლის მოქმედებამ მაგ კანონებისამ. თითქმის ყოველს სოფელში დღესაც ჰნახავთ ერთს წყობას მიწებისას, რომელსაც სათემო მიწებს ეძახიან და სათემო ხმარებაშია“ [25]. ამ მხრივ ილ. ჭავჭავაძის კვალზე მიმავალი ნ. ხიზანაშვილი 1885 წ. აცხადებდა: „არ უნდა ვეჭვნეულობდეთ, რომ წინათ (მიწაზე) კერძო საკუთრების მაგივრად საზოგადო საგვარეულო საკუთრება იყოო“[26]. აკად. ი. ჯავახიშვილიც წერს, რომ „დიდ საგვარეულოებს მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნეშიაც-კი კარგა ხანს საგვარეულო მამულები გაუყოფელი და საგვარეულო მიწისმფლობელობა ჰქონდათ“ [27]. ცხადია, აქ ლაპარაკია საგვარეულო მიწათმფლობელობის მხოლოდ გადმონაშთენებზე, რაც შეეხება მიწის თემურ მფლობელობას ანუ, უკეთა ვთქვათ, სარგებლობას, — ეს კი ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხებში სავსებით გარკვეულ და ჩამოყალიბებულ ინსტიტუტს წარმოადგენდა მე-19 საუკუნეშიაც.

* * *

სხვა ადგილას[28] უკვე გავეცანით ამიერკავკასიაში „დროებით-ვალდებულ“, ე. ი. ყოფილ საბატონო გლეხთა მიწათსარგებლობასა და მიწათმფლობელობას და მისწრაფებას მიწების შეძენისადმი, ე. ი. კერძო მიწათმფლობელებად გადაქცევისადმი, და შედეგებს ამ მისწრაფებისა. ახლა ჩვენი მსჯელობის საგანია სახელმწიფო გლეხთა მიწათ-

[25] ილ. ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1928, თბ., VIII, 138.

[26] ნ. ხიზანაშვილი. „ეთნოგრაფიული ნაწერები“, 1940, თბ., 167.

[27] ი. ჯავახიშვილი. „ქართ. სამართლ. ისტ.“, I, 152, 156.

[28] პ. გუგუშვილი. „ბატონყმობის გაუქმება საქართველოში“ (ჟურნ. „ბოლშევიკი“, 1939 წ. № 9 — 10).

მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ა დ ა მ ი წ ა თ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი.

ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური. ყოფიერება და, მაშასადამე, აგრარული ურთიერთობა საკმაოდ და საფუძვლიანად იქნა აღწერილი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში. სხვადასხვა ავტორთა მიერ ამ მიმართულებით წარმოებული დაკვირვების შედეგად დაგროვილი მასალა 1885—1887 წწ. გამოქვეყნდა თბილისში შვიდ დიდ ტომად: «Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края». მალე ამ მასალათა საფუძველზე დაიწერა რიგი მონოგრაფიებისა, რომელთა კრებულები 1887—1888 წ წ. გამოქვეყნდა კიდევ ხუთ დიდ ტომად: «Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края».

ამ მასალათა მიხედვით ირკვევა, რომ მთელს ამიერკავკასიაში სახელმწიფო გლეხთა სარგებლობაში მყოფი ყოველგვარი ვარგისი მიწა იყოფა ორ მთავარ ჯგუფად. პ ი რ ვ ე ლ ჯ გ უ ფ ს ეკუთვნიან ძირითადი ვარგისი მიწები, რომლებიც ცალკე მეკომურთა (კომლთა) მიერ არიან დ ა ჩ ე მ ე ბ ულ ნ ი[29] და „საშვილიშვილოდ დაჭერილნი. ამგვარ მიწებს (საქართველოში) ზოგან ნ ა ფ უ ძ რ ე ბ ს ეძახიან, უფრო ხშირად კი ს ა ბ ლ ი ს მამულებს“[30]. ამ დაჩემებულ მამულს კერძოდ საინგილოში რ უ ბ ი ერქვა: „ყველა კომლის წილად ნარგებ ეზოს, ბაღის ხეხილს, ვენახს და სათიბს ინგილოები ეძახიან რუბს. რუბი თავდაპირველად ტოლი ყოფილა ყველასათვის, მხოლოდ ბოლო დროს სყიდვა შეჰპარვიათ და ზოგ მდიდარს ორი რუბიც უჭირავს“[31].

---

[29] МИЭБГКЗК. IV, II, 209; V, I, 195, 376, 379.

[30] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „კერძო და სათემო მფლობელობა“ (1886 წ.), თხზულებანი, VIII, 207.

[31] ეურ. „ივერია“, 1882 წ. № II, 81.

დაჩემებულ მიწებში, საერთოდ ამიერკავკასიაში, უწინარეს ყოვლისა, ცხადია, შედიოდა საკარმიდამო ნაკვეთი[32]. საზოგადოდ ცნობილია, რომ „მიწის პირველი ნაკვეთი, რომელიც ცალკე პირის კერძო საკუთრებად იქცა, ეზო იყო“[33], აქვე შედის აგრეთვე ვენახი[34], და ბაღ-ბოსტანი[35]. თუმცა იყო შემთხვევები, რომ ბოსტნებიც სათემო მიწაზე ჰქონდათ. მაგალითად, საინგილოში „საბოსტნე ყოველ წელს ირჩევა და იყოფა ოჯახობის რაოდენობის მიხედულობით. საბოსტნის ნახვაა მეტად სასიამოვნო. აი, შედიხართ, ვთქვათ ს. ყორღანში, — თქვენ გხვდებათ ყორღანელების ბოსტნები, ერთად მოხნული, მერე განაწილებული მიჯნებით, რომელზედაც დათესილია სიმინდი. ყველას ბოსტანში უთესიათ ნესვი და საზამთრო. საზოგადოებას საბოსტნეს თავში დაურჭვია უშველებელი ხეები და ზედ გაუმართავს საყარაულო. ყოველდღე ოჯახი თავის წილში სწყვეტს სამყოფ საზამთროს, თუ ნესვს“[36]. იგივე კორესპონდენტი შენიშნავს: „გარეკახეთისა და ქიზიყის სათემო მინდვრებში-კი მდიდრები სარგებლობენ ხოლმე საბოსტნის მოყვანით — ჰხნავენ სამოც და ასის დღისას საზამთრო-ნესვის ბოსტანს და ჰყიდიან, როგორც ქალაქებში, ისევე თავისივე სოფლებში. უილაჯონი ამით თავიანთ გაფცქვნის იარაღს აძლევენ მდიდარ მოძმესვე და ინგილოსებურად ვერ გაუწყვიათ საქმეო“[37].

დაჩემებულ მიწებში შედის აგრეთვე საერთოდ ყოველგვარი ვარგისი მიწა, რომელიც შემოღობილ-შემოკავებულია. საქართველოში „ამგვარი მიწები... გლეხთა თვალში არაფრით

---

[32] СМЭБГК, I, I, 37 — 38, 164 — 165; II, 396, III, II, 17 — 18, МИЭБГКЗК, I, 44, 490. 546, 664; II, I, 176; II, II, 92 — 94; IV, II, 261; V, I, 379; VI, II, 43; VII, 40, 152, 306.

[33] ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი. გლეხთა ომი გერმანიაში, 1932, თბ., 165.

[34] МИЭБГКЗК, I, 490; II, II, 176, 320; VI, I, 30 — 37; II, 41, 152, 306; С. Е г и а з а р о в, „Изследования по истории учреждений в Закавказье“, I, 138 — 140.

[35] СМЭБГК, I, I, 163 — 165; II, 396; III, II, 18.

[36] „ივერია“, 1882. № II, 80—81.

[37] იქვე, 82.

და არა ნიშნებით არ განირჩევიან კერძო საკუთრებისაგან, თუმცა-კი, გლეხს რომ ჰკითხოთ, იგი მიწები სახასონი და სახელმწიფონი არიან. ამისთანა მიწები მემკვიდრეობით გადადის ერთიდამ მეორეზედ; გლეხი, პატრონი მიწისა, აგირავებს, ჰყიდის ერთმანეთში თავისუფლად და დაუბრკოლებლივ"[38].

ხშირად დაჩემებულ მიწებში შედის შემოუღობავი მიწაც. მაგალითად, მთიან რაიონებში, სადაც სახნავი მიწის წვრილ-წვრილი ნაჭრები გაბნეულია მთის ფერდობებსა და ღრანტეხევებში და სადაც არასოდეს არ წარმოებს მათი გადანაწილება[39].

— მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ს ეკუთვნის მთელი დანარჩენი ვარგისი მიწები, რომელთაც სოფელი თემურად ფლობს. საქართველოში ეს „ზოგან „სასოფლოდ" წოდებული, ზოგან „სათემოდ" და ზოგან „სახასოდაც", იმისთანა მიწებია, რომელიც ნაყოფიერებით პირველებზე ნაკლებია, სოფელს მოშორებული და არავისაგან არ დაჩემებული"[40].

თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფა-ცხოვრების აღმწერი ქ. ვ ე რ მ ი-შ ე ვ ი ჩამოთვლის მიწის თემური მფლობელობის დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც, მეტნაკლები ზომით, საერთოა ამიერკავკასიის თითქმის ყველა შესაბამის მაზრისათვის; ეს ნიშნებია: 1. თემის უფლება „ჩაერიოს თავის წევრთა შორის მიწების განაწილებაში"[41]. ამ მხრივ, რაგინდ მიჩქმალული იყოს თემის როლი, თემი მაინც ახერხებს ჩამოუჭრას მიწა დიდი ფართობის მქონე გლეხსა და გადასცეს მცირემიწიანს, აკრძალოს ტიალად დატოვებული ნადელის მოხვნა და სხვ.; 2. თემის უფლება ბეითალმან მამულზე; 3. მთელი საძოვარი ადგილებით საერთო სარგებლობა თემის წევრთა მიერ; ამასთანავე ამ საძოვართა მოხვნა მხოლოდ თემის ნებართვით

---

[38] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, VIII, 206 — 208.
[39] МИЭБГКЗК, V, II, 22.
[40] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, VIII, 208.
[41] МИЭБГКЗК, III, II, 68.

შეიძლება; 4. თემის უფლება ჩამოართვას თავის წევრს მიწა იმ შემთხვევაში, თუ იგი არ (ვერ) გადაიხდის მასზე შეწერილ გადასახადს, — რაც, როგორც წესი, თემის წევრებზე ნაწილდება სანადელოდ მიცემული მიწის პროპორციულად; 5. ქ. ვერმიშევს თემური მიწათმფლობელობის დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნია აგრეთვე, მის მიერ აღწერილ თემებში „თითქმის ყველგან შემჩნეული“ ერთგვარი ჩუმი დრტვინვა, როგორც შედეგი მოსახლეობის უკმაყოფილებისა „მიწების არსებული დანაწილებით. და ამ მიწების ყველა მის მსაჭიროებელთა შორის თანაბრად გადანაწილებისადმი მისწრაფება“. მოსახლეობაში ეს დუღილი „განსაკუთრებით ინტენსიური ხდება გადასახადთა აკრების პერიოდებში“. ამასთანავე ქ. ვერმიშევი აღნიშნავს, რომ მოსახლეობაში შექმნილია რაღაც „საყოველთაო მოლოდინი, რომელიღაც ფანტასტიკური სამიჯნაო“ კომისიისა, რომელსაც ვითომ უფლება ექნება ძინიჭებული თანაბარზომიერად გადაანაწილოს მიწები სახელმწიფო გადასახადის ყველა გადამხდელთა შორის» [42]; 6. აღსანიშნავია აგრეთვე ე. წ. სასოფლო სერვიტუტები, რითაც ასე თუ ისე შებოჭილია (შეზღუდულია) მეკომურის უფლება მის მიერ მიღებულ ვარგის მიწაზე. ეს სერვიტუტებია, მაგალითად, მიწაზე ჯოგის გატარების (გზად გაშვების), ადამიანისა და პირუტყვის სასმელი წყლით სარგებლობის, მეზობლის მიწაზე გუთნის მობრუნების და სხვ. უფლებები [43].

თემური მიწათმფლობელობა ყველაზე უფრო დიდხანს და დიდი ზომით იყო დაცული მთის თემებში, სადაც საკარ მიდამოსა, ბაღვენახსა და აგრეთვე ტყისა, ბუჩქნარისა და ქვისაგან გაწმენდილ და შემოღობილს გარდა მთელი დანარჩენი მიწა — სახნავ-სათესი, საბალახო, სათიბი, ტყე და საერთოდ ყოველგვარი შემოუღობავი ვარგისი და უხმარ-ტიალი მიწა — თემის საერთო სარგებლობასა და მფლობელობაში იყო. ცხადია, გამონაკლისები ყველგან მოიძებნებოდა.

---

[42] МИЭБГКЗК, III, II, 63—69.

[43] СМЭБГКЗК, I, I, 193—194; МИЭБГКЗК, I, 736; IV, I, 48, 282; VI. II. 52.

2. ᲛᲘᲬᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ

თემური მიწათმფლობელობის დამახასიათებელი მთავარი თავისებურება მიწის პერიოდულ გადანაწილებაში მდგომარეობს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ჩვეულებრივად „მთელი დასამუშავებელი მიწა, სახნავ-სათესი და მინდორველი ერთიანდება და მდებარეობისა და ნიადაგის ხარისხის მიხედვით რამდენიმე მასივად ნაწილდება. შემდეგ თვითეულ მასივს ხელახლა იმდენ თანაბარ გრძელ, ვიწრო ზოლად ჰყოფენ, რამდენიც სრულუფლებიანი წევრია თემში... მერმე წარმოებს წილის ყრა წევრებს შორის, ასე რომ თვითეული ამხანაგი ყოველი მასივიდან, ე. ი. ყოველი მდებარეობისა და ხარისხის მიწიდან, თავდაპირველად თანასწორ წილს ღებულობს. ამჟამად ნაწილები არათანასწორი გახდა მემკვიდრეობისა, გაყიდვისა და სხვ. წყალობით, მაგრამ წინანდელი სრული წილი ერთეულს წარმოადგენს, რომლის მიხედვით ნახევარი, მეოთხედი, მერვედი და სხვ. ნაწილი ისაზღვრება“ [1]. — ჩვენშიაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფრ. ენგელსის მიერ აღწერილი ძველგერმანული თემის მსგავსად წარმოებდა, დაახლოებით, სათემო მიწების გადანაწილება.

მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში, როდესაც სოფლის სოციალური დიფერენციაციის შემდგომი გაღრმავების საფუძველზე ამიერკავკასიაში აგრარული ურთიერთობა გამწვავდა, მთელ რიგ რაიონებში გაღატაკებული — მცირემიწიანი გლეხობა მოითხოვდა მიწების ხელახალ გადანაწილებას და ისეთ თემებშიაც-კი, სადაც მთელი ვარგისი მიწა უკვე საბოლოოდ შემოღობილ-დაჩემებული იყო. ილ. ჭავჭავაძე 1886 წ. წერდა: „ბევრგან განაჩენებია დღეს შემდგარი, რომელშიაც გლეხკაცობამ აშკარად აღიარა, რომ სახასო სოფელი — სოფლისაა საერთოდ და არა თვითეულის მკვიდრისა საკუთრივ. დაუდო რა თავის განაჩენს ეს დედაზრი საფუძვლად, დაადგინა, რომ ყველა მკვიდრი ი ნ ო დ ე ნ ა დ მონა-

[1] ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „გლეხთა ომი გერმანიაში“, 164.

წილეა მთელს სოფლის მამულში, რამდენის მსურველიც არის, თუ სასოფლო მამული ყველას სურვილს გასწვდა და რაკი დღეს მეტნაკლებობაა ერთმანეთში და დიდი უსწორმასწორობა, განაჩინა — ხელახლად დაიდვას საბელი და გაყოფილ იქნას სასოფლო მამულები. ამისთანა განაჩენები უკვე შემდგარია ქართლისა, კახეთისა, სომხეთისა და ტფილისის მაზრის სოფლების მიერ“ [2]. აღნიშნავს რა ამ გარემოებას, ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე დასძენს: „სახასო სოფლის მიწების დაყოფა ახალი ამბავი არ უნდა იყოს ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისათვის. ქართლსა, კახეთსა, სომხითსა, ფშავსა, ხევსურეთსა და თუშეთში, მთავრობის დახმარებით, ხელი მიუყვიათ კიდეც ამ საქმისათვის და სწორედ აქედამა სჩანს უტყუარად, რომ ჩვენს გლეხკაცობას ანდერძად დარჩენია ძველთა დროთაგან. თორემ ეს რომ ახალი ამბავი იყოს, იუცხოვებდნენ ჩვენში, ახლა კი მშვიდობიანად და უჩუმრად შეიწყნარეს. გარდა ამისა, ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ გლეხკაცობამ ამ საქმეს ხელი მოსჭიდა და თავისის საკუთარის თაოსნობით. ესეც უტყუარი ნიშანია, რომ ჩვენში ეგ მამულების დროგამოშვებით დაყოფა ჩვეულებად ყოფილა ძველთაგანვე და ჩვენს გლეხკაცობას გუნებაში შეჰრჩენია. ანდერძად დარჩომია“ [3].

ჯერჯერობით ზუსტად არაა დადგენილი, თუ რა დროიდან უნდა ყოფილიყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში შემოღებული თემის მიწების პერიოდული გათანაბრებითი გადანაწილება, საერთოდ ცნობილია, რომ მიწების პერიოდული გადანაწილების აუცილებლობა შედარებით გვიან ჩნდება; მას მერმე რაც თემის საზღვრებში მიიწურება სახმარად ვარგისი თავისუფალი მიწის ფონდი, მას შემდეგ რაც ახლადწარმოქმნილ ან გაზრდილ ოჯახებს საშუალება არა აქვთ საჭიროებისამებრ თავისუფლად დაიკავონ სახმარი მიწები [4].

როგორც მ ხ ი თ ა რ გ ო რ ი ს კანონებიდან (დაწერილია 1184 — 1213 წწ.) ჩანს ამიერკავკასიაში, კერძოდ სომხეთში, მიწების გადამიჯნვა

[2] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, VIII, 210.

[3] იქვე, 211.

[4] იხ. მაგ., Б. Г р е к о в, „Крестьяне на Руси“, 1952 — 1954. ტ.ტ. I, II.

მე-12 ს. ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო. ამ კანონის ვახტანგ VI რედაქციით შესრულებული ქართული თარგმანის 366 მუხლის მიხედვით სოფლის აშენებისას სახმარი მიწების საბოლოოდ განაწილება არ უნდა მოეხდინათ სანამ „საკმაო რაოდენობის ახალმოშენეები არ შეიკრიბებოდნენ“. თუ ომის დროს აყრილ სოფელში კვლავ წინანდელი მოსახლეები ბრუნდებოდნენ, მათ ისევ ის ადგილები უნდა დაეკავებიათ, რასაც წინათ ფლობდნენ, ხოლო თუ დროთა მსვლელობაში მიჯნები გადასული (დაშლილი) იყო და შეუმჩნეველი, მაშინ ხელახლა გაენაწილებიათ (გაემიჯნათ) მიწები [5].

მხითარ გოშის კანონების შესაბამის მუხლს, სახელდობრ ვ. ბ ა ს ტ ა მ ი ა ნ ი ს მიერ გამოცემული (1880 წ.) სომხური ტექსტის მიხედვით კანონების მეორე ნაწილის 106 მუხლს სპეციალურად შეეხო ბ. ა რ უ თ ი უ ნ ი ა ნ ი (1952 წ.). ორიგინალში (რაც ქართულ თარგმანზე ვრცელია) სხვათაშორის აღნიშნულია, რომ დიდი ხნის წინათ მიტოვებულ სოფელში მიწების ხელახალი გამიჯვნის დროს ყველა დაბრუნებული მიიჩნევა თანასწორად, ე. ი. კომლთა შორის სახმარი მიწები თანაბრად ნაწილდება, მას მერმე რაც გამოიყოფა საეკლესიო და სოფლის მეთაურისათვის ერთი საკომლო, რასაც იგი ზედმეტად ღებულობს „იმიტომ რომ ზრუნავს მთელი სოფლისათვის“ [6].

მხითარ გოშის კანონთა დასახელებული მუხლის ამონაწერს ბ. არუთიუნიანი შენიშნავს: „ამ მუხლიდან ჩანს, რომ თემური გადანაწილება მიწისა ძაშინ კიდევ არსებობდაო“[7]. სინამდვილეში, საქმე უნდა ესებოდეს თემის მიწების პ ე რ ი ო დ უ ლ ი გადანაწილების სისტემას, რომლის გადმონაშთებმა, როგორც დავინახეთ, ამიერკავკასიაში და კერძოდ სომხეთშიაც თვით მე-20 საუკუნემდეც მიაღწია. ახლა საკითხი ისაა, თუ რა დროიდან დაიწყო ჩვენში თემური მიწების გათანაბრებითი გადანაწილებით სარგებლობა.

* * *

მ ი წ ე ბ ი ს გ ა დ ა ნ ა წ ი ლ ებ ი ს პ ე რ ი ო დ ი ამ ი ერ კ ა ვ კ ა ს ი ი ს სხვადასხვა რაიონში სხვადასხვანაირი იყო. ერევნის გუბერნიის მაზრებში ეს პერიოდი მერყეობდა უმთავრესად ერთიდან თერთმეტ წლამდე. ცალკე მაზრების მიხედვით-კი იგი უდრიდა: ეჭმიაწინსა და სურმალოში [8] — 1-2

---

[5] „Сб. законов ц. Вахтанга VI“, стр. 331.

[6] Б. А р у т ю н я н, „Социально-экономическое положение крестьян в Армении XII в.“ (В. И. 1952, № 8, стр. 52—53).

[7] იქვე, გვ 53.

[8] МИЭБГКЗК, III, I, 278.

წელს, ერევანში[9] — 3-4, ახალბაიაზეთსა და შარურ-დარალაგიოზში[10] — 5-6, ნახჭავანსა და გუმბრში[11] — 10-11 წელს. განჯის გუბერნიაში მიწების გადანაწილების პერიოდი მერყეობდა 1-დან 10 წლამდე, ცალკე მაზრებში კი უდრიდა: განჯაში[12] — 10 წელს, ზანგეზურში[13] — 6, შუშასა და ჯებრაილში[14] — 4, ნუხაში[15] — 2, ყაზახსა და არეშში[16] — 1 წელიწადს. ბაქოს გუბერნიაში ეს პერიოდი მერყეობდა — 1-7 წლებში, კერძოდ ჯევათის მაზრაში[17] უდრიდა 7 წელიწადს, შემახიასა და გეოგჩაიში[18] — 6, ყუბაში[19] — 1 წელიწადს.

თბილისის გუბერნიაში გადამიჯვნის გარკვეული პერიოდები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს, 1880-იანი წლებისათვის უკვე აღარ ყოფილა სავალდებულოდ წინასწარ დადგენილი. ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ცდილობს ამ გარემოების თვით თემურობის პრინციპით გამართლებას. „ჩვენს გლეხკაცობას... ვადა არ დაუდვია მიწების გაყოფვისათვის. მამული მისის ფიქრით, კუთვნილია თვითეულის კომლისა, ვიდრე სოფელს არ გაუჭირდება და თვითონ სოფელი არ აღიარებს მამულის დაყოფის საჭიროებას. ეს საჭიროება დამოკიდებულია მეკომურთა გამრავლებაზედ სოფელში და სხვა იმისთანა იშვიათ გარემოებაზედ, რომელიც ბუნებითად ძალიან გვიან-გვიან იჩენს თავსა და შორს მერმისს ეკუთვნის“[20]. ნამდვილად-კი ცხადია, რომ, თუ მხედ-

---

[9] МИЭБГКЗК, III, II, 43—45.
[10] იქვე, 123, 664—665; IV, II, 22.
[11] იქვე, I, 19, 548.
[12] იქვე, VII, 42.
[13] იქვე, IV, I, 51.
[14] იქვე, 262.
[15] იქვე, VI, I, 33.
[16] იქვე, II, II, 99; VII, 152.
[17] იქვე, VII, 306.
[18] იქვე, VI, II, 44.
[19] იქვე, II, II, 177.
[20] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, VII, 217—219.

ველობაში არ მივიღებთ სავსებით არქაულ თემს, გადანაწილების ვადის წინასწარ დაუდგენლობა მერმინდელი, „დავიწყების“ შედეგად გაჩენილი მოვლენა უნდა იყოს, როგორც საერთოდ, ისე თბილისის გუბერნიის სასოფლო თემებშიაც.

კახეთში, კერძოდ სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა თემებში, შერჩენილი იყო მიწების გადანაწილების წინასწარ განსაზღვრული ინტერვალი. აქ ყოველ 3—5 წელიწადში ერთხელ წარმოებდა მიწების გადანაწილება[21]. რაც შეეხება გორის, დუშეთის, თიანეთის, თელავის, ახალციხის მაზრებს[22], აქ, მართალია, მიწების პერიოდული გადანაწილება წარმოებდა, მაგრამ არა წინასწარ დადგენილ ვადებში, არამედ მაშინ, როდესაც ამას „თემი მოისურვებდა“. ამის გამო-კი, ცხადია, თემის დაინტერესებული წრეები, სახელდობრ, კულაკობა, რომელთაც ხელში ჰქონდათ უკვე ჩაგდებული მიწების დიდი და საუკეთესო ნაკვეთები, ყოველი ღონით ეცდებოდნენ მიწების გადანაწილების მომენტის სულ იქით გადადებას. მაგალითად, თიანეთისა და გორის მაზრის მრავალ თემში „თუმცა შედგენილია თემის განაჩენი მიწის გადანაწილების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ეს განაჩენი მაქინაციების მეოხებით კულაკებისა, რომელთაც ხელში ჩაუგდიათ უკეთესი მიწები, სისრულეში არ მოჰყავთო“[23], — აღნიშნავდა 1880-იან წლებში გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერი. ცხადია, რომ ეს ტენდენცია დროთა მსვლელობაში უფრო და უფრო უნდა განმტკიცებულიყო. ასე, მაგალითად, უკვე 1909 წელს გორის მაზრის სოფ. მოხისიდან ი. ხ ა ჩ ა ტ უ რ ო ვ ი იწერებოდა, რომ აქ სოფლის უმრავლესობა — მცირემიწიანი გლეხობა — გრძნობს აუცილებლობას და მოითხოვს კიდევაც სათემო (სანადელო) მიწების ხელახალ „გამიჯვნას კომლთა შორის მისი შემდგომი გათანაბარზომიერების მიზნით, მაგრამ კულაკობა ამას ყოველთვის

[21] МИЭБГКЗК, IV, II, 216; СМЭБГК, II, 400—401.

[22] МИЭБГКЗК, V, I, 32; V, II, 24; III, II, 75—77.

[23] СМЭБГК, II, 401.

ხელს უშლის, ხოლო ახლა სოფელმა ამ მიზნით თხოვნა მიართვა მომრიგებელ მოსამართლესო"[24].

ყოველივე ამის მეოხებით ხსენებულ მაზრებში მიწის გადანაწილება 10-დან 30 წლამდე და ზოგან კიდევ უფრო დიდი პერიოდის შემდეგ წარმოებდა[25]. როგორც ჩანს, მიწის გადანაწილების წინასწარ დადგენილი პერიოდების „მივიწყება", მიჩქმალვა თავის მხრივაც ხელს უწყობდა სოფლად კულაკობის შემდგომს გაძლიერებას. მაგალითად, გარე-კახეთში, სადაც „სოფლები მამულს საერთოდ ფლობენ... ყოველ სოფელს თავისი მამული აქვს... და სადაც კი უნდათ (შეკომურთ) სასოფლო მამულში იქ მოხვდნენ. დაყოფა მამულისა სოფლელებს შორის დროგამოშვებით არ არსებობს, მხოლოდ ყველას თავთავისი კუნჭული აქვს დაჩემებული. რასაკვირველია, ამ საქმეშიაც მდიდრები ხშირად სჩაგრავენ ღარიბებს, არ დასდევენ მათ დაჩემებას და, თუ მამული მოეწონათ, ადრე გაიტანენ გუთანს და თავიანთთვისა ხვნენ. ამ მიზეზით ამგვარს მიწათმფლობელობას დიდი თავშიცემა და შფოთი მოსდევს. მაგრამ ეს წესი მაინც ბევრად უმჯობესია საკუთრად მფლობელობაზე. მხოლოდ ამ წესს ერთი რამ აკლია, რაც სხვა ქვეყნებში, სადაც მიწის საერთო მფლობელობაა, ყველგან არის მიღებული: აკლია დროგამოშვებით საერთო მიწების დაყოფა ფარდებად მცხოვრებლების რიცხვის კვალობაზედო", — წერდა „ივერიის" კორესპონდენტი[26]. კერძოდ თბილისის მაზრაში მიწების გადანაწილება ხდებოდა ყოველი კამერალური აღწერის შემდეგ, ე. ი. დაახლოებით 12 წლის პერიოდებში[27].

ცხადია, მიწის განაწილების პერიოდი ერთნაირი არ იყო არც ცალკე მაზრის თემებში. მაგალითად, თელავის მაზრაში, როგორც ა. ა რ ღ უ თ ი ნ ს კ ი წერს (1884 წ.), „მიწის საბელ-

[24] КХ, 1909 г, № 4, стр. 12.

[25] С. Е г и к а з а р о в, I. с., I, 180.

[26] ჟურ. „ივერია", 1882 წ., № 2, გვ. 79 — 81.

[27] МИЭБГКЗК, V, I; 198.

ში ჩაგდება საზოგადოდ ათისა და ოცდახუთის წლის განმავლობაში ერთხელ მოხდებოდა ხოლმე". აქ მიწების უკანასკნელი გადანაწილება (გადამიჯვნა) მომხდარა:

5	საზოგადოებაში	— 35	წლის წინათ [28].
4		— 20	— 26
5		— 10	— 12
4		— 5	— 8
4		— 1	— 2

იმავე ავტორის ათიოდე წლით უფრო გვიანდელი აღწერით დაახლოებით ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაშიაც, სადაც „მიწათმფლობელობის გაბატონებული ფორმა იყო თემური მფლობელობა" და მხოლოდ „დროებით-ვალდებულ" გლეხებს, ხიზნებს და მესაკუთრე გლეხობის ნაწილს ჰქონია მიწები მემკვიდრეობით საკომლო მფლობელობაში [29]. საერთოდ თბილისის გუბერნიაში, როგორც აგრონომი პ. კვიტკა 1913 წ. აღნიშნავდა, მიწის გადანაწილება უმეტეს შემთხვევაში 3 — 10 წლის ინტერვალში წარმოებდა [30], თუმცა არაიშვიათად ეს ინტერვალი მნიშვნელოვნად უფრო გრძელიც იყო.

მიწის გადანაწილების ინტერვალზე გავლენას ახდენდა თვით მიწათმოქმედების კულტურა, მემცენარეობის დარგები, რაც გავრცელებული იყო ამა თუ იმ რაიონში. ქიზიყში 1913 წ. ერთ-ერთ სასოფლო კრებაზე იმ აზრს ანვითარებდნენ, რომ „მიწა იმდენს ხანს უნდა მიეცეს ერთს პირს, რამდენი ხანიც საჭიროა, რომ ყოველმხრივ ისარგებლოს მისმა დროებითმა პატრონმა. მაგ., თუ წელს მე ფეტვი დავთესე, მეორე წელს აბა ვიღას მივცემ იმ მიწას... მიწა ჯერჯერობით

---

[28] ა. არღუთაშვილი. „ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა სახელმწიფო გლეხთა საქართველოში" („მეურნე", 1889 წ. № 27).

[29] А. Аргутинский, „Общинное землевладение в Борчалинском у", (КСХ, 1894 г. 43 стр. 827 — 828); РТКЭЖД, 81 — 82.

[30] ДГЗА, 289 — 299.

3 წლით უნდა გაიყოს და მერე თუ შემოვიღეთ სხვადასხვა დარგის მეურნეობა, მაგ., ბალახის თესვა და სხვა, მაშინ სხვანაირად .უნდა მოვაწყოთ“ [31].

ამგვარად, მიწის გადანაწილების ინტერვალი საკმაოდ დიდი დროის მანძილზე მერყეობდა, როგორც ერთი მაზრის სხვადასხვა თემში, ისე საერთოდ ამიერკავკასიის სხვადასხვა გუბერნიასა და მაზრაში [32]. მაგრამ საერთოდ-კი, მეტნაკლები ზომით, იგი მაინც ყველგან ძალაში იყო, სადაც კიდევ დაცული იყო მიწის თემური მფლობელობის ფორმები.

აქვე უნდა შევეხოთ მიწის თემური მფლობელობიდან გამომდინარე ერთს თავისებურ ფორმას მიწათსარგებლობისა. თემი, რომელსაც ბევრი მიწა ჰქონდა, ამ მიწის ნაწილს, თავის მხრივ, დროებით სარგებლობაში აძლევდა მეორე, მეზობელ, თემს; სწორედ ისე, როგორც მემამულე, ბეგი, აღალარი, რომელიც თავისი მამულის ნაწილს იჯარით აძლევდა გლეხს, ან თემს. ამგვარი მაგალითები ჩაწერილია კერძოდ ზაქათალის ოკრუგში. კორესპონდენტი სახელდობრ იწერებოდა (1903 წ.), რომ ზაქათალაში არიან „სოფლის საზოგადოებები, რომლებიც, მსგავსად კერძო მფლობელებისა, ბეგებისა, ფლობენ რა ბევრ თავისუფალ მიწას, აძლევენ ამ მიწას სხვა სოფლის საზოგადოებათ, რისთვისაც ახდევინებენ მათ განსაკუთრებულ გადასახდელს, რაღაც მსგავსს საადგილმამულო ბეგარისა“ [33]. ქვემოთ იგივე ავტორი განმარტავს: „მიწათმფლობელობის ამგვარ სახეობას საწყისად აქვს ის დრო, როდესაც დამპყრობლები, ლეკები, როდესაც მათში საგვარეულო თანასწორობა არსებობდა, თავიანთ სარგებლობაში მიიტაცებდნენ ამა თუ იმ რაიონს მთელი გვარეულობით ან თემურად, როდესაც მოსახლეობა იყოფოდა ორ ფენად — გაბატონებულნი, მოსული ელემენტები, და დაპყრობილნი,

---

[31] გაზ. „ხმა კახეთისა“, თელავი, 1913 წ. № 97.

[32] И. Сегаль, „Крестьянское землевладение в Закавказье“ 1912, Тбилиси, 41, 44 — 45.

[33] Закаталец, „Земельный вопрос в Закатальском округе“ (КСХ, 1903 г., № 495, стр. 1211).

რომლებიც მოკლებული იყვნენ თითქმის ყველა უფლებას რაიიატებისა. რუსეთის ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, რასაკვირველია, დამყარდა იურიდიული თანასწორუფლებიანობა, მაგრამ მოსახლეობის ერთი ნაწილის მეორისაგან ეკონომიკური დამოკიდებულება დღემდე კიდევ გაგრძელებულ არსებობასო“ [34].

მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ამგვარი ფორმების არსებობა ცნობილია დას. ევროპის ქვეყნებშიაც და იგი სრულიადაც არ წარმოადგენს ისტორიულად უცხო რამეს. ამასთანავე ჩვენ სინამდვილესთან დიდად დაახლოებულად მიგვაჩნია ის ახსნა, რასაც ამ შემთხვევაში იძლევა ჩვენი კორესპონდენტი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ზაქათალაში არსებული ამ ფორმის გენეზისის შესახებ.

* * *

თემის მიერ საერთო მფლობელობიდან ცალკე ოჯახის (კომლის) დროებით სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთს (ნაჭერს) საერთოდ ნადელი ანუ სანადელო ეწოდებოდა. მაგრამ მე-19 საუკუნემდე-კი (ნაწილობრივ მაშინაც) ქართულში ამ რუსულიდან შემოსული ცნების შესატყვისად საკომლო [35] იხმარებოდა.

საკომლო (მაგალითად, ისევე როგორც სტასი შუასაუკუნოებრივ ბიზანტიაში) [36] თვით კომლთან ერთად სოფლის ძირითადი მეურნეობრივი უჯრედი იყო. გლეხის საკომლო ხშირად დაქსაქსული იყო ერთმანეთს საკმაო მანძილით დაშორებულ მცირე ნაკვეთებად.

საკომლო (ს. ორბელიანს არა აქვს) გვხვდება 1392 წ. შედგენილს მცხეთის საეკლესიო მამულების სიაში: „შვიდი საკომლო“ მიწა [37]; — „რეხის ხევის თორმეტი საკომლო“ [38], როგორც 12 გლეხური კომლი-

[34] იხ. აგრ. П. Гугушвили, „Сельское хозяйство...“ том. IV, стр. 372—375.

[35] პ. გუგუშვილი, „ქართული ჟურნალისტიკა“, 1941. თბ. I, 441.

[36] А. Каджан, „Аграрные отношения в Византии XIII—XIV вв.“, 1952, стр. 59.

[37] თ. ჟორდანია, „ქრონიკები...“. II, 196.

[38] იქვე, 197.

სათვის საჭირო სახმარი მიწების ნორმა. ცნობილია, რომ კომლი (ეუამლი) იმავე დროს საგადამხდელო ერთეულსაც წარმოადგენდა. მეფე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე დ ი დ ი აცხადებს (1440 წ.): „ციხეთა და საყდართა აღშენებად მას ეამსა შემოსავალი ჩუენისა სახლისა არსით არ იყო და ამად საქართველოს კ უ ა მ ლ ს ა ზედა ორმოცი თეთრი მალად გავაჩინეო“ [39]. აქ ნათქვამი არაა, მაგრამ შესაძლებელია იგულისხმებოდეს არა ყოველგვარი, არამედ სრული საკომლო მიწის მქონებელი კომლი (გლეხი).

როგორც ვიცით, ორიოდე საუკუნით ადრე, როდესაც მონგოლმა დამპყრობლებმა საქართველოს სახელმწიფო აღწერეს „...ცხრასა გლეხსა ს რ უ ლ ი ს ა მ ი წ ი ს ა მ ქ ო ნ ე ბ ე ლ ს ა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეადგიან“ [40]. სრული მიწის მქონებლობა სრული უფლება-ვალდებულების მატარებელ კომლს გამოხატავდა. საგლეხო მიწა საგლეხო ფუძეს შეესაბამებოდა. 1202 წ. თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს მიერ გაცემულ სიგელში მოხსენებულია „მ ი წ ა დ ერთი და კუამლად ორი“ გლეხი ქოსაისძენი [41]. საგლეხო მიწა რომ საგლეხო ფუძეს გამოხატავს ჩანს ამავე დოკუმენტიდან, სადაც „მიწად ერთი და კუამლად ორი“ ქვემოთ იკითხება სხვა ვარიანტში: „ფ უ ძ ე დ ე რ თ ი, კ უ ა მ ლ ა დ ორი (გ.)“ [42].

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ნაფუძარი (ნაფუზარი) ნასახლარად აქვს განმარტებული [43], რასაც შეუძლია გვაფიქრებინოს, რომ იგი მხოლოდ საეზოვეს აღმნიშვნელი იყოს. მაგრამ 1519 წ. დაწერილის გელათის სიგელში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ფუძეში ვენახი და, ცხადია, სხვა სახმარი მიწებიც შედიოდა. კიდევ მეტი. იგივე დოკუმენტი ადასტურებს, რომ ერთ ფუძეზე ხან ერთი, ხშირად ორი, ხოლო ზოგან კიდევ რვა კომლიც ყოფილა დასახლებული: „...მოგახსენეთ და შემოგწირეთ ფარცხანაყანევს მარდალაშვილები ფ უ ძ ე თ ე რ თ ი დ ა კ უ ა მ ლ ი რ ვ ა“ [44].

მაგრამ გლეხური კომლის სრულფუძიანობის დაშლა, როგორც ჩანს, ბევრად უფრო ადრინდელი მოვლენაა. უკვე 1020 წ. დაწერილს მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს სიგელში მოხსენებულია „გ ლ ე ხ ნ ი ს ა მ ნ ი ფ უ ძ ი თ ა ს რ უ ლ ი თ ა“ [45]. 1040 წ. დაწერილს ბ ა გ რ ა ტ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს გუჯარში ჩამოთვლილია გლეხთა კომლები „ყოველნი-ვე ფუძითა სრულითა“ [46].

---

[39] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები“... , II, 248; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართველი ერის ისტორია“, III, 37 — 38.

[40] „ქართლის ცხოვრება“, I, 387.

[41] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები“, II, 79—80.

[42] იქვე, 80—81.

[43] ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ქართული ლექსიკონი“, 1928, გვ. 253.

[44] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები“, II, 338—339.

[45] იქვე, 34.

[46] იქვე, I, 185—186.

რაკი სრულფუძიანობა სიგელში აღნიშვნის საგანი გამხდარა, ცხადია, იგი მიწათმფლობელობის (მიწათსარგებლობის) მხრივ გლეხთა შორის უკვე არსებულ ფენებს (კატეგორიებს) ასახავს და გულისხმობს არასრულფუძიან გლეხურ კომლთა არსებობას.

გლეხური კომლისათვის ნორმალური მიწაწყლის აღსანიშნავად 1512 წ. დოკუმენტში მოხსენებულია „საგლეხო მამული" („...ორი საგლეხო ნოხარი მამული") [47], ხოლო 1569 წ. მცხეთის ერთს სიგელში იხსენიება „...თორმეტი მთელი მამული საგლეხო" [48]. 1637 წელს გიორგი მეფემ გელათს შესწირა „ბაჯს ერთი კუამლი გლეხი ხუცესი ვაღამაძე, ორის წილის ალაგითა" [49]. 1675 წ. არჩილ მეფემ სამების ეკლესიას უბოძა „... ხაშმს კუამლი კაცი ოთხი და საკუამლო ორი და უმამულო კაცი ერთი" [50].

ამგვარად, სხვადასხვა დროს გავრცელებული საკომლო თავისი აზრით მეტნაკლებად შეესაბამება ფუძეს. აგრეთვე საგლეხო მამულს, საგლეხო მიწას. დროთა მსვლელობაში აგრარულ ურთიერთობათა განვითარების შესაბამისად მიწაზე კერძო საკუთრების გავრცელების, გლეხობის სოციალური დიფერენციაციის, თემობრივობის დაშლის, აზნაურობის მძლავრობის, სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის, დამპყრობელთა მძარცველური ხარკების დაწოლის და სხვ. მეოხებით — საკომლო (ფუძე), როგორც ერთი გლეხური კომლისათვის საჭირო მიწაწყლის ნორმა, ცვალებადობას განიცდის, ირღვევა. მემკვიდრეობითობა, მიწის ყიდვა-გაყიდვა დიდად აჩქარებს თემური მიწათმფლობელობიდან აღმოცენებულ საკომლოს მოცულობრივი ნორმებისა და თვით მფლობელობის ფორმების დეფორმაციას. მაგრამ მაინც წინანდელი სრული ნაწილი (საკომლო, ფუძე) რჩება როგორც ერთეული, რომელიც იყოფა ნახევარ, მეოთხედ, მერვედ და სხვ. ნაწილებად.

საკომლო ნიშნავდა „ცალკე კომლის მიერ დაჭერილს და მის სამყოფს მამულსა და მამულის უდიდეს ზომასაც. სხვადასხვა ადგილას ეს „საკომლო" სხვადასხვა ზომისა იყო: ზოგან ათი დღიური, ზოგან ოცი, ზოგან ორმოცი და სამოცი. აშკარად ჩანს, რომ „საკომლოს" სიდიდე იმაზედ იყო დამოკიდებული — სად რამდენი მამულია საკმარისი ცალკე კომლის სარჩენად და სახელმწიფო და სასოფლო

---

[47] თ. ჟორდანია, „ქრონიკები", II, გვ. 330 — 331.

[48] იქვე, გვ. 413.

[49] იქვე, გვ. 452.

[50] იქვე, გვ. 489.

სამსახურის გადასახდელად“ [51]. ცხადია, რომ საკომლო ანუ სანადელო მიწის საერთო ფართობს განსაზღვრავდა მოცემული თემის მეურნეობრივი თავისებური — წარმოებრივი მიმართულების — ხასიათი, აგრეთვე კლიმატურ-ტოპოგრაფიული პირობები, თვით ვარგისი მიწის ის ფონდიც, რომელიც თემის განკარგულებაში შეიძლება ყოფილიყო.

საკომლოში, ანუ სანადელო მიწის ფონდში უწინარეს ყოვლისა, ცხადია, შედიოდა საეზოვე, ე. ი. საკარმიდამო ფართობი. კარმიდამო, იყო იგი შემოღობილი თუ შემოუღობავი, რომელზედაც გლეხის სახლკარი (საცხოვრებელი და მეურნეობრივი ნაგებობანი) იყო დაშენებული, მიწის პერიოდული გადანაწილების გარეშე რჩებოდა. გადანაწილება, როგორც ვნახეთ, უპირატესად სახნავ-სათეს ფართობს შეეხებოდა. ეზოს ნაკვეთი-კი მეკომურს, როგორც წესი, უდავო-მემკვიდრეობითი სარგებლობის, ანდა კერძო საკუთრების სახით ეჭირა. ეზო იყო ფუძე, საიდანაც აყრა არ იგულისხმებოდა.

ცნობილია, რომ „პირველი მიწის ნაკვეთი, რომელიც ცალკე პირის კერძო საკუთრებად იქცა, ეზო იყო. პირადი თავისუფლების საფუძველი, ბინის ხელუხლებლობა, მომთაბარის ურემკარავიდან დასახლებული გლეხის სახლზე გადავიდა და თანდათან სახლსა და ეზოს საკუთრების უფლებად გადაიქცა“ [52]. შემდეგშიაც საერთოდ კანონი იცავდა გლეხის უფლებას საკარმიდამოს (ეზოს) მიმართ.

დ. ქ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი გადმოგვცემს საინტერესო. შემთხვევას. წინანდალში (თელავის მ.) საუფლისწულო (ჭავჭავაძეების ყოფილ) მამულში 1888 წ. ჩავიდა იმპერატორი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე III. ამ დროს აქ, სასახლის ჭიშკრის პირდაპირ, ერთი ღარიბი გლეხის ქოხი იდგა. რადგან შესაძლებელი იყო ეს ქოხი თვალში ცემოდა სასახლის აივანზე მდგომ იმპერატორს, — რომელსაც, ამგვარად, გაუფუჭდებოდა ადგილობ-

---

51 ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, VIII, 215 — 216.

52 ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „მარკა“ (იხ. „გლეხთა ომი ბერმანიაში“, 1932, თხ. დამატება, 165).

რივი ხელისუფლების მიერ ესოდენი გულმოდგინებით აქამდე შექმნილი შთაბეჭდილება კავკასიის არკადიისებური ცხოვრების შესახებ, ამიტომაც „გლეხს შეაძლიეს ფული და წინადადება მისცეს, რომ აყრილიყო და თავისი ქოხი აქაურობისათვის მოეშორებინა. მაგრამ გლეხი ვერას გზით ვერ დაეყოლიებინათ: აქ გავიზარდე, აქ უნდა მოვკვდეო, ამბობდა გლეხი. ვერ აჰყარეს ვერც მუქარით გლეხი და მამულის გამგემ ქოხს წინ კედელი აუშენა, რომ სასახლის ბალკონზედ მოსეირნე მეფე-დედოფალს არ შეჩხირებოდათ თვალში ჩაფეხვილი გლეხის ქოხი“ [53].

მიწის გადანაწილების პროცედურის მთავარი მოქმედი პირი იყო თემის მედიატორე, მიწის მზომელი, მეკორღნე, დაღბაში [54]. ბაქოს, განჯის და ერევნის გუბერნიაში მათ უმეტეს შემთხვევაში თანაფჩი ეწოდებოდათ [55]. მიწის გაზომვა თბილისის გუბერნიაშიც საბელით წარმოებდა და ზოგიერთ თემში კომლისათვის გადაცემულ ნაკელს ძველებურად „საბლის მამულსაც“ უწოდებდნენ [56]. თელავის მაზრაში მიწის გადანაწილებას კიდევ „მიწის საბელში ჩაგდებას“ ეძახდნენ [57]. მიწის მზომელად (მესაბელედ) თემი ცდილობდა სანდო და კეთილსინდისიერი კაცი აერჩია. მესაბელე (თანაფჩი) უბნის, თაბუნის, ოცეულის მეთაურის, დაღბაშის დასწრებითა და დახმარებით აწარმოებდა მიწების

---

[53] დ. კლდიაშვილი, „მემუარები“, 1932 თბ. 52.

[54] МИЭБГКЗК, IV. I, 51—53; II, I, 178—179; И. Сегаль, „Крестьянское землевладение...“ 1912, 38.

[55] თანაფჩი (თურქ. — thänaf-საბელი): მესაბელე. საერთოდ ქვეყნის აღწერისას მიწებს საბელით ზომავდნენ (იხ. „ქართლის ცხოვრება“, II, 345). ძვ. რუსულ თემშიც (община-вервь) მიწების გადაზომვა საბელით (вервь—веревка) ხდებოდა: „...и цащии... вней пять веревок“ (Соловьев, „Ист. России с древнейших времен“, I, 232).

[56] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII, 136, 210; პ. გუგუშვილი. „ქართული ჟურნალისტიკა“, I, 451.

[57] გაზ. „მეურნე“, 1889. № 69, გვ. 2; თუშ-ფშავ-ხევსურეთშიაც მიწას საბელით ზომავდნენ („მეურნე“, 1889 წ. № 36, გვ. 4); ს. მაკალათია. „ფშავი“, 34.

გადაზომვას. ხშირად მესაბელე იგივე დაღბაში, თაბუნის მეთაური იყო.

სოფლის საერთო მფლობელობაში მყოფი მთელი დასანაწილებელი ფართობი იყოფა ნაწილებად, დღიურებად, არავარებად [58], ფართობებად, ნაკრებად, ზოლებად და სხვ. მაგალითად, განჯის გუბერნიის არეშის მაზრაში, როგორც ა რ ა ს ხ ა ნ ი ა ნ ც ი წერდა: „გადანაწილებისას მინდვრებს ჰყოფენ გრძელ ზოლებად; ყოველი ამათგანი ეძლევა მონადელე პირთა გარკვეულ რიცხვს, რომლებიც ამხანაგურ პირობებში ხნავენ მას“ [59]. ბაქოს მაზრაში ნ. იაგოდინსკის გადმოცემით, გადასანაწილებელი სახნავი მიწის ფონდს ყოველწლიურად ჰყოფდნენ 4 ნაწილად, რის შესაბამისად 4 ჯგუფად იყოფოდნენ სოფლის მეკომურეებიც. ყოველი მეოთხედი ნაწილი ფართობისა გადადიოდა მეკომურთა მეოთხედის სარგებლობაში. თვით ჯგუფთა შორის ნაწილების გაყოფა წარმოებდა წილის ყრით. მეკომურთა ჯგუფის სარგებლობაში გადასული ფართობი უკვე არ იყოფოდა მეკომურთა შორის, არამედ მუშავდებოდა და მოსავალიც აიკრიფებოდა ჯგუფში შესულ ყველა მეკომურთა საერთო ძალებით; ამასთანავე ყოველი მეკომური იძლეოდა მუშახელის თანაბარ რაოდენობას და ღებულობდა მოსავლის თანაბარ წილსაც. მიწათსარგებლობის ასეთი სისტემა უნდა აიხსნას სახნავი მიწების სიმცირით, მისი მაღალმოსავლიანობით და დიდი დანახარჯებით, რაც გაწეული ჰქონდა სოფელს, მთელის შემადგენლობით, მორწყვის მოწყობაზე [60].

მიწების გადაზომვისა და თემის წევრთა შორის გადანაწილების დროს მხედველობაში მიიღებოდა ნიადაგის ხასიათი, სიშორე სოფლის დასახლების ადგილიდან, სიმაღლე — მთაგორიან თემებში, სარწყავი წყლით უზრუნველყოფის ხარისხი — სადაც მიწათმოქმედება ირიგაციაზეა დამყარე-

---

[58] СМЭБГК, III, II, 25.

[59] МИЭБГКЗК, VII, 153.

[60] МИЭБГКЗК, II, I, 452.

ბული, და საერთოდ მომენტები, რომელთა გათვალისწინებას მოითხოვს მიწათმოქმედების არსებული კულტურები და სხვა თავისებურებანი.

შესაბამისი კატეგორიების მიხედვით გამოყოფილი და გადაზომილი ნაკვეთების მეკომურთათვის დარიგება წარმოებდა უფრო ხშირად წილის ყრით[61]. მიწის გადანაწილებისა და მეკომურთათვის ამა თუ იმ ფართობის ნადელად გადაცემის ფაქტის ფიქსაცია მრავალ თემში წარმოებდა დაწვრილებითი სიების შედგენით, სადაც აღინიშნებოდა მოცემული მეკომურისათვის მიცემული (გამოყოფილი) მიწის (ნადელის) ფართობი, ზომა, ადგილმდებარეობა. ამ ჩანაწერს იხილავდა ამტკიცებდა სოფლის კრება, ხოლო ბეჭდის დასმით ამოწმებდა მამასახლისი. ყოველივე ამის შემდეგ მეკომურები ჩაითვლებოდნენ მათთვის გამოყოფილი ნადელების მფლობელებად, — მიწების მომავალ გადანაწილებამდე.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ მიწების გადანაწილებიდან გადანაწილებამდე მოქცეულ ინტერვალში ხშირად ჰქონდა ადგილი ნადელის გათანაბრებას (переверстка), როდესაც ზოგიერთ მეკომურს, რომელსაც მიწების გადანაწილების დროიდან, სხვებთან შედარებით, მეტი ნადელი შერჩა, — ე. ი. რომლის ოჯახის წევრთა რაოდენობამ, მაშასადამე, ეკონომიკურმა ძლიერებამაც დაიკლო, ანდა სხვა მეკომურთა შესაბამისად არ მოიმატა, ჩამოაშრიდნენ მიწის გარკვეულ ფართობს, რასაც გადასცემდნენ ისეთ მეკომურს, რომელსაც შესაბამისი (თავისი) კატეგორიის სხვა მეკომურებთან შედარებით, რაიმე მიზეზისა გამო, ნაკლები ნადელი ეჭირა[62].

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ განსაკუთრებით მცირემიწიან თემებში, მიწის გადანაწილების დროს, თემისწევრს, რომელსაც ჰქონდა ბაღი და საერთოდ მემკვიდრეო-

[61] МИЭБГКЗК, II, I, 547; IV, I, 52—56; С. Егиазаров, I. c., I, 119, 178.

[62] МИЭБГКЗК, III, II, 82.

ბით დაჩემებულ-შემოღობილი მიწა, ამ უკანასკნელის ფართობს გამოუკლებდნენ ხოლშე იმ ნადელიდან, რომელიც მას შესაბამისი კატეგორიის კომლის კვალობაზე უნდა მიეღო. თუ რომ თემის წევრს უკვე იმდენი მიწა ჰქონდა შემოღობილი, რამდენიც საერთოდ ეკუთვნოდა სათემო მიწებიდან, მაშინ ასეთს მეკომურს სოფლის კრება, მიწების გადანაწილების დროს, სავსებით უარს ეუბნებოდა გასანაწილებელი ფონდიდან სახნავი მიწის მიცემაზე.

3. მიწის გადანაწილების კრიტერიუმი

ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარი იყო თემის წევრთა შორის მიწის გადანაწილების კრიტერიუმი.

თბილისის გუბერნიის თელავის[1], თიანეთის[2], სიღნაღის[3] და ნაწილობრივ გორის[4] მაზრებში მიწის გადანაწილება ძირითადად წარმოებდა კ ო მ ლ ო ბ რ ი ვ ა დ; თვით თბილისისა და დუშეთის მაზრებში გაბატონებული იყო ლ ი ტ რ ა-ჩ ა რ ე ქ ო ბ ი ს მიხედვით გადანაწილების სისტემა[5]. კომლობრივად მიწის გადანაწილება წარმოებდა აგრეთვე ბაქოს გუბერნიის შემახიასა, ყუბისა და გეოგჩაის მაზრებში[6].

საერთოდ სანადელო მიწების თემის წევრთა შორის კომლობრივად განაწილება წარმოებდა ფაქტიური ანუ კამერალური კომლის მიხედვით; ისე რომ ყურადღების გარეშე რჩებოდა თვით კომლის პირადი შედგენილობა, მუშახელის რაოდენობა და სოფლის მეურნეობის ინვენტარი, მაშასადამე, მთელი ეკონომიკური შესაძლებლობა. ყოველივე ამათი მხედველობაში მიუღებლად, თემის საერთომფლობელობაში მყოფი სახნავი მიწა პროპორციულად იყოფოდა თემის წევრ

---

[1] МИЭБГКЗК, IV, I, 30; СМЭБГК, II, 399.
[2] იქვე, 390; ДГЗА, 289.
[3] იქვე, IV, I, 115—216.
[4] იქვე, VI, I, 268—169.
[5] СМЭБГК, II, 399; МИЭБГКЗК; V, I, 198; V, II, 23—24.
[6] МИЭБГКЗК, II, I, 320; IV, II, 55.

ჯომლთა შორის. ოცი კაცისაგან შემდგარი ჯომლი იმდენ ბიწას ღებულობდა, რამდენსაც 4-5 კაცისაგან შემდგარი.

ლ ი ტ რ ო ბ ი ს[7] მიხედვით თემის წევრ ჯომლთა შორის მიწის გადანაწილება სულ სხვა ხასიათს ატარებს. ამ შემთხვევაში თემის წევრები, — მათი ოჯახების შრომისუნარიან წევრთა (ზოგან საერთოდ წევრთა) რიცხვის, ეკონომიკური მდგომარეობისა და, მაშასადამე, გადახდისუნარიანობის მიხედვით, — იყოფიან ოთხ ჯგუფად: ლიტრიანები, სამჩარექიანები, ნახევარლიტრიანები და ჩარექიანები[8]; ანდა კიდევ: ლიტრიანები, ნახევარლიტრიანები, ჩარექიანები და ნახევარჩარექიანები.

ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, თავის მოგონებაში, ამ დაჯგუფებათა შესახებ წერს: „სახელმწიფო ხარჯის, ანუ როგორც გლეხობა ეძახის „ფოსტის ფულის“ ასაკრებად, სოფელი განაწილებული იყო თვით სოფლელთაგან ოთხ კატეგორიად: ლიტრის კაცი, ნახევარლიტრისა, ჩარექისა და ნახევარჩარექისა. ძველად სოფელში უმაღლესი ზომა საწონისა იყო ლიტრა — ათი გირვანქა[9], ნახევარლიტრა — ხუთი გირვანქა, ჩარექი — სამი გირვანქა და ნახევარჩარექი — გირვანქანახევარი. ფუთობით ანგარიში არ იყო... აქედან ლიტრის კაცი იყო ყველაზე შეძლებული, თავისი ოჯახის ქონება-შეძლებითა. ამ ოჯახს მეტი ეწერა ხარჯი, და ასე, ქონება-შეძლების მიხედვით“ [10].

ლიტრა-ჩარექის კვალობაზე სახნავი მიწის გადანაწილების ფაქტს ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ხსნის თემის განკარგულებაში მიწის „საკმარისი რაოდენობით“ არსებობით: „სადაც-კი

---

[7] ლიტრა როგორც საწყავს, ისე ფართობის საზომსაც წარმოადგენდა. საერთოდ ამიერკავკასიაში საწყავი საზომები იმავე დროს ფართობის საზომებიც იყო; მაგალითად, ერთი კოდი ეწოდებოდა მიწის ფართობსაც — სახნავს, — რომლის დასათესად საჭირო იყო 1 კოდი მარცვალი.

[8] МИЭБГКЗК, V, I ,198; II, 24; Ергазаров, I, 63; СМЭБГК, II, 399 — 400.

[9] ლიტრა საერთოდ მეტ-ნაკლები იყო. ზოგან იგი 9 გირვანქასაც უდრიდა (Кавк. Календарь на 1846 г., 129).

[10] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, „მოგონებანი“, 1938. თბ., 14.

მამული საკმარისია, წერს იგი, ყველგან მიღებულია, კომლმა რამდენი სურს იმდენი მამული დაიჭიროს, ჰსურს ლიტრიანებში მოიქციოს თავი, ჰსურს — ნახევარლიტრიანებში, ჰსურს — ჩარექიანებში, და ამაში დამშლელი და მოდავე არა ჰყავს. რასაკვირველია, ეს არ ითქმის იმ სოფლებზეც, საცა მამული ცოტაა, ვიწროობაა და ყველას უნდა თანასწორი წილი ირგუნოს" [11].

მაგრამ, მაგარი ისაა, რომ ყოველ ოჯახს, კომლს, როდი შეუძლია დაამუშავოს იმდენი მიწა, რამდენიც ჰსურს და ამასთანავე, ცნობილია, რომ ნადელის (საკომლოს) გრადაცია თავისთავად გამოხატავს თემში მოცემული კომლის უფლებაულდებულებას. ლიტრიანი კომლი ოთხჯერ უფრო მძიმედაა დაბეგრილი, ვინემ ჩარექიანი; თუმცა, რასაკვირველია, ლიტრიანი ოთხჯერ უფრო მეტ ნადელსაც ღებულობს სამაგიეროდ. და რომ ეს ასეა, ნათლად ჩანს კერძოდ თელავის მაზრის შესაბამის თემებში სახნავი მიწის ლიტრა-ჩარექობის მიხედვით გადანაწილების აღწერიდან: გადასანაწილებლად მიწის წინასწარ ნაკვეთებად (ნაჭრებად) დაყოფის შემდეგ „ლიტრის უფლების მქონე გლეხს გაყოფის 4 ნაჭერი მიწა ერგება ხოლმე, ნახევარლიტრიანს ორი ნაჭერი და ჩარექიანს ერთი ნაჭერი. სახელმწიფო ხარჯიც ამ ნაჭრების მიხედვით იკრიფება. ვისაც მეტი ნაჭერი აქვს, ის მეტსაც იხდის. ამიტომაც ლიტრა-ჩარექის უფლების დაჩემება ნებაყოფლობაზეა. ვისაც რამდენი ნაჭერი სურს იმდენს დაიჩემებს, ოღონდ ხარჯიც დაჩემებული ნაჭრების კვალობაზედ გადაიხადოს" [12]. მაგრამ, ის მაინც ცხადია, რომ საერთოდ მიწების სიმცირესთან შეუთავსებელი იქნებოდა სურვილის მიხედვით ფართობის დაჩემება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნადელსა და სახელმწიფო გადასახადს (ბეგარას) შორის არსებული ეს დამოკიდებულება ცარიზმის ბიუროკრატიამ ამიერკავკასიაში კიდევ უფრო განა-

[11] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, VIII, 221.
[12] გაზ. „მეურნე", 1889 წ. № 27, გვ. 2.

მტკიცა მე-19 საუკუნეში, სახელდობრ ნატურალური ბეგარების ფულზე გადაყვანის (რასაც თან მოჰყვა სახელმწიფო სოფლებში ურთიერთთავდებობის შემდგომი განმტკიცებაც) მეოხებით[13].

თბილისის გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მიწების გადანაწილება ძირითადად ისევ ლიტრა-ჩარექობის პრინციპზე იყო დამყარებული, — ოღონდ ამ მაზრების თემთა უმრავლესობაში ლიტრა-ჩარექის შესატყვისად იხმარებოდა ამპა-ჩარექი; ე. ი. ამ შემთხვევაში „ლიტრას“ შესატყვისია „ამპა“, თუმცა ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა სხვანაირია[14]. ამასთანავე ზოგიერთ სოფელში ამპას, როგორც სანადელო ერთეულის, შესატყვისად ხმარობდნენ „ულელს“ და ზოგან კიდევ — „ახჩას“. ამასთანავე ამპის მეოთხედის — ჩარექის — მაგიერ, გარდა თვით ამ სიტყვისა, ხმარობდნენ „ურუბსა“ და „ფარასაც“[15]. ამპა-ჩარექობის მიხედვით წარმოებდა სათემო მიწების გადანაწილება ბორჩალოს მაზრაშიაც[16].

ამპა-ჩარექობის მიხედვით სათემო მიწების გადანაწილება გაბატონებული იყო განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და სომხეთში[17]. მართალია, ამპა-ჩარექული სისტემა ძლიერ შეესატყვისება ლიტრა-ჩარექისას, მაგრამ, როგორც ირკვევა, პირველს უფრო მეტად ჰქონდა შენარჩუნებული აღმოსავლური, მაშასადამე, არქაული ხასიათი. ლიტრა-ჩარექობა უფრო მეტად ააშკარავებს ეკონომიკური პრინციპის უპირატესობას, უფრო ნაკლებად ისაზღვრება თემობრივ-თანასწორობითი

---

[13] И. Сегаль. I. с., 30.

[14] ამპა (სპ.) hämı-phaj-მონაწილე, თანამფლობელი; hampa (თურქ.) — ამხანაგი; ამპა მოცემულ შემთხვევაში (მსგავსად ლიტრისა) ნიშნავს სრული ნაწილის მფლობელს, ფლობის უფლებას.

[15] МИЭБГКЗК, III, II, 74, 76, 79 — 83.

[16] А. Аргутинский, „Общин. землевладение в Борчалинск. уезде“ (КСХ, 1894 г., 43, стр. 728 — 729).

[17] МИЭБГКЗК, II, II, 95; III, I, 276 — 277; VII, 41; С. Заваров, „Опыт исследования... с. х. Эреванской губернии...“ 1889, Тифлис, 323 — 324.

საწყისებით და ამდენადვე გამომხატველია აგრარული განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე შემდგარი საზოგადოებრივი ურთიერთობისა, ე. ი. უფრო დაშლილი, სოციალურად დიფერენცირებული თემობრივობის შესაბამისი მოვლენაა.

ერევნის გუბერნიაში ამპა-ჩარექობის საფუძველზე მიწების გადანაწილებისას მოცემული თემის მეკომურები ჯგუფდებიან: ამპის, ირექ-ფანჯიექის, ქისანის და ფანჯიექის, ანუ ამპის, უჩ-ჩარექის, ქისანის და ჩარექის, ე. ი. მთელი ამპის, სამი მეოთხედის, ნახევრისა და მეოთხედის მიხედვით [18].

ამპა-ჩარექობის არქაულობის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ იგი გამომდინარეობს კომლის რიცხვობრივი შედგენილობიდან, ე. ი. ოჯახის „ყოველ სულს, თვით ბავშვსაც-კი" მხედველობაში ღებულობს მიწების გადანაწილების დროს, თუმცა, ცხადია, მხედველობიდან ერთი წუთითაც არაა გაშვებული კომლის გადახდაუნარიანობაც [19].

კერძოდ ახალციხის მაზრაში თემის წევრ კომლთა ამპა-ჩარექობის მიხედვით დაჯგუფების პროცედურას, სოფ. ზედათმოგვის მაგალითზე, საკმაო დაწვრილებით აგვიწერს ქ. ვერმიშევი. აქ, დასადგენად იმისა, თუ რომელ ჯგუფში უნდა იქნეს მოქცეული მოცემული კომლი, უწინარეს სოფლის კრება არკვევს: რამდენი ბეგარა-გადასახადი უწევს საერთოდ ერთ კამერალურ კომლს — თემის საერთო გადასახადელებიდან. შემდეგ ყოველი ოჯახის პატრონს ეკითხებიან: თანახმაა თუ არა იგი სხვების თანაბრად იკისროს 1 კომლზე მოსული ყოველგვარი გადასახდელი. დადებითი პასუხის შემთხვევაში ეს კომლი ჩაირიცხება ამპიანთა ჯგუფში, ე. ი. იწოდება ამპად. ვინც უარს იტყვის მთელი ბეგარა-გადასახდელთა ტვირთზე, უნდა განაცხადოს, თუ სახელდობრ რამდე-

---

[18] МИЭБГКЗК, II, 321; II, II, 25; III, I, 44.

[19] И. Сегаль. I. с., 33—35; С. Заваров. „Опыт...", 324; МИЭБГКЗК, III, II, 69. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერევნის, განჯისა და ბაქოს გუბერნიების მთელ რიგ თემებში ამპა-ჩარექობა ხშირად უპირატესობას ანიჭებს კომლის მხოლოდ შრომაუნარიან წევრებს.

ნი ნაწილი მთელისა შეუძლია (სურს) გადაიხადოს. ამ ნაწილს კომლის მეთაური აცხადებს ჩარექობით; მაგალითად: ჩარექი (ფანჯიექი), ქისანი (ნახევარი ამპა, ნახევარი ლიტრა); უჩ-ჩარექი (ირექ-ფანჯიექი, 3/4 ამპა ანუ 3/4 ლიტრა). ამგვარად, ყველა მეკომურთა აღრიცხვის შემდეგ აჯამებენ ცალკეული კომლის გადახდაუნარიანობის მაჩვენებელ განყენებულ ციფრებს. ჯამის ციფრზე იყოფა გადასანაწილებელი მიწის მთელი ფონდი, ხოლო შემდეგ ყოველ კომლს ეძლევა სანადელოდ მთელი სანადელო (საკომლო) მიწის იმდენი ნაწილი, მთელი გადასახდელის რამდენი ნაწილის გადამხდელადაც იგი გამოდის. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ზედათმოგველები მთელ გადასანაწილებელ მიწას ჰყოფდნენ სამ მასივად: 1. სოფელთან უახლოეს და გასანოყიერებელს, 2. მთაზეგანის და 3. ბარისა და საბაღე მიწებად. თვითეული მასივიდან ყოველ კომლს ცალ-ცალკე და თანაბარზომიერად ეძლეოდა კუთვნილი ფართობი.

ამპა-ჩარექობის მიხედვით მიწების გადანაწილება თუ რა დამოკიდებულებაშია კომლის (ოჯახის) წევრთა რიცხოვნობასთან, ჩანს შემდეგიდან. კამერალური აღწერის მონაცემებით ზედათმოგვის მცხოვრებ ივ. მაისურაძის ოჯახს, რომელიც 21 კაცისაგან შედგებოდა, და ოქრო მაისურაძის ოჯახს, რომელიც 17 კაცისაგან შედგებოდა, ჰქონდათ ნახევარ-ნახევარი ამპა. ხოლო გ. მაისურაძისა და ა. ქაველაძის ოჯახებს, რომელთაგან თვითეული 16 კაცისაგან შედგებოდა, ეჭირათ სრული ამპა ნადელი თვითეულს. ამასთანავე გადასახადის კატეგორიების მიხედვით სოფლის ყველა მეკომურთა დაჯგუფებიდან გამოვიდა, რომ საშუალოდ ამპიანი კომლი შედგება 17 1/2 კაცისაგან, ნახევარამპიანი — 11, ხოლო მეოთხედამპიანი — 7 1/2 კაცისაგან [20]. ამგვარად, კომლის რიცხვობრივი შემადგენლობა, ყოველ ცალკე შემთხვევაში არ ყოფილა რა მთავარი განმსაზღვრელი მომენტი, საბოლოო ანგარიშით მაინც გაბატონებულ ფაქტორად გამოდის; რამდენადაც თემებში,

[20] МИЭБГКЗК, III, II, 75.

სადაც ჯერ კიდევ ნაკლებად იყო განვითარებული სოციალური დიფერენციაცია, კომლის შემადგენლობის რიცხვობრივი სიდიდე, მეტნაკლები ზომით, განსაზღვრავდა რა მუშახელის რაოდენობას, გავლენას ახდენდა კომლის ეკონომიკურ ძლიერებაზე, — სადაც ვარგისი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ თემურ მფლობელობასა და, მაშასადამე, სარგებლობაში რჩებოდა. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის ზოგიერთ თემში მიწის გადანაწილება წარმოებდა აგრეთვე კომლობრივობის მიხედვითაც.

ამპა-ჩარექობის კვალობაზე მიწის გადანაწილების ყველაზე არქაული იქნებ იყოს ერევნის გუბერნიაში დაცული ფორმა. გლეხთა ყოფა-ცხოვრების აღმწერნი ერთხმად ადასტურებენ, რომ აქ (1880-იან წლებში) კომლის სარგებლობაში გადაცემული ნადელის სიდიდე დამოკიდებული იყო არა თვით თემის წევრთა ნებასურვილზე და, მაშასადამე, არა იმდენად მეკომურთა ეკონომიკურ შეძლებულობაზე, რამდენადაც „რიცხვზე ერთეულ, ფაქტიურ სულთა, რომელთაგანაც ოჯახი შედგებოდა“ [21]. სრული ამპა სანადელოდ ეძლეოდა მხოლოდ ისეთ მეკომურს, რომელიც ორივე სქესის 16 წევრისაგან შედგებოდა, სამი ჩარექი — 12, ქისანი — 8 და ჩარექი — 4 წევრიან ოჯახს; 2 წევრიანს-კი ნახევარი ჩარექი მიეცემოდა ხოლმე. თუ რომ კომლის წევრთა რიცხვი კენტი იყო, მაგალითად, 3 ან 7, მაშინ მას ეძლეოდა, შესაბამისად, ჩარექის ან ქისანის ნადელი, ხოლო კომლს, რომლის წევრთა რიცხვი წყვილი კი იყო (6, 10, 14), მაგრამ დადგენილ ნორმებს არ შეესაბამებოდა, დამატებით მიეცემოდა ორი კაცის კუთვნილი ნადელი, რათა მთლიანად კომლის წევრთა რიცხვისათვის შეეთანაბრებიათ მის სარგებლობაში გამოყოფილი ნადელის საერთო ფართობი [22].

ა. ხ ა ნ-ა გ ო ვ ი გადმოგვცემს, რომ სურმალოს მაზრის თემებში ამპა-ჩარექობის ასეთი, არქაული, ფორმა მეტ

[21] С. Егиазаров. l. c., I, 55.
[22] СМЭБГК, I, I, 45—48.

თანაგრძნობას პოულობდა თურმე გლეხთა უმრავლესობაში, ვინემ მიწის გადანაწილების სულობრივი სისტემა[23], რასაც ასე აქეზებდა და ნერგავდა ცარიზმის ბიუროკრატია სახელმწიფო გლეხთა შორის, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული.

ამგვარად, ამპა-ჩარექული სისტემით, როგორც თავისებური ცენზის მიხედვით, ესა თუ ის კომლი (ოჯახი), — დაწყებული დიდი, პატრიარქალური და დამთავრებული მარტივი, ორსულიანით — თემში იკავებს ამა თუ იმ მდგომარეობას. თემის წევრთა შორის სარწყავი წყალი, მიწა და ყოველგვარი გადასახდელი ნაწილდება ამ ცენზის თანახმად. უფრო ადრე, ე. ი. მე-19 საუკუნის 40-იან წლებში, თემში ამპიანი, ე. ი. მრავალწევრიანი მეკომურები უმრავლესობას შეადგენდნენ, მაგრამ დროთა ცვალებადობის შესაბამისად დიდი, პატრიარქალური ოჯახები ქუცმაცდება, იშლება. თემში (სოფელში) ამპიანთა რაოდენობაც სულ კლებულობს. თუ წინათ ხშირი ყოფილა, რომ ერთი კომლი 30 — 40 და მეტ სულისაგან შედგებოდა და, ამგვარად, ორი, სამი და მეტი ამპის ნადელით სარგებლობდა, 1880-იან წლებში-კი ასეთი მეკომური ძალიან იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა.

ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა ამიერკავკასიის სხვა კუთხეებშიაც. მაგალითად, 1880-იანი წლების მიწურულს თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთა შესახებ ა. არღუთინსკი აღნიშნავდა: აქ ახლა „დიდი ოჯახებიც მცირეა. ქვემო-ხოდაშენში ამ ბოლო წლებში მამასახლისის ოჯახი გაიყარა, რომელიც 72 სულისაგან შედგებოდა. ამგვარი ოჯახები ახლა სულ აღარ არის. წინათ 20 — 30 სულისაგან შემდგარი ოჯახი ბევრი იყო, მაგრამ ახლა დიდ ოჯახებში 10 — 15 სული-ღა ითვლება“[24].

ლიტრა-ჩარექობის მიხედვით სოფლის დიფერენციაცია, როგორც ჩანს, ძველ ანალოგიურ ტრადიციას ემყარება და

---

[23] МИЭБГКЗК, III, I, 278.

[24] გაზ. „მეურნე“, 1889 წ. № 27, გვ. 2.

მე-19 საუკუნემ ის მემკვიდრეობით მიიღო ადრინდელი ეპოქიდან.

1820-იან წლებში ყმური დამოკიდებულებიდან თავისუფლების მაძიებელ გლეხთა მდგომარეობის გამწვავების, გლეხებსა და მემამულეებს შორის ამ ნიადაგზე ხშირი უთანხმოებისა და შეტაკებათა გამო ხელისუფლება იძულებული შეიქნა უფრო აქტიურად ჩარეოდა ამ საქმის მოწესრიგებაში, რამაც აუცილებელი გახადა ბატონყმურ ურთიერთობათა, სახელდობრ ყმა-გლეხის ბეგარა-ვალდებულებათა აღნუსხვა-შესწავლა.

ამ მიმართულებით 1822 — 1826 წწ. წარმოებული, შედარებით დაწვრილებითი, კვლევა-ძიების შედეგად მოგვეპოვება საინტერესო ცნობები კერძოდ გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის შესახებაც, რამდენადაც მემამულისადმი გლეხთა ბეგარა-ვალდებულებებთან ერთად არ შეიძლებოდა არ შეესწავლათ საერთოდ გლეხური კომლის სახელმწიფო გამოსაღებთა მოცულობა და, მაშასადამე, მისი ძირითადი შემოსავლის (საქმიანობის) წყაროები.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველოს ფინანსური მეურნეობის და ბატონყმურ ურთიერთობათა მცოდნე პირებმა, და კერძოდ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალმა უჩვენა, რომ „საქართველოს მცხოვრებთა ძველი ჩვეულების მიხედვით ზოგიერთი გამოსაღებისა და ბეგარის“, სახელმწიფოს თუ მემამულეთა სასარგებლოდ, „გადახდისას გლეხები ამჟამადაცნაწილდებიანოთხკლასად, მათისაცხოვრებელი ადგილისა და შეძლების მიხედვით“ [25].

სიღნაღის, თელავის, დუშეთის, გორის, თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშლებმაც ანალოგიური ცნობები წარადგინეს.

---

[25] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1938, I, 261—266.

თბილისის მაზრის მარშალმა უჩვენა, რომ ამ მაზრაში I კლასის გლეხს უნდა ჰქონდეს: 30 დღიური სახნავი, 40 თავი მსხვილრქიანი პირუტყვი, 100 ცხვარი და 100 ღორი, ორ-სამი დღიურის ზომის ვენახი, სადაც ადგილმდებარეობა ამას ხელს არ უშლის; II კლასისას: 15 დღიური სახნავი, 20 თავი მსხვილრქიანი პირუტყვი, 30 ცხვარი, 30 ღორი და ადგილმდებარეობის შესაბამისად 1, 5 ან 1 დღიური ვენახი; III კლასისას უნდა ჰქონდეს მეორე კლასის ქონების ნახევარი; IV კლასისას კიდევ — მესამე კლასის ქონების ნახევარი.

დუშეთის მაზრის მარშლის ცნობით ამ მაზრაში I კლასის გლეხებს აქვთ: 20 დღიური სახნავი, წისქვილი და 2 ან მეტი დღიური ვენახი, ან მთელი გუთნეულის გასამართავი მსხვილრქიანი პირუტყვი, 200 თავი ცხვარი ან ღორი; II კლასისას უნდა ჰქონდეს პირველის ნახევარი; III კლასისას — მეორის ნახევარი, ხოლო IV კლასისას — მესამის ნახევარი.

თელავის მაზრის მარშალმა აღნიშნა, რომ საერთოდ საქართველოში განსაზღვრული არაა, თუ რა წლიური შემოსავალი უნდა ჰქონდეს სხვადასხვა კლასის გლეხის ოჯახს, რადგან „ერთი სოფლის I კატეგორიის გლეხები იშვიათად ეტოლებიან მეორე სოფლის I კატეგორიისას, რამდენადაც სხვადასხვა სოფლის გლეხები სიმდიდრის მხრივ არ არიან თანატოლნი“ [26].

გორის მაზრის მარშლის ცნობით „ყველა ოთხ კლასად დაყოფილ გლეხებს უნდა ჰქონდეთ გლეხური შეძლება, რაც ანსხვავებს კლასებს ერთმანეთისაგან, სახელდობრ: შესაბამისი ზომის უძრავი ქონება, სახლში საკმარისი რაოდენობის სრულწლოვანი ოჯახის წევრები, პურის ყანები და ცოდნა ყოველგვარი სამუშაოსი, საჭირო რაოდენობის პირუტყვი და მისი სარგებლიანი გამოყენება, შეეძლოს ხარ-ურმის ქირაზე გაყვანა ან შეშის გასაყიდად გატანა, დუქანში ან ხელზე ვაჭრობა, იცოდეს ყოველგვარი ხელობა და განსაკუთრებით ჰქონდეს უნარი დაამუშაოს თავისთვის სხვისი მიწა და

[26] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1938, I, 263—264.

იაროს ქირაზე, შეეძლოს ნადირობა, ყოველგვარ მხეცსა და ნადირზე, თევზაობა. ყველა ეს შრომა უნდა შეეძლოს ოთხივე კლასის გლეხებს, რათა როგორმე თავისი წლიური შემოსავლით: პირველს [I კლასისას] შეეძლოს ოჯახის შენახვა და საბატონო, სახაზინო და სასოფლო ბეგარების გასტუმრება; მეორეს, — რათა თავისი მამულისათვის ზიანის მიუყენებლად შეეძლოს სახლის შენახვა, ბატონის სამსახური და სახაზინო და სასოფლო ბეგარების გადახდა: მესამეს, — ვალის დაუდებლად, საოჯახო ხარჯებში მომჭირნეობით, შეეძლოს მებატონის სამსახური და საგლეხო ბეგარების გადახდა; მეოთხეს, — თუმცა შეიძლება ჰქონდეს ვალები, ოღონდ სარგებელს (%%) დროზე იხდიდეს და ოჯახს არჩენდეს და არ იყოს ამორიცხული, ისე როგორც სოფლებში შეუძლო გლეხები ამორიცხებიან, სახაზინო და სასოფლო ბეგარათა გადამხდელთაგან“ [27].

ამგვარად, ეს ცნობები გვიჩვენებენ გლეხთა სოციალური დიფერენციაციის ხარისხსაც. ამ დროს ზოგიერთ სოფელში ყოფილა I კლასის გლეხები, რომელთაც ჰქონდათ 60 დღიური სახნავი და მის ატრიბუტად მიჩნეული მთელი გუთნეულის გასამართავი მსხვილრქიანი პირუტყვი, ორი ან სამი დღიური ვენახი, ზოგიერთ მათგანს კიდევ წისქვილი, ცხვრები და ღორები. „მაგრამ ასეთები მცირე რაოდენობითაა“; — ხოლო რაც შეეხება III — IV კლასის გლეხებს და კერძოდ ისეთებს, რომლებიც იმდენად შეუძლონი და ღატაკნი იყვნენ, რომ სახელმწიფო და სასოფლო გადამხდელთა სიიდან იყვნენ ამორიცხულნი, ასეთები, ეტყობა, უმრავლესობას შეადგენდნენ.

იყო ისეთი სოფლებიც, სადაც გლეხს ფრიად მცირე რაოდენობით ჰქონდათ მიწა, მაგრამ მიუხედავად მცირე შემოსავლის მიღებისა „ისინიც თავიანთი შეძლებისამებრ“ იყოფოდნენ კლასებად; ზოგან კიდევ ისეთი სოფლები და საპაზრო ქალაქები იყო, სადაც მცხოვრებნი არ ეწეოდნენ „არც ხვნა-თესვას, არ ყავდათ არც რქიანი პირუტყვი, მაგრამ ვაჭრობითა და ოსტატობით (ხელოსნობით) და თავიანთი სავადა-

[27] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“. 1938. I. 264.

სხვა სარეწავით“ იყოფიან I და III კლასის გლეხობის შესაბამისად.

გორის მაზრის მემამულეებს ყმა ოსები „ყოველი საკომლოსათვის, რაც 15-დან 20 დღიურამდე სახნავს უდრიდა, ბეგარას უხდიდნენ ერთ ძროხას ან 5 მანეთს ვერცხლით, ანდა 5 ცხვარს. აქვე აღნიშნულია, რომ ეს გამოსაღები დაიდებოდა „მიწაზე და არა ოჯახზე, თუნდაც რამდენსამე ოჯახს ეცხოვრა ერთ საკომლოზე“, — ამგვარად, შემონახულია ფრიად საინტერესო ცნობა ძველებური, შუასაუკუნეებში დამოწმებული, საგამომღებლო ერთეულის შენარჩუნებულობის შესახებაც.

რომ სწორედ საკომლო (მამული) იყო საგამომღებლო ერთეული და არა საკუთრად კომლი (ოჯახი) ნათლად ჩანს არა მხოლოდ მონგოლთაგან (მე-13 ს. შუაში) ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შესახები ცნობიდან[28], არამედ გიორგი (V) ბრწყინვალის (1318 — 1346 წწ.) კანონებიდანაც. „ძეგლის დადების“ 28 მუხლში აღნიშნულია, რომ „ბეითალმალად რაც პარტახტი მამული დარჩეს“, თუ მას შემდეგ ყოფილი მეპატრონის ნათესავი გამოჩნდეს, ანდა სხვა ვისმე ღირსეულ პიროვნებას, ეს მამული შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ მამულზე დადებული გამოსაღებიც მას დაეკისროს: „რამე საბარო, სალაშქრო და საბეგრო არ დააკლდეს ქვეყანასა“[29].

ვახტანგ VI კანონთა კრებულში შესულ ბერძნულ კანონებშიაც განმარტებულია (მუხ. 274): „ბეგარა კაცის თავზედ არ არის, არამედ კაცის საქონელზედა“, რისთვისაც გამოსაღებთა ამკრები (და გამწერი) მოხელეები ვალდებული არიან დაწვრილებით იცოდნენ გამომღებელთა ქონება, ე. ი. ადგილმამული (მიწა) და იმის შესაბამისად აკრიბონ ბეგარები[30].

---

[28] „ქართლის ცხოვრება“, I, 387.

[29] „Сб. законов ц. Вахтанга VI“, 1887, стр. 90.

[30] იქვე, გვ. 207.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ საქართველოს სამხედრო-სამოქალაქო გუბერნატორის გენ.-მაიორ ხ ო ვ ე ნ ი ს აზრით (1824 წ.) შეძლებულობის მიხედვით გლეხებისათვის უნდა განესაზღვრათ მუდმივი ზომა ბეგარებისა, რაც გლეხს (კომლს) მემამულისათვის უნდა ეხადა და ამასთანავე თვით მემამულეებს მისცემოდათ უფლება „მოენახათ და დაეპატიმრებიათ“ ვინც ამ ბეგარებს არ გადაიხდიდა, „ანდა მისი უახლობელესი ნათესავები“, და წარედგინათ ისინი ადგილობრივი უფროსისათვის, რომელსაც ევალებოდა მათი დაკავება იმ დრომდე „სანამ საზოგადოება (თემი) ანუ მათი ოჯახები არ გადაიხდიდნენ მისთვის შეწერილ გამოსაღებს“.

აქედან უკვე ნათლად ჩანს გამოსაღებთა გადახდაში თემის წევრთა (თანასოფლელთა) ურ თ ი ე რ თ თ ა ვ დ ე ბ ო ბ ი ს (круговая порука) არსებობა. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ის შემოღებული ყოფილიყო ჯერ კიდევ შუასაუკუნეებრივ საქართველოშიაც, მსგავსად, მაგალითად, იმდროინდელი ბიზანტიისა, სადაც თემისწევრთა ურთიერთთავდებობის ტრადიციას უკვე X ს. იყენებდა სახელმწიფოს ფისკალური აპარატი გამოსაღებთა აკრეფაში[31].

1820-იან წლებში თავმოყრილი მასალებიდან გარკვევით არა ჩანს ოთხი კლასის (ლიტრა-ჩარექის) გლეხთა შორის მიწების პერიოდული გადანაწილების ჩვეულება. თუმცა სიღნაღის მაზრის მარშლის ჩვენებაში ნათქვამია, რომ ეს ოთხი კლასის (კატეგორიის) „გ ლ ე ხ ე ბ ი ა რ ა ყ ო ვ ე ლ წ ლ ი ურ ა დ თ ა ნ ა ბ რ დ ე ბ ი ა ნ ურ თ ი ე რ თ შ ო რ ი ს ს ა ხ ა ზ ი ნ ო და ს ა ბ ა ტ ო ნ ო ბ ე გ ა რ ე ბ შ ი (не ежегодно равняются между собою в повинностях казенных и помещичьих), ვინაიდან მათი წლიური შემოსავალი ერთისა მეორისას არ შეესაბამება; მაინც, ყოველი მათგანი რჩება იმ კლასში, სანამ ზოგიერთი მათგანი მიიჩნევა პირველი კლასისად, ხოლო ზოგი — უკანასკნელი კლასისად“.

---

[31] А. К а д ж а н, „Аграрные отношения в Византии XIII—XIV вв“, 1952, М. стр. 88.

რამდენადაც აქ ლაპარაკია სახაზინო და საბატონო ბეგარების გადახდაში გლეხთა არაყოველწლიურად გათანაბრებაზე, ხოლო ბეგარების გაწერა კი მიწების კვალობაზე ხდებოდა, ჩვენ ვფიქრობთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ ხსენებული ბეგარების გადახდაში გათანაბრება უნდა გულისხმობდეს უწინარეს სწორედ კომლთა შორის სათემო მიწების გადანაწილების გზით გათანაბრებას, რამდენადაც დროთა ვითარებაში კომლი, რომელსაც, ვთქვათ, მთელი საკომლო ეჭირა, მოუსავლიანობის, პირუტყვის დაცემის, ავადმყოფობის და სხვ. მიზეზით კნინდება; მთელი საკომლოს დამუშავება, და, მაშასადამე, მთელი ბეგარის გადახდა მას არ შეუძლია და ამ მხრივ მეთემეთა შორის გათანაბრება ხდება გარკვეულ პერიოდებში და არა ყოველწლიურად.

ამგვარად, 1820-იან წლებში თავმოყრილი მასალები ნათლად გვიჩვენებენ შემდეგს:

1. როგორც ადრე, რუსეთთან შეერთებამდე, ისე მაშინაც სახელმწიფო (სახაზინო), სასოფლო, თუ საბატონო ბეგარა-გადასახდელთა გაწერა-გადახდისათვის ს ო ფ ლ ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა, გ ა მ ო მ ღ ე ბ ე ლ ი წ ო დ ე ბ ა (ე. ი. გლეხობა), ქონებრივი მდგომარეობის (სხვადასხვა სახმარი მიწის) კვალობაზე ი ყ ო ფ ო დ ა ო თ ხ კ ლ ა ს ა დ (კატეგორიად) ანუ, რაც იგივეა, ლ ი ტ რ ა-ჩ ა რ ე ქ ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ.

ისტორიული ანალოგიები საფუძველს იძლევიან ვიგულისხმოთ, რომ სოფლის (თემის) მცხოვრებთა კლასებად (კატეგორიებად) დაყოფის საწყისები მომდინარეობენ ჯერ კიდევ არქაული წყობილების დროიდან, როდესაც თემისწევრ კომლთა შორის მიწა ნაწილდებოდა ოჯახში მუშახელის ან სულთა რაოდენობის მიხედვით და როდესაც მეთემეები თემის საზოგადო საქმეებში უფლება-მოვალეობის მხრივ მონაწილეობდნენ მათთვის გამოყოფილი სახმარი მიწების, უწინარეს სახნავის კვალობაზე. შემდეგში სახელმწიფომ, დამპყრობელმა თუ მებატონეებმა (აზნაურობამ) თემობრივობიდან წარმოქმნილი ეს ტრადიცია გამოიყენეს თემზე გაწერილი გამოსაღების, ხარკის, ბეგარის ამოსაქაჩავად.

2. როგორც შუა საუკუნეებში, ისე ახლაც საგამომ-ღებლო ერთეულს წარმოადგენდა საკომლო („ფუძე", „საგლეხო მამული"). კომლი სოფლის, როგორც მეურნეობრივი ერთეულის, ძირითადი ეკონომიკური უჯრედი იყო.

3. სოფელში, გამომღებელ წოდებაში, დაცულია ტრადიცია მიწების პერიოდული გათანაბრებითი განაწილებისა, რაც თემური მიწათმფლობელობის გადმონაშთის სახითაა შენარჩუნებული.

ლიტრა-ჩარექობის ანუ ამპა-ჩარექობის მიხედვით სათემო მიწის გადანაწილების სისტემა შეესაბამება დას. ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიაში არსებულ ანალოგიურ ინსტიტუტს. აქაც, როგორც ფრ. ენგელსი აღნიშნავს, თავდაპირველად მეთემე გლეხის ყოველი კომლი სათემო (მარკის) მიწიდან თანაბარზომიერად სარგებლობდა სახმარი მიწის ნაკვეთებით. მაგრამ იმ დროიდან რაც მარკამ (თემმა) შესწყვიტა მეკომურთათვის ახალი საკომლო მიწების გამოყოფა დაიწყო საკომლოთა დაყოფა და, შესაბამისად, თვით მეთემე კომლთა უფლება-მოვალეობის დანაწევრებაც. მაინც თემური მიწათმფლობელობის ერთეულად ძველებურადვე რჩებოდა მთელი საკომლო (ე. ი. მთელი ლიტრა, ანუ ამპა). ამგვარად-კი გაჩნდა ნახევარი საკომლოს, მეოთხედი თუ მერვედი საკომლოს მფლობელი კომლები, რომლებიც, შესაბამისად ამისა, მარკის (თემის) უფლება-მოვალეობაშიაც მთელი, ნახევარი, მეოთხედი, თუ მერვედი წილით მონაწილეობდნენ [32].

ასეთი დაქუცმაცებულობა და სიჭრელე ბუნებრივი მოვლენა იყო იმ ეპოქებისათვის. როგორც ვ. ლენინი წერს „გლეხები, გაერთიანებულნი თემის საშუალებით პაწაწა ადმინისტრაციულ-ფისკალურ და მიწათმფლობელურ კავშირებად, ნადელის სიდიდის, გადასახდელთა რაოდენობის და სხვ. მიხედვით დაქუცმაცებულნი არიან მთელ რიგ სხვადასხვა თანრიგებად

[32] ფ. ენგელსი, „მარკა": „გლეხთა ომი გერმანიაში", 1932 ტბ. გვ. 164.

და კატეგორიებად... ყველა ეს კატეგორია განირჩევა ერთმანეთისაგან აგრარულ ურთიერთობათა ისტორიით, ნადელების და გადასახდელთა სიდიდით და სხვ. და სხვ. თანრიგთა შიგნითაც ყოველ მათგანში აუარებელი განსხვავებაა... მთელი ეს სიჭრელე ბუნებრივი და აუცილებელი იყო შუა საუკუნეებში, შორეულ წარსულში“ [33].

განჯისა და ბაქოს გუბერნიის თემებშიაც ფრიად სხვადასხვანაირი იყო მიწის გადანაწილების კრიტერიუმი. თემის წევრთა შორის მიწების გადანაწილება წარმოებდა ზოგან ამპის[34], ზოგან გუთნის, ზოგან კიდევ ბაშისა და გლუხის (სომხ.-თავი), აგრეთვე კომლის და ოჯახის[35] მიხედვით.

მაგალითად, გუთნის მიხედვით სათემო მიწის გადანაწილება წარმოებდა ბაქოს გუბერნიის გეოგჩაის, ყუბის და შემახიას მაზრებში. როგორც ნ. აბელოვი აგვიწერს, ასეთ შემთხვევაში „მიწა ნაწილდება გუთანთა გარკვეული რიცხვის მიხედვით. ყოველ გუთანში ხუთი კამერალური კომლია. ჩვეულებრივად ყოველი გუთნური არტელი საერთოდ ხნავს და სთესავს, ხოლო მოსავალი იყოფა თანამონაწილეთა შორის მიწის დამუშავებისათვის დახარჯული შრომის კვალობაზე. თუ მიწის ნაჭრები ძლიერ პატარებია გუთანთა შორის გასანაწილებლად, მაშინ მათ ერთად ამუშავებენ, ხოლო მოსავალს იყოფენ გუთნის ყველა მონაწილენი. სახნავი მიწა კამერალურ კომლთა შორის ნაწილდება მხოლოდ მუშა-საქონლის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს სამი თავი საქონლისა კომლიდან“ [36].

აღწერილი „გუთანი“ როგორც მეკომურთა ჯგუფის გაერთიანების ერთეული, წარმოსდგება იმ გარემოებიდან, რომ ერთი სახვნელის (გუთნეულის) გასამართავად საჭირო 5—6

[33] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 445—446.

[34] СМЭБГК, III, II, 29—32; МИЭБГКЗК, II, II, 95.

[35] СМЭБГК, III, II, 34—36; МИЭБКЗК, VI, II, 50—52; VII, 16.

[36] МИЭБГКЗК, II, II, 178; II, 54—55.

ულელი შესაბმელი (ხარ-კამეჩი) ერთს კომლს, ცხადია, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, არ ეყოლებოდა. ამიტომაც გუთნეულის[37] შესადგენად გლეხები ამხანაგდებოდნენ და მიწასაც, ამის მიხედვით, ერთად იღებდნენ და ერთადვე ამუშავებდნენ; ხოლო სათემო ფონდიდან მიწის იმ ფართობსაც, რომლის დამუშავება მათ, როგორც ერთ გუთნეულს შეეძლოთ, აგრეთვე გუთანი[38] ეწოდებოდა. აქედან გუთანი ეწოდება თვით მეკომურთა გაერთიანებასაც, რომელიც მიწის გადანაწილების დროს სანადელო მიწის ასეთ ერთეულს ღებულობდა.

განჯის გუბერნიის ზანგეზურის, ჯებრაილის, შუშისა და სხვ., მაზრებში თემის წევრთა შორის მიწის გადანაწილება უმთავრესად წარმოებდა ბ ა შ ი ს ანუ გ ლ უ ხ ი ს მიხედვით[39]. თ ა ვ ა დ (გლუხად და ბაშად) ითვლებოდა ყოველი ცოლიანი მამაკაცი, რომელსაც, ამგვარად, უფლება ჰქონდა სრული ნადელის მიღებისა. ზანგეზურის მაზრაში, როგორც ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი გადმოგვცემს, ყოველი ცოლიანი წევრი ოჯახისა ითვლებოდა მთელ თავად, თუნდაც იგი ასაკით 12

---

[37] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „გუთნეულის ეკონომიური ორგანიზაცია" (სმამ, 1944 წ. V, გვ. 329 — 338).

[38] გ უ თ ნ ობ ი თ მიწის ფართობი იზომებოდა საქართველოშიც. 1236—1248 წწ. ერთს საეკლესიო სიგელში ეკითხულობთ: „...სამი გუთანი მესხურისა მიწისაგან, გუთანი ორი..." (თ. ჟორდანია, „ქრონიკები", II, 126); 1260 წელს ძ ა გ ა ნ ა-ბ უ ლ ე თ ი ს ძ ი ს ა გ ა ნ შიო მღვიმის მონასტრისათვის დაწერილ სიგელში აღნუსხულია სამწირველოდ მიცემული ქონება: „...მიწანი ერთი გუთანი ვენახის ბოლოსა თრიალეტი, ორი გუთანი ნავენახები თევდორეული თხოთის აგარას და ორი გუთანი სარბიელთა და ანგროინს ერთი გლეხი..." (იქვე, გვ. 146 — 147). შიო მღვიმის მონასტრის სხვა სიგელში (1250 — 1260 წწ.) ლაპარაკია მიწის გუთნობით ყიდვა-გაყიდვაზე (გვ. 151—152). 1620 წ. შედგენილს ერთ დოკუმენტში მიწის ფართობი გუთნობითაა აღნიშნული (იქვე, გვ. 444).

მიწა გუთნობით იზომებოდა დას. ევროპის ქვეყნებშიც. მაგ., ინგლისში გუთანი (carucae) ფართობის საზომი ერთეულიც იყო (იხ. Ш а р л ь П т и-Д ю т а й н, „Феодальная монархия... в Англии X—XIII вв.", 1938. М. стр. 125; Е. К о с м и н с к и й, „Исследования по аграрной истории Англии XIII века", 1947. М.).

[39] С. Е г н а з а р о в, I, с., I, 73 — 74.

წლისაზე მეტიც არ ყოფილიყო; უცოლო მამაკაცი, რომელსაც შეეძლო მუშაობა, ე. ი. შეეძლო გუთნის ანდა კავის მართვა, ითვლებოდა ნახევართავად; ხოლო ბავშვები, რომელთაც შეეძლოთ ხვნის დროს შესაბმელის გარეკვა (მეხრეობა), ითვლებოდნენ მეოთხედ თავად; მამრობითი სქესის შრომისუნარს მოკლებულ ბავშვებს ანგარიშში არ ღებულობდნენ[40]. დ ე კ ო ნ ს კ ი ც[41] აგვიწერს დაახლოებით ანალოგიურ სურათს სათემო მიწის ბ ა შ უ რ ი წესით გადანაწილებისა შუშისა და ჯებრაილის მაზრებში. ამგვარად, ამ სისტემის დროს სათემო მიწით სარგებლობის უფლება ჰქონდა არა ყოველ სულს, არამედ მხოლოდ კომლის შრომაუნარიან წევრს, რომელიც ზემოხსენებული ვითარებისამებრ მიიჩნეოდა სრულ თუ ნაწილობრივ ბაშად.

ს უ ლ ო ბ რ ი ვ ა დ, ე. ი. კომლის წევრთა საერთო რიცხვის მიხედვით სათემო მიწის გადანაწილება გაბატონებული იყო ამიერკავკასიის რუს კოლონისტთა სოფლებში, რომელთაც ეს ფორმა რუსეთიდან გადმოიტანეს[42]. აქ შედარებით უფრო მოკლე იყო მიწის გადანაწილების პერიოდიც, როდესაც სათემო მიწიდან ნადელი წილისყრით მიეცემოდა კომლს (ოჯახს) ყველა წევრის საერთო რაოდენობის კვალობაზე, თვით ახლად დაბადებულთა ჩათვლით. ხელისუფლება აქეზებდა სათემო მიწის გადანაწილების ამ სისტემას აბორიგენთა შორისაც[43].

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ზოგიერთ სოფლებშიაც წარმოებდა მიწის გადანაწილება სულობრივობის საფუძველზე. მაგალითად, სოფ. კილდაში (ახალქ. მ.) სახნავი მიწები სულობრივად იყოფოდა. აქ „ყოველი სამი სული

---

[40] МИЭБГКЗК, IV, I. 52.

[41] იქვე, 262.

[42] აქ, რუსულ კოლონიებში, მაგ., სოფ. ვორონცოვკაში, 1918 წელსაც მოხდა მიწის სულობრივად გადანაწილება (იხ. „Германские окупанты в Грузии в 1918 г.“,1942, Тбилиси, 149).

[43] И. Сегаль, l. c., 30—32, 43, 60; ДГЗА, 289.

შეადგენს ახალ ერთეულს, — ახჩას“ [44]. თემის გადასანაწილებელი მიწა იყოფა ახჩებად და ყოველ კომლს, შედგენილობის მიხედვით, ეძლევა ერთი, ორი, სამი, ოთხნახევარი და ა. შ. ერთეული. ზოგიერთ სოფელში კიდევ ახჩას [45] ოთხი სული შეადგენდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის თემური მიწათმფლობელობის რაიონებში 1880-იანი წლებიდან მაინც უკვე მნიშვნელოვან დავას იწვევს მიწების გადანაწილების ამა თუ იმ კრიტერიუმის სამართლიანობის პრინციპი. ეს დავა მით უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა, რაც უფრო ძლიერად ღრღნიდა და შლიდა კაპიტალისტური მეწარმეობა თემურობის საფუძვლებს.

მაგალითად, 1913 წელს ქიზიყის ერთ-ერთი თემის სასოფლო კრებაზე ცხარე კამათის საგანი იყო მიწების კომლობრივად თუ სულობრივად განაწილების საკითხი. ერთნი აცხადებდნენ: „თავისუფალი სათემო მიწები, სამართლიანობა მოითხოვს, რომ კომლეულად უნდა გავყოთ, რადგანაც სოფელში და სოფელს ახლო დაჩემებული მამული უმეტესად დიდი ოჯახების ხელშია, თუ რო გასაყოფ-სათემო მიწასაც მკლავზე გავყოფთ, მაშინ მთელი მიწა დიდს ოჯახებს შეხვდებათ და პატარა ოჯახებს კი, როცა გამრავლდებიან, მიწა აღარ ექნებათო“ [46].

სხვებს კი მიწის „კომლზე გაყოფა“ მიაჩნდათ უსამართლობათ და მოითხოვდნენ სულობრივად გაყოფას: „მხოლოდ ისე კი, რო ქალებიც უნდა იყვნენ ანგარიშში. ხომ შეიძლება რო მე 12 ქალი მყავდეს და ჩემს მეზობელს კი 12 ვაჟი; იმას

---

[44] МИЭБГКЗК, III, II, 85.

[45] ა ხ ჩ ა, როგორც მიწათმფლობელობის ფორმა სხვაგან სხვა შინაარსს ატარებდა. მაგალითად, სომხეთში ეს იყო სოფლის სანახების მიწები, სადაც უპირატესად ბაღები იყო გაშენებული. აქ ეს მიწა — ახჩა — ეძლეოდა სამუდამო (მემკვიდრეობითი) მფლობელობის სახითაც (МИЭБГКЗК, III, I, 307; С. Е г и а з а р о в, l. c., I, 18).

[46] გაზ. „ხმა კახეთისა“, თელავი, 1913 წ. № 97.

თუ მიწას მისცემთ თორმეტჯერ მეტს, მე ქალებით რაღათი ვიცხოვრო?“ [47].

როგორც ცნობილია, მიწის თემური გადანაწილება ვრცელდებოდა უპირატესად სახნავზე, რაც შეეხება ე. წ. დაჩენებულ მიწებს, ე. ი. სავენახესა და საეზოვეს, ესენი კომლის უვადო-მემკვიდრეობით სარგებლობაში რჩებოდა. მაგრამ მას მერმე რაც შეძლებულმა მეკომურებმა თავიანთი ვენახები, საერთოდ მრავალწლიანი ნარგავები, ბაღები და თვით საეზოვე ადგილები დიდად გააფართოვეს, „ერთობით თემი“ ამის გამო უკმაყოფილებას იმ მხრივაც ააშკარავებდა, რომ მოითხოვდა თემის საზღვრებში საერთოდ ყოველგვარი მიწების გადანაწილებას: „... რადგანაც მთელი მამული სოფელს ეკუთვნის და ხარჯსაც მთელ მამულზე იხდის ყოველი სოფლის წევრი“ [48].

* * *

მიწის გადანაწილების სამზადისში თემი (სოფელი) იყოფა ჯგუფებად. ხშირად ყოველ ცალკე ჯგუფში ერთი კატეგორიის ანდა ერთი გვარის მეკომურები იყრიდნენ თავს.

თბილისის გუბერნიაში თემი (სოფელი) იყოფოდა უბნებად, თაბუნებად, ოცეულებად. უბნებად და თაბუნებად თემის დანაწილება შედარებით მუდმივი იყო, ხოლო ოცეულებად-კი მხოლოდ მიწის გადანაწილებისათვის იყოფოდნენ. თემის უბნებად ან თაბუნებად დაყოფაში ხშირად თავს იჩენდა ძველი, საგვარეულო ყოფიერების დამახასიათებელი მომენტები. საგვარეულო ყოფიერების გადმონაშთები ამ მხრივ შესამჩნევი ზომით იყო შემონახული თიანეთის მაზრაში (ხევსურეთსა, თუშეთსა და ფშავში), მაგრამ მეტნაკლები ხარისხით იგი შერჩენილი იყო ქიზიყში და ზემო იმერეთშიც-კი [49].

---

[47] გაზ. „ხმა კახეთისა“, თელავი, 1913 წ. № 97.

[48] „ხმა კახეთისა“, 1913 წ. № 94.

[49] СМЭБГК, I, I, 166—170; МИЭБГКЗК, VII, 16.

სიღნაღის მაზრაში 1880-იან წწ. ა. არღუთინსკის აღწერით, ყოველი სოფელი ნაწილდებოდა რაიმეგვარი ბუნებრივი საზღვრით — ხევით, რუთი, გორაკით, ან კომლთა უბნებად (ქიზიყში), თაბუნებად (უკანამხარში), ანდა უბრალო ჯგუფებად. ყოველი უბანი შედგებოდა ან ერთი გვარის, ანდა ახლონაცნობ პირთაგან. უბანს მრავალ სოფელში მოპოვებული ჰქონდა დამოუკიდებელი ერთეულის მნიშვნელობა. ზოგიერთ სოფელს თავის სახნავი მიწა დანაწილებული ჰქონდა უბანთა შორის; სხვაგან მიწის გადანაწილებისას პირველად უბნის წილს გამოჰყოფდნენ და უბნისწევრთა ნებაზე იყო ურთიერთშორის მისი გადანაწილება; ზოგან კიდევ გადასახადებს უბანთა შორის ანაწილებდნენ და სხვ. უბანს ძალიან ხშირად საკუთრად ჰქონდა ტყის მომცრო ნაჭერი, ანდა უბნის ხარჯით გაყვანილი წყალი; ზოგიერთ სოფელში ბეითალმანი მამულის მემკვიდრეც უბანი იყო[50].

ანალოგიურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი ერევნის, ბაქოსა და განჯის გუბერნიებშიაც. ზოგან ეს დაჯგუფება — თაბუნებად, უბნებად, ოცეულებად, ათეულებად — უფრო მრავალრიცხოვანი იყო და, ცხადია, სახელებიც თავისებური, სხვადასხვანაირი ჰქონდათ. მაგალითად, სომხეთში[51] თემი იყოფოდა ღაღებად და ტასნაკებად[52]; ასეთივე დაყოფა თემისა გავრცელებული იყო აგრეთვე აზერბაიჯანშიც[53], სადაც იგი არსებობდა უპირატესად დასტების სახით[54].

დაღი ირჩევდა დალბაშს (ათისთავს). აღსანიშნავია, რომ დალბაშის, როგორც სამხედრო ერთეულის უფროსის თანამდებობა მე-18 საუკუნის ბოლომდე არსებობდა ქართულ ლაშქარში. აზერბაიჯანის თემებში გასული საუკუნის 80-იან წლებში დაღი ძველებურადვე გარკვეულ ჯგუფს წარმოადგენდა. თემი დაღებად ან ტასნაკებად იყოფოდა მიწების გადანა-

[50] МИЭБГКЗК, IV, II, 211 — 212.
[51] იქვე, I, 546; VI, I, 269.
[52] däh (სპ) და tas (სომხ.) = 40.
[53] МИЭБГКЗК, IV, I, 52 — 56.
[54] იქვე, IV, II, 47 — 49.

წილების ან ირიგაციის სეზონის დასაწყისს. უკანასკნელ შემთხვევაში დაღი 1 წლით სდგებოდა; ხოლო პირველ შემთხვევაში იგი რჩებოდა მიწის მორიგ გადანაწილებამდე. ადმინისტრაცია არ ერეოდა დაღის (ათეულის) შინაგან საქმეებში.

ყოველ ათეულში, ჩვეულებრივად, ამპის ან მისი შესაბამისი ერთეულის თანაბარი რიცხვი ერთიანდებოდა. ძველად ყოველ ათეულში გაერთიანებული მეკომურები ჰქმნიდნენ 10 ამპას (20 ქისანს, 40 ჩარექს). ეს ძველებური წყობა დაღისა 1880-იან წლებში შენარჩუნებული იყო ერევნის გუბერნიის ზოგიერთ თემში[55]. თვითეული სოფელი, ტრადიციულად იყოფოდა 5, 10, 15 დაღად[56]. დაღს (ათეულს), გარდა მიწის და სარწყავი წყლის გადანაწილებისა, აკავშირებდა ამათზე დამყარებული სახელმწიფო ბეგარათა გადახდის სისტემაც. ათისთავი (დაღბაში), ან მისი შესაბამისი თანამდებობის ამსრულებელი, ხშირად იმავე დროს არის მიწისმზომელი (თანაფჩი, მეკორღნე), მასთან ინახება სია, აღწერილობა მიწის დანაწილებისა; იგი მეთვალყურეობს სარწყავი წყლით სარგებლობის წესს, ჰკრეფს ბეგარებს და კონტროლს უწევს ამ ბეგარათა წესიერი გადახდის საქმეს; როცა საჭიროა ნიშნავს ღამის დარაჯებს, აწესრიგებს წვრილმან დავას დაღის წევრთა შორის; იგი პირველი თანაშემწეა მამასახლისისა. საგლეხო რეფორმის მერმინდელ პერიოდში ადმინისტრაციისაგან გაძლიერებულმა მამასახლისმა თანდათანობით სულ უფრო და უფრო შელახა და უგულებელჰყო დაღბაშის როლი და მნიშვნელობა.

4. მიწათსარგებლობის ფორმები თუშ-ფშავ-ხევსურეთში

თუშ-ფშავ-ხევსურეთში (თბილისის გუბერნიის თიანეთის მაზრაში) არსებული მიწათმფლობელობის ძირითადი თავისებურება, ჩვენის აზრით, უშუალო კავშირშია მთელი საზოგადოებრივი წყობილების იმ თეოკრატიულ სისტემასთან, რაც აქ სულ ბოლო ხანამდე

[55] С. Егиазаров, I., с., I, 112—113.
[56] МИЭБГКЗК, IV, I. 52; VII, 153.

იყო გაბატონებული. ეს იყო არქაული სისტემა წარმართულ-ქრისტიანული თეოკრატიული წყობილებისა, რომელიც ემყარებოდა უკვე რღვევის პროცესში მყოფს, მაგრამ ცივილიზაციის სფეროში გადასასვლელ ბილიკზე თვით მთის სულის მიერ გაქვავებულს, და ამდენადვე, ჯერ კიდევ მტკიცე საგვარეულო-თემურ ურთიერთობას. სანამ მათი ეკონომიკური ყოფიერება — მომთაბარე მიწათმოქმედება — შეესაბამებოდა საზოგადოებრივი სტრუქტურის ხსენებულ ფორმას, ცხოვრების განვითარებაც ჩვეულებრივი, პატრიარქალური ადათებით განსაზღვრული, გზით მიდიოდა. მაგრამ რამდენადაც თვით ჯოგი და მეცხოველეობის პროდუქტებიც მეტნაკლები ზომით საქონლად იქცეოდა, რამდენადაც „სალი კლდისაგან" მოწყვეტილი მკაცრი მთიელები ბარში ჩამოდიოდნენ და სახლდებოდნენ, მიწათმოქმედებისა და „ცივილიზებული მყუდრო ყოფიერების მშვენიერებათ" ეცნობოდნენ, იმდენადვე — ამ მოვლენათა უკუქცევითი გავლენით — უნდა დაჩქარებულიყო მთის თემების რღვევა. ცხადია, ეს პროცესი — პროცესი გვაროვნულ-თემური წყობილების რღვევისა — აქ მე-19 საუკუნემდეც საკმაოდ შორს იყო წასული. საქართველოს ბარი საუკუნეების მანძილზე აწარმოებდა მთაში სხვათა შორის ცივილიზაციის ერთ-ერთი „უმშვენიერესი" ნაყოფის, ბატონყმობის შეტანას, რომ არა ვთქვათ რა ქრისტიანობის ძალდატანებითი გავრცელების შესახებ.

მართალია, ძველ საქართველოში მთიელნი საერთოდ სახასოდ, ე. ი. სამეფოდ ითვლებოდნენ, მაგრამ გათვითნებებული ფეოდალები ცდას არ აკლებდნენ, რათა ესა თუ ის ხევი დაემორჩილებინათ, ყმად გაეხადათ. ძლიერი ფეოდალები ამ მიზნით მრავალ ხერხს მიმართავდნენ: ხეობიდან გასასვლელი გზის გადაკეტვის, საბალახოების (როგორც იალაღების, ისე ყიშლაღების) მითვისების, თვით მთის თემებზე გალაშქრების და სხვ. სახით[1]. ცარიზმის ადმინისტრაცია, ცხადია, ყო-

[1] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. „ხევსურეთი", 1935, 28—32; მ ი ს ი ვ ე. „ფშავი", 1934, 19 — 23; ა. შ ა ნ ი ძ ე, „ქართული ხალხური პოეზია", I, ხევსურული, 1931 თბ., 06 — 08, 340.

ველმხრივ ხელს უწყობდა მთაში ბატონყმური ურთიერთობის დამნერგავ ელემენტებს [2]. მიუხედავად ამისა ბარმა მაინც ვერ შესძლო მთაში ბატონყმური ურთიერთობის გავრცელება.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მთის თემები ძირშივე სპობდნენ გაძლიერებული ადგილობრივი ოჯახებისა თუ გვარების მისწრაფებას თემზე გაბატონებისაკენ. მაგალითად, სვანეთის თემები ხოცავდნენ „გადიდკაცებულ და გათავხედებულ აზნაურებს“ და მთელს მათს ადგილმამულს ინაწილებდნენ [3]. ასევე იქცეოდნენ ხევსურებიც. აქ სოფელ მოწმაოში ცარიზმის ადმინისტრაციისაგან წაქეზებული ბათირა არაბაული „თავის მეზობლებს გასდგომოდა და თავისი სოფლის ბატონობა დაესახა მიზნად. მოუნდომებია თითქმის მთელი სოფლის მიწაწყლის დაპყრობა, რისთვისაც სოფელს ავიწროებდა თურმე“. ხევსურებმა, როგორც საერთოდ პატრიარქალურმა თემმა,- „შევიწროების დროს ძლიერი შემჭიდროება, შეკავშირება, მტკიცე-ურყევი სიტყვის მიცემა იციან ერთმანეთისადმი“. და აი ხალხი შეთქმულა და ბათირა არაბაულის მთელი ოჯახი ამოუწყვეტია [4].

თუ ბატონყმობამ ვერ შესძლო ფეხის მოკიდება მთაში, სამაგიეროდ იქ ჩამოყალიბებულა თავისებური ფორმა ბატონობისა და მორჩილებისა. ესაა თეოკრატიული წყობილების საფუძველზე და თემობრივობის ბურვილებში შექმნილი სასულიერო სენიორთა ბატონობა: ხევის ბერის ავტორიტარული მმართველობა, რომელშიაც გაერთიანებულია სამოქალაქო, სასულიერო და სამხედრო ხელისუფლება. ეაგრამ ხევისბერის ბატონობის მთავარი იარაღი მაინც „ხ ა ტ ი ა“ (უდრის, დაახლოებით, თავდაპირველი მნიშვნელობით, მეგრ. „ოხვამეს“ — „სამლოცველოს“). რ. ე რ ი ს თ ა ვ ი წერდა (1854 წ.), რომ აქ „საზოგადოების ყოველი წევრი მთელი საზოგადოების, გვარის, მფარველობაშია, ხოლო საზო-

---

[2] გ. თ ე დ ო რ ა ძ ე, „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, 35.

[3] ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, „ძველი და ახალი სვანეთი“, 72 — 73.

[4] გ. თ ე დ ო რ ა ძ ე. I, ტ., 35 — 36.

გადოება ყმაა, მონაა, თავისი ხატისა. ამ კავშირს აქვს იურიდიკული სარჩულიც. ასე, მაგალითად, ხევსურეთში გვხვდება მიწის მხოლოდ საეკლესიო-საზოგადოებრივი მფლობელობა"[5], ე. ი. თემური მიწათმფლობელობა აქ ხატის მამულების სახითაა წარმოდგენილი. „აქ არა მხოლოდ მიწები (სახნავი), არამედ ტყეებიც მრავალ ადგილას დანაწილებულია (დაჩემებულია) მკვიდრთა შორის და იმავე დროს, იმავე სოფელში, უკეთესი მიწები და ტყეები ხატს ეკუთვნის"[6].

ექ. გ. თ ე დ ო რ ა ძ ე, რომელიც 1920-იან წლებში დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდა თუშ-ფშავ-ხევსურთა ცხოვრებას, მაგალითად, სოფ. შატილისა და მისი სანახების აღწერისას აცხადებს: „მშვენიერი შემოსავლიანი ადგილები ახლა ხატის საკუთრებას შეადგენს. მათ ხატების სასარგებლოდ ამუშავებენ შატილიონები და მთელი წლის მანძილზე ნაწილ-ნაწილად ყოველ დღესასწაულზე დროს გასატარებლად ხარჯავენ ხატის მამულის მთელ შემოსავალს. ასე რომ ამ მამულით სარგებლობა... მთელ სოფელს ეკუთვნის და მისი დამუშავების: დათესვის, მომკის თანაბარი განაწილების ფარგლებში ერთგვარი, პრიმიტიული სახის, კომუნა არსებობს... საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ხანაში, მთელ ფშავ-ხევსურეთში ხატები უტყვი, მაგრამ ამავე დროს საშინელი, მრისხანე მბრძანებლებია, რომელთა უძრავი გამომეტყველებაც შიშის ზარს სცემს ყურმოჭრილ მონებს, ფშავ-ხევსურებს"[7]. 1934 წელს ჩვენ საშუალება გექონდა ადგილზე უშუალოდ დავკვირვებოდით ხევსურეთის მთებსავით მკაცრი და შეუვალი თეოკრატების მოღვაწეობას და მთის საადგილმამულო ურთიერთობას, რაც უკვე არსებითად შეცვლილიყო წინაათეულ წლებსა და ასიოდე წლის წინათაც აქ აღწერილ ვითარებასთან შედარებით.

---

[5] ЭКОИРГО, III, 78; ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „ეთნოგრაფიული წერილები", 1940, თბილისი, 21 — 23.

[6] იქვე; ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, I. c., 23.

[7] გ. თ ე დ ო რ ა ძ ე, I. c., 73.

არამცთუ 1880-იან წლებში, როგორც ამას მ. მ ა ჩ ა ბ ლ ი ს[8] მიხედვით ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ფიქრობს, არამედ გასული საუკუნის-თვით დასაწყისშიაც, და დიდი ხნით ადრეც, საერთოდ აქ გაბატონებული უნდა ყოფილიყო კერძო მიწათმფლობელობა. ყოველ შემთხვევაში კარისპირისა და საყანე მიწის მეკომურთა ფაქტიურ საკუთრებაში ადრიდანვე გადასვლას აქ თვით ტოპოგრაფიული პირობებიც დააჩქარებდა: მთების ძნელად მისადგომ ფერდობებზე და ღრანტეხევებში გაფანტული სახნავი მიწის პაწაწინა ნაკვრები იმთავითვე ბუნებრივ დაბრკოლებას წარმოადგენდა მიწების პერიოდული გადანაწილებისათვის. ხოლო 1880-იან წლებში-კი სახნავს გარდა ტყეებიცა და საბალახოებიც დაჩემებული ჰქონდათ ძლიერ მეკომურთ. ამასთანავე „თემურ“ მფლობელობაში, ე. ი. ხატის საკუთრების სახით დარჩენილი სახნავი მიწაც, რომელსაც სოფელი კოლექტიურად ამუშავებდა და მოსავლით კი (უნდა ვიფიქროთ ნაწილით მოსავლისა) ხატის მსახურნი ხატობაზე მოსულთ უმასპინძლდებოდნენ, — ნამდვილად თვით ხატის მსახურთა რელიგიურ-უფლებრივი და, მაშასადამე, ეკონომიკური ბატონობის საშუალება იყო; თუმცა, მართალია, ამასთანავე, ძველებური მიწათმფლობელობისა და მისი კოლექტიური დამუშავების საინტერესო გადმონაშთსაც წარმოადგენდა.

ცნობილია ისიც, თუ საერთოდ რაოდენ მოხერხებულად და შენიღბულად სარგებლობდნენ თემურობითა და თემურობის გადმონაშთებით გვაროვნული თემის დაშლის პროცესში წარმოქმნილი პრივილეგიური ჯგუფები თავიანთი კერძო ინტერესებისათვის. მთა საოცრად აგუებს ერთმანეთს, ერთის მხრით, მიწის კერძო საკუთრებასა და, მეორეს მხრით, მიწის თემურ მფლობელობაზე დამყარებულ წარმოებრივ ურთიერთობათა პირობებში წარმოშობილ და უკანასკნელისავე შესაბამისი საზოგადოებრივი ყოფიერების ფორმათა გამომხატველ ადათ-ჩვეულებასა და საერთოდ ადამიანთა ცნობიერებას, რომელიც აქ იმდენად უფრო გაქვავებული და ჩა-

[8] МИЭБГКЗК. V. 373 — 374.

კირულია, რაც უფრო მეტადაა მოწყვეტილი მთის თემი გარეშე მსოფლიოსაგან, ბარისაგან.

ფისკალური მიზნით დაინტერესებული ცარიზმის ადმინისტრაციის წაქეზებით ხევსურეთის რიგ სოფლებს 1885. წელს მოუთხოვიათ მიწის პერიოდული გადანაწილება, ე. ი. მთელი სახნავი მიწების კვლავ თემის მფლობელობაში გამოცხადება, მაგრამ უშედეგოდ. ამასთანავე, როგორც აღვნიშნეთ, აქ მიწა კომლის საკუთრება იყო, მაგრამ ქალს წილი არ ედვა მამულში [9]. მამულის გასხვისებისას მყიდველის უპირატესი უფლებებით ძმისშვილები, ე. ი. უახლოესი თანამეგვარეები სარგებლობდნენ [10].

ფშავში გადავარდნამდე მისული სათემო მიწების გადანაწილების სისტემა „მეორე ბამოცემის" სახით, გლეხობის მოთხოვნის შედეგად, განახლებულ იქნა 1870-იანი წლებიდან. სახნავი მიწის გადანაწილება აქ კომლობრივად წარმოებდა. გადასანაწილებელი მიწის საერთო ფართობის ჯამს ჰყოფდნენ მეკომურთა რაოდენობაზე; თვით გადანაწილებას „წილის ყრას" უწოდებდნენ. მთელი სახნავი აქ იყოფოდა: კარისპირის, სახატო, ნაწილარი და სამთო ნაწილარ მიწებად (თუშეთში-კი შესაბამისად მიღებული იყო უფრო მრავალი გრადაცია: სასოფლო, საზიარო, წილის მიწა, ბოსლისკარის მიწა, ბარის მიწა, მთის მიწა და ხატის მიწა) [11]. ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, მაღაროს თემში კარისპირის მიწის გადანაწილება არ წარმოებდა, მეკომურთა. და, მაშასადამე, თვით სახნავი მიწის დაფანტულ-დაქსაქსულობის გამო. არც სახატე მიწებს ეხებოდა გადანაწილება. ხატის მამულები აქაც, მსგავსად ხევსურეთისა, თვით ხატის, ე. ი. ხატისმსახურთა შემოსავლის წყაროს შეადგენდა [12].

---

[9] კახეთშიაც (თელავის მ.), როგორც ა. არღუთინსკი გადმოგვცემს, სახელმწიფო გლეხებში, „თუ რომელიმე ოჯახი ამოწყდა, და მის წარმომადგენლად ქალი დარჩა, მაშინ იმ ოჯახის კუთვნილ მიწას საზოგადოება ისაკუთრებს" (იხ. გაზ. „შეურნე", 1889 წ. № 27, გვ. 2).

[10] გ. თედორაძე, I. c., 55 — 56.

[11] ს. მაკალათია, „თუშეთი", 46.

[12] ს. მაკალათია, „ფშავი", 32 — 34; МИЭБГКЗК, V, 373 — 375.

თუშეთშიაც იყო დაცული თემური მიწათმფლობელობა. აქ „იალაღები და ალვანის მთელი ველი თუშეთის ყველა თემის საკუთრებას შეადგენდა. რაც შეეხება მთათუშეთის ადგილებს, სადაც თუშების სოფლებია გაშენებული, აქ მიწა დაყოფილი იყო თუშეთის ოთხ თემს შორის. თვითეული ეს თემთაგანი ფლობდა განსაზღვრულ ფარგლებში მოქცეულ მიწის ფართობს, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვდა, სათემო ყრილობის დადგენილებით, ეს საზღვრებიც იცვლებოდა. თემი კი მიწებს პერიოდულად ანაწილებდა თემში შემავალ საგვარეულო ოჯახებს შორის[13]. ეს გადანაწილება კომლთა შორის წილის ყრით ხდებოდა. მიწების გადანაწილება თემის დადგენილებით 10-20 წელიწადში ერთხელ წარმოებდა. მაგრამ მე-19 საუკ. პირველი ნახევრიდან მოყოლებული თემური მიწათმფლობელობა აქ სწრაფი ტემპით ირღვევა, რასაც, ცხადია, ხელს უწყობდა თუშთა ძირითად მეურნეობრივ საქმიანობაში, მეცხოველეობაში, კაპიტალისტური თაოსნობის შეჭრა. „წინაკაცებმა", ე. ი. გამდიდრებულმა ოჯახებმა, „ძალით თუ შესყიდვით მიითვისეს საუკეთესო მიწები და ზოგიერთ სოფელს მამულებს ედავებოდნენ"[14]. მართალია, 1880-იან წლებში თუშეთის გლეხობამაც მოითხოვა მიწების თემურად ხელახალი გადანაწილება, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ უმნიშვნელო ზომით იქნა ცხოვრებაში გატარებული[15]. კერძო მიწათმფლობელობა სულ უფრო ვითარდებოდა და მტკიცდებოდა.

5. მიწათმფლობელობა მომთაბარე ტომებში

თემური მიწათმფლობელობის თავისებური, არქაული, ფორმა მომთაბარე ტომებში იყო დაცული.

1885-86 წ წ. ამიერკავკასიაში მცხოვრებ 244 მომთაბარე თემთაგან იყო: თათრებისა (თარაქამთა) — 83 (46.678 სული), ქურთებისა (ქურგანჯთა) — 155 (20.404 სული), ტალიშელ-

[13] ს. მაკალათია. „თუშეთი", 44—45; МИЭБГКЗК, V, 386—396.
[14] იქვე, 45.
[15] МИЭБГКЗК, V, 388 — 389.

თა — 4 და გაპუტინელთა — 2 თემი. ესენი ცხოვრობდნენ ბაქოს (45 თემი), განჯის (44 თემი) და ერევნის (155 თემი) გუბერნიებში. ამ ტერიტორიებზე მათ ეჭირათ 373 ათასი დესეტინა საბალახო (და ნაწილობრივ უვარგისი) მიწა, — რომელიც უმთავრესად სახაზინო მფლობელობაში ირიცხებოდა [1].

ამავე 1880-იან წლებში სახელმწიფო გლეხთა სარგებლობაში მყოფ საბალახოთა (იალაღისა და ყიშლაღის) საერთო ფართობის (740 ათას დესეტინის) დაახლოებით 75 პროცენტი იმყოფებოდა სასოფლო თემთა საერთო სარგებლობაში, ხოლო დანარჩენი ფართობი ეჭირა, როგორც მეჯოგეთა ამხანაგობებს (გაერთიანებებს), აგრეთვე ცალკე მეჯოგეებს, ჯოგთა მსხვილ მეპატრონეებს. ამასთანავე ყოფილ საბატონო გლეხთა და კერძო პირთა სარგებლობაში მყოფ საბალახოთა საერთო ფართობის (560 ათას დესეტინის) 50 პროცენტი იმყოფებოდა სოფლების (საზოგადოებების) საერთო სარგებლობაში, ხოლო მეორე ნახევრის უდიდესი ნაწილით (34%) სარგებლობდნენ კერძო პირები და უმცირესი (15%) ნაწილით კიდევ — მეჯოგეთა ამხანაგობები [2].

ეს ცნობები იძლევა ერთგვარ, ნაწილობრივ, წარმოდგენას იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიის ეკონომიკაში საერთოდ მეცხოველეობა, და კერძოდ თუ კიდევ რამდენად შესამჩნევი ფართობი სახაზინო მიწებისა იმყოფებოდა, როგორც მომთაბარე ტომთა, აგრეთვე საერთოდ მეცხოველეობის მიმდევარი მოსახლეობის საერთო, ე. ი. თემურ სარგებლობაში. იგივე ცნობები მნიშვნელოვან საილუსტრაციო მასალას წარმოადგენენ იმის ნათელსაყოფადაც, რომ მეჯოგეობა (მეცხოველეობა) საერთოდ უფრო მეტხანს ინახავს მიწათმფლობელობის თემურ ფორმას, ვინემ მიწათმოქმედება; ანუ, სხვა სიტყვებით, მეჯოგე-

---

[1] И. Бахтадзе. „Кочевники Закавказского края", 1883. Тифлис, стр. 88.

[2] П. Варавин, „Летния и зимния пастбища Закавказского края", 1888. Тифлис, 114.

ობითი (მომთაბარე) თემები უფრო გვიანამდე ინარჩუნებენ თემურ მიწათმფლობელობას, ვინემ მიწათმოქმედი თემები.

გასული საუკუნის 50-იანი, ხოლო განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან მოყოლებული ამიერკავკასიის მომთაბარე თემებში იზრდება ტენდენცია ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისა. ქვეყნის ეკონომიკური ევოლუციით პირობადებულ ამ ტენდენციას ძლიერ აქეზებდა ადმინისტრაციაც. ასე, მაგალითად, ი. ბახტაძის მიერ თავმოყრილ ცნობათა მიხედვით, 1850-1887 წწ., ე. ი. ორმოცდაოდე წლის მანძილზე მომთაბარე თემთაგან დასახლდა საბოლოოდ (დაბინადრდა) 767 კომლი, რომელთაც წარმოქმნეს 32 სოფელი[3].

საქმე იმაშია, რომ ამ დროიდან ამიერკავკასიაში მოსახლეობის შედარებით სწრაფი გამრავლებისა და, მაშასადამე, მიწათმოქმედების განვითარება-გაფართოების პროცესი სერიოზულ და სულ უფრო მზარდ დაბრკოლებას უქმნიდა მომთაბარე ხალხთა ტრადიციულ ცხოვრებას: ამცირებდა საბალახოების ფართობს, აფერხებდა იალაღიდან ყიშლაღისაკენ და, პირუკუ, ჯოგის თავისუფალ მოძრაობას და სხვ. ყოველივე ამის შესაბამისად, მომთაბარე ტომებშიაც იზრდება მიდრეკილება „შფოთიანი და ხიფათიანი“ მეცხოველეობიდან მიწათმოქმედებაზე გადასვლისა.

მაგრამ ამ მიდრეკილებას, სხვათა შორის, აფერხებდა მომთაბარეთა ცხოვრებაში განმტკიცებული ადათები და ცრუ რწმენა-შეხედულებანი. თვით მოჰამედმა თავისი მოძღვრება დაიწყო იმით, რომ დასწყევლა გუთანი, როგორც მონური შრომის მომასწავებელი და როგორც აკად. მიდენდორფი წერს, მომთაბარის ცხოვრებაში რაღაც დიდი უბედურება უნდა მომხდარიყო, რომ მას გადაეწყვიტა მიწათმოქმედებისათვის ხელის მოკიდება. „სანამ ჯოგს რაიმე არ გაანადგურებს, მომთაბარე არ დაემორჩილება საშინელ ბედს, რაც წინასწარმეტყველმა დაახასიათა. სიტყვებით: სადაც კი შეიჭრებოდა ეს იარაღი (გუთანი), მას ყველგან

[3] И. Бахтадзе. l. c., стр. 90—93.

თან მიჰქონდა მონობა ლა აუგი"[4]. მომთაბარეს თავისი ყოფა-მდგომარეობა იდეალურად მიაჩნდა. „არავითარ კულტურას, არავითარ მოქალაქეობრივობას იგი არ ეგუება. იგი უგულებელჰყოფს ყოველგვარ წესიერ შრომას და პატივს არ სცემს სხვის საკუთრებას; ძარცვა მას მიაჩნია თავისებურ ვაჟკაცობად"[5].

ასეთი იყო ოფიციალური შეხედულება მომთაბარე ხალხებზე, რომლებიც, იალაღებიდან ყიშლაღებში და პირუკუ გადასვლის პერიოდებში, მათდაუნებლიეთ ზიანს აყენებდნენ მიწათმოქმედ სოფლებს; ანადგურებდნენ ყანებს, ბაღ-ბოსტნებს და სხვ., რის გამოც ხშირი იყო შეტაკება მომთაბარე ტომებსა და მიწათმოქმედ სოფლებს (თემებს) შორის, მაგალითად, გუმბრის მაზრაში და სხვაგანაც[6]. ეს მომენტები, ცხადია, იწვევდნენ ხელისუფლების მხრივ გარკვეულ ღონისძიებათა მიღებას. უმთავრესი აზრი ამ ღონისძიებებისა მომთაბარეთა მიწათმოქმედებაზე გადაყვანაში მდგომარეობდა. გასაგებია, ამ მხრივ ადმინისტრაციის მოქმედებაშიაც უკეღმართობა და მომთაბარეთა შორის საუკუნოებრივად განმტკიცებული ტრადიციების უხეში დარღვევის ფაქტებიც არ იყო იშვიათი. მეორეს მხრივ, მომთაბარეებისათვის დასასახლებლად საჭირო მიწების ბარში გამოყოფით, ბუნებრივია, ასე თუ ისე, უნდა შელახულიყო მიწათმოქმედების მიმდევარ თემთა ინტერესებიც და მით უმეტეს, რაც უფრო საგრძნობი იყო მოცემულ რაიონში მცირემიწიანობა[7].

ადრე თუ გვიან მომთაბარეები უნდა დამორჩილებოდნენ საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ეკონომიკურ ცვლილებებს და მიწათმოქმედებისადმი ტრადიციით

---

[4] А. Миддендорф, „Очерк Ферганской долины", стр. 335.

[5] П. Гамбаров, „О кочевках, в связи с пастбищным вопросом" (ТКОСХ, 1885 г., № 9—10, стр. 27).

[6] МИЭБГКЗК, I, 29; ТКОСХ, 1886 г., № 3—4, стр. 173—179.

[7] „Устройство быта Закавказских кочевников" (газ. „Новое Обозрение", Тифлис. 1897 г., № 4705).

ჩანერგილი ზიზღი ნელ-ნელა უნდა დაევიწყათ, „მწარე ხვედრს“ შერიგებოდნენ და გუთნისა და თოხისათვის ხელი მოეკიდათ.

თავდაპირველად მომთაბარე ტომები ბარში (მიწათმოქმედების რაიონებში) სეზონურ სამუშაოზე ჩამოდიოდნენ — ხელფასისათვის, რასაც უპირატესად ნატურის (ხორბლეულისა და სხვ.) სახით ღებულობდნენ. შემდგომში მომთაბარე ტომები თანდათანობით უფრო უახლოვდებიან მიწათმოქმედებას. თვით მომთაბარეთა შორის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებისდამიხედვით მათი გაღატაკებული ნაწილი მუდმივად რჩება სოფლად, როგორც მოჯამაგირე, ბოლოს როგორც მიწისმუშა. მომთაბარე ტომთა ყოფილ წევრ-ოჯახებს უჩნდებათ ყანა და საკუთარი იარაღები მიწათმოქმედებისა.

ქ. ვერმიშევის მოწმობით 1880-იანი წლების მიწურულს ამიერკავკასიაში ირიცხებოდა უმნიშვნელო რაოდენობა მომთაბარე ტომებისა, რომლებიც საძოვრითი მეურნეობით ცხოვრობდნენ; ასეთ ტიპიურ მომთაბარეთა რიცხვი, რომლებიც, მაგალითად, სახაზინო მიწებზე ცხოვრობდნენ, შეადგენდა დაახლოებით 4-5%-ს იმავე მიწებზე მცხოვრებ სახელმწიფო გლეხთა საერთო რიცხვისა[8]. მაგრამ მომთაბარე ტომთა საბოლოოდ დასახლება, ე. ი. ბინადარ-მიწათმოქმედურ ცხოვრებაზე გადასვლა, ინტენსიურად წარმოებდა განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, რა დროიდანაც დაიწყო შედარებით ფართო მასშტაბის საირიგაციო მშენებლობა, რის შედეგადაც ადრე თუ გვიან, მაგრამ აუცილებლად-კი, ვრცელი საბალახო ველები (ყიშლაღები) მიწათმოქმედების ასპარეზად უნდა გადაქცეულიყო და ამდენადვე მეცხოველეობას გზა უნდა დაეთმო მარცვლეულისა თუ სხვა კულტურისათვის[9].

---

[8] Х. Вермишев, „Земледелие у гос. крестьян Закавказского края“, 517.

[9] М. Скибицкий, „Пастбища Закавказского края“ (КХ, 1918 г., № 9 — 10, стр. 10 — 12).

ახლა დავუბრუნდეთ საკითხს, კერძოდ, თუ რა პრინციპზე იყო დამყარებული თემური მიწათმფლობელობა მომთაბარე ტომებში.

ი. შ ო პ ე ნ ი გადმოგვცემს, რომ 1830-იან წლებში სომხეთის ოლქში, „ზოგიერთი მომთაბარე ხალხი ზაფხულობით ყოველთვის მიემგზავრება ერთსა და იმავე ადგილზე, და ამ ადგილს თვლიან თავიანთ ერთგვარ საკუთრებად; სხვები კი ისე მიდიან, როგორც მოუხდებათ და ჩერდებიან იქ, სადაც იპოვნიან საკმარისად წყალს, სივრცეს და საძოვარს პირუტყვისათვის“ [10]. უკვე 1900-იანი წლების დამდეგს ს ტ. ყ ო რ ღ ა ნ ო ვ ი აგვიწერს, რომ ერევნის გუბერნიის ახალბაიაზეთისა და სურმალოს მაზრების განთქმულ იალაღებში, სადაც აპრილიდან ოქტომბრამდე თავს იყრის დაახლოებით 30 ათასი ადამიანი, „უზარმაზარი სივრცეები დანაწილებულია მთელ რიგ სხვადასხვა ზომის ცალკე ნაკვეთებად და ყოველი მათგანი დიდი ხნიდანვე მიწერილია მომთაბარეთა ამა თუ იმ ჯგუფზე. არაა არავითარი საზღვრები; ეს საზღვრები არსებობს უფრო ხალხის მეხსიერებაში და ასე გადაეცემა თაობიდან თაობას. აქ ოდესღაც თავისუფლად და კარგად ცხოვრობდნენ, ყველას ჰქონდა თავისი ვრცელი და უხვი იურტი და არავინ ფიქრობდა დატაცებას. მაგრამ დრო ძლიერ შეიცვალა, ახლა ყოველი გოჯი მიწისათვის თოფით ხელში იბრძვიან; ამ ნიადაგზე წარმოსდგება შესამჩნევი რაოდენობის მკვლელობა და დასახიჩრება. მარტი და აპრილი იალაღებში — ესაა ვნებათა მთელი ხანძარი; ერთსა და იმავე ნაკვეთზე ცხადდება რამოდენიმე პრეტენდენტი... თუ ნახევრადველური ქურთის იურტზე, რითაც იგი ათეული წლებს მანძილზე მემკვიდრეობით სარგებლობდა, ახლა ერთბაშად ცხადდება ვიღაც ახალმოსული, რომელსაც ხელში უჭირავს ადმინისტრაციის ქაღალდი, რა გასაკვირია, რომ გაწამაწია სწყდება სატევარით და დავის ფინალში იღვრება სისხლი, რითაც მრავალი წლობით ითესება სასტიკი მტრობა, არა

[10] И. Шопен, „Исторический памятник состояния Армянской области...“, 1852. 523.

მხოლოდ მოდავეთა შორის, არამედ მათს ნათესავებს შორისაც, რის შედეგადაც ხდება კიდევ რიგი მკვლელობა და დასახიჩრება“ [11].

საერთოდ შესამჩნევად სხვადასხვანაირი იყო საძოვრებით თემურად სარგებლობის წესები, იმის მიხედვით თუ რა ხასიათს ატარებდა თვით საძოვარი (საბალახო). ამასთანავე როგორც წესი, მომთაბარე თემებში მიწის გადანაწილება წარმოებდა უპირატესად არა კომლების, და არც ოჯახთა სულობრივი შედგენილობის მიხედვით, არამედ თვით ჯოგის (პირუტყვის) რიცხოვნობის შესაბამისად.

მაგალითად, განჯის გუბერნიის ჯებრაილის მაზრის მომთაბარე თემებში ი. დ ე კ ო ნ ს კ ი ს გადმოცემით ყოველ ოჯახის უფროსს, რომელსაც ჰყავდა ორი თავი მსხვილი და 40 წვრილი, ან ერთი მსხვილი და 80 წვრილი პირუტყვი, ეძლეოდა საბალახო მიწის ფართობი 75 საბელის სიგრძისა და 2 საბელის სიგანის; თვით საბელის სიგრძე 11 საჟენს უდრიდა. პირუტყვის ხსენებული რაოდენობა და ამის შესაბამისი საბალახოს ფართობი ჰქმნიდა საგადასახადო ერთეულს — კ ა რ ა ს. სხვა თემში ამ ერთეულს ეწოდებოდა შ ა გ ა, კ ი ლ ჩ ა (ცხენის ფეხი) და სხვ. კომლი ღებულობდა არა მხოლოდ ერთ ერთეულს საბალახო მიწის ფართობისას, არამედ 2, 3, 4, 5—იმის მიხედვით, თუ რამდენი ჰყავდა პირუტყვი[12]. აღსანიშნავია, რომ თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაშიც, როგორც ა. ა რ ღ უ თ ი ნ ს კ ი-დ ო ლ გ ო რ უ კ ო ვ ი წერდა, იალაღებზე, როგორც სახელმწიფო ისე კერძო საბალახოსათვის, საიჯარო ქირა ისაზღვრებოდა არა აღებული ფართობის ზომის, არამედ პირუტყვის თავის მიხედვით: 25-40 კაპ. მსხვილი და 10-20 კაპ. წვრილი პირუტყვისათვის, მთელ ზაფხულში [13].

---

[11] Ст. Корганов, „Кочевки Эриванской губерніи“ (Памятная книжка Эриванск. губ., на 1904 г., Эривань, отд. III, стр. 53 — 54).

[12] МИЭБГКЗК, IV, II, 261.

[13] РКТЭЖД. 70 — 71.

განჯის გუბერნიის ჯებრაილის მაზრის, ერევნის გუბერნიის შარურდარალაგიოზის, ნახჭევანის და სურმალოს მაზრების აღმწერნი თითქმის ერთხმად ამტკიცებენ, რომ აქ „იალაღები იმყოფება ცალკე თემების საერთო და განუყოფელ“ მფლობელობაში. ეს სწორია, მაგრამ არა ყოველთვის, როგორც სამართლიანად შენიშნა თავის დროზე ს. ეგიაზაროვმა[14]. თემის წევრები „საერთოდ“ ფლობდნენ მხოლოდ იმ საბალახოებს, რომლებიც ან სანადელო მიწის ფართობში შედიოდნენ, ანდა სათემო სახნავის მოსაზღვრედ მდებარეობდნენ; როგორც, მაგალითად, ერევნისა და განჯის გუბერნიების ზოგიერთ მაზრაში, სადაც იალაღები (საზაფხულო საძოვრები) ისე ახლოს მდებარეობდნენ სანადელო მიწებთან, რომ გლეხები ხნავდნენ კიდევაც მათ, — რითაც თანდათან ამცირებდნენ საბალახოების ფართობს[15].

ასეთი სიახლოვის გამო ეს იალაღები, რომლებიც დიდად არ განსხვავდებოდნენ უბრალო სასოფლო საძოვრებისაგან, წესიერად ნაწილდებოდა თემთა შორის. მაგრამ დიდად განსხვავდებოდა პირობები ისეთი იალაღებით სარგებლობისა, რომლებიც შორეულ ზეგნებსა და მთებზე მდებარეობენ და რომლებიც, ამგვარად, აქ მომთაბარე თემთა ადგილსამყოფელიდან (ბარიდან) დაშორებული არიან ათეული და ხშირად ასეული კილომეტრობით.

ცხადია, ეს იალაღებიც თემის საერთო მფლობელობაში იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში მფლობელად გამოდიოდა არა მთელი სასოფლო თემი, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი: ობა (oba)[16], ზომა (soma) და სხვ. სახელწოდებით. თუ მიწათმოქმედი თემის შესაბამის სიტყვას ვიხმართ, ეს იყო თაბუნი, თემის ნაწილი, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე ოჯახს, ან სრული თანასწორობის ანდა კიდევ ერთი ან ორი, სხვებისაგან განსხვავებით მდიდარი, დიდგვაროვანი კაცის მეთა-

[14] С. Егиазаров, I, с., I, 185 — 186.

[15] МИЭБГКЗК, IV, I, 331, 673.

[16] ობა (ქურთ.) — მომთაბარე ჯგუფი, ოჯახთა ამხანაგობა; იგივე იოლდაშობა, კავშირი.

ურობით. ასეთი მცირე მომთაბარე „თემის“ წარმოქმნა პირობადებულია საერთოდ მომთაბარეობის სოციალ-ეკონომიკური და ტექნიკურ-ორგანიზაციული მოთხოვნილებებით.

მომთაბარე „თემის“ — ობას, ზომას, იოლდაშობის — მეთაურს ეწოდებოდა ობა-ბაში, სარქარი. არაიშვიათად ობა, სწორედ ისევე, როგორც მიწათმოქმედი სოფლის უბანი ან თაბუნი, შედგებოდა ერთი გვარის ოჯახთაგან, რაც მას მიკროსკოპული „საგვარეულო თემის“ ხასიათს აძლევდა.

6. დატაცებითი მიწათსარგებლობა

ასეთი იყო, მეტნაკლები სისწორით, ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა შორის, ე. ი. თემურ მიწათმფლობელობაზე დამყარებულ სოფლებში მიწათსარგებლობის წესი. მაგრამ ამიერკავკასიის ზოგიერთ კუთხეში თვით მეოცე საუკუნემდეც-კი მოაღწია თემური მიწათმფლობელობის ერთ-ერთმა არქაულმა წესმა. ესაა დატაცებითი მიწათსარგებლობა. თუმცა, — მცირემიწიანობის მეოხებით ასეთი თემები 1880-იან წლებში უკვე უმნიშვნელო რაოდენობით იყო შერჩენილი, მაგრამ კიდევ მოიპოვებოდა თბილისის, განჯისა და ერევნის გუბერნიის ზოგიერთ მაზრებში.

1830-იან წლებში, სომხეთის ოლქში მიწათმოქმედების აღწერისას ი. შოპენს აღნიშნული აქვს, რომ მემინდვრეობის (მარცვლეული მეურნეობის) ზონაში გლეხი ჩვეულებრივად „გაზაფხულზე ცხენით მიდის გარშემომდებარე ველების დასათვალიერებლად; აქ ინიშნავს მისი მეურნეული საქმის მოცულობისათვის გამოსადეგ და შესაბამის ადგილს, სადაც შემდეგ მიდის თავისი გუთნით და ხნავს დასათესად. ამ ზონაში, მოსახლეობის განსაზღვრულობის (სიმცირის) მეოხებით, მიწისმუშას საშუალება აქვს ყოველწლიურად მოხნას ყამირი, რაც მას ჩინებულ მოსავალს აძლევს“ [17]. ცხადია, სულ სხვანაირი იყო უკვე მაშინაც მდგომარეობა მებაღეობის ზონაში.

---

[17] И. Шопен, l. c., 736.

სათემო მიწის დატაცებითი წესით სარგებლობის შემთხვევაში, გასაგებია, ადგილი არა აქვს მიწის გადაზომვითი გადანაწილებას. მაგალითად, თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში, სახელდობრ, ქიზიყში „მიწა, გარდა ეზოების და სოფელში მდებარე ადგილებისა, არავის საკუთრებას არ შეადგენს. აი როგორ წარმოებს ამ საერთო საკუთრების სარგებლობა: გუთნის გატანის დროს პირობას სდებს საზოგადოება: ამა და ამ დროს, ამ დღეს, ესა და ეს ალაგი მოვხნათო. დანიშნულ ვადაზე ვინც მზად არის გავა გუთნით და ვინც სად მიასწრებს იქ დაიჭერს და მოხნავს. მერე სარგებლობს ამ მიწით იმ დრომდის, სანამ მიწას რაიმეს მოცემა შეუძლია; როცა მიწა გამოიფიტება — მაშინ მას სტოვებს და სხვას იჭერს. ასე რომ ერთი ნაწილი მიწისა რომ ხმარებაშია, მაშინ მეორე უსარგებლოდ ან სათიბად რჩება“ [18], ანალოგიურ მოვლენას აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1882 წელს „ივერიის“ კორესპონდენტიც: გარე-კახეთში „სოფლელებს სადაც-კი უნდათ სასოფლო მამულში, იქ მოხვნენ. დაყოფა მამულისა სოფლელებს შორის დროგამოშვებით არ არსებობს, მხოლოდ ყველას თავისი კუნჭული აქვს დაჩემებული“ [19].

ორიოდე წლით უფრო გვიან სიღნაღის მაზრაში, კერძოდ ზემო მაჩხაანის, ჯუღაანის, მირზაანის და საქობოს თემებში, მიწათსარგებლობის ეს წესი დაწვრილებით აღწერა ა. არღუთინსკიმ. წინასწარ განსაზღვრულ დღეს, გაზაფხულის დასაწყისს, დანიშნულ ადგილზე გამოდის ყველა გლეხი, ქვეითი თუ ცხენოსანი. დატაცებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, მოზარდსაც-კი; დატაცებაში არ დაიშვებიან მხოლოდ ქალები. ქვეითნი, ამ დღემდე დიდი ხნით ადრე, ვარჯიშობენ რბენაში, ხოლო ცხენოსნები ცდილობენ შეარჩიონ კარგი მარბენალი ცხენები. მთელი მოსახლეობა ეწყობა პირველი, უფრო ახლომდებარე საქცევის შორიახლოს,

[18] კოპალაძე, „მიწათმფლობელობა ქიზიყში“ („კვალი“, 1899 წ., № 10, გვ. 161).

[19] „ივერია“, 1882 წ., № 2, გვ. 79.

საქცევის სიგრძის[20] მიმართულებით; ამასთანავე ქვეითნი დგებიან მისგან ნახევარი ვერსის, ხოლო ცხენოსნები — 1 ვერსის სიშორეზე. მამასახლისის მიერ მიცემული ნიშნის მიხედვით ყველანი, ერთბაშად, დაიძვრიან სარბენად. საქცევს იტაცებს (იჩემებს) ვინც პირველი მიირბენს და დაიჭერს მას; ვინც პირველ საქცევზე ვერ მიასწრებს მირბის შემდგომის დასაკავებლად და ა. შ. დატაცების ამ წესის დროს მიწას ორი ან სამი წლით იკავებენ[21].

ზოგან კიდევ მიწა იმას რჩება ვინც დაასწრებს და ადრე მოხნავს. დატაცებითი მიწათსარგებლობის ამ ფორმას აგვიწერს ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე: „აქ ვინც პირველად და ყველაზე ეწინ გუთანს მოჰკიდებს და მოჰხნავს, მოხნული მიწა იმ წელიწადს მისია, მეორე წელიწადს სხვა ჰხნავს და ხმარობს. ყოველს მკვიდრს სოფლისას ნება აქვს, საცა კი სხვას დაასწრობს, იქ მოხნას და რამდენიც უნდა, იმდენი მოხნას. ხშირად როცა ამგვარი სათემო მიწები მოუხვნელად ჰრჩება და წელიწადი ხელს აძლევს, ამ მიწებს სასოფლოდ დააყორუღებენ ხოლმე სათიბად; მთელი სოფელი ინახავს ყარაულს და როცა სათიბად მოესწრობა, მაშინ ან სასოფლოდ სთიბავენ და მერე თივას იყოფენ, ან მინამ გასათიბია, გასათიბს ადგილს წილწილად გაიყოფენ ერთმანეთში“[22]. სამწუხაროდ, ილია არ აღნიშნავს, თუ სახელდობრ რომელ თემს ან კუთხეს გულისხმობს. ყოველ შემთხვევაში სამიოდე წლის შემდეგ, თბილისის მაზრის სოფ. პატარძეულში მიწათსარგებლობის ანალოგიურ ფორმას აგვიწერს ნ. ვ ე ლ ი ს ც ი ხ ე ლ ი:

„პატარძეულელებს მინდორი საზოგადო აქვთ და ვისაც როგორ უნდა, ისე ხმარობს და ისე ამოქმედებს და ამის მოწინააღმდეგედ მას არავინ მიაჩნია. ამგვარს მოქმედებაში ყოველი სული თავის საკუთარი სურვილისამებრ აწარმოებს საქმეს: ჰსთესს, ჰხნავს, სთიბავს, ჰხერხს, საქონელს აძო-

[20] ჩვეულებრივ საქცევი მიწის გრძელ ზოლს წარმოადგენდა.

[21] МИЭБГКЗК, IV, II. 213; И. С е г а л ь, „Крестьянское землевладение в Закавказье", 1912 г. Тифлис, стр. 35 — 36.

[22] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, VIII, 208 — 209.

ვებს და სხვ. მაგრამ საქმე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარს მიწის მფლობელობაში ბევრი იჩაგრება, ვერ სარგებლობს, სხვებსავით ვერ მოუხმარებია საზოგადო მიწა, და გადასახადებში კი ისევე ეწევა უღელს, როგორც ყველა თავისი თანამოძმე. მიზეზიც ეს არის, რომ მოსახლეთა შორის ყოველთვის უთანხმოება არის ჩამოვარდნილი და ერთი მეორის მტერიაო“ [23], დასძენს იგი.

თელავის მაზრის ზოგიერთ თემთა მაგალითზე ა. ა რ ღ უ თ ი ნ ს კ ი ს ა ც აქვს აღნიშნული, რომ აქ „ვინც ყველაზე ადრე მოასწრებს და მოჰხნავს სათემო მიწას, — იმ წელიწადში იმისია. მეორე წელიწადს შეიძლება იგივე მიწა სხვამ მოხნას და დაიჩემოსო“ [24]. ამ შემთხვევაში იქნებ ლაპარაკია არა საერთოდ თემის მიერ მიწების დატაცებით სარგებლობაზე, არამედ დატაცებაზე იმ მიწებისა, რომელიც წესისამებრ ჩატარებული გადანაწილების შემდეგ კიდევ დარჩა თემის მიწების თავისუფალი ფონდის სახით. ამას გვაფიქრებინებს იმავე ავტორის სიტყვებიც: „წინანდელ დროს სათემო მიწები (ე. ი. მეკომურთა შორის გადანაწილების შემდეგ თავისუფლად დარჩენილი ფონდი — პ. გ.) უფრო ბლომად იყო, მაგრამ თანდათან იგი შემცირდა, რადგან მცირემიწიან გლეხს სათემოდან მიუზომავენ ხოლმეო“ [25].

უნდა ითქვას, — ამას ამოწმებს მთელი ჩვენს ხელთ არსებული მასალა, — რომ რაც უფრო შორს მიდიოდა სოფლად გლეხობის სოციალური დიფერენციაცია და აშკარავდებოდა მცირემიწიანობა, მით უფრო მწვავდებოდა, როგორც საერთოდ თემური მიწათმფლობელობის საფუძველზე მიწათსარგებლობის, ისე კერძოდ მიწათსარგებლობის დატაცებითი ფორმის დროს წარმოქმნილი თემის წევრთა ურთიერთდაპირისპირებულება. [26].

---

23 გაზ. „მეურნე“, 1889 წ. № 24, გვ. 4 — 5.

24 იქვე, № 27, გვ. 1 — 2.

25 იქვე.

26 МИЭБГКЗК, IV, II. 212.

ჯერ კიდევ 1882 წელს „ივერიის“ კორესპონდენტი აღნიშნავდა, რომ თემური მიწათსარგებლობის ამგვარ პირობებში „მდიდრები, ხშირად სჩაგრამენ ღარიბებს, არ დასდევენ მათს დაჩემებას და თუ მამული მოეწონათ, ადრე გაიტანენ გუთანს და თავიანთვისა ხნავენ. ამ მიზეზით, ამგვარს მიწის მფლობელობას დიდი თავში-ცემა და შფოთი მოსდევსო“ [27]. ათიოდე წლის შემდეგ ერთი მიმომხილველი კიდევ წერდა: „საერთო მამულიდან მხოლოდ ისა სარგებლობს, ვინც მამულშივე ტრიალებს და მუშტზედ უჭირავს თვალი. ვინც ცოტაოდნად ხათრიანია და მამულს დაშორებულია, იმას სრულებით არა ერგება რა, ნამეტნავად თუ ქვრივობოლიც არის. ვინც სარგებლობს ისიც-კი ნამდვილი შემოსავლის მაგიერად მეათედს სჯერდება, რადგანაც აშურებს, რაც შეიძლება მალე მოჰკრიფოს საერთო მამულში ის, რაც მას არ ეკუთვნის და ამით ყოველივე უწესოება, ყოველგვარი გახრწნილება ფეხს იდგამსო“ [28].

ნატურალური მეურნეობის შესაბამისი თემური მიწათმფლობელობის ურთიერთდამოკიდებულებაში მცხოვრებ სოფლებში, ვაჭრული და საერთოდ გამდიდრების სულის შეჭრისა და დაბუდების მეოხებით, თუ სანამდის მივიდა უკვე მე-19 საუკუნის მიწურულისათვის ზემოხსენებული შფოთი, აგვიწერს „კვალის“ კორესპონდენტი: „რადგან მომცემი ადგილები თანდათან მცირდება და აქ (ქიზიყში) კი მოსწრებაზე არის საქმე, ვინც მალე მიასწრებს, ის უკეთეს დ: სარგოს მომცემ ალაგს დაიკავებს, ამიტომ ამ უკანასკნელ დროში გახშირდა სოფელთა შორის დავიდარაბა და ბაჩივარი. ხშირად ერთი მოხნავს, მეორე გლეხი მივა და სხვის მოხნულს თვითონ დასთესავს, მესამე-კი მიასწრებს და მომკის და იქნება წაღებით-კი მეოთხემ წაიღოს. თუ გლეხი შეძლებულია და ღონიერი ქონებით, ის, რასაკვირველია, ძალმომრეობას ხმარობს, ყველგან თავისას გაიყვანს... ხში-

[27] „ივერია“, 1882 წ. № 2, გვ. 80.

[28] „კვალი“, 1893 წ. № 10, გვ. 1 — 2; იხ. აგრეთვე ТКОСХ, 1889 г. № 9 — 10, стр. 578.

რად ასეთივე გარემოება თავს იჩენდა ხოლმე რამდენიმე სოფელთა შორის. ერთი სოფლის საზოგადოება მოსნავდა, მეორე დასთესდა, მხოლოდ მომკით ან პირველი დაასწრებდა და ან ისევ მეორე მომკიდა, წაღებით-კი პირველი წაიღებდა. ატყდებოდა ერთი დავიდარაბა და ხშირად სისხლისღვრით და კაცის მსხვერპლით თავდებოდა“ [29].

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სიღნაღის მაზრის ზოგიერთ თემში, მაგალითად, ვაქირს, ანაგას, კაკაბეთს, ყანდაურასა და სხვ. მიწის დატაცებაში მონაწილეობდნენ თემის არა ყველა წევრი, არამედ უმთავრესად მხოლოდ გუთნის პატრონები [30]. ქართული გუთანი, როგორც ვიცით, შედგებოდა 6-10 უღელი შესაბმელისა და სხვ. მკვდარი ინვენტარისაგან, რომ არა ვთქვათ რა შესახებ 4-5 მუშისა (მეხრეებისა და გუთნისდედისა), რაც აუცილებელია გუთნის წარმოებაში გამოყენებისათვის. გუთნის პატრონის, ჩვეულებრივად გუთნის-დედის, მიერ მიტაცებული მიწის ფართობი ნაწილდებოდა არა გუთნეულში მონაწილე კომლთა (ან ოჯახის შემადგენელ სულთა) მიხედვით, არამედ თვით გუთნეულში ცოცხალი და მკვდარი ინვენტარისა და სამუშაო ძალის სახით მიღებული მონაწილეობის კვალობაზე [31].

ყოველივე ამის გამო უკვე 1880-იანი წლებიდან, როგორც ჩანს, გახშირდა შემთხვევები, როდესაც ასეთი სოფლები ადმინისტრაციას მიმართავდნენ თხოვნით, რათა მათშიაც შემოიღონ სათემო მიწის წესიერი, პერიოდული, გადანაწილება-გამიჯვნა. მაგალითად, 1889 წ. სოფ. პატარძეულმა თხოვნით მიმართა მაზრის უფროსს: „...აწ ჩვენი სოფელი, პატარძეული ძრიელ გაჭირვებულს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: პატარძეულის სახნავ-სათიბი მინდვრები გასაყოფია ჯერ ისევ. ამ გარემოებას ძლიერ ცუდი შედეგი მოჰყვა. ზოგი ბევრს სთიბავს, ზოგი ცოტასა

[29] „კვალი“, 1899 წ., № 10, გვ. 161.

[30] МИЭБГКЗК, IV, II, 212.

[31] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „გუთნეულის ეკონომიური ორგანიზაცია“ (სმამ, 1944. V, № 3).

ხნავს; ერთი-ერთმანეთს აღარ აცდიან. ამაში ღარიბი ხალხი იჩაგრება, მდიდარი... არავის ეპუება; ამაში აყალ-მაყალი, ჩხუბი და დავიდარაბაა სოფელში. მამულებს ზოგან ქურდულად ექცევიან, ქურდულად ჰხნავენ და სთიბავენ გაუყოფავ საერთო მამულსო“ [32].

უკვე რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ 1895 წელ, აგრონომი ა. ფირალიშვილი წერდა: „სიღნაღის მაზრის ყველა სახაზინო სოფელში, სადაც სათემო მიწის დატაცების წესით სარგებლობა ბატონობს და სადაც, მაშასადამე, პრაქტიკაში არაა გადანაწილება, ხოლო ასეთი სოფლები უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ, ეს გარემოება, ე. ი. პერიოდული გადანაწილების არარსებობა, ხელს უშლის ყამიროვანი სისტემის საანეულო-მარცვლოვან სისტემაში გადასვლას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელს უშლის მიწათმოქმედების (მარცვლეულის მეურნეობის) ტექნიკურ პროგრესსო“ [33].

ამგვარად, სათემო მიწების დატაცებითი სარგებლობის წესს [34] მტერი გაუჩნდა, როგორც ადმინისტრაციის, ისევე ტექნიკური პროგრესის ინტერესის სახით.

---

[32] გაზ. „მეურნე“, 1889 წ. № 24, გვ. 4—5.

[33] А. Пиралов, „По Сигнахскому уезду“ (КСХ, 1895 г., № 68, стр. 1020—1021).

[34] სსსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სესიაზე (20. 12. 44 წ.) ამ თემაზე კამათში გამოსულმა აკადემიკოსმა ა. ჩიქობავამ მოიყვანა საინტერესო გადმოცემა დატაცებითი მიწათსარგებლობის სამეგრელოში (ალბათ მე-19 ს. მეორე ნახევრამდე) არსებობის შესახებ. ქვემოთ მოგვყავს, შემდეგში ამხანაგ ა. ჩიქობავას მიერ თავაზიანად წერილობით მოწოდებული ცნობა ამ გადმოცემისა: „ეკის მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს სოფ. საჩიქობაო (ძველი სენაკის თემი, სენაკის მაზრა); ჩრდილოეთით იმავე მთის ძირას — ს. ეკი, კერძოდ მისი უბანი, საადამიო. ეკის მთა ამ ადგილას საკმაოდ მაღალია; ზეგანი მოვაკოა... ბავშვობისას გამიგონია გადმოცემა, როგორ მოხდა, რომ მთის ზეგანი მთლიანად ერთი სოფლის გამგებლობაში აღმოჩნდა.

ადამიები და ჩიქობავები შეთანხმებულან: დილით ადრე წამოვიდეთ ერთმანეთის შესახვედრად და სადაც შევიყრებით, მიჯნაც იქ იყოსო. ჩიქობავები სისხამ დილაზე დაძრულან, მთა გადაუვლიათ, მაგრამ ადამიებს არსად შეყრიან. გზა განუგრძვიათ და ზედ მისდგომიან ერთ-ერთ ადამიას

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ მაგალითისათვის, რომ ქიზიყის სოფელში სათემო მიწების გამიჯვნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით პირველად დაიწყო 1898 წელს და როგორც სოფლის ცხოვრების დამკვირვებელნი აღნიშნავდნენ, ამ „გამოყორღვნამ სოფლებისა“ ბოლო მოუღო დავიდარაბასა და შფოთს“ [35].

ი. ს ე გ ა ლ ი, რომელიც 1880-იან წლებში პირადად დაკვირვებია კარიაგისა და ჯევანშირის მაზრებში მიწების დატაცებას, ოცდაათიოდე წლის შემდეგ, 1912 წელს, აღნიშნავდა: „მიწათსარგებლობის დატაცებითი წესი, უნდა ვიფიქროთ, არსებობდა ამიერკავკასიის სხვა კუთხეებშიაც. ცნობილია, რომ მომთაბარეს, რომელიც სხვებზე ადრე ეშვება იალაღებიდან, შეუძლია დასახლდეს მომთაბარეთა მფლობელობაში მყოფი მთელი მიწის ფართობის სასურველ ადგილას, ხოლო ის, ვისაც ეს ადგილი წინათ ეჭირა, სხვა ადგილს ირჩევს. თავისთავად ცხადია, რომ სხვისი მიწის თვითნებური მიტაცება არა ყოველთვის ჩაივლის კეთილად მიმტაცებლისათვის. ახლა ასეთი მიტაცებათა შემთხვევები სულ უფრო იშვიათდება,

---

სახლკარს. მასპინძელს ერთი კი დაუძახია: „დამღუპა, დედაკაცო, შენმა ფაფამაო!“ და განზე გადაუსვრია ჯამი ფაფით (თურმე დიასახლისს ფაფა მოედუღებინა სასაუზმოდ, ჯამში ფაფა არ გაცივებულიყო და ამასობაში ჩიქობავებიც კარს მისდგომოდნენ). მთაც დაიკარგა ამრიგად და ფერდობიცა.

ადამიებს უთხოვიათ: ერთ-ერთ თქვენთაგანს ზურგზე შევისვამთ და სანამ ტარებას შეეძლებთ, მიჯნა იქ იყოსო. ერთი ზოსიზოხა ჩიქობავა წამოუკიდებია ერთ-ერთ ადამიას და ერთხანს უთრევია აღმართზე. მერე, ჯანი რომ გასწყდომია, მოუცილებია უსიამოვნო ტვირთი. საადამიოს გამოსცილებიან, მაგრამ მთამდის მაინც ვერ აუღწევიათ. ახლა დამატებითი პირობა წამოუყენებიათ: „წალდს გავისვრით და სანამდის მიაწევს, ჩვენი იყოსო!“ მოპირდაპირენი ამაზედაც დასთანხმებიან და მიჯნასაც კიდევ გადმოუნაცვლებია მთის ფერდობზე, მაგრამ ზეგანამდის მაინც გვარიანი მანძილი დარჩენილა“. ს. საჩიქობაოში მე-20 ს. დასაწყისს 50 კომლი ითვლებოდა. გარდა სამი კომლისა, ყველა ჩიქობავა იყო. სოფელი მე-19 ს. პირველ ნახევარში საეკლესიო იყო.

[35] „კვალი“, 1899 წ. № 10, გვ. 161.

თუკი უკვე სავსებით არ გამქრალა"[36]. ამგვარად, 1900-იანი წლების გასულს, არამცთუ მიწათმოქმედ, არამედ მომთაბარე თემებშიაც უკვე თითქმის სავსებით მოსპობილი იყო თემის მიწების დატაცებითი წესით სარგებლობა.

7. მიწათმფლობელობის ფორმათა მრავალგვაროვნება ქუთაისის გუბერნიაში

1883 წ. ივ. მაჩაბელი აღნიშნავდა: „ჩვენი ქვეყანა რომ კიდით-კიდემდე დაიაროთ, თითქმის ყოველ ნაბიჯზედ მიწის სხვადასხვაგვარი მფლობელობის წესს შეხვდებით. ერთს ალაგას გლეხკაცებს მიზომილი აქვთ „ნადელი", რომელიც კანონისამებრ უნდა შეისყიდონ მებატონისაგან; მეორე ალაგას ნადელი არა რგებიათ და ხიზნების კვალობაზედ ცხოვრობენ, იმ ხიზნების კვალობაზედ, რომელთა დამოკიდებულება მებატონეებთან ჯერეთ კიდევ სრულიად გაურკვეველია; მესამე ალაგას გლეხკაცობა თემითა ჰფლობს მამულს და მებატონე არ იცის რა არის; სხვაგან კიდევ იჯარითა აქვთ მამული აღებული და ხიზნებსავით კი სარგებლობენო"[1]. მაგრამ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმათა მრავალგვაროვნებით არამცთუ ამიერკავკასიაში, არამედ საერთოდაც დიდად განირჩეოდა ქუთაისის გუბერნია—დას. საქართველო.

1880-იან წლებში ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ცხოვრების აღმწერნი — ი. ბახტაძე (შორაპნის მაზრა), თ. მარკოვი (ქუთაისის მაზრ. ჩ.-ა. ნაწილი), ი. იოსელიანი (ქუთაისის მაზრის ს.-დ. ნაწილი), დ. ნოსოვიჩი (ზუგდიდისა, სენაკისა, ოზურგეთისა და ლეჩხუმის მაზრები) და ს. ეგიაზაროვი — განცვიფრებული არიან მიწათმფლობელობის „მეტისმეტი მრავალგვაროვ-

[36] И. Сегаль, „Крестьянское землевладение...", 36—37.
[1] „დროება", 1883 წ. № 254, მოწინავე.

ბით", რაც მათი აზრით, უნდა ყოფილიყო შედეგი როგორც ამ „ქვეყნის ფიზიკური და ტოპოგრაფიული პირობების, აგრეთვე მოსახლეობის კულტურული განვითარების ხარისხისა". დამკვირვებელნი აქ ნახულობენ „მრავალგვარ უცხო სახეებს მიწის იჯარისა", „წმინდა-ნაკვეთობრივ კერძომფლობელობას", „თემური მიწათმფლობელობის უკანასკნელ ნაშთებს" და „პირველყოფილი კულტურის დამახასიათებელ ოჯახურ-გვაროვნული ტიპის მიწათმფლობელობას"[2].

მართლაც, დასავლეთ საქართველომ მეტნაკლები ზომით თვით მეოცე საუკუნემდე შემოინახა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის თითქმის ყველა ფორმა, რაც აქ შეუქმნია თავისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ადამიანთა საზოგადოებას. ქუთაისის გუბერნია იყო ამიერკავკასიაში ყველაზე კოლორიტული კუთხე, რომელმაც შემოინახა უძველესი დროიდანვე სხვადასხვა ხალხთა და კულტურათა გავლენით შექმნილი და განცდილი მრავალგვარი, ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებული, ფორმები მიწათმფლობელობისა.

ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხთა შორის საერთოდ გაბატონებული იყო მიწის კომლობრივი (подворное), ანუ ნაკვეთობრივი (участковое), ე. ი. ინდივიდუალური „მფლობელობა" (სარგებლობა),— როგორც ამას ერთხმად აღნიშნავენ ამ გუბერნიის ცალკე მაზრების სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური აღწერანი[3]. ამასთანავე ისინი ამტკიცებენ, რომ მიწათმფლობელობის ეს ფორმა აქ ძველი დროიდანვეა განმტკიცებული და ინტენსიური მიწათმოქმედების ადრიდგანვე განვითარებასთან ერთად (ი. ბახტაძე)[4] უნდა იყოს შედეგი აგრეთვე ქვეყნის ფიზიკურ-ტოპოგრაფიული პირობებისა, რაც ხელს უწყობდა „დასახლების

---

[2] СМЭБГК, I, I, 159.

[3] МИЭБГКЗК, I, 167, 220, 738; II, II, 274.

[4] იქვე, II, I. 17.

მხოლოდ კომლობრივ სისტემას და მაშასადამე, „კომლობრივი მიწათმფლობელობის“ განვითარებას[5].

ამასთანავე, წინააღმდეგ თითქმის საყოველთაოდ მიღებული შეხედულებისა, რომ კომლობრივი მიწათმფლობელობა შეუთავსებელია მიწათდაქსაქსულობასთან (черезполосица), ქუთაისის გუბერნიაში, პირიქით, კომლობრივი მიწათმფლობელობის პირობებში გაბატონებული იყო მიწათდაქსაქსულობა, რაც განსაკუთრებით იყო გავრცელებული ოზურგეთს, შორაპნის, რაჭის, სენაკისა და სხვ. მაზრებში[6]. ამგვარი, მეტ-ის-მეტი მიწათდაქსაქსულობის მიზეზად თვლიდნენ სახნავი მიწების გლეხთა ხელში სხვადასხვა დროს, წვრილ-წვრილ ნაკრებად გადასვლას, რასაც, ცხადია, მიწათმოქმედების არსებულ ტექნიკურ პირობებში, ხელს შეუწყობდა მოსახლეობის სიმჭიდროვე და, მაშასადამე, ვარგისი მიწების ნაკლებობა, როდესაც მიწა წვრილ მწარმოებელთა ყიდვა-გაყიდის ობიექტს წარმოადგენდა. შესაძლებელია მიწადდაქსაქსულობის განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ იშვიათად იყო მთლიანად სახაზინო სოფლები; ხოლო კერძოდ სამეგრელოსა და გურიაში, სადაც თითქმის ყველაზე უფრო იყო მიწადდაქსაქსულობა გაბატონებული, არ იყო არც ერთი მთლიანად სახელმწიფო სოფელი, თემი. აქ სახელმწიფო გლეხები კერძო მესაკუთრე ან „დროებით-ვალდებულ“, ხოლო რეფორმამდე კიდევ საბატონო გლეხთა სოფლებში იყვნენ შიგადაშიგ ჩასახლებული.

ამგვარად, ქუთაისის გუბერნიაში სახნავ-სათესი მიწა, გარდა გამონაკლისისა, მე-19 საუკუნეში უკვე არსად არ წარმოადგენდა თემის საკუთრებას, — ის ყველგან ოჯახთა, კომლთა მუდმივს, მემკვიდრეობითს მფლობელობაში (სარგებლობაში) იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ რაჭა, სადაც 1880-იან წლებში კიდევ შერჩენილი იყო სახნავი მიწის თემური მფლობელობის ფორმა. რაჭის მაზრის სახელმწიფო

---

[5] СМЭБГК, I, I, 162—163.

[6] МИЭБГКЗК, I, 167, 219, 738; II, II, 24, 274.

გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერი ი. ბახტაძე წერდა: „აქ გლეხთა მიწები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად, ამასთანავე პირველ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს საკარმიდამო და სახნავი მიწები, აგრეთვე ვენახები, რომლებიც გლეხთა კომლობრივ მფლობელობაშია, ხოლო მეორეს — დანარჩენი სახნავი მიწები: სათიბი, საბალახო, ტყე, რითაც გლეხები თემობრივად სარგებლობენ“[7]. ამასთანავე ჩვენი ავტორი აღნიშნავდა, რომ რაჭაში სახნავი მიწები თავის მხრივ იყოფოდა კიდევ ორ ჯგუფად: 1. შინაყანა და 2. გარეყანა. პირველი, უფრო მოსავლიანი, სოფელს გარშემოყოლებული და ცალკე ოჯახთა მიერ სამუდამოდ დაჩემებული სახნავი მიწა იყო, ხოლო გარეყანა უფრო დაშორებული და ნაკლებმოსავლიანი მიწა, რომელიც სოფლის მეკომურთა კოლექტიურ საკუთრებაში იყო და ისევე როგორც საბალახო, სათიბი და ტყე შეადგენდა თემურ მფლობელობას, მეკომურთა ამხანაგობის ანდა ოჯახურ-გვაროვნული ჯგუფის კოლექტიურ საკუთრებას[8].

შინაყანა თავისი ფართობის სიდიდის მიხედვით არ აღემატებოდა მთელი სახნავ-სათესი მიწის 35-50 პროცენტს, მაშასადამე, გარეყანა, ე. ი. სახნავის ის ნაწილი, რომელიც სოფლის საერთო მფლობელობაში იყო, შეადგენდა საერთოდ სახნავის 50-65 პროცენტს. გარეყანაში არც თუ მთლიანად იყო დაცული საერთო მფლობელობის პრინციპი. აქ ზოგ მეკომურს მეტი წილი (ფართობი) ეკუთვნოდა, ზოგს ნაკლები. გარეყანის დამუშავება წარმოებდა „გაერთიანებულად რამოდენიმე ნათესავ ანდა სავსებით უცხო პიროვნებათა მიერ, რომლებიც ურთიერთშორის თანხმდებიან, რათა საერთო ძალებით მოხნან, დასთესონ და აიღონ პური და შემდეგ მოსავალი გაიყონ პროპორციულად — დახარჯული სამუშაო ძალისა და თვითეულის კუთვნილი მიწის ფართობისა“[9]. მიწათ-

[7] МИЭБГКЗК, II, I, 24 — 25.
[8] იქვე, II, I, 17 — 25; СМЭБГК, I, I, 160, 164.
[9] იქვე, II, I, 25.

მფლობელობის ასეთი ფორმა -იმავე 1880-იან წლებში დ. ნოსოვიჩის მიერ აღწერილია ოზურგეთის მაზრაშიაც, სადაც ამგვარ სახნავ მიწას ფლობდნენ და ამუშავებდნენ როგორც ერთი გვარის, ისე სხვადასხვა გვარის მეკომურეები[10]. ხოლო სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში მიწის კოლექტიური მფლობელობის ყველა შემთხვევაში, რაჭულისაგან განსხვავებით, „თანამონაწილენი ყოველთვის ერთსადაიმავე გვარს ეკუთვნიანო" — ირწმუნებოდა იგივე დ. ნოსოვიჩი[11]. აქვე უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა კომლთაგან მიწის საერთო მფლობელობის ეს ფორმა გურიასა და სამეგრელოში მხოლოდ „არაიშვიათ" შემთხვევას წარმოადგენდა, მაშინ როდესაც რაჭაში მთელი გარეყანა ანუ სახნავის ნახევარზე მეტი ამგვარს მფლობელობაში იყო.

მიწის საერთო მფლობელობის აღნიშნულ შემთხვევებში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ორი ფორმა. პირველი, როდესაც მიწას საერთოდ ფლობენ სხვადასხვა გვარის მეკომურები, რომელთაც ეს მიწა შეეძლოთ შეეძინათ (შეესყიდათ) ამხანაგურ საფუძველზე, ანდა ამგვარსავე კავშირში მყოფთ ერთად მიტაცების, კოლექტიური შრომით ტყისა და ქვისაგან გაწმენდის თუ სხვა გზით დაეჩემებიათ მიწის მოცემული ნაკვეთი. მეორე, როდესაც საერთო მიწისმფლობელი მეკომურები თანამეგვარენი არიან.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მე-20 საუკუნემდეც მოაღწია საგვარეულო მიწათმფლობელობის გადმონაშთებმა. თანამეგვარეები იყენენ მიწის, უფრო ხშირად ტყის, საბალახოს თანამფლობელნიც. თავადაზნაურობაში არ იყო იშვიათი მამულის საერთო, საგვარეულო მფლობელობა. საერთო მამულს გვარის უხუცესი განაგებდა. ძმებს, ბიძაშვილებს და უფრო შორეულ თანამეგვარეთაც, რომლებიც სავსებით დამოუკიდებელ ოჯახებად,

---

[10] МИЭБГКЗК, I, 738.

[11] იქვე, II, II, 274.

კომლებად, ცხოვრობდნენ, გაუყოფელი მამულები ჰქონდათ. კერძოდ, მთელ იმერეთში (მე-19 საუკუნემდე) ადათობრივი სამართლით უძრავი ქონების მემკვიდრეობით მიღების უფლება ქალს არ ჰქონდა. აქ, როგორც ი. თ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი წერდა, „ოჯახი ათხოვებდა ქალიშვილს, აძლევდა მას მზითვად ყველაფერს, გარდა მიწისა. მიწა საგვარეულო საკუთრებად ითვლებოდა და არ უნდა გასულიყო გვარისმიერი სარგებლობიდგან. ამასთანავე ერთად საგვარეულო ცხოვრების ორგანიზაცია იწვევდა მემკვიდრეობის გადაცემას გვარში უფროსობის მიხედვით. გასაგებია, ასეთ პირობებში საადგილმამულო საკუთრებას არ შეეძლო დაქუცმაცება და ერთი ხელიდან მეორეში ადვილად გადასვლა“[12].

თვით 1880-იან წლებში და მერმეც არც ისე იშვიათი იყო სოფლები, სადაც გლეხთა ერთი გვარი დიდ უმრავლესობას შეადგენდა, ანდა მხოლოდ ერთი გვარი სახლობდა. ხშირად კიდევ ასეთს სოფელს გვარის სახელიც ჰქონდა მიკუთვნებული და გვარს მთლიანად ანდა თანამეგვარეთა მცირე ჯგუფს (10 — 20 კომლს) საერთო სახნავი, საბალახო, ტყე ჰქონდა. მართალია მე-19 საუკუნიდან კაპიტალიზმის „ქარტეხილმა“ ძლიერ დააჩქარა საერთო მიწათმფლობელობის გადმონაშთების ლიკვიდაციის პროცესი, მაგრამ ზოგან „კოლექტიური მიწათმფლობელობა“ იძულებითი პირობებით დატოვებული ფორმის სახით კიდევ ბოგინობდა. მაგალითად, შორაპნის მაზრის სოფ. ალისუბნელ გოჩაშვილთა 16 კომლს საერთო საკუთრებაში ჰქონდა შერჩენილი 4,5 დესეტინა ტყე, ანდა იმავე სოფელში ბუცხრიკიძეთა 12 კომლს — 4 დესეტინამდე საბალახო. დიდი სურვილის შემთხვევაშიაც როგორ უნდა დაენაწილებია 12 კომლს 3¾ დესეტინა მიწა და ისიც საბალახო? როდესაც ესოდენ მცირე ნაკვეთი სახნავი კოლექტიურ საკუთრებას შეადგენდა და, ამგვარად, მიწის შემდგომი დანაწილება უკვე შეუძლებელი იყო, მაშინ, მაგალითად, რაჭის

---

[12] МИЭБГКЗК, VII, 219; იხ. აგრეთვე, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. „ქართ. სამართ. ისტორია“, I, 152, 156; С. Багатуров. „Личныя и поземельныя права в древней Грузии“, 1886, Тифлис.

მაზრაში ასეთ მიწას ერთად ამუშავებდნენ და შემდეგ ინაწილებდნენ მოსავალს; ხოლო სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში-კი ასეთი მიწით რიგრიგობით — ერთ წელს ერთი, მეორე წელს მეორე კომლი—მონაწილე და ა. შ.—სარგებლობდნენ[13]. ამ ხერხით თავს აღწევდნენ მიწის შემდგომს დაქუცმაცებას, რაც ქუთაისის გუბერნიაში ისედაც უკიდურესობამდე იყო განვითარებული.

მაგრამ ქუთაისის გუბერნიის რიგ მაზრებში — ზუგდიდის, სენაკის, ლეჩხუმის, ქუთაისის — არა მხოლოდ სახნავი, არამედ ტყე, საბალახო და სათიბიც უკვე კერძო პირთა საკუთრებას წარმოადგენდა, რასაკვირველია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს[14], როდესაც ტყის ან საბალახოს შედარებით მცირე ფართობები ითვლებოდა სოფლის საერთო საკუთრებად. მეორეს მხრივ, ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ, კერძოდ ოზურგეთის, შორაპნის, რაჭის მაზრაში თემურ მფლობელობაში ჰქონდათ საბალახო, სათიბი, ხშირად ტყეებიც. სახელდობრ, რაჭის მაზრის შესახებ ი. ბახტაძე წერდა, რომ აქ „ტყით სარგებლობის გაბატონებული ფორმა წმინდა თემობრივია, თუმცა ამ თემური ფორმის დაშლა უკვე დაწყებულია... ზოგიერთი გლეხი, კერძომფლობელთა მაგალითისამებრ, ცდილობს გამოჰყოს ტყე, რომელიც მას ერგო საწესდებო სიგელითა და საშვებით. მაგრამ გლეხთა უმრავლესობა გულწრფელად დარწმუნებულია, რომ ტყე საერთო დოვლათია, რომ ტყით ყველას შეუძლია ისარგებლოს და რომ ტყის გაყოფა თემის საწინააღმდეგო მოქმედებაა“. აქვე გლეხები „ტყეებს იმიტომაც იძენენ ერთად, თემობრივად, რომ იგი (ტყე) იმავე დროს საბალახოც არის“[15].

სოხუმის ოკრუგში (აფხაზეთში) საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში თავმოყრილ მასალათა მიხედვით, წოდებრივ-საადგილმამულო კომისიაში მონაწილე მოხელეთა უმრავ-

---

[13] СМЭБГК, I, I, 166 — 170.

[14] МИЭБГКЗК, I, 167 — 168. 220 — 221.

[15] იქვე, I, II, 25 — 26, 31.

ლესობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აფხაზეთში არ არსებობდა მემამულური მიწათმფლობელობა (поместное право), რომ აქ ყველა მცხოვრებს „საკუთრების უფლება აქვს მხოლოდ მის მიერ დამუშავებულ მიწაზე, რისი მემკვიდრეობით გადაცემა და გაყიდვაც შეიძლებოდა და რომ ყველა დანარჩენი მიწა საზოგადოების (სახელმწიფოს) მფლობელობაში ითვლებოდა. ამ თავისუფალი მიწით სარგებლობა, თანახმად ჩვეულებისა, შეეძლო ყველას, საჭიროებისამებრ“ [16].

ამგვარად, აფხაზეთში კერძო საკუთრების ობიექტს შეადგენდა საკარმიდამო, სახნავი, ბაღ-ვენახი, საერთოდ კულტივირებული მიწა, რაც შეიძლება ნაყიდი, ანდერძით მიღებული, ანდა, უწინარეს ყოვლისა, ტყის გაკაფვით და საერთოდ უყი მიწის დამუშავების გზით ყოფილიყო მიჩემებული.

ტყის თავისუფალი გაკაფვისა და დამუშავების გზით მიწის კერძო საკუთრებაში გადასვლა აქ ყოველდღიური მოვლენა იყო 1870-იან წლებშიაც. ამასთანავე მოსახლეობა საბალახოებითა და ტყით თავისუფლად და უსაფასუროდ სარგებლობდა თავისი თემის ფარგლებში.

რამდენადაც თავისუფალი დაუკავებელი მიწების, მაგალითად, ტყეების საჭიროებისამებრ თვითნებური გაკაფვა-გაწმენდა და დამუშავება (მოხვნა), საბალახოების (ცხადია, მთის საბალახოებისაც) ასევე შეუზღუდველი სარგებლობა საყოველთაოდ მიღებული და ადათობრივი სამართლით განმტკიცებული მოვლენა იყო [17], ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ რეფორმამდელ აფხაზეთში ე. წ. დატაცებითი თემური მიწათსარგებლობის თავისებური ფორმის არსებობაზედაც.

მართალია, აფხაზეთის გლეხობა პრივილეგიური წოდების გვარებს სხვადასხვა ბეგარებს უხდიდა, მაგრამ ეს იყო შედეგი მხოლოდ პირადი და არა საადგილმამულო დამოკიდებულებისა. ერთი სიტყვით, ეს იყო თავისებური ვასალიტეტი ლენურ

---

[16] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...“, II, 568.
[17] იქვე, გვ. 579 — 585.

ურთიერთობათა გარეშე. თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სამურზაყანოშიაც.

ამ გარემოებამ, მემამულური მიწათმფლობელობის განუვითარებლობამ, რაც თურქთა აგრესიის დროიდან ქვეყნის, როგორც მოსახლეობის შედგენილობაში, აგრეთვე მთელ სახალხომეურნეობრივ წყობაში უღრმესი ძვრების, და სახელდობრ პატრიარქალურ ურთიერთობათა გადმონერგვის შედეგად შექმნილ მდგომარეობას გამოხატავდა, საგონებელში ჩააგდო ცარიზმის ბიუროკრატია: თუ ვისთვის მიეკუთვნებიათ „დანარჩენი მიწები, რომლებიც თავისუფლად დარჩებოდა თემების რაიონებში“ [18], რამდენადაც ახლადგამოცხობილ ადგილობრივ მემამულეთა პრეტენზიები ამ მიწებზე „ნდობის ღირსი საბუთებით“ არ დასტურდებოდა. საბოლოოდ, ცხადია, უნდა გაემარჯვა იდეას, რომ ეს მიწები გადაეცათ „მთავრობის განკარგულებაში“, რომელიც მას პრივილეგიურ წოდებათა და კოლონიზაციის ინტერესებისათვის გამოიყენებდა.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ თითქმის ყველგან ქუთაისის გუბერნიაში მე-20 საუკუნემდე იყო შერჩენილი ზოგიერთი გადმონაშთი სახნავი მიწის თემური მფლობელობისა, კერძოდ ისეთი სერვიტუტების სახით, რომელიც ამა თუ იმ მხრით ზღუდავდა სახნავი მიწის კერძო მეპატრონის უფლებას და მიწათმოქმედურ საქმიანობას. სახელდობრ, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის და სხვ. მაზრებში შემოუღობავ ყანაზე მოსავლის აღების შემდეგ მთელი ფართობი (სახნავ-სათესისა) თავისებურ თემურ საკუთრებად იქცევა, რამდენადაც აქ თავისუფლად ძოვს მთელი სოფლის საქონელი [19], ხოლო რაჭის მაზრაში-კი „როგორც კი პური აიღება, ღობეები იმტვრევა... და სახნავი საერთო საბალახოდ იქცევა. ეს ჩვეულება ძველთაგანვე არსებობს და არავის არა აქვს ამის წინააღმდეგ პროტესტის უფლება“ [20].

---

[18] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...“, II, стр. 571.

[19] МЭБГКЗК, I.

[20] იქვე, II, I, 29.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის გუბერნიაში მიწათმფლობელობის თავისებურს (დაქსაქსულს და სხვ.) ფორმებს შეესაბამება ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებისაგან ასევე მნიშვნელოვნად განსხვავებული ფორმები მიწათმოქმედებისა. ასე მაგალითად, 1884 — 1885 წ. ამიერკავკასიაში ბინადარ (მიწათმოქმედ) სახელმწიფო გლეხთა სარგებლობაში მყოფი ყ ო ვ ე ლ ი ასი დესეტინა მიწა მიწათმოქმედების, ე. ი. სახმარობის ფორმის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა[21].

გუბერნიები	საეზოვე	საბალე	სახნავი			სათიბი	საბალახო	ტყე
			სარწ-ყავი	ურწ-ყავი	სულ			
თბილისის	1,15	1,32	2,19	29,84	32,04	6,49	56,75	2,26
განჯის	1,37	3,15	14,98	28,12	43,10	2,61	46,49	3,28
ბაქოს	0,98	2,10	19,90	31,81	51,71	3,62	41,35	0,24
ერევნის	0,77	0,83	14,11	32,17	46,28	4,99	47,03	0,10
საშუალოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში	1,86	1,86	13,06	30,53	43,59	3,39	47,67	1,43
ქუთაისის	6,38	10,15	—	53,72	53,72	0,72	4,14	24,89
საშუალოდ მთელ ამიერკავკასიაში	1,20	2,07	12,73	31,11	43,84	4,31	46,57	2,01

ამგვარად, როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიისაგან (თბილისის, განჯის, ბაქოს, ერევნის გუბერნიებისაგან) განსხვავებით ქუთაისის გუბერნიაში სავსებით არ იყო სარწყავი მიწები, ამასთანავე აქ, შედარებით დ ი დ ძ ა ლ ი ფ ა რ თ ო ბ ი უ ჭ ი რ ა ვ ს ბ ა ღ ე ბ ს ა და ტყეებს, ხოლო მეორეს მხრივ, ფრიად მცირეა საბალახოები და სათიბი ფართობები. მაგრამ იქნებ კიდევ უფრო მეტი ყურადღების ღირსი იყოს

[21] ფ. მ ა რ კ ო ვ, „Земельное довольствие крестьян Закавказского края", 242; ხ. ვ ე რ მ ი შ ე ვ, „Земледелие у государственных крестьян...", 518 — 519, 527 — 529.

ის გარემოება, რომ ქუთაისის გუბერნიაში ფრიად დიდი — აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის შესაბამის საშუალოსთან შედარებით ექვსჯერ მეტი — ფართობი უჭირავს საკარმიდამოს. ამ საკარმიდამო მიწის ფართობში, ცხადია, მნიშვნელოვანი წილი უძევს ისევ მებაღეობას, ე. ი. მრავალწლიან კულტურას. ჩვენთვის ცნობილია, — ზემოთ უკვე გვქონდა ამის შესახებ მსჯელობა, — თუ რა გავლენას ახდენენ ინტენსიური მიწათმოქმედება და მრავალწლიანი კულტურები მიწათმფლობელობის ფორმათა განვითარებაზე.

ამასთანავე ქუთაისის გუბერნიაში ეზოების (საკარმიდაბოების) ხვედრითი წონის შედარებითი სიდიდე მიუთითებს, რომ ადრე, მაგალითად, 1850-იან წლებში, გლეხის მეურნეობა ხუტორულს მიაგავდა. 1850-იან წლებში ლავრენტიევიც პირდაპირ წერდა, რომ აქ „აბორიგენთა კარმიდამო უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს ცალკეულ ხუტორს, რის გამოც 50 კომლიან სოფლებს უჭირავთ უზარმაზარი სივრცეები, ზოგჯერ 10-მდე ვერსიანი ირგვლივი სიგრძით. სოფლელები, მეურნეობრივი ხელსაყრელობისათვის ჩვეულებრივ სახლებს აშენებენ თავიანთი სახნავების ახლოს, რის გამოც სოფლებს იშვიათად აქვს ქუჩები“ [22]. ოცდაათი წლის შემდეგ დ. ნოსოვიჩი აცხადებდა, რომ ქუთაისის მთელ გუბერნიაში გლეხები ცალკე კარმიდამოებში (ეზოებში) ცხოვრობენ: „მაგრამ ეს განცალკევებულობა არსად არ აშკარავდება ისე მკაცრად, როგორც გურიაში. ეკონომიკური გაგებით კომლს არავითარი კავშირი არა აქვს სოფელთან, რომელშიაც იგი ირიცხება კამერალური აღწერით, და თავისთავად წარმოადგენს სავსებით დამოუკიდებელ მეურნეობრივ ერთეულს მოცემულ სოფელში“ [23]. ყოველივე ეს, ცხადია, უპირატესად მხოლოდ გარეგნულ მსგავსებას მიუთითებს, ვინემ ხუტორული მეურნეობის ჩამოყალიბებულ ფორმათა

[22] Лаврентьев, „Статистическое описание Кутаисской губ.“, 1857. СПБ., 182 — 183.

[23] МИЭБГКЗК, I, 770.

არსებობას ჩვენში. მაგრამ ხუტორული მეურნეობის ეს თავისებური მსგავსება, ცხადია, აღრე თუ გვიან უნდა გამქრალიყო — მოსახლეობის გამრავლების და მიწის სივიწროვის თანდათანობითი გამწვავების პროცესში.

შეიძლება აქვე აღვნიშნოთ, რომ საერთოდ ამიერკავკასიაში ხ უ ტ ო რ უ ლ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს განვითარებას ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება ასე თუ ისე ყოველთვის აქეზებდა, თვით 1860-იანი წლებიდან მოყოლებული. სწორედ ამ დროს ქ. თბილისის მახლობლად, სოფ. ლოჭინოს სოფლის მეურნეობის სკოლასთან ბარონ ა. პ. ნ ი კ ო ლ ა ი ს მამულში, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მიერ, დაარსებულ იქნა „პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ხ უ ტ ო რ ი", რომლის გამგე, ფ ი ვ ე გ ი, თავის მიზნად ისახავდა ხუტორის საქმიანობა წაეყვანა „ადგილობრივი მეურნეობის ძველებური წესებისაგან" განსხვავებული გზით და ამ სახით აქ დანერგა „რაციონალური მეურნეობა" [24]. ამ ცდებს ამიერკავკასიაში რამდენადმე შესამჩნევი შედეგი არ მოჰყოლია.

8. თემური მიწათმფლობელობის დასაცავად და წინააღმდეგ

წვრილსაქონლური წარმოების შემდგომი წარმატებისდამიხედვით, რაც უფრო ვითარდება მიმოსვლა-კავშირგაბმულობა და სავაჭრო მიწათმოქმედება, მით უფრო მეტი სისწრაფით ირღვევა თემური მიწათმფლობელობა და წარმოებს მისი გადმონაშთების საბოლოო ლიკვიდაციაც.

ამიერკავკასიაში თემური მიწათმფლობელობისადმი ყურადღება ძლიერ გვიან იქნა მიქცეული. ყოველ შემთხვევაში, საერთოდ მიწათმფლობელობისა და კერძოდ თემური მიწათმფლობელობის შესწავლის საკითხი პირველად ქართველმა პუბლიცისტებმა წამოაყენეს 1860-იან წლებში.

1865 წ. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე წერდა: „ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრი-

[24] ЗКОСХ, 1869 г. № 2, стр. 23—29; КК на 1870 г., 450—451.

ვი წყობილების ერთადერთ ფორმას, რომელსაც შეუძლია ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, წარმოადგენს მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთრების თემური განაწილება“ [1]. მაგრამ ამ დროს მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ უცნობი იყო ჩვენში თემური მიწათმფლობელობის თუნდაც გადმონაშთების არსებობა; ხოლო ჩვენი პუბლიცისტის ეს შეხედულება-კი უშუალო შედეგი იყო რ უ ს უ ლ ი ნ ა რ ო დ ნ ი კ უ ლ ი ი დ ე ე ბ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ი ს ა. აკი თვით ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე იქვე აღნიშნავდა: „საქართველოში თემური პრინციპები სრულებით არ არსებობსო“ [2]. ცხადია, ჩვენს პუბლიცისტს რომ ისე კარგად სცოდნოდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებული მიწათმფლობელობის ფორმები, როგორც იცოდა დასავლეთ საქართველოსი, ასეთს განცხადებას არ გააკეთებდა. მაგრამ ამ დროს და კარგა ხანს შემდეგაც საერთოდ ქართულ პუბლიცისტიკას ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებული თემური მიწათმფლობელობის შესახებ.

1881 წელს ცალკე ბროშურად გამოდის ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ი ს სტატია (დაწერილი 1874 წ.) „მამულის საერთო მფლობელობაზედ“, სადაც ავტორი ამტკიცებს მამულის თემური მფლობელობის უპირატესობას. 1882 წ. „ივერიაში“ ქვეყნდება ვრცელი ტრაქტატი გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ს ა (ზდანოვიჩისა), რომელიც სახავს საკმაოდ დეტალურ პროგრამას, თუ როგორ უნდა იქნას წარმართული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების შესწავლა და თანაც აყენებს საკითხს ჩვენში თემური მიწათმფლობელობის არსებობის თუ არარსებობის პრობლემის გამოკვლევისათვის[3].

---

[1] „Колокол“, 1865г. № 199, стр. 1632 — 1635; იხ. აგრეთვე, ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. რჩეული ნაწერები, I, 174; ამავე აზრს ანვითარებდა ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე სტატიაში: „რუსეთის ცხოვრება“, იხ. ჟურ. „კრებული“, 1873 წ. № 5, გვ. 381 — 384.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. რჩეული ნაწერები, I, 175.

[3] „ივერია“, 1882 წ., № IX, გვ. 106 — 116; იხ. აგრეთვე ჟურ. „იმედი“, 1882 წ. № 6; ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს სტატია, „ივერიის ეკონომისტი“, გვ. 79 — 86.

სწორედ ამის შემდეგ, იმავე „ივერიის“ მეთორმეტე ნომერში მოთავსებული კორესპონდენციის (— „მგზავრის შენიშვნები: საინგილოსა და ქიზიყზედ“) ავტორი აგვიწერს რა ქიზიყში თემურ მიწათმფლობელობას, თანაც შენიშნავს: „ჯერ არავის არა უთქვამს რა ამგვარ ჩვენ საერთო მიწის მფლობელობაზე ქიზიყში თუ გარეკახეთშიო“ [4]. 1883 წელს ივ. მაჩაბელი თავისი გაზეთის მოწინავეში, სპეციალურად ეხებოდა რა თემური მიწათმფლობელობის საკითხს, წერდა: „რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ყოველთვის იცავდა საერთო მფლობელობას და ამტკიცებდა, რომ მიწის საერთო მფლობელობის პრინციპი სრულიად არ ეწინააღმდეგება რუსეთის წინმსვლელობას... ამ უკანასკნელის ოცი წლის განმავლობაში რუსეთის მეცნიერთა და მწერალთ ბევრი ღვაწლი დაუდვიათ საერთო (თემური) და კერძო მიწისმფლობელობის შესასწავლად. მათივე წყალობით დიდი მასალა შეგროვილია მიწისმფლობელობის შესასწავლად“. ივ. მაჩაბელი აცხადებდა: ამჟამად „ნათლად დამტკიცდა, რომ საერთო მფლობელობა არ ეწინააღმდეგება პროგრესსა, თუ რომელიმე გარეგანი მიზეზი არ ჩაგრავს მასო...“ ამგვარად, „დროების“ რედაქტორი დღის წესრიგში სვამს ჩვენში მიწათმფლობელობის ფორმების და კერძოდ თემური მიწათმფლობელობის არსებობის საკითხის გაშუქების აუცილებლობას[5].

უნდა აღინიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძემ, თუმცა გაკვრით, ჯერ კიდევ 1880 წელს მიაქცია ყურადღება ჩვენში თემური მიწათმფლობელობის არსებობას. იგი წერდა, რომ საქართველოში „თითქმის ყოველს სოფელში დღესაც ჰნახავთ ერთ წყებას მიწებისას, რომელსაც სათემო მიწებს ეძახიან და სათემოს ხმარებაშია“. ამ დებულების დამტკიცებას მან მაშინვე მხოლოდ იმის გამო არ მოჰკიდა ხელი, რომ შიშობდა დაშორებოდა თავისი მსჯელობის საგანს — ხიზნების საქმეს[6]. 1886 წელს კი ილიამ გაზ. „ივერიაში“ უკვე

[4] „ივერია“, 1882 წ. № XI, გვ. 77 — 78.

[5] გაზ. „დროება“, 1883 წ., № 166, მოწინავე.

[6] ილ. ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII, 138.

სპეციალური სტატიები მიუძღვნა თემური მიწათმფლობელობის საკითხს[7].

უკვე 1884 წ. გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა ზ. ში-შვილის კორესპონდენცია, სადაც თემური მიწათმფლობელობა აწერილია ივრის ხეობაში[8]. გაზეთის რედაქტორმა საჭიროდ ჩასთვალა მოწინავე სტატია მიეძღვნა ამ გარემოებისათვის. ივ. მაჩაბელი ახლა უკვე პირდაპირ აცხადებს: „ნურვინ იფიქრებს, ვითომც სათემო მფლობელობა მიწისა არ შეეფერებოდეს ცხოვრების უფრო რთულ ფორმებს. ასეთი ცრუმორწმუნეობა დაურღვევია მეცნიერებას, რომელმაც მარტო სათემო მფლობელობა მიწისა აღიარა უფრო სამართლიან ფორმად. სათემო მფლობელობა ისეთი ფორმაა, რომელიც უფრო ეთანხმება ხალხის გრძნობასა და გონებას. იგი აკმაყოფილებს ხალხის ლტოლვილებას ეკონომიურის სამართლიანობისადმი და მისი ძალა მით შესანიშნავია, რომ მან შესძლო ბრძოლა თვითარსებობისათვის, როცა ყოველთა პირობათა პირი შეუკრავთ მის წინააღმდეგ საბრძოლველად“[9].

სწორედ ამდროიდან, 1884 წლიდან, სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო იწყებს ამიერკავკასიაში სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფაცხოვრების აღწერას, რამაც, როგორც უკვე დავინახეთ, უფრო ნათლად გამოავლინა ფრიად საინტერესო სურათი ამიერკავკასიაში თემური მიწათმფლობელობის ვითარებისა. მაგრამ ჯერ კიდევ 1882 წელს, „ივერიის“ ხსენებული კორესპონდენტი იდილიურ ფერადებში აგვიწერდა თემური მიწათმფლობელობის ნიადაგზე არსებულ სოფლელთა ცხოვრებას:

„ინგილოთ სოფელში ხალხი შეურყვნელად ცხოვრობს და კმაყოფილია იმითი, რაც ეძლევა მშვენიერი ბუნებისა და თავიანთი მომჭირნეობის წყალობით. აქ... უკიდურესი მდი-

---

[7] „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“ (გაზ. „ივერია“, 1886 წ. № № 48, 56, 57, 59, 60, 62).

[8] „დროება“, 1884 წ. № 62.

[9] „დროება“, 1884 წ. № 62, მოწინავე: „მიწის საერთო მფლობელობა ჩვენში“.

დარ-ღარიბობა არ არსებობს. მიზეზი ამისი სხვაც არის, მაგრამ უპირატესი კი ეს მეტად შესანიშნავი მიწის მფლობელობის სისტემა გახლამთ... ინგილოები მომეტებულად რიგზე არიან დასახლებულნი: სახლები გზის აქეთა და იქითა ნაპირს მისდევენ გაყოლებით. ყველასა აქვს სათემო მამულიდან მოჭრილი მშვენიერი ვაკე ეზო, ეზოს იქით სავენახე, ამ უკანასკნელს მოსდევს ხილის ბაღი, მერე სათიბი. სათიბს შემდეგ ისევ სათემო მიწები იწყება, სადაც ყოველი ჯამაათი ირჩევს საჩალთუკე (საბრინჯე) მიწებს და ანაწილებს კომლობრივ, აგრეთვე ყოველ წელს იქვე ირჩევენ საპურე მიწებს და ჰყოფენ. საბოსტნეც ყოველწელს ირჩეოდა და იყოფოდა ოჯახობის რაოდენობის მიხედვით... ყველა კომლის წილად ნარგებ ეზოს, ბაღს, ხეხილს, ვენახს და სათიბს ინგილოები ეძახიან რუბს. რუბი თავდაპირველად ტოლი ყოფილა ყველასათვის, მხოლოდ ბოლო დროს სყიდვა შეჰპარვიათ და ზოგ მდიდარს ორი რუბიც უჭირავს. ყოველწლივ გაყოფასა და განაწილებაში კი ყველა ტოლია... თავის რუბმი ყველას აქვს მწვანე, ვაკე და მეტად სუფთა ეზო ხეხილებით სავსე (ხშირად ფუტკრის სკებიც მოიპოვება), ზედ ქართული თაროთი, მამაპაპურ კერათი და დედა-ბოძით მორთული ქართული დარბაზი, მხოლოდ ერთ მხარეზე ყველა ინგილოს დერეფანი გრძელი აივნის მსგავს რამედ უქცევია. იქ დაუწყვია მრავალი ხის კოდები ბრინჯისათვის, თუ პურისათვის. შუა ეზოში დაურჭვია ღერძი, ღერძზე ურმის თვალი და თვალზე სუფთად დარეცხილი სპილენძის წველის იარაღები შემოუმწკრივებია. უშველებელ მრგვალ მაგიდად მიიღებთ ამას მშვენიერ მწვანე ფონზე. უმთავრესი ამათი წარმოება აბრეშუმია, რომელსაც კომლი ათის თუმნიდან ოცდაათს თუმნამდე ყოველ წელს ჰყიდის... ყველა სოფელს თავის სასოფლო ტყე აქვს, რომლის ნახევარს რამდენსამე წელს სჩეხავენ, რომ პირველი გაიზარდოს ისევ... „როცა სოფელში რომელიმე კაცი გვემატებაო, იმას ან სოფლის თავში ვაძლევთ რუბსა, ან სოფლის ბოლოშიო, მითხრეს ინგილოებმა ს. ყორღანში“. ასე აღწერა თემურ მიწათმფლობელობაზე დამყარებული საინგილოს სო-

ფელი 1882 წ. „ივერიის“ კორესპონდენტმა [10], რომელიც ქებას ასხამდა მიწის თემური მფლობელობის სისტემას და მისი განმტკიცებისა და კონსერვაციისათვის ქადაგებდა.

უფრო ადრე ანტონ ფურცელაძე ქება-დიდებას ასხამდა თემურ მიწათმფლობელობას, რადგან „მთელი ის სახლი, სადაც არის დაცული მამულების საერთო მფლობელობა, თავის დღეში არ დარჩება უსაზრდოოდ და ექნება ყოველთვის ცხოვრების სახსარიო“, წერდა იგი 1874 წელს [11].

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება 1860—1880-იანი წლების ქართული პრესიდან, როდესაც თანაგრძნობითა და სიმპათიით ეპყრობიან თემურ მიწათმფლობელობას. მაგალითად, 1880 წელს ილ. ჭავჭავაძე ხიზნობის შესახებ თავის ცნობილ გამოკვლევაში შენიშნავს: „პირველყამური მფლობელობა, ანუ ხმარება მამულებისა, — სათემო მფლობელობა და ხმარება იყო. ამისი ცხადი საბუთები და ნიშნები დღესაც მრავალია ყველგან და ნამეტნავად ჩვენში. ამისი აშკარა მაგალითი ტყისა და საძოვრების სათემოდ ხმარებაა, რომელიც ჩვენს თვალწინ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს სულთ-ებრძვის რუსთა კანონების ზემოქმედების გამო... თითქმის ყოველს სოფელში დღესაც ჰნახავთ ერთს წყებას მიწებისას, რომელსაც სათემო მიწებს ეძახიან და სათემო ხმარებაშია“ [12].

ილ. ჭავჭავაძე ერთს წერილში, ეტყობა ხალხსნური იდეების გავლენით, იმ აზრს ანვითარებს, რომ ძველი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური გამძლეობის წყარო მიწის სასოფლო (თემურ) მფლობელობაში იყო. იგი წერს: „ჩვენს ეკონომიურს წყობაში ორ-გვარი მდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე, — საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო; მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი

[10] „ივერია“, 1882 წ. № 11, 77—78.

[11] ა. ფურცელაძე. „მამულის საერთო მფლობელობაზედ“, 1881, თბ. 34—35.

[12] ილ. ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII, 138.

განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორმასწორობას მიწისმფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა. და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა — მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა...“ მაგრამ ხალხმა... „ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლოს განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო, ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერებისა გვარად. ასე რომ ერთს კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილზედ მეტი არ შეეძლო მამულები დაეჭირა. ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისმე და არა სამსოფლო.

ბოლოსდაბოლოს ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიურის წყობისასა ყური ალარ ათხოვეს: გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“ [13].

როგორც ვხედავთ, ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე 1880 წელს, აღნიშნავდა რა ჩვენში თემური მიწათმფლობელობის გადმონაშთების არსებობის ფაქტს, ს ა მ წ უ ხ ა რ ო მ ო ვ ლ ე ნ ა დ თვლიდა მიწათმფლობელობის ამ ფორმის მოსპობას. შეიძლება ითქვას, რომ მაშინ საერთოდ ქართულ პუბლიცისტიკაში გაბატონებული იყო ასეთი, დადებითი, შეხედულება თემური მიწათმფლობელობისადმი.

მაგრამ თემური მიწათმფლობელობის საკითხზე ქართულ პუბლიცისტიკაში მალე შეიჭრა ნაროდნიკული შეხედულების საწინააღმდეგო იდეებიც. ეს იდეები ცხოველმყოფელ სინამდვილით იყვნენ ნასაზრდოები.

ნაროდნიკები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთში სოციალიზმი დამყარდება კაპიტალიზმის განვითარების გარეშე, გლეხური

[13] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“. 1880 წ. იხ. თხზულებანი, სრ. კრებული, 1941, II, 484 — 485.

თემის საფუძველზეო. მაგრამ 1880-იანი წლებიდან კაპიტალიზმი უკვე მნიშვნელოვნად განვითარდა სოფლადაც და როგორც კ. მარქსმა აღნიშნა, სწრაფი ტემპით წარმოებდა გლეხური თემის დაშლა[14]. თემში ბატონდებიან კულაკები, „რომლებიც ექსპლუატაციას უწევდნენ ღარიბებს, მოჯამაგირეებს, ხელმოკლე საშუალო გლეხებს. ფორმალურად არსებული სათემო მიწათმფლობელობა და მჭამელთა რიცხვის მიხედვით მიწის განაწილება, რაც დროდადრო ხდებოდა, სრულებითაც არ სცვლიდა საქმეს. მიწით სარგებლობდნენ თემის ის წევრები, რომლებსაც ჰყავდათ მუშა პირუტყვი, ჰქონდათ ინვენტარი, თესლი, ე. ი. შეძლებული საშუალო გლეხები და კულაკები. უცხენო გლეხები, ღარიბები და საერთოდ ხელმოკლეები იძულებული იყვნენ მიეცათ მიწა კულაკებისათვის და ემუშავნათ დაქირავებით, მოჯამაგირეებად“[15].

ასეთი თემი, ცხადია, სოციალიზმის ჩანასახად ვერ გამოდგებოდა. პირიქით, იგი ხელსაყრელი იყო კულაკობისათვის და ცარიზმისათვის. ყოველივე ეს ნათელჰყვეს გ. პლეხანოვმა და, შემდეგ, განსაკუთრებით ვ. ლენინმა ნაროდნიკების წინააღმდეგ მიმართულ შრომებში.

• •

გაკვრით უნდა შევჩერდეთ რუსულ საადგილმამულო თემზე, რომლის რეფორმის მერმინდელი ვითარება მაინც ძლიერ გავლენას ახდენდა ადგილობრივი თემური მიწათმფლობელობისადმი ცარიზმის ხელისუფლების დამოკიდებულებაზე. ამასთანავე ეს საჭიროა, რათა გაშუქებულ იქნას, თუ რა ძირითადი მსგავსება და განსხვავება არსებობდა თემური მიწათმფლობელობის რუსულ და ადგილობრივ ფორმებში და, დასასრულ, საინტერესოა იმ მხრივაც, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბედიც რუსული თემისა, საბოლოო ანგარიშით, უნდა გაეზიარებია და გაიზიარა კიდევაც თემურმა მიწათმფლობელობამ ამიერკავკასიაშიაც. ვინ იცის, იქნებ რუსულ თემთან შედარებამ და ამ შედარებითმა შესწავლამ, ამა თუ იმ მხრივ, გააადვილოს ამიერკავკასიაში არსებული მიწის გადანაწილებადანაწილების პრინციპზე დამყარებული თემური მიწათმფლობელობის გენეზისის გაშუქებაც, თუმცა ჯერ კიდევ ი ლ. ჭავჭავაძე ფიქრობდა, რომ ეს პრინციპი ძველი დროიდგანვე შერჩენია ქართველ გლეხობასო.

[14] Архив К. Маркса и Ф. Энгельса, 1930, М., I, 267—286.

[15] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, 1954 წ. გვ. 18.

რუსული თემური მიწათმფლობელობის, ანუ საადგილმამულო თემის (поземельная община, крестьянская община) შესახებ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. რიგი ათეული წლების მანძილზე თემური მიწათმფლობელობის პრობლემა რუსული სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერების ყურადღების ცენტრში იდგა და ბუნებრივია რომ საკითხიც საფუძვლიანად იქნა შესწავლილი. რუსული თემის შესახებ პირველი მეცნიერული გამოკვლევები,—სახელდობრ შრომები ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს ა (1857—1858 წწ.), ჩ ი ჩ ე რ ი ნ ი ს ა (1858 წ.), ს ო ლ ო ვ ი ო ვ ი ს ა (1858 წ.), ჰ ა ქ ს ტ ჰ ა უ ზ ე ნ ი ს ა (1847—1858) და სხვ.,—ჯერ კიდევ რეფორმამდე იქნა გამოქვეყნებული. 1860-იან წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ყურადღება თემური მიწათმფლობელობისადმი. მაგრამ სისტემატური და მასობრივი შესწავლა რუსული თემისა დაიწყო 1880—1890-იანი წლებიდან. ამიერიდან საერობო სტატისტიკის ერთ-ერთ ძირითად საგნად იქცევა სწორედ საადგილმამულო თემი. 1914 წლამდე სტატისტიკურ-ეკონომიკურად იქნა გამოკვლეული 311 მაზრა, სადაც გაბატონებული იყო თემური მიწათსარგებლობა. ამ მუშაობის შედეგად დაგროვდა დიდძალი ფაქტიური მასალა, რომელსაც თავისი შინაარსითა და სიმდიდრით ვერ შეედრება დას. ევროპის ვერც ერთი სახელმწიფოს შესაბამისი დარგის სტატისტიკა.

დადგენილია, რომ რუსული საადგილმამულო თემის თავისებურებას წარმოადგენს მიწების პერიოდული გადანაწილება თემის წევრთა შორის თანაბარზომიერი განაწილების მიზნით [16]. ამასთანავე სპეციალისტთა ერთი ჯგუფი (კაველინი, ნიკოლსკი, ბელიაევი, ბლიუმენფელდი, ეფიმენკო) ფიქრობდა, რომ ამგვარი თემი წარმოიშვა თვით პირველყოფილი ურთიერთობის წიაღში. მეორე ჯგუფი ისტორიკოსებისა (ჩიჩერინი, სერგეევიჩი და სხვ.) ამტკიცებდა, რომ მიწების პერიოდულ გადანაწილებაზე დაფუძნებულ თემს არაფერი აქვს საერთო პირველყოფილ საგვარეულო წყობილებასთან და რომ იგი წარმოიქმნა უფრო გვიან სახელმწიფოს უშუალო გავლენით. ა. კ ა უ ფ მ ა ნ მ ა, ციმბირის თემის მაგალითზე, ნათელჰყო გარეშე ფაქტორების დიდი გავლენა მიწის გადანაწილება-გათანაბრებაზე დამყარებული თემის (передельно-уравнительная община) წარმოშობის პროცესზე [17].

თავდაპირველად რუსულ თემში, მსგავსად დას. ევროპული თემისა, გაბატონებული იყო დ ა ტ ა ც ე ბ ი თ ი მ ი წ ა თ ს ა რ გ ებ ლ ო ბ ა (захватное землепользование). თემის ადგილმამულის ფარგლებში ყოველ წევრს სურვილისამებრ შეეძლო დაეკავებია დასამუშავებლად თავისუფალი ფართობის საჭირო რაოდენობა. მიწათსარგებლობის ეს არქაული წესი, ცხადია, იარსებებდა, სანამ თემის მფლობელობაში ბლომად იყო თავისუფალი

[16] К а у ф м а н, „Русская община в процессе ее зарождения и роста"; К о ч а р о в с к и й, „Русская община", 1900.

[17] К а у ф м а н, „Крестьянская обшина в Сибири", 1897.

მიწები. ამ დროს თემში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გავლენა ფრიად უმნიშვნელო იყო.

შერეულ ხანებში, რამდენადაც საგრძნობი ხდება მიწის სიმცირე, თემი იძულებულია ამა თუ იმ სახით დაიწყოს მიწათსარგებლობის მოწესრიგება. მეკომურს ამიერიდან შეუძლია დაიპიროს მისი ოჯახის წევრთა მუშახელის რაოდენობის შესაბამისი ფართობი. ამის მიხედვითვე წარმოებდა გაწერაც მიწათმოქმედი მოსახლეობისათვის დაკისრებული სახელმწიფო ბეგარებისა. ამ პერიოდში წარმოებს გლეხობის მიმაგრება მიწაზე.

საადგილმამულო ურთიერთობაზე უდიდესი გავლენა მოახდინა აგრეთვე სულობრივი ბეგარის შემოღებამ. წინათ თემის წევრად ყოფნა შეეძლო ყველას, ვისაც სურდა მიწის დაპერა და დამუშავება. ამიერიდან, მიწის სიმცირის პირობებში, როდესაც მიწის დანაწილება უნდა შეესაბამებოდეს ბეგარის ტვირთის დანაწილებას, თემის წევრად რჩებიან არა ისინი, რომელთაც მიწა უპირავთ, არამედ ის მეკომურნი, რომლებიც იხდიან ბეგარებს. სახელმწიფო ბეგრავს თემს; თემი ბეგარას ანაწილებს თავის წევრთა შორის მიწის დანაწილების მიხედვით. ბეგარა სულობრივია. მაშასადამე, მიწაც სულობრივად უნდა დანაწილდეს. ამგვარად მიწის თანაბარზომიერი განაწილება იყო შედეგი სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკისა. აქედანვე წარმოსდგება მიწების პერიოდული გადანაწილების პრინციპი, ე. ი. გადანაწილება-გათანაბრებაზე დამყარებული თემიც [18].

სახელმწიფო პერიოდულად აწარმოებდა მოსახლეობის დასაბეგრი სულების აღწერას (ревизия). რამდენადაც მიწის გადანაწილება საბეგარო სისტემის გავლენით ხდებოდა, გასაგებია, რომ ყოველი აღწერის შემდეგ, როდესაც აღირიცხებოდა ხოლმე დასაბეგრი სულები, თემი აწარმოებდა მიწების ახალ გადანაწილებას.

ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა არ შეხებია თემის ამ სტრუქტურას. დატოვებულ იქნა როგორც ნაკვეთობრივი, აგრეთვე თემური მიწათმფლობელობაც. მემამულეთა პოლიტიკა 1860-იანი წლების შემდეგაც საჭიროდ სცნობდა საადგილმამულო თემის დაცვას. სანადელო მიწები გლეხობას ამიერიდანაც ეძლეოდა არა ერთპიროვნულად, არამედ თემობრივად. ბატონყმობის გაუქმების შესახებ დებულების შემდგენი სარედაქციო კომისიის თავმჯდომარის ر ო ს ტ ო ვ ც ე ვ ი ს აზრით, თემური წყობილების დაცვა აუცილებელი იყო რუსეთისათვის, რადგან: 1. „ხალხს კიდევ სჭირდება ძლიერი ხელისუფლება, რომელიც შესცვლის მემამულის ხელისუფლებას"; 2. თემის გარეშე მემამულე ვერ შესძლებს თავისი შემოსავ-

[18] Л я щ е н к о, „Социальная экономия сельского хозяйства". 1930. I. 188 — 199.

ლის მიღებას და მთავრობაც ვერ აჰკრეფს სახელმწიფო ბეგარა-გადასახადებსო [19].

სწორედ ამ მიზნით იყო შემოღებული ურთიერთთავდებობის სისტემაც. თემი (мир) პასუხს აგებდა მთავრობის წინაშე თავისი ყოველი მეკომურისათვის. თემს შეეძლო ჩამოერთმია სანადელო მიწა ოჯახისათვის, რომელიც ბეგარებს ვერ (არ) იხდიდა: იძულებით გაეგზავნა გლეხი საშოვარზე და ციმბირშიაც გადაესახლებინა, თუ იგი ბიწიერ ცხოვრებას ეწეოდა... ამგვარად, საადგილმამულო თემი იმავე დროს იყო სასოფლო თემიც, ე. ი. ადმინისტრაციული ერთეული.

თემურ მიწათმფლობელობაზე დამყარებულ სოფელში მიწების საერთო გადანაწილებისათვის საკმარისი იყო მეკომურთა $^2/_3$-ის თანხმობა. წარმოებდა მიწის ნაწილობრივი გადანაწილებაც. კომლს, რომლის წევრთა რაოდენობა შემცირდა, მიწას ჩამოართმევდნენ და მისცემდნენ იმისთანას, რომლის შედგენილობა გაიზარდა. გადანაწილება არ ეხებოდა საბალახოს, საძოვარს, ტყეს, სათიბს, — რომლებითაც თემის წევრები გაუყოფელად სარგებლობდნენ.

რეფორმის შემდეგ თემურმა მიწათსარგებლობამ მაინც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 1859 წ. მოხდა მოსახლეობის მეათე აღწერა, რასაც მოჰყვა მიწების მორიგი საერთო გადანაწილებაც. როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ საგრძნობი შეიქნა მიწის სივიწროვე, გლეხებმა დაუწყეს ცდა მორიგ, მეთერთმეტე, აღწერას. მაგრამ ასეთი აღწერა არ მოხდა. მიწების გადანაწილება დიდი ხნით შეჩერდა. მხოლოდ 1880-იანი წლების მიწურულს, როდესაც მიწის სივიწროვემ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო, თემებმა უკვე აღწერის გარეშე მიყვეს ხელი მიწების გადანაწილებას. მომდევნო ათეულ წელში მიწების გადანაწილება-გათანაბრებამ მასობრივი ხასიათი მიიღო, რასაც ხელს უწყობდა, როგორც საერთოდ მოსახლეობაში, ისე კერძოდ ცალკე ოჯახებში მომხდარი რაოდენობრივი ცვლილებები, ბეგარების გადიდება და სხვ. [20].

თემურ მიწათსარგებლობას ახასიათებდა გარკვეული ტ ე ქ ნ ი კ უ რ ა ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ნ აკ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა ნ ი: 1. მიწა თემის წევრს ეძლეოდა დროებით მფლობელობაში. ასეთი მფლობელი, რასაკვირველია, არ ცდილობდა, ყოველ შემთხვევაში ნაკლებად ცდილობდა, მისთვის მოცემული ფართობის გაუმჯობესებისათვის, რამდენადაც მოცემული ინტერვალის განმავლობაში მას არ აუნაზღაურდებოდა ამ მხრივ დახარჯული შრომა და კაპიტალი. 2. სულობრივი შედგენილობის მიხედვით იცვლებოდა კომლის ხვედრი სახნავის ფართობი, რასთანაც ყოველთვის შეთანაბრებული უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედების ინვენტარი და სხვა მოწყობილობა, რაც ართულებდა

---

[19] Л я щ е н к о, „Крестьянское дело и пореформенная землеустроительная политика", 1917 г.

[20] „Материалы редакционных комиссий...", 1859, СПБ, I, I, 250.

მეურნეობის ორგანიზაციას. 3. თემის ყოველ წევრს მიწის თანაბარი განაწილების ინტერესისათვის ეძლეოდა ერთგვარი ხარისხისა და კარმიდამოდან ერთნაირად დაშორებული ნაკვრები, რაც იწვევდა მეტისმეტ მიწათდაქსაქსულობას და ამასთანავე ხშირად საცხოვრებელი ადგილიდან სახნავთა ძლიერ დაშორებულობას. 4. მიწათდაქსაქსულობა აუცილებლობით იწვევდა მიჯნათა გამრავლებას. მიჯნის ზოლი, რჩებოდა რა გამოუყენებლად, ხელს უწყობდა სარეველა ბალახების გავრცელებას. ამასთანავე მიჯნის ზოლის სახით იკარგებოდა სახმარი მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი. 5. ფრიად გაძნელებული, ზოგან შეუძლებელიც, იყო განაყიერება შორეული ნაკვრებისა, რადგან სასუქის გადატანის ხარჯი ვერ იფარებოდა მოსავლიანობის აწევით. 6. მიწათმოქმედების გაუმჯობესებაზე და ახალი კულტურების შემოღების ტენდენციაზე უარყოფით გავლენას ახდენდა აგრეთვე ე. წ. იძულებითი თესლბრუნვა და მიწის დამუშავების ვადები. მოსავლის აღება ყველას დაახლოებით ერთდროულად უნდა მოესწრო, რადგან შემდეგ სოფელი პირუტყვს თავისუფლად უშვებდა ხოლმე საძოვარზე [21].

ეს უხერხულობანი განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობენ სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების პროცესში — 1890-იანი წლებიდან მოყოლებული. სოფლად კაპიტალიზმის განვითარება აუცილებელი იყო. მაგრამ კაპიტალიზმს არ შეეძლო განვითარება ისე, რომ არ დაერღვია რუსეთის ძველი აგრარული წყობილება [22]...

ჯერ კიდევ კ. მარქსი წინასწარმეტყველებდა რუსეთში კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების პროცესში თემური მიწათმფლობელობის დაშლის აუცილებლობას [23].

ფ. ენგელსი 1892 წ. 15 მარტს ნ. დანიელსონისადმი წერილში აღნიშნავდა რა, რომ კ. მარქსის შეხედულება კაპიტალიზმის განვითარების პროცესში რუსული გლეხური თემის დაშლის შესახებ ახლა იწყებს განხორციელებასო, იქვე დასძენდა: „ვშიშობ, რომ ჩვენ მალე მოგვიხდება განვიხილოთ თქვენი თემი, როგორც ოცნება დაუბრუნებელ წარსულზე და მომავალში ანგარიში გავუწიოთ კაპიტალისტურ რუსეთს. ეჰვს გარეშეა, რომ ამ გზით დაგვეკარგება უდიდესი შესაძლებლობა, მაგრამ ეკონომიკური ფაქტების წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობ. საგულისხმო მხოლოდ ისაა, რომ რუსეთში სწორედ იგივე ადამიანები, რომლებიც დამპალი დასავლეთის დაწესებულებებთან შედარებით პირველყოფილი რუსული დაწესებულებების შეუდარებელ უპირატესობათა ქებით არ იღლებიან, — რომ სწორად იგივე ადამიანები ყველაფერს აკეთებენ, რათა

[21] Першин, „Земельное устройство дореволюционной деревни", 1928, I; Шулейкин, „История земельных отношений и землеустройства", 1933. I.

[22] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 573.

[23] Архив Маркса и Энгельса, 1930, М., I, 270 — 286.

დაანგრიონ ეს პირველყოფილი დაწესებულებები და შეცვალონ ისინი დამპალი დასავლეთის დაწესებულებითო!“ [24].

გლეხობის შემდგომი დიფერენციაციის მეოხებით ძირი გამოეთხარა საადგილმამულო თემს. თანდათან გამოეყო, ერთის მხრივ, კულაკობა, სოფლის ბურჟუაზია და, მეორეს მხრივ, სულ უფრო მრავლდებოდა რიცხვი ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეებისა, რომელთაც ექსპლოატაციას უწევდნენ კულაკები. მიუხედავად საერთო თუ ნაწილობრივ გადანაწილებათა, მიწები მაინც გადადიოდა ბობოლა გლეხების, კულაკების ხელში, რომელთაც ჰქონდათ სოფლის მეურნეობის ინვენტარი, ჰყავდათ გამწევი ძალა და სხვ. [25].

მე-19 საუკუნის მიწურულიდან უფრო მწვავდება აგრარული ურთიერთობა. გლეხობა მასობრივად გამოდის მემამულეთა წინააღმდეგ, გამოდის მთელი სოფლების, თემების, სახით. საადგილმამულო თემი, აკავშირებდა რა გლეხობას, ერთგვარად აძლიერებდა მათს რეოლუციურ მოძრაობასაც; და ამდენადვე არ შეიძლებოდა, რომ ცარიზმი, რომელიც ებრძოდა სოფლად რეოლუციურ მოძრაობას, იმავე დროს არ ამხედრებულიყო თემური წყობილების წინააღმდეგ.

1902 წ. სოფლის მეურნეობის საჭიროებათა შესასწავლად შექმნილი „ადგილობრივი კომიტეტები“, აღიარებდნენ თემური მიწათმფლობელობის დაშლის მიზანშეწონილობას. ცხადია, ეს კომიტეტები უპირატესად მემამულეებისა და სახელმწიფო მოხელეებისაგან შედგებოდა. კომიტეტების საერთო აზრით, ტექნიკური ჩამორჩენილობა იყო მთავარი მიზეზი გლეხობის (სოფლის) გაჭირვებული მდგომარეობისა; და რამდენადაც სოფლის მეურნეობაში ტექნიკურ პროგრესს აბრკოლებს თემური მიწათმფლობელობა, აუცილებელია ხელი შეეუწყოთ გლეხობის გადასვლას თემური მიწათსარგებლობიდან ხუტორულ, ნაკვეთობრივ, კომლობრივ (подворное) მფლობელობაზეო.

ამ მხრივ ერთგვარი ნაბიჯი გადაიდგა 1903 წ. 12 მარტის „ანონით, რამაც გააუქმა ურთიერთთავდებობა და, მაშასადამე, გააადვილა თემიდან გასვლა.

მემამულეთა პოლიტიკის აზრი განსაკუთრებით ნათლად გამოთქვა 1906 წ. 11 იანვარს ს ტ ო ლ ი პ ი ნ მ ა, რომელიც ჯერ კიდევ სარატოვის გუბერნატორი იყო. შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მოხსენებაში, აგრარული მოძრაობის მთავარ მიზეზად სტოლიპინი ასახელებდა „ცუდი მიწათმოწყობის“, ე. ი. თემური მიწათმფლობელობის არსებობას. იგი მოითხოვდა შექმნას კულაკობისა, რომელსაც დაემყარებოდა მემამულეთა სახელმწიფო: საკითხის არსებითი გადაჭრა შეიძლება წვრილ მესაკუთრეთა კლასის,

---

[24] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, „წერილები «კაპიტალის» შესახებ“, 1952, თბ. გვ. 358.

[25] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 12, გვ. 560 — 563.

როგორც სახელმწიფოს ძირითადი უჯრედის, შექმნით, რადგან წვრილ მესაკუთრეთა კლასი თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობასო [26].

1905 წლის რევოლუციამ ცარიზმისათვის ცხადი გახადა გლეხთა მასობრივი მოძრაობის ძალა. რევოლუციის ასაცილებლად ამიერიდან მემამულეთა კლასს აუცილებლად მიაჩნდა გაემწვავებია წინააღმდეგობა თემში, დაეშალა გლეხთა მთლიანობის საწყისები, ე. ი. კიდევ უფრო გაეძლიერებინა კულაკობა, რათა იგი გაეხადა თავის დასაყრდენად რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვა სიტყვებით: თემური მიწათმფლობელობის დაშლა ცარიზმის აგრარული პოლიტიკის დღის წესრიგში დგება, რადგან მთავრობამ დაინახა, რომ „...გლეხობამ თავი დააღწია ბატონყმურ საუკუნოვან ძილს“ [27].

მალე სტოლიპინი, როგორც მინისტრი გამარჯვებული რეაქციისა, ცხოვრებაში ატარებს თავის აგრარულ პოლიტიკას. 1906 წ. 9 ნოემბრის საადგილმამულო კანონით „ინგრეოდა მიწის თემობრივი სარგებლობა. თვითეულ გლეხს წინადადება ეძლეოდა აეღო თავისი ნადელი პირადს მფლობელობაში, გამოყოფილიყო თემიდან. გლეხს შეეძლო გაეყიდა თავისი ნადელი, რის უფლებაც მას წინათ არ ჰქონდა. საზოგადოება ვალდებული იყო თემიდან გამოსული გლეხებისათვის გამოეყო მიწა ერთ ადგილას (ხუტორი, ნაკვეთი, „ოტრუბი“).

თემიდან, ცხადია, გადიოდნენ კულაკური ელემენტები. ამასთანავე „მთავრობა აიძულებდა გლეხებს კულაკ-მეხუტორეებისათვის თემიდან საუკეთესო მიწა გამოეყო“. ამგვარად, „თუ გლეხთა „განთავისუფლების“ დროს მემამულეები იტაცებდნენ გლეხთა მიწებს, ახლა კულაკებმა იწყეს სათემო მიწის დატაცება, — ისინი ღებულობდნენ საუკეთესო ნაკვეთებს, ღარიბებისაგან იაფად ყიდულობდნენ ნადელებს“. ასე რომ გაღატაკებული ღარიბი გლეხობის ხარჯზე კულაკობისაგან ზოგან ნამდვილი მემამულეები წარმოსდგნენ, რომლებიც ფართოდ იყენებდნენ სოფლის პროლეტარების დაქირავებულ შრომას.

სტოლიპინის რეფორმას ღარიბი და უღარიბესი გლეხობა მტრულად შეხვდა. რუსეთის რიგ რაიონებში გლეხობა აწყობდა შეიარაღებულ გამოსვლებს [28-30], სტოლიპინშჩინამ კიდევ უფრო გააუარესა მცირემიწიანი გლე-

---

[26] П. Ефремов, „Столыпинская аграрная политика“, 1941, М. стр. 123 — 125.

[27] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 205.

[28-30] П. Ефремов, „Столыпинская аграрная политика“, 1941, М. 42 — 47, 119 — 124.

ხებისა და სოფლის ღარიბთა მდგომარეობა. გაძლიერდა გლეხობის ფენებად დაყოფა. დაიწყო გლეხთა შეტაკებანი კულაკ-მეხუტორეებთან".

გლეხობა სტოლიპინის რეფორმას მტრულად შეხვდა, ცხადია, არა იმიტომ, რომ ცდილობდა დაეცვა ძველი საადგილმამულო თემი. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში გლეხობამ აშკარად და გადაწყვეტით გამოსთქვა თავისი აზრი ძველი თემის წინააღმდეგ[31], რადგან გლეხური თემი დიდი ხანია რაც უკვე მხოლოდ მოხერხებული ფორმა იყო კულაკების ძალმომრეობის დასაფარავად და იოლი საშუალება ცარიზმის ხელში გლეხობისაგან გადასახადთა ასაკრეფად. ასეთს პირობებში, „გლეხებს საშინელი გაჭირვების, სიღატაკისა და შიმშილით სიკვდილის იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც მათ მთავრობა აყენებს, არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ სხვა გამოსავალი თუ არა მასობრივი ბრძოლა პროლეტარიატთან ერთად მეფის ძალაუფლების დასამხობად" [32].

მაინც კარდინალური განსხვავება არსებობდა იმ გზებსა და საშუალებებში, თუ როგორ უნდოდათ თემური მიწათმფლობელობის მოსპობა მემამულეებსა და გლეხობას. სტოლიპინი ატარებდა რა მემამულეთა პოლიტიკას, მიზნად ისახავდა დაეცვა და განემტკიცებია მემამულეთა მიწათმფლობელობა და თემური მიწათმფლობელობის იძულებითი დარღვევით საშუალება მიეცა კულაკობისათვის ადვილად ჩაეგდო ხელში გაღატაკებული გლეხობის სანადელო მიწები. მართლაც, სტოლიპინის კანონის გამოცემის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მილიონზე მეტმა ხელმოკლე გლეხმა სავსებით დაჰკარგა მიწა და გაჩანაგდა. ხელმოკლე გლეხთა მიერ მიწის დაკარგვის ხარჯზე გაიზარდა კულაკური ხუტორებისა და ნაკვეთების რაოდენობა. ეს იყო სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზა [33] — [36].

გლეხობა ჯერ კიდევ 1905 წ. გამოდიოდა რა თემური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, საუკეთესოდ თვლიდა ნაციონალიზებულ სანადელო მიწაზე თავისუფალ ამხანაგობათა და ცალკე პირთა მიწათსარგებლობის ფორმას [37]. მაშასადამე, თემური მიწათმფლობელობის გლეხურად დაშლა გულისხმობდა მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობას, ე. ი. მთელი მიწების ნაციონალიზაციას. ეს, რასაკვირველია, იქნებოდა სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ამერიკული გზა.

1905 წ. ლ ე ნ ი ნ ი წერდა: „მიწის ნაციონალიზაცია=ძველი მიწათმფლობელობის გლეხური დამსხვრევა არის ამერიკული გზის ეკონომიკური

---

[31] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 353.

[32] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 16, გვ. 449.

[33] — [36] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 573 — 574.

[37] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 353.

საფუძველი. 1906 წ. 9. XI კანონი=ძველი მიწათმფლობელობის მემამულური დამსხვრევა არის პრუსიული გზის ეკონომიკური საფუძველი. ჩვენი ეპოქა, 1905 — ?? წლები, არის ამ გზების რევოლუციური და კონტრრევოლუციური ბრძოლის ეპოქა...“ [38].

მართალია პირველ ხანებში, როდესაც თემებიდან ხუტორებად გამოყოფა გაძლიერდა, გლეხთა მოძრაობა მინელდა; მაგრამ მალე, 1910-1911 წლებში და შემდეგ მეხუტორეებთან თემის წევრთა შეტაკების ნიადაგზე ძლიერდება გლეხთა მოძრაობა მემამულეებისა და კულაკ-მეხუტორეთა წინააღმდეგ.

სტოლიპინი თავისი აგრარული პოლიტიკის წარმატებით დაგვირგვინებისათვის მოითხოვდა „20 მყუდრო წელიწადს“. „ისტორიის ღმერთმა“ რუსეთის ცარიზმს არ დაუთმო ამდენი დრო, მაგრამ სტოლიპინის პოლიტიკამ პირველსავე ათეულ წლებში მოასწრო მაინც აშკარა კრახი განეცადა.

* *

კაპიტალიზმი ამიერკავკასიაშიც ისე მოქმედებდა როგორც რუსეთში. აქაც, თუმცა შედარებით დაგვიანებით, წარმოებს სოფლის სოციალური დიფერენციაცია. თემურ მიწათმფლობელობაზე დამყარებულ სოფლებში ჩნდებიან კულაკები, ღარიბი და უღარიბესი გლეხები. ამისდაგიხედვით 1880-იანი წლების მიწურულიდან და განსაკუთრებით კი 1890-იანი წლებიდან ქართულ პუბლიცისტიკაში ხშირად გაისმის თემური მიწათმფლობელობის შესახებ, ნაცვლად მფარველობისა, უარყოფითი მსჯელობა. სულ უფრო და აშკარად იწუნებენ და აკრიტიკებენ თემური მიწათმფლობელობის საწყისებს და მალე კიდევ ილაშქრებენ საერთოდ თემური მიწათმფლობელობის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ და მოითხოვენ მიწების საბოლოოდ გადანაწილებასა და შემოღობვას, ე. ი. კერძო საკუთრების სახით დაჩემებას.

ჯერ ერთი, 1880-იანი წლებიდან სათემო მიწების ფართობი დიდი სისწრაფით მცირდება. თელავის მაზრის მაგალითზე ა. არღუთინსკი წერდა, რომ აქ „წინანდელ დროს სათემო მიწები უფრო ბლომად იყო, მაგრამ ასეთი მიწები თან-

[38] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 143.

დათან შემცირდა, რადგან მცირემიწიან გლეხს სათემოდან მიუზომვენ ხოლმეო“ [39].

ამავე ხანებში გორის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების შესწავლის საფუძველზე ს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი წერდა: „ამჟამად მიწათსარგებლობის წესების გამოკვლევა... დიდ ინტერესს შეიცავს, რამდენადაც აქ არსებული თემური მიწათსარგებლობის წესი მწვავე ბრძოლას ეწევა კომლობრივთან. ძველმა თემურმა მიწათმფლობელობის წესმა, რაც მთელ საქართველოში არსებობდა, შედეგად მრავალი არახელსაყრელი პირობისა, უკანასკნელ ხანებში გორის მაზრაში „დაიწყო სწრაფი დაშლა და კომლობრივში გადასვლაო“ [40].

თემური მიწათსარგებლობიდან კომლობრივში გადაავლის მთავარ მიზეზად ს. მაჩაბელს მიაჩნდა მცირემიწიანობა, სახაზინო სანადელო მიწების ნორმათა გაურკვევლობა და ამ მიწების კერძო მამულებს შორის დაქსაქსულობა, ხოლო ყველაზე მთავარს, სახელდობრ კაპიტალისტურ ურთიერთობათა მნიშვნელობას იგი სრულებითაც ვერ ამჩნევდა.

თავის ადგილას ჩვენ საკმაოდ ვრცლად გვაქვს მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ გადადიოდა სათემო მიწები კერძო საკუთრებაში. ამჟამად-კი ჩვენი მსჯელობის საგანს შეადგენს გარკვევა, თუ როგორ ვითარდებოდა საზოგადოებრივი შეხედულება თემური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ.

ნ. ვ ე ლ ი ს ც ი ხ ე ლ ი, აღწერს რა ს. პატარძეულში სათემო მიწათმფლობელობას, დაასკვნის: „რომ კაცი მცირედაც არის ჩაუკვირდეს და მისი ავი და კარგი გამოიკვლიოს, ნათლად დაინახავს იგი, რომ პატარძეულელებსავით ყველა საერთო მფლობელობის მიმდევარი ხალხის ყოფა-ცხოვრება დიდ უსწორმასწორობაშია და თუ ამგვარ მიწათმფლობელობას საკუთარ მიწათმფლობელობასთან შევადარებთ, მაშინ კიდევ იმას დავინახავთ, რ ო მ მ ა მ უ ლ ი ს ს ა ე რ თ ო მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა ს კ ა რ გ ი ვ ე რ ა მ ო ა ქ ვ ს-რ ა მ ე-

[39] МИЭБГКЗК, V, I, 20—22.
[40] МИЭБГКЗК, VI, 165—166.

ურნეობის წარმატებისათვის და პირიქით — უკან-უკანაც მიჰყავს იგი, თორემ ერთ დონეზედ შეფერხებული ხომ არის და არის“ [41].

მაგრამ იგივე ნ. ველისციხელი, — ალბათ სათანადო წრეების მიერაც წაქეზებული, — კიდევ უფრო დიდის გულმოდგინებით ილაშქრებდა თემური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ იმავე გაზეთში რამდენიმე ხნით ადრე მოთავსებულ სტატიაში, „მამულის საკუთრებაზედ“: თემური მიწათმფლობელობის ფორმას „დიდი გავლენა აქვს გლეხ-კაცის ყოფაცხოვრებაზედ, მის მეურნეობის მდგომარეობაზედ და თვით მისსავე მოქმედებაზედ... ამ სახით მიწათმფლობელობას მონადელე გლეხკაცი არა სთვლის საკუთრებად, ის ისე არ უცქერის იმ მიწას, როგორც საშვილიშვილო განძს, ცხოვრების მიმცემს საგანს, არამედ ისე, როგორც ნათხოვარს, ნასესხებსა. ამგვარად ხელში ჭერილს მამულს, მართალია, იგი გლეხურად, ყველას ამუშავებს, თავის დროზედ უგდებს ყურს; მაგრამ ყოველივე... სულ უნდომლად, უსურველად და თვალთმაქცსავით მოსდის იმ მხნეს, იმ ჯაფის ოფლის მოწურვის მოყვარეს, რომელსაც „სალი კლდისაც-კი სამოთხედ გადაქცევა შეუძლიან“. მიზეზი ცხადია და ეს მიზეზი კიდევ მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იმის ჭერილი მამული არ არის საკუთრებად, არ არის საშვილიშვილო განძი, ძალა ცხოვრებისა და არსებობისათვის ბრძოლისა. გლეხკაცი ნადელად ჭერილს მამულს თუმცა ამუშავებს... მაგრამ ეს იმით კი არ მოსდის. რომ იმან გააუმჯობესოს მამული, წარმატებაში შეიყვანოს, არამედ მით, რომ დღე-დღიურად გამოიკვებოს თავი, გარჯასა და სიმხნევეს სიყრმიდგანვე მიჩვეული ცუდად არ დარჩეს და ავად თუ კარგად სხვისა ხელში შემაყურებელი არ გახდეს. თუ ეს ასე არ არის, აბა რომელი ნადელის მამული გინახავთ გაუმჯობესებული, რიგიანად შეჭუ-

---

[41] „მეურნე“, 1889, № 24, გვ. 4 — 5.

შავებული, და არა ისე უბრალოდ და სახელდახელოდ"-ო, ამთავრებს ავტორი [42].

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ნ. ველისციხელმა ამ თავის სტატიას ეპიგრაფად წაუმძღვარა ლ ე დ ი მ ო რ გ ა ნ ი ს სიტყვები: „მიეცით სალი-კლდე საკუთრებად მიწათმოქმედს და იგი გარდააქცევს მას ქვეყნიერ სამოთხედ; მიეცით მას რამოდენიმე ნაწილი ქვეყნიერის სამოთხისა მოკლე ვადით, და იგი გარდააქცევს მას უდაბნოდ".

როგორც ვხედავთ, ბურჟუაზიული მეწარმეობისა და საკუთრების მესიტყვენი თავგამოდებით იბრძვიან მიწათმფლობელობის კაპიტალიზმამდელი ფორმების წინააღმდეგ, ყოვლის ღონისძიებით ცდილობენ სახელი გაუტეხონ თემურ მიწათმფლობელობასა და მიწათსარგებლობას და მას მიაწერენ საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველგვარ ნაკლოვანებებს.

ათიოდე წლის გასვლის შემდეგ კიდევ უფრო ძლიერდება ბრძოლა თემური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, კიდევ უფრო მეტის დაჟინებით მოითხოვენ მიწების საბოლოო განაწილებას, გამიჯვნას. გაზ. „კვალის" კორესპონდენტი 1899 წ. წერდა, რომ საზოგადო მიწათმფლობელობის გამო ქიზიყში ხშირი იყო დავიდარაბა და სისხლისმღვრელი შეტაკებებიც-კი ცალკე კომლებს და სოფელთა შორის. „ამ დავას საზოგადოებათა შორის ბოლო მოუღო შარშანდელმა (1898) სოფლების გამოყორღვნამ; მხოლოდ ერთი სოფლის გლეხთა შორის კი დავიდარაბა ახლაც არის და თანდათან მატულობს. და ეს უფრო გაძლიერდება მანამდის, სანამდის საერთო მფლობელობას ბოლო არ მოეღებაო" [43].

ქვემოთ კორესპონდენტი ჩამოთვლის ქიზიყელთა ჩამორჩენილობის მაგალითებს და ყოველივე ამის მიზეზად თემურ მიწათმფლობელობას ასახელებს: „ქიზიყში აუარებელი ბალახი შეიძლება აიღოს კაცმა, მაგრამ ხშირად უბალახოდ რჩებიან ხოლმე და ზამთარში საქონელი გამოუკვებავად რჩებათ. საერთო მამულში გასათიბად ერთად უნდა შეიდნენ,

[42] „მეურნე", 1889 წ. № 9, გვ. 4.

[43] „კვალი", 1899 წ. № 10, გვ. 160.

მხოლოდ როცა ერთს სცალია, მეორე მოუცლელია. და უერთიერთმანეთოთ კი არ უშვებენ, ანკი ყველას ერთად როგორ მოაცლი. ხშირად ბალახში შესვლის დროს იმას უფრო სხვა საქმე აწუხებს ან ბეგარაზე არის გაწვეული, ან მოუკვდა ვინმე და სხვა. ბევრჯერ კი ერთმანეთის ცდაში ბალახი ბერდება, იქცევა და ფუჭდება: ან სულ ნახევარს ვეღარ იღებენ და თუ აიღეს, ისიც უღალო და უნოყიერო გაკაჭაჭებული, ფიტ გამოცლილი, უვარგისი. აი, ამიტომ ძალიან ბევრი სულ უბალახოთ რჩება. საკმარისია სულ მცირე სიცივეები და ხანმოკლე თოვლი, რომ საქონელი უჭმელობით გაწყდეს... ქიზიყელმა მიწა კიდევაც რომ გააუმჯობესოს, მერე რა იცის იმისი ნაამაგევი ვის დარჩება, ან რამდენი ხანი იქნება მის ხელში. ესევე ემართება საქონლის რიგიანათ და გონივრულათ მოვლა-მოხმარებაში. აქ ხშირად შეხვდებით გლეხს, რომელსაც 20 — 30 მეწველი საქონელი ჰყავს და რძე და მაწონი კი ენატრებათ ოჯახში. რა ქნას, სოფლის ახლოს საკუთრება (მიწა, საბალახო) არა აქვს, რომ მეწველი საქონელი მოათავსოს და შორიდან კიდევ, სადაც საქონელი მოუთავსებია, ვერ მოუტანია.-ქიზიყში მერძეობის მოწყობა ყოვლად შეუძლებელია. მეწველი საქონელი რომ მოიხმარო, საჭიროა ერთ ალაგას გააჩერო, ახლო-მახლო აძოვო და ზამთარში მაინც თივაზე დააყენო, რომ რძე მოიდგას და ეს კი აქ მოუხერხებელია. ოჯახი საკუთრებას მოკლებულია და საზოგადოება კიდევ არ დაუთმობს ან მარტო უგუნურობით, ან შურით და მტრობით. ერთმა შეგნებულმა კაცმა, რომელსაც შვეიცარიაში ჰქონდა შესწავლილი მეურნეობა, მოიწადინა კიდეც ესარგებლა თავისი საქონლით (60 მომგები საქონელი ჰყავდა) და მოეწყო მერძეობა ქიზიყში; ხან საზოგადოებასა თხოვა, ხან მთავრობას — ერთი 100 დღიური მაინც მომეცით სადმე ერთბაშად საძოვარი ალაგო, მაგრამ ვერას გახდა და თავის განზრახვასაც თავი დაანება. ქიზიყში 100 კი არა 500 დესეტინაც შეიძლება ერთად იხმაროს კაცმა, მაგრამ საერთო მფლობელობაშია და რასაც ერთს მოაცემინებ, იმას მეორე წაგართმევს...“

ქიზიყში „უბოსტნობაც ვიწის საერთო მფლობელობის ბრალია, რაც საბოსტნე და საბალე ალაგებია, სულ საერთო მფლობელობაშია. ორმა და სამმა რომ ბოსტნეულობის მოყვანა მოინდომონ, ვაშინ სხვები ხელს უშლიან, ან სახნავათ ნიშნავენ ამ ალაგს და ან სათიბათ დატოვებენ... საერთო მფლობელობავე უნდა იყოს... მიზეზი ტყეების შეუპოვრად გაჩეხვისა. იქ სადაც წინად ტყე იყო, — დღეს მისი ნიშანწყალიც აღარ ემჩნევა. ხშირად მომეტებულ ნაწილს უნდა ხელახლათ გააშენოს ტყე, მაგრამ როგორც კი ტყე ცოტა გაიზრდება — ერთი ვინმე შეერევა, მოჭრის და წაიღებს. რას უზამ? უჩივლებ! — გეუბნებიან: მოწილეა, ნება აქვსო. არ უჩივლებ და ხომ ჰკაფავს; ახლა სხვა იტყვის, რაკი ასეა მეც ვისარგებლოვო. ადგება და ისიც გაჰკაფავს. ამრიგად იჩეხება ტყეები და განსაცდელში ვარდება სოფელი...“

„მიწის საერთო მფლობელობაში უნდა იყოს მიზეზი იმისაც, რომ თვალუწვდენელ მინდვრებში ერთ ხეს ვერ შეხვდებით... ვისაც ყანის მკაში უნდა ჩრდილო დააყენოს, იმან ორი დღის სავალზე უნდა ხეები თან ატაროს ფანჩატურის ან საგრილობელის გასაკეთებლად. ხშირად მთელი დღე მუშა საგრილობელის გაკეთებას უნდება ხოლმე... ამისთანა მდგომარეობაშია დღეს ქიზიყის მიწათმფლობელობა და იმ დროს, როცა ძველებური ზნეჩვეულებათა წყობილება დღითი-დღე ირყევა, ხალხის მოთხოვნილება იზრდება, მოსავალი თვალსაჩინოთ მცირდება. ძველებურად მოწყობილი მეურნეობა აღარ აკმაყოფილებს გლეხს. ძველებური — ჩვენებური იარაღიც ვეღარ ასრულებს თავის მოვალეობას და თვით ერთგული მიწაც მოიღალა, გაცვდა, თხოულობს გაუმჯობესებას, გაპოხიერებას და უკეთესად მოწყობას და არც ერთი ეს არ შეიძლება, სანამ ეს საზოგადო მფლობელობა ისევ ძალაში დარჩებაო“, ამთავრებს კორესპონდენტი [44].

თემური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ ამგვარად დაწყებული მოძრაობა სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა; მით უმეტეს, რომ ხშირად თვით სოფელთა შორისაც

[44] „კვალი“, 1899 წ. № 10, გვ. 161 — 162.

მწვავე დავა ატყდებოდა ხოლმე მიწების გადანაწილების დროს. 1900 წ. 1 მაისის კანონის საფუძველზე გატარებული ღონისძიებით, შედარებით მტკიცედ განისაზღვრა მოცემული სოფლის სანადელო მიწები; ამავე და 1903 წ. 21 აპრილის კანონით აცილებული იქნა მთელი რიგი გაურკვევლობანი სათემო მიწათსარგებლობის საქმეში. მაგრამ ამ კანონებით მიეცა რა მთელ სოფელს განსაზღვრული სანადელო მიწები, ძველებურად ისევ სოფლის (თემის) ფუნქციად იქნა მიჩნეული თემის წევრ მეკომურთა შორის ამ მიწების განაწილება, რის გამოც ცალკე მეკომურთა შორის კვლავ ფართო გასაქანი დაურჩა სოციალური უთანასწორობის ნიადაგზე წარმომდგარ კერძო ინტერესთა ჭიდილს — ეკონომიკურად ძლიერ მეკომურთა მიერ სათემო მიწიდგან მეტი და უკეთესი ნაკვეთებით სარგებლობისაკენ მისწრაფებას.

მე-19 საუკუნის მიწურულიდან და განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან საერთოდ რუსეთში, როგორც პარტიკულარულ ისე ოფიციალურ წრეებში დაიწყო ფრიად ინტენსიური ქადაგება იმისა, რომ აუცილებელია თემური მიწათმფლობელობის საბოლოოდ ლიკვიდაცია, რადგან იგი აბრკოლებს სოფლის მეურნეობის კულტურული დონის ამაღლებას. 1905 — 1906 წ.წ. შესაბამისი კანონებით სახელმწიფო გლეხები შიგა რუსეთში გამოცხადებულ იქნენ კერძო მესაკუთრე გლეხებად, ე. ი. მათ სამუდამო მფლობელობაში გადაეცათ მათს დროებით სარგებლობაში მყოფი სათემო, სანადელო მიწები. 1911 წ. 29 მაისის კანონი წარმოადგენდა 1906 წ. 9 ნოემბრის კანონის შემდგომ განვითარებას და ხელს უწყობდა შიგა რუსეთის გუბერნიების სახელმწიფო გლეხთა მიერ სახაზინო მიწების ცალკე ნაკვეთებად (მთელი საკომლო მიწის ერთი მთლიანი ნაკვეთის სახით) დასაკუთრებას (отрубное хозяйство) და ამ გზით ხუტორული მეურნეობის (хуторное хозяйство) განვითარებას[45].

[45] ხუტორი (უნგრ. — hátar) განცალკევებული, მთლიანი კერძო საკომლო მიწათმფლობელობა, საკარმიდამოთი, სახნავითა და სხვა საჭირო შიწით, წარმოადგენდა კულაკურ მეურნეობას, რასაც აქეზებდა ცარიზმის ხელისუფლება.

არც ერთი ეს კანონი ამიერკავკასიას არ შეხებია, მიუხედავად იმისა, რომ თვით ცარიზმის ადგილობრივ ოფიციალურ სპეციალისტთა აზრითაც თემური მიწათმფლობელობიდან კერძო მფლობელობაზე გადასვლა აქ უფრო იყო ამ დროისათვის აუცილებელი[46]. ი. სეგალმა ადმინისტრაციის დავალებით დაწერა და 1912 წ. გამოაქვეყნა მთელი ბროშურა[47], რომლის ძირითადი მიზანია დაამტკიცოს, რომ თემურმა მიწათმფლობელობამ, როგორც რუსეთში, ისე ამიერკავკასიაშიც მოჭამა თავისი დრო და ახლა იგი მხოლოდ ხელს უშლის ამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

თითქმის ყოველგვარ უარყოფით მოვლენებსა და ბოროტებათ, რასაც კი ამიერკავკასიის სოფლებში ნახულობს ი. სეგალი, მსგავსად ნ. ველისციხელისა, ხსნის უმთავრესად თემური მიწათმფლობელობით, — იმდენად შეურიგებელია მისი ამხედრება მიწათმფლობელობის ამ ფორმის წინააღმდეგ: „ყველაზე ძლიერ მოქმედ მიზეზად ამიერკავკასიის გლეხური მოსახლეობის ეკონომიკური სიღარიბისა უნდა იქნას მიჩნეული თემური მიწათმფლობელობა, რაც საშუალებას უსპობს მიწათმომქმედს მიიღოს რაიმე ღონისძიება თავისი მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. ის რასაც ოდესღაც, სხვაგვარ პირობებში, შეეძლო ჰქონოდა სასარგებლო მნიშვნელობა, ამჟამად, გამოცვლილ პირობებში, იგი წარმოადგენს მხოლოდ მავნე გადმონაშთს, რომელიც ჩაგრავს მიწათმოქმედს“[48]. ავტორი აქ აღნიშნავს, რომ „ამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და ცენტრალურ საკითხზე ჩვენ დაწვრილებით შევჩერდებით ქვემოდო“. და, მართლაც, მთელი ბროშურის თითქმის ასი გვერდის მანძილზე იგი დიდის მონდომებით ამტკიცებს თემური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის აუცილებლობას.

---

[46] О. Семин. I. с., 92.

[47] И. Сегаль, „Крестьянское землевладение в Закавказье“, 1912 г., Тифлис.

[48] იქვე, 22, 60 — 61.

იგი მიწის თემურ მფლობელობაში ეძებს მიზეზს „ცალკეული გლეხთა კომლების მცირემიწიანობისა“[49]. მისი აზრით, თემური მიწათმფლობელობა „აბრკოლებს მეურნეობაში რაიმე გაუმჯობესების შეტანას“[50], — უსპობს გლეხს ინტერესს მიწათმოქმედებაში, რადგან „ქონება, რომელიც მრავალს ეკუთვნის, არსებითად არავის არ ეკუთვნის და მას ასეთუ ისე თავისუფლად იტაცებენ“[51]. — თემური მიწათმფლობელობის ბრალია მიწების მეტისმეტი დაქუცმაცება, რადგან გადანაწილების დროს ყველას თანაბრად უნდა მიეცეს სხვადასხვა ხარისხის მიწა, ე. ი. სხვადასხვა ადგილას მდებარე მცირე ნაკრები[52]. — აქედანვე გამომდინარეობს მიწის ნაკელით გასუქების სიძნელე—5—15 ვერსით დაშორებულ მიწის ნაკრებამდე ნაკელის მიტანა ძნელია და თანაც შეუძლებელი[53]; — თემურობა უსპობს რა გლეხს ინიციატივა-თაოსნობას, მითვე ხდის მას აპატიურად, უზრუნველად და ამიტომაც გულგრილად მიწის დამუშავებაში[54], — მიწის გადანაწილების დროს უკეთესი თუ უმჯობესი მიწის ხელში ჩაგდებისაკენ ყოველი კომლის მისწრაფება იწვევს მათ ურთიერთისადმი გადამტერებას, რითაც თემურობა „აღვივებს ანტისაზოგადოებრივ ინსტინქტებს, რაც შეუთავსებელია წესრიგისა და თანაცხოვრების მოთხოვნილებებთან“[55]; — მიწის გადანაწილების წინ ერთმანეთის შურით ბარბაროსულად ანადგურებდნენ ნარგავებს, ხეხილს, ვე-

[49] И. Сегаль, „Крестьянское землевладение в Закавказье“, 1912 г. Тифлис, 29 — 30.

[50] იქვე, 32 — 33.

[51] იქვე, 48 — 49.

[52] იქვე, 62 — 63.

[53] თბილისის გუბერნიის ერობის აგრონომი პ. კვიტკა მიწის ნაკელით გასუქების გაუვრცელებლობის მიზეზად, მსგავსად ი. სეგალისა, სათემო მიწების გადანაწილებას და სახნავთა სიშორეს ასახელებს. („Доклады губ. и обл. земских агрономов Закавказья...“, 1913, Тифлис, 251).

[54] И. Сегаль, l. c., 64.

[55] იქვე, 65.

ნახს [56]; — თემურობა არამცთუ აბრკოლებს, არამედ ხელს უწყობს სოფლის მოსახლეობის პროლეტარიზაციას [57], ბორკავს მიწათმოქმედების ფართო ინტენსიფიკაციას: „საერთო ღონისძიებად, რაც უნდა წინ უსწრებდეს ინტენსიურ სამიწათმოქმედო მეურნეობას, უნდა იქნას აღიარებული მიწაზე პირადი საკუთრების უფლების დაწესება“ [58]. ყოველივე ამის გამო რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოხდეს „თემური მიწათმფლობელობიდან გადასვლა ნაკვეთობრივ, ანდა თუნდაც მხოლოდ კომლობრივზე“ [59], ურომლისოდაც წარმოუდგენელია პროგრესი აქაურ მიწათმოქმედებაში და მოსპობა საადგილმამულო დავაჭრობისა, რაც ესოდენ კარდინალურ პრობლემას წარმოადგენს ამ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაშიო.

1913 წ. თბილისის გუბერნიის ერობის აგრონომი პ. კვიტკა, თავის მოხსენებაში არ უარყოფს რა თემური მიწათმფლობელობის ზოგიერთ ღირსებას, იქვე აცხადებს, რომ იგი ამავე დროს „წარმოადგენს არა მცირედ დაბრკოლებას სოფლის მეურნეობის კულტურის გაუმჯობესება-რაციონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის საქმეში. თვით გლეხები მიზეზად იმისა, რომ მიწას არ ანოყიერებენ და მინდვრებს ქვებისაგან არ წმენდენ, ასახელებენ თემობრივ გადანაწილებას. და გადანაწილებათა შეწყვეტის მომხრეებიც მრავლად მოიპოვებიან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთნი იმ აზრისა არიან, რომ ახალ აღწერამდე ამ საქმეში რა-მე რადიკალური ზომების მიღება შეუძლებელია. მრავლად არიან საერთოდ თემიდან გასვლის მომხრენიცო“ [60]. პ. კვიტკაც ქვემოთ დაასკვნის, რომ „ახლა დროებით-ვალდებულთა დამოკიდებულების შეწყვეტის შემდეგ, (გლეხებს) უნდა მიეცეს ფაქტიური შესაძლებლობა თემიდან გასვლისა, რათა

[56] И. Сегаль, l. c., 66.
[57] იქვე, 69 — 70.
[58] იქვე, 101 — 103.
[59] იქვე, 105.
[60] ДГЗА., 289.

ყოველ შემთხვევაში ზოგიერთებმა მაინც თავი დააღწიონ, როგორც მიწის გადანაწილების მავნე გავლენას, აგრეთვე არა ნაკლებ მავნე გავლენას იძულებითი თესლბრუნვისაო [61].

ასეთი იყო ცარიზმის ამიერკავკასიის ადგილობრივი ხელისუფლების უკანასკნელი სურვილი და მისწრაფება თემური მიწათმფლობელობის საკითხში.

ი. სეგალი პირდაპირ აცხადებს „თემურობის გაუქმების შემდეგ, ესე იგი როდესაც მიწა განაწილებული იქნება ნაკვეთების სახით გლეხთა კერძო საკუთრებად, თავისთავად გაჰქრება ზემოხსენებული უარყოფითი მხარეები მიწათმფლობელობისა. საკუთრების უფლების შეგნება არის პირველი და უძლიერესი მამოძრავებელი კულტურისა, მოთხოვნილება საზოგადოებრივი მორალისა. შეყვარება და დაცვა შეიძლება მხოლოდ საკუთრებისა — იმისა, რაც განუყოფელად გვეკუთვნის პირადად ჩვენ. ამიტომაც გასაგებია, რომ ადამიანს შეუძლია მხოლოდ საკუთარ მიწას მოახმაროს მთელი თავისი ენერგია და მთელი თავისი გონივრული შრომა“ [62].

ჩვენი მკითხველისათვის, რასაკვირველია, გასაგებია მთელი ამ „ღრმა მეცნიერული არგუმენტების“ ხასიათი, — რომ მთელი ეს მოძრაობა თემური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ ნაკარნახევი იყო სოფლად სავაჭრო მიწათმოქმედების შეჭრისა და განვითარების ინტერესებით. საერთოდ ცნობილია, რომ თემური მიწათმფლობელობა „ფეოდალიზმის მფარველობის ქვეშ განაგრძობდა არსებობას“ [63], მაგრამ ბურჟუაზიული თაოსნობა სოფლად უკვე ვერ ითმენს თემურობას. ამის შესაბამისად ჩვენშიაც იწყება ძალდატანებითი უზურპაცია თემის საერთო მიწებისა, რადგან თემური მიწათმფლობელობა ხშავს კერძო ინიციატივას, ანუ ნ. ველისციხელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საშუალებას უსპობს მიწათმომქმედს მიიღოს რაიმე ღონისძიება თავისი მეურნეობის გაუმჯობესებისათვის“ [64]. ეს გარემოება, ესე იგი სოფლად ბურ-

[61] ДГЗА., 290.

[62] И. Сегаль, I. с., 67.

[63] კარლ მარქსი, „კაპიტალი“, I, 667.

[64] „კვალი“, 1889 წ. № 10, გვ. 152.

ჟუაზიული მეწარმეობის შემდგომი განვითარება, ცხადია, გულისხმობს აგრეთვე კულაკური ელემენტების მხრივ გაღატაკებული და გაღატაკების გზაზე შემდგარი გლეხთა მასების მიწებიდან აყრას, საერთოდ სოფლელ წვრილმწარმოებელთა მზარდ ექსპლოატაციას, რასაც, ცხადია, აბრკოლებდა თემური მიწათმფლობელობა და რის გამოც კაპიტალიზმის ინტერესები მოითხოვდა თემურობის რაც შეიძლება მალე და მთლიან ლიკვიდაციას.

9. თემის მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლა

1880-იანი წლებიდან უკვე ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი შეიქნა თემური მიწების დატაცება, მათი „ძლიერთაგან ამა ქვეყნისა“ მიჩემება, თემის საერთო სარგებლობაში მყოფი მიწების კომლობრივი დასაკუთრება.

როგორც ჩანს, პირველ რიგში თვით სამოსახლო ადგილებთან, სოფლებთან და მათს მიდამოებში არსებული თემის სახნავი მიწების მიჩემება დაიწყეს. მაგალითად, თბილისის მაზრაში 1880-იანი წლების დამდეგისათვის ცალკე, ძლიერ, კომლებს უკვე მიტაცებული ჰქონდათ მათი კარმიდამოს მახლობელი სახნავები, ხოლო „უფრო მდარე ხარისხისა და კარმიდამოსაგან დაშორებული მიწების ნაწილი“ მაინც „რჩებოდა თემურ სარგებლობაში“ [1]. ამავე დროისათვის გორის მაზრაში „ცალკე კომლთაგან თანდათანი მიტაცების შედეგად სახნავად ვარგისი მიწის არც ერთი ნაჭერი არ დარჩა“ თემის საერთო სარგებლობაში. მთელს გორის მაზრაში, ს. მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ცნობით, ამ დროს მხოლოდ ორ სოფელში (გომსა და კავთისხევში) იყო შემორჩენილი 280 დეს. სათემო სახნავი.

ამგვარად, რეფორმიდან რაღაც ოციოდე წლის განმავლობაში არსებითად გაქრა თემური მიწათმფლობელობის მანამდე შემორჩენილი გადმონაშთები. როგორც საერთოდ ისე სახელმწიფო გლეხთა შორის გაჩნდნენ ბობოლა, შეძლებული

[1] МИЭБГКЗК. VI, 165 — 166.

გლეხები, რომელთაც სხვადასხვა ხერხით შესძლეს თემის მიწების დიდი ნაწილის მიჩემება.

1880 წ. ილ. ჭავჭავაძე წერდა: „არიან ახლა იმისთანა კომლეულნი გლეხთა შორის, რომელთაც დაუპყრიათ სოფლის მამულები ასის, ორასის დღისა და რომელთაც თავისი ხიზნები ჰყავთ, ყმებზედ უარესად შეწუხებულნი“. ილ. ჭავჭავაძე ამასთანავე აღნიშნავდა სახაზინო მიწების არათანაბარზომიერ განაწილებას თვით ცალკე სოფელთა შორისაც. „არიან იმისთანა სოფლებიცა, ოთხი-ხუთი კომლია და ხუთას-ექვსასი დღის სასოფლო მამულები აქვთ, მაშინ როდესაც მათ გვერდით სხვა სოფელია, საცა მიწა ენატრებათ და არ იციან ვიწროობისა გამო, რა ქნან და საით წავიდნენ“ [2].

სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფაცხოვრების აღმწერნი სხვადასხვანაირად ხსნიან მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის საკომლო, ნაკვეთობრივ (подворное, участковое) მფლობელობაში გადასვლა, ე. ი. კერძო საკუთრებად, ანუ უკეთ ვთქვათ მემკვიდრეობითს სარგებლობაში დაჩემება.

დამკვირვებელთა უმრავლესობა აცხადებს, რომ დაჩემება წარმოებდა იმ მიწებისა, რომელთა ასათვისებლად, ე. ი. სახმარ ანუ ვარგის (угодье) ფართობად გადასაქცევად, წინასწარ იხარჯებოდა შრომა მოცემული კომლის (ოჯახის) მიერ. ბაქოს გუბერნიის გეოგჩაის მაზრაში, როგორც ნ. აბელოვი აცხადებს, გლეხები პირადი შრომის დახარჯვის საფუძველზე მოიპოვებდნენ ხოლმე უფლებას მემკვიდრეობითს (სამუდამო) სარგებლობაში დაეჩემებიათ კარმიდამოს და ბაღის მიწები [3]. შრომისა და კაპიტალის დახარჯვის საფუძველზე საკარმიდამო (საეზოვე) მიწის დაჩემება ადათის მიერ გამართლებულია მაშინაც-კი, როდესაც ამ მიწაზე არავითარი მეურნეობრივი და საცხოვრებელი სადგომი არაა აღმართული.

---

[2] ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1941, II, 485.

[3] МИЭБГКЗК, VI, 45.

განჯის მაზრაში, იმავე ნ. ა ბ ე ლ ო ვ ი ს მოწმობით, გლეხს უხდებოდა დიდძალი მიწის გაზიდვა, კლდეების გასწორება, რათა გაეჩინა მცირეოდენი ნაკვეთი საეზოვე მიწისა[4], — რის გამოც ბუნებრივად მიაჩნიათ ამ საეზოვის გლეხის მუდმივ სარგებლობაში დარჩენა. მსგავს მოვლენას აღასტურებს პ. ი ა გ ო დ ი ნ ს კ ი ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზრაშიაც და ისიც სათიბი მიწის მიმართ, როდესაც ამ მიზნით მიწა გაწმენდილი იყო ტყისაგან[5]. პროფ. მ. კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი წერდა, რომ კავკასიის მთიელთა შორის „დასამუშავებლად ვარგისი მიწების იშვიათობა და აუცილებლობა მიწის დამუშავებაზე კაპიტალისა და შრომის დიდი დანახარჯებისა წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ უტილიზაციისათვის ვარგისი ფართობი მათში მთლიანად საკარმიდამო და ნაკვეთობრივ მფლობელობაში იმყოფება“[6]. აღსანიშნავია, რომ მიწის დაჩემების ერთ-ერთ საბაბად ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, სავსებით სამართლიანად, ასახელებს შრომის დახარჯვის ფაქტორს: მიწის „კერძოობრივ საკუთრების საბაბად შეიქმნა შრომა. მაგალითებრ, ვინც ახოს გამოიღებდა სათემო მამულში, შეეძლო დაეჩემა ახოდ გამოღებული მიწა კარგა ხნობით. მაგ. კარგა-ხნობამ თანდათან იქამდინ იარა, რომ ახო რჩებოდა კაცს, სანამ ცოცხალი იყო და ბოლოს საშვილიშვილოდაც გახდა. ვინც ცარიელს უხვარს მიწას სათემოში, ანუ ტყეს, შემოღობავდა შესამუშავებლად, იმას საშვილიშვილოდ შეეძლო დაეჭირა შემოღობილი. ამგვარი მიწები თემის ხელქვეითობიდან გამოდიოდა, ასე რომ თემს მათზედ აღარაფერი უფლება არა ჰქონდა; თვით სათემო გადასახადისაგანაც თავისუფალი იყო“[7].

მაგრამ არამცთუ შემოღობილი მიწა, არამედ, ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ზოგან შემოუღობავი მიწაც, რომელზედაც მოცემულ კომლს უკვე ყანა ჰქონია,

---

[4] МИЭБГКЗК, VII, 40.

[5] იქვე, II, I, 176.

[6] М. М. К о в а л е в с к и й, „Закон и обычай на Кавказе“, 1890, М., I. 61.

[7] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, VIII. 136.

ე. ი. დაუმუშავებია, უკანასკნელის უპირატეს სარგებლობაში გადადის: „ქიზიყში, თუ გარეკახეთში, სადაც სოფლებ-შორისაც არ არის დაყოფილი სახნავ-სათესი — ჰხნავ საცა გინდა და რამდენიც გინდა, მარტო არ უნდა მოჰხნა სხვისი ნასიმინდარი. — რათაო? რომ ჰკითხო ხალხს, გიპასუხებენ — ნასიმინდარი ვენახივით არის, მთელი წელიწადი შიგ თოხს ატრიალებს პატრონი და როგორ მოჰხნამს სხვა, ღმერთი არ არისო!?“ [8]. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სიმინდი შედარებით ახალი კულტურაა აღმოსავლეთ საქართველოში; აქ იგი განსაკუთრებით გავრცელდა სწორედ იმ ხანებში, როდესაც უკვე გაშლილი იყო ბრძოლა თემური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. და აი, როგორც ვხედავთ, ჩვენ საქმე გვაქვს ფრიად საინტერესო მოვლენასთან: თემურობის წინააღმდეგ მებრძოლი ელემენტები, სიმინდის ყანას უპირისპირებენ ხორბლისას (საერთოდ დანარჩენი, ამ მხარისათვის ტრადიციული, მარცვლეულისას) და, უკანასკნელისაგან განსხვავებით, სიმინდის ყანას, რაც აქ სულ უფრო და უფრო ავიწროებდა სხვა ხორბლეულს, ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სიმინდის დათესვის ფაქტით შესაძლებელი ხდება თემის ამა თუ იმ წევრმა დაიჩემოს თემის მიწის მოცემული ფართობის შემდეგში სარგებლობის უპირატესი უფლება [9].

დაახლოებით ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი ერევნის გუბერნიაშიც, სადაც 1860-იანი წლებიდან ასე თუ ისე ვარგისი მიწა და მნიშვნელოვანი ზომით კერძოდ პურეულის სათესი ფართობებიც ბამბამ დაიკავა და ამ სარწყავი მიწების (რაც აქამდე თემურ სარგებლობაში იყო) შემოღობვა, მაშასადამე, დაჩემება და დასაკუთრება მასობრივ ხასიათს ღებულობს[10].

---

[8] „ივერია“, 1882 წ. № 11, გვ. 78.

[9] პ. გუგუშვილი, „სიმინდის მეურნეობა ამიერკავკასიაში“ (მამ., 1946, VIII, № 4).

[10] СМЭБГК, I, I, 47 — 49.

უდავოა, მიწის საკარმიდამოდ ან ნაკვეთობრივად დიჩემების საქმეში მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა სარწყავ არხებზე კერძო საკუთრების უფლებაც. ადათობრივი სამართლით ამიერკავკასიაში საერთოდ შემოუღობავ მიწას, წყალს, ტყეს, საბალახოს უყურებდნენ როგორც სამეფოს, სახელმწიფოს, ფადიშაჰის, ღვთის მიერ მოცემულს და, ამგვარად, საყოველთაო სარგებლობისათვის დანიშნულ დოვლათს [11]. ვახტანგ VI კანონიც აცხადებდა: „ქვეყანაზე ეს სამი არ დაეჭირების კაცსა და ხელმწიფის არის: წყალი, შეშა და ბალახი“ [12]. მაგრამ ცალკე ოჯახის (პიროვნების) მიერ გათხრილი ჭა, გაყვანილი წყარო, მდინარის ბუნებრივი კალაპოტიდან გამოყვანილი სარწყავი არხი შეიძლებოდა გამხდარიყო ობიექტი კერძო საკუთრებისა [13].

ამრიგად, საქართველოში, როდესაც არხი (რუ) კერძო საკუთრება იყო, მაშასადამე, კერძო პირის მიწას რწყავდა, იგი (რუ) ამ მიწასთან ან მის ნაწილთან ერთად შეიძლება გაყიდულიყო კიდევაც. ვახტანგ VI კანონებში ნათქვამია: „სარწყავ წყალს, როგორც მამულს გაიყოფენ ძმანი, ისე წყალი იმდენ ნაკადათ გაიყოფისო“ [14]. შესაბამისად ამისა, ცხადია, სარწყავი ადგილმამულიც იყიდებოდა მისთვის აუცილებელ სარწყავ წყალთან ერთად. 1477 წელს გაცემულს მამულის ნასყიდობის ერთს წიგნში ნათქვამია: „მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული კრწანისს ვენახი... მისითა წყლითა, რა გუარაცა ამას წინათ ჰქონებიაო“ [15]. 1713 წ. ნასყიდობის სიგელითაც პატრონი მიწას ჰყიდის „თავისის წყლითა, რაც მოუნდებოდეს“ [16]. ცხადია, ასეთ პირობებში შესაძლებელი იქნებოდა მიწის უწყლოთაც

---

[11] პ. გუგუშვილი, „ირიგაცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (თ. ს. უ. შრომები, 1946, XXVII ტ).

[12] Сб. законов ц. Вахтанга VI, § 169.

[13] С. Егиазаров, I. с., I, 245—248, 253, 259.

[14] Сб. законов..., § 114.

[15] ნ. ბერძენიშვილი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალურ-ისტორიისა“, 1940, თბ., I, გვ. 3—4.

[16] საქართველოს სიძველენი, III, № 204, გვ. 246.

გაყიდვა. 1727 წ. გაცემულს მიწის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: მოგყიდეთ ვენახი ხოვლეს, „უწყლოთ მოგყიდეთ, შენის წყლით უნდა მორწყვიდე“ [17]. რაც შეეხება თემის საერთო სარწყავ არხებს, ამათი უზენაესი განმკარგულებელი მეფე იყო. „რომელ სოფელსაც მეფე უბრძანებს და დააჩემებს რუს, იმ წყალს ერთი მეორეს ვერ შეეცილებისო“, — აცხადებდა კანონმდებელი [18]. საერთო რუს გაყვანა, დაცვა, შეკეთება საერთო ძალებითვე სწარმოებდა [19].

აზერბაიჯანში, განჯის მაზრაში, როგორც ნ. ა ბ ე ლ ო ვ ი წერს, „კიაჰრიზის წყალი ჭების გამთხრელის სრულ საკუთრებას წარმოადგენს, რამდენადაც მის მოწყობაზე იხარჯება დიდძალი შრომა და კაპიტალი. კიაჰრიზების მფლობელები თითქმის მემკვიდრეობითი უფლებით ეწევიან ექსპლოატაციას, ჯერ ერთი, საზოგადო მიწის წიაღისა, და მეორე, მიწის ზედაპირის ერთი ნაწილისაც, რომელიც ირწყვის კიაჰრიზების წყლით, რის გამოც საზოგადოება (თემი) მოკლებულია შესაძლებლობას თავისუფლად განაგებდეს მის ნადელში მოქცეულ მიწასა და წყალს, როგორც საზოგადო სიკეთეს“ [20].

კიაჰრიზები განჯის გუბერნიის ჯევანშირის მაზრაშიაც, როგორც ამას ადასტურებს ა. ხ ა ნ-ა ზ ო ვ ი, კერძო პირებს ეკუთვნოდათ [21]. კიაჰრიზებს აკეთებდნენ აგრეთვე ნახჭავანის (ერევნის გუბ.) მაზრაშიაც. შუშის მაზრაში (განჯის გუბ.) 1880-იან წლებში დიდი კიაჰრიზები ჰქონდა ა ხ მ ე დ-ბ ე გ ჯ ე ვ ა ნ შ ი რ ს [22]. კიაჰრიზებიდან ქ. თბილისშიაც რწყავდნენ ბაღებს.

---

[17] საქართველოს სიძველენი, III, № 290, გვ. 339.

[18] Сб. законов... § 170; იხ. აგრეთვე, საქ. სიძვ. III, № 43 და 44, 83- 35 — 36.

[19] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „დასტურლამალი“, პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 67, 68; დ. ფ უ რ ცე ლ ა ძ ე, „Крестьянские грамоты“, 16, 37.

[20] МИЭБГКЗК, VII, 50; Д и н г е л ь ш т е д т, „Водовладение и ирригация“, I, 162.

[21] С. В е й с е н г о ф, „Сведения о состоянии орошения в Закавказском крае“, 37.

[22] СКОСХ, VI, 154.

ამიერკავკასიაში მუსლიმანური ადათობრივი სამართლით უფლება წყლით სარგებლობისა ზღუდავს (ჩრდილავს) უფლებას მიწათმფლობელობისას; წყალი (არხი, რუ) ყოველგვარი მფლობელის მიწაზე უნდა იქნას გაშვებული[23].

დაახლოებით ასეთივე შინაარსისა იყო საქართველოში მოქმედი ვახტანგ VI კოდექსიც: „წყალი ასრეა რომე, როცა ხელმწიფე რუს გატანას მოინდომებს... სადაც ეპრიანების, რუს თავს ვერავინ დაუშლის, სადაც რუს მოიხდენს ვენახში თუ ხოდაბუნში, რაც დახვდეს, გასჭრის და გაატარებსო“[24]. მაგრამ არამცთუ მეფეს, არამედ ყველა სხვასაც (მემამულეს, თემს, სოფელს) შეეძლო არხი თავისუფლად გაეყვანა, ოღონდ „რუს გამოღებაში რომ შუაში სხვის მამული ედოს, იმ შუას მამულის პატრონს თუ არა გაუკეთდება რა, ფასი უნდა მიეცეს“. ე. ი. ასეთს შემთხვევაში არხის გამყვანი მიწის პატრონს სასყიდელს უხდის არხით დაკავებული მიწისათვის. მაგრამ თუ არხის გაყვანით იმ მამულსაც შეუძლია სარგებლობა ნახოს, მაშინ არხის გამყვანი და „შუას მამულის პატრონი“ ერთმანეთში უნდა „კარგად მორიგდნენო“, ნათქვამია კანონში[25].

მაგრამ მე-19 საუკუნიდან ცარიზმის ადმინისტრაციისაგან ეფარველობით წაქეზებული მემამულეები (ბეგები, ხანები, მელიქები, თავად-აზნაურობა) არამც თუ ნებას არ აძლევდნენ თემებს (სოფლებს) გაეყვანათ არხები მათს მიერ მისაკუთრებულ მიწებზე, არამედ ხშირად ითვისებდნენ ძველ არხებს, რომლებიც ოდითგანვე თემის საკუთრება იყო, — განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მემამულეებს ასეთი არხების შეკეთება მოუხდებოდათ[26]. არხების მითვისებით მემამულეები საშუალებას უსპობდნენ სოფლებს დაემუშავებიათ სათემო

---

[23] В. Дингельштедт., I. c., I. 163; газ. „Кавказ“, 1881 г. №№ 109, 128 — 129.

[24] Сборник законов... § 170; ი. ანთაძე, „წყლის სარგებლობა და სარწყავი წყალი საქართველოში“ (კრებული, 1915 წ., 138).

[25] იქვე, § 244; შეადარე ბერძნ. კანონები, §§ 419, 420.

[26] С. Егиазаров, I. c., I, 251 — 253; МИЭБГКЗК, III, II, 65; VI, II, 357.

მინდვრები, რომელთაც ადრე თუ გვიან სარწყავი არხის ახალი მეპატრონე ითვისებდა. ცხადია, ბევრად უფრო პრეტენციოზული იყო როგორც წინათ, ისე მე-19 საუკუნეშიაც არხის გამყვანი მემამულის (თუნდაც სოფლის) მისწრაფება დაესაკუთრებია ამ არხით მორწყული, მაშასადამე, ამიერიდან სახმარად გადაქცეული მანამდე უვარგისი მიწა.

ხანებს ძალიან ხშირად საკუთარი ხარჯით, ანდა პირდაპირ მოსახლეობაზე გაწერილი საბეგრო შრომით, გაჰყავდათ არხები ტიალ („შევათ" — მკვდარ) მიწებზე და ითვისებდნენ ამ მიწებს კერძო საკუთრების („ხალისას") სახით. შემდეგ ხანებში ასეთ მიწებს იჯარით აძლევდნენ უმამულო გლეხებს. ერევნის სერდარი-კი, ასეთს გლეხს თუ სამიწათმოქმედო ინვენტარსაც მისცემდა, მიწას სანახევროდ აძლევდა[27]. საქართველოში, გორის მაზრაში, 1870-იან წლებში, გრ. ერისთავმა ატენის ხეობის სოფლებს წაართვა მდ. ტანას სარწყავი წყალი, რომელიც ზემოთ დააგუბა ტივების დასაცურებლად, ხოლო ქვემოთა სოფლებისათვის წყლის მიცემას მხოლოდ მაშინ თანხმდებოდა, თუ უკანასკნელნი წყლის ბეგარის გადახდას იკისრებდნენ. ე. ი. ამ შემთხვევაში მემამულემ მიითვისა არამცთუ ხელოვნურად გაყვანილი რუს წყალი, არამედ მთელი მდინარის — თუმცა პატარასი — სარწყავი წყალიც-კი[28].

მეორეს მხრივ, იგივე სარწყავი არხი, რომელსაც იგი თემის (სოფლის) საერთო მფლობელობაშია, ხელს უწყობს თემური მიწათმფლობელობის კონსერვაციას და აფერხებს თემის სოციალური დიფერენციაციის განვითარებას, — მდიდართა მიერ მევახშეობისა (ე. ი. მიწის დაგირავებისა) და სხვ. ხერხებით თემის ღარიბ წევრთა შემოლობილი, ე. ი. დაჩემებული მიწების მითვისების სახით რომ მიმდინარეობდა, — რამდენადაც ყოველ კომლს მორიგეობითი უფლება აქვს წყლით მხოლოდ გარკვეული, თანაბარზომიერი, რაოდენობით სარგებლობისა.

---

[27] И. Шопен, l. c., 958.

[28] გაზ. „გუთნის დედა", 1873 წ. № 5 და 6.

თემი „კულაკს რიგით კუთვნილი რაოდენობის გარდა ერთ წვეთ წყალსაც არ მისცემს, თუნდაც მისი (კულაკის) ბაღები ნათესებიანად ერთად დასაღუპავად იყოს განწირული“ [29]. მაშასადამე, კულაკი იძულებულია თავისი ბაღ-ვენახისა და ნათესის ფართობი შეუთანასწოროს კუთვნილი წყლის რაოდენობას. თუმცა, მართალია, კულაკს მაინც აქვს გამოსავალი: მის საკუთარ დანარჩენ მიწას იგი სანახევროდ აძლევს თანასოფლელს, რომელსაც უფრო ნაკლები მიწა აქვს, ვინემ შეუძლია მორწყოს კუთვნილი წყლით. გამდიდრებული გლეხები სწორედ ამ სახით გვერდს უვლიან ადათობრივ სამართალს.

* *

სხვა ფაქტორთა შორის, რაც საერთოდ ხელს უწყობდა მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლას, შეიძლება დასახელებულ იქნას ტოპოგრაფიული პირობაც, რაც იმთავითვე იწვევდა საკარმიდამოს გარდა სახნავ-სათესიც თემური მფლობელობიდან გადასულიყო კომლის მემკვიდრეობითს სარგებლობაში. საზოგადოდ „ეს ხდებოდა იქ, სადაც ამას, ასე ვთქვათ, ადგილმდებარეობა აიძულებდა: ვიწრო ხეობებში ან ზეგნებზე ჭაობებს შორის, როგორც, მაგალითად, ვესტფალიაში. შემდეგ ეს მოხდა ოდენვალდში და თითქმის ყველა ალპურ ხეობაში. აქ სოფელი, ისევე როგორც დღესაა (ფრ. ენგელსი წერდა 1881 — 1882 წ. წ.), გაფანტული ცალკე კარმიდამოებიდან შედგებოდა, თვითეულ მათგანს გარს მიკუთვნებული ველმინდორი ერტყა; ხელახალი განაწილება აქ ძნელი მოსახერხებელი იყო, და, ამრიგად, მარკის (თემის) განკარგულებაში მხოლოდ ახლო-მახლო მდებარე დაუმუშავებელი მიწა რჩებოდა. შემდეგ, როცა მნიშვნელოვანი როლი შოიპოვა უფლებამ კარმიდამოს მესამე პირზე გასხვისებისა, ასეთს მესაკუთრეებს უპირატესობა აღმოაჩნდათ“ [30].

სწორედ ანალოგიური გზით უნდა მომხდარიყო ამიერკავკასიის მთაგორიან ადგილებში მიწების კერძო პირთა ხელ-

[29] С. Егиазаров, l. c., II, 16 — 17, 156 — 157.

[30] ფრ. ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში“, 1932. თბ. 165.

ში გადასვლა. ცხადია, მიწის თემური მფლობელობისა და გადანაწილებისათვის არ იყო ხელსაყრელი პირობები იქ, სადაც მთის ფერდობებსა და ხევებში თითო-ოროლა, ხანაც ნახევარი დღიური და უფრო ნაკლები ფართობი მიწისა უნდა გამოეგლიჯა ადამიანს, როგორც იტყოდნენ, „მთების გულიდან" და დიდის წვალებით დაემუშავებია. მაგალითად, როგორც ი. ბ ა ხ ტ ა ძ ე ჯერ კიდევ 1884 წელს აგვიწერდა, რაჭაში გლეხი, „რათა მიწა დაამუშაოს, იძულებული ხდება (მთის ფერდობზე) საფეხურები ამოჭრას ზედ შესადგომად, ხოლო დიდ დაქანებებზე-კი თოკით ხეს მიებას და ასე, უფსკრულის პირზე დაკიდებულმა, იმუშაოს"[31].

* *

სათემოდან მიწების კერძო მფლობელობაში გადასვლა ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში, ცხადია, ხელს შეუწყობდა აგრეთვე მიწათმოქმედების ისეთი სახეები, როგორიცაა მევენახეობა, მებაღეობა (მეხილეობა), მეაბრეშუმეობა და ს ა ე რ თ ო დ მ რ ა ვ ა ლ წ ლ ი ა ნ ი კ უ ლ ტ უ რ ე ბ ი, რომლებიც მიწის ხშირსა და მოკლევადიან გადანაწილებას ვერ ითმენდნენ. ვენახს, ხეხილს, თუთის ხეს საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რათა გამშენებელს აუნაზღაუროს გაწეული დანახარჯები. აქ მიწების გადამიჯვნა, თუ მაინცადამაინც აუცილებელი იყო, მაინც იმთავითვე შედარებით უფრო გრძელ ვადებში უნდა ეწარმოებიათ. ამასთანავე ცნობილია, რომ გადანაწილების გრძელი ვადა (მაგალითად, 15 — 30 წელიწადი!) ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენდა, რათა ეს მიწა (ვენახი, ხეხილის ბაღი) მოცემული კომლის მემკვიდრეობითს, ხოლო შემდეგ სამუდამო მფლობელობაში, საკუთრებაში, გადასულიყო.

თემის მიწების შემოფარგვლისა და, მაშასადამე, დაჩემების (მისაკუთრების) ეს პროცესი ამიერკავკასიაში განსაკუთრებით დიდის სისწრაფით წავიდა წინ მე-19 საუკუნის 60-იანი

[31] МИЭБГКЗК, II, I, 17; СМЭБГК, I, I, 162 — 163.

წლებიდან. ეს იყო შედეგი სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებისა, კერძოდ მევენახეობის, მეაბრეშუმეობის, მეხილეობის პროდუქტთა ბაზრისა და, მაშასადამე, ამ კულტურებით დაკავებული მიწის ნაკვეთთა გაფართოებისა. მაგალითად, თბილისისა[32] და განჯის[33] გუბერნიის მევენახეობის რაიონებში ვენახი, როგორც უფრო შემოსავლიანი, ავიწროებდა მარცვლეულის ფართობს და როგორც უფრო მეტი დანახარჯის მომთხოვნი და შემოსავლის გვიან მომტანი და, ანგარად, ხანგრძლივი მოვლის მსაჭიროებელი, მ ო ი თ ხ ო ვ დ ა შემოღობვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისი ბუნების ძალით“ ვენახგაშენებული მიწა კერძო პიროვნების ხელში გადადიოდა.

ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე წერდა, რომ „ვენახისა და ხეხილის გაშენება ცოტა ადგილს და დიდს გარჯას, დიდს ხარჯს, დიდს დროს თხოულობს. ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ... გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს“[34].

ერევნის გუბერნიის ნახჭევნის მაზრაში, როგორც ნ. ნ ი კ ი ფ ო რ ო ვ ი აღნიშნავდა, გლეხები, რომლებიც „მებაღეობას მისდევენ, ხშირად თანმიმდევრობით აფართოებენ თავიანთს ბაღებს სახნავის ხარჯზე და მიწების შემდგომი გადანაწილებისას ამ დასაყოფი მიწის ფონდში შედის სულ უფრო და უფრო ნაკლები ფართობი სახნავი მიწისა; ვენახებისა და ბაღების გადანაწილება-კი არ წარმოებს“[36]. თ. მ ა რ კ ო ვ ს აღწერილი აქვს მაგალითები მთელ რიგ სოფლებში,

---

[32] СМЭБГК, II, 399 — 402.

[33] И. С е г а л ь, „Крестьянское землевладение...“, 43, 58 — 59; СМЭБГК, III, II, 29 — 36.

[34] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, VIII, 216.

[35] МИЭБГКЗК, I, 547.

[36] იქვე, III, I, 44.

შემოღობვის მასობრივი ხასიათის გამო, მიწის თემური სარგებლობის და, მაშასადამე, გადანაწილების საბოლოოდ შეწყვეტისა. ერევნის მაზრის „სოფ. დოქხუზში 1881 წელს ორივე სქესის სულთა რაოდენობის მიხედვით მიწის უკანასკნელი გადანაწილების შემდეგ, ყოველმა ოჯახმა შემოღობა თავისი ნაკვეთი და ამჟამად (1887 წ.) დოქხუზის მიდამო (დაახლოებით 200 დესეტინა) როგორღაც წარმოადგენს მხოლოდ საეზოვეებს“ [36]. ს. ეგიაზაროვი ადასტურებს, რომ დოქხუზი ამ მხრივ სრულიად არ წარმოადგენდა გამონაკლისს ერევნის გუბერნიაში.

უკვე 1890-იანი წლების მიწურულს სახაზინო, ე. ი. თემის მიწის „ბაღად გადაქცევამ“ და ამ სახით მითვისებამ მასობრივი ხასიათი მიიღო მდ. არაქსის ხეობის სოფლებში. რ. დანილოვიჩი წერდა, რომ აქ „ტყეებსაც-კი შემოღობავენ ხოლმე და ბაღს არქმევენ, თუმცა შიგ არ გვხვდება ხილის არც ერთი ხე და არც ერთი ძირი ვაზი“ [37]. წარმოებდა აგრეთვე სათესი მინდვრების შემოღობვაც და ასეთი „ბაღი“ მრავალია სოფ. დიდ შაგრიარში, რომლის მცხოვრებნი ცდილობენ ერთიმეორეს გამოეყონ ღობეებით (ყორეებით). ერთმა ხანმა ერევნის ერთ-ერთ უნაყოფო ველზე მაღალი გალავნით შემოზღუდა ვრცელი ტიალი მიწა, სადაც არამცთუ ხეებს, არამედ ბირკსაც (репейник)-კი არ შეუძლია გაიხაროს, „და დაარქვა მას ბაღი“ [38]. ამგვარად შემოღობვის, ე. ი. ბაღად გამოცხადების სახით წარმოებდა თემის მიწების დაჩემება, დასაკუთრება, რათა „ხორბლის ყანა ჰქონოდათ საკუთარ მიწაზე“.

თემის მიწების საბოლოო დანაწილების, ე. ი. დასაკუთრების ასეთივე პროცესში მიმდინარეობდა განჯის გუბერნიაშიაც [39]. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაცია და ბურჟუაზიული მეცნიერების ადგილობრივი წარმომადგენლები იცავენ და

---

[37] РТКЭЖД, 684.

[38] იქვე, 685..

[39] И. Егиазаров, I. c., I, 154.

აქეზებენ ამ პროცესს. ცნობილი ი. ს ე გ ა ლ ი 1912 წ. წერდა: „ყოველგვარი ძვირფასი კულტურა, რაც ცხელ ჰავას ახასიათებს და თავისი არსებობისა და განვითარებისათვის განსაკუთრებული შრომისა და დიდი დროის დახარჯვას მოითხოვს, თავისი ხასიათით არ შეიძლება დაუქვემდებარდეს გადანაწილებას, და შესაბამისი მიწები, აუცილებლად უნდა ამოღებულ იქნას თემური სარგებლობიდან, იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ეს მიწები კერძო მეურნეთა მიერ მითვისებულია დატაცების გზით თემის მიწებიდან“[40].

თავისთავად იგულისხმება, რომ „მებაღეობის, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის და ზოგან კიდევ მებამბეობის პროდუქტთა წარმოება მოითხოვს მიწის ნაკვეთობრივ მფლობელობას“ [41]. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სპეც-ტექნიკურ კულტურათა, მაშასადამე, ნაკვეთობრივი (კომლობრივი — подворное) მიწათმფლობელობის განვითარების ტემპს 1870 — 1890-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში აძლიერებდა რკინიგზების გავლენაც, რამაც, როგორც თავის ადგილას გვაქვს ნაჩვენები, უმნიშვნელოვანესი ცვლილებები გამოიწვია საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

* *

თემის, სახელმწიფო მიწების ძალით დაჩემება-მისაკუთრებაც წარმოებდა. ამა ქვეყნის ძლიერთაგან საერთო მიწების ძალით დაჩემება ძველთაგანვეა ცნობილი. „ავაზაკურად, მიტაცებით“, როგორც თემის მიწების, ისე ეკლესია-მონასტრის მამულების დაჩემების ფაქტები საქართველოში ცნობილია, მაგალითად, მე-11 — 12 საუკუნეთა საისტორიო წყაროებითაც [42]. მაგრამ თემის მიწების დაჩემებას, მისაკუთრებას მასობრივი ხასიათი უფრო გვიან უნდა მიეღო. ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე აღნიშნავს, რომ „ყველგან დიდკაცობამ ღონითა და

[40] И. С е г а л ь, „Крестьянское землевладение...“, 43, 52.

[41] იქვე, 59, 101 — 102.

[42] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული სამართლის ისტორია“, II, II, 409—412.

მძლავრობით დაიჩემა მიწები და უღონო გლეხნი ცარიელზედ გაიყვანა[43]. ამიერკავკასიის ყოფილ სახანოებში, სადაც თითქმის მთელი მიწები სახელმწიფოს, ფადიშაჰის, მფლობელობის წარმოადგენდა, პრივილეგიურმა ოჯახებმა, ბეგებმა, მელიქებმა, ხანებმა მძლავრობით და მზაკვრობით მიითვისეს დიდძალი მიწები.

1826 წელს მუსტაფა შირვან-ხანის ირანში გაქცევის შემდეგ ცარიზმის ხელისუფლებამ „მისი მამულები", ძერძოდ ფით-დაღი (500 დესეტინა) სახაზინოდ ჩარიცხა[44]. შემდეგში ეს მიწები გადავიდა სახელმწიფო გლეხთა ხელში—სანადელო მიწის სახით. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ამ მიწებს დაეპატრონა მუსტაფა-ხანის შვილიშვილი რაშიდ-ხან შირვანელი, რომელიც მიისწრაფოდა აქ დასახლებული გლეხებიც (რაიიებიც) თავის ყმებად გაეხადა. ბოლოს, 1898 წელს, მოსყიდული მოწმეების დახმარებით, მან შესძლო ქ. ბაქოს საოლქო სასამართლოსათვის დაემტკიცებინა, რომ ხსენებული მამული დიდი ხანია რაც იმყოფება მის ფაქტიურ მფლობელობაში[45].

განჯის გუბერნიაშიც (მაგალითად, ჯევანშირის მაზრაში), როგორც ა. ხან-აგოვი წერს, „სახაზინო ქონების ბეგთა ხელში გადასვლა ხდება მიტაცების გზით, რაც ფრიად სხვადასხვანაირი ხერხით წარმოებს. მიტაცების ყველაზე გავრცელებული ხერხია დახმარება ცრუ-მოწმეებისა, რომელთა მოსყიდვა შეიძლება ფრიად უმნიშვნელო ჯილდოს მიცემით. მიტაცების მეორე ხერხი, რაც განსაკუთრებით ხშირად იჩენდ თავს ძველად, ხორციელდებოდა დახმარებით ყალბი დოკუმენტებისა, რომელთა ფაბრიკაცია ადგილობრივადვე წარმოებდა"[46].

გენ. პ. ციციანოვის მიერ მოსყიდულმა ირანის ჯარის იუზბაშებმა ძმ. გაბრიელ და ოჰანეს გეგეშიანცებმა 1804

---

[43] ილ. ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII. 140.
[44] АСКАК, VI, I, 502.
[45] газ. „Нов. Обозрение", Тифлис, 1898 г., № 4912.
[46] МИЭБГКЗК, VI, II, 364.

წელს ერევნის სახანოდან საქართველოში გადმოიყვანეს სომეხი გლეხები. უკანასკნელნი, პ. ციციანოვის განკარგულებით, დაასახლეს სახელმწიფო მიწაზე. გეგემიანცები მიისწრაფოდნენ, რათა ეს გლეხები საკუთარ ყმებად გადაექციათ, ხოლო მათი სანადელო მიწები კიდევ — მამულად. გენ. გუდოვიჩი უხსნიდა გლეხებს, რომ გეგემიანცები მათი მხოლოდ უფროსები არიან და არა ფეოდალური მებატონეები[47]. მაგრამ გეგემიანცებმა მალე რუსეთის აზნაურთა წოდება მიიღეს და მიაღწიეს იმას, რომ იმპერატორის ბრძანებით (1810 წ.) მათ მიერ ჩამოყვანილ გლეხებზე გაწერილი გამოსაღების ერთი მეათედის მიღების უფლება ებოძათ[48].

იმპერატორის ეს ბრძანება, ცხადია, შემდეგში საფუძვლად დაედებოდა ხსენებულ გლეხთა ნამდვილ ყმებად გახდომას და, მაშასადამე, მათი სანადელო (თემის, ხაზინის) მიწების აზნაურის მამულად გადაქცევას, მიუხედავად სრულიად სომეხთა პატრიარქის ნერსესის მტკიცებისა, რომ უძველესი დროიდან სახელიც-კი „ყმისა არ ყოფილა ცნობილი სომეხ ხალხში და არც ახლა არის იგი არც ირანში... არამედ მხოლოდ საქართველოშია“[49].

* *

თემის მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლის პროცესს აჩქარებდა მ ე ვ ა ხ შ ე ო ბ ა ც — დაგირავებული (დაწინდეული) მიწის, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, გაყიდვის ან თვით კრედიტორის ხელში გადასვლის მეოხებით.

ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე ჯერ კიდევ 1878 წ. წერდა: „როგორც უკვე ცნობილია, ამიერკავკასიის ბევრ ოლქებში და მაზრებში გლეხობა სრულ ბატონყმურ მდგომარეობაში ჰყავთ მ ევახშეებს. როცა გლეხს ესაჭიროება 10 — 20 მანეთი საოჯახო საჭიროებისა ან „სანადელო“ ბეგარისათვის, ანდა სხვა გადასახადებისაგან, მევახშე აძლევს მას საჭირო თანხას იმ პირობით, რომ გლეხმა პროცენტად უხადოს ყოველწლიურად, ნატურით,

[47] АСКАК, III, № 469, стр. 265.
[48] АСКАК, IV, № 717, стр. 498.
[49] „Кавказская Старина“, 1872 г., Тифлис, № 1. стр. 26.

თვითეულ 10 მანეთზე ორ-ორი გუდა ღვინო (ე. ი. რასაც ერთი ცხენი ზიდავს ერთ წაღებაზე), ანდა ზღაპრული რაოდენობა ხორბლისა. ეს ნამთავნი (სარგებელი), ფულად რომ გამოვხატოთ, 100 პროცენტზე მეტი გამოვა. თვითონ მთავნი კი თითქმის უკუნითი-უკუნისამდე რჩება გადაუხდელი. დროთა განმავლობაში გლეხი იმდენად ებმება ამ გადასახადთა ულელში, რომ მთელი მისი მოსავალი მიდის მევახშეთა დასაკმაყოფილებლად. გადაუხდელი ვალი კი იზრდება ყოველწლიურად და ამ გზით, გაამბოკარებულ გლეხთა გვერდით, იქმნება ორიგინალური მემამულეები მევახშეთაგან, რომლებიც ცხოვრობენ გლეხების შრომით...“[50], მაგრამ საბოლოოდ ვალს მაინც გადახდა უნდოდა. როდესაც მევახშეები შეუდგებოდნენ გასესხებული ფულის განაღდებას, დაიწყებოდა „საჯარო ვაჭრობით გლეხთა მიწების გაყიდვა“. ამგვარი საჯარო ვაჭრობით „გლეხთა მევალეები ჰყიდიან არა თუ თავიანთ მოვალეთა კერძო საკუთრებას, არამედ იმ ს ა ხ ა ზ ი ნ ო მიწებსაც, რომელნიც დასამუშავებლად ჰქონდათ გლეხებს აღებული“ [51]; და არამცთუ სახაზინო მამულს, არამედ, წინააღმდეგ სათანადო კანონმდებლობისა, — „რომლის ძალითაც არც ერთ მევალეს არა აქვს უფლება გაუყიდოს ს ა მ უ შ ა ო ი ა რ ა ღ ე ბ ი ისეთ პირებს, რომლებიც საკუთარი შრომით ირჩენენ თავს“,—„მეტისმეტად ერთგული სასამართლოს ბოქაულები“ ვალში „უყიდიან გლეხებს უკანასკნელ მუშა-საქონელს და უკანასკნელს კავს. სწორედ ამგვარადვე წარმოებდა აღწერა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვა იმ ღვინისა და ხორბლის მარაგის, რომელიც აუცილებელი იყო გლეხის ოჯახის გამოსაკვებად; და ამით არღვევდნენ კანონს, რომლის ძალით აკრძალულია ვალში გაიყიდოს ან აიწეროს პირველი მოთხოვნილების საგნები...“[52].

მართალია, შესაბამისი კანონმდებლობა კრძალავდა სახელმწიფო გლეხის მიერ სანადელოდ მიღებული სახაზინო

[50] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, 1932 წ. ტფ., II, 246 — 274.

[51] იქვე, 247.

[52] იქვე, 247 — 248; იხ. აგრ. გაზ. „Обзор“, 1878 г. Тиф. № № 212, 226, 246, 314.

გლეხური თემის არაწევრზე გასხვისებას, მაგრამ სინამდვილე სულ სხვა გზით მიდიოდა და თემის წევრთა ხელიდან მევახშეობის მეოხებით ბაღ-ვენახი და სახნავიც-კი, ადრე თუ გვიან, გადადიოდა მევახშის ხელში ანდა საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა მევალის სარჩელის საფუძველზე. სოფ. ალის (გორის მაზრა) სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობის შესახებ 1883 წ. „დროების„ კორესპონდენტი წერდა, რომ აქ „ბევრი წილი სახელმწიფო მამულისა უსაბუთოდ უჭირავთ მეორე გილდიის მოვაჭრეებსა და გლეხები კი მიწის ნაკლებობას გრძნობენ აქაც, როგორც ბევრგან სხვაგან. ზოგს, ვისაც არ ეკუთვნის, ოცი დღის მამული უჭირავს და ზოგს ერთი დღიურიც არ აქვს“[53]. სახაზინო მიწების გასხვისების ამგვარი ფორმა განვითარებული და გავრცელებული იყო ამიერკავკასიის თითქმის ყველა კუთხეში.

თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში მცხოვრებ 9.500 კომლ სახელმწიფო გლეხთა შორის 317 კომლის მიერ დავალიანების გამო სახაზინო-სანადელო მიწებიდან გასხვისებულ იქნა 494 დესეტინა ბაღ-ვენახი; აქედან 127 დეს. შეიძინეს სასულიერო წოდების პირთ, ხოლო არაგლეხთა წოდების სხვა წარმომადგენლებმა — 367 დეს.[54] თელავის მაზრაში ამავე გზით გასხვისებულ იქნა 392 დეს. მიწა. მსგავსი მოვლენები აღნიშნულია ამიერკავკასიის ყველა გუბერნიაში[55].

ვენახის გადასვლა გლეხის ხელიდან სოფლისათვის უცხო პირის ხელში მეტად ცუდ გავლენას ახდენდა საერთოდ თემის მდგომარეობაზედაც. ვენახის ახალი პატრონი — ვაჭარი (სირაჯი), მევახშე, თუ ხუცესი — მონაწილეობას არ ღებულობდა თემის საერთო ბეგარების გადახდაში; ხოლო გლეხი, რომელიც ჰკარგავდა ვენახს, მითვე, ცხადია, ჰკარგავდა ბეგარის გადახდის საშუალებას და, ამრიგად, სახელმწიფო თუ საერობო გადასახდელის ის ნაწილი, რომელსაც აქამდე იგი იხდიდა, ახლა

[53] „დროება“, 1883 წ. № 166.

[54] МИЭБГКЗК, IV, II, 244.

[55] М. Кучаев. „Ростовщичество в среде крестьянского населения Закавк. края“, 30 — 32.

(ურთიერთპასუხისმგებლობის საფუძველზე) საერთოდ თემს უნდა ეკისრა. მაშასადამე, თემს აკლდებოდა საერთოდ შემოსავლის წყარო — წარმოების საშუალებები, ხოლო ბეგარები კვლავ ძველი ზომით და, უფრო ხშირად, მეტი რაოდენობითაც უნდა გადაეხადა[56]. მევახშეობა მრავალმხრივ მოქმედებდა თემურობის დაშლის საქმეში.

მევახშის ვალის მეოხებით გლეხი ჰკარგავდა არა მარტო ვენახს, არამედ სახნავს და ეზოსაც. ჩვეულებრივად მიწის საბოლოოდ დაკარგვას წინ უსწრებდა მისი დაგირავება კრედიტორისათვის, რომელიც ამ მომენტიდან მიწის ფაქტიური პატრონი ხდებოდა: ღებულობდა მიწის მთელ შემოსავალს, როგორც სარგებელს გაცემული სესხისა, მაშინ როდესაც მიწას ძველებურად ისევ გლეხი ამუშავებდა. მაგალითად, ახალციხის მაზრაში „ფრიად განვითარებულია ფულის გასესხება უპროცენტოდ, მაგრამ ვალის გადახდამდე მოვალეს მიწის გარკვეული ნაკვეთი უნაცვალგებოდ უნდა გადაეცა კრედიტორისათვის. ასეთი გარიგება ჩვენში გადმოვიდა თურქეთიდან და ატარებს სპეციალურ სახელს „ახჩა პაიდასზ", ე. ი. „ფული უპროცენტოდ". 1895 წელს მხოლოდ ერთ ბარალეთის თემში ამ ფორმის სესხით დავალიანებული ყოფილა 136 კომლი, რომელთა ხელიდან 217 დღიური სახნავი მიწა 3289 მან. ვალისათვის გადასულა კრედიტორთა სარგებლობაში. ყოფილა შემთხვევები, როდესაც 1 დღიური მიწა კრედიტორის სარგებლობაში გადადიოდა 6—7 მან. სესხისათვის[57]. გასაგებია, რომ ამ სახით მევახშის სარგებლობაში გადასული მიწის უდიდეს ნაწილს გლეხობა სამუდამოდ ჰკარგავდა. ადრე თუ გვიან მიწა საბოლოოდ მევახშეს რჩებოდა, მით უმეტეს, რომ, როგორც ს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი გადმოგვცემს, კერძოდ თბილისის მაზრაში, ვალი იწერებოდა ნამდვილზე ოთხ-ხუთჯერ მეტი ზომით: „40 მან. სესხის დროს გირავნობის ბარათში ვალი აღინიშნება 200 მან., ან კიდევ მეტი რაო-

[56] КСХ, 1897 г. № 166, стр. 170 — 171.

[57] Л. П. Г у к а с я н ц, „Ростовщичество в Ахалцихском уезде", (КСХ, 1899 г. № 266 стр. 102 — 103).

დენობით“ [58]. გირავნობის ასეთი ფორმა გავრცელებული იყო განჯისა და ბაქოს გუბერნიებშიაც.

ერევნის გუბერნიის სხვადასხვა თემში გლეხებმა უჩვენეს (1900-იანი წლების დამდეგს), რომ „ამჟამად თითქმის ყოველ სოფელში მეკომურთა საერთო რიცხვის ერთი მესამედი ან ორი მესამედი დავალიანებულია...“. მათი ვალები სულ იზრდება და მიწებიც გადადის მევახშეთა ხელში[59].

1912 წელს ი. ს ე გ ა ლ ი ადასტურებდა, რომ „მიწების, უმთავრესად სახნავის, გადანაწილების გრძელმა ვადებმა დანერგეს გლეხთა შორის ჩვეულება თემის მიწის არა მხოლოდ თავისი თემის წევრისათვის, არამედ სოფლისათვის სავსებით უცხო პირებისათვისაც დაგირავებისა და მიყიდვისა. ამან... გავლენა მოახდინა თემის მიწების ფართობის შემცირებაზე და ფრიად მრავალ სოფელში შექმნა უაღრესი დაქუცმაცება მიწებისა[60]. თემის მიწების ყიდვა-გაყიდვამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ ჯერ კიდევ 1891 წელს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა კავკასიაში წინადადება მისცა სამინისტროს ადგილობრივ წარმომადგენელთ, რათა გლეხთა სანადელო მიწებზე მცხოვრებ პირებს, რომლებიც არ ეკუთვნიან მოცემული სოფლის (თემის) ძირითად მკვიდრთ, ხელწერილი ჩამოართვან, რომ ისინი ცხოვრობენ ხაზინის, ანუ თემის მიწაზე და დაავალდებულონ ასეთნი, რათა ხაზინას ანდა თემს — სურვილისამებრ — უხადონ ღალა. როგორც ჩანს, ამ ღონისძიებამ გლეხთა მრავალი სანადელო მიწა იხსნა გასხვისებისაგან[61], მაგრამ უპირატესად მხოლოდ ფორმალურად.

თუმცა საბოლოოდ, ცხადია, ასეთი ზომები მდგომარეობას ვერ უშველიდა და რაკი გლეხი ერთხელ ჩავარდებოდა მევახშის ხელში, მას გამოსავალი უკვე დახშული ჰქონდა: სარგებელი (პროცენტი) გამუდმებულად იზრდებოდა და ვადის ცრა

[59] ТМКСХП, LII, 616.

[60] И. Сегаль, „Крестьянское землевладение...“. 46.

[61] იქვე, 47; КСХ, 1899 г. № 266, стр. 103.

ერთგზის გადაცილების გამო, კაპიტალზე (თავნზე) პირგასამტეხელოს მიმატებით, დროთა მსვლელობაში ისეთ სიდიდეს აღწევდა, რომ გლეხს არავითარი საშუალებით არ შეეძლო მისი გადახდა და მიწა, ხშირად მიწათმოქმედების ინვენტართან ერთად, გადადიოდა მევახშის ხელში, თუმცა ძველებურად ირიცხებოდა ისევ გლეხზე, რომელმაც იგი (მიწა) მიიღო თემის მიწების გადანაწილების დროს. ამ სახით მრავალ სოფელში თემის მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი გადადიოდა მევახშეთა ხელში ანდა იყიდებოდა საჯარო თუ ფარული ვაჭრობით და, მაშასადამე, გადადიოდა თემისათვის უცხო პირთა ხელში, ე. ი. ადრე თუ გვიან, მოსწყდებოდა რა თემის (ხაზინის) მიწების ფონდს, იქცეოდა კერძო საკუთრებად.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ როგორც გინდ ძლიერი არ ყოფილიყო 1880-იანი წლებიდან მოყოლებული თემური მიწათმფლობელობის დაშლის პროცესი, მისმა გადანაშთებმა მაინც მოაღწიეს თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და, ამგვარად, ასახვა ჰპოვეს საბჭოთა მიწის კოდექსში[62].

---

[62] აქ, მესამე თავში, — „მიწის სათემო სარგებლობა", — სახელდობრ ვკითხულობთ: „68. მიწის სათემო სარგებლობის დროს თვითეულ კომლს უფლება აქვს ისარგებლოს მიწის არა უმეტეს 64 მუხლით დაწესებული ნორმისა (ამ მუხლში განსაზღვრულია სერთოდ 1 კომლისათვის დასატოვებელი მიწის ნორმა);

69. წესები მიწის ხელახალი თანასწორი დაყოფისა განისაზღვრება თემის საადგილმამულო წესდებაში, სადაც აღნიშნულ უნდა იქნეს ხელახალი დასაყოფი მიწები, ვადა ხელახლად დაყოფისა და წესი საერთო სარგებლობაში დარჩენილი მიწების გამოყენებისა.

70. მიწის სათემო სარგებლობის მონაწილეს ნება აქვს ყოველ დროს გამოვიდეს სათემო მიწის სარგებლობის ფარგლებიდან და ცალკე სარგებლობისათვის მიიღოს მიწის ხვედრი ნორმა.

71. უკეთუ სოფელმა უარყო მიწის სათემო სარგებლობის წესი, გადავიდა ნაჭრობითი მიწის სარგებლობაზე, მაგრამ შემდეგში კვლავ მოისურვა სათემო წყობილების შემოღება მიწის სარგებლობაში, თხოვნა ამის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამას მოითხოვს სოფლის მეკომურთა არა ნაკლებ სამი მეოთხედისა; ყოველ შემთხვევაში, მათ ვინც არ იქნება თანახმა სათემო წესის დაბრუნებისა, შეუძლიანთ დაიტოვონ თავიანთი მიწები ცალკე სარგებლობაში ან მიიღონ

კ. მ ა რ ქ ს ი გვასწავლის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, როდესაც წარმოების საფუძველს სოფლის მეურნეობა და შრომის ძირითად პირობას მიწა წარმოადგენდა, საკუთრების სხვაგვარი ფორმები არსებობენ[63] და „მიწის თავისუფალი კერძო საკუთრება — სულ ახალი დროის წარმოშობის ფაქტია"[64].

ამასთანავე, როგორც ფ. ე ნ გ ე ლ ს ი აღნიშნავს, თემმა ეკონომიკურად ნამდვილად დრო მოჭამა და როგორც მიწათმოქმედურმა წარმოების ფორმამ ცხოველმყოფელობა დაჰკარგა მხოლოდ მას მერმე, რაც მე-19 საუკუნეში სოფლის მეურნეობის გიგანტურმა პროგრესმა მიწათმოქმედება მეცნიერულ დისციპლინად გადააქცია და შექმნა წარმოების სრულებით ახალი ფორმები[65].

კ. მ ა რ ქ ს ი ს ა და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ს შეხედულებით თემი და საერთოდ თემური ყოფიერება თანდათანობით იცვლებოდა ისტორიული ევოლუციის შესაბამისად. თემობრივობას საფუძველს უთხრიდა კერძო საკუთრების განვითარება და, ამდენადვე, კლასობრივ საზოგადოებაში სოფლის თემის მთელი ორგანიზმი გაჟღენთილი იყო დუალიზმით[66], თუმცა, ცხადია, თემის შიგნით კერძო საკუთრების ზრდა კიდევ ვერ სპობდა თემურ წყობილებას. მას შემდეგაც, რაც თემი იძულებული გახდა ხელი აეღო მიწების პერიოდულ გადანაწილებაზე იგი ინარჩუნებდა რიგ მნიშვნელოვან უფლებებს, რომელთა თანდათანობითი გაქარწყლება უკვე მერმინდელი ეკონომიკური განვითარების პროცესში მოხდა.

ჩვეული მიწა ხელახალი დაყოფის დროს ცალკე ნაკვეთად, თუ ამას თვითონ მოისურვებენ" („საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მ ი წ ი ს კ ო დ ე ქ ს ი", მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფ. 1926 წ., გვ. 15).

[63] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები", 1952, თბ. გვ. 34 — 44.

[64] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, II, გვ. 145.

[65] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, XV, 638.

[66] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, XXVII, 695.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ თვით კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებამაც ერთბაშად ვერ შეძლო თემურობის აღმოფხვრა, თუმცა იგი სულ უფრო მახინჯ სახეს ღებულობდა. სოფლის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავების პროცესში შეძლებული გლეხობა, კულაკობა, სულ უფრო ფართოდ სარგებლობს თემის მიწებით, რის შედეგადაც აგრარული მოძრაობის გაძლიერების შესაბამისად, განსაკუთრებით 1890 — 1900-იანი წლებიდან იწყება ბრძოლა თემური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ.

სტოლიპინის აგრარული რეფორმა, როგორც რუსეთში, ისე ამიერკავკასიაშიც აჩქარებდა თემური მიწათმფლობელობის გადანაშთების ლიკვიდაციას. ღარიბი გლეხობა მტრულად შეხვდა ამ რეფორმას, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის თემურობის წინააღმდეგ იყო მიმართული. გლეხობა უკვე თვით იბრძოდა თემური მიწათმფლობელობის დაშლისათვის, რამდენადაც, „მიწის თანასწორ სარგებლობას ქონებრივი თანასწორობა ესაჭიროება, გლეხებში კი ქონებრივი მაღალ-დაბლობა არსებობს... რა საფიქრებელია, რომ რვა უღელი ხარის პატრონმა მეოჯახემ იმდენადვე ისარგებლოს მიწებით, რამდენადაც უხარომ?“[67].

თემური მიწათმფლობელობის დაშლით ცარიზმი მიისწრაფოდა, რათა გათიშულობა შეეტანა რევოლუციურ გლეხობაში და გაეძლიერებია კულაკობა. მაგრამ გლეხობა, გამოდიოდა რა წინააღმდეგ თემურობისა, — რაც მხოლოდ ხელსაყრელ ფორმას წარმოადგენდა სოფლად სახელმწიფო გადასახადების აკრებაში, — იბრძოდა მიწის ნაციონალიზაციისათვის, რათა ის თავისუფალ ამხანაგობათა ან ცალკე კომლთა სახით თავიანთ შორის გაენაწილება.

ცარიზმის აგრარული პოლიტიკა („სტოლიპინშჩინა“) ხელს უწყობდა. სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზის ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცებას,

---

[67] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 208.

ხოლო რევოლუციური გლეხობა იბრძოდა იმავე კაპიტალიზმის ამერიკული გზით განვითარებისათვის.

მენშევიკების, დაშნაკთა და მუსავათისტთა აგრარულ „რეფორმას“ არსებითად მდგომარეობა არ შეუცვლია, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრა საბოლოოდ აგრარული საკითხი — მიწის ნაციონალიზაციისა და მისი კოლმეურნე გლეხობისათვის სამუდამო სარგებლობაში გადაცემის გზით.

VIII
ადგილმამულთა გამიჯვნა

ბურჟუაზიულ ეკონომიკურ მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისით მიწების გამიჯვნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო, რაც საბოლოოდ დაადგენდა და განამტკიცებდა ხოლმე მიწაზე კერძო საკუთრების უფლებას და, ამდენადვე, მოცემული მიწის კერძო მეწარმის მიერ გამოყენებას. ამ იდეებით ამოძრავებული ადგილობრივი ადმინისტრაცია, განსაკუთრებით 1860-იანი წლებიდან, დიდად ცდილობდა ამიერკავკასიაში მოეწესრიგებია მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის საქმეები, რათა სოფლის მეურნეობაში გზა გაეხსნა კაპიტალისტური მეწარმეობისათვის.

ცარიზმის ადმინისტრაციის შეხედულებით მიწაზე კერძო საკუთრება ამიერკავკასიაში იმთავითვე არსებობდა მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში, ე. ი. საქართველოში. რაც შეეხება ბაქოს, ელიზავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებს, ე. ი. აზერბაიჯანსა და სომხეთს, „რომლებიც შეადგენდნენ ირანის ყოფილ პროვინციებს და იყვნენ ხანების მფლობელობაში, აქ მიწაზე კერძო საკუთრება, გარდა ფრიად უმნიშვნელო გამონაკლისისა, არ არსებობდა; აქ მიწები იმყოფებოდა ცალკე პიროვნებათა მხოლოდ სარგებლობაში და წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას“ [1]. თუ რამდენად მართებულად გამოხატავდა ეს შეხედულება არსებულ სინამდვილეს, ამის შესახებ ჩვენ მსჯელობა უკვე გვქონდა.

საერთოდ მიწების გაუმიჯვნელობამ, ე. ი. სათანადო დოკუმენტებით დადასტურებული- მტკიცედ გარკვეული საზღვრე-

[1] КК на 1910 г., I, 583.

ბის დაუდგენლობამ, ცარიზმის ხელისუფლების წინაშე იმთავითვე დაბადა გაუგებრობანი არა მხოლოდ ყოფილ სახანოებში, არამედ საქართველოს ფარგლებშიც. ჯერ კიდევ 1819 წ. გენ. პ. ერმოლოვის შუამდგომლობით საქართველოში დაინიშნენ მიწის მზომელები, რომელთაც დაევალათ სახაზინო და კერძო მამულების მიჯნათა დადგენა[2].

რაც შეეხება ე. წ. „მუსლიმანურ პროვინციებს", აქ საერთოდ მიწები ოფიციალურად სახაზინოდ იყო ჩარიცხული და მხოლოდ 1846 წ. მ. ვორონცოვის სახელზე გაცემული იმპერატორის რესკრიპტით „ხანები, ბეგები, მელიქები, აღალარები და უმაღლესი მუსლიმანური წოდების სხვა პიროვნებანი დამტკიცდნენ მემკვიდრეობით მფლობელებად იმ მიწებისა, რომელთაც უდავოდ ფლობდნენ მათი გვარები (წინაპრები) მუსლიმანური პროვინციების რუსეთთან შეერთების დროს"[3]. ცხადია, ამ და სხვა მსგავსი აქტებით ცარიზმმა სულ უფრო გაიერთგულა ხსენებული წოდების წარმომადგენლები, რომელთაგან თანდათანობით შეიქმნა მემამულეთა კლასი.

მაგრამ ამ რესკრიპტის საფუძველზე კერძო მფლობელობაში გადაცემული მამულების მიჯნები, ცხადია, არ იყო საბოლოოდ დადგენილი,— მათი დაზუსტება უნდა მომხდარიყო საერთოდ ამიერკავკასიის გამიჯვნის პროცესში. ამასთანავე საქართველოშიც ადრიდანვე ჩამოყალიბებული კერძომფლობელური მამულების საზღვრებიც დაუზუსტებელი იყო. ქართველ-მეფეთა და დიდებულთაგან ვასალებისათვის ბოძებული მამულების წყალობის სიგელებში ჩვეულებრივად იხსენიებოდა ხოლმე მამულის, სოფლის, ველის, ხეობის მხოლოდ სახელი, ხოლო რაც შეეხება მისი ფართობის სიდიდეს, ზუსტ საზღვრებს — ესენი არ აღინიშნებოდა.

---

[2] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения", I, 421—431.

[3] АСКАК, X, № 215; „Кавказ", 1848 г. № 7, стр. 25—26; II, ПСЗРИ, XXI, отд. II, № 20672, стр. 617—619; П. Гугушвили, „Сельск. хоз. и агр. отнош.", II, 701.

. მაგალითად, 1454 წ. გ ი ო რ გ ი IX მიერ გაცემულ წყალობის სიგელში ვკითხულობთ, რომ გორის მოურავს გ ა ბ რ ი ე ლ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს და მის ნაშიერთ ებოძათ „...ცხირეთის გვერდი სრულიად მისითა ციხითა და სიმაგრითა, ზემო ცხირეთი, ქვემო ცხირეთი, ხანდაკი, ოძისი, ახალშენი და ზემო და ქვემო ეგდისი მათითა ეკლესიითა, სასაფლაოთი, სასახლითა, ჭურმარნითა, გლეხებითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სამკვიდროთა, მთითა, ბარითა, შესავალ-გასავლითა და მისითა სამართლიანითა ყველათი...“ [4]. ანდა კიდევ ლ უ ა რ ს ა ბ II მიერ გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ი ს ა თ ვ ი ს 1608 წ. მიცემულ სიგელში ვკითხულობთ: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ საბარათიანოში სოფელი კრწანისი მისის სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა... საჯავახიანოს ხანდაკს ჯავახიშვილის გაძრეკელის კერძო მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყოს, მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, მთითა, ბარითა, წყლითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, სათიბრითა...“ და სხვ. [5].

წყალობის სიგელთა ამგვარი ფორმის მეოხებით მდგომარეობა შემდეგში კიდევ მით უფრო რთულდებოდა, რომ ცალკე ოჯახებად დაყოფილ ნაშიერთ ხშირად ურთიერთშორის არ ჰქონდათ გაყოფილი მათი წინაპრისათვის ოდესღაც ბოძებული შამული, რის გამოც არაიშვიათად ერთი ოჯახი მეორეს არ ჰგულისხმობდა თანამონაწილეთ და პირიქით. ამას გარდა, — და ეს უფრო ე. წ. მესამე წოდებას შეეხება, — მრავალ ოჯახს მხოლოდ „შინაურულად“, ე. ი. სახელმწიფო კანონით დადგენილ ფორმალობათა დაუცველად შედგენილი ბარათები, ნასყიდობის წერილები, ჰქონდათ დასადასტურებლად იმისა, რომ ესა თუ ის მამული, ნაკვეთი, სახნავი, ვენახი, ტყე, მათს ნამდვილ საკუთრებას შეადგენს. სასამართლო ადმინისტრაცია-კი ამ „შინაურ ბარათებს“ არ სცნობდა „კანონიერ დოკუმენტად“ [6].

- მე-19 საუკ. პირველ ათეულ წლებში მიწათმფლობელობის ამგვარი გაურკვევლობა კიდევ არ წარმოადგენდა იმდენად საგრძნობ დაბრკოლებას. ჯერ კიდევ საკმაოდ იყო აუთვისებელი, ტიალი, უკაცრიელი მიწები. ზოგიერთი რაიონი, განსაკუთრებით მოსაზღვრე პროვინციებში, თხლად იყო დასახლე-

[4] „საქართველოს სიძველენი“, II, № 29, გვ. 38.
[5] იქვე, № 39, გვ. 50.
[6] „კვალი“, 1902 წ. № 14, გვ. 234 — 236.

ბული, ასე რომ მიწის ნაკლებობა, სივიწროვე, არ იყო იმდენად შესამჩნევი. მიუხედავად ამისა, მიწათმფლობელობის გაურკვევლობა მაინც წარმოადგენდა დიდ დაბრკოლებას როგორც საერთოდ, ისე ადმინისტრაციისათვისაც.

რუსეთთან შეერთების მერმე, მშვიდობიანი ცხოვრების დამყარების შესაბამისად, ადმინისტრაციის კანცელარიები გაივსო საჩივრებით მიწების შესახებ. ამასთანავე მიწების გაუმიჯვნელობა დიდად აფერხებდა ცარიზმის კოლონიზაციურ პოლიტიკას[7]. კოლონისტებისათვის მიწების მიცემა ვერ ხერხდებოდა, რადგან სახაზინო და კერძო მამულები ერთმანეთისაგან არ იყო ზუსტად გამოყოფილ-გამიჯნული.

1829 წელს ფინანსთა მინისტრს კანკრინს აქ მოვლინებული მოხელე სტრეკალოვი ატყობინებდა, რომ „საქართველოში მან იხილა დიდძალი უკაცრიელი მიწა, რომელიც ფრიად ხელსაყრელია კოლონიების მოსაწყობად. შეიძლებოდა დიდი ხარჯის გაწევის გარეშე შიგარუსეთის მრავალი გუბერნიიდან უმიწაწყლო გლეხების გადმოსახლება საქართველოში. მაგრამ ამჟამად ამას ხელს შეუშლის აქ მიწათმფლობელობის საკითხში არსებული გაუგებრობანი“[8];—რის გამოც ის მოითხოვდა მიწების გამიჯვნის და მესაკუთრეთა დადგენის რაც შეიძლება დაჩქარებას.

კავკასიის ნამესტნიკი ა. ბარიატინსკი 1857—1859 წწ. თავისი მოღვაწეობის უქვეშევრდომილეს ანგარიშგებაში წერდა, რომ მიწების გამიჯვნის გარეშე „არ შეიძლება არც მმართველობის გამარტივება და არც ქვეყნის მწარმოებლური ძალების გამოცოცხლება. გამიჯვნა უნდა დაყენებულ იქნას ამიერკავკასიის კეთილმოწყობის ამოცანათა სათავეშიო“[9]. ხოლო ათიოდე წლით უფრო ადრე დ. ყიფიანი აცხადებდა: იმისათვის, რათა მემამულეს შეეძლოს „შეწარმეობის ახალი დარგების დანერგვა, ან ძველის გაუმჯობესება, უწინა-

[7] ЦАУГ, ГИА, ф. 8, Канц. главноупр. Грузией, кн. 52., д. № 1717. 1827 г., л.л. 1 — 49.

[8] АСКАК, VIII, №№ 114, 139, стр. 154, 181.

[9] АСКАК, XII, стр. 1319, 1328.

რეს ყოვლისა საჭიროა საკუთრების (მამულის) საზღვრების გამორკვევა (დადგენა)“ [10].

საქმე იმაშია, რომ მიწათმფლობელობის მიჯნებისა და მოცულობის გაურკვევლობის პირობებში ადგილობრივი ადმინისტრაცია სერიოზულ დაბრკოლებას აწყდებოდა კერძოდ სახელმწიფო გადასახადების ნორმების დადგენისა და მოსახლეობაზე გაწერის დროს. „მიწების რაოდენობისა და ხარისხის უცოდინარობა სავსებით სპობს შესაძლებლობას გაგებულ იქნას საჭიროება და საშუალებანი თვითეული ოლქისა და, მაშასადამე, მიღწეულ იქნას გადასახადების სისწორე და გათანაბრება. აქ ფინანსური სისტემის გატარების დროს უმთავრესი იქნება საადგილმამულო გამოსაღები, რაც მიწის ნიადაგისა, პროდუქტისა და, დასასრულ, კლიმატის მიხედვით სხვადასხვანაირი უნდა იყოს. ამიტომაც, მით უმეტეს უნდა იქნას აღრიცხული მიწები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ბაღებს, ვენახებს, თუთისხეებს, ბამბას და ბრინჯის ნათესებს უჭირავთ. რადგან უამისოდ ყოველთვის აღმოჩნდება უთანაბრობა და უხერხულობანი გადასახადების აკრეფაში“ [11].

ყოველივე ამის გამო კი გენ. პ ა ს კ ე ვ ი ჩ ი ცენტრალური ხელისუფლებისაგან 1829 წ. თხოულობდა საქართველოში სამიჯნაო კანტორის (межевая контора) დაარსების ნებართვას. იმავე წელს გამოიცა კიდევაც სათანადო კანონი [12], თუმცა ვითარება ამით მაინც ოდნავადაც არ გამოსწორებულა და ათი წლის შემდეგაც ადგილობრივი ადმინისტრაცია კვლავ დღის წესრიგში აყენებდა სახაზინო და კერძო მამულების გამიჯვნის საკითხს, უპირატესად ისევ ფისკალური მოსაზრებით [13].

მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა კიდევ ოცი წლის შემდეგაც. 1859 წელს ა. ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი ს ა დ მ ი წარ-

[10] газ. „Кавказ“, 1848 г. № 2.
[11] АСКАК, VII, № 22, стр. 11. — 12.
[12] II, ПСЗРИ, III, 1829 г., № 3000.
[13] АСКАК, IX, №№ 16, 17, стр. 14 — 15.

დგენილს მოხსენებაში ს ტ ა რ ი ც კ ი და ბ ა რ ა ნ ო ვ ს კ ი აღნიშნავდნენ: „საადგილმამულო საკუთრება ამიერკავკასიაში სავსებით პირველყოფილ მდგომარეობაშია. საერთო და დაქსაქსული მიწათმფლობელობა, ყოვლად გაურკვევლობა მიჯნებისა და მათზე შეუწყვეტელი დავები თითქმის ყველგან წარმოადგენენ ერთ-ერთ სახეს მიწათმფლობელობისა. მამულები, რომლებიც მთელ თაობებს ეკუთვნიან, გაუყოფელი რჩებიან და მათი გაყოფაც შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია კანონიერად იქნეს გარკვეული სივრცე და ფართობი იმისა, რაც უნდა იქნას გაყოფილი. ვრცელი მიწები რჩება დაუმუშავებლად და გარკვეული მფლობელის გარეშე; მაგრამ როგორც კი ამ მიწების მხოლოდ ერთი ნაწილი გადაიქცევა საჭიროდ რაიმე სამესარეწაო დაწესებულებისათვის ან მთავრობის მოთხოვნილებისათვის, მაშინვე ყოველი მხრიდან წარმოიშვება პრეტენზია ამ მიწების საკუთრებაზე... არ იციან რა ნამდვილად, თუ სახელდობრ ვის ეკუთვნის, და არიან რა მუდმივ შიშში გაურკვევლობისა და მოლოდინში დავაქრობისა, რაც ასე ადვილად წარმოიშვება და ესოდენ ძნელად თავდება, მიწათმფლობელებს ვერ გადაუწყვეტიათ რაიმე განსაკუთრებული შრომა და დანახარჯები გასწიონ თავიანთ მამულებში. კაპიტალისტები ვერ ბედავენ თავიანთი კაპიტალები მიანდონ საადგილმამულო საკუთრებას, რის გამოც მამულები რჩებიან პირველყოფილ მდგომარეობაში; ფასები საადგილმამულო საკუთრებისა უმნიშვნელოა, ნდობა მიწისადმი და საადგილმამულო კრედიტი სავსებით არ არსებობს“ [14].

ამგვარად, თარეშების, ხშირი ომების, აჯანყებათა და მეურნეობრივი თაოსნობის დამაბრკოლებელი სხვა მიზეზების თანდათანი ლიკვიდაციისა და „მშვიდობიანი“ ეკონომიკური ცხოვრების დაწყების მიხედვით, რაც უფრო მრავლდებოდა მოსახლეობა, ფართოვდებოდა მიწათმოქმედების არეალი და მიწა იქცეოდა საქონლად, მით სულ უფრო მტკივნეულად იჩენდა თავს მიწათმფლობელობის მოუწესრიგებლობა. მასობრივად დაიწყო მიწების მითვისება-დაჩემება მემამულეებისა და

[14] АСКАК, XII, стр. 44—48.

ცალკე სოფლების მიერ; გაჩაღდა დავები თვით „სახაზინო ბამულებისათვის, რომლებზედაც პრეტენზიას აცხადებდნენ ძლიერი თავადები“.

ინტერესთა ამ ჭიდილმა იმდენად მკაცრი ხასიათი მიიღო, რომ იგი არაიშვიათად სისხლისმღვრელ შეტაკებაში გადადიოდა [15]. ამა თუ იმ პროვინციაში მიწათმფლობელობის საკითხი მწვავდებოდა იმისდამიხედვით, თუ რამდენად ვითარდებოდა აქ მიწათმოქმედება, აღმოჩნდებოდა სამრეწველო მნიშვნელობის რაიმე მინერალური სიმდიდრე (სპილენძი, მარგანეცი, ქვანახშირი, ნავთობი და ა. შ.). მაგრამ 1860-იანი წლებიდან მაინც მიწათმფლობელობის მოუწესრიგებლობა მთელს ამიერკავკასიაში ერთ-ერთ საყოველთაოდ თვალსაჩინო დაბრკოლებად იქცა შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის.

კავკასიაში საუფლისწულო ქონებათა ინსპექტორი ი. კ ლ ი ნ გ ე ნ ი, რომელიც ხანგრძლივი უშუალო დაკვირვებით კარგად იცნობდა ადგილობრივ აგრარულ ურთიერთობათ, 1897 წ. წერდა, რომ „აქ არსებული ფენომენური მიწადაქსაქსულობა და მიწაზე საკუთრების უფლების უკიდურესი გაურკვევლობა...“ ფრიად არანორმალურ და სამწუხარო გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეზეო [16].

*

* *

პირველი ცდები ადგილმამულთა გამიჯვნისა ამიერკავკასიაში დაიწყო 1819 წლიდან, როდესაც ამისათვის რუსეთიდან გამოიწვიეს მიწისმზომელთა ერთი ჯგუფი. მერმე 1830 წელს დაიწყო და თითქმის სამი ათეული წელი გრძელდებოდა მიმოწერა თბილისსა და პეტერბურგს შორის ამიერკავკასიაში სახელმწიფო გამიჯვნის საერთო ღონისძიებათა შემოღებისათვის. 1846 წ. თბილისში დაარსდა სამიჯნაო (მეკორღნეთა) სკოლა და დაიწყო ქვეყნის ტოპოგრაფიული შესწავლა, მაგ-

[15] Д. Кипиани, „О состоянии имении в Грузии“, (газ. „Кавказ“, 1848 г. № 2).

[16] И. Клинген, „Среди патриархов земледелия“, 1898, СПБ, с. 30—31.

რამ, როგორც თვით ადმინისტრაცია ათიოდე წლის შემდეგ აღიარებდა, „ამ ზომებით ვერ იქნა მიღწეული გათვალისწინებული მიზანი“[17].

ბოლოს, 1861 წლის 29 ივნისის დებულებით, „ამიერკავკასიის გამიჯვნა იწყება იმ მიზნით, რომ გარკვეულ იქნას საზღვრები საადგილმამულო მფლობელობათა და გადაწყდეს ამ ნიადაგზე წარმომდგარი დავები, დამტკიცდეს მიჯნების უდავობა მომავლისათვის, რისთვისაც ჩარჭობილ იქნას ფორმალური სამიჯნაო ნიშნები და მფლობელებს მიეცეს კანონიერი სამიჯნაო აქტები“[18]. ამავე დებულების მესამე მუხლის შესაბამისად დაარსებულ იქნა ამიერკავკასიის სამიჯნაო პალატა (Закавказская межевая палата) და აგრეთვე საგუბერნიო პალატები — თბილისის (მოქმედება დაიწყო 1862 წლიდან), განჯის (1864 წ.), ქუთაისის (1868), ერევნის (1868 წ.) და ბაქოს (1872 წ.) გუბერნიებში[19].

შიგარუსეთისაგან განსხვავებით ამიერკავკასიაში მამულების გამიჯვნას, სხვათაშორის, ის თავისებურება ახასიათებდა, რომ მისი მეოხებით უნდა დადგენილიყო არამხოლოდ ზუსტი მიჯნები მამულებისა, არამედ მამულის გამიჯვნის გეგმა (межевой план) აქ მოასწავებდა ამავე დროს საბუთს, აქტს, იმ პიროვნებისათვის, ვის სახელზედაც მოხდა გამიჯვნა, რომ ეს მიწა, მამული, ამიერიდან სახელდობრ მის უცილობელ საკუთრებას წარმოადგენდა[20], — რითაც უკვე იმთავითვე იგულისხმებოდა მოცემული მამულის მფლობელობისათვის ყოველგვარი დავაქრობის აღკვეთა[21].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ შეხვდა ესოდენი სიხარულით ილ. ჭავჭავაძე

---

[17] АСКАК, XII, 47 — 48; II изд., XII, I, 146.

[18] Д. Николас, „Сборн. законов и распоряж. по размежеванию Закавказского края“, 1910, Тифлис, 28.

[19] იქვე, 171—178.

[20] იქვე, 265—280.

[21] В. Ефимов, „Нужды Закавказского межевания“, 1894, Баку, стр. 11 — 14, 47.

ამიერკავკასიაში სამოჯნაო პალატის მუშაობის დაწყებას: „ერთი დიდი და ფრიად სასარგებლო საქმეთაგანი არის დაწყება ჩვენის ქვეყნის გამოჯნავებისა... ვინ არ იცის, რანაირად არის დახლართული ჩვენი მამულ-დედულების საქმე. მთელ საქართველოში ოცი მამული არ იპოება, რომ მოდავე არა ყვანდეს, სრულად უდავო იყოს... უმოჯნავოდ მამულების ყოფნა ყველას ჩაიტყულებდა ხოლმე დავაში... გაიმსო სასამართლოები დავებით და სასამართლონიცა ისე გულმოდგინეთ აწარმოებდნენ საქმესა, რომ პაპის საქმეს შვილიშვილის დროს გადასწყვეტდნენ ხოლმე. ისიც მაშინ, თუ ძალიან აჩქარებდნენ. ამ დავებმა ისე გაგვაკეთეს, რომ ძმა ძმის მტერია და ბიძაშვილი ბიძაშვილისა და ერთი მშვენიერი სიკეთე შეგვძინეს, რომ სამართლისადმი ნდობა აღარა გვაქვს და ჩვენს საკუთრებაზედაც არა ვართ დარწმუნებული. ამას გარდა რაც ფული და დრო იკარგება ჩივილში და დავიდარაბაში, ვინღა მოსთვლის“[22].

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენში მამულის საკუთრების სახით დაჩემებისათვის ატეხილი დავაქრობა ხშირად ისეთს ხასიათს ღებულობდა, რომ თავისი კურიოზულობით შორს იტოვებდა, მაგალითად, ძველ ინგლისურ სამართალში მიწის ფაქტიურ მფლობელსა და მაძიებელს შორის დავაში ჯონ დოუსა და რიჩარდ როუს სახით დაშვებულ იურიდიულ ფიქციას. გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ მ ა მშვენივრად დაგვიხატა თავის ერთ-ერთ ცნობილ კომედიაში, — „დავა“, — თუ რამდენად სასაცილო ხასიათს ღებულობდა ხშირად მემამულეთა დავაქრობა მიწისათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მიწების გამოჯვნისას უცხო არ იყო ცრუფიციის მიცემა. დასავლეთ საქართველოში ჩვეულებისამებრ მოდავეს (მაძიებელს) სადავო მამული ხატით ხელში უნდა შემოევლო და დაეფიცა, რომ იგი საკუთარ მიწაზე დადის. „ერთხელ, ასეთ დავაში, მაძიებლებმა აიღეს

[22] „საქართველოს მოამბე“, 1863 წ. № 2, გვ. 199—200; იხ. აგრეთვე МЭБГКЗК, I, III, 211 — 215; VI, 162 — 163.

ხატი და დაიწყეს შემოვლა არა მხოლოდ სადავო ნაკვეთისა, არამედ სხვა, არა მათი კუთვნილი, მინდვრებისაც და თანაც ფიცულობდნენ, რომ დადიან თავიანთ მიწაზე. წარმოიშვა ახალი დავა, რასაც მოყვა ჩხუბიც; ბოლოს აღმოჩნდა, რომ ფიცის მიმცემთ, თავიანთი სინიდისის დასამშვიდებლად, ჩექმებში ჩაუყრიათ საკუთარი მინდვრების მიწა, და ამიტომაც ისინი დარწმუნებულნი ყოფილან უცოდველობაში, როდესაც ფიცულობდნენ, რომ დადიან თავიანთ საკუთარ მიწაზე"[23].

მამულების გაუმიჯვნელობის ზოგიერთ უარყოფით მხარეებს აღნიშნავდა თვით ილ. ჭავჭავაძე: „ხანდისხან ზოგიერთს მემამულეთა მამულის კეთებისათვის გული არ შესტკიოდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ გაუკეთებელ მამულს უფრო ცოტა მოდავე ეტანება, გაკეთებულს კი გამოუტყვრებოდა ერთი ღონიერი ვინმე ან ფულით ან წოდებით და თვითონაც ყმად დაისახლებდა, არამცთუ მამულს გაიტანდა". ხოლო, ამიერიდან, მიწების გადამიჯვნის შემდეგ „რამდენი საწყალი, დაჩაგრული კაცი, ქვრივ-ოხერი ან ობოლი გაიხარებს, როცა მიეცემა ღონისძიება, რომ უშიშრად ამოჩიჩქნოს თავისი საკუთარი მიწა... ამას გარდა რამდენს კაცსა დარჩებათ თავები გაუტეხელი, რომელიც თუ არ გატეხილა უთუოდ უნდა გატეხილიყო მოდავესაგან ან ხვალ ან ხვალზევითა; რამდენი კამეჩი, ძროხა ყურებ-დაუჭრელი და კუდმოუკვეთელი საძოვრიდამ დაუბრუნდება პატრონსა, როცა თავისი მამულის მიჯნები ეტყვიან, რომ აძოვე, ჩვენა ვართ შენი ზურგი, თუ ვინმე წამოგედაოს, ჩვენ უშენოთაც ვეტყვით, რომ ჩვენი მფლობელი მარტო შენა ხარ"[24].

მიჯნათა კომისიების მუშაობის წარმატებებზე დიდ იმედებს ამყარებდა საერთოდ იმ დროის მოწინავე ინტელიგენცია. ა. ფურცელაძე ამ კომისიების მოღვაწეობის დადებით შედეგებს, სხვათა შორის, ხსნიდა იმ გარემოებით, რომ

[23] Лаврентьев, „Статист. описание Кутаисской губернии", 1858. СПБ., 131.

[24] „საქართველოს მოამბე", 1863 წ. № 2, გვ. 222.

„ამ კომისიებში სულ ყმაწვილი კაცობა“, ე. ი. მექრთამეობას მიუჩვეველი პროგრესული ახალი თაობა იყო ჩაბმული[25].

მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებაში ეს ღონისძიება ასე უმტკივნეულოდ და სასურველი სისწრაფით არ გატარებულა და კიდევ ოციოდე წლის შემდეგაც ივ. მაჩაბელი წერდა: „არ იქნა არ მოეღო ბოლო ჩვენში მიწაწყლის საქმეს. ეს გახიახებული და გაშანშლული საქმე არის მიზეზი ათასგვარი უწესოებისა და მტრობისა ერთმანეთში. ისე კვირა როგორ გავა, რომ სახლისკაცი სახლისკაცს, სოფელი სოფელს, მებატონეები გლეხებს და ბევრჯერ ერთმანეთს თოფიარაღით არ დაერივნენ, თავპირი არ დააჩეხონ და კიდე არ მოჰკლან რამდენიმე კაცი“[26].

ამ სფეროში განსაკუთრებით დიდი იყო განსხვავება კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის...[27] 1862—1889 წწ. ამიერკავკასიის სამეჯნაო პალატის მუშაობას უმთავრესად მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა[28]. ადგილობრივი უმაღლესი ადმინისტრაციის მითითებით ხდებოდა გამიჯვნა სახაზინო და კერძო მამულებისა უპირატესად ისეთ რაიონებში, სადაც აგრარული მოძრაობა უფრო მეტად იყო გამწვავებული, ანდა სადაც ვითარდებოდა წიაღისეულთა, მინერალურ სიმდიდრეთა, დამუშავება. მაგრამ საერთო შედეგი მაინც ფრიად უმნიშვნელო იყო, ასე რომ სამეჯნაო პალატის გახსნიდან 25 წლის შემდეგაც გაზ. „მეურნე“ თავის მოწინავეში წერდა: „რომ გამიჯვნის საქმე მეტად წყნარა მიდის, რომ მემამულეებმა არ იციან რა აბადიათ, სად იწყება მათი მამულ-დედული და სადა თავდება, — ამიტომაც მეზობელთა შორის მუდმივი უსიამოვნება, დაუბოლოვებელი დავებია — სოფლის მამასახლისიდან დაწყებული პალატამდისა და სენატამდის... მუდმივი ბრძოლა ერთმანეთს შორის, ერთმანეთის მამულების თუ საქონლის წართმევა, ვენახში ან ყანებში

[25] „დროება“, 1867 წ., № 34.
[26] „დროება“, 1883 წ. № 125.
[27] „კვალი“, 1902 წ. № 14, გვ. 234—236.
[28] В. Николас, l. c., 341 — 392.

ძალათ საქონლის შეშვება მეზობლის ჭირნახულის წასახდენად — ეს მუდმივი მოვლენაა ჩვენი სოფლის ცხოვრებაში და, რასაკვირველია, ხელს უშლის მეურნეობის წარმატებას. პირველი და საზოგადო კანონი-კი როგორც კერძო პირის. აგრეთვე მთელი საზოგადოების ცხოვრების შესახებ ის არის, რომ კერძო პირი ან საზოგადოება დარწმუნებული იყოს და დაჯერებული, რომ მისი ქონებრივი და ზნეობრივი უფლებანი დაცულნი იქნებიან“ [29].

მხოლოდ 1889 წლიდან გაძლიერებულ და გაფართოებულ იქნა სამიჯნაო პალატის მუშაობა და შედარებით გეგმიანად დაიწყო ამიერკავკასიის გამიჯვნის წარმართვა. თუმცა რიგი რაიონებისა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში სავსებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

სამიჯნაო პალატის მუშაობა მეტად ჩამორჩენილი იყო, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში [30]. 1894 წელს სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ ქ. ქუთაისში მოსულ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს მოახსენა, რომ გუბერნიაში „მამულთა გაუმიჯვნელობა მთავარი წყაროა არანორმალურ საადგილმამულო ურთიერთობათა. ასეთ ურთიერთობათა პირობებში მიწაზე საკუთრების უფლება მხოლოდ ფიქციას წარმოადგენს. საკუთრების უფლების გაურკვევლობა უდავოა რომ იწვევს მეურნეობრივი ენერგიის დაცემას მოსახლეობისა, რომელიც იძულებულია დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მოანდომოს არა მეურნეობის გაუმჯობესებას, არამედ საადგილმამულო დავაქრობას“ [31].

გ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (როდესაც რუსულად წერდა თუმანოვს აწერდა), მაღალი სახელმწიფო მოხელე, შემდეგ კიდევ ადგილობრივი რუსული გაზეთის — „Новое Обозре-

---

[29] გაზ. „მეურნე“, 1888 წ. № 29.

[30] „Сборн. Статистич. сведений о... землевладении... в Закавк. кр.“, 1899 г., стр. 31.

[31] УЦГАЛ. Ф. МЗГИ. 1894 г. д. № 190, л.л. 12 — 13.

ние" — რედაქტორი, უკვე 1890-იანი წლების მიწურულს მთავრობას ურჩევდა: „გამიჯვნის დაჩქარებისათვის აუცილებელია ფულად საშუალებათა და სამიჯნავო დაწესებულებების გაძლიერება. ამ საქმეზე მთავრობის მიერ გაწეული ხარჯები არა მხოლოდ დიდ სარგებლობას მოუტანს კერძო ინტერესებს, არამედ მნიშვნელოვნად გაადიდებს ხაზინის შემოსავალსაც. მხოლოდ გამიჯვნის დამთავრების შემდეგ შეიქნება შესაძლებელი კომლობრივი გამოსაღები (რომელიც ახლა უნდა გაუქმდეს) წარმატებით იქნას შეცვლილი უფრო სამართლიანი და ხაზინისათვის უფრო შემოსავლიანი — საადგილმამულო გამოსაღებითო" და სხვ[32].

1900 წ. 12 ივნისის კანონით დაწესდა დაბეგვრის გაწერითი (раскладочная) ფორმა. ამ დროიდან მთელ გუბერნიასა თუ ოლქზე გადასახადთა საერთო ჯამს ადგენდნენ კანონმდებლობითი გზით მიწის (ადგილმამულის) საერთო შემოსავალთან შესაბამისად, ხოლო შემდეგ ხდებოდა გადასახადის გაწერა მაზრებსა, რაიონებსა და ცალკე გადამხდელ ერთეულებს შორის — შემოსავლიანობის მიხედვით. ამიერკავკასიაში გადასახადთა ამ წინანდელთან შედარებით უდავოდ ბევრად მარტივი ფორმის ცხოვრებაში ნორმალური გატარება შეუძლებელი აღმოჩნდა. ზოგიერთ ადგილას უზომოდ ბევრ გადასახადს გააწერდნენ, ზოგი კი სულ გამორჩებოდათ ხოლმე. ამის მიზეზი კი იყო ისევ გაუმიჯვნელობა მიწებისა, რამდენადაც არსებულ პირობებში შეუძლებელი ხდებოდა ცალკე გადამხდელი ერთეულის მიწის ზომის (დესეტინათა რაოდენობის) და, მაშასადამე, ადგილმამულის შემოსავლის სწორი აღრიცხვა[33].

თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგ., ქუთაისის გუბერნიაში გამიჯვნის საქმე ჩანს იქიდან, რომ 1890 წლამდე, ოფიციალური ცნობით, საბოლოოდ გამიჯნულად ითვლებოდა

---

[32] Г. М. Туманов, „Земельные вопросы и преступность на Кавказе", 1901. СПБ., стр. 10 — 11.

[33] „Всеподданнейшая Записка...", 1907. Тифлис, стр. 92.

გუბერნიის მთელი სივრცის მხოლოდ 5,2 პროცენტი; მაგრამ არც მერმე ჰქონია დიდი წარმატება აქ გამიჯვნის საქმეს. ამ მხრივ ქუთაისის გუბერნია თვით 1914 წლამდე ყველაზე ჩამორჩენილი იყო ამიერკავკასიაში (იხ. ცხრილი, გვ. 538).

1899 წ. „კვალის" კორესპონდენტი გურიიდან იწერებოდა: „მიწის მზომავმა კომისიამ ამაღლების საზოგადოებაში წელს მოაღწია. გაიგეს თუ არა ეს აქაურმა ახლო-მახლო მცხოვრებ თავადებმა ხანგრძლივი ძილისაგან შეპყრობილი თვალები გამოახილეს, თავიანთ მამულებს გადახედეს, და რა დაინახეს, რომ მამა-პაპის ნაანდერძევი მამულები იმათ მესამედიც აღარ ეკუთვნისთ ყურები აცქვიტეს, შეიკრიბნენ და ერთხმად დაიძახეს: არიქა რაიმე საშუალება მოვიგონოთ, რომ ეს გლეხებზე მიყიდული ადგილები ხელმეორედ შევიძინოთ და წყალწაღებული არ დავრჩეთო. გამართეს ერთმანეთს შორის თათბირი და ბოლოს ასე გადაწყვიტეს: მოდი ავირჩიოთ ვექილებად ისეთი კაცები, რომლებსაც ჩვენ ვენდობით და ერთგულად აასრულებენ ჩვენს სურვილს. ამ ვექილებმა ჩვენს მაგიერ აუტეხონ დავა გლეხებს ყველა ადგილებში, ნაყიდშიც და უყიდველშიც, და ამნაირად იქნება ცოტაოდენი ადგილი მაინც ჩამოვგლიჯოთ გლეხებს... თუ არა და შეშინებულნი დავის განცხადებისაგან ფულებს გადაიხდიან ჩვენსა და ჩვენი ვექილების სასარგებლოდ... ეს ცოტა არ იყოს ხელს მოგვიმართავს ამ საჭიროების დროს... წაბორძიკებულთ ფეხზე წამოგვაყენებს და იქნებ რამდენიმე თვე ძველებურად მოსვენებით ამოვისუნთქოთო. ამ განზრახვით გამონახეს სოფლებში აზნაურებიდანაც და გლეხებიდანაც ტარიელ მკლავაძეებათ ცნობილი ვაჟბატონები და გამოუყენეს უკან კომისიას... ვინც ქრთამს გასცემს, ის იმიჯნავს ადგილს, ვინც არა და იმას უტოვებენ ადგილს სადაოთ და ვინ იცის რა ჯოჯოხეთი მოელის"[34].

---

[34] „კვალი", 1899 წ. № 31, გვ. 517—518; შეად. „მოამბე", 1904 წ. № 1, გვ. 84.

ცხადია, ანალოგიურ მოვლენებს ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის სხვა რაიონებშიც; მაგალითად, განჯის[35], ერევნის[36] და ქუთაისის[37] გუბერნიების სხვადასხვა მაზრებში.

მექრთამეობა, სამიჯნაო პალატის მოხელეთა ღორმუცელობა და საერთოდ ადმინისტრაციის ბიუროკრატიულობა, ცხადია, მრავალგვარ დაბრკოლებას უქმნიდა გამიჯვნის ჩქარი ტემპით წარმართვას[38]. 1902 წელს ი. მეძმარიაშვილი წერდა: „ორმოცი წელიწადია, რაც ჩვენში მიწის გამიჯვნა დაიწყო, მაგრამ... დიდი ვერაფერი გაკეთებულა... ამასთანავე... ახლანდელი მიწათა გადამიჯვნა, ერთი მხრით, თუ დიდი ხნით სადავო ადგილებს სასამართლო წესით უდავოდ ხდის, მეორეს მხრით, დიდი ხნით უდავო ადგილებს სადავოდ ხდის... ჩვენში მიჯნაობის დროს თითქოს ჩვეულებად გადაიქცა დავის განცხადება იმისთანა მამულზედაც, რომელზედაც არავითარი ფაქტიური უფლება არა აქვს მოდავეს.. ჩვენი სოფლის „აბლაკატებიც“ ძალიან სარგებლობენ ამ გარემოებით და მღვრიე წყალში ბლომად თევზს იჭერენ“[39].

ნამესტნიკი გენ.-ად. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, 1907 წ. უქვეშევრდომილეს მოხსენებაში, ეხებოდა რა ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის საკითხს, ერთ-ერთ ძირითად მიზეზად აგრარულ ურთიერთობათა გამწვავებისა ასახელებდა მიწეშის გამიჯვნისა და მიწათმოწყობის საქმეში ადმინისტრაციისაგან დაშვებულ უხეშ შეცდომებს, ყალთაბანდობას, მექრთამეობას, პროცესის უზომოდ გაჭიანურებას და თვით

---

[35] ТМКСХП, L II. 113—116.

[36] იქვე, 649—654.

[37] იქვე, 232—235.

[38] იხ. Б. Городецкий, „Прававое и поземельн. отношен. землевлад. и крестьян в Закавказье“ (журн. „На Кавказе“. Екатеринодар, 1909 г. № 1—2).

[39] ი. მეძმარიაშვილი, „მიწის გამიჯვნის საქმე ჩვენში“ („ქვალი“, 1902 წ. № 14, გვ. 234—236); იხ. აგრეთვე გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1904 წ. № 2209.

სათანადო კანონებისა და წესების ადგილობრივი პირობებისათვის შეუსაბამობას. სხვა მრავალგვარ ბოროტებათა შორის გრაფი განსაკუთრებით აღშფოთებული იყო — დიაღ, თვით მეფის სატრაპიც-კი აღშფოთებული იყო! — კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა გამგებლობის მოღვაწეობით, რომელიც ფისკის ინტერესებით გატაცებული იქამდეც მიდიოდა, რომ გამიჯვნის დროს საუკუნეების მანძილზე კერძო პირთა საკუთრებაში მყოფ მიწებსაც, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სახაზინოდ აცხადებდა... იწყებოდა დავა, რაც „ფრიად აჭიანურებდა გამიჯვნას". ამასთანავე იგივე უწყება „ყოველგვარი სამართლიანი და უსამართლო გზით ცდილობდა" გამოენახა ახალ-ახალი სახაზინო-საღალო შემოსავლის წყაროები: სახელმწიფო გლეხის მიერ სიკვდილის წინ საბატონო გლეხებისა ან პრივილეგიური წოდების პირისათვის, როგორც სიძისათვის. გადაცემული ნადელი ჩამოერთმეოდა და გადაეცემოდა ხაზინას; დასასვენებლად დატოვებული სახნავი მაშინვე ჩაირიცხებოდა სახაზინო საძოვრად; — თუ გლეხის ნადელზე ტყე წამოიზრდებოდა, მას სახაზინო სატყეო მოსაკრებელს შეაწერდნენ; — თუ, მდინარისაგან კალაპოტის შეცვლის მეოხებით, სანადელო მიწა წყლით დაიფარებოდა, — მაშინვე სახაზინო სათევზაო გამოსაღებით დაბეგრავდნენ. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ გლეხს საკუთარი გარჯით თავის ეზოში ბაზრდილი კაკლის ხისათვისაც გადასახადი უნდა ეხადა. ხაზინის მიერ უკანვე წაღებული ვარგისი მიწებისათვის რიგი წლების განმავლობაში მოსახლეობას ძველებურადვე ახდევინებდნენ ღალას, როგორც სანადელო მიწებისათვის. აძას გარდა მოსახლეობა ძლიერ იყო შევიწროებული ჯარიმებით თავისივე ნადელის ფარგლებში ტყის მოჭრისა და თევზის ჭერისათვის. სახაზინო მამულები უმეტესწილად მხოლოდ მსხვილ-მსხვილი ნაკვეთების სახით გაიცემოდა იჯარით, რის გამოც მათი უშუალოდ აღება არ შეეძლოთ ნამდვილი მიწისმუშებს. ასეთს პირობებში მსხვილ სახაზინო მამულებს ჩვეულებრივ შეძლებული ადამიანები იგდებდნენ ხელში, რომლებიც თავის მხრივ ფრიად მაღალ საიჯარო ფასს უნიშნავდნენ წვრილ მე-

იჯარეებს, ე. ი. გლეხებს, ასე რომ ამ უკანასკნელთაგან გადახდილი ფასის, ე. ი. ნამდვილი საიჯარო შემოსავლის ათი პროცენტიც-კი არ შედიოდა ხაზინაში.

ჩამოთვლის რა ამგვარ ბოროტებათ, ნამესტნიკი იძულებულია აღიაროს, რომ აგრარულ ურთიერთობათა მოუწესრიგებლობა შეიქნა ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მოსახლეობის ძირითადი მასების რევოლუციური ამოძრავებისა. დასასრულ, იგი იმპერატორის წინაშე სიტყვა-სიტყვით შემდეგს აღიარებს: „ნამდვილად ჩვენ საკმარისად ვიღვაწეთ საქართველოს პროვინციების გერმანელი კოლონისტებით, ანატოლიელი ბერძნებით, თურქეთის სომხებით და... რუსი სექტანტებით უფრო საფუძვლიანი კოლონიზაციისათვის, მაგრამ ამ ადგილების მკვიდრი მოსახლეობის მიწათმოწყობის მიზნით ჩვენ არამცთუ თითქმის არაფერი გაგვიკეთებია, არამედ ისე შევაშინეთ კიდევაც ისინი მათს სარგებლობაში მყოფი მიწებიდან სხვადასხვა ჩამონაჭრებით, რომ მიწათმოწყობის (გამიჯვნის) დაწყებისას ზოგიერთი სოფლები თავდაპირველად მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ მას, ეშინოდათ რა რომ კიდევ არ ჩამოეჭრათ მათთვის მიწები“[40].

1900-იანი წლების ბოლოსათვის მაინც დიდი რაოდენობის მიწები იყო უკვე გამიჯნული. თითქმის დამთავრდა სახაზინო მამულებისათვის მიჯნების დადგენა. თუმცა, მართალია, ჯერ კიდევ მრავლად იყო სადავო მამულებიც, განსაკუთრებით კერძო მესაკუთრეთა შორის. გადამიჯვნის ჯერ ჩამორჩენილობით, ხოლო მერმე წარმატებითაც ისევ და ისევ მემამულეებმა ისარგებლეს.

1900-იანი წლებიდან თვით ცარიზმი ადგილმამულის გამიჯვნის თავის პოლიტიკას ამიერკავკასიაში, სხვათა შორის, ერთ-ერთ ძირითად მიზნად უსახავდა თემური მიწათმფლობელობის საბოლოო ლიკვიდაციას... დიდძალი ტყეები, საბალახოები, სათიბები, ტბები, მდინარეები, ე. ი. სათევზაო ადგი-

[40] „Всеподданнейшая записка...“, 1907 г., 58—62; П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрн. отношения“, 1955, т. IV. 79—83, 773—774.

ლები „ყოვლად უვარგისი“ ჭაობები და უწყლობით „მკვდარი“ ველები, არაიშვიათად სახნავ-სათესი მიწაც, რომლებიც აქამდე თემურ მფლობელობაში იყო, გამიჯვნის პროცესში საბოლოოდ დაიჩემეს და დაისაკუთრეს მემამულეებმა.

ამიერკავკასიის სამიჯნაო უწყებათა მუშაობის საერთო სურათს გვიჩვენებს ქვემოთმოყვანილი ცხრილი (იხ. გვ. 538)[41].

როგორც ვხედავთ, 1915 წლისათვის ამიერკავკასიის სამიჯნაო უწყებებს მაინც დიდი მუშაობა ჰქონდათ ჩატარებული. მაგრამ ადმინისტრაციის ამ მიღწევათა დადებით მხარეებს მნიშვნელოვანი ზომით აქარწყლებდა ის გარემოება, რომ უკვე გამიჯნული მიწების უდიდესი ნაწილი — 63 პროცენტი — კვლავ სადავოდ რჩებოდა. ამასთანავე თვით 1914 წელს სასამართლო დავაში ითვლებოდა თითქმის 2,5 მილიონი დესეტინა მიწა. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ გამიჯვნის საქმე ყველაზე ჩამორჩენილი იყო ქუთაისის გუბერნიაში. 1914 წლის ბოლოს ქუთაისის გუბერნიაში კიდევ ირიცხებოდა 702 ათასი დესეტინა გაუმიჯვნელი მიწა, მაშინ როდესაც სხვა გუბერნიებში გამიჯვნის პირველადი მუშაობა ამ დროს უკვე დამთავრებული იყო.

სამიჯნაო უწყებათა მუშაობის დადებით შედეგთა შორის მოსახსენებელია ის გარემოებაც, რომ ადგილმამულების გამიჯვნის წარმატებათა მიხედვით ჯერ კიდევ 1880-იანი წლებიდან მოყოლებული[42], მეტი თუ ნაკლები ინტენსივობით, აქ დაიწყო მთელს იმპერიაში მიღებული სიგრძისა და ფართობის საზომი რუსული ერთეულების გავრცელება, ნაცვლად ყოველ გუბერნიასა, მაზრასა, რაიონსა და ზოგან თემშიაც არსებული ფრიად სხვადასხვანაირი ადგილობრივი ერთეულებისა. სიგრძისა და ფართობის საზომი ერთიანი ერთეულების გავრცელება, ცხადია, აადვილებდა საადგილმამულო ურთიერთობათა ნიადაგზე წარმოქმნილ საკითხთა გადაწყვეტას და ხელს უწყობდა სავაჭრო მიწათმოქმედების აღორძინებას, საერთოდ სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარებას.

---

[41] КК на 1917 г., отд. стат., 271.

[42] КК на 1883 г., отд. I., 160.

ამიერკავკასიის სამეჯნაო უწყებათა მიერ 1862—1914 წ.წ. გამეჯნული მიწები
(დეხეტინობით)

გუბერნიების დასახელება	1862 წლამდე გაუმეჯნელი იყო მიწები	გადაეცემოდა იქნა ფასიანი	გამეჯნულ იქნა მიწები		სადავოს პროცენტ. შეფარდება სადავოდ არა სადავოდ	გამეჯნულს წარმოადგენენ საკრძალ.	დარჩა კიდევ გასამეჯნავი	შინაგანი გამეჯნა და სასაბან. დაფუძ. ნებულებათა შესრულ. პროცესში იყო	სასამართლო დავაში ითვლებოდა
			უდავოდ	სადავოდ					
ბაქოს	3.535.671	3.535 671	745.403	2.790.268	78,90	483	—	731.649	843.997
ელისავეტპოლის	3.984.986	3.984.986	882.398	3.102.588	77,90	1063	—	649.245	1 024.616
ქუთაისის	1.918.653	1.407.403	422.400	794.353	65,30	535	701.900	457.814	257.219
თბილისის	3.685.909	3.685.906	1.714.808	1.971.098	53,50	1286	—	440.990	343.409
ერევნის	2.546.088	2.546.088	1.537.248	1 008.840	39,60	939	—	16.398	1.409
სულ ამიერკავკასიაში	15.671.304	15.160.054	5.302.257	9.667.147	63,04	4.307	701.900	2.296.090	2.470.650

IX

საგლეხო რეფორმის მომზადება

1. რეფორმის საწყისები რუსეთში

ბატონყმობა დიდხანს ბორკავდა რუსეთის ეკონომიკურ აღმავლობას. ეკონომიკური განვითარების მთელი მსვლელობა ბიძგს იძლეოდა ბატონყმობის მოსპობისათვის. კითხვაზე თუ რამ აიძულა მებატონეები გაეტარებიათ რეფორმა ვ. ლ ე ნ ი ნ ი უპასუხებდა: ეკონომიკური განვითარების ძალამ, რომელიც კაპიტალიზმის გზაზე აყენებდა რუსეთს. მემამულე-მებატონეთ არ შეეძლოთ ხელი შეეშალნათ საქონლური გაცვლის ზრდისათვის რუსეთსა და ევროპას შორის, არ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ მეურნეობის ძველი, დაშლადი ფორმები[1].

ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ამ გარდუვალმა მოვლენებმა თავისი გამოვლინება ჰპოვეს განსაკუთრებით ყირიმის ომსა და გლეხთა მასობრივ მოძრაობებში. „ყირიმის ომმა გამოავლინა ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება.“[2] ამასთანავე გლეხთა აჯანყებები, რაც „განთავისუფლების“ წინახანებში სულ უფრო მასობრივ ხასიათს ღებულობდა, აიძულებდა ცარიზმს ეფიქრა „გლეხთა მდგომარეობის მოწესრიგებისათვის“. ერთი სიტყვით „ეს ის დრო იყო, როცა მთავრობას ორნაირი ლახტი ხვდებოდა: გარეთ —

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ.. ტ. 17, გვ. 127.

[2] იქვე.

ყირიმის დამარცხება და შიგნით — გლეხების მოძრაობა. ამიტომ იყო, რომ ორივე მხრიდან შეწუხებულმა მთავრობამ თითი მოკაკვა და ყმათა განთავისუფლებაზე ალაპარაკდა"[3].

რუსი გლეხობის ცნობილი ისტორიკოსი ვ. სემიოვსკი 1880-იანი წლების გასულს წერდა: „ჩვენს თავადაზნაურობას მუდამ თვალწინ ედგა პუგაჩევშჩინის აჩრდილი და როგორც **memento mori** მოაგონებდა აუცილებლობას, რათა ბოლო მოეღო ბატონყმობისათვის თვით მემამულეთა ინტერესების დაცვის მიზნით"[4]. ასე რომ 1856 წ. 30 მარტს მოსკოვის გუბერნიის თავადაზნაურობისადმი ალექსანდრე II სიტყვები, — „უკეთესია ბატონყმობა გავაუქმოთ ზემოდან, ვინემ დავუცადოთ, ვიდრე თავისთავად დაიწყება მისი გაუქმება ქვემოდან", — გამოხატავდა რუსეთის თავადაზნაურობის საერთო ინტერესებს.

1857 წ. მიწურულს გუბერნატორებს დაეგზავნა ცნობისათვის და პრესაშიც გამოქვეყნდა იმპერატორის რესკრიპტი ვილნოს გენ.-გუბ. ვ. ი. ნაზიმოვისა და პეტერბურგის გენ.-გუბ. პ. ნ. იგნატიევის სახელზე; — დასახელებულ გუბერნიებში იქმნებოდა კომიტეტები, რომელთაც უნდა დაესახათ ღონისძიებანი ყმათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამ კომიტეტებს უნდა ეხელმძღვანელათ „საიდუმლო კომიტეტის" წევრის, შინაგან საქმეთა მინისტრის ლანსკოის ბარათში (1857 VII. 26) ჩამოყალიბებული „საერთო საწყისებით", რის მიხედვითაც ყმებს ეძლეოდათ პირადი თავისუფლება და შესაძლებლობა გამოესყიდათ თავიანთი საკარმიდამო მიწები (10—15 წ. ვადაში). საკარმიდამოს შეფასებაში უნდა შესულიყო მებატონის მიერ ყმის პიროვნებაზე უფლების დაკარგვის საზღაურიც. მთელი დანარჩენი მიწები მებატონეთა საკუთრებად რჩებოდა. გლეხებს უფლება ეძლეოდათ ამ მიწებით სარგებლობისა, ოღონდ ამისათვის საზღაური ფულით

---

[3] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 196.

[4] В. И. Семевский, „Крестьянский вопрос в России", 1888, СПБ. II, стр. 571.

ან შრომით უნდა ეხადათ მემამულისათვის. გლეხებისათვის სარგებლობაში მიწის აუცილებლად მიცემა დასაბუთებული იყო შიშით მათი გაპროლეტარებისა, რაც ემუქრებოდა „საერთო მშვიდობიანობას". 1858 წ. საგუბერნიო კომიტეტები გაიხსნა ევროპის რუსეთის ყველა გუბერნიაში[5].

ყველაზე რეაქციული გამოდგა წვრილი აზნაურობა, რომელთა მეურნეობა თითქმის არ იყო დაკავშირებული ბაზართან; მაგრამ ამ, თუმცა მრავალრიცხოვან ფენას (1858 წ. ისინი — 21 სულზე ნაკლები ყმებით — შეადგენდნენ მთელ მებატონეთა 39,5%-ს) რეფორმის შემუშავებაში გავლენა არ ჰქონია. რეფორმას არ თანაუგრძნობდა მსხვილი მიწათმფლობელი არისტოკრატიის ის ნაწილიც, რომელთაც მამულები საღალოდ ჰქონდათ გაცემული, ხოლო თვითონ დიდი სახელმწიფო მოხელეები იყვნენ და ვერ ელოდნენ ფეოდალურ რენტას. ამათი ინტერესების გამომხატველი იყო გრაფ პ. პ. შუვალოვის თავმჯდომარეობით პეტერბურგის კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტი: მთელი მიწები მემამულეთა საკუთრებად ცხადდებოდა, ხოლო გლეხი უვადო სარგებლობაში მიცემული ნადელისათვის იხდიდა ღალას და იძულებულადვე ემორჩილებოდა მემამულეთა პოლიციურ ხელისუფლებას. ამას უახლოვდებოდა მთავარი კომიტეტის წევრისა და კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის პ. პ. გაგარინის პროექტიც, იმ განსხვავებით რომ გლეხებს უტოვებდა საკარმიდამოს, რათა ისინი, ადგილზევე დარჩენილნი, მემამულეთა კაბალურ საიჯარო დამოკიდებულებაში მოქცეულიყვნენ.

ბურჟუაზიული თაოსნობის მომხრე მემამულეთა ინტერესი მოითხოვდა გლეხთა მიწიანად განთავისუფლებას. რადგან მათთვის საჭირო იყო კაპიტალი, რაც ნადელის გამოსყიდვით უნდა მიეღოთ. ამათ მისწრაფებას გამოხატავდა, მაგალითად,

---

[5] П. И. Лященко, „Последный секретный комитет по крестьянскому делу", 1911; его же, „История народного хозяйства СССР", М. I, 563 — 613.

ტვერის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლის ა. მ. უნკოვსკის პროექტი. იგი მოითხოვდა ყმათა განთავისუფლებას „ყოველგვარი ვალდებულებითი ურთიერთდამოკიდებულების გაუქმებით“, გლეხებისათვის მიწის საკუთრებაში გადაცემით; ხოლო ამ მიწისათვის მ'ემამულეს უნდა მიეღო „კაპიტალიზებული თანხა“. ამასთანავე მიწის ფასი თვით გლეხობას უნდა გ'ადაეხადა. რაც შეეხება გლეხობისათვის პირადი თავისუფლების მიცემას — ამის საზღაური მებატონეებს სახელმწიფოსაგან უნდა მიეღოთ. ამ პროექტს საფუძვლად დაედო კ. კაველინის ბარათი (1855 წ.), რამაც ა. კოშელევის ბარათთან (1858 წ.) ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთოდ რეფორმის ლიბერალური პროექტის შედგენაში. მაგრამ მსხვილ მ'ემამულეთა ნაწილი მტკიცედ მოითხოვდა შესაძლებლობას, ხელი მიეყოთ „შრომამიგებით-კაპიტალისტური ტიპის“ მეურნეობისათვის. ამ უკანასკნელთ უნდოდათ ხელ'ში ჩაეგდოთ მიწები, მაგრამ გლეხთა სავსებით უმიწოდ დატოვებაც არამიზანშეწონილად მიაჩნდათ.

ამათი (მ. რ. პოზენის) პროექტით გარდამავალი პერიოდის შემდეგ გლეხებს მიწები მ'ემამულისათვის უნდა დაებრუნებიათ, ამასთანავე მთავრობას გლეხთათვის უნდა უზრუნველეყო მიწების საკუთრებად შესყიდვის შესაძლებლობა: ასეთი მცირე მიწის პატრონი გლეხი, ცხადია, ვერ გაექცეოდა მემამულის კაბალას. არსებითად ესენი ყმათა უმიწოდ განთავისუფლებას მოითხოვდნენ იმ ანგარიშით, რომ მალე, გარდამავალი პერიოდის გასვლამდე, მოახერხებდნენ სავსებით გადასვლას დაქირავებული შრომის ექსპლოატაციაზე. ე. ი. სამარინი წინააღმდეგი იყო დაუყოვნებლივი და საყოველთაო გამოსყიდვისა. იგი საბატონო ბეგარის შენარჩუნებას მოითხოვდა 10 — 15 წლით, რა ხნის განმავლობაში „თავისუფალ შრომაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობა“ უნდა დამყარებულიყო.

ამგვარად, რეფორმის პრინციპების შემუშავებაში რუსეთის მებატონეთა შორის ადგილი ჰქონდა ინტერესთა მნიშვნელოვან წინააღმდეგობას. ეს ბრძოლა უმთავრესად ლიბე-

რალებსა და რეაქციონერებს შორის წარმოებდა. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ბრძოლა, ასე თუ ისე, თავის გამოხატულებას ჰპოულობდა ქართველ მებატონეთა შორისაც, რომელთა მოსაზრებები და პროექტები ხშირად ძალიან უახლოვდებიან შესაბამის რუსულ დოკუმენტებს.

თავადაზნაურული ლიბერალიზმის გამანადგურებელი კრიტიკა მოცემული აქვს ჯერ კიდევ კ. მ ა რ ქ ს ს. კ. მარქსი არც კი აქცევს სერიოზულ ყურადღებას იმ პუბლიცისტურ სიცხარეს როგორადაც კ. კაველინი ილაშქრებდა აშკარა რეაქციონერთა წინააღმდეგ[6]. მებატონეთა და ლიბერალებს შორის უბადაღებული ბრძოლა, რის ასახვასაც წარმოადგენდა, კერძოდ ა. კოშელევის, ი. სამარინის, კ. კაველის გამოსვლები, როგორც ვ. ლ ე ნ ი ნ ი მიუთითებდა, წარმოადგენდა „ბრძოლას გაბატონებული კლასების შ ი გ ნ ი თ, მეტწილად მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს შ ი გ ნ ი თ, ბრძოლას მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ დ ა თ მ ო ბ ა თ ა ოდენობისა და ფორმის გულისათვის. ლიბერალები ისევე, როგორც მებატონეები, იდგნენ მემამულეთა საკუთრებისა და ბატონობის აღიარების ნიადაგზე, ისინი აღშფოთებით ჰგმობდნენ ყოველგვარ რევოლუციურ აზრს ამ საკუთრების მ ო ს პ ო ბ ი ს შესახებ, ამ ბატონობის ს რ უ ლ ი დ ა მ ხ ო ბ ი ს შესახებ“[7].

ლიბერალებს — ბურჟუაზიის იდეოლოგებს — უნდოდათ «გაეთავისუფლებიათ» რუსეთი «ზემოდან», ისე რომ არ დაენგრიათ არც მეფის მონარქია, არც მემამულეთა მიწათმფლობელობა და ბატონობა; მათ უნდოდათ მხოლოდ აღეძრათ ისინი, რათა «დროის სულის» შესაბამისად წასულიყვნენ «დათმობებზე». ისინი სჯერდებიან «რეფორმებისათვის ბრძოლას», «უფლებებისათვის ბრძოლას», ე. ი. მებატონეებსა და ბურჟუაზიას შორის ძალაუფლების გაყოფას[8].

---

[6] Архив Маркса и Энгельса, 1948, М. XI, 105—115, 129.

[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 128.

[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 129.

ასე, რომ საგლეხო რეფორმის გარშემო ბრძოლის მთავარი ხაზი გადიოდა არა მებატონეებსა და ლიბერალებს შორის, არამედ მემამულეებსა და ცარიზმსა, ერთი მხრით, და გლეხობას შორის, მეორე მხრით. გლეხობა, რომელთა მოძრაობამ რეფორმის წინახანებში ფართო ხასიათი მიიღო, მიისწრაფვოდა მოეპოვებია „მთელი მიწები", „სრული თავისუფლება". „პირველნიც და მეორენიც იცავდნენ ბურჟუაზიული ეკონომიკური განვითარების პირობებს (ამის შეუგნებლად)"[9]. ობიექტურად მემამულეები იცავდნენ კაპიტალისტური განვითარების „პრუსიულ" გზას, ხოლო გლეხობა იბრძოდა იმავე კაპიტალიზმის „ამერიკული" გზით განვითარებისათვის.

გლეხობის ინტერესებს იცავდნენ 1840 — 1860-იანი წლების რუსი განმანათლებლები. „Колокол" (1857 — 1867) მედგრად იბრძოდა გლეხთა განთავისუფლებისათვის. დიდი დემოკრატი ა. გ ე რ ც ე ნ ი „სოციალიზმს" ხედავდა გლეხთა მიწიანად განთავისუფლებაში, თემურ მიწათმფლობელობასა და „მიწაზე უფლების" გლეხურ იდეაში. ნამდვილად, რა თქმა უნდა, ა. გერცენის ამ მოძღვრებაში, ისე როგორც საერთოდ ნაროდნიკების მოძღვრებაში სოციალიზმისა არა ურევია რა. რადგან, როგორც ვ. ლ ე ნ ი ნ ი გვასწავლის, რაც უფრო მეტ მიწებს მიიღებდნენ გლეხები 1861 წელს, რაც უფრო იაფად მიიღებდნენ მას, მით უფრო ძლიერად იქნებოდა დარღვეული მებატონეთა ძალაუფლება, მით უფრო სწრაფად, ფართოდ წავიდოდა კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში.

დროის მიხედვით ნ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი პირველი რუსი მწერალი იყო, რომელმაც ძირითადად სწორად გაიგო საგლეხო რეფორმის ნამდვილი არსი. „საჭირო იყო სწორედ ჩერნიშევსკის გენიალობა, რომ იმ დროს, თვით საგლეხო რეფორმის მოხდენის ხანაში (როცა ის დასავლეთშიც კი არ იყო ჯერ საკმაოდ გაშუქებული), ასე ნათლად გაეგო მისი ძირითადი ბურჟუაზიული ხასიათი, — გაეგო რომ უკვე მაშინ რუსეთის „საზოგადოებასა" და „სახელმწიფოში" მეფობდნენ

[9] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 292.

და მმართველობდნენ ისეთი საზოგადოებრივი კლასები, რომელნიც მუდამ მტრულად იყვნენ განწყობილნი მშრომელისადმი და უეჭველად წინასწარ განსაზღვრავდნენ გლეხობის გაჩანაგებასა და ექსპროპრიაციას“ [10].

ნ. ჩერნიშევსკიმ, განსაკუთრებით „უმისამართო ბარათებში“, მოგვცა ღრმა მეცნიერული ანალიზი საგლეხო რეფორმის შესახებ მასალებისა და საკანონმდებლო აქტებისა. ნ. ჩერნიშევსკი საესებით სწორად ასკვნის, რომ სარედაქციო კომისიების უკვე პირველ სხდომაზევე მიღებული იყო პრინციპი: „გლეხთა განთავისუფლების გამოცხადებით უნდა დაცულიყო ბატონყმობა“[11]. კ. მარქსმა თავის კონსპექტში ჩაიწერა ნ. ჩერნიშევსკის ეს სიტყვები „რაშიც ესოდენ ნათლადაა მხილებული რეფორმის მთელი მებატონური ხასიათი“[12]. ნ. ჩერნიშევსკი იბრძოდა არა მხოლოდ იმისთვის, რომ გლეხებისათვის შეენარჩუნებიათ მათი ნადელები, არამედ მოითხოვდა ამ ნადელების გადიდებას და გადაჭრით გამოდიოდა გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვის წინააღმდეგ. მისი აზრით ლიბერალების გეგმა მიწების გამოსყიდვის გზით გლეხთა მიწიანად განთავისუფლებისა არსებითად არ განსხვავდებოდა გლეხთა უმიწოდ განთავისუფლების რეაქციონერთა გეგმისაგან.

Ე. ᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲘᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ

ამიერკავკასიის ხალხთა შორის ფეოდალური ურთიერთობანი ყველაზე უფრო ტიპიური ფორმით განვითარებული იყო საქართველოში. აქ, ადრინდელი შუასაუკუნეებიდან მოყოლებული ბატონყმობა შეუჩერებლივ ვითარდებოდა და XVI საუკუნიდან მაინც, უცხოელ დამპყრობთა, უმთავრესად თურქეთისა და ირანის მხრივ სისტემატურ შემოსევათა შედეგად, ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობისა და ეკონომი-

[10] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 331.

[11] Н. Чернышевский. „Избранные экономические произведения“, 1948. М., II. 617 — 650.

[12] „Архив Маркса и Энгельса“, 1948, XI, 15 — 16.

ბური დაჩიავების შესაბამისად, უმკაცრეს ფორმებში მოძრაობდა. ყმა თითქმის ყოველგვარ უფლებას მოკლებული უშუალო მწარმოებელი იყო, რომელიც ამასთანავე მებატონეთა მხრივ თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის საგანს შეადგენდა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო და ამიერკავკასია შეუერთდა რუსეთს. ცარიზმი აქ იმთავითვე ახორციელებდა კოლონიური ძარცვისა და ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკას, რომლის მთელი სიმძიმე მშრომელთა მასებს უნდა გადაეტანა.

გასაგებია, რომ სწორედ ამის გამო ცარიზმს კიდევ უფრო უნდა განემტკიცებინა მებატონეთა უფლებები ყმა-გლეხების მიმართ და ასედაც ხდებოდა სინამდვილეში.

ერთადერთი მნიშვნელოვანი ზღვარი ფეოდალური ექსპლოატაციისა მე-19 საუკუნემდე ის იყო, რომ ფაქტიურად ავტონომიურ ფეოდალ-მებატონეს ნაკლებად შეეძლო მეწობელი მებატონისგან მიეღო დახმარება იმ შემთხვევაში, თუ უზომო ჩაგვრისა და ყვლეფის მეოხებით მას აუჯანყდებოდნენ გლეხები. გარდა ამისა, უკიდურესად შევიწროვებულ გლეხს შეეძლო გაქცეოდა თავისი ბატონის უღელს და თავი შეეფარებინა მთებში ან სხვა, შორეული მემამულისათვის, სადაც ის დაემალებოდა გამხეცებული ბატონის რისხვას; ხოლო მებატონეს მაშინდელ პირობებში, როცა ცენტრალურ-გამაერთიანებელი ხელისუფლება არ არსებობდა, ძნელად შეეძლო გაქცეული გლეხის კვლავ ხელში ჩაგდება. თვითმპყრობელობის დროს ეს „შემამსუბუქებელი“ გარემოებაც დაჰკარგეს საქართველოს გლეხებმა.

ცარიზმისაგან ზურგგამაგრებული თავადაზნაურობა სულ უფრო აფართოებდა თავის უფლებებს ყმებისა და ადგილმამულის მიმართ. თავადები ძალით ეპატრონებოდნენ თავისუფალ გლეხებს და ხშირად მთელ თემებსაც კი; ძლიერი მებატონეები იტაცებდნენ და ითვისებდნენ საეკლესიო-სამონასტრო და სახაზინო (საუფლისწულო) სოფლებს: ითვისებდნენ სათემო ტყეებს, საბალახოებს, სათიბებს, აგრეთვე ნადირობისა და თევზაობის პრივილეგიას; სარწყავი და პირუტყვის

ასმელი წყლით მონოპოლიურად სარგებლობდნენ. გარეშე-ეკონომიკურ იძულებაზე დამყარებული ექსპლოატაციის ნორმები ისე ფართო იყო, რომ სახელმწიფოსა (მეტროპოლიასა) და ეკლესიასთან ერთად მემამულეს მიჰქონდა არამცთუ მთელი ზედმეტი პროდუქტი, არამედ ხშირად აუცილებლის ნაწილიც კი. მეფის მთავრობა მებატონის ადგილმამულისა და ყმათა გამგებლობაში სავსებით არ ერეოდა. ხოლო ნატურალურ ბეგარაგამოსაღებთა ნაწილობრივი კომუტაციისა და გაცვლის განვითარებამ კიდევ სხვა მძარცველი შესძინა გლეხობას: ვაჭარი და მევახშე.

ჩვენ აქ არ ვეხებით რეფორმამდელ პერიოდში ეკონომიკური განვითარების საკითხებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამიერკავკასია, რუსეთის განაპირა ქვეყანა, თვით რუსეთზე უფრო ჩამორჩენილი იყო, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე, განსაკუთრებით, მრეწველობის მხრივ. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი განვითარების ინტერესები აქაც აუცილებლობით მოითხოვდა ბატონყმობის გაუქმებას. ბატონყმური მეურნეობის საერთო კრიზისმა აქაც იჩინა თავი, მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა ის ყირიმის ომის შემდეგ, რა დროიდანაც ბატონყმური არტახები უკვე აუტანელი ხდებოდა.

მამულის „ახლებურად მოწყობის აუცილებლობისათვის", ბურჟუაზიული მეწარმეობის უპირატესობისათვის ალაპარაკდნენ „განათლებული" მებატონეებიც-კი. ამასთანავე დაღისტნის „დამშვიდების", ე. ი. კავკასიის ომების „დამთავრების" შემდეგ სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის დიდი ნაწილი საკუთარ მამულს დაუბრუნდა. საგარეო ვაჭრობის, ფულის მიმოქცევისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებამ თავადაზნაურობას ფრიად გაუძლიერა უცხოურ ფუფუნების საგნებზე მოთხოვნილება, ხელგაშლილი ცხოვრების წყურვილი. ამასთანავე ხანგრძლივ ომებთან დაკავშირებულმა ხარჯებმა მძიმე ვალებში გახვიეს მებატონეები, რომლებიც ახლა იწყებენ ზრუნვას მამულის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის, ე. ი. არსებულ პირობებში, ყმა-გლეხთა

ექსპლოატაციის შემდგომი გაძლიერებისათვის, რათა განამტკიცონ თავიანთი შერყეული ეკონომიკური მდგომარეობა.

მამულს დაბრუნებული სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი აცხადებს (1862 წ.), რომ „ახლა როგორღაც სასიამოვნოდ მიგვაჩნია ჩვენის მდიდარის მიწების მოვლა, იმ გვარ სასიამოვნოდ, როგორც ოდესმე მიგვაჩნდა სამხედრო მუსიკის ხმა. ეს საზოგადოთ ახალის სიცოცხლის განღვიძება შეიცავს მომავალს წარმატებას. ამასთანავე უნდა ვმეცადინეობდეთ შევასრულოთ ეს განახლება სიმშვიდით, გონიერად, ვერიდებოდეთ ამაოდ ფულის ხარჯვას, ამაოდ შრომის დაკარგვას“ [13].

უკვე 1850-იანი წლების ბოლოდან ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში გაისმის მტკიცება, რომ დაქირავებული შრომა უფრო მწარმოებლურია, ვინემ საბატონო ბეგარა; მაგრამ ეს გარემოება განსაკუთრებით ნათლად ჩანდა იმ მამულებში, რომლებიც ახალ სპეციალურ-ტექნიკური კულტურების გაშენებაზე, ე. ი. სავაჭრო მიწათმოქმედებაზე გადადიოდნენ; ამ ტენდენციას სოფლის მეურნეობაში აქეზებდა მეფის ხელისუფლება, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა მეტროპოლიის მრეწველობისათვის აქედან ნედლეულის მიწოდების საქმეს. თავისუფალი შრომის უპირატესობანი უწინარეს აშკარავდებოდა აგრეთვე მიწათმოქმედების გაუმჯობესებული, ე. ი. ქარხნული იარაღ-მანქანების გამოყენებაშიც, რასაც, თუმცა უმნიშვნელო ზომით, ადგილი ჰქონდა რეფორმამდელ პერიოდში[14]. მაგრამ თავისუფლად დაქირავებული მუშახელის შოვნა ძნელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის რიგი ნატურალური ბეგარა-გამოსაღები უკვე ფულზე იყო გადაყვანილი.

ასეთ ვითარებაში რუსეთის ბიუროკრატია, ადგილობრივ რეაქციულ მებატონეებთან შედარებით, პროგრესულ როლს თამაშობდა, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა ფეოდალური

---

[13] გაზ. „გუთნის დედა“, 1862 წ. №—2.

[14] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღები ჩრდილოეთ კავკასიაში“ (ეკონ. ინსტ. შრომები, II, 1 — 56).

კარჩაკეტილობის კედლების აფეთქებას. მაგრამ ამ მიმართულებით ბიუროკრატია დაინტერესებული იყო, არა მხოლოდ როგორც მთავრობის მოხელე, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლების დადგენილებანი უნდა გაეტარებია. ამ ბიუროკრატიის ზედაფენები აქ, სხვადასხვა მაქინაციების წყალობით, შეიქმნენ მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მამულების პატრონები. ამ მამულების მოვლა, თუ მიწებს იჯარით არ გასცემდნენ, მათ დაქირავებული მუშახელის გარეშე არ შეეძლოთ, რამდენადაც ყმები არ გააჩნდათ. ადგილობრივ ვაჭრებთან კონტაქტში შესული იგივე ბიუროკრატია ხელს კიდებდა სხვადასხვა „კომერციულ მესარეწეობას", რაც ისევ თავისუფლად დასაქირავებელი მუშახელის შექმნის აუცილებლობას მიუთითებდა. მუშახელის რუსეთიდან მოყვანისა და საერთოდ კოლონიზაციის მეოხებით წარმოებაში დაქირავებული შრომის დანერგვის ცდებს სასურველი შედეგი არ მოჰქონდა, ანდა, უკეთეს შემთხვევაში ისინი მხოლოდ პალიატივურ ღონისძიებებს წარმოადგენდნენ. ამავე დროს ბურჟუაზიული თაოსნობა სულ ძლიერად მოაბიჯებდა. ქვეყნის მთვლემარე ბუნებრივ მწარმოებლურ ძალთა ამოძრავება, და, მაშასადამე, ნატურალურ ურთიერთობათა რღვევა, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვდა მეტროპოლიის ვაჭრობისა და მრეწველობის ინტერესები, ამიერიდან საგლეხო რეფორმის გზით-ღა ჰქონდათ წარმოდგენილი. ბუნებრივია, ადგილობრივ პროგრესულ ძალებთან ერთად, ამ დროიდან ცარიზმის ხელისუფლებაც დაინტერესებული იყო ამიერკავკასიაში ბატონყმობის გაუქმებით.

ფეოდალური ექსპლოატაციით, კოლონიური ძარცვით, ეროვნული ჩაგვრით, ვაჭარ-მევახშეთაგან, ეკლესიისაგან და სხვ., მეოხებით უკიდურესამდე შევიწროებული გლეხობა თავგანწირული და გმირული ბრძოლებით, ამბოხებებით, მებატონეთა ოჯახების ამოხოცვით, ბეგარების გადახდაზე უარით უპასუხებდა ცარიზმისა და თავადაზნაურობის აღვირახსნილ პარპაშს. თვით რეფორმის წინა წლებში მთელი ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში ადგილი ჰქონდა რიგ გლეხურ-

მასობრივ ამბოხებას. ცარიზმის ხელისუფლება და მემამულეები ყოველმხრივ ცდილობდნენ რეფორმისათვის წინასწარი მზადება გლეხობისაგან ფარულად ჩაეტარებინათ.

8. ბიუროკრატია ქართული ბატონყმობის შესწავლა-მოწესრიგებაში

საქართველოში ბატონყმობის, ასე ვთქვათ „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი პირველად დაისვა 1839 წელს. იმპერატორმა ამიერკავკასიის მმართველობის (ფინანსური სისტემის) მოწესრიგებისათვის 1837 წ. შექმნა საგანგებო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ბარონი პ. გ ა ნ ი. ბარონი პ. განი გრაფ კ ო რ ფ ი ს დახასიათებით „იყო ფრიად არამცოდნე რუსული კანონებისა და პრაქტიკული საქმიანი ცხოვრებისა“[15]. ამგვარად, კაცს, რომელმაც თვითონ არ იცოდა ხეირიანად რუსეთის კანონები და ცხოვრება, უნდა შეემუშავებია ამიერკავკასიის ადმინისტრაციულად რუსეთთან დაახლოებისათვის საჭირო პროექტები. პ. განი აქ ადგილობრივი პირობების „შესწავლის“ საფუძველზე 1839 წ. სამხედრო მინისტრს სწერდა, რომ „საქართველოში ფეოდალიზმიდან გამომდინარე ვასალობა ქვეშევრდომობად (ყმობად) იქცა მხოლოდ უკანასკნელი მეფეების დროს“[16]. დ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს სიტყვებით პ. განი საერთოდ იმ აზრისა იყო, რომ „საქართველოში არასდროს არ ყოფილა ბატონყმობა და ის, გამოგონილია მოხელეებისაგან, რომლებიც აქაურ ურთიერთობაში ხედავდნენ იმასვე, რაც იმათ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში უნახავთ“[17]; და რადგან აქ ფეოდალური ურთიერთობა არ არსებობს გამომღებელ წოდებათა სიაში უნდა ჩაირიცხოს მთელი მოსახლეობა და არა მხოლოდ გლეხობაო.

---

[15] „Русская старина“, 1900 г., т. 101; ციტატი მოგვყავს ს. ე ს ა ძ ი ს მიხედვით „Историческая записка об управлении Кавказом“, Тифлис, т. I, стр. 68—69.

[16] იქვე, 286 — 287.

[17] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, „მემუარები“, 86.

ამიერკავკასიის მთავარმართველობის საბჭოში პ. განის დასკვნას მხარი დაუჭირეს გავლენიანმა მოხელეებმა, ასე რომ საქართველოში „საბჭოს ჟურნალით წაშალეს და კინაღამაც სულ დამარხეს ბატონყმობა". საქმემ ფრიად სახიფათო მიმართულება მიიღო. ქართველ მებატონეებს, ცხადია, არ შეეძლოთ არ ამოქმედებულიყვნენ. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალმა დ. თ. ორბელიანმა საქმის ვითარება აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც არწმუნებდა: „თუ ეს განკარგულება დაუყოვნებლივ არ გაუქმდა, ჩვენი მხარის სიმშვიდეს თავს ვერავინ იდებსო".

სერიოზულად ეშინოდათ გლეხობას გაეგო, რომ საქართველოში იმპერატორის მიერ გამოგზავნილი საგანგებო კომისია ბატონყმობის არსებობას უარყოფდა. ეშინოდათ გლეხების აჯანყებისა, რომელთაც შეეძლოთ მოეთხოვათ პ. განის კომისიის დადგენილების ცხოვრებაში გატარება. დ. ყიფიანი პირდაპირ წერდა: „ძნელი სათქმელია, გადაიქცეოდა თუ არა ეს აქაც ისეთ ნაპერწკლად, რომლის მზგავსმა იმავე ხანებში გურია ცეცხლის ალში გახვია, იმავე ხელისუფლების მიერ კარტოფილის დათესვის ბრძანებისა და გადასახადის ფულად მოთხოვნის გამო"-ო [18].

პეტერბურგში, რასაკვირველია, „საქმეს საღად შეხედეს,— გადმოგვცემს დ. ყიფიანი, — და მაშინვე გასცეს განკარგულება განის ამ veto-ს გაუქმებისა". ამასთანავე იმპერატორმა განკარგულება გასცა „შესაძლებლობის მიხედვით ფარულად ეწარმოებიათ შესწავლა იქაური ბატონყმობისა და დაწვრილებით გაერკვიათ მემამულეთა და გლეხთა ურთიერთდამოკიდებულება". და ადგილობრივმა ხელისუფლებამაც მიზნად დაისახა „собрать сии сведения во всей подробности" [19]. საკითხის შესწავლის პროცესში ცნობილი გახდა, რომ საქართველოში ცარიზმის ხელისუფლებას ჯერ კიდევ გენ. ერმოლოვის დროს შეუკრებია საკმაოდ დაწვრილებითი ცნო-

[18] დ. ყიფიანი, „მემუარები", 87.

[19] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграр. отношения", I. стр. 511.

ბები ყმა-გლეხთა ბეგარების შესახებ. ახალ მასალათა თავმოყრა-სისტემატიზაციას ბიუროკრატიამ კიდევ ათიოდე წელიწადი მოანდომა. ისევ გადაქექეს ვახტანგ VI კანონები და არქივები და, ბოლოს, ბარონ პ. განის წინააღმდეგ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, როგორც 1849 წ. მ. ვორონცოვი ა. ჩერნიშევისადმი მიმართვაში აცხადებდა: „ეს დადგენილებანი ადასტურებენ, რომ ბატონყმობა იმ აზრითა და განვრცობით, როგორადაც იგი მიღებულია რუსულ კანონმდებლობაში, არსებობდა საქართველოშიც“ [20].

აღსანიშნავია, რომ ამ გამოკვლევათა შედეგად მნიშვნელოვანი მასალა იქნა დაგროვილი 1840-იან წლებში ბატონყმური ურთიერთობის შესახებ, რითაც ათიოდე წლის შემდეგ ფართოდ სარგებლობდნენ საგლეხო რეფორმის მოსამზადებელი სამუშაოების დროს.

ცნობილია, რომ საქართველოში 1840-იანი წლების გასულს „ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობას... წინადგრძნობენ უკვე მოწინავე პირები..., რომ მალე დადგება ის დრო, როდესაც ის უნდა მოისპოს“ [21].

ცხადია, ყირიმის ომის პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა ეს „წინაგრძნობანი“. ევროპის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო პოტენციალის წინაშე ბატონყმური რუსეთის უძლურება საყოველთაოდ გამომჟღავნდა. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებში შემოიჭრა ოსმალელთა ჯარი და ომარ-ფაშას ემისრებმა ხალხში ხმა დაჰყარეს: „მოკავშირენი ბატონყმობას მოსპობენო“; — ეს იყო 1855 წელს [22]. ზ. ჭიჭინაძეც გადმოგვცემს „საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის შესახებ ლაპარაკი 1855 წელს გაისმაო“ [23].

---

[20] П. Гугушвили, I. c., I, стр. 513.

[21] დ. ყიფიანი, „მემუარები“, 89.

[22] Рио-нели (ნ. ნიკოლაძე), „Освобождение крестьян в Грузии“ (жур. „Колокольъ“, 1865, № 168. стр. 1624); ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, 1931, ტფ. I, 167.

[23] ზ. ჭიჭინაძე, „ბატონყმობის გადავარდნის სამზადისის ამბები“, 1919, ტფ. გვ. 9.

მაგრამ, ცხადია, ამ ხმების დარხევა იყო შედეგი არა მტრის ჯარის შემოსევისა, არამედ რუს განმანათლებელთა იდეების საქართველოშიაც შემოჭრისა.

ნ. ნიკოლაძე წერდა, რომ „ოსმალეთის ომის (1853 — 1856 წწ.) დროიდან გლეხთა განთავისუფლების საკითხმა ქართველი საზოგადოების ყოველი ელემენტი ააღელვა... ამ საკითხის აღძვრას აუცილებლად უნდა აეფორიაქებინა ქართველი ხალხის პოლიტიკური ინსტინქტები... ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში არაჩვეულებრივი ძალით განვითარდა და თავისი ბედიღბალი თანდათან გლეხთა საკითხის ასეთ თუ ისეთ გადაჭრას დაუკავშირა“[24].

1856 წელს კავკასიის ნამესტნიკად დანიშნული ა. ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი, როგორც ჩანს, 1857 წლიდან შეუდგა საქმეს, იმ მიზნით რომ შესაძლებელი ყოფილიყო „მემამულეთა და გლეხებს შორის უკეთესი მდგომარეობის დამყარება (რათა კარზე მომდგარ რეფორმას მოუმზადებელი არ დავხვედროდით)“[25]. ამ დროიდან მაინც, ცხადია, ბატონყმობის გაუქმების შესახებ ხმები გლეხობაშიც გავრცელდებოდა.

ამ მხრივ აღსანიშნავია, კიდევ ერთი მომენტი. როგორც ცნობილია სწორედ 1857 წ. გლეხთა დიდი აჯანყება მოხდა სამეგრელოში. ეტყობა, რომ გლეხთა ამ აჯანყებას რამდენადმე მაინც აქეზებდნენ ცარიზმის მოხელეები, რამდენადაც მათ უნდა დაეჩქარებიათ სამეგრელოს ავტონომიის საბოლოო ლიკვიდაცია. არსებულ სიტუაციაში სრულიადაც არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ კავკასიის ნამესტნიკი გზახსნილს მისცემდა სამეგრელოს გლეხობაში იმ ამბავს, რომ რუსეთში უკვე იწყებოდა მზადება ყმათა განთავისუფლებისათვის და რომ აქაური გლეხობა განთავისუფლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეგრელო საბოლოოდ იქნება

---

[24] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, I, 162 — 163.

[25] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, „მემუარები“, 1930, ტფ. 53.

რუსეთთან შეერთებული. 1857 წ. გლეხთა აჯანყებაში ა. ბარიატინსკის ასეთი აქცია გამოსჭვივის რამდენიმე დოკუმენტიდან[26]. კერძოდ სამეგრელოს გამგებელი გენ.-მ. კ ო ლ ი უ ბ ა კ ი ნ ი, პასუხად ა. კ რ უ ზ ე ნ შ ტ ე რ ნ ი ს შეკითხვისა, საჭიროა თუ არა ზომების მიღება, „რათა მოისპოს ზოგიერთი გაძოცხადება თავადის ნამესტნიკისა სამეგრელოს მცხოვრებლებისადმი, რაც შეცდომით იქნა გამოქვეყნებული“, — აცხადებდა, რომ ეს დოკუმენტები „გაიპარენ რა სხვებთან ერთად, ნაკლებად იყვნენ შემჩნეულნი და ჩემის აზრით საჭირო არაა მათი შეხსენება და არც დიდი მნიშვნელობის მიცემა მათთვის. ისინი შეიძლება გახდნენ მიზეზი ახსნა-განმარტებათა, მაგრამ არა სამეგრელოში, და ცრუ დასკვნათა მიზეზიც, მაგრამ არა ამჟამად, არამედ პეტერბურგში, თუ კი თავადი დადიანი მოინდომებს (რაც არა მგონია მოხდეს) გახადოს ისინი ცნობილი და შორეულ წარსულში, თუ ისინი, წინააღმდეგ ჩვენ. სურვილისა, მოხვდებიან კავკასიაში ჩვენი პოლიტიკის ისტორიოგრაფის ხელშიო“[27].

ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ ზემოხსენებული ხასიათის უნდა ყოფილიყო ის პროკლამაციები (გამოცხადებანი), რომლებიც „შეცდომით“ გავრცელებულან სამეგრელოში და რომელთა კვალის მოსპობას ასე გულმოდგინედ ცდილობდა ცარიზმის ბიუროკრატია, რათა „შორეულ მომავალში“ ისინი ხელში არ ჩავარდნოდა კავკასიაში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ისტორიოგრაფს. საბოლოო ანგარიშით ასეთი პროკლამაციების გავრცელება, ცხადია, წინააღმდეგ ბიუროკრატიის სურვილებისა, ხელს უწყობდა ბატონყმობის წინააღმდეგ გლეხთა მასობრივი მოძრაობის განვითარებას.

უკვე 1858 წლის დამდეგს კავკასიის ნამესტნიკს საგლეხო რეფორმის შესახებ თავისი მოსაზრებანი წარუდგინეს გ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა და დ. ყ ი ფ ი ა ნ მ ა. ა. ბარიატინსკიმ მოინდომა შედგომოდა საქმის გატარებას, „მაგრამ (ეს საქმე) შემ-

---

[26] П. В. Гугушвили, „Сельское хозяйство...“, I, 675.
[27] იქვე, გვ. 645.

დეგში უყურადღებოდ დასტოვესო", გადმოგვცემს დ. ყიფიანი [28].

ასეთს ვითარებაში, ცხადია, გლეხობას გულგრილად ლოდინი არ შეეძლო. გლეხთა ახალი ამოძრავების ძლიერმა ტალღამ გადაუარა მთელ საქართველოს — დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ: იგი დაიწყო 1857 წელს მრისხანე აჯანყებით სამეგრელოში [29]. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე სავსებით სამართლიანად წერდა (1865 წ.): „გლეხები სრულებითაც არ მალავდნენ, რომ მათი აჯანყების ერთადერთი მიზეზი — ბატონყმობა იყო, ხოლო ერთადერთი მიზანი — მისი მოსპობა. 1858 წელს რომ განთავისუფლების ხმა გავარდა, ამ ამბავმა ცეცხლს ნავთი დაასხა და გლეხთა მოძრაობა უკიდურესად გააძლიერა" [30].

„1861 წლიდამ კი ეს ხმა (ბატონყმობის გადავარდნისა — პ. გ.) ისე გაისმა და ისე მოეფინა ყმა-გლეხთა შორის, რომ არ დარჩა სოფელი, დაბა და მასში მცხოვრები ყმა-გლეხთა დიდი, პატარა, ღრმა მოხუცი და თუგინდ მცირეწლოვანი რომ მათ არ შეეტყოთ ის ცნობა, რომ რუსეთში გადავარდა ბატონყმობა და მალე აქაც გადავარდება" [31]. საქართველოს გლეხობა გამახვილებული ყურადღებით მოელოდა ამ ამბებს.

რეაქციული თავადაზნაურობა-კი ხელისუფლებას უმტკიცებდა, რომ ადგილობრივ გლეხებს არ სურთ ყმობიდან განთავისუფლება, რის გამოც მოსალოდნელი იქნება „თავისუფლების გამოცხადების დღეს გლეხთა აჯანყებაო" [32]. ამასთანავე დრომოჭმულ ურთიერთობათა დამცველები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში ბატონყმობა „არ გამოიხატებოდა იმ ფორმით, როგორც ეს რუსეთში იყო; და წოდებათა

---

28 დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, „მემუარები", 1930, ტფ., 53, სქოლიო.

29 რეფორმის მომზადების პერიოდში გლეხთა მოძრაობის შესახებ იხ. П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство и аграрные отношения", 1938, т. I, გვ. IV — VII და 545 — 679.

30 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რჩ. ნაწერები, I, 170.

31 ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, „ბატონყმობის გადავარდნის სამზადისის ამბები", 1919, გვ. 9.

32 იქვე.

ურთიერთშორის არც იმ სიძულვილ-განხეთქილებაში, როგორც იქ იყოო“ [33]. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით განირჩეოდა მებატონეთა ისეთი იდეოლოგი როგორიც იყო ა. ორბელიანი; იგი ქება-დიდებას ასხამს ძველებურ ქართულ ბატონყმობას, როდესაც „მებატონე თავის ყმას შვილივით უყურებდა“, როდესაც „ყმას მებატონე მამასავით უყურებდა, მამასავით შიში ჰქონდა, მამასავით პატივს სცემდა“ და მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში გამწვავდა ზოგიერთ მრისხანე ბატონსა და ყმებს შორის ურთიერთობაო [34].

1861 წ. 5 მარტს, ე. ი. სწორედ 19 თებერვლის მანიფესტის გამოქვეყნების დღეს, პეტერბურგიდან კავკასიის ნამესტნიკს თავ. ა. ბარიატინსკის „ფრიად საიდუმლოდ“ ატყობინებდნენ რა რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შესახებ, წერდნენ, რომ ამიერკავკასიაშიც უნდა იქნას ამ მიმართულებით დაწყებული „სათანადო სიფრთხილით“ მუშაობაო [35].

აღსანიშნავია, რომ ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება ამიერკავკასიის ხალხთა შორის ბატონყმობის არსებობას ხედავდა მხოლოდ საქართველოში [36]. ამ აზრს ატარებდნენ არა მარტო ოფიციალური დოკუმენტები, არამედ ადგილობრივი რუსული პრესაც. მაგალითად, გაზ. „Кавказ“-ის თანამშრომელი კაპიტანი ტრეასკოვსკი 1847 წ. წერდა, რომ აზერბაიჯანში ისლამმა მოსპო ფეოდალიზმი, რომელიც თვით სომხეთშიც-კი „მრავალმხრივ შეიცვალა... ირანელთა და ოსმალთა მონაცვლეობითი ბატონობისაგან. საქართველოს პროვინციებში კი, რომელთაც ყოველთვის თავისი მთავარი ჰყავდათ, ის გადარჩა და მცირეოდენ ნუანსებშიაც მიაგავს დას. ევროპულ ფეოდალიზმს, რასაც ჩვენამდე არასრული ისტორიული გადმოცემების, კანონმდებლობათა და ზოგიერ-

---

[33] დ. უფიანი, „მემუარები“, 89.

[34] ალ. ორბელიანი, „უწინდელი დროის ბატონყმობა საქართველოში“ („ცისკარი“, 1859 წ. № 11).

[35] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“. 1950, том II, стр. 1.

[36] იქვე, გვ. 2, 6, 8.

თი ხალხური ადათების სახით მოუღწევია. ამჟამად ფეოდალიზმი შესწავლილ უნდა იქნას საქართველოში, როგორც მის საკუთარ სამშობლოში"[37].

ამავე დროს მაშინდელი პრესა და ოფიციალური დოკუმენტებიც ბევრს მოგვითხრობენ „მსოფლიოში უძველეს ქართველ თავადაზნაურთა" უზრუნველი ცხოვრების შესახებ. მაგალითად, გურიის ბრწყინვალე წოდების ყოფიერების შესახებ ე. მ ო ლ ე შ კ ო წერს, რომ აქაური „თავადები, აზნაურები თავიანთი მსახურებიანად მუდამ მგზავრობენ, ესტუმრებიან ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს, ყველგან ქეიფობენ, სეირნობენ, სვამენ, თოფ-დამბაჩების სროლაში არიან და ასე უზრუნველად ატარებენ ცხოვრებასო"[38].

ამასთანავე, საქართველოს მემამულეთა წოდება ცარიზმის ბიუროკრატიას სამართლიანად მიაჩნდა თავის დასაყრდენად კავკასიაში; სენატორი ე. მეჩნიკოვი, რომელმაც 1830 — 1831 წწ. ამიერკავკასიის ადმინისტრაციის რევიზია მოახდინა, იუსტიციის მინისტრს წერდა, რომ „საქართველოში მემამულეები შეადგენენ ყველაზე საუკეთესო და ერთგულ პოლიციას, უფრო მრავალრიცხოვანსა და გავრცელებულს, ვინემ მთავრობას შეუძლია ეს იყოლიოსო"[39], რის გამოც იგი ხელისუფალთაგან მოითხოვდა გლეხობის მიმართ მებატონეთა ინტერესების ყოველმხრივ დაცვას.

ეს აუცილებელი იყო, რადგან ცარიზმს აქ ბატონობა არ შეეძლო საქართველოს თავადაზნაურობის მხრივ დახმარების გარეშე. ადგილობრივ მკვიდრთა ძირითადი მასების ბატონყმურ ექსპლოატაციასთან ნაციონალური ჩაგვრისა და კოლონიური ყვლეფის შეთანაწყობას „მშვიდობიან" ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა, თუ უხეშ ძალადატანებათა სისტემის (რაც ხშირად დამსჯელი ექსპედიციებისა და ეგზეკუციების „დამამშვიდებელ" ღონისძიებათა სახით

---

37 „Сборник газ. «Кавказ»", 1847. Тифлис. II, стр. 107.

38 იქვე, 141.

39 П. Гугушвили, „Сельское хозяйство...", I, 525.

ტარდებოდა) მეოხებით განუხრელად ახორციელებდა რუსეთის თვითმპყრობელობა, რომელსაც უკვე აქამდეც თავის ერთგულ დარაჯად გაეხადა ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატია და ბურჟუაზიული ელემენტები.

რა თქმა უნდა, ქართველ თავადაზნაურობას თავი მოჰქონდა, როდესაც მათ ცარიზმის სატრაპი კავკასიის ნამესტნიკები „კავკასიის ერთა ავანგარდის“ სახელით ადიდებდნენ, და განსაკუთრებულის გულმოდგინებით იყენებდა ამ საბუთს, როდესაც რუსეთის ხელისუფლებისაგან ახალ-ახალ შეღავათებს და მოწყალებას მოითხოვდა, — ცხადია, ადგილობრივი გლეხობის ხარჯზე. მაგალითად, თელავის მაზრის 48 თავადაზნაური, რეფორმის შესახებ კოლექტიურად გამოთქმულ აზრებში, პირველ რიგში მიუთითებდნენ ცარიზმის მიერ კავკასიის დაპყრობის საქმეში თავიანთ დამსახურებასა და მსხვერპლზე.

„მხარე ჩვენი, გარემოცული განძვინებულთა ჩვენზედ ველურთა კავკასიის შვილთაგან, ასეთს აღშფოთებულს და განუსვენებელს მდგომარეობაში იყო 1859-მდე, რომ თვითეულის სახლის ყოველნი ჰასაკოვანი წევრნი მამრნი, დაიარაღებულნი დარაჯობდნენ თავის სახლობას უეცრად მტრის ზედა დასხმისაგან. რომ მრავალნი მათგანი უმეტესსა ნაწილსა წელიწადისასა განატარებდნენ სამსახურში თავისს სახლობათაგან განშორებულნი“. ასე რომ „მდგომარეობა კახეთისა დაღესტნის დამშვიდებამდე შესაძრწუნებელი იყო. გლეხნიცა ერთობ თავის მებატონეებთან გარდაითმენდნენ მოუსვენებელს ცხოვრებას, როგორც კერძოობითად თავისს სახლებში მტრისა გამო, ეგრეთვე საზოგადოდცა ხელმწიფის სამსახურში“. ასეთს პირობებში „უბედურნი გლეხნი აიღებდნენ პურსა და ღვინოზედ ვალებსა სომხებისაგან და ჰძლევდნენ თამასუქებსა; ამასთანავე არ მოსდიოდათ მოსავალი შეუმუშავებლობისა გამო, რადგანაც აკლდათ ფული და ვეღარ მუშაობდნენ არა თუ მხოლოდ თავისს მამულებსა, არამედ მებატონეებისასაცა; — ვალის გადაუხდელობით იწერდნენ ზედვე სარგებლის სარგებელსა და, ამგვარად, პური და ღვინო იმათი გამოუხსნელად იყო მოვახშეთ ხელში და რავდენი-

თამე წლით წინათვე ჰყიდდნენ პურისა და ღვინის მოსავალსა. ამ მდგომარეობაში იყო და დღესაც არის კახეთი“ [40].

აქ შეგატონეებმა გლეხების უნუგეშო მდგომარეობა გაიხსენეს, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ მათი ინტერესების დაცვა .მოიწადინეს, არამედ იმისათვის, რათა ეთქვათ, რომ ჩვენ დიდი მსხვერპლი გავიღეთ რუსეთის მეფის სამსახურშიო. აქვე, სიღნაღის მაზრის 69 თავადაზნაური თავიანთ კოლექტიურ აზრებში აცხადებენ, რომ „დროდგან საქართველოს შესვლისა რუსეთის მფლობელობისა ქვეშე, მიუძღვის საქართველოს კეთილშობილთ ესრეთნი ერთგულებრივი სამსახურნი მისის იმპერატორობითის დიდებულებისადმი, რომელნიც თვით საკუთრად ესენიც ღირს ჰყოფენ მისის უმაღლესისა მოწყალებასაო“ [41]. ასეთსავე დამსახურებაზე მიუთითებდნენ დას. საქართველოს თავადაზნაურები, რომლებიც განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ყირიმის ომის დროს ოსმალთა ჯარისაგან მათი ქვეყნის დალაშქვრასა და გაჩანაგებას. და დ. ყ ი ფ ი ა ნ ს ა ც თავის მოხსენებაში ერთი წუთითაც არ სურდა მხედველობიდან გაეშვა ეს გარემოება. ეხება რა საკითხს, თუ რა საშუალებით უნდა ვიარსებოთ, როდესაც ყმებს პირადი თავისუფლება მიეცემათო, იგი ახსენებს მეფისადმი სამსახურს: „მაგრამ ჯერ ეს უნდა ვსთქვათ, რომ სამსახური ვალი არის და ვალით საცხოვრებელის შეძენა წინააღმდეგია გონიერებისაცა და ზნეობისაცა... გაბედვით ვიტყვით, რომ ქართველებს ჯერ არავისგან შეგვეწამება, რომ სამსახურს ვერიდებოდეთ; ამაზედ ყოვლის ეჭვის გამბნევი თვით საზოგადოება არის ჩვენი. საქართველოს თავადაზნაურთა შორის ოცდა ათამდის მაინც მარტო ღენერლები ბრძანდებით და როგორი ღენერლები. სასიქადულონი სასიქადულო კავკასიის არმიისათვის. მაგრამ აბა თუ თქვენგან ერთს მაინც დაეფუძნებინოს ამ სამოცდა ორს წელიწადში

[40] ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „ქართული ჟურნალისტიკა“, I, 409 — 410.

[41] იქვე, გვ. 451.

სამსახურის სარგებლობაზედ დახათრიჯამება თავის ცოლშვილის ცხოვრებისა?“ [42].

ყოველივე ამით თავადაზნაურობას იმის დამტკიცება უნდოდა, რომ ყმათათვის პირადი თავისუფლების მიცემის შემდეგ, თუ მათი „სულის ღირებულების“ საზღაური არ მოგვეცა, ისე ვერ შეეძლებთ მეფის სამსახურსო.

მეფის ხელისუფლებამაც, გასაგებია, კარგად იცოდა თუ რამდენად აუცილებელი იყო მისთვის ამ თავადაზნაურობის შემომტკიცება და ამიტომაც შეუნელებლად ზრუნავდა მისი აეთილდღეობისათვის. ამ ფაქტს აღნიშნავდა, მაგალითად, კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ვ ო რ ო ნ ც ო ვ-დ ა შ კ ო ვ ი ც, როდესაც აცხადებდა: „1901 წლამდე კავკასიის მიმართ ხელისუფლების მზრუნველობა უმთავრესად მიმართული იყო განმტკიცებისადმი თითქმის მხოლოდ პრივილეგიურ წოდებათა და უპირატესად ქართველი თავადაზნაურობისა, რომელმაც დიდი სამსახური გაგვიწია კავკასიის დაპყრობაშიო“[43].

4. აღმ. საქართველოს თავადაზნაურობის პროექტები და მოსაზრებანი

ა. ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი მ 1861 წ. 25 მარტს თავი მოუყარა თავისთან თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წარმომადგენლებს და გამოუცხადა: აუცილებელია ხელი მოვკიდოთ იმპერიისათვის გამოცემულ დებულებათა აქ გამოყენების საქმესო [44].

ბატონყმობის გაუქმების საქმის მოსამზადებლად შეიქმნა: 1. ნამესტნიკის მთავარმართებლობის უფროსის ა. კ რ უ ზ ე ნ შ ტ ე რ ნ ი ს თავმჯდომარეობით ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტი (შემოკლ. აცსკ), რომელშიც შედიოდნენ თბილისის გუბერნატორი კ. ო რ ლ ო ვ ს კ ი და ამავე გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი ა. ჯ ა მ ბ ა კ ურ ი ა ნ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი; და 2. სამაზრო კომიტეტები, რომელთა

[42] П. Гугушвили, l. c., II, 61.

[43] „Всеподданнейшая записка...“, 1907, стр. 88.

[44] ЦГИАЛ, фонд 1268, оп. 10, д. № 61, I, 1861 г., лл. 4—8.

თავმჯდომარეებად უნდა ყოფილიყვნენ მაზრის თავადაზნაურობის მარშლები და წევრებად თავადაზნაურთაგან არჩეული პირნი. ამ კომიტეტებს ევალებოდათ: „სამაზროებს — ხელი მოეკიდათ შესწავლისათვის მემამულეებსა და გლეხებს შორის დღეს არსებული ყოველგვარი ურთიერთდამოკიდებულებისა და ჰქონოდათ მსჯელობა, თუ როგორ შეიძლებოდა მათი უკეთ მოწესრიგება შესაბამისად ადგილობრივი თავისებურებებისა; ხოლო ცენტრალურს — ხელმძღვანელობა გაეწია და მიმართულება მიეცა სამაზრო კომიტეტებისათვის და. შემდეგ კი საბოლოოდ განეხილა ამ უკანასკნელთაგან წარმოდგენილი ყველა მოსაზრება [45].

მაგრამ თავადაზნაურობამ, უწინარეს გორის მაზრისა, შეუძლებლად დაინახა „ესოდენ სერიოზული საქმე“ მიენდო სამაზრო კომიტეტისათვის და გადაწყვიტა საკითხი განეხილა საერთო ყრილობაზე, რათა ყოველ თავადსა და აზნაურს შეძლებოდა მონაწილეობის მიღება გადაწყვეტილების შემუშავებაში და გამოეთქვა თავისი შეხედულებანი. მთავრობა დათანხმდა ამ მოთხოვნას თავადაზნაურობისა იმ ანგარიშით, რომ მაზრებში თავმოყრილი მასალა „შესაძლებელი იქნებოდა საბოლოოდ შესწავლილი და განხილული ყოფილიყო“ თავადაზნაურობის საერთო საგუბერნიო ყრილობაზე [46].

საქმე მაინც ჭიანურდებოდა. თავადაზნაურობა უცდიდა იმპერატორის „განსაკუთრებულ მოწყალებას“... ბოლოს 1862 წ. 14 სექტემბერს ალექსანდრე II, მიიღო რა მხედველობაში, რომ გლეხთა განთავისუფლება საქართველოში „თავისი ხასიათისა და მრავალგვარობისა გამო მათი ბეგარებისა და საერთოდ მემამულეებისადმი დამოკიდებულებისა შეიძლება შესაფერისი წარმატებით ჩატარდეს მაშინ, როდესაც მემამულეები დაჯილდოებული იქნებიან არა მხოლოდ მიწისათვის, რასაც გლეხებს მისცემენ, არამედ იმ ბეგარებისათვისაც, რასაც ჰკარგავენ გლეხთა განთავისუფლებით...“ ბრძანა: „საკუთრად ამ საგნისათვის გამოიყოს ორ მილიონ მანეთამდე

[45] ЦГИАЛ, фонд 1268, оп. 10, д. № 61, I, 1861 г. лл., 8.
[46] ЦАУГ, ГИА, фонд 67, д. № 9, лл. 47 — 49.

იმ ცალკე ფონდიდან, რაც საერთოდ საგლეხო საქმისათვისაა გადადებული“ [47].

თავადაზნაურობა, მას შემდეგ რაც მიიღო გარანტია „ყმის სულისათვის“ კიდევ ცალკე საზღაურისა (ამ თანხამ შემდეგში მხოლოდ თბილისის გუბერნიაში თითქმის 3 მილიონს მანეთს მიაღწია), საქმის მსვლელობას უფრო ნაკლებად აფერხებდა.

როგორც მასალებიდან ჩანს იმთავითვე დიდის გულმოდგინებით შეუდგნენ ბატონყმურ ურთიერთობათა, კერძოდ ყმების ბეგარა-ვალდებულებათა დაწვრილებით აღწერას ყოველი ცალკე რაიონისა, თემისა და მამულის მიხედვითაც, რამდენადაც „ურთიერთდამოკიდებულება მემამულეებსა და გლეხებს შორის აქ ყოველ ცალკე მამულში წესდებოდა თანდათანობით, მრავალი წლის მანძილზე ადგილობრივი ჩვეულებებისა, მეპატრონეთა და გლეხებს შორის სხვადასხვა დროის შეთანხმებათა, ცალკეული მამულის სხვადასხვა თავისებურებათა და მრავალი ფრიად სხვადასხვაგვარი პირობების შედეგად“.

მებატონესა და მის ცალკეულ ყმას შორის ურთიერთობათა დაწვრილებითი „ინვენტარული აღწერა“ დგებოდა ქართულად, — წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციის მიხედვით. ადგილობრივ ფეოდალურ ურთიერთობათა არსებული მდგომარეობის შესწავლა წარმოებდა როგორც ძველი სიგელ-გუჯრების, კანონებისა და ადათ-ჩვეულებათა, აგრეთვე იმ ღონისძიებათა გათვალისწინებით, რაც აქ ტარდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდან. მებატონეები გულმოდგინედ ცდილობდნენ ბეგარებისა, ღალისა და საერთოდ ყმათაგან მისაღებ შემოსავალთა ხელოვნურად გაბერვას.

ცალკე მაზრებში ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობათა შედეგად თავადაზნაურობას, ადგილობრივ პირობათა შესაბამისად, უნდა შეემუშავებია „გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“ გასატარებელი ღონისძიებანი. მაგრამ იმის შიშით, რომ მაზრებში შედგენილ პროექტებს შორის

[47] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, дело 61, ч. I, 1861 г. док. на л. 20.

მოსალოდნელ განსხვავებათა და სხვ. უთანხმოებათა შედეგად რაიმე მხრივ არ დაეკარგათ მაქსიმალურად ხელსაყრელი მდგომარეობის შექმნის შესაძლებლობა, საჭიროდ დაინახეს მოწვეულიყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საერთო ყრილობა. ამასთანავე ეს გზა საქმის შემდგომი გაჭიანურების თვალსაზრისითაც ესარფებოდათ. 1862 წ. აპრილის ბოლოს მოწვეულ ამ ყრილობაზე აღმოჩნდა, რომ გუბერნიის არცერთი მაზრის თავადაზნაურობას რაიმე გარკვეული ღონისძიება არ ჰქონდა შემუშავებული. ყრილობამ მიიღო ფრიად მოკლე დადგენილება, ასე ვთქვათ, რ ე ფ ო რ მ ი ს ს ა ე რ თ ო ს ა წ ყ ი ს ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ: „1. ჩვენს ყმებს თავისუფლება მიეცეთ: ჩვენ სამაგიეროდ ფული მოგვეცეს; 2. რაც ახლა ჩვენს მამულზედ სახლ-კარობა აქვთ და რაც ჩვენი ადგილმამულები უჭირავთ, ან რასაც ჩვენს ტყესა, თუ საბალახეს, თუ წყალს ჰხმარობენ, ყოველივე ამას მათვე მივაჩემებთ მხოლოდ პირობითა ამით, რომ მიწის შემოსავალი გვეძლეოდეს და ბეგარას ასრულებდნენ ქვეყნის ჩვეულებრივ-სამებრ; 3. ეს ჩვეულება შეუშლელად დარჩეს ჩვენსა და მათ შორის დრომდე; რა რომ ეს დრო გავა, მაშინ შემდგომისათვის ჩვენ ერთმანეთს მოურიგდეთ. ჩვენ როგორც პატრონნი მიწისა და ისინი როგორც თავისუფალნი კაცნი, თუ დათანხმება არ მოხდა, სრული ნება აქვთ მაშინ გადასახლებისა და ჩვენც მათის დათხოვნისა“ [48].

მაგრამ ამ საერთო საწყისების მიხედვით თბილისის გუბერნიაში საგლეხო რეფორმის პროექტის შედგენა იყო საჭირო. დიდი ბრძოლა და ინტერესთა ჭიდილი იყო თავადაზნაურობაში, თუ ვისთვის დაეკალებიათ ეს ფრიად სერიოზული საქმე, „რომლის უმძიმესი არა თუ ჩვენს ხსოვნაში არა მომხვდარა რა ამ მხარეზედ, მამაპაპათაგან მონათხრობებშიაც არა გვსმენია რა“. არჩევანი დ. ყიფიანზე შეჩერდა.

დ. ყ ი ფ ი ა ნ ი 1860-იან წლებში, უფროსი თაობის („მამათა“) ქართველი განათლებული თავადაზნაურობის ბრწყინ-

[48] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, „მემუარები“, 1930, ტფ., გვ. 90; „საისტორიო მოამბე“, IV, გვ. 114.

ვალე წარმომადგენელი იყო. თავისი არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობითა და დიდის გაქანებით, ფართო განათლებით და მახვილგონიერებით დ. ყიფიანმა ადრე გაითქვა სახელი როგორც ადმინისტრაციაში, ისე საზოგადოებაში; ამასთანავე იგი განირჩეოდა მშევრმეტყველებით, ცნობილი იყო როგორც პუბლიცისტი, დრამატურგი. მთარგმნელი (ინგლისურიდან, ფრანგულიდან); განსაკუთრებით განირჩეოდა თავისი სამშობლოს წარსული და აწინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნით.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ყიფიანის წინააღმდეგ გამოვიდა დიდგვაროვან და მსხვილ მემამულეთა ერთი ნაწილი („უმცირესობა"), საბოლოოდ თავადაზნაურობის უმრავლესობამ მხარი მას დაუჭირა. მაგალითად, სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობა აცხადებდა: „ყიფიანის სანაცვლოდ... სხვას ვერავის დავნიშნავთ, რადგან წრფელი გულით უნდა ვსთქვათ, რომ ვიცნობთ მას ღირსად ჩვენის მინდობილებისა და შემძლებლად ჩვენი სურვილის წარმოთქმისა... თუ ეს საზოგადო საქმე თავს არ იდვა მან... სხვას ვერავის აღმოვარჩევთ ჩვენ ისეთს... რომ ყოველივე იმედი ვიქონიოთ, ჩვენს ჰაზრებსა და სურვილს მასთან თავისუფლად გამოვსთქვამდეთ და დავათანხმებინებდეთო".

სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ დ. ი. ყიფიანმა მთლიანად გაამართლა იმედები ქართველ მებატონეთა, რომელთაც ტყუილა როდი მიაჩნდა ეს თავისი გამოჩენილი იდეოლოგი „უაღრესად სანდო და პრინციპულ ადამიანად და მტკიცე პატრიოტად" [49]; და თბილისის გუბერნიაში რეფორმის მომზადების შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში რჩევა-დარიგებისათვის, ხელმძღვანელობისათვის დ. ყიფიანს,

---

[49] ს. ხუნდაძე, „დიმიტრი ყიფიანი" (მონოგრაფია), 1936 წ. ტფ., 78 — 99, 100 — 151, 178 — 264; დიმ. ყ ი ფ ი ა ნ ი „მემუარები", ს. ხუნდაძის რედაქციით, 1930, ტფ. 81 — 104; ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი, „დიმ. ყიფიანის ცხოვრება" (ჟურ. „მოამბე", 1894. № — 4); შ. ჩ ხ ე ტ ი ა, „დ. ყიფიანი და საგლეხო რეფორმა" (ს. მ. IV, 1950 თბ.).

თავის „საყვარელ მარშალს“, მიმართავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა[50].

დ. ყ ი ფ ი ა ნ მ ა რეფორმის საფუძვლებისათვის სათანადო მასალათა, ე. ი. მოსაზრებების მისაღებად თავადაზნაურობას 14 კითხვა მისცა. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ ცალ-ცალკე თუ ჯგუფურად გასცა პასუხი. ამათგან დ. ყიფიანმა 1863 წ. აპრილს შეადგინა „შეკრება ოცდაერთის ჰაზრისა ორასორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონყმობაზედ“ [51], რაც თავის მოხსენებასა და პროექტთან ერთად წარუდგინა თავადაზნაურობის ყრილობას.

დ. ყიფიანმა 1863 წ. აპრილს თავის მოხსენებაში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას გადაუშალა საგლეხო საქმის ისტორია; იგი გამოვიდა როგორც მებატონეთა ინტერესების მსახური და მეფის ხელისუფლების ერთგული მოხელე:

„საქართველოს მებატონენი ვიყავით შეშფოთებულნი, ხმა რომ გვესმა, ბატონყმობა ირღვევაო. მომასწავებელი ნიშ-

---

[50] 1864 წ. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ დ. ყიფიანი მარშალად აირჩია. ამომრჩეველთადმი მიმართვაში დ. ყიფიანმა მოკლედ გადმოსცა თავისი მოღვაწეობის მიზანდასახულება. იგი აცხადებდა: „თქვენ ღირსი გამხადეთ... ჩავუდგე სათავეში ქართველ თავადაზნაურობას, რომელიც უძველესია მსოფლიოში. უფლება და მოვალეობანი თავადაზნაურთა წინამძღოლისა გარკვეული არიან: მთავრობის წინ ის არის წარმომადგენელი თავისი წოდებისა... წოდების წინ ის მთავრობის ნაკარნახევის აღმასრულებელია, როგორც ერთი, ისე მეორე სახის მოღვაწეობისათვის დაწვრილებით ცნობებს იძლევიან კანონები... თქვენ იცით ბ. ბ., რომ მათს პატივისცემასა და იმ წესიერებას, რომელსაც ისინი ამყარებენ, ვერაფითარ შემთხვევაში ვერ გადავუხვევ; ამაში არის, მგონი, მთელი ჩემი დამსახურება თქვენს წინაშე... მაგრამ გარდა დაწერილი წესებისა, ყველა ჩვენთაგანი ემორჩილება საკულტო სინდისის შთაგონებას... ერთგულება ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისა და მისი უმაღლესი ტახტისადმი აუცილებელია. ...პირდაპირ ვამბობ, მე არ მესმის არავითარი ინტერესი, გარეშე ამ წესისა, გარეშე... ჩვენი მოვალეობისა და ღირსების ბუნებრივი შეგნებისა: თავად-აზნაურთა ღირსებას კი უძრახველი სამსახური შეადგენს ტახტისადმი“ („მემუარები“, გვ. 100 — 101).

[51] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „ქართული ეურნალისტიკა“, ტ. I, გვ. 391 — 470.

ნები თუმცა აქაც წინასწარვე იხილვებოდნენ, მაინც დასაჯერებლად არ მიგვაჩნდა პირველში ეს ხმა: «დასაბამიდგან არსებობს ჩვენი ბატონყმობა და ასე ადვილად რა დაარღვევსო», ვამბობდით. მერე, რა რომ შემაშფოთებელი მიზეზები გაგვიმართლდა... მაშინ, ჩვენის ღირსების შესაბამისად შევხვდით საზარელსა ამ საქმეს..., რომლის უმძიმესი არა თუ ჩვენს ხსოვნაში არა მომხდარა რა ამ მხარეზედ, მამაპაპათაგან მონათხრობშიაც არა გვსმენია რა...“ მიუხედავად ამისა ჩვენ „მედგრად გავუსწორეთ თვალი საქმესა, რომელიც უბედურებას გარდა, სხვას თითქო არა რას გვექადოდა საშვილიშვილოდ“.

მერმე იგი გადმოსცემს ქართულ ბატონყმურ ურთიერთობათა ევოლუციისა და თანამედროვე მდგომარეობის არსს. იხილავს რა მებატონესა და ყმას შორის ურთიერთობას, იგი აცხადებს, რომ მებატონეს ყმაზე ისეთივე უფლება აქვს, „რომელიც ყოველს მოძრავს საკუთრებაზედ მიუძღვის პატრონს... ყმასაც იმ გვარადვე შევიძენდით და გავსცემდით, როგორც ყოველს სხვას შეუცილებელს ჩვენს მოძრავ საკუთრებასა“. ამგვარად, დ. ყიფიანის შეხედულებით ყმა იგივე მონაა, რომელიც ისე ეკუთვნის პატრონს, როგორც ყოველი სხვა ნივთი. ამასთანავე „საბატონო არის მიწა ყოველივე და მას ეკუთვნის არა თუ მთელის ნიადაგითურთ, ყოვლის თავისის ბუნებითის თვისებითურთ“. აქედან გამომდინარე ყმათა მებატონეებისადმი ვალდებულება ორგვარ საფუძველზეა აღმოცენებული: 1. „საკუთრების სამართალი [უფლება] ყ მ ე ბ ზ ე დ და 2. საკუთრების სამართალი [უფლება] ადგილ-მამულზედ; ამის გამო ვალდებულებაცა ყმებისა განიყოფება ბუნებითადვე ორ ნაწილად: პირველს ნაწილში შევა ყოველივე იგი სამსახური და გარდასახადი [ბეგარა], რითაც ბატონს ემსახურება ყმა თავით თვისით, ვითარცა ყმა მისი, პირადის დამოკიდებულების გამო; მეორეს ნაწილში ყოველი იგი სამსახური და გარდასახადი, რითაც ბატონს ემსახურება ყმა ადგილ-მა-

მულისათვის“ [52]. პირველი რიგის ბეგარები ყმამ უნდა უხადოს ბატონს „მისს ადგილ-მამულზედ ჰსცხოვრობს, თუ სხვისაზედ, სულ ერთია“; მეორე რიგისა-კი ისეთი ვალდებულებაა, რომელიც შეეხება ყველას ვინცკი სხვისი მიწით სარგებლობს.

დ. ყიფიანის ანგარიშით თბილისის გუბერნიის მებატონის შემოსავალი შეადგენდა: 1. ყმის პიროვნებაზე საკუთრების უფლებიდან, საშუალოდ, 148 მ. 38,5 კაპ. (96 მანეთიდან — 239 მ. 80 კაპ-მდე); 2. მიწაზე მონოპოლიური საკუთრების უფლებიდან: ღალა, საშუალოდ, დღიურზე 2 ფ. და 10 გირ.; კულუხი ვენახის მოსავლის 1/7-დან — 1/6-მდე; საბატონო ბეგარა, კომლზე წელიწადში 10-დან 50-მდე დღე.

ჩამოთვლის რა მებატონის ამ შემოსავალთ დ. ყიფიანი აღნიშნავს: „ს ხ ვ ა ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი ა რ ა გ ა გ ვ ა ჩ ნ ი ა რ ა ო“; რამდენადაც ვაჭრობის, მრეწველობის, ლიტერატურული და სხვ. «თავისუფალი ხელობის», არც სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურის გზით უზრუნველი ცხოვრების შექმნა ჯერჯერობით თავადაზნაურობას არ შეუძლია. არც სოფლისმეურნეობრივი თაოსნობა იძლევა ამ მხრივ რაიმე გარანტიას, სანამ „ცოტაოდენს სასოფლო ეკონომიის განსავითარებელს ჰსწავლასა და გამოცდილებას არ შეევიძენთ, ვალდებულის მუშაობის მაგივრად ქირით მუშაობას არ შეეჩვევით, — მანამდისინ გზები არ გაგვეხსნება და, ამის გარდა, მანამდისინ ჩვენის ვალებისაგან ცოტათაც არის სულს არ მოვიბრუნებთ“.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ „არსად რა იმედია ჩვენთვის და სახლეულთა ჩვენთათვის იმ ორ გვარს შემოსავალს გარდა, რომელიც ძველთა საუკუნეთაგან აქამომდე ჩვენის ყმებისა და მამულისაგან შემოგვდიოდა... საღმერთო ნება ხელმწიფე იმპერატორისა უნდა მარადის აღსრულდებოდეს სიტყვის შეუბრუნებლად“ [53].

---

[52] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...“, II, 54 — 56.
[53] იქვე, გვ. 62 — 64.

თუ რა მსხვერპლზეა აქ ლაპარაკი ჩანს დ. ყიფიანის გაანგარიშებიდან, სახელდობრ თუ რაოდენ შემოსავალს ჰკარგავდნენ მებატონენი ყმათათვის პირადი თავისუფლების მიცემით. 1. კომლი საშუალოწლიურად ამ რიგის შემოსავალს მებატონეს აძლევდა 148 მ. 38,5 კაპ. რაოდენობით. „ეს შემოსავალი რომ სარგებლად დავითვალოთ, მაშასადამე, თავნად რომ ვაქციოთ“ თექვსმეტ და ორმესამედგზის განმრავლებით შედგება თითო კომლზედ — 2.473 მან; — და 17.208 კომლზედ გამოვა... 42,5 მილიონი. „როგორიღა უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა მაშინ, როდესაც ეს თავნი სრულიად აღარ გვექნება, რადგან გლეხებს განთავისუფლებასთან ყოველი ეს შემოსავალი უნდა ვაპატივოთ და, მაშასადამე, ამათს გამოკეთებას შთამომავლობითი ჩვენი საკუთრება უნდა შევსწიროთ 42,5 მილიონი“ მანეთი.

დ. ყიფიანის ეს გაანგარიშება იმდენად უზომო იყო, რომ ნამესტნიკისაგან ამისათვის მან საყვედური მიიღო[54]. მართალია, დ. ყიფიანი არ აცხადებდა ამ „მსხვერპლისათვის“, სახელდობრ თუ რამდენი საზღაური უნდა მოეთხოვათ, მაგრამ, ცხადია, ასე გაბერილი ციფრები გამოგონილი იყო სწორედ იმისათვის, რათა „საზღაური“ რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო.

ამასთანავე დ. ყიფიანი აცხადებდა, რომ გლეხთა პირადი განთავისუფლებიდან გამომდინარე „მსხვერპლისათვის“ მებატონეებს საზღაური უნდა მიეღოთ სახელდობრ სახელმწიფოსაგან. რადგან: „დრომ მოითხოვა და ყმებს თავისუფლება უნდა აღდგენილ-ექმნეთ ხელმწიფობის სარგებლობისათვის; მაშასადამე, ხელმწიფობამ უნდა გასწიოს საჭიროცა ამისთვის ხარჯი“.

ბატონყმობის გაუქმების საკითხში მებატონეთა სხვადასხვა ჯგუფის შეხედულება ჩანს მათ მიერ წარმოდგენილი აზრებიდან, თუ პროექტებიდან.

---

[54] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, „მემუარები“, 93.

თავისი რეაქციული, მებატონური, ხასიათით უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია „უმრავლესობის“ პროექტი — ამ პოზიციაზე იდგა დ. ყიფიანიც. ისინი გადაჭრით აცხადებდნენ: „ადგილი (მიწა) ბატონის საკუთრება არის და მისს ნებაზედ უნდა იყოს დამოკიდებული... მცირე ნაწილი გლეხისადმი მიცემული სულ დააფოლებს დანარჩენს მებატონის მამულსა, აღარც ნაყმევი გაივლის მებატონის მამულში შესამუშავებლად და აღარც სხვა ვინმე გლეხი. თუ ადგილები გლეხებს მიეცა, მცირე მამულის პატრონმა სამგზავრო კერთხი უნდა აიღოს, ბედის წერის გზას შეუდგეს და იტანტალოს არსების პურის მოსაპოვებლად“.

„უმრავლესობა“ თავად დ. ციციშვილის სახით პირდაპირ აცხადებდა: „გლეხის მომადლიერება არც გვინდა და არც გვითქვამს... უკეთუ სვინდისით განვსჯით, ჩვენ გვმართებს მომადლიერება ჩვენის თავისა და ჩვენის ცოლისა და შვილისა, რომელთაც არ შეგვიძლია არც მუშაობა, არც გუთანზედ დაჯდომა, არც ვენახისა და ბოსტნის ბარვა და თოხნა, არც საქონლისა და ცხვრის დევნა... ხოლო გლეხი მარადის მზა არის ყველა ამათ საგანთა ტვირთვად და არცა რა ვისაგან დაიძრახება, რადგან ის შობილა ამ გვარის მდაბიო ცხოვრებისათვის და სიყრმითგანვე აღზრდილია ამისთანა ცხოვრებაში. გარდა ამისა როგორ შეიძლება გლეხიც მადლობელი ვამყოფოთ და ჩვენი თავიც? ორის მოჩივრის გამართლება ვჰგონებ შეუძლებელი იქნება, უთუოდ ერთი მათგანი იქნება ტყუანი... მაშ ის ჰსჯობს ჩვენი თავი მოვიმადლოთ...“ „უმრავლესობა“ კატეგორიულად აცხადებდა, რომ გლეხებისათვის ყველა იმ მიწების მისაკუთრება, რომლებითაც ისინი ჩვენგან სარგებლობენ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ხოლო „...თუ დაუმკვიდრეთ ნაწილი რომელიმე და დანაშთენი კი ჩამოვართვით, წინააღმდეგობა იქნება ზნეობისა, ვითარცა წარტაცება ჩვეულებრივის საცხოვრებლისა“.

ასეთს პირობებში „უმრავლესობა“ მოითხოვდა: „რაც ახლა ჩვენს მამულზედ ჩვენს ყმებს სახლკარობა აქვთ და რაც ჩვენი ადგილ-მამულები უჭირავთ, ან რასაც ჩვენს ტყესა, თუ

საბალახოსა, თუ წყალსა ჰხმარობენ, ყოველსავე ამას მათვე მივაჩემებთ, მხოლოდ პირობითა მით, რომ მიწის შემოსავალს გვაძლევდნენ და ბეგარას ასრულებდნენ ჩვეულებისამებრ".

ამ მოთხოვნის აზრი იმაშია, რომ გლეხს მიწა საკუთრებაში არ უნდა მიეღო, მაგრამ იგი მიწიდანაც არ უნდა აყრილიყო, არ უნდა გაპროლეტარებულიყო; ის რჩებოდა მემამულის მიწაზე მის მიერ [„მისი შრომითა და კაპიტალით"] აშენებული სახლკარისა და საერთოდ მოძრავი ქონების შესაკუთრედ.

ამ გზით „უმრავლესობა" ცდილობდა ყოფილ ყმასა და მებატონეს შორის დამყარებულიყო ისეთი საადგილმამულო ურთიერთობა, რაც საქართველოში ადრიდანვე ცნობილი იყო ხ ი ზ ნ ო ბ ი ს სახით. ამიერიდან ხიზნობა საადგილმამულო ურთიერთობის ყველა სხვა ცნობილ ფორმაზე უფრო მეტად ესარფებოდათ. ამგვარად, განმარტავდნენ ისინი, „...ჩვენი განზრახვა არის, რომ ახლანდელს ყმების ყოფა-ცხოვრებაში ცვლილება სრულიად არა მოხდეს რა ამის მეტი, რომ სრული პირადი თავისუფლება მიეცემათ ჩვენის მონობისაგან და ბატონყმურის დამოკიდებულებისაგან... დაშთება მათზედ მხოლოდ ის ბეგარა და ის ადგილმამულისათვის სამსახური, რაც ხიზანსა ჰმართებს, ან იმათ ემართათ; ესე იგი რაც ყოველს თავისუფალს კაცსა ჰმართებს, რომელიც სხვის მამულისაგან ჰსარგებლობს; და ამ მართებულსაც ისე და იმ ზომით უნდა იხდიდნენ, სადაც როგორი ჩვეულება ახლა არსებობს და ამ ჩვეულებას არ შევშლით დრომდის, ესე იგი იმ პირველის ვადის გასვლამდის, რომელსაც დავაწესებთ ერთმანეთთან მორიგებითა და დათანხმებითა".

ამგვარად, ახლა უკვე მკითხველთათვის გასაგებია, თუ რატომ გამოაცხადა დ. ყ ი ფ ი ა ნ მ ა საბატონო ბეგარა (რენტა შრომით) ისეთ ვალდებულებად, რომელიც გამომდინარეობდა გლეხთა არა პირადი დამოკიდებულებიდან, არამედ მხოლოდ თავისუფალი საადგილმამულო ურთიერთობიდან, ე. ი. ისეთ ვალდებულებად, რომელიც ეკისრება სხვისი მიწით მოსარგებლე პირადად თავისუფალ მიწის მუშას, მაშასადამე, თავისუფალ მეიჯარეს. ამ ხერხით, ცხადია, „უმრავლე-

სობა“ მიისწრაფვოდა, რეფორმის შემდეგაც უზრუნველეყოთ თავიანთი თავი არა მხოლოდ ღალითა და კულუხით, არამედ საბატონო ბეგარითაც, ე. ი. გლეხის მუშაძალითაც. მემამულეები აქ კიდევ იშველიებდნენ „ჩვეულებასა“ და „ურთიერთშორის მორიგების“ შესაძლებლობას. თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში ორივე ეს მომენტი იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ სწორედ რეფორმის მომზადების პერიოდში, იმის შიშით, რომ მალე დაკარგავდნენ ყმებს და იქნებ მიწებსაც, სწორედ „ჩვეულებისა“ და „ურთიერთმორიგების“ საფუძველზე ართმევდნენ გლეხებს მიწებს და უდიდებდნენ როგორც პროდუქტით, ისე შრომით ბეგარებს, რათა რაც შეიძლება მეტი ამოექაჩათ ყმა-გლეხობისაგან.

„უმრავლესობის“ პროექტით იმ შემთხვევაში თუ მამული იყიდებოდა გლეხებს შეეძლოთ მისი შესყიდვა: 1/4 მიწის ფასისა მათ უშუალოდ უნდა გადაეხადათ, ხოლო 3/4-ს კი იხდიდა ხაზინა, რომელიც ამ თანხას 26 ან 37 წლის ვადით, როგორც საბანკო სესხს, ე. ი. კანონიერი სარგებლით (%) აძლევდა გლეხობას.

ამგვარად, „უმრავლესობის“ პროექტით უნდა მომხდარიყო ბატონყმობის მხოლოდ ერთგვარი, თავისებური, მოდერნიზაცია. ამ მიმართულებით, ე. ი. ბატონყმური ურთიერთობის არსებითად შენარჩუნების ინტერესებისათვის, პროექტში შეტანილი იყო რიგი ბუნდოვანი, ძნელად გასაგები მუხლი „თავისუფალ მიწის მუშასა“ და მემამულეს შორის ურთიერთობის მებატონური მეთოდებით მოწესრიგებისათვის.

ძირითად საკითხებში — ყმათა ხიზნებად გამოცხადების მხრივ — „უმრავლესობის“ პროექტს მხარს უჭერდა თბილისის გუბერნატორი კ. ო რ ლ ო ვ ს კ ი. მათგან მხოლოდ ზოგიერთ დეტალში განსხვავდებოდა „უმცირესობისა“ და ი ვ. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი ს პროექტიც.

პროექტში „უმცირესობისა“, რომელთაც მეთაურობდა ცნობილი პოეტი, კავკასიის ნამესტნიკის მოვალეობის ამსრულებელი, გენ.-ლეიტ. თავ. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი და თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი თავ. ალ-

დ. ჯ ა მ ბ ა კ ურ ი ა ნ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ეკითხულობთ: „ძეგბატონეთა უფლება უძრავ ქონებაზე, რაც ამჟამად გლეხის მფლობელობაში იმყოფება, რასაკვირველია, უდავოა“; მიუხედავად ამისა „ჩვენ გადავწყვიტეთ პატივი ვცეთ გლეხის უფლებას მის შრომითს კუთვნილებაზე... ჩვენ, რა თქმა უნდა უარს არ ვამბობთ... ამავე გლეხებს დასამუშავებლად და სარგებლობაში მივსცეთ სახმარი მიწები გარკვეული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე“... „თუ გლეხი მოისურვებს სხვაგან გამონახოს თავშესაფარი“, მას მიეცემა უფლება თან წაიღოს ყოველივე, რაც „ჩვენის გამოცხადებით მას ეკუთვნის და რაც არ გამოიწვევს მიწის (მამულის) გაფუჭებასა და ღირებულების დაცემას“. ამასთანავე მემამულის მიწაზე გაშენებული ბაღი, „სადაც მას ეკუთვნის უფლება მის შრომასა და დახარჯულ კაპიტალზე, შეუძლია გაყიდოს, გაასაჩუქროს, ანდერძით დაუტოვოს... მხოლოდ იმ პირობით, რათა მის ადგილას მოსულმა იკისროს მემამულის წინაშე ის ვალდებულებანი, რაც გამომდინარეობს მიწაზე მემამულის საკუთრებისაგან, ე. ი. მემამულეს გამოუყოს ბაღის მთელი მოსავლის მეოთხედი ნაწილი“. მემამულეები ინარჩუნებენ უპირატეს უფლებას განაგებდნენ და ფლობდნენ ყველა შემოსავლიან ადგილებსა და სხვა საწარმოებს (ბაზრებს, დუქნებს, წისქვილებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, .მინერალებსა და სხვ. წყაროებს სიმდიდრისა), რომლებიც მათს მამულებში იქნებიან. „გლეხებს უფლება აქვთ სახაზინო საფასურით ისარგებლონ მემამულის ტყით, იმ ზომით რა ზომითაც ასეთი სარგებლობა აუცილებელია ბაღების (ვენახების) გასაშენებლად და საოჯახო საჭიროებისათვის“; სარწყავი · წყლით სარგებლობის მხრივ გლეხები ინარჩუნებენ უფლებას „მომქმედი ადათების მიხედვითო“, ე. ი. სარწყავი არხები (ირიგაციის სისტემა) ამიერიდანაც რჩებოდა მემამულეთა ხელში, როგორც გლეხების დაკაბალების საშუალება.

თავადი ი. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი, მსხვილი ფეოდალური მემამულე, რომელიც თვითონ ხელმძღვანელობდა თავის მეურნეობას და რომელიც ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმება-

მდე, გადავიდა რა სავაჭრო მიწათმოქმედების რელსებზე, იძულებული იყო ხელი მოეკიდა აგრეთვე დაქირავებული შრომის ექსპლოატაციისათვისაც და შემოეტანა სოფლის მეურნეობის „ევროპული“ მანქანები და იარაღები, წერდა: „ისტორიულად ბატონყმობა იმდენად აუცილებელი იყო, რომ ამგვარი კავშირის გარეშე საეჭვოა რომ საქართველოს შესძლებოდა ჩვენს დროამდე მოეღწია“. მაგრამ იგი ამასთანავე ცნობდა, რომ „გლეხთა განთავისუფლება ნამდვილად არის თანამედროვეობის საკითხი“, თუმცა იქვე აცხადებდა, რომ „ჩვენ ჯერ კიდევ არ მივსულვართ იმ საუკუნემდე, როდესაც ქონების გათანაბრებითი განაწილება საზოგადოებრივი ცხოვრების პირველ პირობას წარმოადგენდეს, რის გამოც გლეხთა პირად დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ ქონებრივ უფლებას, რაც მრავალ საუკუნეობრივად განმტკიცებულა, არცა თუ ჰხამს, რომ ვანგრევდეთო“. საქართველოს პირობებში „ბატონყმობა წარმოადგენს ზოგთათვის თითქმის ერთადერთ, ხოლო ზოგთათვის ფრიად არსებით წყაროს შემოსავლისა, რაც უზრუნველყოფს მფლობელს (მებატონეს), ხოლო ყველასათვის, გამონაკლისს გარეშე, ყმა-გლეხთა სავალდებულო შრომა (საბატონო ბეგარა) მეურნეობრივ ცხოვრებაში წარმოადგენს ისეთ იარაღს, რისი შეცვლა დაკავშირებულია... ისეთს მსხვერპლთან, როგორის „გაღებაც საქართველოს თავადაზნაურობას არ ძალუძს... მაშასადამე, ბატონყმობის გაუქმების გამო თავადაზნაურობისათვის ჯილდოს მიცემა არის სამართლიანი საზღაური“. რაც შეეხება საადგილმამულო ურთიერთობათა საკითხებს ი. მუხრან-ბატონი იზიარებს იმ შეხედულებას, რომ „შრომის ნაწარმოები ეკუთვნის გლეხს, ხოლო მიწა — მებატონეს“ [55].

ყოველივე ამის საფუძველზე ი. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი ს პროექტით: 1. გლეხს შეუძლია გადასახლდეს მთელი თავისი მოძრავი ქონებით, 2. მებატონის (მეშამულის) მიწაზე დარჩენილი გლეხი იწოდება მემკვიდრეობითი-მეიჯარედ; 3. მი-

---

[55] П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство...“, II, 130—132

წის სარგებლობისათვის გლეხი „ვალდებულია იკისროს მემამულის წინაშე ნატურალური ბეგარები პროდუქტით ანუ შრომით, ანდა უხადოს მას ღალა ფულით ანუ ნაწარმით, რა თქმა უნდა, ურთიერთშეთანხმების მიხედვით"; 4. მიწა და აგრეთვე სახლკარი შეიძლება ჩამოერთვას გლეხს, თუკი მემამულე დაუმტკიცებს მომრიგებელ შუამავალს, რომ ეს მიწა აუცილებელია მისთვის საკუთარი მამულის მოცულობის დარგვალებისათვის და მემინდვრეობისა და მებაღეობის მეურნეობრივი (ეკონომიკური) მოწყობისათვის; — ჩამორთმეულის ნაცვლად მემამულე გლეხს შესთავაზებს სხვა სამოსახლოს (საკომლოს), ხოლო თუ გლეხი არ დასთანხმდება, მაშინ მას ენიშნება „ვადა გადასახლებისა".

ამგვარად, ივ. მუხრან-ბატონის პროექტით გლეხი ცხადდება მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ მ ე ი ჯ ა რ ე დ, რაც არსებითად არ განსხვავდება ხიზნობისაგან. ამასთანავე მუხრან-ბატონი, როგორც სავაჭრო მიწათმოქმედების რელსებზე გარდამავალი მებატონე, უფლებას იტოვებს საკუთარი მამულის „დარგვალების", ე. ი. გაფართოების საჭიროებისას სურვილისამებრ აყაროს გლეხები (რომლებიც მას მხოლოდ წარმოების იარაღებად მიაჩნია) თავიანთ სამკვიდრებელთაგან; — ანდა კიდევ, ნატურალური საბატონო ბეგარა და ღალა გადაიყვანოს ფულზე, თუმცა ეს მომენტი გათვალისწინებულია დ. ყიფიანის პროექტითაც (§ 10).

მებატონეები, იციან რა თუ რა პირობებში „ანთავისუფლებენ" გლეხებს და ეშინიათ რა მათი რევოლუციური ამოძრავებისა, უფლებას იტოვებენ გააძევონ სოფლიდან ურჩი და მოაჯანყე გლეხები. დ ყ ი ფ ი ა ნ ი ს („უმრავლესობის") პროექტში პირდაპირ ნათქვამია: მემამულეს უფლება აქვს პირველი ვადის, ე. ი. 3 წლის გასვლამდეც, „თავისი ნაყმევი ადგილმამულიდან დაითხოვოს იმ შემთხვევაში, — როდესაც სოფლის ხალხი იტყვის, როგორც რიგია, სასოფლო განჩინებითა, რომ ესა და ეს კაცი ამრევია ქვეყნისა და მავნებელია საზოგადო მშვიდობიანობისა და მყუდროებისათვის თავისის განსაკიცხა-

ვის ყოფაქცევითა, ან თუ გაურჯელობა და დაუდევნელობა ჰსჭირს ისეთი, რომ სოფელში მოსათმენი არ არის“ [56].

სწორედ ამიტომ ყველა ზემოხსენებულ პროექტებში კიდევ საერთოა მებატონეთა მისწრაფება, რათა რეფორმის შემდეგ, ამა თუ იმ სახით, მემამულეებმა შეინარჩუნონ სოფელზე პოლიციური უფლებები. ივ. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი მოითხოვს რომ სოფელმა (мир) ადვოკატი უნდა აირჩიოს მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა წ რ ი დ ა ნ, „რომელიც დაიცავს გლეხების ინტერესებსო“.

ასეთი იყო გლეხთა „განთავისუფლების“ პირობები რეაქციული მებატონეებისა, როგორც ალმ., ისე დას. საქართველოშიც. მათ შორის განსხვავება არსებითად მხოლოდ სიტყვებშია. ისინი საერთოდ იმიტომ თანხმდებიან რეფორმის გატარებას, რომ „იმპერატორის ბრძანებას ვეღარ გადავალთო“, მაგრამ ყოველივე საშუალებას-კი მიმართავენ, რათა „განთავისუფლებული“ გლეხი ისევ მემამულისადმი კაბალურ საიჯარო დამოკიდებულებაში მოაქციონ; კარგად იციან რა, რომ საქართველოში, როგორც მრავალწლიან ნარგავთა კლასიკურ ქვეყანაში, მიწის მუშა „ადვილად ვერ მოსცილდება ადგილს“, ისინი მრავალგვარ მზაკვრულ ხერხებს (ხიზნობა, ზემკვიდრეობითი იჯარა და სხვ.) მიმართავენ, რათა ადგილმამულთა შენარჩუნებასთან ერთად, ამა თუ იმ სახით, გლეხთა მუქთი ან თითქმის მუქთი მუშაძალის ექსპლოატაციის საშუალება შეინარჩუნონ.

რეფორმის მომზადებაში ჩაბმული თავადაზნაურობა ორ ბანაკად იყოფოდა, ერთნი მოითხოვდნენ ყმების უ მ ი წ ო თ განთავისუფლებას, მეორენი მ ი წ ი ა ნ ა თ განთავისუფლებას. ზემოთ გავეცანით უმიწოთ განთავისუფლების მომხრეთა აზრებს.

გლეხთა მ ი წ ი ა ნ ა თ განთავისუფლების მომხრეთა შორის დ. ყიფიანისათვის თავისი აზრები ყველაზე ჩამოყალიბებულად წარუდგენია გენერალ კ. მ ა მ ა ცა შ ვ ი ლ ს.

---

[56] Π. Γ ρ γ ρ ш в и л и, „Сельское хозяйство...“, II, 127.

კ. მამაცაშვილი, რომელიც ამ დროიდან ცნობილი გახდა როგორც „რადიკალი გენერალი“, მოითხოვდა გლეხების მიწიანათ განთავისუფლებას, როგორც ეს უკვე გატარებული იყო რუსეთში, „სადაც სანახევროდ მაინც პრუსიის წესი იყო მიღებული“. იგი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ თუ გლეხებს მიწას არ მივცემთ, ამის შედეგი იქნება „უზომო განმრავლება უადგილმამულო, უბინაო კაცებისა, პროლეტარებისა, რომელნიც მარადის მავნებელნი არიან ქვეყნის მშვიდობიანობისათვის და მაზარალებელნი სახელმწიფოს ეკონომიისათვის“. მას აშინებს დასავლეთ ევროპაში განვითარებული კაპიტალისტურ ურთიერთობათა „მშვენიერებანი“: „თუ რაოდენი გაფრთხილება მართებს ქვეყანასა, რომ პროლეტარიობა არ დამკვიდრდეს, მრავალნი საქმენი ამტკიცებენ ევროპაში მომხვდარნი. რამდენი სისხლი დათხეულა მამულის პატრონებისა პროლეტარიებისაგან ანგარიში არ არის და ბევრს ევროპის ქვეყნებში კიდევაც არ დამცხრალან ამგვარის აღრეულებისაგან. იმ მდიდარს ანგლიაშიაც, რომელისაც მოქალაქეობითი დაწყობილება სამაგალითოდ უჩანს დედამიწასა (ევროპას) პროლეტარიობა ისეთ გამჯდარ სნეულებად არის ქვეყნისათვის გადაქცეული, რომ იქნება სულაც ვეღარ მოხერხდებოდეს განკურნება, თუ ქვეყანა არ შეინგრა როგორმეო“, — აცხადებს განათლებული გენერალი-მემამულე.

კ. მამაცაშვილი გლეხთა მიწიანათ განთავისუფლების მიზანშეწონილებას პატრიოტული მოტივებითაც ასაბუთებს: „რომელსაც კაცს ადგილმამული არ გააჩნია, იმას არც ბედნიერება ესიამოვნება ქვეყნისა, არც უბედურება შეაწუხებს, მშობელს ქვეყანაში ფეხის მოსაკიდებელი თუ არა გააჩნია უცხოა ქვეყნისათვის, უბინადრო, უადგილმამულო და კოსმოპოლიტი“ [57]. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე იგი მოითხოვს, რომ განთავისუფლებულ გლეხებს: მიწის „რაც ახლა აქვთ იმის ერთი დაწესებული წილი მიეცეთ სამოსახლოთ და საკალო-საბძლეთი დასახსნელად.... რა რომ ყველგან გლე-

[57] პ. გუგუშვილი, „ქართული ჟურნალისტიკა“, I, 430.

ხისათვის შესასყიდი წილი დაწესდება, მაშინ რაც იმას გადარჩება მებატონის მიწას მიემატება"; ვენახები შუაზე უნდა გაიყოს; ტყისა და საძოვრისათვის „ცალკე უნდა დაწესდეს რა სამსახური ემართებათ გლეხებს მებატონისა". დასასრულ, იგი აღიარებს, რომ „ყმათა შრომა უნაყოფოა", ხოლო თავისუფალი დაქირავებული შრომა „უფრო სასარგებლოა", რაზედაც უნდა დაეფუძნოს ახალი სოფლის მეურნეობა.

ესაა და ეს კ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი ს მოთხოვნები. მას საჭიროდ მიაჩნია გლეხს დაუტოვონ ს ა კ ო მ ლ ო მ ი წ ი ს მ ხ ო ლ ო დ ნ ა წ ი ლ ი. ისიც რა თქმა უნდა „დასახსნელად", ე. ი. გამოსასყიდად. იგი ტყისა და საძოვრისათვისაც-კი აკისრებს „განთავისუფლებულ" გლეხს „მებატონისათვის სამსახურს" და, ამგვარად, არაფრით არ ცილდება ყმათა განთავისუფლებისათვის საერთოდ რუსეთში დაკანონებულ დებულებებს. კ. მამაცაშვილის ე. წ. „რადიკალური მოთხოვნები", არც მეტი არც ნაკლები, ლიბერალური მემამულური გეგმაა ყმათა განთავისუფლებისა.

„რადიკალურ მოაზრედ" იყო ცნობილი აგრეთვე გაბრიელ ეპისკოპოზი, რომელიც თვით 19 თებერვლის მანიფესტის გამოქვეყნებამდე ქადაგებდა ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობას. გ ა ბ რ ი ე ლ ი (ქ ი ქ ო ძ ე)[58] 1861 წ. იანვარს

[58] ავტორი წიგნისა „Основания опытной психологии", 1858 г. და სხვ. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ნ. დ ო ბ რ ო ლ ი უ ბ ო ვ ი ს გ. ქიქოძის ხსენებულ წიგნს მიუძღვნა ძირითადად დადებითი რეცენზია; ნ. დობროლიუბოვი წერდა: „წიგნი... განირჩევა გადმოცემის მეთოდით და შედარებით დიდი რაოდენობით ფიზიოლოგიური ფაქტებისა, რაც მის უდავო ღირსებას შეადგენს". ქვემოთ აკეთებს რა რიგ მეტად მნიშვნელოვან მითითებას, იგი დასასკვნის: „საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ სრულებითაც არ უარვყოფთ მის ძირითად დებულებებს და მხოლოდ ის გვსურს, რათა მან განყენებულობათა და ფრაზეოლოგიის გარეშე, მიგვითითოს ჩვენ უფრო დადებითი ფაქტები, რომლებმაც იგი მიიყვანეს გამოთქმულ შედეგამდე" (Н. А. Добролюбов, „Первое полное собрание сочинений", под. ред. М. Лемке, 1911, СПБ, т. III. стр. 49 — 54).

„Основания опытной психологии"-ის გამომცემელი ა. რ. რ უ დ ა კ ო ვ ი შიშობდა, რომ ამ წიგნს „უწმინდესი სინოდის თვალში" ზიანი არ მიეყენებია ავტორის რეპუტაციისათვის, რომელიც შეიძლებოდა

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის შეკრებილებაში წარმოთქმულს სიტყვაში, სხვათაშორის, აცხადებდა: რომ საზოგადოება „თავის გაბედნიერებაში“ არ უნდა უცდიდეს მთავრობის ზრუნვას: რადგან „ისტორია ცხადად გვასწავლის... რომელ... ყოველი განათლება, კეთილმდგომარეობა, ბედნიერება, კეთილწყობილება ევროპის სახელმწიფოთა შინა წარმოდგა თვით საზოგადოებისა მეცადინეობითა და ხშირად გარეშე მთავრობის შემწეობისა... აწინდელი დროება... სრულიად სხვა არის და მოითხოვს სხვათა განკარგულებათა და ზრუნვათა“. იგი აღნიშნავს ბატონყმობის გაუქმებისათვის რუსეთში მიმდინარე მზადებას და ასეთს პირობებში „ქვეყანასა ჩუენსა ვერ შეუძლიან იცხოვროს კერძოდ და არ მოახდინოს ცვლილებანი, რომელნი წარმოებენ რუსეთში“. ამიტომაც ნუ დავიცდით და ახლავე დავიწყოთ ზრუნვა „მებატონეთა და ყმებს შორის უმჯობესისა დაწყობილებისათვის“ [59].

გაბრიელის ამგვარმა ქადაგებამ გამოიწვია განრისხება ერთი მდიდარი აზნაურისა, გვარად კანდელაკის, რომელმაც წამოიძახა: „ამ ლეკურით გავათავებ აქვე ამ ჩვენ დამლუპველს და გავარდა ეკლესიიდან და ხმალზედ ხელწავლებული უდარაჯებდა ეპისკოპოზის გამოსვლას“ [60]; ასე რომ მებატონეთა შორის არცთუ ისე ძნელი იყო „რადიკალური“ მოაზრის სახელის მოპოვება.

გლეხთა მიწიანათ განთავისუფლებას მოითხოვდნენ საერთოდ „რადიკალები“, „შვილები“ („თერგდალეულები“), ანუ,

---

„წარმოედგინათ საშიშარი მიმართულებისა და არაკეთილსაიმედო ფილოსოფოსად“.

გ ა ბ რ ი ე ლ ქ ი ქ ო ძ ი ს ქადაგებათა წიგნები ხშირად გამოიცემოდა ქართულად. მისი ქადაგებათა ერთტომეული გამოქვეყნდა ინგლისურადაც, ლონდონში (იხ. მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, „გაბრიელ ეპისკოპოზის ცხოვრება და მოღვაწეობა“, 1913. ტ. I).

[59] ეურ. „ცისკარი“, 1861 წ. № 1, გვ. 478; „ქართული ეურნალისტიკა“, I, 266 — 268.

[60] დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, „მემუარები“, 1933. ტფ. გვ. 112.

დ. ყიფიანის სიტყვებით, „უმრწემესნი ჩვენი მოძმეები". მებატონეთა უმრავლესობამ, რომელთა საყოველთაოდ აღიარებული იდეოლოგი დ. ყ ი ფ ი ა ნ ი იყო, ეს „ახალი თაობა" სამშობლოს მოღალატეებად გამოაცხადა. „უმრავლესობას" მიაჩნდა, რომ გლეხთა მიწიანათ განთავისუფლების შესახებ „ახალი თაობის" წარმომადგენელნი: „მსუბუქად ჰსჯიან უსაფუძვლოდ ყოველისავე მიმომთქმელნი (რუს. თარგმანში: педанты)... რომელთაცა არარად უღირსთ ამგვარი ლაპარაკი თავიანთ თავის გამომჩვენებლობისათვის საზოგადოებაში, რადგანთ თვით თითქმის არა რაისამე მექონნი, ამით არა რას ჰკარგავენ, ადვილად განსჯიან ვითომც მოყვასნი კაცობრიობისანი და მლიქვნელობენ სასიამოვნოდ საჩინოთა პირთა, მდაბიოთა აღალადებენ და მშობელსა და მამულსა ჰღალატობენო".

გლეხთა მიწიანათ განთავისუფლების მომხრეებს თუ ოფიციალურ დოკუმენტშიც-კი მებატონეებმა მ ა მ უ ლ ი ს მ ო ღ ა ლ ა ტ ე ნ ი უწოდეს, გასაგებია, თუ რაოდენ მკაცრად მოეპყრობოდნენ და სასტიკად გაუსწორდებოდნენ მათ ცხოვრებაში; ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მხოლოდ ის გარემოება, რომ ისინი ილ. ჭავჭავაძესა და თვით ეპისკოპოს გაბრიელსაც-კი მოკვლით ემუქრებოდნენ.

5. მთავრობის პროექტი

ახლა განვიხილოთ ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტის (აცსკ) პროექტი. ამ კომიტეტს ეკისრებოდა თავადაზნაურობის მხრივ წარმოდგენილი პროექტების საბოლოო განხილვა და ბატონყმობის გაუქმების შესახებ მთავრობის პროექტის შედგენა [61].

აცსკ-ს საბოლოო შედგენილობაში იყვნენ: კავკასიის მთავარმართველობის უფროსი ბარონ ა. პ. ნიკოლაი (თავმჯდომარე), გენ.-ლეიტ. თავ. ი. კ. მუხრან-ბატონი, გენ.-ლეიტ. თავ. რ. ი. ანდრონიკაშვილი, იმპერატორის მხლებელთა გენ.-მაიო-

[61] ამ კომიტეტის მუშაობის მასალიდან ამონაწერები გამოქვეყნებულია პროფ. ს. ა ვ ა ლ ი ა ნ ი ს მიერ, „Крестьянский вопрос в Закавказье", II, прилож. стр. 89 — 166, 177 — 191.

რი თავ. დ. ა. ჭავჭავაძე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი, დ. ი. ყიფიანი, თავ. გ. კ. მუხრან-ბატონი, ა. მ. ფადეევი, ი. ფ. ვიტტე, კ. ი. ორლოვსკი, ე. პ. სტარიცკი, ნ. ი. ბარანოვსკი, კ. მ. ბოგდანოვ-კალინსკი, თავ. მ. ბ. თუმანიშვილი (საქმის მწარმოებელი).

ამგვარად, კომიტეტი შედგენილი იყო მთლიანად მაღალი მოხელეებისაგან. კომიტეტის 13 წევრთაგან 6 ქართველი მებატონე იყო, თითქმის ყველა დანარჩენიც „კავკასიაში დიდი ხნის განმავლობაში სამსახურის შედეგად“ ადგილობრივ მემამულეს წარმოადგენდა. მაგალითად, კომიტეტის თავმჯდომარე ბარონი ნიკოლაი (შემდეგში რუსეთის განათლების მინისტრი) იყო თავ. დ. ა. ჭავჭავაძის სიძე (მას ცოლად ყავდა ა. გრიბოედოვის ცოლის და) და ფლობდა მზითევში მიღებულ და კიდევ „სხვა კეთილშენაძენ“ მამულებს თბილისის გუბერნიაში.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ხელიხელჩაკიდებული მოქმედებდნენ კერძოდ რეფორმის მომზადების საქმეში ხელისუფლება და თავადაზნაურობა, მაგრამ ისიც ვნახეთ, თუ რაოდენ ენერგიულად გაილაშქრა თავადაზნაურობამ გლეხობის მიწიანად განთავისუფლების წინააღმდეგ. ცხადია, მთავრობას არ შეეძლო ამ საკითხში მთლიანად წასულიყო დათმობაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტის მიერ შედგენილს „თბილისის გუბერნიაში მემამულეთა მიწებზე დასახლებულ გლეხთა საადგილმამულო მოწყობის შესახებ ადგილობრივი დებულების პროექტში“ (§4) ვკითხულობთ: „რათა უზრუნველყოფილ იქნას გლეხთა ყოფიერება და მათ შეეძლოთ მთავრობისა და მემამულეთა წინაშე თავიანთ ვალდებულებათა შესრულება გლეხებს დადგენილი ბეგარების დაკისრებით მუდმივ სარგებლობაში ეძლევათ... მათი საკარმიდამო ადგილი, ვენახი და ხეხილის ბაღები და მემინდვრეობის ის მიწები (სახნავი და სათიბი), რაც ამ დებულების დამტკიცებამდე ყოველი კომლის სარგებლობაში იყო“.

მაგრამ აცსკ-ს აზრები და მისწრაფება-განწყობილებანი უფრო ნათლადაა გამოთქმული თვით ამ კომიტეტის «ჟურნა-

ლებში», სადაც გლეხთათვის სანადელოდ მიწის მიცემა მოტივირებულია აუცილებლობით, რომ „მათ მიეცეს არა მხოლოდ არსებობის, არამედ აგრეთვე იმის საშუალებაც, რათა... შეეძლოთ გადახდა სახელმწიფო გამოსაღებთა და სახაზინო და საერობო ბეგარებისა...". ამასთანავე იქვე ნათქვამია, რომ „მემამულეთა მხრივ გლეხთათვის მიწის მიცემის ვალდებულება ეფუძნება არა მიწაზე გლეხთა უფლებას... არამედ სახელმწიფოებრივი საჭიროების მოსაზრებებს; მემამულეთა თვითნებობას არ შეიძლება მივანდოთ სვებედი მოსახლეობის მასებისა, მათ მიერ მკვიდრი ბინადრობის მოწყობის და არა მხოლოდ არსებობის საშუალებათა მოპოვებისა, არამედ მთავრობის წინაშე მრავალი სახისა და ვრცელ ვალდებულებათა შესრულების მხრივაც, რისგანაც ისინი არ თავისუფლდებიან. თვითგამგებლობა არა მხოლოდ უკიდურესად იქნება გაძნელებული, არამედ შეუძლებელიც, როდესაც მკვიდრ ბინადრობას მოკლებული მოსახლეობის მასას არა მხოლოდ არ შეეძლება მოიპოვოს საშუალება თავისი საკუთარი კეთილმოწყობისა, არამედ შეუძლია სახელმწიფო ორგანიზმში შეიტანოს უწესრიგობის მუდმივი ელემენტი".

და სახელდობრ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე კომიტეტს მიაჩნდა, რომ „გლეხების მხრივ საკარმიდამო ბინადრობისა, ბაღებისა (ვენახებისა) და მემინდვრეობის სახმარი მიწების სარგებლობის რაიმე ვადის განსაზღვრა შეუძლებელია და ეს სარგებლობა მუდმივი უნდა იყოს, სწორედ იმ საფუძველზე, როგორადაც დადგენილი იყო რუსეთში 1861 წ. 19 თებერვლის კანონმდებლობით, ისე რომ მიწაზე საკუთრების უფლებას ინარჩუნებდეს მემამულე, ხოლო გლეხებს მიწებისათვის ეკისრებოდეთ დადგენილი ბეგარები". ამასთანავე აცსკ-მა თავის «ჟურნალში» ჩაწერა: „ხიზნობა, რაზედაც თავადაზნაურობა მიუთითებს, როგორც მომავალში ყმა-გლეხობის მოწყობის საშუალებას, ნამდვილად არის ერთ-ერთი ბედნიერი თავისებურება მიწის მფლობელთა და მასზე მცხოვრებ გლეხთა თავისუფალი საად-

გილმამულო ურთიერთობისა ამ მხარეში. ის სავსებით ცნობილია ყოველი ქართველი გლეხისათვის: გადადის რა ყმური მდგომარეობიდან ხიზნის მდგომარეობაზე მას ნათლად შეუძლია წარმოადგინოს თუ რა მოელის მომავალში". მიუხედავად ამისა, კომიტეტი იძულებულია აღნიშნოს ფაქტი, რომ „ყ მ ა თ ა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ი ს მ ხ რ ი ვ უ კ ე თ ე ს ა დ ც ხ ო ვ რ ო ბ ს, ვ ი ნ ე მ ხ ი ზ ნ ე ბ ი"; — თუმცა კითხვაზე, გამოიწვევს თუ არა ხიზნურ მდგომარეობაზე გადაყვანა ყმათა წოდების ყოფიერების გაუმჯობესებას, დადებითად უპასუხებს.

საბოლოოდ კომიტეტი მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით თავადაზნაურობის ეს წინადადება არ შეიძლება იქნას მიღებული, რამდენადაც „შეუძლებელია დავუშვათ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, დიდი რაოდენობის ყმურ მოსახლეობას, რაც შეადგენს გუბერნიის მთელი მოსახლეობის არა ნაკლებ ერთი მესამედისა, შეეძლოს მემამულეთა მოთხოვნისამებრ დასტოვოს საუკუნეებრივად მათი საცხოვრებელი ადგილები და გაუკაცრიელოს მთელი სოფლები, რომლებიც, არაიშვიათად, 500-მდე და მეტი კომლისაგან შედგებიან".

მიიღო რა ასეთი გადაწყვეტილება აცსკ შიშობს, რომ თავადაზნაურობამ ამაში არ დაინახოს „მისი მოსაზრებებისადმი სათანადო ყურადღებით მოპყრობის უგულებელყოფა", რისთვისაც კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია, „ამ საგნის დაწვრილებითი განხილვა", მით უმეტეს რომ „როგორც თავადაზნაურობის ოფიციალური მოსაზრებებიდან და იმ, თუმცა არაოფიციალური განცხადებებიდან, რაც მათს შორის ხშირად გაისმის, ჩანს", რომ თავადაზნაურობა არაა დარწმუნებული „მათდამი ყმურ დამოკიდებულებისაგან განსათავისუფლებელი გლეხობის მკვიდრი ბინადრობითა და საკმაო მიწით უზრუნველყოფის აუცილებლობაში". კომიტეტს ამასთანავე თავის მოვალეობად მიაჩნდა განემარტა თავადაზნაურობისათვის, რომ „ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს გამო

მთავრობას არ შეუძლია გააფართოვოს მის მიერ თავისთავზე მიღებული დახმარება", — სახელდობრ 75 ანუ 80% გამოსასყიდელი სესხის უზრუნველყოფა.

კითხვაზე, უნდა მიეცეს თუ არა გლეხებს მუდმივ სარგებლობაში ყველა ის სახნავი და სათიბი მიწები, „რითაც ისინი ახლა სარგებლობენ" აცსკ-მა შესაძლებლად მიიჩნია თბილისის გუბერნიაზედაც გაევრცელებია „საერთო საწყისები", ე. ი. საფუძვლად მიეღო „ახლა არსებული სანადელო, ოღონდ იმ შესწორებით, რომ მცირემიწიან მემამულეს შეეძლო თავისთვის დაეტოვებია ყველა სახნავი და სათიბი მიწების ნახევარი, რაც მას ეკუთვნოდა იმ სოფელში, სადაც გლეხობა იყო დასახლებული". აცსკ-ს საკითხის ასეთი გადაჭრა „სავსებით სამართლიანად" მიიჩნდა, რამდენადაც „საქართველოს თავადაზნაურობის მდგომარეობის უკიდურესი შევიწროებულობა მთავრობისათვის სავსებით კარგად ცნობილი ფაქტია", ხოლო „გლეხობის ინტერესები საკმარისად იქნება დაცული, რამდენადაც მემამულეს დაეკისრება ვალდებულება თავის სასარგებლოდ არ ჩამოუჭრას გლეხური სანადელო (საკომლო) მიწის ნახევარზე მეტი" (იხ. „ადგილობრივი დებულების" პროექტის §§ 5 და 6).

ამგვარად, მართალია, ყმათა ხიზნობაზე გადაყვანისა და სხვა მეტისმეტად რეაქციულ მოთხოვნებზე თავადაზნაურობისა აცსკ-ს არ შეეძლო დათანხმებოდა, მაგრამ საერთოდ, კომიტეტის «ჟურნალებს», ე. ი. მისი მუშაობის მთელ მსვლელობას რომ ვეცნობით, აშკარა ხდება რომ კომიტეტის მთელი საქმიანობა მიმართული იყო თავადაზნაურობის ინტერესების რაც შეიძლება მაქსიმალურად დაცვისაკენ, რამდენადაც კი ეს მოსახერხებელი იყო „სახელმწიფოებრივი ინტერესების განუხრელი დაცვის საფუძველზე".

6. 1860-იანი წლების ინტელიგენცია

საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო 1860-იანი წლების ქართველმა ინტელიგენციამ. ეს ინტელიგენცია, თავისი სოციალური შედ-

გენილობით და მსოფლმხედველობით, ცხადია, არ იყო ერთგვაროვანი. წარმომავლობით კი უმთავრესად ეს იყო თავადაზნაურული ინტელიგენცია, რომელთა უმრავლესობამ უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში და სამხედრო სასწავლებლებში. ამათი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა შორის ერია ე. წ. „რაზნოჩინული“ და „მეშჩანური“ წარმოშობის ადამიანებიც, ეზიარა რუსეთისა და დასავლეთ ევროპელ განმანათლებელთა იდეებს, გაეცნო იქაურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

ამ ინტელიგენციამ მნიშვნელოვანი კადრები მისცა ამიერკავკასიაში რუსეთის ხელისუფლებას, კერძოდ საგლეხო და სასამართლო რეფორმების მომზადებისა და გატარების საქმეში. ნაწილი ამ ინტელიგენციისა „მამების“, ე. ი. რეაქციული თავადაზნაურებისა და დიდ სახელმწიფო მოხელეთა კალთებს იყო ამოფარებული, რათა წარმატებული მოხელეები გამხდარიყვნენ, ნაწილი კიდევ გაიტაცა „დროის სულმა“: ქვეყნის ყოველმხრივი „ევროპეიზაციის“, ბატონყმობის მოსპობის, ბურჟუაზიული მეწარმეობის, წერა-კითხვის გავრცელებისა და მოსახლეობის განათლების, სამშობლოს ნაციონალური კონსოლიდაციისა და საერთოდ ხალხის კეთილდღეობისათვის მოღვაწეობამ, — რაც მათ თავიანთ მოწოდებად გაიხადეს და, ამდენადვე, ისინი შეიქნენ საქართველოს განმანათლებლებად.

ესენი, „შვილები“, „თერგდალეულები“, თავის შიგნით კიდევ ფრაქციებად იყოფოდნენ. მათ შექმნეს „პირველი დასი“ და საწყისი მისცეს „მეორე დასსაც“. საერთოდ 1860-იანი წლების ქართველ განმანათლებელთა ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას უმთავრესად სამი ძირითადი მომენტი განსაზღვრავდა: 1. ბატონყმობა და მისი გაუქმების საკითხი; 2. ადგილობრივ მკვიდრთა ეროვნული ჩაგვრა და კოლონიური ექსპლოატაცია, რაც თავის ელფერს აძლევდა მთელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებას; და 3. — უკანასკნელიდან გამომდინარე — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რისი მეთაურებიც იმავე დროს ეროვნული

კონსოლიდაციის მესიტყვეებიც იყვნენ. ორ უკანასკნელ მომენტზე ამჯერად ჩვენ, ცხადია, არ შევჩერდებით.

ბატონყმურ ურთიერთობათა წინააღმდეგ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში გამოსვლები ძლიერდება უკვე 1850-იანი წლებიდან და მალე, მიუხედავად სასტიკი ცენზურული პირობებისა, იგი ხდება პუბლიცისტიკის, მთელი საზოგადოებრივი მოძრაობის ლაიტმოტივი. 1860-იანი წლების ქართველ განმანათლებელთ ბატონყმობის გაუქმება მიაჩნდათ აუცილებელ პირობად საყოველთაო კეთილდღეობისა და ამიტომ ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ ბატონყმური ურთიერთობის და მისი ყოველგვარი წარმონაქმნის წინააღმდეგ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, — დაწყებული ლიტერატურულიდან გათავებული წმინდა სახალხომეურნეობრივი საკითხებით.

ლ ე ნ ი ნ ი აღნიშნავდა: „ნუ დავივიწყებთ, რომ იმ ხანებში... როდესაც 40-იანი და 60-იანი წლების ჩვენებური განმანათლებელნი წერდნენ, ყ ვ ე ლ ა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა“ [62].

მაგრამ საგლეხო რეფორმის საკითხი ამოსავალ საწყისს წარმოადგენდა ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწისათვის, რომელსაც უხდებოდა გამოეთქვა თავისი შეხედულებანი ეკონომიკურ და საერთოდ პუბლიცისტურ საკითხებზე მერმინდელ პერიოდშიაც, სანამდე, მეტი თუ ნაკლები ზომით, რჩებოდა ბატონყმობის გადანაშთები. სანამდე „პოლიტიკური ცხოვრების ღერძად“ რჩებოდა აგრარული საკითხი, სანამდე რუსეთის საკითხის ბედი და, მაშასადამე, ერთა «განთავისუფლების» ბედიც, რუსეთში დაკავშირებული იყო აგრარული საკითხის გადაწყვეტასთან, ე. ი. ბატონყმობის გადანაშთების მოსპობასთან, ე. ი. ქვეყნის დემოკრატიზაციასთან. ასეთ ვითარებაში კერძოდ ნაციონალური საკი-

---

[62] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 628.

თხიც, ბუნებრივია, წარმოადგენდა საერთოდ ქვეყნის განთავისუფლების დიდი საკითხის ნაწილს [63].

ხოლო ამ მხრივ აგრარული საკითხის მნიშვნელობის შესახებ ვ. ლ ე ნ ი ნ ს მოცემული აქვს შემდეგი პროგრამული დებულება: „აგრარული საკითხი რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის საფუძველია და განსაზღვრავს ამ რევოლუციის ნაციონალურ თავისებურებას“[64]. 1913 წ. ამხანაგი ი. სტალინი წერდა, რომ „აგრარული საკითხი წყვეტს პროგრესის ბედს რუსეთში“ [65], ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1929 წ., იგი უკვე აცხადებდა, რომ „ძველად რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ღერძს წარმოადგენდა აგრარული საკითხი“ [66].

ცნობილია, მაგალითად, რომ თავის დროზე, ხალხოსნებთან მარქსისტების ბრძოლის პერიოდში, „დავის“ ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა შეფასება საგლეხო რეფორმისა, რაშიც ხალხოსნები ხედავდნენ რუსეთის არაკაპიტალისტური განვითარების საწინდარს. ხოლო რუსეთის სოციალ-ეკონომიკური წყობის თვითმყოფურობის შესახებ ხალხოსანთა მთავარი დებულების პოლიტიკური აზრი იმაში მდგომარეობდა, რათა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებზე, კლასებსა და კლასთა ბრძოლაზე მარქსიზმის მოძღვრება რუსეთისათვის შეუსაბამად გამოეცხადებიათ.

ამავე დროს ვ. ლ ე ნ ი ნ მ ა უკვე თავის ერთ-ერთ პირველ მეცნიერულ გამოსვლაშივე მოგვცა გენიალური ანალიზი რუსეთის წარმოებრივ ურთიერთობათა, რის შედეგადაც იგი დაასკვნიდა (1894 წ.): „რუსეთში არავითარი სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობა არ არის და არც ყოფილა, გარდა ბურჟუაზიულისა და დრომოჭმული ბატონყმურისა,

---

[63] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 343.

[64] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 529.

[65] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 344.

[66] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, 1939, თბ., 356—357.

რომ ამიტომ არც შეიძლება სოციალიზმისაკენ სხვა გზა იყოს, გარდა მუშათა მოძრაობისა“ [67].

ყოველივე აქედან უკვე ნათელი უნდა იყოს ის გარემოება, თუ რამდენად კანონზომიერია, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის კურსი იწყება სწორედ ბატონყმობის გაუქმების საკითხით და ისიც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის საგლეხო რეფორმის ისტორიის შესწავლა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ საგლეხო რეფორმის პერიოდის ქართველ განმანათლებელთა მთელი მოღვაწეობა, მეტი თუ ნაკლები ზომით, გაჟღენთილი იყო რუს განმანათლებელთა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით.

სწორედ ამ იდეების გავლენა ჰქონდა მხედველობაში 1860-იანი წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენელს ილ. ჭავჭავაძეს, როდესაც წერდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა... საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“ [68].

ცნობილია აგრეთვე, რომ რუს განმანათლებელთათვის დამახასიათებელი იყო: შეუნელებელი მტრობა საერთოდ ბატონყმური ურთიერთობისა და თავგამოდებითი დაცვა განათლების, თვითმმართველობის, თავისუფლებისა. მათ გულწრფელად სწამდათ რომ ბატონყმობისა და მისი გადანაშთების გაუქმებას მოყვებოდა საყოველთაო კეთილდღეობა; სწამდათ,

---

[67] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 337.

[68] ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, VIII, 1928 წ. ტფ., 285.

რამდენადაც ბურჟუაზიული წარმოებრივი ურთიერთობანი მაშინ მხოლოდ ჩანასახურ მდგომარეობაში იყო და მართლაც ვერ ამჩნევდნენ, ნაწილობრივ არც კი შეეძლოთ მაშინ დაენახათ, მისი დამახასიათებელი ანტაგონიზმი; — ისინი ზრუნავდნენ მთელი ხალხისათვის, მთელი ერის ინტერესებისათვის, ისე, რომ განსაკუთრებული ყურადღების საგნად არ იხდიდნენ მოსახლეობის რომელსამე ცალკე კლასს (წოდებას); ვერ სწვდებოდნენ თავისუფლად დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის საიდუმლოებაში [69].

ჯერ „ცისკრისა“ და შემდეგ განსაკუთრებით „საქართველოს მოამბის“ მეოხებით 1860-იანი წლების ქართველი განმანათლებლები თავს დაესხნენ ბატონყმური ურთიერთობის ყოველგვარ გამოვლინებას. 1860-იანი წლების თვით დასაწყისიდანვე ისინი, თუმცა ბუნდოვნად, ცენზურული პირობების გამო, მაგრამ მაინც ახერხებენ ბეჭდონ მოსალოდნელ რეფორმათა შესახებ. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ „მხოლოდ ახლანდელ დროების კაცთ შეუძლიათ“ იყვნენ „ღირსებით და კეთილშობილურად აღმსრულებელნი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის“ გამიზნული მოსალოდნელი ახალი წესებისა და კანონებისა და თუ აქ „ამ ცვლილებებს ისევ ის ძველი აზრების მქონენი უნდა დაუხვდნენ“ ცხოვრებაში გამტარებლებად, ცხადია, „კარგი არა გამოვა რა“ და „თავადაზნაურობა იქნება მაშინ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი და მას დაბრალდება ყველა, რაც მმართველობის ჩვენზე ზრუნვა ვერ აღსრულდებაო“ [70].

ამგვარად, ჩაღდება ბრძოლა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის. ეს ბრძოლა თავდაპირველად წმინდა ლიტერატურული მოძრაობის ხასიათს ატარებდა, მაგრამ მალე იგი სოციალურ-პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და მეურნეობრივი მოღვაწეობის სფეროში შეიჭრა. „შვილები“ აქაც გაშლილი ფრონტით გამოვიდნენ „მამების“ წინააღმდეგ. პირველი ძლი-

---

[69] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 654 — 656.
[70] „ცისკარი“, 1861 წ. № 1, გვ. 178 — 179.

ერი ყუმბარა „მამების“ ბანაკში მაინც ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა - ძ ე მ გადაისროლა[71]; ამავე ხანებში გამოვიდნენ ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, ა ნ ტ ო ნ ფ ურ ც ე ლ ა ძ ე, კ. ლ ო რ თ ქ ი - ფ ა ნ ი ძ ე და სხვები. თუ „მამები“, ასე თუ ისე, იტანდნენ ქართული ენის, ლიტერატურული კრიტიკის და მისთანათა სფეროში „შვილების“ „კადნიერ გამოსვლებს“, მათი მოთმინების ფიალა აივსო, როდესაც „შვილები“ („თერგდალეულები“) თავს დაესხნენ წმინდანობის შარავანდედში გახვეულ ფეოდალურ ურთიერთობათა მორალურ და ესთეტიკურ ნორმებს და, განსაკუთრებით მას მერმე, რაც მათ პრესის საშუალებით საჯაროდ გადაშალეს, და, ამგვარად, „ყველა მჯღაბნელთათვის“ ხელმისაწვდომ და გასაკრიტიკებელ საგნად გახადეს თვით ბატონყმურ ურთიერთობათა იმდროისათვის უაღრესად დაჭიმული და მტკივნეული საკითხები.

„მამები“ გაშმაგებით ეკვეთნენ „შვილებს“; პოლემიკიდან სულ უფრო აშკარა ხდებოდა „შვილების“ უპირატესობანი. მაშინ „მამები“ ბოიკოტით ემუქრებიან „ცისკარს“, უარს ამბობენ გამოიწერონ ჟურნალი. მაშასადამე, მისი დახურვით იმუქრებიან, ანდა დემონსტრაციულად უარს აცხადებენ ლიტერატურულ გამოსვლებზე, რადგან „მათს ღირსებას არ ეკადრება“ ეკამათონ „უღირსთა შვილთა“. ერთ თავად მწერალს, როდესაც მისთვის უკითხავთ: ა. ფურცელაძეს პასუხს თუ დაუწერო, უპასუხნია: „იმას პასუხი როგორ დავუწერო, ჩვენი ყმა ყოფილაო“[72].

„შვილები“ ააშკარავებდნენ ბატონყმურ ურთიერთობათა მთელ საშინელებათ, ყმათა აუტანელ მდგომარეობას. ლექსში „მუშური“ (1861 წ. 15 აპრ.) ა კ ა კ ი ს გლეხი ჩივის:

„...მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური:
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო, უბედური!

[71] „ცისკარი“, 1861 წ. № 4, და 6.
[72] „ცისკარი“, 1863 წ. № 7, გვ. 349.

ყველა თავში გვიჩაჩქენებს,
გარეშე და შინაური...
ჩვენი ჯაფით მონაყვანი
სხვასთან მიდის საზრდო პური;
შინ ცოლშვილს შიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?" [73]

ა. წერეთლისავე 1863 წ. დაწერილს „გლეხის აღსარებაში", გლეხი მიმართავს ბატონს: „თავდახრილი მიჭირს ვარ, რომ კისერზე მაზიხარ", სწორედ იმის გამო ვარ დაღონებული „... რომ სულ შენ მაგონდები, პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები... შენ მღვდელივით სუქდები, მე ოფლად ვარ დამდნარი, მაგრამ შენ რას დაეძებ?! შენი ფიქრი ეს არი: «ნეტავ ვინ გაასწორა ერთადო მთა ბარი?!». თვით პოეტმა ამ ლექსს, დაწერიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, შენიშვნა გაუკეთა, სადაც აცხადებს: „«გლეხის აღსარებამ» ძალიან უსიამოვნება გამოიწვია თავადებში და ბევრი მტერიც შემძინა. ერთმა მათგანმა, თავადმა მიქელაძემ, სასიკვდილოდ შემომიტია და ალალ-ბედზე გადამარჩინეს"-ო [74]. იმერეთის რეაქციული თავადაზნაურობა აკაკის „მოსაკლავად არ ზოგავდა. როგორ თუ ბედავს და ჩვენ მოყმეების თვალში მასხარად და ავაზაკებად გამოვყევართო" [75].

„ჩემ თავგადასავალში" აკაკი წერდა: როდესაც რუსეთიდან დავბრუნდი სამშობლოში აქ „ძალიან არეული და გამოურკვეველი დრო იყო, ბატონყმობა უნდა გადავარდნილიყო, ახალი რეფორმები შემოდიოდა და, რასაც ჩვენ ისე შევხარობდით, ისიც თავისთვის კუდს იტოვებდა. სახელით ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ სახრავად კი არ ვარგოდა. მაგალითად: რა ბატონყმობის მოსპობა იყო, ის მოსპობა, როცა ბატონი და ყმა ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმული ჩინოვნიკს ეპირა ხელში და ორივეს ახრჩობდა-ღლეტდა? რაღა ნაყოფს გამოიტანდა

---

[73] „ცისკარი", 1863 წ. № 7, გვ. 349.

[74] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ჩემი ნაწერები", 1912, I, გვ. 127; თხზულებანი, სრ. კრებული, 1940, ტ. II, გვ. 858.

[75] ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი, „მოგონებანი", 1936, თბ. გვ. 11 — 12.

ის სამსჯავრო, სადაც ხალხის ენა აკრძალული იყო...?"[76] — ამგვარად, საერთოდ რეფორმებს აკაკი წერეთელი ცარიზმის მიერ ამ ქვეყნის კოლონიური ექსპლოატაციისა და ნაციონალური ჩაგვრის ფონზე აფასებდა.

საერთოდ რეფორმების მომზადების პერიოდში ქართველი მესამოციანელები ქადაგებდნენ ბურჟუაზიული მეწარმეობისა და „თავისუფალი შრომის" უპირატესობას. ამ მხრივ „ცისკარსა" და „საქ. მოამბეში" გამოქვეყნებულ ორიგინალურ თუ ნათარგმნ სტატიებში ხშირად გადმოცემულია შრომითი ღირებულების თეორიის იდეებიც[77], ვრცელი სტატიები იბეჭდება დას. ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციების, აბოლიციონური მოძრაობის, მუშათა მდგომარეობისა და მოძრაობის და თვით „საზოგადოების კომმუნური დაწყობილობის" არსის შესახებაც-კი[78].

ბატონყმობის გაუქმებისადმი მესამოციანელთა დამოკიდებულების საკითხში უმნიშვნელოვანესია ი. ჭავჭავაძის პოზიციის გარკვევა. ბატონყმობისადმი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხი დავის საგანი გახდა 1905 წელს, რევოლუციის პერიოდიდან მოყოლებული. 1914 წლიდან ამ დავაში განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ორმა დოკუმენტმა, რომლებიც დაცული არიან საგლეხო რეფორმის საქმეთა ფონდში[79]. ამ დოკუმენტების შინაარსი ვრცლად აქვს გადმოცემული პროფ. ს. ლ. ავალიანს[80], რომელიც აცხადებს, რომ „თავად ჭავჭავაძის მთელი „Записка" სასტიკ დისონანსად

---

[76] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებანი, სრ. კრებული, 1948, ტ. IV, 69.

[77] პ. გ უ ლ ბ ა ნ ი „ქართული ჟურნალისტიკა", I, 274 — 277, 363, 386 — 387.

[78] იქვე, გვ. 356 — 357, 361 — 362, 370 და სხვ.

[79] ЦАУГ, ГИА, Ф. ОВД, д. № 123, „Проект положений по устройству помещичьих крестьян", 1853 — 1864 гг., лл. 271 — 216, 217 — 240., იხ. ჩვენი პუბლიკაცია „Сельское хозяйство и аграрные отношения", II, 158 — 203.

[80] С. Л. А в а л и а н и, „Крестьянский вопрос в Закавказье", 1912 г. Одесса. т. I, 348 — 353, 359, 372, 375 — 378, 381 — 385, 388, 390 — 391.

ეღერს მემამულეთა საერთო ხმაურში... ჭავჭავაძის პროექტი, უნდა ითქვას, შეიცავს გარკვეულ რადიკალიზმს“ [81]. ს. ავალიანი წერს: თავ. ჭავჭავაძის „შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ის თავის მსჯელობისას გამოდიოდა გლეხებისადმი მადლიერების გრძნობებიდან მათი წარსული მოღვაწეობისათვის; ხოლო თავადაზნაურობას-კი საკუთარი მატერიალური ინტერესების დაცვის საქმე ამოძრავებდა“ [82]. პროფ. ს. ავალიანი არ მიუთითებს თავ. ჭავჭავაძის სახელს.

გაზ. „თემისა“ და გაზ. „სახალხო ფურცელის“ რედაქციები, აგრეთვე ზაალ ჭავჭავაძე ამტკიცებდნენ, რომ ავტორი „ცნობილი კრიტიკული წერილისა მთავრობის ანუ კომიტეტის პროექტზე გლეხთა განთავისუფლების შესახებ“, რომელსაც იხსენებს ს. ავალიანი“ „გახლავთ ჩვენი ცნობილი მწერალი თავ. ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძე“ [83].

მიუხედავად ამისა დღემდე სადავოა, თუ სახელდობრ ვის ეკუთვნის ეს ორი კრიტიკული ბარათი: 1. Общие критические замечания по предварительному проекту положения о поземельном устройстве крестьян, водворенных на помещичьих землях в Тифлисской губернии“ (ქვემოთ შემოკლებულად: „საერთო კრიტიკული შენიშვნები“) და 2. „Критические замечания по параграфам предворительного проекта местного положения о поземельном устройстве крестьян, водворенных на помещичьих землях в Тифлисской губернии“ (ქვემოთ შემოკლებულად: „კრიტიკული შენიშვნები“).

ამ უკანასკნელი დოკუმენტის ავტორად, ან თანაავტორად მაინც, ამ სტრიქონების ავტორი 1941 წელს, თვლიდა ილ. ჭავჭავაძეს [84]. ა. ი ო ვ ი ძ ე კი 1947 წ. წერდა, რომ ამ

[81] С. Л. Авалиани,- „Крестьянский вопрос в Закавказье“, 1912 г., Одесса, т. I, 352 — 353.

[82] იქვე, 378.

[83] გაზ. „თემი“, 1914 წ. № 178. გვ. 2; გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. № 2.

[84] „ქართული ჟურნალისტიკა“, I, 359.

ორივე დოკუმენტის ავტორია ილია ჭავჭავაძე და „ის გარემოება, რომ... შენიშვნები ნ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ ი ყ ო წ ა რ დ გ ე ნ ი ლ ი, ფ ო რ მ ა ლ უ რ ი მ ხ ა რ ე ა და მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ილია, რომელსაც თავადაზნაურობის უმრავლესობა ისედაც მტრულად უყურებდა, იძულებული უნდა ყოფილიყო თავისი ავტორობა თუ თანაავტორობა არ გამოემჟღავნებიაო“ [85].

მეორეს მხრივ, გ. გ ი ო რ გ ა ძ ე (1926 წ.) [86] და პროფ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა (1950) [87], რომლებიც ვრცლად იხილავენ ორივე დოკუმენტის შინაარსს ამტკიცებენ, რომ მათი (ორივეს) ავტორია ნ ი კ ო ლ ო ზ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რომელიც თავის დროზე აცსკ-ში მოწვეული იყო როგორც ექსპერტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ ჭავჭავაძე, მართალია, ხელს აწერს ხსენებულ დოკუმენტებზე, მაგრამ ა რ ა რ ო გ ო რ ც ა ვ ტ ო რ ი, ა რ ა მ ე დ რ ო გ ო რ ც დ ო კ უ მ ე ნ ტ ი ს (პ ი რ ი ს) ს ი ს წ ო რ ი ს დ ა მ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ე ლ ი.

ამასთანავე ამ დოკუმენტების აზრი, მთელი მიმართულებულობა იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რომ მათში ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს ა დ მ ი კ ა რ დ ი ნ ა ლ უ რ ა დ ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ე ბ ი ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი და, ამდენადვე, დაუშვებელია, რომ ე რ თ ი ა ვ ტ ო რ ი ს კ ა ლ ა მ ს ე კ უ თ ვ ნ ო დ ნ ე ნ. ეჭვმიუტანელად შეიძლება ითქვას, რომ ეს დოკუმენტები ბატონყმობის გაუქმების საკითხში ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებზე მდგარი სხვადასხვა ავტორის (ან ავტორთა კოლექტივის) იდეების გამომხატველია.

აქ აუცილებელია მცირეოდენი ექსკურსი.

ბატონყმობის გაუქმებისადმი ილ. ჭავჭავაძის დამოკიდებულების სა-

---

[85] „საისტორიო მოამბე“, 1947, თბ. III, 146, 151.

[86] „ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში“, 1926, ტფ. გვ. 210 — 211.

[87] „საისტორიო მოამბე“, 1950, IV, 19 — 20, 31 — 35.

კითხი როგორც დავის საგანი აქტიური გახდა 1905 წ.[88] რევოლუციის დროიდან[89].

1914 წ. 19 იანვარს ცნობილმა მეწშევიკმა პ. გ ე ლ ე ი შ ვ ი ლ მ ა (ყარიბმა) თბილისში წაიკითხა ლექცია თემაზე: „ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი". ლექტორმა „დასრულებული სახით" წარმოადგინა ილ. ჭავჭავაძის მთელი მსოფლმხედველობა, როგორც „ხმლისა და გუთნის ფილოსოფია": „თავადაზნაურობა, როგორც ისტორიულად მატარებელი სამშობლოს დაცვის იდეისა ხმლის საშუალებით და გლეხობა, როგორც მასაზრდოებელი ერისა გუთნის მოხმარებით, უნდა შეადგენდნენ ჰარმონიულ ერთეულს, რომელშიაც მამობა ეკუთვნის თავადაზნაურობას, რადგანაც იგი ბურჯი და დამცველია მამულისა და შვილობა — გლეხკაცობას, როგორც სოციალურ ცხოვრებაში მეორე როლის მოთამაშეს... ეს ფილოსოფია ხდიდა მთლიან ერად ქართველ ხალხს, მიუხედავად მისი ორ წოდებად გაყოფისა".

პ. გელეიშვილი ამასთანავე აშკარად ცილს წამებდა ილ. ჭავჭავაძეს, რომ თითქოს მას „სწყუროდა ძველი პატრიარქალური საქართველოს აღდგენა და განხორციელება ახალ ნიადაგზე". იგი ამტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე თითქოს „გლეხების მიწით განთავისუფლების წინააღმდეგი იყო" და სხვ.[90].

პ. გელეიშვილის ამ ინსინუაციებით სავსე გამოხტომის გამო გაზ. „თემი" აცხადებდა: „ლექტორის მტკიცება, რომ ილია ჭავჭავაძე გლეხების მიწით განთავისუფლების წინააღმდეგი იყო დაუმტკიცებელი დარჩა". „თემის" რედაქცია უარყოფდა, რომ „ენიაზი ილია ჭავჭავაძე", რომელიც ჰოხსენებულია დ. ყიფიანის ხელმძღვანელობით შედგენილს ცნობილ დოკუმენტში — „შეკრება ოცდაერთის ჰაზრისა ორასორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონყმობაზედ" (1863) — „თელავის მაზრის 9 პირთა შორის არ არის ჩვენი ცნობილი მოღვაწე და მწერალი... მოხსენებული ი. ჭავჭავაძე სხვა ილია ჭავჭავაძეა (იყვნენ და არიან ჭავჭავაძენი, ჩვენი მწერლის სეხნიები). ან ილიას სახელი განგებ არის შეტანილი ძისდა გაუგებლად, რომ მისთვის მოესპოთ საშუალება ოპოზიციაში ჩასდგმოდა ბატონყმობის მომხრე თავადაზნაურობას". შემდეგ „თემს" მოყავს ერცელი ამონაწერი ქრ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი ს ცნობილი მოგონებიდან, საიდანაც ჩანს, რომ ილ. ჭავჭავაძე, როგორც თვით გაზეთი წერს, „მედგარი მომხრე იყო გლეხთა განთავისუფლებისა მიწიანად". ამ თავისი დებულების დასამტკიცებლად რედაქცია მიმართავს სხვა არგუმენტსაც; კერძოდ იგი ამტკიცებს, რომ ბატონყმობის გაუქმების ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტის პროექტზე „კრიტიკული შენიშვნების" ავტორი უნდა

[88] იხ. ჟურ. „მოგზაური", 1905 წ. № № 18, 19.

[89] П. В. Гугушвили, „Убийство Ильи Чавчавадзе", 1937. Тбилиси.

[90] გაზ. „თემი". 1914 წ. № 161.

იყოს ილ. ჭავჭავაძე. რედაქციას დეპეშით შეუკითხნია ამის შესახებ იმ დროს ოდესაში მცხოვრებ პროფ. ს. ავალიანისათვის, რომელსაც უპასუხნია: „სახელი ჭავჭავაძისა აღნიშნული არ არის დოკუმენტებშიო“ (ე. ი. ლაპარაკია ორსავე ზემოხსენებულ დოკუმენტზე).

მაგრამ „თემის“ რედაქცია ამ პასუხით არ დაკმაყოფილებულა: „...ნუ თუ ეს გარემოება (რომ დოკუმენტებზე არაა აღნიშნული ილიას სახელი. — პ. გ.) უნდა გვაძლევდეს ნებას უარვყოთ ილიას ავტორობა? ნუ თუ არ არის საშუალება აღმოვაჩინოთ ამ შესანიშნავი და რადიკალური ბოხსენების ავტორის ჭავჭავაძის სახელი? — არის... ერთი, რომ რადიკალი ჭავჭავაძე არავინ იყო იმ დროს, გარდა ჩვენი ილიასი და მერე ახლაც ცოცხალია ის ადამიანი, რომელიც იმ დროს მუშაობდა გლეხთა განთავისუფლების საქმეში. ეს გახლავთ თავ. ზაალ ნოშრევანისძე ჭავჭავაძე. ჩვენ მივსწერეთ მას: „«თემის» რედაქცია მოგმართავთ თქვენ შემდეგის თხოვნით: როგორც ავტორს გლეხთა განთავისუფლების ერთ-ერთი პროექტისა, სახელდობრ 1863 წლის 27 თიბათვისა, თქვენ, უეჭველია, გეცოდინებათ, თუ ვინ იყო და რა ერქვა იმ თავად ჭავჭავაძეს, რომელმაც 4 მაისს 1864 წ. დასწერა ცნობილი კრიტიკული წერილი მთავრობის ანუ კომიტეტის პროექტზე გლეხთა განთავისუფლების შესახებ, და რომელსაც იხსენებს ს. ავალიანი თავისი შრომის („Крестьянский вопрос в Закавказье“) I ტომის 348 გვერდზედ. თუ იცით, გთხოვთ კეთილ ინებოთ ამ წერილზედვე აღნიშნოთ“.

„თემის“ რედაქციის მიმართვაზე თავ. ზაალ ჭავჭავაძემ მათ აცნობა: „ის თავ. ჭავჭავაძე, რომელსაც იხსენიებს ს. ავალიანი თავისი შრომის 348 გვერდზე გახლავთ ჩვენი ცნობილი მწერალი თავ. ილია გრიგოლისძე ჭავ-ჭავაძე. მე და ილიას გარდა არავის სხვა ჭავჭავაძეს არ წარუდგენია მაშინ პროექტი ან კრიტიკული წერილი“.

აქვეყნებს რა ზ. ჭავჭავაძის ამ ცნობას „თემის“ რედაქცია დასძენს: „ჩვენი აზრით, ახლა ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს, რომ ილია მომხრე იყო გლეხთა მიწით განთავისუფლებისა. ეს სხვაფრივ არც იყო შესაძლებელი „კაკო ყაჩაღის“ და „გლახის ნაამბობის“ შემქმნელისათვის“ [91].

სამწუხაროდ, დღემდე არაა შესწავლილი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულება მის მეგობრებთან, კერძოდ ილიასა და ნიკო ჭავჭავაძის ურთიერთობა. უკანასკნელი რამდენიმეჯერ არის მოხსენებული ილიას კერძო წერილებში. 1858, 1873 და სხვ. წლებში, სადაც იგი უმთავრესად უარყოფითადაა დახასიათებული [92]. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ხანებში ცნობილია ორი ნიკო ჭავჭავაძე: 1. ნადვორნი სოვეტნიკი ნიკოლოზ დიმიტრისძე ჭავჭავაძე. თბილისის მაზრის მოსამართლე, თავადაზნაუ-

[91] გაზ. „თემი“, 1914 წ. № 178, გვ. 2; გაზ. „სახ. ფურცელი“, 1914 წ., № 2.

[92] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „წერილები“, ი. ბოცვაძის რედაქციით, 1949. სოხუმი, I, გვ. 13, 32, 57.

რობის დეპუტატთა საკრებულოს წევრი თელავის მაზრიდან[93]; 1880-იან წლებში იგი უკვე იხსენიება დეისტვ. სტატ. სოვეტნიკის წოდებით, როგორც თბილისის სასამართლო პალატის II სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარე[94], და 2. ლეიბგვარდიის კაზაკთა პოლკის როტმისტრი ნ ი კ ო ლ ო ზ ზ უ რ ა ბ ი ს ძ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დარგის ოკრუგის უფროსი[95], რომელიც 1880-იანი წლების დასაწყისში უკვე გენ.-ლეიტ. ჩინით დაღისტნის ოლქის უფროსია[96], ხოლო მეორე ნახევარში — ამავე ოლქის სამხედრო გუბერნატორი[97].

უნდა ვიფიქროთ, რომ ილიას წერილებში მოხსენებული ნიკო, არის სახელდობრ ნიკოლოზ დიმიტრისძე, რომელთანაც 1860-იანი წლების დამდეგს ილია ახლო დამოკიდებულებაში იყო და რომელიც ილიას „მეჯვარედაც"-კი ყოფილა (1863 წ. 10 აპრილს)[98].

საგლეხო რეფორმის საქმეებიდან ჩანს, რომ ნიკო დიმიტრისძე ჭავჭავაძე საგლეხო კომიტეტის მიერ მიწვეული იყო ექსპერტად, როგორც ადგილობრივი ბატონყმური ურთიერთობის მცოდნე. მაგრამ ნ. ჭავჭავაძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „კრიტიკულ შენიშვნებზე" ხელს აწერს არა როგორც ავტორი, არამედ როგორც დოკუმენტის (პირის) დედანთან სიზწორის დამადასტურებელი. ამასთანავე არსებობს ცნობა, რომ პროექტის განხილვისას ნ. ჭავჭავაძემაც თავისი მოსაზრებანი წერილობით წარადგინა.

ეს უკანასკნელი გარემოება და ორივე დოკუმენტის („საერთო კრიტიკული შენიშვნებისა" და „კრიტიკული შენიშვნების") საკმაოდ ვრცელი შინაარსობლივი განხილვა პროფ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს სრულ საფუძველს აძლევს მათი ავტორად მიიჩნიოს ნ. ჭავჭავაძე. პროფ. შ. ჩხეტია, იხილავს რა ნიკო ჭავჭავაძისა და კ. მამაცაშვილის „პროექტებს თუ მოსაზრებებს". ასკვნის: „კ. მამაცაშვილი, ისევე როგორც ნ. ჭავჭავაძე, არსებითად ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ და, მაშასადამე, თავის დროისათვის პროგრესულ თვალსაზრისზე დგასო"[99]. შემდეგ აქვე შენიშნავს: „ძ ნ ე ლ ი ხ დ ე ბ ა ი მ ი ნ გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ა, თუ ვ ი ნ ი ყ ო კ ი დ ე ვ ი ს ე თ ი, გ ა რ დ ა ნ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა დ ა კ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი ს ა, რ ო შ ე ლ ი ც, ა ს ე თ ი ს ე, გ ლ ე ხ ობ ის ინ ტ ე რ ე ს ებ ს ი ც ავ დ ა ო"; კიდევ ქვემოთ პროფ. შ. ჩხეტია წერს: „თელავის მაზრის ცხრა მემამულის მიერ წარმოდგენილ უაღრესად რეაქციულ პროექტზე ხ ე ლ ი ა ო წ ე რ ი ლ ი ა ქ ვ ს თავად ილია ჭავჭავაძეს და თავად ნიკო ჭავჭა-

---

93 „Кавказский календарь на 1864 г.", стр. 310 — 311.

94 КК на 1882 г., отд. III, стр. 10; КК на 1888 г., отд. III, стр. 6.

95 КК на 1864 г., стр. 383.

96 КК на 1882 г., отд. III, стр. 80.

97 КК на 1888 г., отд. III, стр. 115, 223.

98 „ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე" (ბიოგრაფიული ნარკვევი), 1937 წ. გვ. 51.

99 პროფ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა, „დ. ყიფიანი და საგლეხო რეფორმა" (სმ. 1950 წ. IV, 19 — 20, 3135).

ვაძესო", რის შემდეგაც ნათქვამია: „ჩვენის აზრით ესენი არ არიან პოეტი ილია ჭავჭავაძე და თბილისის მაზრის მოსამართლე ნიკო ჭავჭავაძე, რომლებმაც ბატონყმობის წინააღმდეგ გაილაშქრეს და გლეხების მიწით განთავისუფლება მოითხოვესო" [100].

მაგრამ, საქმე ისაა, რომ „პროექტზე" (რომელსაც, როგორც პირველწყაროზე პროფ. შ. ჩხეტია მიუთითებს) „ქნიაზი ილია ჭავჭავაძე" და „ნიკოლოზ ჭავჭავაძე" ხელს არ აწერენ; — ისინი, ისე როგორც ყველა სხვა, რომელთა აზრები გადმოცემულია, ე. ი. შედგენილია დიმ. ყიფიანის მიერ, მხოლოდ დასახელებულნი არიან „შეკრებათა" სათანადო ადგილებში. აქ შეიძლება ისიც შევნიშნოთ, რომ „შეკრებაში", როგორც მისი ზოგიერთ პირველწყაროსთან შედარებით დასტურდება, ყოველთვის ზუსტად როდია გადმოცემული სხვადასხვა პირთა აზრები. ცხადია, არც იმის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ აქ სხვადასხვა ჯგუფთა „აზრები" წარმოადგენდეს არა ერთხმად და, მაშასადამე, ყველას ძიერ მოწონებულ თუ მიღებულ აზრებს, არამედ მხოლოდ უმრავლესობის აზრებს, რომელიც შემდეგში, უდავოა, კიდევ „გაშალაშინებული" იქნებოდა შემდგენელის მიერაც.

კიდევ მეტი. ცნობილია, რომ საგლეხო რეფორმის მომზადების პროცესში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის სხვადასხვა ჯგუფმა თუ ცალკე პირმა ოცამდე პროექტი შეადგინეს, ეს პროექტები გადაეცა დ. ყიფიანს, მაგრამ ისინი ყველანი არ შესულან „საერთო პროექტში", რაც დამზადებული იყო. დ. ყიფიანის მიერ და ზოგიერთი ნახსენებიც-კი არ ყოფილა მოხსენებაში თავადაზნაურობის ყრილობაზე, რის გამოც 1863 წ. 24 ოქტომბერს ი. კ. მუხრან-ბატონი მოითხოვდა, რომ მთელი ეს მასალა დ. ყიფიანს დაებრუნებია საგლეხო კომიტეტში, რადგან მათში „შეიძლება აღმოჩნდეს საქმიანი და გამოსაყენებელი აზრები" [101]. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში თვით თბილისის გუბერნატორი კ. ორლოვსკი ჩაერია, ამ „კერძო პროექტების" საგლეხო კომიტეტში მოტანა არ მოხერხდა. მერმე არც დ. ყიფიანის არქივში აღმოჩნდნენ ისინი. ჩანს უკანასკნელმა ისინი ან მოსპო, ანდა ავტორებს დაუბრუნა. ჩვენ ვერ მივაგენით ვერც ოქმებს თავადაზნაურობის სამაზრო კრებებისა. ეს ოქმები თავის დროზე ვაცსკ-ის განკარგულებაში ყოფილა და ეტყობა სქელტანიან ტომს წარმოადგენდა. ამ მასალათა გამონახვით-კი საბოლოოდ გაირკვევა რიგი აქამდე ბნელით ბოცული საკითხი.

ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ შეკრებაში თელავის მაზრის 9 პირი და სიღნაღის მაზრის 12 პირი გამოთქვამს „ერთ აზრს". ამასთანავე ეს, 14

---

[100] პროფ. შ. ჩხეტია, „დ. ყიფიანი და საგლეხო რეფორმა" (სმ., 1950 წ. IV, გვ. 37 — 38.

[101] „საისტორიო მოამბე", IV, 303 — 304.

კითხვაზე პასუხის სახით გამოთქმული, „აზრი" დ. ყიფიანის გადმოცემაში სულ თხუთმეტიოდე სტრიქონს შეიცავს. არსებითად ესენიც, მსგავსად დ. ყიფიანისა, ე. ი. უმრავლესობისა, ყმათა ხიზნურ დამოკიდებულებაში გადაყვანას ლამობდნენ [102].

კერძოდ ნიკ. ჭავჭავაძის შესახებ კიდევ უნდა ითქვას, რომ იგი იმ „ექვსი ოფიციალური პიროვნების" რიცხვში იყო, რომელნიც არ შეუერთდნენ თავადაზნაურობის უმრავლესობის აზრს. ამ ექვსიდან: ივ. მუხრან-ბატონმა, დ. ჯორჯაძემ და ნიკ. ჭავჭავაძემ „თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს საგუბერნიო ყრილობაზე", მაგრამ ყრილობა არ დაეთანხმა მათ და 1862 წ. 30 აპრილს სხვა საფუძველზე გადაწყვიტა საქმე [103]. სახელდობრ, თუ რა პოზიციებზე იდგა მაშინ ნ. ჭავჭავაძე ჩვენთვის უცნობია. დ. ყიფიანი კი მას, როგორც მთავრობის მოხელეს (მოსამართლეს), ამ შემთხვევაშიც „მთავრობისადმი ოფიციალურ დამოკიდებულებაში მყოფ პირთა" ძორის ასახელებს და აღნიშნავს, რომ მის პროექტზე ხელი მოაწერა სულ 539 კაცმა, ხოლო მათ და კიდევ 7 — 8 კაცმა, „უმცირესობამ", არ მოაწერა: „რატომ? — არავინ ჩვენგანმა არ იცის; მაგრამ ისინი იწუნებენ ნაშრომს, აო იცნობენ რა მის შინაარსს და მიესვლებათ რა უფროსებთან, მათ თავადაზნაურობის საწინააღმდეგოს ეუბნებიან" [104].

ამასთანავე ილ. ჭავჭავაძის ნამსახურობის სიიდან ჩანს, რომ 1864 წ. 10 აპრილს, კავკასიის მთავარმართებლობისადმი ბრძანებით, იგი დაინიშნა ამ უწყების მოხელედ. მალე ის იგზავნება ქუთაისის გუბერნიაში ბატონყმობის მომზადებასთან დაკავშირებულ სამუშაოებში მონაწილეობისათვის. იმავე 1864 წლის 22 მაისს ილია თავის მეუღლეს წერდა: აქ „...ჩვენი მოსვლა ვერაფრით ეკაშნიკათ: «აი, ესენი არიან ჩვენი დამღუპველებიო, ყმების წამრთმევებიო», ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსაჰყრიან..." [105].

1864 წ. ნოემბრიდან ის უკვე თბილისის მაზრის მომრიგებელი შუამავალია. ორიოდე წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს თბილისის გუბერნიაში საგლეხო რეფორმის მომზადებაში „სასარგებლო მოღვაწეობისათვის" აჯილდოებენ ფულით, მერმე კიდევ აჯილდოებენ „ქუთაისის გუბერნიაში მებატონეთა მამულების აღწერაში" მონაწილეობისათვის [106].

ილ. ჭავჭავაძეს მონაწილეობა მიუღია აგრეთვე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ რეფორმის მომზადების საქმიანობაში. ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის ქრ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი, რომელიც თავის შოგონებაში წერს:

---

[102] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „ქართული ჟურნალისტიკა", I, 407.
[103] „საისტორიო მოამბე", IV, 295.
[104] იქვე, 296.
[105] „ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე", 1937. ტფ. გვ. 51.
[106] „საისტორიო მოამბე", IV, 275.

გლეხთა განთავისუფლების პროექტის განსახილველად მოწვეულ თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე „ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, დიხმამაღლა განაცხადა, რომ გ ლ ე ხ ს მ ი წ ა უ ნ დ ა მ ი ე ც ე ს ო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვაგინებით ილიასაკენ გაიწია და ჰყვიროდა: «გამიშვით! ეხლავე უნდა მოკლაო». გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივს-ძლივობით გაიყვანეს კრებიდან. მე გომბორზე ვმსახურობდი. ზეშოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვარიშვილმა, რომელიც მწერდა: «ჩქარა ტფილისში ჩამოდი. რამდენიმე ახალგაზრდობა ილიას გარსშემოვერტყათ და ბატონ-ყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო». მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ან. ფურცელაძე და ამ წერილის ავტორიც მუდმივ შორიახლოს მივსდევდით ილიას და მზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი. მეორე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენ.-ლეიტენანტმა ივ. მუხრანსკიმ, მან განაცხადა, უშიწოთ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავად-აზნაურობა მიემხრობაო, მიწიანათ კი მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ორატორს ხელი სტაცა, მოაბრუნა თავისკენ და ჰკითხა: «ვინ არის ეგ კაცუნებიო?». მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შეცდა და «რამდენიმე კაცუნას» მაგივრად უნდა ეთქვა «რამდენიმე კაცი»" [107].

ი. მანსვეტაშვილიც აღნიშნავს თავის მოგონებაში, რომ ილ. ჭავჭავაძეს მოკლას უპირებდნენ გლეხთა მ ი წ ი ა ნ ა თ, განთავისუფლების მოთხოვნისათვისო [108].

ყოველივე ეს გარემოება უეჭველად მიუთითებს შესაძლებლობას იმისა, რომ ილია ჭავჭავაძეს მკაცრად გაეკრიტიკებია ბატონყმობის გაუქმების შესახებ საგლეხო საქმეთა კომიტეტის პროექტი. საკითხისადმი ილიას დამოკიდებულების გასარკვევად აქვე უნდა გავიხსენოთ თვით ილიას მიერ „ნუ თუ?"-ში (1905 წ.) გაკეთებული განცხადება: ჩემს ყმებს, კახეთში რომ მყავდა, „ყმათა განთავისუფლების პირველ ხანებშივე მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლ-კარის მიდამო, მათი ხვედრი ვენახები უსასყიდლოდ დავუთმე და ხელშეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმევთა შორის" [109].

ილ. ჭავჭავაძის საწესდებო სიგელიდან (№ 56) ჩანს, რომ მან ს. ყვარელს მცხოვრები თავისი ყმები გაათავისუფლა შესაბამისად „ადგილობრივი დებულებისა", — ორმხრივი შეთანხმების მიხედვით. ს. ყვარელის გლეხებმა მიიღეს კომლზე 5 დღიური სარწყავი მიწა... „რის საფუძველზედაც ზედმე-

---

[107] ქრისტ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი, „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება". 1907 წ. ტფ. გვ. 66 — 67.

[108] ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი. „მოგონებანი". 1936, ტფ. გვ. 122.

[109] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ნაწერების სრ. კრებული", IX, 189.

ტი მიწები ჩამოეკრათ და დარჩენ მემამულის სარგებლობაში... გლეხთაგან კუთვნილი გადასახდელი საკარმიდამოსათვის და, აგრეთვე, კულუხი და ღალა გლეხები დათანხმდნენ იხადონ საგუბერნიო საგანგიოს მიერ დანიშნულ ვადებში" [110]; ამიერიდან ეს გლეხები გადაიქცნენ „თ. ილია ჭავჭავაძის დროებითვალდებულ გლეხებად" [111].

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ ილიამ შემდეგ, — „პირველ ხანებშივე", როგორც თვითონ აღნიშნავს, — გაუქმა მის ყოფილ ყმათა „დროებითვალდებული" ურთიერთობა, ე. ი. გამოსასყიდელს გარეშე შეარჩინა გლეხებს მათთვის მიზომილი მიწები. 1870-იანი წლების გასულს „ცხოვრება და კანონში" ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა „დრ. ვალდებული" გლეხის მდგომარეობის სიმძიმეს და მიუთითებდა: „დღეს თუ ხვალ საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას", ბოროტება იმაშია რომ „ნაყმევი მამულს ვერ იყიდის, თუ მებატონე ამას არ მოიწადინებს, ხოლო მებატონეს ამ ნაბიჯის გადადგმა უძნელდება" და ამიტომ ი. ჭავჭავაძეს საჭიროდ მიაჩნდა სანადელო მიწების სავალდებულო გამოსყიდვაზე გადასვლა [112].

ახლა შეიძლება უშუალოდ შევეხოთ საკითხს, თუ ვინ არის სახელდობრ ავტორი ზემოხსენებული ორი შესანიშნავი დოკუმენტისა, რაც შეიქმნა ბატონყმობის გაუქმების მომზადების პროცესში. როგორც ვნახეთ ერთნი (გიორგაძე, ჩხეტია და სხვ.) ორივე დოკუმენტის ავტორად აცხადებენ ნიკო ჭავჭავაძეს, ხოლო მეორენი — (გაწ. „თემი", იოვიძე და სხვ.) ილია ჭავჭავაძეს.

ორივე დოკუმენტი საგლეხო კომიტეტში შეტანილია 1864 წ. 6 მაისს. სხვა, კერძოდ დაწერის თარიღი მათ არ უზის. გადაწერილია ისინი არა თვით ნიკო ჭავჭავაძის მიერ; მისი ხელრთვა წარმოდგენილია ბოლოს: „Верно: Н. Чавчавадзе".

აღსანიშნავია, რომ „კრიტიკულ შენიშვნებში" ოთხჯერაა აღნიშნული [113], რომ მისი ავტორის მიერ ადრე წარდგენილია კიდევ სხვა ბარათი („Записка"), სადაც რიგი საკითხებისა უფრო დაწვრილებითაა განხილული; სწორედ ეს მითითებანი გახდა ერთ-ერთი საფუძველი ეფიქრათ, რომ „ორივე ეს რადიკალური პროექტი" ერთი ავტორისაა. მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ „საერთო კრიტიკულ შენიშვნებშიაც" არის, — ორჯერაც! — ნათქვამი, რომ მის ავტორს საგლეხო კომიტეტში წარდგენილი აქვს კიდევ სხვა ბარათი, მაგრამ კომიტეტმა „მას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციაო" [114].

---

[110] „საისტორიო მოამბე", III, 176 — 177.

[111] იქვე, 178 — 182.

[112] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებული, VIII, 24 და შემდ.

[113] П. Гугушвили. „Сельское хозяйство...". II. 203.

[114] იქვე, გვ. 160, 167.

რამდენადაც დაუშვებელია, რომ ორსავე დოკუმენტში ერთმანეთზე იყოს გაკეთებული მითითება ჩვენ თავის დროზე (1936 — 1940 წ. წ.) ვეძიეთ, მაგრამ შესაბამის „საქმეებში" ვერ მივაკვლიეთ დასახელებულ „ბარათებს". მათი გამოვლინებით კი ადვილად გადაიჭრებოდა ამ დოკუმენტების წარმომავლობა, — თუ მათში რაიმე სახით იქნება აეტორი მოხსენებული.

მაგრამ ორსავე დოკუმენტში მოცემული ამ მითითებებისათვის რომ აქამდე ყურადღება მიექციათ, ე. ი. მათი შინაარსი კრიტიკულად შეესწავლათ, ის საკითხი მაინც გაირკვეოდა, რომ ისინი ა რ ე კ უ თ ვ ნ ი ა ნ ე რ თ ა ვ ტ ო რ ს.

ამასთანავე ამ დებულების დასამტკიცებლად არა ნაკლებ საფუძვლიან საბუთს თვით დოკუმენტების შინაარსობლივ განხილვაშიაც დავინახავთ.

საერთოდ რეფორმის მომზადების პერიოდში საქართველოს თავადაზნაურობისათვის მთავარი საკითხთაგანი იყო ყმა-გლეხთა მ ი წ ი ა ნ ა დ თუ უ მ ი წ ო დ განთავისუფლება. მებატონეთა ინტერესების დამცველნი მოითხოვდნენ ყმათა უმიწოდ განთავისუფლებას, მეორეს მხრივ, ლიბერალური თავადაზნაურობა თანხმდებოდა, ხოლო რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია მოითხოვდა მიწიანად განთავისუფლებას.

მაგრამ ყმათა მ ი წ ი ა ნ ა დ განთავისუფლების მომხრეთა შორისაც ფ რ ი ა დ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა იყო, თუ სახელდობრ რა პირობებში უნდა მიეღო გლეხს მიწა. სწორედ აქ იჩენდა თავს რ ე ფ ო რ მ ი ს ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი მ ხ ა რ ე, რასაც რუსეთში იმთავითვე რეფორმის საკვანძო საკითხად სთვლიდნენ. მაგალითად, ცნობილი კ ო შ ე ლ ე ვ ი წერდა, რომ „ყმათა განთავისუფლების შესახებ პროექტის ფინანსური მხარე წარმოადგენს კვანძს თითქმის მთელი საქმისაო". ამავე აზრს იცავდნენ ოგარევიცა და კაველინიც.

სწორედ ამ საკითხში, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ხსენებულ ორ დოკუმენტს შორის კ ა რ დ ი ნ ა ლ უ რ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა არსებობს. სამწუხაროდ, საქართველოში ბატონყმობის გაუქმების საკითხზე დღემდე არსებული ლიტერატურა არსებითად მხოლოდ იმის ძიებით ისაზღვრება, თუ ვინ იყო გლეხობის მიწიანად და ვინ უმიწოდ განთავისუფლების მომხრე; — პირველებს თვლიან რადიკალებად, პროგრე-

სულ მოღვაწეებად, მეორეთ — რეაქციონერებად. ეს მაშინ როდესაც ყმათა მიწიანად განთავისუფლება თვით მეფის მთავრობის მიერ იყო დაკანონებული და ასეთს ვითარებაში მთელი საკითხი მდგომარეობდა იმაში, თუ სახელდობრ რ ა ზ ო მ ი თ და რ ა პ ი რ ო ბ ე ბ შ ი მისცემოდა გლეხებს სანადელო მიწა.

მაგრამ ქართულმა ფეოდალურმა და ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ მსჯელობის (გამოკვლევის) საგნად გახადა ყმათა საერთოდ მიწიანად თუ უმიწოდ განთავისუფლების საკითხი და სწორედ ამის მიხედვით დაყო ეპოქის მოღვაწენი: რ ა დ ი კ ა ლ ე ბ ა დ აღიარა ყველანი, რომელნიც მოითხოვდნენ გლეხთა მიწიანად განთავისუფლებას და კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ო რ ე ბ ა დ (რეაქციონერებად), — რომელნიც უმიწოთ განთავისუფლების მომხრენი იყვნენ. სწორედ ამ ხერხით ხსენებულმა ისტორიოგრაფიამ მიჩქმალა რეფორმაში მონაწილე თვით „რადიკალურ“ ძალთა შორის არსებული გათიშულობა. მიჩქმალულ იქნა სახელდობრ რევოლუციური ტენდენცია, რაც უპირისპირდებოდა „რადიკალთა“ უმრავლესობას, ე. ი. 60-იანი წლების ლიბერალებს, რომლებიც მიყვებოდნენ რა „დროის მოთხოვნილებებს“, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგები, მედგრად იბრძოდნენ ქვეყნის „ევროპეიზაციისათვის“, ბატონყმობის მოსპობისათვის, „მოქალაქეობრივ უფლებათათვის“, „შრომის თავისუფლებისათვის“, მაგრამ რომელთაც არ შეეძლოთ გამოსულიყვნენ მემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ; — მათ ეშინოდათ რევოლუციის, გლეხთა მასობრივი მოძრაობისა და სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ მებატონეთაგან მცირეოდენ დათმობებს, რათა „ეხსნათ ქვეყანა“ „პროლეტარობისაგან“. რომელნიც „მარადის მავნებელნი არიან ქვეყნის მშვიდობიანობისათვის“ [115].

ამ „რადიკალების“ წინააღმდეგ გაშმაგებით იბრძოდა რეაქციული, უკიდურესად მებატონური იდეებისა და ყოფიერე-

[115] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. „ქართული ჟურნალისტიკა“, 1941, თბ. ტ. I, გვ. 428.

ბის დამცველი თავადაზნაურობა. „რადიკალის“ სახელი ჰქონდა დამსახურებული, მაგალითად, გენ. კ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ს, რომელიც ყველაზე უფრო ოპოზიციურია დ. უიფიანის მიერ 1863 წ. აპრილს შედგენილ „შეკრებაში ოცდაერთის ჰაზრისა ორასორმოცდა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონყმობაზედ“ [16]. რეაქციულმა თავადაზნაურობამ კ. მამაცაშვილი იძულებული გახადა თვითონვე უარეყო თავისი აზრები.

ორივე ხსენებული კრიტიკული შენიშვნების ავტორი გლეხთა მიწიანათ განთავისუფლებას მოითხოვს. ორივე სასტიკად აკრიტიკებს აცსკ-ს პროექტს და შეურიგებლად იბრძვის „დროებითვალდებულ“ გლეხთა ინსტიტუტის დადგენის წინააღმდეგ, რადგან ასეთს პირობებში ჩაყენებული გლეხები „ვერ გაიგებენ, რომ თავისუფალი ადამიანი, გვერდაუხვეველ გარემოებათა მეოხებით, შეიძლება დარჩეს კვლავ მონობაში, არ ექნება რა არც საკუთრება და არც საშუალება დამოუკიდებელი ცხოვრებისაო“ — ვკითხულობთ „საერთო კრიტიკულ შენიშვნებში“, რომლის ავტორი ამტკიცებს, რომ „პირადი და ქონებრივი თავისუფლების გარეშე... არ არის და არც შეიძლება იყოს თავისუფლება“ [117].

ამ და რიგ სხვა საკითხში ორივე დოკუმენტი ოპოზიციურია და შეურიგებელი აცსკ-ის პროექტისადმი. მაგრამ მათ შორის განსხვავება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც საქმე მიდგება საკითხზე, თ უ რ ა პ ი რ ო ბ ებ შ ი უ ნ დ ა მ ი ი ღ ო ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ მ ა გ ლ ე ხ მ ა მ ი წ ა.

უწინარეს ყოვლისა საკარმიდამოს (საეზოვეს) შესახებ. ორივე ამტკიცებს აუცილებლობას, რომ გლეხს შერჩეს საკარმიდამო მიწა. ოღონდ „საერთო კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი მოითხოვს, რათა მემამულეს ჰქონდეს უფლება, რომ 2 წლის მანძილზე მოითხოვოს გარკვეული ბეგარები „საკარმიდამო მიწის სარგებლობისათვის, ხოლო მერმე უფლება —

[116] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „ქართული ეურნალისტიკა“, 1941, თბ., ტ. I, გვ. 426—430.

[117] П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство...“, II, 159—160.

მოითხოვოს გამოსყიდვა და თვითონაც, ცხადია, იკისროს მიყიდოს ის გლეხს, რომელსაც უფლება არა აქვს [არ უნდა ქონდეს] უარი თქვას შესყიდვაზე“ [118]. ხოლო „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი, აკრიტიკებს რა კცსკ-ის პროექტს, აცხადებს: „ძნელად თუ შეიძლება დავუშვათ რაიმეს ჩამოჭრა საკარმიდამო მიწიდან, და ეს არც უნდა გაკეთდეს, დეე ცოტაოდენი ზედმეტი დარჩეს გლეხების სიკეთისათვის, რომელთა წინაშე ჩვენ ფრიად დიდად ვართ დავალებული და რომელთაც შესძლეს დაეცვათ მთელი ჩვენი ღირსება უცხოური გავლენისაგან“. ხოლო სახელდობრ სანადელო მიწის გამოსყიდვის შესახებ აქ ნათქვამია: „უწინარეს აუცილებელია დაევალოს მემამულეს დაუთმოს გლეხს სასყიდლად ის, რაც უკანასკნელს მიეცა სანადელოდ, ვინემ მოეთხოვებოდეს გლეხს ამ სანადელოს აუცილებლად შეძენა საკუთრების სახით“ [119].

მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი გადაჭრით წინააღმდეგია არა მხოლოდ საკარმიდამოს ჩამოჭრისა, არამედ საერთოდ გლეხის ნადელში (საკომლოში) შემავალი სხვადასხვა სახმარი მიწის რაიმეგვარი შემცირებისა. კიდევ მეტიც.

მთავრობის პროექტი [120] თვლის, რომ „გლეხებს უნდა შერჩეთ მემინდვრეობისათვის სახმარი მხოლოდ ის მიწები, რომლებიც მათ ექნებათ ამ დებულების დამტკიცებამდეო“, ხოლო „კრიტიკული შენიშვნებში“ პროექტის ამ (4) პარაგრაფის შესახებ ვკითხულობთ: „დებულების დამტკიცებამდე მათ (გლეხებს) სარგებლობაში არ შერჩებათ არავითარი მიწა, რამდენადაც მემამულეები, რომლებიც მიწის საკუთრების უფლებით სარგებლობენ, სხვადასხვა საბაბით, აიძულებენ გლეხებს, რათა მათ უარი თქვან მიწებზე, — ანდა სრულები-

[118] П. Гугушвили. „Сельское хозяйство...“, II, 163—164.

[119] იქვე, გვ. 166—167, 198.

[120] მთავრობის პროექტი თუმცა შემოკლებით და რამდენადმე შესწორებული რედაქციით თავისი წიგნის დამატებაში დაბეჭდა ს. ავალიანმა, „Крестьянский вопрос в Закавказье“, Одесса. 1913. II, стр. 167—191.

თაც არ კითხავენ მათ და ისე წაართმევენ ამ მიწებს, რათა დამტკიცებული დებულების მიღების დღისათვის გლეხებს არ შერჩეთ სარგებლობაში მიწის პაწია ნაკერიც, იმისათვის რათა თავი დააღწიონ სანადელოს მიცემისაგან. ეს რომ ასე იქნება, ამაში დაეჭვება არ შეიძლება. ისინი ამას არამცთუ ახლა გააკეთებენ, არამედ ეს საგლეხო რეფორმის გამოცხადებაზე ბევრად ადრე გააკეთეს, რამდენადაც მრავალ ადგილას მემამულეებმა წაართვეს გლეხებს სხვადასხვა სახმარი მიწები იმის შიშით, რომ მათ მფლობელობაში მყოფ მიწებზე არ ეღიარებიათ მათი პატრონობის უფლება. ამის გამო სამართლიანი იქნებოდა საგლეხო სანადელოდ გვეცნო ყველა ის მიწები, რომლებიც მათს უშუალო მფლობელობაში იყო რუსეთში გლეხთა განთავისუფლების შესახებ დებულების გამოცემამდე, სახელდობრ 1861 წ. 19 თებერვლამდე". ამასთან ერთად „კრიტიკული შენიშვნების" ავტორს მიაჩნია, რომ „...დაუჯერებელია დავუშვათ, რომ გლეხები დათანხმდნენ თავიანთი ნადელების შემცირებაზე, რაც ძლივსღა ყოფნით მათ, როგორც ცხოვრების საშუალება... გლეხებისათვის სრულებით არ შეიძლება მიწების ჩამოჭრა, მათ ისედაც ყველაფერი ჩამოეჭრათ. საეჭვოა რომ ნებაყოფლობით შეთანხმებას ჰქონდეს წარმატება იქ, სადაც გლეხი ცნობს მიწაზე თავის უფლებას და სადაც ეს უფლება მას ერთმევა აუცილებლობის ძალით".

საერთოდ „კრიტიკული შენიშვნების" ავტორს პრინციპულ სიმაღლემდე აყავს საკითხი, რომ გ ლ ე ხ ი ს წ ი ნ ა ნ დ ე ლ ნ ა დ ე ლ ს (ს ა კ ო მ ლ ო ს) ა რ ა ფ ე რ ი ჩ ა მ ო ე ჭ რ ა ს და იგი ამას თვლის „ყ ვ ე ლ ა ზ ე უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ს ა გ ლ ე ხ ო ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა დ ა ჭ რ ა შ ი". ამ მიმართულებით იგი იქამდეც-კი მიდის, რომ გაბედულად აცხადებს: „გ ლ ე ხ ი ც ნ ო ბ ს, რ ო მ მ ი წ ა მ ა ს ე კ უ თ ვ ნ ი ს დ ა ა მ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ ა ს ა ხ ლ ა ე რ თ მ ე ვ ა ო". და ასეთს პირობებშიო, აშკარად იმუქრება იგი, თუ გლეხებს ნადელს ჩამოუჭრიან, ისინი აჯანყდებიანო; გლეხები არაფრით არ დაუშვებენ კერძოდ ვენახების ჩამოჭრას: „გ ლ ე ხ ი... უ წ ი ნ ა-

რეს თვით სიცოცხლეს დასთმობს, ვინემ ბაღს (ვენახს), რაშიაც ჩამარხა მთელი თავისი შეძლება, თავისი დრო, თავისი შრომა, თავისი უკანასკნელი კაპიკი".

ახლა ვიკითხოთ, როგორია საგლეხო რეფორმის ამ კარდინალური საკითხისადმი „საერთო კრიტიკული შენიშვნების" ავტორის დამოკიდებულება? — იგიც მოითხოვს გლეხთა მიწიანათ განთავისუფლებას, ამასთანავე სთვლის, რომ გლეხის სარგებლობაში მყოფი ყოველგვარი სახმარი მიწა „სრული საკუთრების უფლებით ეკუთვნის მემამულეს", თუმცა აღიარებს, რომ გლეხსაც აქვს „უფლება არასრული საკუთრებისა", — კერძოდ საკარმიდამოსა და ბაღ-ვენახზე. აქვე უნდა აღინიშნოს, უკანასკნელ გარეშოებას, ე. ი. რომ გლეხს ნაწილობრივ ეკუთვნის მებატონის მიწაზე მის მიერ გაშენებული ბაღ-ვენახი (ე. ი. გლეხის უფლებას საკუთარ შრომასა და კაპიტალზე) არ უარყოფდნენ თვით ყველაზე რეაქციული მებატონეებიც-კი და იგი ადრიდანვე იყო დადგენილი საგლეხო რეფორმის შესახებ საერთო საიმპერიო კანონმდებლობითაც.

„საერთო კრიტიკული შენიშვნების" ავტორი დაუნდობლად ებრძვის აცსკ-ს პროექტს, რის მიხედვით გლეხი ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც უნდა დარჩეს ყოფილ მებატონისადმი „დრ. ვალდებულ" დამოკიდებულებაში, რითაც „ბატონყმობა არა თუ არ მოისპობა, არამედ, პირიქით, უფრო ჩამოყალიბებულ ფორმაში გამოდის, სახეცვალებას განიცდის რა უარესისაკენ, ვინემ აქამდე იყო". — სწორედ ასეთმა ფრაზებმა, ეტყობა, შეიყვანა შეცდომაში თავის დროზე პროფ. ს. ავალიანი, რომელმაც ორსავე დოკუმენტს და კერძოდ ამასაც უწოდა „რადიკალური პროექტი" [121].

არსებითად „საერთო კრიტიკული შენიშვნების" ავტორი რეფორმის ყველაზე მთავარ საკითხში ბევრად უფრო მემარჯვენეა, ვინემ თვით მთავრობის, ე. ი. აცსკ-ს პროექტი. ამ

[121] С. Авалиани. l. c., I, 353.

ქანასკნელის მიხედვით გლეხებისათვის საერთოდ უნდა დაეტოვებიათ რეფორმამდელი ნადელის ნახევარი (იხ. §§ 5, 46). „საერთო კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი კი ამის წინააღმდეგია. მაგრამ ვის სასარგებლოდაა იგი ამხედრებული?— არა გლეხების, არამედ მემამულეთა ინტერესების დასაცავად.

აი მოვუსმინოთ: ნადელის ზომის დადგენისას, აცხადებს იგი, უნდა გავითვალისწინოთ, როგორც გლეხობის (პირველად, მართალია, გლეხს ასახელებს!), ისე მებატონეთა ინტერესები და „განვიხილავთ რა ამ მოთხოვნებსა და საჭიროებათ ორივე წოდებისა, მთელი სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ მემამულეები, რომელთაც არ გააჩნიათ საკმაო მიწები, ბევრად უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან, ვინემ გლეხები; მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა ბ ე დ ი ი მ ს ა ხ უ რ ე ბ ს უ ფ რ ო მ ე ტ ს ი მ პ ა თ ი ა ს ა დ ა მ ე ტ ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა ს. გლეხისათვის ზემოხსენებული სავენახე ნადელისა და საკარმიდამო ნადელისას მემინდვრეობისათვის სახმარი მიწების ნადელის ზომა შეიძლება იყოს მიწის ყველაზე ნაკლები ნაწილი, მაშინ როდესაც საშუალო მემამულისათვის ძლივძლივობით თუ იქნება საკმარისი 50, 60 და მეტი დღიური სახნავი. უუნარო და შრომას, კერძოდ სოფლისას, მიუჩვეველმა მემამულეებმა უნდა იცხოვრონ იმ საშუალებებით, რომელსაც სხვათა მეშვეობით მოიპოვებენ თავიანთი მიწებიდან და თავიანთი მეურნეობიდან, რაც ძლივსღა იკმარებს მათი არსებობისათვის. გლეხებს, პირიქით, ექნებათ რა ბინადრობა და საკმარისი რაოდენობა ვენახისა, შეეძლებათ იარსებონ ფრიად მცირე რაოდენობის მიწით, ისეთი რაოდენობით, რაც არ აღემატება 4 და 5 დღიურს. არა აქვთ რა არც ის მოთხოვნილება და არც ის საჭიროება, რაც აქვთ მემამულეებს და არც ის მოუმზადებლობა სასოფლო შრომისადმი, მათ შეუძლიათ მოიპოვონ ცხოვრების სახსრები ყოველივე კანონიერი საშუალებებით, არ ეთაკილებათ რა არავითარი სამუშაო და არავითარი საქმიანობა, რომელთაც ზიზღით უარყოფს და კიდევ დიდხანს უარყოფდეს იქნება აზნაური-მემამულე. ეს მოსაზრებანი საბაბს იძლევიან დავასკვნათ, რომ არაა ისეთი აუცილებლობა,

რათა გლეხმა მიიღოს მიწის უზარმაზარი ნადელი მემამულის საზიანოდ, ისეთი ნადელი რაც აუცილებელია საერთოდ ამ უკანასკნელისათვის. გლეხისათვის აუცილებელია ყველაზე პატარა, ყველაზე განსაზღვრული ნადელი".

მაგრამ რაკი მას არ შეუძლია ეწინააღმდეგებოდეს გლეხებისათვის საერთოდ მიწის მიცემას (რაც ამ დროისათვის უკვე თვით 19 თებერვლის მანიფესტით იყო დაკანონებული) აცხადებს: „მემამულეებმა გლეხებს უნდა დაუთმონ თავიანთი მიწები, მაგრამ არა იმდენი, რამდენსაც განსაზღვრავს კომიტეტი და რამდენიც გლეხებისათვის არავითარ საჭიროებას არ შეადგენს, და დაუთმონ არა სავალდებულო პირობებში, არამედ საკუთრებაში გარკვეული სასყიდლით. ჩემი აზრით საკმარისია, თუ მემამულეები საკუთრებაში დაუთმობენ მესამედს იმისა, რასაც ფლობენ გლეხები და დათმობილისათვის მიიღებენ ღირებულებისამებრ განსაზღვრულ საზღაურს".

ამგვარად, იგი მოითხოვს გლეხებისათვის ნადელის ბევრად უფრო შემცირებას, მემამულეთა სასარგებლოდ ჩამონაჭრების ბევრად გადიდებას, ვინემ თვით მთავრობის (აცსკ) პროექტი და თანაც მოითხოვს გლეხისათვის დატოვებული კნინოდენა ნადელის გლეხთა მიერ (მთავრობის დახმარებითაც) სავალდებულო გამოსყიდვას 2 წლის ვადაში, რათა სავალდებულო ურთიერთობანი მემამულესა და გლეხს შორის დიდხანს არ გაგრძელდეს, რათა მემამულეებმა ფულები მალე მიიღონ. მისი ანგარიშით რეფორმამდე გლეხის კომლს საშუალოდ ჰქონდა არაუმეტეს 12 დღიური სახნავისა, ამიტომ მესამედი არ გადასცილდება 4 დღიურს. შემდეგ ანგარიშობს, თუ რამდენი დახმარების გაწევა მოუხდება მთავრობას გამოსასყიდელი ოპერაციებისათვის და მით უფრო უადვილებს ხაზინას ამ დახმარებას, ე. ი. მაღალი სარგებლით გლეხები-

სათვის ფულის სესხებას, რაც უფრო (ნახევრიდან მესამედამდე) ამცირებს ნადელის ზომას.

შეგვეძლო გაგვეგრძელებია ეს შედარება ამ ორი საინტერესო დოკუმენტის აზრისა, მაგრამ ნათქვამიდანაც უკვე ცხადია, თუ რაოდენ დიდი განსხვავებაა, ე. ი. ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო აზრია მათში ჩაქსოვილი და ამდენადვე დაუშვებელია, რომ ორივე ისინი ერთსადაიმავე ავტორს ეკუთვნოდეს.

პ ი რ ვ ე ლ ი დოკუმენტი („საერთო კრიტიკული შენიშვნები") მოითხოვს გლეხობისათვის ნადელის ფრიად შემცირებას, მეორე („კრიტიკული შენიშვნები") — რეფორმამდელი ნადელის მთლიანად გლეხობისათვის დატოვებას; პ ი რ ვ ე ლ ი ს აზრით ბაღ-ვენახები ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ე კ უ თ ვ ნ ი ს მათს გამშენებელ გლეხობას, მ ე ო რ ე აცხადებს, რომ ბაღ-ვენახები მ ლ ი ა ნ ა დ ე კ უ თ ვ ნ ი ს გლეხობას და გაფრთხილებას იძლევა, რომ ისინი სიცოცხლეს უფრო შეელევიან, ვინემ მათს ნაშრომ-ნაღვაწ ვენახსო; პ ი რ ვ ე ლ ი აცხადებს, რომ ბაღ-ვენახები შუაზე უნდა გაიყოს: „ერთი (მემამულე — პ. გ.) უთმობს მიწას, მეორე (გლეხი — პ. გ.) შრომას; შრომისა (და კაპიტალის) და მიწის რაოდენობა „ამ შემთხვევაში ერთი ზომისა და ერთი ფასისაა, როგორც რაოდენობის, ისე თვისების მიხედვით"; მ ე ო რ ე დოკუმენტი კი ამტკიცებს, რომ ვენახების გაშენებაზე „დახარჯულია უდიდესი შრომა და სახსრები გლეხისა, რომელსაც უფრო მ ე ტ ი უფლება აქვს ვენახზე, ვინემ მემამულეს, რომელსაც ეკუთვნის მხოლოდ მიწა, რასაც არა აქვს ის ღირებულება და ღირსება, რაც საერთოდ შრომასა და კაპიტალს აქვთ".

პ ი რ ვ ე ლ ი ეთანხმება ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტის პროექტს, რომ ს ა ბ ო ლ ო ო დ გლეხს საკარმიდამო დაუტოვონ არაუმეტეს ერთი დღიურისა, ხოლო ზედმეტი ჩამოეჭრას და მებატონეს გადაეცეს, მ ე ო რ ე ს-კი შეუძლებლად მიაჩნია საკარმიდამოს რაიმე ჩამოეჭრას. აქ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ იმდროისათვის ამ ესოდენ გაბედული გამოსვლის ავტორს რა შეიძლება აკავშირებდეს

„საერთო კრიტიკული შენიშვნების“ ავტორთან, რომელიც გულმოდგინედ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ყოველგვარი სახმარი მიწა: საკარმიდამო, სავენახე, სახნავი, საბალახო, საოთბი, ტყე მებატონეთა ხელშეუხლებელი საკუთრებაა; „კრიტიკულ შენიშვნებში“ კი ვკითხულობთ: საქართველოში საერთოდ ტყე შეადგენს მოსახლეობის „საყოველთაო კუთვნილებასო“, ხოლო იქაც, სადაც იგი მებატონის საკუთრებას წარმოადგენს გლეხებისათვის უნდა „დაცულ იქნას საკუთარი საჭიროებისათვის უსაზღაურო სარგებლობის უფლებაო“; პირველი ცდილობს გაადიდოს ღალა, კულუხი და სხვ., მეორე — ამხელს მემამულეთა მისწრაფებას გადიდებულად წარმოადგინონ მებატონისადმი ყმათა ვალდებულებანი და მოითხოვს მათს მნიშვნელოვნად შემცირებას.

ასეთივე შეურიგებელი განსხვავებაა ამ ორ დოკუმენტს შორის საგლეხო რეფორმის რიგ სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხშიც. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კიდევ ის გარემოება, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი აცსკ-ს პროექტს განუწყვეტლივ უყიჟინებს ბუნდოვანობას, აზრთა ისეთ გაურკვევლობასა და სირთულეს, რომ კანონის სხვადასხვანაირი გაგების შესაძლებლობა ისევ და ისევ მებატონეთა ინტერესებს ემსახურება. „საერთო კრიტიკული შენიშვნები“ კი ძალიან ბუნდოვნად გადმოსცემს საკუთარ აზრებსაც. მიუხედავად ყოველივე ამისა პროფ. ს. ავალიანიდან დაწყებული დღემდე გრძელდება ის გაუგებრობა, რომ თითქოს ორივე ეს დოკუმენტი ერთ ავტორს ეკუთვნოდეს.

ზემოთმოყვანილ შედარებათაგან უკვე უდავოდ მტკიცდება, რომ ორივე დოკუმენტი არ შეიძლება ერთ ავტორს ეკუთვნოდეს. — მაინც ვინ შეიძლება იყვნენ მათი ავტორები? ცხადია, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეორის, სახელდობრ „კრიტიკული შენიშვნების“, მართლაც რადიკალური ნაწარმოების, — ავტორის ვინაობას.

„კრიტიკული შენიშვნები“ თავისი შინაარსით არის ყველაზე უფრო პრინციპული, ყველაზე მეტად გლეხური, ე. ი. არსებულ ვითარებაში გლეხთა ინტერესების დამცველი ავტორის

ნაწარმოები. იგი არსებითად ეხმაურება რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოღვაწეთა, მაგალითად, ნ. ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს მიერ ამავე საკითხზე 1850-იან წლებში და 1860-იანი წლების პირველ ნახევარში დაწერილ შრომებს, აშკარად განიცდის მათს გავლენას. მაშინ, როდესაც „საერთო კრიტიკული შენიშვნები" ლიბერალურია (უკეთ ვთქვათ ოპოზიციურია) მხოლოდ ფრაზებში და აშკარად მებატონურია თავისი შინაარსით.

1860-იანი წლების ქართველ განმანათლებელთა შესახებ განსაკუთრებით უახლესი ლიტერატურის მიხედვით, ბუნებრივია, რომ „კრიტიკული შენიშვნების" ავტორად ძნელია კაცმა წარმოიდგინოს სხვა ვინმე, თუ არა ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მემუარული მასალები საგლეხო რეფორმის საკითხში ილ. ჭავჭავაძეს, თითქმის ერთხმად, ასახელებენ, როგორც „ყველაზე რადიკალურ" მოღვაწეს. მაგალითად, ქრ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი გადმოგვცემს, რომ თავადაზნაურობის ყრილობაზე ილ. ჭავჭავაძის განცხადებამ, „რომ გლეხს მიწა უნდა მიეცესო... კრების უმრავლესობა ააშფოთა", ხოლო ერთმა თავადმა სატევარი იშიშვლა „და მის მოსაკლავად გაიწიაო" [122]. — უნდა ვიგულისხმოთ, რომ საკითხი ეხებოდა მიწის უსასყიდლოდ და თანაც რეფორმამდელი სანადელოს ფარგლებში გლეხობისათვის მიცემას, თორემ სასყიდლით და შეკვეცილი ნადელის მიცემის მოთხოვნისათვის ი. ჭავჭავაძეს სატევრით არ შეუტევდნენ.

გ. წ ე რ ე თ ე ლ ი გადმოგვცემს, რომ „იმ დროს (1863 წ.) მთავრობის სფეროში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ წრის (ჟურ. „საქართველოს მოამბის" წრის, რომელსაც ილ. ჭავჭავაძე მეთაურობდა — პ. გ.) შესახებ, რომლის წევრებსაც საშიშ ლიბერალებად იხსენიებდნენო" [123].

---

[122] ქრ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი, „ილ. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", 1907, ტფ. გვ. 64 — 66.

[123] „კვალი", 1897 წ. № 46, გვ. 815.

ამასთანავე, თუ ზ. ჭავჭავაძის განცხადებას დავუჯერებთ, ე. ი. თუ ნახევარი საუკუნის წინანდელ მოვლენათა შესახებ თავის მოგონებაში ის არ სცდება, მაშინაც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ „საერთო კრიტიკული შენიშვნების“ ავტორია ზაალ ჭავჭავაძე, ხოლო „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი-კი — ილია ჭავჭავაძე.

მაგრამ ბატონყმობის გაუქმების ძირითად საკითხებში ილ. ჭავჭავაძის პოზიციას ჩვენ საფუძვლიანად შეგვიძლია გავეცნოთ მის პუბლიცისტურ ნაწერებში.

როგორ შეაფასა ილ. ჭავჭავაძემ თავის პუბლიცისტურ გამოსვლებში ბატონყმობის გაუქმება? — იგი 1877 წ. წერდა: „1864 წ. მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებისა... ხოლო ბატონ-ყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულს გლეხს დაბინავება უნდოდა. უიმისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო. ჩვენდა საკეთილდღეოდ ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა“ [124].

მაგრამ რა პირობებში მიეცა გლეხს მიწა? ილ. ჭავჭავაძე აშკარა უკმაყოფილებით აღნიშნავს, იმ გარემოებას, რომ „გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს...“[125] და ისეთს პირობებში, როდესაც „გლეხი მისის ნაჭრის მიწების მეპატრონედ არ იცნეს“... „უკეთესმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ“ აღიარა: „ისა სჯობია, ახლავე ისე გავაშველოთ, რომ ურთიერთშორის სამდურავისა და დავიდარობის მიზეზი ჩვენში არა დარჩეს რაო“ [126]. მაგრამ ისეთი კანონმდებლობა

---

[124] ილ. ჭავჭავაძე, „ცხოვრება და კანონი“, 1877 წ., თხზ. სრ. კრებული, VIII, 5 — 6.

[125] იქვე, გვ. 6.

[126] იქვე.

იქნა მიღებული, „რომ გლეხსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭ-გამოსადები რამ დარჩენილიყო. ჩამოვარდა მეოთხედობა — ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც... გლეხი უფრო ცუდს დღეში იყო“ [127] — მას მოსავლის მეოთხედი მემამულისათვის უნდა მიეთვალა. მანამდე თავის წილს ხელს ვერ ახლებდა შიშით, რომ მეტს შეედავებოდნენ. „ჩვენ ამისი მოწმეც ვყოფილვართ, რომ გლეხს გარეულ დალპობოდეს ნამუშევარი ბატონის კაცის ლოდინშია“ [128]. მაგრამ მეოთხედობიდან გლეხის შემავიწროებელი კიდევ სხვა ვალდებულება გამომდინარეობდა: მას ყოველწლიურად უნდა მოეხნა ნადელის ნახევარი. ილ. ჭავჭავაძე აღნიშნავს რა, რომ „ამ კანონმაც მრავალი შფოთი ჩამოაგდო... ამ ორ წოდებათა შორის“ [129], გადაჭრით აცხადებს, რომ „წილზედ-ჭერა მამულისა... ჩვენის ხალხის ჩვეულებაზედ არ არის აღმოცენებული, იმ სახით მაინც, რა სახითაც იგი გლეხთა განთავისუფლების დებულებამ ჩვენში შემოიტანა“ [130]. ილ. ჭავჭავაძე თვლის, რომ „ჩვენში თითქმის ყველგან ღალა გარდაკვეთილი წარმოებდა და არა საწილო“. იგი არაერთგზის ეხება „დებულების“ 172 მუხლს, რომელიც ღალის ნორმებისა და მოცულობის ზუსტად აღრიცხვის შემდეგ ითვალისწინებდა ღალის კომუტაციას, ე. ი. ნატურალური (პროდუქტადი) რენტის ფულადზე გადაყვანას („ნაყმევის გადასახადი ერთობ ფულად განისაზღვროს, ე. ი. ჩვეულებრივი მიწის მოსაელით გადასახადი მახტად გადაიქცესო“) [131].

ილ. ჭავჭავაძე ცნობს, რომ ეს კარგი განზრახვაა, მაგრამ განუხორციელებელი: „ჩვენ ვერ მოგვიფიქრებია, რა წესი უნდა იყოს იმისთანა, რომ სახნავ მიწისა და ვენახის მეოთხედი, ანუ სათიბის მიწის მესამედი ცნობაში მოიყვანოს და

[127] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ცხოვრება და კანონი“, 1877 წ., თხზ. სრ. კრებული, VIII, გვ. 7.

[128] იქვე, გვ. 8.

[129] იქვე, გვ. 9.

[130] იქვე, გვ. 18.

[131] იქვე, გვ. 19. მახტა, როგორც ფულადი გადასახდელი აქ ფულადი რენტის მნიშვნელობითაა ნახმარი.

ეს მოყვანილი ცნობა მართალი და უტყუარი იყოს“ [132]. ილ. ჭავჭავაძე ამასთანავე გამოდის იმ საწყისებიდან, რომ „ფული ძნელად ჩაუვარდება ხელში გლეხსა, რომლის სიმდიდრე დღესაც ფულიანობით კი არ იზომება, არამედ პურისა და ღვინის მეტნაკლებობითა, ე. ი. მიწის მოსავლითა“. მისი შეხედულებით მთავარია თვით ღალის და კულუხის განსაზღვრა, ე. ი. რომ დადგინდეს არა საწილო, არამედ გარდაკვეთილი ღალა, რითაც მოისპობა ნაბატონარსა და ნაყმევს შორის დავიდარაბა. ხოლო თავისთავად გაუგებარია „რა საჭიროება მოითხოვს, რომ სულადით [პროდუქტადი — ბ. გ.] გადასახადი ფულად იქცეს“. ამასთანავე გლეხისათვის ორივე მძიმე ტვირთია, იქნება იგი ნატურით თუ ფულით: „ჭირი ხომ ჭირია, მაგრამ ჩვენი ხალხი ამაზედაც ამბობს, რომ შეჩვეული სჯობია შეუჩვეველსაო“, და რაკი ასეა „რათ უნდა ტყუილ-უბრალოდ შეირყეს ჩვეულება“ [133].

შემდეგ ილია ჭავჭავაძე ეხება მიწის გამოსყიდვის საკითხს. რადგან „დღეს თუ ხვალ საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას“, ამიტომ კანონის ეს მხარე დადებითია, მაგრამ ჩვენი პირობებისათვის შეუსაბამოა კერძოდ მისი განხორციელების გზები: სახელდობრ ის, რომ „გლეხს ვალად დაადვეს, რომ თუ მებატონე მოითხოვსო, უსათუოდ სახნავ-სათიბი მიწები და სამოსახლო ადგილი უნდა შეისყიდოსო“, — ცხადია მთავრობისაგან სესხის მიღების საშუალებით. „დებულების“ ამ მხარეს აკრიტიკებს ილ. ჭავჭავაძე განსაკუთრებით იმ მოტივით, რომ „ჩვენის გლეხის მიდრეკილება მამულის სყიდვისადმი ძლიერი და დაუძინებელია“. ასე, რომ „ის კი არ უნდა ეფიქრათ, გლეხი მამულის სყიდვას არ ინდომებსო, ფიქრი მებატონისა უნდა ჰქონოდათ, რომ იგი მამულს არ გაჰყიდდა“. ამგვარად, ილ. ჭავჭავაძე აშკარად მოითხოვდა, და ისიც მაშინდელ ცენზურულ პირობებში, რომ მემამულე

[132] ილ. ჭავჭავაძე, „ცხოვრება და კანონი“, 1877 წ. თხზ. სრ. კრებული, VIII, გვ. 20.

[133] იქვე, გვ. 21 — 24.

უნდა ყოფილიყო კანონით ვალდებული მიეყიდა გლეხისათვის მიწა, როცა უკანასკნელი მოინდომებდა და არა გლეხი —ეყიდა მაშინ, როდესაც მემამულეს მოეპრიანებოდა[134]. ქვეშოთ იგი ასახელებს მიზეზებს, რაც არსებითად შეუძლებელს ხდიდა „დებულების“ მიხედვით, მთავრობის დახმარებით გლეხთაგან მიწების შეძენას: 1. თუ გლეხები მიწას თავიანთი (ე. ი. უმთავრესად მევახშე-შემსყიდველთაგან ნასესხები — ბ. გ.) ფულებით იყიდიან — „კანონიერის სიგელის გამოტანა უძნელდებათ და უგვიანდებათ“ და, ამასთანავე მევალეების კაბალაში ვარდებიან; 2. მართალია, „მთავრობა ბევრად იაფად აძლევს გლეხს სესხსა“, მაგრამ ამ „სესხის გადასახდელად ურთიერთის თავდებობაა კანონად დადგენილი“, რაც ჩვენი გლეხის „ჩვეულების პირდაპირ წინააღმდეგია; წინააღმდეგია მისის მეურნეობის გამართულობისა, მისის ეკონომიურის მდგომარეობისა და მოწყობილობისა“. რუსეთში მისი საფუძველია მიწების თემური მფლობელობა, ჩვენში კი მიწათმფლობელობა „კომლეულია, განსაკუთრებით საოჯახოა და არა საერთო-სასოფლო“. კომლობრივი მიწათმფლობელობა „ჩვენის გლეხის მდგომარეობის დედაბოძია“[135]. ამიტომაც „არავითარი საბუთი არ იყო, რომ ურთიერთი თავდებობა შემოეღოთ... ჩვენებურს გლეხს არ ესმის და, სწორედ გითხრათ, ვერც გაიგებს, რისთვის უნდა იხადოს სხვის მაგიერ ვალი, მაშინ როდესაც... იმ მიწასა და ქონებაზედ თვით არავითარი უფლება არ მიუძღვის, არც საზოგადოებრივი, არც კერძობრივი“. მაინც უმთავრესი მიზეზი რაც ნაყმევთაგან მიწების შეძენას აბრკოლებს, „ის არის, რომ ნაყმევი მამულს ვერ იყიდის თუ მებატონე ამას არ მოიწადინებს“. ამიტომაც ილია მოითხოვს, რათა „ერთობ უსაბუთოდ რთული“ კანონები მამულის დახსნისა „გამარტივდეს და სწრაფად აღსრულებაში მოვიდეს“.

როგორია ი. ჭავჭავაძის შეხედულება ბატონყმობა-

[134] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. „ცხოვრება და კანონი“. 1877 წ. თხზ. სრ. კრებული, VIII, გვ. 26 — 27.

[135] იქვე. გვ. 30, შეადარე. იქვე გვ. 54.

ზე? — ილია წერს, რომ შუასაუკუნეებში „მონასტრებმა და მსხვილმა მებატონეებმა დიდძალი მიწაწყალი ასე თუ ისე ხელში მოიგდეს“ [136]. ამასთანავე იგი თვლის რომ „პირველყოფილ კაცთა საზოგადოების ეკონომიური ქვაკუთხედი“ იყო მიწის „საერთო მფლობელობა“. მიწის „ეს საერთო მფლობელობა ჩვენთვისაც უცხო არ ყოფილა... ამისი ნიშნები დღესაც თვალსაჩინოთ შერჩენია ჩვენს სოფელს“ [137]; რომ ასეთს სოფლებში გლეხთაგან „«სასოფლო», «საზოგადო», «სახასო», მამულების დროგამოშვებითი დაყოფა ჩვეულებად ყოფილა ძველთაგანვე“. მაგრამ დროთა მსვლელობაში „ყველგან დიდკაცობამ ღონითა და მძლავრობით დაიჩემა მიწები და ულონო გლეხნი ცარიელზედ გაიყვანა“. საერთოდ მისთვის უდავოა, რომ „ბატონყმური დამოკიდებულება უსამართლო საქმე იყო“, მაგრამ „ამაზე ჩვენ სხვადასხვა მიზეზებისა გამო ა რ ა ვ ე თ ქ მ ი ს-რა, ბ ე ვ რ ი ც რ ო მ გ ვ ი ნ დ ო დ ე ს ო“, საზგასმით აღნიშნავს იგი. თავის კრიტიკულ გამოკვლევებზე საგლეხო რეფორმის კანონმდებლობათა შესახებ ილია, ისევ იმავე ცენზურული პირობების გამო, წერდა: „ძნელია ნაღვლის უნაღვლოდ თქმა, მაგრამ ზოგან ცარიელი, უფერული თქმაც ნეტარებაო“ [138].

ეს ცენზურული პირობები ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, როდესაც ვიხილავთ ილ. ჭავჭავაძის ამ ნაწერებს და კერძოდ მაშინაც, როდესაც მათ ვადარებთ იმ ანონიმურ დოკუმენტს, სახელდობრ „კრიტიკულ შენიშვნებს“, რომელიც შესაძლებელია მისი გარეცენზურული ნამოქმედარი იყოს და ისიც ისეთ პირობებში, როდესაც თავადაზნაურობის ბრძოლა ჩამონაჭრების გადიდებისა, ღალისა და კულუხის გაბერვისა, „დრ. ვალდებულებათა“ გახანგრძლივებისა და საერთოდ, რეფორმის შემდეგაც, გლეხთა არსებითად

---

[136] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ხიზნების საქმე“, 1886 წ., თხზ. სრ. კრებული, VIII, 166.

[137] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „კერძო და სჯე

ყმურ დამოკიდებულებაში დატოვებისათვის უაღრესად გამწვავებული და, მაშასადამე, დიდად შემტევი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ილ. ჭავჭავაძე თვით ცენზურულ პირობებშიც ასე გაბედულად თავს ესხმის მთავრობის მიერ დამტკიცებულ დებულებას ბატონყმობის გაუქმების შესახებ, ასე თავგამოდებით ცდილობს გამოექომაგოს გლეხობის ინტერესებს და ებრძვის მებატონეთა უსაზღვრო მისწრაფებებს გლეხობის დაკაბალებისა, მიუხედავად იმისა, რომ თვით რეფორმისათვის პროექტების შემუშავების პერიოდში ილია თავის ჟურნალ „საქართველოს მოამბით“ (1863 წ.) ესოდენის შეურიგებლობით თავს დაესხა ბატონყმურ ურთიერთობათა ყველა ფორმასა და გამოვლინებას, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთმოყვანილ ილიას შეხედულებებსა და „კრიტიკულ შენიშვნებს“ შორის, როგორც ვნახეთ, ბევრი რამაა საერთო, —ჩვენ ვფიქრობთ, სიფრთხილისათვის, აუცილებელია კიდევ სხვა საბუთების გამოძებნა, რათა გადაჭრით შეგვეძლოს ლაპარაკი „კრიტიკული შენიშვნების“ ილიას ავტორობაზე.

ჯერ კიდევ იმდენად არა გვაქვს შესწავლილი 1860-იანი წლების მოღვაწეთა, თვით „საქ. მოამბის“ დასის წევრთა ცხოვრება, რომ ამ მხრივ გაბედული დასკვნები გავაკეთოთ. ჩვენ ვფიქრობთ, სრულიადაც არ იქნება მეცნიერულ ინტერესს მოკლებული, რომ ამ მხრივ დაწვრილებით იქნას გამოკვლეული როგორც სახელმწიფო, ისე კერძო არქივები, დეტალურად შესწავლილ იქნას კერძოდ მოღვაწეობა ისეთი ადამიანებისა, როგორიც იყვნენ, მაგალითად, ა. ფ უ რ ცე ლ ა ძ ე, ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დ ა ვ ი თ ყ ი ფ ი ა ნ ი, კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ამ მიმართულებით წარმოებულ კვლევაძიებას შეუძლია ახალი შუქი მოფინოს საკითხს.

უდავოა, რომ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოსული ახალი თაობა, რომლის უდიდესი ნაწილი შემდეგ „საქ. მოამბის“ გარშემო დაირაზმა და, რომელსაც გ. წ ე რ ე თ ე ლ მ ა „პირველი დასი“ შეარქვა, არცთუ ისე ერთფეროვანი იყო. ძნელია თქმა იმისა, რომ ქართველ მესამოციანელთა შორის ილ. ჭავჭავაძეზე უფრო რადიკალურად განწყობილი ერთი-ორი

მაინც არავინ ყოფილიყო, თუმცა ილ. ჭავჭავაძე უდავოდ ყველაზე ღრმა მოაზროვნე, ფართო დიაპაზონის, გამბედავი და პრინციპული მებრძოლი და, ამდენადვე, ამ თაობის ყველაზე ღირსეული და აღიარებული მეთაური იყო.

ყოველ შემთხვევაში დოკუმენტებით შეიძლება დასაბუთება იმისა, რომ, მაგალითად, ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობისადმი კრიტიკული დამოკიდებულების თვალსაზრისით ხშირად შესამჩნევად უფრო შორს მიდიოდნენ, ვინემ ილია ჭავჭავაძე. საკმარისია გავიხსენოთ ა. ფურცელაძის გამოსვლა „ცისკრის" 1863 წ. ნოემბერში: ჯერ თვით „ცისკრის" კრიტიკა და მერმე ის შეფასება, რაც მან მისცა დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს"[139]. ა. ფურცელაძემ „სურამის ციხის" ავტორის მიერ შორეულ წარსულში აღწერილი მებატონე, რომელიც „პირუტყვივით იმონებს" თავის ყმას, განაზოგადა და პრესაში მიუთითა: ასეთნი არიან თანამედროვე „ზოგიერთი მებატონენი, გინა მეუფროსენიცა, რომელნიც ნივთივით უყურებენ თავიანთ კაცსაო"[140]. ცნობილია როგორი დევნა განიცადა ამ გამოსვლის ავტორმა. შემდეგ აღსანიშნავია იმავე ა. ფურცელაძის პუბლიცისტური გამოსვლები 1870-იანი წლების დასაწყისში, როდესაც იგი ეწეოდა ოუენის, ფურიეს, ბაბეფის, სენ-სიმონის, პრუდონის, ლუი-ბლანის და განსაკუთრებით ჩერნიშევსკისა და გერცენის იდეების პოპულარიზაციას.

აქ გაკვრით მაინც უნდა შეეჩერდეთ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შესახებ 1865 წ. საზღვარგარეთ ა. გერცენის „Колокол"-ში (№-198, 199) გამოქვეყნებულ ნ. ნიკოლაძის სტატიაზე „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში". ნ. ნიკოლაძე იძლევა რეფორმის პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების საერთო დახასიათებას. იგი აცხადებს, რომ „საქართველოში ამჟამად

[139] პ. გუგუშვილი, „ქართული ჟურნალისტიკა", I, 157 — 165, 246 — 247, 322 — 329.

[140] „ცისკარი" 1863 წ. № — 1, გვ. 138/140.

იგივე ბრძოლა სწარმოებს, რომელსაც რუსეთის, ევროპის და... მთელი მსოფლიოს ძალღონე ხმარდება: ეს არის მშრომელთა ბრძოლა წოდებრივობისა და კაპიტალის პრივილეგიების წინააღმდეგ“ [141].

ნ. ნიკოლაძე ეხება განსაკუთრებით ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მას მიაჩნია, რომ ქართველმა ხალხმა უკეთესი მომავლისათვის უნდა იბრძოლოს რუს ხალხთან ერთად. ამ შემთხვევაში არსებითად დგას რა რუსი რევოლუციური ნაროდნიკების პოზიციაზე იგი თვლის, რომ „საუკეთესო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების იდეალი, ჩვენის აზრით, ყველაზე ადრე რუსეთისათვის არის განსახორციელებელი, რადგან ამ წყობილების მთავარი პრინციპი — თემობრიობა შეძლებისამებრ რუსეთის ხალხმა შეინარჩუნა“ [142]. ამასთანავე იგი დარწმუნებულია, რომ რუსეთი სოციალისტური საზოგადოების აშენების „სასურველ მიზანს ბევრად უფრო ადრე მიაღწევს, ვიდრე თანამედროვე მოძრაობა ევროპაში. ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაკი საქართველო თავის სვებედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს, ეგი უფრო მალე მიაღწევს თავის მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას[143], ვინემ მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა ან სპარსეთზედ, რომელთაც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის“ [144].

ნ. ნიკოლაძე თვლის, რომ საქართველოს ეროვნული მისწრაფება, „რუსეთის გარდაქმნის მოლოდინში“, უნდა გა-

[141] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931. ტფ., ტ. I, 168.

[142] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 174 — 175.

[143] აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თემობრივობის შენარჩუნების საფუძველზე რუსეთის მომავლის შესახებ ნ. ნიკოლაძის აზრები ზოგან თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ნ. ჩერნიშევსკისას. იხ. Н. Чернышевский, Сочинения, т. IV, 306 — 322; т. V, 18 — 19 и т. д.

[144] ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. I, 175.

მოიხატებოდეს ქართველი ხალხის მიერ რუსეთის „მთელი სოციალური წყობილების ძირითადი პრინციპების“ გაცნობაში და, მაშასადამე, შეთვისებაშიც. მაგრამ ამას ხელს უშლის ცარიზმი, რომელმაც „გლეხთა საკითხის გადაჭრა“ საქართველოში იმით დაამთავრა, რომ ყმაგლეხებს სახელი შეუცვალა და უწოდა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხები... რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ის მემამულეს მისცეს... მემამულე ვალდებული არ არის მიწის გამოსყიდვასაკი დასთანხმდეს... თუ მთავრობამ ამ მხრივ ვისიმე მდგომარეობა გააუმჯობესა, ყოველშემთხვევაში არა გლეხების, არამედ უფრო თავადაზნაურობისა“. ხალხს კი სჭირდება „თავისი შრომითი ცხოვრების უზრუნველყოფა, შრომის თავისუფლება და პირადი თავისუფლება...“ [145].

1866 წ. ჟენევაში რუსულ ენაზე გამოცემულ ნაშრომში, „მთავრობა და ახალი თაობა“, ნ. ნიკოლაძე სამარცხვინო ბოძზე აკრავს თვითმპყრობელობას, რომელიც „გლეხთა ცხოვრების მოწესრიგებას ანდობს სწორედ იმ ადამიანებს, რომელნიც ყოველთვის გლეხთა ხარჯზე ცხოვრობდნენ და ასევე ცხოვრება სურთ. მთავრობა თრგუნავს გლეხებს, არ ინდობს მათს ინტერესებს და ძველის მაგივრად — ახალ ბატონყმობას ჰქმნის“ [146].

ნ. ნიკოლაძე ამასთანავე აკრიტიკებდა „პირველი დასის“ მოღვაწეებს, ე. ი. ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით გამოსულ ახალ თაობას, რომელმაც „არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიითა, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. ...გონების იარაღათ იმას მარტო ორიოდე მეტნაკლებად ნათელი აზრი მიუძღოდა: გლეხების განთავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უვარგისობა, მამულის სამსახუ-

---

[145] ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. I, 176, 184.
[146] იქვე, 241 — 242.

რი“ [147]. ნ. ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ ეპოქის ვითარებაში ამ თაობას ნაკლები გავლენა ჰქონდა. „უმთავრესი გავლენა, უძლიერესი მეხი თვითონ ცხოვრების შეცვლას, ახალი წესის შემოღებას ჰქონია, და ახალ თაობას ის სარგებლობაც ვერ მოუპოვებია, რომელსაც მას ხელში ცხოვრების მიმდინარეობა აჩეჩებდა“. საერთოდ ნ. ნიკოლაძე 1860-იანი წლების დამდეგს მთლიანად გატაცებული იყო ნ. ჩერნიშევსკით.

ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ., სამოციანელები, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები, მაგალითად, 1861 წელს თვით პეტროპავლოვსკის ციხის კაზემატებში, შემდეგ კრონშტადტის ციხეშიც-კი სწავლობდნენ ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, გერცენის, ბელინსკის ნაწერებს; გატაცებით კითხულობდნენ „Колокол“-ისა და „Современник“-ის ძველსა თუ ახალ ნომრებს [148].

ნ. ნიკოლაძეს, რომელიც ახლო ნაცნობობაში იყო ნ. ჩერნიშევსკის ოჯახთან, არა ერთი საგულისხმო მომენტი აქვს თავის მოგონებაში აღნიშნული ნ. ჩერნიშევსკის ცხოვრებიდან: იგი „დარწმუნებული იყო, რომ ისინი (მეფე და მისი მინისტრები) ვერ გაუძღვებოდნენ და ვერ მოაგვარებდნენ ყირიმის ომის შემდეგ აწეწილ საქმეებს, ვერც გლეხობის უკმაყოფილებას დააშოშმინებდნენ მათი განთავისუფლების მანიფესტით, ან შინაური რეფორმის დაპირებით, არც პოლონეთის ახლად დაწყებული აჯანყება მოასწავებდა კარგ რამეს მთავრობისათვის... ჩერნიშევსკი დიდ მნიშვნელობას აძლევდა როგორც ამას (გლეხობის აჯანყებას), ისე სტუდენტების მღელვარებას... მას ეჭვი არ შედიოდა... გაიმარჯვებდა სიმართლე და გონიერება, მაგრამ ეს ჩქარა არ მოხდებოდა... იგი ამას ჩვენ, ახალგაზრდობას არ გვიმალავდა... იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე, რაც გონიერია, უძლეველია,

[147] ნ. საკანდელი (ნ. ნიკოლაძე), „ახალი ახალგაზრდობა“, ჟურ. „კრებული“, 1873 წ. № — 1, გვ. 290 — 291; რჩეული ნაწერები, 1932, ტფ. II, გვ. 58.

[148] ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, 1931, ტფ. I, გვ. 104 — 144.

ბოლოს და ბოლოს, რომ პროგრესი შეუჩერებელი და უკვდავია. და კიდევ ჰყავდა ერთი ფეტიში — ხალხი. რახან ხალხში ერთხელაც არის გავარდა ჭეშმარიტების თესლი... იგი... აუცილებლად მოიტანს სასარგებლო ნაყოფს. რამდენჯერ მინახავს ჩერნიშევსკი ამ თემაზე მოკამათე...“ ნ. ნიკოლაძე მოგვითხრობს, ნ. ჩერნიშევსკისთან ხშირი სტუმრობის დროს, თუ როგორ „გაიმართებოდა მაშინვე საუბარი და გამოკითხვა უკანასკნელი ამბების, რეფორმებისა და პოლიტიკის შესახებ“[149]. შემდეგ ემიგრაციაში მყოფმა ნ. ნიკოლაძემ წამოიწყო ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა[150]. ისიც ცნობილია, რომ ნ. ნიკოლაძე თავისთავს, როგორც სოციალისტს, უპირისპირებდა ილ. ჭავჭავაძეს და სხვ. თუმცა შემდეგში (1887 წ.) ყოველივე ამის შესახებ თვითონვე წერდა: „...что это был юный энтузиазм... безвестного юноши...“

* * *

ბატონყმურ ურთიერთობათა და საერთოდ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძოდნენ 1860-იანი წლების აზერბაიჯანელი და სომეხი განმანათლებლები, რომელთაგან უაღრესად კოლორიტულ მოვლენას წარმოადგენს ნ. ჩერნიშევსკის მოწაფე და თანამოაზრე მიქაელ ნალბანდიანი.

---

[149] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რჩ. ნაწერები, 1931, ტფ. I, გვ. 139 — 140.

[150] 1868 წ. ჟენევაში ნ. ნიკოლაძის რედაქციით გამოიცა: Сочинения Н. Чернышевского. Первое полное изд. ამ დროს ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე კონფლიქტში იყო ა. გ ე რ ც ე ნ თ ა ნ, რომლის იდეებთან თავის რიგ უთანხმოებაზე იგი მიუთითებდა ჯერ კიდევ (1865 წ.) თვით „Колокол“-ში დაბეჭდილ თავის სტატიაში (№ 198, გვ. 1623 — 27). გერცენს არ მოსწონებია ჩერნიშევსკის I ტომისათვის ნიკოლაძის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა. 1868 წ. მაისში ა. გ ე რ ც ე ნ ი ნ. ო გ ა რ ე ვ ს წერდა: „Запрятавши грузинские когти Николадзе в предисловии к Чернышевскому зацепил нас...“ (А. Г е р ц е н. Полное собр. Сочинений, 1923, том XII, 275; т. XXII, 1925, стр. 368).

მ. ნალბანდიანის შემოქმედებაში ასახულია სომხეთის გლეხობის და საერთოდ მშრომელთა მასების ბრძოლა, როგორც ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის, ასევე ფეოდალურ-კლერიკალური ფენებისა და ეროვნული ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მ. ნალბანდიანის რევოლუციური დემოკრატიზმის სათავე იყო გლეხობის ბრძოლა ფეოდალური კაბალის წინააღმდეგ და მისწრაფება მიწების ხელში ჩაგდებისაკენ.

მ. ნალბანდიანი აცხადებდა, რომ „რუსეთში თავისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ბრძოლა ადამიანის თავისუფლებისათვის, ვინაიდან ის მიწისათვის წარმოებს“. მ. ნალბანდიანის შეხედულებით „მიწა ეკუთვნის საზოგადოებას, რომლის ყოველ წევრს თანაბარი უფლება აქვს მიწის თანაბარ რაოდენობაზე“. ამასთანავე თავის რუს მასწავლებლებთან ერთად მას, როგორც გლეხური სოციალიზმის მომხრეს, მიაჩნდა, რომ „რუსეთში არსებული თემური საწყისები ერთადერთი კეთილმოქმედი გზაა“ მომავალი სოციალისტური წყობილებისაკენ. ხოლო დაქირავებული მუშების ხსნას იგი მათი მხრივ რაიმე საკუთრების შეძენაში ხედავდა.

მ. ნალბანდიანი ავითარებდა თავისი სახელოვანი წინაპრის ხაჩატურ ა ბ ო ვ ი ა ნ ი ს დემოკრატიულ ტრადიციებს. ნ. ნალბანდიანი წერდა: „ეკონომიკური პრობლემა ეს არის სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა... შეუძლებელია განახლდეს სომეხი ხალხის ცხოვრების საფუძველი, შეუძლებელია მან მოიპოვოს ძალა და ძლიერება, სანამ ერი, უბრალო ხალხი მოკლებულია პურს არსობისა, სანამ მისი ცხოვრების ეკონომიკური პრობლემა არ გადაჭრილა“. მას მიაჩნდა, რომ პოლიტიკური თავისუფლება არ შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მდიდრებზეა დამოკიდებული, სანამ „მიწას ფლობს საზოგადოების ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი მათხოვრობს, ასეთ საზოგადოებაში ძალადობაა გაბატონებული“; ამდენადვე ბუნებრივია, რომ ფეოდალური ურთიერთობანი აბშობენ ადამიანის თანდაყოლილ თავისუფლე-

ბასა და ადამიანთა შორის თანასწორობას და ამ გზით ადამიანებს ადამიანთა საკუთრებად აქცევენ.

ყოველივე ამის გამო მ. ნალბანდიანი გადაჭრით აცხადებს: „ჩვენ არ გვსურს კვლავაც დავრჩეთ ისეთ ურთიერთობებში, რომელთაც აწამეს ჩვენი წინაპრები, და რომლებიც გვტანჯავენ ჩვენ. ჩვენი ზურგი საუკუნოვანი ჭრილობებითაა დასერილი, აწყვეტილმა ბარბაროსობამ ჩვენზე მოსინჯა მთელი თავისი ძალები... ჩვენს შვილებს ბატონები ძაღლებზე ცვლიდნენ... ამიერიდან შეუძლებელია ამგვარ ურთიერთობაში დარჩენა"; — იგი მხარს უჭერდა რუსეთში გლეხობის მიწიანად და გამოსასყიდელს გარეშე განთავისუფლების რევოლუციურ-დემოკრატების მოთხოვნას; — წინააღმდეგში ყმა-გლეხები საკითხს ცულის საშუალებით გადასჭრიანო.

ნაშრომში „ორიოდე სტრიქონი" მ. ნალბანდიანი აცხადებდა: „ჩვენ ჩვენივე ნებით მოწოდებად გავიხადეთ ხალხთა მასების უფლებათა დაცვა. ჩვენი კალამი და თავი ჩვენი არ მიგვიძღვნია მდიდრებისათვის: თავიანთი ოქროს გროვებით ისინი უვნებელნი არიან, განსაკუთრებით ტირანების ხელისუფლებისას.

მაგრამ ის ბედუკუღმართი სომეხი, ის დაბეჩავებული, საცოდავი ღატაკი, შიშველი და მშიერი სომეხი, რომელსაც ჩაგრავენ არა მხოლოდ უცხოელები და ბარბაროსები, არამედ თავისი მდიდრებიც, თავისი სამღვდელოება და ნახევრადწიგნიერი თუ განათლებული ადამიანები, და ეგრეთ წოდებული ფილოსოფოსები, აი ეს სომეხი მთელის სამართლიანობით იპყრობს ჩვენს ყურადღებას, აი იმას, წუთიერი მერყეობის გარეშე, ჩვენ შევსწირეთ მთელი ჩვენი ძალა.

ამ სომხის გათელილი უფლებების დაცვა — აი, რაშია ჩვენი ცხოვრების ნამდვილი აზრი და მიზანი. და რომ ამ მიზანს მივაღწიოთ, ჩვენ არ შევეპუებით არც საპყრობილეს, არც გადასახლებას და მივისწრაფვით, არა მხოლოდ სიტყვითა და კალმით, არამედ იარაღითა და სისხლითაც, თუ ოდესმე პატივი გვექნება ხელში ავიღოთ იარაღი, რათა მოვიპოვოთ

აქამდე ნაქადაგები თავისუფლება და ის თავისი სისხლით განვბანოთო“ [151].

ეს, ასე ვთქვათ, credo-ა მ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი ს ა, რომელმაც მთელი თავისი კეთილშობილური სიცოცხლე მართლაც მშრომელი ხალხის სამსახურს შესწირა.

7. რეფორმის მომზადება დასავლეთ საქართველოში

ქუთაისის გუბერნიასა და საერთოდ დასავლეთ საქართველოზე თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმებისათვის შემუშავებულ დებულებათა პირდაპირი გავრცელება არამიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რის გამოც გადაწყვიტეს ანალოგიურად შეესწავლათ ბატონყმური ურთიერთობა დასავლეთ საქართველოშიც.

მაგრამ, რამდენადაც „გამოცდილებამ ცხადყო“, რომ მაზრების მიხედვით თავადაზნაურთა ცალკეულ კრებებს „არავითარი დადებითი შედეგი არ მოყვა“ და რომ „სისწორე და წარმატებულობა ყოველგვარი კამათისა პირობადებულია მოთათბირე პირთა რაოდენობის სიმცირით“, ამიტომაც „საქმის სისწრაფისა და წარმატებისათვის“ გადაწყვიტეს, რათა ქუთაისის გუბერნიის ყოველი მაზრიდან შერჩეული ყოფილიყო თავადაზნაურთა წარმომადგენლები: ორი კაცი — თავადთაგან და ორი აზნაურთაგან და ეს დეპუტატები თავადაზნაურთა სამაზრო წინამძღოლებთან ერთად შეკრებილიყვნენ ქ. ქუთაისში, თავადაზნაურთა საგუბერნიო მარშლის (წინამძღოლის) თავმჯდომარეობით. „თავადაზნაურობის ამ საერთო საგუბერნიო დეპუტატთა ყრილობას“ თავისი მუშაობის საფუძვლად უნდა აეღო თბილისის გუბერნიისათვის გამოცემული „ადგილობრივი დებულება“ და შეედგინა მოსაზრებები იმ „გამონაკლისთა და ცვლილებათა შესახებ...“, რომელთა გათვალისწინებაც საჭირო იყო ქუთაისის გუბერნიის თავისებურებათა შესაბამისად.

---

[151] М. Н а л б а н д я н, Избранные сочинения, 1941, Ереван, стр. 120.

1865 წ. 1 მარტს ქ. ქუთაისში მთავრობის კომისიამ დაიწყო განხილვა იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობის მიერ წარდგენილი „ბარათებისა“. ამ კომისიაში შედიოდნენ: თავადი ი. კ. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი (თავმჯდომარე), ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავადი დ. ი. ს ვ ი ა ტ ო პ ო ლ კ-მ ი რ ს კ ი, თავადაზნაურობის საგუბერნიო მარშალი თავადი ნ. დ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თავადები გურამიშვილი, წულუკიძე და სხვ.

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა აცხადებდა, რომ გლეხთა განთავისუფლების შემდეგ მემამულეები, რომელთაც თავიანთი მეურნეობა არა აქვთ „ჩავარდებიან ყოვლად საცოდავ მდგომარეობაში“ და ამგვარ პირობებში მთავრობამ დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს „დაღუპვის გზაზე შემდგარ თავადაზნაურობას“, ე. ი. აუცილებელია, რათა თავადაზნაურობამ გარდა საადგილმამულო საკუთრებისა მიიღოს აგრეთვე საზღაური „გლეხის სულისათვის“: გლეხური კომლი ყოველწლიურად აძლევდა მემამულეს 1 მსახურს, ხოლო „ერთი მსახურის მინიმალური ღირებულების“ (20 მან.) კაპიტალიზაციიდან ჩანს რომ გლეხთა პირადი დამოკიდებულების გაუქმებით მემამულე ყოველ კომლზე კარგავს არა ნაკლებ 320 მანეთსო.

სწორედ ეს 320 მან. „თავისი საფუძვლიანობით არის ის ყველაზე სამართლიანი საზღაური, რაც მემამულეებს... მისცემდა საშუალებას მოეწყოთ საკუთარი მეურნეობა, რომელიც მერმე შესაძლებელია განმტკიცდეს იმ შემოსავლით, რაც თავის ყოფილ მებატონეთა სასარგებლოდ დაეკისრებათ გლეხებს, კერძოდ მათს სარგებლობაში გამოყოფილი სხვადასხვა სახმარი მიწებისათვის“.

ერთი სიტყვით, მებატონეები მიისწრაფვოდნენ, რათა საკუთარი მატერიალური კეთილდღეობა რეფორმის შემდეგაც უზრუნველეყოთ გლეხობის ხარჯზე. გლეხები „პირად თავისუფლების“ მიღების შემდეგაც უნდა დარჩენილიყვნენ მემამულეთადმი კაბალურ დამოკიდებულებაში.

ამ მხრივ, ე. ი. კერძოდ საადგილმამულო ურთიერთობის საკითხში დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა მით უფრო მემარჯვენე იყო, რაც უფრო დიდი იყო აქ მიწის სივიწროვე და მიწადაქსაქსულობა აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით. იმერეთისა და გურიის მებატონეთა ნაწილი სულ არ იმეტებდა გლეხობისათვის სანადელო მიწას. ისინი გლეხთათვის თვით საეზოვე (საკარმიდამო) მიწების ჩამოჭრას და, მაშასადამე, მინიმუმამდე დაყვანას მოითხოვდნენ, ამასთანავე მეტისმეტად გადიდებულად უჩვენებდნენ გლეხთა ბეგარებსა და სამსახურს, რათა ერთის მხრივ, და უმთავრესად, თვით გლეხობისაგან მეტი ამოექაჩათ, ხოლო მეორეს მხრივ, მთავრობისაგან „გლეხთა სულისათვის“ მეტი მიეღოთ. ამ მხრივ განსაკუთრებით შემტევი იყო წვრილი, უმიწაწყლო და მცირემიწიანი თავადაზნაურობა.

კიდევ უფრო გვიან შეუდგნენ საგლეხო რეფორმის მომზადებას დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილში: სამეგრელო-სვანეთ-აფხაზეთში. ამასთანავე რაც უფრო აგვიანდებოდა საქმეს, მით უფრო იზრდებოდა გლეხთა უკმაყოფილება, მით უფრო მწვავდებოდა წოდებრივი ანტაგონიზმი და თვით ადგილობრივი ხელისუფლებაც აშკარად ხედავდა „რეფორმის შემდგომი გაჭიანურების შეუძლებლობას“.

სამეგრელოში, სანამ საგლეხო რეფორმის გატარება დაიწყებოდა ხელისუფლებამ საჭიროდ მიიჩნია უწინარეს მისი სამთავროებრივი ავტონომიის გაუქმება და, ამგვარად, სამეგრელოს ქუთაისის გუბერნიაში შეყვანა. რეფორმის მზადებას საფუძვლად დაუდეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისათვის მიღებული 1861 წ. 19 თებერვლის დებულების დამატებითი წესები. 1865 წ. 15 იანვარს მუშაობას შეუდგა თავადაზნაურთა დეპუტატების კომისია, რომელშიც შედიოდნენ: სამეგრელოს მართებული ვ. ლ ა ს ტ ო ვ ი, თავადები: მ. დ ა ღ ი ა ნ ი, ა. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, კ. ა ლ შ ი ბ ა ი ა, ნ ი ჟ ა რ ა ძ ე და სხვ.

სამეგრელოს თავადაზნაურობა, გლეხობის სხვა უკიდურესად შემავიწროვებელ მოთხოვნებს შორის, აყენებდა საკითხს

იმის შესახებ თითქოს ადათობრივი სამართლის მიხედვით სამეგრელოში გლეხებს „უფლება არ ჰქონდათ უძრავი ქონების შეძენა-გასხვისებისა“ და ადათობრივი სამართლის მიუხედავად თუ ხდებოდა ეს „შეძენა და გასხვისება“, ცხადია, ეს ქონება „შეადგენს განუყოფელ კუთვნილებას მათი მემამულეებისაო“.

ამ თავიანთ დრაკონულ მოთხოვნათა დასადასტურებლად თავადაზნაურობა იმოწმებდა ვ ა ხ ტ ა ნ გ VI სამართალს[152] და ცნობილ მოგზაურს ჟ. შ ა რ დ ე ნ ს[153]. მაგრამ მემამულეები, „რათა შეინარჩუნონ გლეხთა კეთილი განწყობილება“, წინადადებას იძლევიან, რომ გლეხთა მიერ, მათი აქტებით განთავისუფლების დღემდე ათი წლის განმავლობაში კანონიერი წესების მიხედვით ნაყიდი მიწების ნახევარი „მისცენ გლეხებს საკუთრებად“, ხოლო მეორე ნახევარი, ისევე როგორც მათ მიერ ათი წლის წინათ და განთავისუფლების მერმე ნაყიდი მიწები დაიტოვონ „თვითონ მემამულეებმა“.

მემამულეთა მხრივ გლეხებისადმი ეს „დათმობა და შეღავათი“, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ს. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, არსებითად „უდრიდა გლეხთა სრულიად უმიწაწყლოდ დატოვებას“. ამას გარდა სამეგრელოს თავადაზნაურობა გადაჭრით გამოდიოდა საგლეხო ნადელის უმაღლესი ზომის (12 ქცევის) წინააღმდეგ, რაც მიღებული იყო ქუთაისის გუბერნიისათვის დამტკიცებულ „დამატებითს წესებში“ და მოითხოვდა ნადელის 4 ქცევით განსაზღვრას. ამასთანავე მემამულეები მოითხოვდნენ, რომ გლეხთა მიერ შეძენილი გლეხები, როგორც ყოველივე მათი შენაძენი კანონს ჩაეთვალა მემამულეთა საკუთრებად. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ გლეხობისათვის მაღლარის (ვენახის) საზღაურის მიცემას, იმ „საბუთით“, რომ „უხსოვარი დროიდან გაშენებული მაღლარი“ გლეხობის სარგებლობაში გადავიდა „არსებული მდგო-

---

[152] იმოწმებდნენ სახელდობრ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI სამართლის 232, 258 და 260 მუხლებს.

[153] Ж. Ш а р д е н, „Путешествие по Закавказью в 1672—1673 гг.“, 1901, Тифлис.

მარეობით“, ე. ი. უკვე გაშენებული სახით და რომ გლეხები იმთავითვე სარგებლობდნენ მისი ნაყოფით; — თითქოსდა ვენახების გაშენება და მოვლა-პატრონობა „უხსოვარი დროიდანვე“ გლეხთა საქმიანობა არ ყოფილიყო!

მემამულეთა ინტერესების დამცველმა მთავრობის კომისიამ, ქუთაისის გუბერნიასთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეამცირა გლეხთა ნადელი სამეგრელოში, თუმცა, ცხადია, ამ კომისიას არ შეეძლო მხარი დაეჭირა თავადაზნაურობის ყველა მზაკვრული მოთხოვნებისათვის. 1866 წლის მაისში ზუგდიდის მთავრობის კომისიის წინადადებები განიხილა აცსკ. ამიერკავკასიის ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა შესაძლებლად მიიჩნია სამეგრელოზე „მცირეოდენი ცვლილებებით“ გაევრცელებიათ იგივე დებულებანი, რაც ქუთაისის გუბერნიისათვის იყო მიღებული, რამდენადაც უკანასკნელისაგან სამეგრელო „არსებითად არაფრით არ განსხვავდებოდა“.

სამეგრელოში, ე. ი. ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის ოკრუგებში საგლეხო რეფორმის ჩატარება თავისთავად უნდა გავრცელებულიყო სადადეშქელიანო სვანეთზედაც, რომელიც შედიოდა ლეჩხუმის ოკრუგში. საერთოდ სვანეთში რეფორმის მომზადება მოხდა ფრიად მარტივად — მთლიანად ადმინისტრაციის მიერ. სამეგრელოს მმართველმა ვლასტოვმა 1869 წ. იმოგზაურა სვანეთში, შემდეგ თავისთან გამოიძახა თავ. თ ე ნ გ ი ზ დ ა დ ე შ ქ ე ლ ი ა ნ ი (სვანეთის ბოქაულის თანაშემწე), რომელმაც ჩამოუტანა „სათანადო“ ცნობები. სვანეთის თავადები დიდ „მოწყალებას“ იჩენდნენ: ისინი თანხმდებოდნენ მიწები საკუთრებად მიეცათ გლეხებისათვის, ოღონდ მცირე ზომის ნადელის სახით; დანარჩენი მიწები მათს უშუალო განკარგულებაში გადადიოდა. ამას გარდა ისინი, ყმის პირადი თავისუფლების საზღაურად ნაცვლად 25 მანეთისა მამრობითი სქესის თითოეულ სულზე, რაც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის აზნაურობას მიეცა, მოითხოვდნენ 50 მანეთს.

რეფორმა არ შეხებია თავისუფალ (უბატონო) სვანეთს, რადგან აქ ოფიციალური ცნობით, „უცნობია ბატონყმობა"; თუმცა მერმე აქედანაც გამოჩნდნენ რიგი „აზნაურები", რომლებიც მოითხოვდნენ საზღაურს „თავიანთი ყმების" განთავისუფლებისათვის.

8. 1870 წ. რეფორმის მომზადება აზერბაიჯანსა და სომხეთში

მართალია, ცარიზმის ბიუროკრატია სომხეთსა და აზერბაიჯანში, საერთოდ ამიერკავკასიის „მუსლიმანურ პროვინციებში", ე. ი. აგრეთვე თბილისის გუბერნიის ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში არ ცნობდა ფეოდალურ ურთიერთობათა არსებობას [154], მაგრამ სინამდვილეში თავისი სპეციალური კანონმდებლობით ყოველმხრივ ხელს უწყობდა მის შემდგომ განმტკიცებას.

1846 წ. 6 დეკემბრის რესკრიპტი და მის საფუძველზე 1847 წლის 20 აპრილსა და 28 დეკემბერს გამოცემული კანონები ბაქოს, ელისავეტპოლის და ნაწილობრივ თბილისის გუბერნიებში, ხოლო 1851 წ. 8 ივნისის კანონი (ეს უკანასკნელი ცხოვრებაში არ გატარებულა) ერევნის გუბერნიაში ითვალისწინებდა გლეხობასა (მიწის მუშებსა, მომთაბარე თემებსა) და მიწათმფლობელებს შორის დამოკიდებულების არსებითად ბატონყმური ურთიერთობის შესაბამისად „მოწესრიგებას".

მალჯეგათი (მიწათმოქმედების ყოველგვარი ნაწარმოების 1/10-დან 1/3-მდე), მუშახელისა და მსახურის მიცემა, ევრეზი (აღალარის სამუშაოების სოფლის მიერ ნადური წესით შესრულება), ჩოფბაში (საბალახო გადასახდელი), მომთაბარეობის მოსაკრებელი და სხვ. ბეგარები, რაც სოფლის მოსახლეობას ეკისრებოდა აღალარებისა და ბეგების შესახებ დე-

---

[154] აზერბაიჯანსა და სომხეთში ფეოდალურ ურთიერთობათა ისტორიის შესახებ იხილეთ ახალი საინტერესო გამოკვლევა: И. Петрушевский, „Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI — начале XIX вв.", 1949. Ленинград.

ბულებით თავისთავად მეტყველებენ ხსენებულ კანონთა არსის შესახებ.

მართალია, აქ არ გვხვდება ბატონყმური ურთიერთობის დამახასიათებელი უშუალო მწარმოებელთა გარეშეეკონომიკურ იძულებაზე დამყარებული ექსპლოატაციის ფორმების გამომხატველი ტერმინები, მაგრამ თავისი შინაარსით მალჯეგათი, სხვა არაფერია თუ არა ღალა (პროდუქტადი რენტა), აღალარისათვის (ბეგისათვის) მუშახელის მიცემა, ევრეზი, იგივეა რაც საბატონო ბეგარა (შრომითი რენტა), მსახურის მდგომარეობა ხომ არაფრით განსხვავდებოდა შინაყმის ხვედრისაგან, ჩოფბაში და მომთაბარეობის მოსაკრებელი (სულ უფრო ფულითაც რომ აიღებოდა) ღალა იყო ან ფულადი რენტა. მთელი ეს ბეგარები სოფლის მიწისმუშა თუ მომთაბარე-მეჯოგე მოსახლეობას ეკისრებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი სარგებლობდნენ სახნავით თუ საბალახოთი, რაც ამიერიდან ფორმალურადაც ბეგებისა და აღალარების საკუთრებას, მამულებს, წარმოადგენდნენ.

მაგრამ ე. წ. „მუსლიმანური პროვინციების" გლეხობა არა მხოლოდ საადგილმამულო ურთიერთობით იყო „დაკავშირებული" პრივილეგიურ წოდებასთან. ბეგების შესახებ დებულება აცხადებდა, რომ: მიწათმფლობელი მეთვალყურეობს მის მიწაზე მცხოვრებ სოფლელთა შორის მშვიდობიანობის, წესრიგისა და ზნეობრივობის დაცვასო. მართალია, სოფლელთა შორის ყოველგვარ დავას, პრეტენზიებს და წესრიგის დარღვევის საქმეს იხილავდნენ თვით სოფლელთაგან არჩეული პირები, მაგრამ აუცილებლად მიწათმფლობელის მეთვალყურეობით და დასტურით.

ამგვარად, სოფლელები კანონმა დაუმორჩილა მემამულის პოლიციურ ხელისუფლებას. არსებითად მემამულის ხელში გადადის მოსამართლის ფუნქციაც. მართალია, გლეხს კანონით აკრძალული არ ქონდა მემამულის მიწიდან აყრა და სხვაგან წასვლა; — აღალარების შესახებ დებულებაში ნათქვამი იყო (§ 34), რომ სოფლელებს „ნება ეძლევათ გადასახლდნენ ყველა სხვა მიწაზე, მაგრამ... სამუშაო წლის გასვლისა და

მემამულის წინაშე ყველა ბეგარის მოხდის შემდეგ", ისე რომ მაშინაც მემამულისათვის წასვლის შესახებ 2 თვით ადრე უნდა განეცხადებია და, ამასთანავე, კანონი იქვე დასძენდა: „ასეთი გადასახლება შეიძლება მხოლოდ მაზრის უფროსის წარდგენის საფუძველზე გუბერნატორის ნებართვითო". ამგვარად, გლეხის მხრივ აღალარის ბატონობისაგან თავის დაღწევა იმდენად გაძნელებული იყო ფორმალური მხარეებით, რომ მიწის მუშა ფაქტიურად მემამულისადმი ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

ამგვარი საწყისებიდან გამომდინარე 1846 და 1847 წწ. კანონებმა ხელი შეუწყეს აზერბაიჯანსა და სომხეთში ფეოდალურ მემამულეთა წოდების გამრავლებასა და გაძლიერებას. წინანდელი ხანების ზოგიერთი მსახური „რუსეთის აზნაურობის მწყობრში ჩადგა"[155]. როგორც პროფ. ვ. რშტუნი წერს, „მადა გაუღიზიანდა სომხეთის ბურჟუაზიასაც, ისიც დიდის მონდომებით ცდილობდა აზნაურობაში გამძვრალიყო"[156]. კავკასიის ნამესტნიკი, რომელიც სხვამხრივ ყოველთვის აქეზებდა სომხეთის ბურჟუაზიას, აღნიშნავს, რომ „წესად მქონდა, რამდენადაც შემეძლო... მათი ამ მისწრაფებისათვის ხელი შემეშალა, რადგან მათ მიერ ყმაგლეხების ფლობა საერთოდ მძიმეა უკანასკნელთათვის და უკიდურესად არახელსაყრელია აქაური ნამდვილი ძველი თავადაზნაურობისათვისო".

თავადი მ. ვორონცოვი, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ფიქრობდა გლეხობის ინტერესების დაცვას, მას მხოლოდ არ ეპიტნავებოდა „მეშჩანების" მისწრაფება „დაემშვენებიათ" არისტოკრატიის რიგები.

ბეგებმა, აღალარებმა, მელიქებმა, ცხადია, ადვილად შესძლეს 1847 წლის კანონი კიდევ უფრო „მემამულურად" გაეტარებიათ ცხოვრებაში, ვინემ თვით კანონის ანბანი ლაპარაკობდა. ორმოციოდე წლის გასვლის შემდეგ მ. კუჩაევი

---

[155] М. Кучаев. „Крестьянская реформа в Елисаветопольской губ". (МИЭБГКЗК. I).

[156] В. Рштуни, „Крестьянская реформа в Армении". 1947, Ереван, стр. 141.

აღნიშნავდა, რომ ბეგები და აღალარები „თვითნებურად განაგებდნენ გლეხობის მიწებს, ხოლო ბეგარებს გადიდებული ზომით ახდევინებდნენო“ [157]. გლეხობის დამცველი არავინ იყო; თვით მემამულეები განმარტავდნენ კანონებს და სისრულეში მოყავდათ ის, ისე როგორც განმარტავდნენ, ვინაიდან თვითონვე განაგებდნენ სოფლის სვებედს.

მაგალითად, ერევნის მაზრის გოქჩის რაიონის გლეხები, როგორც თვით მაზრის უფროსი იტყობინებოდა, უარს ამბობდნენ აღალარის სამსახურზე იმ მოტივით, რომ ახლა მათ ბევრად მეტს სთხოვენ; კერძოდ სახაზინო გამოსაღებიც, რაც წინათ 7 მან. 30 კაპ. უდრიდა, ახლა ოჯახზე 11 მანეთი გახადესო. 1849 წ. მასობრივად გამოვიდნენ ზანგეზურის მაზრის გლეხები მემამულე ასად-ბეგ რუსტამბეგოვის წინააღმდეგ. გლეხების მტკიცებას, რომ მათი სოფლის მიწები სათემოა და არა ბეგისა, რომ ასად-ბეგი მათ ძალზე ავიწროვებს, რომ იგი ჩვეულებრივ ბეგარებს ადიდებს და რომ, მაგალითად, თუ წინათ გლეხებისაგან მიჰქონდა 200—350 ჩეტვერტი ხორბალი და ქერი, ახლა, 1849 წლიდან, 600 ჩეტვერტს ახდევინებს, ბაღის მოსავლიდან თითქმის ნახევარი მიაქვს, რაც ეწინააღმდეგება „ადგილობრივ ადათებს“, მაგრამ „მიაქვს ძალადობით და ყოვლად უნამუსოდ“ და სხვ., ადმინისტრაციამ ყური არ ათხოვა [158]. საერთოდ გლეხობის მხრივ ახალი კანონების გატარებაში ყოველგვარ წინააღმდეგობას ბიუროკრატია ძირშივე ახშობდა.

ჩვენ, ცხადია, აქ არ შევუდგებით აზერბაიჯანსა და სომხეთში რეფორმამდელი პერიოდის აგრარულ ურთიერთობათა ევოლუციის დაწვრილებით განხილვას; — ეს საკითხი ცალკე მონოგრაფიული კვლევის საგანია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ცარიზმის ბიუროკრატია ბატონყმობას ხედავდა მხოლოდ საქართველოში და ამიტომ აქ ბატონყმობის გაუქმებით საგლეხო რეფორმის საქმეს

[157] МИЭБГКЗК. I. 454—455.

[158] В. Штунц назв. соч., 178—179.

საერთოდ ამიერკავკასიაში დასრულებულად თვლიდა. არა მხოლოდ ოფიციალურ, არამედ „კაზიონურ“ მეცნიერულ წრეებშიც ამიერკავკასიის ე. წ. „მუსლიმანურ პროვინციებში“ — ბაქოს, ელისავეტპოლის, ერევნის გუბერნიებში და თბილისის გუბერნიის ახალციხისა და ბორჩალოს მაზრებში ბატონყმურ (ფეოდალურ) ურთიერთობათა შესახებ მსჯელობა „კანცელარულ ინტრიგანობად“ და „ახალი თაობის“, „ლიბერალების“ მიერ „თითებიდან გამოწოვილ“ საკითხად იყო მიჩნეული, როგორც თვით რეფორმების, ისე მერმინდელ პერიოდშიც. ამიერკავკასიელი გლეხობის მდგომარეობის ისეთი გამოჩენილი სპეციალისტი, როგორიც იყო პროფ. ს. ავალიანი 1914 წ. წერდა: „მუსლიმანურ პროვინციებში არავითარი ბატონყმობა არ ყოფილაო“[159].

კიდევ მეტი. უკანასკნელ ხანებამდე ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსიც იზიარებდა ამ შეხედულებას. მაგალითად, აკად. ვ. ბარტოლდი 1930 წ. წერდა, რომ „მუსლიმანურ მსოფლიოში არაა ბატონყმობა... აქ გლეხები არ არიან მიწაზე მიმაგრებული და შეუძლიათ თავისუფლად გადავიდნენ ადგილიდან ადგილზე“-ო[160]. კარგა ხნის მერმეც, მაგალითად, ე. მოროხოვეცი (1937 წ.)[161] და ბ. არიუთუნიანი (1940 წ.)[162] უარყოფდნენ ამიერკავკასიის „მუსლიმანურ პროვინციებში“, ე. ი. სომხეთსა და აზერბაიჯანში ფეოდალურ ურთიერთობათა და, მაშასადამე, ბატონყმობის არსებობას.

ამავე დროს ჯერ კიდევ თბილისის გუბერნიაში რეფორმის მომზადებისას მწვავე ხასიათი მიიღო და დიდი დავის საგანი გახდა კერძოდ ახალციხის მაზრის (ყოფ. ახალციხის საფაშოს)

[159] С. Авалиани, „Крестьянский вопрос в Закавказье“, 1914, Одесса, т. III, 19.

[160] В. Бартольд, „К вопросу о феодализме в Иране“ (Н. В. 1930 г. № 28, стр. 119).

[161] Е. Мороховец, „Крестьянская реформа 1861 г.“, 1937, стр. 70.

[162] Б. Арютюнян, „Крупное монастирское хозяйство в Армении в 17—18 вв.“, 1940, стр. 19—20.

გლეხობისა და მემამულეთა ურთიერთობის მოწესრიგების აუცილებლობა. მერმე აცსკ-ი თავის მუშაობაში ფეხის ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდა „მუსლიმანურ პროვინციებში“ საადგილ-მამულო ურთიერთობათა და სახელდობრ „პრივილეგიური წოდებისა“ და „თავისუფალ მიწისმუშათა“ ურთიერთდამოკიდებულების მოსაწესრიგებლად 1846 წ. 6 დეკემბრის რესკრიპტის, 1847 წ. 20 აპრილისა და 28 დეკემბრის და 1851 წ. 8 ივნისის კანონთა არსებულ ვითარებასთან შეუთანხმებლობას და ამ ნიადაგზე წარმომდგარ მკაცრ წოდებრივ კონფლიქტებს. სწორედ ამგვარმა ვითარებამ, ბოლოს, მთავრობა მიიყვანა „მუსლიმანურ პროვინციებში“ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საქმის მოწესრიგების, ე. ი. აღმ. ამიერკავკასიაში 1870 წლის საგლეხო რეფორმის ჩატარების აუცილებლობამდე.

როგორც სვანეთსა და აფხაზეთში, სწორედ ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანში მთავრობამ საგლეხო რეფორმის მთელი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა მხოლოდ თავისი აპარატით. პროფ. ვ. რ შ ტ უ ნ ი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „სომხეთსა და აზერბაიჯანში საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების დროს ისინი (სომეხი და აზერბაიჯანელი მემამულეები — პ. გ.) არცკი დაუშვეს მონაწილეობა მიეღოთ ამ მუშაობაში, მთელი საქმე გადასცეს რა რუს მოხელეებს“ [163]. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ მოხელეთა შორის ერევნენ, როგორც სომეხი, ასევე აზერბაიჯანელი სპეციალისტები (მაგალითად, ცნობილი აბას-ყული-აღა ბ ა ქ ი ხ ა ნ ო ვ ი და სხვ.).

ასე რომ აზერბაიჯანელი ხანების, ბეგების, აღალარების და სომეხი მელიქების, როგორც მემამულეების მხრივ საგლეხო რეფორმის თაობაზე პროექტები, მოსაზრებები, ყრილობათა ანგარიშგებანი და სხვა მსგავსი დოკუმენტები, რომელთა ფოლიანტების მთელი ათასობით „საქმეების“ შემცველი

---

[163] В. Р ш т у н и, назв. соч. 195.

ფონდებია"დაცული საქართველოში რეფორმის მომზადების შესახებ, არ ყოფილა წარმოქმნილი.

მაგრამ, ცხადია, ამით აზერბაიჯანელ და სომეხ მემამულეთა ინტერესები სრულებითაც არ შელახულა: პირიქით, 1870 წ. რეფორმის მეოხებით მათ „უფრო მოწესრიგებულად" და „კანონიერ ფარგლებში" შეეძლოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მიმდევარი მოსახლეობის, საერთოდ გლეხობის ექსპლოატაცია.

6. მებატონეები და გლეხობა რეფორმის პერიოდში

შიგა რუსეთის გუბერნიების მემამულეებთან შედარებით საქართველოს მებატონეები მით უფრო „ხელმოჭერილნი" იყვნენ, რაც უფრო წვრილ მიწათმფლობელებს წარმოადგენდნენ და, მაშასადამე, მით უფრო უარეს მდგომარეობას უმზადებდნენ ადგილობრივ გლეხობას, რაც უფრო მეტის ზომით შეინარჩუნებდნენ ფაქტიურად მებატონურ მდგომარეობას, ე. ი. რაც უფრო მეტად იქნებოდა აქ დაცული ბატონყმობის გადანაშთები.

ქართველ მებატონეთა წვრილმამულიანობის დასახასიათებლად საკმარისია ითქვას, რომ თბილისის გუბერნიის 1751 მებატონეთა შორის 214 ისეთი მებატონე იყო, რომლებიც ყმებს ფლობდნენ უმიწოთ, ე. ი. მათ არ ჰქონდათ მიწები, რათა საკუთარ ყმათათვის სამოსახლოდ თუ დასამუშავებლად მიეცათ,— ამათი გლეხები სახაზინო ან სხვა მემამულეთა მიწებზე ესახლენ. საერთოდ კიდევ მებატონეთა უმრავლესობა წვრილი მემამულე იყო, ყმებიც მცირე რაოდენობით ჰყავდათ. 1860 — 1861 წწ. მონაცემების მიხედვით, ამ მხრივ, ასეთს სურათს ვღებულობთ [164].

---

[164] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения", т. I, стр. 440 — 441.

კატეგორია	ყმათა მფლობელობის ჯგუფები	თბილისის გუბერნიის მემამულეებთან	ქუთაისის გუბერნიის მემამულეებთან	ს ე ნ
1.	1001 კაცზე მეტი ყმა ჰყავდა	2	4	6
2.	501-დან 1000-მდე	12	7	19
3.	101 „ 500-მდე	137	167	304
4.	21 „ 100-მდე	729	831	1.560
5.	21 კაცზე ნაკლები	869	3.776	4.645
	ჯ ა მ ი	1.749	4.785	6.534

საერთოდ ქუთაისის გუბერნიის[165] 4.785 მებატონეს ჰყავდა 24.136 კომლი ყმა-გლეხი, ე. ი. საშუალოდ 1 მებატონეზე მოდიოდა 5; ხოლო თბილისის გუბერნიის, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს 1.751 მებატონეს კი ჰყავდა 17.281 კომლი, ე. ი. 1 მებატონეზე 10 კომლი გლეხი მოდიოდა. აქედან გასაგებია, რომ მებატონეთა მიწათმფლობელობის სიმცირის გამო რეფორმების შემდეგ განსაკუთრებით აუტანელ პირობებში უნდა ჩავარდნილიყვნენ დასავლეთ საქართველოს გლეხები.

მებატონეებმა რეფორმის წინახანებში გააძლიერეს ყმა-გლეხთა ექსპლოატაცია. აცსკ-ის მიერ შედგენილი პროექტის ყველაზე უფრო რადიკალური კრიტიკოსის — „კრიტიკულ შენიშვნათა“ ავტორის — სიტყვებით: აქ მრავალ ადგილას მემამულეებმა გლეხებს წაართვეს სხვადასხვა სახმარი მიწები იმის შიშით, რომ გლეხთა მფლობელობაში მყოფ მიწებზე მთავრობას არ დაეკანონებია მათი საკუთრების უფლება.

ამასვე გამოხატავს იმდროინდელი ხალხური ლექსი, რომელშიც მებატონეთა შესახებ ნათქვამია:

---

[165] ქუთაისის გუბერნიაში მაშინ შედიოდა იმერეთი, რაჭა, გურია და მესხეთის (ახალციხის მაზრის) ნაწილი.

«დახვიენენ თავის ყმასა, ძლიერ დაუწყეს ძალობა,
საცხოვრებელი წაართვეს დააწყებინეს ნანობა...» [166].

სხვა ხალხურ ლექსში გურული გლეხი ჩივის, რომ მებატონეები, ბატონყმობის მოსპობა რომ შეიტყეს, პირდაპირ გვძარცვავენ, ყველაფერს გვართმევენ, ერთის ნაცვლად შვიდი ღორი წამართვესო; მეორე გლეხი-კი დასძენს:

«ღორის წართმევა არ არის — ძროხებს გვართმევს და ხარებს,
ყმის წართმევა რომ შეიტყვეს, მერმეთ აღარ გვახარებს.
მუდამ სახლში ატირებენ ჩვენს ბაღნებსა და ქალებს...» [167].

რეფორმა გლეხობის ზურგს უკან მზადდებოდა; ამგვარად, იმას ვისაც იგი სამკვდრო-სასიცოცხლო საქმედ მიაჩნდა, ვისაც ყველაზე უფრო ეხებოდა, იმას უბრალო ინფორმაციასაც არ აწვდიდნენ საქმის მიმდინარეობის შესახებ. ხელისუფლება და თავადაზნაურობა, როგორც რუსეთში ისე საქართველოშიც, გლეხობას არ თვლიდა მოქალაქეობრივად იმდენად მომზადებულ წოდებად, რომელსაც შეეძლო რაიმე სახით მონაწილეობის მიღება მისთვის ესოდენ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრაში. მათი ვარაუდით გლეხობას მხოლოდ პასიური კვარცხლბეკის როლი უნდა ეთამაშა.

ამასთანავე რეფორმის მომზადების მეტისმეტად გაჭიანურებისა, გლეხობის ექსპლოატაციის უზომოდ გაძლიერებისა, ხალხში დარხეული ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმებისა და სხვ. ვითარებაში საქართველოს რიგ თემში გლეხობა აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა და ზოგან კიდევ არსენა ოძელაშვილისა და უტუმიქავას სახელით იმუქრებოდა. ამავე დროს რაც უფრო აგვიანდებოდა ბატონყმობის მოსპობას, დამოკიდებულება მებატონესა და ყმებს შორის მით უფრო მწვავდებოდა, ხოლო „თავისუფლების“ გამოცხადების წინახანებში სოფლად წოდებრივი ურთიერთობა უკიდურესობამდე დაჭიმული იყო, და ზოგან პირდაპირ შეიარაღებულ შეტაკებაში ჰპოვებდა გამოვლინებას.

---

[166] პ. უმიკაშვილი, „ხალხური სიტყვიერება“, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, 1937, ტფ. I, 194.

[167] იქვე, გვ. 197.

განყოფილება მესამე

აგრარული ურთიერთობანი (გაგრძელება)

X

კერძო მიწათმფლობელობა 1864 — 1905 წწ.

1. მიწათმფლობელობის წოდებრივი ხასიათი

ა. მიწების განაწილება

რეფორმის მერმინდელ პერიოდში ფეოდალური მიწათმფლობელობის რღვევა ამიერკავკასიაშიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა თვით მე-20 საუკუნის დამდეგშიაც ბატონყმურ-მემამულური საადგილმამულო საკუთრება იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი ინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას.

როგორც ქვემოთმოყვანილი ცხრილი[1] გვიჩვენებს ამიერკავკასიის ხუთივე გუბერნიის მიწების (15,7 მილ. დეს.) 70,8

[1] სოფლის მეურნეობისა და აგრარულ ურთიერთობათა შესწავლისათვის არსებითად მოვეპოვება მხოლოდ ე. წ. „კაზიონური“ სტატისტიკური ძოხაცეებში, რომელთა საერთო უმწეობასა და თვით შიგარუსეთის გუბერნიების ეკონომიკის მეცნიერული ანალიზისათვის არასრულფასოვანობას არაერთხელ მიუთითებდა ვ. ლ ე ნ ი ნ ი. მაგრამ სამაგიეროდ შიგარუსეთის გუბერნიების სოფლის მეურნეობას სისტემატურად და ყოველმხრივ სწავლობდნენ ერობის ორგანოები, რომელთაც არამცთუ უაღრესად ძვირფასი ძასალა დააგროვეს და დაამუშავეს, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თვით სტატისტიკის, როგორც მეცნიერების განვითარებაშიაც. რუსეთის სოფლისმეურნეობრივი წარმოებისა და აგრარულ ურთიერთობათა შესახებ ერობათა მიერ წარმოებულმა ხშირად ფრიად დეტალურმა და საფუძვლიანძა გამოკვლევებმა გზა გაუკაფეს და წინაპირობა შექმნეს რუსეთის სახალხომეურნეობრივი და საერთოდ ხაზოგადოებრივი განვითარების მრავალ-

მიწების განაწილება მფლობელთა ჯგუფების მიხედვით ამიერკავკასიაში 1890-იანი წლების დამდეგს [3]

გუბერნიები	ტერიტორია დესეტინობით	სხვადასხვა კატეგორიის გლეხთა სარგებლობაში იმყოფებოდა დესეტინობით მიწა										ხაზინისა და კერძომფლობელ მემამულეთა უშუალო სარგებლობაში იყო დესეტინობით	
		სახაზინოთა		დრ.-ვალდებულთა		ხიზანთა		მემამულეების მიწებზე მჯდარ გლეხთა		ს უ ლ			
		აბსოლუტ.	%%	აბსოლუტ.	%%	აბსოლუტ.	%%	აბსოლუტ.	%%	აბსოლუტ.	%%	აბსოლუტ.	%%
თბილისის	3.927.910	863.894	21,9	56.113	1,4	30.791	0,8	113.876	2,3	1.064.674	26,9	2.863.236	73,1
ქუთაისის	1.908.901	88.572	4,6	167.849	8,7	6.276	0,3	—	—	262.697	13,3	1.646.204	86,3
ელისავეტპოლის	3.951.785	917.920	23,2	—	—	—	—	317.237	8,1	1.235.157	31,3	2.716.628	68,7
ბაქოს	3.578.997	1.050.263	29,3	—	—	—	—	96.366	2,7	1.146.629	32,0	2.432.368	68,0
ერევნის	2.364.144	818.386	35,0	—	—	—	—	101.687	4,3	920.073	39,3	1.444.071	60,7
ს უ ლ . .	15.731.737	3.739.035	23,7	223.962	1,4	37.067	0,2	629.166	3,9	4.629.230	29,2	11.120.507	70,8

[3] ССДЗЗК, стр. 1—104.

პროცენტი (11,1 მილ. დეს.) ხაზინისა და კერძომფლობელ მემამულეთა უშუალო სარგებლობაში იყო. დანარჩენი მიწა (4,6 მილ. დეს.), რაც მთელი ფონდის 29.2 პროცენტს შეადგენდა, მოდიოდა საერთოდ მოსახლეობის ძირითად მასებზე-გლეხობაზე. სახელდობრ, სახაზინო გლეხებს ეჭირათ 23,7 პროც. (3,7 მილ. დეს.), „დროებით-ვალდებულთ" (ასეთი კატეგორიის გლეხები იყვნენ მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) — 1,4 პროც. (224 ათასი დეს.), ხიზნებს — 0,2 პროც. (37 ათასი დეს.) და მემამულეთა მიწებზე მჯდარ გლეხებს — 3,9 პროც. (629 ათასი დეს.).

ამიერკავკასიაში კერძომფლობელთა დიდი უმრავლესობა წვრილ მემამულეებს წარმოადგენდნენ. ასე, მაგალითად, მფლობელთა რაოდენობა, რომელთა მამულების მოცულობა უდრიდა:

	ქუთაისის გუბერნიაში	თბილისის გუბერნიაში
0— 19 დესეტინას შეადგენდა	6.971	1.267
20— 190	1.873	1.323
191—1000	304	549
1001—4000	84	156
4001—6000	—	11
6000-ზე მეტ	9	24

მხრივი შესწავლისა და ანალიზისა. ამიერკავკასიის გუბერნიებს ცარიზმმა არც ერობა აღირსა, არც უმაღლესი სასწავლებელი, რომ ქვეყნის სტატისტიკურ-ეკონომიკური შესწავლა რამდენადმე მეცნიერულ დონემდე ამაღლებულიყო. ჩვენ თავის ადგილას სპეციალურად გვაქვს მსჯელობა ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობის სტატისტიკის შესახებ და ამიტომ აქ მხოლოდ იმის განცხადებით განვისაზღვრებით, რომ კერძოდ აგრარულ ურთიერთობათა შესასწავლად აუცილებელი მონაცემების მხრივ მეტად შეზღუდული ვიყავით, რის გამოც სასურველი სიღრმით და დეტალურად მოვლენათა განხილვა არ შეგვეძლო, ხოლო ზოგიერთ საკითხს, სრულებითაც არ შეეხეთ.

ამასთანავე მფლობელთა რაოდენობა, რომელთა მამულის მოცულობა არ აღემატებოდა 380 დესეტინას, შეადგენდა: ქუთაისის გუბერნიაში 8.970 და მათს ხელში იყო სულ 281.000 დესეტინა მიწა, ხოლო თბილისის გუბერნიაში, შესაბამისად: 2.894 მფლობელის ხელში იყო 23.900 დეს.; მფლობელთა რაოდენობა 380—6000 დეს. მოცულობის მამულით უდრიდა: ქუთაისის გ. — 259 და მათს ხელში იყო 176.000 დეს., ხოლო თბილისის გ.-ში, შესაბამისად: 412 — 394.000 დეს.; ამასთანავე 6000 დესეტინაზე მეტი მოცულობის მამულიანთა რაოდენობა შეადგენდა: ქუთაისის გ. — 9 და მათს ხელში იყო 358.000 დეს., ხოლო თბილისის გ., შესაბამისად, 24 — 466.206.

ამგვარად, საქართველოში 11.864 წვრილ თავადაზნაურულ შემამულეს (380-მდე დეს. მფლობელთ) ეკუთვნოდა 305 ათასი დესეტინა მიწა, ხოლო 671 მსხვილს (380 — 6000 დეს.)— 570 ათასი დესეტინა. ამავე დროს 33 უმსხვილეს მემამულეს, რომელთა მფლობელობის მოცულობა 6000 დესეტინას აღემატებოდა, ეკუთვნოდა 824 ათასი დესეტინა, ე. ი. თითქმის იმდენი რამდენიც მთელ დანარჩენ თავადაზნაურობას, რომელთა საერთო რაოდენობა 12.535 შეადგენდა.

როგორც ვხედავთ, ადგილმამული საქართველოს თავადაზნაურობას შორის ფრიად არათანაბარზომიერად იყო განაწილებული. მაინც, აღმ. საქართველოს „ბრწყინვალე წოდებაში“ უფრო მეტი იყო მსხვილი მემამულე. თბილისის გუბერნიაში საშუალოდ თავადაზნაურულ მიწათმფლობელთა 1 სულზე მოდიოდა 38 დეს., ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 16 დეს., ე. ი. თითქმის 2,5-ჯერ ნაკლები. მაგრამ თუ თბილისის გუბერნიის არისტოკრატიას გამოვაკლებთ ისეთებს, რომელთაც მხოლოდ პირადი აზნაურობა ჰქონდათ მინიჭებული და რომლებიც პლუტოკრატიის (უპირატესად სომეხი ბურჟუაზიის) წრიდან იყვნენ გამოსულნი, მაშინ აქ „ცისფერი სისხლის“ თავადაზნაურობაზე, მხოლოდ რომლებთანაც კადრულობდა თავისი „ბრწყინვალების“ გატოლებას ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა, სულობრივად ბევრად მეტი მიწა მოდიოდა;

ერთ სულზე სახელდობრ 54 დესეტინა, ე. ი. 3,5-ჯერ მეტი, ვინემ ქუთაისის გუბერნიაში.

საერთოდ უმსხვილეს მემამულეთა რაოდენობაც მეტი იყო თბილისის გუბერნიაში. 1890 წლის ცნობით აქ მემამულეები, რომლებიც 3000 დესეტინაზე მეტ სახმარს (угодья) — ბალ-ვენახს, სახნავ-სათესს, ტყეს, სათიბს, საბალახოს — ფლობდნენ იყვნენ, ახალქალაქის მაზრაში: ფალავანდიშვილები (ბეგები), რომელთაც ეკუთვნოდათ 7.500-მდე დეს. მიწა; ახალციხის მაზრაში: ქობლიანელ-ათაბეგოვს (ბეგს) ეკუთვნოდა — 19.400 დეს., ბეგებს ავალიშვილებს — 3300 დეს., პ. ი, ტომაშევიჩს — 4000 დეს., ვ. და ი. ორბელიანებს — 5.600 დ., კაჩუხაშვილებს — 6.400 დ., ბეზირგანოვებს — 3.100 დ.; ბორჩალოს მაზრაში: თავ. ი. მ. არლუთინსკი-დრლგორუკოვს — 5.000 დ., თავ. ბარიატინსკის (კავკასიის ყოფ. ნამესტნიკის) ქვრივს — 42.700 დ., ნ. ტ. ბარათაშვილს — 8.400, ა. ა. ზეინალოვს — 5.100, იედიგაროვს — 7.800, ქობულაშვილს — 12.900, ბარონ ა. კუჩენბახს — 9.600, გრაფ ლორის-მელიქოვის ქვრივს — 11.600, თავ. მუხრან-ბატონებს — 13.100 დ., კ. და ი. მელიქიშვილებს — 13.100, მ. მაღალაშვილს — 3.600, კ., ი., მ., ა., ი. და ვ. ორბელიანებს — 67.400, ნ. ოპოჩინინს — 3.300, ე. პიტოევს — 3.200, ციციშვილს — 3.800; გორის მაზრაში: მ. ამირეჯიბს — 3.000 დეს., ი. კ. მუხრან-ბატონს — 13.100, ზაალიშვილს — 5.600, კ. ყიფიანს — 4.800, დიდ მთავარს მიხ. ნიკ. რომანოვს (კავკასიის ყოფ. ნამესტნიკს) — 68.600, მაჩაბლებს — 13.200, ფალავანდიშვილებს — 19.000, პ. სემიონოვს — 4.700, თავ. ციციშვილებს — 41,700, ბ. ერისთავს — 11.800; დუშეთის მაზრაში: ნ. ხიმშიაშვილს — 3.000, ჭავჭავაძეს — 2.300; სიღნაღის მაზრაში: ე. ჩოლოყაშვილს — 3.400; თბილისის მაზრაში: ჩერქეზიშვილს — 6.600, ი. კ. მუხრან-ბატონს — 4.300; თიანეთის მაზრაში: გ. და ა. ჩოლოყაშვილებს — 6.900, ჭავჭავაძეებს — 15.600.

ამავე ხანებში ქუთაისის გუბერნიაში ისეთი მამულები, რომლებიც 7000 ქცევაზე, ე. ი. 2625 დეს. მეტ მიწას შეიცავდნენ იყო სულ 12. ამათგან 2 რაჭის, 1 ქუთაისის, 4 ოზურგეთის, 2 ლეჩხუმის, 1 სვანეთის და 2 ზუგდიდის მაზრაში. უკანასკნელი 9 ყველაზე მსხვილი მამული ეკუთვნოდა: თაკად კ. კ. დადიანს (სენაკის მ.) — 14.625 დეს., თავად გრიგოლ დადიანს — 29.000 დეს. (ლეჩხუმის მ.), თავად ნ. მინგრელსკის (დადიანს) — 83.030 დეს. (იმავე მ.), თავად გურიელების 4 ოჯახს — სამს თვითეულს 7000 დეს. და ერთს 9.373 დეს. (ოზურგეთის მ.), თავად ნ. მინგრელსკის (დადიანს) — 187.500 დეს. (ზუგდიდის მ.) და თავ. გიორგი დადიანს — 9.988 დეს. როგორც ცნობილია საქართველოში და მთელ კავკასიაშიც უმსხვილესი მემამულე იყო ნ. დ. დადიანი (მინგრელსკი), რომელსაც სენაკის, ლეჩხუმისა და ზუგდიდის მაზრებში და სოხუმის ოკრუგში ეკუთვნოდა 270.000 დეს. მიწა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ უმსხვილეს მემამულეებზე შეწერილი იყო შედარებით ფრიად მცირე საადგილმამულო გადასახადი და საერობო

ძოსაკრებელი. მაგალითად, 1895 წლის ცნობით თავ. ბარიატინსკის მამული წლიურად იხდიდა სულ 643 მანეთს, ბეგი ქობლიანელ-ათაბეგოვის მამული — 367 მან., დ. ჭავჭავაძისა (650 დეს.) — 9 მან. და ა. შ. ეს მაშინ როდესაც გლეხური მიწათმფლობელობა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დატვირთული იყო უზომო გადასახდელებით და ამავე დროს, თუ ფეოდალურ ძემამულეებს ხშირად სავსებით ჩამოაწერდნენ ხოლმე ვადაგადაცილებულ გადასახადებს, გლეხობა ამ შეღავათით მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით თუ სარგებლობდა.

მე-19 ს. შუადან მიყოლებული აზერბაიჯანსა და სომხეთში შეუჩერებლად იზრდებოდა პრივილეგიური წოდების მიწათმფლობელობა და, მაშასადამე, მისი მნიშვნელობაც ქვეყნის სახალხომეურნეობრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, აქ აგრარულ ურთიერთობათა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შესწავლა ბევრად უფრო გაძნელებულია, ვინემ საქართველოში.

1890-იანი წლების დასაწყისში პრივილეგიური წოდების მიწათმფლობელთა რაოდენობა, რომელთა მამულების მოცულობა მერყეობდა.

	ბაქოს გუბ.	ელისავეტპ. გუბ.
25 დესეტინამდე უდრიდა	705	1655
25—1000	224	626
100—200 „	70	159
200—500 „	45	151
500—1000 „ „	27	86
1000 დესეტინაზე ზევით	35	67

ბაქოს გუბერნიის 1211 პრივილეგიური წოდების მიწათმფლობელის ხელში იყო სულ 250 ათასამდე დესეტინა საადგილმამულო გადასახადით დაბეგრილი სახმარი მიწა. ელისავეტპოლის გუბერნიაში ირიცხებოდა ანალოგიური 2744 მიწათმფლობელი, რომელთაც ეჭირათ 440 ათასი დეს. სახმარი მიწა.

ერევნის გუბერნიაში 1894 წ. ცნობით საადგილმამულო გადასახადით დაბეგრილი იყო სულ 654 კერძო მიწათმფლობელი, რომელთაც ეჭირათ 60 ათასამდე დეს. მიწა. პრივილე-

გიური წოდების იმ მიწათმფლობელთა[3] რაოდენობა, რომელთა მამულების მოცულობა მერყეობდა:

19 დესეტინამდე, უდრიდა	463
20—72 „	93
73—190 „	29
191—380 „ „	29
380 დესეტინაზე ზევით „	40

ამ უკანასკნელ 40 მემამულეთაგან, რომელთაც თვითეულს 380 დესეტინაზე მეტი სახმარი მიწა ეკუთვნოდა ოცს ეჭირა 380 — 1000-მდე დესეტინა, თვრამეტს — 1000 — 2000-მდე, შემდეგ ერთი იყო ისეთი, რომელსაც 2 ათასზე მეტი და ერთიც, რომელსაც 5 ათასამდე დესეტ. მამული ეკავა.

ზემოთმოყვანილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში ფეოდალურ-მემამულური მიწათმფლობელობა, საქართველოსთან შედარებით, ნაკლებად იყო განვითარებული. აქ „მიწის ძალაუფლების“ შემდგომს განმტკიცებას, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, დიდის გულმოდგინებით ატარებდა ცარიზმის ბიუროკრატია, რომელიც მიისწრაფოდა ამ გზით — პრივილეგიური მემამულეთა წოდების გაძლიერებით — საიმედო დასაყრდენი შეექმნა აბორიგენთა შორის.

---

[3] 1913 წელს შედგენილს ერევნის გუბერნატორის ცნობით აქ სულ ირიცხებოდა ხუთი ოჯახი აზნაურებისა და ამათგან მხოლოდ ერთს, სახელდობრ მელიქ-აღამალოვის ოჯახის წევრებს ჰქონდა საადგილმამულო საკუთრება — 438 დეს. გუბერნიის სხვა „უმაღლესი წოდების“ მიწათმფლობელები — ხანები, ბეგები, აღალარები და სომეხი მელიქები „კიდევ არ არიან დამტკიცებულნი, როგორც მემკვიდრეობითი აზნაურები“. ამათი მამულების აღრიცხვა პირველად მოხდა 1887 წელს. 1913 წ. მათს საკუთრებაში ითვლებოდა 57,7 ათასი დეს. მიწა. (Проф. В. Рштуни. „Аграрная политика царизма и крестьянское движение в Армении в нач. XX в“. (материалы по истории Армянского народа. кн. IV), 1951. Ереван. стр. 176.

ბ. კერძო მიწათმფლობელობა საერთოდ

როგორც აღვნიშნეთ კერძო მიწათმფლობელობა უფრო განვითარებული იყო საქართველოში; ამასთანავე მის დასახასიათებლად საჭირო მონაცემებიც, საადგილმამულო სტატისტიკაც, ისევე საქართველოს შესახებაა უკეთესად დაგროვილი და შემონახული. ამ მხრივ ცალკე უნდა აღინიშნოს 1900-იან წლებში კერძოდ პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ შესრულებული დიდი მუშაობა, რაც რიგ ოფიციალურ და ნახევრად ოფიციალურ გამოცემებთან ერთად საშუალებას გვაძლევს რამდენადმე სრულად წარმოვადგინოთ აქ კერძო მიწათმფლობელობის ვითარება.

უწინარეს უნდა გავეცნოთ, თუ როგორი იყო კერძო მიწების დანაწილება ვარგისობის მიხედვით (ცხრილი იხ. გვ. 647) [1].

ცხრილი გვიჩვენებს, რომ საერთოდ ვარგისი მიწების უდიდესი ნაწილი (75,65 პროცენტი თბილისისა და 75,08 პროცენტი ქუთაისის გუბერნიაში) ტყეებსა და საბალახოებზე მოდიოდა. მაგრამ ტყეებისა და საბალახოების მთელი ფართობის (1.450 ათასი დესეტინის) თითქმის 70 პროცენტი (998 ათასი დესეტინა) თავადაზნაურულ მიწათმფლობელებს ეჭირათ. აქედან უკვე თავისთავად გამოდის ის დასკვნა, რომ არათავადაზნაურულ მიწათმფლობელთა ხელში დარჩენილ ვარგის მიწებში შედარებით უფრო მეტი ხვედრიწონა უნდა ჰქონოდა ისეთი კატეგორიის სახმარ მიწებს, როგორიცაა საკარმიდამო, ბაღ-ვენახი და სახნავი. მართლაც, კარმიდამოს, ბაღ-ვენახსა და სახნავს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურულ მფლობელთა ვარგისი მიწების რაოდენობიდან (992 ათასი დეს). ეჭირა მხოლოდ 17,99 პროცენტი, ხოლო არათავადაზნაურულ მფლობელთა ვარგისი მიწების საერთო რაოდენობიდან — 28,54 პროცენტი. უფრო მეტი იყო განსხვავება ქუთაისის გუბერნიაში, სადაც ხსენებული კატეგორიის

[1] ფ. გ. გოგიჩაიშვილი, „Сборник статист. сведений о частном землевладении в Тифлисск. и Кутаисск. губерниях", 1910, Тифлис. т. т. I и II.

კერძო მიწათმფლობელობა საქართველოში 1903—1906 წ.წ. (დესეტინობით)

	ვარგისი მიწების დასახელება	კერძო მიწათმფლობელობა საერთოდ				თავადაზნაურული მიწათმფლობელობა				არათავადაზნაურული მიწათმფლობელობა			
		თბილისის გუბერნია		ქუთაისის გუბერნია		თბილისის გუბერნია		ქუთაისის გუბერნია		თბილისის გუბერნია		ქუთაისის გუბერნია	
		აბსოლუტ.	%%	აბ-სოლ.	%%	აბსოლუტ.	%%	აბ-სოლ.	%%	აბ-სოლ.	%%	აბ-სოლ.	%%
1.	საკარმიდამო	4285	0,33	4341	0,68	2074	0.21	2525	0,51	2211	0,75	1816	1,27
2.	ბაღ-ვენახი	13719	1.07	12211	1,91	5550	0,56	4677	0,94	8169	2,78	7534	5,25
3.	სახნავი	244233	19,00	141045	22,09	170826	17,22	70601	14,26	73407	25,01	70444	49,14
4.	სათიბი	50856	3,95	1509	0,24	32550	3,28	279	0,06	18306	6,24	1230	0,86
5.	ტყე	544786	42,37	238727	37,39	424235	42,75	183040	36,97	120551	41,07	55687	38,85
6.	საბალახო და საძოვარი	427869	33,28	240641	37,69	356981	35,98	234003	47.26	70888	24,15	6638	4,63
	ს უ ლ	1285748	100	638474	100	992216	100	495125	100	293532	100	143349	100

სახმარებს ეჭირათ თავადაზნაურული მამულების ვარგისთა ფართობის 15,77 პროცენტი, ხოლო არათავადაზნაურულ მესაკუთრეთა მამულების — 55,62 პროცენტი.

ამგვარად, ამთავითვე ნათელია, რომ საერთოდ თავადაზნაურულ მამულებში ბევრად უფრო მეტად იყო გაბატონებული ექსტენსიური მეურნეობა, ვინემ არათავადაზნაურულში. ეს დასკვნა, ცხადია, არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ საქართველოში არსებობდა რიგი, შედარებით მსხვილი თავადაზნაურული მამულებისა, სადაც განვითარებული იყო საკმაოდ ინტენსიური მეურნეობა. სხვა ადგილას სპეციალურად გვაქვს მსჯელობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მსხვილი მამულების როლისა და მნიშვნელობის შესახებ, რის გამოც ამ საკითხზე აქ არ შევჩერდებით.

იმისათვის რომ ჩავწვდეთ აგრარულ ურთიერთობათა არსებით მხარეებს საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ იყო ადგილმამული დანაწილებული საზოგადოებრივ კლასებს (წოდებებს) შორის და როგორ ჯგუფდებოდნენ თვით მიწათმფლობელები მათს საკუთრებაში მყოფ მამულების (მიწების) მოცულობის (ფართობის) მიხედვით.

ა. კერძო მფლობელობა საერთოდ [5]

მფლობელობანი სიდიდის მიხედვით	თბილისის გუბ.		ქუთაისის გუბ.	
	მფლობელობათა რაოდენობა	%%	მფლობელობათა რაოდენობა	%%
0—25 დესეტინამდე . .	24,413	86,41	63.807	97,59
25—100 „ .	1,968	6,97	1,157	1,77
100—500 „	1,403	4,97	330	0,50
500-ზე ზევით . .	467	1,65	92	0.14
ს უ ლ .	28.251	100	65.386	100

[5] თბილისის გუბ. შედიოდა: ბორჩალოს, თიანეთის, ახალციხის, სიღნაღის, ახალქალაქის, თბილისის, თელავის, გორის, დუშეთის მაზრები: ხოლო ქუთაისის გუბერნიაში: ზუგდიდის, სენაკის, ლეჩხუმის, რაჭის, ოზურგეთის, შორაპნის, ქუთაისის მაზრები.

ბ. კერძო მფლობელობა წოდებრივობის მიხედვით

მფლობელობანი სიდიდის მიხედვით	თავადაზნ. მიწათმფლობელობა				არათავადაზნ. მიწათმფლობელობა			
	თბილ. გუბ. მფლობელ.		ქუთაის. გუბ. მფლობელ.		თბილ. გუბ. მფლობელ.		ქუთაის. გუბ. მფლობელ.	
	რაოდ.	%%	რაოდ.	%%	რაოდ.	%%	რაოდ.	%%
0—25 დესეტ.	3.151	53,55	11.543	89,78	21.262	95,06	52.264	99,48
25—100 „	1.373	23,33	931	7,24	595	2.66	226	0,44
100—500 „	999	16,98	301	2,34	404	1,81	29	0,06
500-ზე ზევით	361	6,14	82	0,64	106	0,47	10	0,02
ს უ ლ	5.884	100	12.857	100	22.368	100	52.529	100

ამ ცხრილთაგან უწინარეს ყოვლისა აშკარავდება ის გარემოება, რომ საქართველო საერთოდ წარმოადგენდა წვრილი მიწათმფლობელობის ქვეყანას. თბილისის გუბერნიის 28.251 კერძო მფლობელიდან — 86,4 პროცენტი წვრილი (25 დესეტინამდე მიწის) მფლობელია. ხოლო ქუთაისის გუბერნიის 65. 386 მფლობელთაგან — 97,6 პროცენტი წვრილი მიწათმფლობელია. ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ მიწების უდიდესი ნაწილი მოსახლეობის უმცირესი ნაწილის — თავადაზნაურობისა და საერთოდ მსხვილ მემამულეთა — ხელში იყო. მაგრამ ამ თავადაზნაურობის უმრავლესობა „შეუძლო მდგომარეობაში“ იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის სხვა ერების მოძმე წოდებასთან შედარებით. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა 53,5% წვრილი მიწათმფლობელი იყო, ხოლო ქუთაისის გუბერნიის იმავე კატეგორიის მიწათმფლობელ თავადაზნაურთა რაოდენობა 89,8%-ს შეადგენდა.

ეს გარემოება, ცხადია, როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ კიდევაც, არ გამორიცხავდა მსხვილი ლატიფუნდიების მფლობელი „ბრწყინვალე“ წოდების არსებობას. თბილისის გუბერნიაში 1900-იანი წლების შუაში 361 ისეთი მფლობე-

ლი იყო, რომელთაგან თვითეულს 500 დესეტინაზე მეტი მამული ჰქონდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ასეთივე კატეგორიის 82 მფლობელი ითვლებოდა.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ თავადაზნაურული ლატიფუნდიების მფლობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმავე დროს უმაღლესი წრის სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატიას ეკუთვნოდა, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მათს გავლენას და პოლიტიკურ წონას; — ისინი მით უფრო ძლიერად აწევებოდნენ და ავიწროებდნენ წვრილ მიწათმფლობელებს, უშუალო მწარმოებელთა ძირითად მასებს.

მაგრამ ზოგიერთი ასეთი მსხვილი მემამულე არამცთუ გლეხებისა და თემების შევიწროებას, მათი მიწების მიტაცებას, არამედ თვით სახაზინო საღალო მიწების მითვისებასაც კი ადვილად ახერხებდა.

ასეთი იყო, მაგალითად, ივ. კ. მუხრან-ბატონი. „როგორც საერთოდ სჩვევია სხვისი მიწების მიჩემება", მან, — მოგვითხრობს ერთი მოგონების ავტორი — „არც სახელმწიფო დაინდო" და სახაზინო მამულები მითვისა. საქმე სასამართლოში გადავიდა. მუხრან-ბატონი „წინდაწინ მოელაპარაკა სადავო მიწებზე მდგარ გლეხებს. იმათ უპასუხეს, ხატზე გვაფიცებენ, სიცრუის თქმა არ შეგვიძლია, სწორე უნდა ვთქვათ, თუ ვის. მიწებზე ვდგავართო.

მუხრან-ბატონმა მთელი ეს სამოცამდე გლეხი წინ გაირეკა თავის ეზოში. ყველას ახალი და სრული ქალამნები დაურიგა, სათითეულოდ ამოათხრევინა აყალო მიწა და ჩააყრევინა ქალამნებში და ისე უბრძანა ჩაცმა. ჩაიცვეს.

— ახლა ვის მიწაზე დგეხართო, — შეეკითხა იგი.

— მუხრან-ბატონის მიწაზეო. — უპასუხეს ერთბაშად.

— ჰო და მეტი მე არაფერი მინდა, წამოხვალთ სასამართლოში და აგრე იტყვითო.

და მართლაც, როცა სასამართლო ხატის წინაშე შეეკითხა მოწმედ მოყვანილ ამ გლეხებს, თუ ვის მიწაზე დგანან ისინი, მათ ერთხმად უპასუხეს: მუხრან-ბატონის მიწაზეო, და მამულიც ივანეს მიაკუთვნეს" [6].

რსდმპ მესამე ყრილობაზე მიხა ცხაკაია შემდეგნაირად ახასიათებდა, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში სოფ-

[6] იხ. „ზუგდიდის მუზეუმის შრომები", 1947, თბ., I, 166.

ლის ვითარებას: „ფრიად უმნიშვნელოა პროცენტი მსხვილი მიწათმფლობელი თავადებისა, მაგრამ მათს ხელში, ხაზინასა და ეკლესიასთან ერთად, თავმოყრილია უზარმაზარი ფართობები საუკეთესო სახნავი მიწებისა. მათვე ეკუთვნით საბალახოები, ტყეები, მთები, ველები და ხეობები“ [7].

* * *

არათავადაზნაურულ მიწათმფლობელთა შორის რაოდენობრივად ცხადია, გაბატონებული იყო წვრილი მიწათმფლობელობა, რაც შეადგენდა: თბილისის გუბერნიაში — 95,1%, ქუთაისის გუბერნიაში — 99,5%. კიდევ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ:

ა. თბილისის გუბ. წვრილ მიწათმფლობელთა	59,7%-ს	ჰქონდა	მიწა 0—1	დესეტინამდე
	20,1%-ს	„	„ 1—3	„
	6,8%-ს	„	„ 3—5	„
ბ. ქუთაისის გუბ. წვრილ მიწათმფლობელთ	,9%-ს	„	0—1	
	34,7%-ს	„	1—3	
	12.5%-ს	„	3—5	

წვრილ მიწათმფლობელთა ეს კონტინგენტი, დაახლოებით, შეადგენდა მთელი მოსახლეობის 90%-ზე მეტს.

საერთოდ კერძო მიწათმფლობელობის საგამომღებლო შემოსავლიანობის მთელი ჯამი უდრიდა (ცხრილები იხ. გვ. 652).

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რაც უფრო მსხვილია კერძო მამული, მით უფრო ნაკლებია მისი შემოსავლიანობა. ასე, მაგალითად, თბილისის გუბერნიაში 1 დესეტინა სახმარი მიწის საერთო საშუალო შემოსავალი უდრიდა, მანეთობით: წვრილ მფლობელობაში (0-25 დესეტ.) — 14, 63 მან., საშუალოში (25 — 100 დესეტ.) — 3,42 მან., მსხვილში (100 — 500) — 2,11 მან., ხოლო უმსხვილესში (500-დეს. ზევით) — 1,57 მან.

---

[7] Протокол III с'езда РСДРП. стр. 259 — 260.

ა. თბილისის გუბერნიაში

მფლობელობის სიდიდე	პროცენტული შეფარდება საერთო სივრცესთან	საგამომლებლო შემოსავლიანობის ჯამი მანეთობით	პროცენტული შეფარდება შემოსავლიანობის საერთო ჯამთან
0—25 დესეტინამდე	4,89	912.160	29,42
25—100	8,10	356.442	11,49
100—500	24,24	657.524	21,19
500 დესეტინაზე ზევით	62,77	1.175.450	37,90
ს უ ლ	100	3,101,576	100

ბ. ქუთაისის გუბერნიაში

მფლობელობის სიდიდე	პროცენტული შეფარდება საერთო სივრცესთან	საგამომლებლო შემოსავლიანობის ჯამი მანეთობით	პროცენტული შეფარდება შემოსავლიანობის საერთო ჯამთან
0—25 დესეტინამდე	28,05	1.435.332	70,90
25—100	8,55	195.160	9,67
100—500 „	10,70	160.991	7,95
500 დესეტინაზე ზევით	52,70	232.320	11,48
ს უ ლ	100	1.023.803	100

დაახლოებით ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამ მხრივ ქუთაისის გუბერნიაშიც: წვრილ მფლობელობაში — 8,02 მან., საშუალოში —3,58 მან., მსხვილში —2,35 მ., უმსხვილესში — 0,79 მან. ეს გარემოება უწინარეს ყოვლისა მოწმობს იმას, რომ მე-20 საუკუნეშიაც აქ სოფლის მეურნეობა დამყარებული იყო ჩამორჩენილ, რუტინულ ტექნიკაზე,

უფრო მეტად ბატონყმურ შრომაზე; — იმას რომ მსხვილი მამულების ექსპლოატაცია ატარებდა უმთავრესად მტაცებლურ ხასიათს: ვალებით დატვირთული ფეოდალური მემამულე, მოელოდა რა, რომ მამული ხელიდან წაუვიდოდა, მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლება მეტი გამოექაჩა ამ მამულიდან, სადაც არ შეჰქონდა თითქმის არავითარი გაუმჯობესებანი [8].

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო დასკვნებს იძლევა ამ უკანასკნელი ორი ცხრილის და ზემოთ — კერძო მფლობელობათა საერთო რაოდენობის შესახებ მოყვანილი ცხრილის შედარებითი ანალიზი, მფლობელობათა ერთეულების სიდიდის (თვისებრივობის) თვალსაზრისით.

ერთის მხრივ:

ა. თბილისის გუბერნიის კერძო მფლობელთა 86, 41%-ს, ე. ი. საერთოდ წვრილ მიწათმფლობელთ, ეჭირათ კერძომფლობელობაში მყოფი მიწების საერთო რაოდენობის მხოლოდ 4, 89 პროცენტი და ღებულობდნენ კერძო მიწათმფლობელობის მთელი შემოსავლის 29,42 პროცენტს.

ბ. ქუთაისის გუბერნიაში კერძო მფლობელთა საერთო რაოდენობის 97,59 პროცენტს, ე. ი. წვრილ მიწათმფლობელთ (1 — 25 დესეტ.) ეჭირათ საერთოდ კერძო მფლობელობაში მყოფი მიწების მხოლოდ 28.11%, საიდანაც ღებულობდნენ კერძომიწათ-

---

[8] ეს ჩვენი მსჯელობა ემყარება ოფიციალურ მონაცემთა ანალიზს. მასში, რასაკვირველია, გარკვეული კორექტივის შეტანა იქნება საჭირო იმ შემთხვევაში, თუ მიწათმფლობელობის საგამომღებლო შემოსავლიანობის (податная доходность) ნორმათა დადგენისას გარდა ფისკალურისა ხელმძღვანელობდნენ კოლონიური აგრარული პოლიტიკის სხვა მოსაზრებებითაც. მაინც, ცხადია, საგამომღებლო შემოსავლიანობის დადგენაში დიდ როლს თამაშობდა მემამულეთა ინტერესების დაცვის პოლიტიკაც.

მფლობელობის მთელი შემოსავლის 70,90 პროცენტს.

მეორე მხრივ:

ა. თბილისის გუბერნიის კერძომფლობელთა 1,65%-ს, სახელდობრ 467 უმსხვილეს (500 დეს. მეტი მამულის) მფლობელს ეჭირა საერთოდ კერძომფლობელობაში მყოფი მიწების 62,74% და შემოსდიოდა საერთოდ კერძო მიწათმფლობელობის მთელი შემოსავლის 39, 90%.

ბ. ქუთაისის გუბერნიის კერძომფლობელთა 0,14%-ს, სახელდობრ 92 უმსხვილეს მემამულეს, ეჭირა საერთოდ კერძომფლობელთა ხელში მყოფი მიწების 52,70% და შემოსდიოდა საერთოდ კერძომფლობელთა მთელი შემოსავლის 11,48%.

ეხლა საკითხავია, თუ რით აიხსნება ეს თავისებური შეუსაბამობა მსხვილ და წვრილ მეურნეობათა საგამომღებლო შემოსავლიანობაში?

ყოველივე ეს იყო შედეგი უმთავრესად იმ გარემოებისა, რომ მსხვილ მემამულეთა მეურნეობაში 1900-იან წლებშიაც გაბატონებული იყო შრომამიგებითი სისტემა. ამ სისტემის დროს გლეხები, რომლებიც, ცხადია, არ არიან დაინტერესებულნი შრომის მწარმოებლურობის გადიდებით, ჩვეულებრივად, თავიანთი ინვენტარით ამუშავებდნენ მემამულეთა მიწებს. ამასთანავე მემამულეთა მეურნეობა, როგორც წესი, მსხვილ სოფლისმეურნეობრივ საწარმოს წარმოადგენდა, მაგრამ მან, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, აქ ვერ შესძლო დაქირავებულ შრომასა და მიწათმოქმედების გაუმჯობესებულ ტექნიკაზე დამყარებულ კაპიტალისტურ ეკონომიად გადაქცევა.

სწორედ ამის გამო მსხვილი მემამულური მეურნეობა, რამდენადაც იგი „ადვილად გადიოდა“ მოიჯარე გლეხთა შრომის ექსპლოატაციით და, მაშასადამე, შრომამიგების სისტემის ორბიტში მოძრაობდა, დამოკიდებული იყო წვრილგლეხური მეურნეობის ტექნიკურ შესაძლებლობაზე. რა თქმა უნდა, შრომამიგებასა და წვრილგლეხური მეურნეობის ჩამორჩენილ ტექნიკაზე დამყარებული მსხვილი მემამულური მეურნეობა არ შეიძლებოდა, ანდა იშვიათად თუ შეიძლებოდა ყოფილიყო რენტაბელური. ცხადია, ბატონყმური ურთიერთობის ძლიერი გადანაშთები, რაც აფერხებდა მსხვილ მემამულურ მეურნეობათა „რაციონალური“, ე. ი. კაპიტალისტური ორგანიზაციის განვითარებასა და, მაშასადამე, შემოსავლიანობის გადიდებას საერთოდაც ბორკავდა სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარებას.

მეორეს მხრივ, როგორც დავინახეთ, არათავადაზნაურულ მიწათმფლობელთა შორის შედარებით საშუალო ზომის მეურნეობები, როგორც წესი, სოფლის ბურჟუაზიის, კულაკობის ხელშია. ცხადია, ეს არის არა მემკვიდრეობით (დედულმამულობით) მიღებული, არამედ უპირატესად ნაყიდი მიწები. ამ მიწების უდიდესი ნაწილი წინათ პრივილეგიური წოდების საკუთრებას შეადგენდა. ახლა ის, მიწა, საქონლად გადაქცეული, ფულით შეიძინა გაბურჟუებულმა „მეშჩანმა“, კულაკმა, ვაჭარმა. ეს პროცესი ფეოდალური მიწათმფლობელობის რღვევის გამომხატველი იყო და ამავე დროს ასახავდა, ერთი მხრივ, „მიწის ძალაუფლების“, ე. ი. არისტოკრატიული პრივილეგიების „შენელებისა“ და, მეორე მხრივ, „ფულის ძალაუფლების“, ე. ი. პლუტოკრატიის, ბურჟუაზიის გაძლიერების მომენტებს.

მაგრამ „ფულის ძალაუფლება“ მხოლოდღა ბურჟუაზიული მიწათმფლობელობის წარმოქმნის სახით როდი გვევლინება; — მისი ძალა მეურნეობის „რაციონალურ“, ე. ი. კაპიტალისტურ ორგანიზაციაშიაც ვლინდება, რაც, ცხადია, დაქი-

რავებული შრომისა და გაუმჯობესებული ტექნიკის გამოყენების მეოხებით იმასაც აღწევს, რომ ფეოდალური მემამულის ხელში ვალებით დატვირთულ, არარენტაბელურ მეურნეობას, შემოსავლიანად აქცევს [9].

რაც შეეხება მსხვილ და უმსხვილესთან შედარებით წვრილი და უწვრილესი მიწათმფლობელობის შემოსავლიანობის მაღალ დონეს, მისი ახსნა ბევრად უფრო მარტივია. გარდა იმისა, რომ წვრილ მეურნეობაში მიწის ექსპლოატაცია უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებს, მის წინაშე, როგორც დავინახეთ, ტექნიკური უპირატესობა არ ჰქონდა მსხვილ მემამულურ მეურნეობას; ხოლო კერძოდ შრომის ორგანიზაციის მხრივ წვრილი მეურნეობა, რამდენადაც იგი უშუალომწარმოებლის მეურნეობას წარმოადგენდა, შეუდარებლად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო — მიწის მუშის მხრივ შრომის მწარმოებლურობის გადიდებისათვის ზრუნვისა და შრომის საშუალებათა ეკონომიური გამოყენების თვალსაზრისით.

გ. გლეხური მიწათმფლობელობა

ჩვენ განვიხილეთ მიწების დანაწილება წოდებრივობის მიხედვით; მართალია, თავადაზნაურობას ეკუთვნოდა მიწების უდიდესი ნაწილი, მაგრამ ზემოთმოყვანილი მონაცემებიდან უკვე ნათლად გამოსჭვივის ტენდენცია მისი ხვედრიწონის შეუჩერებელი შემცირებისა, რასაც ჩვენ სპეციალურად ქვემოთ შევეხებით.

არათავადაზნაურულ მიწათმფლობელთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ გლეხები, მაგრამ მათში შედიან აგრეთვე ვაჭრები, სასულიერო წოდება და ე. წ. მეშჩანები, ე. ი. ქალაქელი ვაჭრები, მრეწველები, სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც სოფლებში ფლობენ ადგილმამულს. — ყველა ესენი ჩვეულებრივად წარმოადგენენ არა წვრილ, არამედ საშუალო და ზოგან კიდევ მსხვილ მიწათმფლობელებს. სწორედ ამის გამო „არათავადაზნაურულ" მიწათმფლობელთა მდგომარეობის განხილვიდან კიდევ არა

[9] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 74 — 75.

ჩანს სათანადოდ, თუ რაოდენ საგრძნობი უნდა ყოფილიყო მიწის სიმცირე სოფლის მოსახლეობის ძირითადი მასებისათვის.

საერთოდ გლეხური მიწათმფლობელობის მხრივ, მართალია, მხოლოდ დაახლოებითს, მაგრამ მაინც საინტერესო სურათს გვიხატავს კერძოდ სახელმწიფო (სახაზინო) გლეხთა მიწათსარგებლობის ვითარება.

სახელმწიფო გლეხის ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა (დესეტინობით)

გუბერნია	სახნავი მიწა		საერთოდ სახმარი მიწა	
	1884 წ. [10]	1903 წ. [11]	1884 წ. [10]	1903 წ. [11]
ქუთაისის	2,27	1,90	4,23	3,36
თბილისის .	5,66	6,92	17,67	10,92
ერევნის . . .	7,50	6,25	16,20	10,97
ელისავეტპოლის	7,82	6,38	18,14	11,82
ბაქოს .	8,42	6,82	16,29	11,00
სულ ამიერკავკასიაში .	6,93	5,33	15,81	10,46

როგორც ვხედავთ, აღებული ოცი წლის (1884—1903 წ. წ.) მანძილზე ამ კატეგორიის გლეხთა ერთი კომლის სარგებლობაში მყოფი მიწის ფართობი საგრძნობლად შეკვეცილა; ზოგიერთ გუბერნიაში საშუალოდ ერთ კომლზე საერთოდ სახმარი მიწის ფონდი 35 პროცენტითაა შემცირებული.

---

[10] ფ. Марков, „Земельное довольствие гос. крестьян Закавказского края", 1887. Тифлис, 261—262.

[11] ფ. Гогичаишвили, „Малоземелье среди крестьян Закавказья", 1903. Тифлис, стр. 16; КСХ, 1903 г. №№ 473—475.

ამავე დროს თბილისის გუბერნიაში ჯერ კიდევ 1884 წ. ითვლებოდა 2034 სული მამრობითი სქესის სახელმწიფო გლეხი, რომელთაც საკუთარი არა ჰქონდათ მიწა. აქედან გასაგებია, რომ აქ სახელმწიფო გლეხობის ნაწილი იძულებული იყო კერძო მფლობელთაგან აეღო იჯარით მიწა. ამ დროს მათ ამგვარად იჯარით ჰქონდათ აღებული 50 ათას დესეტინამდე სახნავი, სათიბი და საბალახო, რაც საერთოდ მათს სარგებლობაში მყოფი სახელმწიფო მიწების (843 ათასი დეს.) დაახლოებით 6 პროცენტს შეადგენდა[12]. ამ მხრივ განსხვავდებოდა მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხებისა, რომელთა სარგებლობაში მყოფი მიწების 47,8 პროცენტი იყო სახაზინო, 28,33% — საკუთარი, ხოლო 23,87% — ხაზინასა თუ კერძო პირებთან სადავო. მაგრამ სახელმწიფო გლეხებს, როგორც 1884 წ. ასევე 1903 წელსაც ბევრად უფრო მეტი მიწები ეჭირათ, ვინემ ყოფილ საბატონო, ე. ი. „დროებით-ვალდებულ" და მესაკუთრე გლეხობის ძირითად მასებს.

შედარებისათვის საკმარისია აღინიშნოს, რომ 1903 წელს „დ რ ო ე ბ ი თ-ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი" გ ლ ე ხ ი ს ერთ კომლს, მაგალითად, თბილისის გუბერნიაში ეჭირა საშუალოდ მხოლოდ 1,69 დესეტინა მიწა, და აქ შედიოდა არა მარტო ვარგისი, არამედ ყოველგვარი მიწა საერთოდ, ე. ი. ხრიოკებიც, კლდეებიც, ჭაობებიც და სხვ., მაშინ როდესაც ამავე გუბერნიის სახაზინო გლეხის ერთ კომლს ეჭირა საშუალოდ 10,92 დესეტინა ვარგისი მიწა. რაც შეეხება მ ე ს ა კ უ თ რ ე გ ლ ე ხ ო ბ ა ს, რომელთა შორის ერია აგრეთვე კულაკობაც, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში 1 კომლზე საშუალოდ მოდიოდა 2,52 დეს. ყოველგვარი (ვარგისი და უვარგისი) მიწა.

მთელ ამიერკავკასიაში 1903 წელს, ყველა კატეგორიის (სახაზინო, „დროებით-ვალდებული", მესაკუთრე, ხიზანი და სხვ.) გლეხობის 1 კომლზე საშუალოდ მოდიოდა ვარგისი მიწა (დესეტინობით):

---

[12] „Сборник стат. данных о землевладении в Закавк. кр.", 1899. стр. 10.

ქუთაისის გუბერნიაში	2,69
თბილისის	8,18
ერევნის	8,16
ელისავეტპოლის	9,92
ბაქოს . .	10,25
საშუალოდ	7,46

მაგრამ აქ შედის საერთოდ ყველა გლეხობა, ე. ი. როგორც ღარიბი და საშუალო, ისე კულაკობაც. ამასთანავე, როგორც ვიცით, უკვე 1860-იანი წლებიდან ამიერკავკასიის სოფლებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოციალური დიფერენციაცია, რაც 1890-იანი და 1900-იანი წლებისათვის უკვე მეტად მძაფრ ფორმებში ვლინდება. სოფლად თანდათანობით ბატონდება სოფლის ბურჟუაზია, ე. ი. კულაკობა, რომელთა ხელში სულ უფრო დიდი ზომით და სისწრაფით გადადის, როგორც გლეხობის სარგებლობაში მყოფი, ასევე ფეოდალურ მემამულეთა მიწები, ხოლო უმრავლესობა იმ მიწებისა, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩენილან გლეხობის ხელში, ისეა დავალიანებული კულაკ-მევახშეთაგან, რომ გლეხი თითქმის კულაკის ყმას ანდა, უკეთეს შემთხვევაში მოჯამაგირეს, კაბალაში მყოფ დაქირავებულ მუშას წარმოადგენს. როგორც ზემოთმოყვანილი ცნობა გვიჩვენებს, მიწის სიმცირეს და აქედან გამომდინარე ყოველგვარ გაჭირვებას განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიდა დასავლეთ საქართველოს გლეხობა.

რეფორმის მერმინდელ პერიოდში რუსეთის გლეხობის ეკონომიკური ევოლუციის შესწავლის საფუძველზე ლ ო ტ ხ ი ნ მ ა 1905 წელს დაადგინა, რომ 1861 წლის შემდეგ ახლად წარმოქმნილ გლეხურ კომლთა შორის ერთმესამედზე მეტი უმიწაწყლოდ იყო დარჩენილი და რომ საერთოდ გლეხურ კომლთაგან ყოველი მეათე და მეთერთმეტე უმიწაწყლო ბოგანოდ გადაიქცა [13]. ამასთანავე რუსეთის იმპერიაში უცხენო

[13] Л о т х и н, „Безземельный пролетариат в России", 1905 М.

მეურნეობათა რიცხვი შეადგენდა 1882 წელს — 27,5 პროცენტს, 1888 წ. — 29,4 პროც., 1899 წ. — 31,7 პროც., 1902 წ. — 35,6 პროც., ხოლო 1905 წ. — 38 პროც. ამავე დროს გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწების საერთო ფართობი და გლეხთა პირუტყვის რიცხვი, რასაკვირველია, ბევრად უფრო ნაკლები სისწრაფით იზრდებოდა, ვინემ თვით გლეხთა რაოდენობა. ასე, მაგალითად, 1870 — 1900 წ. წ. გაიზარდა: გლეხთა მიწების (როგორც სანადელო, ისე კერძო საკუთრების) საერთო ფართობი — 20,5 პროცენტით, მათ შორის სახნავის — 40,5 პროცენტით, გლეხთა პირუტყვის რაოდენობა — 9,5 პროცენტით, ხოლო თვით გლეხური მოსახლეობა — 56,9% და გლეხურ მეურნეობათა რიცხვი კიდევ — 57,8 პროცენტით. ამგვარად, აღებულ პერიოდში, იზრდებოდა: გლეხთა მიწების საერთო ფართობი — 2,8-ჯერ უფრო ნელა, კერძოდ სახნავი — 1,5-ჯერ უფრო ნელა, ხოლო პირუტყვის რიცხვი 6-ჯერ უფრო ნელა, ვინემ თვით გლეხური მოსახლეობისა და მეურნეობათა რაოდენობა.

რა თქმა უნდა, ამიერკავკასიაში ანალოგიური მოვლენები ბევრად უფრო მეტის სისწრაფით ვითარდებოდა და გლეხობის გაპროლეტარების პროცესი კიდევ უფრო მტკივნეულ ფორმებში მიმდინარეობდა.

რსდმპ მესამე ყრილობაზე მ. ცხაკაია ასე ახასიათებდა სოფლის ვითარებას ქუთაისის გუბერნიაში: „გლეხურ ბურჟუაზიას წარმოადგენს ყველაზე უმნიშვნელო პროცენტი „მევახშეებისა“ და სხვადასხვაგვარი „მესარეწეებისა“, საშუალო გლეხობაც ასევე ფრიად უმნიშვნელოა, დანარჩენ მასასთან შედარებით. აქედან გასაგებია, რომ თავისი ეკონომიკური მდგომარეობით გლეხობის უზარმაზარი მასა საშუალოზე დაქვეითებულია, ე. ი. ესაა — ან ნახევრადპროლეტარი, ან მასთან მიახლოებული მასა. მიწათმოქმედება — არაა ერთადერთი წყარო მათი არსებობისა: ისინი მისდევენ მეთამბაქოობასაც, მეღვინეობასაც, მეაბრეშუმეობასაც; მაგრამ არც ერთი ამ დარგთაგანი არ ანთავისუფლებს გლეხთა უმრავლესობის ოჯახს აუცილებლობისაგან, აგზავნოს თავისი

წევრები — მამრობითი და დედრობითი სქესისაც — ქალაქებში საშოვარზე ანდა მიაქირავონ მსხვილ მიწათმფლობელებს“ [14].

პროფ. ა. ხახანაშვილი 1905 წ. წერდა: „მიწის სიმცირე ქუთაისის გუბერნიაში მღალადებელი ფაქტია. იმდენად მღალადებელი, რომ ერთი დესეტინა სახნავი მიწა აქ ორი ათას მანეთად ფასობს. უმიწაწყლოთ შეწუხებულმა და დევნილმა გლეხობამ სთხოვა კავკასიის ძთავრობას იმავე პირობით დაეთმო მათთვის თავისუფალი მიწები ნოვოროსიისკისა და სოხუმის ოკრუგებში, რა პირობებითაც - იგი ეთმობოდა (რუსეთიდან) გადმოსახლებულთ, მაგრამ ეს თხოვნა შეწყნარებული არ იქნა“ [15]. აკადემიკოსი ნ. მარი იმავე წელს აღნიშნავდა: „გურულების უკმაყოფილების მიზეზი ადგილ-მამულის სივიწროვეა. უმიწაწყლობა აწუხებს გურიაში გლეხს და ხშირად თვით აზნაურსაც... სახნავ-სათესი ცოტაა და პატრონს არ შეუძლია დაასვენოს ზოგიერთი ადგილი. სახნავ-სათესად არის გადაქცეული ბაღები... დაღლილი (გამოფიტული) მიწის განოყიერებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ვინაიდან სოფლად თითქმის არა ჰყავთ მსხვილფეხა შინაური პირუტყვი — გურულებს მისი რჩენა (მიწის სივიწროვის გამო) არ შეუძლიათ“ [16].

1913 წელს ჩატარებულ ქუთაისის გუბერნიის აგრონომიული გამოკვლევის მასალების თანახმად, აქ მფლობელობათა მიხედვით მთელი მიწის ფონდიდან მოდიოდა: მემამულეებზე (კერძომფლობელებზე) — 47%, გლეხობაზე — დაახლოებით 20%, ხაზინაზე — დაახლ. 32% და სხვადასხვა დაწესებულებებზე (საუფლისწულო და სხვ.) — 1%.

---

[14] Протоколы III съезда РСДРП., стр. 259 — 269; „Революционная борьба крестьянства Грузии в 1905 году“, 1935. М. стр. 19 — 20.

[15] „ივერია“, 1905, № 162.

[16] ნ. მარი, „გურიის მოძრაობის შესახებ“ („ივერია“, 1905 წ. № 134, გვ. 3).

გამოკვლევის მასალათა შემაჯამებელ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ თუმცა ბატონყმობის გაუქმების დროიდან „გლეხური მიწათმფლობელობა“ იზრდება, ხოლო მემამულური კლებულობს, მაინც გლეხთა „მიწით უზრუნველყოფილობა ძლიერ დაბალიაო“.

ამ მონაცემებით უღარიბეს გლეხურ კომლთა მიწათმფლობელობა საშუალოდ უდრიდა 0,4 დესეტინას, საშუალო შეძლების გლეხთა — 1,4 დეს., ხოლო მდიდრებისა — 4 დესეტინას [17].

საერთოდ ცალკე მაზრების მიხედვით „გლეხთა უმრავლესობის“ მიწით უზრუნველყოფილობა 1 კომლზე საშუალოდ უდრიდა:

ზუგდიდის მაზრაში	—1,9 დეს.	ოზურგეთის მაზრაში	—1,2 დეს.
ქუთაისის	1,7	რაჭის	—1,1 „
შორაპნის	1,5	ლეჩხუმის	—1,1
სენაკის	1,4		

აქ არ შედის მხოლოდ ის მიწები, რომლებიც გლეხთა (სოფლების) საერთო სარგებლობაში იმყოფებოდნენ (ტყეები, საბალახოები). მაგრამ ასეთი სათემო მიწები ამ დროს აქ რამდენადმე მხოლოდ რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში იყო შემორჩენილი, სხვაგან ის ძლიერ მცირე ზომით ჰქონდათ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ხსენებული აგრონომიული გამოკვლევის მიხედვით ქუთაისის გუბერნიის მაზრებში, თვით ქუთაისის მაზრის გამოკლებით, გ ლ ე ხ უ რ ი მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ 5 0 პ რ ო ც ე ნ ტ ი უ ვ ა რ გ ი ს ი ყ ო დ ა ს ა მ უ შ ა ვ ე ბ ლ ა დ.

ქუთაისის გუბერნიის მთელი გლეხური მოსახლეობის დაახლოებით 25%-ს შეადგენდნენ სახაზინო გლეხები; 15%-ს ყოფილი დროებითვალდებულნი; 60%-ს — მესაკუთრენი და 1%-ს ხიზნები ანუ უვადო მოიჯარენი.

---

[17] МСХСФКККЗС, 85.

მართალია, რომ თბილისისა და საერთოდ აღმ. ამიერკავკასიის გუბერნიების გლეხობას სარგებლობაში ჰქონდა უფრო მეტი მიწა, ვინემ ქუთაისის გუბერნიის გლეხობას, მაგრამ სამაგიეროდ, მაგალითად, აღმ. საქართველოს მიწა საშუალო მოსავლიანობის მხრივ ჩამორჩებოდა დას. საქართველოსას[18]. ამგვარად, გასაგებია, რომ აღმ. ამიერკავკასიის გლეხობაც, მეტნაკლები ზომით, მიწის სივიწროვეს განიცდიდა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მცირემიწიანობა დიდად ავიწროებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გლეხობას ამ რაიონებში სულ უფრო ინტენსიურად შემოჰყავდათ კოლონიზატორული ელემენტები, რომელთა მიწათმოწყობა, ცხადია, არსებითად ადგილობრივი გლეხობის ხარჯზე წარმოებდა. ოფიციალური მონაცემების თანახმად მხოლოდ თბილისის გუბერნიაში 1885 წლამდე გარედან მოსული ელემენტებისათვის გამოყოფილ იქნა (დესეტინობით):

გერმანელი კოლონისტებისათვის	14.890
თურქეთის სომხებისათვის	93.703
სექტანტებისათვის	65.764
ანატოლიელი ბერძნებისათვის	40.029
ს უ ლ	216.386

ამავე დროს ადგილობრივი მკვიდრი გლეხობისათვის თვით 1917 წ. რევოლუციამდე, არც ერთი დესეტინა მიწა არ მიუმატებიათ; პირიქით, — როგორც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის განკარგულებით 1914 წელს დაბეჭდილს ბროშურაში ვკითხულობთ, — „ყოველი შესაფერი და შეუფერებელი შემთხვევით სარგებლობდნენ, რათა შათთვის, გუბერნიის მკვიდრ მცხოვრებთათვის, წაერთმიათ მიწები, მოსული ელემენტებისათვის მისაცემად, იმ მოტივით, რომ ხაზინა მფლობელია მთელი სახელმწიფო მიწები-

[18] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში", 1954.

სა საქართველოში და უფლება აქვს თავისუფლად განაგებდეს თავის მიწებს“ [19].

მიწის ნაკლებობას თანდათანობით უფრო განიცდიდა აზერბაიჯანელი გლეხობა. მაგალითად, ყარაბაღში გლეხური მოსახლეობის 1 სულზე მოდიოდა ურწყავი მიწა, დესეტინობით [20]:

	1886 წელს	1906 წელს
ჯებრაილის მაზრაში	1,10	0,66
ჯევანშირის „	2,89	1,73
ზანგეზურის „	1,40	0,84
შუშის „	2,00	1,20
ს უ ლ	1,71	1,03

ამგვარად, აღებული ოცი წლის განმავლობაში 1 სულზე მიწა 1,71 დესეტინიდან 1,03 დესეტინამდე, ე. ი. 40 პროცენტით შემცირებულა. ს. ზ ა ვ ა რ ი ა ნ ს და ო. თ უ მ ა ნ ი ა ნ ს მოყავთ მდიდარი საილუსტრაციო მასალა, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ მიწის დიდი სიმცირე იყო ერევნის გუბერნიის ზოგიერთ ნაწილში [21], სადაც გლეხობა იძულებული ხდებოდა დაეტოვებია სამშობლო სოფლები და შორეულ ქვეყნებში გადახვეწილიყო [22].

დ. მ ი წ ა თ დ ა ქ ს ა ქ ს უ ლ ო ბ ა

მცირემიწიანობის ასეთი ვითარება კიდევ უფრო რთულდებოდა მ ი წ ა თ დ ა ქ ს ა ქ ს უ ლ ო ბ ი თ, რაც მეტი თუ ნაკლები ზომით განვითარებული იყო მიწათმფლობელობის თითქმის ყველა ფორმაში, მაგრამ, ცხადია, განსაკუთრებით მტკივ-

[19] „Прекращение хизанских отношений в Грузии“, 1914, Тифлис, 16.

[20] С. З а в а р я н, „Экономич. условия Карабаха...“, 1907, СПБ., 14—15.

[21] С. З а в а р о в, „Опыт изследования с. х... Эриванской губ.“, 319—326.

[22] О. Т у м а н я н, „Экономическое развитие Армении“, 1954. Ереван, ч. I. стр. 204—205.

ნეული იყო გლეხურ მიწათმფლობელობასა და მიწათსარგებლობაში.

ამიერკავკასიის მსხვილ მიწათმფლობელთა შორის მიწათდაქსაქსულობა თითქოს უფრო ხშირი იყო, მაგრამ მსხვილი მემამულის დაცალცალკევებულად მდებარე ნაკვეთები, მეურნეობრივ ერთეულადაც რომ წარმოვიდგინოთ, მაინც იმდენად მნიშვნელოვან ფართობებს შეიცავდნენ, რომ, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, თავისუფლად ამართლებდნენ ერთეულების მართველობას, თუ ისინი იმდენად იყვნენ ერთმანეთისაგან დაშორებულნი, რომ აუცილებელი ხდებოდა მათი ცალკე გამგებლობა და მომარაგება სათანადო იარაღ-ინვენტარითა და სხვ. ამასთანავე მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ მსხვილ მიწათმფლობელს ხშირად თვით ბუნებრივი და ტექნიკურ-ეკონომიკური პირობებიც უკარნახებდა გაემართა რამდენიმე, ერთმანეთისაგან გამოყოფილი, თუმცა თავისთავად მსხვილი მეურნეობანი. ასე, რომ მიწათდაქსაქსულობა ასეთს შემთხვევაში, მისთვის არ იწვევდა, ანდა ნაკლები ზომით იწვევდა, ორგანიზაციული და სხვ. ხარჯების უზომო გადიდებას მეურნეობაში.

ასეთი იყო, მაგალითად, 1880-იანი წლებისათვის გორის, თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში კ. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი ს დაფანტული მამულები, საერთო ჯამში 24.000 დესეტინამდე, ანდა 1890 წლებისათვის ახალციხის მაზრაში ფ ა ი ზ უ ლ ა-ბ ე გ ქ ო ბ ლ ი ა ნ ე ლ-ა თ ა ბ ე გ ო ვ ი ს 19.000 დესეტინაზე მეტი მამულები დაქსაქსული 61 ადგილას და სხვ.[23].

მიწათდაქსაქსულობა ფრიად იყო განვითარებული არა მხოლოდ კერძო მიწათმფლობელობაში, არამედ, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, თემური (სახაზინო) მიწათმფლობელობის სისტემაშიაც.

მიწათდაქსაქსულობის მხრივ ამიერკავკასიაში პირველი ადგილი ეჭირა საქართველოს[24]. აქ სასტიკი მცირემიწიანობის

[23] КК. на 1891, отд. стат., приложения. стр. 68 — 82.
[24] МИЭБГКЗК, I, 167, 219; II, II, 24. 274.

პირობებში მიწები იმდენად წვრილ-წვრილ ნაკვეთებად იყო დაქუცმაცებული, რომ თანამეგვარეებს, რომლებიც გაყრილან და ცალკე ოჯახებად დაშენებულან უკვე ვეღარ მოუხერხებიათ მიწის ისედაც მცირე ნაჭრის შემდგომი დანაწილება, ე. ი. ურთიერთშორის გაყოფა. მაგალითად, 1880-იან წლებში ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფ. ალისუბნელ გოჩაშვილთა 16 კომლს საერთო მფლობელობაში ეჭირა 4,5 დესეტინა ტყე. იმავე სოფელში ბუცხრიკიძეთა 12 კომლს — 3,75 დესეტინამდე საბალახო. საბალახოს ეს ნაკვეთი რომ 12 კომლს, ე. ი. 12 ნაწილად დაეყოთ, ცხადია, იმდენად მცირე ნაჭრებს მიიღებდნენ, რომ ზედ პირუტყვის დაბმა უკვე შეუძლებელი იქნებოდა. სახნავ-სათეს მიწას, ანალოგიურ პირობებში, მაგალითად, რაჭის მაზრაში, თანამონაწილენი ერთად ამუშავებდნენ და შემდეგ მოსავალს ინაწილებდნენ, ხოლო სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში ასეთი მიწით რიგრიგობით — ერთ წელს ერთი კომლი-მონაწილე, მეორე წელს — მეორე და ა. შ. სარგებლობდნენ [25].

ს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი 1880-იან წლებში, აღნიშნავდა რა გორის მაზრაში სახელმწიფო გლეხთა მიწების მემამულეთა და საერთოდ კერძო მიწებს შორის დაფანტვის სიხშირეს წერდა: „ასეთი მიწათდაქსაქსულობა უარყოფითად მოქმედებს გლეხთა მეურნეობის წარმართვაზე, რამდენადაც იგი (მიწათდაქსაქსულობა) გლეხებს მემამულეთა სრულ დამოკიდებულებაში აგდებსო“ [26]. იმავე ხანებში სიღნაღის მაზრაში (ს. გურჯაანში) ე. კ ო ნ დ რ ა ტ ე ნ კ ო ს ყურადღება მიიქცია გლეხთა მცირემიწიანობამ, რასაც ზედ ერთვოდა მიწათდაქსაქსულობა: „მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწილარნი (გლეხთა უმრავლესობის სანადელო მიწები — პ. გ.) ისედაც არა დიდია, ისინი შედგებიან მრავალი პატარ-პატარა ნაკვეთებისაგან, რომლებიც დაფანტულია გურჯაანის მთელს მათს (სახაზინო გლეხთა — პ. გ.) ნაწილში, ერთმანეთისაგან 12 ვერსამდე მანძილზე დაშორებით. მიწის ამ ნაკვეთიდან მრავალი,

[25] МИЭБГКЗК, I, 166 — 170.
[26] МИЭБГКЗК, VI, 162.

განსაკუთრებით სავენახე და საკარმიდამო, მიკროსკოპული ზომისაა, მაგალითად, 10 ანუ 20 კვ. საჟ.“ [27].

ე. კ ო ნ დ რ ა ტ ე ნ კ ო ს ცნობით აქ გლეხის ერთ კომლზე საშუალოდ მოდის სხვადასხვაგვარი სახმარი მიწის სხვადასხვა ადგილას დაფანტული 12 ნაკვეთი. „ყოველ კომლს სოფლის სხვადასხვა ადგილას აქვს 3 ან 4 საეზოვე ნაკვეთი, რომელთაგან უფრო ხშირად არც ერთი არ კმარა ხელსაყრელი ბინადრობისათვის. სასტიკად შევიწროებული გლეხი ცხოვრობს ერთ-ერთ ნაკვეთზე, ხოლო დანარჩენს, ისე მიტოვებულს, ერთგულად დარაჯობს, რომ ვინმე არ დაეპატრონოს. ასე ტიალად მიტოვებული საეზოვე ნაკვეთები რომ შევაერთოთ, ისინი, ალბათ, შეადგენენ თითქმის ნახევარს ამ სოფლის ყველა საკარმიდამო მიწისა“.

აქ ვენახები დაცილებულია კარმიდამოს და აგრეთვე დაქსაქსული პატარ-პატარა ნაკვეთებად... სახნავი ხომ ყოველ კომლს რამდენიმე წვრილწვრილ ნაჭრებად აქვს დაფანტული და დაცილებული ერთმანეთს 10 ვერსამდე მანძილით. მიწის „ამ წვრილ-წვრილად დაყოფის მეოხებით გლეხს არ შეუძლია წესიერად და სარფიანად გასწიოს თავისი მიწის ექსპლოატაცია და იგი იძულებულია დაჯერდეს მხოლოდ ზოგიერთი ნაწილის დამუშავებით, ხოლო დანარჩენი ტიალად მიუშვას. ალბათ ამავე მიზეზით ვენახების სულ მცირე მესამედი მაინც უკიდურესად მოუვლელია: ვაზი ძლივს-ძლივობითაა ასხმული, მათს შორის ბალახი მოუთიბველია და თითქმის ვაზის სიმაღლის დონემდეა გაზრდილი, ხოლო თვით ვაზი ხშირად მიწაზე განრთხმულია და ყურძენი ლპება. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში მოსავალი, განსაკუთრებით ყურძნისა მეტისმეტად ცუდია, როგორც რაოდენობრივად აგრეთვე ხარისხობრივადაც. ამასთანავე მიუხედავად იმისა, რომ მიწის დაქუცმაცებამ უკიდურესობამდე მიაღწია, გლეხები სულ განაგრძობენ გაყრას“...[28]

---

[27] Е. Кондратенко, „Статистическое описание дачи Гурджаани“, (ССОК, VII, 391).

[28] იქვე, გვ. 302.

მიწათდაქსაქსულობა კი არ შემცირებულა, არამედ სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა და 1900-იანი წლების მიწურულისათვის მან უკვე კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ასე, მაგალითად, საქართველოს მთელს სოფლებში მეურნეობათა 45,3 პროცენტს ჰქონდა 5-დან 10-მდე ცალკე ნაკვეთი. ხოლო ხშირი იყო ისეთი მეურნეობა, რომელსაც ეჭირა 30 და მეტი ცალკეული ნაკვეთი მიწისა. კერძოდ დასავლეთ საქართველოში მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც მთელი მიწა ერთ ნაკვეთად ჰქონდა შეადგენდა მეურნეობათა საერთო რიცხვს ეხოლოდ 4,2 პროცენტს, ხოლო აღმ. საქართველოში-კი — 0,2 პროცენტს [29].

მიწათდაქსაქსულობიდან გამომდინარეობს ცალკე მფლობელის მიწების ერთმანეთისაგან და კერძოდ სახნავთა კარმიდამოდან დაშორიშორება. ქუთაისის გუბერნიის 1913 წლის აგრონომიული გამოკვლევის მასალების მიხედვით სოფლელებს „აზნაურობიდან კეთილშენაძენი", ე. ი. საკუთარი სახნავი მიწები ხშირად კარმიდამოდან 15 — 18 კილომეტრით დაშორებულ ადგილებში ჰქონდათ. რაც შეეხება იჯარით აღებულ სახნავებს, ისინი კიდევ უფრო შორს იყო. მაგალითად, კულაშელებს მიწები იჯარით ჰქონდათ აღებული სირიაჩქონსა და ქვალონში, ე. ი. 40 ვერსის დაშორებით; — ასევე ნაესაკოვოს თემის მცხოვრებთაც; ოზურგეთის მაზრის ბასილეთის თემის გლეხებს სახნავი მიწები აღებული ჰქონდათ სუფსისა და ნატანების მახლობლად; ზუგდიდის მაზრის გლეხებს — სოხუმის ოკრუგში, ასე რომ საიჯარო სახნავი მოიჯარის კარმიდამოს 60—200 ვერსით იყო დაშორებული [30].

---

[29] ცხადია, სასტიკმა მცირემიწიანობისა და მიწათდაქსაქსულობის ვითარებამ წარმოშვა საქართველოს გლეხობაში ქვემოთმოყვანილი თქმულება: გლეხი გავიდა მინდორში თავისი მიწის დასამუშავებლად. ადგილზე მისულმა ნაბადი მოიხსნა და დააგდო; ხელში თოხი აიღო, მაგრამ... მისი მიწა სადღაც გამქრალა. დაიბნა გლეხი, დაიწყო ძებნა, მთელი დღე იტრიალა და ვერ მიაგნო. მწუხრისას გადაწყვიტა სახლში დაბრუნებულიყო. აიღო ნაბადი და ხედავს: აი, მისი მიწა... ნაბადს დაეფარა!

[30] МСХСФКККЗС, 94.

ესოდენ მასობრივი ხასიათი მიწათდაქსაქსულობისა, — რის განვითარებაშიაც, რა თქმა უნდა, არამცირედი როლი ითამაშა ბატონყმობის გაუქმების პირობებიდან გამომდინარე მემამულურმა აგრარულმა პოლიტიკამ (ე. წ. ჩამონაჭრები და სხვ.), — კიდევ უფრო აუძლურებდა წვრილ გლეხობას. მიწათდაქსაქსულობა, იწვევდა რა არამწარმოებლური ზედნადები ხარჯების გადიდებას, ამცირებდა ისედაც ჩამორჩენილი გლეხური მეურნეობის შემოსავლიანობას; — გლეხს უკარგავდა სტიმულს მიწათმოქმედებაში შრომითი და კაპიტალური დანახარჯების დაბანდებისა; — ხელს უწყობდა. საერთოდ წვრილ-გლეხური მეურნეობის შემდგომს დაჩიავებასა და დაუძლურებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტით გამოცხადდა რა მიწის ნაციონალიზაცია, ქართველ გლეხობაში მაშინვე ძლიერად იჩინა თავი სხვათაშორის მიწათდაქსაქსულობის საწინააღმდეგო მოძრაობამაც.

1925 წელს საქართველოში ჩატარებულმა მიწათმოწყობის გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ საბჭოთა პერიოდში მიწათსარგებლობის აქამდე განვითარებულ ფორმების გავლენით თავს იჩენდა ერთგვარი მიდრეკილება; აღმ. საქართველოში — ნაკვეთობრივი, ხოლო დას. საქართველოში — ხუტორული მიწათსარგებლობისაკენ [31].

ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველოს გლეხობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გამოვლინებული ეს მიდრეკილება გამოწვეული იყო იმ ბუნებრივ-ისტორიული პირობებით რაშიაც აქამდე უხდებოდა ცხოვრება სოფელს. იმ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლება გარკვეულ ანგარიშს უწევდა კიდევაც ამ მიდრეკილებას, როგორც ერთგვარ გარდამავალ ფორმას მიწათსარგებლობისა, რომელსაც საბჭოთამდელ პერიოდში არსებული მასობრივი მიწათდაქსაქსულობის ვითარებასთან შედარებით აშკარა უპირატესობანი ახასიათებ-

[31] „Нот и хозяйство", Тифлис, 1926 г. № 1, стр. 21—23.

და და რომელიც, შეიძლება ითქვას, გარკვეული გაგებით, ნიადაგს ამზადებდა კიდევაც ამხანაგური, არტელური, კოლმეურნეობრივი ფორმებისათვის მიწათსარგებლობისა. მაგრამ, რასაკვირველია, ამ მხრივ ნაკვეთობრივი მიწათსარგებლობისადმი მიდრეკილებასთან შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი იყო მისწრაფება ხუტორულისადმი, თუმცა მიწათდაქსაქსულობის წინაშე უკანასკნელსაც გარკვეული უპირატესობანი ახასიათებდა.

2. მიწის იჯარა

თავისთავად მიწის იჯარა, — როგორც მიწათსარგებლობის ფორმა, როდესაც მიწის მესაკუთრე გარკვეული საზღაურის საფუძველზე მოიჯარეს დროებითი მეურნეობრივი სარგებლობისათვის აძლევს მიწის ნაკვეთს, — ძველისძველი მოვლენაა, მაგრამ განსაკუთრებით განვითარდა იგი კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში.

განვითარებული კაპიტალისტური საადგილმამულო იჯარა გულისხმობს, რომ მოიჯარე (ფერმერი) თავის მეურნეობაში ეწევა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას; მოიჯარე მიწათმოქმედების პროდუქტებს აწარმოებს გასაყიდათ, მისი მეურნეობა საქონლის მწარმოებელია.

მიწათსარგებლობის საიჯარო ფორმა იწვევს საერთოდ მიწის (ნიადაგის) მტაცებლურ ექსპლოატაციას, მოიჯარე მით უფრო ნაკლებადაა დაინტერესებული გასწიოს ხარჯები ნიადაგის გაუმჯობესებისათვის, რაც უფრო მოკლევადიანია იჯარა. ამდენადვე კაპიტალისტური და ადრინდელი იჯარადრობის სისტემა ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიას.

აქ უწინარეს უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევის უპირატეს საგანს შეადგენს არა ყოველგვარი საადგილმამულო იჯარა, არამედ გ ლ ე ხ უ რ ი ი ჯ ა რ ა. საქმე იმაშია, რომ როგორც მთელ რუსეთში, ასევე კერძოდ ამიერკავკასიაშიაც 1900-იან წლებში ა გ რ ა რ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ პ უ ნ ქ ტ ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ა გ ლ ე ხ უ რ ი მ ე ო რ ნ ე ო ბ ა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ როგორც საერთოდ აგრარულ ურთიერთობათა, ისე მისი ცალკეული მომენ-

ტების, კერძოდ საიჯარო ურთიერთობათა შესწავლისას გლეხური მეურნეობა ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს; — საქმე იმაშია, რომ ამიერკავკასიაში, ისევე როგორც თვით რუსეთში, ბატონყმურ ურთიერთობათა ძლიერი გადანაშთების მეოხებით გაბატონებული იყო კაპიტალიზმამდელი იჯარა, ე. წ. სასურსათო იჯარა, ე. ი. გლეხური იჯარა.

გლეხურ მეურნეობაში იჯარა დიდ როლს თამაშობდა. ამასთანავე, როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში გლეხური იჯარა, როგორც წესი, მიწის სივიწროვისაგან, გლეხის მეურნეობისათვის მიწის ნაკლებობისაგან გამომდინარეობდა; — მისთვის მიწის საჭიროება იმდენად დიდი იყო, რომ ფართო გასაქანს იძლეოდა იჯარის ნიადაგზე ნამდვილად კაბალურ ურთიერთობათა წარმოშობა-განვითარებისა.

იჯარით აღებულ მიწაზე მომუშავე გლეხი ჩვეულებრივ მემამულისადმი შრომამიგებით დამოკიდებულებაში ვარდებოდა და, ამგვარად, მიწათმფლობელს ძველებური, მ ე ბ ა ტ ო ნ უ რ ი წ ე ს ი თ შეეძლო თავისი მეურნეობა უზრუნველეყო მუშახელით. ამდენადვე შრომამიგებითი სისტემა გულისხმობს შრომავალდებულის, ე. ი. ასეთი მოიჯარე გლეხის მ ო ქ ა ლ ა ქ ე ო ბ რ ი ვ ა რ ა ს რ უ ლ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა ს, იმას რომ მიწათმფლობელი ეწევა მის არა მხოლოდ ეკონომიკურ (კაპიტალისტურ), არამედ, აგრეთვე გარეშეეკონომიკურ იძულებაზე დამყარებულ ექსპლოატაციას, მაშასადამე, ადგილი აქვს მიწაზე მიმაგრებას მიწის მუშისა, რომელსაც იძულებით ამუშავებენ, იჯაბნებენ პიროვნულად, სცემენ კიდევაც. ამიერკავკასიაში გლეხური იჯარა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მე-20 საუკუნეშიაც უმთავრესად სწორედ ამგვარ, მებატონურ, ხასიათს ატარებდა.

მაგრამ, ცხადია, ეს არ გამორიცხავდა იჯარის ე. წ. თავისუფალი ფორმების, ე. ი. კაპიტალისტური იჯარის არსებობას. როგორც საერთოდ საადგილმამულო იჯარაში, ისე კერძოდ გლეხურ იჯარაში მე-19 ს. 60-იანი წლებიდან ვითარდებიან

ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ელემენტები. კაპიტალისტური ანუ მეწარმეობრივი იჯარა მით უფრო იკიდებდა ფეხს, რაც უფრო ვითარდებოდა სავაჭრო მიწათმოქმედება, მაშასადამე, მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია, რასაც, ჩვეულებრივად თან სდევდა ხოლმე გლეხობის დიფერენციაცია და, მაშასადამე, კულაკობის, სოფლის ბურჟუაზიის გამოყოფა. განვითარების გარკვეულ ეტაპზე ამ ელემენტებს არ შეეძლოთ, ანდა ნაკლებად შეეძლოთ მეწარმეობრივი იჯარის გარეშე გაეფართოებიათ თავიანთი მეურნეობა, გამოეყენებიათ მათ მიერ დავალიანებული ღარიბი გლეხების შრომა, გაედიდებიათ გასაყიდი პროდუქტების, საქონლის წარმოება და ა. შ.

მაინც მეწარმოებრივი იჯარა კაპიტალიზმის მთელი ისტორიის მანძილზე ამიერკავკასიაში უმნიშვნელო ზომით იყო განვითარებული და გლეხობის, ე. ი. უშუალომწარმოებელთა ძირითადი მასებისათვის საადგილმამულო იჯარა მთლიანად კაბალურ ფორმებში მოძრაობდა.

ა. მოკლევადიანი იჯარა

ამიერკავკასიაში გავრცელებული იყო როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი იჯარა. მაგრამ გაბატონებული ადგილი ეჭირა მიწის წვრილ და მოკლევადიან იჯარას.

მიწას იჯარით იღებდნენ უპირატესად ცალკე მეკომურნი ანდა მცირერიცხოვან ამხანაგთა ჯგუფები. ხახნავი მიწის იჯარით აღება მთელი სოფლის მიერ, ყველა, ან თითქმის ყველა თანასოფლელთა მიწათსარგებლობაში მონაწილეობით აღმ. ამიერკავკასიაშიაც იშვიათი შემთხვევა იყო. დას. საქართველოში მიწას იჯარით მხოლოდდამხოლოდ ცალკე მეკომურები იღებდნენ. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ საბალახო ადგილები, იალაღები თუ ყიშლაღები, რასაც იჯარით იღებდნენ ჩვეულებრივად მეცხოველეობის, უპირატესად მეცხვარეობის მიმდევარ გლეხთა (თემთა, სოფელთა) ამხანაგობები. იჯარის ამ ფორმაზე ქვემოთ შევჩერდებით.

როგორც ცნობილია, კაპიტალისტური წარმოების წესი სოფლის მეურნეობაში თანდათანობით და არათანაბარზომიერად ბატონდება და მას ამ პერიოდში, გენეზისის პერიოდში, თან სდევს ფეოდალურ და საერთოდ კაპიტალიზმამდელ ურთიერთობათა ძლიერი გადანაშთები. სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას, რომ მეცხვარეობის და საზოგადოდ მეცხოველეობის მეურნეობებში, როდესაც ეს დარგები დამოუკიდებელ წარმოების დარგებს წარმოადგენენ, ადამიანები მეტნაკლებად ერთად აწარმოებენ მიწის ექსპლოატაციას, კერძოდ იჯარით აღებული მიწის ექსპლოატაციასაც, რაც, ასეთ ვითარებაში, ექსტენსიურ ხასიათს ატარებს.

მსხვილი იჯარა უფრო გრძელვადიანი ხელშეკრულებით ფორმდებოდა. მსხვილი მოიჯარე, — თუ იგი სოფელი, გლეხთა ამხანაგობა ანდა ერთ გუთნეულში გაერთიანებული მეკომურთა ჯგუფი არ იყო, — მიწას თავის მხრივ იჯარით აძლევდა წვრილ გლეხებს, რომელთაც, ცხადია, უფრო მაღალ საიჯარო გადასახდელს უნიშნავდა[1], მაგრამ მემამულეები, ჩვეულებრივ, ცდილობდნენ რა ხელიდან არ გაეშვათ რენტის ნაწილი, გარდა გამონაკლისებისა, უმეტეს შემთხვევაში ახერხებდნენ უშუალო მწარმოებელთათვის მიეცათ იჯარით მიწები[2].

ამასთანავე მემამულე, საერთოდ მიწის სიმცირის პირობებში დაინტერესებული იყო იჯარის მოკლე ვადიანობით, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა ყოველთვის აეწია იჯარის ქირა[3]. მოკლევადიანი, ჩვეულებრივ ერთწლიან იჯარის დროს მიწათმომქმედს არავითარი გარანტია არ ჰქონდა, რომ მომავალ წელსაც შეინარჩუნებდა მიწას, რადგან მიუხედავად მსხვილი ლატიფუნდიების არსებობისა, საერთო ჯამში უმიწაწყლო გლეხთა, ე. ი. მოიჯარეთა მოთხოვნა 1870-იანი წლებიდან მოყოლებული სულ უფრო მეტად აღემატებოდა მიწების, ე. ი. მეიჯარეთა მიწოდების არსებულ მასშტაბს.

---

[1] МИЭБГКЗК, V, I, 90; VI, 1, 44.
[2] ТКОСХ, 1895 г. № 5, стр. 344.
[3] МИЭБГКЗК. II: 11. 149.

ამის გამო გლეხი, გარდაიჯარის მაღალი, უზომოდ მაღალი ქირისა მემამულეს ხშირად ქრთამსაც აძლევდა, რათა მიწა მისთვის მიეცა დასამუშავებლად.

1880-იანი წლების ცნობით კახეთის ზოგიერთ ადგილებში, განსაკუთრებით ქ. თელავის მჭიდროდ დასახლებულ მიდამოებში, მიწისათვის ძლიერი კონკურენციის გამო, „დაწესებული იყო“ მოიჯარის მიერ გარდა მოსავლის 1/2-ის გადახდისა კიდევ ქრთამის მიცემა. თუ მიწის ერთსადაიმავე ნაკვეთზე რამდენიმე მსურველი გამოჩნდებოდა, მაშინ მიწა ეძლეოდა იმას, ვინც „ჩვეულებრივ იჯარის ტრადიციული ქირის გარდა მოუმატებდა კიდევ ზედმეტ ფულს“ [4]. ამ თავისებური „ქრთამის ნორმა“ ერთ დესეტინაზე 1 მანეთამდე უწევდა [5]. ანდა მოიჯარე გლეხი კისრულობდა ემუშავა მემამულის სასარგებლოდ, შეესრულებია რაიმე მისი დავალება [6]. ქუთაისის გუბერნიაში (მაგ., ქუთაისისა და რაჭის მაზრებში), გარდა მოსავლის კუთვნილი ნაწილისა, მოიჯარეს მემამულისათვის უნდა მიერთმია საჩუქრები პურის, ღვინის, შინაური ფრინველისა და სხვ. სახით [7].

ათიოდე წლით უფრო ადრე ა. ფურცელაძე წერდა: „საცოდაობა ბრუნავს ხოლმე ჩვენს ზოგიერთა სოფლებში, მეტადრე სადაც წვრილი მებატონეები ცხოვრობენ. ბევრგან გლეხკაცი ილებს მამულს სანახევროდ და ამაშიაც-კი ქრთამს აძლევს მემამულეს. მე თვითონ მინახავს, რომ გარდა იმისა, რომ სანახევროდ აეღოთ გლეხებს მამული კიდევ დღიურზედ ხუთი მანეთი ქრთამი გაეღოთ — ოღონდ ჩვენ მოგვანნევინე მამულიო“ [8].

ცხადია, ასეთი დამოკიდებულება წვრილ მოიჯარესა და მემამულეს შორის უფრო გამწვავდებოდა 1900-იანი წლები-

---

[4] МИЭБГКЗК, V, I, 88 — 89.
[5] СМЭБГК, II, 405.
[6] МИЭБГКЗК, V, I, 229.
[7] СМЭБГК, I, I. 172; V, II, 145; МИЭБГКЗК, I, 237—238; II, I, 49.
[8] „გუთნის დედა“, 1873 წ. № 14.

სათვის, რამდენადაც მიწის სიმცირის გამო სულ იზრდებოდა მეტოქეობა მოიჯარე გლეხობას შორის. გურიაში დადგინდა ჩვეულება, რის თანახმადაც გლეხს, რომელიც მიწის იჯარით აღებისათვის მემამულესთან გამოცხადდებოდა, აუცილებლად უნდა მიერთმია ძღვენი ფულის ანუ ქათმის, გოჭისა თუ სხვა წვრილი საკლავის სახით. ასეთი საჩუქრები თავდაპირველად მიჰქონდათ ყამირისათვის, ხოლო მერმე პრაქტიკაში დამკვიდრდა სხვა მიწების მიმართაც[9]. თბილისის გუბერნიის აგრონომი პ. კვიტკა 1913 წელს აღნიშნავდა, რომ ბორჩალოში, მებამბეობის რაიონებში, მიწის მოიჯარეთა შორის არსებული კონკურენციის მეოხებით სულ უფრო ეცემოდა იმ თანხის რაოდენობა, რაც მემამულეს მენახევრე მოიჯარისათვის უნდა მიეცა მიწის დამუშავებისათვის საჭირო ფულადი ხარჯების გასაწევად, ე. ი. არსებითად იზრდებოდა მიწის იჯარის ქირა[10].

ამასთანავე ზოგან ერთი გვარის მემამულეთა ოჯახებს მიწა გაუყოფელი ჰქონდათ, რის გამოც „ხშირად გლეხკაცმა არ იცის ვის მიმართოს... იჯარისათვის... ოცსა და ორმოცს და ზოგან ასსა და ორასს მონაწილეს საერთო მამული აქვთ და თუ გლეხი მარტო ერთს შეეკრა პირობით და ფულიც ჩააბარა, მეორეები არ მოისურვებენ, ვიდრე ჯეროვანის ძღვენის მირთმევით მათაც არ დაამწყალობებსო“, — წერდა ივ. მაჩაბელი[11].

ამგვარად, მოკლევადიანი წვრილი იჯარის პრაქტიკა, გარდაიმისა, რომ საერთოდ უარყოფით გავლენას ახდენდა მიწათმოქმედების კულტურაზე, ზედმეტ შანსებს უქმნიდა მიწათმფლობელს საადგილმამულო რენტის გაზრდისა და მოიჯარეთა, უ. ი. სავსებით უმიწაწყლო ან წვრილი გლეხობის თავის პირად დამოკიდებულებაში მოქცევისათვის.

[9] „Аграрный вопрос в Гурии“ (КСХ, 1905 г. № 574, стр. 166).

[10] ОГЗАЗ, 290.

[11] გაზ. „დროება“, 1883 წ. № 254.

წვრილი და მოკლევადიანი იჯარა გავრცელებული იყო რუსეთშიაც: კერძოდ წლიურად გაცემული იყო ცენტრსა და სამხრეთ-დასავლეთში საერთოდ იჯარით აღებული მიწის დაახლოებით 70 პროცენტი, ხოლო სამხრეთში — 50 პროცენტი[12]. მაგრამ ამიერკავკასიასთან შედარებით, აპრიორულად შეგვიძლია ვილაპარაკოთ, რომ მოკლევადიანი იჯარის გავრცელების ეს პროცენტი მაინც დაბალია.

მიახლოებითი გამოანგარიშებით წვრილი და მოკლევადიანი იჯარით აღებული მიწა ამიერკავკასიაში შეადგენდა საერთოდ იჯარით აღებული დასამუშავებელი მიწის, სულ მცირე 85 — 90 პროცენტს. მაგრამ ეს პროცენტი მნიშვნელოვნად უფრო დაბალიც რომ იყოს, იგი მაინც მაჩვენებელი იქნებოდა ჩვენი გლეხური მეურნეობის, რუსეთის გლეხურ მეურნეობასთან შედარებით (სადაც შესაბამისი პროცენტი 50—70-ს არ აღემატებოდა) მძიმე მდგომარეობისა, თუნდაც მხოლოდ იმ გარემოების მეოხებით, რომ ამიერკავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს სოფლის ეკონომიკაში, მემცენარეობის დარგთა შორის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა მ რ ა ვ ა ლ წ ლ ი ა ნ ნ ა რ გ ა ვ თ ა კ ულ ტ ურ ა, რისი შემდგომი განვითარება — მოსახლეობის გამრავლების შესაბამისად — მიუხედავად ინტენსიურობისა და შემოსავლიანობისა, რასაკვირველია. ძ ა ლ ზ ე ი ზ ღ უ დ ე ბ ო დ ა მ ო კ ლ ე ვ ა დ ი ა ნ ი ი ჯ ა რ ი თ, რ ა ც მ ე მ ა მ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს, როგორც დავინახეთ, უ ფ რ ო ს ა რ ფ ი ა ნ ი ი ყ ო.

მოკლევადიანი იჯარა ჩვეულებრივ წერილობით არ ფორმდებოდა. სამაგიეროდ გრძელვადიანი იჯარისათვის ასეთი ფორმალობა აუცილებელი იყო, რაც, თავისთავად ცხადია, აძნელებდა (ხელშეკრულების დაწერა, მოწმეების შოვნა, ხელისუფლების მხრივ შემოწმება და სხვ.) გლეხობისათვის მიწის გრძელი ვადით აღებას. მოკლევადიანი საიჯარო გარიგება გრძელდებოდა 1—3 წლის განმავლობაში, ხოლო გრძელვადიანი

[12] Проф. К а р ы ш е в, „Аренда земли в России и Ирландии". 1895. М.

4 — 30 წელსა და უფრო მეტ ხანსაც, მაგრამ ყველაზე უფრო გავრცელებული გრძელვადიანი საიჯარო წერილობითი ხელშეკრულება 7—12 წლით განისაზღვრებოდა[13].

ბ. გრძელვადიანი იჯარა. სანაშენო. ხიზნობა.

საქართველოში ცნობილი იყო თავისებური საიჯარო დამოკიდებულება, რომელიც, ჩვენ ვფიქრობთ, აქ აღმოცენებულია სახელდობრ მრავალწლიან ნარგავთა მეურნეობის სპეციფიკურობის საფუძველზე. რამდენადაც ჩვენ ვიცით იჯარის ასეთი ფორმის შესატყვისი ტერმინი (სახელწოდება) სხვაგან არაა აღნიშნული. თუ მხედველობაში არ მივიღებთ კავკასიის ზოგიერთ კუთხეს, სადაც იგი ეტყობა საქართველოდანაა შესული.

მრავალწლიანი ნარგავები, კერძოდ ვენახი (ვაზი) აგრეთვე ხეხილი და სხვ., სისტემატურ, უწყვეტელ მუშაობას, პატრონობას მოითხოვს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ასეთი კულტურები პირველ მოსავალს, ჩვეულებრივ, გაშენებიდან მხოლოდ 3 — 4 წლის შემდეგ იძლევიან, ხოლო სრულმოსავლიანობაში კიდევ უფრო გვიან შედიან. ასე რომ აქ, ბუნებრივია, 1 — 3 წლიანი საიჯარო დამოკიდებულება შეუსაბამო იქნებოდა. ამიტომაც ცხოვრებას გამოუმუშავებია შესაფერისი ფორმა, სახელდობრ, სანაშენო იჯარის სახით. ამ სახეობის იჯარას ექვივალენტური შესატყვისი არა აქვს სხვა ენებში და ჯერ კიდევ 1860 — 1880-იანი წლებიდან ქართული ტერმინი „სანაშენო" შევიდა როგორც რუსულ, ისე დას. ევროპულ მეცნიერულ ლიტერატურაში, ხოლო ამიერკავკასიის ხალხებში ადრიდანვე იყო გავრცელებული[14].

საქართველოში—მრავალწლიან ნარგავთა კლასიკურ ქვეყანაში — ბუნებრივია რომ ამ ფორმის საადგილმამულო იჯარა ადრიდგანვე უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული. მართლაც,

---

[13] МИЭБГКЗК, I, 34, 235; II, 335; IV, I, 78; V, I, 426; V, II, 200; VI, I, 43 — 44; VI, II, 122 — 123, 386; VII, 475.

[14] С. Егиазаров, назв. соч., I, 203 — 204.

ძველ ქართულ ისტორიულ საბუთებში შემონახული ტერმინი „მიწისაღებაჲ საშენებლად“, აკად. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ჩვეულებრივად ვენახის გაშენების მიზნით იჯარით აღებული მიწისათვის დადებულ ხელშეკრულებას ნიშნავდა. ამასთანავე ძველი ქართული სამართლის მიხედვით „არამესაკუთრე გამშენებელს გაშენებული ვენახის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა“ [15]. კერძოდ შიო მღვიმის ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ ვენახის გასაშენებლად აღებული მიწა „რა აღეშენა, ორად გაეყო“ — ნახევარი მონაშენეს (გამშენებელს), ხოლო მეორე ნახევარი მენაშენეს (მიწის პატრონს) „დაემჭირა“ [16].

საინტერესოა, რომ საიჯარო ურთიერთობის ეს თავისებური ფორმა უკვე მე-19 საუკუნის დამდეგს ადათობრივი სამართლიდან წერილობითში გადადის. 1810-იან წლებში ჩაწერილ „ქართველ მეფეთა დროთაგან შემოღებულნი ჰსჯულნი“-ს 58 მუხლში ვკითხულობთ: „უკეთუ ვინმე მისცემდა ვისმე ცარიელს მიწას ვენახად რომ აეშენებინა, მათ შუა ამისთვის პირობა როგორც იქნებოდა წერილით იმას ვერ გარდასცილდებოდნენ და როდესაც ვადა შესრულდებოდა შუა გაიყოფოდენ მიწის პატრონი და ამშენებელი, ანუ გააკეთებდენ საერთოდ და მოსავალს შუა გაიყოფდენ და თუ ვენახის გამკეთებელი კაცი მოსული იქნებოდა და იმას თავის ბატონი აყრიდა მისი ნაშენობა დაფასდებოდა და ნახევარ ფასს მამულის პატრონი ამშენებელს მისცემდა, მაგრამ რაც პირველივე წერილით პირობა დაიდებოდა ისე გარდასწყდებოდა და უკეთუ მამულის პატრონი იმ მამულის გასყიდვას მოინდომებდა იმის სყიდვა გამკეთებელს შეხვდებოდა და თუ ის არ იყიდდა

---

[15] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული სამართლის ისტორია“, ტ. II, ნაწ. II, 439.

[16] იქვე; „შიო მღვიმის ისტ. საბუთები“, გვ. 60.

შემდგომ მამულის პატრონს ეძლო ვისთვისაც სდომიყო მიეყიდნა“ [17].

სანაშენო იჯარა 1884 წელს, კერძოდ ოზურგეთის მაზრაში (ქუთ. გუბ.), დაწერილებით აღწერა დ. ნ ო ს ო ვ ი ჩ მ ა [18]. სანაშენო იჯარის სახით მევენახე გლეხი მემამულისაგან ღებულობს მიწის შესაფერის ნაკვეთს, სადაც უნდა გააშენოს ვენახი. ძველად სანაშენო იჯარის პირობა სიტყვიერად იდებოდა, მაგრამ შემდეგში, მე-18 საუკუნის მიწურულიდან, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდება წერილობითი ხელშეკრულებები [19]. 1880-იან წლებში „უკვე ჩვეულებად იყო“ იჯარის წერილობითი ხელშეკრულებით გაფორმება. ხელშეკრულების დადების დროს მოიჯარე მემამულეს უხდიდა მიწის ნაკვეთის ფასის 1/4 ან 1/6 ნაწილს. ამ მომენტიდან მოიჯარე მ ო ნ ა შ ე ნ ე ა. წერილობითი იჯარის ვადა 6-დან 9 წლამდე გრძელდებოდა. მონაშენეს უნდა გაეწმინდა მიწა და გაეშენებია თუთისხეები (ბეოლა) და ვაზები. ვენახი ოთხმოცდაან წლებში ჩვეულებრივად კიდევ მაღლარი იგულისხმებოდა. პირობაში ზუსტად იყო განსაზღვრული, თუ რამდენი ძირი და რადარა ჯიშის ხე და რა ჯიშის ვაზი უნდა ყოფილიყო გაშენებული. ამ სახით გაკეთებულ დობილოში (დობიროში, ბაბილოში) ჩაითესებოდა აგრეთვე სიმინდი ან ღომი.

წერილობითი იჯარის ვადის გასვლამდე მონაშენე მემამულეს აძლევდა მარცვლეულიდან მიღებული მოსავლის მეექვსედს (იშვიათად მესამედსაც), ხოლო ყურძენი და ხილი მთლიანად მონაშენეს ეკუთვნოდა. ვადის გასვლისას თუ აღმოჩნდებოდა, რომ მონაშენემ ვალდებულება ჯეროვანად ვერ შეასრულა, ე. ი. ვენახი ვერ გააშენა, იგი უნდა ჩამოცილებოდა ნაკვეთს, და პირობის შეკვრის დროს მემამულისათვის გადახდილი ფული, ისევე როგორც ნაკვეთზე გაწეული შრომაც, მას ეკარგებოდა. თუ მონაშენე ვალდებულებას

[17] „ქართველ მეფეთა დროთაგან შემოღებულნი ჰსჯულნი“, პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ს პუბლიკაცია („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1938, III, 87).

[18] МИЭБГКЗК, I, 785 — 788.

[19] С. А в а л и а н и, „Крестьянский вопрос в Закавказье“, IV, 204.

დროზე და ჯეროვანად შეასრულებდა, მაშინ, ნაკვეთი (ვენახი) რჩებოდა მის სარგებლობაში განუსაზღვრელი ვადით. მოიჯარე ამიერიდანაც საკუთარი საშუალებით ეწეოდა ყოველგვარ მუშაობას და მიღებული მოსავლის (ღვინის, ხეხილის) ნახევარს უხდიდა მემამულეს. ჭაჭა მოიჯარეს (მონაშენეს) რჩებოდა და მხოლოდ მას ეკუთვნოდა ვენახში ჩათესილი მარცვლეული თუ ბოსტნეული.

საბოლოო ანგარიშით სანაშენო იჯარა უვადო იყო: ვენახი, ადათის მიხედვით, მემკვიდრეობით რჩებოდა მონაშენე-მოიჯარეს, რომელსაც ამიერიდან თავისი თავი ნაკვეთის ნახევრის პატრონადაც მიაჩნდა. პირველი ხელშეკრულებით დადგენილი პერიოდის შემდეგ საიჯარო დამოკიდებულების დარღვევა მემამულეს სურვილისამებრ შეეძლო, ოღონდ ვენახის ნახევარი მოიჯარისათვის უნდა მიეცა. ამ დროიდან მონაშენე მის მიერ მემამულის მიწაზე გაშენებული ვენახის ნახევრის ნამდვილი მეპატრონე ხდებოდა, და ამ სახით სანაშენო იჯარის დამოკიდებულებაც უქმდებოდა.

მონაშენეს, თავის მხრივ, არ შეეძლო საიჯარო დამოკიდებულების შეწყვეტა, თუ მემამულის სურვილიც არ იყო. პირველი პერიოდის გასვლის შემდეგ, ე. ი. უვადო სარგებლობის პერიოდში, სანაშენო იჯარის უფლებრივი მხარე ადათობრივ სამართალზე იყო დაფუძნებული და არავითარი წერილობითი პირობით არ განისაზღვრებოდა და არც მონაშენესა და მემამულეს შორის იმთავითვე დადებულ წერილობით ხელშეკრულებაში იყო რაიმე ნათქვამი მერმინდელი ურთიერთობის შესახებ. მიუხედავად ამისა, როგორც დ. ნოსოვიჩი აღნიშნავდა, „დღემდე სანაშენოს დარღვევის შემთხვევა არ ყოფილა“ [20] ცხოვრებაში [21].

ამგვარად, სანაშენო იჯარის პირველი პერიოდი, ე. ი. საკუთრად ვენახის გაშენების პერიოდი, წერილობითი

---

[20] ძირითადად ანალოგიური იყო სანაშენო იჯარის ფორმა აღმ. საქართველოშიაც. იხ. ჩვენი „Сельское хоз. и аграрн. отношения“, II, 217—218, 231—233, 235—238. 344—346.

[21] МИЭБГКЗК, I, 786.

ხელშეკრულებით განისაზღვრებოდა, მერმე კი მონაშენე არსებითად ჩვეულებრივი მენახევრე-მესაკუთრე იყო და თუ მემამულე ამიერიდანაც ვენახის მის კუთვნილ ნახევარს „მოიჯარეს“ უტოვებდა, ამით სინამდვილეში უკანასკნელს ხდიდა თავის წინაშე შრომამიგების საფუძველზე დამოკიდებულ გლეხად, რომელსაც თითქმის სავსებით მუქთად უნდა დაემუშავებია ვენახის ის ნაწილიც, რომლის მთელი მოსავალი მემამულისა იყო. აქედან გასაგებია, თუ რატომ ჰქონდა უფლება მხოლოდ მემამულეს ამ ფორმის საიჯარო დამოკიდებულების შეწყვეტისა, მაშინ როდესაც ყველა სხვა ფორმის იჯარის დროს ორივე მხარე თანაბრად სარგებლობდნენ ამ უფლებით.

აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მევენახეობის როგორც საერთოდ ძვირფასი კულტურის და განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი მევენახეობის არეალი თვით ბუნებრივი პირობებით იყო განსაზღვრული და, ცხადია, ასეთი მიწების მესაკუთრეთა მონოპოლიური მდგომარეობა უფრო რელიეფურად ვლინდებოდა საერთოდ საიჯარო ურთიერთობაში. როგორც ცნობილია „ვენახი, რომელიც სრულიად განსაკუთრებულ თვისების ღვინოს აწარმოებს, ღვინოს, რომელიც მხოლოდ შედარებით მცირე რაოდენობით შეიძლება წარმოებულ იქნას, მონოპოლიურ ფასს იძლევა. ამ მონოპოლიური ფასის მეოხებით, რომლის გარდამეტიც პროდუქტის ღირებულებაზე მხოლოდ და მხოლოდ წარჩინებულ ღვინის მსმელთა სიმდიდრით და გემოვნებით განისაზღვრება, ღვინის მწარმოებელს შეეძლო მნიშვნელოვანი დამატებითი მოგების რეალიზაცია მოეხდინა. ეს დამატებითი მოგება, რაც აქ მონოპოლური ფასიდან გამომდინარეობს, მიწის რენტად იქცევა და ამ სახით მიწის მესაკუთრეს ხვდება მისივე იმ ტიტულის გამო, რომელიც მას დედამიწის ამ განსაკუთრებული თვისებით დაჯილდოებულ ნაკვეთზე აქვს“ [22].

---

[22] კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. III, ნაწ. II, გვ. 295 — 296.

სანაშენო იჯარისათვის აბსოლუტურად არაფერია ნათქვამი ამიერკავკასიის შესახებ ცარიზმის კანონმდებლობაში. დღემდე არავითარი სპეციალური გამოკვლევაც არ არსებობს ამ საინტერესო საკითხზე, მიუხედავად იმისა, რომ სანაშენო იჯარის პრაქტიკამ თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც-კი მოაღწია. 1920 წელს პროფ. ს. ავალიანი წერდა: „ადათობრივი სამართალი იცნობს ამ ინსტიტუტს, მაგრამ ინსტიტუტი თითქმის გამქრალიაო“ [23]. სანაშენო იჯარის საკითხზე ჩვენ სპეციალურად გვაქვს მსჯელობა მევენახეობის ისტორიისათვის მიძღვნილს მონოგრაფიაში, რის გამოც აქ ასე მოკლედ ვისაზღვრებით.

* * *

მიწის იჯარის თავისებური ფორმა შეიქმნა საქართველოში აგრეთვე ხიზნობის ინსტიტუტის სახით.

ჩვენ აქ, ცხადია, არ ვეხებით საერთოდ ხიზნობას, როგორც გლეხობის გარკვეულ კატეგორიას. ამ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობის საგანია ხიზნობა მხოლოდ როგორც მიწის იჯარის თავისებური ფორმა. ხიზნობის გარშემო რეფორმის მერმინდელ პერიოდში და კერძოდ მე-20 ს. პირველ ორ ათეულ წლებში გაჩაღებულმა კლასობრივმა და, მაშასადამე, პოლიტიკურმა ბრძოლამ იგი ქართული პუბლიცისტიკისა და თვით ადმინისტრაციის აქტუალურ საკითხად გადააქცია. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ხიზნობის ინსტიტუტის შედარებით დაწვრილებით შესწავლას და მაშასადამე ამ თემაზე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურის შექმნას. მათში ყველაზე მნიშვნელოვანია ი. ჭავჭავაძის, მ. კუჩაევის [24], ქ. ვერმიშევისა და პროფ. ს. ავალიანის გამოკვლევები [25].

---

[23] С. Авалиани, „Крестьянский вопрос в Закавказье“, 1920, Тифлис, т. IV, стр. 205.

[24] М. Кучаев, „Материалы для изучения хизанского положения в Грузии“, 1893 г.

[25] С. Авалиани, „Крестьянский вопрос в Закавказье“, IV, 141 — 203.

ხიზანი (მინდობილი — დას. საქართველოში) პირადად თავისუფალი მიწის მუშაა. ხიზნობა საქართველოში ადრიდანვეა ცნობილი. თავდაპირველი მნიშვნელობით ხიზანი დროებით, ომიანობის, გადამდებ სნეულებათა და სხვ., მიზეზით გახიზნულს თუ შეხიზნულს და, ამგვარად, იქნებ, მოკლევადიან მეიჯარესაც, რომელიც ომიანობის დამთავრების შემდეგ თავის ფუძეს უბრუნდებოდა, ეწოდებოდა.

ა ბ უ ს ე რ ი ძ ე ტ ბ ე ლ ი ს თხზულებაში (1233 წ.) ვკითხულობთ: „სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსა ივლტოდა ხ ი ზ ნ ო ბ ა დ შიშისათვის ხუარაზმელთასაო“ [26]. ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ც ამავე აზრით განმარტავს — ხიზნობა: „მტერთა და სენთა დარიდება“ [27].

ამგვარად, სხვა რაიონებში გახიზნულთ, რამდენადაც ომიანობა და გადამდები სნეულებანი (მაგალითად, შავი ჭირი, ჟამი) შეიძლებოდა წლობით გაგრძელებულიყო, მოუხდებოდათ სხვისი მიწების დამუშავებაც და, ბუნებრივია, მიწის სარგებლობის ეს წესი დროებითი, მოკლევადიანი იჯარის ფორმის მატარებელი იქნებოდა.

შემდეგში ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის დარღვევის, მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის მტერთაგან მიტაცების და სხვ. მიზეზით ერთი რაიონიდან (ოკუპირებული პროვინციებიდან) მეორეში დროებით გახიზნული მოსახლეობა უკვე დიდიხნით, სამუდამოდ რჩებოდა ამ ადგილზე. აგრეთვე სხვა, მეზობელი ქვეყნიდან მტერთაგან, თუ სხვა მიზეზით შევიწროებული მოსახლეობა თავს აფარებდა საქართველოს, რჩებოდა აქ როგორც ხიზანი იმ ფეოდალისა, რომლის მიწაზედაც, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, იგი დაეშენებოდა.

ამგვარად, ხიზნობის წარმოშობის მიზეზი იყო საქართველოს ქარიშხლიანი ისტორიული წარსული: გამუდმებული

---

[26] ა ბ უ ს ე რ ი ძ ე, ტ ბ ე ლ ი, „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე“, ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს პუბლიკაცია, 1941, თბ. გვ. 64.

[27] ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ქართული ლექსიკონი“, 1928. ტფ.

ომები, შემოსევები, თარეშები, ჭირი, შიმშილი, შინაგანი ბრძოლები მთავრებსა თუ ფეოდალებს შორის, რომელთა შედეგად, ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტის ან მოშლის პირობებში, გლეხობა იძულებული ხდებოდა გადასულიყო ადგილიდან ადგილზე; — ან. იგი უნდა გაქცეოდა მრისხანე ბატონს და თავშესაფარი ეძია სხვა სამთავროში, მინდობოდა (შეხიზნებოდა) შორეულ მემამულეს; — გახიზნულიყო საერთოდ სახელმწიფოს საზღვრების ზონებიდან, სადაც, ხშირი სამხედრო ოპერაციების მეოხებით, გარდა იმისა, რომ ნადგურდებოდა მთელი სახალხო მეურნეობა, შეუძლებელი იყო საერთოდ მშვიდობიანი ცხოვრება და სხვ. ხიზნობის ისტორიის ზემოთ დასახელებულ მკვლევართა უმრავლესობის შეხედულებით ხიზნობის გაჩენის, ე. ი. მექანიკური გამრავლების ეპოქა მხოლოდ მე-19 საუკუნემდე გრძელდებოდა[28]. სინამდვილეში მე-19 საუკუნეშიაც, მაგალითად, გორის მაზრაში, ხიზანთა რიცხვი იზრდებოდა ახალი, გარედან მოსული ელემენტების შემატებით.

ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ხიზნობის შესახებ თავის საინტერესო გამოკვლევაში (1886 წ.), ფაქტიური მონაცემების საფუძველზე ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა კატეგორიის უმიწაწყლო გლეხები ხიზნებად იქცეოდნენ თვით 1860-იანი წლების შემდეგაც, ისეთ წლებში, როდესაც არც ომები და შინაგანი თარეშები, არც შიმშილობა და ჭირი არ ყოფილა[29]. ამგვარად იგი, ანვითარებდა რა სავსებით თავისებურ შეხედულებას ხიზნობის წარმოშობის შესახებ, წერდა: რამდენადაც „მიწა და ხელი განცალკევებულია... მუდამ იქნება მიწის ამღები მუშა და მიწის გამცემი პატრონი“[30]. ამგვარად, „ხიზნების საქმე იმ გარემოებიდანაა წარმომდგარი, რომ ერთს მიწა ჰქონია უხელოდ და მეორეს ხელი უმიწოდ“[31]. სწორედ ამიტომაც, ილიას განმარტებით, ხიზნობა „არის უხელო მიწის

[28] Х. Вермишев, „Хизаны и хизанство“, 1885. Тифлис, 8, 9.

[29] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ხიზნობის საქმე“ (ნარკვევი მეორე), თხზულებანი, VIII, 173.

[30] იქვე, 157, 162.

[31] იქვე, 156, 172.

და უმიწო ხელის ერთმანეთთან მორიგება კეთილნებური, ეკონომიურს ანგარიშზედ აშენებული“ [32].

ხიზნობის წარმოშობაზე თავისებური შეხედულებაა წამოყენებული აგრეთვე ხიზნობის ინსტიტუტის შესახებ ყველაზე ადრინდელი და თანაც პირველი სერიოზული ნარკვევის ავტორის, მ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ: ხიზნობა წარმოიშობოდა შედეგად მთასა თუ ბარში სახელმწიფო, საეკლესიო თუ საბატონო გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწების სიმცირის მიზეზით, რის გამოც გლეხობა იძულებული იყო შეხიზნოდა დასამუშავებლად ვარგისი თავისუფალი მიწის მფლობელს, ჩვეულებრივ მსხვილ ფეოდალს, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური მხრივაც ძლიერი იყო და საჭირო შემთხვევაში მფარველადაც გამოდიოდა [33].

საერთოდ ხიზნობის ინსტიტუტის საბჭოთამდელ მკვლევართა შრომებში, როგორც აღვნიშნეთ, საინტერესო მასალაა შემონახული, ხოლო თვით ხიზნობის წარმოშობისა და არსის შესახებ მათი მოსაზრებები, ცხადია, კრიტიკას ვერ უძლებენ.

ხიზნობა უმთავრესად საადგილმამულო ურთიერთობის თავისებური ფორმა იყო. საადგილმამულო ურთიერთობის ეს ფორმა-კი საიჯარო დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. ხ ი ზ ა ნ ი ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ს ე თ ი მ ო ი ჯ ა რ ე ი ყ ო, რ ო მ ე ლ ი ც ი ჯ დ ა (ე ს ა ხ ლ ა) ი ჯ ა რ ი თ ა ღ ე ბ უ ლ მ ი წ ა ზ ე დ ა რ ო მ ე ლ ს ა ც მ ი ც ე მ უ ლ ი ჰ ქ ო ნ დ ა ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ რ ი ვ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ჭ ი რ ო ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი ს ა ხ მ ა რ ი მ ი წ ა. ს ა ცხოვრებელ სახლსა და სამეურნეო ნაგებობათ თვით. ხიზანი აშენებდა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც მემამულე ხიზანს აძლევდა ასე თუ ისე მოწყობილ კარმიდამოს [34]. ხიზანს ტრადიციით, უფლება ჰქონდა ესარგებლა მემამულის ტყით, საბალახოთი, სათიბით, სარწყავი წყლით.

[32] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ხიზნობის საქმე“ (ნარკვევი მეორე), თხზულებანი, VIII, 173.

[33] იხ. П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, I, 405.

[34] იქვე, 409; АСКАК, XII, стр. 213 — 220.

ხიზანი შეიძლება ყოფილიყო ადგილობრივი, მოცემული რაიონის გლეხი, ანდა შორეული, უცხო, სხვა ტომის ადამიანიც, რომელიც უწინარეს „სტუმრის“ სახით მიიღებოდა, ხოლო მერმე, საჭირო მიწის ფართობის (საკომლოს) მიცემისა და სხვა საკითხებში მორიგების შემდეგ, გახდებოდა ხიზანი.

ხიზნობა, როგორც საადგილმამულო იჯარის ფორმა, ადრიდანვე წერილობითი ხელშეკრულებითაც ფორმდებოდა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში პირობა მხოლოდ ზეპირი იყო. ხ ი ზ ა ნ ი-მ ო ი ჯ ა რ ე მიწას უ ვ ა დ ო სარგებლობაში ღებულობდა, მაგრამ, ცხადია, ეს არ იყო მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ი და ა რ ც მ უ დ მ ი ვ ი იჯარა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს იყო უ ვ ა დ ო-მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ი იჯარა. უ ვ ა დ ო, რამდენადაც ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული თუ რამდენხანს გაგრძელდებოდა საიჯარო (ხიზნური) ურთიერთობა და მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ი, რამდენადაც, ჩვეულებრივად, ხიზანი-მამის საადგილმამულო უფლება-ვალდებულება გადადიოდა შვილზე. ხიზანს შეეძლო სურვილისამებრ აყრილიყო და გადასულიყო სხვაგან, დაეტოვებია მემამულე, რომელთანაც მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობა (უმიწობა) აკავშირებდა[35].

მაგრამ რამდენადაც ხიზნები, როგორც წესი, მიწისმუშები, ე. ი. ბინადარი ხალხი იყო და ერთხელ დაჭერილ მიწასთან ერთ აკავშირებდა სახლკარი, ბაღ-ვენახი (მრავალწლიანი ნარგავები) და სხვ., ცხადია, თუ არა მემამულის მხრივ უკიდურესი შევიწროება, ხიზნები მემკვიდრეობით რჩებოდნენ იქ, სადაც დაეშენებოდნენ. ამასთანავე ვ ა ხ ტ ა ნ გ VI კანონით შეხიზნული (მინდობილი) გლეხი, რომელიც ერთ მემამულესთან დარჩებოდა 30 წელზე მეტ ხანს, — ე. ი. მოსახლეობის აღწერის ორ პერიოდზე მეტი დროის განმავლობაში, — ჰკარგავდა მიწის (მემამულის) დატოვების უფლებას, მაშასადამე, ჰკარგავდა პირად თავისუფლებას, იქცეოდა ყმად[36].

---

[35] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...“, IV, стр. 652—766.
[36] „Сборник законов ц. Вахтанга“. 1887, Тифлис, § 199, стр. 57.

ამგვარად, გამოდის რომ ხიზანს გარკვეული დროის შემდეგ ყმად გადაქცევიდან თავის დაღწევა შეეძლო მხოლოდ დროზე აყრითა და სხვაგან გადასახლებით. ამ გაგებით, საფიქრებელია, რომ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI კანონის, ან მისი ანალოგიური ადათობრივი სამართლის მოქმედების პერიოდში ხიზნობა, როგორც მიწის იჯარის ფორმა 30 წელზე მეტხანს არ გრძელდებოდა. მე-19 საუკუნიდან-კი ხიზნობის ვადა არსებითად არ ისაზღვრებოდა, მემამულეს ხიზნის ყმად გადაქცევა არ შეეძლო იურიდიულად, თუმცა სინამდვილეში ხიზანი შეიძლება ყმის მდგომარეობამდე ყოფილიყო დაყვანილი.

აღსანიშნავია, რომ 1883 წ. შეგროვილი მონაცემების მიხედვით ხიზანთა საერთო რაოდენობიდან მემამულეთა მიწაზე ესახლა (კომლობით) [37]:

დ რ ო	თბილისის გუბერნიაში	ქუთაისის გუბერნიაში	ს უ ლ
5 წელზე ნაკლები	284	158	442
5—10 წლიწადი	648	363	1011
10—50	4436	1.054	5490
50—100	1311	312	1623
	6670	1887	8566

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მრავალად ყოფილა ხიზნები, რომელთაც თავიანთი მდგომარეობა, ე. ი. საიჯარო დამოკიდებულება და, მაშასადამე, პირადი დამოუკიდებლობა (თავისუფლება) შეუნარჩუნებიათ საკმაოდ დიდი ხნის — 50 — 100 წლის — განმავლობაში. ცხადია, აქ ლაპარაკია ხიზნებზე, რომლებიც მემამულეთა მიწებზე ესახლენ. მე-19 საუკუნიდან გაჩნდნენ ისეთი „ხიზნებიც“, რომლებიც ესახლენ სახელმწიფო, საეკლესიო და საკუთარ მიწაზედაც. ცხადია, ესენი

[37] „Сборник стат. данных...“, прилож. III, стр. 40, 62.

არსებითად არა ხიზნებს (მინდობილებს), არამედ ჩვეულებრივ მოიჯარეებს წარმოადგენდნენ.

მომრიგებელ მოსამართლე დ. ჯორჯაძის განმარტებით, როდესაც ხიზანი მამულს თავისი ნებით სტოვებდა, მაშინ, გარდა იმისა, რომ ეკარგებოდა საიჯარო მიწის გაუმჯობესებისათვის (ვენახის გაშენება, სახლ-კარის მოწყობა და სხვ.) გაწეული მთელი შრომა და კაპიტალი, იგი მემამულეს უტოვებდა აგრეთვე მთელი მოძრავი ქონების ნახევარსაც; მაგრამ როდესაც მემამულის მოთხოვნით ხიზანი იძულებული ხდებოდა აყრილიყო, მაშინ მემამულეს ხიზნისათვის უნდა აენაზღაურებია საიჯარო მიწის გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები და შრომა, აგრეთვე საცხოვრებელ და სხვ. შენობათა ღირებულება, ხოლო მთელი მოძრავი ქონება თვით ხაზინას რჩებოდა [38].

რეფორმამდელ პერიოდში ხიზანსა და მემამულეს შორის ყოველგვარი დავა, რაც საერთოდ არც თუ ისე ხშირი იყო, ადათობრივი სამართლის მიხედვით წყდებოდა. მაგრამ ბატონყმობის გაუქმების დროიდან იჯარის ქირის სწრაფმა ზრდამ ააფორიაქა მათ შორის აქამდე არსებული „პატრიარქალური და უწყინარი“ დამოკიდებულება და მით უფრო როგორც კი დაისვა საკითხი, თუ ვის უნდა დარჩენოდა ხიზანთა სარგებლობაში მყოფი მიწები [39].

ხიზნები პრეტენზიას აცხადებდნენ, რომ მიწები, რომლებზედაც ისინი ესოდენ დიდი ხანია დაფუძნებული არიან და „საკუთარი ოფლით გაუშენებიათ“, მათსავე საკუთრებას უნდა შეადგენდეს.

ბატონყმობის გაუქმების შესახებ პროექტების შედგენის დროს ქართელი მემამულეებისაგან მიცემული ცნობით „ხიზანი განსხვავდება ჩვენთა ყმათაგან მხოლოდღა ამით, რომელ ვერ გამოვართმევთ პურსა, ღალას გარდა, ფულს ვერ შევაწერთ, საჩექმეს, საქვრივოს და გასამყრელოს და

---

[38] МИЭБГКЗК, I, 402.

[39] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1955. т. IV, стр. 15.

მოსამსახურეს ვერ მოვთხოვთ; სხვა ყოველსავე სამსახურს ხიზნები აღასრულებენ თანასწორ ყმათა ჩვენთაო“ [40].

მაგრამ მას მერმე რაც საგლეხო რეფორმას მოყვა ხშირად ყმურ მდგომარეობამდე დაყვანილ ხიზანთა მასობრივი ამოძრავება მემამულეები დაფრთხნენ და, აი, მათ დაიწყეს ხიზნებთან ხელშეკრულებების განახლება, სიტყვიერის მაგივრად წერილობით პირობათა დადება, რომ მიწა მემამულის საკუთრებაა და ხიზანი მხოლოდ მოიჯარეა. უკიდურეს შემთხვევაში, ზოგან შეუდგნენ ხიზნების ძალით აყრასაც... მდგომარეობა ძალზე გამწვავდა. ამ აგრარულმა მოძრაობამ, განსაკუთრებით 1860—1880-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩაითრია ფართო საზოგადოებრიობა, იგი შეიქნა პრესის, პუბლიცისტიკისა და 1890 — 1900 წლებში კიდევ მწვავე პარტიულ-პოლიტიკური დისკუსიების საგანი [41].

1870-იანი წლებიდან მოყოლებული ხიზნური ურთიერთობის თანდათანი გამწვავების საიდუმლოება მარტივად აიხსნება. ბატონყმობის გაუქმების დროიდან ყოფილ ყმა-გლეხთათვის სანადელო მიწების გამოყოფამ, მწარმოებლურ ძალთა განვითარების მეოხებით წინათ უხნავად, უკაცრიელად მიტოვებული მიწების დამუშავებამ, რაც მოსახლეობის გამრავლების პარალელურად სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა, რასაკვირველია, გამოიწვია მიწის იჯარის ქირის ამაღლება. მით უმეტეს, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გამრავლდა მცირემიწიანი ან სავსებით უმიწო გლეხობა, რომელთა უდიდეს ნაწილს, მრეწველობისა და, მაშასადამე, საქალაქო ცხოვრების განუვითარებლობის პირობებში, სხვა გზა არ ჰქონდა, თუ არა იჯარით აღებული მიწის დამუშავება. რაც უფრო იზრდებოდა მოთხოვნილება საიჯარო მიწაზე, ცხადია, მით უფრო აიწევდა იჯარის ქირაც, ღალაც. თუ მემამულეები წინათ მიწებს სამეათედოდაც სიამოვნებით

[40] П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, стр. 82.

[41] ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1943. თბ. 116—117; Г. Туманов, „Земельные вопросы и преступность на Кавказе“, 1901. СПБ. 98 — 111 ff.

აძლევდნენ, ახლა უკვე გლეხობა მზად იყო სამეოთხედოთ, სამესამედოთ და მალე სანახევროდაც დაუმუშავებიათ იგივე მიწა.

ასეთ პირობებში, როდესაც მიწის იჯარის ქირა ყოველწლიურად იზრდებოდა, ცხადია, მემამულისათვის ხიზნობა, ე. ი. უვადო-მემკვიდრეობითი იჯარა არახელსაყრელი იყო, რადგან ხიზნისათვის მემამულეს არ შეეძლო კონიუნქტურისამებრ გაედიდებია იჯარის ფასი. ამავე დროს რუსეთის კანონები არ ცნობდნენ მიწის უვადო იჯარის ინსტიტუტს. მემამულეებმა ხალისით მიმართეს ამ კანონს და სასამართლოს წესით დაიწყეს თავიანთი მამულებიდან ხიზანთა გაძევება[42]. ხიზნებმა ამაში, ცხადია, დაინახეს უარყოფა საუკუნეებრივად განმტკიცებული ტრადიციისა, აბუჩად აგდება მათი სასიცოცხლო ინტერესებისა და უფლებებისა.

ცარიზმის ხელისუფლებამ ხიზნობის ინსტიტუტის შესახებ ასე თუ ისე სრული დადგენილება პირველად გამოსცა მხოლოდ 1891 წელს. თუ აქამდე სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებს ხიზნობა მიაჩნდათ ჩვეულებრივ უვადო საიჯარო დამოკიდებულებად, 1891 წ. 3 ივნისის დებულებით ხიზნები, მართალია, გამოცხადებული არიან მოიჯარადრეებად, მაგრამ *განსაკუთრებული, თავისებური, ტიპის მოიჯარეებად*, რომლებიც მემკვიდრეობით სარგებლობენ აღებული მიწებით.

ამასთანავე 1897 წ. 18 ოქტომბრის უმართებულესი სენატის განმარტებით „ხიზნობას, როგორც მიწათმფლობელობის გარკვეულ ფორმას, არასოდეს არ მოსდევდა პირადი დამოკიდებულებითი ურთიერთობა მემამულესა და ხიზანს შორის“, რის გამოც, სენატის აზრით, დაუშვებელი იყო ხიზანთა ჩარიცხვა ყოფილი ყმა-გლეხობის ან „დროებით-ვალდებული“ გლეხობის კატეგორიაში.

1891 წლის დებულებით ხიზნებს შერჩათ მათ სარგებლობაში აქამდე მყოფი მიწები და ის ვალდებულებებიც, რაც

---

[42] ЦГИА ГССР, фонд 13. оп. 7, д. № 2540. л.л. 52—54.

მიწით სარგებლობისათვის ადათობრივი სამართლით (ტრადიციით) ეკისრებოდათ. სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი იწვევდა დიდ გაუგებრობას, რის გამოც სენატი იძულებული შეიქნა მერმე (1901 წ. 1 ოქტ.) საჭიროდ ეცნო, რომ ეწარმოებიათ, ყოველ ცალკე შემთხვევაში, დამოუკიდებელი გამოკვლევა, რათა დაედგინათ „მოცემული მამულისათვის ჩვეულებრივი“ ნორმები. ხიზნის ვალდებულებათა ამ განმარტებამ, ცხადია, უკვე საშუალება მისცა მემამულეებს ხიზნებისათვის თვითნებურად განესაზღვრათ „ჩვეულებრივი“ ვალდებულებანი.

მემამულეები დიდად უკმაყოფილო იყვნენ 1891 წ. დებულებით. მათ ახალი, 1900 წლის 5 მაისის კანონით მიაღწიეს თავიანთი ინტერესების უკეთ უზრუნველყოფას. 1891 წ. დებულებით ხიზანი, რომელსაც მემამულე თვითნებურად აყრიდა, ღებულობდა ორმაგ საზღაურს საიჯარო მიწაზე მის მიერ აშენებულ ნაგებობათა და საერთოდ წარმოებულ გაუმჯობესებათათვის. 1900 წლის კანონით-კი მის მიერ აყრილ ხიზანს მემამულე უხდიდა სამეურნეო საჭიროებისათვის აშენებულ ნაგებობათა მხოლოდ „ნამდვილ ღირებულებას“, ხოლო დანარჩენი გაუმჯობესებანი (სარწყავი არხის გაყვანა, ვენახის გაშენება და სხვ.) მემამულეს სავსებით უნაცვალგებოდ რჩებოდა. ხიზანთა მდგომარეობა ამ კანონმა, ცხადია, გააუარესა და მათი დამოკიდებულება მემამულეებისადმი დიდად გაამწვავა...

1905 წ. რევოლუციის შიშით ცარიზმი იძულებული შეიქნა დაეწყო პროექტის მზადება ხიზანთა მიწების სავალდებულო გამოსყიდვისათვის. მაგრამ, უპირატესად რევოლუციურად განწყობილ ხიზანთა დასაშოშმინებლად მოგონილი ეს პროექტი[43] ცარიზმს ცხოვრებაში არ გაუტარებია. ხიზნები თვით ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე დარჩნენ არსებითად კაბალურ მოიჯარე გლეხებად.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ხიზნობის საკითხის

---

[43] „Прекращение хизанских отношений в Грузии“, 1914. Тифлис.

საზოგადოებრივი ხასიათი, ჩანს თვით ხიზანთა რიცხოვნობიდან [44]:

წლები	კომლთა რაოდენობა	მათს სარგებლობაში მყოფი მიწების რაოდენობა (დესეტინობით)	რამდენი დესეტინა მოდიოდა საშუალოდ 1 კომლზე
		თბილისის გუბერნიაში	
1876	5.976	26.648	4,5
1883	6 680	28.384	4,5
1894	6.361	27.654	4,3
1910	4.348	21.621	5,0
		ქუთაისის გუბერნიაში	
1882	2.569	6.136	2,4
1901	1.337	3.247	2,4
1910	—	5.127	—

რაგინდ არაზუსტი იყოს პროფ. ს. ავალიანის მიერ თავმოყრილი ეს მონაცემები, ისინი მაინც გვიჩვენებენ, რომ ხიზანთა რაოდენობა, განსაკუთრებით თბილისის გუბერნიაში (უპირატესად გორის მაზრაში), მნიშვნელოვნად დიდი იყო. აქედანვე ვხედავთ, რომ საერთოდ ხიზნობის ინსტიტუტი, როგორც უშუალო მწარმოებელთა უმიწობიდან გამომდინარე იჯარის ფორმა, ბოლომდე ინარჩუნებს ცხოველმყოფელ ძალას, მიუხედავად იმ მწვავე ბრძოლებისა, რაც მის გარშემო წარმოებდა.

დასამუშავებლად აღებული მიწისათვის ხიზანი მემამულეს უხდიდა ღალას, რაც მოსავლის ნაწილით, ანდა მარცვლეულის წინასწარ განსაზღვრული რაოდენობით გამოიხატებოდა. ადგილმდებარეობის, მოსავლიანობის და სხვ. მიხედ-

[44] С. Авалиани, назв. соч. т. IV, 152; О. Семин, „Великая годовщина...", 28 — 29.

ვით მემამულისათვის გადასახდელი მოსავლის ნაწილი 1890—1900 წ.წ. 1/6-დან 1/2-მდე აღწევდა. თუ საიჯარო გადასახდელი (ქირა) მოსავლისაგან დამოუკიდებლად წინასწარ იყო განსაზღვრული, მაშინ ყოველ დღიურზე (ქცევაზე) მემამულე ღებულობდა ერთიდან ოთხ კოდამდე. ორსავე შემთხვევაში ხიზანს ღალა თვითონვე უნდა მიეტანა მემამულის ბეღელში.

თუ ხიზანი მემამულის მიწაზე ვენახს (ანდა ხილნარს) გააშენებდა 5, 8, 10 წლის შემდეგ, პირობისამებრ ვენახის (ხილნარის) ნახევარი ხიზანის საკუთრებაში (უკეთ ვთქვათ, უვადო და უნაცვალგებო სარგებლობაში) გადადიოდა; ანდა ვენახით მხოლოდდამხოლოდ ხიზანი სარგებლობდა 10 ან 12 წლის განმავლობაში, რის მერმეც იგი მთლიანად მემამულის ხელში გადადიოდა [45].

იჯარის ეს ფორმა ძლიერ მიაგავს ზემოთგანხილულ სანაშენო იჯარას. პროფ. ს. ე გ ი ა ზ ა რ ო ვ ი ჯერ კიდევ 1887 წ. აღნიშნავდა, რომ საერთოდ მიწის „ხიზნური მფლობელობა თავისი არსებით და იურიდიული კონსტრუქციით სანაშენო უფლების ანალოგიური ინსტიტუტიაო“ [46]; არსებითად სანაშენო იჯარა უფრო შეესაბამება ხიზნის მიერ გაშენებულ ვენახს (ხილნარს) და არა სახნავსა და სხვა სახმარებს. თუ მემამულე უკვე გაშენებულ ვენახს აძლევდა იჯარით ხიზანს, უკანასკნელი იხდიდა კულუხს: მიღებული მაჭრის 1/4 ანდა 1/3 ნაწილს. ამასთანავე მემამულე ხიზანს მოსავლელად აძლევდა თავის ვენახს თუ ხილნარს. ამ შემთხვევაში თავისი შრომისათვის ხიზანი ღებულობდა მოსავლის ნახევარს [47]. საოიბიდანაც უმეტეს შემთხვევაში ხიზანს ნახევარი რჩებოდა.

მაგრამ ხიზანი იხდიდა რენტას არა მხოლოდ პროდუქტის სახით. საერთოდ სახნავით, აგრეთვე საბალახოთი, სარწყავი წყლით, ტყით სარგებლობისათვის ხიზანი შრომამიგებითაც იყო მემამულისადმი დამოკიდებული. თუ რამდენი დღე უნდა

[45] П. Г у г у ш в и л и, „Сельское хозяйство...“, I, 406—407.

[46] СМЭБГК, II, 413.

[47] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „ქართული ჟურნალისტიკა“, I, 434.

ემუშავა ხიზანს მემამულისათვის, როგორც პირადად, ისე თავისი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით, — წინასწარ შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული. ხიზანთა ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ 1883 წ. შეკრებილ მონაცემთა ნუსხიდან ჩანს, თუ რამდენად მრავალგვარი იყო მემამულეთა წინაშე ხიზანთა ვალდებულება[48] — პროდუქტით (მოსავლის ნაწილით) თუ შრომით. მაგრამ ეს ვალდებულება, როგორც წესი, გამომდინარეობდა ხიზნის, როგორც პირადად თავისუფალი მოიჯარის მიერ მემამულის მიწით სარგებლობიდან. ხიზანთა ძირითადი მასები წოდებრივად სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებად იყვნენ ჩარიცხულნი. შედარებით უმნიშვნელო ნაწილი (15,5 პროცენტამდე) საბატონო ყმებს, ხოლო რეფორმის მერმე კი „დროებით-ვალდებულ“ გლეხებს წარმოადგენდნენ.

ილ. ჭავჭავაძემ 1880-იან წლებში სასტიკად გაილაშქრა „ჩვენი ქვეყნის ახირებულ და ძალად-მაცხონე მცოდნეთა“ წინააღმდეგ[49], რომლებიც ხიზნობას სპეციფიკურად ქართულ მოვლენად თვლიდნენ. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ისტორიიდან დიდძალი ფაქტიური მასალის მოტანით იგი ენერგიულად ამტკიცებდა, რომ ანალოგიური ინსტიტუტი „სხვისი მიწის ხმარებისა“ სხვაგანაც ბევრგან იყო გავრცელებული[50]; ამასთანავე მისი რწმენით ხიზნობა, როგორც უშუალო მწარმოებლის მიერ მიწის იჯარით აღების თავისებური ფორმა „უკეთესი საფარველია სხვა ყოველგვარ სხვისა მიწის ხმარების წესზედა“[51].

ამასთანავე, როგორც ზემოთ დავინახეთ (იხ. აქვე „საგლეხო რეფორმის მომზადება ამიერკავკასიაში“) წინააღმდეგ ფეოდალურ მემამულეთა პროექტისა, რომ ყმა-გლეხობა „მათი ყოფიერების გაუმჯობესების მიზნით“ ხიზნობის მდგომარეობაზე გადაეყვანათ, მთავრობის საგლეხო კომიტეტი

[48] „Сборник стат. данных...“, приложение III, стр. 1—63.
[49] ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, VIII, 152.
[50] იქვე, 162 — 173, 180 — 197.
[51] იქვე, 158.

(აცსკ), თუმცა აღიარებდა, რომ ხიზნობა „ნამდვილად არის ერთ-ერთი ბედნიერი თავისებურება მიწის მფლობელთა და მასზე მცხოვრებ გლეხთა თავისუფალი საადგილმამულო ურთიერთობისა“, მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ყმათა უმრავლესობა მატერიალური კეთილდღეობის მხრივ უკეთესად ცხოვრობდა, ვინემ ხიზნები“, ოღონდ, ამავე დროს, ხიზნობაზე გადაყვანით ყმათა ყოფიერების გაუმჯობესებასაც შესაძლებლად თვლიდა!

გ. იჯარის ფორმები და ქირა

იჯარის ქირა გარდა მიწის რენტისა, რაც მის ძირითად ნაწილს შეადგენს, შეიცავს მიწათმოქმედებაში დაბანდებული კაპიტალის სარგებელს და სოფლისმეურნეობრივი მუშების ხელფასის ნაწილსაც. „მიწის რენტა თავის გამოსახულებას პოულობს განსაზღვრულ ფულად თანხაში, რომელსაც მიწის მესაკუთრე ყოველწლიურად იღებს მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემიდან“[52]. პრაქტიკულად მიწის რენტად გვევლინება ყველაფერი, რასაც მოიჯარე (ფერმერი) მიწის მესაკუთრეს უხდის იჯარის ქირის სახით — მიწათსარგებლობისათვის.

იჯარის ქირა, რასაც მიწის მესაკუთრე ღებულობს, ისევე როგორც რენტა გამომდინარეობს მონოპოლიიდან, რაც მიწის მფლობელს აქვს, როგორც მოცემული ნაკვეთის მესაკუთრეს, რაც მას შესაძლებლობას აძლევს „აიღოს ხარკი და კონტრიბუცია დააკისროს სხვებს“. ეს ხარკი, იჯარის ქირა, მსგავსად რენტისა, მსგავსად კაპიტალიზაციაქმნილი შემოსავლისა, განსაზღვრავს მიწის ფასსაც. რამდენადაც „მიწის ფასი სხვა არა არის რა თუ არ კაპიტალიზაციაქმნილი რენტა“[53]. სწორედ ამიტომ იყო, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რომ იჯარის, ფასის ზრდასთან ერთად, ადრე თუ გვიან, მატულობდა მიწის ფასი და ამასთანავე „ორი ტყავის“ აძრობის ინტე-

[52] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 152.
[53] იქვე, გვ. 195.

რესი მემამულეებს მოკლევადიანი იჯარის სარფიანობას კარნახობდა.

ჩვეულებრივ იჯარის ქირის გადახდის ფორმა რენტის ფორმის შესაბამისად ვითარდება. და, ამდენად, რენტის ნატურალურ ფორმებს იჯარის ანალოგიური ფორმები შეესაბამება. განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მათ ცვლის ფულადი ფორმა და ამის მიხედვით ფეოდალსა და ყმა-გლეხს შორის ნატურალური ურთიერთობა თანდათანობით მემამულესა და მოიჯარე გლეხს შორის ფულადი ურთიერთობის ხასიათს ღებულობს. ეს პროცესი საბოლოო ანგარიშით გულისხმობს, როგორც გლეხობის ექსპროპრიაციასა და მათს ადგილას კაპიტალისტური (მეწარმეობრივი) მოიჯარეთა კლასის წარმოშობას, ამასთანავე, ერთი მხრით, მესაკუთრე გლეხთა და, მეორე მხრით, სავსებით გაბოგანოვებულ (უმიწაწყლო) გლეხთა სახით სოფლის მოჯამაგირეთა კლასის წარმოშობასაც.

ამიერკავკასიაში, ამ მხრივ, განვითარება უპირატესად ორი უკანასკნელი გზით მიდიოდა. ამასთანავე მესაკუთრე გლეხობას, საბოლოოდ მათგან გამოყოფილ მხოლოდ მცირეოდენ შეძლებულ ნაწილს, უვითარდება მიდრეკილება სავსებით უმიწაწყლოდ დარჩენილ ანდა მცირემიწიან გლეხთა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციისაკენ, სწორედ ისევე, როგორც ბატონყმურ ურთიერთობათა წიაღში შეძლებულ ყმა-გლეხებს თავის მხრივ თვითონვე ჰყავდათ ყმები.

ამ გზით შეძლებული მესაკუთრე გლეხობისაგან ვითარდება კულაკობა, სოფლის ბურჟუაზია, რომელსაც გვერდს უმშვენებენ აგრეთვე ქალაქელი „მეშჩანები", ვაჭრები, მევახშეები, სახელმწიფო მოხელეები, რომელთაც სოფლებში მიწები შეიძინეს და რომლებიც აქ, გახდნენ რა მიწათმფლობელები, ეწევიან სოფლის მოჯამაგირეთა კლასის, სოფლის პროლეტარიატის, ე. ი. დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას.

ამიერკავკასიაში მე-19 ს. დასამუშავებელი მიწის იჯარის ქირა უმთავრესად ნატურალური ფორმისა იყო: 1. მოი-

ჯარე საიჯარო გადასახდელს მიწის მოსავლის ნაწილის სახით ისტუმრებდა, ეს იყო ღალა, პ რ ო დ უ ქ ტ ა დ ი რ ე ნ ტ ა; 2. ანდა მოიჯარე გლეხი კისრულობდა იჯარის ქირა მემამულის მეურნეობაში მუშაობით აენაზღაურებია, ეს იყო შ რ ო მ ა-მ ი გ ე ბ ი თ ი რ ე ნ ტ ა, როგორც გადანაშთი საბატონო ბეგარისა. 3. რეფორმის მერმინდელ პერიოდში ნელ-ნელა ვრცელდება სახნავი მიწისათვის იჯარის ქირის ფულით გადახდა, ეს იყო ფ უ ლ ა დ ი რ ე ნ ტ ა. გვხვდება აგრეთვე ე. წ. კომბინირებული ფორმა იჯარის ქირისა, როდესაც მემამულე იჯარით გაცემული მიწისათვის რენტის სხვადასხვა ნაწილს ღებულობს პროდუქტის, შრომამიგების, თუ ფულის სახით.

1. გლეხსა და მემამულეს შორის საიჯარო დამოკიდებულებაში მიწის იჯარის ქირის პ რ ო დ უ ქ ტ ი ს სახით გადახდა გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა მთელს ამიერკავკასიაში თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე [51]. პროდუქტადი რენტა (ღალა და კულუხი) ორგვარი იყო: მოიჯარე მიწათმფლობელს უხდიდა: ა. გარკვეულ ნაწილს მოსავლისა და ბ. მოსავლიანობისაგან დამოუკიდებლად წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობას პროდუქტისა.

ქუთაისის გუბერნიაში 1880 — 1900-იან წლებში მოიჯარე იხდიდა მიწის მოსავლის 1/2, 2/5 და 1/3 [55], ხოლო ზოგან კიდევ 1/5 და 1/10, რაც წინათ, რეფორმამდე, ჩვეულებრივი ხოლო ამ დროიდან იშვიათი მოვლენა იყო [56]. აქ მარცვლეულის მეურნეობაში გაბატონებული სიმინდის ყანიდან გლეხობა მემამულეებს უხდიდა 1/4 — 1/2-მდე, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო მიწა. საუკეთესო მიწას მოიჯარე ჩვეულებრივად სანახევროდ ამუშავებდა. ქუთაისის გუბერნიაში, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, მოიჯარე ღალას მხოლოდ მოსავლის ნა-

---

[54] „Экон. Вестник Закавказья", 1928 г. № 11, стр. 37.

[55] МИЭБГКЗК. I, 175 — 176, 235, 246 — 247; 747; II, I, 49, 57 —60; II, II, 281; V, II, 198, 201;. КСХ, 1905 г. № 574, стр. 165 — 167.

[56] ЦГИА ГССР, ф. 13, оп 7, 1905 г. д. № 156; тамже д. №2540, л.л. 51 — 60.

წილის სახით იხდიდა. მაგრამ 1890-იანი წლებიდან აქაც სიახლე შემოიჭრა. მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში ზოგან წინდაწინ (მოსავლისაგან დამოუკიდებლად) ისაზღვრებოდა ღ'ა ლ ი ს რაოდენობა, რაც მოიჯარე გლეხს უნდა გადაეხადა. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი ქცევა მიწა იცემოდა 12 — 25 ფუთ სიმინდზე საღალოთ, იმისდა მიხედვით, თუ სად როგორი იყო ნიადაგის ნაყოფიერება. თუ უხვმოსავლიან წლებში გლეხი ახერხებდა გაწეული შრომის ერთგვარი საზღაურის მიღებას, სამაგიეროდ მოუსავლობის შემთხვევაში, რაც კიდევ ხშირი იყო, მოიჯარე „მთლად ხელცარიელი რჩება და ხშირად თავისას ადებს ზედ. 1902 წელს ხშირი იყო ისეთი მაგალითები, როდესაც გლეხებს თავის სახლიდან მიჰქონდათ მოსავალი და იმით აკმაყოფილებდნენ გაუმაძღარ მემამულეებს“ [57].

თბილისის გუბერნიაში იჯარის ქირა მოსავლის 1/6-დან 1/2-მდე აღწევდა [58]. უკვე 1880-იანი წლებიდან მიწის სამეოთხედოდ გაცემას თანდათან ავიწროებს სანახევროდ გაცემა [59], რაც 1900-იან წლებში უკვე ჩვეულებრივი შეიქნა. აქ გავრცელებული იყო აგრეთვე წინასწარ განსაზღვრული გადასახდელის პრაქტიკაც. თბილისის, გორის, დუშეთის, სიღნაღის და სხვა მაზრებში 1 დესეტინა (2,5 ქცევა) მიწისათვის 1880-იან წლებში ეს ქირა 2-დან 6 კოდამდე აღწევდა [60]. ამასთანავე კოდი სხვადასხვა მაზრაში სხვადასხვანაირი იყო და 2,25 ფუთიდან 4 ფუთამდე ადიოდა [61].

განჯისა და ბაქოს გუბერნიაში საიჯარო გადასახდელი მოსავლის 1/10-დან 1/2-მდე აღწევდა. კერძოდ განჯის, შუშის, ნუხის, ჯევანშირის მაზრებში 1880-იან წლებში ზოგან მიწა

---

[57] იხ. „გლეხთა მოძრაობა გურიაში“, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გამოცემა, 1904 წ., გვ. 5 — 6.

[58] МИЭБГКЗК. V, II, 48, 52; VI, I, 198, 220; СМЭБГК. II, 403 — 408;

[59] ТКОСХ, 1885 г. № 5, стр. 346.

[60] იქვე, IV, II, 265; V, I, 89, 434; V. II. 52; VI, I. 198: VII. 475.

[61] КК на 1883 г., отд. I, 168 — 170.

1/4 და 1/20 ნაწილისთვისაც იყო გაცემული[62]. არეშის მაზრაში ხორბლისა და ბრინჯის ყანიდან მოიჯარე, როგორც წესი, 1/10-ს იხდიდა[63]. მაგრამ 1900-იან წლებში აზერბაიჯანშიაც იჯარის ქირამ მნიშვნელოვნად იმატა და მრავალგან მოსავლის მესამედს მიაღწია.

აქ ჩვეულებრივი იჯარის სახით გავრცელებული იყო აგრეთვე უმიწაწყლო გლეხის მოჯამაგირედ აყვანის თავისებური ფორმა, — რეჩბარლიგ, — როდესაც გლეხი, რეჩბარი, მემამულისაგან ღებულობდა მიწათმოქმედების ინვენტარს, თესლს და ასე ამუშავებდა მიწას, საიდანაც მოსავლის 1/4 უნდა მიეცა მიწათმფლობელისათვის. რეჩბარი მუშაობის დროს მიწის პატრონისაგან ღებულობდა საკვებსაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იჯარის ეს სახეობა, რაც „უმძიმეს ფორმად" მიაჩნდა ნ. ა ბ ე ლ ო ვ ს[64], არც იმდენად მძიმე იყო, თუ შევადარებთ ქუთაისისა და ერევნის გუბერნიაში გაბატონებულ ფორმებს იჯარისას, როდესაც უშუალო მწარმოებელი, საკუთარი საშუალებებით დამუშავებული მიწის მოსავლის 1/4 — 1/2 უხდიდა მემამულეს.

იჯარის სახელით მონათლული ნამდვილი მოჯამაგირეობა იყო ე. წ. მ ე მ ა რ ნ ე ო ბ ა დას. საქართველოში. ვენახის პატრონი გლეხს, ამიერიდან მემარნეს, „იჯარის" სახით აძლევდა ვენახს. მემარნე უვლიდა ვენახს, სხლავდა ვაზს და სხვ... აყენებდა ღვინოს. თავის შრომისათვის მემარნე საწნახელიდან ღებულობდა მხოლოდ ორ საწყავ (2 ფუთ) მაჭარს და ჭაჭას; უკანასკნელისაგან თავისთვის აყენებდა „ნადუღს", „შუა-ღვინოს". ვენახის პატრონს ყოველთვის შეეძლო მემარნის დათხოვნა. თუ მემარნე ვენახში სიმინდს ჩასთესავდა, მოსავლის მესამედი ან ნახევარი ისევ ვენახის პატრონისათვის უნდა მიეცა[65].

---

[62] МИЭБГКЗК, IV, I, 295, 302, 307; VI, I, 38—43; VII, 75, 84.

[63] იქვე, 156, 164, 167.

[64] МИЭБЭКЗК, VII, 79

[65] МИЭБГКЗК, I, 786.

შედარებით მაღალი იყო საიჯარო გადასახდელი ბაქოს და ჯევათის მაზრებში, კერძოდ ბაქოს მაზრაში, სადაც მიწა მოსავლის 1/4 — 1/2-ად გაიცემოდა, მოიჯარეს მოსავლის აღებამდე მემამულისათვის ავანსის სახით უნდა მიეცა იმდენი მანეთი, რამდენი ბათმანი (17 — 20 გირ.) მარცვალიც საიჯარო მიწაზე დაითესებოდა [66].

ერევნის მაზრაში იჯარის ქირა შეადგენდა მოსავლის 1/2, 19/30-ს ბარში, ხოლო 1/2, 1/6-ს მთაგორიან რაიონებში [67], გუმბრის მაზრაში [68] უმთავრესად — 1/6-ს, ნახჭევანში [69] — 7/30 და 4/30-ს, ახალბაიაზეთში [70] — 1/2-ს, სურმალოსა და ეჩმიაძინში [71] — 1/2, 1/4, 4/30-ს.

საერთოდ საიჯარო გადასახდელი ყველაზე მაღალი იყო ერევნისა და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში. ამასთანავე, თუ მოიჯარე წინასწარ განსაზღვრულ გადასახდელს იხდიდა და, მაშასადამე, მემამულეს რენტა მოუსავლობის შემთხვევაშიაც უზრუნველყოფილი ჰქონდა, მაშინ უკანასკნელი შედარებით ნაკლებს სჯერდებოდა. თუმცა მთელ ამიერკავკასიაში ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო მოსავლიდან ნაწილის გადახდა.

ნატურალური იჯარის პირობებში, როგორც წესი, მიწათმოქმედების მთელი სამუშაოები თვით მოიჯარეს, საკუთარი ინვენტარით და საშუალებებით უნდა შეესრულებია. მხოლოდ იშვიათად თესლი ორსავე მხარეს, მოიჯარესა და მემამულეს უნდა ეკისრა. ჩვეულებრივ-კი თესლიც მოიჯარისა იყო [72], რომელსაც აგრეთვე ევალებოდა მოსავლის კუთვნილი ნაწილი (ღალა) მემამულისათვის ბეღელში ჩაებარებინა [73].

---

[66] А. Парвицкий, „Отношение обществ гос. крестьян к землям частного владения в Закавк. крае", 1888, Тиф., 136.

[67] МИЭБГКЗК, III, I, 81—84, 98—99.

[68] იქვე, 34, 44.

[69] იქვე, 557, 662 — 663.

[70] იქვე, I, 336.

[71] იქვე, III, I. 307, 314 — 318.

[72] ЭВЗ. 1928. № 11. 37.

[73] А. Парвицкий. назв. соч. 142.

მაგრამ მემამულეს შეეძლო მოეთხოვა და სხვაგანაც, რეალიზაციის ადგილზე, მიეტანინებია მოიჯარე გლეხისათვის ღალა. მაგალითად, ქართლში (გორის მაზრ.), როგორც ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი წერს „თუ მემამულემ მოსთხოვა, გლეხმა უნდა წაუღოს მას ღალა თავისი ხარურმით, უსასყიდლოდ, 60 ვერსის მანძილზე“ [74].

მეცნიერულ ლიტერატურაში როგორღაც ფესვები გაიდგა იმ შეხედულებამ, თითქოს ჩვენში მემამულე, როგორც წესი, თესლით აშარაგებდა მოიჯარეს. მაგალითად, ისეთი კომპეტენტური მკვლევარი, როგორიც იყო მ. მ. კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი, სწორად აღნიშნავდა რა, მაგალითად, სვანეთში მოიჯარის მიერ მიწის სანახევროდ აღების ჩვეულებას, წერდა, რომ „დანარჩენი (ე. ი. მოსავლის მეორე ნახევარი) ეკუთვნის მიწის პატრონს, რომელიც ჩვეულებრივად მოიჯარეს თესლს აძლევსო[75]“.

პროფ. მ. კოვალევსკის ეს ცნობა, როგორც თავის დროზე აღინიშნა სავსებით სწორი არაა [76]. ნამდვილად მოიჯარე, როგორც ზემო ისე ქვემო სვანეთში [77] და საერთოდ მთელ დასავლეთ საქართველოში, მიწას საკუთარი მარცვლეულით სთესავდა. კერძოდ სვანეთში თესლის საკითხი ყოველთვის ფრიად მტკივნეული იყო და, რასაკვირველია, იყო შემთხვევები მემამულის მიერ მოიჯარისათვის თესლის მიცემისა, მაგრამ მხოლოდ გამონაკლისის სახით. რაც შეეხება მენახევრეობას, იგი აქ გამომდინარეობდა არა მიწის დამუშავებაში მემამულის მიერ რაიმე სახით მონაწილეობის მიღებიდან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთსა და დას. ევროპის რიგ ქვეყანაში, არამედ საერთოდ მიწის მწვავე სიმცირიდან. აღსანიშნავია, რომ აქ სათიბიც უმრავლეს შემთხვევაში სანახევროდ გაიცემოდა ხოლმე.

აღმ. ამიერკავკასიაშიც მე-20 საუკუნიდან ვრცელდება მენახევრეობითი იჯარა, როდესაც მოიჯარე მემამულეს აძლევდა მოსავლის ნახევარს. მაგრამ აქაც თესლი, როგორც წესი, მოიჯარისა იყო; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, თბილისისა და განჯის გუბერნიებისა, იყო შემთხვევები, როდესაც თესლს ასეთი მოიჯარე გლეხი მემამულისაგან ღებულობდა [78].

2. მიწის იჯარის ქირის შრომითი საზღაური, — შ რ ო მ ა-მ ი გ ე ბ ი თ ი რ ე ნ ტ ა — გლეხის შრომავალდებულებას მრა-

---

[74] ჟურ. „მოამბე“, 1904 წ. № 1, „შინაური მიმოხილვა“, 78 — 79.

[75] М. К о в а л е в с к и й, „Закон и обычай на Кавказе“, II, 60.

Э. К а л ь в е й т, „Очерк сельск. хоз. верхн. Сванетии“, 1911, Тифлис, 52 — 53.

[77] МИЭБГКЗК, I, 181 — 182; II, 281.

[78] „Экономический вестник Закавказья“, 1928 г. № 11, стр. 37.

ვალმხრივ ხასიათს აძლევდა. მოიჯარეს უნდა ემუშავა მემამულისათვის, რომელსაც საკუთარი მეურნეობა ჰქონდა, მაგრამ მიწათმოქმედების ინვენტარი და წარმოების დანახარჯებისათვის საჭირო ფული არ გააჩნდა. ამგვარად, შრომამიგებითი რენტის პირობებში გლეხს მიწათმფლობელისათვის უნდა შეესრულებია სოფლის მეურნეობის თითქმის ყოველგვარი სამუშაო. მემამულეს შეეძლო მუშაობის ისეთი დრო დაენიშნა ასეთი კაბალური მოიჯარისათვის, როდესაც უკანასკნელს დაუმუშავებლობით საკუთარი ყანა უფუჭდებოდა. ამასთანავე არაიშვიათად მემამულე (ყოფილი მებატონე) მოიჯარეს (ძალიან ხშირად ყოფილ ყმას) ისეთ სამუშაოებს აკისრებდა, რაც მხოლოდ პირადი, ბატონყმური, დამოკიდებულების დროს ევალებოდა გლეხს [79].

გასაგებია, რომ ასეთ უხერხულობათა გამო, გლეხი ყოველმხრივ ცდილობდა საიჯარო საზღაური შრომამიგების ნაცვლად მოსავლის ნაწილით ანდა პროდუქტის ან ფულის წინასწარ განსაზღვრული რაოდენობით გადაეხადა. მაგრამ რამდენადაც შრომავალდებულ გლეხთა ყოლა საჭირო იყო, ხოლო ზოგან აუცილებელიც მემამულისათვის, რომელიც დამოუკიდებელ მეურნეობას მისდევდა, უკანასკნელი, ცხადია, სხვა პირობით მიწას, ყოველ შემთხვევაში საიჯაროდ გასაცემი მთელი ფონდის ნაწილს, არ გასცემდა და, ამგვარად, გლეხს აიძულებდა ეკისრა საიჯარო გადასახდელის შრომით ანაზღაურება. მაგალითად, თბილისის გუბერნიაში „მემამულეები ახერხებენ რამდენადმე მნიშვნელოვან მეურნეობას გაუძღვენ მხოლოდ იმის მეოხებით, რომ მიწის იჯარით გაცემისას გლეხებს ავალდებულებენ იმუშაონ მათთვის“[80].

კიდევ მეტი. ზოგან მემამულე, სარგებლობდა რა გლეხების გამოუვალი მდგომარეობით, აიძულებდა უკანასკნელთ უფრო მეტი დღეების განმავლობაში ემუშავათ მის მეურნეობაში, ვინემ საიჯარო პირობით იყვნენ ვალდებულნი[81].

---

[79] ЦГИА, ГССР, ф. 13, оп. 7, д. № 156, л.л. 54 — 61.
[80] ТКОСХ, 1885, № 5, стр. 344.
[81] МИЭБГКЗК, IV, I, 295.

ამასთანავე ზოგიერთ მაზრაში არ იყო ზუსტად განსაზღვრული, თუ სახელდობრ რამდენი დღე უნდა ემუშავა მოიჯარე-გლეხს მემამულის მეურნეობაში იჯარით აღებული, ვთქვათ, 1 დესეტინა მიწისათვის. ასეთ პირობებში მემამულეს, რომელსაც თავისუფლად დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია არ შეეძლო ანდა ნაკლები სარფით და ზომით შეეძლო, საშუალება ჰქონდა თითქმის სასურველ დროსა და საჭირო დღეების რაოდენობით ემუშავებია მის წინაშე შრომავალდებული მოიჯარეები.

მაგალითად, ცნობილი მემამულე თავ. მუხრან-ბატონი (დუშეთის მაზრ.) მოხერხებულად სარგებლობდა ხსენებული გარემოებით. მას „შეუძლია გაძლიერებულ და სასწრაფო სამუშაოთა პერიოდებში გაადიდოს ან შეამციროს შრომავალდებულება (გლეხთა სამუშაოზე გაყვანა), იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება მისი მეურნეობის მოთხოვნილება. ასე, მაგალითად, მკის პერიოდში, როდესაც მეპატრონისათვის განსაკუთრებით ძვირფასია მუშახელი, „მას მიაჩნია, რომ აქვს უფლება მოითხოვოს შრომავალდებულთა იმდენი სამუშაო დღე, რამდენსაც თვითონ დაინახავს საჭიროდ“ [82].

ზოგან კიდევ სხვა სახითაც ახერხებდა მემამულე, რათა უზრუნველეყო საკუთარი მეურნეობა შრომავალდებულ გლეხთა მუშაძალით. ასეთი საშუალებათაგანი იყო, მაგალითად, სარწყავი წყლის სოფელზე იჯარით გაცემა. მემამულე მის მიერ გაყვანილი ან მითვისებული არხიდან საკუთარი მეურნეობისათვის საჭიროზე გადანარჩენ წყალს აძლევდა სოფელს, ხოლო სოფელი (გლეხობა) კისრულობდა შრომის საკუთარი საშუალებებით სხვადასხვა სამუშაო (ხვნა, მკა, ლეწვა, შეშის მოჭრა, ტვირთის გადაზიდვა) შეესრულებია მემამულისათვის [83].

მაგალითად, გორის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერი ს. მაჩაბელი გადმოგვცემს

---

[82] Х. Вермишев, „Хозяйство г.-л. Багратиона-Мухранского“. 1885 г., стр. 440.

[83] МИЭБГКЗК, V, II, 21; СМЭБГК, VI, II, 143—144.

(1885 წ.), რომ გლეხები (სოფლები) მემამულეთა სარწყავი არხებით სარგებლობისათვის საზღაურს იხდიდნენ ფულით ან ნატურით. მაგალითად, ს. ზერთი და პატარა მეჯვრისხევი მემამულეს აძლევდნენ გუთნეულსა და ყოველი კომლიდან ერთ მუშას ერთი დღით[84].

შრომამიგებითი რენტა, როგორც ბატონყმურ ურთიერთობათა მძიმე გადანაშთი განსაკუთრებით გავრცელებული იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში.

გლეხური (სასურსათო) იჯარის ყველაზე დამახასიათებელია იჯარის ნატურალური ფორმები. ამ ფორმების დროს იჯარის ქირა საერთოდ უფრო მაღალია, ვინემ ფულადი ფორმისას. ამასთანავე კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარების გარკვეული ეტაპის მერმე „ნატურალური იჯარა გავრცელებულია ყველაზე მეტად გლეხობის უღარიბეს ჯგუფებში“[85], რამდენადაც შეძლებული გლეხობა ახერხებდა იჯარის ქირა ფულით გაესტუმრებია.

ამიერკავკასიაში, სოფლად ბურჟუაზიული მეწარმეობის განვითარების დაბალ საფეხურზე, შედარებით შეძლებული გლეხობა იჯარის ქირის შრომამიგებით საზღაურს გაურბოდა და ყოველმხრივ ცდილობდა, რაკი ამ ქირის ფულით გადახდა არ შეეძლო, ანდა თუ თვით მემამულე მიწათმოქმედების პროდუქტთა გაძვირების მოლოდინში ფულად გარიგებაზე არ მიდიოდა, ეხადა პროდუქტადი რენტა, სახელდობრ მოსავლის ნაწილის სახით ეძლია იჯარის ქირა.

3. იჯარის ქირის ფულადი საზღაური ამიერკავკასიაში ვრცელდება 1860—1870-იანი წლებიდან. ფულადი რენტა უშუალო კავშირშია სავაჭრო მიწათმოქმედების წარმოქმნასა და განვითარებასთან, რაც იმთავითვე მოასწავებს სოფლად ნატურალური მეურნეობის რღვევის დასაწყისს. ამიტომაც გასაგებია, თუ რატომ შეუწყო ხელი რკინიგზების გაყვანამ იჯარის ქირის ნატურალურ ფორმათა ფულზე გადასვლას.

---

[84] МИЭБГКЗК, VI, I, 201.

[85] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 102.

[86] Э. Кальвейт, назв. соч., стр. 53.

ნატურალური იჯარის ფულზე გადასვლამ შედარებით ფართო ხასიათი მიიღო მხოლოდ 1900-იანი წლებიდან. ამ დროიდან თვით მთებშიაც-კი არ იყო იშვიათი ფულადი რენტა. მაგალითად, სვანეთში უკვე „ხშირდება მიწის იჯარის ფულით გადახდა“ [86], რაც შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ამიერიდან თვით მემამულე მთებში იშვიათად ცხოვრობდა, ხოლო ადგილობრივად პურეული არასოდეს საკმარისი არ მოდიოდა; ე. ი. სხვა სიტყვებით, სვანი გლეხიც ყოველთვის ნაკლებობას განიცდიდა პურისა, რაც მას ბარში უნდა შეეძინა. ეს გარემოება, რასაკვირველია, გააძლიერებდა მიწის იჯარის ქირის პროდუქტის ნაცვლად ფულით გადახდის ტენდენციას.

იჯარის ქირას ფულით მოითხოვდნენ თავადაზნაურთა და სხვ. ბანკებიც (გირავნობის გზით მათს ხელში გადასულ მამულებში). 1900-იან წლებში ქუთაისის გუბერნიაში ბანკს მამულები უმთავრესად ფულადი იჯარით გაიცემოდა. 1909 წელს სახელმწიფო საადგილმამულო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილებამ გამოაცხადა, რომ 1910 წლიდან ქუთაისს გუბერნიაში მიწა მხოლოდდამხოლოდ ფულად იჯარაზე გაიცემოო [87].

მაგრამ ფულადი რენტა მაინც არ იყო ფართოდ გავრცელებული თვით 1900-იან წლებშიაც-კი[88], მიუხედავად იმისა, რომ მემამულე ასეთ შემთხვევაში, როგორც ზოგიერთი წყარო მოწმობს, ნაკლებ საიჯარო განაკვეთს ნიშნავდა. მაგრამ, რაც მთავარია გლეხობის ძირითადი მასა არ ეტანებოდა ფულად იჯარას, როგორც ჩანს, უმთავრესად იმის გამო, რომ ნაღდი ფული მისთვის ძნელი საშოვნელი იყო; ამ მხრივ იგი ძალიან ხშირად თვით სახელმწიფო გადასახადებს ვერ ასდიოდა და მეურნეობისა და ოჯახისათვის აუცილებელი მრეწველური საქონლის ყიდვას ვერ ახერხებდა. ამგვარად, როგორც ერთხმად აღნიშნავენ დამკვირვებელნი, უფულობის

---

[86] Э. Кальвейт, l. c., 53.

[87] „Кавказ в 1909 году“, 1910 г., стр. 30, 34.

[88] ТМКСХП. LII. 239.

გამო გლეხობა იძულებული იყო თვით პროდუქტების სახით მოსავლის ნახევარი მიეცა მემამულისათვის, ვინემ მნიშვნელოვნად ნაკლები ზომის ფულადი იჯარა ეხადა[89], მით უმეტეს, რომ ეს ფული მოიჯარეს უმეტეს შემთხვევაში წინასწარ, მოსავლის აღებამდე, უნდა გადაეხადა[90].

ფულადი იჯარა უმთავრესად გავრცელებული იყო სოფლის შეძლებულ, კულაკურ, ელემენტებში, რომელთაც გააჩნდათ ნაღდი ფული[91] და რომლებიც მიწას შედარებით უფრო გრძელი ვადითაც იღებდნენ, ანდა საერთოდ სავაჭრო მიწათმოქმედების (მეთამბაქოობის, მებაღეობის, მევენახეობის, ზოგან კიდევ ბრინჯის კულტურის)[92] რაიონებში[93], სადაც იჯარა თანდათანობით მეწარმეობრივი (კაპიტალისტური) ხასიათისა ხდებოდა.

4. დასასრულ, უნდა აღინიშნოს მეტი თუ ნაკლები ზომით მთელს ამიერკავკასიაში გავრცელებული შერეული ფორმის საიჯარო საზღაური. ამგვარი საიჯარო დაზოკიდებულება განსაკუთრებით იყო განვითარებული ისეთ რაიონებში, სადაც გლეხობა მწვავედ განიცდიდა მიწის სიმწროვეს. აქ გარდა იმისა, რომ მოიჯარე მემამულეს უხდიდა, ვთქვათ, მოსავლის მესამედს ან ნახევარს, იგი კიდევ, რათა მიწა მომავალ წელს სხვისთვის არ მიეცათ, მემამულეს აძლევდა ქრთამს ფულის სახით, ძღვენს — სურსათ-სანოვაგის, შინამრეწველურ ნაკეთობათა და სხვა სახით, კისრულობდა პირადად ანდა ხარკამეჩით, კავით, ურმით ემუშავა მიწათფლობელის მეურნეობაში და სხვ.[94].

მაგალითად, გორის მაზრის ზოგიერთ სოფელში 1880-იან წლებში „მემამულეები არ კმაყოფილდებიან ჩვეულებით

[89] СМЭБГК, I, I, 172.

[90] იქვე. V, II, 130.

[91] ЭВЗ. 1928. № II, 37.

[92] МИЭБГЗК, III, I, 317.

[93] С. Егиазаров, I. c., I, 204 — 205.

[94] МИЭБГКЗК, I, 237 — 238; II, I, 49, 335 — 336; „დროება", 1873 წ. № 14.

დადგენილი ღალით და კიდევ ყოველი დღიური სახნავისა-თვის მოითხოვენ თითო მუშას ზაფხულის სამუშაოთა პერიოდში"[95]. იმავე ნაზრაში შემდგომი ათეული წლების მანძილზე ამ მხრივ მემამულეთა მოთხოვნა კიდევ უფრო გაზრდილა და უკვე 1900-იან წლებში, „მემამულე იღებს ერთი დღიური მიწისათვის მოსავლის მესამედს, 2 მუშას და ერთ ურემ შეშას"[96]. საერთოდ იმ რაიონებში, სადაც მოიჯარეთა შორის შესამჩნევი კონკურენცია არსებობდა, „მოიჯარე-გლეხი, რათა აღებული მიწა არ დაკარგოს, ყოველთვის მზად უნდა იყოს, რომ პირველი დაძახებისთანავე გამოცხადდეს მიწათმფლობელის სამუშაოზე"[97].

„ადგილობრივი კომიტეტების" შრომებში ქუთაისის გუბერნიის შესახებ ვკითხულობთ: „მიწაზე დიდ მოთხოვნილებას არ შეიძლებოდა გავლენა არ ჰქონოდა გადიდებაზე ღალისა, რაც მთელი მოსავლის 60%-დე აღწევს, ხოლო როცა საიჯარო გადასახდელი წინასწარ განსაზღვრულია, იმ შემთხვევაში ავი, მოუსავლობის დროს, მთელ მოსავალსაც აღემატება"[98].

ქუთაისის გუბერნიაში, გურიაში, აღნიშნულია იჯარის გადასახდელის კიდევ ერთი უცნაური სისტემა. ესაა ე. წ. შეფასების სისტემა, ე. ი. მემამულის მოურავები ჩამოივლიან ყანებს და რასაც შეაფასებენ, გლეხმა ის უნდა გადაიხადოს. „თუ მოურავს ქრთამი არ უჯიბა, შენი მტერია — ორ წილს წაიღებს"[99]. ასეთი „სისტემის" დროს, გასაგებია, რომ გლეხზე დიდი გავლენა ექნება მოურავს, რომელიც მემამულეზე არანაკლები ზომით ეწევა მოიჯარე გლეხის ყველაფასა და ჩაგვრას[100].

ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა მცირემიწიან ან უმიწო გლეხობას მემამულის პირად, კაბალურ, დამოკიდებულებაში

[95] МИЭБГКЗК, VI, I, 198.

[96] ეურნ. „მოამბე", 1904 წ. № 1, „შინაური მიმოხილვა", 78 — 79.

[97] А. Парвицкий, I. c., 144.

[98] ТМКСХП, LII, 230.

[99] „გლეხთა მოძრაობა გურიაში", 1904, გვ. 6.

[100] КСХ, 1905, № 574, стр. 165 — 167.

აგდებდა. კერძოდ ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის შესახებ ი. ბ ა ხ ტ ა ძ ე წერდა (1884 წ.), რომ „მიწის იჯარის ამღებთა შორის არსებული ძლიერი კონკურენცია მათ მიწათმფლობელისადმი აყენებს მონურ დამოკიდებულებაში — ამ სიტყვის სრული გაგებით. მოიჯარე სიტყვაშეუბრუნებლად და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში უნდა ცდილობდეს ასიამოვნოს თავის „ბატონს“, რათა არ დაკარგოს მისი წყალობა და ულუკმაპუროდ არ დარჩეს... სულ უფრო და უფრო გაძლიერებული სივიწროვე მიწისა საშუალებას აძლევს მიწათმფლობელს ანგარიში არ გაუწიოს მოიჯარეებს და იჯარის ქირა წლიდან-წლამდე თანდათანობით იზრდება“ [101].

მე-20 ს. დამდეგიდან ვრცელდება ისეთი საიჯარო გარიგება, როდესაც მიწათმფლობელი გარდა მოსავლის ნაწილისა (პროდუქტისა) იჯარის ქირის ანგარიშში „მცირეოდენ ფულსაც“ ღებულობდა.

1900-იანი წლებიდან იჯარის ქირა საერთოდ სწრაფად მატულობდა. ჟურ. „მოამბის“ „შინაური მიმოხილველი“ ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, რომლის პუბლიცისტური გამოსვლები ცნობილია თავისი „აუჩქარებელი ობიექტურობით“ და რომელიც საერთოდ არ იყო მოხმრე „გლეხებსა და მემამულეებს შორის მდგომარეობის გამწვავებისა“, აცხადებდა (1904 წ.): „ვინც დაკვირვებია ჩვენი სოფლის ცხოვრებას, უეჭველად შემჩნეული ექნება, რომ საიჯარო ფასმა ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად აიწია და ეკონომიურად დაძაბუნებული გლეხისათვის ძნელი გადასახდელი შეიქნა“ [102].

თვით ოფიციალური მიმოხილველი იძულებულია აღიაროს, რომ თუ რეფორმამდელ პერიოდში იჯარის ქირა უმრავლეს შემთხვევაში მოსავლის მეათედს და საუკეთესო მიწებისათვის მეხუთედს არ აღემატებოდა, შემდეგში იგი სწრაფად მატულობდა და მე-20 ს. დასაწყისში უკვე მოსავლის

[101] МИЭБГКЗК, V, II, 201; იხ. აგრეთვე Х. В е р м и ш е в, Хозяйство г.-л. Багратиона-Мухранского“, 441 — 442.

[102] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, „ჩვენი ეკონომიური გაჭირვება“, („მოამბე“, 1901, № 1. 78).

ნესამედსა და ნახევარზე მიწის იჯარით გაცემა ამიერკავკასიაში „საყოველთაო მოვლენა გახდა და ამის გამო ნორმალური შეიქნაო“ [103].

წარმოდგენილი მასალები ცხადყოფენ, თუ რაოდენი სიმკაცრითა და შეუბრალებლობით ვლინდებოდა საიჯარო ურთიერთობაში უმწეო მდგომარეობა უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხებისა, რომლებიც არამცთუ მეტისმეტად მაღალი იჯარის ქირით, არამედ მემამულისადმი, არსებითად როგორც მებატონისადმი კაბალური, თითქმის ყმური დამოკიდებულების პირობებში ძღვენის, ქრთამის, საჩუქრებისა და „გულისმოგების“ ძველებური, ფეოდალური მეთოდებითაც ძალზე გაყვლეფილნი და დაჩაგრულნი იყვნენ.

დ. საბალახოებისა და ტყის იჯარა

როგორც სახელმწიფო, აგრეთვე „დროებით-ვალდებულ“ (საბატონო) გლეხებს ; სანადელო (საკომლო) და საერთოდ მათს სარგებლობაში მყოფი სხვადასხვა სახმარი მიწების სიმცირის გამო კერძოდ საბალახოებისა და ტყეების იჯარით აღება უხდებოდათ — ხაზინისა თუ კერძო მემამულეთაგან.

მაგალითად, თბილისის გუბერნიაში უკვე 1880-იანი წლების ცნობით „მრავალი სოფლის მცხოვრებნი მცირემიწიანობისა და მიწათდაქსაქსულობის მეოხებით, ისეთ პირობებში ირიან ჩაყენებული, რომ მათ უხდებათ დიდძალი თანხები გადაუხადონ მემამულეებს საბალახო მიწებისათვის“. კერძოდ ბორის მაზრაში, როგორც ს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი აღნიშნავდა, ზოგიერთმა სოფელმა, სბალახოსათვის გადასახდელის შეუჩერებელი მატების შედეგად „ერთხნობით უარი თქვა კიდევაც ამ საბალახოთა სარგებლობაზე“, მაგრამ შედეგად მემამულეებთან მუდმივი შეჯახებათა და უზარმაზარი ჯარიმებისა, რასაც მათ ახდევინებდნენ მემამულის მიწებზე პირუტყვის უცაბედად გასვლა-გაბალახებისათვის, გლეხები იძულებულნი შეიქნენ კვლავ აეღოთ მემამულეთაგან იჯარით ეს საბალახოები [104].

---

[103] ЦГИА ГССР, ф. 13, оп. 7, 1905 г. д. № 156, лл. 55—56.
[104] МИЭБГКЗК, VI, 1, 198.

საბალახო იჯარის გადასახდელი, ჩვეულებრივ, იანგარიშებოდა არამიწის ფართობის, არამედ მოიჯარის მიერ საბალახოდ გაშვებული პირუტყვის რაოდენობის მიხედვით[105]. თუმცა, რასაკვირველია, მემამულისათვის ერთი და იგივე არაა მისცემს იგი თავის საბალახოებს მეტი თუ ნაკლები რაოდენობის ჯოგის პატრონ მოიჯარეს თუ მოიჯარეთა ამხანაგობას. გლეხები ჯოგის რაოდენობას თავისთავად უფარდებენ საბალახოს როგორც ფართობსა და ხარისხს, აგრეთვე დროსაც, თუ რამდენი ხნით ვარაუდობენ საქონლის დატოვებას მოცემულ იალაღზე ან ყიშლაღზე.

საბალახო გადასახდელს თვით 1860—1870-იან წლებამდე თითქმის მხოლოდ პროდუქტით იხდიდნენ: საბალახოზე გაშვებული სხვადასხვა პირუტყვით (თიანეთის მაზრაში[106] 100 ცხვარზე 4—5 თავი; გორის მაზრაში[107] 20-ზე — ერთი ან

გუბერნიის დასახელება	საბალახო	ერთ თავ მსხვილფეხა პირუტყვზე	ერთ თავ წვრილფეხა პირუტყვზე
თბილისის[108]	ზამთრისა ზაფხულისა	0,20—2,00 0,20—0,60	0,04—0,20 0,05—0,20
განჯის[109] .	ზამთრისა	0,05—	0,05—0,10
ბაკოს[110] .	ზამთრისა ზაფხულისა	0,50—0,60 0,50—0,60	0,02—0,20 0,04—0,08
ერევნის[111] .	ზამთრისა	0,05—2,00	0,15—0,30

ორი თავი), აგრეთვე, უფრო იშვიათად, რძის პროდუქტებითაც. 1870-იანი წლებიდან უფროდაუფრო გადადიან ფულად

[105] МИЭБГКЗК, VI, I, стр. 200.
[106] МИЭБГКЗК, V. I, 91.
[107] იქვე, VI, I, 201.
[108] III, II, 20; IV, II, 253; V, I, 91, 231; 433; VI. I, 201; VII. 448 — 462.
[109] МИЭБГК, VI, I, 48, VI, 159.
[110] იქვე, I, 493; 494; II, I, 192, 335; VI, II, 119.
[111] იქვე, I, 332, 555; III, I, 85.

გადასახდელზე. 1880-იან წლებში თავმოყრილ მონაცემთა მიხედვით იჯარის ქირა უდრიდა (მანეთობით) (იხ. ცხრილი გვ. 710).

როგორც ვხედავთ, ზაფხულის (იალაღის) საბალახოზე იჯარის ქირა მსხვილფეხა პირუტყვზე 5 კაპიკიდან სამ აბაზამდე აღწევდა, ხოლო ზამთრისა (ყიშლაღისა) — 5 კაპიკიდან 2 მანეთამდე; წვრილფეხაზე: ზამთრისა — 2 კაპიკიდან ერთ აბაზამდე, ხოლო ზაფხულისა — 4 კაპიკიდან 30 კაპიკამდე.

ყველაზე მაღალი საიჯარო გადასახდელი-კი თბილისისა[112] და ერევნის[113] გუბერნიებში იყო. სახელდობრ სიღნაღის მაზრაში ზამთრის საბალახოსათვის მოიჯარე ერთ თავ მსხვილფეხა საქონელზე 1—2 მანეთს იხდიდა[114], სწორედ ასეთივე იყო გადასახდელი ნახჭევანის მაზრაშიაც[115]. ყველაზე დაბალი გადასახდელი, სახელდობრ ერთ თავ წვრილფეხა პირუტყვზე 1,5 კაპიკი, აღნიშნულია ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზრაში, ოღონდ საშემოდგომო საბალახოზე[116] — იგულისხმება მოსავლის აღების შემდეგ ნაყანევისაც საბალახოდ გამოყენება.

*
* *

1860-იანი წლებიდანვე ყმობიდან განთავისუფლებული გლეხობა ერთ-ერთ ფრიად სერიოზულ დაბრკოლებას აწყდება ოჯახური საჭიროებისათვის, თუ მეურნეობრივი მიზნით აუცილებელი ხ ე ტ ყ ი ს მოპოვების საქმეში. სათემო ტყეები ამ დროისათვის, როგორც წესი, თითქმის მთლიანად თავადაზნაურობას ჰქონდა უკვე მითვისებული და ამიერიდან მემამულისათვის სათანადო გადასახდელის გადახდის გარეშე გლეხს არ შეეძლო არამცთუ სამშენებლო მასალა, მაქნისი მერქანი და შეშა მოეჭრა, არამედ ფიჩხიც გამოეტანა ტყიდან.

---

[112] ვრცლად იხ. А. П а р в и ц к и й, I. с., 145 — 149.
[113] МИЭБГКЗК, IV, II, 253.
[114] იქვე, I, 555.
[115] იქვე, II, I, 192.
[116] იქვე.

1867 წელს „დროების“ რედაქცია წერდა: „ყველამ ვიცით, რომ სულ 8—9 წელიწადი იქნება, რაც საქართველოში ტყეებს ფასი დაედვათ; უმეტესად საწვავ ტყეებს და პატრონებმაც ბეჯითად დაუწყეს პატრონობა იმათა“ [117], ე. ი. თუ წინათ „ტყის ხმარებას მეზობელი მეზობელს არ უშლიდა“ [118], ამიერიდან სათანადო საზღაურის გარეშე ხეტყის მოჭრის ნებას მემამულეები არავის არ აძლევენ, — ტყის ექსპლოატაცია მეწარმეობის მნიშვნელოვანი დარგი შეიქნა.

მეორეს მხრივ ტყის უდიდესი მასივები თვით სახელმწიფო ხაზინამ ჩაიგდო ხელში, მიისაკუთრა და მხოლოდ გარკვეული „ბაჟის“ გაღების შემდეგ შეიძლებოდა ამ ტყეებით სარგებლობა.

ამასთანავე საქალაქო ცხოვრების და მრეწველობის განვითარებამ, რკინიგზების გაყვანამ და სხვ. გამოიწვია ხეტყის საქონლად გადაქცევა და ზოგიერთი ჯიში არამცთუ შინაგანი ვაჭრობის, არამედ საექსპორტო საგანიც გახდა. ყოველივე ამის გამო, გასაგებია, სულ უფრო და უფრო უნდა გაძვირებულიყო ხეტყე. გლეხს არამცთუ სახლისა და სხვა ნაგებობათათვის, ანდა ვენახისათვის სასარე მასალის, არამედ, არაიშვიათად, თვით გუთნისა და კავისათვის საჭირო ხის ნაწილების შოვნაც-კი უძნელდებოდა.

მემამულეთა ტყეებით სარგებლობისათვის გლეხობა, გარდა იმისა, რომ ფულს იხდიდა (განსაკუთრებით 1870-იანი წლებიდან), ძალიან ხშირად შრომამიგებითაც ვალდებული ხდებოდა და თავისი ინვენტარით უნდა ემუშავა მემამულის მეურნეობაში.

ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელ და საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს კასპელი (გორის მ.) გლეხობის ჩივილი (1883 წ.), რაც ქვემოთ მოგვყავს სათანადო შემოკლებით: „როგორც იქნებოდა ავიტანდით ჩვენს შეპირვებულს ცხოვრებას, რომ ჩვენი მებატონეებისაგან ცოტა შეღავათი გვქონდეს. ისეთს ცეცხლის კეთებაში ვართ იმათგან, როგორშიაც პირუტყვიც არ იქნება. ყოველისფერი, რაზედაც კი ფეხს დავდგამთ, ჩვენი სა-

[117] გაზ. „დროება“, 1867 წ. № 34. რედაქციის შენიშვნა.

[118] იქვე.

კუთრებაო, — გვეუბნებიან: მიწა, ტყე, წყალი, ქვიშა, ქვა, მინდორი, საძოვარი, ჭალა, ჰაერიც კი... სულ ყველა ჩვენიაო... და რადგანაც ამ ჩვენის კუთვნილებით სარგებლობთ, ამისათვის სასყიდელი უნდა გვაძლიოთო. ამ რამდენიმე წლის წინად ყველაფერს ბაჟი დაადვეს, ასე რომ ერთი პატარა წყეპლის მოკრის უფლება აღარ გექონდა უფასოდ. ქვიშა რა არის, — იმის ერთი მუჭისა და ერთი კენჭის რიყიდამ აღება არ შეგვეძლო. ძტკვარში თევზის ჭერასაც ბაჟი დასდეს. ჩვენს მინდვრებში ძალიან ბევრი კაპარი მოდის, რომელსაც ჩვენი დედაკაცები ჰკრეფდნენ და ცოტათი თუ ბევრად სარგებლობდნენ. ესეც აგვიკრძალეს და ტყუილუბრალოდ ფუჭდება ამოდენა კაპარი. ნეტავ თვითონ მაინც ესარგებლათ... რომ ეს წესები კარგად შეესრულებიათ საქისტეთიდამ და საჩერქეზოდამ მოიყვანეს ჩაფრები, რომელთაც იმოდენს ჯამაგირს აძლევდნენ, რომ რაც ბაჟიდამ შეეძრსდიოდათ, ისიც იმათ უნდებოდათ და კიდევ თავის ჯიბიდამ ზედ ადებდენ. ისეთი ულმერთო და ისეთი უწყალონი იყვნენ ეს ჩაფრები, რომ იმათმა შიშმა თავზარი დაგვცა... ამ გახურებულ მუშაობის დროს... როდესაც ჩვენი საკუთარი ყანები დაუმკალი გვრჩება, მოგვადგება დილით კარს ხან მათი მოურავები ხანჯლით, მათრახით, ჯოხებით დაიარაღებულნი და ვაი იმის ბედს, ვინც არ გაჰყვება მათ სამუშაოდ! ცემატყეპისა და ხანჯლების ტრიალს გარდა ის დღეც მოელის რომ იმის საქონელს საძოვარზედ აღარ გაუშვებენ და მშიერს ამოხოცავენ. თქვენ მარტო ის წარმოიდგინეთ, — ამილახვრიანთ გვარი იმოდენა არის, რომ ყველას რომ ვემუშაოთ ჩვენის საკუთარის მუშაობისათვის დრო აღარ დაგვრჩება. ამის გარდა მუშაობის დროს საჭმელსაც საკმაოდ აღარ გვაძლევენ: თითო ლუკმა გამხმარ პურს მოგვიგდებენ და, აბა მოდი და იმით ისაზრდოვე ამ სიცხეში დილიდან საღამომდინ...“ [119].

ამიერკავკასიის რიგ რაიონში ტყე ფრიად მცირე იყო. 1870-იანი წლების მონაცემებით, მაგ., ახალქალაქის მაზრაში ტყეს ეჭირა მთელი ტერიტორიის მხოლოდ 1%, ბაქოს გუბერნიის შემახიას მაზრაში — 2%, ერევნის გუბერნიაში კიდევ — 3%. ტყეებით მდიდარ რაიონებში, მაგალითად, საქართველოში ტყეების დიდი მასივები შეადგენდა ხაზინისა და მსხვილ მემამულეთა კერძო საკუთრებას [120].

გლეხობის მიერ ტყით სარგებლობა მით უფრო რთულდებოდა, რაც უფრო იქცეოდა ხეტყე საქონლად, ე. ი. ვითარდებოდა ტყეების კაპიტალისტური ექსპლოატაცია. მაგალითად, ბორჯომის ხეობაში კავკასიის ნამესტნიკის მიხეილ

[119] „დროება“, 1883 წ. № 156.

[120] ვრცლად იხ. Я. Медведев, „Отношение госуд. крестьян Зак. края к казенным лесам“, 1888, Тиф. стр. 319—353, 357—384.

რომანოვის მიერ 1871 წლიდან მითვისებულ უზარმაზარ მამულში, რომელშიაც ტყეს 45.000 დესეტინაზე მეტი ფართობი ეჭირა, 1900-იან წლებამდე, ე. ი. ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის შტოს გაყვანამდე (1902 წ.), გლეხობის მდგომარეობა მერმინდელთან „შედარებით ასატანი იყო“.

ამ მამულში 23 სოფელი (ბორჯომი, ცემი, წაღვერი, ტბა, ბაკურიანი, სადგური, ციხისჯვარი და სხვ.) იყო. აქაური მოსახლეობა (700 კომლი) ამიერიდან ჩაითვალა „ბორჯომის მამულის“ ტერიტორიაზე „დროებით მცხოვრებ“ გლეხებად, რომლებიც, ამგვარად, მამულის მმართველის თვითნებობაზე იყვნენ მთლიანად დამოკიდებულნი. უკანასკნელს შეეძლო სურვილისამებრ აეყარა ისინი [121]. თუ წინათ გლეხები თავისუფლად სარგებლობდნენ მათთვის საჭირო ხეტყით, ამ დროიდან მათ „უბაჟოდ“ უკვე ფიჩხის გამოტანაც არ შეეძლოთ ტყიდან. მიუხედავად იმისა, რომ ტყეების გაჩეხვის გამო სახნავი ფართობი სულ მატულობდა, სწრაფად იზრდებოდა სახნავის იჯარის ქირაც. თუ 1890-იან წლებში სახნავის საიჯარო გადასახდელი „სავსებით უმნიშვნელო იყო“, 1908 წელს იგი უკვე დესეტინაზე 2,5 — 4,5 მანეთს აღწევს. სათიბიდან კი მოიჯარეს თივის 1/3 ან მისი ფულადი ღირებულება უნდა გადაეხადა [122].

ტყის ნაკლებობა განსაკუთრებით საგრძნობი იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გლეხობისათვის. ტყის პატრონი მემამულეები ჩვეულებრივ დიდი პატივითა და გავლენით სარგებლობდნენ. ისინი მრავალმხრივ ავიწროებდნენ მათს ხელში ჩავარდნილ გლეხობას. მაგალითად, 1900-იან წლებში, გეოქჩაის ბაზარზე სისტემატურად დადიოდა თურმე მემამულე, რომელსაც ტყე ჰქონდა მეზობელ მაზრაში. იგი აჩერებდა ბაზარზე გამოჩენილ შეშისა და ნახშირის გამყიდველ გლეხებს, რომელთაც „უბრძანებდა შეშა და ნახშირი დაეყარათ მის სახლთან, როგორც, თითქოს, მისი ტყიდან მოპარული. ეს უბედურნი უშედეგოდ იმოწმებდნენ ღმერთს, ფიცუ-

[121] Е. Канчер, „Крестьянское устройство в Боржомском имении“, (КХ, 1908 г. № 2, стр. 5—8).

[122] იქვე.

ლობდნენ, არ დგენდნენ სახაზინო ტყეში შეშის მოჭრის ბილეთებს, თავს აბრალებდნენ, იხვეწებოდნენ! — არაფრით არ შეიძლებოდა მემამულის გაყვინიზებული გულის მოგება, და, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი უნდა დაეყარათ მის უზარმაზარ ფარდულში"-ო, იწერებოდა ადგილობრივი კორესპონდენტი [123].

მაგრამ გლეხობისათვის სულ უფრო რთულდებოდა და ძვირდებოდა თვით სახაზინო ტყეებითაც სარგებლობა. სახაზინო ტყეების მცველები ისევე უდიერად ეპყრობოდნენ და ყლეფდნენ გლეხებს, როგორც მებატონეთა ნოურავები [124].

ზოგან, სადაც მსხვილი მეიჯარეები ჩნდებოდნენ, გლეხობას სავსებით არ აკარებდნენ ტყესთან. „დროების" კორესპონდენტი ს. ვარდისუბნის (თელავის მაზრ.) შესახებ 1883 წ. წერდა, რომ წინათ „ეს სოფელი ყოფილა სულმობრუნებული... მაშინ სახნავ-სათესი მიწებიც საკმაოდ ჰქონიათ, ტყეც თავისუფალი, საბალახოც; დღეს-კი, როდესაც საეკლესიო მამულები სახელმწიფო ქონებათა გამგეობის ხელში გადავიდა, სახნავ-სათესი ადგილებიც შეამცირეს და აღარც უფლება აქვთ იმ ტყით ისარგებლონ, — თუნდაც ერთი საჩრის მოჭრითაც, — რომელ ტყესაც შეჩვეულნი და თანაშეზრდილნი იყვნენ!.. უწინ ამ ტყის საბალახოს შემოსავლით სოფელი თანასწორად სარგებლობდა და ისტუმრებდა სოფელზედ გაწერილს სხვადასხვა ხარჯებს... დღეს-კი... თვითონვე იხდიან საბალახოს, თუ ტყის მცველებმა მათ საქონელს შიგ ნოასწრეს" [125].

1893 წ., როგორც ალ. ფრონელი გადმოგვცემს, სოფ. კონდოლის არჩეულმა პირებმა არზა მიართვეს თბილისის გუბერნიის მთავრობას მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ამ არზაში გლეხები, სხვათა შორის, ჩიოდნენ: „...ვენახები, ეს ერთადერთი წყარო ჩვენის არსებობისა გვიხმება, რადგან სარი მეტად გაძვირდა და შეძ-

[123] Газ. „Баку", 1904 г., № 42.

[124] ЦГИА ГССР, ф. 13, оп. 7. д. № 156, лл. 59—60.

[125] გაზ. „დროება", 1883 წ. № 219.

ლება კი არ მოგვეძებნება შევიძინოთ ხოლმე ეს ვენახებისათვის უსაჭიროესი მასალაო“ [126].

1907 წ. თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში თვით კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული იყო ელიარებია სახაზინო ტყეებისა და საძოვრების ადმინისტრაციის მხრივ გლეხობის უკიდურესი შევიწროების ფაქტი: „...საქმე იქამდეც კი მიდის, რომ გლეხის ხელით მისსავე ეზოში გაზრდილი ბაკლის ხეც იბეგრებაო“, აღნიშნავდა იგი [127].

ე. საიჯარო მიწების დანაწილება სახმარისობისა და მოიჯარეთა მიხედვით

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ მიწას იჯარით სცემდა არა მხოლოდ მემამულე, ე. ი. ასე თუ ისე მსხვილი მიწათმფლობელი, არამედ გლეხიც, თუმცა, ცხადია, საერთოდ იჯარით გაცემულ მიწებს შორის გლეხთა მიწების ხვედრიწონა, შედარებით, მცირე იყო. საზოგადოდ-კი მიწის იჯარით გაცემა და აღება წარმოადგენდა მეტად გავრცელებულ მოვლენას, რაც მიწათსარგებლობაში ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა მცირემიწიანი და წვრილგლეხური მეურნეობის ქვეყნისათვის.

ქუთაისის გუბერნიის ერობის აგრონომი 1913 წ. საგანგებოდ აღნიშნავდა „იჯარის დიდ მნიშვნელობას გლეხური მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ეკონომიკურ ცხოვრებაში“ [128]. მიწის იჯარა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მით უფრო იყო გავრცელებული, რომ აქ თვით 1900-იან წლებშიაც იშვიათი იყო მსხვილი კაპიტალისტური მამულები, რომლებიც საკუთარი ინვენტარითა და დაქირავებული შრომით წარმართავდნენ მეურნეობას.

---

[126] „მოამბე“, 1897 წ. № V, გვ. 33; იხ. აგრეთვე იმავე ჟურნალის 1904 წ. № 11, გვ. 107.

[127] „Всеподданнейшая записка...“, 59 — 60.

[128] ДГЗАЗ, 94.

შემამჭელეები ჩვეულებრივ მიწებს თითქმის მთლიანად აძლევდნენ წვრილ მოიჯარე გლეხებს. თავადაზნაურულ შემამჭულეთაგან მხოლოდ წვრილი აზნაურობა, რომელთა „ყოფიერება და მოთხოვნილებანი არაფრით განირჩეოდა გლეხურისაგან“, წარმართავდა უშუალოდ თავის მეურნეობას. მაგრამ მიწებს, უპირატესად შრომამიგების საფუძველზე, იჯარით აძლევდნენ ხშირად თვით კაპიტალისტური მამულებიც, როგორიც იყვნენ, მაგალითად, ანანოვის, შერემეტიევის, მიურატის, მუხრან-ბატონისა და სხვ. მეურნეობანი; ხშირად მათაც ესარფებოდათ მოიჯარე წვრილმწარმოებელთა გარკვეული კონტინგენტის სახით „მუშახელის მხრივ უზრუნველყოთ მეურნეობა“, ანდა მამულის იმ ნაწილის დამუშავება, ანუ კიდევ საერთოდ მეურნეობაში ისეთი სახის სამუშაოთა შესრულება, რაც საკუთარი იარაღებითა და დაქირავებული შრომით არ შეეძლოთ, ანდა ნაკლებად შეეძლოთ. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ მხრივ ყველაზე მთავარი მაინც თვით იჯარის ქირის მაღალი დონე, ე. ი. მწვავე უმიწაწყლობით გამოწვეული გლეხთა უკიდურესი გაჭირვება იყო.

საქმე იმაშია, რომ აქ არსებული სასტიკი მცირემიწიანობის პირობებში უზომოდ მაღალი გლეხური იჯარის ქირა ძალიან ხშირად ნთქავდა არამცთუ მოიჯარის მოგების ნაწილს, ე. ი. გლეხის საკუთარი ზედმეტი შრომის ნაწილს, რომელზედაც მას უფლება ჰქონდა როგორც მფლობელს საკუთარი სამუშაო იარაღებისა, არამედ ნაწილსაც იმ ნორმალური ხელფასისა, რისი მიღებაც მას შეეძლო როგორც დაქირავებულ მუშას.

აქედან უკვე ნათელი უნდა იყოს, თუ რატომ ვერ ელეოდნენ მიწის იჯარით გაცემასა და, მაშასადამე, კაბალური მოიჯარის შრომის ექსპლოატაციას, სახელდობრ შრომამიგებითი, ე. ი. ბატონყმურ ურთიერთობათა „მშვენიერებას“ თვით ყველაზე „რაციონალურად აწყობილი“, ე. ი. კაპიტალისტური ძალულებიც-კი. საერთოდ ტექნიკური ჩამორჩენილობის და „თავისუფლად დაქირავებული მუშაძალის განუვითარებლო-

ბის“ პირობებში უმიწობით უკიდურესობამდე გაჭირვებული კაბალური მოიჯარის შრომა „რაციონალურად“ გამართული მეურნეობისათვისაც ხშირად „უფრო მწარმოებლური“ იყო, ვინემ დაქირავებული მუშის შრომა.

იჯარის გამცემთა და მოიჯარეთა კლასობრივი შედგენილობის, აგრეთვე საიჯარო მიწების სახმარისობის მიხედვით დანაწილების ფრიად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენენ 1917 წ. ზაფხულში ჩატარებული „სრულიად რუსეთის სოფლისმეურნეობრივი, საადგილმამულო და საქალაქო აღწერის“ მონაცემები (ცხრილი იხ. 719 გვ.).

ცხრილის უკანასკნელ სამ — 15, 16 და 17 — სვეტში წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებენ მიწის საიჯარო ურთიერთობათა ინტენსივობის ხარისხს. როგორც ვხედავთ საშუალოდ ერთი გლეხური მეურნეობის სარგებლობაში იყო სხვადასხვაგვარი სახმარი მიწა, სულ: თბილისის გუბერნიაში 3,5 დესეტინა, ქუთაისის გუბერნიაში 2,3 დეს., ხოლო სოხუმის ოკრუგში — 4,4 დესეტინა. ამგვარად, მიწათსარგებლობის მხრივ ყველაზე უფრო უზრუნველყოფილი ჩანს სოხუმის ოკრუგის გლეხური მეურნეობა. ეს გასაგებიცაა. აქ საერთოდ გლეხურ მოსახლეობაში დიდი ხვედრიწონა ეჭირა კოლონიზატორულ ელემენტებს, რომელთაც, როგორც ცნობილია, იმთავითვე დიდი ე. წ. „ნორმალური“ ნადელები ეძლეოდათ: ამავე დროს ამ ოკრუგის ადგილობრივ გლეხურ მეურნეობებს სხვებზე მეტი (0,9 დეს.) ჰქონდათ იჯარით აღებული მიწები (ქუთ. გუბ. — 0,3 დეს., თბილ. გუბ. — 0,8 დეს.), რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სოხუმის ოკრუგში მრავლად იყო დას. საქართველოს სხვა რაიონიდან გადასული უმიწაწყლო გლეხური მეურნეობები, რომლებიც მემამულისაგან იჯარით აღებულ მიწებზე იყვნენ მთლიანად დაშენებულნი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ გლეხურ მეურნეობათა სარგებლობაში მოქცეული მიწის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა იჯარით აღებული მიწა. მთელ საქართველოში საშუალოდ ერთი გლეხური მეურნეობის სარგებლობაში ითვლებოდა სულ 3 დეს. მიწა და აქედან 0,6 დეს., ე. ი. 20

მიწის იჯარა საქართველოში 1917 წ. პროცენტობით

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	იჯარით აღება						იჯარით გაცემა						საშ. მოდის ერთ მეურნ. (დესეტინ.)		
	სამოსახლო	სახნავი	სათიბი	ვენახი, ბაღი, ბოსტანი	საძოვარი საბალახო	ს უ ლ	სამოსახლო	სახნავი	სათიბი	ვენახი, ბაღი, ბოსტანი	საძოვარი საბალახო	ს უ ლ	საკუთარი მიწა	იჯარით აღებული	საკუთარი და იჯარით აღებული
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
I.	თბილისის გუბერნია															
	გლეხური მეურნეობა	1,4	,712	15,9	0,6	0,9	100,0	0,1	89,2	8,4	1,6	0,7	100,0	2,7	0,8	3,5
	მემამულური „	0,2	31,4	22,8	0,3	45,3	100,0	0,1	33,5	10,5	0,3	55,6	100,0	73.0	4,5	77,5
	ჯ ა მ ი	1,2	63,7	17.2	0.5	17,4	100,0	0,1	40,1	10,3	0,5	49,0	100,0	5,5	0,9	6,4
II.	ქუთაისის გუბერნია															
	გლეხური მეურნეობა	0,0	99,8	0,	0,0	0,1	100,0	—	99,9	0.1	0,0	—	100,0	2,0	0,3	2,3
	მემამულური „	2.4	97,6	—	—	—	100,0	—	97,0	2 9	0,1	0,0	100,0	33,5	0,1	33,6
	ჯ ა მ ი	0,0	99,8	0,1	0,0	0,1	100.0	—	98,6	1.3	0.1	0,0	100,0	2,5	0.3	2,8
III.	სოხუმის ოკრუგი															
	გლეხური მეურნეობა	0,5	91.2	4.6	0,4	3,3	100,0	0,1	97,1	0,7	0,3	0,8	100,0	3,5	0,9	4;4
	მემამულური „	0,5	91,2	,6	0,4	3.3	100.0	—	96.1	0,0	3,7	0,2	100,0	50,9	5,7	56,6
	ჯ ა მ ი	0.5	88,3	7,9	0,3	3,0	100,0	0,0	96,6	0,4	2,0	1,0	100,0	4,4	1,0	5,4
	საერთოდ															
	გლეხური მეურნეობა	0,9	81.4	10,2	0.4	7,1	100,0	0,0	94.0	4,5	0.9	0,6	100.0	2,4	0,6	3,0
	მემამულური „	0,2	35.1	24,1	0,2	40.4	100,0	0,1	39.2	9.8	0,5	50,4	100,0	59.0	3,1	62.1
	ს უ ლ	0,8	75,1	12,1	0,4	11,6	100,0	0,0	49,7	8,8	0,5	41,0	100.0	4,0	0,6	4,6

პროცენტი იჯარით იყო აღებული. მაშინ როდესაც ერთი მემამულური მეურნეობის სარგებლობაში მოქცეულ სახვართა საერთო ფართობიდან (62,1 დეს.) იჯარით აღებული იყო მხოლოდ 0,05% (3,1 დეს.). საშუალოდ ერთი მემამულური მეურნეობის სარგებლობაში მოქცეული მიწის საერთო სიდიდე უდრიდა: თბილისის გუბ., — 77,5; ქუთაისის გუბ. — 33,6 დეს.; ხოლო სოხუმის ოკრუგში — 56,6 დეს. ამგვარად, ქუთაისის გუბერნიის მემამულეები საერთოდ ყველაზე მცირემიწიანები იყვნენ. იჯარით აღებული მიწების მხრივაც ქუთაისის გუბერნიის მემამულეებს უკანასკნელი ადგილი ეჭირათ, მოდიოდა რა საშუალოდ ერთ მეურნეობაზე — 0,1 დეს., მაშინ როდესაც შესაბამისი მონაცემები უდრიდა: თბილისის გუბ. — 4,5; ხოლო სოხუმის ოკრუგში-კი — 5,7 დეს.

ამასთანავე, რამდენადაც გაბატონებული იყო არა მსხვილი, არამედ წვრილი იჯარა, სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საერთოდ იჯარით გაცემული მიწების ძირითადი მასა იმყოფებოდა არა სავაჭრო მიწათმოქმედების სფეროში, ე. ი. არა კაპიტალისტურ ფერმერთა, არამედ გლეხურ, მაშასადამე, კაბალურ მოიჯარეთა ხელში.

ვ. იჯარის ქირის ზრდა და აგრარულ ურთიერთობათა გამწვავება

განხილულ მასალათაგან ჩანს, რომ მიწის დიდი სიმცირის პირობებში სულ უფრო მწვავდებოდა დამოკიდებულება წვრილ მოიჯარესა და მემამულეს შორის. მემამულეები, რასაკვირველია, ძალიან კარგად ხედავდნენ თავიანთ მონოპოლიურ მდგომარეობას და შესაძლებლობას არ უშვებდნენ ხელიდან, რათა სულ აეწიათ იჯარის ქირა. ასეთს პირობებში უკვე 1870-იანი წლებიდან მიწის სანახევროდ გაცემა ზოგან, განსაკუთრებით ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში, ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. მაგრამ, ცხადია, გლეხობა ასე ადვილად არ ურიგდებოდა იჯარის ქირის ასეთს შეუნელებელ ზრდას. იყო შემთხვევები, როდესაც მცირემიწიანი გლეხობა ცდილობდა

შეკავშირებულად გამოსულიყო იჯარის ქირის ამაღლების წინააღმდეგ.

მაგალითად, გაზ. „დროების" კორესპონდენტი იტყობინებოდა: „ერთ ადგილს მამულის პატრონს ძალიან სიბრაზე მორევია და მამულის გაცემაც მხოლოდ იმ პირობით მოუნდომებია, რომ მოსავლის ნახევარი გლეხებმა იმას მისცენ. გლეხები, რასაკვირველია, ისე ბრიყვები არ გამოსულან, როგორც მამულის პატრონსა ჰგონებია, და ერთპირად უარი უთქვამთ: შენ შენთვის ბრძანდებოდე შენის მამულით, ჩვენ ჩვენთვისაო. დარჩენილა ჩვენი მამულის პატრონი თავის მამულით ერთი წელიწადი. წელიწადსაც გაუვლია, თქვენმა მზემ, გლეხებს ყურიც_ არ გაუფართხუნებიათ. მამულის პატრონი უყურებს, დრო მიდის, მეორე წელიწადიც დადგა. თქვენ არ მომიკვდეთ, გლეხები ხმას არ იღებენ. გაუჭირდა ჩვენს მამულის პატრონს, კაცები შეუყენა გლეხებს და ძლივ-ძლივობით მოირიგა. მეტი ღონე აღარ ჰქონდა, იმათს (გლეხების) სიტყვას უნდა დაჰყოლოდა" [129].

რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონია ბევრგან რაჭაში. „მთელი სოფელი პირობას ჰკრავს, რადგან ესა და ეს მამული ამა და ამ კაცს არ მიეცა ღირებულ ფასად, ამისთვის ნურავინ აიღებს იმ მამულსაო. ამისთანა პირობის შემდეგ მართლაც რამოდენიმე წელიწადი რჩება შეუმუშავებლად კარგი მომცემი მიწები. რასაკვირველია, ბოლოს მამულის პატრონმა უნდა დაუთმოს გლეხებს, რადგან უამისოდ თვითონაც ზიანში შევა" [130].

მაგრამ გლეხები ეტყობა ასე ექცეოდნენ არა მხოლოდ სახნავ-სათესი მიწების მფლობელებს, არამედ ტყის პატრონებსაც. იმავე „დროებაში" ვკითხულობთ: „ერთმა ტყის პატრონმა დიდი ბაჟი დაადვა და გლეხებს არ მოურიგდა. გლეხები ერთ პირათ გამოემშვიდობენ და სხვა სოფლის ტყის პატრონს მოურიგდენ. გადის ერთი, ორი წელიწადი,

[129] „დროება", 1870 წ. № 20.
[130] „დროება", 1870 წ. № 39.

ტყის პატრონს ტყიდან შემოსავალი არ აქვს. რა ქნას, მეტი ღონე არ აქვს, უნდა დაუკლოს ბაჟი. ბაჟი დაუკლო და ის ფასი დასვა, რასაც გლეხები ეუბნებოდნენ ორი წლის წინეთ. მაგრამ, დახე ტყის პატრონის უბედურებას? ყური არავინ გაიბერტყა. გლეხები ეუბნებიან: „შენ შენთვის ბრძანდებოდე შენი ტყით, ჩვენ ჩვენთვისაო“ [131].

გასაგებია, რომ საერთოდ გლეხობის ამგვარ გამოსვლას არსებითი მნიშვნელობა ნაკლებად ექნებოდა. გლეხებს ასე თუ ისე შეეძლოთ მხოლოდ წვრილი მემამულეები აეძულებიათ და ისიც დროებით, სანამდისაც მსხვილი მემამულეების მიერ ნაკარნახევი იჯარის ქირა „საყოველთაოდ ჩვეულებრივად“ არ გადაიქცეოდა. აკი თვით „დროებაც“ აღნიშნავდა: „როგორც ამბობენ, ეს ამბები უფრო მცირე მამულის პატრონებსა და იმათ გლეხებს შუა ხდებაო“ [132].

მაგრამ 1890-იანი და განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან რაც უფრო მაღლა იწევდა იჯარის ქირა და, ამასთანავე, სოფლად მრავლდებოდა უმიწაწყლო გლეხობა, ცხადია, მით უფრო მწვავდებოდა დამოკიდებულება მემამულეებსა და წვრილ მოიჯარეებს შორის. ამ დროიდან უფრო ხშირდება გლეხობის მიერ მემამულეებისათვის ბოიკოტის გამოცხადება. ხშირად მთელი თემი პირობას დებდა არ ესარგებლათ ამა თუ იმ მემამულის მიწებით და ამ სახით ცდილობდა აეძულებია უკანასკნელი, რათა შეემცირებია იჯარის ქირა.

1900-იანი წლების დასაწყისიდანვე მთელს ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი დას. საქართველოში, დამოკიდებულება მემამულეებსა და წვრილ მოიჯარე გლეხობას შორის არაჩვეულებრივად მწვავე ხასიათს ღებულობს. მაგალითად, 1903 წ., როგორც ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავდა, „აქა-იქ მემამულეთა და მიწათმოქმედთა შორის დამოკიდებულება გამწვავდა. გლეხებმა უარი თქვეს, — ასე დიდ საიჯარო გადასახადს ვერ გადვიხდითო და მიწები საღალოდ არ აიღეს“ [133].

[131] „დროება“, 1870 წ. № 20.

[132] „დროება“, 1870 წ. №39.

[133] ეურ. „მოამბე“, 1904 წ. № 1. „შინაური მიმოხილვა“, 79 — 80.

გასაგებია, ამ მოვლენას არ შეეძლო ადრე თუ გვიან პოლიტიკური ხასიათი არ მიეღო; მით უმეტეს, რომ შავრაზმული თავადაზნაურობა იმთავითვე ცდილობდა ეს გლეხობა ხელისუფლების წინააღმდეგ მოაჯანყეებად გამოეყვანა. „მოამბის“ იგივე მიმომხილველი წერდა: „ზოგიერთი ვაჟბატონები ისე წათამამდნენ, რომ თავიანთ დამპალ სახლებს თვითონ სწვავდნენ, რომ შემდეგ «პუნტისათვის» დაებრალებიათ და გლეხებისათვის ეზღვევინებიათ“ [131].

1905 წლის რევოლუციის პერიოდში, მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში გლეხობის სიმტკიცემ მემამულეები აიძულა დათმობაზე წასულიყვნენ. მემამულეთა მდგომარეობა საკმაოდ მძიმე შეიქნა და ისინი დათანხმდნენ მიეცათ გლეხებისათვის მიწები იჯარით „მოსავლის არა 1/3-ზე, როგორც წინათ, არამედ მხოლოდ 1/10-ზე“ [135]. ამავე დროს 1901-1902 წ წ. მოუსავლობის პერიოდში, როდესაც დესეტინა მიწაზე ნაცვლად 80-120 ფუთისა მოდიოდა მხოლოდ 20-30 ფუთი სიმინდი და გლეხობის მდგომარეობა ფრიად მძიმე იყო, „მემამულეები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ იმ გარემოებას, რომ გლეხობას არაფრით არ შეეძლო გადახდა, და მოითხოვ-

[134] მაგრამ 1902 — 1903 წ. წ. რეპრესიებით შეუძლებელი აღმოჩნდა გურიაში გლეხობის წინააღმდეგობის გატეხა. ისინი ამ „გაპირვების დროს ერთმანეთს დიდ დახმარებას უწევენ. მათ ასეთს სიმტკიცეს ტყუილა არ ჩაუვლია: რამდენიმე ადგილას წელს (1904) დაუთმეს მემამულეებმა. სოფ. ნიგოითში, მაგ., მემამულე მაჭუტაძეებმა, რომლებიც შარშან მუქარით ეუბნებოდნენ გლეხებს: «როგორ გაბედეთ ჩვენ წინააღმდეგ გაფიცვა, ფეხათ არ გაგარონიებთ ჩვენს ადგილებზეო» და სხვ. დიდ ხანს ევაჭრენ ხალხს, აძლიეს მიწა ხან მეოთხედათ, ხან მეხუთედათ და, როდესაც სასურველი პასუხი ვერ მიიღეს, მაშინ გამოაცხადეს: «წადით და მოიტანეთ ნება კომიტეტისაგან, რასაც ის გადასწყვეტს, თანახმა ვართო». სუფსის რაიონში რამდენიმეჯერ მოინდომეს მემამულეებმა მოლაპარაკებოდნენ გლეხებს, დაუკლეს კიდეეაც ძველ პირობაზე, მარა გლეხები მაინც არ მუშაობენ. «ჩვენ მეათედათ ვთხოულობდით, თუ დაგვითმობენ ასე მემამულეები, ხომ კარგი, თუ არა და არ გვინდა სულაო», გაიძახოდნენ ისინი. ასე რომ მემამულეებმა უკვე აღიარეს თავისი დამარცხება“ („გლეხთა მოძრაობა გურიაში“, 1904 წ. გვ. 47).

[135] Ш. Горцев, „Как грузинские крестьяне борются за свободу“, 1906. Москва, стр. 13.

დნენ იმდენსავე საიჯარო გადასახდელს, რამდენსაც ღებულობდნენ მოსავლიან წლებში“ [136].

* *

როგორც აღვნიშნეთ, სწრაფად იზრდებოდა მიწის იჯარის ქირა. მაგრამ ამასთანავე ზოგიერთ რაიონში შესამჩნევად ეცემოდა ნიადაგის ნაყოფიერება. შემოსავლის დაცემის მეოხებით წვრილი მოიჯარე-გლეხის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა: იგი ფაქტიურად დაყვანილი იყო ყმის ანდა, უკეთეს შემთხვევაში, დაქირავებული მუშის მდგომარეობამდე, რამდენადაც ის შემოსავალი, რაც მას იჯარით აღებული მიწის დამუშავებიდან რჩებოდა, უმეტეს შემთხვევაში არ აღემატებოდა ისედაც დაბალ დონეზე მდგარ ხელფასს ანუ აუცილებელ პროდუქტს. მაგრამ როგორც ზემოთ დავინახეთ წვრილი მოიჯარე ხშირად ნორმალურ ხელფასსაც მთლიანად ვერ ინაზღაურებდა.

ამას გარდა აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში იჯარის ქირა ხშირად თვით 1900-იან წლებშიაც ნატურალური ხასიათისა იყო; ეს გადასახდელი იანგარიშებოდა ზოგან სავსებით დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი იქნებოდა მოცემულ მიწაზე მოსავალი. ასე რომ ტექნიკურად ჩამორჩენილი მიწათმოქმედების მთელი სიმძიმე მხოლოდ გლეხის კისერზე გადადიოდა. და მიუხედავად იჯარის ამგვარ პირობებზე წასვლისა გლეხს მაინც იშვიათად შეეძლო საკმაო ზომით ჩაეგდო ხელში მიწა, — საერთოდ ვარგისი მიწების სიმწროვის გამო.

იჯარის ამ უკანასკნელი ფორმების დროს გლეხი მემამულეს აძლევს უკვე წინასწარ მტკიცედ გადაწყვეტილ ქირას, რაც ჩვეულებრივად გამოიხატებოდა ხორბლეულის, ღვინის და სხვ., გარკვეულ რაოდენობაში; მაგრამ ამას გარდა საიჯარო ქირის ანგარიშში გლეხს თავისი ინვენტარით უნდა ემუშავნა მემამულის მეურნეობაში.

---

[136] Ш. Горцев, დასახ. შრომა, გვ. 4.

ხოლო როდესაც ფულის სესხებით ან მიწის იჯარით აღებით დაკაბალებული ნახევრადმათხოვარი გლეხი მემამულისათვის მუშაობს თავისი საცოდავი პირუტყვით და იარაღებით, ეს სწორედ არის ბატონყმური მეურნეობის ეკონომიკური არსებაო, — აცხადებდა ვ. ლ ე ნ ი ნ[137]. მემამულეთა მიწების დამუშავების ასეთი ფორმა, როგორც დავინახეთ, ჩვენში ფართოდ იყო გავრცელებული რეფორმიდან მოყოლებული თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე[138].

თუ რა სისწრაფით გაიზარდა 1901 — 1911 წ წ. ამიერკავკასიაში მიწის იჯარის ქირა, წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. გვ. 726 — 727).

როგორც ვხედავთ, მხოლოდ ათი წლის განმავლობაში, სახელდობრ, 1901 წლიდან 1911 წლამდე, გაზაფხულის სათესი 1 დესეტინა მიწის იჯარის საშუალო ქირა გაიზარდა: თბილისის გუბერნიაში 7,1 მანეთიდან 10,2 მანეთამდე, ხოლო ზოგ სხვა გუბერნიაში კიდევ უფრო მეტად. კერძოდ ბაქოს გუბერნიაში 3,8 მანეთიდან მან მიაღწია 8,5 მანეთს, ე. ი. 2-ჯერზე უფრო მეტად გაიზარდა. ამგვარად, იზრდება არა მარტო მარცვლეულის სათესი ფართობის, არამედ საერთოდ ყოველგვარი სახმარი მიწის იჯარის ქირა. სწრაფად იზრდება კერძოდ სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათათვის სახმარი მიწების იჯარის ქირა. ასე, მაგალითად, სოხუმის ოკრუგში 1 დესეტინა სათამბაქო მიწის ქირამ 13,1 მანეთიდან 1901 წელს, 1911 წლისათვის უკვე 25,8 მანეთამდე მიაღწია, ე. ი. ათი წლის განმავლობაში დაახლოებით ორჯერ გაიზარდა.

რსდმპ III ყრილობაზე მ. ც ხ ა კ ა ი ა აცხადებდა, რომ დას. საქართველოში იჯარით აღებასა და დამუშავებას სხვათა, კერძოდ ხაზინისა და მემამულეთა მიწებისა მოუსავლიან წლებში „გლეხობა დაჰყავს განადგურების უკიდურეს ხარისხამდე. ისინი შიმშილობენ, შიმშილობენ ქრონიკულად, მაგრამ არ „მათხოვრობენ“, თავს აფარებენ რა თავიანთს მაღალს

---

[137] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 15, გვ. 85 — 92.

[138] ЭВЗ, 1928 г. № 11, стр. 37.

ერთი დესეტინა ურწყავი მიწის ოჯახის ქირა სახმარისობის (კულტურათა) მიხედვით (მანეთობით)[139].

(გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე)

გუბერნიები	გაზაფხულის სათესი (მარცვლ.)		1901 წელს									
			სათიბი		საზაფხულო საძოვარი (საბალახო)		სათამბაქო		საბამბე		საბოსტნე	
	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
თბილისის	7,1	1—33	5,8	1—20	2,5	0,1—12	13,3	3—12	8,0	—	19,8	5—80
ქუთაისის	16,2	2—45	14,0	5—22	3,5	0,4—8	14,4	9,1—29	12,0	6—16	27,4	8—120
ბაქოსი	3,8	1,5—6	3,3	0,2—8	0,8	0,1—4	6,0	—	10,3	3—50	9,9	2—12
განჯის	4,1	1,5—6	4,2	0,5—10	2,8	0,1—5	10,0	—	27,3	6—6,5	7,0	3—12
ერევნის	7,4	2—12	8,5	0,5—16	1,9	0,1—10	23,5	12—35	31,1	6—100	33,5	4—60
სოხუმის ოკრუგი	10,0	2—15	9,4	3—15	6,3	1—13	13,1	5—20	—	—	11,4	10—15

[139] СХОЗ, 1914 г., ч. II, 48—52.

ერთი დესეტინა ურწყავი მიწის ოჯარის ქირა სახმარიხობის (კულტურათა) მიხედვით (მანეთობით).

გუბერნიები	1911 წელს											
	გაზაფხულის სათესი (მარცვ.)		სათიბი		საზაფხულო საძოვარი (საბალახო)		სათამბაქო		საბამბე		საბოსტნე	
	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
თბილისის	10,2	2—45	8,5	2—30	2,9	0,1—20	23,4	15—30	20,0	—	38,8	4—102
ქუთაისის	21,8	2,5—49	21,3	2—49	5,1	0,5—14	23,8	22—41	17,9	8—25	39,2	10—120
ბაქოსი	8,5	3—25	10,1	3—20	1,7	0,1— 5	12,5	—	23,5	3—50	22,9	3— 40
განჯის	7,1	2—16	8,0	1—20	1,6	0,1—10	8,2	10—16	24,8	0,8—75	9,6	3— 18
ერევნის	13,2	3—25	13,1	2—20	3,2	0,2—20	40,0	—	55,3	10—200	56,6	10—120
სოხუმის ოკრუგი	16,5	10—25	17,1	3—30	12,2	3—20	25,3	15—60	—	—	19,3	10— 30

ბალებსა და ტყეებში, ხშირად მთელი ზაფხულის განმავლობაში მხოლოდ ხეხილითა და მინდვრის ნაყოფებით იკვებებიან (ამას ვლაპარაკობ კავკასიის, განსაკუთრებით ქართულ გაზეთებში მოთავსებული აუარებელი კორესპონდენციების საფუძველზეო)“ [140].

იჯარის ქირის სიდიდე, ცხადია, აბრკოლებდა სოფლის მეურნეობის ტექნიკურ პროგრესს. მემამულე ასეთ პირობებში თითქმის ყოველთვის არჩევდა იჯარით გაეცა მიწა და, ამგვარად, თავისთვის უზრუნველეყო გარკვეული შემოსავალი, ვინემ უშუალოდ მოეკიდა ხელი მიწათმოქმედებისათვის, ე. ი. შეეძინა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები, დაექირავებია მუშახელი და სხვ., რაც გარდა იმისა რომ ძნელი იყო მსხვილი მეურნეობისათვის საჭირო ცოდნასა, ფულად საშუალებასა და კაპიტალისტური მეწარმეობის უნარს მოკლებული თავადაზნაურობისათვის, ამასთანავე მოუსავლობის (გვალვა, ზედმეტი წვიმები, ე. ი. ჰაერიორიანი პერიოდები და სხვ.) რისკთანაც იყო დაკავშირებული. ამიტომაც გასაგებია, რომ, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში მსხვილი მემამულე „იჯარაში ხედავდა შემოსავლის მიღების საუკეთესო საშუალებას“ [141] და, ამ წესს იგი არც შეცვლიდა იჯარის მაღალი ქირის არსებობის პირობებში [142].

8. მიწის ფასი. მამულების დავალიანება

ა. მიწის ფასი

მაგრამ მატულობდა მიწის არა მხოლოდ იჯარის ქირა. დიდის სისწრაფით იზრდებოდა თვით ადგილმამულის ფასი. ჯერ კიდევ 1860-იანი წლებიდანვე, განსაკუთრებით გამოსყიდვითი ოპერაციების ასე თუ ისე განვითარების შემდეგ, მიწის ფასმა ერთბაშად აიწია. ფასი დაედო ისეთ ნაკლებვარგის მიწებს, რომელთაც წინათ „ყურადღებას არავინ

[140] „Революционная борьба крестьянства Грузии в 1905 г.“, 1935. М. стр. 21.

[141] ТМКСХП, т. LII, 230.

[142] КСХ, 1905 г. № 78, стр. 164.

აქცევდა და რომელთაც ყოველი მემამულე მიჯნებს გარეთ სტოვებდა, რათა ტყუილუბრალოდ არ განევრცო თავისი მამულის ფართობი". ახლა კი ყმობიდან „განთავისუფლებული" გლეხი არჩევდა „ხრიოკ, მაგრამ თავის მიწაზე დასახლებულიყო", ვინემ მემამულის იმ სანადელო ნაკვეთზე, რომლის გამოსყიდვის საშუალება და არც იმედი მას არა ჰქონდა. ამიტომაც მემამულეები სასწრაფოდ ეპატრონებიან, თავისთვის იმიჯნავენ, აქამდე „უვარგისობის გამო უპატრონოდ მიტოვებულ მიწებს", რომელთაც ამიერიდან ფასი დაედვა.

ქართულ პრესაში ჯერ კიდევ 1860-იანი წლებიდანვე გაისმა ხმა მიწების არაჩვეულებრივი გაძვირებისა და ამასთანავე დავალიანების შესახებ. ამ მოვლენათა მიზეზებს ცნობილი პუბლიცისტი ა. ფურცელაძე თავის დროზე (1873 წ.) შემდეგნაირად ხსნიდა:

„ჩვენ, რაკი გარეშე მტრისაგან მოგვეცა სიმშვიდე, ვიწყეთ მრავლობა, ასე რომ ამ სამოცდაათის წლის განმავლობაში ვიმატეთ ერთიორად, ერთი სამათ. გარდა ამისა ჩვენს მამულებზედ დასახლდნენ უცხო ტომის ხალხიც: სომეხნი, ბერძენნი, თათარნი, ოსნი, რუსნი და სხვ. ასე რომ ამ მოკლე ხანში ჩვენს მამულს დაესხა ერთი ოთხად, ერთი ხუთად მეტი ხალხი. ძაძული კი დარჩა იგივე, მამულის სამუშაო იარაღი და ღონისძიებანი იგივე, თარგამოსის დროსნი. მამული, რომელიც აქამდისინ ორს-სამს წელიწადში ერთხელ ძლივს იხვნოდა, ღღეს იხვნის ყოველწლივ უპატიოთა და თესლშეურჩევლივ. მაშასადამე, ამ ხალხის გამრავლებასთან მამულებს ძოსავალიც უნდა ეკლოთ, რაკი პატივი არა ჰქონდათ და არც დასვენება ეძლეოდათ. სახელმწიფო და საბატონო გადასახადებმა ერთი ოთხად, ერთი ხუთად იმატეს. ამასთან, შეძლების გარე, ბევრი საჭიროებანი დაებადეთ ჩვენს თავში სხვა ხალხების წაბაძვით; და აქ ცხადი საქმეა, რომ თუ სადმე ხელი მიგვიწვდებოდა, უნდა მიგვემართა ვალებისათვის, რომლისაც შოვნა არ იყო საძნელო, ვიდრე ეგულებოდათ ჩარჩებს და ფულის პატრონებს ჩვენს ხელში მამცემი მამულები. რასაკვირველია, ამ გარემოებასთან მამული ახირებულად გაძვირდა. ეს მით უფრო უნდა მამხდარიყო, რომ ჩვენი ქართველი კაცი ხვნა-თესვის გარეთ, მეტადრე ქართლ-კახელი კაცი, არა საქმეს ხელს არა ჰკიდებს და არა საქმე არ ემარჯვება. ეს ამოდენა ხალხი აწვება მამულს უცოდნელად, უწესოდ, უგლაგაჯა იარაღით, უსარისტოდ" [1].

---

[1] ა. ფურცელაძე, „სასოფლო წერილები", წერილი პირველი („გუთნის დედა", 1873 წ. № 17).

თუ როგორი ტემპით ძვირდებოდა მიწა 1890 წლიდან მოყოლებული, ნათლად გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

ერთი დესეტინა მიწის გასაყიდი ფასი (მანეთობით)[2]

გუბერნიების დასახელება	1890 წ.		1900 წ.		1910 წ.		
	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა	საშუალო	რყევადობა	პროცენტული შეფარდება 1910 წ. საშ. ფასი 1890 წ. ფასთან.
თბილისის	84,5	15—550	111,8	25—650	149,8	25—1200	174,6
ქუთაისის	199,5	25—810	262,9	40—1080	277,0	50—1620	141,1
განჯის	42,6	15—100	51,5	10—130	82,1	18—500	192,5
ბაქოს	72,5	40—100	111,3	45—200	126,0	50—250	177,0
ერევნის	163,1	60—300	270,0	150—450	345,1	30—600	211,4
სოხუმის ოკრ.	50,8	20—120	79,4	75—200	116,0	40—300	226,6

ამრიგად, ოცი წლის განმავლობაში, ე. ი. 1890 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1910 წლამდე, 1 დესეტინა მიწის საშუალო გასაყიდი ფასი ამიერკავკასიის ზოგიერთ კუთხეებში 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. მაგალითად, სოხუმის ოკრუგში, სადაც წინათ მიწა ძვირი არ იყო, 90-იანი წლებიდან დაწყებული, კოლონიზაციის ზრდისა და სპეც-ტექნიკურ კულტურათა განვითარების შედეგად, სწრაფად დაიწყო მიწების გაძვირება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებთან შედარებით (გარდა განჯის გუბერნიისა), მიწა აქ კიდევ ყველაზე უფრო იაფი იყო.

რამდენადაც ერევნის გუბერნიის შესახებ ცნობების სიზუსტე საეჭვოა (უმთავრესად ჩვენებათა მეტისმეტი ნაკლებობისა გამო), უნდა ითქვას, რომ მთელ ამიერკავკასიაში მიწის სიძვირე ყველაზე უფრო საგრძნობი იყო დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის გუბერნიაში. აღსანიშნავია, მაგა-

[2] СХОЗ, 1912, г.,ч. II, 93—94.

ლითად, რომ ოზურგეთის მაზრაში 1 დესეტინა მიწა საშუალოდ ფასობდა: 1870-იანი წლების დასაწყისს — 21 მან., 1880-იან წლებში — 86 მან., 1890 წ. — 196 მან., 1900 წ. — 320 მან., ხოლო 1910 წ. — 335 მანეთი; მაშასადამე, დაახლოებით 40 წლის განმავლობაში აქ მიწა გაძვირდა საშუალოდ 16-ჯერ, ე. ი. მისი ფასი 1600%-ით გაიზარდა. კიდევ უფრო ძვირი იყო მიწა კერძოდ შორაპნის მაზრაში, სადაც 1 დესეტინა მიწა საშუალოდ ფასობდა: 1890 წ. — 287 მან. 1900 წ. — 302 მან., 1910 წ. — 444 მან., ხოლო რყევადობა ფასისა ამ უკანასკნელ წელს 200-დან 1620 მანეთამდე ავიდა.

ცხადზე უცხადესია, რომ მიწის ფასის ასეთი ზრდის გამო, საერთოდ მიწის მეტისმეტი სივიწროვის პირობებში, გლეხური მოსახლეობის მასას, მიუხედავად ინტენსიური მისწრაფებისა, არ შეეძლო გამხდარიყო იმ „საკმაო მიწის ნაჭრის“ მესაკუთრედ, რაზედაც ასე ოცნებობდა. პირიქით, მათი დიდი უმრავლესობა, როგორც უკვე ვნახეთ, ღატაკდებოდა, კარგავდა მიწის იმ ნაკვეთსაც, რომელიც მას გააჩნდა. მიწის წვრილი, ღატაკი მფლობელის მდგომარეობიდან გლეხთა მასებისათვის კაპიტალისტურ ურთიერთობებში მხოლოდ ერთი გამოსავალი გზა არსებობდა — საბოლოო პროლეტარიზაცია!

ბ. მამულების დავალიანება

მიუხედავად მიწის შეუჩერებელი და სწრაფი გაძვირებისა, სულ უფრო იზრდებოდა **დავალიანება, როგორც თავადაზნაურული ისე არათავადაზნაურულ კერძომფლობელთა მიწებისა.**

თავადაზნაურული მამულების დავალიანებამ ფრიად მნიშვნელოვანი ხასიათი მიიღო ჯერ კიდევ 1860-იან წლებამდეც. 1863 წელს, ბატონყმობის გაუქმების შესახებ წარდგენილს მოსაზრებებში, საქართველოს თავადაზნაურობა ერთხმად ჩიოდა ვალების სიმძიმეს. მაგალითად, თელავის მაზრის თავადაზნაურობა აცხადებდა: „არ არის მთელს კახეთში არც ერთი ქეთილშობილის ოჯახი, რომ დატვირთული არ იყოს პრიკაზის ვალითა, ან გარეშე პირთაგან დიდი სარგებლით

ნასესხები ფულითა. ეს სამძიმო მდგომარეობა წარმოდგა ამ საუკუნეში... ეს ვალი ისე აღორძინებულა ყოველს საგვარეულოში, რომ თვითეულს ოჯახს ექადის დაცემა და აოხრება...“ [3] ამათვე ბანს აძლევს სიღნაღის [4] და გორის მაზრის თავადაზნაურობა. კერძოდ უკანასკნელნი ჩივიან: „საქართველოს კეთილშობილნი კნინღა გამოურიცხველად არიან შთაფლულნი გარდუხდელთა ვალთა შინა; ყმანი და მამულნი მათნი არიან გირაოდ, ზოგნი პოდრიადებში, ზოგნი პრიკაზში და ზოგნი კერძოობით პირთან“ [5].

ბ. (ვ) პეტრიაშვილი (შემდეგში ცნობილი მეცნიერი, პროფესორი) ჯერ კიდევ 1866 წელს საჯაროდ, გაზეთის ფურცლებზე კიცხავდა ქართველ თავადაზნაურობას მეურნეობრივი უყაირათობისა, უზომო შფლანგველობისა და უზრუნველი ცხოვრებისათვის: „ზურნით, ნაღარით და საზანდრებით“ გაბმული ქეიფებისათვის, რასაც შედეგად მოსდევდა ადგილ-მამულთა მძიმე დავალიანება [6]. ვალი „მძიმე ჯვარის“ სახით აწვა და ხუთავდა თავადაზნაურული წარმომავლობის ინტელიგენციასაც [7].

1873 წ. ანტონ ფურცელაძე, რომელიც კარგად იცნობდა ქართლ-კახეთის საადგილმამულო ურთიერთობას წერდა: „რომ შეიკრიბებოდეს სტატისტიკური ცნობანი,

---

[3] იხ. პ. გუგუშვილი, „ქართული ჟურნალისტიკა“, ტ. I, გვ. 409.

[4] იქვე, 451.

[5] იქვე, 418.

[6] ბ. პეტრიაშვილი, „ამ დროის ქართველები“ („დროება“, 1866 წ., № 22, გვ. 1).

[7] 1886 წ. ნ. ნიკოლაძე იონა მეუნარგიას სწერდა: „ამას წინათ როტშილდის წიგნი მომივიდა — მთხოვდნენ ამომერჩია ორი პირი საღირექტოროდ ბათუმში და ორი სხვა — საკანდიდატოდ. ერთი ამ კანდიდატთაგან შენ ამოგირჩიე. საშინლად მინდოდა აკაკი ჩამეკვეხებინა ამ საქმეში, მაგრამ პირველი პირობა როტშილდისა ის იყო — ერთი გროში ვალი არ ქონდეს არც ერთ დირექტორს და კანდიდატსო (რადგან მათ სახელზე როტშილდმა ბეთ უნდა დადვას თითოსთვის 10.000 მანეთი). არა, შენ მარტო ეს წარმოიდგინე — ქართველი და უვალო!.. აი რა მიზეზით დიდი თავისუფლება არ მქონდა არჩევანში“ (ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I, გვ. 190).

ვნახავთ, რომ მომეტებულს ნაწილს ჩვენი მამულის მეპატრონეთ გლეხთა თუ თავადაზნაურთა ჰმართებთ იმოდენა ვალი, რომ ამათი მამულები არ აუხდებათ ამ ვალსა. მომეტებული ნაწილი ამ მამულების შემოსავლისა მიდის ვალების სარგებელში და რამდენიც ხანი გადის, იმდენი, მოკლების მაგივრად, ემატება ამ ვალებსა. უეჭველია, თუ ეს გარემოებანი და საზოგადო დაწყობილობანი არ შეიცვალნენ, დღეს იქნება თუ ხვალ (მამული) წავა ჩვენი ხელიდამ და ჩვენ ვნახავთ ჩვენს თავს ამ ჩვენს მამულში, რომლისაც ყოველი ნაბიჯი არის მორწყული მამაპაპის სისხლით, იმაზედ უარეს მდგომარეობაში, რაშიაც არიან დღეს ირლანდიელნი და სხვა ზოგიერთა დასავლეთ ევროპისა და ინგლიზეთის პროლეტარი და პაუპერები“ [8].

მევალეები (კრედიტორები) საერთოდ საკრედიტო საქმის მეტისმეტი ჩამორჩენილობის პირობებში, ცხადია, უპირატესად წვრილი თუ მსხვილი მევახშეები იყვნენ, რომელნიც ადრე თუ გვიან სავსებით ეპატრონებოდნენ ბრწყინვალე წოდების საბადებელს. 1860-იან წლებამდე წესიერი კრედიტის ერთადერთი ორგანიზაცია ისევ საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიოს („პრიკაზის“) სათანადო განყოფილება იყო. „პრიკაზში“ დაგირავებული მამულების ფართობი და რაოდენობა სულ იზრდებოდა. მემამულეთა უმეტესობა ვერ ახერხებდა თვით სარგებლის გადახდასაც-კი. რეფორმების შემდეგ წარმოქმნილ სხვა საკრედიტო ორგანიზაციებშიაც უხვად აგირავებდა მიწებს თავადაზნაურობა, მაგრამ თვით 1880-იან წლებამდე ჰიპოტეკური კრედიტის დარგში „პრიკაზი“ მაინც დარჩა უმსხვილეს დაწესებულებად. სწორედ ამ ხანებში „პრიკაზი“ კავკასიაში უნდა-გაუქმებულიყო. შიგა რუსეთის გუბერნიებში „პრიკაზების“ ლიკვიდაცია 1860-იან წლებში მოხდა.

თავადაზნაურობამ მოინდომა „პრიკაზის“ გაუქმებით ესარგებლა, რათა ამა თუ იმ სახით შეემსუბუქებია ვალის

[8] ა. ფურცელაძე, „სასოფლო წერილები“, წერილი პირველი („გუთნის დედა“, 1873 წ. № 14).

ტვირთი. ამ დროისათვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მამულების „პრიკაზისადმი“ დავალიანება 2,8 მილ. მანეთს აღემატებოდა.

1880 წ. თებერვალს კავკასიის ნამესტნიკმა მიხეილ რ ო მ ა ნ ო ვ მ ა იშუამდგომლა იმპერატორის წინაშე, რათა თავადაზნაურობისაგან სავსებით ჩამოეწერათ ეს ვალი, რადგან „მთავრობამ კიდევაც რომ გადაწყვიტოს მიმართოს ქართველი თავადაზნაურობის მიერ მასზე რიცხული ვალების ანაზღაურების უკიდურეს ღონისძიებას, მაინც საეჭვოა შეიქმნას შესაძლებლობა ნამდვილად დაიფაროს ამ ვალის მეხუთედ ნაწილზე მეტი, ვინაიდან ესოდენ მნიშვნელოვანი რაოდენობით სოფლის მამულთა გაყიდვა სავსებით დაუკარგავს ფასს მათს ისედაც მცირე ქონებრივ ღირებულებას და, ალბათ, ამ ქონებათა უმრავლესობის მყიდველიც არსად გამოჩნდება, რის გამოც ამ ღონისძიებათა შედეგი იქნებოდა ანგარიშებიდან ვალების მთელი ჯამის იგივე ჩამოწერა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ საბოლოოდ განადგურდებოდა ქართველ თავადაზნაურთა ოჯახების უმრავლესობა“ [9].

მიუხედავად ამისა, კავკასიის კომიტეტმა ვალების სრული პატიება შეუძლებლად მიიჩნია და, სანამ გასაწევი შეღავათები კონკრეტულ სახეს მიიღებდა, მიზანშეწონილად სცნო ვალებისათვის სარგებლის (%%) შემდგომი დარიცხვის შეჩერება, — რაც 1880 წ. 23 აპრილს დაამტკიცა იმპერატორმა. დავალიანებული თავადაზნაურობის ქონებრივ მდგომარეობის შესწავლა დაევალა გენ.-ად. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს. გრ. ორბელიანის კომისიამ საფუძვლიანი მუშაობის ჩატარების შემდეგ „პრიკაზის“ მოვალე თავადაზნაურობა მათი ეკონომიკური შეძლების მიხედვით დაჰყო 5 კატეგორიად. პროექტის მიხედვით არსებითი შეღავათებით უნდა ესარგებლა: მესამე კატეგორიის მემამულეებს, რომელთაც ჩამოეწერებოდათ ვალის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი უნდა დაეფარათ 37 წლის განმავლობაში 3% სარგებლის დარიცხვით; მეოთხე კატეგო-

---

[9] სცსს, მია. ფონდი 16, საქმე № 2172, ფურც. 29 — 30.

რიის მოვალეებს — ჩამოეწერებოდათ 2/3 ვალისა, ხოლო დანარჩენ 1/3 ნაწილს იხდიდნენ ისე, როგორც მესამე კატეგორიის მოვალენი; მეოთხე კატეგორიის მოვალეებს — საკუთარი ჩამოეწერებოდათ დავალიანება[10].

გრ. ორბელიანი თავის მოხსენებით ბარათში მთავრობის ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს თავადაზნაურობის მდგომარეობა, არის იგი სოფლის მემამულე, თუ საქალაქო შენობებისა და მიწის მფლობელი, ერთნაირად გამოუვალი და უნუგეშოა[11], რის გამოც საქალაქო მიწების გირავნობით დავალიანებული თავადაზნაურობა „არ შეიძლება ჩამოცილებულ იქნას სოფლის მამულის გირავნობით ხესხის ამღებთაგან, რამდენადაც მიზეზები, რამაც აიძულა როგორც ერთნი, ისე მეორენი დაეგირავებიათ ქონება, და თვით დამგირავებლებიც ერთი და იგივენი არიან"; ამიტომაც შეღავათები, რაც მიენიჭებათ სოფლელ მემამულეებს, უნდა გავრცელდეს ქალაქის მიწების მოგირავნეებზედაც[12]. თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი შუამდგომლობს იმპერატორთან, რომ თუ არა გ. ორბელიანის პროექტისამებრ შეღავათების მინიჭებით, „სხვარიგად განადგურდება მთელი საქართველოს კეთილშობილი წოდება, რაც თვითმპყრობელობის მტკიცე დასაყრდენია კავკასიაშიო"[13].

---

[10] სცსს, მია. ფონდი 16, საქმე № 2172, ფურც. 30.

[11] გრ. ორბელიანი ეკატერინე დადიანისადმი ერთს წერილში ჩიოდა: „აქაური ამბავი არა არის რა მწუხარების მეტი. ყოვლის მხრით ისმის კვნესა, ყოვლის თავად-აზნაურის სახე არის მოღრუბლული გამწარებულის ფიქრებითა სიღარიბისა გამო: მთლად ჩვენი საზოგადოება არის ჩაფლული გადაუხდელს ვალში და გამომხსნელი არსად არის, არა თუ საქმით, ცარიელი სიტყვაც არ ისმის ნუგეშცემისა. მთლად საქართველო იყიდება, და თუ გამოჩნდა ვინმე ფულიანი, ის დიახ, იაფად და ადვილად შეიქმნება ბატონად ქართლისა და კახეთისა. გაკჰმართეთ ბანკი, მაგრამ არავის გვაქვს იმედი, რომ ამით გვეშველოს რამე, და ვართ ასე გულს ხელდაკრეფილნი" (იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I, 323).

[12] სცსს, მია. ფონდი 16. საქმე № 2172, ფურც. 46 — 49.

[13] იქვე. 52 — 74.

დონდუკოვ-კორსაკოვის შუამდგომლობის პუნქტები	იმპერატორის მინაწერები
1. „აუცილებელია შესაფერ ღონისძიებათა მიღება ქართველი თავადაზნაურობის განსამტკიცებლად, რადგან ვალებით დატვირთულია ამათი მამულები და შემჩნეულია ამ მამულების სომეხთა ხელში გადასვლა“.	„აუცილებელია“.
2. „საქმეს უშველის ვალების მხოლოდ მთლიანი ჩამოწერა, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება აცდენილ იქნას ქართველი თავადაზნაურობის აუცილებელი დაცემა და აღდგენილ იქნას მათი დარღვეული კეთილდღეობა“.	„მე მგონია, რომ ეს შეიძლება“.

მართალია, იმპერატორმა განაცხადა სურვილი გრ. ორბელიანის მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით დავალიანებული თავადაზნაურობისათვის შეღავათის მიცემისა, მაგრამ ამის დაკანონება ჭიანურდებოდა, — რითაც უკეთ ისარგებლა თავადაზნაურობამ, — თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. „პრიკაზისა“ და მის მოვალეთა ყოველგვარი საქმეები საბოლოოდ გაუქმებულ იქნა მხოლოდ 1926 წელს[14],

ამასობაში თავადაზნაურობის მამულები, ცხადია, კიდევ უფრო ვალიანდებოდა. 1904 წ. ფ. გოგიჩაიშვილი, სათანადო სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ასკვნიდა, რომ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში „ქართველი თავადაზნაურობის მამულების ნახევარი დაგირავებულია ბანკებშიო“. ამათი ვალი უკვე მაშინ აღემატებოდა 10 მილ. მანეთს. მაგრამ, ცხადია, თავადაზნაურობას ეს თანხები მეურნეობის გაუმჯობესებისათვის არ გამოუყენებია. „ეს ამოდენა ფული გაიფლანგა სრულიად უნაყოფოდ და უსარგებ-

[14] იხ. საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1926 წ. ნაწ. I, გვ. 398; გაზ. „კომუნისტი“. 1926 წ. № 271.

ლოდ უაზრო ფუფუნებაში და უმიზნო ხეტიალში. და ახლა, როცა დაუფიქრებლად აღებული ვალის სიმძიმე დააწვა კისერზე, ჯიბე-ცარიელი მემამულე დიდ ჭაპან-წყვეტაშია და აღარ იცის, სანამდის მოახერხებს შეინარჩუნოს ხელში... მამული" [15]. მამულის შენარჩუნების მიზნით, როგორც ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავდა, „იგი არ დასდევს საშუალების სიავკარგეს, ადიდებს ღალა-იჯარას, მამულის რენტას და ამნაირად მომეტებულ ხარკსა და გადასახადს ადებს გლეხობას და საზოგადოთ მიწათმოქმედ ხალხს. ჯერ მან, თავის ხანმოკლე ფუფუნებისა და სიამოვნების გულისათვის, არ დაჰზოგა საკუთარი მამული, დაჰკარგა დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალება, და ეხლა ვითომ იმ შეცდომის გამოსასწორებლად არ ჰზოგავს ხალხის ძალ-ღონეს და შეძლებას, რომელიც თავის ოფლითა და მუშაობით არჩენს მას და არჩენს თავის თავსაც" [16].

ამასთანავე ფ. გოგიჩაიშვილი ერთ თავისებურ გარემოებასაც აღნიშნავდა, — სახელდობრ, რომ „კაპიტალისტებში, რომლებსაც ბანკების საშუალებით ჩვენს მემამულეებზე სესხი აქვთ გაცემული, არ ურევია ათიც, რომელიც ქართველ ერს ეკუთვნოდეს და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ქართული ინტერესის წარმომადგენელი იყვნენ. ქართველების მოვალეები სულ უცხო ტომის ხალხს ეკუთვნიან და ეს უცხონი არიან საქართველოს დავალიანებული მამულების მოსარგებლენი და ფაქტიური მფლობელნი". საქართველოში გარდა თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკებისა 1890 წლიდან მოქმედებდა რუსეთის სახელმწიფო საადგილმამულო ბანკის განყოფილება. უკანასკნელი, როგორც ბევრად უფრო ძლიერი (მამულების უფრო ძვირად შეფასებით და მეტი სესხის მიცემითაც) დიდ კონკურენციას უწევდა ადგილობრივ საკრედიტო ორგანიზაციებს.

შემდეგში აქ გაიხსნა კიდევ ჰიპოტეკური კრედიტის ისეთი დაწესებულების განყოფილება, როგორიც იყო გლეხთა საადგილმამულო ბანკი და სხვ., რომელთა მიზანი იყო აქ ცარი-

[15] ჟურ. „მოამბე", 1904 წ. № 2, 134 — 135.
[16] იქვე. 136.

ზმის კოლონიური პოლიტიკისა და მეტადრე კოლონიზაციისათვის ხელის შეწყობა.

დაგირავებული მამულების უდიდესი ნაწილი ადრე თუ ვიან საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. მყიდველთა უდიდესი უმრავლესობა იყვნენ „არააზნაურული წოდების“ წარმომადგენლები, მაგრამ ა რ ა ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი გლეხები. ამიტომაც ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი წერდა, რომ „უცხო ხალხი საქართველოში იღებს არა თუ რენტას, არამედ ისაკუთრებს მამულებსაც... მაშინ როდესაც ჩვენი გლეხობა, მიწის სიმცირის გამო, აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებაო“ [17].

1890 — 1900-იანი წლებიდან თავადაზნაურთა მამულებ-ს დავალიანების პროცესი მაინც უფრო ჩქარი ტემპით ვითარდებოდა, ვინემ წინათ ოდესმე [18]. ასეთს ვითარებაში ადგილობრივი ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციისა და საერთოდ „ეროვნული საქმის მოჭირნახულეთა“ თაოსნობით 1907 წ. 1 მარტიდან მუშაობა დაიწყო „საადგილმამულო კომისიამ“, რომელსაც ა ლ. ყ ი ფ შ ი ძ ე ხელმძღვანელობდა: „რაკი ერთადერთი საშუალება მამულის შეძენისა ისაა, რომ გლეხმა კაცმა თავისი მარჩენალი მამული ფასით, სყიდვით შეიძინოს“ [3], ეს კომისია მიზნად ისახავდა, „რათა ხელი შეუწყოს ჩვენებურ, ადგილობრივ მკვიდრს, განურჩევლად ერისა და სარწმუნოებისა, შეიძინოს საკუთრებად ადგილ-მამული“. ეს ხელის შეწყობა-კი გამოიხატებოდა სახელდობრ იმაში, რომ „უფასოდ და უსასყიდლოდ კომისია უკეთებს მყიდველს საჭირო საბუთებს, აძლევს ყოველგვარ დარიგებას და უწევს ყოველგვარ წინამძღოლობას და პატრონობას“ [19].

როგორც ჩანს, ამგვარ „წინამძღოლობას და პატრონობას“ ერთგვარი აზრი ჰქონდა და ამას მოკლებულ გლეხობის უმწეო მდგომარეობას ქართულმა პრესამ ყურადღება მიაქცია ჯერ

---

[17] ჟურ. „მოამბე“, 1904 წ. № 2, გვ. 140.

[18] ა. ყ ი ფ შ ი ძ ე, „საგლეხო ბანკი და საადგილმამულო კომისია“, 1910, ტფ. გვ. 1.

[19] იქვე, გვ. 12; იხ. აგრ. ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1909 წ. № 5, გვ. 9.

კიდევ 1860—1870-იან წლებში, როგორც-კი საგრძნობი შეიქმნა მიწების შეძენისაკენ გლეხთა მისწრაფება.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით საადგილმამულო ბანკის მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო დახმარება, ერთის მხრივ, ისეთი მსხვილი, ე. ი. თავადაზნაურული მიწათმფლობელებისა, რომლებიც, როგორც მემამულენი უშუალოდ განაგებენ მეურნეობას და, მაშასადამე, „ნასესხი ფულით თავიანთ მამულს გააუმჯობესებენ“ და, მეორეს მხრივ, მიწის შეძენის უნარიანი გლეხობისათვის, რათა დარღვეულიყო მოვლენათა ჩვეულებრივი დინება, როდესაც ბანკში დაგირავებული ან საერთოდ დავალიანებული მამულებით „ვერც ჩვენი თავადაზნაურობა ისარგებლებს, ვერც ჩვენი გლეხობა და რომელნიც (მამულები—პ. გ.) უცხო ქვეყნელების ხელში შეიქმნებიან იარაღათ ჩვენი ხალხის გაყვლეფისა“[20]. ნ. ნიკოლაძის ეს უკანასკნელი წინადადება, რასაკვირველია, არ იყო შედეგი მხოლოდ თეორიული მსჯელობისა; იგი თვით ცხოველმყოფელი სინამდვილის ანარეკლს წარმოადგენს, რამდენადაც 1860-იანი წლებიდანვე გლეხობის მისწრაფება მიწების შეძენისაკენ ფრიად შესამჩნევ ხასიათს ღებულობს და, ამგვარად, ეს საკითხი საზოგადოებრივი აზრის საგნად ხდება[21].

ს. მესხი 1875 წელს გაზ. „დროებაში“, წერდა: „უკანასკნელ ხანებში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დამკვირველთ ერთი ყურადღების ღირსი მოვლენა შენიშნეს: «სადაც-კი თავისუფალი და გასაყიდი მიწები ჩნდება სოფელში გლეხები ხელიდამ.არ უშვებენო; ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, ვალში ვარდებიან და ჰყიდულობენო!». ეს ამბავი, უეჭველია, სანუგეშო ამბავია“[22], მაგრამ... „უბედურება ის არის, რომ ეს მიწების შეძენა თავიდამვე ისე ცუდად მიჰყავთ გლეხებს, რომ სარგებლობის მაგიერ, უარესს დაღუპვას ემუქრება. „დროებაში“, „სასოფლო გაზეთში“ და „Тифлисский Вест-

[20] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, II, 336—341.

[21] იხ. ი. ჭავჭავაძე. „ქუთაისის ბანკის საქმე“, წერილები, 1890. ტფ.

[22] ს. მესხი, ნაწერები, ტ. I, გვ. 314—315.

ник"-ში დაიბეჭდა ამ უკანასკნელს დროს რამდენიმე შენიშვნა... თუ როგორ უთავბოლოდ მიდის მიწის შეძენა გლეხებისაგან და როგორ, მომეტებულ წილად, მოტყუებულნი რჩებიან ისინი. მიწის ყიდვასა და დამტკიცებას ბევრი წვალება და დავიდარაბა უნდა; რთულს ფორმალური წესების შესრულებასა და კანონის ცოდნას მოითხოვს. ჩვენმა გლეხმა არც ერთი იცის და არც მეორე; თავისებურათ ჰყიდულობენ ისინი მიწას, უბრალო ბარათებითა..." ხოლო ამგვარი უბრალო ბარათებით გაყიდულ მიწებს გამყიდველნი, როგორც ჩვენი პუბლიცისტი აღნიშნავს, „ორი-სამი წლის შემდეგ ისევ ჩამოართმევენ" თურმე გლეხებს და ასე „გლეხის უმეცრებით სარგებლობენ" მამულების გამყიდველნი[23].

ამგვარად, მიწის შეძენისაკენ მისწრაფებაში გლეხობა ისჯებოდა, სხვათაშორის, უწიგნურობის, ე. ი. უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისათვის არსებული ფორმალური წესების უვიცობისა და, მაშასადამე, დაუცველობის მეოხებითაც. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოვლად უნიადაგო იყო მიზანდასახულობა ზემოხსენებული და სხვა მსგავსი კომისიებისა, რომ მიწის შეძენისათვის იურიდიული რჩევა-კონსულტაციითა და საჭირო საბუთების შედგენით ეხსნათ გლეხობა გაპროლეტარებისაგან, რამდენადაც არსებულ აგრარულ ვითარებაში ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეულ მოვლენათა მიმდინარეობის შეცვლა ან შეჩერება არ შეიძლებოდა არავითარი ეროვნულ და ჰუმანურ თანაგრძნობათა დემონსტრაციით.

საერთოდ მსგავსი კომისიების, რომლებიც „პრაქტიკული დახმარებით" ცდილობდნენ „აგრარული საკითხის მოწესრიგებას", დასახასიათებლად საკმარისია გავეცნოთ თვით ალ. ყ ი ფ შ ი ძ ი ს კომისიის მოსაზრებათა ზოგიერთ პუნქტს „...საქართველოში უკვე აღარსად მოიპოვება თავისუფალი მამული და უღრანი ტყენი. რაც თავისუფალი, ესე იგი დაუსახლებელი ადგილი ჰქონდა ხაზინას, დიდიხანია დაურიგა ამ 80 — 90 წლის წინათ ჯერ გერმანელებს, შემდეგ სპარსეთიდან და ოსმალეთიდან მოსულ სომხებს, ბერძნებს, რუსეთიდან მოსულ მალაკნებს და დუხაბორებს, და მართლმადიდებელ რუსებს. თუ კიდევ რამე მოპოვებოდა ხაზინას ადგილ-ადგილ დარჩენილი ან საძოვარი, ან ტყე, სახნავი, ისიც ამ უკანასკნელ 10 — 15 წლის განმავლო-

[23] ს. მ ე ს ხ ი, ნაწერები, ტ. I, გვ. 329 — 332.

ბაში ჩაბარა მართლმადიდებელ რუსებს და გააშენა მათი სოფლები. ასე, რომ დღეს სრულებით აღარ მოიპოვება ჩვენში თავისუფალი ადგილი. დარჩა, მაშასადამე, ის მამული, რომელიც უპირავს საღალოდ და საიჯაროდ ჩვენებურ გლეხს: მესაკუთრეს, 'დროებით-ვალდებულს' და ხიზანს. აი მხოლოდ ამ მამულის შეძენა შეიძლება საკუთრებად და უთუოდ უნდა შეიძინოს, თორემ უცხოდან მოსული კაცი იყიდის, დიდ ფასსაც გამოიღებს. თუ ეს მოხდება და რომ ხდება, მარტო ბრმა თუ ვერ დაინახავს ამას, მაშინ ადგილობრივი მკვიდრი შიმშილით ამოვარდება, გადაშენდება და ათასწლოვანი ღვაწლი ჩვენ მამა-პაპათ, რომელთაც მართლა რომ სისხლით მოურწყავთ ჩვენი მშობელი საქართველო, ფუჭად და უქმად ჩაივლის და სახელო ჩვენი სამშობლოსი ამოშიშლება და წარიხოცება დედა-ქიწის პირიდან"[24].

კიდევ უფრო პათეტიკურია ხსენებული კომისიის წევრის ი ვ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ს გამოსვლა სტატიით „რას უნდა გაუფრთხილდეთ": „საქართველოს ტერიტორიის დაცვა დღეს მორიგი და დღიური კითხვაა. სამუდამოდ გვეკარგება ათასწლობით დაცული და სისხლით მორწყული ტერიტორია, მერე იმნაირ ადგილებში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი კულტურული ცხოვრების აღორძინებისათვის. ეს ადგილებია კახეთი და ქვემო ქართლი, ანუ სიღნაღის, თბილისისა და ბორჩალოს მაზრები. ამ ადგილებს მნიშვნელობა აქვს არამც თუ საქართველოსათვის, არამედ მთელ ამიერკავკასიისთვისაც, რადგან ზედ აკრავენ თბილისს, ბუნებით მეტად მდიდარნი არიან და, რაც უფრო საგულისხმოა, მათ უპირავთ ამიერკავკასიის შუა-გული, და ვინცა ფლობს ამ შუა-გულს თბილისითურთ, მას ეკუთვნის გავლენა ამიერკავკასიაზე. ამიტომ არი, რომ ყველა ასე გაჩქარებით ელტვის ამ ადგილებს, რათა მალე ჩაიგდონ ხელში უპატრონოდ დარჩენილი მიწა-წყალი... მართლაც და სწორედ ამ სამ მაზრაში მოგველის ტერიტორიის დაკარგვის განსაცდელი... თუ საქართველოში კიდევ სადმე არის თავისუფალი ადგილი, ისევ კახეთშია. იქითვე მიილტვის, ეს ათი წელია, ჩვენი უმიწაწყლო გლეხობა ზემო იმერეთიდან, რაჭიდან, ზემო ქართლიდან და ოსეთიდან; რამდენიმე ათასმა კომლმა უკვე გააშენა იქ სოფლები და სამამასახლისონი. ჩვენი ტერიტორიის სხვა კუთხეები უხვად დაურიგეს ოსმალეთიდან და რუსეთიდან გადმოხვეწილთ და ეს კახეთის სათავადო და საბაზინო მიწები-ღა დარჩა საქართველოს თავის შვილთა დასასახლებლად. არსად სხვაგან ქართველ გლეხს არ შეუძლია იშოვოს თავისუფალი მიწა საქართველოს ფარგალში. ამ მხრივ კახეთი ანუ ქიზიყი, გარე-კახეთი, შირაქი და ალაზნის ველი ზაქათალამდე ერთადერთი კუთხეა, სადაც დასახლება ჩვენი გლეხისთვის შესაძლებელია. მიუხედავად ამისა, იმოდენად არის გაძნელებული ჩვენ გლეხთათვის აქ მიწის შეძენა, რომ უკვე ათას კომლზე მეტი რაჭველობა განიფანტა და დასახლდა ჩრდილოეთ კავკასიაში... თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში, სადაც უკვე მრავალი უცხოელი ჩამოგვეთესლა, უნდა კბილით დავებღაუჭოთ

[24] „საქართველოს მოამბე", 1909 წ. № 5, გვ. 9 — 10.

ამ ცოტაოდენ მიწებს, რომელიც კიდევ ჩვენ ხელთ არის... ამ ორ მაზრას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ზრდა-განვითარებისათვის. ჩეხებმა რომ ეროვნულად გამოიღვიძეს, პირველ ყოვლისა ეცადნენ გამოეგლიჯათ გერმანელთაგან თავიანთი დედაქალაქი პრაგა, კარგად ესმოდათ, რომ უამდედაქალაქოთ ისინი ვერც შეერთება-შეკავშირებას მოახერხებდნენ და ვერც ეროვნულ-კულტურულ განვითარებას შესძლებდნენ, რაც ჩეხებისთვის პრაგაა, ის ჩვენთვის თბილისია. მხოლოდ თბილისს შეუძლია შეაკავშიროს, შეაერთოს მთელი ქართველობა, და ამიტომ აქვს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა თბილისისა და ბორჩალოს მაზრებს, რადგან ეს ორი მაზრა ზედ აკრავს ჩვენ დედაქალაქს, მჭიდროდ არის დაკავშირებული მასთან ეკონომიურად და ამ ორი მაზრის ეთნოგრაფიულ შედგენილობას ექნება დიდი გავლენა თბილისის ეთნოგრაფიულ შემადგენლობაზედაც. დაკარგვა ამ მაზრებისა არის თბილისის დაკარგვაც. ხოლო თბილისის დაკარგვასთან ათჯერ უფრო გაძნელდება ქართველ ხალხის ეროვნული შეკავშირება და ფართო ეროვნული განვითარება" [25]. რასაკვირველია, ამ კომისიების მესვეურთ სხვარიგი გამოსავალის ძიება არ შეეძლოთ, და ისინი მით უფრო იბნეოდნენ, რაც უფრო ნათლად ხედავდნენ, რომ არსებულ ვითარებაში, რომლის რევოლუციურ შეცვლაზე ოცნებასაც ვერ ბედავდნენ, მდგომარეობა გამოუვალი ეჩვენებოდათ.

ხოლო თუ რაოდენ მოწყვეტილი იყვნენ ისინი გლეხურ მასებს და რამდენად არ იცნობდნენ, ან არ სურდათ გაეგოთ გლეხობის მისწრაფებანი ჩანს თვით ალ. ყიფშიძის სიტყვებიდან: „ყველაზე ძრიელ ქართლს მოედო და ძვალსა და რბილში გაუჯდა სოფლად ნასროლი აზრი, რომ მამულ-დედული, ტყე და მინდორი გლეხისაო. ყიდვა და ფულის გაღება რას მიქვიან, ჩვენის ოფლითაა მორწყული ჩვენი მარჩენელი მამული და ვის დავანებებთო, თამამად გაიძახოდა სოფლის ახალგაზრდობა. საერთო ფერხულში, ასე გაშინჯეთ, ბევრის მნახველი და დარბაისელი ოჯახიშვილებიც კი ჩაებნენ... მშვიდი და წყნარი, ზომიერი და თავაზიანი ქართლელი გავარვარებულ თონეს უფრო წააგავდა, ვიდრე ლმობიერ ადამიანს. თქმა იმისა რომ უფასოდ არავინ არას მოგვაშავებს, თვით რესპუბლიკაც რომ დაარსდეს პოლიტიკურის ბრძოლის მეოხებით, არა ხვდებოდა ქართლელის სულსა და გულს. რომ მართლა და ნამდვილად გლეხ-კაცობა ამ გუნებაზე იდგა, მალე მე ჩემის თვალით ვნახე და დავრწმუნდი, ტკბილ და საოცნებო აზრის დაფუშვა უნაყოფო შრომა იყო და გაბრაზებას იწვევდა. სამმა სოფელმა: არადეთმა, წვერმა და საღოლაშენმა კაცები მომიგზავნეს და მთხოვეს — გაგვაგებინე, რა დრო დადგა, რა ხდება ქვეყანაზეო. შეკრებილ ერს დიდ ხანს ველაპარაკე ეკლესიის გალავანში, საბლის წვერი პოლიტიკურ რეფორმებისაკენ მიმქონდა და იმას ვამტკიცებდი, რომ საკუთრების დაშლას ვერ ავიტანთ, ვერ შევირგებთ და გვაწყენს მეთქი. როგორც კედელს ცერცვი არ დაადგება,

[25] „საქართველოს მოამბე", 1909 წ. № 5, გვ. 10 — 11.

ისე არ მიეკარა ჩემი სიტყვა ერის გულს. რის თავისუფლება, რის პოლიტიკური რეფორმა და კაცად ქცევა! ჩემს მეზობლებს უნდოდათ აზნაურების ოთხათასიან დღიური ველ-მინდორი ეხლავე, დღესვე და მე კი რაღაც ლაპარაკებს ვუამბობდი... ალბად შეეცოდე ერთს მოხუცებულს, რომ ტყუილად თავს ვიწუხებდი, მამიბრუნდა და მითხრა: „ბატონო, თავს ტყუილად რად იწუხებთ, იმ ახალგაზრდა ბიჭებმა შარბათი დაგვალევინეს, თქვენ კი ხრაკიან არაყს გვასმევთ და აბა როგორ გამოგყვებითო“ [26].

რასაკვირველია, 1905 წ. რევოლუციის ქარცეცხლში გამოვლილი გლეხობა, რომელშიც უკვე შეკრილი იყო „ახალგაზრდა ბიჭების მიერ ნაქადაგები“ იდეების ნაპერწკლები, არ გაყვებოდა მისი „მხსნელი“ ბურჟუაზიულ-მემამულური ინტელიგენციის მოწოდებას, მით უმეტეს, რომ ეს მოწოდება და მთელი მას მოყოლილი „პრაქტიკული დახმარებაც“ ოდნავადაც ვერ ამსუბუქებდა გლეხობის მდგომარეობას, რომელსაც „ეხმარებოდნენ“ მემამულე თავადაზნაურობის ხელიდან მიმავალი დავალიანებული მიწის შეძენის საქმეში. ამ ინტელიგენციის ღონისძიებათა უნიადაგობასა და მიზანდასახულობის გაუმართლებლობას ნათლად ხედავდა დიდებული ვ ა ჟ ა ფ შ ა ვ ე ლ ა, რომელიც აღნიშნავდა, რომ „თავადაზნაურობა უცხოელებზე ჰყიდის მამულ-დედულს, ხოლო გლეხობა თავისი ნადელების ნაღალურს ჩარჩებს უგდებს ხელშიო“[27].

თუ რამდენად იყო ამიერკავკასიაში მიწები დავალიანებული ჩანს თუნდაც იმ ნაწილობრივი ცნობებიდან, რომლებიც მოაგროვა 1918 წ. ი. ი გ ნ ა ტ ი ე ვ მ ა[28]. ამ მონაცემებით მხოლოდ ჰიპოტეკური კრედიტის სახით, მიწის გირავნობით, 1917 წ. დამდეგისათვის გაცემული იყო (მანეთობით):

თბილისის თავადაზნაურთა ბანკიდან	8.857.335
ქუთაისის „ „	2.085.900
გლეხთა სრულიად რუსეთის „	5.975.215
თავადაზნაურთა ცენტრალური „	7.174.700
	24.093.150

[26] ა ლ. ყ ი ფ შ ი ძ ე, „საგლეხო ბანკი და საადგილმამულო კომისია“ (ეურ. „საქართველოს მოამბე“. 1909 წ. №7. გვ. 7 — 8).

[27] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, „გიკვირთ?“ („საქ. მოამბე“, 1909 წ. № 8, გვ. 5).

[28] Н. И г н а т ь е в, „Вопрос о задолженных землях...“ (КХ, 1918 г. № 15 — 16, стр. 14).

შედარებით სრული მონაცემების წარმოდგენა შეიძლება კერძოდ თბილისის გუბერნიის კერძომფლობელთა მიწების დავალიანების შესახებ. ეს დავალიანება ჰიპოტეკური ბანკებისადმი 1917 წ. 1 იანვრისათვის უდრიდა (მანეთობით):

თბილისის თავადაზნაურთა ბანკისადმი	4.650.078
ქუთაისის — „ — — „ —	452.900
თავადაზნაურთა ცენტრალური „ —	4.851.800
გლეხთა სრულიად რუსეთის — „ —	5.414.365
	15.369.143

არ მოიპოვება ცნობები, თუ რამდენს შეადგენდა ამ დროისათვის კერძო მიწათმფლობელთა დავალიანება კერძო პირებისადმი. ხოლო 1903 — 1904 წწ. ცნობათა საფუძველზე, ფ. გოგიჩაიშვილის[29] გამოანგარიშებით ეს დავალიანება უდრიდა სულ — 6.033.424 მან. (თავადაზნაურთა მიწებისა — 3.564.311 მან. და არათავადაზნაურთა მიწებისა — 2.469.113 მან.). ამ დავალიანებათა საერთო ჯამი 1917 წ. 1 იანვრისათვის თუ გაზრდილი არა, ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ შემცირებული მაინც არ იქნებოდა[30]. ასე, რომ, ჩვენის აზრით, დიდად არ ვიქნებით სინამდვილისაგან დაშორებული თუ ვიტყვით, რომ თბილისის გუბერნიის კერძო მიწათმფლობელობის, მაშასადამე, უმთავრესად თავადაზნაურული და წვრილგლეხური მიწათმფლობელობის დავალიანებათა საერთო ჯამი 1917 წ. 1 იანვრისათვის აღწევდა 21,5 მილიონ მანეთს.

ეს სურათი ნათელი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ მიმდინარეობდა წვრილგლეხური მეურნეობის დაშლა და, მაშასადამე, ღარიბი და უღარიბესი გლეხობის პროლეტარიზაცია, ერთის მხრივ, და რამდენად ხელსაყრელად ახერხებდა თავადაზნაურობა თავისი მიწების დაგირავებას, უკეთ ვთქვათ, გაყიდვას და ამ სახით თავისი საადგილმამულო რენტის კაპი-

[29] ფ. Г. Гогичашвили, „Сборник стат. сведений о частном землевладении...", II, 664.

[30] რუსეთის ცსს ცნობით საერთოდ კავკასიაში კერძო მიწათმფლობელობის დავალიანების ჯამი (40. 804. 957 მან.) უცვლელია 1913 წ. 1 იანვრიდან 1916 წ. 1 იანვრამდე Труды ЦСУ, т. VII, вып. 2, „Статистический сборник за 1913 — 1917 гг.". 1922 г., М. стр. 103).

ტალიზაციას, მეორე მხრივ. საქმე იმაშია, რომ 1904 წლისათვის თბილისის გუბერნიის წვრილი (25 დესეტინამდე) მიწათმფლობელი აზნაურობის მიერ დაგირავებულ ყოველ ერთ დესეტინა მიწაზე მოდიოდა საშუალოდ 442 მან. ვალი, ხოლო არათავადაზნაურულ დამგირავებელთა ყოველ ერთ დესეტინაზე კიდევ — 680 მანეთი; არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ თავადაზნაურთა მიერ დაგირავებულ შედარებით ვრცელ მამულებში ყოველთვის მნიშვნელოვანი ზომით ერია სხვადასხვა სახის უხმარი, როგორიც იყო ჭაობი, ხრიოკი და, მაშასადამე, შემოსავლის არამქონე ანდა შედარებით მცირე შემოსავლის მქონე მიწა, მაშინ როდესაც გლეხთა მიწები უფრო მეტად სახმარი ფართობისაგან და უპირატესად საეზოვე, სავენახე და სახნავისაგან შედგებოდა[31].

თავისთავად ცხადია, რომ როგორც საერთოდ რუსეთის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკის[32], ასევე თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურთა ბანკების ძირითადი დანიშნულება იყო თავადაზნაურული მიწათმფლობელობის დაცვა და განმტკიცება[33]. გლეხთა ბანკის ადგილობრივი განყოფილებაც მხოლოდ იმ მიზნით იყო გახსნილი, რათა თავადაზნაურობის მიწები გადასულიყო უპირატესად კოლონიზატორული ელემენტებისა და კულაკობის ხელში და ამჟამთანავე ისე, რომ ეს

[31] ფ. გოგიჩაიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. XIII.

[32] Проф. П. И. Лященко, „История народного хозяйства СССР", Москва. 1950, т. II, стр. 85 — 86.

[33] სამწუხაროდ, ჯერჯერობით სავსებით შეუსწავლელია ე. წ. ქართული „ბანკობიადის" ისტორია, რაშიაც ინასკვებოდა აგრარულ ურთიერთობათა და, მაშასადამე, საქართველოს მთელი ეკონომიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები და რაშიაც, როგორც პუბლიცისტიკის, ასევე ჰიპოტეკური კრედიტის პრაქტიკული მოღვაწეობის სარბიელზე მეტნაკლები ზომით ჩაბმული იყო იმდროინდელი ინტელიგენციის უმნიშვნელოვანესი და თანაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთს დაჯახებული ძალები; „ბანკობიადაში" თავისებურად აისახა მთელი ცხოვრების ღერძის, ე. ი. მიწათმფლობელობის გარშემო მებრძოლ ძალთა წოდებრივი (კლასობრივი) ანტაგონიზმი.

ეს საკითხი, როგორც სახალხომეურნეობრივი, ასევე ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის იმდენად მნიშვნელოვანი თემაა, რომ უდავოდ იმსახურებს სპეციალური კვლევის საგანი გახდეს.

პროცესი თვით თავადაზნაურობისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში, ე. ი. მიწის შემდგომი გაძვირების ტენდენციის შეკავებისა და გაძლიერების გზით ყოფილიყო წარმართული. ეს ვითარება თავის დროზე (1903 წ.) სწორად შენიშნა ალ. წულუკიძემ[34].

ამავე დროს ქართველი ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციის ერთი ნაწილი დიდ იმედებს ამყარებდა ჩვენში გლეხთა ბანკის განყოფილების გახსნაზე. მაგალითად, ფ. გოგიჩაიშვილი 1903 წელს სწუხდა, რომ „აგერ 20 წელიწადია რაც ეს სიმპატიური საკრედიტო დაწესებულება რუსეთში არსებობს, და დღემდე მისი მოქმედება ამიერკავკასიას არ შეხებიაო“[35]. მაგრამ სულ მალე, — როგორც-კი აშკარა შეიქნა, თუ რა მიზანდასახულება ექნებოდა რუსეთის გლეხთა ბანკის ადგილობრივ განყოფილებას[36], — ფ. გოგიჩაიშვილი უკვე საჯაროდ ინანიებდა თავის შეცდომას[37], რომ 1903 წელს „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ“, მისი მოხსენების საფუძველზე, მთავრობას სთხოვა გლეხთა ბანკის განყოფილების დაარსება ჩვენშიაც[38].

გრაფმა ი. ვორონცოვ-დაშკოვმა სოფლად რევოლუციური მოძრაობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შორის მიზანშეწონილად მიიჩნია, რათა მთავრობას ხელი შეეწყო ყოფილ ყმა, ე. ი. „დროებით-ვალდებული“ გლეხებისათვის მიწის საკუთრებად შეძენაში. მან, თითქოსდა ამ მიზნით, დააჩქარა თბილისში გახსნილიყო სრულიად რუსეთის გლეხთა საადგილმამულო ბანკის განყოფილება (1906 წ.). თბილისის განყოფილების მოქმედების რაიონი იყო მთელი ამიერკავკასია. მაგრამ გლეხთა ბანკის „კეთილისმყოფელი მოღვაწეობა“ პირველხანებში მაინც ძნელად ვითარდებოდა, რის შესახებაც თვით ოფიციალურ მოხსენებაში ვკითხულობთ: პირველ ხანებში განყოფილების მოღვაწეობას ფრიად აძნელებს (მიწე-

[34] ალ. წულუკიძე, თხზულებანი, 1943, თბ. 117 — 119.

[35] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. № 2113.

[36] ბანკის ადგილობრივ განყოფილებას მიზნად უსახავდნენ: „თავისი თანხით შეიძინოს ის მამულები, რომლებიც საჯარო ვაჭრობის შემდეგ დარჩა სახელმწიფო საადგილმამულო ბანკს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, იმ მიზნით, რომ შემდეგ ეს მამულები მიჰყიდოს რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხებს“. (გაზ. „Кавказ“, 1904 г. № 41).

[37] ეურნ. „მოამბე“, 1904 წ. № 2, 141 — 142.

[38] ფ. Гогичайшвили, „Малоземелье...“, 1903 г. Тифлис-

ბის) ნორმალური შეფასებისა და გეგმური მონაცემების უქონლობა, მამულთა შემოსავლიანობის ფრიად სხვადასხვანაირობა, რაც ადგილობრივი ნიადაგისა და ტოპოგრაფიული პირობების მრავალგვარობიდან გამომდინარეობს, სიმცირე შემფასებლებისა, რომლებიც ჯერ კიდევ სწავლობენ ახალ საქმეს, და, უმთავრესად, ის გარემოება, რომ რევოლუციის გავლენის მეოხებით გლეხთა მხრივ ფრიად მცირედ მეღავნდება სურვილი ბანკის დახმარებით მაინც გამოისყიდონ მიწები[39].

მაგრამ როგორც-კი ქვეყანა „დამშვიდდა", ე. ი. რეაქციამ გაიმარჯვა, საყოველთაოდ აშკარა შეიქნა გლეხთა ბანკის ნამდვილი სახე. იგი ცარიზმის კოლონიზაციური პოლიტიკის ერთ-ერთ უძლიერეს ბერკეტს წარმოადგენდა. უკვე 1909 წელს ადგილობრივი მიმომხილველი აღნიშნავდა: „აქამდის ჩვენი თავადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მამულების დაგირავებაში, ახლა გაყიდვაში გაიჯიბრნენ. მერე როგორ? კახეთში თ. მალხაზ ანდრონიკაშვილმა 4000 დღიური მიყიდა რუსის გლეხებს საგლეხო ბანკის შემწეობით, ახლა შუა ქართლში ყიდულობენ რუსის გლეხები 1400 დღიურს რეიტერის მამულს"[40]. მაგრამ არა მხოლოდ გლეხთა ბანკი, კრედიტის სხვა ორგანოებსაც იგივე პოლიტიკა უნდა განეხორციელებინათ, რამდენადაც ისინი მამულების დაგირავებისა და ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში მონაწილეობდნენ: „შევიწროებას და ათასგვარ შეურაცხყოფას განიცდიან სოფელ ნიგოითის გლეხები, რომელნიც დღეს მუშაობენ სახელმწიფო ბანკში დარჩენილ მაჭუტაძეებისეულ მამულზეო", — გადმოგვცემს იგივე მიმომხილველი.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ, ერთის მხრივ, ეკონომიკური გალატაკების გზას შემდგარი ქართველი ფეოდალური მემამულეებისა და, მეორეს მხრივ, თავისი პოლიტიკური გავლენის გაძლიერებისათვის მებრძოლი „მშობლიური" კაპიტალისტების ინტერესების დამცველმა თავადაზნაურულმა და ბურჟუაზიულ-ლიბერალურმა ინტელიგენციამ ჰიპოტეკური

[39] „Всеподданнейшая записка...".

[40] „საქართველოს მოამბე", 1909 წ. № 1, გვ.

კრედიტის წარმართვისა და საერთოდ საადგილმამულო საკუთრების მიმდინარე გადანაწილების „გონივრული“ მიმართულებით, ე. ი. არსებითად მემამულური მეთოდებით წაყვანისათვის ბრძოლაში შეიმუშავა ე. წ. საერთო ნიადაგის თეორია, რაც 1900-იან წლებში ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციისა და პოლიტიკური პარტიების პლატფორმის სახით ჩამოყალიბდა, და რაც თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ინტერესთა შეხმატკბილებასთან ერთად საერთო ინტერესებისათვის მუშათა და გლეხთა ამოძრავებასაც ლამობდა და ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე ურყევ მოტივად „სამშობლოს ადგილმამულის შესანარჩუნებლად“ საერთო ძალით ბრძოლის აუცილებლობას ასახელებდა.

საერთო ნიადაგის თეორიის ქადაგი განსაკუთრებით ძლიერდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მომენტებში, როდესაც თავადაზნაურობას და ლიბერალურ ბურჟუაზიას მოსახლეობის ძირითადი მასების წინააღმდეგ რაიმე ძლიერი საერთო ინტერესების შემცველი პრობლემის გადაჭრის საქმე აკავშირებდა. ასეთი პრობლემა 900-იან წლებში შეიქნა, მაგალითად, «დროებითვალდებულ» გლეხთა ინსტიტუტის ლიკვიდაციის საკითხი.

რეაქციული თავადაზნაურული მემამულეები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რათა «დროებითვალდებულ» ურთიერთობაში გლეხობის დარჩენა რაც შეიძლება კიდევ გაეხანგრძლივებიათ [41]. ეს თავადაზნაურობა ხშირად თვით ცარიზმის ბიუროკრატიაზე უფრო კონსერვატიული და მემარჯვენე იყო და თვლიდა, რომ მეფის სატრაპის, კავკასიის ნამესტნიკის, გრაფ. ვორონცოვ-დაშკოვის მიერ წარდგენილი «დროებითვალდებულ» ურთიერთობათა ლიკვიდაციის პროექტის განხორციელებას „შეუძლია ძირი გამოუთხაროს არა მხოლოდ მეურნეობას, არამედ მიწათმფლობელობასაც“, ე. ი. საერთოდ კერძო საკუთრებასო — როგორც ამას აცხადებდა, მაგალითად, სახელმწიფო საბჭოში კავკასიის თავადაზნაურობის წარმომადგენელი თავ. ა. მ. ერისთავი [42].

ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგები კი ასეთ პერიოდში ჩვეულებრივზე უფრო გულმოდგინედ იწყებდნენ ქადაგს საერთო ნიადაგისა და, მაშასადამე, საერთო ინტერესების პლატფორმის სასარგებლოდ; ისინი მოუწოდებდნენ ქართველ გლეხს და მუშას, რათა ქართველ მემამულესა და კაპიტალისტთან ერთად საერთო ძალით დაეცვათ „საერთო ინტერესები“

[41] ვრცლად იხ. П. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1955 г. т. IV, стр. 216—304, 378—536, 821—827.

[42] газ. „Речь“, 1912 г. 20 дек.; „Новое время“ 1912, 20 дек.

და, სწორედ ამიტომ, იღწვოდნენ, თუმცა, ცხადია, ამაოდ. დაერწმუნებიათ გლეხობის ძირითადი მასები თავადაზნაურობასთან „მშვიდობიანი და შეხმატკბილებული ურთიერთობის შენარჩუნების სარფიანობაში", „მამაშვილური დამოკიდებულების სიმტკიცესა და ორმხრივ სარგებლიანობაში", როგორც ამას სწორედ ამ ხანებში ქადაგებდა ცნობილი მემამულე თავ. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი[43], რომელმაც ამ მხრივ მხოლოდ ახლად გამოათრია არსებითად დავიწყებას მიცემული, ჯერ კიდევ 1860-იანი წლების რეფორმის პერიოდში ა ლ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს მიერ წამოყენებული, მებატონესა და ყმას შორის „მამაშვილური დამოკიდებულების" ყბადაღებული თეორია.

თავ. მუხრან-ბატონი 1908 წ. წერდა: შეუწყვეტელ ბრძოლას, რასაც საქართველო ეწეოდა უცხო სარწმუნოების ხალხებთან, უდიდესი გავლენა ჰქონდა ქართულ ბატონყმობაზე გლეხობის თავადაზნაურობასთან დაახლოების თვალსაზრისით, რამდენადაც თავისი რელიგიის დაცვისათვის წარმომდგარი საბრძოლო ძმობა მათს შორის ამყარებდა ურთიერთკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას... მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში... ატარებდა სამშობლოს დაცვის მთელ სიმძიმესო და სხვ.

ამგვარად. საერთო ნიადაგის თეორიას შესაბამის წრეებში ყოველმხრივ უმაგრებდნენ ნაადაგს, რათა მოედუნებიათ გლეხობისა და საერთოდ მშრომელი მოსახლეობის წინააღმდეგობის უნარი.

ამ მისწრაფების, ე. ი. საერთო ნიადაგის ნაციონალისტური თეორიის ერთ-ერთი გამომხატველი 1913 წ. ქართულ პრესაში ქადაგებდა:

„მოგეხსენება, ძვირფასო, მეგობარო მკითხველო, რომ მშობელ დედისათვის ყველა შვილი ერთია, ივანე იქნება თუ პაატა, ნინო, თუ ქეთევანი. აგრეთვე ჩვენის საერთო დედის — სამშობლოსათვის სულ ერთნი ვართ ყველა მისი შვილნი თავადი, აზნაური, გლეხი, ვაჭარი და ხელოსანი — ოღონდ ქართველები კი ვიყვნეთ.

მაშასადამე კითხვა იმაში კი არ არის, მამული ვის ხელში იქნება — თავადისა თუ გლეხისა — კ ი თ ხ ვ ა ი მ ა შ ი ა, რ ო მ ჩ ვ ე ნ ი მ ა მ უ ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ კ ა ც ი ს ხ ე ლ ი დ ა ნ ა რ წ ა ვ ი დ ე ს, ს ხ ვ ა ს უ ც ხ ო ს ა რ გ ა დ ა ე ც ე ს.

ა ი ა მ ა ზ ე უ ნ დ ა ზ რ უ ნ ა ვ დ ე ს ყოველი პატიოსანი და შეგნებული მამულისშვილი, რ ო მ ე ლ ს ა ც უ ყ ვ ა რ ს თ ა ვ ი ს ი ს ა მ შ ო ბ ლ ო დ ა რ ო მ ე ლ ი ც ღ ი რ ს ი ა ა ტ ა რ ო ს ს ა ხ ე ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა.

ვინც ასე არ ფიქრობს, ის მოღალატეა თავის დ ი დ ი ს დ ე დ ი ს — ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ი დ ა უ ფ ლ ე ბ ა ა რ ა ა ქ ვ ს ა ტ ა რ ო ს ს ა ხ ე ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა.

ამ ბოლო დროს საუბედუროთ ძლიერ გახშირდა ჩვენში ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყულ მამულების გაყიდვა უცხოელებზე. ეს მოვლენა

[43] газ. „Россия", 1908 г. № 946.

ძირს უთხრის ჩვენის ქვეყნის მომავალს — ამისთვისაც ყოველივე ღონე უნდა იყოს მიღებული, რომ, თუ ვინმე ჰყიდის მამულს, იგი ისევ მისმა ძმამ, მისმა მეზობელმა იყიდოს. ერთის სიტყვით — ქართველი კაცის მამული ისევ ქართველის ხელში უნდა გადავიდეს" [44].

საერთოდ რა გინდ ძლიერი ყოფილიყო მისწრაფება, რათა შეენარჩუნებია თავადაზნაურობას მამულები, შედეგი მაინც სამწუხარო იყო ფეოდალური ბრწყინვალე წოდებისათვის. რეფორმის შემდეგ, რაც უფრო მძლავრად იდგამდა ფეხს ბუოეუაზიული მეწარმეობა, მით უფრო მეტი ინტენსივობით ეცლებოდა ხელიდან თავადაზნაურობას მამულები, რომლებიც სოფლისა და ქალაქის ბურეუაზიის, ე. ი. „უგვარო" ხალხის ხელში გადადიოდა. ადგილობრივი თავადაზნაურობის ძირითადი ნაწილი არსებითად სავსებით მოუმზადებელი დახვდა იმ მოვლენებს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, ახალი წარმოებრივი ურთიერთობათა შემოვრისა და გაბატონების სახით, უღრმეს ცვლილებათა მომასწავებელი იყო.

ეს პროცესი ადრიდანვე შენიშნა და თავისებურად შეაფასა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ისეთმა გულისხმიერმა დამკვირვებელმა, როგორიც იყო გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რომელიც 1873 წელს, თავის ერთ ფელეტონში, თავადაზნაურობის შესახებ, წერდა: „ძველთაგანვე დაწყებული ჩვენი ქვეყანა სულ ამ ბოროტ წოდების უსამართლობით იყო დაღუპული. დროთა ვითარებამ ისინი მშრომელი ხალხის კისრიდან გადმოასკუპა, დასვა ცარიელზედ და უთხრა — აწ შენი ოფლით და მკლავით იშრომეო; გაფუჭებული და ღონე გამოლეული ჩვენი თავადაზნაურობა დარჩა ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში: შრომა იმას არ შეუძლია, სწავლა და მოხერხება არა აქვს. ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშუალება ხელიდან ეცლება და თანდათან ჰქრება მისი სახელწოდებაც" [45].

ძველი ქართველი დიდგვაროვანი თავადობის ქონებრივი და ფიზიკური განადგურების ფაქტს ტრაღიკულად განიცდიდა ამ თავადობის ერთ-ერთი უკანასკნელი მოგიკანი გრ. ორ ბ ე ლ ი ა ნ ი. ერთ კერძო წერილში იგი წერდა (1878 წ.): „ჩვენს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ, ჩამოეთესლენ პოლოსოვები, აბოვიანცები! ფიტარეთი, ჩვენის მამა-პაპების სასაფლაო, უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხად..." [46]. მაგრამ ორბელიანები კარგავდნენ არა მხოლოდ მამულებს:

[44] გაზ. „ხმა კახეთისა", 1913 წ., № — 132, გვ. 1 — 2; იხ. აგრ. 1914 წ. №.135, გვ. 3 — 4.

[45] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ამ დროის მოძრაობა" („კრებული", 1873 წ. № 3, 227 — 230.

[46] ერთი წლის შემდეგ იგი კიდევ ე კ ა ტ ე რ ი ნ ე დ ა დ ი ა ნ ს უზიარებდა თავის გულის ნადებს: „ვერ წარმოიდგენთ რა განწირულს მდგომა-

როგორც ბევრი სხვა თავადის, ისე ამათ გვარშიაც, ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა ს სიტყვით, „ქონებრივ სიღარიბეს ზედ დაერთო სისხლის სიღარიბეც“ [47]. 1882 წ. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ვანო ორბელიანს წერდა: „დავმარხეთ საბრალო დიმიტრი ვახტანგის შვილი, ორბელიანი, ქაშუეთის ეკლესიაში და ამოწყდა ამისი სახლიცა. ღმერთო, რა საშინლად ჰქრება ჩვენი ვეება ოჯახი... სარდლიანთ ოჯახიდამ არის მხოლოდ უშვილო ივანე; ასლანის ოჯახი გაჰქრა, როგორცა ამოვარდა გიორგის ოჯახი; იოსების სახლიდამ დარჩით გიგო, შენ და სანდრო, სამნივე ჭანები, უშვილონი; სოსიკოს სახლში დგას პოლოზოვი, სამარაღდონის სახლში — საგინოვი, ალექსანდრეს ადგილს — აბოვიანცი, ძაღლი და მამაძაღლი; ჩვენ სამთა ძმებთაგან დაგვრჩა მხოლოდ ერთი გიორგი!! არის ქაჩალი კოტე, ვალში დაღუპული და მასთან ერთად დაღუპულივე პაიკი საშა! ჩვენ ყაფლანიანნი ვიღუპებით, მაგრამ არცა სხვანი ბედნიერობენ; მოგვდევენ დიდათ გაჩქარებულნი სოლოლაანნი, ბარათაანნი, ერისთავნი, აბაშიძიანნი, თარხნიანნი, ჭავჭავაძიანნი, ვაჩნაძიანნი და სხვანიცა და დიდათ ცდილობენ, რომელი მათგანი უფრო მალე დაიღუპება!“[48].

მართლაც ორბელიანებთან ერთად განადგურების გზას ადგნენ სხვა თავადებიც[49]. მაგალითად, კ. ი. მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი ს მემკვიდრეებს 1916 წელს დარჩათ 4 მილ. მანეთად შეფასებული მამულები (13.000 დესეტინამდე) თბილისსა და

რეობაში იმყოფება ჩვენი თავადობა, რა საშინლად დაეცა და გაწყალდა სიღარიბისაგან!—საქართველო მრავალჯერ აოხრებულა, გადამწვარა. ლანგოემურისაგან, შაჰაბაზისაგან, ოსმალთაგან, სპარსთაგან, მაგრამ გადარჩენილი სიკვდილისაგან ხალხი გამოდიოდა ტყის სიღრმითგან, კლდეების ხეობიდამ და თავის მიწაზე აშენებდა თავის ქოხსა და შემდეგ, უამთა განმავლობაში, ნელ-ნელა მოდიოდა ცხოვრებაში. ახლა ჩვენს თავადობას აღარსად ექმნება თავის შესაფარებელი. ჩვენი მომავალი მეტად დაბნელებულია და არსაიდან ჭსხანს ნათელი ნუგეშისა!“ (ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I, 326).

[47] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, „ქართველი მწერლები“, 1941, თბ. I, 114.

[48] იქვე, 113 — 114, 134.

[49] ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი, „მოგონებანი“, 141 — 145, 179; გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, „მემუარები“, 1934. თბ. 52 — 53; დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, „მემუარები“, 69 — 71.

გორის მაზრაში. „მაგრამ, რასაკვირველია, როგორც შეეფერება ქართულ მიწისმფლობელობას, ამ ქონებას გაუჩნდნენ მეორე ჯურის მემკვიდრენიც. სახელდობრ, რამდენიმე სომეხი კრედიტორი, რომელთაც ხსენებული მამულები 300.000 მანეთად გირაოდ ჰქონდათ აღებული და... მემკვიდრეებს დაეშუქრნენ: ან თამასუქები დაუყოვნებლივ გაგვინაღდეთო, ანდა მთელ ამ მამულებს ვაჭრობით გაგიყიდითო“ [50].

საერთოდ ძველი ფეოდალური არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი თითქმის სავსებით გადაშენდა. მათს მამულებს კიდევ ახალი კლასი დაეპატრონა. ჯერ კიდევ 1880-იან წლებში გრ. ორბელიანი ჰგოდებდა: „აწ დავჰშჩითი მე მარტო და ვარ ჩემს იმავე ქუჩაში, ვითარცა ვიღაცა უცნობი სხვათათვისო“[51].

რამდენადმე თავისებურ ფორმაში მოხდა მთელს კავკასიაში უმსხვილესი ფეოდალური მფლობელობის, სახელდობრ ნ. დადიანის (მინგრელსკის) მამულების მძიმედ დავალიანება. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ 1867 წ. 4 იანვრის ბრძანებულებით მთავრის უზარმაზარი სამფლობელო ნაკრძალად იქნა გამოცხადებული ისე, რომ ნ. მინგრელსკი ინარჩუნებდა მემამულური მესაკუთრის უფლებას. 1876 წელს ამ მამულზე გავრცელდა 1868 წლის კანონი — გამოსასყიდელი ოპერაციების შესახებ.

ნ. მინგრელსკიმ გადაწყვიტა ესარგებლა ამ გარემოებით და პეტერბურგში მოახერხა გაეტარებია სპეციალური დადგენილება, რათა მის მიწებზე მცხოვრებ გლეხებს ნადელების გამოსყიდვაში დახმარებოდა მთავრობა. მაღლე ამ გზით მისაღები თანხის ანგარიშში ნ. მინგრელსკიმ ხაზინიდან ავანსად გამოიტანა 300 ათასი მანეთი, წლიურად 5% სარგებლის კვალობაზე.

შემდეგში წამოჭრილ „ფორმალურ დაბრკოლებათა“ მეოხებით ნ. მინგრელსკის მამულებში ხაზინის დახმარება გამოსასყიდელ ოპერაციებში არ მოეწყო. ამავე დროს, როგორც ნ. მინგრელსკი 1905 წ. 14 აგვისტოს თავად გ. გოლიცინისადმი წერილში აცხადებდა, ფინანსთა სამინისტრო, წინააღმდეგ იმპერატორის ბრძანების აზრისა, „მარიცხავს მე პროცენტებსა და მათზე საურავს და დღემდე, ამგვარად, ჩემს ავანსურ ვალს განსაზღვრავს დაახლოებით 800.000 მანეთითო“[52].

ამასთანავე როგორც ჩანს ხაზინიდან ავანსის მიღების დღიდან მემამულესა და გლეხთა შორის თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე ნადელე-

[50] გაზ. „საქართველო“, 1917 წ. № 40, გვ. 3.
[51] ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I, 325.
[52] ЦГИА ГССР, ф. 13, д. 2545, лл. 60.

ბის გამოსყიდვისათვის შემოსული ფული ყოველთვის შეჰქონდათ ხაზინაში— ვალის დასაფარავად. მაგრამ ეს შენატანები იმდენად მცირე ყოფილა, რომ არამცთუ თავს, არამედ სარგებლის შეუტანლობით დარიცხულ საურავსაც კი ვერ ფარავდა. ასეთი „არანორმალური მდგომარეობა საქმისა მე მემუქრება იმით, რომ საბოლოოდ შეიძლება დავკარგო საგლეხო ნადელებიცა და თანვე აღმოვჩნდე ხაზინის ვალაუვალი მოვალეო", — აცხადებდა ნ. მინგრელსკი [53] დასახელებულ წერილში.

ამასთანავე იმავე წელს კავკასიის ნამესტნიკ გრაფ ი. ვორონცოვ-დაშკოვისათვის პეტერბურგიდან გამოგზავნილ ბარათში იგი უკვე ამქღავნებს თავის პანიკურ განწყობილებას: „Мне необходимо немедленно выйти из того тягостного положения, которое создано мне моими временнообязанными крестьянами сомовольно захватывшими в течении текущего года все мое имущество за исключением лишь усадеб и тем самым обратившими меня, крупнейшего в крае землевладельца, в какого то неоплатно-задолженного однодворца"[54].

ნ. მინგრელსკის მამულების დავალიანება სულ იზრდებოდა. მალე კავკასიის ნამესტნიკმა „ბრწყინვალე თავადს" მისცა „ბრწყინვალე იდეა" — მამულები მიეყიდა საგლეხო ბანკისათვის; და აი, ნ. მინგრელსკის რწმუნებული ნაფიცი ვექილი თავ. ალ. მაქს. ქოჩაქიძე კავკასიის ნამესტნიკს ურდგენს ნ. მინგრელსკის პირობებს მამულების ხსენებული ბანკისათვის მიყიდვისა და ვრცელ სიას თვით მამულებისა, სადაც (ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის მაზრებში და სოხუმის ოკრუგში) სახლობდა 2.922 კომლი „დროებითვალდებული" გლეხი[55].

კაპიტალისტური წარმოების წესი იმორჩილებს საადგილმამულო საკუთრების ყოველგვარ ფორმებს, რომელთაც კი მოუსწრებს, დაწყებული ფეოდალური საკუთრებითა და გათავებული თემური და გვაროვნული ფორმებით. ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევის პროცესში, განსაკუთრებით ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, საქართველოსა და ამიერკავკასია-

[53] ЦГИА ГССР, ф. 13, д. 2545, стр. 61.

[54] იქვე, ფურც. 77 — 78.

[55] ЦГИА ГССР, ф. 13, оп. 7, д. № 661 „По вопросу о покупке Крестьянским банком заповедного имения светл. кн. Н. Мингрельского", 1907 г., на лл. 36.

ში ირღვევა წოდებრივი მიწათმფლობელობა, ხდება საადგილ-მამულო საკუთრების ერთგვარი მობილიზაცია, რაც მით უფრო ინტენსიურ ფორმებში ვლინდება, რაც უფრო მეტად შეიჭრება კაპიტალი სოფლის მეურნეობაში, მაშასადამე, იმ რაიონებში, სადაც უფრო ადრე ვითარდება სავაჭრო მიწათმოქმედება, მიწათმოქმედების სპეციალიზაცია, სადაც, ამგვარად, იზრდება იჯარადრობა და ჰიპოტეკური დავალიანება, რაც თავის მხრივ, ცხადია, გულისხმობს მიწის ყიდვა-გაყიდვის გაძლიერებას და, ამ გზით, მისი წოდებრიობის დაშლას, ე. ი. შეძლებული გლეხობის, ვაჭრების და სხვ. „დაბალი ფენების“ წარმომადგენელთა ხელში გადასვლას. ყოველივე ამის შედეგად მიწათმოქმედებაში ვითარდება თავისუფალი კონკურენცია, რაც, ცხადია, უპირისპირდება მიწის მონოპოლიურ საკუთრებას.

XI

სოფლის სოციალური დიფერენციაცია

1. ფისკალური პოლიტიკისათვის

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობდა აგრარულ პოლიტიკაში ის სისტემა გადასახადებისა, რასაც ცარიზმი „განაპირა ქვეყნებში“ ატარებდა.

ბატონყმობის გაუქმებით, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ შემსუბუქებულა, პირიქით, უფრო გაიზარდა გადასახდელთა ტვირთი, რაც გლეხობას აწვა კისერზე. 1861 წ. რეფორმის 45 წლისთავისადმი მიძღვნილ ერთს ბოლშევიკურ პროკლამაციაში ნათქვამია, რომ მაშინ გლეხობა მოითხოვდა სათავადაზნაურო ბეგარა-გამოსაღებთა გაუქმებას, მეფემ კი, მხოლოდ შეამცირა რა ისინი, გლეხობას თავს მოახვია „უფრო დიდი—სახელმწიფო გადასახადები და, ამრიგად, საბოლოოდ გამოუთხარა ძირი გლეხურ მეურნეობას“ [1].

რეფორმის შემდეგაც ყოველგვარ პირდაპირ სახელმწიფო გადასახადს და ერობის ფულად მოსაკრებელს, რაც კი ადგილმამულის შემოსავალს ედებოდა, იხდიდა მხოლოდ ე. წ. გ ა მ ო მ ღ ე ბ ე ლ ი წ ო დ ე ბ ა, ე. ი. გლეხობა, მაშინ როდესაც მემამულეთა წოდება (თავადაზნაურობა), რომელიც ფლობდა საერთოდ მიწების უმნიშვნელოვანეს ნაწილს (5 მილ. დესეტინას), სახელმწიფო გადასახადებისაგან თავისუფალი იყო, ხოლო ერობის მოსაკრებელს იხდიდა ფრიად უმნიშვნელო ზომით (მხოლოდ მომრიგებელ მოსამართლეთა და გლეხ-

---

[1] „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904 — 1906 წწ“. 1939, თბ. გვ. 221.

თა საქმეების საგანგიოს შესანახად). გლეხური მოსახლეობა, რომლის სარგებლობაში იყო დაახლოებით ორჯერ მეტი მიწა, თავადაზნაურობაზე ოცჯერ მეტს იხდიდა მარტო ფულადი გადასახდელების სახით და გარდა ამისა ერობის ნატურალურ ბეგარათა მთელი სიმძიმე ეკისრებოდა მას, და იგი იხდიდა კიდევ სოფლის (თემის) მოსაკრებლებსაც.

ამასთანავე, საკმაოდ ზუსტი გამოანგარიშებით მტკიცდება, რომ, მაგალითად, 1880-იან წლებში ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა სარგებლობაში მოქცეული ვარგისი მიწის ყოველ დესეტინაზე ერობის მოსაკრებელი მოდიოდა საშუალოდ 78 კაპ.[2], მაშინ როდესაც შიგა რუსეთის შესაბამის გუბერნიებში ეს მოსაკრებელი უდრიდა მხოლოდ 10,5 კაპიკს, ხოლო 1890-იან წლებში-კი — 13 კაპიკს[3].

ამავე დროს თვითმპყრობელობის ცენტრალური პრესა ამტკიცებდა, რომ ამიერკავკასიიდან იმპერიას მცირე შემოსავალი აქვსო და მოითხოვდა აქ მოსახლეობის უფრო მეტად დაბეგვრას. მაგალითად, რეაქციული ჟურნ. „Слово"-ს ფელეტონისტი (1880 წ.) ბრალს სდებდა ცარიზმის ადგილობრივ ხელისუფალთ, რომ ისინი ვერ იჩენენ საკმაო ენერგიას „ხაზინის შემოსავალთა გადიდებისათვის საშუალებების გამონახვაში", მით უფრო, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობა შედარებით ნაკლებადაა დაბეგრილი. იგი აღნიშნავდა რა აქ მიწების გაძვირებას, რისი ძირითადი მიზეზი ნამდვილად იყო მიწის სივიწროვე და, ცხადია, არა შემოსავლიანობის გადიდება, წერდა, რომ „ადგილობრივ მოსახლეობას თავისუფლად შეუძლია აიტანოს გამოსაღებთა ერთგვარი გადიდებაო". ფიქრობს-და მიწის ფასების აწევისაგან გამომღებელი წოდების, გლეხობის, შემოსავლიანობა გაზრდილიყოს. სინამდვილეში მიწის ფასის აწევით მხოლოდღა მემამულეები სარგებლობდნენ და ისინი კი არავითარი გამოსაღებით არ იბეგრებოდნენ. ამიერკავკასიის მოსახლეობის ძირითადი მასების,

[2] СМИЭБГКЭК. V, 179; С. Заваров. „Опыт изследованія...", 355 — 357.

[3] Б. Веселовский. „История земства за 40 лет", 43.

ე. ი. გლეხობის დაბეგვრის გადიდების ამნაირი „დასაბუთების“ შემდეგ ფელეტონისტი უკვე აცხადებს: „ამასთანავე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიაზე გამოსაღებთა სარგოების გადიდებასთან ერთად შესაძლებელი იქნება შევამციროთ სარგოები იმ შიგა გუბერნიებში, სადაც ბუნებრივ პირობათა სიმწირის შედეგად გადამხდელები ფრიად შეეიწროებულნი არიან საგადასახდელო საშუალებების მხრივ“[4].

თვითმპყრობელობის ფისკალური აპარატის მოხელეთა ამ „კანონიერ“ მისწრაფებათა გაგებისათვის, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ამასთანავე თუ რამდენად „ნაკლებად“ იყო დაბეგრილი ამიერკავკასიელი გლეხობა ამას ქვემოთ დავინახავთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცარიზმმა ამიერკავკასიაში დასტოვა მოცემული ტერიტორიიდან ასაკრებ ყოველგვარ ბეგარა-გამოსაღებთა კომლობრივად გაწერის ძველებური — მეცხრამეტე საუკუნემდე არსებული — წესი. გადასახადთა აკრების ეს წესი არსებითად ძალაში დარჩა 1840—1850-იან წლებიდან აქ შემოღებული მოსახლეობის სულობრივი დაბეგვრის შემდეგაც.

ბატონყმობის გაუქმების მერმეც სახაზინო პალატა, მორიგი კამერალური აღწერის საფუძველზე ადგენდა სარგოს სიებს (окладной список) კამერალური კომლის (камеральный дым) მიხედვით. კამერალური კომლი ნამდვილად მხოლოდ უფლება-ვალდებულებათა (უპირატესად, რასაკვირველია, ვალდებულებათა!) ოფიციალური სუბიექტი იყო. კომლთა მიხედვით-კი ისაზღვრებოდა ყოველ თემზე შეწერილი გადასახადის სიდიდე (მოცულობა). კ ო მ ლ ო ბ რ ი ვ ი გ ა მ ო ს ა ღ ე ბ ი (подымная подать) იყო სახეშეცვლილი ფორმა რეფორმამდელი ეპოქის სულობრივი გადასახადისა[5]. ასეთი არათანაბარზომიერი განაწილება გამოსაღებთა ტვირთისა, რაც დაიდებოდა ადგილმამულის შემოსავალზე და

[4] Журн. „Слово“. СПБ, 1880 г. № 7. отд. II, стр. 2 — 4.

[5] И. Б а х т а д з е. „Податное обложение госуд. крестьян Закавказского края“, 1887. Тифлис

აიღებოდა კომლობრივად, — თვით მამულის (მიწის) ფასსა და შემოსავალთან ყოველგვარი შეფარდების გარეშე, მძიმელოდად აწვა გლეხურ, კერძოდ „დროებით-ვალდებულ“ გლეხთა მეურნეობას[6].

ყოველივე ამის გამო, როგორც თვით რუსეთის იმპერატორის სატრაპი გრაფი ი. ვორონცოვ-დაშკოვი, თავის უქვეშევრდომილეს ბარათში, რომელიც უმთავრესად შეეხება 1905 წ. რევოლუციის ეკონომიკურ მიზეზებს კავკასიაში, იძულებულია აღიაროს, რომ „კავკასიის გლეხობისათვის სრულიად შეუძლებელი შეიქმნა შეეტანათ რაიმეგვარ დანახარჯებთან დაკავშირებული გაუმჯობესება მიწათმოქმედების კულტურაში. მუშა-პირუტყვის სიმცირე, მიწათმოქმედების პრიმიტიული იარაღები, მიწის გაუნოყიერებლობა და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, სულ ზრდადი შემცირება მიწის მოსავლიანობისა,— აი რა მოყვაიმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც გამოსაღებთა ტვირთის მთელ სიმძიმეს აკისრებდა კავკასიის გლეხობას. გლეხური მეურნეობის დაცემამ გავლენა იქონია თვით კერძო მფლობელთა მამულების შემოსავლიანობაზე.... ამიერკავკასიის კერძო მფლობელები (მემამულეები — პ. გ.) დღემდე თითქმის არ ეწევიან საკუთარ მეურნეობას“ და მათში გაბატონებულ სისტემას წარმოადგენს საზიარო მეურნეობა, უმეტეს წილად მოსავლის ნახევარზეო.

1901 წელს გატარებული რეფორმით კომლობრივი გამოსაღები და სხვადასხვა სახის ბეგარები მოისპო და მათ ნაცვლად დაწესებულ იქნა: 1. ხაზინის მიწებზე, რომელიც სახელმწიფო გლეხთა მუდმივ სარგებლობაში იყო — ღალის გამოსაღები (оброчная подать); 2. ყველა სხვა მიწებზე — ადგილმამულის სახელმწიფო გადასახადი (поземельный налог) და 3. ერობის მოსაკრებელი (земский сбор) გავრცელდა ყველა მიწაზე, რომელიც იყო, როგორც გლეხთა ისე კერძო მესა-

[6] „Всеподданнейшая записка...“, стр. 86 — 90.

კუთრეთა (მემამულეთა) სარგებლობაში. ამ რეფორმას, კანონმდებლის მტკიცებით, შედეგად უნდა მოყოლოდა ადგილმამულის გადასახდელთა „თანაბარზომიერი განაწილება“ გლეხობასა და მემამულეებს შორის. არსებითად გლეხობაზე გაწერილ ბეგარა-გამოსაღებთა საერთო ტვირთი სულ უმნიშვნელოდ (მერმინდელი, 1907 წლის, ოფიციალური გამოანგარიშებით მხოლოდ 2 პროცენტით) შემცირდა; ხოლო, სამაგიეროდ, სხვა სახის გადასახდელთა საერთო ჯამი დიდად გაიზარდა.

ღალის გამოსაღები სახელმწიფო-მონადელე გლეხთა მიწების „წმინდა შემოსავლის“ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. იგი 1909 წელს კიდევ ორჯერ და უფრო მეტად იქნა გადიდებული.

ცხადია ღალის გამოსაღები თავისთავად ისევე დრომოჭმული იყო თვით შიგარუსეთის ცხოვრების მიხედვითაც. ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლების დიდი მოხელე ო. ს ე მ ი ნ ი 1910 წელს აღიარებდა: „ღალის გამოსაღები ამიერკავკასიაში არის სრული ანაქრონიზმი და ამასთანავე ერთად იგი წარმოადგენს აუტანელ ტვირთს... გადამხდელთათვისო“[7]. მაგრამ ღალის გამოსაღების მოსპობის აუცილებლობას ბევრად უფრო ადრე და არაერთხელ აღნიშნავდა თვით კავკასიის ნამესტნიკიც, რომელიც ამას ასაბუთებდა არა მხოლოდ გლეხობისათვის ამ გამოსაღების აუტანლობით, არამედ თვით პოლიტიკური ხასიათის თვალსაზრისით და თანაც ხაზინის ინტერესებითაც, რამდენადაც ამ გამოსაღებს შესცვლიდა ადგილმამულის სახელმწიფო გადასახადი, — რასაკვირველია, ამაღლებული განაკვეთით. გრაფი ი. ვ ო რ ო ნ ც ო ვ-დ ა შ კ ო ვ ი ამას ასაბუთებდა იურიდიული თვალსაზრისითაც: 1861 წ. 5 მარტის ბრძანებულებით მთელს იმპერიაში მიწაზე საკუთრების უფლება უნდა მინიჭებოდა ყველა კატეგორიის გლეხს, როგორც ყოფ. სახელმწიფო, აგრეთვე საერთოდ ხაზინის მიწაზე დასახლებულ-დაშენებულთაც. ხოლო შემდეგ 1905 წ.

[7] О. С е м и н, „Земская реформа на Кавказе“, 1910, Баку, стр. 92.

3 ნოემბრის მანიფესტით შიგა რუსეთის გუბერნიების ყოფილი სახელმწიფო გლეხები გადაყვანილ იქნენ კერძო მესაკუთრეთა მდგომარეობაში და მათი მიწები გამოსაღების მხრივ გაუთანასწორდნენ კერძო მფლობელთა მიწებს, ე. ი. დაიბეგრენ ადგილმამულის სახელმწიფო გადასახადით. ამავე დროს კავკასიის სახელმწიფო გლეხობაზე არც 1861 წლისა და არც 1905 წ. ხსენებული კანონები არ გავრცელებულა. და, ამგვარად, ამიერკავკასიის გლეხობა ცარიზმის ბატონობის სულ ბოლომდე იხდიდა ღალის გამოსაღებს[8].

1900 წლის 12 ივნისის კანონით ამიერკავკასიაში 1901 წლიდან შემოღებულ იქნა ადგილმამულის სახელმწიფო გადასახადი, რაც კერძომფლობელთა მიწებზე გაიწერებოდა—წმინდა შემოსავლის 1,8 პროცენტის რაოდენობით. 1908 წლიდან გადასახადის ეს ნორმა აყვანილ იქნა 3,6 პროცენტამდე. ადგილობრივი პრესა იმთავითვე გამოეხმაურა ადგილმამულის სახელმწიფო გადასახადის შემოღებას. „კვალის“ მიმომხილველი აღნიშნავდა: „ამ წლიდან ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში ერთი დიდი ცვლილება ხდება. მთავრობამ გააუქმა საკომლო გადასახადი და მის ალაგას შემოიღო საადგილმამულო გადასახადი, (რაც) ედება მიწის საკუთრებას და ჯრა პიროვნებას; მაშასადამე, მიწათმფლობელი ხდება გადასახადთა გადამხდელი: არის ის გლეხი, აზნაური თუ თავადი — ეს სულ ერთია. ეს არის ერთადერთი სამართლიანი გადასახადი, მხოლოდ საქმე იმაშია, რამდენად სამართლიანად იქნება ის განაწილებულიო“[9]. მიმომხილველი ითვალისწინებდა შესაძლებლობას, რომ, „ჩვენში ნაკლებ მამულიანს (გლეხს) დიდი გადასახადი შეეწერება და დიდ მამულიანს — ნაკლები“[10].

ამრიგად, გლეხთა მოძრაობის შემდგომი გამწვავების შიშით 1901 წლიდან ამიერკავკასიაში დაბეგრილ იქნა როგორც

[8] ვრცლად იხ. „Материалы к поземельным вопросам Кавказского края, ч. I, Поземельное обложение“, 1907. Тифлис.

[9] „კვალი“, 1901 წ., № 2, გვ. 23.

[10] „კვალი“, 1901 წ., № 2, გვ. 23.

გლეხთა, ისე ხაზინისა და თავადაზნაურთა მიწებიც. მაგრამ გადასახადის დიფერენციული სარგოები თავისთავად ლაპარაკობენ იმ დიდ უპირატესობაზე, რასაც ცარიზმის ფისკალური პოლიტიკა უქმნიდა არისტოკრატიას.

საქმე იმაშია, რომ დაწესებული იყო დაბეგვრის გ ა წ ე რ ი თ ი ფ ო რ მ ა (раскладочная форма), როდესაც გუბერნიებზე გადასახადის საერთო ჯამი ისაზღვრებოდა კანონმდებლობითი გზით- –მიწის შემოსავლიანობის მიხედვით. ამგვარად, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა მიწის შემოსავლიანობის გარკვევა, რაც სახაზინო პალატებს უნდა ეწარმოებიათ — გამოსაღებთა ინსპექტორების (податной инспектор) მეშვეობით. არსებულ პირობებში, როდესაც თვით გრაფი ვ ო რ ო ნ ც ო ვ-დ ა შ კ ო ვ ი ს სიტყვებით: „არ არსებობდა არავითარი ადგილობრივი გამოკვლევები და შეფასებითი მასალები“, გამოსაღებთა ინსპექტორები მხოლოდ და მხოლოდ თვით გადამხდელთა განცხადებებისა და საკუთარი შთაბეჭდილების მიხედვით ადგენდნენ მიწის შემოსავლიანობის ნორმებს. ხოლო, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიაში სახმარი მიწების შემოსავლიანობა — ადგილმდებარეობის, სიმაღლის, დაქანებულობის, სარწყავის თუ ურწყავის, ნიადაგის, კულტურებისა და მრავალ სხვათა მიხედვით — ფრიად მრავალგვარია და ამდენადვე დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ცალკეულ გადამხდელ ერთეულთა სახმარი მიწების მიკუთვნება შემოსავლიანობის ამა თუ იმ კატეგორიისათვის. ასეთ ვითარებაში გასაგებია, რომ ადვილი იყო გამოსაღებთა ინსპექტორებზე ზემოქმედება იმ მიმართულებით, რომ შემოსავლიანობა გლეხთა მიწებისა გადიდებული, ხოლო მემამულეთა და ხაზინის მიწებისა შემცირებული სახით ყოფილიყო ფიქსირებული. თვით ნაჩესტნიკი, და ისიც უქვეშევრდომილეს მოხსენებაში, აღიარებდა „გლეხთა მიწების საერთოდ მაღალი დაბეგვრის“ ტენდენციას[11]. ჩვეულებრივად გლეხთა მიწების შემოსავლიანობას„ მემამულეთა მიწებთან შედარებით 2—2,5-ჯერ მეტს

[11] „Всеподданнейшая записка...“, стр. 92.

უჩვენებდნენ და ამის საფუძველზე უკვე კანონით დადგენილი სარგოს მიხედვით 1 დესეტინა მიწა იბეგრებოდა: ხაზინისა — 3 კაპ., მემამულისა — 20,4 კაპ., გლეხისა — 45,5 კაპიკით.

ხაზინის მიწები, რომ თითქმის დაუბეგრავი დარჩა ეს გასაგებია, მაგრამ მემამულეებმა ესოდენ დიდ შეღავათებს მიაღწიეს თავიანთი პოლიტიკური ძლიერების შედეგად. მემამულეებმა პროტესტი განაცხადეს „მაღალი" გადასახადების წინააღმდეგ და მიაღწიეს იმდენივე ეხადათ, რამდენსაც შიგა რუსეთის მემამულეები იხდიდნენ, მაშინ როდესაც ოფიციალური ცნობით 1900-იან წლებში ამიერკავკასიელი, კერძოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების გლეხობის სანადელო მიწა 3—4-ჯერ მეტად იბეგრებოდა, ვინემ შიგა რუსეთის ანალოგიური მიწები[12].

1904 — 1909 წწ., განსაკუთრებით რევოლუციური მოძრაობის გავლენით, გატარდა ამ გადასახადთა სარგოების შემდგომი გათანაბრება და მიწებზე გაიწერებოდა (დესეტინობით): მემამულეებისა — 21,9 კაპ. და გლეხებისა — 27 კაპიკი. მაგრამ ეს „გათანაბრება" მეტად თვალთმაქცურ ხასიათს ატარებდა. თავადაზნაურ მემამულეებზე გაწერილი საადგილმამულო გადასახადები წლობით შეუტანელი რჩებოდა, ხოლო შემდეგ ხელისუფლება მხედველობაში ღებულობდა მათ „ხელმოკლეობას" და ამ „ნარჩენებს" მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოაწერდა ხოლმე. მაგალითად, 1901 წელს, საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად გაცემული რესკრიპტით, იმპერატორმა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა, რომელთა მამულები 1900 წლის კანონით განთავისუფლებული იყო სამი წლით (1901 — 1903 წწ.), კიდევ სამი წლით გაანთავისუფლა ადგილმამულის გადასახადისაგან; — მათვე ეპატიათ სახაზინო პალატის ანგარიშით მათზე 1901 წ. 1 იანვრამდე რიცხული სახაზინო გადასახადის ნარჩენები და სხვ[13].

---

[12] ЦГИА ГССР, ф. 13, оп. 7, д. 156, лл. 55 — 56.
[13] „კვალი", 1901 წ., № 40, გვ. 852.

რადგან „ქართველ მთავართა, თავადთა და აზნაურთა წინაპარნი თავის სისხლს ღვრიდნენ რუსეთის საქმისათვის და თავისი განუზომელი სიმამაცით ხელს უწყობდნენ ჩვენი იარაღის გამარჯვებასო“, ღაღადებდა ნ ი კ ო ლ ო ზ II.

ასე მრავალმხრივ გულუხვობას იჩენდა ცარიზმი თავადაზნაურობის მიმართ, მაშინ როდესაც გლეხობა გვალვიან თუ წყალდიდობიან მოუსავლიან წლებშიაც-კი ვერ სარგებლობდა არამცთუ ამგვარი შეღავათებით, არამედ უბრალოდ გადასახადთა ვადის მომავალ წლამდე გაგრძელების მათი მრავალგზისი მუდარა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ამგვარად, ადგილმამულის გადასახადთა თითქმის მთელი ტვირთი კვლავინდებურად გლეხობას აწვა კისერზე.

ფულად გამოსაღებთა საერთო ჯამში, ღალის გამოსაღების შემდეგ მთავარი ადგილი ეჭირა ე რ ო ბ ი ს მ ო ს ა კ რ ე ბ ლ ე ბ ს, რაც ყოველგვარ მოსაკრებელთა საერთო ჯამის 44% შეადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერობის ყოველგვარ მოსაკრებელთა 66% დაიდებოდა გლეხთა მიწებზე, და მხოლოდ 34% მემამულეთა მიწებზე[14]. გამოსაღებთა 1901 წლის

[14] თუ რამდენად ეგოისტურად მოქმედებდა თავადაზნაურობა თავისი წოდებრივი ინტერესებისათვის ჩანს იქიდანაც, რომ 1871 წელს, როდესაც თბილისში ჩამოვიდა იმპერატორი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე I I ნავარაუდევი იყო მისთვის ეთხოვათ ერობის შემოღება კავკასიაში. მაგრამ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კომისიამ იმპერატორს სთხოვა... თავადაზნაურობისათვის „პრიკაზის“ ვალების ჩამოწერა. იმ მოსაზრებით, რომ... ორსავე თხოვნას იმპერატორი არ შეასრულებდა. შემდეგ, 1889 წელსაც, თბილისში ჩამოსულ იმპერატორ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე I I I ერობის შემოღებისათვის სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, ინტერესისათვის თავადაზნაურობისა, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ თავიანთი მამულების საერობო მოსაკრებელით დაბეგვრას, უარი თქვა წინადადებაზე იმპერატორისათვის ეთხოვათ კავკასიაში ერობის შემოღება და მხოლოდ მას მერმე, რაც გადაწყდა ერობის შემოუღებლადაც რამდენადმე გაედიდებიათ თავადაზნაურობის მიწებზე საერობო გადასახადი, რასაც მანამდე სულ უმნიშვნელო ზომით იხდიდნენ, უკვე კეთილინება თავადაზნაურობამ ეთხოვა (1893 წ.) ერობის შემოღება და ისიც, რა თქმა უნდა, ვიწროწოდებრივი ორგანიზაციის სახით. ამგვარად, როდესაც საკითხი შეეხებოდა მთელი ქვეყნის საჭიროებას ამიერკავკასიის მიწათმფლობელი „ბრწყინვალე“ წოდება სდუმდა, „ხოლო როდესაც საჭირო და შესაძლებელი იყო ძიება ახალი პრივილეგიებისა,

რეფორმამდე კავკასიის გლეხობა ერობის კომლობრივი მოსაკრებელის სახით იხდიდა ერობის ხარჯთა თითქმის მთელ თანხას (2.850.000 მან.), ხოლო მემამულენი კი მხოლოდ 0,8 პროცენტს. ეს მაშინ, როდესაც შიგა რუსეთის გუბერნიებში უკვე 1864 — 1865 წწ. ერობის სულობრივი მოსაკრებელი მოსპობილი იყო და ერობის ხარჯები-კი ფორმალურად მაინც თანაბარზომიერად გაიწერებოდა, როგორც გლეხთა ასევე მემამულეთა მიწებზე. ნამდვილად ცხადია, რომ შიგა რუსეთშიაც, როგორც ვ. ლენინი აღნიშნავს, „ერობის მოსაკრებელთა არათანაბარზომიერება“ აშკარა იყო და „მთელი სიმძიმე ამ არათანაბარზომიერებისა“ გლეხობას აწვა კისერზე[15]. კავკასიაში-კი ერობის ბეგარათა მთელი ტვირთი მხოლოდდამხოლოდ გლეხობას ეკისრებოდა 1901 წლამდე, ხოლო ამ დროიდანაც, ამ მხრივ მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა.

1901 წ. რეფორმა შეეხო ერობის შემოსავალ-გასავალსაც. ერობის მოსაკრებელთა მთელი შემოსავალი განიკუთვნა თვით ერობის საჭიროებისათვის, მაშინ როდესაც აქამდე ამ შემოსავლიდან დიდი თანხები გადაირიცხებოდა ხოლმე სახელმწიფო ხაზინაში. ამის შედეგი ის უნდა ყოფილიყო, რომ ერობას შეეძლებოდა მნიშვნელოვანი თანხები დაეხარჯა ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-განმანათლებლური, ჯანდაცვისა და სხვა საჭიროებისათვის. მაგრამ ბიუროკრატიამ არ დააყოვნა და იმავე 1901 წლიდან აქაურ ერობას დააკისრა დიდი ხარჯი, რაც თითქმის ორჯერ აღემატებოდა იმ შენატანებს, რაც აქამდე კავკასიის ერობას ყოველწლიურად შეჰქონდა ხაზინაში.

1901 წლიდან კავკასიაში პოლიციის დარაჯთა შესანახად ერობას ყოველწლიურად უნდა გადაერიცხა 2.500.000 მან. სახელდობრ 1901 წელს კავკასიის ერობის საერთო შემოსავლის (4.670.000 მან.) 57% დაიხარჯა პოლიციის დარაჯთა

წინეკურებისა და მოწყალებისა, ამიერკავკასიის თავადაზნაურობა აამოქმედებდა ხოლმე მთელ თავის გავლენას, რათა მიეღწია თავის ვიწროკასტურ მისწრაფებათა განხორციელებისათვის.

[15] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 367.

შენახვაზე, სხვა ადმინისტრაციულ საჭიროებაზე — 4,8 პროც., ხოლო ადგილობრივ კულტურულ საჭიროებებზე მხოლოდ 39 პროც. (ამათგან 20% მოხმარდა გზის ხარჯებს, 4% — განათლებას და 13% — საექიმო დახმარებას).

1903 წელს ადგილობრივი ერობის მთელი შემოსავლის 60,1% დაიხარჯა თვით ერობის მმართველობასა (ე. ი. ამ მმართველობაში მოკალათებულ აზნაურობასა) და წმინდა ადმინისტრაციულ მოთხოვნილებებზე (პოლიციის დარაჯთა შენახვა, ტუსაღების. გადაყვანა და სხვ.), მაშინ როდესაც ამ წელს შიგა რუსეთის 34 გუბერნიაში ამავე მიზნით დაიხარჯა ერობის შემოსავლის მხოლოდ 17,1%. ადგილობრივი ერობის შემოსავლიდან სახალხო განათლებაზე დაიხარჯა 3,3% (შიგა რუსეთში — 18,8%), ხოლო მედიკურ, ვეტერინარულ და სხვ. „პრაქტიკულ" დახმარებაზე — 16,6% (შიგარუსეთში კი — 51,8%) [16].

საერთოდ თუ რამდენად მძიმე იყო მოსახლეობის ძირითადი მასებისათვის ერობის მოსაკრებელთა ტვირთი, ჩანს იქიდანაც, თუ როგორ იზრდებოდა ამიერკავკასიაში ერობის ხარჯები (მანეთობით):

1865 წ.	1.288.300	1892 წ.	3.259.000
1872 წ.	1.752.900	1904 წ.	4.670.000
1882 წ.	2.300.000	1911 წ.	6.500.000

ამგვარად, ერობის ხარჯები აღებული 1865 — 1911 წლების პერიოდში, ე. ი. 46 წლის განმავლობაში გაიზარდა დაახლოებით ხუთჯერ, ხოლო უკანასკნელი ოცდაოდე წლის მანძილზე თითქმის ორჯერ.

აღსანიშნავია, რომ ერობის მოსაკრებელი ერთნაირად როდი ნაწილდებოდა სხვადასხვა კატეგორიის გლეხთა შორის. 1901 წლიდან მიწებს, რომლებიც იბეგრებოდა ადგილმამულის გადასახადით (ე. ი. მემამულეთა და „დროებით-ვალდებულ" გლეხთა მიწებს) ერობის მოსაკრებელი ეწერებოდა 4 მან. და 50 კაპიკის რაოდენობით ადგილმამულის გადასახა-

[16] МОЗУЗ, VII, 59 — 66; О. Семин. „Земская реформа на Кавказе", 17 — 18.

დის 1 მანეთზე, ხოლო მთელი გადანაჭარბი, რაც ამ მიწებიდან ასაკრებად იანგარიშებოდა, ერობის მოსაკრებელის განაწილების პროპორციით დაიწერებოდა სახელმწიფო გლეხთა მიწებზე, რომლებიც თავის მხრივ, როგორც ვიცით, დაბეგრილი იყვნენ ღალის გამოსაღებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო გლეხები ერობის მოსაკრებელის გამო 30%-ით მეტად დაბეგრილი იყვნენ, ვინემ „დროებით-ვალდებული“ გლეხები. მაგრამ მთავარი ისაა, რომ უკანასკნელი კატეგორიის გლეხობა „თავისი“ მიწის შემოსავლის დიდ ნაწილს,— მნიშვნელოვნად მეტს, ვინემ ფინანსთა სამინისტრო და სახელმწიფო საბჭო ანგარიშობდნენ (30%),— უხდიდნენ ყოფილ მებატონეებს, რომლებიც არსებითად არც თუ იმდენად ყოფილი მებატონეები იყვნენ.

გაზ. „Баку“-ს მიმომხილველი (1903 წ.) ამიერკავკასიაში ერობის შემოღების საჭიროებისა და მოსახლეობის ძირითადი მასებისათვის მძიმე გადასახდელი ტვირთის შემსუბუქების აუცილებლობის საკითხისათვის მიძღვნილ ფელეტონში წერდა: „მიწათმოქმედი მოსახლეობიდან განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან „დროებით-ვალდებული“ გლეხები და ხიზნები დასავლეთ ამიერკავკასიაში და აგრეთვე სოფლელები და რაიიები (raiye) აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. როგორც ეკონომიკურ, ისე უფლებრივ ურთიერთობაში ისინი იმყოფებიან შეუდარებლად უარეს მდგომარეობაში, ვინემ სახელმწიფო გლეხები. გარდა ხაზინისა და ერობის გადასახდელებისა, რასაც „დროებით-ვალდებული“ გლეხები სახელმწიფო გლეხების თანაბრად იხდიან, იმათ („დრ.-ვალდ.“) მემამულეს უნდა მისცენ კიდევ მოსავლის ნაწილი და გარდა ამისა ისინი შეზღუდულნი არიან უფლებრივადაც... მათ არაფერი არ რჩებათ თავიანთი მეურნეობის გასაუმჯობესებლად... მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა შ ი მ ა რ ა გ ე ბ ი ს უ ქ ო ნ ლ ო ბ ი ს მ თ ა ვ ა რ ი მ ი ზ ე ზ ი ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ თ ა ტ ვ ი რ თ ი ს ს ი მ ძ ი მ ე, რ ო მ ე ლ ი ც ა რ შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა

მოსახლეობის გადახდაუნარიანობას"[17]. სხვადასხვა ვარიაციით, სხვადასხვა კუთხის მაგალითზე ამასვე ჩივიან სხვა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთებიც[18].

ყოველივე ზემოხსენებული შეიქნა მიზეზი იმისა, რომ ამიერკავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების საკითხის შესახებ 1909 წელს თბილისში გამართულ საგუბერნიო თათბირებზე მსჯელობის უმნიშვნელოვანეს საგნად გადაიქცა კერძოდ მოსახლეობის დაბეგვრის პრობლემა. როგორც თათბირის მონაწილენი, ასევე საერობო მოსაკრებელთა გადამხდელნი კითხულობდნენ: „საერობო რეფორმების გატარება ხომ არ გამოიწვევს ჩვენში დაბეგვრის გადიდებასო" [19].

თათბირზე წარმოდგენილ მასალათაგან ნათელი გახდა, რომ ამიერკავკასიაში, თვითგამგებლური ერობისა და სპეციალურ საერობო აღმასრულებელ ორგანოთა არ არსებობის მიუხედავად, საერობო დაბეგვრა წლიდან წლობით იზრდებოდა. რუსეთის შიგა გუბერნიებში, ერობის არსებობის პირველ 20 წელიწადს დაბეგვრა გაიზარდა 85 პროცენტით, ხოლო ამიერკავკასიაში-კი, სადაც ერობის ორგანოები არ იყო და, მაშასადამე, ის მოსახლეობას არავითარ სამსახურს არ უწევდა, ეს დაბეგვრა გაიზარდა 102,2 პროცენტით. თათბირის მონაწილენი შიშობდნენ: ერობა არც გვაქვს და საერობო მოსაკრებლებს ასე ბევრს გვახდევინებენ, ხოლო ერობას რომ მოგვცემენ, მაშინ კიდევ უფრო უზომოდ არ გაგვიდიდონ ეს გადასახდელიო.

ამ უკანასკნელი მოტივით მოითხოვდნენ, რათა ამიერკავკასიაში ერობები გაეთავისუფლებიათ პოლიციის დარაჯთათვის ხელფასის მიცემიდან და მსგავსად შიგა რუსეთის გუბერნიებისა პოლიციას ხელფასი მისცემოდა სახელმწიფო

---

[17] Газ. „Баку", 1903 г. № 57; газ. „Тифлисский Листок", 1903 г. III, 7.

[18] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა", ტფილისი. 1904 წ. № 7, გვ. 18—22; „Кавказское хозяйство", 1909. № 14, стр. 4 — 7.

[19] МВЗУЗ, VII, 60.

ხაზინიდან. აქ აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, თბილისის გუბერნიის ერობის მთელი შემოსავლის 41,4 პროცენტი სწორედ ამ პოლიციის დარაჯთა ხელფასს მიჰქონდა. მაგრამ ამ მოსაზრების წინააღმდეგ გამოვიდა ცარიზმის ფისკალური ინტერესების დამცველი ა. დ ე მ ე ნ ტ ი ე ვ ი; მსგავსად ზემოხსენებული 1880-იანი წლების ჟურნ. „Слово"-ს ფელეტონისტისა ის 900-იან წლებში ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო თავისთავზე არ აიღებს აქ პოლიციის დარაჯთა ხელფასის გადახდას, რადგან ხაზინას ამიერკავკასიაში მოსახლეობის ერთ სულზე ნაკლები შემოსავალი აქვს და მეტს ხარჯავს, ვინემ ცენტრალურ გუბერნიებშიო[20].

ადგილობრივი თავადაზნაურობა და მემამულეები ახლა უკვე, როგორც საერობო მოსაკრებელთა გადამხდელნი, ფრიად იყვნენ დაინტერესებულნი, რათა აქაური მომავალი ერობა გაეთავისუფლებიათ ზედმეტი ხარჯებისაგან. მათი და კერძოდ თავ. დ. გ ო ო რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს მოთხოვნით თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღებისათვის საგანგებო თათბირის მორიგ სხდომაზე ა. დემენტიევის მიერ წამოყენებული ვოტივების შესახებ თბილისის გუბერნატორმა მ. ლ ი უ ბ ი ჩ ი ა ბ ა ლ ო ვ ი ჩ-ლ ო ზ ი ნ-ლ ო ზ ი ნ ს კ ი მ სიტყვა მისცა ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ს, რომელიც, ამგვარად, მოწოდებული იყო დაეცვა საერობო მოსაკრებელთა ადგილობრივი გადამხდელების ინტერესები.

ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ მ ა თავის ვრცელ მოხსენებაში თვით ცარიზმის ოფიციალური მონაცემებისა და კერძოდ 1897 — 1901 წწ. „გაწერისა და ფინანსურ ნუსხათა შესრულების შესახებ სახელმწიფო კონტროლის ანგარიშგებათა" მიხედვით თათბირს გადაუშალა იმპერიის სახელმწიფო შემოსავალსა და ხარჯებში ამიერკავკასიის ხვედრიწონა და ამ გზით (პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადთა და სახელმწიფო ხარჯების მოსახლეობის ერთ სულზე „შესაბამისი წესით გადაანგარიშების საფუძველზე") უჩვენა, რომ ამიერ-

[20] МВЗУЗ. VII, 65 — 67.

კავკასიის ბიუჯეტი დეფიციტური კი არ არის, რომ ამიერკავკასიაზე თვითმპყრობელობა ცენტრალური გუბერნიების გლეხობისათვის გადახდევინებულ ფულებს კი არ ხარჯავს, არამედ ამიერკავკასიის სახაზინო შემოსავლის საერთო ჯამი მნიშვნელოვნად (დაახლოებით 14,7 მილ. მანეთით) აღემატება ხარჯების ჯამს, და ეს გარდანამეტი იმპერიის „წმინდა შემოსავალს" შეადგენსო[21].

ამ საკითხზე შემდგომი დისკუსიის პროცესში (ვ. ოსტროვსკისა და სხვ., გამოსვლებით) გამოირკვა, რომ ფ. გოგიჩაიშვილის გამოანგარიშება სიზუსტეს მოკლებული იყო, მაგრამ ამიერკავკასიის ბიუჯეტის ვითომდა დეფიციტურობისა და იმის შესახებ, რომ ცარიზმის მთავრობა თითქოს ამიერკავკასიის „შენახვაზე" მეტს ხარჯავდა, ვინემ აქედან ღებულობდა უკვე არავინ ლაპარაკობდა.

რეფორმის მერმინდელ შიგა რუსეთში ესოდენ განვითარებული ერობის თვითგამგებლობის ამიერკავკასიაში შემოღებას ცარიზმი ყოველმხრივ აბრკოლებდა. ამავე დროს ერობას, როგორც საერთოდ აღიარებულია, მიუხედავად მისი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ხასიათისა და მიუხედავად იმისა, რომ მასში მემამულეები ბატონობდნენ, მაინც მნიშვნელოვანი სარგებლობა მოჰქონდა რუსეთისათვის და, ცხადია, იგი ამიერკავკასიაშიაც ანალოგიურ როლს შეასრულებდა.

დიდის დაგვიანებით, 1896 წელს, ცენტრალურმა ხელისუფლებამ აღიარა, რომ ამიერკავკასიაში აქამდე დარჩენილი რეფორმამდელი სისტემის ადგილობრივი მეურნეობრივი ორგანოები იმდენად დაძველდნენ და ჩამორჩნენ ცხოვრებას, რომ არ შეესაბამებიან არც ადმინისტრაციისა და არც მოსახლეობის ინტერესებსო.

რუსეთისა და ამიერკავკასიის პროგრესიული ძალების მხრივ ცარიზმის ბიუროკრატიაზე სისტემატური ზეგავლენის

---

[21] МВЗУЗ, VII, გვ. 248 — 258; იხ. აგრეთვე ფ. გოგიჩაიშვილი, „კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის ხაზინისათვის" (ეურ. „საქართველოს მოამბე", 1909 წ. № 6, გვ. 1 — 4).

შედეგად პეტერბურგიდან დანაბერი ამ „სიახლის“ სიოს შემდეგაც ამიერკავკასიის მაშინდელმა მთავარმართებელმა თავადმა გ ო ლ ი ც ი ნ მ ა, — რომელსაც ერობის დაწესებულებები «ჯანყის მთესველ ორგანიზაციებად» მიაჩნდა — ერობის ინსტიტუტების ნაცვლად 1899 წელს აქ დააწესა... ერობის დარაჯთა (პოლიციის დარაჯთა) ინსტიტუტი, რომლის შესანახადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1901 წლიდან მოყოლებული ერობის შემოსავლიდან ყოველწლიურად 2,5 მილ. მან. იხარჯებოდა. ხოლო კავკასიის ნამესტნიკის ი. ვ ო რ ო ნ ც ო ვ-დ ა შ კ ო ვ ი ს პროექტით ამიერკავკასიისათვის შესაფერისი ტიპის ერობა უნდა ყოფილიყო ისეთი ორგანიზაცია, რომელშიაც თავს მოიყრიდნენ განაპირა ქვეყნის ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც ხელისუფლებას გაუწევდნენ ნამდვილ დახმარებას კავკასიაში, როგორც რევოლუციური მოძრაობის, ისე ცალკე ეროვნებათა შორის სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. სინამდვილეში ცარიზმი ასეთ დანიშნულებას აძლევდა ერობას საერთოდ რუსეთშიაც, სადაც იგი არსებითად, როგორც ვ. ლენინი აცხადებდა, „მემამულურ ერობას“ წარმოადგენდა.

მაგრამ ცარიზმმა ასეთი ერობაც კი არ აღირსა ამიერკავკასიას, სადაც, ამგვარად, იზღუდებოდა ადგილობრივი ინტელიგენციის თვითმოქმედება და საერთოდ მკვიდრთა ინიციატივა და თაოსნობა, ბრკოლდებოდა სოფლის მეურნეობაში ახალი აგროწესების დანერგვა და სხვ. თვით პირველი მსოფლიო ომის წინა წლებშიაც აგრონომიული დახმარება ჩვენში ფრიად სუსტი იყო ცენტრალურ რუსეთთან შედარებით, სადაც ერობები თავიანთ ხარჯზე ინახავენ სწავლულ აგრონომებს. ამიერკავკასიის გლეხობას არავითარი ხელმძღვანელობა და დახმარება არ ჰქონდა სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაუმჯობესების მიმართულებით.

მართალია, ამიერკავკასიაში 1913 წელს დაწესდა ერობის აგრონომთა ორგანიზაცია, რომელსაც ნამესტნიკის კანცელარია განაგებდა. ყოველ გუბერნიაში დაინიშნა ერობის აგრონომი, რომელსაც ემორჩილებოდნენ რაიონის აგრონომები და

ინსტრუქტორები. მაგრამ ეს „აგრონომიული პერსონალი მოწყვეტილი იყო ხალხს და ამიტომ ვერც მის ნდობას დაიმსახურებდა“ — როგორც სამართლიანად აცხადებდა ი. ქ ურ დ ი ა ნ ი[22].

მხოლოდ 1915 წლის 3 ივლისს გამოცემული ცირკულარით კავკასიის ნამესტნიკმა ამიერკავკასიაში გუბერნატორებს დაავალა, რათა ხელი შეეწყოთ სოფლად ერობათა მოღვაწეობის ჩასახვა-განვითარებისათვის და ამ სახით მოემზადებიათ ადგილობრივი სოფლები „იმ არა შორეული მომავლისათვის, როდესაც ამიერკავკასიაში გავრცელებული იქნება ერობის მმართველობის სიკეთენი“[23]. მაგრამ ეს „კეთილი სურვილი“ განუხორციელებელი დარჩა.

* *
*

გავიდა სამოდე წელიწადი და ამიერკავკასიაში ერობის შემოღებისათვის ცნობილი მოღვაწე გ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (თუმანოვი), — უკვე მას შემდეგ რაც 1918 წლის 25 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა „დროებითი დებულებანი ამიერკავკასიაში ერობის დაწესებულებათა შესახებ“,— წერდა: „ადგილობრივი მოსახლეობის მრავალგზისი თხოვნის შემდეგ, მრავალჯერ თათბირის შემდეგ, ბოლოს, როგორც იქნა, მიმდინარე წელს ამიერკავკასიაში შემოღებული იქნება ერობის ინსტიტუტები, რომლებიც ევროპული რუსეთის შიგა გუბერნიებში უკვე 50 წელიწადზე მეტია რაც მოქმედებენო“[24]. მაგრამ ისტორიის მიერ უკვე განწირული იყო, როგორც ამიერკავკასიის კომისარიატი, ისე ყოველივე მისი ღონისძიება. მენშევიკებმაც დიდის ხმაურით გამოაცხადეს საქართველოში ერობის განვითარების პროგრამა. ერობას სოფლად უნდა გაეჩაღებია დიდი კულტურული მოღვაწეობა,

---

[22] იხ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1919 წ. № 9, გვ. 8 — 9.

[23] Газ. „Кавказ“, 1915 г. № 155.

[24] Г. Туманов, „Организация земства в Закавказье“, (КСХ, 1918 г. 17 — 18, стр. 4); его же, „Итоги земских совещаний на Кавказе“, 1915. Тифлис.

მაგრამ სინამდვილეში მეწშევიკების ერობას ძოსაკრებელთა გადახდევინების მეტი სხვა სიკეთე სოფლისათვის არ ძოუტანია.

1920 წ. დ. თ ურ დ ო ს პ ი რ ე ლ ი თვით ერობის ორგანოში წერდა: „მთავრობას ჰგონია, რაკი მაზრაში ერობაა შემოღებული, ჩემი საგანგებო შეშველება აღარ დასჭირდებაო და ერობის გამგეობას კიდევ მთავრობისაკენ უჭირავს თვალი... დუშეთის მაზრაში კი, მართალია, თემების ხმოსნების არჩევნები მოხდა, მაგრამ მათ გამგეობისათვის წევრები დიდხანს არსად ჩანდნენ... და დღესაც ბევრგან აკლია. არც საჭირო თანხა აქვთ, რომ ვიდრე მოაწყობდნენ გადასახადების მოკრეფას, ხელი მოენაცვლათ; ასეთსავე მდგომარეობაშია სკოლები. აბლაბუდას ქსელით დაბლანდებულია სკოლის ოთახები.. არც სხვა დარგის კარებებია გულღია და მხიარული“[25].

მდგომარეობა ანალოგიური იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიაც. 1919 წ. 4 ივლისს ლეჩხუმის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე ალ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი მთავრობისადმი მოხსენებაში აცხადებს: „ლეჩხუმის სამაზრო ერობის არსებობა იწყება მიმდინარე წლის 20 იანვრიდან... სვანეთი მთლიანად შედის ლეჩხუმის ერობის ფარგალში... ხალხს უხარია რომ თავისუფლება მყარდება... მაგრამ ძალზე წინააღმდეგი არიან გადასახადების: „გვეუბნებიან ყველაფერზე ბაჟი უნდა იქნესო, და ჩვენ ამას ახალთაობისაგან არ მოველოდით, მინგრელსკიც არ გვახდეინებდა ბაჟს, ჩვენ ბაჟს არც ტყეზე და არც საბალახოზე არ გადავიხდითო“. აი მათი პასუხი. ამ აზრისაა მთელი ქვემო სვანეთი. ხალხი ძალიან გაჭირვებულია ტანსაცმელის უქონლობით, უნავთობით; მძვინვარებს ისპანური სენი, ალაგ-ალაგ გაჩენილია პარტახტიანი სახადი და ყვავილი... შემომტირიან, მემუდარებიან, ექიმი და წამალი მოგვაშველეო... გზები გაფუჭებულია, სკოლებში მეცადინეობა არ წარმოებს; ზოგი სკოლა სულ მიკეტილია, 2 — 3 წელია არ მუშაობს, ზოგში 8 — 10 მოწაფეა... (ლეჩხუმშიაც) ისეთივე სიღარიბეა, ავადმყოფობა, გზებისა და სკოლების გაპარტახება. ამ უგზო-უკვლობისა და ავადმყოფობის გამო ახალგაზრდობის და ცხენების მობილიზაცია ხვთის რისხვათ მოვლენია ხალხს; ხშირია სრულიად უპატრონოთ მიტოვებული ავადმყოფი ოჯახში. ლეჩხუმელი და სვანი ყოველივეს ცხენით ეზიდება; აქ ცხენის მობილიზაციის ისე გატარება, როგორც ქუთაისის და სენაკის მაზრაში — ეს ნიშნავს ლეჩხუმელის ფეხის მოკვრას... მთავრობის განკარგულებამ ექიმების მობილიზაციის შესახებ ჯერ ჩვენ მაზრას არაფერი მისცა: გამოგზავნეს ახალგაზრდა ფეხმტკივარი ექიმი, რომელსაც ცხენზე ჯდომა არ შეუძლია და ლეჩხუმის მაზრაში კი აუცილებელია ცხენით მგზავრობა“. შემდეგ გამგეობის თავმჯდომარე ჩივის ერობის პრესტიჟის დაცემის შესახებ და „რომ ახალი ორგანოს— ერობის — იდეა-პრესტიჟი ხალხში განმტკიცდეს“, ამისათვის „საჭიროა დაუ-

[25] ჟურ. „ერობა და ქალაქი“, 1920 წ. № 7, გვ. 38 — 39.

ყოვნებლივ: 1. ს. ლაშხეთში 50 გვარდიელის დაყენება, 2. დ. ცაგერში ამდენივე გვარდიელის და 60 მილიციონერის უზრუნველყოფა, 3. თანამდებობის პირთა ძველი ჯამაგირით დაკმაყოფილება; 4. დაწესებულებათა, ერობის შემოღებამდე, საქმის და ფულის ხარჯვის რევიზია, 5. დ. ცაგერში ხაზინის განყოფილების გახსნა, 6. ჩამონაჭრების შესახებ დეკრეტის გამოცემა" და სხვ. თავის მოხსენებას ალ. მათიაშვილი ასე ამთავრებს: „თუ ზემონათქვამი ზომა საჩქაროთ არ იქნა მიღებული, დარწმუნებული ვარ ერობის საქმიანობა ადგილობრივ იქნება უნაყოფო და შეიძლება განმეორდეს ისეთივე ამბები, რისი მოწმენიც შარშან ვიყავით (იგულისხმება: ლეჩხუმელ გლეხთა აჯანყება — ბ. გ.) და რაც ძვირად დაუჯდა მთავრობასო" [26]. ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ასე გრძელი ამონაწერი ლეჩხუმის მაზრის ერობის თავმჯდომარის, „მენშევიკური ერობის პატრიოტის" მოხსენებიდან, სადაც მოცემულია არსებული ვითარების დახასიათება. ამგვარად, საკმარისი იყო მენშევიკური ერობის მოღვაწეობის სულ რამოდენიმე თვე, რომ მას მოსახლეობის თვალში საბოლოოდ გასტეხოდა სახელი.

როგორც ვიცით 1913 წლიდან ამიერკავკასიაში დაიწყო ერობის საგუბერნიო აგრონომთა საქმიანობა, მაგრამ მენშევიკების ბატონობის დროს ეს საქმეც მოიშალა. ამ დარგის ერთ-ერთი მოღვაწე ი. ქ ურ დ ი ა ნ ი ჩივოდა: „თუ დღეს (1920 წ.) აგრონომიული დახმარება ვერ არის მოწყობილი რიგიანად, ერთ-ერთი მიზეზთაგანი არის ცენტრის უქონლობა. დღეს ყოველი მაზრის ერობა ხსენებულ დახმარებას აწარმოებს სრულიად თავისუფლად, ერთი წესი და პრინციპი არ არსებობს მათს მუშაობაში, არ მოქმედებენ ეკონომიური და აგრონომიული საბჭოები. თუ ზოგი ერობის მუშაობა მისაღებია ამ დარგში, ზოგგან აგრონომიული დახმარება ისე სუსტად არის დაყენებული, რომ საქმისათვის მარტო ზიანი მოაქვს. ბევრ ადგილას ფინანსიური სისუსტის გამო ერობა ხელს იღებს აგრონომიული დახმარების მოწყობაზე ძაზრაში"[27].

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, რასაკვირველია, ვერ შესძლო რაიმე მატერიალური ბაზა შეექმნა ერობისათვის. მსჯელობა „ერობათა საბიუჯეტო უფლების" შესახებ

[26] საქ. სსრ ცენტრ. არქივის სამმართველო. ფონდი 11, საქმე № 1617, ფურც. 1 — 2.

[27] „ერობა და ქალაქი", 1920 წ., № 4, გვ. 24.

დიდად გაჭიანურდა და ერობა გარკვეულ შემოსავალს არ ღებულობდა. ბოლოს 1920 წ. 30 ივლისს გამოქვეყნდა „დეკრეტი მიწათმოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილების საერთო შემოსავლიდან 20%-ს ერობათა სასარგებლოდ გადადების“ შესახებ. მაგრამ ეს დეკრეტიც პალიატიური ხასიათისა იყო. იგი, როგორც დეკრეტის 1 მუხლში ვკითხულობთ, ძალაში რჩებოდა „ერობათა ახალი საბიუჯეტო უფლების შემუშავებამდე“[28].

ხსენებული ი. ქ ურ დ ი ა ნ ი, სრულიად საქართველოს საერობო აგრონომთა პირველი ყრილობის (1920 წ.) შედეგების შეჯამებისას აღნიშნავდა, რომ სამაზრო ერობებს სხვა ხარჯებთან შედარებით ფრიად მცირე კრედიტი გაუხსნიათ აგრონომიული დახმარებისათვის. ერობას საერთოდ უმნიშვნელო სახსრებიდან, რასაკვირველია, არსებითი დახმარების გაწევა არც ამ მხრივ შეეძლებოდა. მაინც „უმთავრესი მიზეზი აგრონომიული დახმარების მოუწყობლობისა, ი. ქურდიანის ცნობით, ყოფილა აგრონომიული პერსონალის სიმცირე, სოფლის მეურნეობის იარაღების უქონლობა და სხვ. „მართალია ერობებს დარჩათ ყოფილი საერობო აგრონომიული ორგანიზაციისაგან რამდენიმე ინვენტარი, მაგრამ ეს ინვენტარი მეტად მცირე და დამტვრეული გადაეცა ერობებს. მხოლოდ ზოგიერთი ერობები (სიღნაღის, გორის, ქუთაისის, თბილისის) შეადგენენ გამონაკლისს და მათ მოუხერხებიათ აგრონომიული მუშაობის დაწყება“[29].

ამგვარად, ჩვენ, ვფიქრობთ, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში ერობის საქმიანობა უმთავრესად მოსახლეობის ძირითადი მასებისაგან სხვადასხვა სახისა და ზომის მოსაკრებელთა ამოქაჩვაში გამოიხატებოდა, ხოლო ეს თანხები კი სოფლის კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესების ნაც-

---

[28] „კანონთა კრებული“. საქართველოს სენატთან არსებული საკოდიფიკაციო განყოფილება. 1920. ტფილისი. ნაწ. I, № 18, დეკრეტი № 155.

[29] „ერობა და ქალაქი“, 1920 წ., № 3, გვ. 21.

ვლად გლეხობის მორჩილებაში ყოფნისათვის გამოგონილი სახელმწიფოს პოლიციური აპარატის შენახვას ხმარდებოდა.

საერთოდ ცარიზმის ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენდა ამიერკავკასიის მოსახლეობის ძირითადი მასების კოლონიური ექსპლოატაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იარაღს, რისი მეოხებითაც, გარდა იმისა, რომ თვითმპყრობელობა ადგილზე ინახავდა თავის მრავალრიცხოვან და მაღალხელფასიან სამოქალაქო და სამხედრო ბიუროკრატიას, თვით სახელმწიფო ხაზინაც აქედან ყოველწლიურად ღებულობდა მნიშვნელოვან შემოსავალს. ამასთანავე ცარიზმის ფისკალური პოლიტიკა დაბეგვრის ტვირთის თავისი კლასობრივი ინტერესების შესაბამისად განაწილების გზით იწვევდა უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასების გაღატაკების დაჩქარებას და, მაშასადამე, სოფლის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებას.

2. საშოვარზე გასვლა. დაქირავებული შრომა სოფლად

საშოვარზე (ქირაზე) გასვლის ორი სახე არსებობს: 1. მიწათმოქმედური (სოფლისმეურნეობრივი) და 2. არამიწათმოქმედური (მრეწველური), იმის შესაბამისად, თუ რა სახის დროებით სამუშაოზე (სარეწზე) მიდის მუშა: მრეწველობის დარგებში, მიმოქცევის სფეროში, საერთოდ ქალაქში, თუ მიწათმოქმედების, საერთოდ სოფლის მეურნეობის დარგებში[1].

რაც უფრო ვითარდება კაპიტალიზმი, მით უფრო იზრდება რაოდენობა არამიწათმოქმედურ საშოვარზე გამსვლელი მუშებისა, რომლებიც სტოვებენ სოფელს, «მყუდრო სამყოფელს», და გადადიან ქალაქებში, საერთოდ ვაჭრობა-მრეწველობის ცენტრებში. მაინც სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების შესაბამისად სულ დიდდება სოფლისმეურნეობრივ საშოვარზე გამსვლელ მუშათა რაოდენობა, ე. ი. ფართოვდება დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია სოფლად.

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 677 — 700.

მართალია, ამ მხრივაც საჭირო სტატისტიკური მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ დამკვირვებელთა და ყველა სხვა წყაროთა მოწმობით დასტურდება, რომ რეფორმის მერმინდელ ამიერკავკასიაში სწრაფად მრავლდება როგორც ქალაქად, ისე სოფლად საშოვარზე გამსვლელ მუშათა რიცხვი.

ა. საშოვარზე გასვლის თავდაპირველი საფუძველი

აქ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ საშოვარზე (მოსარეწელზე) გასვლა საერთოდ ადრინდელი მოვლენაა და მეტნაკლები ზომით იგი ცნობილი იყო კაპიტალიზმამდელ ეპოქებშიაც.

ნატურალურ ურთიერთობათა პირობებშიაც, როდესაც სოფლად ფული საერთოდ ძნელი საშოვნელი იყო, გლეხის ოჯახი, უპირატესად კი მცირემიწიანი და „ზედმეტი“ მუშახელიანი ოჯახი, იძულებული ხდებოდა თავისი წევრი საშოვარზე გაეგზავნა, რათა ამ გზით ნაშოვნი ფულით გაესტუმრებია სახელმწიფო და საეკლესიო ფულადი გადასახდელები და შეეძინა მეურნეობისათვის ზოგიერთი აუცილებელი ინვენტარი, ხშირად კიდევ, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, პური და სხვადასხვა საქონელი.

საშოვარზე გასვლის განვითარების ძირითადი მიზეზი მაინც „მიწის ნაკლებობა“, ანუ სოფლად „ზედმეტი მუშახელის“ გაჩენა იყო. ამასთანავე, როგორც ცნობილია, მიწის დანაწილების ხასიათი, მიწათმფლობელობის წოდებრივობა, მიწის მუშისათვის მიწის ნაკლებობას ბადებს მაშინაც, როდესაც სახმარი, კერძოდ მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწის ფართობი უფრო მეტია ვინემ ეს, არსებულ ტექნიკურ პირობებში, აუცილებელია მოსახლეობისათვის.

ჯერ კიდევ 1820-იანი წლების მიწურულს, როდესაც ცარიზმის ხელისუფლება გულმოდგინეთ აწარმოებდა ამიერკავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლას, გამოირკვა, რომ კოლონიზაციისათვის თავისუფალი მიწები, მაგალითად, გურიას, სამეგრელოსა და იმერეთში უკვე არ მოიპოვებოდა.

გენ. პასკევიჩი 1829 წ. 5 იანვარს იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ ნესელროდეს ატყობინებდა რა ყოველივე ამას, დასძენდა, რომ: მცირემიწიანობის მეოხებით იმერეთის ახლანდელი მცირერიცხოვანი მოსახლეობაც-კი ვერ პოულობს ადგილზე სარჩო-საბადებელს, რის გამოც „თითქმის ყველა დღიური მუშა, ტვირთმზიდავი (მეკურტნე) და საერთოდ ადამიანები, რომლებიც თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ასრულებენ ყველაზე შავ და მძიმე სამუშაოებს, არიან იმერლები“ [2] და მათ რომ თავის ქვეყანაში გააჩნდეთ საკმაოდ მიწა და მისი დამუშავების საშუალებანი, მაშინ, რა თქმა უნდა, „შრომის-მოყვარეობას, რითაც ისინი განირჩევიან, ასრულებენ რა მძიმე დღიურ სამუშაოებს, გამოიყენებდნენ საკუთარი სოფლის მეურნეობის წარმართვისათვის, არ მოწყდებოდნენ რა თავიანთს ოჯახებსა და საცხოვრებელს დღიური მუშაობის არასაიმედო საზრდოს ძებნაშიო“ [3].

ოთხმოციოდე წლის მერმე, 1909 წ. ერობის შემოღების საკითხთან დაკავშირებით ქუთაისში შემდგარ საგუბერნიო თათბირის მასალებში ვკითხულობთ: „მცირემიწიანობისა და შედეგად ამ გუბერნიის ტერიტორიის დიდი ნაწილის მთაგორიანი ხასიათისა, რაც ესოდენ არახელსაყრელია მიწათმოქმედების განვითარებისათვის, მისი მოსახლეობა განწირულია საშოვარზე გასვლის მოხეტიალურ ცხოვრებაზე. სვანეთის, რაჭის, ლეჩხუმის, გურიის, სამეგრელოს და ზემოიმერეთის თითქმის მთელი შრომაუნარიანი მოსახლეობა წლის უმეტეს ნაწილს ატარებს არა მხოლოდ თავიანთ სოფლებს გარეთ, არამედ გუბერნიის საზღვრებს გარეთაც“ [4].

საშოვარზე გასვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო განსაკუთრებით მთიან რაიონებში, სადაც მკაცრი ბუნება, გრძელი ზამთარი, საერთოდ მიწათმოქმედებისათვის არახელსაყრელი პირობები აიძულებდა, რათა მოსახლეობის ნაწილი სისტემატურად გასულიყო გარესაშოვარზე; ამ გზით მათ უნდა ეშოვ-

[2] იგულისხმებიან საერთოდ დას. საქართველოდან გადმოსულნი.
[3] АСКАК, VII, № 774, стр. 774.
[4] МВЗУЗ, VI, 91.

ნათ ფული, შეეძინათ პური, მარილი და სხვ. პროდუქტები, რომლებიც ადგილობრივად ან სულ არ მოიპოვებოდა, ანდა მცირე რაოდენობით იწარმოებოდა. ცენტრალისტური ხელისუფლების განმტკიცების დროიდან, რაც მთიელ აბრაგებს აღეკვეთად მეკობრეობისა და თარეშების გზით შეეესოთ ეს დანაკლისი, ცხადია, ისინი სულ უფრო მეტი ზომით ჩამოდიოდნენ ბარში, მაგრამ უკვე არა თოფებით და სატევრებით აღჭურვილნი, არამედ შრომის იარაღებითა და საოჯახო მრეწველობისა თუ ხელოსნობის პროდუქტებით, რათა საკუთარი მუშაძალის, თუ ადგილობრივ ნაკეთობათა გაყიდვით მოეპოვებიათ ოჯახისათვის აუცილებელი ნივთები.

მთებიდან, მაგალითად, სვანეთიდან საჯამაგიროდ, ე. ი. საშოვარზე გასვლა, როგორც ჩანს, ადრიდანვე ყოფილა განვითარებული. 1503 წ. შედგენილს დოკუმენტში — სვანებსა და თავად ჯაფარიძეთა შორის დადებულ სასისხლო წიგნში — სვანები ჩივიან: „... დაგვიწყეთ მტრობა თქვენ ჯაფარიძემან სარგის და აღარ გაგუიშვით საჯამაგიროდ, აღარც რაჭას და ლეჩხუმს სამუშაოდ გამოგუიშვით. შუიდს წელიწადს ასრე ვიყვენით, რომე სრულიად სუანეთის ქვეყანასა საზიარებელს (ღვინოს — პ. გ.) ვეღარ ვიშოვებდით და არც ვის მარილის გემო გუინახავს". შემდეგ, ქვემოთ მოთხრობილია, რომ სვანები საკაჭროდ ლეჩხუმს ჩამოსულან, აქ სავაჭრო (საქონელი) გაუყიდიათ, ღვინო უყიდიათ და უკან გაბრუნებულან. მაგრამ მათთვის ჯაფარიძეებს გზები შეუკრავთ; გზაზე, ხეობაში, მუხანათურად, მოულოდნელად. თავს დასხმიან და ამოუწყვეტიათ. „რვაასის კაცისაგან ოთხასის მეტი აღარ მოვრჩით. ეს ყუელა კაცნი დაგუიხოცეთ და ოთხასი ცხენი, ყუელას ღუინო ეკიდა, მისის საპალნით წაგვართვით. ამას გარეთ სხუა მრავალი მტერობა გუიყავით და ვ.ერსით საჯამაგიროდ ვერ გაგეპარენით; ამისი ღონე ვერ დავდევით რომ გზა გუეშოვნა. ასი სუანი დვალეთისკენ გავიპარენით, კახეთს საჯამაგიროდა წავედით. მის წასვლა ვერ შეგუიტყეევით, და მერმე შინისაკენ რომ შემოვიქეცით, იმავე დვალეთზედ წამოვედით; — დაგუხუდით გლოლასა და ჭიორასა შუაზედან ლა მოგუიჭირეთ ხელთა, ღაგუძარცუეთ; ასის კაცისაგან ორი მოამბედ გაუშუით, სხუა ყუელა ტყუედ წაგუასხით, ჩუენის მონაგებიანად ონს მიგუასხით, საქონელი სალაროში შეიტანეთ და ჩუენ დარჯილნი, საბრალონი საღორესა და საბატეში შეგუყარეთ. ნაალმდგომევიდალმა ენკენისთუემდის იმაშიგ ტყუედ ვიყვენით. ღონე აღარა გუქონდა, დავიხსენით თავი და თუითო კარგი აბჯარი ჩუენის თავის სახსრად გამოვიღეთ და გარჯილი სული ამით შევირჩინეთ. სხუა რამდენი ჭირი და მტერობა გარდაგუეკიდა, კაცის ენა როგორ იტყუის.

ვიყუენით სრულიად ეცერს აქეთ რაც სუანეთი არის თორმეტს წელიწადსა ასრე შეწყუდეულნი, რომ ვერც კახეთისაკენ ვიშოეთ საჯამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერც გურიისაკენ, და ვერც ვიმუჩირეთ"[5].

ამ საბუთიდან ჩანს, რომ სვანები საშოვარზე გადიოდნენ როგორც დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოსა და გურიაში), ასევე აღმოსავლეთ (კახეთსა და, ცხადია ქართლშიაც) და სამხრეთ საქართველოშიაც (სამცხეში); — გადიოდნენ ისინი ჩრდ. კავკასიაშიც. მათ თან მიჰქონდათ „სავაპრო" („...რაც სავაპრო გუახლდა გავჰყიდეთ..."), ე. ი. უპირატესად შინამრეწველური წარმოების საქონელი, რასაც ცვლიდნენ ღვინოსა, მარილსა და სხვა მათთვის აუცილებელ პროდუქტებზე. მთავარი მაინც ჯამაგირზე წასვლა იყო. ისინი ბარში მოსავლის აღების, მიწის სამუშაოების და მშენებლობისათვის საჭირო მუშახელს იძლეოდნენ. აქ დღიურ და სეზონურ მუშებად დგებოდნენ. «ჯამაგირის», ე. ი. ხელფასის სახით ნაშოვნი ფულითაც საჭირო პროდუქტებს იძენდნენ, რაც თან მიჰქონდათ სვანეთში.

ამგვარად, მთებიდან ბარში სამუშაოდ (საშოვარზე) ჩამოსვლის ტრადიციას ხანგრძლივი ისტორია აქვს, იგი, ცხადია მთასა და ბარს შორის გაცვლის, შრომის დანაწილების სახითაც წარმოგვიდგება და სრულიადაც არ არის სპეციფიკურად მე-19 — 20 სს., ე. ი. კაპიტალისტურ ურთიერთობათა დამახასიათებელი რამ[6]. ამ დროიდან მან მხოლოდ უფრო საყოველ-

---

[5] პ. ინგოროყვა, „სვანეთის საისტორიო ძეგლები", II, 1941. გვ. 31 — 32.

[6] ჩვენ მიერ დასახელებული დოკუმენტის მთავარი აზრი მაინც სულ სხვაა. იგი სასისხლო წიგნია, მაგრამ საქმის არსს რომ ჩაეუკვირდეთ დავინახავთ, რომ სისხლისათვის ბრძოლა აქ თითქმის მხოლოდ საბაბია უფრო შორს მიმავალი მიზნის, მიღწევისათვის. არსებითად ეს დოკუმენტი გვიხატავს ამაზრზენ ისტორიას ბრძოლისა, რათა თავადებს (ჯაფარიძეებს) სვანები ყმებად გაეხადათ. ჩაკეტეს რა მთებში, აიძულებდნენ მორჩილებას, აიძულებდნენ რათა ეკისრათ ბეგარები. მეფეები მხარს უჭერდნენ თავადებს. მეფე ალექსანდრე აცხადებს „ჯაფარისთანა თავადი რაჟას არ მყავსო" (იქვე, გვ. 32) და მხოლოდ „თუ ჯაფარიძის სისხლს გარდიხდიანო, სუანთ გზას მივსცემო და ჯაფარიძეთაც ჩამოვხსნიო". მოიტანეს ჯაფარიძეთა სიგელი: „მეტად უზომო დიდი სისხლი და სანახშირე ეწერა". მამია დადიანის შუამავლობით მორიგდნენ.

მაგრამ ეს მორიგება სვანთა დაკაბალების სახით იყო მომზადებული. დიდძალი ადგილ-მამული და პირუტყვი, გლეხები, სოფლები, თვით ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები, საოჯახო და სამხედრო იარაღები და სამკაულები, მორთულობანი, ძვირფასი ნივთები, რელიკვიები მიითვალეს ჯაფარიძეებმა. მაგრამ ყოველივე ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა: „ამას გარეთ-

თაო, სისტემატური და მშვიდობიანი ურთიერთობის ხასიათი მიიღო. ცხადია, თვით საშოვარზე გასვლა, რეფორმის მერმინდელ პერიოდში, სავსებით ჩვეულებრივი, საყოველთაო მოვლენა გახდა და სულ უფრო ვითარდებოდა არა მხოლოდ მთებში, არამედ ამიერკავკასიის თითქმის ყველა კუთხეში, კერძოდ ბარშიაც, სადაც ახალ წარმოებრივ ურთიერთობათა შესაბამისად სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა ადგილმამულის გადანაწილების პროცესი.

ა. ფურცელაძე 1874 წ. წერდა: „საქონლის გასაჩენათ, იარაღის მოსაპოებლად თუ სხვა შინაური მომართვის და მოშენებისათვის გლეხი გზავნის ოჯახიდამ რომელსამე ანუ რამდენსამე შემძლე ყმაწვილს ბიჭს გარეთა და ამითი შეძენილი ფულით იმართებიან და იმაგრებენ ოჯახს. ამგვარი დახმარება რო არ იყვეს გარეთა მუშაობიდამ, გლეხს მართლაც და ელოდა ან შიმშილით გაქლეტა ან ვალებში ტყვეობა“[7]. აქ იგულისხმება საშოვარზე გასვლა, როგორც მეზობელ თუ შორეულ სოფლებში, აგრეთვე ქალაქადაც. უკანასკნელ მომენტს ჩვენ აქ სპეციალურად არ შევეხებით, პირველ რიგში მსჯელობა გვექნება თვით სოფლად დაქირავებული მუშახელის ექსპლოატაციის შესახებ.

სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი სამუშაოთა სეზონურობა უმთავრესად მოსავლის აღების პერიოდებთან რომ

ვეღარა ამოგივედით, არ შეგუჯერდით, ამისათვის რომე თქუენი სწორი კაცი სუანეთს არ იყო და სხუა ვეღარა ღონე ვქენით, სრულიად სუანთა ეცერს აქეთ ყუელამან თქუენი ბაჟი დავიდეეთო“. ქვემოთ კიდევ ჩამოთვლილია დიდძალი მამულები და სოფლები, თემები, რაც სვანებმა ჯაფარიძეებს დაუთმეს სისხლისათვის. აღსანიშნავია, რომ სასისხლო გარიგებით ჯაფარიძეების მიერ დაღვრილი მრავალი სვანის სისხლიც მხედველობაში იქნა მიღებული, მაგრამ... თავადის სისხლი სულ სხვა საქონელი იყო!

როგორც ვხედავთ, სისხლისათვის დაუნდობელი ბრძოლის საბაბით თავადები იწყებენ სვანების დაბეგვრას (არსებითად დახარკვას), ითვისებენ მათს ადგილ-მამულს, ყმად იხდიან გლეხობის დიდ ნაწილს და ა. შ. ამგვარად, აქ სისხლისათვის ბრძოლა საბაბია, ფეოდალთა კავშირი სვანთა მთებში ჩაკეტვისათვის ამოძრავებული ძალაა; ეს ძალა საზოგადოებრივი ურთიერთობათა განვითარების ამ ეტაპზე კანონია (იგი სიგელის სახით ყალიბდება); ხოლო ამ კანონის აზრი და მიზანი თავადთაგან თავისუფალი თემების დაუმევებაა.

[7] გაზ. „გუთნის დედა“, 1874 წ. № 5.

არის დაკავშირებული, ცნობილია, ადრითგანვე იწვევდა გარედან მუშათა მოზიდვას. ა. ჰაქსტჰაუზენი (1843 წ.) აღნიშნავდა, რომ თბილისის დასავლეთით მცხოვრებ ქართლელთათვის მუშაობის დროს აუცილებელია ზოგიერთი დახმარება: მაშინ მთებიდან მოდიან იმერლები, რომლებიც სამუშაოზე დგებიან 1 წლით, ხანაც რამოდენიმე თვით. როდესაც მათ დღიურად ქირაობენ, მაშინ აძლევენ ჩვეულებრივ ხელფასს 25 კაპ. დღეში, მკის დროს კი 40 კაპ. ვერცხლით [8]. ჯერ კიდევ მე-19 საუკ. პირველ ნახევარში აღმ. ამიერკავკასიის სოფლებში ბლომად შემოდიოდნენ სამუშაოდ ირანელები და ლეკები, რომ არა ვთქვათ რა ადგილობრივ მთიელ ტომებზე [9]. 1860-იანი წლებიდან ანალოგიური მოვლენები სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობს.

მუშახელის მოზიდვის საკითხით, ცხადია, დიდად იყვნენ დაინტერესებული პირველ რიგში მემამულეები. მაგრამ თვით ბატონყმობის გაუქმებამდეც მუშახელის მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ განსაკუთრებით „ახალი კლასის“ მემამულეები; ესენი იყვნენ უმთავრესად ცარიზმის მაღალი სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეები, რომელთაც სხვადასხვა დამსახურებისა თუ პირდაპირი მაქინაციების მეოხებით აქ ხელში ჩაიგდეს მსხვილი მამულები, მაგრამ არ ყავდათ, ანდა მცირე რაოდენობით ყავდათ ყმები, რათა ეწარმოებიათ ამ მამულების ექსპლოატაცია. ამათ შორის იყვნენ ბურჟუაზიული მეწარმეობის ინტერესით ამოძრავებული ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ მოეწყოთ აქ კაპიტალისტური ფერმები.

ერთ-ერთი ასეთი მემამულე, შემდეგში რუსეთის განათლების მინისტრი, ბარონი ა. პ. ნიკოლაი 1857 წელს, აღნიშნავდა რა თვით ადგილობრივ მებატონე მემამულეთა შორისაც უკვე ჩასახულ მიდრეკილებას ყმური შრომის წინაშე დაქირავებული შრომისათვის უპირატესობის მინიჭებისა, წერდა: „ეს უკანასკნელი სახე ჩემთვის უფროა ცნო-

[8] A. v. Haxthausen, „Transkaukasia“, I, S. 52.

[9] „Сборник газ. „Кавказ“, 1847 г. 1848. Тифлис, II, отд. II, 80.

ბილი, რადგან არა ვფლობ რა აქ (თბილისის მაზრაში) ყმა-გლეხებს, მე აუცილებლობით იძულებული ვიყავი მიმემართა თავისუფალი მუშებისათვის... მუშები, რომლებიც ქირაზე დგებიან, მოდიან შორიდან, იმერეთიდან და მრავალნი თვით ირანიდანაც. მაგრამ ისინი მოდიან წლის გარკვეულ დროში, სახელდობრ გაზაფხულიდან შემოდგომამდე; ზამთრობით ისინი ძლიერ ცოტანი არიან... ძნელია შოვნა მუდმივი მუშებისა, იშვიათად თუ რომელიმე მუშა დადგეს ქირაზე ერთ წელზე მეტი ხნით. ამასთანავე იმერლები უმეტეს წილად მებაღეებია; რაჭველები — ხელოსნები; ხოლო ირანელნი და თურქები მოდიან პურის აღების დროს, რაშიაც ისინი დახელოვნებულნი არიან“ [10]. ქვემოთ აღნიშნავს რა მუშახელის სიძვირეს, უკანასკნელის მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი მკვიდრნი (ქართლელები) არ გადიან დაქირავებულ შრომაზე და რომ „აქ სოფლის (მიწათმოქმედების) სამუშაოებს მხოლოდ მამაკაცები ეწევიან: ქალები კი თითქმის მხოლოდ საოჯახო შრომას მისდევენ“ [11]. მაგრამ, როგორც ჩანს, ახალი მოვლენები უკვე ახდენდნენ შესაფერ გავლენას, პირველ რიგში ისევ მთიელ ხალხებზე (მაგალითად, ოსებზე), რათა ქალები ხელფასისათვის გასულიყვნენ მინდვრის სამუშაოებზე.

ცხადია, ბატონყმური ურთიერთობა, და არა სიზარმაცე, უშლიდა ხელს ადგილობრივ გლეხობას გასულიყო საშოვარზე იმ დროს, როდესაც ყველგან იგრძნობოდა მუშახელის დიდი სიმცირე და, როგორც ერთხმად ღაღადებენ წყაროები, საგრძნობლად მაღალი იყო ხელფასის დონეც. იგივე ბარ. ა. ნიკოლაი 1860 წ. წერდა, რომ „მუშახელის ნაკლებობა აქ ფრიად საგრძნობია და ის უფრო მეტად იქნება შესამჩნევი, როდესაც გაუქმდება ბატონყმობა“. მუშაძალის მიწოდების ნაკლებობის ლიკვიდაცია მისი აზრით შეიძლებოდა ორი საშუალებით: „კოლონიზაციითა და მიწათმოქმედების გაუმჯო-

[10] ЗКОСХ, 1857, № 1.
[11] იქვე, 462.

ბესებული იარაღების გამოყენების გავრცელებით“ [12]. მართალია, რეფორმის პერიოდში ერთხანს კიდევ უფრო გამწვავდა მუშაძალის საკითხი და როგორც ადმინისტრაცია, ისე სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებაც დიდად ცდილობდნენ შესაფერი ხერხები გამოენახათ ამ სიძნელისაგან თავის დასაღწევად [13]. მაგრამ მალე აშკარა შეიქნა, რომ სოფლად, მოსავლის აღების პერიოდებშიაც-კი, ყოველთვის მოიძებნებოდა საჭირო მუშაძალა და მათი ხელფასიც არც ისე მაღალი იყო როგორც მემამულეები, „ახლად გამომცხვარი კაპიტალისტური ფერმერები“, ჩივოდნენ.

როგორც ცნობილია, ყოფილმა მებატონეებმა რეფორმის შემდეგაც მოახერხეს მუშაძალით თავიანთი მამულების უზრუნველყოფა: „დროებითვალდებული“ და საერთოდ უმიწაწყლო, წვრილი მოიჯარე გლეხობა, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, მემამულეებმა გადააქციეს შრომავალდებულ მოსახლეობად, რომელსაც, თითქმის ისე როგორც ბატონყმობის გაუქმებამდე, უნდა დაემუშავებია მათი მამულები. ამგვარად, 1860 — 1870-იან წლებში სოფლად თავისუფლად დაქირავებულ მუშებზე მოთხოვნილება მართალია გაიზარდა, მაგრამ ბევრად უფრო მცირე ზომით, ვინემ მოელოდნენ „სოფლური ეკონომიის“ სპეციალისტები; ასე რომ ხელფასი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისებს, არსებითად არ გაზრდილა. პირიქით, რაც უფრო ღრმავდებოდა სოფლის დიფერენციაცია, მრავლდებოდა უმიწაწყლო გლეხობა, ჩნდებოდა სოფლის პროლეტარიატი, მით უფრო ეცემოდა სოფლის თავისუფლად დაქირავებული მუშის რეალური ხელფასი.

ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე 1874 წ. წერდა „ჩვენში ჯერ კარგს მუშა ხელსაც არა აქვს რიგიანი ფასი. ჩვენში ვერა მუშა კაცი, რომელიც მუშაობს სხვაზედა, ვერ აიღებს იმოდენასა, რომ შეეძლოს მცირეც არის კაცურათ ცხოვრება და გადასახადების

[12] АСКАК, XII, I, 428.
[13] ЗКОСХ. 1863 г. № 3, стр. 33

გასტუმრება. უმაღლესი ფასი დღიური არის ძალიან დიდს გაჭირებაში — სამი აბაზი, თუ არა აბაზი, ექვსი შაური, ორი აბაზი, ათი შაური ხომ დიდი ფასია. ვიანგარიშოთ თუნდა სამ აბაზიანი მუშა; ეს იზამს თვეში თვრამეტს მანეთს, რომ ყოველი დღე ჩავაგდოთ. მაგრამ რადგან ეს არასოდეს არ არის, რაკი კვირა — უქმეს და ავდრიანს დღეებში ვერასფერს იღებენ, ამის გამო სულ მცირეს გამოვიდეთ, თვეში ხუთს დღესა. ეს დარჩება თხუთმეტი მანეთი. ნუ თუ სახლობის პატრონი გლეხი თხუთმეტ მანეთად იცხოვრებს ისე, როგორცა ჰსაჭიროებს კაცის უმთავრესი ბუნების მოთხოვნილებანი და მის სიმრთელისა და სისაღის საჭიროებანი?" [14].

გლეხობის საშოვარზე გასვლის ძირითადი მიზეზი, ცხადია, ეკონომიკური გაჭირვება იყო. 1870-იანი[15] და განსაკუთრებით 1880-იანი წლებიდან სოფლის შემდგომი დიფერენციაციის პროცესში მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ადრე თუ გვიან იძულებული ხდებოდა დაეტოვებია მამა-პაპათა საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი და შორეულ თუ ახლობელ რაიონებში გადახვეწილიყო ჯერ, როგორც წესი, დროებით საშოვარზე წასვლის სახით, ხოლო შემდეგ სამუდამოდაც.

ხოლო უმიწაწყლო გლეხობის რაოდენობა მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო მაგრად იდგამდა ფეხს სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობანი. „კაპიტალისტური წარმოების წესის ბუნებასთანაა დაკავშირებული ის მოვლენა, რომ იგი მუდამ ამცირებს მიწადმომქმედ მოსახლეობას, არამიწადმომქმედ მოსახლეობასთან შედარებით"[16].

ბ. მოუსავლიანი წლები

გლეხობის საშოვარზე გასვლა მასობრივ ხასიათს ღებულობდა განსაკუთრებით მოუსავლიან წლებში. ხოლო ასეთი

[14] გაზ. „გუთნის დედა", 1874 წ. № 5.

[15] იხ. მაგალითად, გ. წყალტუბელი, „იმერლები ტფილისში", 1878 წ. ტფ.

[16] კ. მარქსი, კაპიტალი, 1934. თბ. ტ. III, ნაწ. II, გვ. 166.

მოუსავლიანი წლები-კი ამიერკავკასიაში პერიოდულად მეორდებოდა და ხან მთელ ქვეყანას ერთად, ხანაც ზოგიერთ გუბერნიას, მაზრას ან რაიონს დაატყდებოდა თავზე შედეგად: გვალვებისა, ხშირი და ზომაზე მეტი წვიმებისა, სეტყვისა, კალიის თუ თაგვების შემოსევისა, ფილოქსერისა, პებრინისა, საქონლის ჭირისა და საერთოდ მიწათმოქმედების თუ კერძოდ რომელიმე კულტურის და დარგის მავნებელთა გაჩენისა. თითქმის მთელი ამიერკავკასიისათვის მეტად მოუსავლიანი იყო, მაგალითად, 1889 — 1893, 1897 — 1898, 1902 — 1903, 1906 — 1907, 1909 — 1913 წლები.

საილუსტრაციოდ იმისა, თუ რაოდენ აუძლურებდა ასეთი პერიოდები წვრილ გლეხობას, აღრმავებდა სოფლის სოციალურ დიფერენციაციას და აძლიერებდა გაღატაკებული გლეხობის საშოვარზე ლტოლვას საკმარისია გავეცნოთ ფაქტიურ მასალებს, მაგალითად, 1897 — 1898 წ. წ. სოფლის ვითარების შესახებ.

გაზ. „შმაკი"-ს კორესპონდენტი, აღნიშნავდა რა საერთოდ ახალბაიაზეთის მაზრის გლეხობის გაჭირვებულ მდგომარეობას, კერძოდ სოფ. ზემო-ახტის შესახებ იწერებოდა, რომ აქ მოუსავლობამ (1897 წ.) 160 კომლი გლეხი თითქმის გაანადგურა ეკონომიკურად. ამათგან 20 კომლი-კი საბოლოოდ გაღატაკდა. „მამაკაცები, დასტოვეს რა თავიანთი ოჯახები, გადაიხვეწნენ" ერევნის გუბერნიის სხვადასხვა რაიონში. ეს გლეხები რამოდენიმე წლის წინათ თვითონ ჰყიდდნენ პურს, ახლა კი იმათ „დაჰკარგეს თავიანთი საბადებელი, ცხენები, ხარები, ძროხები, თხები, ცხვრები და სხვ." [17]. ყველაფერი ეს ხელში ჩაიგდეს კულაკებმა, მევახშეებმა, მით უმეტეს, რომ აქ სესხზე 50 — 60% სარგებელი „სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა" [18].

ზანგეზურის მაზრის გლეხობა მეტისმეტმა გაჭირვებამ, სიმშილმა აიძულა „გაფანტულიყო სხვადასხვა სოფელში",

---

[17] „მშაკი", 1898 წ. № 61; — მოგვყავს КСХ, 1898 г. № 226, стр. 292.
[18] იქვე.

რათა „თავი გამოეკვებათ“, ხოლო „მრავალი ახალგაზრდა, 10—20 წლის ჰასაკისა, საშოვარზე ბაქოში გაემგზავრა“. იქვეა აღწერილი ანალოგიური მოვლენები განჯის მაზრაშიაც[19], ხოლო ყაზახის მაზრის (განჯ. გუბ.) სოფ. ზემო აღდაშის მცხოვრებნი კოლექტიურ წერილში აცხადებდნენ, რომ სოფლის 90 კომლიდან შიმშილი აიცდინა მხოლოდ 23 კომლმა, რომელთაც გაყიდეს პირუტყვები და სხვა საბადებელი, დანარჩენები კი (67 კომლი), რომელთაც „არ შერჩათ პირუტყვი და სხვა საშუალება პურის შესაძენად, არამცთუ შიმშილობენ, არამედ მოაკლდნენ შესაძლებლობას მოხნან და დასთესონ საგაზაფხულო მინდვრები“. ასევე დაზარალდნენ შორაპნის მაზრაში (ქუთ. გუბ.), მაგალითად, სოფ. რცხილათის მცხოვრებნი, განსაკუთრებით-კი მცირემიწიანი გლეხები[20].

კახეთში სიღნაღის მაზრის სოფლებში მრავალს ოქტომბერშივე შემოელია პური, მხოლოდ ზოგიერთებს ეყოთ იანვრამდე, ხოლო აპრილში უკვე „თითქმის მთელი გლეხობა ყიდულობდა პურს“. სოფ. ვეჯინელები „პურს ყიდულობენ მაღალ სარგებელზე (%) ნასესხები ფულით. აგირავებენ საოჯახო ნივთებს“[21]. ანალოგიური იყო მდგომარეობა ბაკურციხეს, კარდანახს და სხვა სოფლებშიაც, სადაც წინაწლებშიაც ცუდი მოსავალი მოვიდა და ვენახიც მილდიუმ და ოიდიუმმა გააფუჭა. უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა ამ დროს გლეხობა გორის მაზრაშიაც. გლეხები მასობრივად ჰყიდიან ხარებსაც-კი[22]. დას. საქართველოში შედეგად მოუსავლობისა გაძვირდა სიმინდი, რის შესაძენადაც გლეხობას გასაყიდად და პურზე გადასაცვლელად გაჰქონდა აუცილებელი საოჯახო ნივთები (ცელები, სარტყლები, სატევრები, ქვაბები, ტანისამოსი); ჰყიდდენ ხარებს და ძროხებს[23]. ცნობილია, რომ გლე-

[19] КСХ, 1898 г. № 226, стр. 294.
[20] იქვე, გვ. 296.
[21] КСХ. 1898 г. № 230, стр. 365.
[22] КСХ, 1898 г. № 231, стр. 371.
[23] „Кавказ“, 1898 г. № 128.

ხობა სახნავ-სათეს მიწასა და თვით ვენახსაც უფრო ადვილად ელეოდა ვინემ გამწევ ძალას — ხარებს; რადგან უხაროდ მას უკვე არ შეეძლებოდა მემამულისაგან იჯარით აღებული მიწის დამუშავებაც-კი.

საერთოდ ამიერკავკასიაში 1897 — 1898 წწ. სოფლის მეურნეობის მიმომხილველი ასკვნიდა, რომ „გლეხური მეურნეობა... ამჟამად უკიდურესად კრიტიკულ მდგომარეობას განიცდისო“[24].

1897 — 1898 წწ. მოუსავლიანობას ადგილი ჰქონდა საერთოდ რუსეთში[25], სადაც მომდევნო 1899 — 1900 წლებიც ნაკლებმოსავლიანი იყო. ამიტომაც, გასაგებია, ასეთს ვითარებას მოყოლილმა 1900 — 1903 წწ. ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისმა, თუ რატომ მიიღო ესოდენ მძიმე და ხანგრძლივი ხასიათი განსაკუთრებით შიგა რუსეთზე ბევრად უფრო აგრარულ ამიერკავკასიაში, სადაც გლეხობის მასებს გარდა ბურჟუაზიულისა «სულს უხუთავდა» ექსპლოატაციის კაპიტალიზმამდელი ფორმებიც.

ცხადია, რომ ეკონომიკური გაჭირვების ამგვარ პერიოდებში ძლიერი იქნებოდა სოფლად გლეხობის გაღატაკებისა და, მაშასადამე, სოფლიდან საშოვარზე გასვლის ინტენსივობაც. მაგრამ ამიერკავკასიის სოფლებში გლეხობის სოციალური დიფერენციაციის პროცესი ამ დროისათვის იმდენად შორს იყო წასული, რომ „ნორმალური და სავსებით მშვიდობიანი განვითარების“ წლებშიაც საშოვარზე გასვლის გარეშე გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს უკვე არსებობა აღარ შეეძლო.

მაგალითად, მდ. არაქსის ველიდან (ერევნის გუბ.) საშოვარზე წასელა უკვე საერთოდ მასობრივ და სისტემატურ ხასიათს ატარებდა[26]. რ. დ ა ნ ი ლ ო ვ ი ჩ ი წერდა (1897 წ.), რომ აქედან „მუდმივ საშოვარზე გამსვლელ პირთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. მოსახლეობის გამრავლების მეო-

[24] КСХ, 1898 г. № 231, стр. 374.

[25] А. Л о с и ц к и й, „Размеры урожая и продовольственной нужды в 1897 — 1898 г. г.“ (жур. „Начало“, 1899 г. № V).

[26] РТКЭЖД, стр. 603 — 605.

ხებით საგლეხო ნადელები შესამჩნევად დაიქსაქსა და მრავალი ოჯახი უკვე ვერ ჰპოულობს მასში საკმარის უზრუნველყოფას, რისგამოც ამ ოჯახების ზედმეტმა წევრებმა უნდა დასტოვონ სამშობლო და არსებობის საშუალება ეძიონ სხვაგან“ [27].

ერევნის გუბერნიის სოფლის მეურნეობის შესახებ სპეციალური საფუძვლიანი გამოკვლევის ავტორს ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ეკონომისტს ს. ზ ა ვ ა რ ო ვ ს მოყავს მრავალი მასალა მთის რაიონებიდან „ნორმალურ წლებში“ გლეხობის ბარის სოფლებსა (ბამბის აღება, მევენახეობის სამუშაოები), თუ ქალაქებში (ქარხნებში) საშოვარზე მასობრივი წასვლისა. 1870-იან წლებში სევანის ტბის სანაპიროების მცხოვრებთ სასირცხვილოდ მიაჩნდათ ქარხნებში მუშაობა და საერთოდ ხელფასზე ცხოვრება. 1890-იან წლებში კი გეოქჩაელები არამცთუ ქედაბექის სპილენძის ქარხნებში, არამედ ოდესისა და სევასტოპოლის ნავსადგურებშიაც-კი მუშაობდნენ. უკვე ამ დროს ერევნის გუბერნიის მთიან ნაწილში იყო სოფლები, რომლის მოსახლეობის 4 — 20 პროცენტი ქალაქში ცხოვრობდა, ანდა საერთოდ საშოვარზე იყო გასული [28].

1900-იან წლებში დიდძალი გლეხობა იყო საშოვარზე გასული სურმალოს მაზრიდან [29], ხოლო ერევნის გუბერნიის „აგრონომიულ მიმოხილვაში“ ვკითხულობთ, რომ ალექსანდროპოლის მაზრის მრავალი სოფლიდან ახალგაზრდობა საშოვარზე მიდის ამიერკავკასიის რკინიგზებზე, ქალაქებში; ახალბაიაზეთის მაზრის ზოგიერთ სოფელში მხოლოდ ქალები, ბავშვები და მოხუცები დარჩენილან, — „ახალგაზრდობა სულ საშოვარზეა გასული“. ამგვარად, ამ სოფლების „პატრიარქალურობა უკვე წარსულს ჩაბარდა, — სოფელი თანდათანობით პროლეტარდება“ და რაკი გლეხმა ერთხელ დასტოვა მამაპაპის სახლკარი «უკვე მალე ეჩვევა ქალაქურ ცხოვრებას» და ეძნელება უკან «უკულტურო და ბნელ» სოფელში დაბრუნება [30].

სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების ინსტრუქტორი და ამავე საზოგადოების სტატისტიკური ბიუროს მუდმივი კორესპონდენტი ჩ ხ ა ტ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი 1913 წ. წერდა, რომ ერევნის გუბერნიაში (ახალ-ბაიაზეთის მაზ.), შედეგად ხშირი მოუსავლობისა, ეტყობა „მოსახლეობის მორალური დაცემა“. მცირემიწიანობა, მოუსავლობა და სიღატაკე მრავალ გლეხს აიძულებს „გაყიდოს სახლი, პირუტყვი და წავიდეს საშოვარზე ანდა, უკეთეს შემთხვევაში, გადასახლდეს სხვა ადგილას; უკანასკნელ დროს შენიშნულია გადასახლება კახეთში“ [31]. მაგრამ ერევნის გუბერნიიდან გლეხობა ბლომად

[27] РТКЭЖД, стр. 604.

[28] С. З а в а р о в, „Опыт исследования...“, 283.

[29] МВЗУЗ, IX, 22.

[30] МСХСФКККЗС, 348.

[31] იხ. П. П е т р о в и ч, „Продовольственная нужда в Закавказье в 1913 г.“, 1913. Тифлис, II.

მიდიოდა არა მხოლოდ კახეთში, არამედ ქართლშიაც, მიდიოდა ბაქოში, ჭიათურაში, ბათუმში, თბილისში და უფრო შორს თურქესტანს, ამურს, ირანს თვით ურმიამდე. შედარებით მცირე რაოდენობით მიდიოდნენ აგრეთვე ამერიკაშიაც, უმთავრესად წყნარი ოკეანის ნაპირებზე, ქ. ლოსანჟელოსში, სადაც ისინი მძიმე შრომით ირჩენდნენ თავს — მისდევდნენ მებოსტნეობას, მიდიოდნენ შავ მუშებად და სხვ.[32]

მიწის სივიწროვე და აქედან გამომდინარე გლეხთა გაპირვება განსაკუთრებით საგრძნობი იყო ქუთაისის გუბერნიაში. ჯერ კიდევ 1880-იანი წლების შუახანებში თ. მ ა რ კ ო ვ ი აღნიშნავდა, რომ ქუთაისის მაზრის მცირემიწიანი გლეხები დამატებითი საშოვრისათვის შავმუშებად მიდიან ქ. ქუთაისში, რკინიგზის ხაზზე და ქვის სამტვრევებზე; — ამას გარდა ხელს კიდებენ ტივების დაცურებას, ტყის სამუშაოებსა და ყავრის დამზადებას, ურმით თუ სასაპალნე პირუტყვით გადააქვთ ტვირთი; — ამზადებენ და ჰყიდიან: ხის ნახშირს, შეშას, კაკლის ხესა და გიშრის ნაკეთობას (კრიალოსანს).

ეს გლეხები ზაფხულის პერიოდში მიდიან ღღიურ, ხოლო ზამთრის პერიოდში კი — თვიურ ქირაზე; რკინიგზის ტყიბულის შტოზე, რომელიც მაშინ გაყავდათ, გლეხები ხშირად მუშაობდნენ არტელურადაც. ზოგიერთი სოფლის გლეხობა, სოფ. ოდილაურის მახლობლად, ეწეოდა სამშენებლო, ტროტუარებზე დასაფენ, საფლავზე ძეგლად დასადებ და სხვ. სახის ქვების კლდიდან გამოკრას და სხვ.[33] მიწის სივიწროვე სოფლად ხელს უწყობდა არა მხოლოდ შინამრეწველური სარეწავების, არამედ ხელოსნობის განვითარებასაც. იმავე ქუთაისის მაზრაში უკვე 1880-იანი წლებიდან, განსაკუთრებიდ მთაგორიან სოფლებში, გლეხობის ნაწილისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან და ხანაც ძირითად წყაროს წარმოადგენდა მჭედლობა, ზეინკლობა, ხარატობა, დურგლობა, მეთუნეობა, მლესაობა და სხვ.[34]

გ. მ ც ი რ ე მ ი წ ი ა ნ ო ბ ა

1900-იან წლებში მიწის სიმცირე, ცხადია, კიდევ უფრო გაიზარდა. თვით ისეთ ორგანოში, როგორიც იყო ამიერკავკასიის რკინიგზების კომერციული საქმიანობის მიმოხილვა, ვკითხულობთ, რომ ქუთაისის გუბერნიაში ისე გაძნელებულია თავის გამოკვება, რომ „საშოვარზე გაუსვლელად მოსახლეობას ღატაკური ცხოვრების საშუალებაც არ ძალუძს“. აქ

[32] იხ. П. П е т р о в и ч, „Продовольственная нужда в Закавказье в 1913 г., 1913. Тифлис, II. стр. 14 — 15.

[33] МИЭБГКЗК, I, III, 252 — 253.

[34] იქვე, 253 — 255.

სიმინდს ხშირად ისეთს ხრიოკებზე თესავენ, „სადაც ადგილობრივი ხარიც-კი ვერ ადის, რის გამოც მიწას კი არა ხნავენ, არამედ თოხით თოხნიან“. პირველივე წვიმა ნათესს ძირს ჩამორეცხავს ხოლმე და იღუპება შრომა“ მიწათმომქმედისა[35].

მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში უმიწაწყლოდ დარჩენილი და სოფლად საკვებ პურს მოკლებული გლეხი ქალაქში მიდის, „ის ქალაქში დღიურ ქირაზე მუშაობას ამჯობინებს“. მართლაც, ამ უკანასკნელი ათი წლის (1894 — 1904 წწ.) განმავლობაში ემჩნევა დიდი ზრდა სოფლიდან ქალაქებში გადასახლებას. არის სოფლები, რომლიდანაც მთელი მცხოვრებლების ნახევარი «გარეთ არის გასული», როგორც ადგილობრივ ამბობენ. მიდიან განსაკუთრებით ახალგაზრდები და სოფლებში რჩებიან მოხუცებულები, ბავშვები და ქალები. თუ ვინმე ერთხელ წავიდა ქალაქში, ის შემდეგ ძნელად დაბრუნდება სოფელში საცხოვრებლად. ქალაქის ცხოვრება მას თანდათან იზიდავს და ეკარგება ყოველნაირი ხალისი სოფელში დაბრუნებისა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ძლიერ გახშირდა უმუშევართა რიცხვი ქალაქებში და ამიტომ ხშირად იძულებული ხდებიან ისევ სოფელს დაუბრუნდნენ, ისევ სოფლის აუტანელ პირობებში ღაფონ სული. გაექცა სოფელს და ისევ სოფელს უნდა დაუბრუნდეს და რადგანაც თავისი ადგილმამული საყოფნად არა აქვს, ამიტომ იძულებულია სხვისი — მემამულის — ადგილი აიღოს საიჯაროთ. მხოლოდ საიჯაროთ აღება-კი ნიშნავს თითქმის სხვისათვის მუშაობას“[36].

ქუთაისის გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაში (1906 წ.) ნათქვამია, რომ საშოვარზე გასვლა განსაკუთრებით განვითარებული იყო რაჭის, ლეჩხუმისა და ოზურგეთის მაზრებში. კერძოდ რაჭის მაზრის შესახებ აღნიშნულია, რომ აქედან „მამრობითი მოსახლეობის ნახევარი“ ყოველწლიურად მიდის საშოვარზე: მზარეულად, ლაქიად, მხერხავად, დურგლად და

[35] „Краткій обзор коммерч. деятельн. Закавк. ж. д. за 1901 г.“, 1903 г., стр. 52.

[36] „გლეხთა მოძრაობა გურიაში“, 1904, გვ. 4 — 5.

მეტივეებად — თბილისს, ბაქოს, ბათუმს და სხვ.[37]. სვანეთიდან თითქმის ყველა შრომაუნარიანი მამაკაცი გადიოდა საშოვარზე — იმერეთს, გურიას, სამეგრელოში — უპირატესად მიწის სამუშაოებზე (ვენახის გადაბარვა, თხრილების ამოღება), შავ მუშებად და სხვა დღიურ სამუშაოზე. მიდიოდნენ იმიერკავკასიაშიაც, უმთავრესად პურის აღებისა და თიბვის სამუშაოებზე[38].

ე. კალვეიტი ხანგრძლივი უშუალო დაკვირვების საფუძველზე ასკვნიდა, რომ სვანებისათვის რამდენადმე არსებითი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს გარე საშოვარზე გასვლა. სვანები, როგორც საერთოდ მთიელები, საშოვარზე გადიოდნენ (ბარში ჩადიოდნენ) უმთავრესად აგვისტო-ოქტომბერში და უკანვე ბრუნდებოდნენ საახალწლოდ ანდა საადგომოდ მაინც[39].

ქუთაისის გუბერნიაში, როგორც ს. ღიბრაძე წერდა, 1890-იან წლებში სოფლად მუშის „ხელფასი მინიმუმამდე შემცირდა“, მაგრამ „ასეთ ხელფასზედაც მხოლოდ იშვიათად ბედნიერს შეუძლია იშოვოს სამუშაო თავის სოფელში... მაშინ ის მიდის ჭიათურაში და იქ მუშაობს მარგანეცის მაღაროებში“[40]. გლეხობა მიეშურებოდა უმთავრესად ბათუმს, ფოთსა და შავი ზღვის სხვა ნავსადგურებში, აგრეთვე სოხუმის ოკრუგში — თამბაქოს პლანტაციებზე სამუშაოდ. ამ უკანასკნელი მიზნით თურქეთიდან აქ ბლომად მოდიოდნენ აგრეთვე ლაზები (ჭანები), ბერძნები და სომხები. 1909 წ. ოფიციალური ცნობით ქუთაისის გუბერნიის „თითქმის მთელი შრომაუნარიანი მოსახლეობა წლის უმეტეს ნაწილს ატარებს

---

[37] „Обзор Кут. губ. за 1906 г.“, 43.

[38] „Обзор Кут. губ. за 1908 г.“, стр. 61.

[39] Э. Кальвейт, „Очерк сельск. хоз. верхней Сванетий“. 1911 г. Тифлис, 61—63.

[40] КСХ, 1897 г. № 186, стр. 495.

არა მხოლოდ თავიანთ სოფლებს გარედ, არამედ გუბერნიის საზღვრებს გარედაც“ [41].

თბილისის გუბერნიაში (ბარში) საშოვარზე იმთავითვე მიდიოდნენ გლეხები ქუთაისის, ერევნისა, ბაქოსა და განჯის გუბერნიებიდან [42].

ს. მაჩაბლის ცნობით (1884 წ.) „საშოვარზე გასვლა ერთ-ერთი მთავარი წყაროა ოსების კეთილდღეობისა“. ჩრდ. ოსეთის, სახელდობრ თერგის ოლქის მეზობლად მცხოვრებნი საშოვარზე მიდიოდნენ თერგის ოლქში, ხოლო სამხრ. ოსეთის სოფლებიდან-კი — გორის, დუშეთისა და თბილისის მაზრებში. ამას გარდა ახალგაზრდა ოსები სამსახურში დგებოდნენ საერობო პოლიციაში (დარაჯებად, ჩაფრებად და სხვ.), ხოლო ოსი ქალები მიდიოდნენ ძიძებად, შინამოსამსახურეებად და სხვ. მაჩაბელი აცხადებს: „შეიძლება თამამად ითქვას, რომ 3/5 ქ. თბილისის მთელი ძიძებისა ოსი ქალებია, რომელთა უდიდესი უმრავლესობა მოსულია გორისა და დუშეთის მაზრებიდან“[43].

საერთოდ გაღატაკებულ გლეხობას სხვა გზა არა ჰქონდა თუ არა სოფლიდან საშოვარზე გასვლა. ალ. წ ულ უ კ ი ძ ე 1903 წ. წერდა: „ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორ აამოძრავა ეკონომიურმა სივიწროვემ ჩვენებური გლეხები: სვანი, რაჭველი, იმერელი, კახელი, ქართლელი ურიცხვად მოედინებიან ქალაქებისაკენ და ადგილს დაეძებენ“[44].

მაგრამ დას. საქართველოში მასობრივი ხასიათი მიიღო თვით წ ვ რ ი ლ ი ა ზ ნ ა უ რ ო ბ ი ს გ ა ღ ა ტ ა კ ე ბ ა მ. კერძოდ ოზურგეთის მაზრის აზნაურობის შესახებ 1905 წ. აკად. ნ. მ ა რ ი აღნიშნავდა: „გურიის თავადაზნაურობა უმეტეს წილად წვრილფეხა აზნაურობაა და მას მიწის მოსავალი ძლივს ჰყოფნის თავის სარჩენად. ინტენსიური კულტურის შემოუღებლად მიწის შემოსავალი ვერ არჩენს იქ პატრონს იმ

[41] МВЗУЗ, VI, 91.
[42] ТКОСХ, 1885 г. № 6 — 7, стр. 438 — 439.
[43] МИЭБГКЗК, VI, 237 — 238.
[44] ალ. წ ულ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, 1943 წ. თბ. 116.

შემთხვევაშიაც, თუ თავის ხელით დაიმუშავებს ადგილს. ამნაირი აზნაურები ეკონომიურად უკიდურეს მდგომარეობაში არიან, მათ შორის პირადად ვიცნობ ნამდვილ პროლეტარებს"[45]. თვით მთავრობის მიერ შექმნილი სოფლის მეურნეობის საჭიროებათა შემსწავლელი ადგილობრივი კომიტეტის დასკვნითაც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა 25 პროცენტს იმდენად ცოტა ჰქონდათ მიწა, რომ მისი მოსავლით არ შეეძლო თ ა ვ ი ს გ ა მ ო კ ვ ე ბ ა[46]. სწორედ ამაში იყო დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს მოთხრობათა გმირების წარმოშობის ეკონომიკური საწყისები.

ასეთს გაპირვებაში ჩავარდნილი აზნაურობა არ თაკილობდა მიემართა ყალთაბანდური ხერხებისათვისაც-კი, რათა ფული ეშოვნა. აი, ერთ-ერთი მაგალითი. თბილისში არსებობდა „პირუტყვთა მფარველი საზოგადოება". ხრიკიანმა აზნაურობამ მოახერხა აქ თავისთვის სამოქმედო ნიადაგი მოენახა.

ფ. გ ო გ ო ჩ ა ი შ ვ ი ლ ი 1904 წ. წერდა: „იმერეთში შეხვდებით არა ერთ და ორს გახუნებულ აზნაურს, რომელიც ამ „საზოგადოების" წევრად ჩაწერილა და წევრობის ბარათიც მიუღია, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ ვითომ პირუტყვის მფარველობის დარდი აწუხებდეს და აფიქრებდეს. მისი განზრახვა სულ სხვა რამ გახლავთ. იგი დარაჯობს შარა-გზაზე ტყეში შეშისთვის წასულ გლეხს, რომ დაბრუნებისას, ვითომ პირუტყვის მფარველობის მიზეზით, აყალმაყალი აუტეხოს და ოქმი შეუდგინოს. ურემზე რომ ხუთი ღერი შეშა ედოს, იგი მაინც ხარების შეუბრალებლობაზე სჩივის, პატრონს შოლტს უქნევს და „პროტოკოლით" აშინებს. გლეხს, რა თქმა უნდა, სასამართლოებში სათრევად არა სცალია და რჩება ხარ-კამეჩის არამკითხე „დამცველი" ერთი ურემი შეშის მირთმევით თავიდან მოიშოროს. და ასე ეს ახალ მოდის „ქველმოქმედი" ხან ერთ გლეხს ადებს ხარკს და ხან მეორეს" [47].

ამასთანავე, როგორც მ. ც ხ ა კ ა ი ა აღნიშნავდა, ნახევრად გაპროლეტარებული ან სავსებით პროლეტარი აზნაურობის ნაწილი, მსგავსად გლეხობისა, მიდიოდა ქალაქებში, სადაც ისინი დაქირავებული შრომის ფრიად მრავალგვარ ასპარეზზე მუშაობდნენ, თვით ლაქიებად და შავმუშებადაც-კი ეწყობოდნენ [48].

---

[45] პროფ. ნ. მ ა რ ი, „გურიის მოძრაობის შესახებ" („ივერია", 1905 წ. № 134).

[46] ТМКСХП, LII, 230.

[47] ჟურ. „მოამბე", 1904 წ. № 1, 83 — 84.

[48] იხ. Протоколы III съезда РСДРП, стр. 259 — 260.

დ. საშოვარზე გასულთა მდგომარეობა

საერთოდ ამიერკავკასიაში „იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც სოფლებიდან საშოვარზე გადიან ყოველწლიურად, სულ უფრო და უფრო მრავლდება". სოფლის თავისუფალ მუშათა ნაწილი სამუშაოს ჰპოულობს სოფლურ რაიონებშიაც, მაგრამ „სულ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის ქალაქებსა და საქარხნო პუნქტებში"[49], სადაც ისინი, ადრე თუ გვიან, ნამდვილ ინდუსტრიულ მუშებად იქცეოდნენ.

საერთოდ კითხვაზე, თუ რა აიძულებდა გლეხს გაქცეულიყო სოფლიდან ქალაქში, ი. სტალინი უპასუხებდა: „შიმშილის შიში, უმუშევრობა, ის გარემოება, რომ სოფელი მისთვის წარმოადგენდა დედინაცვალს, და იგი მზად იყო გაქცეულიყო იქიდან, თუნდაც ეშმაკთან, ოღონდ რამე სამუშაო მიეღო"[50].

ქალაქში პირველად მოხვედრილი სოფლელი მუშა გარდა ჩვეულებრივისა, ცხადია, კიდევ მის „გამოუცდელობასთან დაკავშირებულ" მრავალ გაჭირვებასა და დამცირებას განიცდიდა. ქალაქად თუ სოფლად საშოვარზე წასული მუშა უპირატესად შემთხვევითს დღიურ სამუშაოზე იყო დამოკიდებული და რაც უფრო ბლომად მიდიოდნენ გაპროლეტარებული გლეხები საშოვარზე, მით უფრო დაბალი იყო მათი ხელფასიც. მაგალითად, ჭიათურის მარგანეცის საწარმოებში მისულ სოფლელ მუშათა მდგომარეობა ძალზე უნუგეშო იყო. აქ „მუშაობა მძიმეა და სახიფათო სიცოცხლისათვის და თუ ამას დაუმატებთ კიდევ, რომ დამქირავებლები არაყოველთვის უხდიან კეთილსინდისიერად მუშებს, მაშინ ცხადი იქნება, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება სოფლის მუშა"[51]. გარდა მაღაროებში მუშაობისა გლეხები ეწეოდნენ მარგანეცის გადაზიდვას ურმით ჭიათურიდან ყვირი-

[49] КСХ, 1905 г. № 568, стр. 67.

[50] ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", თარგმანი 11 რუს. გამოცემიდან, 1939, თბ., გვ. 416.

[51] КСХ, 1897 г. № 186, стр. 495.

ლაში. წინათ ეს სამუშაო საკმაო ხელფასს იძლეოდა, მაგრამ რკინიგზის გაყვანის შემდეგ ხსენებულ მანძილზე 1 ფუთი მარგანეცის გადაზიდვის ფასი ერთი სამად და ოთხად დაეცა. ახლა მეურმე გლეხებს კონკურენციას უწევდა რკინიგზა და ამასგარდა მწონავებიც, როგორც წესი, ატყუილებდნენ მეურმეებს და კიდევ ყოველ ათ ფუთზე ორ ფუთამდე გამოურიცხავდნენ ხოლმე, როგორც შეშრობისა და სხვ. დასაკლისის „დადგენილ ნორმას“.

მაგრამ განსაკუთრებით მძიმე იყო საშოვარზე გასული მ ო ზ ა რ დ ე ბ ი ს მდგომარეობა. მათი ნაწილი, გოგოები თუ ბიჭები, როგორც ხელზე მოსამსახურენი „დიდკაცობის“ ოჯახებში, შეგირდები და მუშები — სამიკიტნოებსა და სასტუმროებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში ძალიან ადრე ეჩვეოდა გარყვნილ და თახსირ ცხოვრებას და ეცემოდა მორალურად.

ჟურ. „მოამბის“ შინაური მიმომხილველი წერდა (1904 წ.): „მე ვხედავ მეზობლის სახლის აივანზე 8 წლის ბავშვს, რომელიც იატაკის საწმენდ ჩოთქებზე შემდგარა და სახლს ასუფთავებს. ეს არის ვიღაც იმერელი აზნაურის შვილი, რომელიც ერთ აქაურს ღარიბ ოჯახს ემსახურება. საწყალი შიმშილს და სიღარიბეს ისე დაუგვალავს, რომ შეხედულებით 6 წლის გეგონებათ. და ასეთი თითქმის ძუძუ-მწოვარა ბავშვი მშობლებს მოუშორებიათ, რომ ოჯახში ხარჯი შეემცირებიათ, და სამუშაოდ ქალაქში გამოუსტუმრებიათ. ყველა წარმოიდგენს, თუ როგორი დიდი გაჭირვება უნდა იყოს სოფელში, რომ დედამ პაწია შვილი გულიდან მოიგლიჯოს და შორეულ ქალაქში გაჰგზავნოს თავის სარჩენად. ასე ძალას ატანს სოფელში გაჭირვება დიდსაც და პატარასაც, — ქალაქებს ყოველ დღე ახალ-ახალი ხალხი ემატება, რომელიც ეძებს აქ საქმეს და დაბინავებას“ [52].

უმიწაწყლოდ დარჩენილი ქუთაისის გუბერნიის გლეხობის ნაწილი იძულებული ხდებოდა სავსებით დაეტოვებია საშობლო და საცხოვრებლად საბოლოოდ გადასახლებულიყო სხვაგან, მაგალითად, იმიერკავკასიაში. ამ სახის მოსახლეობის ემიგრაცია ჩვეულებრივად აიხსნება მიწის სიმცირით ქვეყანაში, საიდანაც აიყრებიან ხოლმე, და თავისუფალი მიწის

[52] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, „ჩვენი ეკონომიური გაჭირვება“ („მოამბე“, 1904 წ. № 1, 72 — 73).

ფონდის არსებობით იქ, სადაც სახლდებიან. მართლაც დასავლეთ საქართველოში, როგორც დავინახეთ, მიწის დიდი სივიწროვე იყო, თუმცა, ცხადია, არა ყველგან. კერძოდ სოხუმის ოკრუგსა და ბათუმის ოლქში საკმაოდ მოიძებნებოდა თავისუფალი მიწები. მაგრამ ცარიზმის ადმინისტრაციამ ეს მიწები საკოლონიზაციოდ მისცა მხოლოდ ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსახლებულ გლეხობას, მაშინ როდესაც იქვე მეზობლად ადგილობრივი მკვიდრი გლეხობა მიწის უდიდეს სიმცირეს განიცდიდა[53]. ამგვარად, როგორც ვ. ლ ე ნ ი ნ ი აღნიშნავდა, იმ დროს, როდესაც საჭირო იყო ეწარმოებიათ ამიერკავკასიელი უმიწაწყლო გლეხობისათვის დასასახლებელი ადგილების სხვაგან გამოძებნა, ნამდვილად კიდევ აქეთკენ გადმოსახლებას აწარმოებდნენ[54].

ასეთს პირობებში დას. საქართველოს გლეხობას სხვა გზა არ ჰქონდა, თუ არა სხვა ქვეყანაში გადასახლებულიყო. აქედან, მაგალითად, იმიერკავკასიაში გადასახლებული გლეხები მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდნენ. 1904 წ. ე. კ ა ხ ე ლ ი წერდა: „ვინც დაწვრილებით გაეცნობა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლებულთა არასასურველ მდგომარეობას, ყველას გული დაეწვის, ყველას თვალთაგან სიბრალულის ცრემლი წამოუვა“[55]. ამ საკითხზე ბევრი იწერებოდა საერთოდ მაშინდელს ადგილობრივ პრესაში[56].

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მაგალითად, 1912 წელს მარტო რაჭის მაზრიდან თერგის ოლქში გადასახლდა 302 კაცი, რომელთაც სამშობლოში „ფეხის დასადგამი მიწა“ ვერ იპოვნეს. ამასთანავე მთავრობამ ადვილად მოახერხა იმავე 1912 წელს ოზურგეთის მაზრაში ნადელები გამოეყო

---

[53] ვრცლად იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია მე-19 საუკ.“ (მონოგრაფიები, ტ. I).

[54] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 100 — 101.

[55] „ივერია“, 1904 წ. № 72.

[56] იხ. პროფ. ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „მიწის სიმცირე კავკასიაში და გადმოსახლების პოლიტიკა“ („ივერია“, 1905 წ. № 162); ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, „გადმოსახლება თუ გადასახლება?“ („ივერია“, 1905 წ.).

122 «სტაროობრიადელი» გლეხისათვის, რომლებიც ცენტრიდან გადმოსახლდნენ[57].

ამგვარად, ცარიზმი, ცხადია, თავისას აკეთებდა. შავი ზღვის სანაპიროებისა და აღმ. ამიერკავკასიის „თავისუფალი" მიწებით იმპერატორი ასაჩუქრებდა თავის ფავორიტებს, რომელთაც აქ მიწის მუშები გარედან უნდა მოეყვანათ, და თვით ადგილობრივი, მაგალითად, ქართველი მემამულეებიც, განსაკუთრებით 1905 წ. რევოლუციის შემდეგ, არჩევდნენ თავიანთ თავისუფალ მიწებზე კოლონისტები დაესახლებიათ, რათა ამ გზით უფრო განემტკიცებიათ პოზიციები „რევოლუციური მოძრაობის ამყოლი" ქართველი გლეხობის წინააღმდეგ.

* * *

როგორც დავინახეთ, საერთოდ ამიერკავკასიის სოფლებში, განსაკუთრებით 1880—1890-იანი წლებიდან მოყოლებული, ბლომად იყო „ჭარბი" მოსახლეობა. მაგრამ მიუხედავად ამისა, აქ ზოგიერთ რაიონში, და ხანაც კიდევ ერთდროულად რიგ მაზრაში საგრძნობი ხდებოდა თავისუფლად დაქირავებული მუშახელის ნაკლებობა.

ამ მოვლენას მრავალი მიზეზი ჰქონდა, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საზოგადოდ სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი მუშახელზე მოთხოვნის სეზონურობა. უმთავრესად მოსავლის აღების პერიოდებში, როდესაც დგება „კრიტიკული მომენტი", აუცილებელია მუშახელის მაქსიმალური დაძაბვა, რის შემდეგაც ერთბაშად ფრიად ეცემა მოთხოვნა მუშაძალაზე. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სისტემისა და სხვადასხვა წარმოებრივი მიმართულების პირობებში მუშახელზე მოთხოვნის ეს რყევადობა ატარებს თავისებურ,

---

[57] Дарнаш, „Грузия после 1905 года", 1914 г. Кутаис, стр. 34-

განსხვავებულ, ხასიათს; ე. წ. „კრიტიკული მომენტი“ დგება იმისდა მიხედვით, თუ საერთოდ წარმოების პროცესის რომელი პერიოდია (სტადიაა) ყველაზე შრომატევადი, როდესაც აუცილებელია შრომითი რესურსების მაქსიმალური დაჭიმვა. მაგალითად, სიმინდის კულტურისათვის ასეთი პერიოდი დგება თოხნის დროს, ბამბისათვის — მოსავლის აღების დროს და ა. შ. ამასთანავე სხვადასხვა კულტურაში თვით მოსავლის აღების პერიოდი წლის სხვადასხვა დროს ხვდება. რაც უფრო ექსტენსიურ ხასიათს ატარებს სოფლის მეურნეობა, მით უფროა საგრძნობი წარმოების სხვადასხვა პერიოდში მუშაძალაზე მოთხოვნის რყევადობა.

ცხადია, სოფლად მუშახელის სიმცირე სეზონურ სამუშაოებზე ნაკლებად იქნებოდა საგრძნობი, რომ მიწათმოქმედებაში, განსაკუთრებით მოსავლის აღების სამუშაოებზე გამოყენებული ყოფილიყო მანქანები. მაგრამ, რასაკვირველია, ვერ დავეთანხმებით „ადგილობრივი კომიტეტების“ შრომებში მიღებულ დასკვნას [58], რასაც იმეორებდა ნ. ტარატინოვიც, რომ თითქოს ამიერკავკასიაში საერთოდ მიწათმოქმედების ასპარეზზე „მუშახელის ნაკლებობის მიზეზი არის მხოლოდ ფრიად განსაზღვრული გამოყენება და თითქმის სრული უქონლობა საზოგადოდ სოფლის მეურნეობის სამუშაოებში შრომის დამზოგველი იარაღებისა და მანქანებისა“[59]. არსებითად უდავოა, რომ ჩამორჩენილ ტექნიკურ ბაზაზე დამყარებულ სოფელშიაც არ წარმოიქმნებოდა საერთოდ მუშახელის საგრძნობი ნაკლებობა, რომ არ დაწყებულიყო და მნიშვნელოვანი ზომითარ განვითარებულიყო წვრილი გლეხური მეურნეობის დაშლისა და, მაშასადამე, ერთის მხრივ, გაპროლეტარებული გლეხობის სოფლიდან გასვლისა, მეორეს მხრივ, მათი მიწების

---

[58] ТМКСХП, LII, 181.

[59] КСХ, 1904 г. № 532, стр. 318.

სოფლის ბურჟუაზიის ხელში კონცენტრაციის პროცესი.

სოფლებში თავისუფლად დასაქირავებელი მუშახელის „გამოლევას" არსებულ პირობებში იწვევდა უმთავრესად ის გარემოება, რომ 1880-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში ქალაქური ცხოვრებისა და მთამადნეულის (მოპოვებითი) მრეწველობის სწრაფი განვითარება მნიშვნელოვან მოთხოვნას აყენებდა მუშაძალაზე და, მაშასადამე, ბლომად იზიდავდა მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხობას. ცნობილი აგრონომი ს. ტიმოფეევი აღნიშნავდა, რომ ქუთაისის გუბერნიის სიმინდის კულტურის რაიონებში უკვე 1890-იანი წლებიდან ძნელდება ყანების დამუშავება, განსაკუთრებით გათოხვნა, რადგან გლეხთა „საშოვარზე გასვლის მეოხებით" მუშახელი ძლიერ გაძვირდაო[60].

საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ისეთ ჩარჩოებში მოძრაობდა, რომ, თვით ოფიციალური მიმომხილველის დასკვნითაც (1913 წ.), ქუთაისის გუბერნიის გლეხობის ძირითადი მასებისათვის „საშოვარზე გასვლა წარმოადგენდა მთავარ წყაროს ფულადი შემოსავლისა", — მხოლოდ ამის მეოხებით შეეძლო გლეხურ მეურნეობას გაესტუმრებია სახელმწიფო, საეკლესიო და სხვ., ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებნი, შეეძინა ოჯახისათვის აუცილებელი მრეწველობის პროდუქტები, გადაეხადა ვალები და ა. შ.

მაგრამ არა მხოლოდ ქუთაისის, არამედ ამიერკავკასიის ყველა სხვა გუბერნიებიდანაც სოფლის „ჭარბი" მოსახლეობა ბლომად მიედინებოდა საშოვარზე, განსაკუთრებით ისეთ ქალაქებში, როგორიცაა თბილისი, ბაქო, ბათუმი და სხვა, სამთამადნო სარეწავებზე — ჭიათურას, ალავერდის, ტყიბულის, ბაქოს, ზანგეზურის და სხვ., სპეც.-ტექნიკური კულტურების (მებამბეობის, მეთამბაქოობის და სხვ.) რაიონებში, საერთოდ მთებიდან — ბარში და ა. შ.

---

[60] „Отчет о деятельн. Кавказск. филоксерного Комитета", 1901. Тифлис, II, 7.

ასეთ პირობებში სავსებით ბუნებრივი იყო, რომ სოფლებში მიწათმოქმედების სამუშაოთა ე. წ. პიკური პერიოდების დადგომისას თავს იჩენდა მუშახელის ნაკლებობა და ხშირად მწვავე ნაკლებობაც. სწორედ ამიტომ ამიერკავკასიის სოფლები, რომლებიც გამუდმებით და ბლომად ისროდნენ ქალაქებისაკენ და საერთოდ გარე საშოვარზე „ჭარბ“ მუშახელს, იმავე დროს წარმოადგენდნენ შრომის შინაგან ბაზარსაც ამიერკავკასიისავე სოფლების, თუ ამიერკავკასიის გარედანაც შემოსული მუშებისათვის.

ე. გარედან შემოხული სოფლის მუშები.

ახლა გავეცნოთ ამიერკავკასიის საზღვრებს გარედან შემოსული სოფლის მუშების მდგომარეობას.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბლომად მიდიოდნენ ირანელი გლეხები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აქაურ სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაშიაც — შავი მუშების სახით. თბილისის, ერევნის, განჯის და ბაქოს გუბერნიების უპირატესად მეჯოგეობის მიმდევარი მუსლიმანი მოსახლეობა ზაფხულობით, როგორც წესი, იალაღებში (მთებზე) მიედინებოდა, ასე რომ სწორედ პურეულის აღებისა და ამასთანავე ბამბისა და ბრინჯის შრომატევადი სამუშაოების შესრულებისას ამ კულტურათა რაიონებში ყოველთვის თავს იჩენდა მუშაძალის სიმცირე, რის გამოც, ცხადია, აქეთკენ ბლომად მოდიოდა მუშახელი სხვა, შორეული თუ შედარებით ახლობელი, რაიონებიდან.

როგორც „ადგილობრივი კომიტეტების“ შრომებში ვკითხულობთ, მაგალითად, განჯის გუბერნიაში პურის აღებას მოსახლეობა იწყებდა სწორედ იალაღებში წასვლის წინ, რის გამოც პური იმ მინდვრებზე, სადაც მოსავალი ამ დროისათვის კიდევ არ იყო მწიფე, აუღებელი რჩებოდა მანამ, სანამ ან ისინი არ ჩამოვიდნენ მთებიდან მის მოსამკელად, ანდა მოსავლის აღებას არ შეუდგებოდნენ სხვა რაიონებიდან

მოსული მუშების დაქირავებით. არაიშვიათად, როდესაც ასეთი მუშები საკმაო რაოდენობით არ იშოვნებოდა (მაგ., 1902 წ. განჯისა და ყაზახის მაზრებში), პურის აღებას ვერ ასწრებდნენ და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მინდვრებზე რჩებოდა, ნადგურდებოდა[61].

მაგრამ ბამბისა და ბრინჯის კულტურის რაიონები გარედან მოსულ მუშახელზე დამოკიდებული იყვნენ უფრო მეტად. ბამბისა და ბრინჯის პლანტაციებში შრომის პირობები ფრიად მძიმე იყო, დიდ ფიზიკურ ამტანობასა და გამძლეობას თხოულობდა, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა, „მიუხედავად შედარებით მაღალი ხელფასისა", არ ეტანებოდა ამ სამუშაოებს, მით უმეტეს, რომ იგი თავის ჯოგთან ერთად ამ დროს იალაღებში მიდიოდა; ანდა კიდევ, თუ არ ყავდა საკუთარი პირუტყვი და არც მსხვილ მეჯოგესთან „მოიჯარედ" ან მოჯამაგირედ ვერ მოეწყობოდა, მაშინ მას უფრო ესარფებოდა მთელი წლით, ე. ი. მუდმივ სამუშაოზე წასულიყო ბაქოს ნავთობის სარეწავებზე[62]. ასეთს პირობებში აქ მიეჩვევნენ ირანის მეზობელი. სამფლობელოებიდან მიწათმოქმედების სეზონურ სამუშაოებზე, აგრეთვე აგურის, კრამიტის, თიხის ჭურჭლეულის და სხვა შინამრეწველურ სარეწავებში მუშათა რეგულარულ მოსვლას. ირანელ მუშათა მოთხოვნილების დონე ძალზე დაბალი იყო. ამიტომაც აღმ. ამიერკავკასიაში ისინი ყველაზე იაფ და თითქმის ყველგან სასურველ მუშახელს წარმოადგენდნენ. დაბალი მოთხოვნილებისა და ხელფასის მხრივ დას. ამიერკავკასიაში, სახელდობრ ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგში, მათ თურქეთიდან შემოსული სომხები თუ შეედრებოდნენ.

იალაღებში წასულ ბორჩალოელთა ოჯახის უფროსები მხოლოდ იმისათვის ჩამოდიოდნენ ბარში, რათა დაქირავებულ მუშებს მოამკევინონ და გაალეწვინონ ხორბალი. „სწორედ ამ ციებიანი ადგილებისაკენ მიერეკება გაჭირვება ირანელ

[61] ТМКСХП, LII, 172.

[62] იქვე, გვ. 180.

ჰამშარებს, რომელთა გარეშე ცუდად იქნებოდა ბორჩალოელი თათრების საქმე... აქ ხელფასი კარგია, მაგრამ ამ ნესტიან, ჭაობიან, კოლოებითა და სხვა მწერებით სავსე ადგილებში სამუშაოც კარტორღულია. რომ დაითვლებოდეს რამდენი. ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე მუშა უდროოდ ჭლექიანდება ამ სამუშაოებში, როგორ გაძვალტყავებული და ყვითელ მუმიად გადაქცეული ბრუნდება სახლში მათი უმრავლესობა, დავრწმუნდებოდით, რომ მხოლოდ საშინელი გაჭირვება და სიღატაკე აიძულებს ჰამშარებს ამ სამუშაოებზე წასვლას"[63].

ირანელი მუშები ამიერკავკასიაში სამუშაოდ ჰ ა მ შ ა- რ ე ბ ა დ, ე. ი. ჯგუფებად, ამქრებად, დასტებად მოდიოდნენ. ჰამშარში გაერთიანებულთა რაოდენობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ხელობისა იყვნენ თვით მუშები. მებოსტნეთა ჰამშარში, მაგალითად, 2, 3, 4. მუშა ერთიანდებოდა, ხორ- ბლის სამკალად ან თივის სათიბად (მცელავებად) წამოსულთა ჰამშარში ერთიანდებოდა ხოლმე ათიდან ოცდაათამდე კაცი[64] და ა. შ.

ს. ბ უ ნ ი ა ტ ო ვ ი ს მიერ წარმოებული სისტემატური დაკვირვებით ირანიდან და თურქეთიდან სოფლის მუშები ამიერკავკასიისაკენ მოედინებოდნენ ადრე გაზაფხულიდანვე; გვიან შემოდგომით მათი უდიდესი ნაწილი უკანვე ბრუნდებოდა, ხოლო მცირეოდენი აქვე რჩებოდა რამოდენიმე წლით,— მემამულეებთან წლიურ ხელფასზე. მაგრამ ამათგან აღმ. ამიერკავკასიისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდათ კერძოდ ირანელ ჰამშარებს. „ესენი კარგი მებოსტნეები და მებაღეები არიან" და მიწას ამუშავებენ, ე. ი. სამუშაოს იღებენ არა ხელფასისა, არამედ მოსავლის გარკვეული ნაწილისათვის. ეს ჰამშარები, ჩვეულებრივ, მემამულისაგან, რომლის მიწასაც ამუშავებდნენ, ღებულობდნენ საქმელ-სასმელს. მემამულე მათ, 2—3 კაცს, აძლევდა საბოსტნედ მოხნულ მიწას, ხოლო მუშები თესავდნენ თავიანთ თესლს. მოსავალი იყოფოდა თანასწორად მონაწილეებს შორის, სადაც მიწის პატრონიც ერთ-ერთ მონაწილედ ითვლებოდა; როდესაც ბოსტანს სამი მუშა აკეთებდა მოსავალი იყოფოდა ოთხად — ერთი მეოთხედი მემამულისა იყო. ამ ბოსტნებში მოყავდათ უპირატესად ყარფუზი (საზამთრო) და, განსაკუთრებით, განთქმული, დუთმა (ნესვი). ს. ბ უ ნ ი ა ტ ო ვ ი აღნიშნავს, რომ მკვიდრი გლეხი

[63] КСХ, 1897 г. № 158, стр. 53.

[64] КСХ, 1897 г. № 162. стр. 111.

„ბევრ რამეს სწავლობს თავისი მეპაიე (მონაწილე) ირანელისაგან და 3 — 4 წლის შემდეგ თვითონვე ხდება კარგი მებოსტნე და დამოუკიდებლად აკეთებს ბოსტანს“ [65].

ლენქორანის მაზრაში, მუღანლოს ველზე, მკისა და თიბვის სამუშაოებზე ჩამოსულ ირანელთა არტელებში (ჰამშარებში) გაერთიანებული იყო 10 — 30 კაცი თვითეულში. ერთი არტელი სამკალად იღებდა გარკვეულ ნაკვეთს (ჩვეულებრივად 2 — 3 დესეტინას) და მიწის პატრონისაგან გარდა ხელფასისა ღებულობდა საჰმელ-სასმელს [66]. რ. დანილოვიჩი გადმოგვცემს, რომ მდ. არაქსის ვაკის „ზოგიერთ სოფლებში ჩვეულებადაა მიღებული“, რომ მოსავლის აღება გადასცენ ირანიდან შემოსულ მუშებს, რომლებიც აქეთკენ „მკის დროისათვის დიდის რაოდენობით მოედინებიან“, ასე რომ ადგილობრივი მკვიდრნი „გადაეჩვიენ ამ მუშაობას“, და მათ „თითქმის საკვებით დაავიწყდათ მკა“ [67]. ასეთი ვითარების შედეგი იყო ის გარემოება, რომ 1892 წელს, როდესაც ხოლერობის დროს ირანელებს აუკრძალეს ჩვენს საზღვრებში შემოსვლა, შარურის მაჰალში ნათესების ნაწილი საკვებით დაიღუპა, რადგან „მოსახლეობა არ იყო მიჩვეული თვითონვე მოემკა პური“ [68].

ამიერკავკასიის სოფლებში, განსაკუთრებით 1890-იანი წლებიდან, სამუშაოდ ბლომად მიდიოდნენ გლეხები თურქეთის სამფლობელოებიდანაც. თურქეთიდან დას. საქართველოში სამუშაოდ მოდიოდნენ ბერძნები, ჭანები (ლაზები) და განსაკუთრებით სომხები. ესენი აქ, უპირატესად შავი ზღვის სანაპიროს თამბაქოს პლანტაციებში მუშაობდნენ. რამდენადაც მეთამბაქოობა მარცვლეულთან (სიმინდთან) შედარებით უფრო შრომატევადი, ინტენსიური და რენტაბელური კულტურა იყო, მემამულეები არჩევდნენ ადგილობრივი უმიწაწყლო გლეხობის ნაცვლად მიწები იჯარით მიეცათ თურქეთიდან საშოვარზე ჩამოსულ მეთამბაქოებისათვის, მით უმეტეს, რომ ამათი მოთხოვნილება შედარებით დაბალი იყო და, მაშასადამე, უფრო მაღალ საიჯარო ქირას იხდიდნენ.

უკვე გასული საუკუნის მიწურულს ადგილობრივი ქართველი უმიწო გლეხები ჩივიან მიწათმოქმედებისა და

---

[65] КСХ, 1897 г. № 158, стр. 53.

[66] КСХ, 1897 г. № 162, стр. 111.

[67] РТКЭЖД, 646.

[68] „Обзор Эриванской губ. за 1893 г.“, 37.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წინაშე, რომ აქ (სოხუმის ოკრუგში) მათ ავიწროებენ თურქეთიდან გადმოსული მეთამბაქოე ბერძნები და სომხები, რომელთათვის მიწის იჯარით გაცემა, ანდა რომელთა დღიურ თუ თვიურ ქირაზე აყვანა, უფრო ესარფებათ მემამულებსო[69]. ამგვარად, თურქეთისა და ირანის სამფლობელოებიდან საშოვარზე აქეთკენ გადმოსული გლეხები საგრძნობ მეტოქეობას უწევდნენ მიწათმოქმედებითს სამუშაოებში ადგილობრივ გლეხებს. მაგრამ კიდევ უფრო საგრძნობი იყო მათი კონკურენცია სანავთსადგურო ქალაქებში, მაგალითად, ბაქოს, ბათუმს, სოხუმსა და ფოთში. თურქეთიდან საშოვარზე გადმოსულ გლეხთა დაწოლით ძლიერ დაეცა ხელფასი, მაგალითად, ბათუმში, — რამდენადაც კულტურულად ჩამორჩენილი და, მაშასადამე, დაბალი მოთხოვნილების იქაური სომხები ადგილობრივ (ქართველ, რუს, სომეხ) მუშებთან შედარებით დაბალ ხელფასზედაც კიდებდნენ ხელს სამუშაოს.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოდიოდნენ მუშები კავკასიაში ცენტრალურ გუბერნიებიდან (შიგა რუსეთიდან, აგრეთვე უკრაინიდან), თუმცა მათი უდიდესი უმრავლესობა, $^2/_3$, რჩებოდა იმიერკავკასიაში და მხოლოდ დაახლოებით $^1/_3$ შემოდიოდა ამიერკავკასიაში. ტიხორეცკის სარეგისტრაციო პუნქტის მონაცემების თანახმად, 1900 — 1914 წლებში საერთოდ კავკასიისაკენ ყოველწლიურად მოდიოდა დაახლოებით 75 — 80 ათასი მუშა სხვადასხვა სპეციალობისა. მათი ძირითადი მასები იყვნენ მეთევზეები, მიწის მთხრელები, მშენებლები და სოფლის მეურნეობის მუშები. ესენი კავკასიისაკენ მოდიოდნენ უმთავრესად ზაფხულობით, ხოლო ზამთრობით უკანვე ბრუნდებოდნენ. ამიერკავკასიაში გადმოდიოდნენ უპირატესად მეთევზეები (მხოლოდ კასპიის ზღვის სანაპიროებისაკენ თევზაობის სე-

[69] ЦГИАЛ, МЗГИ, департ. гос. зем. имуществ, отд. V, стол. 2, д. № 248, лл. 2 — 3.

ზონზე ყოველწლიურად მოდიოდა დაახლოებით 10.000 მუშა) და კვალიფიციური მშენებელი მუშები: დურგლები, ქვის მთლელები, მლესავები და სხვ. საერთოდ ეს მუშები ხშირად საალალბედოდ მოდიოდნენ, ისე რომ „წინასწარ არავითარი გარიგება არა ჰქონდათ შეპირებული“ დამქირავებელთაგან[70].

ვ. სოფლის დაქირავებული მუშის ხელფასი

უმიწაწყლოდ დარჩენილი და მცირემიწიანი გლეხობის არამცთუ მთელი ზედმეტი პროდუქტი, არამედ ხშირად აუცილებელის ნაწილიც მიქონდა მემამულეს, სახელმწიფოს, კულაკს, მევახშეს, მედუქნეს, ეკლესიას, შემსყიდველს. გლეხი ვერსად გაექცეოდა მათ, — იქნებოდა იგი უმთავრესად „დამოუკიდებელი“ მიწისმუშა, მეჯოგე, შინამრეწველი, თუ სავსებით პროლეტარი და მემამულისა თუ ჯოგისმფლობელის მოჯამაგირე. 1890-იან და თვით 1900-იან წლებშიც დიდის ზომით შენარჩუნებული ბატონყმური ექსპლოატაციის გადანაშთებს გარდა სავაჭრო და სავახშო კაპიტალის როლის ზრდის მეოხებით მიმდინარეობდა სოფლის მოსახლეობის ძირითადი მასების სულ უფრო მზარდი ეკონომიკური ექსპლოატაცია, რისი ბუნებრივი შედეგიც იყო გლეხობის მკაცრი დიფერენციაცია: ერთის მხრივ, კულაკობის (და ვაჭარ-შემსყიდველთა) ზრდა და, მეორეს მხრივ, უმიწაწყლო გლეხობა, — რომელიც ჰქმნიდა სოფლის პროლეტარიატს და რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი პოულობდა სამუშაოს ადგილობრივ მსხვილ და წვრილ მამულებში, ხოლო დიდი ნაწილი იძულებული ხდებოდა საშოვარზე გასულიყო ქალაქებსა ან შორეულ სოფლებში.

ამიერკავკასიაში სოფლად კაპიტალიზმის განვითარების მეოხებით გლეხობის დიფერენციაციის პროცესს სავსებით შეესაბამება ის დახასიათება, რაც რუსეთში ანალოგიური მოვლენის შესახებ მოგვცა ვ. ლენინმა ჯერ კიდევ 1893

---

[70] Дм. Мерхалев, „Движение сезонных рабочих из Европ. России на Кавказ...“, 1915 г., стр. 5 — 13.

წელს. როგორც რუსეთში, ისე აქაც, ერთის მხრივ, „გლეხები მასობრივად ტოვებენ მიწას, ჰკარგავენ მეურნეობრივ დამოუკიდებლობას, პროლეტარებად იქცევიან; მეორე მხრივ, გლეხები მუდამ აფართოებენ სახნავს და გაუმჯობესებულ კულტურაზე გადადიან. ერთი მხრივ, გლეხები ჰკარგავენ სამიწათმოქმედო ინვენტარს (ცოცხალსა და მკვღარს), — მეორე მხრივ, გლეხები იძენენ გაუმჯობესებულ ინვენტარს, იწყებენ მანქანების შეძენას და სხვ.“ [71]. სხვა სიტყვებით, სოფლად, ერთის მხრივ, შეძლებული გლეხობა, კულაკობა, იძენდა მიწებს, ყიდულობდა გაუმჯობესებულ იარაღ-მანქანებს, აფართოებდა ნათესებს, ბაღ-ვენახებს, ეწეოდა დაქირავებულ მუშათა ექსპლოატაციას, მეორეს მხრივ, ღარიბ-ღატაკი და მცირემიწიანი გლეხობა კარგავდა მიწას, პირუტყვს (გამწევ ძალას), მიდიოდა გარე საშოვარზე, პროლეტარდებოდა, იქცეოდა სოფლის თუ ქალაქის დაქირავებულ მუშად [72].

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში, გუბერნიების მიხედვით დაქირავებული მუშის ხელფასის დინამიკა ასეთი იყო (იხ. ცხრილი, გვ. 807).

ცხრილი გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდებოდა თანდათანობით აღებულ წლებში საშუალო ნომინალური ხელფასი ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში. აქ უწინარეს უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი დროისათვის ამიერკავკასიაში სოფლის პროლეტარიატი უკვე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. იგი შედგებოდა ან სავსებით უმიწო ღატაკებისაგან, ანდა სანადელო, საიჯარო, თუ საკუთარი მიწის მეტად მცირე ნაკვრის მქონე გლეხობისაგან, რომელიც ფაქტიურად არამცთუ დაყვანილი იყო საბოლოოდ სოფლის დაქირავებული მუშის მდგომარეობამდე, არამედ, ძალიან ხშირად, უფრო უარეს პირობებში იმყოფებოდა. მიწის პაწია ნაკერი, რომელიც მას ეპირა, მხოლოდ იმად ემსახურებოდა, რომ მემამულეს, სოფ-

---

[71] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ.1, გვ. 115 — 116.

[72] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, თავი II.

წლიურად დაქირავებული სოფლის მეურნეობის მუშის საშუალო ხელფასი (მანეთობით)

№ № რიგ.	გუბერნიების დასახელება	1900 წ.			1905 წ.			1910 წ.		
		მუშის	მუშა ქალის	მოზარდის	მუშის	მუშა ქალის	მოზარდის	მუშის	მუშა ქალის	მოზარდის
1	თბილისისა	59	27	18	72	27	25	91	48	33
2	ქუთაისისა	67	25	27	84	34	35	112	46	47
3	ერევნისა	36	20	15	47	27	21	66	36	32
4	განჯისა	41	19	14	57	28	20	84	39	29
5	ბაქოსი	54	29	18	61	37	25	87	56	36
6	სოხუმის ოკრუგი	69	55	37	94	64	48	123	88	71
7	ბათუმის ოლქი	—	—	—	102	—	—	143	40	35

ლის ბურჟუას, ვაჭარს, მევახშეს, სახელმწიფოს და სხვ., გამოექაჩა სოფლის მუშისაგან აუცილებელი პროდუქტის დიდი ნაწილიც-კი. პარცელა (მიწის მცირე ნაჭერი) გლეხისა მხოლოდ საბაბია, რაც შესაძლებლობას აძლევს მემამულეს ამოიღოს მამულიდან მოგება, სარგებელი და რენტა, ხოლო თვით მიწათმოქმედი „თავის ნებაზეა მიშვებული, როგორც სურს ისე მიიღოს თავისი ხელფასი“.

ამგვარად, უკვე 1900-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში, მის ზოგიერთ კუთხეებში მაინც, წვრილი მიწათმფლობელი გლეხი, — თუ კი მან აქამდე შესძლო თავი დაეღწია მებატონის ფაქტიურად ყმური დამოკიდებულებიდან, — სინამდვილეში უკვე დაყვანილია სოფლის დაქირავებული მუშის დონემდე, რომელიც მინიმალურ ხელფასს ღებულობს, არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გასულია საშოვარზე და კაპიტალისტურ პლანტაციაში მუშაობს, არამედ მაშინაც, როდესაც თავის სანადელო თუ საკუთარს, ანდა იჯარით აღებულ მიწას ამუშავებს. ამასთანავე საკმარისია ეს ცხრილი შევადაროთ ზემოთ მოყვანილებს (გვ. 726—727, 730), რათა ადვილად დავრწმუნდეთ, რომ, მაგ., მიწის იჯარის ქირა და მიწის ფასი

გაცილებით უფრო ჩქარა იზრდებოდა, ვინემ ხელფასი სოფლის დაქირავებული მუშისა, რომელიც თამბაქოს, ჩაის, ბამბის და სხვა პლანტაციებში, მემამულეთა ვენახში (ზვრებში) თუ მინდვრის სამუშაოებზე ეწეოდა „ქანც გამწყვეტ“ შრომას.

ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამიერკავკასიაში სოფლის დაქირავებული მუშის მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, მაგალითად, შიგა რუსეთის გუბერნიათა ასეთივე მუშების პირობებისაგან, უწინარეს ყოვლისა იმით, რომ, შედარებით, ამიერკავკასიაში ძლიერ მცირე რაოდენობით იყო მსხვილი კაპიტალისტური „სოფლის ეკონომიები“ და ამდენადაც აქ მუშას უპირატესად წვრილი მემამულეები, კულაკები, მოიჯარეები და ვაჭრები (რომელთაც ხელში ჩაიგდეს ვენახები და სხვ.) ქირაობდნენ. ამათ მუშები არ სჭირდებოდათ დიდი რაოდენობით და არც დიდი ხნით და თანაც, მეტი თუ ნაკლები ზომით, თუნდაც 4—5 დღით, შეეძლოთ სამუშაო სეზონის (მოსავლის აღების დროის) გადანაცვლება და, ამგვარადაც, მუშის შევიწროების გზით, ხელფასის დაწევა[73]. მაგრამ ამასთანავე სოფლის მეურნეობის მუშათა რ ე ა ლ უ რ ი ხ ე ლ ფ ა ს ი მით უფრო ეცემოდა, რაც უფრო ძვირდებოდა მისი ოჯახისათვის აუცილებელი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტები და საერთოდ საყოფაცხოვრებო პირობები.

სამუდამოდ გაქრა ნატურალური ეპოქის დამახასიათებელი გლეხური მეურნეობის თვითკმარობა და აქედან გამომდინარე „უზრუნველობა“, როდესაც გლეხი წლის განმავლობაში გარკვეულ დროს „უსაქმურობასა, გართობასა და დასვენებაში ატარებდა“. მაგალითად, 1850-იან წლებში ქუთაისის გუბერნიის გლეხები „კვირაში თითქმის 3 დღე არ მუშაობენ“, კვირა — უქმეა, პარასკევი — ბაზრობის დღეა, შაბათს — მხოლოდ შუადღემდე და ისიც იოლ სამუშაო-

[73] Е. Канчер,. „Оплата труда рабочих в сельском хозяйстве...“, (КХ, 1909, № 21, стр. 5).

ებს ჰკიდებდნენ ხელს[74]. წინათ შემოდგომიდან, მოსავლის აღებიდან, გვიან გაზაფხულამდე მთელ პერიოდშიც გლეხი იმდენს არ მუშაობდა. მაგრამ შემდგომში, განსაკუთრებით 1890-იანი წლებიდან-კი გლეხს უკვე სულ ცოტა დრო რჩება დასვენებისათვის[75]. მოსავლის აღებიდანვე იგი ქალაქში ან საერთოდ გარესაშოვარზე უნდა წავიდეს, სადაც გაზაფხულამდე რჩება; ხოლო სოფელში დაბრუნებულსაც კიდევ „უდიერი შრომისაგან“ ხშირად „თვალის წატყუილების“ დროც არა აქვს.

დიდძალი წვრილი გლეხური მეურნეობა, ჩამორჩენილი, საცოდავი ინვენტარით რომ ამუშავებდა თავის სანადელო და მემამულის მიწებს, არსებითად წარმოადგენდა ხელოვნურ „გადამეტმოსახლეობას მიწათმოქმედებაში, ხელოვნურს იმ აზრით, რომ აქ ძალდატანებით ხდებოდა დაცვა დრომოჭმულ ბატონყმურ ურთიერთობათა ძლიერი გადანაშთებისა, რომელთა „განმტკიცებას“ ცდილობდნენ ეკზეკუციებით, დამსჯელი ექსპედიციებით, გადასახლებებითა და დახვრეტებით.

სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრის მეოხებით წარმოქმნილი ეს შეფარდებითი გადამეტმო-

---

[74] Лаврентьев, „Стат. описание Кутаисской губ.“, 1858, СПБ. стр. 79.

[75] ალ. მაჩაბელი, გორის მაზრის სოფ. ქურთას მცხოვრებ გლეხთა შესახებ 1899 წელს წერდა: „დაღონებული ხალხია. დიდიც და პატარაც თავის გაპირვებას გრძნობს და ნაღვლობს; მოხუცებულები უფრო მხიარულები არიან, თუნდ დიდ ჭირგამოვლილებიც იყვნენ. მარტო ყველიერში იციან ბავშვებმა თამაში. სხვა დროს არა სცალიანთ; საზოგადოდ თითქოს ეთაკილებათ თამაშობა. მათ გასართობ თამაშს შეადგენს წყვილ-პანტიობა, ჩალიჩო და ზედადგრობა, ძვირათ ბურთის და რიკის თამაში“... (აქაურებმა) „სიკვდილზე დიდი ხარჯი იციან, უვალოდ არავინ გადარჩება. კვირა-უქმეს წმინდათ ვერ ინახავენ, მხოლოდ პარასკევობით გუთანს არ შეაბამენ, მიწას არ სძვრენ — ქარ-სეტყვის უქმეაო. დიდ დღესასწაულებს გულგრილად ეგებებიან. ეკლესიაში სიარული არ უყვართ. მხოლოდ საკვირაძლოებს რომ მიიტანენ საყდარში, მაშინ დასალოცად დაპატიჟებენ ერთმანეთს. ქურდობა სძულთ“ (ალ. მაჩაბელი, „სოფ. ქურთა და მისი მიდამოები“, იხ. ჟურნ. „აკაკის თეიური კრებული“, 1899. ქუთაისი, № 1, განყ. 11, გვ. 4 — 5).

სახლეობა, უკეთ მისი ნაწილი, ადრე თუ გვიან სტოვებს სოფელს და არსებობის საშუალებათა მოსაპოვებლად საშოვარზე გადის. საშოვარზე ჩვეულებრივ გადის სოფლის წვრილმწარმოებელთა, ბოგანოთა, ღარიბ-ღატაკთა მასიდან ყველაზე ინიციატივიანი და, როგორც წესი, ახალგაზრდა ძალები. თავდაპირველად საშოვარზე გასვლა არა მხოლოდ მატერიალური ხელმოკლეობისა და გაჭირვების, არამედ, რამდენადმე მაინც გამბედაობის საქმეც იყო; მაგრამ მერმე ამ მოძრაობამ ფართო, მასობრივი ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით დიდად წამქეზებელი იყო ქალაქებიდან, მრეწველობის დარგებიდან შინდაბრუნებული გლეხების მაგალითი. მით უფრო, რომ ასეთი „ნავალი“ გლეხი, რომელიც სულ უფრო ნაკლებად იყო გლეხი, მალე ისევე გარესაშოვარს, ქალაქს უბრუნდებოდა და თან გაიყოლებდა სოფლის გაბოგანოვებულ ახალგაზრდებს.

საერთოდ საშოვარზე გასვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის ცხოვრებაში. აქ უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ გზით მიმდინარეობდა სოფლის მოსახლეობიდან მრეწველობის მუშათა გამოყოფა, რამდენადაც დროებით საშოვარზე გასული გლეხი ადრე თუ გვიან საბოლოოდ რჩებოდა ქალაქში. მაგრამ თუნდაც სეზონურად, მაგალითად, მოსავლის აღებიდან გაზაფხულამდე საშოვარზე, ქალაქში, ქარხანასა თუ მაღაროში სამუშაოდ მიმავალი ღარიბი, უმიწაწყლო მიწის მუშა სულ უფრო ნაკლებადა რჩება „გაგრია გლეხად“; ის, აბა ვთქვათ, „ქალაქელდება“ და არსებითად მრეწველობის მუშათა კლასის წრეშია მოქცეული და მით უფრო მეტი ზომით, რაც უფრო მეტ როლს თამაშობს მის ყოფაცხოვრებაში საკუთარი მუშაძალის გაყიდვით მიღებული ფული — ხელფასი.

რასაკვირველია, მიყრუებული და მიუვალი, ქალაქებს დაშორებულ და საერთოდ „ცივილიზაციის მაჯისცემას“ მოწყვეტილი სოფლიდან, განსაკუთრებით, მთებიდან საშოვარზე გასვლას არ შეიძლებოდა პროგრესული მნიშვნელობა არ ქონოდა. საშოვარზე გამსვლელ გლეხთა შორის მეტი იყო წერა-

კითხვის მცოდნე, მათ, როგორც ნავალ ადამიანებს „ჭკუა ეკითხებოდათ“ სოფელში, სადაც კულტურა და საერთოდ ახალი საზოგადოებრივი ცნობიერება შეჰქონდათ.

„ნაქალაქარი გლეხი“ გარეგნულადაც, ჩაცმა-დახურვითაც განსხვავდებოდა. იგი ნელ-ნელა მაღლდებოდა სოფლური დამყაყებულობისა და ჩამორჩენილობის, პატრიარქალურობისა და საერთოდ პირადი მორჩილების, „უსიტყვობისა და უთქმელობის“, „დაბალი ღობის“ მდგომარეობიდან, მას სოფლად თავისუფლებისადმი მისწრაფების, კლასობრივი ბრძოლის, რევოლუციური მოძრაობის სულისკვეთება შეჰქონდა და, როგორც წესი, ასეთი მოძრაობის წამქეზებლის როლს თამაშობდა.

აღსანიშნავია რომ საშოვარზე გასვლით სოფელს ტოვებდა რა შეფარდებითი ჭარბი მოსახლეობა, რამდენადმე უმჯობესდებოდა შინდარჩენილთა მდგომარეობა; — ეს უწინარეს იმაში გამოიხატებოდა, რომ სოფლად მუშახელის შემცირების მეოხებით, როგორც ზემოთ დავინახეთ, მატულობდა სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშის ხელფასი.

საშოვარზე გასვლა, რამაც ამიერკავკასიაში 1850-იანი წლებიდან უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო, სოფლის მეურნეობის (მიწათმოქმედების) თუ ქალაქის (მრეწველობის) სექტორში ადიდებდა წარმოებაში ჩაბმულ დაქირავებულ მუშათა რიცხვს, აფართოებდა საერთოდ მთელ სახალხო მეურნეობაში დაქირავებული შრომის მასშტაბს. „კაპიტალიზმი საქონლური წარმოების განვითარების ის სტადია არის, როდესაც თვით სამუშაო ძალაც იქცევა საქონლად. კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ სახალხო მეურნეობის მთელი სამუშაო ძალა წარმოებაში გამოყენებულ იქნას მხოლოდ მეწარმეთა მიერ მათი ყიდვა-გაყიდვის შემდეგ“[76].

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ამიერკავკასიაში საერთოდ დაქირავებული შრომის სისტემის განვითარების განხილვას. ეს ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევის საგანია და უნდა გა-

[76] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 688.

ირკვეს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის, არამედ საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობის ასპექტში. მაინც აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიაში კაპიტალიზმამდელი წარმოების წესთა გადანაშთებითა და ინსტიტუტებით გარემოცულ ვითარებაში დაქირავებული შრომის სისტემა, ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ეს ერთ-ერთი მთავარი საფუძველი, მეტისმეტად მრავალნაირ ფორმაში ვლინდებოდა—იქმნებოდა მუშაძალის შინაგანი ბაზარი. როგორც ქალაქად, ისე სოფლად, თვით წვრილ მეურნეობათა შორისაც მე-19 ს. მიწურულსა და მე-20 ს. დამდეგს ამიერკავკასიაში უკვე ძნელად თუ მოიძებნებოდა ისეთი მწარმოებელი, რომელიც არც თვითონ ქირავდებოდა და არც სხვას ქირაობდა. ასე რომ მუშაძალის ყიდვა-გაყიდვა საყოველთაო მოვლენას წარმოადგენდა და ეს ურთიერთობა ყოველდღიურად ვითარდებოდა საერთოდ ფეოდალი მეურნეობის, კაპიტალიზმის ამ ერთ-ერთი საფუძვლის, განვითარებასთან ერთად.

დაქირავებული მუშის ექსპლოატაცია, მართალია, მე-19 ს. ბოლოს, მეტნაკლები ზომით, უკვე მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, მაგრამ იგი უფრო განვითარებული იყო სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა (მებამბეობა, მეთამბაქოობა, მევენახეობა და სხვ.) რაიონებში, სადაც სოფლისმეურნეობრივი წარმოება უპირატესად საქონლური წარმოების ხასიათს ატარებდა.

საერთოდ საშოვარზე გასული გლეხობა, სოფლის პროლეტარიატის დიდი ნაწილი ნახევრად ქალაქში მუშაობდა, ნახევრად — სოფელში და მაინც ნახევრად შიმშილობდა.

8. სოფლის დიფერენციაცია

მე-19 საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიის სოფელში გაბატონებული იყო ნატურალური მეურნეობა. გლეხი მებატონეს რენტას უხდიდა მიწათმოქმედების, მეცხოველეობისა და ოჯახური მრეწველობის პროდუქტებით, ანდა მუშაობდა მემა-

მულის მეურნეობაში. რენტა ნატურალურ ხასიათს ატარებდა. სახელმწიფო და საეკლესიო ბეგარა-გადასახდელებიც თითქმის მთლიანად ნატურალური იყო. მხოლოდ 1830-იანი წლების შიწურულს და 1840-იანი წლებიდან მოხდა სახელმწიფო გამოსაღებთა კომუტაცია — ფულზე გადაყვანა. მაგრამ სოფლად ფულის მიმოქცევა ჯერ კიდევ ნაკლებად იყო განვითარებული.

გლეხის ოჯახი ერთგვარ თვითკმარ, კარჩაკეტილ, მეურნეობრივ ერთეულს წარმოადგენდა. ოჯახში მზადდებოდა მისი წევრებისათვის აუცილებელი მრეწველური პროდუქტების უმრავლესობაც. გლეხი ბაზარზე უპირატესად სოფლის მეურნეობის იარაღების მხოლოდ რკინის ნაწილებს და სხვ. ისეთ ნივთებს იძენდა, რომლებიც აუცილებელი იყო მისი განუვითარებელი მოთხოვნილებისათვის და რომელთა გაკეთება თვით ოჯახში არ შეიძლებოდა. ასეთ ნივთებსაც გლეხი ხშირად მხოლოდ გაცვლის გზით იძენდა. მაგრამ უკვე ამგვარი გაცვლის მეოხებითაც შეიმჩნეოდა მიწათმოქმედებისა თუ ოჯახური მრეწველობის ზოგიერთი პროდუქტის გასაღების მეტი შესაძლებლობა. გლეხის ოჯახი, ცხადია, ცდილობდა ასეთი პროდუქტის წარმოების გაფართოებას. მევენახეობა-მეღვინეობის, მეცხოველეობის (განსაკუთრებით მეცხვარეობის), მეაბრეშუმეობის, ხეტყის მრეწველობის და სხვ. პროდუქტები, ნედლეულის თუ გადამუშავებული სახით, მით უფრო მეტი ზომით იკაფავენ გზას ბაზრებისაკენ, რაც უფრო ვითარდება საქალაქო ცხოვრება და მიმოსვლა-კავშირგაბმულობის საშუალებანი.

ეს პროცესები უკვე იმთავითვე შეიცავენ სოფლის სოციალური დიფერენციაციის. თავდაპირველ მომენტებს, რაც შორს მიდის იმდენად, რამდენადაც ღრმად შეიჭრება სოფლად ვაჭრობა, წვრილი საქონლური წარმოება და, მაშასადამე, ჩაისახება და მერმე გამოეყოფა, მაგალითად, ვაჭარი-შემსყიდველი, რომლის პარალელურად, ადრე თუ გვიან, ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა დაქირავებული შრომის ანღა, უკეთ

ვთქვათ, დაქირავებული მუშის მდგომარეობამდე დაყვანილი წვრილი მწარმოებლის ექსპლოატაცია. წვრილი მწარმოებელი — გლეხი, მეჯოგე, ხელოსანი, შინამრეწველი,—სულ უფრო მეტი ზომით კარგავს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ვარდება მევახშის, შემსყიდველის, მედუქნის და საერთოდ სოფლისა თუ ქალაქის შეძლებულთა ფენის დამოკიდებულებაში. ეს პროცესი ყველაზე ადრე და თანაც უფრო აშკარა სახით იჩენს თავს ისეთ რაიონებში, სადაც ადგილობრივი პირობები ხელს უწყობენ ბაზრის მოთხოვნილების საგანთა ასე თუ ისე მასობრივი წარმოების განვითარებას.

ა. სავაჭრო მიწათმოქმედება

სოფლის დიფერენციაცია, გლეხობის ნაწილის უწილადოდ დარჩენა სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების კვალდაკვალ ძლიერდებოდა.

მაგალითად, აფხაზეთში მეთამბაქოობის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია მკვიდრთა მიწიდან აყრა და მათ მაგიერ მემამულეთაგან მიწების უცხოეთიდან შემოსულ მეთამბაქოეთათვის გადაცემა. 1899 წელს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს სოხუმის ოკრუგის გუმისტას რაიონის გლეხთა ასმა კომლმა შემდეგი შინაარსის არზით მიმართა: „ჩვენს სოფლებში, სენაკისა და ოზურგეთის მაზრაში არ გვქონდა რა ერთი ნაკუწი მიწაც არსებობისათვის საბრძოლველად, ჩვენ აბხაზეთში მოვიძიეთ საიჯაროთ მემამულე ტოლსტოის მიწა, სადაც უკვე რვა წელიწადია ვცხოვრობთ. ამჟამად მემამულე უფრო სარფიანად ცნობს მიწა გადასცეს თურქეთიდან გადმოსულ მეთამბაქოე სომხებსა და ბერძნებს...“

რათა თავი დააღწიონ მემამულესთან საალალბედო დამოკიდებულებას გლეხთა წარმომადგენლები — ვინ იცის ეს მერამდენეჯერ! — ითხოვდნენ სახაზინო მიწაზე გადასახლების

უფლებას [1]. ცარიზმის ხელისუფლება მათ ყოველთვის უარს ეუბნებოდა, იმ მოტივით რომ მთელი თავისუფალი მიწები სოხუმის ოკრუგისა საბოლოოდ განკუთვნილი იყო რუსეთიდან გადმოსული გლეხობისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარე იყო ხსენებული პროცესისა; თვით 1900-იანი წლების დასაწყისიდანვე სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა თამბაქოს სავაჭრო პლანტაციების კონცენტრაცია. უკვე 1905 წ. სოხუმის ოკრუგში წვრილი, 1 დესეტინაზე ნაკლები, პლანტაციები შეადგენდნენ პლანტაციების საერთო რაოდენობის 53 პროცენტს, ხოლო 1913 წელს კი მხოლოდ 39 პროცენტს. პარალელურად იზრდებოდა მსხვილი პლანტაციების ფართობი და რაოდენობა. წვრილ მეთამბაქოეთა სულ უფრო დიდი ნაწილი დაქირავებულ მუშებად უნდა გადაქცეულიყო.

ბევრად უფრო ფართო მასშტაბით და უფრო ადრიდანვეც მიმდინარეობდა წვრილი გლეხობის მიერ როგორც საკუთარი, ისე სანადელო მიწების დაკარგვა მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ი ს რაიონებში. ამიერკავკასიაში მევენახეობის განვითარების განხილვისას ჩვენ მოყვანილი გვაქვს მრავალი საილუსტრაციო მასალა, თუ როგორ მასობრივად გადადიოდა დავალიანებული გლეხობის ვენახები კულაკ-მევახშეთა, შემსყიდველ-სირაჯთა და საერთოდ სოფლის ბურჟუაზიის ხელში [2].

არანაკლებ საინტერესოა მაგალითები ს ა ვ ა ჭ რ ო მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ი ს განვითარების ისტორიიდან. როგორც ცნობილია, ამიერკავკასიაში შვეიცარიული ყველის წარმოება იწყება 1860-იანი წლებიდან. ამ საქმის მეწარმემ ბარონ ა. კუჩენბახმა ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაციისაგან მიღებული ყოველმხრივი დახმარების მეოხებით ბორჩალოში მოაწყო დიდი და რენტაბელური მეურნეობა. მაგრამ ადგილობრივ მკვიდრთათვის არამცთუ რაიმე სარგებლობა არ მოუტანია კუჩენბახის ყველის ქარხნებსა და ძროხების ფერმებს,

[1] ЦГИАЛ, фонд. МЗГИ, департамент гос. зем. и имуществ, 5 отд. 2 ст. 1899 г. д. № 248. л. 1.

[2] ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. „მევენახეობის განვითარება ამიერკავკასიაში 1801 — 1920 წწ.“ (ეკონ. ინსტ. შრომები, V — VI).

არამედ, პირიქით, მათი კაპიტალისტური ორგანიზაციისა და ბუნების მეოხებით ავიწროებდნენ, აღატაკებდნენ და საბოლოო ანგარიშით მამაპაპათა სამკვიდრებელიდან აძევებდნენ მეზობელ სოფელთა ადგილობრივ გლეხობას.

როდესაც 1880 წელს ნიდიგერმა (კუჩენბახის ქარხნის ყოფილმა ოსტატმა) შვეიცარიული ყველის ფერმისათვის ბორჩალოში იჯარით აიღო თავად არღუთინსკის მიწა, მაშინ აქ მდებარეობდა სოფ. პატარა კამარლუ თარაქამათა 24 კომლით, რომლებიც მეჯოგეობასა და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. იჯარით აღებული 1.500 დეს. მიწიდან ნიდიგერმა ნახევარი, თავის მხრივ, იჯარითვე მისცა ზემოხსენებულ გლეხთა 24 კომლს. მაგრამ „ყველის წარმოების განვითარებისადა მიხედვით ამ მიწებზე თანდათანობით ავიწროებდა იგი გლეხებს, სანამ მთლად არ იქნენ ისინი აყრილნი და მთელი მიწა არ დაიკავა ქარხანამ“ [3].

ცხადია, გლეხობა ასე ადვილად არ შეურიგდებოდა ამ გარემოებას. მაგრამ მიუხედავად პროტესტებისა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ წაუკიდეს ცეცხლი ნიდიგერის თივას და მიუხედავად მის სიცოცხლეზე ხელყოფის ცდისა, გლეხები ბოლოს მაინც იძულებული შეიქნენ დაეთმოთ და „გაანადგურეს რა საკუთარი მეურნეობა, გადასახლდნენ სხვა სოფლებში და თურქეთშიაც-კი“.

შვეიცარიული ყველის წარმოების დაწყებამდე ხსენებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა 24 დამოუკიდებელი ოჯახი, რომელთაგან არც ერთი არ იყო უხარო და უძროხო; სულ კი ჰყავდათ 200 ძროხა, 30 კამეჩი, 100 ხარი, 15 ცხენი, 400 ცხვარი. ამ დროს აქედან მხოლოდ 3 კაცი იყო საშოვარზე გასული. უკვე 1888 წელს, ე. ი. 8 წლის შემდეგ ოჯახთა რიცხვი შემცირდა 12-მდე, რომელთაგან სავსებით არ ჰყავდა: 3

---

[3] С. Заваров, „Швейц. сыроварение на Кавказе и его влияние на окружающее крестьянское хозяйство“ (КСХ, 1902 г. № 417. стр. 61).

ოჯახს — ძროხა, 8 ოჯახს — ხარი, 11 ოჯახს — ცხენი, კამეჩი და ცხვარიც-კი. ამასთანავე თორმეტსავე კომლს, ნიდიგერისათვის მიცემული პირობისამებრ, არ უნდა ჰყოლოდა 15-ზე მეტი ძროხა. ამ დროს საშოვარზე იყო გასული უკვე 14 კაცი. 1900 წელს-კი აქ მხოლოდ 6 ოჯახი დარჩა, რომლებიც მოჯამაგირედ იყვნენ ნიდიგერთან: მამაკაცები (მწყემსები) ღებულობდნენ 60 მან. წლიურად, ხოლო ქალები (ძროხის მწველავები) თვეში 1,5 მან, ე. ი. დღიურად ერთ შაურს. საერთოდ-კი ამ დროისათვის მოცემულ ტერიტორიაზე მოსახლეობა 100 კაციდან, რომლებიც ყველანი მკვიდრნი იყვნენ, შემცირდა 40-მდე, რომელთაგან 14 უცხოელი (კოლონისტი) იყო[4].

ანალოგიური იყო ამ მხრივაც მდგომარეობა ფონ-კუჩენბახის ქარხნის რაიონშიაც — სოფ. მაჰმუთლოსა და ბოლაზ-ქესანში, სადაც, სხვა შესაბამის ტერიტორიაზე (2.500 დეს.) მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით, შეეძლო ეცხოვრა 500 კაცს ანუ 80—100 ოჯახს და სადაც 1902 წელს ცხოვრობდა მხოლოდ 177 კაცი (ამათგან 35 კოლონისტი). 1894 წელს ბარონ კუჩენბახის მამულში 1 კაცზე მოდიოდა 14, ხოლო ნიდიგერისაში — 35 დესეტინა მიწა, ე. ი. 7—15-ჯერ მეტი ფართობი, ვიდრე შესაბამის ტერიტორიასა და მეურნეობრივ პირობებში მცხოვრებ მკვიდრთა 1 კაცს უწევდა. ს. ზავაროვისავე მიერ წარმოებული ანალოგიური შედარებითი გამოანგარიშებით, ფერმაში 1 ძროხის მომატება შეესაბამებოდა მოცემულ რაიონში მკვიდრი მოსახლეობის 1 კაცით შემცირებას[5].

1902 წელს თბილისში მეცხოველეობისა და მერძეობის მეურნეთა ყრილობის მეშვიდე სხდომაზე, წინააღმდეგ ს. აბოევიანცის მტკიცებისა, რომ ფონ-კუჩენბახისა და სხვათა შეეიცარული ყველის კაპიტალისტური საწარმოები თითქოს არ იწვევდნენ მეზობელი გლეხობის გაღატაკებას, ს. ზა-

[4] КСХ, 1902 г., № 417, стр. 62.

[5] იქვე, 61 — 62.

ვ ა რ ო ვ მ ა აღნიშნა შემდეგი: „იმ ადგილას, სადაც ამჟამად იმყოფება კუჩენბახის ქარხანა, წინათ იყო 3 სოფელი, რომ-ლებიც განადგურდნენო“, ამ ქარხნის გავლენის მეოხებით[6].

შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის გავლენით, ბარონ კუჩენ-ბახის მემკვიდრე, კ. ა. ფ ო ნ-კ უ ჩ ე ნ ბ ა ხ ი, იძულებული შეიქნა პრესის მეოხებით თავისი მამის «მოღვაწეობის» გა-მართლება დაეწყო. თვით კ. კუჩენბახის ეს განცხადება იმდე-ნად მკვრმეტყველურია ამ საკითხის საბოლოოდ გასარკვევად, რომ ჩვენ არ შეგვიძლია იგი აქ არ ამოვწეროთ: „იქ, სადაც მამიჩემის მიერ დაარსებული იქნა ფერმა, რომელიც დღემდე არსებობს, არასოდეს არ ყოფილა სამი სოფელი, არამედ იყო მხოლოდ ერთი სოფელი 15 კომლით, რომელთაგან მამაჩემმა აქედან გადაასახლა 12 კომლი (3 კომლი დასტოვა მუშების სა-ხით და დღემდეც არსებობს). ეს 12 კომლი გადასახლდა სოფ. ბოლაზ-ქესანში. როდესაც მამიჩემის მიერ შესყიდულ იქნა ეს ტყიანი მამული სოფლიანად, რომელშიაც გადმოსახლებულებ-თან ერთად სულ იყო 24 კომლი, მან ისინი აქედანაც ასევე გადაასახლა და მათთვის დააარსა საკუთარს მამულშივე ახალი სოფელი ჯუჯაკენდი“[7].

ასი პროცენტითაც რომ მართალი იყოს და შეუფერადებე-ლი მემკვიდრის მიერ წინაპრის «მოღვაწეობის» ეს აღწერა, იგი მაინც ააშკარავებს, თუ როგორ ავიწროებდა, აღატაკებდა და მამაპაპათა ნასახლარიდან სულ შორს, შორს საკუთარი ქარ-ხნიდან, მიერეკებოდა ადგილობრივ გლეხებს ფონ-კუჩენბახი; და თუ თანვე იტოვებდა ამ გლეხების ნაწილს, იტოვებდა მხო-ლოდ როგორც შავმუშებს, რომელთაც შვეიცარიული ყველის წარმოების პროცესზე უშუალო დაკვირვებამდე და, მაშასა-დამე, შესწავლამდე ხელი არ მიუწვდებოდათ.

წვრილი მწარმოებლების შემსყიდველ-მევახშეთა გამოუ-ვალ ვალებში ჩავარდნისა და მასობრივი გაღატაკების პროცესი ძრანაკლებ დამახასიათებელი იყო სავაჭრო მ ე ბ ა მ ბ ე ო ბ ი ს რაიონებისათვისაც ერევნის, ბაქოს, განჯის და თბილისის გუ-

[6] КСХ. 1902 г. № 426. стр. 214 — 215.
[7] КСХ. 1902 г. № 428 — 429. стр. 254 — 255.

ბერნიებისა. რუსეთის საფეიქრო მრეწველობის მხრივ ბამბაზე დიდი მოთხოვნილების შედეგად, მებამბეობა გადაიქცა სავაჭრო მიწათმოქმედების ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან საქმედ, ბამბის კულტურამ დაიწყო მარცვლეულის ფართობის შევიწროება. 1900-იანი წლების მიწურულს, როგორც პ. პ ე ტ რ ო ვ ი ჩ ი წერდა, ამიერკავკასიის მრავალი რაიონის მემინდვრეობაში ბამბამ დაიჭირა ფრიად დიდი როლი. „ზოგან ბამბა გადაიქცა იმ ღერძად, რომლის გარშემო ტრიალებს მთელი ადგილობრივი ეკონომიკური ცხოვრება, როგორც მიწათმოქმედი, ისე სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობისა. „ბამბა“ გადაიქცა იმ მაგიურ სიტყვად, რომელმაც გაიტაცა სახელმწიფო მოხელე, ბეგი, მომთაბარე, მუშა, რიგითი გლეხი, კაპიტალისტური მოიჯარე, სავაჭრო კაპიტალის პატრონი და უბრალო რანტიე... ბამბამ გამოიწვია პერტრუბაცია წვრილ მიწათმფლობელთა და მემამულე-ბეგთა ურთიერთობაში. ბამბა საწყისს უდებდა აგრეთვე საიჯარო ურთიერთობის ევოლუციას, წარმოქმნას მოიჯარეთა კლასისა, რომელნიც ჩაებნენ გლეხებთან კონკურენციაში... ბამბა დიდად უწყობდა ხელს მომთაბარე მეჯოგური მეურნეობის თანდათან მოსპობას და ამ მოსახლეობის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას... სოფელი... აქამდე პატრიარქალური წყობილებით ცხოვრობდა, აწარმოებდა პროდუქტებს საკუთარი საჭიროებისათვის და არა ბაზრისა და ფულისათვის,— თანამედროვე საზოგადოების ეს ნერვი არ თამაშობდა იქ განსაკუთრებით დიდ როლს. ბამბის გაჩენის მეოხებით-კი წამოიზარდა შემსყიდველი, გააფართოვა თავისი ოპერაციები ტრადიციულმა მევახშე-ბობოლამ, გააცხოველა ვაჭრობა მედუქნემ. გაჩნდნენ ბამბის საწმენდი ქარხნები, სოფლისმეურნეობრივი საწყობები, კრედიტისა და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი“[8]—და კაპიტალისტური მეწარმეობის მთელი ეს აპარატი, რასაკვირველია, მიმართული იყო უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასების,

---

[8] П. П е т р о в и ч. „Хлопководство в Закавказье“ (К. Х., 1912 г. № 2!, стр. 3—8): ДГЗАЗ, 288—290.

წვრილი გლეხობის და დაქირავებულ მუშათა ექსპლოატაციისაკენ.

ბ. მევახშეობა

მევახშეობა რეფორმის მერმინდელ ამიერკავკასიაში ფანტასტიკურ ხასიათს ღებულობს. „სასოფლო გაზეთის“ 1871 წლის ნომრების კორესპონდენციებში აღნიშნულია, რომ გლეხთა განთავისუფლების შემდეგ მუშახელი მთელ ქვეყანაში ძლიერ გაძვირდა, რომ სოფლის მეურნეს ფული ყოველთვის ცოტა ქონდა, მაგრამ, მოუსავლიანი წლების შედეგად, ფული სავსებით გაქრა. ქართლსა, კახეთსა და იმერეთში სოფლის მეურნეობა საშინლად გატიალებულია. „ათეულობით შეგვიძლია ჩამოვთვალოთ სოფლები, სადაც გლეხობის მიერ საოჯახო ნივთები და სოფლის მეურნეობის იარაღები ჩალის ფასადაა დაგირავებული“[9].

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კრებაზე 1872 წ. წაკითხულს მოხსენებაში გ. წერეთელს მოჰყავს მრავალი საინტერესო მაგალითი, თუ რამდენად ღრმად გაედგა ფესვები მევახშეობას, თუ როგორ ძარცვავდნენ გლეხებს მევახშური მეთოდებით გაუმაძღარი კულაკები, ვაჭრები და შემსყიდველები, როგორ ბოროტად სარგებლობდნენ გლეხთა ნდობითა და სიმარტივით, გაუნათლებლობით, წერა-კითხვის უცოდინარობით, რაც იქამდეც კი მიდიოდა, რომ გლეხს სავალო ხელწერილის მაგიერ ფარატინა ქაღალდზე „მამაო ჩვენოს“ უწერდნენ[10].

1872 წ. გაზ. „დროების“ სიღნაღელი კორესპონდენტი იწერებოდა, რომ იქაური მედუქნეები ფულით ბევრად უფრო სარფიანად ვაჭრობენ, ვინემ საქონლითო[11]. საერთოდ სოფლის დუქანს ამიერკავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დამკვირვებელნი ერთხმად ახასიათებდნენ, როგორც „ქვეყნის ტიპიურ კუთვნილებას“; იგი „რა-

[9] „სასოფლო გაზეთი“, 1871 წ. № 14.
[10] ЗКОСХ. 1872 г. № 2—3. стр. 59—61.
[11] „დროება“, 1872 წ. № 30.

ღაც საერთოა სოფლის ტრაქტირსა და ფუნდუკს შორის". დუქანში მგზავრს შეეძლო ეშოვნა თავშესაფარი; აქ ყოველთვის მოიპოვებოდა სოფლის მოთხოვნილების საგანთა უმრავლესობა დაწყებული ლურსმნითა და გათავებული არაყით, ჩურჩხელით, თამბაქოთი და საქალამნე ტყავით. დუქნის ასეთი სახე ჩვენში გარკვევით ყალიბდება მე-19 საუკ. დასაწყისიდანვე. ა ლ. დ ი უ მ ა (ფამა), რომელმაც ამიერკავკასიაში იმოგზაურა 1858 — 1859 წ წ., აგვიწერს დაბა მარანში არსებულ ტიპიურ „სასტუმრო-დუქანს" [12].

მე-19 საუკ. მეორე ნახევრიდან დუქანი სულ უფრო ბატონდება სოფლად. იმ ოპერაციებში, რომელთაც მედუქნე ეწევა, ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს „ფულის გასესხებას მაღალ სარგებელზე" [13]. ასეთი დუქნით დამშვენებულია თითქმის ყოველი სოფელი. მოზრდილ სოფელში რამდენიმე დუქანია. ამასთანავე. მედუქნე გარეგნულად დიდად არ განსხვავდება თანასოფლელი გლეხებისაგან; იგი მსგავსად მეზობლებისა მისდევს მიწათმოქმედებას, მებაღეობა-მევენახეობას; მას აქვს ხშირად წისქვილი და არყის სახდელი ქვაბიც. მედუქნის ეზოსა და ყანაში სულ უფრო ხშირდება დაქირავებული შრომა, ე. ი. გამოუვალი ვალებით დატვირთული გლეხი აქ მუშაობით იხდის თავს თუ სარგებელს [14]. მედუქნე გლეხს თითქმის ყველაფერს ნისიად აძლევს, მომავალი წლის მოსავლის ანგარიშში. ასეთი ნდობა, ცხადია, გლეხს იაფად არ უჯდება. მაგრამ მედუქნე „არა მხოლოდ საქონელს იძლევა კრედიტში, არამედ გლეხს ასესხებს ფულსაც" [15].

ზოგიერთ რაიონში დუქანი უპირატესად საკრედიტო დაწესებულებას წარმოადგენდა და „გლეხს, რაკი ერთხელ გაება მედუქნის ბადეში, უკვე არ ძალუძს თავის დაღწევა და მთელ მის შრომას ნთქავს ორფეხიანი ობობა"-ო, აცხადებდა მ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი. მისივე გამოანგარიშებით ამიერკავკასიის

[12] A. D u m a s, „Impressions de Voyage. Le Caucase", III, p. 196—197.

[13] МИЭБГКЗК. IV, II, 311—312.

[14] იქვე, V, 1, 27.

[15] იქვე, II, 11, 216,

სხვადასხვა მაზრაში ასეთი კრედიტი გლეხს უჯდებოდა 80—140%-მდე [16]. მიუხედავად ამისა, გლეხი იძულებულია მაინც მიმართოს მედუქნეს, როდესაც ვარდება გამოუვალ მდგომარეობაში: გადასახადის გასტუმრების, ავადმყოფობის, მოუსავლიანი წლების, საქონლის დახოცვის და სხვ., შემთხვევებში, რადგან სოფელში მხოლოდ მედუქნეს აქვს ყოველთვის ნაღდი ფული, როგორც ამას, მაგ., ერევნის გუბერნიის სინამდვილიდან აგვიწერს ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი.

მაგრამ გლეხებზე ფულს ასესხებენ არა მხოლოდ სოფლელი მედუქნეები. ასეთსავე ოპერაციებს ბლომად აწარმოებენ დაბებისა და სამაზრო ქალაქების მედუქნეებიც. ი ნ გ ი ლ ო ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მოგვითხრობს ქ. სიღნაღში არსებული ისეთი დუქნის შესახებ, რომლის „დანიშნულება ის გახლავთ, რომ გლეხკაცს თუ ფული დასჭირდა, ყველას შეუძლიან ამ კანტორიდან ის მიიღოს“; მედუქნე თამასუქს იტოვებს, სადაც ვალი სარგებელშეკეცილად იწერება. „არაიშვიათად ისიც ხდება, რომ ერთხელ გადახდილ თანხას გლეხი მეორედაც იხდის“, რამდენადაც მედუქნეს შეეძლო არ დაებრუნებინა მისთვის თამასუქი. ხშირად მედუქნეს 240% და მეტი სარგებელიც მიქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გლეხი ამ უკანასკნელს პროდუქტით იხდიდა [17].

ქალაქებში (ქუთაისს, თბილისს, ერევანს, სიღნაღს, განჯას, ბაქოს, ახალციხეს, გუმბრს და სხვ.) იყო ე. წ. გ ა მ ს ე ს ხ ე ბ ე ლ ი ს ა ლ ა რ ო ე ბ ი კერძო პირთა თუ კომპანიებისა, რომლებიც სახელდახელო გირავნობით (ძვირფასი ნივთების: ოქროს, ვერცხლის, პატიოსანი თვლების და სხვ.) ასესხებდნენ ფულს მოკლე ვადით, არა უმეტეს 6 თვისა. ესენი იყვნენ ქალაქელი მევახშენი და ჩარჩენი, რომლებიც სარგებლობდნენ წვრილ. მწარმოებელთა (ხელოსანთა, შინამრეწველთა, გლეხთა) და მოსამსახურეთა გამოუვალი მდგომარეობით.

---

[16] МНЭБГКЗК, V, I, 491—492.

[17] „დროება“, 1871 წ. № 33; 1872 წ. № 1.

ასეთი სალაროები დას. საქართველოშიც-კი უმთავრესად სომეხ-ჩარჩებს ქონდათ [18].

დასავლეთ საქართველოს სოფელში დუქანმა, როგორც სამეკიტნომ ვერ მიაღწია წარმატებებს, სამაგიეროდ აქ იგი 80-იანი წლებიდან „ნელ-ნელა გადაიქცა სასესხო სალაროდ, რომელსაც არ ზღუდავს არავითარი გარკვეული წესები და კანონმდებლობა". მეფის ცენზურა გაზეთებს უკრძალავდა ცნობათა ბეჭდვას მევახშე-მედუქნეების მხრივ გლეხობის განმანადგურებელი «მოღვაწეობის» შესახებ. გაზ. „ივერია" წერდა შესახებ „დედის ძუძუს მომჭრელი მედუქნეებისა, რომელთაც კარგახანია დაუცხრომელის ფაცა-ფუცით" მიაქვთ გლეხთა კალოებიდან ხორბლეული და ზამთრობით ამ ხორბალს ისევ გლეხებზე „გაასესხებენ და გაყიდიან ერთიოცადო" [19]. ასეთ მევახშეთა ვალი გლეხს წლიდან წლამდე „ქონდა აკიდებული".

ეს ვალი მანეთებიდან თუმნებად, ხოლო თუმნებიდან ასეულ მანეთებად იქცეოდა და ადრე თუ გვიან გლეხის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება მევახშის, ვაჭრის, კულაკის ხელში გადადიოდა. კერძოდ სიღნაღის მაზრის მაგალითზე ა. არღუთინსკი გადმოგვცემს, რომ „გლეხთა შორის ვალისათვის მთელი ქონების გაყიდვა, მევახშეთათვის ვალის გადახდის ანგარიშში შინამოსამსახურეებად ბავშვების მიცემა... იმდენად ყოველდღიური მოვლენაა, რომ აქ არავის არ აკვირვებსო" [20]. ამ მხრივ მდგომარეობა ანალოგიური იყო ამიერკავკასიის სხვა მაზრებშიც, რამდენადაც სოფლად ფული საერთოდ ძნელი საშოვნელი იყო. „ზემო იმერეთში ყველაფერი იაფია, გარდა ფულისა" — იწერებოდა საჩხერელი კორესპონდენტი [21]. ჩვეულებრივი სარგებელი ას პროცენტს უდრიდა. მევახშენი „მანეთს წლამდის აძლევენ ორ მანეთად,

---

18 იხ. „დროება", 1383 წ. № 289.

19 ბ. ვუგუშვილი, „«ივერია» ცენზურის რკალში" (ილ. ჭავჭავაძის საიბულეო კრებული, 215).

20 МНЭБГКЗК. IV, II, 307, 312.

21 „დროება", 1883 წ. № 152.

თუმანს ღც მანეთად“ [22]. ასეთს ვითარებაში „უბრალო სოფლის მეწვრილმანე, ორიოდე გროშის მქონე მედუქნე თითქმის სრულებით ხელში იჭერს გლეხკაცის ყოველგვარს ქონებას, მოძრავსა და უძრავს. იმ ორიოდე თუმნის მსხვერპლი ხდება „დიდი ხნის ნაჭირნახულევი და ოფლით მორწყული ვაზები, მამა-პაპის შიგ ძვლებ-ჩაყრილი სახნავი მიწები“; პირუტყვი და თვით ერთადერთი თავშესაფარი ქოხიც-კი [23].

აქ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ ამიერკავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის ერთ-ერთი ფრიად თვალსაჩინო წარმომადგენლის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი დაკავშირებული მუვახშეობასთან. გრ. ორბელიანს ი. მეუნარგიასათვის უამბნია: „...როცა თბილისის გენერალ-გუბერნატორად ვიყავი, ჩემთან მოვიდა ერთი კუმისელი გლეხი და შემეხვეწა, გამომეხსნა ის უღმერთო მოვალე სომხის ხელიდან, რომელიც ათ თუმან ფულში — ერთ ურემ ღვინოს ართმევდა სარგებლად ყოველწლივ. ეს სარგებელი იმ ზომამდის გარდამეტებული და დაუჯერებელი იყო, რომ მე დავიბარე მევალე სომეხი.

„— ღმერთი არ არის შენში, ძმობილო, რომ ასეთ საშინელ სარგებელს ართმევ ამ საწყალ კაცს? არა გრცხვენიან?

— რა ვქნა, ბატონო, ნაღდი ფული მიმიცია; თქვენც მოწმე ხართ, ფულს სარგებელი უნდა.

— როგორ თუ მე მოწმე ვარ! ამისთანა უღმერთო სარგებლის მოწმე მე რად ვიქნები?

— აი, შენი პირიმე, ნახეთ, თუ თქვენ არა გაქვთ მოწერილი ხელი.

ამ სიტყვებით მევალემ გამომიშვირა თამასუქი. გავხსენ და გულს ელდა მეცა! ჩემგან ხელმოწერილი კი იყო ეს ქაღალდი, მაგრამ როგორ?: „პარუჩიკი თავადი გრ. ორბელიანი“. პორუჩიკიდან მე გენერალ-ლეიტენანტი გავხდი, მთავარმართებლის (ნამესტნიკის) მოვალეობის აღმსრულებელი შევიქენი და საწყალი გლეხი-კი სულ-ყოველწლივ იხდიდა ათ თუმანში ერთ ურემ ღვინოს. მე ავენთე, ცეცხლი მომეკიდა და ფხრაწ! ფხრუწ! დავხიე ის თამასუქი, პირში მივაყარე იმ სომეხს სიტყვებით: «წადი! მიჩივლე საცა გინდა, შე უღმერთო!», და გავაგდე ჩემგან. ახლა თქვენ იანგარიშეთ, რამდენი ათი თუმანი წაიღო იმ სომეხმა 25 — 30 წლის განმავლობაში“ [24].

---

[22] „დროება“, 1883 წ., № 48.

[23] „მეუურნე“, 1889, № 29, გვ. 9.

[24] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, „ქართველი მწერლები“, 1941 წ. თბილისი, ტ. I, 134 — 135.

ამიერკავკასიის სოფლებში მევახშეობა, ცხადია, კიდევ უფრო განვითარდა 1890-იანი და 1900-იანი წლებიდან. მაგალითად, მამასახლისების მიერ 1895 წ. შეკრებილ ცნობათა მიხედვით ახალქალაქის მაზრაში გლეხობა უფრო დავალიანებული იყო, ვინემ წინათ. თერთმეტი სასოფლო საზოგადოებიდან მხოლოდ ერთს არა ჰქონდა ვალები და ეს ერთი-კი კოლონისტთა სოფელი იყო. დანარჩენთა საზოგადოებას თამასუქითა და ხელწერილებით ემართა 1.103.137 მანეთი. აქედან, საშუალოდ გლეხის ერთ კომლზე მოდიოდა 170 მან. ვალი, ე. ი. ყოველწლიურად მას უნდა ეხადა 34 მან. სარგებელი, რაც 1,5 ჯერზე უფრო აღემატებოდა სახელმწიფო, საერობო და სათემო გადასახდელების საერთო ჯამს [25].

ამ მაზრაში ღარიბი გლეხი კულაკისაგან. განსაკუთრებით გაზაფხულზე, სესხულობდა პურს, პირობით, რომ სამიოდე თვის შემდეგ, მოსავლის აღებისთანავე, მიეცა თავნი და კიდევ მისი 1/4 სარგებლის სახით, რაც, ამგვარად, ას პროცენტამდე აღწევდა. ხშირად კიდევ ზამთრობით გლეხი სესხულობდა ფულს და კისრულობდა კულაკისათვის ზაფხულში შეშის მიტანას; რასაკვირველია, გლეხს შეშა უნდა ჩაებარებია საბაზროსთან შედარებით დაახლოებით ნახევარ ფასად. ამ სახით კი სარგებელი 150 — 200 პროცენტს აჭარბებდა და ამნაირ გარიგებას არა მევახშეობას, არამედ „თავისუფალ ვაჭრობას“ უწოდებდნენ [26].

ა. ერიცოვი აგვიწერს მთელ პროცესს, თუ როგორ სარგებლობდა მევახშე-შემსყიდველი განჯის გუბერნიის გლეხობის ხელმოკლებით მოუსავლობის, ავადმყოფობის, სოფლის მეურნეობის ინვენტარის შეძენის და სხვ. დროს და როგორ აბამდა აზერბაიჯანელ გლეხობას გამოუვალ ვალებში. შემდეგ „კრედიტორს მიაქვს გლეხის მეურნეობის მთელი შემოსავალი“. იგივე ა. ერიცოვი აღნიშნავს, რომ აქ გლეხობის ამგვარი დავალიანება სულ უფრო მასობრივი ხდება და

[25] КСХ, 1899 г. 266, стр. 102 — 103.

[26] იქვე, გვ. 104.

„თვით ეს ვალიც წლითი-წლობით იზრდება და ნთქავს უშუალო მწარმოებელთა მთელ ნაშრომს“ [27]. ანალოგიური იყო მდგომარეობა ერევნის გუბერნიაში. მედუქნე საქონლის ნისიად მიცემის, მომავალი წლის მოსავლის ანგარიშში ფულის მაღალი სარგებლით სესხების და სხვა გზით ვალის გამოუვალ ქსელში აბამს გლეხს და შემდეგ დაურიდებლად ითვისებს მის შემოსავალს, ეწევა მთელი ოჯახის ექსპლოატაციას [28].

1905 წ. ი. ს ე გ ა ლ ი ადასტურებდა, რომ საერთოდ „ამიერკავკასიაში არაა თითქმის არც ერთი დარგი, სადაც შემსყიდველები, გადამყიდველები, მევახშეები, კულაკები და სოფლის მჭამელები არ აწარმოებდნენ თავიანთ მავნებლურ მოღვაწეობას, თავიანთ მტაცებლურ ექსპერიმენტებს. მიწათმომქმედნი, მებამბეები, მეთამბაქოები, მევენახეები, მეაბრეშუმეები და შინამრეწველნი — ყველანი ერთრიგად იჭყლიტებიან უზომოდ ძვირი კრედიტის სიმძიმითა და მტაცებლობით“ [29].

ბურჟუაზიული მეწარმეობის ამგვარ «მოღვაწეთა» გამრავლების შედეგად კიდევ უფრო ღრმავდება გლეხობის სოციალური დიფერენციაცია, კიდევ ფართოვდება თანასოფლელთა შორის სოციალური ნაპრალები და მწვავდება საერთოდ კლასობრივი ანტაგონიზმი.

აი როგორ აგვიწერდა 1880-იანი წლების შუაში გაზ. „იევერიის“ მიმოხილველი თბილისის გუბერნიის გლეხთა ფენებად დაშლის სურათს:

„...ერთი გლეხი-მესაკუთრე დოვლათიანია. მეორეს იოტის მიწა-წყალი უჭირავს. „ღალაში“ შეხვედრია ათი დღის სახნავი და ერთი დღის ვენახი. ბატონს მეოთხედი უნდა მისცეს და იმავე დროს ბატონთან მიწის შესახებ სხვა დაუსრულებელი დავა აქვს... აი, კიდევ მესამე გლეხი. ამას არაფრისაგან არაფერი არ აბადია. მხოლოდ ბატონისაგან ჰრგებია ერთის სახლის ადგილი და ერთი კვალი ვენახი.. ამას ნუ უკითხავ ნურც საბძელს და ნურც ბოსელს; რაც შეეხება სახლს, ეს ხომ საკვირელი რამ არის? აი მიწის სახლი, რომელიც ძალზეა ჩამჯდარი დედა-მიწაში. კარები დასავლეთის მხრისაკენ აქვს და დიდი წვიმის დროს ნიაღვარი თავისუფლად შეევარდება სოლმე შიდ... — ერთი დაგლეჯილი ჩოხა თავისის შესაფერისის პერანგით

[27] МИЭБГКЗК, II, 11, 212.
[28] МИЭБГКЗК, I, 63.
[29] КСХ, 1905 г. № 569, стр. 86.

და მისი ამხანაგით, აი ეს არის ტანსაცმელი სახლის უფროსისა. ბავშვები ხომ სრულიად ტან-შიშველები და ფეხ-შიშველები არიან, მხოლოდ გაძონძილებში ამოდისთ სული... ნურვინ იფიქრებს, რომ ეს გლეხი ამ სიღარიბეშია თავის ზარმაცობის წყალობით. უსინდისობა იქნება, რომ კაცმა ამას ზარმაცობა დასწამოს. გათენდება თუ არა, საწყალი გლეხი ფეხზე ტრიალებს. დღეს ამას შველის სიმინდზე, ხვალ იმას კალოზე, ზეგ კიდევ ხდილობს ვალს. ერთი სიტყვით, წელებზე ფეხს იდგამს, მაგრამ ვერას გამხდარა... აი კიდევ სრულებით უმამულო კაცი. ეს ხომ საცოდავია და საცოდავი. ამას სახლის ადგილიც კი არსად აქვს. ერთ წელიწადს ერთი გლეხის ბოსელში დგას, მეორე წელიწადს მეორე გლეხის ბოსელში. ხან ერთი გამოაგდებს ბოსლიდან და ხან მეორე და არის ერთ ცეცხლში. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამის ჩაცმა-დახურვა, სმა-ჭამა უფრო უკანასკნელია, მანამ ზემოთ მოყვანილის გლეხისა, თუმცა კი ესეც არავის ჩამორჩება მუშაობაში" [30].

გ. სოფლის ბურჟუაზია

გლეხობის სოციალური დიფერენციაციის პროცესში სულ უფრო იზრდებოდა კულაკობის, სოფლის ბურჟუაზიისა არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური როლი და მნიშვნელობა, გავლენა საზოგადოებაში, თემში, სოფელში.

დამკვირვებლები ჯერ კიდევ 1880-იანი წლების პირველ ნახევარში აღნიშნავდნენ კახეთში კულაკობის დიდ გავლენას. „მიწების მემკვიდრეობითს სარგებლობაში ფართოდ დაჩემება, აგრეთვე უპირუტყვო მეურნეობათა მნიშვნელოვანი პროცენტის მეოხებით მოსახლეობის მასების დამოკიდებულება მცირერიცხოვან ცალკე პირებზე, რომლებიც ობობასავით ჰსწუწნიან და ფცქვნიან თავიანთ თანასოფლელებს, აქ... დიდის ზომით აშკარავდება" [31], ხოლო აზერბაიჯანელებსა და თათრებს შორის „მევახშეობა ისეა განვითარებული, როგორც არსად სხვაგანო", — ასკვნიდა ა. არღუთინსკი [32].

სოფლის კლასებად დაშლა შემდგომ ათეულ წლებში, ცხადია, კიდევ უფრო შორს მიდიოდა. ლ. გუკასიანცი

---

[30] ქვემო ქართელი. „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა" („ივერია", 1887 წ. № 34).

[31] МНЭБКЗК. V, I, 6—7.

[32] იქვე, 8—9.

ახალციხის მაზრის შესახებ გადმოგვცემს (1899 წ.): „მევახშეებსა და კულაკებს სოფლებში თუ პატივს არ სცემენ, სამაგიეროდ დიდ ანგარიშს უწევენ. ისინი თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის მეოხებით წარმოადგენენ დიდ ძალას. ყოველგვარი მათი სურვილი და თვით უხიაკობაც სიტყვაშეუბრუნებლად სრულდება. გლეხები მათ მხოლოდ სახელობით არ უძახიან, არამედ უმატებენ სიტყვა აღას, ბატონს. გარეგნულად ისინი ქალაქელებს მიაგავან, იცვამენ მაუდის ჩოხებს და ატარებენ ჩექმებს გალოშებით. მათი მეურნეობა ჰყავის: ბეღლები სავსეა პურით, თივის ძნა რამოდენიმე მწკრივად უდგიათ; ჰყავთ აუარებელი რქიანი პირუტყვი და ცხვარი. კულაკები, გლეხებთან გაუგებრობის შემთხვევაში, იშვიათად მიმართავენ სასამართლოს, ისინი მოურიდებლად შედიან თავიანთ მოვალესთან და მიაქვთ ყველაფერი, რასაც ფასი აქვს. მოვალის მხრივ წინააღმდეგობის შემთხვევაშიაც მევალე თვითონ უსწორდება მას. ასეთ შემთხვევაში საეჭვოა, რომ დამსწრენი გამოექომაგონ უმწეოს და გამოვიდნენ სასამართლო დაწესებულებებში მოწმეებად კულაკის წინააღმდეგ“ [33]. ეს დახასიათება თავისუფლად შეიძლება გავავრცელოთ ამიერკავკასიის სხვა მაზრებზედაც.

თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საკითხისადმი მიძღვნილ თათბირზე, 1909 წ., ეხებოდა რა საერთოდ ჩვენი გლეხობისა და სოფლის ვითარებას ლ. ჯ ა ნ დ ი ე რ ი აცხადებდა:

„ნუ თუ თქვენ არ გინახავთ, რომ 2 — 3 კულაკს ეპყრას 500 და 1000 კომლისაგან შემდგარი სოფელი?

„აბა დამისახელეთ, სად, როდის, ვისთან და რაში გამოვლინდა დამოუკიდებლად რაიმე ინიციატივა მთელი სოფლის საზოგადოების სიკეთისა და წარმატებისათვის? შეეკითხეთ, ბატონებო, გლეხთა წოდების წარმომადგენლებს, გაყვანილა თუ არა ოდესმე, გარეშე პოლიციის მხრივ იძულებისა, მაგისტრალებიდან გზები სოფლისაკენ? შეეკითხეთ თუ როგორ

[33] КСХ, 1899 г. № 266, стр. 102 — 104.

ეკიდება სოფლის კრება თავის უმნიშვნელოვანეს საკითხთა განხილვას და როგორ სწერენ ოქმებში კრებების დადგენილებებს? შეეკითხეთ, იცის თუ არა ვინმემ, თუ რამდენი საზოგადოებრივი კაპიტალი აქვთ მათ? შეეკითხეთ, როგორ ხდება გადასახადების გაწერა, მათი აკრება და ა. შ.? მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ყველა საქმეს აჭახრაკებენ მყვირალები...

უმრავლესობის მხრივ თავის საკუთარი საქმეებისადმი ესოდენი უსულგულო დამოკიდებულება შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ აქამდე ხელმძღვანელს წარმოადგენდა პოლიცია, რომელსაც ხალხი არ ენდობოდა და ამიტომაც არ ამჟღავნებდა თვითმოქმედებას.

ხალხს სახსრები არა აქვს, იგი გაყვლეფილია გადასახადებით. იქონიეთ მხედველობაში, რომ მას ყოველი მანეთი 5 — 10 მანეთი უჯდება, რადგან ფულის ნიშნები, ყველა მაზრაში, თავმოყრილია 3 —4 კულაკის ხელში, რომელთაგან ხალხი მას სესხულობს და მერმე ოთხმაგად-ხუთმაგად უხდის“ [34].

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი 1891 წ. ოქტომბერს, დანიელსონისადმი წერილში აღნიშნავდა, რომ „კულაკები, რამდენადაც მე ეხედავ იმას, ამჯობინებენ, რომ გლეხი თავიანთ კლანჭებში იყოლიონ, როგორც ექ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ი ს ს ა გ ა ნ ი, ვინემ გააჩანაგონ იგი ერთხელ და სამუდამოდ და შეიძინონ მისი კუთვნილი მიწა. აქედან მე ვასკვნი, რომ რუსი გლეხიც იქ, სადაც იგი საჭირო არაა მუშად მეზობელ ფაბრიკასა თუ ქალაქში, ასევე ძალიან გამძლეა და ასევე დიდხანს და შეუპოვრად შეებრძოლება სიკვდილს“ [35].

ანალოგიური იყო მდგომარეობა ჩვენშიაც. ჩვენებური კულაკი-მევახშეც არჩევდა ნელ-ნელა ეწუწნა გლეხის მთელი მეურნეობა, რადგან ამ გზით იგი ბევრად უფრო მეტს ღებულობდა, ვინემ შეეძლო მიეღო მაშინ, როდესაც გლეხის მიწა მის ხელში გადავიდოდა. მევახშის კლანჭებში გაბმულ გლეხს,

---

[34] МВЗУЗ, VII, 152 — 154.

[35] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი „წერილები «კაპიტალის» შესახებ“, 1952, თბ. გვ. 348.

ცხადია, მოუსავლიან წლებშიაც უნდა ეხადა უზომო სარგებელი, როდესაც მიწას დაპატრონებული მევახშე ვერაფერს მიიღებდა და, ამას გარდა, მიწის გლეხის ხელში დატოვებით, მევახშე თავს ინთავისუფლებდა მიწის (მამულის — საწარმოს) პატრონობის ფუნქციებიდანაც.

ეს ტენდენცია, ცხადია, შეუნელებლად მიმდინარეობდა მერმინდელ წლებშიაც. კულაკები ხდებიან შემსყიდველები, ხსნიან დუქნებსაც, რათა კიდევ უფრო გაბატონდნენ სოფელში. 1913 წ. გაზ. „თემის“ ჯავახელი კორესპონდენტი იტყობინებოდა, რომ აქ გლეხობა ნამდვილად „მთელი თავისი ქონებით და წარმოებით ეკუთვნის“ მედუქნეებსა და მიკიტნებსო [36]. რაჭიდან იწერებოდნენ, რომ „ყოველნაირი ჩარჩი, სპეკულიანტი ამ კუთხეს დაპატრონებია და შეუბრალებლად ყვლეფს მასო“ [37]. კახელი მევენახე გლეხობა ახლა უფრო იყო ჩავარდნილი კულაკებისა და მევახშე-სირაჯების ბრჭყალებში, ვინემ ოდესმე [38].

ზემოხსენებულ პროცესს არამცთუ ანელებდნენ, არამედ კიდევ უფრო ამკაცრებდნენ და აღრმავებდნენ სოფლის შ ე მ ნ ა ხ ვ ე ლ-გ ა მ ს ე ს ხ ე ბ ე ლ ი ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა ნ ი, რომლებიც აქ, კერძოდ საქართველოში ჯერ კიდევ 1870-იანი წლებიდან ჩნდებიან. ამიერკავკასიაში პირველი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი იყვნენ სოფ. ოძისის და თიანეთის (დაარს. 1874 წ.), საბუე-ენისელის, იორის, ბორჯომის, ყვარელის (1876 წ.), რუისის, ნაფარეულის, კარდანახისა და სხვ. [39]. ამ დაწესებულებას დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ ადგილობრივი ხალხსნები და საერთოდ პრესა. მაგალითად, გაზ. „გუთნის დედა“, ეხებოდა რა „ოძისის ვასხებითი ამხანაგობის“ დაარსების საკითხს, წერდა, რომ „ამგვარი დაწყო-

[36] გაზ. „თემი“, 1913 წ. № 132.

[37] გაზ. „აზრი“, 1916 წ. № 36, 157.

[38] „თემი“, 1911 წ. № 33; „ივერია“, 1902 წ. № 92.

Е. Канчер. „Кредитная кооперация и условия его развития в Закавказье“ („Вестник кооперации“, 1912 г. № 11, стр. 98).

ბილობანი არიან დღეს იმედი მომავლისათვის და ჩვენი ღონე ათასის ჩარჩებისა და ქვეყნის გამტყავებლების ხელიდამ დახსნისო“ [40].

პირველ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა დაარსებიდან ათიოდე წლის შემდეგ, როდესაც ამ „ამხანაგობებით“ გატაცება უკვე მინელდა, თვით ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე სწუხდა, რომ „ის პაწია კრედიტი, რომელიც ასე აუცილებლად საჭიროა გლეხკაცობისათვის და რომელიც იხსნის გაჭირვებულს გლეხს ანგარებით გამგელებულ სვავთა ბრჭყალებისაგან, იმოდენად ვერ გავრცელდა ჩვენში, როგორც სანატრელიაო“[41]. მაგრამ ილია იმასაც ამჩნევდა, რომ გლეხობამ უკვე ზურგი შეაქცია ამ დაწესებულებას, თუმცა ჩვენში შემდეგშიც ბლომად მოიპოვებოდნენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც გლეხთა მასებისათვის დადებით მოვლენად თვლიდნენ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა ქსელის გავრცელებას.

აღსანიშნავია, რომ ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე იყო პირველი ადამიანი, რომელმაც მკაცრად გაილაშქრა შ უ ლ ც ე დ ე ლ ი ჩ ი ს იდეებით გატაცებული კავკასიელი პუბლიცისტების წინააღმდეგ და ამხილა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი, როგორც სოფლის შეძლებული ფენების კიდევ უფრო გაძლიერების იარაღი; — რომ „ამხანაგობიდან“ ფულებს ღებულობენ უმთავრესად მდიდარი გლეხები და არა იმისათვის, რომ თავის მეურნეობაში დახარჯონ, არამედ თავის მხრივ „გაასესხონ მეტად გაჭირვებულებში, რომელთაც, თუ ფულით, პურით ან ღვინით სარგებლისა და თავნის გადახდა არ შეუძლია, მაშინ პირად ყმად იხდიან, ე. ი. ამუშავებენ თავის საქმეზედ ჩირის ფასად“[42].

---

[40] „გუთნის დედა“, 1873 წ. № 2; იხ. აგრ. გაზ. „დროება“, 1873 წ. №№ 18, 26, „Кавказ“, 1873 г., №№ 3, 4, 12, 277; „Тифлисский Вестник“, 1873 г., № 24.

[41] „ივერია“, 1886 წ. № 279, მოწინავე.

[42] ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე. „რამდენიმე სიტყვა სასოფლო-საამხანაგო ბანკებზედ“ (გაზ. „გუთნის დედა“, 1875 წ. № 1, გვ. 2 — 3).

შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა სინამდვილეში ხელს უწყობდა სოფლის დიფერენციაციის შემდგომ გაღრმავებას, რამდენადაც მისი მეოხებით „სომხისა და ურიის (ე. ი. ვაჭრების, შემსყიდველების — პ. გ.) მაგივრად, მხოლოდ უფრო მარჯვე შემთხვევით, იხდის გაჭირვებულს კაცს ყურმოჭრილ ყმად თავისივე მეზობელი (კულაკი — პ. გ.), რომელსაც აქამდის არა ჰქონია ეს ძალა და შეძლება". საქმე იმაშია, რომ „ამგვარის წესით სოფლის გაჭირვებული გლეხი უფრო ვარდება სხვის მონად, რადგან წინათ არ იყო ასე ადვილი სესხი. მას უნდა ედევნა სომხისა და ურიისათვის, რომელიც მომეტებული ნაწილი ვერც კი ანდობდა ამას ფულსა, რადგან ის არა ჰსაჭიროებდა ამის მუშაობასა და შრომაში და სხვა სარჩო (საშუალება — პ. გ.) კი გლეხს არა ჰქონდა, რომ გაესტუმრებია ამათი თავნი და სარგებელი. ახლა კი, რაკი ამ მეზობელს, რომელსაც ამის მუშახელი უფრო უქირს, აქვს ფული გასესხებული". მაგრამ ა. ფურცელაძე არ სჯერდება მხოლოდ ზოგადი მსჯელობით. იგი ასახელებს კონკრეტულ მაგალითებსაც: „როგორც შევიტყვეთ და გვესმის, სწორედ ამ წესზედ დაადგნენ ჩვენში ჩვენი ახლად დაარსებული საამხანაგო ბანკები. აქედამ გამოტანილი ფულებით, მაგალითად, თიანეთის ოკრუგში ჰმართამენ დუქნებსა თვით მამასახლისებივე, რომელნიც არიან წევრნი საამხანაგო ბანკებისა, ახდენენ სასოფლო ყრილობებს თავისი დუქნების კარისწინ, სადაც შემდეგ ყრილობისა, იწყება ლოთობა; აგრეთვე ამგვარივე პირები აქედამ გამოტანილს ფულებს ასესხებენ თუმანს ორაბაზად, ათშაურად და კიდევ მეტადაც. ერთი სიტყვით ეს ბანკები ჰხდებიან ლოთობისა და ვალებში ჩაცვივნის მიზეზი უიმისოდაც გაჭირვებულს კაცთათვის". მაგრამ, მეტი თუ ნაკლები ზომით, ასეთ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი არა მხოლოდ თიანეთის ოკრუგში, არამედ ყველგან სხვაგან აც.

იგივე ა. ფურცელაძე აღნიშნავს, რომ „თითქმის ამგვარივე ამბები გვესმის ოძისის ბანკისა; დუქნები იმართება თუ არა ამგვარი ფულებიდამ, ეს არ ვიცით, და რამდენადაც ჩვენ გავიგონეთ, ამ ბანკის ამხანაგები არიან მომეტებუ-

ლი ნაწილი შეძლებულნი, და, ეს კიდევ არაფერი, არიან სულ სხვადასხვა თემისა და სოფლის კაცნი". მაშასადამე, ჩვენ აქ საქმე გვაქვს შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა ირგვლივ კულაკური ელემენტების გაერთიანებასთან და გაერთიანებასთან არა მხოლოდ მოცემული სოფლის, არამედ მეზობელი სოფლებისა და თემების ფარგლებშიაც, რაც მათ საშუალებას აძლევდა უფრო მეტად მოხერხებული ზომებით მიეღწიათ ღარიბი და უღარიბესი გლეხობის დაკაბალებისათვის.

ცხადია, ა. ფ ურ ცე ლ ა ძ ე არ მისულა იქამდე, რომ არსებულ პირობებში ხელაღებით უარეყო საერთოდ სოფლის ბანკების სარგებლიანობა გლეხთა მასებისათვის. პირიქით, მას ეს ბანკები სასარგებლოდ მიაჩნდა, ოღდნდ მის წევრებად უნდა იყვნენ სინდისიერი ადამიანები და ამასთანავე „უგაჭირვებულესნი მთელს სოფელში" და „წესად უნდა იყოს დადებული, რომ ერიდონ ხოლმე შემძლე კაცებისა და მეტადრე კი ჩარჩებისა და აღებ-მიცემის კაცების მიღებას ამხანაგობაშიო" [43].

ამგვარად, მას ვერ წარმოედგინა, რომ სოფლის წვრილი კრედიტის ეს ორგანიზაცია, მსგავსად კიდევ სხვა „პრაქტიკულ დახმარებათა", რომელთაც გლეხობას სთავაზობდნენ, ს ა ბ ო ლ ო ო ა ნ გ ა რ ი შ ი თ, ემსახურებოდა კაპიტალისტური მეწარმეობის განვითარების ინტერესებს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა გამხდარიყო ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ეკონომიკური გაძლიერების საშუალებად. ა. ფ ურ ცე ლ ა ძ ი ს მისწრაფება, რომ როგორმე მხოლოდ წვრილ გლეხობას ჩაეგდო ხელში სოფლის ბანკები, რასაკვირველია, წმინდა წყლის უტოპიას წარმოადგენდა, ისევე როგორც მ. კ უ ჩ ა ე ვ ი ს ა და სხვ. მიერ გამომუშავებული ლონისძიებანი, რათა სოფლად წვრილი კრედიტის ორგანიზაციათა დანერგვით ეხსნათ ამიერკავკასიაში გლეხობის მა-

---

43 ა. ფურცელაძე, „რამდენიმე სიტყვა სასოფლო-საამხანაგო ბანკებზედ" (გაზ. „გუთნის დედა", 1875 წ. № 1, გვ. 2 — 3).

სები შემსყიდველ-მევახშეთა ბრჭყალებისა და, მაშასადამე, გაპროლეტარებისაგან [44].

1870—1880-იან წლებში წარმოქმნილი სოფლის საკრედიტო ამხანაგობათა უდიდესი ნაწილი უნიადაგობის მეოხებით მალე გაქრა. მართალია, 1904 წ. 7 ივნისის კანონმა შედარებით გააადვილა სოფლებში წვრილი კრედიტის ორგანიზაციათა დაარსება, ოღონდ ახლა მათი კაპიტალისტური ხასიათი კიდევ უფრო განმტკიცდა და თვით შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი ბევრად უფრო გამრავლდნენ. თითქმის ყველგან, როგორც წესი, მათი დაარსების ინიციატორებად გამოდიან სოფლის კულაკები, ხუცები, მამასახლისები, შემსყიდველები, მედუქნეები, მემამულეები. აღსანიშნავია, რომ თვით ადმინისტრაცია ურჩევდა და აქეზებდა, რათა საკრედიტო ამხანაგობებს წევრებად მიეღოთ ხუცები, შეძლებული გლეხები, მემამულეები და სოფლის ინტელიგენცია.

მაგალითად, სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების მმართველისადმი მოხსენებაში წვრილი კრედიტის ინსპექტორი გ. კ ი რ ა კ ო ს ი ა ნ ი, როგორც არანორმალურ ვითარებას აღნიშნავდა, რომ გურიის ერთ-ერთ სოფელში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დამფუძნებელთა შემადგენლობაში არ იყვნენ ხუცესი და სხვა ადგილობრივი ინტელიგენტები, რადგან აქაური გლეხების გაგებით „ამხანაგობა არსდება გლეხებისათვის და პირნი, რომლებიც არ ეკუთვნიან ამ წოდებას არ შეიძლება იყვნენ ამ საქმის მონაწილენი“. ინსპექტორი აცხადებს, რომ მან „მიუთითა რა უსწორობა წვრილი კრედიტის ორგანიზაციათა იდეის ამგვარი გაგებისა, აუხსნა იმათ, რომ ამ დაწესებულებათა საერთო დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რათა მიაწოდოს კრედიტი მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებელ მწარმოებელთ განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა, მიმართულებისა და სხვ. თავიანთი მეურნეობის გაუმჯობესებისა და ამაღლებისათვის...

---

[44] М. Н. К у ч а е в, „Ростовщичество в среде крестьян... Закавк. края“. 1887 г., стр. 15 — 16.

რამდენადაც წვრილი კრედიტი წარმოების წვრილ ფორმათა განმტკიცებისა და განვითარების გზით, წარმოადგენს ერთადერთ და არსებით საშუალებას მევახშეობასთან ბრძოლაშიო“ [45].

ი. ლაზარიანცი, სომხეთსა და აზერბაიჯანში კოოპერაციის იდეების ცნობილი აგიტატორი და კერძოდ წვრილი კრედიტის ცნობილი მოღვაწე, იძულებულია აღიაროს, რომ სოფლად საკრედიტო ამხანაგობები ხელში უვარდებათ ჩარჩვაჭრებსა და კულაკებს, „ისინი თვითონვე სარგებლობენ ამ კრედიტით“, რათა კიდევ უფრო მეტი ზომით გაფცქვნან გლეხობა. ამგვარად, „წვრილი კრედიტის დაწესებულებები არ ატარებენ შრომითი კოოპერაციულ ამხანაგობათა ხასიათსო“, — წერდა იგი 1912 წ. სომხურ-სამეურნეო გაზეთ „გიულატნტესში“ [46]. სამიოდე წლის შემდეგ იგივე ავტორი აცხადებდა: სოფლის კულაკები, იციან რა, რომ სოფლის მშრომელი ფენების თვითშეგნების გამოღვიძებას მივყეევართ სხვადასხვაგვარ კოოპერაციულ ამხანაგობათა ორგანიზებისაკენ, ძლიერ ხშირად, მიისწრაფვიან რა სოფლელთა მხრივ გამოიწვიონ კეთილგანწყობლური დამოკიდებულება, „თვითონვე აღძრავენ ხოლმე შუამდგომლობას წვრილი კრედიტის დაწესებულების დაარსების შესახებ“ და, ხელმძღვანელობენ რა თავიანთი პირადი ინტერესებით, დამფუძნებელთა შედგენილობაში იზიდავენ მატერიალურად მათზე დამოკიდებულ მიწათმოქმედთ, ხოლო შემდეგში, ამხანაგობის მოქმედების გახსნის მერმე, მთელ თავიანთ ღონეს ახმარენ იმას, რათა „საკრედიტო კოოპერატივი იყოს იარაღი პირადი სარგებლობისადმი მათი მისწრაფებისა“. ქვემოთ ი. ლაზარიანცს, მოჰყავს სათანადო მაგალითები ბაქოს გუბერნიის ცხოვრებიდან და ასკვნის: „ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი ორგანიზაცია წვრილი კრედიტის დაწესებულებისა არის დიდი

[45] ЦГИАЛ. Фонд Управления по делам мелкого кредита, 1909 г. д. № 4308. л. 4.

[46] იხ. Газ. „Баку“, 1912 г., № 217, стр. 218.

ბოროტება სოფლის მოსახლეობის ცხოვრებაში, რადგან საკრედიტო კოოპერატივის ალამს ქვეშ ადგილობრივი კულაკები, თავიანთთვის დიდის გარანტიით იწყებენ სოფლის მოსახლეობის ექსპლოატაციას, რამდენადაც საკრედიტო კოოპერატივი მათს ხელში წარმოადგენს იარაღს გეგმაზომიერი და ორგანიზებული ექსპლოატაციისა“ [47].

ამგვარად, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ცარიზმის მიერ გლეხობისათვის მოწყობილი „პრაქტიკული დახმარება“, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა სახით რომ ხორციელდებოდა, კიდევ უფრო აღრმავებდა და აფართოებდა — წინააღმდეგ ხალხოსნების (თარხან-მოურავისა, დ. ბაქრაძის, გ. მაიაშვილის და სხვ.) იმედებისა და მოლოდინისა, — სოფლად კაპიტალიზმის გავლენას და, მაშასადამე, აჩქარებდა გლეხობის დაშლის პროცესს.

დ. გლეხის ბიუჯეტი

გლეხობის დიფერენციაციის პროცესის საილუსტრაციოდ ჩვეულებრივ მიმართავენ გ ლ ე ხ ი ს ბ ი უ ჯ ე ტ ი ს შესწავლასა და ანალიზს. ამ მხრივ, სამწუხაროდ, ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ მხოლოდ კანტიკუნტად შემონახული მონაცემებით. მაგრამ, ეს ცნობებიც საინტერესო სურათს გვიშლიან.

ჩვენი გლეხის ბიუჯეტზე პირველი დაკვირვება 1870-იანი წლების დამდეგს. მოახდინა ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე მ. მან ნათელჰყო, რომ ყმური დამოკიდებულებიდან გამოსული საშუალო გლეხობის „მომეტებული ნაწილი ცარიელი ზარალის მეტს არასა ჰხედავს“ თავის „ღვაწლსა და ნამუშევარში“; საკმაოდ დეტალურად გამოიანგარიშა რა გლეხური მეურნეობის ხარჯი და შემოსავალი, ა. ფურცელაძე. იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საშუალო შეძლების გლეხი „ერთ დღიურზედ სამს მანეთს ზარალს არის... ამგვარს (არსებულს) ხვნა-თესვის წესსა და ცოდნის მდგომარეობაში“ [48]. დაახლოებით ანალოგიური

[47] М. Л а з а р я н ц, „Народный кредит и торговцы“ (КХ. 1915 г., № 11 — 12, стр. 13).

[48] ა. ფ ურ ც ე ლ ა ძ ე, „სასოფლო წერილები“, წერილი პირველი (გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ. № 15).

სურათი მიიღო გლეხობის ბიუჯეტზე წარმოებული უშუალო დაკვირვებიდან კახელმა მემამულემ რამაზ ანდრონიკაშვილმა; რომ არა ვთქვათ რა ღარიბ და უღარიბეს გლეხობაზე, საშუალო გლეხის ბიუჯეტი, როგორც წესი, დეფიციტურია მის მიერ 1870-იანი წლების გასულს წარმოებული გამოანგარიშებითაც [49]. რ. ანდრონიკაშვილის ანგარიშით დეფიციტი სახელმწიფო გლეხის ბიუჯეტისა შეადგენს ყოველწლიურად 17 მანეთს. „დროებით-ვალდებული გლეხები, რომლებიც ყოფილ მებატონეებს ღალას და ბეგარას უხდიდნენ და ისინიც, რომელთაც მთავრობისაგან მიღებული დახმარებით გამოისყიდეს სახნავ-სათესი და საკარმიდამო ნადელები და, ამგვარად, ვალდებული იყვნენ სისტემატურად შეეტანათ ხაზინაში გამოსასყიდელი ფული, კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში არიან ჩაცვივნული“ [50].

გლეხობის თანდათანი გაღატაკების ამ სურათს ამჩნევდნენ და აღწერდნენ სახელმწიფო მოხელეებიცა და უცხოელი დამკვირვებელნიც, მაგრამ მათი უმრავლესობის აზრით ეს იყო შედეგი არა თვით ქვეყნის შინაგანი ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებისა, არამედ მკვიდრი გლეხობის სიზარმაცის და უყაირათობისა. მართალია, ასეთი მოსაზრებანი უფრო ხშირად გამოითქმებოდა ხოლმე 1870-იან და 1890-იანი წლებიდან, მაგრამ ეს მოტივი ცარიზმის ბიუროკრატიის მხრივ აქ გაისმა თვით მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე.

ცნობილი ქართველი პოეტი ალ. ჭავჭავაძე ამ ცილისმწამებელთა წინააღმდეგ გამოდიოდა, როდესაც 1831 წელს თვით რუსეთის იმპერატორისათვის წარდგენილს თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აცხადებდა, რომ „სიზარმაცე, რასაც მიაწერენ საერთოდ სამხრეთის მცხოვრებლებს, არაა მართებული კავკასიელ მიწისმომქმედთა კლასის მიმართ“, მათ არ აკლიათ შრომის მოყვარეობა, მაგრამ ღარიბნი არიან იმის გამო, რომ წინათ ხელს უშლიდათ გაუთავებელი ომები,

---

[49] Р. Андроников, „Наше общество и его современное стремление“, 1880 г. Тифлис, стр. 19.

[50] იქვე, გვ. 20.

თარეშები და საერთოდ შფოთიანი ცხოვრება, ხოლო ამჟამად ჯერ კიდევ არაა სათანადოდ აღორძინებული ეკონომიკური ცხოვრება და მათ ვერ მოუხერხებიათ თავიანთი მუშაძალისა და ნაწარმოების გასაღებაო[51]. რასაკვირველია, ა. ჭავჭავაძეს არ შეეძლო წარმოედგინა, რომ სწორედ ვაჭრობისა და მრეწველობის, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის და საერთოდ ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური აღმავლობის პროცესში წარმოიქმნებოდა სავსებით ახალი ძალები, — ბურჟუაზიული საზოგადოების ჩვეულებრივი ატრიბუტები, — რომლებიც ბაზრის სახით გზახსნილს მისცემდნენ რა სოფლის მეურნეობის ნაწარმოებსა და „ჭარბ მუშახელს“ სწორედ მითვე გლეხობის ძირითად მასებს უდრტვინველად ჩააგდებდნენ ბორბლებქვეშ კაპიტალისტური ჯაგერნაუტისა.

ასეთს პირობებში ჩავარდნილი გლეხობის ამაო ჭაპანწყვეტას აგვიწერდა ა. ფურცელაძე უკვე 1873 წელს: „ამ საშინელს, საძაგელს გარემოებებთან, ამ საძაგელს სოციალურს, ეკონომიურს და გიგიენურს მდგომარეობებთან ჩვენი გლეხი არა ჰკარგავს იმ საშინელს მხნეობას, რომელიც არის მართლაცა და გასაოცარი, და რომელსაც ვერ წარმოიდგენს ისა, ვისაც არ უნახავს თავისის თვალით და არ უცხოვრია ამათში. ძნელი წარმოსადგენია ჩვენს ხალხზედ მხნე და მშრომელი კაცი. ზაფხულის პაპანაქება დღეებში გათენებიდამ დაბინდებამდის ისა სდგას წადრეკილი ნამგლით ხელში და ფეხშეუდგრომლათ მკის იმ სიფიცხით და სისწრაფით, რომელიც უცნობი მკითხველის თვალში შესაძლებელია მხოლოდ მაშინისათვის და არა ცხოველი კაცისათვის. რომ ჩააკვირდე ამათს ტანჯვის ცხოვრებას, — როგორც ესენი ეძახიან თავის ცხოვრებას, — გაგიოცდებათ. ჯერ ერთი ესა, რომ როდისღა სძინავს ამასა, რომ პატარა მოიბრუნოს ან სული, ან დაასვენოს ჯაფისაგან მოწყვეტილი სხეული: დგება გათენებამდის და მუშაობს ხშირათ, მეტადრე ზაფხულში, თითქმის შუაღამემდის. გაგიოცდებათ მეორე ისა, რომ ჯანი რჩებათ ამდენი ჯაფის უკანა... მაგრამ აქაც კიდევ ეს გარემოებაც, გარდა იმისა, რომ სწყვეტავს ამას ჯანით და აუძლურებს, ამ ღვაწლით შეძენილი სარჩო მიდის სხვის ხელთა და არა რჩება იმდენი, რომ აღადგინოს თავის მოლეული ჯანი, მოუბრუნოს თავისი მოუძლურებული ღონე და შეჰკრიბოს ის ნაწილები საშველ-სასმლითა, რომელნიც დაჰკარგვიან ამას იმ ჯაფასა და ოფლის ღვრაში. ამგვარი მხნეობა, თქმა აღარ უნდა, რომ ამას მხოლოდ სტეხავს ჯანითა და ასნეულებს. დასნეულდება და აქაც

[51] А. Чавчавадзе, „Краткий исторический очерк положения Грузии“, 1902, 16 — 17.

კიდევ ამის მხსნელი არავინ არის, ნამდვილი მისამართი და მომვლელი იმას არა ჰყავს; ექიმები არიან უეზდში თითო, რომელნიც სცხოვრობენ ქალაქ ადგილებში და ეხლა იმ ავადმყოფთაც ვერ ასდიან და იქაც უვლიან მხოლოდ იმათ, რომელთაც შეუძლიათ ამათი გასტუმრება. სასოფლოთ ხომ ამათ ვინ გახდის და თუნდაც კიდევ მოიცალონ სოფლებისათვის, მაინც სადა აქვს გლეხკაცს ამათი სუკი, როდესაც შემძლე კაცებიც კი ტყავდებიან ამათს სოფელში ავათმყოფებთან წასაყვანათ, რადგან თითო წაყვანა უჯდებათ ოცდახუთი მანეთიდან ხუთს თუმნამდის. აქ გლეხკაცი უნებლიეთ ემონება მამაპაპეულთ ჩვეულებათ და ცრუმორწმუნეობათა. მაშინ დარჩენილან ამათ ღონეთ მარტო მკითხავნი, სალოცავები და, თუ სადმე მოიპოვება, სოფლური ექიმი დედაკაცები. აქ ავათმყოფი და იმათი პატრონი ვარდება სრულს მკითხავების ნებაში და თავის უკანასკნელს სარჩოს და ღონეს ალევს ამათს დევნასა და სალოცავებში თრევაზედ" [52].

1884 — 1885 წწ. ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების შემსწავლელთაგან ზოგიერთებმა დაგვიტოვეს საკმაო ცნობები გლეხობის ბიუჯეტის შესახებ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილები შედგენილია სწორედ ამ მასალათა მიხედვით. სამწუხაროდ, იშვიათად გვხვდება ბიუჯეტი სახელმწიფო გლეხთა სამივე ძირითადი კატეგორიისა, ე. ი. მდიდარის, საშუალოსი და ღარიბისა; უმთავრესად მხოლოდ საშუალო შეძლების გლეხთა ბიუჯეტი შეუდგენიათ და ისიც მხოლოდ ზოგიერთი მაზრისა. მაგრამ ეს მონაცემები მაინც იძლევიან ერთგვარ სურათს შესაბამისი რაიონების გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

უწინარეს უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო გლეხები სხვა კატეგორიის გლეხებზე უფრო შეძლებულნი და „სულმოდგმულნი" იყვნენ. გლეხის კომლის წარმოდგენილი ბიუჯეტი, როგორც წესი, შედგენილია „ნორმალური" წლის შემოსავლისა და ხარჯის საფუძველზე. იქ, სადაც შედარებისათვის მოცემული არაა შეძლებული კომლის ბიუჯეტი, უნდა ვივარაუდოთ, რომ „საშუალო შეძლების" ოჯახად ჩვეულებრივ „წარმადი", ე. ი. საერთოდ შეძლებული ოჯახის ბიუჯეტია წარმოდგენილი და ამდენადვე ცხადია, რომ იგი, განსა-

[52] ა. ფ ურ ცე ლ ა ძ ე, „სასოფლო წერილები", წერილი მესამე („გუთ. დედა", 1873 წ. № 16).

ხახელმწიფო გლეხის წლიური ბიუჯეტი (მანეთობით) 1884 — 1885 წ.წ.

ცხრილი № 1

მაზრების დასახელება	საშუალოსი			ღარიბისა და ულარიბესის		
	შემოსავალი	ხარჯი	ნაშთი +—	შემოსავალი	ხარჯი	ნაშთი +—
1. დუშეთის მაზ. (თბ.გუბ.)[53]	477,10	462,55	+14,55	—	—	—
2. თბილისის[54] მაზრა	530,50	489,40	+18,10	—	—	—
3. ალექსანდროპოლის მაზრ. (ერევნ. გუბ.)[55]	418,00	417,56	+1,40	—	—	—
4. ქუთაისის მაზრ.[56]	534,46	565,97	—31,51	—	—	—
5. ბაქოს მაზრა[57]	399,00	397,65	+1,35	—	—	—
6. ნახჩევანის მ. (ერევ.გუბ.)[58]	331,05	270,50	+60,55	—	—	—
7. რაჭის (ქუთ. გუბ.).[59]	588,02	587,86	+0,16	—	—	—
8. ყუბის (ბაქოს გუბ.)[60] ...	255,75	240,31	+15,44	—	—	—
9. ყახახის (განჯის გუბ.)[61].						
რუსი	—	—	—	230,00	260,16	—30,16
სომეხი	—	—	—	167,00	173,30	+7,30
აზერბაიჯანელი	—	—	—	65,50	70,50	—5,50
10. ერევნის[62]	393,71	353,34	+44,37	—	—	—
11. ეჩმიაძინის (სომეხი)[63] .	329,90	320,65	+9,25	—	—	—
12. სურმალოს (აზერბაიჯანელი)[64]	344,70	342,37	+2,33	—	—	—
13. ეჩმიაძინის (ქურთის)[65]	331,75	289,40	+32,35	—	—	—
14. ზანგეზურის (განჯ. გუბ.).[66] სომეხი	433,96	477,59	+43,63	—	—	—
აზერბაიჯანელი	—	—	—	220,90	283,8	—62,90
15. შემახიას მაზ. (ბაქოს გუბ).						
რუსი	470,00	466,00	+4,00	—	—	—
სომეხი	319,65	322,40	—2,75	—	—	—
აზერბაიჯანელი	301,50	297,70	+3,80	—	—	—

[53] МИЭБГКЗК. V, II, 71 — 75.
[54] იქვე, V, I, 278 — 280.
[55] იქვე, I, I, 67 — 76.
[56] იქვე, 265 — 268.
[57] იქვე, 505.
[58] იქვე, 576 — 581.
[59] იქვე, II, I, 107.
[60] იქვე, 210.
[61] იქვე, II, II, 220 — 234.
[62] იქვე, III, 125 — 130.
[63] იქვე, 339 — 346; — ოჯახს ჰქონდა ვალი 130 მან.
[64] იქვე, 346, 353; — ოჯახს ჰქონდა ვალი 180 მან.
[65] იქვე, 353 — 357.
[66] იქვე, IV, I, 125 — 143.

კუთრებით ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, შეგვეძლო არც-კი ჩაგვეთვალა საშუალო შეძლების ტიპიურ კომლად (იხ. ცხრილი № 1, გვ. 840).

ასეთებად ჩვენ მიგვაჩნია, მაგალითად, პირველ ცხრილში, ნახჭევანის და ზანგეზურის მაზრის გლეხთა ბიუჯეტები, რომელთა მიხედვით „საშუალო შეძლების“ კომლს წლის ბოლოს რჩება 6 — 4 თუმანი წმინდა შემოსავალი და მეორე ცხრილში სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბე-ზურაბაანთელი კომლი, რომელსაც 24 თუმანი წმინდა შემოსავალი რჩება. ასეთ „საშუალო შეძლების“ გლეხებს ყოველთვის ჰყავთ ერთი და ხანაც ორი წლიურად დაქირავებული მუშა (მოჯამაგირე), აქვთ არყის სახდელი ქვაბი, ან წისქვილი, ანდა კიდევ ორივე ერთად, ჰყავთ მრავალი მუშა-და პროდუქტიული პირუტყვი და ა. შ.

მეორეს მხრივ, როგორც ვხედავთ, ხშირია შემთხვევა, როდესაც საშუალო შეძლების კომლის ბიუჯეტი დეფიციტურია. შედარებისათვის რომ მოგვეპოვებოდეს სათანადო მონაცემები შემდგომი ათეული წლებისა, აშკარა შეიქნებოდა, რომ ასეთი საშუალო შეძლების კომლთა რაოდენობა სოფელში სულ უფრო იზრდებოდა. ამასთანავე ის გარემოება, რომ ორივე ცხრილში საშუალო შეძლების ოთხი დეფიციტური ბიუჯეტიანი კომლიდან სამი ქუთაისის გუბერნიაზე მოდის, შეიძლება იყოს მაჩვენებელი იმისა, რომ მცირემიწიანობა და, მაშასადამე, საერთოდ გლეხობის გაღარიბების პროცესი აქ უფრო შორს იყო წასული, ვინემ ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში.

ღარიბი და უღარიბესი კომლის ბიუჯეტი, როგორც წესი, დეფიციტურია. მთელს ამიერკავკასიაში არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყოლონისტებს, რომელთა შესახებ სპეციალურად გვექნება მსჯელობა, — რომ ღარიბი და უღარიბესი გლეხის ბიუჯეტი დეფიციტური არ იყოს. დეფიციტის დაფარვა ხდებოდა უმთავრესად საშოვარზე გასვლით. შიგა რუსეთის გლეხობის ბიუჯეტურ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ვ. ლ ე ნ ი ნ მ ა

სახელმწიფო გლეხის წლიური

მაზრის დასახელება	მდიდარი ოჯახი								საშუა		
	ოჯახის სულლობრივი შედგენილობა			ქონება	ბიუჯეტი				ოჯახის შედგენილობა		
	სულ ჩვეულებრივ	ქალ. ბორის	წლიურად დაჭირავ.	საერთო ღირებულება ფულებით	შემოსავალი	ხარჯი	ნაშთი +		სულ ჩვეულებრივ	ბორის	წლიურად დაჭირავ.
							საერთოდ	ოჯახის ერთ სულზე			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
სილნალიხა [67]											
ქართ. (სოფ. ბოდბეურაბაანი)	28	18	8	10.215	8222,5	4433,5	3789,0	135,3	14	6	2
რუს. (ნოვო-ალექსანდროვკა)	7	4	1	4.302	2018,6	1838,6	660,6	84,9	6	3	1
ახალ ბაიაზეთისა [68]											
სომხ. (ს. კულალი)	18	7	3	2048	1353,1	1231,1	122,0	9,4	6	3	1
თბილისისა [69]											
გერმ. (ეკატერინენფელდი)	11	7	2	13562	3702,8	2415,6	1287,2	117,0	7	4	1
ლეჩხუმისა [70]											
ქართ. (ს. ეკვიაში)	11	6	1	1034	632,2	524,2	108,0	9,8	7	4	—
შორაპნისა [71]											
ქართ. (ს. გალმა-კაცი)	20	11	—	1008	616,8	599,8	17,0	0,9	13	6	—
ყაზახისა											
აზერბაიჯ. (ს. ბეზჯალი)	7	4	2	5993	3665,9	3484,9	181,0	25,8	6	4	—

67. МИЭБГКЗК, IV, II, 331—360; სახელმწიფო გლეხის ქონებაში, როგორც წესი, მიწა არ შედის. ის ხაზინისა იყო. წლიური მუშა (მოჯამაგირე) ჩვეულებრივ დამქირავებლის ოჯახში ცხოვრობდა, მისსავე კვებაზე იყო, და ტანისამოსსაც ღებულობდა. ზოგან „წლიურ" მუშას თებერვალ-მარტიდან ნოემბერ-დეკემბრამდე იყვანდნენ.

ბიუჯეტი (მანეთობით) 1884—1885 წ. წ.

ლო შეძლების ოჯახი					ლარიბი და უღარიბესი ოჯახი						
ქონება	ბ ი უ ჯ ე ტ ი				ოჯახის შემადგენ.		ქონება	ბ უ ჯ ე ტ ი			
			ნაშთი + —							ნაშთი — +	
საერთო ღირებულება	შემოსავალი	ხარჯი	საერთოდ	ოჯახის წევრთა სულზე	წევრთა რაოდენობა	ერთ შინის შრომის უნარ.	საერთო ღირებულება	შემოსავალი	ხარჯი	საერთოდ	ოჯახის წევრთა სულზე
13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
1817	1401,0	1250,8	+ 241,1	+ 17,9	4	2	22	186,5	167,4	— 30,9	— 7,7
1444	919,8	877,0	+ 41,4	+ 6,9	6	2	140	260,0	290,0	— 10,0	— 1,7
1788	877,6	266,6	+ 51,0	+ 8,5	5	2	20	40,0	44,0	— 4,9	— 0,08
2090	8930,5	1501,0	+ 646,5	+ 92,6	4	2	1141	693,5	442,9	+ 250,6	+ 62,6
895	268,7	322,6	— 33,9	— 4,8	8	2	247	169,9	190,8	— 20,9	— 2,6
518	335,8	370,6	— 34,8	— 2,5	7	2	121	121,2	135,2	— 14,0	— 2,0
480	255,8	240,8	+ 15,4	+ 2,57	8	8	54	65,5	70,5	— 5,5	1,83

[68] МИЭБГКЗК, IV, II, 1, 350—362.

[69] იქვე, 140—151.

[70] იქვე, 190—198.

[71] იქვე, V, II, 228—237.

დაადგინა, რომ გლეხთა დაბალი ჯგუფების, ე. ი. ღარიბ და უღარიბეს ოჯახთა ბიუჯეტის დეფიციტურობა მოწმობდა უმუშევართა გამრავლებას[72].

ღარიბი და უღარიბესი გლეხობა ადრე შემოდგომიდან გვიან გაზაფხულამდე მიდიოდა დღიურ თუ სეზონურ სამუშაოზე, — როგორც მახლობელ, ისე შორეულ სოფლებსა და ქალაქებში. ხშირად ასეთი კომლიდან ერთი კაცი, ჩვეულებრივ უცოლშვილო ახალგაზრდა, წლიურ ქირაზედაც იყო წასული — სოფლადვე მოჯამაგირედ, ანდა შავ მუშად ქალაქად ფაბრიკა-ქარხნებსა თუ სამთამადნო სარეწავებზე. რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, როდესაც დეფიციტი ვალის აღებით იფარებოდა, სულ უფრო მალე დგებოდა დრო, როდესაც გლეხის კომლი საბოლოოდ უნდა აყრილიყო მამაპაპათა სამკვიდრებელიდან და მოშორებოდა სოფელს. ურბანიზაციის პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება 1890-იანი წლებიდან.

გლეხობის დიფერენციაციის შედეგად გამოიყოფოდა ახალი კლასი — მდიდარ გლეხთა ოჯახებისა, კულაკებისა, სოფლის ბურჟუებისა. ამათი რიცხვი კლებულობდა, მაგრამ მით უფრო იზრდებოდა დარჩენილთა ეკონომიკური და საზოგადოებრივი გავლენა. როგორც მეორე ცხრილიდან ვხედავთ, ასეთი ოჯახები ჩვეულებრივ მრავალწევროვანია და თვით ეს მომენტიც უმნიშვნელო ფაქტორი როდია ამ კომლთა ეკონომიკურ ძლიერებაში. ჩვეულებრივად მათ ყოველთვის ჰყავთ ერთი, ორი, ხანაც სამი წლიურად დაქირავებული მოჯამაგირე და ამათ გარდა შრომატევადი სამუშაოებისათვის და მოსავლის აღების სეზონებში კიდევ დღიურ მუშებსაც ქირაობენ. ასეთი მდიდარი მეკომურები არაიშვიათად ფართოდ დაყენებულ შინამრეწველობასაც ეწეოდნენ; მათ, გარდა სხვებზე ბევრად მეტი სანადელო (სათემო) და კერძო მიწისა, ვენახისა, პირუტყვისა, ქონდათ წისქვილი, არყის სახდელი ქვაბი, დუქანი, ანაბარები საკრედიტო ორგანიზაციებში, მეზობელ გლე-

[72] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 692.

ხებზე გასესხებული ფული, ხორბალი და სხვ. და, ამგვარად, არსებითად, ბატონობდნენ მთელ სოფელში.

ამიერკავკასიელ ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ, ქურთ, რუს გლეხთა ბიუჯეტისგან აშკარად განსხვავდებოდა გერმანელ კოლონისტთა ბიუჯეტი. ეს კოლონისტებიც სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში ირიცხებოდნენ, მაგრამ ცარიზმის ხელისუფლების მხრივ განსაკუთრებული მფარველობის, სისტემატური მორალური და მატერიალური წაქეზების შედეგად თავიანთი პრივილეგიური უფლებრივი და ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობის მეოხებით მკაცრად განსხვავდებოდნენ, როგორც საერთოდ ადგილობრივი გლეხობისაგან, ისე კერძოდ დანარჩენ სახელმწიფო გლეხობისაგანაც: საერთოდ გერმანული კოლონიები ამიერკავკასიაში მთლიანად კულაკურ სოფლებს წარმოადგენდნენ, და ეწეოდნენ გარეშემომდებარე მკვიდრთა სოფლების ღარიბ გლეხთა ექსპლოატაციას.

გერმანელ კოლონისტთა „ღარიბი და უღარიბესი“ კომლის ბიუჯეტი დეფიციტური როდი იყო. პირიქით, მათი „ღარიბი“ კომლი ეკონომიკურად ბევრად უფრო მაღლა იდგა, ვინემ მკვიდრთა ყველაზე წარმადი საშუალო შეძლების ოჯახი და იშვიათად თუ ჩამოუვარდებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა ყველაზე მდიდარ ოჯახებს. მდიდარი გერმანელი გლეხის კომლის წმინდა წლიური შემოსავალი აღწევდა 1300 მანეთამდე, ე. ი. კომლის 1 სულზე 117 მანეთს უდრიდა; კომლის ქონების საერთო ღირებულება კი 13,5 ათას მანეთს აღემატებოდა. საშუალო კომლის წმინდა შემოსავალი 650 მანეთამდე, ანუ 1 სულზე 93 მანეთამდე აღწევდა, ხოლო „ღარიბი“ კომლისა— 250 მანეთს აღემატებოდა, ე. ი. 1 სულზე 63 მანეთამდე აღწევდა. ამგვარად, „ღარიბი“ კოლონისტის ოჯახი, როგორც წესი, ბევრად უფრო შეძლებული იყო, ვინემ მკვიდრი გლეხობის უმდიდრესი კომლი.

ე. ხაგლეხო რეფორმის ეკონომიკური შედეგები

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1860-იანი წლების რეფორმაც იმთავითვე ქმნიდა სოფლის

დიფერენციაციის ეკონომიკურ საფუძვლებს. საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ წვრილ მებატონეთა ყმები სავსებით უმიწოთ იქნენ დატოვებული და თვით სახაზინო გლეხთა მნიშვნელოვან ნაწილსაც ძალიან მცირე ნადელები (საკომლოები) ქონდათ მიცემული. ყმობიდან განთავისუფლებული გლეხობა მიწების გამოსყიდვის მხრივ ძლიერ მძიმე პირობებში იყო ჩაყენებული: გამოსასყიდელი ფასები ძალზე მაღალი იყო. ჯერ კიდევ 1873 წ. ა. ფურცელაძე აღნიშნავდა, რომ გლეხობის ძირითად ფასებს ნადელების შესასყიდათ მხოლოდ ერთადერთი გზა გააჩნიათ: მათ მოუხდებათ ვალად აღება გამოსასყიდელი თანხისა, „რომლისაც გადახდას ძვირად თუ შესძლებს ვინმე, და ამათი ნადელი უნდა დარჩეს მევალეებსაო". აქედან გამომდინარე იგი წინასწარმეტყველებდა: „აქამდის ჩვენი სასიხარულო ის იყო, რომ თითქმის არ გვყვანდა პროლეტარი, მაგრამ ახლა თუ გავიხედეთ კარგათ მომავალში და ჩავაცქერდით იმ გარემოებათა, რომელშიაც ჩვენ თანდათანა ვცვივდებით, ჩვენში პროლეტარი არა და პაუპერიზმიც აუცილებელიაო" [73].

თავის ადგილას უკვე გექონდა საუბარი, რომ ჩვენში გლეხობას თითქმის არ მიუღია სახელმწიფო დახმარება ნადელების გამოსყიდვაში. გლეხობა უმთავრესად საკუთარი ღონისძიებითღა ცდილობდა მიწების შეძენას, რის გამოც ეს პროცესი ძალზე ნელა მიმდინარეობდა და მიწების უდიდესი ნაწილი გამოუსყიდველი, მაშასადამე, „დროებით-ვალდებული" გლეხები კიდევ არსებითად გამუდმებულად ვალდებულნი რჩებოდნენ.

მებატონეები ყოველმხრივ ცდილობდნენ გლეხობისათვის გაეძნელებიათ და თუ უნდოდათ შეუძლებელიც გაეხადათ მიწების გამოსყიდვა. სურებელი (ოზურგეთის მაზრ.) კორესპონდენტი 1883 წ. იტყობინებოდა: „...ათზე მეტი წელიწადია მას აქეთ რაც რამდენიმე კომლი გლეხი ამ საზოგადოებისა

[73] ა. ფურცელაძე, „სასოფლო წერილები", წერილი პირველი („გუთნის დედა", 1873 წ. № 14).

მეცადინეობდნენ თავიანთი მიწაწყლის შესყიდვას მებატონეთაგან და არაერთი და ორი მანეთი დახარჯეს საწყლებმა ამ საქმეზე, სანამ შეეძლოთ და არ გაღატაკდნენ, მაგრამ ვერარას გახდნენ; ე. ი. არ მიეცათ ნება მებატონისაგან მიწების შესყიდვისა", თუმცა ბოლოს გლეხებმა თხოვნით მიმართეს თვით ბათუმის გუბერნატორს სმეკალოვსაც-კიო[74].

ერევნის გუბერნატორი გენ. შალიკაშვილი 1884 წ. აღიარებს, რომ მიწების გამოსყიდვის მიზნით გლეხობა „იძულებულია სესხისათვის მიმართოს კერძო პირებს ანუ, უფრო სწორად, მევახშეებს, სპეკულანტებს და სხვ. მოხვდებიან რა ასეთ პირთა ბადეში, სოფლელნი იშვიათად თუ თავისუფლდებიან ვალებისაგან და იძულებული ხდებიან ნელ-ნელა გადასცენ კრედიტორებს არა მხოლოდ შემოსავალი, არამედ თვით მიწაც დაუთმონ მათ საკუთრებით ანდა გრძელვადიანი იჯარის სახით, და ამ გზით, — ანადგურებენ რა მთელ თავიანთ ოჯახს, — ტვირთად აწვებიან სახელმწიფოს. ამგვარად, რომც არ იყოს მიწის მყიდველი, რომელიც, რასაკვირველია, არ დააყოვნებს მოევლინოს საზოგადოების ყოველი წოდებიდან, სოფლის მოსახლეობის მასის ექსპროპრიაცია მაინც აუცილებელიაო"[75].

1904 წ., ბატონყმობის გაუქმების 40 წლისთავზე, „ყველაფერში ზომიერების მოყვარული" ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავდა: „ტფილისის გუბერნიაში დიდძალი უმრავლესობა გლეხებისა დღესაც გამოუსყიდველია და, მაშასადამე, ბატონყმობის ნაშთი ურთიერთობა არაა მოსპობილიო"[76].

შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ გლეხობის ის ნაწილი, რომელიც მიწის გამოსყიდვისათვის მოახერხებდა სახელმწიფო დახმარების მიღებას, უფრო ადვილად შესძლებდა

---

[74] „დროება", 1883 წ. № 131.

[75] СМЭБГК, V, 1, 27.

[76] ფ. გოგიჩაიშვილი. „ნადელის გამოსყიდვა" („მოამბე", 1904, № 11, გვ. 105—106; იხ. აგრეთვე № 7, გვ. 51).

აეტანა გამოსასყიდელი თანხის გადახდა და, ამგვარად, შეინარჩუნებდა რა ნადელს, გადაიქცეოდა მესაკუთრე გლეხობად. მაგრამ ნამდვილად ბედი არც იმათ უღიმოდა.

სახელმწიფო გადასახადთა ამკრეფი ინსპექტორი, რომელმაც გამოიკვლია სოფ. ნაფარეულის (თელავის მაზრა) გლეხთა მდგომარეობა, იძულებულია აღიაროს, რომ ნადელების გამოსასყიდლად აღებული ვალი და მისი სარგებელი ისე მძიმე ტვირთად აწევს ამ გლეხობას, რომ „ეს ოდესღაც აყვავებული და მდიდარი სოფელი ლამის კვალ-წმინდად ამოწყდეს". აქ „148 კომლიდან, რომელთაც გაჰბედეს მთავრობის დახმარებით შესყიდვა ნადელებისა, 40 კომლი უკვე ამოწყდა. ასეთს კომლობრივს ამოწყვეტას და სიკვდილის სიხშირეს ყოვლად საუბედურო მნიშვნელობა აქვს ნაფარეულელთათვის. ხშირი ავადმყოფობა ძალღონეს აცლის მუშა კაცსა და მუშაობას ბარაქას უკარგავს. საცოდავად გამხდარი და გაყვითლებული სახე ნაფარეულის სოფლის მკვიდრთა მოწმობს, რომ არავითარი პირის პატივი არ არსებობს მათთვის; პირის პატივს კიდევ ვინ ჩივის, კუჭს მაინც იძღობდნენ. 108 კომლში, რომელიც დღეს ნაფარეულშია, 53 კომლი უხაროა და ნახევარზედ მეტმა მიატოვა ხვნა-თესვა და გააპარტახა ვენახები". ასეთს პირობებში ხსენებული ინსპექტორი ურჩევდა სოფლის კრებას, „საჭიროა ვიშუამდგომლოთ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ შეამციროს ნადელების შესყიდვის შესატანი 18 მანეთიდან 12 მანეთამდეო, ესე იგი 6 პროცენტიდან 4 პროცენტზე ჩამოვიდესო" [77].

გლეხობის სულ უფრო მეტი ნაწილი ღატაკდებოდა, ჰკარგავდა მიწას. სანადელო მიწის გამოსყიდვისადმი მისწრაფება გამოუვალ ვალში აგდებდა არა მხოლოდ ყოფილ საბატონო, ე. ი. „დროებით-ვალდებულ" გლეხობას, არამედ სახელმწიფო გლეხებსაც, რომლებიც საბოლოო ანგარიშით იძულებულნი ხდებოდნენ ისევ უკან, ხაზინისათვის, დაებრუნებიათ მიწები, რომელთა გამოსყიდვას ისინი ლამობდნენ.

---

[77] ფ. გოგიჩაიშვილი. „ნადელის გამოსყიდვა" („მოამბე", 1904, № 11, გვ. 108 — 109).

კიდევ ერთი მაგალითი: როგორც ა. ფ რ ო ნ ე ლ ი გადმოგვცემს 1897 წ. სოფ. კონდოლელ გლეხთა რწმუნებულებმა თხოვნა მიართვეს თბილისის საგუბერნიო მთავრობას, რომ: „ზედიზედმა მოუსავლიანმა წელიწადებმა და უამინდობამ ჩვენის სოფლის ხალხი დიდ გაჭირვებასა და სიღატაკეში ჩააგდო; რომ ჩვენი სახნავ-სათესი მამულები მოუხვნელ-მოუთესველი გვრჩება, რადგან საკვების უქონლობამ გაგვიწყვიტა საქონელი; ვენახები — ეს ერთადერთი წყარო ჩვენის არსებობისა — გვიხმება, რადგან სარი მეტად გაძვირდა და შეძლება კი არ მოგვეძებნება შევიძინოთ ხოლმე ეს ვენახისათვის უსაჭიროესი მასალა; ყოველი ამ მიზეზების გამო არ შეგვიძლიან ერთსა და იმავე დროს ვიხადოთ სახელმწიფო ხარჯიცა, საერობო გადასახადიცა და ნადელების შესყიდვაზე დადებულის ვალის თავნ-სარგებელიცა. ამიტომ გ თ ხ ო ვ თ ს რ უ ლ ი ა დ გ ა გ ვ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ო თ ნ ა დ ე ლ ე ბ ი ს ფ უ ლ ი ს ხ დ ი ს ა გ ა ნ დ ა ჩ ვ ე ნ ი გ ა მ ო ს ყ ი დ უ ლ ი მ ა მ უ ლ ე ბ ი ი ს ე ვ ხ ა ზ ი ნ ა ს დ ა უ ბ რ უ ნ ო თ ო“[78].

როგორც ალ. ფრონელი იქვე დასძენს, გლეხების არზა განსახილველად გადაეცა მომრიგებელ შუამავალს, რომელიც, ადგილზე ვითარების გაცნობის შემდეგ, იძულებული იყო ელიარებია, რომ „ჩივილი და დრტვინვა კონდოლელებისა საზოგადოდ სიმართლეს არ არის მოკლებულიო“.

ვ. სოფლის ბოგანო.

ასეთი იყო საერთოდ ის ეკონომიკური პროცესები, რომელთა შედეგად სოფლის გლეხობის ძირითადი მასები სულ უფრო მეტი ზომით ღატაკდებოდა. რეფორმის მერმინდელ პერიოდში სოფლებში უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა სავსებით უმიწაწყლო, უქონებო გლეხები, რომელთაც ე უ ლ ე ბ ს, ბ ო გ ა ნ ო ე ბ ს (გაბოგანოვებულს) უწოდებდნენ.

ს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი ს გამოკვლევით 1880-იანი წლების შუაში, გორის მაზრაში საერთო რიცხვი უმიწაწყლო გლეხებისა, რომელთაც სავსებით არ გააჩნდათ არც სანადელო, არც სახა-

[78] „მოამბე“, 1897 წ. № V; — კურსივი ჩვენია.

ზინო და არც საკუთარი მიწა... უდრიდა 1802 სულს ორივე სქესისა. მათში 1024 მამრ. სქ. იყო. უმიწაწყლო გლეხები შეადგენდნენ მთელი მაზრის მოსახლეობის საერთო რიცხვის 6,74 პროცენტს. „ეულები წარმოიშვნენ უმთავრესად დროებით-ვალდებულ გლეხთაგან, რომელთაც მემამულეებისაგან ნადელები არ მიუღიათ და მიეწერენ სახელმწიფო გლეხთა საზოგადოებებს“, რომელთაგანაც მათ მიწების მიღება „ვერ მოახერხეს“[79].

რა თქმა უნდა, ასეთი ეულები და ბოგანოები სულ უფრო ყოველდღიური მოვლენა ხდებოდა საერთოდ ამიერკავკასიის სოფელში.

1880-იან წლებში მუქი საღებავებით აღწერა ზ. ჭიჭინაძემ სოფლის ბოგანოთა მდგომარეობა: „სოფლის საწყალი კაცი თუ დაეცა, მაშინ შერი მტერი, მისკენ იბრუნებს უკულმართობის ბორბალი. სოფლის ბოგანოსათვის არც სახლია, არც საცხოვრებელი, არც სახლის ავეჯი, არც ლოგინი, არც სხვა რამ სასოფლო საქონელი და იარაღი; ესენი მას წართმეული აქვს მოხელეებისაგან, — მთავრობის ხარჯისა, ფოსტის ფულისა და სხვისათვის. სოფლის ბოგანოსათვის არაფერი არსებობს ამ ქვეყნად, იგი პირქვე დამხობილია და ტყავგამძვრალი მთავრობის სვავებისაგან. სოფლის ბოგანო თუ სუსტიც არის ან ავადმყოფი, მაშინ ვაი მის დღეს. იგი შინ გდია საცოდავად, იგი მშიერია ყოველთვის... საწყალი ბოგანოები მეტად გაჭირვებაში ვარდებიან მაშინ, როცა მათ... სახელმწიფო ხარჯში არბევენ და უკანასკნელ ბატსა და ქათამსაც ართმევენ, სტაცებენ და უკლავენ. თვით მოხელენიც არიან ამ საწყლებზე გამხეცებულნი, გაღორებულნი და უსამართლონი. ტფილისის ახლო-მახლო სოფლებიდან ღატაკნი ტფილისში ეზიდებიან ზაფხულში ტყის ხილს და მცენარეებს და მით შოულობენ მშრალ ჰურის ფასს. ესენი კიდევ ამით მიდიან ოლას. საქმე შორი სოფლებია, მიუვალი, სადაც სიღატაკე მძლავრად სუფევს და ამ სიღატაკეს მთავრობაც უფრო აფართოებსო“ [80].

იმსპროპრიირებული სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც მრეწველობის ცენტრებში მუდმივ სამუშაოს ვერ შოულობდა, წლების განმავლობაში საშოვარზე სისტემატური გასვლის შედეგად ხშირად ფიზიკურად განადგურებული უბ-

---

[79] ЛНЭБГКЗК, VI, 148.

[80] სანდალა. „ამჭრული ეპოქა“, მასალები, 1926, ტფ. I, 119 — 120.

რუნდებოდა თავის სოფელს, „რათა მშობლიურ მიწას მიმატებოდა“.

ზ. წვრილი მიწათმფლობელობის დაშლის პროცესი

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათანობით კარგავდა მიწას. მიწათმფლობელთა უმრავლესობა წვრილი და ფრიად წვრილი მესაკუთრე იყო.

კერძოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 1900-იანი წლების შუახანებში მიწათმფლობელობის მოცულობის მიხედვით მფლობელთა დაჯგუფება შემდეგს სურათს იძლევა (იხ. ცხრილი, გვ. 852) [31].

როგორც ვხედავთ, თბილისის გუბერნიაში თავადაზნაურულ მიწათმფლობელთა 38,85 პროცენტი, სახელდობრ 2.286 „მემამულე“ თვითეულად ფლობდა მხოლოდ 10-მდე დესეტინა მიწას, ხოლო მასში 10,81 პროცენტი ისეთი „მემამულე“ ერია, რომელთაგან ყველაზე „მდიდარს“ 1 სრული დესეტინა მიწაც არ გააჩნდა. ამ მხრივ კიდევ უფრო შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურული მიწათმფლობელები. აქ ამ კატეგორიის მთელ მიწათმფლობელთა 74,32 პროცენტი, სახელდობრ 9.555 მემამულე თვითეულად ფლობდა მხოლოდ... 10-მდე დესეტინას, ხოლო მათში 29,4 პროცენტი კიდევ ისეთი „მემამულე“ ერია, რომელთაგან ყველაზე მდიდრის „სამფლობელო“ 3 დესეტინასაც ვერ აღწევდა. ეს, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, რომ არ იყვნენ მსხვილი მემამულეები. მაგალითად. თბილისის გუბერნიაში 361 მემამულეს, თვითეულს 500 დესეტინაზე მეტი, ხოლო მათში ზოგიერთს 10.000 დესეტინაზე მეტი მიწა ეკუთვნოდა.

---

[31] ქვემოთ მოყვანილი ცხრილები შედგენილია ფ. გოგიჩაიშვილის სტატისტიკური კრებულის მიხედვით — „Сборн. стат. сведений о частном землевладении в Тифл. и Кутаисск. губерниях“, 1910, Тифлис.

დესეტინობით	მფლობელთა რაოდენობა							
	თავადაზნაურული წოდებისა				არათავადაზნაურული წოდებისა			
	თბილისის გუბ.		ქუთაისის გუბ.		თბილისის გუბ.		ქუთაისის გუბ.	
	აბსოლუტური	% %	აბს.	% %	აბს.	% %	აბს.	% %
0—1-მდე	636	10,81	748	5,82	13341	59,65	22742	43,29
1—3-მდე	578	9,82	3033	23,59	4491	20,08	19648	37,40
3—5	449	7,63	2610	20,30	1527	6,82	5579	10,62
5—10	623	10,59	3164	24,61	1124	5,03	3316	6,31
0—10	2286	38,85	9555	74,32	20483	91,58	51285	97,62
10—25	865	14,70	1988	15,46	779	3,48	979	1,86
25—100 „	1373	23,33	931	7,24	595	2,66	226	0,44
100—500	999	16,98	301	2,34	494	1,61	29	0,06
500-ზე მეტი	361	6,14	82	0,64	106	0,47	10	0,02
სულ	5881	100	12837	100	22367	100	52529	100

მაგრამ, როგორც ცხრილი გვიჩვენებს, მართლაც უკიდურესობამდე დაწვრილერთეულებული იყო კერძოდ არათავადაზნაურული მიწათმფლობელობა. თბილისის გუბერნიაში არათავადაზნაურული წოდების მიწათმფლობელთა 79,73 პროცენტი, ე. ი. 17.832 გლეხური კომლის ცალკე საკუთრებაში მყოფი მიწის ნაჭერი არ აღწევდა 3 დესეტინას, ხოლო მათში 59,65 პროცენტს, ე. ი. 13.341 კომლთაგან არავის არ ჰქონდა 1 სრული დესეტინა მიწა. ქუთაისის გუბერნიაში-კი არათავადაზნაურულ მიწათმფლობელთა 80,69 პროცენტის, ე. ი. 42.390 გლეხური კომლიდან ერთის საკუთრებაში მყოფი მიწის ნაჭერი არ აღწევდა სრულ 3 დესეტინას.

მეორეს მხრივ, არათავადაზნაურული მიწათმფლობელობის დანაწილებაში უკვე აშკარად ჩანს კულაკური და ბურჟუაზიული მიწათმფლობელობის გამოყოფა. თბილისის გუბერნიაში 10-დან 100 დესეტინამდე მიწათმფლობელთა რაოდენობა (1374) შეადგენდა უკვე ამ კატეგორიის მიწათმფლობელთა საერთო რაოდენობის 6,14 პროცენტს; ხოლო 100 დესეტინაზე მეტისმფლობელთა (ბურჟუაზიულ მიწისმფლობელთა, მსხვილ ფერმერთა) რაოდენობა (510) აღწევს მფლობელთა საერთო რაოდენრბის 2,18 პროცენტს.

ქუთაისის გუბერნიისათვის ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ აქ კულაკური (წვრილბურჟუაზიული) მეურნეობისათვის; ადგილობრივი ბუნებრივ-ისტორიული პირობების შესაბამისად, საკმარისი იყო უკვე არა 10 დესეტინაზე, არამედ დაახლოებით 5 დესეტინაზე მეტი მიწა. ხოლო ამ გუბერნიაში 5-დან 25 დესეტინამდე მიწათმფლობელთა რაოდენობა (4295) შეადგენდა ამ კატეგორიის მიწათმფლობელთა 8,17 პროცენტს. 25 დესეტინაზე მეტისმფლობელთა რაოდენობა-კი (265) აქ შედარებით მცირე იყო და შეადგენდა საერთო რაოდენობის მხოლოდ 0,52 პროცენტს.

არანაკლებ საინტერესო სურათს იძლევა თვით მიწის საერთო ფართობის დაჯგუფება მფლობელობის სიდიდის კატეგორიათა მიხედვით (იხ. ცხრილი, გვ. 854).

მოცემული ცხრილის ზემომოყვანილთან შედარებით ახლა ვხედავთ, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურული წოდების მფლობელთა 38,85 პროცენტს (10 დესეტინამდე მიწისმფლობელთ) ეკუთვნოდა შესაბამისი მიწების მხოლოდ 0,83 პროცენტი. ხოლო ამავე კატეგორიის ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურულ მფლობელთა 74,32 პროცენტს-კი — 8,04 პროცენტი. მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში ბევრად უფრო საინტერესოა არათავადაზნაურული წოდების მიწათმფლობელთა ხელში თავმოყრილი მიწები. ამ ცხრილის ზემოთ მოყვანილთან შედარებიდან ჩანს, რომ თბილისის გუბერნიის არათავადაზნაურულ მიწათმფლობელთა 79,73 პროცენტს (3-დე-

მფლობელობის სიდიდის კატეგორიები (დესეტინობით)	ეკუთვნოდა მიწის ფართობი დესეტინობით							
	თავადაზნაურული წოდების მესაკუთრეებს				არათავადაზნაურული წოდების მესაკუთრეებს			
	თბილისის გუბ.		ქუთაისის გუბ.		თბილისის გუბ.		ქუთაისის გუბ.	
	აბს.	% %	აბს.	% %	აბს.	% %	აბს.	% %
0—1-მდე	359	0,04	473	0,10	5579	1,90	12879	8,98
1—3	1205	0,12	6291	1,27	8403	2,86	36723	25,62
3—5	1850	0,19	10441	2,11	6078	2,07	21733	15,16
5—10 „	4728	0,48	22548	4,56	7812	2,66	22574	15,75
0—10 „	8142	0,83	39753	8,04	27872	9,59	93909	65,51
10—25 „	14550	1,47	31122	6,29	12216	4,16	14278	9,96
25—100 „	74354	7,49	43729	8,83	29990	10,22	10834	7,55
100—500 „	219398	22,11	62975	12,72	92304	31,44	5397	3,77
500-ზე მეტი	675772	68,11	317546	64,12	131150	44,69	18931	13,21
სულ	992216	100	495125	100	293532	100	143349	100

სეტინამდე მიწის მესაკუთრეთ) ეპირათ მთელი შესაბამისი მიწების მხოლოდ 4,76 პროცენტი; ქუთაისის გუბერნიის მფლობელთა 80,69 პროცენტს-კი — მიწის 34,6 პროცენტი. ამგვარად, ღარიბ და უღარიბეს გლეხობას, რომლებიც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ, ფრიად მცირე მიწები ეკუთვნოდათ.

გლეხობის ძირითადი მასების გაღატაკების პარალელურად ყალიბდებოდა სოფლის შეძლებული გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიის ფენა — კულაკობა. თბილისის გუბერნიაში მფლობელთა (10-დან 100-მდე დეს.) 14 პროცენტის ხელში იყო არათავადაზნაურული წოდების მიწათმფლობელობის

მთელი ფართობის 14,38%, ხოლო 100 დესეტინაზე მეტის-მფლობელებს-კი (მფლობელთა 2,27%) ეკუთვნოდათ — 76,13%. ქუთაისის გუბერნიაში 5-დან 25-დე დესეტინის მფლობელთა (8,17%) საკუთრებას შეადგენდა მთელი ფართობის 25,71%, ხოლო 25 დეს. მეტისმფლობელების (0,52%) ხელში იყო მთელი ფართობის 24,53%. უკანასკნელი მონაცემები იმასაც ნათელყოფენ, რომ ქუთაისის გუბერნიაში წვრილი მიწათმფლობელობა ბატონობდა, ხოლო თბილისის გუბერნიაში კი, როგორც თავადაზნაურული წოდების, ისე ამ კატეგორიის მიწების უდიდესი ნაწილი თავმოყრილი იყო შედარებით მსხვილ მიწათმფლობელთა ხელში.

მსხვილ მიწათმფლობელთა, მემამულეთა და კულაკობის ნაწილი ცდილობდა მიწათმოქმედებაში შემოეღო გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები, გაეჩინა ჯიშიანი პირუტყვი, გაეშენებია რენტაბელურ სპეც.-ტექნიკურ კულტურათა პლანტაციები და საერთოდ სავაჭრო მიწათმოქმედებაში შეეტანა განვითარებული კაპიტალისტური წარმოების ატრიბუტები. თუ რამდენად ახერხებდა ბურჟუაზიული მეწარმეობა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში ამის განხორციელებას, ამას ჩვენ დავინახავთ სავაჭრო მიწათმოქმედების განხილვისას.

* * *

მე-19 ს. 80-იანი წლებიდან საქონლური მეურნეობის განვითარების კვალდაკვალ ამიერკავკასიის გლეხური მეურნეობა მთლიანად ჩაითრევა ბაზრის ორომტრიალში. ბაზრის გარეშე გლეხს არ შეუძლია დაიკმაყოფილოს არც პირადი, ოჯახური და არც მეურნეობრივი მოთხოვნილებები. ბეგარა-გამოსაღებთა, იჯარის ქირისა და სხვ. ფულზე გადაყვანამ ის უკვე მჭიდროდ დაუკავშირა ბაზარს.

ამ დროიდან გლეხთა დიფერენციაცია, — და, ცხადია, არა მხოლოდ უბრალოდ ქონებრივი უთანაბრობის განვითარების სახით, არამედ საერთოდ ძველებური გლეხობის სავსებით დაშლისადამათს ადგილასსულ

ახალი ტიპის სოფლის მოსახლეობის გაჩენა-ჩამოყალიბების სახით, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ხოლო სოფლის მოსახლეობის ახალ ტიპებს წარმოადგენდნენ კაპიტალისტური წარმოების წესის დამახასიათებელი საზოგადოებრივი კლასები:[82] 1. სოფლის (უპირატესად წვრილი) ბურჟუაზია, და 2. სოფლის პროლეტარიატი.

ორივე ტიპის საერთო დამახასიათებელი ნიშანია მეურნეობის საქონლური, ფულადი ხასიათი. სოფლის ბურჟუაზია, შეძლებული გლეხობა წარმართავს დამოუკიდებელ მეურნეობას, იგი საქონელმწარმოებელია, ეწევა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას, აწყობს წვრილ მრეწველურ (უპირატესად შინამრეწველურ) სარეწებს[83], თავისუფალ ფულს „ასაქმებს" მევახშეობასა და ვაჭრობაში, გამოდის როგორც შემსყიდველი და ა. შ.

---

[82] იმისდა მიხედვით რაც ვითარდება კაპიტალისტური წარმოების წესი და, მაშასადამე, ირღვევა ბატონყმური ურთიერთობანი, ფეოდალიზმის დამახასიათებელი წოდებრივი წყობილების ადგილას ჩნდება კლასობრივი წყობილება.

ეს უწინარეს ყოვლისა აისახება, ერთი მხრით, თანდათანობითს უგულებელყოფაში (იგნორაციაში) მემკვიდრეობითი, იურიდიული პრივილეგიებისა, ე. წ. „ბრწყინვალე" ან „კეთილშობილთა" წოდებისა და საერთოდ განსხვავებულობათა, გრადაციებისა, რაც ფეოდალურ (ბატონყმურ) იერარქიულობას ახასიათებს და ამ საზოგადოების წარმოებრივ ურთიერთობათა ნიშანდობლივ თავისებურებას შეადგენს და, მეორე მხრით, როგორც მატერიალურ დოვლათთა წარმოების პროცესში, ასევე საერთოდაც, ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულების მხოლოდ მათი ფაქტიური პირობების, ე. ი. ქონებრივი (კლასობრივი) მდგომარეობის (და არა შთამომავლობის) და, ამდენადვე, იურიდიული (პიროვნული, უფლებრივი) თანასწორობის საფუძველზე დადგინებაში.

თავისთავად ცხადია, რომ წოდებრივი (ფეოდალური) საზოგადოება ისევე კლასობრივია, როგორც ბურჟუაზიული. წოდებრივობა საბოლოო ინსტანციაში სხვა არაფერია, თუ არა კლასობრივი განსხვავებულობის ერთ-ერთი ფორმა. მაგრამ მკაცრად, მეცნიერული სიზუსტით თუ განვსჯით, ფეოდალური საზოგადოება წოდებრივია, კაპიტალისტური კი — კლასობრივი.

[83] პ. გუგუშვილი, „შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში" (ეკონ. ინსტ. შრომები, IV, გვ. 49 — 114).

სოფლის პროლეტარიატი, სოფლის მოჯამაგირეები ჰქმნიან სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშათა კლასს, ამათი მნიშვნელოვანი ნაწილი სავსებით გაბოგანოვებულია, უმიწაწყლოა, მაგრამ უდიდეს ნაწილს გააჩნია მცირეოდენი სანადელო ანდა „საკუთარი“ მიწა, თუმცა არ შეუძლია იარსებოს საშოვარზე გასვლის, საკუთარი მუშაძალის გაქირავების გარეშე, ის იძულებულია ხელი მოკიდოს ყოველგვარ „უჯიათ“ სამუშაოს. მას უმეტესწილად არ ყავს გამწევი ძალა. მისი მოთხოვნილებები მინიმუმამდეა შეკვეცილი.

ამ ორ ტიპს შუა იდგა მრავალრიცხოვანი საშუალო გლეხობა. იგი დღედაღამეს ასწორებდა და მონატრული იყო, რათა „ძველი პური, ძველი ღვინო წლით-წლობამდე გაყოლოდა“, მაგრამ „რაც დრო გადის, ძველებურად სულ არ გადის“; იგი შეუმჩნევლად ღარიბდება, მის მეურნეობას ანადგურებს გვალვიანი თუ ჭყვიჟორიანი წელი, პირუტყვის დაცემა, ავადმყოფობა და სხვ. სოფლად ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების პროცესში საშუალო გლეხობის დიდი ნაწილი კულაკების, მევახშეების კლანჭებში ვარდება.

გლეხობის სოციალურ დიფერენციაციას მოსდევს შინაგანი ბაზრის წარმოქმნა. ბეგარა-გამოსაღებთა კომუტაციამ გააძლიერა გლეხური მეურნეობის პროდუქტთა ბაზარზე გატანა. მერმე გლეხობის ძირითადი მასა იძულებული ხდება სულ უფრო შეკვეცოს საკუთარი მოთხოვნილება და ეტი „ნამეტი“ გაიტანოს ბაზარზე, მაშასადამე, აქციოს საქონლად. ღარიბმა გლეხობამ უნდა „დაითმინოს“, საუკეთესო პროდუქტები გასაყიდად გაიტანოს, თვითონ პირადად კი მდარე და უარესი მოიხმაროს. ის შუა-ღვინოზე ანუ „ნაქაჩზე“ უნდა გადავიდეს, თვითონ ლობიო უნდა ჭამოს, ხოლო კვერცხი, ყველი და ერბო კი — გაყიდოს. შეძლებული გლეხობა ბაზარზე ყიდულობს წარმოების საშუალებებს, ე. ი. აქ გამოდის როგორც მწარმოებლური მომხმარებელი და, ამასთანავე, იძენს საგნებს პირადი მოხმარებისა, რაც შეიძლება სულ ფართოვდებოდეს.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიაში გლეხობის დიფერენციის განვითარებას აბრკოლებდა ბატონყმურ ურთიერთობათა გადანაშთები; მაგალითად, შრომამიგებითი სისტემა, რაც დამყარებული იყო შრომის ნატურალურ საზღაურზე და ამდენადვე საადგილმამულო ურთიერთობაში, საერთოდ მიწათმოქმედებაში, აფერხებდა ფულადი, საქონლური მეურნეობის განვითარებას; — აგრეთვე სავახშო და სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება, რაც ამაგრებდა სოფლის მედუქნის მონოპოლიურ მდგომარეობას, ხელს უშლიდა სოფლის ქალაქთან დაახლოებას და კაპიტალისტური, სახელდობრ ჰიპოტეკური კრედიტის განვითარებას, რაც აქ უპირატესად თავადაზნაურული და საგლეხო ბანკების სახით შემოიჭრა.

4. სოფლის მმართველობა

სოფლის ძირითადი მასა, გლეხობა, რომელსაც კანონმდებლობით ვითომ ქონდა თვითმმართველობის ზოგიერთი უფლებები, სინამდვილეში ყოვლად უუფლებო მოსახლეობას წარმოადგენდა. სოფლის თემების (საზოგადოებათა) გამგებლობის ორგანიზაციას სავსებით დაკარგული ჰქონდა თვითმმართველობის ელემენტებიც-კი. რეფორმის მერმე ამიერკავკასიის სოფელთა გამგებლობა ისე იქნა ორგანიზებული, რომ იგი შეიცავდა როგორც თემის, ისე სოფლის მმართველობის ფუნქციებს.

დებულებით სოფლის თვითმმართველობას არ ემორჩილებოდა სოფლადვე მცხოვრები პრივილეგიური წოდების მოსახლეობა: თავადაზნაურობა, სასულიერო წოდება (მღვდელი და დიაკვანიც-კი), აგრეთვე სოფელი ვაჭარი, მოქალაქე და მემამულის შინამოსამსახურეც-კი. სოფლის მამასახლისსა და სასამართლოს „ხელი მიუწვდება მარტო გლეხკაცზედ. თუ გლეხმა დააშავა რამე, წაუხდინა რამ ვისმე, ან პირობა არ აუსრულა, ყველას, სოფელში მცხოვრებს: თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს ნება აქვთ იქავ, თვალწინ,

უხარჯოდ, მოუცდენლად, სოფლის სასამართლოს შემწეობით, გადაახდევინოს გლეხს სასჯელი, თუ საზღაური; და თუ არა-გლეხმა გლეხს დაუშავა რამე, წაუხდინა, პირობა არ აუსრულა, საწყალი გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოცდაათს ვერსტზედ გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიჰმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში დაჰკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს, მერე კიდევ დაიბარონ, კიდევ მოსცდეს რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში, ჭამა-სმაში ტყუილ-უბრალოდ ხარჯი გასწიოს. ეს ყველა იმისთანა მძიმე რამ არის, რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თავისი დაჩაგვრა არა-გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზე, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის ისე მიუწვდომელია — როცა დიდი სჩაგრავს, გული აიყაროს თავის სამმართველოზედაც, რომელიც უღონოა დიდის წინაშე... რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას არ იღებს უღონობით, როცა გლეხს უპატიურად ხდის არა-გლეხი, და როცა კი არა-გლეხს უპატიურება მიადგება გლეხისაგან — მაშინ კი ძალასა და ღონეს იჩენს?“ [1] — ასე ახასიათებდა სოფლის თვითმმართველობას ჯერ კიდევ 1877 წელს ისეთი ავტორიტეტული პიროვნება, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძე იქვე აცხადებს, რომ ეს „სოფლის თვითმართველობითი წყობა წარმომადგენელია მარტო ერთის წოდებისა და არა მთელის სოფლის საზოგადოებისა“, რომ „თვითმართველობა შეიქმნა მხოლოდ ორღანოდ, რომელმაც ასრულებაში უნდა მოიყვანოს ყოველი ბრძანება უმაღლესი მთავრობისა, აბეგროს ხალხი, ხარჯი ახდევინოს და სხვა ამგვარი, ესე იგი, რაც გლეხკაცს სამძიმოდ მიაჩნია, იმაში ძალა უნდა დაატანოს... ამის გამო... სოფლის სამმართველო გლეხკაცს მარტო მაზრის უფროსის ჯოხად მიაჩნია, რომელიც დღემუდამ მის სახლის დირეზედ მიყუდებულია... ამიტომაც... გლეხკაცს... თავის სამმართველოს მოხელე კაცი, და თვითონ კანონიც, მისთვის ჰგონია მოგონილი, რომ მარტო მე მადინოს ცხვირში ძმარიო, როცა დავაშავებო, ან როცა სახელმწიფო სამსახურზედ უკან დავიწევო, რადგანაც არც მოხელე და არც კანონი მოსარჩლედ და მფარველად არ გამოსჩენია... ამიტომაც იგი გულგრილად ეკიდება მოხე-

[1] ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, VIII, 64 — 65.

ლეთა არჩევანის საქმეს: მისთვის სულ ერთია, პეპია იქნება თუ დათუნა... სიკეთისათვის ხომ ასე ფრთამოკვეცილია ჩვენის სოფლის თვითმართველობა, ბოროტებისათვის-კი ფართო გზა აქვს; თუ ვინიცობაა, სოფლის მოხელეთა, მაგალითებრ — მამასახლისთა, ნაცვალთა და მოსამართლეებმა ვნება რომ მიაყენეს სოფლის მცხოვრებსა, აშკარად უკანონობა გაუწიეს სოფელს, საზოგადოდ, ანუ თვითოეულს მცხოვრებს ცალკედ, ვნებულს ნება არა აქვს... საზოგადო სამართლის წინაშე იძიოს თავისი დანაკლისი, ნება არა აქვს საზოგადო სამართლით სდევნოს დამნაშავეს და ბოროტმოქმედს მოხელესა... ყოველი საჩივარი ამგვარებში უნდა მიიმართოს მაზრის უფროსისადმი... სოფლის მოსამართლეებს-კი სამართალში აძლევს მარტო გუბერნატორი, ისიც მაზრის უფროსის წარდგენითა... სოფელი არ არის, რომ არ უჩიოდეს მოხელეთა ავკაცობას, მაგრამ აბა ბევრი მაგალითია, რომ მოხელე სამართალში იყოს მიცემული? ამიტომაც პასუხისმგებლობა სოფლის მოხელეთა თითქმის სრულიად გაუქმებულია". ყოველივე ამის გამო ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს შეეძლო შემდეგი დასკვნა გაეკეთებია: „ჩვენის სოფლის თვითმართველობას ოთხიდამ სამი უმთავრესი საფუძველი თვითმართველობისა აკლია: 1. ხმა და არჩევნის უფლება უნდა მინიჭებული ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებს, — და არა აქვს; 2. ადგილობრივ სამმართველოს ყოველისფერში ყველანი უნდა ექვემდებარებოდნენ, ვინც კი მის წრეშია, — და არ ექვემდებარებიან; 3. ყოველივე მოხელე პასუხისმგებელი უნდა იყოს ყოველის წინაშე ვისაც რასმე დაუშავებს, და უნდა იდევნებოდეს საზოგადო სამართლით, — და არ იდევნება"... ამის გამო ჩვენის სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა-მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს" [2].

ასეთმა ვითარებამ გლეხობა ადრე თუ გვიან მიაჩვია იმ გარემოებას, რომ სამართალი მისთვის მიუწვდომელი რამაა და ცხოვრებამ მათში დაჰბადა ანდაზა: „აჰყე, აჰყე სიმართლესა, გამოგილევს სინათლესაო". ა. ფ უ რ ცე ლ ა ძ ე ს მოჰყავს ცნობები, სახელდობრ გაანგარიშება, თვით სოფლის მამასახლისისაგან გაკეთებული, საიდანაც ჩანს, რომ „სოფელს ისე სახელმწიფო დებულება (სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები) არ ამძიმებს, როგორც შენახვა ადგილობრივი მმართველობისა და სამოსამართლო მომსახურეთა და მოხელეთა" [3].

---

[2] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, VIII, 67 — 69.

[3] ა. ფ უ რ ცე ლ ა ძ ე, „სასოფლო წერილები", წერილი მეორე („გუთნის დედა". 1873 წ. № 15).

ი ვ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, 1883 წ. აღნიშნავდა, რომ „მამასახლის-სუდიები შეიქმნენ ნამდვილ სოფლის სენად; ისინი უსინდისოდ ჰყვლეფენ და, მეტი არ იქნება ვსთქვათ, ანიავებენ სოფლებს. უმეტესი ნაწილი სოფლის მდივნები... ერთს ნახევარ თუნგ ღვინოზედ რაც გნებავთ, იმას გადაგიწყვეტენ. სოფლის მოხელეების ზნეობითი სიმდაბლე და მექრთამეობა ყველასათვის ცხადია. თუმცა მამასახლისი მდივნების საქმეში არ უნდა ერეოდეს, მაგრამ ის ყოველთვის თავმჯდომარეობს: ის ღილიდგანვე კანცელარიასთან შეყრილს ხალხში კერატივით ტრიალებს, ჰყვირის, იგინება, იფურთხება და ტყემლის წითელ ჯოხსაც ხანდახან ამუშავებს“ [4]. რამოდენიმე დღის შემდეგ იგივე ავტორი აგრძელებდა: სოფელმა როგორ გაუბედოს წინააღმდეგობა იმისთანა პირს, რომლის ხელშიც არის „მთელი სოფლის ბედი და უბედობა? თუ უჩივლოს, სად იჩივლოს და ვისთან? ჩივილსაც გზა და კვალის ცოდნა უნდა და აუარებელი დრო. გლეხკაცობაც შერიგებია თავის ბედს და ვიზედაც უფროსი (ბოქაული) მიუთითებს, ის უნდა ამოირჩიოს“ მამასახლისად [5].

სოფლისათვის მთელ უბედურებას წარმოადგენდა მაზრის ხელისუფალთაგან რაიმე ბრძანებით მოვლენილი ჩაფრის გამასპინძლებაც-კი. ე. კ ო ნ დ რ ა ტ ე ნ კ ო ს. გურჯაანის მაგალითზე წერდა (1880 წ.): ასეთი, აუცილებლად წითელ ბაშლაყიანი, ჩაფარის გამოჩენისთანავე სოფლის მთელი ადმინისტრაცია კუდამოსკენილი დარბის სოფლად. ერთი ოჯახიდან მიყავთ ქათამი, რასაც თან მიყვება პატრონისაგან წყევლა-კრულვა, მეორედან მიაქვთ ყველი, მესამედან — ღვინო და ა. შ. ამავე დროს იმდენი, რომ საკმარისი იყოს ჩაფრის არა მხოლოდ აქ გამასპინძლებისათვის, არამედ საგზლად ფასატანებლადაც და აგრეთვე სოფლის გზირსაც საკმაოდ ხვდეს. „გზირები ნამდვილი ბატონები არიან სოფლისა, რომელსაც, მამასახლისის მხარდაჭერით, ისინი ყოველად უცერემონიოდ ეპყრობიან“ [6].

სოფლის მართველობის ხარჯები ზოგან მეტისმეტად მძიმე იყო. სოფელი ინახავდა მამასახლისს, მის თანაშემწეებს (რომლებიც როგორც წესი, გამოსაღებთა ამკრებლებიც იყვნენ), გზირებს. ამათ უხდიდნენ ნატურით (ხორბლისა და სხვ. სახით), ანდა ფულადი სარგო ჰქონდათ დანიშნული. ხშირად სოფელი ამ პირთ „არაფერს არ უხდიდა“ და მაშინ ისინი თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო გამოსაღებთა და ბეგარათა გადახდისაგან, ე. ი. მათს წილს იხდიდა მთელი სოფელი.

---

[4] გაზ. „დროება“, 1883 წ. № 105, მოწინავე.
[5] გაზ. „დროება“, 1883 წ. № 110, მოწინავე.
[6] ССОК, 1880 г., VII, 420.

სოფელს ყავდა აგრეთვე: მეველე, მწყემსი, დალაქი, მჭედელი, მერუე (აღმ. ამიერკავკასიაში) და სხვ. მართალია, ზოგიერთ სოფელში — მცირემიწიანობის, მიწათდაქსაქსულობისა და სხვ. მეოხებით — „საჭირო არ იყო“ მწყემსი და მეველე [7], გლეხის ოჯახი თვითონვე უვლიდა თავის პირუტყვსა და ყანას, მაგრამ ეს გარემოება, ცხადია, არ იყო ნიშანი იმისი ეკონომიკური მდგომარეობის სიმტკიცისა. სოფლის ამ მოხელეების შენახვა ჩვეულებრივ ძვირად უჯდებოდა გლეხობას. საკმარისია აღინიშნოს, თუნდაც მხოლოდ მერუეს ფუნქციების ბოროტად გამოყენების დიდი შესაძლებლობანი [8].

არამცირედი ტვირთი იყო ხ უ ც ე ს ი ს შ ე ნ ა ხ ვ ა. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის რუსულ სოფლებში, გერმანელთა კოლონიებსა და ოსების სოფლებში მოსახლეობა ხუცებს არაფერს არ უხდიდა. ამათი ხუცები ხელფასს ხაზინიდან ღებულობდნენ. ადგილობრივ მკვიდრთა სოფლები-კი თვითონ ინახავდნენ ხუცესს, რომელსაც 1890-იანი წლების გასვლამდე მაინც უფრო ნატურით (ხორბალს, ქერს, ქათამს და სხვ.), ხოლო შემდეგ უფრო ფულით უხდიდნენ სარგოს. ხუცესი ამას გარდა იღებდა, როგორც ერთგვარ სპეციალურ გასამრჯელოს საქორწილოს, სააღაპოს, სააღსარებოს, საპანაშვიდოს და სხვ. ხუცესი ხშირად ერეოდა გლეხის ოჯახურ საქმეებში. აღსარების მეოხებით მას ხელი მიუწვდებოდა ოჯახის თითქმის ყოველგვარი საიდუმლო და საჭოჭმანო მომენტისადმი. ხუცესი შუამდგომლობდა, ერთის მხრივ, გლეხებსა და, მეორეს მხრივ, ადმინისტრაციასა თუ მემამულეს შორის, და თვით გლეხებს შორის სადავო საკითხების გადაჭრაში; იგი ხშირად გამოდიოდა როგორც მოსამართლე და საერთოდ დიდ როლს თამაშობდა სოფლის ცხოვრებაში.

ერთის მხრივ ბოქაული, მამასახლისი, ხუცესი და მეორეს მხრივ მებატონე თუ მემამულე მთლიანად იმორჩილებენ სოფლის მოხელეებს. ზოგიერთ სოფელში მარტო ერთი

---

[7] МИЭБГКЗК. VI. 242.

[8] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „ირიგაცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (თსუ შრომები. XXVII. 1946. გვ. 46—49).

შემამულეა გაბატონებული და „თვითმართველობა მთლიანად მის ხელთ არის". ხშირად ძლიერ მებატონეს ბოქაულიც ვერ ეურჩება „და ძალაუნებურად ემორჩილება" [9]. ყოველივე ამის გამო „სოფლის მოხელე დამფრთხალია, შეშინებული, დაუცველი პიროვნულ ღირსების შეურაცყოფისაგან. ამისთვისაც იგი მოკლებულია ყოველგვარ თაოსნობას და მოძრაობს მხოლოდ შიშის ძალით... ამისათვისაც სოფელს განაგებენ ისეთნი პირნი, რომელნიც მიხდილნი არიან... გონიერულის თავმოყვარეობას" და მიდრეკილნი მექრთამეობა-ღორმუცელობისადმი [10].

ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, სავსებით ბუნებრივად მოჩანს საჩხერელი კორესპონდენტის სიტყვები: „...ზოგიერთი ჩვენებური აზნაურნი არ ჰკადრებენ თავიანთ კეთილშობილებას ყანების დათესვას (მზისაგან დაწვისა ეშინიათ)... ადგებიან... შევლენ გლეხებისაგან შემუშავებულ ყანებში, მომკიან და წაიღებენ თავიანთ სახლში. იქნება მკითხველს ეგონოს მებატონეებზედ ვამბობდე? მებატონეებისაგან თავის ნაყმევის პურის მომკა და შინ წაღება ჩვენში ჩვეულებრივია... ადგება ერთი ან რამდენიმე აზნაური, შემოიკრავს ხანჯალს, ხმალს, წელში გაირჭობს რევოლვერს, მიდის კვირა საღამოს, ან ღამით გლეხის ყანაში, მკის პურს, მიაქვს სახლში... შიმშილით შეწუხებული გლეხები ხშირად აკვლენ თავს ან ელახვინებიან". ქვემოთ მოყვანილია რამოდენიმე კონკრეტული მაგალითი სოფლელ ზოდელ და მერეველ აზნაურთაგან ამგვარი მტაცებლობისა [11].

სოფლის თემის თვითმართველობა კიდევ უფრო აუტანელი და მძიმე ტვირთი შეიქმნა გლეხობისათვის შემდგომს ათეულ წლებში: სახელდობრ იმისდამიხედვით, რაც უფრო შორს მიდიოდა სოფლის დიფერენციაცია და მკაცრდებოდა ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკა განაპირა ქვეყნებში. ამგვარად, როგორც შიგა რუსეთის გუბერნიებში, ისე — ცხადია, კიდევ უფრო სასტიკ და მკაცრ სახეებში—აქაც თემის გამგებლობა ფისკალურ და პოლიტიკურ კანცელარიად გადაიქცა. ამ კანცელარიის პირდაპირი დანიშნულება იყო სოფლიდან

---

[9] ნ. ურბნელი, „შენიშვნა სოფლის თვითმართველობაზე" („დროება". 1883 წ. № 162).

[10] „დროება", 1883 წ. № 163.

[11] „დროება", 1883 წ., № 148;

სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებთა გამოქაჩვა და გლეხობის როგორც სახელმწიფოს, ისე მემამულეთა, კულაკთა და მევახშეთა მიმართ მორჩილებაში ყოლა, და არა გლეხური მეურნეობისათვის (მორწყვა, მიწების გამიჯვნა, ურთიერთ-დახმარება და სხ.) ზრუნვა.

აი, რას წერდა 1893 წელს სოფლის ცხოვრების ერთ-ერთი დამკვირვებელი: „ვისაც ამ თხუთმეტი წლის წინად ჩვენი სოფლისათვის თვალყური უდევნებია, იმას ეხსომება, როგორ ბეჯითად დადიოდა ყოველი გლეხი ყრილობაზედ, როგორი ხმაურობა ისმოდა იმ ყრილობებში. იქ ვისიმე მიწოდება საჭირო არ იყო. უქმე დღეს ყველა ყრილობისათვის ემზადებოდა, რომ იქ სასოფლო საქმეს თავის ჭკუის ძალით შესწევდა... მაშინდელი ყრილობა ქუხდა სოფლის ნამდვილ საქმეებზედ, მეურნეობაზედ ზრუნვის გამო. იქ გესმოდათ დალაგებული სჯა ანეულის ხვნის ვადაზედ, ფარცხების გატანაზედ, სიმინდის საპრელად გასვლაზედ, სათიბის შეკვრის და გახსნის ვადაზედ, საქონლის საძოვარ იალაღებზედ, გზებზედ, არხებზედ, ბოგირებზედ, ვენახის შესახებ საქმეებზედ, საღმრთოებზედ, ქვრივ-ობოლთ ხელწაშველებაზედ, „გათრეულას“ მათთვის იაფად დათმობაზედ და სხვადასხვა... ამიტომ ასეთ ყრილობაზე ლაპარაკი ყველა გლეხისათვის გასაგები იყო. ახლა კი სრულიად სხვასა ვხედავთ: გლეხი, მეტადრე რიგიანი მხვნელ-მთესველი, ძალიან ერიდება და გაურბის აწინდელ ყრილობას... დღეს ყრილობაზედ ანგარიშს დუქნისას და ურიადნიკულ სკოლაში გაქნილ კაცებსა აქვთ ალაგი; იმ გლეხთა, რომელთაც მინდვრისა არა სწამთრა და ყოველ ცისმარე დღეს აღამებენ დუქნებში, კანცელარიებში, საპრისტავოებში, საჩაფროებში... აწინდელ ყრილობაზედ ლაპარაკიც მარტო ამგვარი ხალხისათვის არის გასაგები და ყოველივე განაჩენი ამათი მეცადინეობითა დგება... იმიტომაც ახლა უცნაურ განაჩენებს შეხვდებით: „რადგან ჩვენი დიდებული ვაჭარი არუთინა ხალხის ძაან შემბრალებელია და იაფად ჰყიდის ღვინოს, არაყს, საპონს, იმიტომ პრიტავს ეთხოვოს შუამავლობა მენდლით დააჯილდოვონო“, ამბობს სოფლის აწინდელი განაჩენი; — „რადგან ჩვენი პრიტავი და მამასახლისი ძაან არიან ქვეყნისთვის მარგებელნი, იმიტომ მარმარილოს ფიცრებზედ ამოიჭრას ამათი სახელი და კანცელარიას მიეკრასო“, წავიკითხე ამ ორი კვირის წინად ერთ სოფლის ყრილობის განაჩენში!.. ხვნა-თესვის, მეურნეობის შესახებ არა რაიმე არ იწერება. ასე, როდესაც მეურნეობას საერთო მზრუნველობა მოაკლდა, დაქვეითებაც დაეტყო“[12].

---

[12] შ. გულისაშვილი, „ერთი მიზეზთაგანი ჩვენებურ სოფლებში მეურნეობის დაცემისა“ („კვალი“, 1893 წ. № 14, გვ. 6).

*
* *

სოფლის მმართველობა ამიერკავკასიაში ორგანიზებული იყო შიგა რუსეთის გუბერნიებში არსებული ანალოგიური-ინსტიტუტის შესაბამისად. მხოლოდ ამიერკავკასიაში სოფლის მმართველობა აერთიანებდა რუსული ვოლოსტისა და სოფლის მმართველობის ფუნქციებს. თვით კავკასიის ნამესტნიკის სიტყვებით „როგორც შიგა გუბერნიებში ვოლოსტის მმართველობა ყველგან გადაიქცა ფისკალურ-პოლიტიკურ კანცელარიად", რომლის საქმეებსაც არავითარი კავშირი არა აქვს სოფლის ჭირ-ვარამთან, „ასეთივე ბედი ეწია სოფლის მმართველობებს კავკასიაშიაც" [13].

ამგვარად, აქ გლეხი „სულმთლათ სხვის ხელშია. ყველა მისი ბატონი და მბრძანებელია, დაწყებული უმაღლესი მთავრობიდან უკანასკნელ სოფლის მოხელემდე. გული გიკვდება კაცს, როდესაც ხედავ სოფლის კანცელარიაზე მათრახით ხელში გამოჭიმულ ბოქაულს, რომელიც ზიზღით უყურებს მრავალრიცხოვან გლეხების კრებას და მზადაა თითო-ორი მათრახი ყველას გადაჰკრას და ეს ისე ჩვეულებრივია თითქო არაფერი, არავის პიროვნება არ შელახულიყოს. ასე ადვილი გასათელია დღეს მათი ადამიანური ღირსება! სოფლის თვითმართველობა? აბა, ეს ხომ მთლად დაცინვაა მათი! ამოირჩია სოფელმა რომელიმე კაცი მამასახლისათ ან მსაჯულათ, მაგრამ თუ არ მოსწონს ბოქაულს ან მაზრის უფროსს — ეს საკმარისია, რომ არ დაამტკიცოს — მთელი ხალხის სურვილი მხედველობაშიაც არ მიიღოს. თუმცა ეს უფლება მათ, რუსეთის კანონის ძალითაც არა აქვთ, მაგრამ ვინ დაგიდევს აქ კანონს?... რამდენიმეა მაგალითი, რომ რომელიმე ჯიბე გამოცარიელებულ აზნაურს ან თავადს თვითონ წაუკიდებია ცეცხლი თავის საქათმისათვის და რომ 20 და 30 თუმანი აეღო... (სოფლიდან). დაიკარგა რამე და სოფელმა უნდა გადაიხადოს. გლეხს საქმე აქვს რაიმე გასაკეთებელი და თუ 3—4 თუმანი რომელიმე მოხელეს არ წაუჯიბა, ისე ვერაფერს ეღირსება. წასვლა უნდა სადმე — პასპორტია საჭირო — ამი-

[13] „Всеподданнейшая записка...", 29.

სათვის 4 — 5 დღე უნდა გააცდინოს და ერთხელ ან ორჯელ მამასახლისი და სოფლის მწერალი უნდა დაპატიჟოს, თორემ ისე ვერსად გაექანება. შეურაცხყოფა მოგაყენა ვინმემ ან დაგეკარგა რამე — ტყუილად ნუ ფიქრობ ყურადღება მოგაქცი-ონ, — დიდი მადლობელი უნდა დარჩე, თუ თვითონ არ ჩაგსვეს ციხეში. რომელიმე მოყიალე თავადს ან აზნაურს რაც უნდა, იმას აქნევინებს სოფლის მოხელეებს. რასაკვირველია, ყველა ეს დამცირება გლეხ-კაცობის უღარიბეს ნაწილს ხვდება წილათ. თორემ მდიდარ გლეხს ვინ რას გაუბედავს?" [14].

ამგვარად, სოფლის კანცელარიებმა, ემყარებოდნენ რა უმაღლეს (რაიონის, მაზრის და ა. შ.) ადმინისტრაციას, სავსებით ჩაკლეს სოფლის საზოგადოებათა დამოუკიდებელი თვითგამგებლობის ყოველგვარი ელემენტი. ეს პროცესი მით უფრო ჩქარა დასრულდა, რომ ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით კი საქართველოში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისებს, გაბატონებული იყო მემამულეთა მიწების, საიჯარო მიწების ინდივიდუალური და არათემური სარგებლობა, რამაც შიგა რუსეთში თვით მე-20 საუკუნემდეც კი შეუნარჩუნა თემებს ერთგვარი საერთო მეურნეობრივი ინტერესები.

ამიერკავკასიის სოფლის თემებში გლეხური მასებისაგან გამომდინარე საზოგადოებრივი საქმისა და მეურნეობრივი თვითმოქმედების ინიციატივა ჩაკლულ იქნა სოფლის მამასახლისისა და მწერლის გავლენის ზრდის სასარგებლოდ. ამასთანავე საკმარისი იყო თემის მიმართ მთავრობის ოდნავი უკმაყოფილება, რომ გლეხობას უფლება წართმეოდა აერჩია მამასახლისი, რომელსაც ასეთს შემთხვევაში ზემოდან ნიშნავდა ადმინისტრაცია. ამ გზით მწერალი და მამასახლისი და ასევე სოფლის სასამართლოც გადაიქცნენ სოფლის საზოგადოებისაგან სავსებით დამოუკიდებელ უფროსებად, რომლებიც უმაღლესი ადმინისტრაციისა და ადგილობრივ მემამულეთა კარნახით ბატონობდნენ გლეხობაზე.

---

[14] „გლეხთა მოძრაობა გურიაში", 1904. გვ. 8.

VI

აგრარული მოძრაობის ეკონომიკური საფუძვლები

1. «ქალაქელი გლეხები»

სოფლის რევოლუციურ ამოძრავებას, რა მხრივაც კავკასიაში მოწინავე რიგებში იდგა საქართველო [1], უმნიშვნელოვანესი ზომით უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ, როგორც ვნახეთ, უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობა, რაც საერთოდ გლეხური მასების უდიდეს უმრავლესობას შეადგენდა, ჯერ კიდევ რკინიგზების გაყვანის დროიდან დაწყებული, სულ უფრო დიდი ზომით გადიოდა საშოვარზე თავისი თემის მიღმა და ამავე დროს კავშირსაც არ სწყვეტდა თავის სოფელთან. საშოვარზე გასული, მაგალითად, დას. საქართველოს გლეხობის მთავარი კონტინგენტი უმთავრესად თავს იყრიდა შავი ზღვის ნავსადგურებში (ბათუმს, ფოთს, სოხუმს, ოდესას, ნოვოროსიისკს და თვით კონსტანტინოპოლშიაც-კი) და კერძოდ ამიერკავკასიის ქალაქებში, სადაც ისინი გვხვდებიან ფრიად მრავალგვარ საშოვარზე: დაწყებული მტვირთავი მუშიდან, სხვადასხვაგვარი ხელოსნური ხელობისა და შავი მუშის მდგომარეობიდან, გათავებული ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა სახის კაპიტალისტური სარეწავების მუშათა სახით.

კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორისადმი მოხსენებაში აღნიშნავდა: „საქმე იმაშია, რომ გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს მუშა-ჰასაკის

[1] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, 1955 წ., ნაწ. I, გვ. 101.

თითქმის მთელი სოფლის მოსახლეობა საშოვარზე გადის, ისე რომ სრულიადაც არ სწყვეტს კავშირს სამშობლოსთან. გურულები და მეგრელები შეადგენენ მთავარ კონტინგენტს ყოველგვარი მუშებისა შავი ზღვის ყველა პორტში დაწყებული ბათომით, ფოთითა და სოხუმით და გათავებული ოდესითა და კონსტანტინოპოლით. სამშობლოდან გასული იმერლებიც ხალისით კიდებენ ხელს ყოველგვარ პროფესიას, ისინი იძლევიან... კონტინგენტს შინა-მოსამსახურეებისა კავკასიის ყველა ქალაქში და როგორც ამავე საქმეზე, ასევე ბუფეტებში და სასადილოებში გვხვდებიან რუსეთის იმპერიის მრავალ ქალაქში თვით ვლადივოსტოკამდე"[2].

„ქალაქის მუშათა მოძრაობის გავლენა სოფელზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამიერკავკასიაში, სადაც მუშახელის, ასე ვთქვათ, მიმოქცევას სოფელსა და. ქალაქს შორის, — მიწას ნახევრად მოწყვეტილ გლეხთა ანუ ნახევრად სამრეწველო მუშათა სახით, — სისტემატური ხასიათი ქონდა მიღებული უკვე 1880-იანი და განსაკუთრებით 1890-იანი წლებიდან.

უმუშევრობის პერიოდებში, მაგალითად, 1902 წ. თებერვლის ბოლოს, როდესაც ბათუმის ქარხნებში დიდი გაფიცვები დაიწყო, მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლებში მიდიოდა; ხშირად თვით მთავრობა იძულებით „აგზავნიდა" მათ „სამშობლოში", ე. ი. სოფელში. 1902 წ. მთელი ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა ბათუმიდან მუშების სოფელში ეტაპით გზავნა... „ოზურგეთის პატარა მაზრაში შედარებით მეტი მუშა იქნა გაგზავნილი. ეს, რასაკვირველია, უმნიშვნელოდ არ დარჩებოდა... გლეხების ყრუ უკმაყოფილებას მუშებმა ზედ დაუმატეს თავიანთი შეგნებული უკმაყოფილება... მუშები თავიანთ გაჭირვებას გადასცემდნენ, — ავრცელებდნენ სოფლებში პროკლამაციებს და არალეგალურ წიგნებს. აქამდე ძნელად თუ სადმე დაინახავდი არალეგალურ ლიტერატურას, მაგრამ მუშების გაგზავნის შემდეგ ძვირათ შეხვდე-

[2] „Всеподданнейшая записка...", 25.

ბოდით ოჯახს, სადაც არ ყოფილიყოს პროკლამაციები და წიგნები“ [3].

სოფელში ახალი სხივი შეიჭრა. ისედაც გაძვალტყავებული გლეხობა უკანასკნელ გროშებს არ ზოგავდა სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნისათვის. „ფეხშიშველი ბავშვები ყოველდღე დარბოდნენ, ხშირად 7 ვერსით დაშორებულ სკოლებში. ქალებმა თავიანთი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოვება დაიწყეს, რათა ღირსეული დედები ყოფილიყვნენ და თავიანთ შვილებში, განსაკუთრებით ვაჟებში აღეზარდათ თავისუფალი რევოლუციური სული... სოფლებში ეწყობოდა მიტინგები, კრებები, სადაც წარმოსთქვამდნენ მგზნებარე სიტყვებს“ — ასე ახასიათებდა დას. საქართველოში მდგომარეობას შ. გ ო რ ც ე ვ ი [4].

„მემამულეებსა და მღვდლებს პირველად სიცილათ არ ყოფნიდათ გლეხების საქმე: «ვინ გაიგონა ყაძახის წინააღმდეგობაო»... გლეხს... უყურებდნენ როგორც ყურმოჭრილ მონას უფროსებისას, როგორც ყოველნაირ უსამართლობისა და სისაძაგლის ამტანს. «გლეხის» გაგონებაზე ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგება კონკებში გამოხვეული არსება, რომელიც ყველას მორჩილებით ეპყრობა, იტანს ყოველნაირ დამცირებას და შეურაცხყოფას, რომელიც ქმაყოფილია არსებული წესით და ოდნავადაც არ იწუხებს თავს ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრით. მაგრამ ცხოვრებამ გამოააშკარავა და... დაგვანახვა, რომ გლეხის მოთმინებას საზღვარი ჰქონია, რომ მისი «კონსერვატიული» ბუნებაც გაიღვიძებს თურმე და შეიქმნება გამბედავი მებრძოლი უსამართლობის დასამხობათ“, — წერდა 1904 წ. გლეხთა მოძრაობის „უშუალო მონაწილე ინტელიგენტი“ [5].

ამგვარ „გლეხურ“ მოძრაობაში, რასაკვირველია, სულ უფრო მატულობს ორგანიზებულობა და როგორც ქალაქიდან

[3] „გლეხთა მოძრაობა გურიაში“, გვ. 10 — 12.

[4] Ш. Г о р ц е в. „Как грузинские крестьяне борются за свободу“, 1906. Москва, стр. 8.

[5] „გლეხთა მოძრაობა გურიაში“, გვ. 19.

სოფელში ისე სოფლიდან ქალაქში წასულთ მათ ყველგან ახასიათებთ ეს თვისება.

„Искра“ 1902 წ. წერდა: „ბათუმში ზეიმობენ: როტშილდის თხოვნით სოფლებიდან გამოიწვიეს ის მუშები (1500 კაცი), რომელნიც თებერვალში გასახლებულნი იყვნენ ადმინისტრაციული წესით. ქალაქში დაბრუნებისას მუშებმა მოთხოვნები წამოაყენეს: დაპატიმრებულთა განთავისუფლება, მოკლულთა და დაჭრილთა ოჯახების უზრუნველყოფა, 3 თვის ხელფასის ანაზღაურება, სამუშაო დღის 1/2 საათით შემცირება, ჯაშუშთა და მექრთამე ნოქართა გაძევება, ხელფასის მომატება, მოზარდთა შრომის 6 საათამდე შემცირება და სხვ.“[6].

ამგვარად, ეს სოფლიდან გამოწვეული მუშები ძველებურ გაგრძელ გლეხებს როდი წარმოადგენენ, ისინი არაერთგზის ყოფილან ქალაქში, მათ უმუშავიათ მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებში, ისინი უკვე „ქალაქელი გლეხები“ არიან და სწორედ ამიტომაა, რომ ახლა უკვე დარაზმულნი მოდიან ქარხანაში და სამი კვირის განმავლობაში, სანამ მათი მოთხოვნების უდიდესი ნაწილი არ დააკმაყოფილეს, არ თანხმდებიან დაიწყონ მუშაობა.

2. ქალაქი და სოფელი

სოფელსა და ქალაქს შორის კავშირის განვითარება, მათ შორის არსებული ანტაგონისტური წინააღმდეგობის მეოხებით, იმის მეოხებით, რომ ქალაქი გაბატონებული იყო სოფელზე და ეწეოდა გლეხობის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ექსპლოატაციას, ხელს უწყობდა აგრარული მოძრაობის განვითარებას. ქალაქის მიერ სოფლის ექსპლოატაციის ფრიად მრავალგვარ ხერხებსა და მეთოდებს შორის ჩვენ რამდენსამე კონკრეტულ მაგალითს მოვიყვანთ.

1888 წლის 7 მარტს ქ. თბილისის საბჭოს ხმოსნებმა დაად-

[6] „Искра“, 1902 г. № 24.

გინეს, რომ 1889 წლის 1 იანვრიდან ბაჟი დაადვან ყველა იმ ნაწარმოებს, რაც სოფლელებს ურმებითა და ტრანსპორტის სხვა საშუალებით შემოაქვთ ქალაქში გასაყიდათ — ყოველ ტრანსპორტზე 2 შაურის რაოდენობით. ქალაქის საბჭო შემოსავლის ამ ახალი წყაროს გაჩენით იმსუბუქებდა გადახდას ვალისა, რაც ქალაქს დაედვა ავჭალიდან წყალსადენის გაყვანისა და ქალაქის კეთილმოწყობის სხვა სამუშაოთა შესრულების მეოხებით.

აღსანიშნავია, რომ გაზ. „მეურნე" სამართლიანად და სასტიკად ილაშქრებს თბილისის ქალაქის საბჭოს ამ დადგენილების წინააღმდეგ: უმჯობესი იყო ქალაქს თავისი ვალის დასაფარავად სხვა საშუალება გამოენახა და „მის გადასახდელად სოფლის ხალხის ჯიბეს არ წაჰპოტინებოდა, იმ ხალხისას, რომელსაც არც რაიმე მონაწილეობა მიუღია ამ ვალის აღებაში და არც რაიმე სარგებლობა აქვს იმ ვალით გაკეთებული საქმეებისაგანო"[7]. გაზეთის მოწინავეს ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის, როდესაც აცხადებს, რომ „მით უფრო შეუსაბამოა ქალაქისაგან სოფლის ხალხის ცარიელი ჯიბეების გაჩხრეკა, რა შემთხვევაც უნდა იყოს, რომ მას (ქალაქს) არავითარი სიკეთე და დავალება არ მიუძღვის მისდამი და არც ერთ საჭიროებაში ანუ გაჭირვებაში ხელიც არ გაუნძრევია სასიკეთოდ სოფლის მწარმოებლებისაო"[8].

სინამდვილეში ქალაქი არამცთუ არ ეხმარებოდა სოფელს, არამედ პირიქით, ახალ-ახალ ხერხებს იგონებდა რათა „აეფცქვნა" სოფლისათვის. „ქალაქმა თავისი საჭიროებისათვის (თუ დიდებისათვის) ხიდი გააკეთა მტკვარზედ და მაზედ დახარჯუ-

---

[7] „მეურნე", 1888, № 11 (მოწინავე), გვ. 1.

[8] ამის შემდეგ მოწინავეში ჩამოთვლილია სოფლის საჭიროებანი და აღნიშნულია, თუ რისი გაკეთებაც გლეხობის დასახმარებლად ქალაქს შეეძლო: ფარდულების, საწყობებისა და ეზოების მოწყობა ბაზრების მახლობლად, რათა სოფლიდან მოსულ გლეხებს ღამეც დაეცადათ და „საქონელი ხვალ-ზეგაც გაეყიდათ"; — ახლა-კი მათი „საქონელი ქალაქელ ვაჭრებს (ჩარჩებს) უვარდება ხელში, გლეხებისგან თითქმის მუქთად ჰყიდულობენ საღამოობით და მერმე დილას ბევრჯელ მეტად ჰყიდიან" და სხვ. („მეურნე", 1888 წ. № 1).

ლი ფულის აღსადგენად ბაჟი დაადო ყველა მასზედ გამვლელ-გამომვლელს, გარდა ქვეითთა მოსიარულეთა. ამ ხიდს თავში საბაზრო მოედანი გაუმართა და იქ ერეკებოდა ურმით მოსულ ნაწარმებსა, თუმცა არავისთვის არ იყო სახერხოდ ეს მეიდანი. ამას გარდა შუა ქალაქის (კუკიის) ხიდი შეჰკრა და სულ ვერის ხიდზედ ატარებდა გალმა-გამოღმა გასასვლელ ურმებს, ოითქო ბაჟის აღების გულისათვის და, ამგვარად, ნახევარი ვერსტის მანძილს ორ-სამ ვერსტის მანძილად გადაუქცევდა ხოლმე დაღლილ-დაქანცულ საქონელსა და ვინ იცის სანამდის გასწევდა ეს სოფლის მწარმოებელთა შეჭირვება, რომ თვითონ ქალაქის მცხოვრებთ და მწერლობას არ დაეწყო დრტვინვა ამ უხერხო განკარგულებაზედო"[9]. ამგვარად, ქალაქი, ყოველგვარი ხერხით ეწეოდა სოფლის ექსპლოატაციას, მიუხედავად იმისა, შორს იყო იგი მისგან თუ ახლოს.

მაგრამ ქალაქის მიერ სოფლის ექსპლოატაციისა და დაბეჩავებულ მდგომარეობაში დატოვებისაკენ მიმართული ურთიერთდამოკიდებულების სურათი განსაკუთრებულის სიცხადით გამოვლინდა თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საკითხთან დაკავშირებით გამართულ საგანგებო საგუბერნიო თათბირზე, როდესაც საკითხი დაისვა საერობო მოსაკრებელთა განაწილების შესახებ.

ხსენებულ თათბირზე ქალაქის ერთ-ერთი ხმოსანი, სოფლის წვრილბურჟუაზიული ელემენტების მისწრაფებათა გამომხატველი გ. გვაზავა, მდგომარეობას შემდეგნაირად ახასიათებდა (1909 წ. 10 ოქტომბრის თათბირის ოქმიდან):

„ქ. თბილისი წარმოადგენს ცენტრსა და მთავარ ბაზარს მთელი გუბერნიისათვის. ამ ცენტრიდან მსგავსად სხივებისა მიიმართებიან გზები ყველა მიმართულებით — სამაზრო ქალაქებისაკენ და კიდევ იქით მთელი გუბერნიის პერიფერიებისაკენ. ეს გზები წარმოადგენენ გარეგნულ ფიზიკურ გამოსახულებას ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მიმდინარეობისა, თვალსაჩინო გამოსახულებას ყველა ამ მიმდინარეობათა მიმართულებისა: ყველა ისინი თავს იყრიან და ინასკვებიან თბილისში, ამ გზებით, როგორც სისხლის მიმოქცევის არტერიებით, დღენიადაგ მოედინება ყოველგვარი სოფლისმეურნეობრივი პროდუქტი, ბუნებისა და გლეხური შრომის მრავალგვარი ნაწარმოები, მოედინება და თავს იყრის თბილისში.

[9] „მეურნე", 1888 წ. № 11, გვ. 2 — 3.

ღამეობით, დაახლოებით დილის 4 — 5 საათზე, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ თბილ ლოგინში ვისვენებთ, თბილისის ირგვლივ გარშემოცული სიბნელიდან ჩნდებიან აჩრდილები-სილუეტები გლეხებისა, სასურსათო პროდუქტებით დატვირთული მათი ურმებისა და „პოვოზკებისა". ეს აჩრდილები ყოველ ღამე წესიერად, როგორც საიდუმლო მაჯისცემა, მოდიან და მოაქვთ ქალაქში მისი არსებობისათვის ყოველივე აუცილებელი.

შემოსულხართ თქვენ, ბატონებო, ქ. თბილისში ღამით? ჯერ კიდევ შორიდან მოჩანს დიდი სინათლე, როგორც ელვარება შორეული ხანძრისა. ასეთი სინათლე აღიმართება ამ ცენტრის გონებრივი ცხოვრებისაგან. აქაა ყველა სასწავლო დაწესებულებები, გაზეთები, ლექციები, თეატრები. აღიმართება ცხოვრების განსაკუთრებული სხივოსნობა, რომელიც ახდენს გარშემორტყმულ სოფელთა მხედველობის ფიქსაციას, იზიდავს ყველაზე უფრო ცოცხალ, ჯანსაღ, ახალგაზრდა ძალას. ახალგაზრდებიცა დ მოხუცებიც მიეშურებიან ქალაქში, მიისწრაფვიან რა შესაძლებელი ბედნიერებისაკენ, ქალაქის ცხოვრებასთან ერთად ებმებიან თავგამეტებულ ბრძოლაში და, დასასრულ, ბრძოლისა და წამების რიგი წლების გასვლის შემდეგ, მოტეხილნი და დაცემულნი უკანვე სოფელში ბრუნდებიან. მთელი თავიანთი ძალა, მთელი ახალგაზრდობა, მთელი ცხოვრება დასტოვეს რა ქალაქის სახელოსნოებში, წელმოწყვეტილნი და გაფცქვნილნი ისინი უკან ბრუნდებიან, რათა სული დალიონ მშობლიური სოფლების გატიალებულ მინდვრებზე.

განა შესაძლებელია, რომ ქალაქი, რომელიც სოფლების მთელ სიმდიდრეს და ენერგიას შეიწოვს, განთავისუფლებულ იქნას საერობო მოსაკრებელთა გადახდისაგან? ამბობენ შეიძლებაო. ქალაქებს ვითომც ამის უფლება აქვთო.

მართალია თუ არა, რომ ქალაქის ფარგლებს გარედ გაწეულ ერობის ხარჯებს არავითარი სარგებლობა არ მოქონდეს ქალაქისათვის?" მერმე გ. გ ვ ა ზ ა ვ ა იხილავს რა ამიერკავკასიის ერობის ბიუჯეტს, სვამს კითხვას: „ — რა მიდის აქ მხოლოდ და მხოლოდ სოფლის სასარგებლოდ? განა პოლიციის დარაჯები, რომლებიც ნთქავენ დაახლოებით ნახევარს მთელი საერობო ბიუჯეტისა, დაარსებულია მხოლოდდამხოლოდ დასაცავად გლეხებისა, მათი ქონებისა და კეთილდღეობისა? საკითხის ასე დაყენება ხომ არ იქნება ერთგვარი დაცინვა გლეხობაზე? ყველასათვის ნათელია, რომ დარაჯები საჭიროა საქონელთა და ადამიანთა თავისუფალი მიმოძრაობისათვის, ვაჭრობის, მრეწველობის განვითარებისათვის. ფულის ცირკულაციისათვის, ე. ი. იგი ემსახურება თითქმის მხოლოდ ქალაქების, როგორც საქონლისა და ფულის თავშესაყრელ ადგილთა ინტერესებს. — მაგრამ გზები? განა ისინი გაყავთ და მათ უვლიან მხოლოდ გლეხობის სასიკეთოდ? ჩვენი ფაეტონები, ჩვენი ომნიბუსები, ჩვენი ავტომობილები, ჩვენი ქარავნები,

ჩვენი საქონლით დატვირთულნი, მეერმეტყველურად ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ ვის სჭირდება უპირატესად ეს გზები"[10].

ამგვარად, მისი მტკიცებით ერობის ხარჯების 4/5 მიდის მხოლოდ ქალაქის სასარგებლოდ და ის გარემოება, რომ ეს ხარჯები ქალაქის ფარგლებს გარეთ ხორციელდება სრულებითაც არ სცვლის მდგომარეობასო. „ავჭალის წყალსადენი ქალაქ თბილისის გარეთაა, მომავალი წალკის წყალსადენი გამოიყვანება კიდეკ უფრო შორი ადგილიდან და რამოდენიმე ათეულ ვერსზე ქალაქგარეთ იქნება, მაგრამ განა მხოლოდ ამ საფუძველზე ეს უზარმაზარი ხარჯები გაწეული იქნება არა თბილისისათვის, არამედ სოფლის მცხოვრებთა სასარგებლოდ? აქ სრული ანალოგიაა: საგზაო არტერიებით მოედინება გლეხთა მასების ნაშრომი, როგორც წყალი წყალსადენით ქალაქში. გზებსა და დარაჯებზე გაწეულ ხარჯებს ისეთივე მნიშვნელობა აქვთ ქალაქისათვის, როგორც წყალსადენზე გაწეულ ხარჯებს, ამგვარად. მტკიცება იმისა, რომ ქალაქები აძლევენ უფრო მეტს, ვინემ ღებულობენ ერობებიდან, გადაჭრით მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ქალაქისა და სოფლის შედარებითი მდგომარეობა ისეთ კონტრასტს წარმოადგენს, რომ მოითხოვს სახელმწიფოებრივი ძალის ჩარევას. ერთის მხრივ თავმოყრილია დიდძალი სიმდიდრე და ფრიად მნიშვნელოვანი კეთილმოწყობილობა კულტურული ცხოვრებისათვის, ხოლო მეორე მხრივ სრული სიღატაკე. ნათელია, რომ სოციალური სამართლიანობა მოითხოვს ამ უთანასწორობათა გამანიველირებელ და სოფელში თანდათანობით, რამდენადაც შეიძლება უმტკივნეულოდ, არსებობის პირობათა გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა გატარებას. ხოლო ეს შეუძლებელია, თუ გარკვეული ზომით არ დაიბეგრა საქალაქო ქონება ერობის სასარგებლოდ. საშემოსავლო გადასახადის იდეა... სავსებით ადასტურებს ჩემი დებულების სისწორეს. სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადასახადები დაეწერება მდიდარ კლასებს, ხოლო ღარიბი კლასი თანდათანობით თავისუფლდება პირდაპირ გადასახადთა გადახდისაგან. ამ სოციალური სამართლიანობისადმი ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ გადასახადები გაიწერება არა მხოლოდ შემოსავალთა პროპორციულად, არამედ დაბეგვრის ზომის პროგრესიული გადიდებით. ეს თვალსაზრისი უნდა იქნას გამოყენებული ქალაქის მიმართაც. ქალაქი მდიდარია, მას შეუძლია თავის სიმდიდრეთა წმინდა შემოსავლის უმნიშვნელო პროცენტი სავსებით ადვილად გაუზიაროს სოფელს. ეს არა ქველმოქმედება, არამედ ვალდებულებაა ქალაქისა".

---

[10] ხარჯთა მუხლობრივი განხილვიდან ჩანს, რომ ერობის ბიუჯეტის (6 მილ. მან.) თითქმის ნახევარი (2,8 მილ. მან.) იხარჯებოდა პოლიციის დარაჯებისა და საპატიმრო ადგილების შენახვაზე. დაახლოებით 20 პროცენტი გზებისათვის, ცოტა ნაკლები სამედიცინო ნაწილზე, 5 პროცენტი განათლებაზე და სხვ.

ამგვარად, ანტაგონისტური წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის სულ უფრო ღრმავდებოდა. ეს წინააღმდეგობა მით უფრო მწვავდებოდა, რაც უფრო ვითარდებოდა საქალაქო ცხოვრება, საერთოდ კაპიტალისტური ურთიერთობანი და, ამგვარად, სოფლის ჩამორჩენილობის, ე. ი. ქალაქთან შედარებით მისი განვითარების ფრიად დაბალი ტემპის მეოხებით, იზრდებოდა მათს შორის გათიშულობის ნაპრალები. ქალაქი, როგორც თავის ბაზრებზე, ისე გარედაც ახორციელებდა სოფლის წვრილმწარმოებელთა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ექსპლოატაციასაც. ქალაქი სარგებლობდა სოფლის არა მხოლოდ სახალხომეურნეობრივი, არამედ კულტურული ჩამორჩენილობითაც, უწიგნურობითაც.

ქალაქი, მრეწველობა ნელ-ნელა მაღლდებოდა ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების საფეხურებზე, მან გაიარა სამრეწველო რევოლუცია, ორთქლის ტექნიკა; — იგი იყენებდა შიგაწვის ძრავებს, ელექტრონის ენერგიას, ტელეგრაფს, ტელეფონს, რადიოს, ავტომობილს, თვითმფრინავს; — ამა თუ იმ ზომით უკავშირდებოდა და ეზიარებოდა მსოფლიო ცივილიზაციის უახლეს მიღწევებს; სოფელი-კი არსებითად სულ ძველებურად ცხოვრობდა, მამაპაპურ სახვნელ იარაღებს ვერ სცილდებოდა და, ამგვარად, ქალაქის „უბირ“ მაჩანჩალას წარმოადგენდა. მით უფრო აუტანელი ხდებოდა „ნაქალაქარი“ გლეხისათვის სოფლის სიდუხჭირე რაც უფრო ძლიერი იყო კონტრასტები სოფლისა და ქალაქის ცხოვრების დაპირისპირებაში.

3. «უუფლებო პრივილეგიური წოდება»

უნდა აღინიშნოს, რომ უადგილმამულობა ანდა მამულის მეტისმეტი სიმცირე არაიშვიათად ისვრიდა რევოლუციური მოძრაობისაკენ წვრილ აზნაურობასაც. ამ მხრივ დიდი ინტერესის შემცველი გარემოებაა ის ფაქტი, რომ 1890-იანი წლების მიწურულს მთელი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურული მეურნეობის 9.240 ერთეულიდან მხოლოდ 25% ფლობდა 19 დესეტინაზე მეტ მიწას, ხოლო 53%-ს ეჭირა არა უმეტეს 8 დესეტინისა თვითეულს. ასე, რომ მთელი გუბერ-

ნიის თავადაზნაურობიდან მხოლოდ 5%-ს ქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო თავადაზნაურთა არჩევნებში;—20%-მდე მონაწილეობდა მხოლოდ რწმუნებულთა მეშვეობით, ხოლო 75% მოკლებული იყო საერთოდ რაიმეგვარ საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის უფლებას, ე. ი. ვერ სარგებლობდა იმ უფლებითაც-კი, რომელიც შეიძლება ქონოდათ მის ყოფილ ყმათაგან გამოსულ კულაკურ ელემენტებს. ეს „უ უ ფ ლ ე ბ ო პ რ ი ვ ი ლ ე გ ი უ რ ი წ ო დ ე ბ ი ს“ ხალხი, ე. წ. „კეთილშობილი ღატაკების“ კლასი, თავის დამცირებად თვლიდა მიწის საკუთარ ნაჭერზე მუშაობას და მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი თუ კადრულობდა საშოვარზე გასვლას; — ეს ხალხი დატვირთული იყო საადგილმამულო ბანკებისა თუ მევახშეთა ვალებით და, ამგვარად, არაიშვიათად მეტად ღატაკი, მაშასადამე, უკმაყოფილო და დაუდეგარი იყო.

მიუხედავად ამისა, რასაკვირველია, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო მტკიცება ფეოდალურ-ბურჟუაზიული და საერთოდ მემამულური ხასიათის სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა მოღვაწეებისა და პუბლიცისტებისა, რომ თითქოს 1905 წლის რევოლუციის პერიოდში და შემდეგაც საქართველოს თავადაზნაურობა საერთოდ წარმოადგენდა რევოლუციურ ან თუნდაც „ლიბერალურ-პროგრესულ“ წოდებას, რომელიც არსებითად იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მაგალითად, ს. დ ა რ ი ა ნ ი წერდა: „უყოლობა ძლიერი თავადაზნაურობისა, რომელიც განსაკუთრებით იცავდეს არსებულ მდგომარეობას, იფარავს ქართულ საზოგადოებრივობას შინაგანი განხეთქილებისაგან, ჩვენში არაა „შავი რაზმები“, რომლებიც ჩრდილოეთში აფერხებენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. ცენტრალურ რუსეთში მთავრობის კონსერვატიზმს ზურგს უმაგრებს საზოგადოება თავადაზნაურობისა და სასულიერო წოდების სახით. ამავე დროს საქართველოში თავადაზნაურობაც-კი ფრონდერობსო“[11].

[11] С. Дариани, „Грузия после 1905 года“, Кутаис, 1914 г., стр. 43.

საქართველოს ერთ მთლიან, „შინაგანი განხეთქილებათა-გან“ თავისუფალ საზოგადოებად წარმოდგენა და დუნდაც მხოლოდ თავადაზნაურთა წოდების შიგნით არსებული დიფერენციაციის უგულებელყოფა, რასაკვირველია, შეიძლება აიხსნას მხოლოდ წმინდა პარტიული ინტერესებით, რომელიც საზოგადოებაში კლასობრივი ანტაგონიზმის მიჩქმალვით ცდილობდა ზიანი მიეყენებია ექსპლოატირებული მასების ორგანიზებულობისა და საერთოდ რევოლუციის საქმისათვის. არსებითად ეს ისევ ე. წ. „საერთო ნიადაგის“ თეორიას წარმოადგენდა, რაც სავსებით აშკარავდება ცოტა ქვემოთ, სადაც ს. დარიანი უკვე აცხადებდა: „თვითეულ ქართველს აქვს ბევრად უფრო მეტი საერთონაციონალური ინტერესი, რომელიც მას აახლოებს საერთოდ ყოველ ქართველთან, ვინემ ვიწროკლასობრივი ინტერესი. საქართველოს საზოგადოებაში კლასებად დაყოფა მხოლოდ ახლა იწყება და მის განვითარებას ხელს უშლიან პოლიტიკური რეჟიმის საერთო პირობებიო“[12].

ჩვენი მკითხველისათვის, თუნდაც მხოლოდ ზემოთ განხილული მასალის შემდეგ, რასაკვირველია, ზედმეტია კომენტარები საქართველოს საზოგადოების კლასებად დაყოფის შესახებ ამ ყოვლად უსაფუძვლო, რეაქციული შეხედულებისა. რა ფქმა უნდა, საქართველოს თავადაზნაურობას, რომელიც თავისი დროისათვის ამიერკავკასიაში თითქმის ყველა სხვა წოდებასთან შედარებით უფრო წიგნიერი იყო, ჰყავდა განათლებული ადამიანები, რომელთაგან კერძოდ მშრომელმა ინტელიგენციამ არა ერთი და ორი ცნობილი მოღვაწე მისცა რევოლუციას და საერთოდ ცარიზმისა და თვით კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლ ძალებს, მაგრამ ს ა ე რ თ ო დ ეს თავადაზნაურობა, ე. ი. ამ წოდების უდიდესი უმრავლესობა მიუხედავად ეკონომიკური სიღარიბისა, მაინც კონსერვატიული იყო და არსებული წყობილების ერთგულ დარაჯს წარმოადგენდა, რომ არა ვთქვათ რა მისი იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ფლობდა დიდ მამულებს, რომელსაც ეჭირა მაღალი და შემოსავლიანი სამხედრო თუ სამოქალაქო-ადმინისტრაციული

[12] С. Дарнани, დასახ. წიგნი, გვ. 44.

თანამდებობა და, ამგვარად, სავსებით ოფიციალური შეხედულებითაც თვითმპყრობელობის დასაყრდენს წარმოადგენდა კავკასიაში.

4. მომთაბარეობა და მიწათმოქმედება

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მომთაბარე მეჯოგეობრივი[13] მეურნეობის ვითარებაც. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ამიერკავკასიის ტერიტორია, ზღვის დონიდან სიმაღლისა და კლიმატურ პირობათა მიხედვით, იყოფა იალაღისა და ყიშლაღის ზონებად[14]. იალაღის ზონაში შედის ყველაზე მაღლობი უტყეო ადგილები, სადაც ზამთარი 7—9 თვე გრძელდება და შეუძლებელია მიწათმოქმედების განვითარება, მაშასადამე, გამოსადეგია მხოლოდ საბალახოდ და ისიც 3 — 5 თვით. ყიშლაღის ზონას უპირატესად წარმოადგენენ ურწყული ველები, უხმარნი კულტურული მემცენარეობისათვის. აქ გაზაფხულობითა და შემოდგომა-ზამთრობით პირუტყვისათვის ხარობს კარგი ბალახი, ხოლო ზაფხულობით მთელი ეს ველები მზით გადამწვარ უდაბნოდ იქცევიან ხოლმე[15].

მომთაბარე მეჯოგეობრივი მეურნეობა ზაფხულობით ადის იალაღებში, ხოლო შემოდგომობით დაეშვება ყიშლაღებში. საერთოდ ამ ორივე ზონის, დაახლოებით ერთნაირი ზომის, სივრცე მე-19 საუკუნეში და თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც, უმნიშვნელოდ თუ შეიცვალა და დაახლოებით უდრიდა 4,5 მილიონ დესეტინას. 1886 წელს დაიწყო მათი შესწავლა სამეჯნაო უწყების მიერ და 1906 წლის ბოლოსათვის უკვე გამიჯნული იყო 1,4 მილ. დეს. იალაღი და 1,1 მილ. დეს. ყიშლაღი.

---

[13] საერთოდ მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხები განხილული გვაქვს სპეციალურ მონოგრაფიაში.

[14] И. Бахтадзе, „Кочевники Закавказского края", 1888 г.; И. Андроников, „Скотоводство в Закавказском крае" (СМИЭБГКЗК, V, I, 157 — 357).

[15] П. Варавин, „Летния и зимныя пастбища Закавказского края", Тифлис; М. Скибицкий, „Пастбища Закавказского края" („Кавк. Хозяйство", 1918 г., № 9 — 10).

მომთაბარეებს ყოველწლიურად ორჯერ უხდებოდათ გავლა მიწათმოქმედებითი კულტურის ზონაში. პირუტყვს მიერეკებოდნენ ჩვეულებრივ 100, 150, 300 და 400 კილომეტრით დაშორებულ ადგილებში, რასაც ზოგან იწვევდა ის გარემოებაც, რომ საბალახოები მოუხერხებლად იყო განაწილებული. ხშირად მოცემული სოფლისათვის უახლოესი საბალახო შორეულ სოფლებს ეჭირათ, რის გამოც პირველს ძალაუნებურად თავისი პირუტყვი შედარებით ბევრად უფრო შორეულ ადგილებში უნდა გაერეკა. ხოლო შორეულ მანძილზე გარეკვა პირუტყვისა დაკავშირებულია მნიშვნელოვან დაბრკოლებებთან. გზადაგზა აუცილებელია პირუტყვის საბალახოსათვის მემამულეებს უხადონ მნიშვნელოვანი თანხა, ანდა კიდევ თვითნებურად, უნაცვალგებოდ, მოაძოვონ და მაშინ, განსაკუთრებით როდესაც პირუტყვი ანადგურებს ნათესებს, იშვიათი არ იყო მეჯოგეებსა და სოფლელთა შორის შეჯახება, რასაც არაიშვიათად სისხლისღვრაც-კი მოყვებოდა ხოლმე.

იალაღიდან ყიშლაღში ან პირუკუ გადასვლის დროს, მაგალითად, ერევნის გუბერნიაში ხშირი იყო შეტაკებები, ერთის მხრივ, მომთაბარე აზერბაიჯანელებსა და ქურთებს და, მეორეს მხრივ, მიწათმომქმედ სომხებს შორის. წინასწარ არ იყო დადგენილი, თუ სახელდობრ რომელი გზით გაირეკებოდა ჯოგები, სად და რა ადგილას შეჩერდებოდა იგი შესასვენებლად: ხოლო შესვენების ადგილებში პირუტყვისათვის არ იყო გამოყოფილი (მომზადებული) საბალახო ან სხვა რაიმე საკვები.

გრაფი ი. ვ ო რ ო ნ ც ო ვ-დ ა შ კ ო ვ ი 1907 წ. აღნიშნავდა, რომ „უბრალო სომეხ მოსახლეობას შორის „დაშნაკცუტიუნის“ პროპაგანდის ცნობილი წარმატებანი შესახებ გამოყოფილი ნაციონალური ტერიტორიის წარმოქმნისა... გარკვეული ზომით აიხსნება იმ აურაცხელი ზარალით, რასაც მომთაბარეანი მიწათმომქმედთ აყენებენო“. 1906 წელს თბილისში შემდგარ სომეხ-თათართა ყრილობაზე სომეხთა წარმომადგენლები გადაჭრით მოითხოვდნენ მომთაბარე მეჯოგეობრივ მეურნეობათა თუნდაც ერთი წლით მაინც ერთ ადგილზე შეჩერებას.

მაგრამ არსებულ ვითარებაში ამ ღონისძიების გატარება მომთაბარეობას და, მაშასადამე, მათს მეურნეობას (მეცხოველეობას) განადგურებით ემუქრებოდა. ამასთანავე ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება უკვე თვლიდა, რომ ყიშლაღების გარეშე ვაჭრული მეცხოველეობის შესაძლებლობა სავსებით დადასტურებული იყო იმ მაგალითებით, რასაც აქაურ იალაღებში იძლეოდნენ „რაციონალურად გამართული", ე. ი. კაპიტალისტური მეცხოველეობის მეურნეობანი. მაგრამ აგრეც რომ ყოფილიყო იალაღური მეცხოველეობის განვითარების აუცილებლობა გამორიცხული იყო იმ გარემოებით, რომ ყიშლაღთა თვალუწვდენი ველები, რომელთა ირიგაცია ფრიად უმნიშვნელო ზომით წარმოებდა, სხვა მხრივ სავსებით გამოუყენებელი რჩებოდა.

თუმცა ცარიზმის ხელისუფლებამ ვერ შესძლო ბევრად უფრო ადვილი საქმის გაკეთება: იალაღების გამიჯვნა და ცალკეული მომთაბარე თემისათვის მიჩენა. ამ ნიადაგზე წარმომდგარი გაუგებრობანი მნიშვნელოვან გართულებებს იწვევდა როგორც თვით მომთაბარეთა, განსაკუთრებით სხვადასხვა ტომის მომთაბარეთა, და ასევე ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის. 1903 წელს სტ. ყორღანოვი იხილავდა რა ერევნის გუბერნიის, ახალ-ბაიაზეთისა და სურმალოს მაზრების განთქმული იალაღების ცხოვრებას წერდა: „მარტი და აპრილი იალაღებში — ესაა ვნებათა მთელი ხანძარი. ერთსა და იმავე ფართობზე ცხადდება რამდენიმე პრეტენდენტი... თუ ნახევრადველური ქურთის იურტზე, რითაც იგი ათეული წლების მანძილზე მემკვიდრეობით სარგებლობდა, ახლა ერთბაშად ცხადდება ვიღაც ახალმოსული, რომელსაც ხელში უჭირავს ადმინისტრაციის ქაღალდი, რა გასაკვირია, რომ გაწამაწია სწყდება სატევრით და დავის ფინალში იღვრება სისხლი, რითაც მრავალწლობით ითესება სასტიკი

მტრობა, არა მხოლოდ მოდავეთა შორის, არამედ მათს ნათესავებს შორისაც, რის შედეგადაც ხდება კიდევ რიგი მკვლელობა და დასახიჩრება"[16].

მიმომხილველს, ნახევრად ოფიციალურ გამოცემაში, რასაკვირველია, არ შეეძლო თქმა იმისა, რომ ორივე დაზარალებული მხარე თავისი უბედურების მიზეზად თვლიდა ადმინისტრაციას, რომელიც ამავე დროს სულ უფრო ადიდებდა საბალახო მიწების იჯარის ქირას, როგორც იალაღში, ასევე ყიშლაღშიაც. კიდევ მეტი. ცარიზმის ბიუროკრატია ამასთანავე სთესდა შუღლსა და მტრობას ამიერკავკასიელ ერებს შორის, რაც სწორად ამ ხანებში სომეხ-აზერბაიჯანელთა ურთიერთ ჟლეტისა და დარბევის ტრაგიკული ეპიზოდის სახით გაიშალა და რასაც, ცხადია, არ შეეძლო უარყოფითად არ ემოქმედა ამ მოსახლეობის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის ხარისხის თვალსაზრისით[17].

რა თქმა უნდა, მხოლოდ პროლეტარიატის პარტიას, კომუნისტურ პარტიას შეეძლო ყოფილიყო ერთა შორის სოლიდარობის იდეის თანმიმდევრული მატარებელი. 1905 წ. სექტემბერს რუსეთის ს.-დ. ორგანიზაციების კონფერენციამ მოწოდებით მიმართა კავკასიელ პროლეტარიატს და გამოთქვა რწმენა, რომ ადგილობრივი მშრომელები მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებებისა მომავალშიაც განაგრძობენ რევოლუციურ ბრძოლას მთელი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად და მასთან ერთად მიიყვანენ ამ ბრძოლას ცარიზმზე საბოლოო გამარჯვებამდე[18].

---

[16] Ст. Корганов, „Кочевки Эриванской губернии", („Памятная книжка Эриванской губернии на 1904 г.", Эриван, отд. III, стр.53 — 54).

[17] იხ. მ. გორკი, „კავკასიის ამბების შესახებ", 1936. თბ. L

[18] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, თბ. 1955 წ. I, გვ. 115.

5. ბატონყმობის გადანაშთები.

საერთოდ აგრარული მოძრაობის ეკონომიკური საწყისები მოცემული იყო თვით 1860-იანი წლების რეფორმებში. ბატონყმობის გაუქმებიდან არსებითად თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამიერკავკასიაში ყოფილი ყმა გლეხობის ძირითადი მასა დარჩა „დროებით-ვალდებულის“ მდგომარეობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათს უმნიშვნელო რაოდენობას, რომელთაც ამა თუ იმ გზით მოახერხეს თავიანთი ნადელების გამოსყიდვა და გადაიქცნენ მესაკუთრე გლეხებად. საერთოდ „დროებით-ვალდებული“ და წვრილი მესაკუთრე გლეხობის ძირითადი მასა, რომელიც მიწის სიმცირის გამო იძულებული იყო იჯარით აეღო მემამულის მიწა, მრავალგვარ ჩაგვრასა და ყვლეფას განიცდიდა.

ხშირად მწვავე გართულებებს იწვევდა ერთის შეხედვით სავსებით მარტივი და ადვილად გადასაჭრელი საკითხი. მემამულეებსა და გლეხებს შორის დაუსრულებელი დავაჭრობა წარმოებდა, მაგალითად, იმის გამო, რომ არ იყო ზუსტად განსაზღვრული მიწათმოქმედების სხვადასხვაგვარი პროდუქტის (მოსავლის) მემამულისათვის მისაცემი წილი[19]. მემამულეები ყოველთვის იმის ცდაში იყვნენ რომ იჯარით გაცემული მიწის მოსავლის ნამდვილზე მეტად აღრიცხვის, ანუ ჩვეულებრივზე დიდი საწყავის მეოხებით გაედიდებიათ საკუთარი შემოსავალი.

1880-იანი წლების შუა ხანებში ს. მაჩაბელი გორის მაზრის შესახებ წერდა, რომ აქ „ლალის შეტანისას (ჩაბარებისას) ხშირად წარმოიშვება ხოლმე გაუგებრობა კოდის, როგორც საწყავის ზომის გაურკვევლობის მეოხებით. ერავალი სოფლის გლეხობის განცხადებით უკანასკნელ ხანებში მემამულეებმა კოდი მნიშვნელოვნად გაადიდეს; ჩვეულებრივი, გორის მაზრაში უფრო გავრცელებული კოდი ხორბალი იწონის 4 ფუთს; ახლა-კი ზოგი-

[19] А. Кипшидзе, „Краткий ист. очерк деятельности Тифлисского губернского по крестьянским делам присутствия (1864—1900)“. 1901, Тифлис.

ერთი მემამულის ასეთს კოდში ჩადის 5 ფუთამდე ხორბალი"[20]. 1900-იანი წლების გასულს ივ. ციციშვილი, ისევ გორის მაზრის შესახებ, აღნიშნავდა: „ხიზანთა და მემამულეთა ურთიერთობის გამწვავებას ისიც უწყობს ხელს, რომ მიუხედავად სენატის გადაწყვეტილებისა, რომ ღალების ასაკრებად ოცდახუთ გირვანქიანი ჩანახი უნდა იხმარებოდეს, ზოგი მემამულე 26, ზოგი 28, ზოგი 30 და არიან იმ გვარნიც, რომელნიც 32 გირვანქიან ჩანახს ხმარობენო"[21].

ამას გარდა ვითარებას ართულებდა და გლეხობას მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ისიც, რომ მემამულეები მათი კუთენილი მოსავლის აღრიცხვამდე, რაც სახმარი მიწების დაქსაქსულობის მეოხებით ფრიად ჭიანურდებოდა, ჩვეულებრივად გლეხებს ნებას არ აძლევდნენ ყანიდან წაეღოთ პურის ძნები და ბზე; პური იფანტებოდა ან ლპებოდა, ბზე ფუჭდებოდა, ხოლო თუ გლეხი მას ჩუმად წაიღებდა და მემამულე შეამჩნევდა საქმე ხშირად სისხლიან შეტაკებამდე მიდიოდა[22]. მაგრამ ყოველივე ეს, შედარებით, მაინც მეორეხარისხოვან მოვლენას წარმოადგენდა.

ჩვენ დავინახეთ რამდენად შეუმცირდა გლეხობას ნადელი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ამავე დროს ღალა, საშუალოდ (1860-იან წლებში პურზე არსებული ფასებით), ფულზე გადაყვანილი უდრიდა 1 დესეტინიდან 9 მანეთს, რაც სამჯერ აღემატებოდა ევროპის რუსეთში არსებულ ყველაზე მაღალ (ტავრიდის გუბ.) ღალას. ამგვარად, გარდა ისისა, რომ ჩამონაჭრების სახით გლეხებს მნიშვნელოვნად შეუმცირეს ნადელი, შერჩენილ მიწებზე ბევრად უფრო მეტი ღალა დაადეს, ვინემ იყო ბატონყმობის დროს.

თუ ბატონყმობის დროს ყმა-გლეხი მებატონეს აძლევდა მიწის მოსავლის, იქნებოდა იგი ღვინო, ხორბალი თუ სხვა ნაწარმოები, 1/10 — 1/5-მდე, ხოლო ზოგან 1/20-საც-კი, რეფორმის

[20] МИЭБГКЗК, VI, I. 198.

[21] „საქართველოს მოამბე", 1909 წ., № 10, გვ. 9.

[22] იხ. „Всеподданнейшая записка...", стр. 36 — 37.

მერმე მემამულეს, როგორც წესი, მიქონდა მოსავლის 1/4-დან 1/2-მდე[23].

ამასთანავე თუ ბატონყმობის გაუქმებამდე გლეხს მისთვის მიცემული სახნავ-სათესი უმეტესწილად ერთ ადგილას ქონდა, რეფორმის პროცესში და შემდეგ-კი მოხდა გადაჯგუფებანი, ზოგან ჩამონაჭრების, ხოლო ზოგან გადანაცვლებათა მეოხებით; ახლა გლეხს სახნავ-სათესის ის მცირე ფართობიც, რაც შერჩა, მიეცა უმეტესწილად სხვადასხვა ადგილას, დაქსაქსულად, ისე როგორც მემამულისათვის უფრო ხელსაყრელი იყო და მოსახერხებელი[24].

ამასთანავე მცირემიწიან მემამულეებს, რომელთაც ქონდათ: თბილისის გუბერნიაში 50 დესეტინაზე, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 30 დესეტინაზე ნაკლები მიწა, მათთვის მინიჭებული უფლების საფუძველზე, სრულებით არ მიუციათ ნადელი მათი ყოფილი ყმებისთვის, რომლებიც აქამდე, რამდენადაც მებატონეს საკუთარი მეურნეობა არ გააჩნდა, სარგებლობდნენ მთელი მისი ადგილ-მამულით.

დროთა მსვლელობაში კიდევ სხვა ეკონომიკური ფაქტორები მოქმედებდნენ. 1860-იანი წლებიდანვე, მართალია, „დროებით-ვალდებულ" გლეხობას ნადელი შეუმცირეს, ხოლო ღალა გაუდიდეს, მაგრამ ასეთს ვითარებაშიაც „საკუთარ მიწაზე შემდგარი" გლეხური მეურნეობა პირველ ხანებში, ასე თუ ისე, — აუცილებელი მოთხოვნილების შემცირების, უზომო შრომის და სხვ. მეოხებით, — მაინც ახერხებდა „დროის გაჩანჩალებას". მაგრამ პირველსაწყისი ვითარება გლეხისათვის საზარალოდ იცვლებოდა. მიწათმოქმედების ტექნიკის თითქმის აბსოლუტურად უცვლელობის, რიგი წლების განმავლობაში შეუსვენებლობისა და სხვ. მეოხებით მიწა გამოიფიტა, ნიადაგის ნაყოფიერება, ე. ი. მოსავლიანობა დაეცა. როდესაც ერთ ქცევა მიწაზე, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში, 1870-

[23] П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. IV, стр. 469.

[24] А Шестаков, „Борьба сельских рабочих в революции 1905—1907 гг.", 1930, М.-Л.

იან წლებში გლეხს მოჰყავდა 50 და მეტი ფუთი სიმინდი[25] იგი შედარებით ადვილად აძლევდა მემამულეს მოსავლის მეოთხედს, მაგრამ 1890 — 1900-იანი წლებიდან, როდესაც მოსავლიანობა ძლიერ (25 — 15 ფუთამდე) დაეცა, გლეხს, ცხადია, უკვე დიდად უჭირს მემამულისათვის ღალის მიცემა, რომელიც ახლა უფრო ხშირად უკვე მოსავლის ½-ს უდრის. ამგვარად, გლეხის მეურნეობა, ასე ვთქვათ, მაკრატლის პირში მოყვა. ერთის მხრივ, მოსავლიანობის შემცირება, მეორეს მხრივ, ღალის გადიდებასულ უფრო ავიწროებდნენ მისი ცხოველმყოფელობის ასპარეზს.

მაგრამ გლეხურ მეურნეობათა რიცხვი არ იყო ერთ ადგილას გაყინული. იგი, შიგა რუსეთის გუბერნიებთან შედარებით უფრო ნელი ტემპით, მაგრამ ამიერკავკასიაშიაც მრავლდებოდა. სახმარი მიწების ფონდი-კი — რამდენადაც მელიორაციული სამუშაოები ფრიად უმნიშვნელო ხასიათს ატარებდა— ან სულ არა, ანდა ძლიერ უმნიშვნელო ზომით ფართოვდებოდა. გასაგებია, რომ მიწის სივიწროვეს სულ უფრო მკაცრი ხასიათი უნდა მიეღო.

ბაქოს, ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებში, აქ არსებული „მუსლიმანური ყაიდის“ ფეოდალური აგრარული ურთიერთობის მეოხებით, ნადელისათვის დადგენილი იყო უფრო დაბალი ღალა, ვინემ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, — სახელდობრ მოსავლის ¹/₁₀. ამასთანავე ირანის ყოფილ სახანოებში მემამულეს, ნაცვლად უფლებისა რომ თავისთვის დაეტოვებია მემინდვრეობისათვის სახმარი მიწების ნახევარი, ნება მიეცა თავის სასარგებლოდ მოეთხოვა მხოლოდ ჩამონაჭრები — იმ შემთხვევაში თუ გლეხისათვის მიცემული ნადელის საერთო ფართობი აღემატებოდა ერთ სულზე ნორმად დადგენილ 5 დესეტინას და თუ მემამულის სარგებლობაში იმყოფებოდა მინდვრებისა და სახნავის ¹/₃-ზე ნაკლები. ე. წ.

---

[25] П. Гугушвили, „Кукурузное хозяйство в Закавказье“. (Сообщения АН ГССР, т. VI, № 4, 1946 г.).

„მუსლიმაური პროვინციების“ სოფლელებს ნება მიეცათ მემამულეთა კუთვნილი საბალახოების მოხვნისა, საქართველოში-კი ეს უფლება მხოლოდ თვით მემამულეებს ქონდათ მინიჭებული. და აქ, ამგვარად, გლეხობისათვის სახნავთა გაფართოების ეს წყარო აღკვეთილი იყო. ოფიციალურ დოკუმენტშიაც ნათქვამია, რომ „მცირემიწიანობა აქ (სომხეთსა და აზერბაიჯანში — პ. გ.) საგრძნობია მხოლოდ ცალკე პუნქტებში, რაც ეტყობა იჯარის ქირასაც, რაც აქ მნიშვნელოვნად დაბალია ვინემ საქართველოში, თუმცა, მაგალითად, ერევნის საბალახო მიწები ხარისხის მხრივ არ ჩამოუვარდებიან ქუთაისისას“ [26].

შემდეგ ბატონყმობის გაუქმებისას, ყმების „დროებითვალდებულთა“ მდგომარეობაში გადაყვანის დროს ნავარაუდევი იყო, რომ „დროებით-ვალდებულნი“ მალე გამოისყიდდნენ მიწებს, თუმცა გამოსყიდვითი ოპერაცია არ ატარებდა იძულებით ხასიათს. საქართველოში გლეხს მიწის გამოსყიდვა შეეძლო მხოლოდ მემამულის თანხმობით, ისე, რომ ხაზინა, ხელისუფლება, აქ «მონაწილეობას არ ღებულობდა», ე. ი. მიწების გამოსყიდვაში გლეხობას არ ეხმარებოდა. სომხეთსა და აზერბაიჯანში მიწის გამოსყიდვა უნდა მომხდარიყო ორივე მხარის შეთანხმების, ანდა სოფლელთა მოთხოვნის საფუძველზე. სახელმწიფო-კი აქაც მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდიოდა.

ასეთს ვითარებაში, რა თქმა უნდა, მიწის გამოსყიდვის ოპერაციების დაწყება გლეხობას გაუძნელდებოდა, ხოლო მათი უდიდესი უმრავლესობისათვის იგი სავსებით მიუწვდომელი იქნებოდა: მემამულეებს ერჩიათ ურთიერთობა ფაქტიურად ყმურ დამოკიდებულებაში მყოფ „დროებით-ვალდებულ“ გლეხებთან, რომლებიც, როგორც რეფორმამდე, ისე ახლაც იხდიდნენ ღალას, ხოლო საბატონო ბეგარის ნაცვლად ისევ ვალდებულნი იყვნენ ემუშავათ ყოფილ მებატონეთა მამულებში (შრომამიგება) და სხვ.

უკვე 1880-იან წლებში ერევნის გუბერნატორი გენ. შა-

[26] „Всеподданнейшая записка...“, стр. 81.

ლიკაშვილი ოფიციალურ დოკუმენტში აცხადებდა, რომ გლეხების მისწრაფება მიწის გამოსყიდვისაკენ მათ მხოლოდ გამოუვალ ვალებში აგდებს და აპროლეტარებსო[27]. ი ვ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი 1883 წ. ეხებოდა რა საქართველოში „დროებით ვალდებულ“ გლეხთა ეკონომიკურ მდგომარეობას წერდა: „თითქმის ყველგან გლეხკაცი მატერიალურად სულით ხორცამდე მებატონის ხელშია. თუნდ იმასაც ნუ მივხედავთ, რომ საძოვარი, ტყე, საწყლისპირო ყველგან უფრო მებატონისაა, თვით სახნავ-სათესის მესაკუთრედაც არ გამხდარა ბევრგან გლეხი და დებულების ძალით კი, ვინ იცის რამდენი ხანია, რაც უნდა გამხდარიყო. «დროებით ვალდებულობის» მოსპობას თვითონ მებატონეების სურვილიც უშლის, რომელთაც ის უნდათ, რომ გლეხი, თუ ყმად არა ყმურ დამოკიდებულებაში მაინცა ჰყავდეთ და რაც მეტი ხანი ეყოლებათ ამგვარს მდგომარეობაში, ის ურჩევნიათ“. ხოლო მომრიგებელი შუამავალნიც, რომელნიც უმეტესწილად ისევ თავადაზნაურული წრიდან იყვნენ, ძალიან ხშირად უყურადღებოდ სტოვებდნენ გლეხების თხოვნას მიწის გამოსყიდვითი ოპერაციების შესახებ და „გულმოდგინეთ ცდილობდნენ რათა მამაშვილური კავშირი მემამულესა და გლეხს შუა არ შეირყიოსო“ [28].

აღმ. საქართველოს სოფლებში მხოლოდ ფრიად უმნიშვნელო ზომით შესძლეს გლეხებმა (სოფლებმა) მიწის გამოსყიდვა. დას. საქართველოში „დროებით-ვალდებულთაგან“ მიწის გამოსყიდვისადმი მისწრაფება მეტად ძლიერი იყო: 1907 წლამდე გამოსყიდულ იქნა 144 ათასი დეს. მიწა, რისთვისაც გლეხობამ მთავრობისაგან ყოველგვარი დახმარების გარეშე გადაიხადა 7,2 მილ. მანეთი. მაგრამ, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, მიწის გამოსყიდვის მეოხებით მევახშეთა ვალებში ჩავარდნილი გლეხობის უდიდესი უმრავლესობა ადრე თუ გვიან ღატაკდებოდა.

აზერბაიჯანსა და სომხეთში სოფლელთა მიერ მიწის გამოსყიდვის საქმეში ურთულეს სიძნელედ გადაიქცა ნატურალური

[27] МИЭБГКЗК, III, 327.

[28] „დროება“, 1883 წ. № 131, მოწინავე.

ბეგარების კომუტაცია (ფულზე გადაყვანა); — გამოანგარიშების ტრადიციული წესებით გამოსასყიდელი ფასი ფრიად მაღალი გამოდიოდა. ამასთანავე კანონი მოითხოვდა, რომ მიწის გამოსყიდვის მთელი ოპერაცია დამთავრებულიყო ერთ წელიწადს, რაც, რასაკვირველია, საქმეს კიდევ უფრო აძნელებდა.

ასე რომ 1907 წლისათვის ამიერკავკასიის ხუთსავე გუბერნიაში გლეხობის სარგებლობაში ითვლებოდა 682 ათასი დესეტინა (მემამულეთაგან გამოუსყიდველი) მიწა (მათგან 120 ათასი დესეტინა ხიზნებს ეჭირათ).

ამიერკავკასიაში 1905 — 1907 წლების რევოლუციის მიზეზების ყანდარმულ მიმოხილვაში აღიარებულია, რომ „გლეხთა განთავისუფლების ეპოქის“ შემდგომ დროთა მსვლელობაში, „როდესაც გლეხთა ოჯახები გადიდდა, მჭამელი მეტი შეიქნა, მთელი ნადელები მათ უკვე აღარ ყოფნიდათ, რათა დაეკმაყოფილებიათ თავიანთი საარსებო მოთხოვნილებანი, ისინი იძულებულნი იყვნენ აეღოთ მემამულეთა მიწები და ჩავარდნილიყვნენ კაბალაში. საკუთარი ნადელი უკვე თითქმის არაფერს იძლეოდა, ხოლო მემამულის მიწები მათ მუქთად როდი ეძლეოდათ. სარგებლობდნენ რა გლეხობის გამოუვალი მდგომარეობით თავადაზნაურულმა მემამულეებმა ისინი სავსებით დააკაბალეს. ამიერიდან გლეხები ამუშავებდნენ მიწებს და მისი სარგებლობისათვის აძლევდნენ მოსავლის ნახევარს და სამუშაო დღეებს... მისი, უკვე მზა სახით, მემამულისათვის მისატანად. შემდეგ ცალკე უნდა ეხადათ მემამულის ტყითა და საბალახოთი სარგებლობისათვის. პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მათზე მიმართავდნენ ძალადობას, როგორც, მაგალითად, პირუტყვის დაჭერას და სხვ. ასე რომ განთავისუფლების ეპოქაში მიცემული ნადელი... უკვე 90-იან წლებში გლეხისათვის არაფერს წარმოადგენდა და აგდებდა მას სოფლის პროლეტარიატის რიგებში“[29]. შემდგომს წლებში გლეხობის გაღატაკების პროცესი, როგორც ვიცით კიდევ უფრო მასობრივ ხასიათს ღებულობს.

---

[29] „Каторга и ссылка“, 1925 г. № I(3), стр. 109 — 110.

კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს ვ ა ტ ა ც ი ს, სვანეთში მოგზაურობის დროს (1910 წ.), ადგილობრივმა გლეხობამ არზა მიართვა: უკვე 44 წელიწადი გავიდა რეფორმის შემდეგ, მაგრამ „ჩვენი ცხოვრება ამის შემდეგაც არამცთუ არსებითად არ შეცვლილა და გამოკეთებულა, არამედ თანდათანობით უარესდება... მართალია, ჩვენ ამ კანონით მოგვიზომეს კომლზე 5 ქცევა მიწა, — რომელზედაც დღეს ხალხის გამრავლებისა და ძმათა გაყოფის გამო ხშირად 3 — 4 კომლი სახლობს,—მაგრამ დანარჩენი ადგილ-მამული და მიწა-წყალი ისევ თავადის განკარგულებაში დარჩა“... თუ ჩვენ მემამულის მიწა-წყლით არ ვისარგებლეთ, ისე შეუძლებელია ჩვენი ცხოვრება, ხოლო მათი ადგილ-მამული ისეთი ღალით არის დატვირთული, რომ ჩვენ იძულებული ვხდებით მემამულის ეკონომიკურ დამოკიდებულებასა და სრულ მორჩილებაში ვიყოთ. ეს გარემოება, ჩვენს, — გლეხებსა და თავად დადეშქელიანებს, — შორის ამწვავებს მდგომარეობას. „ჩვენ გვშიან, ვთხოულობთ პურს და მის ნაცვლად ქვებს ეღებულობთ“, ხოლო როცა ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაზე ჩვენ ხმას ვიღებთ, ჩვენს განცხადებას „ბუნტს“ არქმევენ. ასეთს ეკონომიკურ პირობებში არსებობა ჩვენთვის შეუძლებელიაო.

1905 წ. ივლისში კავკასიის ნამესტნიკის წინადადებით თბილისის, სიღნაღის, თელავისა და თიანეთის მაზრები შემოიარა ადგილობრივმა მსხვილმა მემამულემ გენ.-ად. ზ. გ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ; მას დავალებული ჰქონდა „მოსახლეობის დამშვიდება“. თავის საინტერესო ანგარიშგებითს მოხსენებაში ზ. ჭავჭავაძე იძულებულია აღნიშნოს, რომ: მიწის ფასების სწრაფი ზრდის, „იჯარის ქირის ხუთჯერ გადიდების“, „დროებით-ვალდებულ“ გლეხთა გამოუვალ ვალებში ჩაცვენის, მათი დიდი ნაწილის გაბოგანოვების, მემამულეთა მხრით ათასგვარი შევიწროების, ხუცების ღორმუცელობის, ტყითა და საბალახოებით სარგებლობის აუტანელი პირობების, ადმინისტრაციის თავგასულობისა და უკონტროლობის, ნაციონალური ჩაგვრისა და სხვ. მეოხებით გლეხობის ძირითადი მასები უაღრესად შევიწროებული, უკიდურესად დაბეჩავებული და უმაყო-

ფილონი არიან. მას, გარდა პირადი დაკვირვებისა, მოყავს ამონაწერები თვით მაზრების უფროსთაგან მიწოდებული მასალებიდან და ასახელებს სოფლებს, სადაც გლეხები წლების განმავლობაში შიმშილობენ. ამ მასალებში, მაგალითად, თიანეთის მაზრის უფროსის კაპიტან ლეონტიევის მოხსენებაში ნათქვამია: „პირადად ვიცი გლეხთა მრავალი ოჯახი, სადაც ზამთრის განმავლობაში ოჯახის წევრები პურს დღეგამოშვებით და ხანაც ორი დღის გამოშვებით ჭამენ“. ასეთს ვითარებაში თვით გენ.-ად. ზ. ჭავჭავაძესაც კი აუცილებლად მიაჩნია გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებ-სათვის „რეალურ ღონისძიებათა“ გატარება; — მაინც ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში „დროებით-ვალდებული“ გლეხობა იმყოფებაო, აცხადებდა იგი და ამასვე აღიარებდა საერთოდ ადმინისტრაციაც[30].

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის 1905 წ. 19 მარტის პროკლამაცია ქართლ-კახეთის გლეხკაცობას მიმართავს და უხსნის, თუ როგორ მოატყუა თვითმპყრობელობამ გლეხობა ჯერ კიდევ რეფორმის დროს: „დიახ, გატყუებდნენ, რადგანაც მიწები, თქვენი წინაპრების სისხლით მორწყული მიწები, ტყე, საბალახო, წყალი, — ყველა ეს უნამუსოთ ჩამოგართვეს და მებატონეებს გადასცეს; მებატონეები გააძლიერეს, თქვენ ხელცარიელი დაგტოვეს და ამავე დროს უსირცხვილოდ გარწმუნებდნენ — ბატონყმობა გადავაგდეთო!

„გატყუებდნენ, რადგანაც ძველ, საბატონო გადასახადებს ახალი, სახელმწიფო გადასახადები მიუმატეს, არაყიდან და ნავთიდან დაწყებული უკანასკნელ ღილამდე ყველაფერს ბაჟი დაადვეს; სულამდე ხელი ჩაგაწვდინეს, თავისუფლება მოგისპეს და ამავე დროს ფარისევლურად ჩაგჩურჩულებდნენ ყურში: თავისუფლები ხართ, მეტი რაღა გინდათო!“[31].

---

[30] П. Гугушвили, „Сельское хозяйство...“, т. IV, стр. 768 — 818.

[31] „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები“, 1939 წ., გვ. 114 — 116.

6. რევოლუციური გლეხობის მოთხოვნები

გლეხის ოჯახური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა... „გლეხის ბეჩავი ცხოვრების გამოსწორება შეუძლებელი იყო, სანამ ბატონყმური წესები და მეფის მთავრობა არსებობდა; ამიტომაც, როგორც ხსენებულ პროკლამაციაში ვკითხულობთ, 1905 წ. რევოლუციის დროს: „დაიძრა სოფელი. გურიიდან დაწყებული ქიზიყამდე ყველგან ფეხზე დადგა გლეხკაცობა... მათ წინმიუძღვისქალაქის მუშები და ასე სოფლისა და ქალაქის მშრომელნი ერთ დიდ ჯარად გადაქცეულნი სასტიკი იერიშით მიდიან «ძველი წესების» წინააღმდეგ“[32].

ამიერკავკასიის სოფელში ბატონყმობის გადმონაშთები უფრო მეტი ზომით იყო შემორჩენილი ვინემ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში. მწვავე მცირემიწიანობამ, მემამულეთაგან სასტიკმა ექსპლოატაციამ, უაჩაღურმა საგადასახადო პოლიტიკამ, ცარიზმის ბიუროკრატიის თვითნებობამ, ნაციონალურმა ჩაგვრამ, სავახშო და სავაჭრო კაპიტალის განუკითხველმა პარპაშმა მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ამიერკავკასიის გლეხობა და ხელი შეუწყო მის გარევოლუციურებას.

როგორც საერთოდ რუსეთში ისე კერძოდ ამიერკავკასიაში კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების შესაბამისად ძველებური, ყველას წინაშე ქედმოხრილი, უენო, ღვთისმოშიში გლეხობის ნაცვლად ყალიბდებოდა ახალი თაობა. საშოვარზე ნავალი, ქალაქებში ნამყოფი გლეხობისა, რომელთა ცნობიერება გამდიდრებული იყო კაპიტალისტურ საწარმოებში დაქირავებული მუშაობის მწარე გამოცდილებით, მუშათა კლასის მებრძოლი კავშირების ძალის გამოვლინებით.

ამავე დროს თვითმპყრობელობის პოლიციურ დესპოტიზმთან ერთად მემამულური, კაპიტალისტური და ეროვნული ჩაგვრა აუტანელს ხდიდა ხალხთა მასების მდგომარეობას და მეტისმეტად ამწვავებდა საზოგადოებრივ წინააღმდეგობებს.

---

[32] „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები“, გვ. 117, შეადარე აგრეთვე გვ. 167.

ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი იყო უწინარეს ყოვლისა მემამულური მიწათმფლობელობისა და თვითმპყრობელობის მოსპობა.

მე-19 ს. მიწურულს მუშათა მოძრაობა შეიქნა მთელი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. გლეხობის მრავალრიცხოვანი მასა პროლეტარიატის ბუნებრივი მოკავშირე იყო რევოლუციაში. აგრარული საკითხი რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საფუძველს წარმოადგენდა. ამდენადვე ეს რევოლუცია გლეხური იყო, თუმცა მისი გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო მეთაურობა პროლეტარიატისა, რომელიც გაიყოლიებდა მიწისათვის მებრძოლ გლეხობას.

საერთოდ 1905 წ. რევოლუციის პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიის გლეხობა მოითხოვდა: 1. მსხვილი მიწათმფლობელობის გაუქმებას და ამ მიწების მიწის მუშისათვის გადაცემას; 2. „ჩამონაჭრების“ სახით საგლეხო ნადელებიდან მემამულეთაგან მითვისებული მიწების დაბრუნებას; 3. საერთოდ სანადელო (საკომლო) მიწების გლეხობის საკუთრებად გამოცხადებას; 4. ნადელთა გამოსყიდვისათვის გადახდილი თანხების დაბრუნებას; 5. წოდებრივი პრივილეგიების და ბატონყმობის ყოველგვარი გადანაშთების გაუქმებას; 6. სოფლებში თვითმართველობის დაწესებას; 7. არაპირდაპირი გადასახადების ნაცვლად შემოსავლის კვალობაზე გაწერილი პროგრესიული გადასახადის დადგენას; 8. ეკლესიისა და ხუცობის სახელმწიფო ხარჯზე შენახვას[33]; 9. კრების, სიტყვის,

[33] როგორც კავკასიის ნამესტნიკის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში (1907 წ.) ვკითხულობთ 1902 წ. ზაფხულიდან გლეხთა წრეებში დაიწყო მოძრაობა სასულიერო წოდებისათვის „დრამის-ფულის“ (ყომლზე 2 მან.) გადახდის წინააღმდეგ. სოფლის ცალკე საზოგადოებათა უარი „დრამის“ გადასახადისა თავდაპირველად მხოლოდ ოზურგეთის მაზრაში ქუთაისის გუბერნიისა (ყოფილ გურიაში) დაიწყო, მაგრამ 1905 წლისათვის ქუთაისის და თბილისის გუბერნიების თითქმის მთელმა სოფლის მოსახლეობამ მიატოვა გადახდა „დრამისა“, რის უარსაც ასაბუთებდნენ მით, რომ სასულიერო წოდება ღებულობს სავსებით საკმარის ჯამაგირს ხაზინისაგან და ამას გარდა კიდევ ცალკე გასამრჯელოს ახდევინებს წესის ყოველი აღსრულებისათვის. ამასთანავე გლეხებმა უარი განაცხადეს ეკლესიისათვის ყარაულ-

ბეჭდვის თავისუფლებას; 10. პიროვნების, ბინის და საერთოდ მოქალაქეობრივ თავისუფლებათ; 11. საყოველთაო, უფასო სწავლების შემოღებას ადგილობრივ ენებზე სკოლებში; 12. საპასპორტო სისტემის გაუქმებას და სხვ., აგრეთვე დაარსებას გლეხთა კომიტეტებისა, რომელთაც ეს მოთხოვნები ცხოვრებაში უნდა გაეტარებია[34].

როგორც საერთოდ რუსეთის, ისე კერძოდ ამიერკავკასიის გლეხობაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ლ ე ნ ი ნ ი ს მიერ შემუშავებულ ბოლშევიკების აგრარულ პროგრამას. ეს პროგრამა მოითხოვდა მემამულეთა, საეკლესიო-სამინისტრო, საუფლისწულო და კაბინეტის მიწების კონფისკაციას და მთელი მიწების ნაციონალიზაციას. ბოლშევიკები ამ მოთხოვნებს უკავშირებდნენ მეფის თვითმპყრობელობის მოსპობასა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. ბოლშევიკები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ შეკავშირებას სოფლის პროლეტარულ და

ბაზე, მოითხოვდნენ, რა რომ ამ ბეგარაში მონაწილეობა მიეღო ადგილობრივ თავადაზნაურობასაც; ისინი მოითხოვდნენ რომ ხუცებს ხელი აეღოთ მეთვის (ადმინისტრაციისაგან) დაკისრებულ ზოგიერთ დამატებით ვალდებულებათაგან. მაგალითად, როგორიც არის მონაწილეობა სამხედრო ბეგარაზე (ჯარში) გასაწვევ და სიების შედგენაში. „ცალკე შემთხვევაში გლეხებს მიქონდათ ეკლესიის გასაღები და ისინი თვითონ აწარმოებდნენ სანთლის გაყიდვას, ართმევდნენ სასულიერო პირებს პურის მარაგს, ცეცხლს უჩენდნენ მათს ქონებას; წინააღმდეგობის გამწევ მღვდლებს სცემდნენ, აძევებდნენ სოფლიდან, ხოლო ზოგიერთს კლავდნენ კიდევაც". თვით 1907 წლის მიწურულისათვისაც, როგორც ამავე მოხსენებაშია აღნიშნული, სასულიერო წოდების ბოიკოტი კიდევ არ იყო მთლიანად შეწყვეტილი, რამდენადაც „დრამას" „მხოლოდ რეპრესიულ ღონისძიებათა გავლენით ჩხდიან".

აქ, რასაკვირველია, მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რასაც მიუთითებს თვით ნამესტნიკი: „ეს სასულიერო წოდება, საეჭვოა, რომ დარჩენილიყო გარეშე იმ მოძრაობისა, რაც მოედვა საქართველოს სოფლის მოსახლეობას, თუნდაც რომ ეს ბოიკოტი არცკი ყოფილიყო, რამდენადაც სოფლის ხუცები, უდავოა, ცხოვრობენ ცხოვრების ისეთსავე ვითარებაში, როგორშიაც არის მათი მრევლი და უკანასკნელთა ინტერესები ახლოს ეხებიან ხუცობის ინტერესებსაც" (გვ. 23 — 25).

[34] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გვ. 44—48; „Революция 1905 г. в Закавказье. (хроника, документы, материа-

ნახევრად პროლეტარული ელემენტებისა, რომლებიც ყველაზე აქტიურ როლს თამაშობდნენ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში[35].

ჩაგვრისა და შევიწროების აუტანელი პირობების მიუხედავად, ცხადია, სოფლის გლეხობას დამოუკიდებლად მაინც არ შეეძლო ესოდენ მნიშვნელოვანი და ფართე რეზონანსის მქონე რევოლუციური მოძრაობის გაჩაღება, რასაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიაში 1900-იანი წლების გარიჟრაჟიდან დაწყებული. სწორედ ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა გლეხობამ, რომელიც ქალაქებში ეზიარა სიდიადეს პროლეტარული მოძრაობისა. რაც იქ გაჩაღებული იყო მუშათა კლასის ს.-დ. ორგანიზაციების შეუდრეკელი რევოლუციური მოღვაწეობის მეოხებით.

მართალია, ამიერკავკასიაში სამრეწველო პროლეტარიატი, როგორც საერთოდ კაპიტალიზმი, შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული, მაგრამ როგორც ვიცით პროლეტარიატის „ძალა ისტორიულ მოძრაობაში განუზომელად უფრო დიდია, ვიდრე მისი წილი მოსახლეობის საერთო მასაში“[36].

მაგალითად, 1902 წ. ქ. ბათუმში პროლეტარიატის გრანდიოზულმა გაფიცვამ, მანიფესტაციამ და დემონსტრაციამ უდიდესი გამოძახილი ჰპოვეს სოფლად. ეს მოვლენები შეიქმნენ წინამსრბოლად მთელ ამიერკავკასიაში, სოფლად და ქალაქად რევოლუციური ტალღების ამაღლებისათვის.

მაგრამ ბათუმის მოვლენები არ იყო ამ მხრივ გამონაკლისი. იმას, რასაც ბათუმის და სხვ. სამრეწველო პროლეტა-

---

лы)“, 1926; ფ. მახარაძე, „1905 წელი ამიერკავკასიაში“, 1926, თბ.; В. Парсамян, „Революц. движ. в Армении 1905 — 1907 гг.“, 1955; Ц. Агаян, „Революц. движ. в Армении в 1905 — 1907 гг.“, Ереван. 1955 г. (на арм. яз.).

[35] იხ. „რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავი“ (თეზისები). 1955.

[36] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 13.

რიატი აკეთებდა დასავლეთ საქართველოს სოფელში, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და აღმოსავლეთ საქართველოში აკეთებდა ბაქოს, თბილისის და სხვ. ქალაქების პროლეტარიატი და მათს სკოლაში გამოვლილი გლეხობა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მალე ისევ თავის თემს უბრუნდებოდა.

1905 — 1907 წლების ეს რევოლუცია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინური იდეის სასიცოცხლო ძალის პირველი ისტორიული შემოწმება იყო.

საერთოდ ეს რევოლუცია რუსეთის მუშებისა და გლეხების თავიანთი სოციალური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ეტაპია. რუსეთის სახელოვანმა პროლეტარიატმა, რევოლუციის მთავარმა წარმმართველმა ძალამ, ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში თავის გარშემო დარაზმა და გაიყოლია უკრაინის, ამიერკავკასიისა და იმპერიის სხვა განაპირა ქვეყნების მუშები და გლეხები. სწორედ ამაში იყო ძალა ამ ქვეყნებში მშრომელთა მასების რევოლუციური მოძრაობისა.

ცარიზმმა, უცხოეთის იმპერიალისტების დახმარებით ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო 1905 — 1907 წლების რევოლუცია. მაინც ამ რევოლუციამ საფუძვლიანად შეარყია თვითმპყრობელობა და კაპიტალიზმი. რუსეთის მუშათა კლასმა უდიდესი გამოცდილება მიიღო. 1905 — 1907 წლების რევოლუციას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობაც ჰქონდა. „1905 წლის «გენერალური რეპეტიცია» რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა“[37].

აგრარული საკითხის ცენტრალური პუნქტი

მე-19 ს. მიწურულისა და მე-20 ს. დამდეგს რუსეთში აგრარული საკითხის ცენტრალურ პუნქტს შეადგენდა გლეხური მეურნეობა[38]; აგრარული საკითხის გარშემო ყოველგვარი კვლევაძიების მთავარ ამოცანად ვ. ლენინი სთვლიდა აგრარულ ურთიერთობათა კლასობრივი არსის დახასიათებისათვის ძირითად მონაცემთა

[37] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 13.
[38] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 96.

დადგენას, სახელდობრ გარკვევას იმისა, თუ რა კლასებთან და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების რომელ მიმართულებასთან გვაქვს საქმე და მხოლოდ ამის მერმე მიაჩნდა შესაძლებლად ლაპარაკი ისეთ საკითხებზე როგორიცაა, მაგალითად, განვითარების ტემპი და სხვ.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალათა ანალიზი სრულ საშუალებას იძლევა, რათა ვ. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელმძღვანელო მითითებათა მიხედვით გავერკვეთ აღებულ პერიოდში ამიერკავკასიის აგრარული წყობის არსში.

წ ვ რ ი ლ გ ლ ე ხ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა პარცელური საკუთრების სახით წარმოგვიდგება. გლეხი თავისუფალი მესაკუთრეა მიწის ნაკვეთისა, რაც მისთვის წარმოების მთავარი საშუალებაა.

პარცელურ, წვრილგლეხურ მეურნეობას, რაც მე-19 ს. ბოლოსა და მე-20 ს. დამდეგს გაბატონებული იყო როგორც საქართველოს, ისე საერთოდ მთელი ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში, შეესაბამებოდა საქალაქო ცხოვრებისა და კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების (ცენტრალური რუსეთის გუბერნიებთან შედარებით) დაბალი დონე. სოფლის მოსახლეობა ბევრად ჭარბობდა ქალაქისას. მართალია, საერთოდ ქვეყანაში გაბატონებული იყო კაპიტალისტური წარმოების წესი, მაგრამ როგორც ქალაქად, ისე სოფლადაც, როგორც მრეწველობაში ისე მიწათმოქმედებაშიაც, კაპიტალების კონცენტრაცია ვიწრო ჩარჩოებში მოძრაობდა და ჭარბობდა წვრილი, დაქუცმაცებული კაპიტალი.

წვრილგლეხური მეურნეობის ვითარებაში სოფლის მეურნეობის პროდუქტთა უდიდესი ნაწილი გვევლინება როგორც თვით მწარმოებელთა არსებობის საშუალება და მხოლოდ ამის გარდამეტი შეიძლება ჩაერთოს საქონლურ მიმოქცევაში, სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური კავშირის სფეროში.

ისეთ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც იყო ამიერკავკასია მიწა წარმოადგენდა მოსახლეობის უმრავლესობისათვის შრომისა და კაპიტალის გამოყენების აუცილებელ სარბიელს. შეიძლება ტიპიურად ქუთაისის გუბერნია იქნას მიჩნეული,

სადაც განვითარებული იყო თავისუფალი საკუთრება გლეხისა, რომელიც თვითონ წარმართავდა თავის მეურნეობას. მიწათმომქმედი თავისი არსებობის საშუალებებს თვითონვე თავის ოჯახთან ერთად აწარმოებდა, როგორც განცალკევებული მეშა. მიწის საკუთრება მისთვის საფუძველი უნდა ყოფილიყო პირადი დამოუკიდებლობის განვითარებისათვის, სწორედ ისევე აუცილებელი რამ, როგორც შრომის იარაღთა საკუთრება თავისუფალი ხელოსნური წარმოებისათვის. კ. მ ა რ ქ ს ი ასეთ ვითარებას თვლიდა თვით მიწათმოქმედების განვითარების აუცილებელ გარდამავალ პუნქტად.

კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების პროცესში ასეთი წვრილი გლეხური მეურნეობა უნდა მოსპობილიყო. იგი მოისპობოდა იმისდა მიხედვით: რაც მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარებით გამოიდევნებოდა შინამრეწველობა, როგორც წვრილგლეხური მეურნეობის „ნორმალური შევსება"; — რაც გამოიფიტებოდა მის სარგებლობაში შემავალი მიწა; — რაც დაჩქარდებოდა თემურ (სოფლურ) სარგებლობაში დარჩენილი საბალახოებისა და ტყეების (და სხვა სახმართა) მსხვილი მემამულეთაგან მიჩემება, რაც წვრილ გლეხობას თვით პირუტყვის შენახვის შესაძლებლობასაც წაართმევდა და რაც, ამგვარად, წვრილგლეხურ მეურნეობას გამოაცლიდა „მეორე შევსებას"; — რაც უფრო იზრდებოდა მსხვილი მეურნეობის კონკურენცია, რაც კაპიტალისტურად უფრო განვითარებული მეზობელი ოლქებიდან სოფლის მეურნეობის იაფი პროდუქტების, მაგალითად, მარცვლეულის შემოტანის სახით ხორციელდებოდა და, შესაბამისად, მოითხოვდა წარმოებრივი ხარჯების გადიდებას, წარმოების ნივთიერ პირობათა გაძლიერებას.

რა თქმა უნდა, წვრილგლეხური მეურნეობის საბოლოო ბედის მხრივ ყველგან ერთნაირად ვლინდება მისი საერთო შეზღუდულობა, რაც გამორიცხავს შრომის საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალთა განვითარებას, შრომის საზოგადოებრივ ფორმებს, კაპიტალების კონცენტრაციას, მაშასადამე, გაფართოებულ აღწარმოებას და მეცნიერულ მიღწევათა

ოანმიმდევრულ გამოყენებას, ის ბოგინობს როგორც წვრილ-საქონლური პარცელური მეურნეობა. მევახშეობა და გადასახადები, მიწის შესყიდვისაკენ მისწრაფება იწვევენ მის გაღატაკებას.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში, როგორც წვრილ-გლეხურ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის საქონლური პროდუქციის უდიდეს ნაწილს აწარმოებდა არა მსხვილი მამულები, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციაზე დამყარებული კაპიტალისტური საწარმოები, არამედ სწორედ წვრილი გლეხური მეურნეობა, რომელიც თანდათანობით ყალიბდებოდა როგორც წვრილბურჟუაზიული ტიპის მეურნეობა. ამასთანავე, ანალოგიისათვის, საინტერესოა გავიხსენოთ, რომ საერთოდ ბურჟუაზიულ ქვეყნებში (გამონაკლისს ინგლისი შეადგენს) მეურნეობის რაოდენობრივად გაბატონებული ფორმა იყო და არის წვრილსაქონლური გლეხური მეურნეობა. კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზით მიმავალ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ეს წვრილსაქონლური გლეხური მეურნეობა გაბატონებული იყო არა მხოლოდ რიცხვობრივად, არამედ წარმოებული პროდუქციის საერთო მასის მიხედვითაც.

მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა რეფორმისშერმინდელ პერიოდში თავისებურად აერთიანებდა მებატონურ და კაპიტალისტურ სისტემას. ეს იყო ერთგვარი გარდამავალი საფეხური, როდესაც მემამულური მეურნეობის ეკონომიკური ორგანიზაცია მეტნაკლები ზომით შეიცავდა, როგორც შრომამიგებით სისტემას, ე. ი. ბატონყმობის გადანაშთებს, ასევე ბურჟუაზიულ ურთიერთობათა, ე. ი. დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის სისტემასაც; თუმცა თვით 1900-იან წლებშიაც-კი აქ არსებითად გაბატონებული იყო ისევ შრომამიგებითი სისტემა.

შრომამიგების სისტემა თანდათანობით გადადიოდა კაპიტალისტურში, თუმცა, მართალია, რომ ეს გადასვლა ამიერკავკასიაში, სადაც კაპიტალიზმი პრუსიული გზით ვითარდებოდა, მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობდა, უფრო ნელით

ვინემ რუსეთში. ამასთანავე, როგორც დავინახეთ, შრომამიგებითი და კაპიტალისტური სისტემები ისე იყო აქ ერთმანეთში გადახლართული, რომ მათი ურთიერთისაგან გამოყოფა, განსხვავება, ხშირად თითქმის შეუძლებელია.

ამასთანავე, რაც უფრო ვითარდებოდა საქონლური მეურნეობა მით უფრო აშკარავდებოდა შრომამიგებითი სისტემის გარდამავალი ხასიათი, მაგრამ მით უფრო ვერ ელეოდა მას ნახევრად ფეოდალური მემამულე, რომელიც ყოველი ღონით ცდილობდა მისგან „სისხლის უკანასკნელი წვეთების გამოწოვას“.

შრომამიგებითი სისტემა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1900-იანი წლებისათვის მაინც უკვე უმთავრესად ორი სახით ჩამოყალიბდა: 1. მოიჯარე გლეხი მემამულის მეურნეობაში მუშაობდა საკუთარი ინვენტარით (ხარით, კავით) და 2. როდესაც შრომავალდებულ გლეხს უკვე არ გააჩნდა სოფლის მეურნეობის იარაღები, განსაკუთრებით გამწევი ძალა.

ფაქტიური მასალები მოწმობენ, რომ პირველი სახის მოიჯარე გლეხთა მასებიდან სულ უფრო იზრდება მეორე სახის შრომავალდებულ გლეხთა რაოდენობა. ეს ის ღარიბი და უღარიბესი გლეხობაა, რომელმაც მიწათმფლობელის მეურნეობაში უნდა იმუშაოს არა მხოლოდ იჯარის ქირისათვის, არამედ აგრეთვე გუთნეულის (გამწევი ძალის) საზღაურისათვისაც, რადგან მას, უხაროს, არ შეუძლია საკუთარი ინვენტარით დაამუშავოს იჯარით აღებული, თუ საკუთარი მიწის ნაჭერი (მიწა აქვს, გამწევი ძალა არა ყავს; ანდა არც გამწევი ძალა ყავს და არც მიწა აქვს საკმარისი ა. შ.).

შრომამიგების ეს, მეორე, სახე უკვე მოასწავებს გლეხის სრულ გაბოგანოვებას; — იგი მალე სოფლის პროლეტარი, მოჯამაგირე ხდება; ანდა სრულებითაც უნდა მოწყდეს სოფელს და „გზა ცხოვრებისა“ ქალაქში ეძიოს, საითკენაც მას დროებით საშოვარზე გასვლის ტრადიცია ეწევა.

რეფორმის მერმინდელ პერიოდში, განსაკუთრებით 1890-იანი წლებიდან მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა, მართა-

ლია ძნელად და ნელა, მაგრამ მაინც გადადიოდა კაპიტალისტური განვითარების რელსებზე; შრომამიგებას თანდათანობით ცვლიდა თავისუფლად დაქირავებული მუშაძალა, გლეხურ ინვენტარს გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები „კაპიტალისტური ეკონომიისა“ [39]. მაგრამ კაპიტალისტური გზით ვითარდებოდა თვით გლეხური მეურნეობაც, რომლის დაშლის პროცესში ყალიბდებოდა სოფლის ბურჟუაზია და მოჯამაგირეთა კლასი, სოფლის პროლეტარიატი.

მიუხედავად ბატონყმურ ურთიერთობათა ძლიერი გადანაშთებისა როგორც მემამულურ, ასევე გლეხურ მეურნეობის რეფორმისმერმინდელ პერიოდში განვითარება შეეძლო მხოლოდდამხოლოდ კაპიტალისტური გზით. ეს იყო პროგრესული გზა და აქეთკენ ეწეოდა ამიერკავკასიას როგორც საერთოდ მთელი ეპოქა, ასევე კერძოდ რუსეთის კაპიტალიზმი, რომელმაც თანდათანობით ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაც ჩაითრია ჯერ თავის და მერმე მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ორომტრიალში.

ამასთანავე ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში, გარდა გამონაკლისებისა, კაპიტალიზმს განვითარება შეეძლო პრუსიული გზით, რამდენადაც აქ რეფორმის მერმინდელ პერიოდში, თვით 1900-იან წლებშიაც, ბატონობდა ბატონყმურ ურთიერთობათა, უშუალოშეწარმოებელთა კაბალური დამოკიდებულების გადანაშთები.

ერთეულების სახით წარმოდგენილ მსხვილ მემამულურ მეურნეობებისა და წვრილგლეხურ მეურნეობათა მასის ურთიერთგადახლართვით წარმოქმნილი საქართველოსა და ამიერკავკასიის აგრარულ ურთიერთობათა მთელი ქსოვილი წინელის ღობეს მიაგავდა, რომელშიაც მემამულური მეურნეობები ერთმანეთს მეტად დაშორებულ, ამასთანავე დაბალ და, ამდენადვე, არსებითად უჩინარ სარებად იყვნენ ჩარჭობილნი და ამიტომაც დამკვირვებლის თვალთა წინაშე მხო-

[39] იხ. პ. გუგუშვილი, „სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული იარაღები საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში“ (ეკონ. ინსტ. შრომები, ტ. II).

ლოდღა მათზე დადრეკილ ფერადფერად და მეტნაკლებად წვრილწკნელის ორხოულთა მჭიდრო ქსოვილად აღიმართებოდა.

საერთოდ თავისი განვითარების დონით ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობა დიდად არ გასცილებია კაპიტალისტური წარმოების „მანუფაქტურულ“ სტადიას. აქ მიწათმოქმედებაში გაბატონებული იყო ხელით შრომა, მარტივი კოოპერაცია, მანქანათა სპორადული გამოყენება და სოფლისმეურნეობრივი წარმოებაც უმთავრესად წვრილი წარმოების ხასიათს ატარებდა, თუმცა ყოველივე ეს, მსოფლიო კაპიტალიზმის ორბიტში მოქცეულ ქვეყანას, იმპერიალიზმის ეპოქაში, სრულიადაც ხელს არ უშლიდა აქ „გაფურჩქნილიყო“ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამახასიათებელი თითქმის ყოველგვარი „მშვენიერებანი“.

VII

აგრარული ევოლუცია 1905 — 1920 წწ.

1. ბურჟუაზიული საადგილმამულო საკუთრების განვითარება

რამდენადაც 1905 წ. რევოლუციის შემდეგ კაპიტალისტური ურთიერთობანი უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდნენ და, მაშასადამე, სოფლის სოციალური დიფერენციაცია სულ ღრმავდებოდა, ცხადია, აგრარული ურთიერთობებიც შესაბამის ევოლუციას განიცდიდნენ.

ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესო მასალას გვაწვდის 1916 წელსა და განსაკუთრებით 1917 წლის ზაფხულში ჩატარებული სოფლის მეურნეობისა და ადგილ-მამულის აღწერა. უნდა ითქვას, რომ ეს აღწერები ჩატარდა მთელს რუსეთში და ამდენადვე ამიერკავკასიაშიაც, მაგრამ იმდროინდელი მძიმე პირობების მეოხებით როგორც აღწერა, ისე ამ გზით მიღებულ მასალათა დაჯგუფება-დამუშავება ყველგან ერთნაირი სისრულით არ ჩატარებულა.

რუსეთის მიწათმოქმედების მინისტრმა კერძოდ 1917 წლის აღწერის სამუშაო ამიერკავკასიაში დააკისრა სრულიად კავკასიის სასურსათო გამგეობის (Общекавказская продовольственная управа) სტატისტიკურ განყოფილებას. ამ განყოფილებამ მოიწვია სრულიად კავკასიის სტატისტიკოსთა ყრილობა, რომელმაც განიხილა და გადასწყვიტა პროგრამული და ორგანიზაციული საკითხები აღწერისა. აღწერის მუშაკებს ზოგან მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. მაგალითად, ერევნის გუბერნიასა, ყარსისა და ბათომის ოლქებში შეუძლებელი შეიქნა მოპოვებული მასალის ადგილზე დაჯგუ-

ფება. ასე რომ აღწერის ჯეროვნად ჩატარება და მასალათა დამუშავება, ე. ი. მთელი წამოწყების „დამთავრება და გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოში"[1].

ხსენებული 1917 წლის აღწერის მონაცემები შემდეგნაირად წარმოგვიდგენენ მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ვითარებას საქართველოში (იხ. ცხრილი, გვ. 904 — 905).

როგორც ცხრილის I ნაწილი გვიჩვენებს, საქართველოში საშუალოდ ერთ გლეხურ მეურნეობაზე 1917 წ. მოდიოდა ყველა სახის სახმარი მიწა 2,4 დესეტინის რაოდენობით. აქედან პირველი ადგილი, ცხადია, ეჭირა სახნავს (1,6 დეს.), მეორე — სამოსახლოს (0,2 დეს.), მესამე და მეოთხე სავენახესა და სათიბს. მაგრამ თვით საქართველოში ყველგან ერთნაირი როდი იყო სახმარი მიწების ეს განაწილება. გლეხის ერთ მეურნეობაზე მოდიოდა საშუალოდ ყოველგვარი სახმარი: თბილისის გუბერნიაში — 2,7 დეს., ქუთაისის გუბერნიაში — 2,0 დეს., ხოლო სოხუმის ოკრუგში — 3,5 დეს. ამგვარად, მიწით ყველაზე უფრო იყო უზრუნველყოფილი სოხუმის ოკრუგის გლეხობა; თუმცა, ცხადია, ეს ითქმის ამ ოკრუგის არა საერთოდ ყველა გლეხობაზე. საქმე იმაშია, რომ აქ გლეხობაში დიდი ხვედრიწონა ეჭირა კოლონიზატორულ ელემენტებს, რომელთაც ქონდათ „ნორმალური" სანადელო მიწები.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1903 წელს ყოველგვარი კატეგორიის გლეხობის ერთ კომლზე ყველა სახის სახმარი მიწა საშუალოდ მოდიოდა: თბილისის გუბერნიაში — 8,18 დესეტინა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 2,69 დეს. ახლა ვხედავთ, რომ 1917 წ. მონაცემების მიხედვით გლეხური მეურნეობის ერთ კომლზე მოდიოდა თბილისის გუბერნიაში — 2,7 დეს., ე. ი. სამჯერ ნაკლები, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 2,0 დეს., ე. ი. 25 პროცენტით ნაკლები, ვინემ თხუთმეტიოდე წლის წინათ. მართალია, ეს მონაცემები არც

[1] „1917 წლის სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერის მაზრობრივი ჯამები", 1922. თბ. გვ. 1 — 2.

მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა საქართველოში (დესეტინობით)
1917 წ. ნაწ. I. საშუალოდ მოდიოდა ერთ მეურნეობაზე

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	სამლასახლე	სახნავი	სათიბი	ბაღი	ვენახი	ერთიანი ბაღ-ვენახი	დანარჩენი სახმარი მიწა	სულ სახმარი მიწა
1. თბილისის გუბერნია								
გლეხური მეურნეობა	0,1	2,1	0,2	0,0	0,1	0,0	0,2	2,7
მემამულური მეურნეობა	0,5	18,5	5.8	0,1	0,5	0,2	47,4	73,0
სულ	0,1	2,7	0,5	0,0	0,1	0,0	2,1	5,5
2. ქუთაისის გუბერნია								
გლეხური მეურნეობა	0,3	1.2	0.0	0,0	0,1	0,0	0,4	2,0
მემამულური მეურნეობა	0,7	8,8	0,3	0,1	0.2	0.0	23,4	33,5
სულ	0,3	1,3	0,0	0,0	0,1	0,0	0,8	2,5
3. სოხუმის ოკრუგი								
გლეხური მეურნეობა	—	2,3	0,0	0,0	0,1	0,1	1,0	3,5
მემამულური მეურნეობა	—	17,4	0,8	0,4	0,2	2.5	29,6	50,9
სულ	—	2,6	0,1	0,0	0,1	0,1	1,5	4,4
საერთოდ გლეხური მეურნეობა	0,2	1,6	0,1	0,0	0,1	0.0	0,4	2.4
—მემამულური მეურნეობა	0,5	15,4	3,7	0,1	0.4	0,3	38.6	59,0
სულ	0,2	2.1	0.2	0.0	0.1	0,0	1.4	4,0

მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა საქართველოში (დესეტინობით)
1917 წ. ნაწ. II. საშუალოდ მოდიოდა ორივე სქესის ახ ხულზე

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	სამოსახლო	სახნავი	სათიბი	ბაღი	ვენახი	ერთიანი ბაღ-ვენახი	დანარჩენი სახმარი მიწა	სულ სახმარი მიწა
1. თბილისის გუბერნია								
გლეხური მეურნეობა	2,0	33,5	4,0	0.2	1,7	0,1	3,1	44,6
—მემამულური მეურნეობა	6,3	245,0	76,4	1,0	7,3	2,4	624.6	963.0
სულ	2,2	43,9	7.6	0,2	2,0	0,2	33,7	89,8
2. ქუთაისის გუბერნია								
გლეხური მეურნეობა	4,7	19,7	0,7	0,2	1,7	0,2	7,5	34,7
მემამულური მეურნეობა	10,0	133,8	4,2	1,2	3,3	0,4	354,1	507.0
სულ	4,8	22,0	0,8	0,2	1,7	0,2	14,8	44,5
3. სოხუმის ოკრუგი								
გლეხური მეურნეობა	—	46,6	0,8	0,2	1,8	1,5	18,8	69,7
მემამულური მეურნეობა	—	304,7	13,6	7,3	3,0	43,8	520,4	892,8
სულ	—	52,0	1,1	0.4	1,8	2,4	29,4	87,1
საერთოდ გლეხური მეურნეობა	3,2	27,7	2,2	0,2	1,7	0,2	6, 4	41,6
—მემამულური მეურნეობა	7,2	214,5	52,1	1,3	5,9	3.7	539, 4	824,1
სულ	3,3	34,1	3,8	0,2	1,8	0,3	24,3	67,8

მოპოვებისა და არც დამუშავების მხრივ არ არიან ერთგვაროვანი წარმომავლობისა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ისინი საერთოდ დაახლოებით მაინც, ხოლო კერძოდ ქუთაისის გუბერნიისადმი საკმაო სისწორით წარმოგვიდგენენ ბლეხური მეურნეობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ვითარებაში მიმდინარე ტენდენციას, რაც საერთოდ ყოველგვარი საბჭარი მიწის შემდგომს სისტემატურ შემცირებაში გამოიხატებოდა.

ცხრილის მეორე ნაწილი გვიჩვენებს რომ ბლეხური მეურნეობის წარმომადგენელთა ორივე სქესის 100 სულზე მოდიოდა სახნავი: თბილისის გუბერნიაში — 33,5 დეს., ქუთაისის გუბერნიაში — 19,7 დეს., სოხუმის ოკრუგში — 46,6 დეს., ხოლო სულ საქართველოში — 27,7 დესეტინა. მაშინ როდესაც მემამულური მეურნეობისათვის შესაბამისი მაჩვენებელი უდრის: თბილისის გუბ. — 245,0 დეს., ქუთაისის გუბ. — 133,8 დეს., სოხუმის ოკრუგში — 304,7 დეს., ხოლო სულ საქართველოში — 214,5 დეს. ამგვარად, გამოდის, რომ ყოველ ას სულზე მემამულურ მეურნეობას ბლეხურთან შედარებით მეტი ჰქონდა სახნავი: თბილისის გუბერნიაში — 7,3-ჯერ, ქუთაისის გუბ. — 6,8-ჯერ, სოხუმის ოკრუგში — 6,6-ჯერ.

ახლა თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში სახნავის თითქმის მთელი ფართობი დაკავებული იყო ძირითადად მარცვლეულით (ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, ჭვავი და სხვ.), ხოლო მარცვლეული-კი როგორც მემამულურ, ისე ბლეხურ მეურნეობასაც, უმთავრესად საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მოჰყავდა, ცხადი გახდება, თუ რაოდენ შევიწროებული იყო ჩვენი ბლეხობა თვით საკვებით უზრუნველყოფის მხრივ.

რაც შეეხება სხვა სახის (მაგალითად, სამოსახლოსა და ბალ-ვენახს) სახმარ მიწებს, ბლეხური მეურნეობა, რასაკვირველია, ამ მხრივაც დიდად იყო შევიწროებული, ხოლო კერძოდ ტყეები და სათიბ-საძოვრები ხომ თითქმის მთლიანად მემა-

ჰულეთა ხელში იყო. მთელ საქართველოში, მაგალითად, მოდიოდა სათიბი ას სულზე: მემამულური მოსახლეობისა — 52,1 დეს., ხოლო გლეხური მოსახლეობისა — 2,2 დეს., ე. ი. 24-ჯერ ნაკლები. დანარჩენი სახის სახმარი (უმთავრესად ტყე და საბალახო-საძოვარი) მემამულეთა ას სულზე მოდიოდა 539,4 დეს., ხოლო გლეხთა ას სულზე — 6,4 დეს., ე. ი. 84-ჯერ ნაკლები.

მაგრამ ვითარების ეს მხარე კიდევ უფრო ნათელი გახდება, როდესაც ჩვენი გლეხობის განკარგულებაში მოქცეულ წარმოების და არსებობის საშუალებებს შევადარებთ სხვა ქვეყნის გლეხობის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ამ შემთხვევაში შედარებისათვის ჩვენ ავიღოთ არა საერთოდ სახმარი მიწა და არც საერთოდ სახნავი, ვინაიდან თვით სახნავშიაც შედიან ისეთი კულტურები, როგორიცაა, მაგალითად, თამბაქო, რაც ძირითადად უკვე ვაჭრული მიწათმოქმედების სფეროში შედიოდა, არამედ მხოლოდ ნათესი, ე. ი. საქართველოს პირობებში თითქმის მხოლოდ მარცვლეული (პურეული) მეურნეობის არეალი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რა ზომის ფართობი სხვადასხვა სახის მარცვლეულის ნათესისა მოდიოდა საშუალოდ ცალ-ცალკე ერთ გლეხურ და ერთ მემამულურ მეურნეობაზე მთავარი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით (ცხრილი იხ. 908 გვერდზე).

1917 წ. აღწერით საშუალოდ ერთ გლეხურ მეურნეობაზე მოდიოდა ყოველგვარი ნათესი: თბილისის გუბერნიაში — 1,6 დეს., ქუთაისის გუბერნიაში — 1,1 დეს., სოხუმის ოკრუგში — 1,5 დეს., ბათუმის ოლქში (საერთოდ ერთ მეურნეობაზე) — 0,7 დეს.. კულტურების მიხედვით აღმ. საქართველოში მოდიოდა: ხორბალზე — 0,9 დეს., სიმინდზე — 0,2 დეს., ხოლო ქუთაისის გუბერნიაში-კი: ხორბალზე — 0,1 დეს., სიმინდზე — 1,0 დეს. მართალია, სიმინდის საშუალო მოსავლიანობა აღემატებოდა ხორბლისა და სხვა მარცვლეულისას, მაგრამ დას. საქართველოში, სადაც სიმინდს ეჭირა გაბატონებული ადგილი, სამაგიეროდ გლეხურ მეურნეობას ბევრად

ერთ მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა ნათესი (დესეტინობით) 1917 წ.

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	ხორბალი	სიმინდი	ფეტვი	ქერი	ლობიო	შვრია	დანარჩენი კულტურა	სულ
I. თბილისის გუბერნია								
გლეხური მეურნეობა	0,9	0,2	0,0	0,4	0,0	0,0	0,1	1,6
მემამულური მეურნეობა	2,4	0,4	0,1	0,9	0,0	0,0	0,5	4,3
ჯამი	1,0	0,2	0,0	0,4	0,0	0,1	0,1	1,8
II. ქუთაისის გუბერნია								
გლეხური მეურნეობა	0,1	1,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	1,1
მემამულური მეურნეობა	0,1	1,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,1	1,9
ჯამი	0,1	1,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	1,1
III. ბოხუმის ოკრუგი								
გლეხური მეურნეობა	0,0	1,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,3	1,5
მემამულური მეურნეობა	—	1,8	—	—	0,0	0,0	0,6	2,4
ჯამი	0,0	1,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,3	1,5
IV. ბათომის ოლქი[2]	0.0	0,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,7
საერთოდ გლეხური მეურნეობა	0,4	0,7	0,0	0,2	0,0	0,0	0,1	1,4
—მემამულური მეურნეობა	1,5	0,9	0,1	0,6	0,0	0,0	0,4	3,5
სულ	0,4	0,7	0,0	0,2	0,0	0,0	0,1	1,4

[2] ბათუმის ოლქის შესახებ მონაცემები მთლიანია, ე. ი. არაა დაყოფილი გლეხურ და მემამულურ მეურნეობათა იხედვით (იხ. „სტატისტიკური კრებული 1909—1921“, 1923, ტფ., გვ. 20, ცხრ. № 14).

ახ სულზე ორივე სქესისა საშუალოდ მოღიოდა ნათესი დესეტინობით 1917 წ.

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	ხორბალი	სიმინდი	ჭვავი	ქერი	ლობიო	შვრია	დანარჩენი კულტურა	სულ
I. თბილისის გუბერნია								
გლეხური მეურნეობა	14,6	2,7	0,7	6,0	0,1	0.1	1,4	25,6
მემამულური მეურნეობა	32,2	5,4	1,4	11.8	0,2	0,5	6.3	57,8
ჯამი	15,4	2,9	0,7	6,3	0,1	0.1	1,7	27,2
II. ქუთაისის გუბერნია								
გლეხური მეურნეობა	1.3	18,1	0,0	0,2	0,0	0,1	0,3	20,0
მემამულური მეურნეობა	1,3	26,4	0,0	0,3	0,0	0,1	0,8	28,9
ჯამი	1,3	18,3	0,0	0,2	0,0	0,1	0,3	20,2
III. ხოხუმის ოკრუგი								
გლეხური მეურნეობა	0,1	23,9	0.0	0,0	0,7	0.0	6,5	31,2
მემამულური მეურნეობა	—	30,8	—	—	0,1	0,0	11,2	42,1
ჯამი	0,1	24,1	0,0	0.0	0.7	0.0	6,6	31.5
IV. ბათომის ოლქი	0,2	10,4	0,0	0,0	0,0	0,1	0,6	11,5
საერთოდ გლეხური მეურნეობა	7,1	11,7	0,3	2,7	0,1	0,1	1,2	23,2
—მემამულური მეურნეობა	21,5	12,7	0,9	7,8	0,2	0,4	4,9	48,4
სულ	7,5	11,8	0,3	2,9	0,1	0,1	1,4	24,1

ნაკლები ნათესი ჰქონდა, ვინემ აღმ. საქართველოში. საერთოდ-კი საქართველოში ნათესების სიმცირე ფრიად საგრძნობი იყო, რასაც უფრო რელიეფურად გვიჩვენებს იმავე ნათესების მოსახლეობაზე სულობრიობის მიხედვით დანაწილება (ცხრ. იხ. 909 გვერდზე).

გლეხური მოსახლეობის ას სულზე მოდიოდა ნათესი: თბილისის გუბერნიაში: ხორბლისა — 14,6 დეს., სიმინდისა — 2,7 დეს., ყოველგვარი ნათესი — 25,6 დეს.; ქუთაისის გუბერნიაში: ხორბლისა — 1,3 დეს., სიმინდისა — 18,1 დეს., ყოველგვარი ნათესი — 20,0 დეს.; სოხუმის ოკრუგში: ხორბლისა — 0,1 დეს., სიმინდისა — 23,9 დეს., ყოველგვარი ნათესი — 31,2 დეს.; ბათომის ოლქში: ხორბლისა — 0,2 დეს., სიმინდისა — 10,4 დეს., ყოველგვარი — 11,5 დეს.; მთელ საქართველოში კი: ხორბლისა — 7,1 დეს., სიმინდისა — 11,7 დეს., ყოველგვარი ერთად — 23,2 დესეტინა. ეს მაშინ, როდესაც მემამულური მოსახლეობისათვის შესაბამისი მონაცემები თითქმის ერთიორად მეტია, ხოლო მემამულეც, როგორც აღვნიშნეთ, მარცვლეულს ძირითადად საკუთარი მოთხოვნილებისათვის აწარმოებდა.

ამ მონაცემთა შეფასებისას მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ 1917 წელს, შედეგად პირველი მსოფლიო ომისა და სხვ., შესამჩნევად შემცირებული იყო ნათესები, როგორც საერთოდ რუსეთში[3], ისე საქართველოშიც. ჯერჯოდ საქართველოში ნათესების შემცირების საილუსტრაციოდ საკმარისია იმავე 1917 წ. აღწერის მონაცემებიდან ერთმანეთს შევადაროთ სახნავისა და ნათესის მოცულობა. საშუალოდ ერთ მეურნეობაზე მოდიოდა (ღესეტინობით):

		სახნავი	ნათესი
თბილისის გუბერნიაში	—	2,7	1,8
ქუთაისის „	—	1.3	1,1
სოხუმის ოკრუგში	—	2,5	1,5
სულ		2,1	1,4

[3] ЭРР, II, 281.

ამგვარად, საქართველოში ნათესის ფართობი 1917 წ. ზაფხულისათვის 1/3-ით იყო შემცირებული. აღსანიშნავია ისიც, რომ საერთოდ ნათესის ფართობის შემცირების პირობებში ნაკლებად მცირდებოდა სიმინდის ნათესთა ფართობი. სიმინდის კულტურა ხორბლის და სხვა თავთავიანთა შევიწროებას განაგრძობდა თვით ომისა და რევოლუციის პერიოდშიაც. ეს ითქმის, რასაკვირველია, აღმ. საქართველოზე, თორემ დას. საქართველოში მან აბსოლუტურად გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა უკვე 1880-წლებისათვის. მცირემიწიანი გლეხის მეურნეობისათვის უფრო ხელსაყრელი იყო მარცვლის მეტი რაოდენობით მიღების მიზნით ხორბლის ადგილას დაეთესა სიმინდი, რომელიც, მართალია, მოითხოვს მეტ შრომას, რომელსაც ტექნიკური ჩამორჩენილობის პირობებში შედარებით ნაკლებად ანაზღაურებს, მაგრამ სამაგიეროდ იძლევა დიდ მოსავალს. ამგვარად, მცირემიწიანობის, ე. ი. მუშახელის სიჭარბის ვითარებაში გლეხს ესარფება მეტი შრომა დახარჯოს და შედარებით დაბალი საზღაური მიიღოს, ვინემ გასწიოს მაღალი საზღაურიანი შრომა, მაგრამ მცირე ზომით და დანარჩენი მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში სულ უქმად იდგეს.

ზემოთ მოყვანილი ცხრილი (გვ. 909) გვიჩვენებს, რომ მთელ საქართველოში გლეხური ორივე სქესის მოსახლეობის ას სულზე საშუალოდ მოდიოდა 23,2 დეს. ნათესი, ე. ი. ერთ სულზე — 0,23 დეს., ხოლო საშუალოდ როგორც გლეხური, ისე მემამულური მეურნეობის ას სულზე მოდიოდა 24,1 დეს., ე. ი. ერთ სულზე 0,24 დესეტინა ნათესი.

როგორც ზემოთ დავინახეთ, 1917 წლის აღწერის მიხედვით სახნავი მნიშვნელოვნად მეტი იყო ნათესთან შედარებით, და რადგან 1917 წელი არ მიიჩნევა „ნორმალურ“ მეურნეობრივ წლად, ამიტომ, სხვა ქვეყნებთან შედარებისას, სინამდვილესთან უფრო დაახლოებული რომ ვიყოთ, ავიღოთ მონაცემები არა ნათესის, არამედ სახნავის შესახებ, რისი მაქსიმალური გამოყენებაც შეეძლო მოსახლეობას „ნორმალურ-მშვიდობიან“ ვითარებაში.

მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა სახნავი მიწა (დესეტინობით):

აშშ (1910 წ.)	0,90
ციმბირში (1911 წ.)	0,63
უნგრეთში (1910 წ.)	0,62
ევროპის რუსეთის 50 გუბერნ. (1911 წ.)	0,62
საფრანგეთში (1910 წ.)	0,55
ფინეთში (1910 წ.)	0,46
პოლონეთში (1911 წ.)	0,41
გერმანიაში (1910 წ.)	0,36
იტალიაში (1911 წ.)	0,36
საქართველოში (1917 წ.)	0,34
ავსტრიაში (1910 წ.)	0,33
ბელგიაში (1910 წ.)	0,22
ინგლისში (1911 წ.)	0,15

მოსახლეობის ერთ სულზე სახნავი მიწის სიმცირის მხრივ საქართველო ჩამორჩებოდა მხოლოდ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ინგლისი, ბელგია, ავსტრია, ე. ი. მხოლოდ განვითარებულ ინდუსტრიულ ან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნებს. მაგრამ, ამასთანავე ერთად, სრული სურათის მისაღებად, საჭიროა გადავხედოთ აგრეთვე მონაცემებს მ ო ს ა ვ ლ ი ა ნ ო ბ ი ს შესახებ.

პურეულთა მოსავლიანობის მხრივ საერთოდ რუსეთს როგორც მე-19 საუკ., ისე მეოცე საუკუნის დასაწყისშიაც ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეჭირა მსოფლიოში. სახელდობრ, ერთი დესეტინიდან საშუალო მოსავლიანობა პურეულისა უდრიდა 1890-იან წლებში: რუსეთში — 39 ფუთს, ავსტრიაში — 54, ბრიტანეთის ინდოეთში — 74, გერმანიაში — 78; საფრანგეთში — 81, აშშ — 83, კანადაში—87, დანიაში—111, ინგლისში—123 ფუთს [4]; 1909—1913 წ.წ.-კი იგივე მოსავლიანობა შეადგენდა: რუსეთში — 45 ფუთს, უნგრეთში — 85 ფუთს, საფრანგეთში — 90 ფუთს, გერმანიაში — 152 ფუთს,

[4] П. Лотхин, „Состояние сельск. хоз. в России сравнительно с другими станами", 1901. СПБ.

ბელგიაში — 175 ფუთს, დანიაში — 195 ფუთს. ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე რუსეთი, რომელიც პურის გამტანი ქვეყანა იყო, აწარმოებდა 26 ფუთ პურს, მაშინ როდესაც ამ პროდუქტის ექსპორტერ სხვა ქვეყნებს მოსახლეობის ერთ სულზე ბევრად მეტი პური მოყავდათ; სახელდობრ: აშშ — 48 ფ., არგენტინას — 68 ფ., ხოლო კანადას — 73 ფუთი[5].

მარცვლეულ მეურნეობაში რუსეთის ესოდენი ჩამორჩენილობის ძირითადი მიზეზი, რასაკვირველია, იყო გლეხური მეურნეობის დაბალი ტექნიკური დონე. ასე, მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის წინ მოიხმარებოდა მინერალური სასუქი 1 ჰექტარ სათეს მიწაზე: რუსეთში — 6,9 კილოგრამი, საფრანგეთში — 57,6 კგ., გერმანიაში — 166 კგ., ბელგიაში — 236[6] კგ., ანალოგიური იყო მდგომარეობა მიწათმოქმედების მექანიზაციის მხრივაც[7].

ახლა ვნახოთ ამ მხრივ კერძოდ საქართველოს ვითარება. 1909 — 1913 წ. წ. საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მონაცემებით უდრიდა (ფუთობით) თბილისის გუბერნიაში: სიმინდისა — 67, ხორბლისა — 49, ქერისა — 53; ქუთაისის გუბერნიაში: სიმინდისა — 64, ხორბლისა — 47, ქერისა — 51[8]. ამგვარად, საერთოდ ძირითადი მარცვლეულის საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე გამოდის 55 ფუთი, რაც, მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს სინამდვილეს.

ჩვენ ვფიქრობთ, აპრიორულად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთზე მეტ მოსავლიანობას საქართველოში ადგილი არ ექნებოდა, ხოლო რუსეთში აღებულ წლებში მარცვლეულის საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე უდრიდა 45 ფუთს.

---

[5] П. Лященко, „Русское зерновое хозяйство в системе мирового хозяйства", 1927. М.

[6] Рашкович, „Удобрительная промышленность России". 1920. М.

[7] Статист. Российск. имп. вып. LXXIX. Сельскохозяйственные машины и орудия в... России, 1913 г. СПБ.

[8] „სტატისტიკური კრებული 1909 — 1921 წ. წ.", 1923, ტფ., გვ. 22 — 23.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებით იმავე წლებში საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) 1 დეს. საშუალო მოსავალი 43 ფუთს უდრიდა[9].

ამგვარად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა საშუალოდ 0,24 დესეტინა ნათესი ანდა 0,34 დეს. სახნავი (საკუთრად გლეხურ მეურნეობაში კი ცხადია უფრო ნაკლები!). შიგა რუსეთში მოსახლეობის ერთ სულზე ორჯერ უფრო მეტი ნათესი მოდიოდა. პროფ. ოგანოვსკის სიტყვით „ნორმალურად, რუსეთში გაბატონებული მიწათმოქმედების სისტემის პირობებში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომხმარებლური ტიპის საშუალო გლეხურმა მეურნეობამ თავის მოთხოვნილებათა (როგორც ნატურალური, ისე ფულადი ხარჯების ჩათვლით) დასაკმაყოფილებლად უნდა დათესოს ერთ სულზე დაახლოებით 0,5 — 0,7 დესეტინა“ [10]. კერძოდ უკრაინაში 1913 წელს 1 სულზე მოდიოდა 1,48 დეს., ხოლო ჩრდ. კავკასიაში-კი — 1,49 დესეტინა, ე. ი. 6-ჯერზე უფრო მეტი, ვინემ საქართველოში, რომ არა ვთქვათ რა შედარებით მაღალი ტექნიკისა, მაშასადამე, მოსავლიანობისა და თვით მარცვლეულის მეტი მაწიერობის შესახებ — უკრაინასა და ჩრდ. კავკასიაში.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამ მხრივაც მდგომარეობა ერთნაირი არ იყო მთელ საქართველოში. მიწის ნაკლებობა უფრო მწვავე ხასიათს ატარებდა, როგორც ვიცით, ქუთაისის გუბერნიაში. აქ სოფლის მოსახლეობის ას სულზე 1917 წ. მოდიოდა ყოველგვარი ნათესი სულ 20,2 დეს., ე. ი. 1 სულზე 0,2 დეს., ხოლო 1 დესეტინა ნათესის საშუალო მოსავლიანობა რუსეთის იმპერიის ცენტრ. სტატისტ. კომიტეტის მონაცემებით 1909 — 1913 წ. წ. უდრიდა 43 ფუთს (1917 წ. მოსავლიანობა, ცხადია, შესამჩნევად ნაკლები იქნებოდა!). ამგვა-

---

[9] ვრცლად იხ. პ. გუგუშვილი, „მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, 1954. თბილისი.

[10] Органовский, „Очерки по экономической географии России“, — Сельское хозяйство, стр. 71.

რად, მოსახლეობის 1 სულზე მარცვლეულის წლიური მოსავალი უდრიდა დაახლოებით 8 — 9 ფუთს, ე. ი. ერთ მჭამელზე დღეში მოდიოდა დაახლოებით 400 გრამი მარცვლეული. იხილავდა რა 1917 წ. სოფლის მეურნეობის აღწერის მონაცემებს კერძოდ დას. საქართველოს შესახებ, დოც. ი. ვ ო ე ი კ ო ვ ი წერდა: „1 გირვანქა სიმინდი დღეში — ეს განა იგივე არ არის, რაც ცნობილი ჩინური ორი მუჭა ბრინჯიო“ [11]. მაგრამ მთავარი ისაა, რომ დას. საქართველოს გლეხობას ეს ერთი გირვანქა სიმინდიც მთლიანად არ რჩებოდა, — მისი ნაწილი ექსპორტის საგანს შეადგენდა, ამას გარდა ხმარდებოდა მეცხოველეობის საჭიროებას, რომლის საუკეთესო პროდუქციაც, მაგალითად, კვერცხი, ისევ ექსპორტის საგანს წარმოადგენდა [12]; მოსახლეობის ძირითადი მასები იძულებული იყო შეეზღუდა პურეულის მხრივ საკუთარი მოთხოვნილება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი თუ ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში ხილით შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო, ზამთრობითა და განსაკუთრებით გაზაფხულში, ე. ი. სწორედ მიწათმოქმედების სამუშაოთა დაწყების დროს, უნდა „დაეთმინა“, ე. ი. მასობრივად და სისტემატურად უნდა ეშიმშილა.

* * *

არანაკლებ საინტერესო ანალიზი და განზოგადებანი შეიძლება ვაწარმოოთ იმავე 1917 წლის აღწერის მონაცემთა საფუძველზე, კერძოდ შინაური პირუტყვის განაწილების მიხედვით.

უწინარეს უნდა აღინიშნოს საერთოდ მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულების მაღალი ხვედრიწონა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში. ასე, მაგალითად, 1909 — 1913 წ. წ. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება რომ ასად მივიღოთ, მეცხოველეობაზე მოდიოდა: საქართველოში —

[11] И. Воейков, „Сельское хозяйство Зап. Грузии и Лондонский рынок“, ЭВЗ, 1924 г. № 5, стр. 18.

[12] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „მეფრინველეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (უნივერსიტეტის შრომები, 1948, XXXIV, გვ. 233 — 256).

29,8%, სომხეთში — 31,7%, აზერბაიჯანში — 26,9%, ხოლო საერთოდ ამიერკავკასიაში-კი — 28,7 პროცენტი. საკუთრად შინაურ პირუტყვზე (მეფრინველეობის, მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის გამოკლებით) მოდიოდა: საქართველოში — 21,9%, სომხეთში — 27,1%, აზერბაიჯანში — 23,3%, ხოლო საერთოდ ამიერკავკასიაში-კი — 22,4%.

აქვე თუ გავიხსენებთ, რომ მთავარ პურეულთა (ხორბალის, ქერის, სიმინდის, ჭვავისა და შვრიის) მთლიანი პროდუქციის ღირებულება იმავე წლებში, იმავე პროპორციით, არ აღემატებოდა: საქართველოში — 30,4%; სომხეთში — 36,5%, აზერბაიჯანში — 31,7% პროც., ხოლო მთლიანად ამიერკავკასიაში — 32,05 პროცენტს [13], ნათელი გახდება შინაური პირუტყვის დიდი მნიშვნელობა საერთოდ ჩვენი სოფლის ეკონომიკაში (ცხრილი იხ. 917 გვერდზე).

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რამდენად ნაკლებად იყო ჩვენი სოფლის მეურნეობა და კერძოდ გლეხური მეურნეობა უზრუნველყოფილი შინაური პირუტყვით. ცხენს, მართალია, ამიერკავკასიის მიწათმოქმედებაში არ ქონდა ის მნიშვნელობა, რაც, მაგალითად, რუსეთში, აქ იგი მხოლოდ სპორადულად და ისიც უპირატესად რუსულ კოლონიებში იყო გამოყენებული გამწევ ძალად, მაგრამ ერთ მეურნეობაზე საშუალოდ 0,2 ცხენი მაინც ძლიერ მცირეა. მსხვილფეხა რქიან პირუტყვთაგან ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა მეწველი ძროხის დანაწილება. მუშა-პირუტყვზე ცალკე გვექნება მსჯელობა. როგორც ცხრილში ვხედავთ, 1917 წელს ერთ მეურნეობაზე მოდიოდა საშუალოდ მეწველი ძროხა: თბილისის გუბერნიაში — 1,3; ქუთაისის გუბ. — 0,9; ბათომის ოლქში — 1,6; სოხუმის ოკრუგში — 2,3. ამგვარად, ძროხით ყველაზე ნაკლებად იყო უზრუნველყოფილი ისევ ქუთაისის გუბერნიის სოფლის მოსახლეობა. აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ცხრილში წარმოდგენილია საერთოდ სოფლის მეურნეობა, ე. ი. როგორც გლეხური, ასევე მემამულური მეურნეობა. აღებული ნიშნის მიხედვით მათი ერთმა-

[13] ПСХЗ, прилож. 1, стр. 18 — 19.

პირუტყვის განაწილება 1017 წ.

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	საშუალოდ მოდიოდა პირუტყვი															
	ერთ მეურნეობაზე								ორივე სქესის 100 სულზე							
	ცხენი	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი		ცხვარი და თხა	ღორი	ფური და ჯორი	აქლემი	სულ	ცხენი	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი		ცხვარი და თხა	ღორი	ფური და ჯორი	აქლემი	სულ
		სულ	მათ რიცხვში მეწველი ძროხა და კამეჩი							სულ	მათ რიცხვში მეწველი ძროხა და კამეჩი					
თბილისის გუბერნ. . . .	0,4	4,2	1,3	10,2	0,5	0,1	0,0	15,4	6,2	68,5	21,5	165,8	8,4	1,8	0,1	250,8
ქუთაისის	0,1	2,7	0,9	0,9	1,6	0,0	0,0	5,3	2,0	47,1	15,6	15,2	27,8	0,1	0,0	92,2
ბათომის ოლქი	0,2	3,6	1,4	1,6	0,0	0,0	—	5,4	3,9	55,7	21,8	24,0	0,2	0,2	—	84,0
სოხუმის ოკრუგი	0,6	5,1	2,3	2,2	1,5	0,2	0,0	9,6	12,0	99,8	44,3	43,5	29,2	0,4	0,0	184,9
სულ	0,2	3,5	1,2	5,0	1,1	0,1	0,0	9,9	4,6	60,4	20,1	84,9	19,2	0,9	0,0	170,0

ნეთისაგან განცალკევებული აღწერის მონაცემები რომ გვქონდეს, ის, ცხადია, დაგვანახვებდა, თუ რამდენად დიდი იყო სავსებით უძროხო გლეხურ მეურნეობათა ხვედრიწონა სოფლის მოსახლეთა შორის.

რაც შეეხება მეცხვარეობას, იგი უმთავრესად თბილისის გუბერნიაში იყო გავრცელებული. დას. საქართველოში მეცხვარეობის ადგილს, ასე ვთქვათ, იჭერდა მეღორეობა, მაგრამ მიწის სივიწროვე და მარცვლეულის ნაკლებობა აქ მის გამრავლებასაც ზღუდავდა. სამწუხაროდ, 1917 წ. აღწერა არ შეხებია მეფრინველეობასა და მეაბრეშუმეობას, მაგრამ ადრინდელი მონაცემებიდან ვიცით, რომ მეცხოველეობის ეს, ე. წ. „უტერიტორიო“ დარგები, რაშიაც მეღორეობაც შედის, შედარებით ფართოდ იყო განვითარებული ქუთაისის გუბერნიაში. მეცხოველეობის ეს დარგები ცნობილია როგორც უფრო შრომატევადი, თუმცა სამაგიეროდ, მოკლე დროში, მეტი შემოსავლის მომცემიც. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დას. საქართველოში მეცხოველეობის ამ დარგების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო მიწის სივიწროვე და სიმინდის კულტურის გავრცელებულობა.

საქმე იმაშია, რომ მეცხოველეობის დარგთა შორის სწორედ მეღორეობა, აგრეთვე მეთხეობა, განსაკუთრებით კი მეაბრეშუმეობა და მეფრინველეობა ისეთი დარგებია, რომლებიც არ მოითხოვენ, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სხვებზე ნაკლები ზომით საჭიროებენ ტერიტორიას. ამასთანავე ესენი ისეთი დარგებია, რომლებიც მოითხოვენ დიდძალ შრომას და მოსახლეობის ეს შრომა ანუ შრომის უნარი მიწის სიმცირის პირობებში, სხვარიგად უქმად უნდა დაკარგულიყო, რისი დაშვებაც, სიღარიბის უკიდურეს საზღვრამდე მისულ გლეხობას, რასაკვირველია, არ შეეძლო და, ამრიგად, ერთგვარი გამოსავალი მეცხოველეობის ამ დარგთა განვითარების გზით უნდა გამოენახა.

მიუხედავად იმისა, რომ მეცხოველეობას, როგორც დავ-

მუშაპირუტყვის განაწილება 1917 წ.

ადმინისტრაციული ერთეულები	საშუალოდ მოდიოდა მუშაპირუტყვი							
	100 დესეტინა ნათესზე				მოსახლეობის 100 სულზე			
	მუშა ცხენი	ცხენი სამეცხენო ასაკისა	ხარი (ულუ-ღი)	კამეჩი (ულუ-ღი)	მუშა ცხენი	ცხენი სამეცხენო ასაკისა	ხარი (ულუ-ღი)	კამეჩი (ულუ-ღი)
თბილისის გუბერ.	18,4	13,0	33,6	12,3	5,0	3,5	9,1	3,4
ქუთაისის „	9,5	9,1	44,8	3,5	1,7	1,6	7,9	0,6
ბათომის ოლქი	30,2	25,4	50,6	8,2	3,5	2,9	5,8	0,9
სოხუმის ოკრუგი	31,4	30,7	15,3	13,8	9,9	9,7	4,8	4,3
სულ	15,6	12,6	34,0	8,8	3,8	3,0	8,2	2,1

ნახეთ, დიდი ხვედრიწონა ეჭირა საერთოდ ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში, მუშა პირუტყვით სოფლის მეურნეობა მაინც ნაკლებად იყო უზრუნველყოფილი. რამდენადაც ცხენი მიწათმოქმედებაში იშვიათად იყო გამოყენებული როგორც გამწევი ძალა, ხოლო მექანიკური გამწევი ძალა (— თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთელს კავკასიაში ერთადერთ ტრაქტორს, რომელიც თბილისის გუბერნიაში გაჩნდა 1914 წელს[15] და რომელიც 1917 წლისათვის, ალბათ უკვე საბოლოოდ გაცვეთილი იყო) არ მოიპოვებოდა, ცხადია, რომ ამ მხრივ მთელი სიმძიმე ხარსა და კამეჩს უნდა აეწია. ამასთანავე კამეჩი ამიერკავკასიაში რიცხობრივად, შედარებით, ნაკლებად იყო გავრცელებული (იმავე 1917 წ. აღწერით საქართველოში კამეჩი შეადგენდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო რაოდენობის დაახლოებით ერთ მესამედს).

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, საქართველოში ას დესეტინა ნათესზე საშუალოდ მოდიოდა 34,0

[14] „სტატისტიკური კრებული 1909 — 1921 წ", გვ. 28 — 29.

[15] პ. გ ო გ ო შ ვ ი ლ ი, „მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღები საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში" (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1947. ტ. II).

უღელი ხარი და 8,8 უღელი კამეჩი. მაგრამ ასეთს ვითარებაშიაც შედარებით უფრო შეავიწროებული იყო ქუთაისის გუბერნია, სახელდობრ იმერეთი, გურია და. სამეგრელო. მართალია, სოხუმის ოკრუგში აღებულ ფართობზე უფრო ნაკლები ხარ-კამეჩი მოდიოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ოკრუგში დიდი ხვედრიწონა ეჭირათ კოლონისტებს, რომლებიც მიწათმოქმედებაში გამწევ ძალად უპირატესად ცხენს იყენებდნენ. ცხრილიც გვიჩვენებს, რომ ას დესეტინა ნათესზე და, მაშასადამე, ორივე სქესის მოსახლეობის ას სულზედაც, როგორც საერთოდ ცხენის, ისე კერძოდ მუშა-ცხენის რაოდენობის მხრივ სოხუმის ოკრუგს პირველი ადგილი ეჭირა საქართველოში და, ალბათ, მთელს ამიერკავკასიაშიაც.

გამწევი ძალის მხრივ ქუთაისის გუბერნიის სიღარიბე განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდება, თუ მას ამ მეტის-

პირუტყვის დანაწილება საქართველოში 1913, 1916, 1917 წ.წ.

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	წლები	მოსახლეობის 100 სულზე მოდიოდა			
		ცხენი	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	ძ/ ცხვარი ბრა	ღორი
თბილისის გუბერნია	1913	7,7	84,0	158,2	8,4
	1916	5.3	64,8	107,7	6,4
	1917	6,2	68,5	165,8	6,4
ქუთაისის გუბერნია	1913	2,5	32,2	14,1	17,5
	1916	2,2	48,3	17,0	23,2
	1917	2,0	47,1	15,2	27,8
ბათომის ოლქი	1913	4,1	59,3	58,1	0,1
	1916	—	—	—	—
	1917	3,2	69,2	38,0	0,2
სოხუმის ოკრუგი	1913	7,6	43,4	41,1	18,2
	1916	10,1	99,0	35,9	27,5
	1917	12,0	99,9	43,5	29,2
სულ	1913	5,3	57,3	81,7	12,5
	1916	4,3	60,1	61,4	15,6
	1917	4,5	60,8	82,6	18,3

მეტად მჭიდროდ დასახლებულ გუბერნიაში, კერძოდ მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებაში განვიხილავთ. ორივე სქესის მოსახლეობის ას სულზე, ქუთაისის გუბერნიასთან შედარებით, მოდიოდა მუშა-ცხენი: თბილისის გუბერნიაში — სამჯერ მეტი, ბათომის ოლქში — ორჯერ მეტი, სოხუმის ოკრუგში-კი — თითქმის ექვსჯერ მეტი. ხარ-კამეჩის მხრივაც ქუთაისის გუბერნია დიდად ჩამორჩებოდა (8,5:12,5-ზე) თბილისის გუბერნიას (ცხრილი იხ. გვ. 919).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მუშაპირუტყვის, ისე საერთოდ შინაური პირუტყვის რაოდენობის მხრივ სოფლის სიღარიბე პირველი მსოფლიო ომის წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა თვით ომის პერიოდში. სწორედ ამ მოვლენის სურათს წარმოგვიდგენს ზემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. გვ. 920).

ახლა, თუ ერთგვარ შედარებას ვაწარმოებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს. 1909 — 1913 წ. წ. მოსახლეობის ას სულზე მოდიოდა:[16]

	ცხენი	ცხვარი და თხა	ღორი
გერმანიაში	7,0	17,4	35,7
საფრანგეთში	8,2	61,0	18,5
უნგრეთში	10,3	27,2	26,2
იტალიაში	2,8	37,6	7.5
ბელგიაში	3,4	28,1	15,0
ჰოლანდიაში (ნიდერლ.)	5,6	19,0	21,5
ინგლისში	4,9	76,3	8.0
ფინეთში	11,5	29,8	7.8
რუსეთის 63 გუბერნიაში	17,7	33,1	8,3
სომხეთში	6,0	91,0	0,4
აზერბაიჯანში	7,3	122,6	1,6
საქართველოში	5,3	81,7	12,5

ამგვარად, ამიერკავკასიას, როგორც ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას, დასახლებულ ქვეყნებს შორის, ცხვრისა და თხის რაოდენობის მიხედვით უჭირავს პირველი ადგილი, რაც სწორედ ექსტენსიური მეცხოველეობის ერთ-ერთი მჭევრ-

[16] „Мировое сельское хозяйство". Сборник стат.-эконом. сведений за 1913 — 1920 гг., М., стр. 152 — 159.

მეტყველური მაჩვენებელია. ამავე დროს მეცხოველეობის, ისეთს დარგში, როგორიცაა მეღორეობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოს, საერთოდ ამიერკავკასია ძლიერ ჩამორჩენილი იყო. თუმცა, ამას, რასაკვირველია, აქვს თავისი ისტორიული გამართლებაც. ამიერკავკასიის მუსლიმანურ .პროვინციებში მეღორეობას ისლამი ვერ მოითმენდა!

როგორც ზედავთ, ორივე სქესის მოსახლეობის ას სულზე, 1913 წელთან შედარებით, 1916 წელს თბილისის გუბერნიაში ნაკლებია: მსხვილი რქიანი პირუტყვი — თითქმის 25 პროცენტით, ცხვარი და თხა — 34 პროცენტით. ასევე მნიშვნელოვნადაა შემცირებული ცხენისა და ღორის რაოდენობა. უნდა აღინიშნოს, რომ შინაური პირუტყვი უმნიშვნელო ზომით შემცირებულა და ნაწილობრივ გამრავლებულა კიდევაც დას. საქართველოში, ასე რომ საერთოდ საქართველოში ომის პერიოდში იმ პირუტყვის საერთო რაოდენობა შემცირდა, რომელიც დიდ როლს თამაშობდა აღმ. საქართველოს მეცხოველეობაში, — სახელდობრ მეცხენეობა და განსაკუთრებით მეცხვარეობა. მოსახლეობის ას სულზე მოდიოდა 1913 წელს 81,7 ცხვარი და თხა, ხოლო 1916 წელს-კი 61,4. ამგვარად, შემცირება უდრის დაახლოებით 25 პროცენტს. ცხრილი გვიჩვენებს, რომ 1917 წლის ზაფხულისათვის, გარდა ცხენისა, ყველა პირუტყვის რიცხვობრივი დონე იმდენად ამაღლებულა, რომ შესამჩნევად აღემატება 1913 წლისას.

* * *

საერთოდ საქართველოს სოფლის სოციალური დიფერენციაციის უფრო სრულ სურათს წარმოგვიდგენს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, სადაც მეურნეობათა რიცხვის საერთო ჯამთან პროცენტულ შეფარდებაში ნაჩვენებია 1917 წლის მდგომარეობის მიხედვით: მეურნეობათა უზრუნველყოფა მუშახელით, მიწითა და შინაური პირუტყვით (ცხრილი იხ. გვ. 923).

წარმოდგენილი ცხრილი მრავალმხრივ არის საინტერესო. მეურნეობათა საერთო რიცხვში მუშახელს მოკლებულ მეურნეობათა რაოდენობა საქართველოში

მეურნეობათა უზრუნველყოფა მუშახელით, მიწით და პირუტყვით 1917 წ.[17]. (პროცენტულად მეურნეობათა რიცხვის საერთო ჯამთან).

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	მეურნეობა						
	მუშახელს		უმიწაწყლო				

ობათა ხვედრიწონა, რაც პროცენტულად უდრიდა: თბილისის გუბერნიაში — 20,5; ქუთაისის გუბერნიაში — 7,5; ბათომის ოლქში — 13,1; სოხუმის ოკრუგში — 5,3; მთელ საქართველოში-კი — 12,9. შედარებისათვის საინტერესოა ვიცოდეთ, რომ სწორედ იმავე 1917 წ. აღწერით უნათესო მეურნეობათა პროცენტი რუსეთში უდრიდა: ჩრდ. რაიონში — 8,9, ტბების რაიონში — 15,5, ცენტრ. სამრეწველო რაიონში — 13,8, ბელორუსიაში — 8,3, ცენტრ. მიწათმოქმედურ რაიონში — 8,5, ურალის რაიონში — 8,0, შუავოლგის რაიონში — 9,8, ქვემოვოლგის რაიონში — 30,9 [18]. ამგვარად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დასახელებული რაიონები მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოსთან შედარებით ბევრად უფრო იყვნენ დაწინაურებულნი, ხოლო სოფლის მეურნეობაში კიდევ ამ რაიონების გლეხობა მიწით და ინვენტარით უკეთ უზრუნველყოფილი, გასაგები გახდება, რომ უნათესო მეურნეობათა ხვედრიწონა საქართველოში საერთოდ და თბილისის გუბერნიაში კერძოდ მაღალი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნათესო მეურნეობათა ხვედრიწონა თვით რუსეთში შესამჩნევად უფრო ნაკლები იყო პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში. მაგალითად, ტულის გუბერნიაში იყო 1910 — 1912 წ. წ. — 4,2%, ხოლო 1917 წ. — 6,5%, კალუგის გუბერნიაში შესაბამისად იყო 6,5 და 14,6, სიმბირსკის გუბერნიაში — 10,2 და 13,4, ნოვგოროდის გუბერნიაში — 1,0 და 13,6. საქართველოშიაც, რასაკვირველია, ანალოგიური შესადარებელი ცნობა რომ მოგვეპოვებოდეს უნათესო მეურნეობათა ხვედრიწონის ზრდის დაახლოებით ასეთსავე ტემპს გვიჩვენებდა.

ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს სოფელში სრულიად უპირატესობა, ე. ი. შინაურ ცხოველს მოკლებულ ოჯახთა რიცხვი, მეურნეობათა საერთო ჯამთან შედარებით, პროცენტულად უდრიდა: სოხუმის ოკრუგში — 7,1, ქუთაისის გუბერნიაში — 10,2, ბათომის ოლქში — 16,3, ხოლო თბილისის გუბერნიაში, რომელსაც ამ მხრივ პირველი

[18] ЭРР, II, 283.

ადგილი ეჭირა, — 22,9. ამასთანავე, ჩვენ აქ რომ თვით შინაური პირუტყვის სტრუქტურულ შედგენილობასა და პროდუქტიულობაზე შეგვეძლოს ლაპარაკი დავინახავდით, რომ ამ მხრივ ქუთაისის გუბერნიის მეცხოველეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა თბილისის გუბერნიისას. მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა გვაქვს მეცხოველეობის ეკონომიკისათვის მიძღვნილ მონოგრაფიაში.

აღებულ პერიოდში სოფლის მეურნეობისათვის, კერძოდ მიწათმოქმედებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა სახელდობრ მუშა-პირუტყვს, გამწევ ძალას და სწორედ ამაში აშკარავდება, თუ რაოდენ ღარიბი და უმწეო იყო ჩვენი სოფელი. 1917 წ. აღწერით საქართველოში მეურნეობათა საერთო რიცხვის 38,9 პროცენტს არ ყავდა არავითარი მუშა-პირუტყვი. ხოლო ცალკე ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით: თბილისის გუბერნიაში — 35,9 პროცენტს, ქუთაისის გუბერნიაში — 42,0, ბათომის ოლქში — 45,1, სოხუმის ოკრუგში — 34,7 პროცენტს არ გააჩნდა მუშა-პირუტყვი.

ახლა ამ მონაცემებს თუ რუსეთის გუბერნიების ანალოგიურ ცნობებს შევადარებთ, თვალში გვეცემა საქართველოს გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობა. მუშაპირუტყვს მოკლებულ მეურნეობათა პროცენტი 1917 წელს უდრიდა: ტულის გუბერნიაში — 30,1 პროცენტს, პენზის გუბერნიაში— 36,1, სიმბირსკის გუბ. — 35,1, კალუგის გუბ. — 21,0, ნოვგოროდის გუბერნიაში — 27,0%-ს [19]. უმუშაპირუტყვო მეურნეობათა ხვედრიწონა ამ გუბერნიებში შესამჩნევად, ზოგან თითქმის ერთი-ორად ნაკლები იყო 1910 — 1912 წ. წ.

უძრო ხ მეურნეობათა ხვედრიწონა შეადგენდა მეურნეობათა საერთო რაოდენობის: 19,6 პროც. — სოხუმის ოკრუგში; 29,5 პროც. — ბათუმის ოლქში; 33,2 პროც. — ქუთაისის გუბერნიაში; 43,5 პროც. — თბილისის გუბერნიაში; ხოლო საერთოდ საქართველოში-კი — 36,2 პროცენტს. შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ცხრი-

[19] ЭРР, II, 242.

ლის მიხედვით თბილისის გუბერნიაში უძროხოთა პროცენტი ბევრად მაღალია, ვინემ საქართველოს დანარჩენ რაიონებში, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თბილისის გუბერნიაში რძის საერთო პროდუქციაში ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ცხვრის რძე. ამრიგად, აქ გავრცელებული მეცხვარეობის მხედველობაში მიღებით, სინამდვილეს არ ვიქნებით დაშორებული, თუ ვიტყვით, რომ უძროხობის მხრივაც ქუთაისის გუბერნიის სოფლის მოსახლეობის ძირითადი მასები დიდად იყვნენ შევიწროებულნი.

2. მენშევიკების აგრარული პოლიტიკის კრახი

ამიერკავკასიის დროებითმა მთავრობამ — ამიერკავკასიის კომისარიატმა — ე. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი ს მეთაურობით იმთავითვე გამოაცხადა, რომ სულ მალე იქნება გამოცემული დეკრეტი მიწის შესახებო. მაგრამ ამ დეკრეტს აგვიანდებოდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩ ხ ე ნ კ ე ლ მ ა მაზრებისა და სოფლების კომისრებს ცირკულარები დაუგზავნა, რითაც მოითხოვდა, რომ მიწის საკითხში გლეხებს დაეცადათ, სანამ არ შეიკრიბებოდა დამფუძნებელი კრება და არ გამოსცემდა მიწის კანონს. ჩხენკელი თვით ღალის შეჩერების ნებასაც კი არ იძლეოდა, რადგან ეს თითქოს ზიანს მიაყენებდა რევოლუციას. ამგვარად, როგორც გაზ. „ბრძოლაში" ამის შესახებ ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე ამბობდა: მენშევიკებსა და ესერებს უნდათ „როგორმე დაატყუილონ გლეხობა და იხსნან დალუპვისაგან მემამულეებიო" [20].

1917 წ. 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოაქვეყნა „დებულება სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო-სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწათმფლობელთა მიწების საადგილმამულო კომიტეტების ხელში გადაცემის შესახებ" [21]. მიწის ამ დეკრეტს მემამულურ-

---

20 გაზ. „ბრძოლა", 1917 წ. № 57.

21 „ამიერკავკასიის მთავრობის მიწის კანონები", 1918. თბილისი.

ბურჟუაზიული ინტელიგენცია და პრესა დიდის აღფრთოვანებით შეეგება[22].

არსებითად-კი ეს იყო მიწაზე კერძო საკუთრების არა მოსპობის, არამედ რევოლუციის მეოხებით ძირიანად შერყეული ამ ინსტიტუტის განმტკიცების კანონი. „დებულების“ პირველივე მუხლი აცხადებდა: „რათა უზრუნველყოფილ იქნას უმიწაწყლო და ცოტა მიწის მქონე მშრომელი მიწის მომუშავე — ყველა სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო-სამონასტრო, იურიდიული და კერძო პირთა მიწებიდან განსაზღვრულ ნორმაზე ზევით, რ ო მ ლ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ც ა ლ კ ე ი ქ ნ ე ბ ა გ ა მ ო რ კ ვ ე უ ლ ი[23], დგება ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს ს ა ა დ გ ი ლ მ ა მ უ ლ ო ფ ო ნ დ ი, რ ო მ ე ლ ი ც გ ა დ ა დ ი ს ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს დ ა ს ა გ ა რ ე უ ბ ნ ო ა ნ ს ა ო ლ ქ ო ს ა ა დ გ ი ლ მ ა მ უ ლ ო კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა შ ი“[24].

ასეთი დეკრეტის გამოცემაც არ ეჭაშნიკებოდათ მენშევიკებს, მაგრამ მათ მეტი გზა არ ქონდათ, ვინაიდან მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ უკვე გამოაქვეყნა დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ და მყისვე მის ცხოვრებაში გატარებას შეუდგა, წინანდელი ტაქტიკის გაგრძელება, ე. ი. „მიწის საკითხის დამფუძნებელ კრებამდე გადადება შეუძლებელი შეიქნა“[25].

ამიერკავკასიის კომისარიატის ეს კანონი მართლაც უგზოობის კანონია. აქ არაა გადაჭრილი არც ერთი მოთხოვნა რევოლუციური გლეხობისა[26]. ლაპარაკი იყო მიწის ჩამორთ-

---

[22] იხ. პროფ. ს. ა ვ ა ლ ი ა ნ ი. „მიწათმფლობელობა საქართველოში“, 1920. ტფ. 25.

[23] კურსივი ჩვენია.

[24] „ამიერკავკასიის მთავრობის მიწის კანონები“, § 1.

[25] გაზ. „ბრძოლა“, 1918 წ. № 62; იხ. აგრეთვე ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. „თხზულებანი“, 1930. ტ. VII, 55 — 92.

[26] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „დიდი ეკონომიები“, მაგალითად, საუფლისწულო მამულები მენშევიკებმა გადააკეთეს ე. წ. „ეროვნულ მამულებად“. ეს „ეროვნული მამულები“ საშინლად დაზარალდნენ სწორედ ამ პერიოდში. მაგალითად, „წინანდლის საბაღნარო, რომელიც მთელ კახეთის

მევაზე ზოგადად, მხოლოდ მერმე უნდა მომხდარიყო ნორმების დადგენა, თუ რამდენი მიწა რჩებოდა მემამულეს; მანამდე კი მიწას ხელს ვერ ახლებდნენ. თანაც, კანონის შესავალში სეიმისაგან გლეხობას გაფრთხილება ეძლეოდა: თუ არ დაიცდით და თვითონ შეეცდებით მიწების ხელში ჩაგდებას, „ანარქია მოედება ამიერკავკასიასო“.

მეორე მუხლი აცხადებდა: „ხიზანთა უფლება-ვალდებულება (დამოკიდებულება) ისპობა. საადგილმამულო კომიტეტების მიერ შემუშავებულ პირობებში ხიზნებს რჩებათ ის მიწები, რომლითაც ამჟამად ისინი სარგებლობენ; ამ მიწის ნორმა არ უნდა აღემატებოდეს კომიტეტის მიერ დაწესებულ ნორმას. ამავე საფუძველზე უნდა იქნას დაკმაყოფილებული «პოსელიანები», რომლებიც სარგებლობენ მიწით «ტაპის» და «ახჩის» უფლებით“ [27]. — ამგვარად, აქაც არაა იმთავითვე დადგენილი, თუ რა რაოდენობის მიწა უნდა მიიღონ ხსენებული კატეგორიის გლეხებმა.

მაგრამ სეიმის მიწის კანონში ყველაზე უფრო ანტიგლეხური იყო მესამე მუხლი: „1918 წლის 1 იანვრიდან ისპობა დასახსნელი (გამოსაყიდელი — პ. გ.) გადასახადი, რომელსაც ყოფილი დროებით-ვალდებული გლეხები და «პოსელიანები» იხდიდნენო“ [28]. — როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გამოსასყიდელი გადასახდელებისაგან რუსეთში გლეხობა ჯერ კიდევ 1905—1906 წ.წ. იქნა განთავისუფლებული, ხოლო კერძოდ ამიერკავკასიის გლეხობის მისგან განთავისუფლებას იმავე ხანებში მინისტრთა საბჭოს წინაშე თხოულობდა თვით ცარიზმის ისეთი სატრაპი, როგორიც იყო კავკასიის ნამესტ-

---

თვალის ჩინად და სიამაყედ ითვლებოდა აქამდე, — დღეს უფერულ მდგომარეობაშია. ყველა ხეები მუდმივ ამწვანებული და ბუჩქნარები — გაკაფულია და ჩამოქმულია საქონლისაგან. გაზონები კი ყველგან ათხრილია... მამულის ინვენტარი ცუდ მდგომარეობაშია. საქონელი არ არის მოვლილი, აკლია ჰურჭელიც. ზოგიერთი ძვირფასი ჰურჭელი აღმოჩნდა შეცვლილი დაბალხარისხოვანით“ (იხ. ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1919 წ. № 9, გვ. 36).

[27] „ამიერკავკასიის მთავრობის მიწის კანონები“, § 2.

[28] იქვე, § 3.

ნიკი გრაფი ი. ი. ვ ო რ ო ნ ც ო ვ-დ ა შ კ ო ვ ი; რომლის პროექტით მემამულეებისათვის გამოსასყიდელი თანხა ხაზინას უნდა გადაეხადა. „თვით გლეხობისათვის გამოსასყიდელის დაკისრება მე მიმაჩნია ა რ ა ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ა დ, რადგან მათი ბრალი როდია, რომ ვალდებულებითი ურთიერთობანი გაჭიანურდა მრავალ წელს, რომლის განმავლობაშიაც ისინი თავიანთი ნადელისათვის იხდიდნენ ნატურალურ ბეგარებს, რომელთა ღირებულება, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების საერთოდ ზრდის მეოხებით, შეუჩერებლივ იზრდებაო“,— მოახსენებდა იგი 1907 წელს იმპერატორს[29].

კავკასიის ნამესტნიკს მხედველობაში მისაღებად მიაჩნდა ის „გარემოება, რომ, თუ რუსეთის „დროებით-ვალდებულმა“ გლეხობამ 1883 წლიდან, როდესაც ისინი გადაყვანილ იქნენ შესაბამის ოპერაციებზე, გამოსასყიდელი გადასახადისათვის ხაზინაში ყოველწლიური შენატანით უკვე 1906 წელს დაფარა თავისი ნადელების ღირებულება, მით უფრო ადრე უნდა დაეფარა იგი კავკასიის გლეხობას, რომელიც არ ყოფილა რა გადაყვანილი გამოსასყიდელ ოპერაციებზე, რეფორმიდან მოყოლებული მაღალ და თანაც ნატურალურ (პროდუქტად) ღალას უხდიდა მემამულეებს.

ამიერკავკასიის სეიმი მხედველობაში არ ღებულობს ყოველივე ამას და ეს მას შემდეგ, რაც გლეხობამ კიდევ ათი წლის განმავლობაში უხადა მემამულეებს ხსენებული ღალა, და გამოიარა პირველი მსოფლიო ომისა და 1917 წლის რევოლუციის სიძნელენი. კავკასიის ნამესტნიკი 1907 წელს მოითხოვდა „დაუყოვნებლივ მოესპოთ კავკასიაში“ გამოსასყიდელი გადასახდელები; ამიერკავკასიის სეიმი კი 1917 წელს აცხადებდა, იგი 1918 წლიდან უნდა მოისპოსო!

მიწის ასეთს დეკრეტს, რასაკვირველია, რევოლუციური გლეხობა არ მიიღებდა. და თვით მენშევიკების ლიდერებიც აღიარებდნენ, რომ ის მხოლოდღა ფარატინა ქაღალდი იყო: „დეკრეტს მიეცა უფრო დეკლარაციის ხასიათი, ვინემ პრაქტიკული ღონისძიებისაო“,— აცხადებდა შემდეგ საქართვე-

[29] „Всеподданнейшая записка.“, стр. 43.

ლოს მეწშევიკური მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი. ეს კი იმის გამო მოხდაო, თვალთმაქცურად ირწმუნებოდა იგი, რომ ამიერკავკასიის კომისარიატში „შედიოდნენ აზერბაიჯანელთა და სომეხთა ნაციონალისტებიც — უმთავრესად მემამულეთა წარმომადგენლები. უკანასკნელნი კი სრულებითაც არ იყვნენ დაინტერესებული აგრარული საკითხის გადაჭრის დაჩქარებაშიო“.

მიწათმფლობელობის გაურკვეველი ნორმებით გლეხობის დიდხანს მოტყუილება არსებულ ვითარებაში შეუძლებელი იყო. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის სხივები კავკასიონის მთებს გადმოღმაც გადმოდიოდა. 1918 წლის 10 თებერვალს შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. „სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მეთაურობით სეიმის აგრარულმა კომისიამ საჩქაროდ შეიმუშავა კანონ-პროექტი მემამულეთა მიწათმფლობელობის ნორმების შესახებ“ [30]. და აი 1918 წ. 7 მარტს გამოიცა „კანონი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს მემამულეთა ხელში დასატოვებელი მიწების ნორმა და რა ზომები უნდა იქნას მიღებული საადგილმამულო რეფორმების განსახორციელებლად“. ამ კანონის მეორე მუხლი აცხადებდა: „ჩამორთმეულ მამულებიდან მფლობელთ დაუტოვებენ: ა. 7 დესეტინას, თუ ჩამორთმეულ მამულის რაიონში ეწევიან ძვირფასი კულტურის მეურნეობას; ბ. 15 დესეტინას იმ რაიონში, სადაც ეწევიან ხორბლეულის მეურნეობას; გ. და 40 დესეტინას, თუ უმთავრესად შინაურ საქონლის მოშენებას მისდევენ“[31].

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ადგილობრივი თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილი წვრილ მიწათმფლობელთა წოდებას წარმოადგენდა. მაგალითად, 1917 წლის აღწერით, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურულ მეურნეობებზე საშუალოდ მოდიოდა მხოლოდ 33,5 დეს. ყოველგვარი სახმარი მიწა [32],

---

30 „სოციალ-დემოკრატია და მიწის საკითხი“, 1919, თბილისი, გვ. 11.

31 „ამიერკავკასიის მთავრობის მიწის კანონები“, 1918 წ. თბ., გვ. 9.

32 1917 წ. სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერის მაზრობლივი ჯამები“, 1922. თბ., გვ. 76 — 77.

ასე რომ 7 მარტის კანონით დაწესებული მაღალი ნორმების მეოხებით, მათ სავსებით, ან თითქმის სავსებით არაფერი დაუკარგავთ, რამდენადაც ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს ამგვარ ნორმაზე ნაკლები მამული ჰქონდა. ამგვარად, მენშევიკებმა, რომლებიც ამიერკავკასიის სეიმში გაბატონებულ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, არსებითად კვლავ შეუნარჩუნეს თავადაზნაურობას ძველებურ-პრივილეგიური მდგომარეობა.

1918 წ. 7 მარტს გამოიცა „კანონი ჩამოსართმევ მამულების პატრონთა სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ“, რომლის პირველ მუხლში ვკითხულობთ: „სამაზრო საადგილმამულო კომიტეტებს და სადაც ასეთები არ არის — მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულებს ეძლევათ უფლება მამულების ჩამორთმევის დროს კერძო მესაკუთრეებს ჩამოართვან აგრეთვე ინვენტარი (სამუშაო იარაღები), თუ მათ ეს საჭიროთ მიაჩნიათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცვისა და განვითარებისათვის, იმის გამოკლებით, რაც ესაჭიროება თვით მამულის პატრონს დატოვებულ მიწაზე მეურნეობის საწარმოებლათ“[33]. ამასთანავე მეორე მუხლის თანახმად „ჩამორთმეულ ინვენტარში პატრონი იღებს სასყიდელს“[34].

ეს კანონი სულაც არ ეხებოდა მემამულეთა უმრავლესობას, რომელთაც ძლიერ იშვიათად ქონდათ საკუთარი „ეკონომიები“ და, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, იჯარით ქონდათ გაცემული მიწები და ამდენადვე მიწათმოქმედებისათვის საკუთარი ინვენტარი არც გააჩნდათ. ხოლო არ ზარალდებოდა ის უმნიშვნელო ნაწილიც-კი, რომელსაც საჭიროზე მეტიც აღმოაჩნდებოდა: მას შეეძლო ეს ინვენტარი გაეყიდა. ასეთი მემამულეები, კაპიტალისტური ფერმერები, ჩვენში ისედაც ძალიან მცირე იყო.

ამგვარმა მემამულეებმა მხოლოდ მიყიდეს მთავრობას და, ცხადია, მაღალ ფასებშიც, მიწათმოქმედების ინვენტარი. მენ-

---

[33] „ამიერკავკასიის მთავრობის მიწის კანონები“, 1918 წ. თბ., გვ. 15.

[34] იქვე.

შევიკების მთავრობა კიდევ ყოველთვის სპეციალური დეკრეტებით უხდიდა ამ ფულს მემამულეებს. ასე, მაგალითად, უკვე 1920 წლის მიწურულს „საკულტურო მამულების ყოფილ მესაკუთრეთათვის ჩამორთმეული ინვენტარის საფასურის მისაცემად“ სახელმწიფო ხაზინამ დიდძალი თანხები გაიღო. ამ სახით შეძენილ იქნა ინვენტარი ისეთი უმსხვილესი მემამულეებისაგან, როგორიც იყვნენ ა. ანანოვი (რომელმაც ვარციხის მეურნეობის ინვენტარისათვის მიიღო 962 ათასი მანეთი); — მანთაშევები (მეურნეობა „ნავთლუღი“), მ. ფრიდონოვი („მანავის“ მეურნეობა), მ. შერემეტიევი („კარდანახი“), დ. ჩოლოყაშვილი („ჭიაური“), პ. ბახმეტიევი („გომბორი“) და სხვ[35].

1917 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მიღებულ „დებულებასა“ და 1918 წლის 7 მარტს ამიერკავკასიის სეიმის მიერ დაწესებულ მემამულეთათვის დასატოვებელი მიწის ნორმის განმსაზღვრელ კანონს მოყვა სპეციალური ინსტრუქცია ხსენებული „დებულებისა“ და „კანონის“, ე. ი. მიწის „რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო ზომების შესახებ“. ამ ინსტრუქციის მეცხრე პარაგრაფის თანახმად, „მამულის პატრონს უფლება ეძლევა ამოირჩიოს მისგან ჩამოსართმევი მიწის ნაჭერი... რომ თავიდან აიშოროს მიწის დაქუცმაცება“, იმ მიზნით, რათა „მამულის პატრონისათვის დატოვებული მიწა... ერთ ფარგალში იქნეს მოქცეული“. ამგვარად, მემამულეებმა ჯერ 1860-იან წლებში გლეხებს ჩამოუჭრეს საუკეთესო მიწები, ხოლო ახლა, 1918 წელს, მათ კიდევ უფლება მიიღეს ამ საუკეთესოდან საუკეთესო ნაკვეთი შეარჩიონ თავისთვის და ისიც ერთ ფარგალში, არსებითად ხუტორული წესით.

მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მე-12 პარაგრაფი, რომელიც აცხადებს: „ის მიწები, რომლებსაც 1918 წლის 7 მარტის კანონის მეორე მუხლში და მის შენიშვნაში განსაზღვრუ-

[35] „კანონთა კრებული“, საქართველოს სენატთან არსებული საკოდიფიკაციო განყოფილება. 1920. ტფ. ნაწ. I. № 22, დეკრეტები №№ 202, 203.

ლი ნორმით უტოვებენ მემამულეს, გადადის მთელ ოჯახზე, სულერთია მრავალრიცხოვანი იქნება ეს ოჯახი თუ მცირე. ხოლო იმ შემთხვევაში, უკეთუ მამული რამოდენიმე პირს ეკუთვნის, ან ოჯახში არის ისეთი წევრი, რომელსაც საკუთარი ოჯახი აქვს და თვითონ ეწევა ამ მამულში მეურნეობას, ან დამოუკიდებლათ სარგებლობს მამულის შემოსავლით, თვითეულ მონაწილეს ან ცალკე ოჯახს, რომელიც დამოუკიდებლათ სარგებლობს შემოსავლით თავ-თავისი ნორმა ეძლევათ"[36].

ამგვარად, ეს მეთორმეტე პარაგრაფი შესაძლებლობას აძლევდა მემამულეს შეენარჩუნებია ორი, სამი და აუცილებლობის დროს კიდევ მეტი ნორმა. 1919 წელს გლეხთა აჯანყების მიზეზების შესასწავლად ნ. ჟორდანიას მიერ დანიშნული, ე. ი. ოფიციალური, კომისია ადასტურებდა: „ზოგიერთების გამოკლებით, მემამულეებისათვის მიწები არ ჩამოურთმევიათ... ადგილმამულის კომისიები თავადაზნაურთა ერთ ოჯახს ხშირად რამოდენიმე ნორმას უტოვებენ... ადგილმამულის კომისიები და მიწის მზომელები ბოროტმოქმედებას სჩადიანო".

აგრარულ საკითხში მენშევიკების სპეციალისტი ალ. ასათიანი იძულებულია აღიაროს, რომ „...გამოცემული დეკრეტები არსად არ ხორციელდებაო". იგი იძულებული იყო აღენიშნა, რომ მთავრობის ორგანოებმა „მიწის საკითხის გადაჭრა სრულიადაც ვერ წასწიეს წინ. ამ მუშაობამ თუ რამე შედეგი გამოიღო, არა დადებითი, სასურველი, არამედ უფრო უარყოფითი და ამ რეფორმის საფუძვლიანი გადაჭრის შემაფერხებელიო"[37]. მაშასადამე, მიწის ჩამორთმევა თავადაზნაურული მიწათმფლობელობის არსებულ ვითარე-

---

[36] „კანონთა კრებული", საქართველოს სენატთან არსებული საკოდიფიკაციო განყოფილება. 1920. ტფ. ნაწ. I. № 22, 24 — 25.

[37] ალ. ასათიანი, „მიწის საკითხი საქართველოში", 1919 წ. თბილისი, გვ. 4, 44.

ბაში ფრიად ეფემერულ ხასიათს ღებულობდა. მაგრამ რეფორმამ თუ თავადაზნაურული მემამულეები არ დააზარალა, რასაკვირველია, მას, მით უმეტეს, არავითარი ზიანი არ მოუტანია სოფლის კულაკობისათვის, რომლებიც მიწათმოქმედების პროდუქტთა საშინელი სიძვირის მეოხებით უ ფ რ ო მ ე ტ ა დ გ ა ძ ლ ი ე რ დ ნ ე ნ ვ ი ნ ე მ ო დ ე ს მ ე.

რეფორმა სრულებით არ შეხებია აბხაზეთს (სოხუმის ოკრუგს) და აჭარას (ბათუმის ოლქს), სადაც მემამულეებს ეკუთვნოდა საუკეთესო მიწების დიდი მასივები. მაგრამ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაშიაც იგი მეტად შეკვეცილად იქნა გატარებული. სულ საქართველოში, აჭარისა და აბხაზეთის გამოკლებით, ოფიციალური ცნობით, მიწა ჩამოერთვა 3.963 მემამულეს (მათ შორის თბილისის გუბერნიაში — 2.782, ხოლო ქუთაისის გუბ. — 1.181), რომლებიც შეადგენენ მემამულეთა საერთო რიცხვის დაახლოებით 25 პროცენტს. 1920 წლის 1 იანვრისათვის ჩამორთმეული იყო სულ 621.697 დესეტინა (მათ შორის აღმ. საქართველოში — 511.539, ხოლო დას. საქართველოში — 110. 158) [38], და ეს მაშინ, როდესაც 1918 წლის ცნობით საქართველოს თავადაზნაურობას ეკუთვნოდა 2 მილიონ დესეტინამდე მიწა [39]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩამორთმეული მიწებიდან სახმარისობის მიხედვით საერთო რაოდენობის მხოლოდ 30%-მდე იყო კულტურული (დამუშავებული), 25%-მდე მოდიოდა საძოვრებსა და საბალახოებზე, 40%-მდე ტყეებით იყო დაფარული, ხოლო დანარჩენი უხმარ მიწებს წარმოადგენდა.

თავის ადგილას ნაჩვენები გვაქვს, თუ როგორ იყო დავალიანებული თავადაზნაურული მიწათმფლობელობა. მენშე-

---

[38] ნ. ხ ო მ ე რ ი კ ი, „აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო შეურნეობა", საქართველოს რესპუბ. ქალაქთა კავშირის გამოცემა. 1920. ტფ. გვ. 12.

[39] იხ. М. Л я д о в. „ К вопросу об учете и распределении земельного фонда Грузинской республики" („საქართველოს ეკონომისტი", 1919 წ. № 7-8, გვ. 36 — 41).

ვიკებმა-კი თავადაზნაურობისაგან მცირეოდენი ზომით მიღებულ მიწებთან ერთად მიიღეს ის დიდი ვალიც, რაც ამ მიწების გირავნობით იყო გაცემული. თვით ნ. ხომერიკი აცხადებდა: „ჩამორთმეულ მიწებზე არის ბანკის ვალები. ეს ვალები კარგა მოზრდილ თანხას — დაახლოებით 15 — 18 მილიონ მანეთს შეადგენს. ამ ვალების ბუნება ისეთია, რომ შეუძლებელია მათს გადახდაზე მთავრობამ უარი სთქვასო“ [40]. ამგვარად, მენშევიკურ მთავრობას თავადაზნაურობისაგან ჩამორთმეული 622 ათასი დესეტინა მიწისათვის თითქმის ორი ათეული მილიონი მანეთი (სარგებლის მიმატებით) უნდა გადაეხადა. მაშასადამე, ნათელია, რომ ამ მიწების ჩამორთმევაც უსასყიდლოდ როდი მომხდარა და რომ გამოსასყიდელი თანხაც უნდა დაკისრებოდა გლეხობას, რომელმაც, ვინ უწყის, ამა თუ იმ სახით, აქამდეც რამდენჯერ გადაიხადა ამ მიწების გამოსასყიდელი ფასი.

მაგრამ ნ. ხომერიკის მარჯვენა ხელს ალ. ასათიანს თავადაზნაურობა მაინც დაჩაგრულად მიაჩნდა და მოითხოვდა 7 მარტის „ცალმხრივი და უკიდურესი კანონმდებლობის შესასწორებლად მორიგ კითხვად უნდა იქნეს მიჩნეული იმ მესაკუთრეთა დაკმაყოფილება ხაზინიდან, რომელთაც მიწები ჩამოერთმევაო“. იგი, უფრო შორსაც მიდიოდა. მას საჭიროდ მიაჩნდა „მფლობელობის ნორმის შეცვლა მეურნეობის ინტერესების მიხედვით და კულტურული, ინტენსიური მეურნეობის სრულიად განთავისუფლება ყოველგვარი ექსპერიმენტისა და შეზღუდვებისაგან“ [41], ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკანასკნელი ხასიათის მეურნეობათა პატრონ მემამულეებს სრულიად არ უნდა ჩამორთმეოდათ მიწები; — ასე გააშიშვლეს მენშევიკებმა თავიანთი ნამდვილი ზრახვები.

---

[40] „კანონპროექტის განმარტებითი წერილი“, გვ. 7.

[41] ალ. ასათიანი, „მიწის საკითხი საქართველოში“, 1919, თბ. გვ. 79.

ამისავე პარალელურად მენშევიკები ცბიერულად ქადაგებდნენ, რომ „ჩვენი გლეხობა, კერძო საკუთრების დიდი შოტრფიალეაო“ (ნ. ხ ო მ ე რ ი კ ი) და ამიტომ, რასაკვირველია, მიწა მათ მხოლოდ და მხოლოდ კერძო საკუთრების სახით უნდა მიეცესო[42].

მაგრამ ეს „მ ი ც ე მ ა“ მენშევიკებს თავისებურად ესმოდათ. ეს ნიშნავდა, არც მეტი არც ნაკლები, გლეხობისათვის მიწის მ ო ყ ი დ ვ ა ს. ამ გზით აღებული ფულით მთავრობა ვალაუდობდა, რომ განამტკიცებდა სახელმწიფო ფინანსებს და სოფლის მეურნეობის კრედიტს, მოაწესრიგებდა ფულის მიმოქცევას, დაფარავდა, როგორც ჩამორთმეულ მამულებზე რიცხულ ვალებს, ასევე საადგილმამულო რეფორმების ხარჯებს და სხვ.[43].

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 1919 — 1920 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შემოსავლის 31 პროცენტს შეადგენდა მიწის სახელმწიფო ფონდის გლეხობისათვის მიყიდვის გზით ნავარაუდევი შემოსულობანი[44].

---

[42] „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული“. იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება. 1919 წ. ტფილისი, ნაწ. I, № 2, § 9; „საქართველოს პარლამენტის მიწის კანონები“, 1919, თბ., გვ. 1.

[43] ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1919 წ. № 9, გვ. 25 — 26.

[44] „პროექტი სახელმწიფო შემოსავლისა და ხარჯებისა 1919 — 1920 წწ.“, 1919, ტფ. გვ. 5 (შესავალში).

ნავარაუდევი იყო სოფლის მიერ მიწის „საზოგადო საკუთრების“ სახით შესყიდვაც. 1919 წ. 28 იანვარს მიღებულ კანონში ვკითხულობთ: „...დაკმაყოფილებულ იქნას სურვილი იმ სოფლის საზოგადოებისა ან სოფლისა, რომელიც საზოგადო საკუთრებად მოითხოვს მისი მცხოვრებლების ხვედრ მიწას, უკეთუ ასეთი თხოვნა დადასტურებული იქნება განაჩენით, რომელიც დადგენილ იქნება. სრულწლოვან მცხოვრებთა ხმის ორი შესამედით...“ (იხ. „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული“. 1919. ტფილისი. ნაწ. I, № 2; კანონი სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა, § 5). არსებითად ხსენებული სახით მიწის მიღების სურვილი, რასაკვირველია, არამცთუ წაქეზებას, არამედ მხოლოდ დაბრკოლებებს თუ წააწყდებოდა მენშევიკების აგრარული პოლიტიკის მეოხებით.

მაგრამ ყოველივე ამისათვის, რა თქმა უნდა, მიწის გასაყიდი ფასიც მაღალი უნდა ყოფილიყო. მენშევიკებიც აგრე მოიქცნენ. ადგილმდებარეობისა და სახმარისობის მიხედვით 1 დესეტინა მიწას ისინი 400 — 1000 მანეთად ჰყიდდენ. მყიდველი „სოფლის საზოგადოება ან სოფლელი და კერძო პირი“ მიწას მიიღებდა მხოლოდ მას შემდეგ რაც წარმოადგენდა „სახელმწიფო ხაზინის კვიტანციას ხვედრი ფულის შეტანის შესახებ“. ამგვარად, მიწის მიღება გლეხობის ძირითადი მასებისათვის კვლავ ოცნებად რჩებოდა. მენშევიკური სახელმწიფო ხაზინისაგან მიწის შესყიდვა მხოლოდ სოფლის ბურჟუაზიულ ელემენტებს შეეძლოთ.

მაგრამ, როგორ ასაბუთებდნენ მენშევიკები მიწის ასეთ კანონს? მოვუსმინოთ თვით მენშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ განმარტებას: „ჩამორთმეული მიწები ხომ... კანონით და სამართლით მთელ ხალხს ეკუთვნოდა; დარიგების დროს-კი ის ყველას არ გახდება (არ ეყოფა — პ. გ.). ჯერ ერთი ყველა არც-კი საჭიროებს მიწას... ყველასი საკუთრება სრულიად უფასოდ რამდენიმე პირმა რათ უნდა მიიღოს? ასეთ უსამართლობას არც ერთი საქმეში ჩახედული გლეხი არ მოითხოვს“ [45] (კურსივი ყველგან ჩვენია — პ. გ.).

ამგვარად, მიწა რომ უფასოდ დაერიგებიათ ის „ყველას ვერ გახდებოდაო“;—რასაკვირველია, იგულისხმება იმ ნორმებით, რაც მენშევიკებმა დაადგინეს, და რასაც ზემოთ გავეცანით. მაგრამ თავისთავად, ნორმა ხომ ფრიად დიდი იყო, რომ არა ვთქვათ იმაზე, რომ მემამულეებს, თავადაზნაურობას, კულაკობას შეეძლოთ ეს საქართველოს პირობებში ისედაც დიდი ნორმაც სამ-ოთხმაგად გადიდებული სახით შეენარჩუნებიათ, ანდა მიეღოთ. ასეთს პირობებში, რა თქმა უნდა, მიწა ყველას, ე. ი. ღარიბ და უღარიბეს

[45] „სოციალ-დემოკრატია და მიწის საკითხი“, 1919, თბ. გვ. 18.

ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐᲡ, „არ გახდებოდა“, ამიტომაც, ცხადია, მენშევიკებს არ შეეძლოთ „სრულიად უფასოდ“ „ყველასი საკუთრება“ რამდენიმე პირისათვის მიეცათ. ერთი სიტყვით: «გამყიდველებად ვარგოდნენ და მყიდველსაც ნახულობდნენ!».

მაგრამ მენშევიკებს არ შეეძლოთ პირში ჩალაგამოვლებული გლეხობისათვის რაიმე ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ და ისინიც პირდებიან: „ვისაც ახლა ფონდიდან მიწა არ მოუწევს, იმათთვის ახალი საადგილმამულო ფონდი შეექმნათ ᲭᲐᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲨᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲓᲐᲑᲜᲝ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲧᲕᲘᲗᲝ“ [46]. ცხადია, თვით მენშევიკებმა ძალიან კარგად იცოდნენ ჭაობის ამოშრობისა და უდაბნოს მორწყვის რა საშუალებები გააჩნდათ მათ!

უკვე 1920 წ. ზაფხულის მიწურულს, მაგალითად, სენაკელი კორესპონდენტი იწერებოდა: „სენაკის მაზრაში გამოცხადებულია საფონდო ადგილების გამოსყიდვა, რისთვისაც არიგებენ დაბეჭდილ ბლანკებს... ეჭვს გარეშეა, რომ წელში ილაჯგაწყვეტილი გლეხი ვერ შესძლებს ამ მიწის გამოსყიდვას... და ამიტომ მიყიდიან ისევ უფრო შეძლებულ პირებს. ხოლო ჩვენი დაბეჩავებული უმიწაწყლო გლეხი მაინც უმიწოთ და ღარიბათ დარჩება, რადგანაც რევოლუციის მონაპოვარი ფონდის მიწების ყიდვას ვერ შესძლებს ის უსახსრობის გამოო“ [47]. 1920 წ. 22 აგვისტოს ნუკრიან-ჭოტორ-მაღაროს (ქ. სიღნაღის მაზრა) გლეხთა კრებაზე დამფუძნებელი კრების წევრი ს. ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ მიწის მიღების მოლოდინში აღელვებულ ხალხს უცხადებდა: „ვინაიდან ჩვენ ნასწავლი ხალხი ცოტა გვყავს და, მაშასადამე, მიწის მზომელებიც, ამისთვის ჩქარა ვერ ხდება მიწის გადმოცემა გლეხებზეო“; ამასთანავე იგი ამშვიდებდა კახეთის გლეხობას: „მაგალითად, დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, გლეხებმა უკვე შვიდ-შვიდი დესეტინა (მიწა) ჩაიბარეს, რაც შეეხება ქიზიყ-კახეთს, რაწამს იქ განთავისუფლდებიან მიწის მზომელები, მაშინათვე თქვენც მოგეზომებათ და ჩაიბარებთო“.

[46] „სოციალ-დემოკრატია და მიწის საკითხი“, 1919, თბ. გვ. 27.
[47] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. № 27.

მაგრამ კახელი გლეხობის ასე ადვილად მოტყუილება, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. მით უმეტეს, რომ ისინი, სწორედ ამ ხანებშიაც, თვით კახეთში ხშირად ხვდებოდნენ უმიწაწყლობით შევიწროებულ იმერელ გლეხებს: „ჩვენ ბევრ დასავლეთელ მოძმეებს ვხვდებით აქეთ, რომლებიც იძულებულნი არიან იმერეთში უმიწაწყლობის გამო კახეთში გადმოსახლდნენო“ [48]. ს. ახმეტელაშვილი ამაოდ ცდილობდა დაემალა კახელი გლეხობისათვის, რომ დას. საქართველოს გლეხობის ძირითად მასებს მენშევიკების ბატონობის პირობებშიაც მიწის მიღება მხოლოდ ყიდვის გზით შეეძლო, ე. ი. ფაქტიურად არ შეეძლო.

იმავე 1920 წელს მენშევიკური პარტიის ყრილობაზე გამოსული ნ. ხომერიკი აცხადებდა, რომ გლეხობისათვის მიწა ფაქტიურად არ მიუციათ, ამ მიმართულებით „მუშაობა სწარმოებს და გადაჭრით არ შეიძლება იმისი თქმა, რამდენი დრო დასჭირდება მის დაგვირგვინებასო“ [49]. ამგვარად, მიწათმოქმედების მინისტრი აღიარებდა, რომ მენშევიკებმა, თავიანთი ბატონობის მთელ პერიოდში, გლეხობის მასებს მიწა არ აღირსეს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ ჩამოართვეს მენშევიკებმა მიწა მემამულეებს და როგორ ჭიანურდებოდა, ისედაც ბევრად შეკვეცილი ჩამოსართმევი ფონდების სახელმწიფოს ხელში გადაცემა. მაგრამ მემამულეები არამცთუ მიწებს არ თმობდნენ, არამედ მათი თვითნებობა, რასაც, რასაკვირველია, მტკიცე ზურგი მოეპოვებოდა „გერმანელ იმპერიალისტთა დახმარებით წარმოქმნილ მენშევიკების სახელმწიფოში“, კიდევ უფრო შორს მიდიოდა. ისინი, მაგალითად, გორის მაზრის მემამულეები, 1918 წელს მოითხოვდნენ, რათა გლეხობას მათთვის აენაზღაურებია 1917 წლის რევოლუ-

---

[48] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. № 31.

[49] ნ. ხომერიკი, „აგრარული რეფორმა...“, გვ. 17. იხ. აგრეთვე „საქართველოს კომუნისტი“, 1920 წ., № 9; კურსივი ჩვენია.

ციის დროს მიყენებული ზარალი და გადაეხადა ღალა იჯარით გაცემული მიწებისათვის [50].

მენშევიკური საქართველოს ფაქტიური ბატონ-პატრონი „გერმანიის იმპერატორის დელეგაციის“ უფროსი გენ. ფ ო ნ-კ რ ე ს ი 1918 წ. 22 სექტემბერს შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ს მოაგონებს რა „უჩვეულო ამბავს, რომ გორელ მემამულეებს გლეხებისაგან დღემდე არ მიუღიათ ღალა“, ამ „აუტანელი მდგომარეობის გამო“ მოითხოვს შეიქმნას კომისია, რომელშიაც უნდა შესულიყო: ორ-ორი წარმომადგენელი მთავრობისა და მემამულეთაგან და ერთი — გერმანიის დელეგაციისაგან. „ამ კომისიამ ჯერ უნდა გამოარკვიოს საერთო თანხა, რაც კიდევ აქვს მისაღები სხვადასხვა მემამულეს, ხოლო შემდეგ შეუდგეს კუთვნილი იჯარის ქირის აკრეფასო“, — უკვე იმპერატიული ტონით იტყობინებოდა გერმანელი გენერალი, რომელიც საჭირად თვლიდა: „უკანასკნელი ამოცანის (ღალის აკრეფის — პ. გ.) წარმატებით შესრულებისათვის, კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, და აგრეთვე სპეციალურმა გერმანულმა სამხედრო რაზმმაო“ [51].

მენშევიკების მთავრობამ დააპატიმრა ბაგრატიონ-დავითაშვილები, ბეგთაბეგოვები და სხვ., სულ 7 თავადი, რომელთაც „ღალებისა და სხვადასხვა ზარალის აკრეფის მიზნით საიდუმლოთ განუზრახავთ შექმნა აზნაურთა შავი რაზმისა“. მაგრამ მთავრობის მოქმედებამ აღაშფოთა ადგილობრივი გერმანული გაზეთი „Kaukasische Post“: „ჩვენი ინფორმაციით არავითარ „შავი რაზმის“ შედგენაზე ამ შემთხვევაში ლაპარაკი არ შეიძლებაო“ [52]. ე. ი. ეს გაზეთი ცილისმწამებლობას აბრალებდა. მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ს, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა, რომ ხსენებულ თავადთა მიერ განზრახული „რაზმი უნდა

[50] „Документы и материалы по внешной политике Закавказья и Грузии“, 1920. Тифлис, стр. 286 — 287.

[51] იქვე, 387.

[52] „Kaukasische Post“, 1918. № 41.

ყოფილიყო მსგავსი აზნაურთა შავი რაზმებისა, რომლებიც 1905 წელს მოქმედებდნენ გორის მაზრაში ცნობილი აბდუშელიშვილის მეთაურობით. შეიარაღებული რაზმის ორგანიზებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ზოგიერთი იმ პირთაგანი, რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ შავი რაზმის ორგანიზაციებთან 1905 წელსო" [53].

„Kaukasische Post"-ი კი, მიუხედავად ამისა, აცხადებდა: „დატუსაღებულ მემამულეთაგან არჩეული გზა შეიძლება სავსებით არ ეთანხმებოდა არსებულ სავალდებულო წესებს, მაგრამ არა ახალ ანარქიას, არამედ თავის ქონებას ეძებდნენ მემამულენი, იმ ქონებას, რომელიც კანონით მათ ეკუთვნითო" [54]. ეს იყო უპარდონო გამოსვლა წინააღმდეგ იმ განმარტებისა, რაც ნ. რამიშვილმა გენ. ფონ კრესს მიაწოდა: „გორის მაზრაში ანარქიის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარების მომენტში ზემოხსენებული ჯგუფი ახალ ანარქიულ გამოსვლებს ამზადებდაო" [55].

რასაკვირველია, ნამდვილად სუვერენული მთავრობის მიმართ გენ. ფონ კ რ ე ს ს ი ს ა და ადგილობრივი გერმანული გაზეთის ტონი გაუგებარი და უცხო იქნებოდა, მაგრამ „გერმანიის დელეგაცია" მხოლოდ დელეგაცია როდი იყო. მენშევიკური საქართველოს დამოუკიდებლობა არსებითად იყო „საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ" [56].

თვით ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ მ ა, რასაკვირველია, ძალიან კარგად იცოდა თავისი მთავრობის მთავარ ბურჯთა, როგორც „გერმანიის დელეგაციის", ასევე ქართველ მემამულეთა ძალა. იგი 1918 წ. 27 სექტემბერს გენ. ფონ კრესს ატყობინებდა: „მთავრობა სდგას არსებულ კანონთა სასტიკად დაც-

---

[53] „Документы и материалы...", 386—387.

[54] „Kaukasische Post", 1918. № 44.

[55] „Документы и материалы...", 387.

[56] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 7.

ვის თვალსაზრისზე. ამის ძალით-კი მემამულეებს მინიჭებული აქვთ უფლება მიიღონ კანონით კუთვნილი შემოსავალი მამულებიდან ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტებისა და სასურსათო ორგანიზაციათა მეშვეობით". კიდევ მეტი. ნ. რამიშვილი თვითონ ზრუნავს მემამულეებზე: „მე წინადადება მივეცი ამ კავშირის (სოფლის მეურნეთა კავშირის — პ. გ.) მოღვაწეებს წარმოადგინონ პროექტი ყოფილ თავადაზნაურთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, რაც სისრულეში მოჰყავთო" [57].

მაგრამ მენშევიკების აგრარულ პოლიტიკაში „შესწორებები" შექონდათ ინგლისელ „მოკავშირეებსაც". 1919 წ. 16 მაისს ნ. ჟორდანია ეაჯებოდა ინგლისელ გენ. ბიჩს, რათა საქართველოს მევენახეობისათვის მოეშველებიათ შაბიამანი, რადგან შეუწამლავად დარჩენილი ვენახები ნადგურდებოდა [58]. გენ. ბიჩი კი ნ. ჟორდანიასაგან მოითხოვდა... ვარციხელი მემამულე (მევენახე-მეღვინე) ა. ანანოვისათვის ქონების დაბრუნებას, მოითხოვდა ამას მხოლოდ „კერძო ლაპარაკში", მხოლოდ „მეგობრულ საუბარში", რათა «თქვენ — მიმართავს იგი ნ. ჟორდანიას — ერთი წუთითაც არ გაიფიქროთ, რომ მე ვერევი თქვენს შინაგან საქმეებშიო»; — თურმე ნუ იკითხავთ, ანანოვს „თავის მძიმე მდგომარეობაში" დახმარებისათვის მიუმართავს ინგლისელი გენერლისათვის, სწორედ ისევე, როგორც ადრე იგი დახმარებას სთხოვდა გერმანელ ოკუპანტებს და სხვ.

ნ. ჟორდანია გენ. ბიჩს აცნობს საქართველოში ჩატარებული აგრარული «რეფორმის» შინაარსს და სწუხს, რომ არ შეუძლია დააკმაყოფილოს მისი შუამდგომლობა, რადგან მაშინ «ყველა სხვებიც» მემამულე ანანოვის ანალოგიურ გზას დაადგებოდა. აქ, გენ. ბიჩი ეკითხება: «მაგრამ მას მთელი ჩამორთმეული ინვენტარისა და ღვინისათვის გადაუხდიან?» და ნ. ჟორდანია უპასუხებს: «რასაკვირველია». გენ. ბიჩი —

---

[57] „Документы и материалы...", 387.

[58] „«Демократическое правительство» Грузии и английское командование", 1928. Тифлис, стр. 50.

«შემდგომში მას ნება ექნება გააგრძელოს თავისი საქმე». ნ. ჟორდანია — «დიახ... მისთვის ანგარიშის გასასწორებლად დანიშნულია ცალკე კომისია, მაგრამ ის ყოველთვის უკმაყოფილოა. ამ საქმეზე ჩვენ მოგვიხდა გვეწარმოებია მთელი დიპლომატური მიმოწერა გერმანელებთან». გენ. ბიჩი — «მითხარით მე, როგორც მეგობარმა, როგორც ადამიანმა, — ანანოვის საქმე წაგებულია? ის ხომ მშვენიერ ღვინოებს აყენებს». ნ. ჟორდანია — «ო, არა, მისი საქმე გაგრძელდება და მომავალში ბევრად გაუმჯობესდება» [59].

თუ რა შედეგი გამოიღო მენშევიკური მთავრობის მემამულეებისადმი ამ პროტექციონისტულმა პოლიტიკამ, საკმარისია გავეცნოთ რაჭველი კორესპონდენტის ინფორმაციას: რაჭის მაზრაში „ფიქრადაც არ დაუსახავთ, მგონია მისი (მიწის რეფორმის—პ. გ.) გატარება... აი როგორი „რეფორმები“ არის რაჭის მაზრაში: ყოფილ მებატონეებს უპყრიათ ხელთ ადგილები: და ისევ ძველებურად სარგებლობენ; გლეხებს ასე ეუბნებიან მებატონეები, რომ მთავრობა არ გვართმევს ადგილებსო და თუ გსურთ მიწების დამუშავება, მოგვეცით ნახევარი ღალა და დაგამუშავებინებთო“ [60].

მაგრამ არა მარტო რაჭის მაზრაში, არამედ სხვაგანაც, მენშევიკებმა „სავსებით დაივიწყეს“ რიგი თავადებისა, რომელთაც სულ ბოლომდე, თითქმის ხელუხლებლად შერჩათ ადგილ-მამულები. მხოლოდ თავიანთი აღსასრულის უკანასკნელ თვეებში გამოსცეს მათ სპეციალური კანონები, რითაც მამულები უნდა „ჩამორთმეოდათ“ ასეთ „საპატიო და დამსახურებულ არისტოკრატებს“.

მაგალითად, 1920 წ. 6 ოქტომბერს გამოქვეყნდა დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის დეკრეტი (ხელმოწერილი 3 აგვისტოს), რომელშიაც ეკითხულობთ: „გაცემულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებაში ერთი მილიონ ასი ათასი (1.100.000) მანეთი დ. ყაზბეგში გენერალ გიორგი ნიკოლოზის-ძე ყ ა ზ ბ ე გ ი ს ა გ ა ნ ჯა-

[59] „«Демокр. правительство» Грузии и английское командование“ 1928. Тифлис, стр. 51.

[60] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. № 38.

რის საჭიროებისათვის მამულისა, შენობებისა და ინვენტარის შესაძენად“ [61]. ანდა მენშევიკური მთავრობის კიდევ ერთ-ერთ, სულ უკანასკნელ, დეკრეტში (გამოქვეყნებულია 1921 წ. 26 იანვარს, ხელმოწერილი — 1920 წ. 31 დეკემბერს) ვკითხულობთ: „ყოფილი უგანათლებულესი თავადის ნიკოლოზ ნიკოლოზისძის მ ი ნ გ რ ე ლ ს კ ი ს ქალაქში თუ სოფელში მდებარე ყოველი უძრავ-მოძრავი ქონება გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებადო“ [62]. ამ შემთხვევაში მენშევიკური მთავრობა „ყოფილ უგანათლებულეს თავადს“ გამოსასყიდელს არ სთავაზობს. საქმე იმაშია, რომ თვით მთავრობა ემზადება გახიზვნისათვის და როგორც რესპუბლიკის ხაზინასა თუ ეკლესია-მონასტერში დაცული ძვირფასეულობა, ისე დადიანების საგვარეულო რელიკვიები თან უნდა წაიღოს!

* * *

მენშევიკების მიერ აგრარული ურთიერთობის ამგვარი „მოწესრიგების“ შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობა 1917 — 1920 წ. წ., რასაკვირველია, შეუჩერებლად ეცემოდა. პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში ისედაც დაუძლურებული გლეხობის სიღატაკემ უკიდურესობამდე მიაღწია 1919 — 1920 წლებში.

უკვე 1920 წ. 4 მარტს სენაკის მაზრის ერობის თავმჯდომარე მ ა ლ ა ნ ი ა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისადმი დეპეშაში იტყობინებოდა: „...ყოველდღე აუარებელი დამშეული ხალხი გვადგება, მოითხოვს შველას, რაც გაგვაჩნდა დავურიგეთ. სენაკისავე რაიონში იყო რამდენიმე ათი შემთხვევა ოჯახის შიმშილით ამოხოცვისა“ [63].

გაზ. „ახალი კომუნისტის“ კორესპონდენტიც აცხადებდა: „მთელ სენაკის მაზრაში შიმშილობა მძვინვარებს... მცხო-

[61] „კანონთა კრებული“, № 22. საქართველოს სენატთან არსებული საკოდიფიკაციო განყოფილება 1920 წ. ტფ., I, დეკრეტი № 195.

[62] „კანონთა კრებული“, № 29, 1921. ტფ., I, დეკრეტი № 278.

[63] საქ. სსრ ცენტრალური არქივი. ფონდი 24, საქ. № 232, ფურც. 81.

ვრებნი უმეტეს ნაწილად ხილით იკვებებიან. მოხარშული ვაშ-ლი და სხვა ასეთები... თვითონ ვნახე ერთი გლეხი, რომელიც ორი დღე შინ არ მისულა; მიზეზი რომ ვკითხე — სახლში საჭმელი არ მაქვსო, ვერც ვიშოვე და შინ მისვლა არ შემიძ-ლიანო, ბავშვების ტანჯვას ვერ ავიტანო" [64].

უკეთეს მდგომარეობაში არც გურია იყო: „...გლეხი ტომ-რით ხელში სოფლიდან სოფლად დაწანწალებს, რომ როგორ-მე ერთ ბათმან სიმინდს მოუყაროს თავი... ამას დაუმატეთ კიდევ სახელმწიფო გადასახადები და... წარმოსადგენი იქნება ის გაჭირვებული მდგომარეობა, რომელსაც ამ მხარის ღარიბი გლეხობა განიცდისო", — იწერებოდა ადგილობრივი კორეს-პონდენტი [65].

რაჭის მაზრის ერობის თავმჯდომარე ლ ო ბ ჟ ა ნ ი ძ ე დეპე-შით მიმართავდა მთავრობის თავმჯდომარეს: „რაჭაში სასტიკი შიმშილობა მძვინვარებს. ხალხი უკიდურესობას განიცდის. თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, მოსალოდნელია ექსცესები" [66]. თვენახევრის შემდეგ იტყობინებიან: „რაჭა განიცდის მისიურ დამშევას. ხალხი მეტად შევიწროებულია" [67].

შორაპნის მაზრიდან კორესპონდენტი იწერებოდა: „აქ ძალიან შიმშილობაა. პატარა უმცირესობას თუ რამე აქვს, თვარა დიდ უმრავლესობას საშუალებაც არა აქვს რამე იშო-ვოს... სიტიტვლეზე ზედმეტია ლაპარაკი ზემო იმერეთში. სოფლებში უმრავლესობას სხეული დაფარული არა აქვს და თუ აქვს ჩასაცმელი, სრულიად დახეული და ძალზე ჭუჭყი-ანი" [68]. დუშეთის მაზრის შესახებ დ. თ უ რ დ ო ს პ ი რ ე ლ ი წერდა: „მთელი მთიულეთ-ხევი კავკავიდან მოტანილი სიმინ-დით ცხოვრობდა. დაიხშო დარიალის კარები და ნახევარი მაზ-

---

64 გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ. № 27.

65 გაზ. „საქართველოს კომუნისტი", 1920 წ. № 3.

66 საქ. სსრ ცენტრ. არქივი. ფონდი 24. საქმე № 232, ფურც. 72.

67 იქვე, ფურც. 5.

68 გაზ. „ახალი კომუნისტი", 1920 წ. № 29.

რა შიმშილის ანაბარა დარჩა. «ძნელი ყოფილა შიმშილი, გადაგვავიწყდა სირცხვილიო», შემჩივლეს დამშეულებმა“ [69].

1929 წ. 20 მარტს ახალციხის ერობა მთავრობის თავმჯდომარეს ატყობინებს: „მდგომარეობა აუტანელია. შესაძლებელია შიმშილის ნიადაგზე არეულობა. ამას დაერთო ტალღა ლტოლვილებისა ჩილდირიდან... ქუჩაში ყრია უპმელი (ხალხი) და ზოგი შიმშილით კვდება...“ [70].

ა პ. წ უ ლ ა ძ ე 1919 წელს, ეხებოდა რა საერთოდ საქართველოს ვითარებას, წერდა: „როგორც ჩვენი კუთხეების კარგად მცოდნე თამამად ვიტყვი, რომ ჩვენი ერი ფიზიკურად უკვე თანდათანობით მახინჯდება-კნინდება, გადაგვარება-გადაშენების გზას ადგება. ამის უმთავრესი მიზეზია შიმშილი. ქართველი ერი მაძღრისად არა სჭამს, ზომიერად არ საზრდოობს“; დასასრულ იგი სასოწარკვეთილი აცხადებდა: „რათ მინდა თავისუფლება, თუ ერი გადაგვარდება, თუ იგი არ იქნება გამრავლებული და გაჯანსაღებულიო“ [71].

კავკასიის ფრონტის შტაბის აგენტი 1920 წ. 2 ნოემბერს სოხუმიდან იუწყებოდა: „აბხაზეთი ეკონომიკურის მხრივ ფრიად კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება და ქალაქთა და ერობათა თვითმმართველობების უკანასკნელ ყრილობათა აღიარებით მომავალ ზამთარში აბხაზეთი განიცდიდეს იქნება სურსათის სასტიკ კრიზისს. თამბაქოს წარმოება, საქართველოს მთავრობის მიერ დაბალ ფასებში, 600 — 700 მან. ფუთზე, გამოცხადებული მონოპოლიის შედეგად მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად შემცირდა... ყველანი, შეძლებულ ბერძენთა გამოკლებით, უცდიან რუსეთის წითელი ჯარების მოსვლას“ [72].

1921 წლის 18 იანვარს გაზ. „შრომა“ წერდა: „საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ უღალატა არა მხოლოდ რევო-

---

[69] „ერობა და ქალაქი“, 1920 წ. № 7, გვ. 39.

[70] საქ. სსრ ცენტრ. არქივი, ფონდი 24, საქმე № 323, ფურც. 143.

[71] „საქართველოს ეკონომისტი“, 1919 წ. № 9, გვ. 29.

[72] „Сводка сведений о противнике на Кавказском фронте и о Закавказских государствах“, изд. Штаба Кавказского фронта, 1920 г. вып. XVII, стр. 34.

ლუციას, არამედ თავის პრინციპებსაც. ბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებლობა მიწების გაყიდვით დაიწყეს. სიმდიდრის უდიდესი ნაწილი გასაყიდად გაიტანეს და. ყველაფერი ხელში ჩაუვარდა სპეკულანტებს. გლეხობის მდგომარეობა კი არ გაუმჯობესებულა. სახელმწიფო დაწესებულებებში ქურდობამ და მექრთამეობამ ზღაპრული ხასიათი მიიღო... შიმშილი ხოცავს ადამიანებს. სიცივე იქ, სადაც ყველაფერი ტყითაა დაფარული და შიმშილი იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 88 პროცენტი მისდევს სოფლის მეურნეობას! ჯერ არ ახსოვს ისტორიას ისეთი უუნარობა და უთაობა, როგორც მენშევიკებმა გამოამჟღავნეს“ [73].

ამგვარად, ჩვენ თვით ფაქტები, ისტორიის წყაროები აღალაპარაკეთ და ისინი ისე გასაგებად მეტყველებენ, რომ კომენტარები ზედმეტია. აშკარად ჩანს, თუ როგორ მოშალეს მენშევიკებმა, მთელ სახალხო მეურნეობასთან ერთად, ჯერ-ძოდ სოფლის მეურნეობა. მათ მიერ გატარებულმა აგრარულმა პოლიტიკამ გლეხობის ძირითად მასებს, ნაცვლად მიწისა, უკიდურესი სიღატაკე და დუხჭირი ცხოვრება მოუტანა.

არც აზერბაიჯანისა და სომხეთის გლეხობა იყო უკეთეს პირობებში. კომუნისტური პარტიის აზერბაიჯანისა და ბაქოს კომიტეტების ორგანო გაზ. „Коммунист“-ი ასე ახასიათებდა დაშნაკთა ბატონობის შედეგად სომხეთის სახალხო მეურნეობის დაშლასა და მოსახლეობის ძირითადი მასების უნუგეშო მდგომარეობას: „იქნებ არსად ისე სწრაფად არ იზრდება ღატაკთა და ექსპლუატირებულთა არმია, როგორც ამას აღგილი აქვს სომხეთის სოფლებში. აქ სინამდვილე წარმოადგენს შემაძრწუნებელ სურათს: ღარიბთა და უმუშევართა, ექსპლუატირებულთა და დამშეულთა რიცხვი არა ყოველდღიურად, არამედ საათობით იზრდება. მეორეს მხრივ, სოფლის მეურნეობა ხელში ჩაიგდეს კულაკებმა, რომლებიც მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობას (პროცენტს) შეადგენენ. დაშნაკების მთავრობა მფარველობას უწევს კულაკურ ელემენტებს,

[73] „Сводка сведений...“, вып. XIX, 1921 г., стр. 39 — 40.

რათა გააძლიეროს ნაციონალური კაპიტალი. ყოველივე ამის შედეგად სწრაფად იზრდება სოფლის დაჩაგრული მასების უკმაყოფილება კულაკების წინააღმდეგ"[74].

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში გაზ. „Правда" წერდა: „მძიმე და სევდიანი იყო სომხეთის მშრომელთა ცხოვრება მეფის იმპერიის ორთავიანი არწივის ქვეშ. მაგრამ ყველაზე შავი დღეები მშრომელებს დაუდგათ ბურჟუაზიის საზიზღარი ლაქიების დაშნაკების ბატონობისას. სომეხი ხალხის ისტორიაში ეს წლები აღნიშნულია სისხლის რუებით. მახვილი და შიმშილი ბატონობდა ქვეყანაში, რომელსაც განაგებდნენ დაშნაკები. თვით დაშნაკური გაზეთი «აშხატანკ»-იც კი 1920 წელს იძულებული იყო ეღიარებია, რომ «სომეხი ხალხის მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა ისე სასოწარკვეთილი და გამოუვალი, როგორც დღესო»"[75].

საერთოდ ამიერკავკასიაში ევროპის იმპერიალიზმის აგენტების — მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატისტების — ბატონობის პერიოდში აგრარულ ურთიერთობებში არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მთელი ადგილ-მამული კვლავ რჩებოდა მებატონე ბეგებისა და ფეოდალური მემამულეების ხელში, რომლებიც ფლობდნენ უზარმაზარ ლატიფუნდიებს, რომელთაც ჰყავდათ სპეციალური შეიარაღებული ბანდები და ხელთ ეპყრათ აზერბაიჯანელ-სომეხ-ქართველი გლეხობის ბედიღბალი.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გლეხობის ძირითადი მასები მუშათა კლასის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუნელებლად იბრძოდნენ მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატისტების, ხალხის ამ დაუძინებელი მტრე-

---

[74] Газ. „Коммунист", Баку, 1920 г. № 1.

[75] „Правда", от 24. XI. 40 г.

ბის ბატონობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის [76].

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, მოსპო რა წარმოების ძირითად საშუალებებზე კერძო საკუთრება, ამიერკავკასიის გლეხობას მისცა მიწა და საერთოდ ყოველმხრივი შესაძლებლობა ადამიანური შრომისა და ცხოვრებისა და ნამდვილად სოციალისტური საზოგადოების აშენების დიად საქმეში აქტიურად ჩაება ისინი.

მეორე ტომის დასასრული

[76] იხ. გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში", 1954 წ. თბ.; ა კ ა კ ი ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, „ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917 — 1921 წწ.)", 1954 წ. თბ.

საძიებლები[1]

საკუთარ სახელთა საძიებელი

აბას მირზა — 24
აბაშიძე — 197, 751
აბელოვი ნ. — 432, 498 — 499, 502, 699
აბდუშელიშვილი — 941
აბოვიანცი — 623, 750 — 751, 817
აბრამიშვილი თ. — 45
აბუსერიძე ტ. — 683
აბულეთისძე ძ. — 124
ადამია — 458 — 459
ადელხანოვი — 378
ავალიანი ს. — 579, 591 — 592, 595, 604, 606, 610, 628, 634, 679, 682, 692, 927
ავალიშვილი — 197, 643
ალელოვი ი. — 377
ალექსანდრე I — 12, 33, 245, 751
ალექსანდრე (მეფე) — 779
ალექსანდრე II — 540, 561, 763
ალექსანდრე III — 413, 763
ალექსანდრე დიდი — 411
ალიაბიევი — 15
ალიმოვი ალ. — 285, 300
ალფანაბეკოვი — 62
ალშიბაია — 627
ალიხანოვი მ. — 377 — 378
ამილახვარი — 197
ამირაღოვი ი. — 377
ამირეჯიბი მ. — 643
ამანოვი ი. — 377, 717
ანანოვი ა. — 932, 942 — 943
ანდრონიკაშვილი ქ. — 41
ანდრონიკაშვილი ი. — 285, 300
ანდრონიკაშვილი რ. — 579, 837, 878
ანდრონიკაშვილი თ. — 747
ანთაძე ი. — 503
არაბული ბ. — 440
არაკჩეევი — 96
Аракелян Б. — 34
არასხანიანცი — 415
არდაზიანი ლ. — 359
არიუთუნიანი ბ. — 634
არღუთინსკი ა. — 213, 220, 231, 232, 234, 407, 408, 420, 437, 443, 450, 453, 455, 486, 823, 827
არღუთინსკი-დოლგორუკოვი ი. — 218, 643
არჩილ მეფე — 412
ასათიანი ალ. — 933, 935
ასლანასშვილი — 174
აღა-მაჰმედ ხანი — 10, 176
აღბულა — 120, 122 — 124, 140, 164
ახვერდოვი ი. — 235, 236
ახმეტელაშვილი ს. — 938, 939
ბაბანოსოვი ი. — 377
ბაბეფი — 618
ბაგრატიდი დ. — 138
ბაგრატიონი ნ. — 199, 290 — 291
ბაგრატიონ-დავითაშვილი — 940

[1] შეადგინეს ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ეკონ. მეცნ. კანდიდატებმა დ. დიასამიძემ და ხ. ხოსელიამ — გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა; მარი კაპანელმა, ია ყიფშიძემ და ი. ნორაკიძემ — საგნობრივი საძიებელი.

Багратион-Мухранский — 703
ბარანოვსკი ნ. — 525, 580
ბარათაშვილი —260, 262, 751
ბარათაშვილი ი. — 41 — 42
ბარათაშვილი მ. — 13, 57; 355 — 356
ბარათაშვილი ნ. — 443
ბარათაშვილი ს. — 41
ბარათაშვილი შ. — 182
ბარამიძე ა. — 59
ბარდი — 133
ბარიატინსკი ა. — 89, 273, 341, 357, 523 — 524, 553 — 554, 556, 643, 644
ბარტოლდი ვ. — 136, 152 — 155, 157, 634
ბარუჩევი გ. — 348
ბასტამიანი ვ. — 404
ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელი — 160
ბატონიშვილი თ. — 3, 35 — 36, 39, 44, 46, 52 — 59, 92, 94
ბატონიშვილი დ. — 10
ბატონიშვილი იოანე — 59, 74
ბატონიშვილი იულონ — 30
Багатуров С. — 465
ბაქიხანოვი აბას-ყული-აღა — 390, 391, 635.
ბაქრაძე დიმ. — 48 — 49, 74 — 75, 165, 167, 169, 202, 836
ბახმეტიევი ბ. — 932.
ბახტაძე ი. — 226, 260 — 261, 263, 445 — 446, 466, 506, 708, 757, 878.
ბეგთაბეგოვი ი. — 7, 9 — 10.
ბეგთაბეგოვი ნ. — 377, 940
ბეგთა-ბეგიშვილი— 347 — 348
ბეზირგანოვი — 643
ბელიაევი — 479
ბელინსკი — 621, 822,
ბერინგი — 357.
Берже А. — 10.
ბერიძე კ. — 192
ბერიძე ნ. — 192
ბექა-აღბუღა — 164 — 166, 181, 776
ბერძენიშვილი ნ. — 45, 130, 501
ბიჩი, გენ. — 942 — 943
ბოგდანოვ-ყალინსკი კ. — 580
Богданов Л. — 45
ბოლქვაძე ბ. — 48
ბოროზდინი — 74
ბოცვაძე ი. — 595
ბლიუმენფელდი — 479
Блюх И. — 101, 368
ბრაუნი თ. — 285
ბროსე მ. — 3, 35, 45, 126
ბუცხრიკიძე — 465, 666
ბულბაფაისძე ი. — 120 — 123
გაბაშვილი ბ. — 41
გაბაშვილი ე. — 223
გაბლიანი ე. — 440
გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) — 577, 579
გაგარინი ბ. — 541
გამრეკელი — თორელი კახა — 134, 159
Гамбаров П. — 447
განი ე. — 63, 75, 105 — 106, 260, 355, 550 — 552
განძაკელი კ. — 139
გეგეშიანცი გ. — 510 — 511
გეგეშიანცი ო. — 510 — 511
გეგეჭკორი ე. — 926
გელეიშვილი ბ. — 594
გერცენი ა. — 544, 618, 621—622
გვაზავა გ. — 872
გვილდენშტედტი ი. — 45, 47 — 48 — 51, 73

გიბრაძე ს. — 791
გიორგი ბრწყინვალე — 164, 166, 181
გვიბერტი — 138
გიორგაძე მ. — 593, 600
გიორგი მეფე — 412, 428
გიორგი III — 155
გიორგი IX — 522
გიორგი XII — 6, 15, 29 — 30, 50, 76
გლუხოვსკი — 63, 75
გოგიტაძე გ. — 202
გოგიჩაიშვილი ფ. — 203, 208, 240, 638, 646, 657, 701, 708, 722 — 737, 758, 744 — 746, 768 — 769, 793, 795 — 796, 847 — 848, 851
Goldschmidt — 132
გოლიცინი გ. — 752, 770
გოლოვინი — 82, 259
გორკი მ. — 881
Городецкий Б. — 534
Горцев Ш. — 723 — 724, 869
გოში მხითარ — 29, 130, 132, 134 — 135, 165, 176, 403 — 404
გოჩაშვილი — 465, 666
გრეკოვი ხ. — 403
გრიბოედოვი ა. — 580
გუგუშვილი პ. — 46, 92, 96, 172, 192, 197, 218, 228, 348, 397, 414, 457 — 458, 500 — 501, 521, 565, 573, 591, 600, 618, 636, 663, 679, 796, 815, 823, 856, 862, 890, 900, 919
გუდოვიჩი — 20, 189, 245
Гукасянц Л. П. — 514, 827
გულისაშვილი შ. — 664
გურამიშვილი დ. — 41, 626, 768
გურიელი მ. — 48, 643
Гурьев — 38
დადეშქელიანი თ. — 629
დადიანი — 554, 944
დადიანი გიორგი — 643, 752
დადიანი გრიგოლ — 643
დადიანი ეკატ. — 735, 750
დადიანი კ. — 47, 643
დადიანი მ. — 627, 772
დადიანი ნ. — 48
დავით აღმაშენებელი — 158
დავითაშვილი ე. — 377
დავით მეფე — 123, 145, 154, 168
Davidson — 133
დანიელსონი ნ. — 482, 829
დანილოვიჩი რ. — 508, 787, 803
დარიანი ს. — 797, 876, 877
დეკანოზიშვილი პ. — 174
დეკანსკი ი. — 450
დემენტიევი ა. — 768
დემეტრე II — 139, 154
დემიანოვი — 12
Дингельштедт — 502 — 503
დიუმა ა. — 220, 821
დობროლიუბოვი ნ. — 577, 621
დონდუკოვ-კორსაკოვი — 295, 299 — 302, 735 — 736
Doren — 133
Dopsch A. — 35
დოსითეოსი — 175
Дубровин Н. — 6
დუკელსკი ვ. — 285, 313
დოქიძე პ. — 183
ეგიაზაროვი ს. — 399, 407, 416, 423, 433, 435, 451, 460, 501, 503, 505, 508, 677, 693
ედინი ჯელალ — 155
ევანგულაშვილი ა. — 377
Евецкий О. — 102
ეიხფელდი — 22 — 24, 33
ეკატერინე II — 14, 93, 100, 244, 306

ემინოვი ი. — 348
ენგელსი ფ. — 100, 144, 399, 402, 413, 431, 478, 482 — 483, 505, 517, 543 — 545, 329
ერეკლე II — 13 — 14, 36, 38—39, 50, 92, 170, 176, 186, 778
ერისთავი — 197, 265, 751
ერისთავი ა. — 748
ერისთავი ბ. — 175, 643
ერისთავი გრ. — 504
ერისთავი გიორგი — 528
ერისთავი ზაქ. — 312
ერისთავი რაფ. — 74, 440
ერიტოვი ა. — 221, 825
ერმოლოვი — 21, 22, 248, 250 — 251
ესაძე ს. — 12, 550
ეფიმენკო — 479
Ефимов В. — 527
Ефимов П. — 484
ეჯუბოვი ე. — 362, 377
ვაჟა-ფშაველა — 743
Варавин П. — 384, 445, 878
ვასილჩიკოვი — 327
ვატაცი — 889
ვაჩნაძიანნი — 751
ვახვახიშვილი — 197
ვახტანგ VI — 17, 33 — 34; 38, 41, 46, 118, 130, 135, 167 — 173, 178 — 179, 180, 182, 187, 189, 195, 247, 260, 354, 356, 404, 428, 552, 628, 686 — 687
Weber Max — 140
Вейсенгоф С. — 502
ველისციხელი ნ. — 464, 487 — 489, 493, 496
ვერმიშევი ქ. — 401, 421, 469, 682 — 684, 703, 708
ვესელოვზოროვი ბ. — 285, 297, 300
Веселовский Б. — 756
ვილლანი ჯოვანი — 143
Виттерс М. — 347
ვიტტე ი. — 580
ვლასტიოვი — 629
ვოეიკოვი ი. — 915
ვოლფრამი — 274
ვორონცოვი მ. — 87, 199, 265—269, 291, 343, 356 — 357, 390, 552, 632
ვორონცოვ-დაშკოვი ი. — 296, 534, 560, 716, 746, 753, 758 — 759, 770, 867, 879, 929
ვრონჩენკო — 72
ზაალიშვილი — 643
ზავაროვი ს. — 420 — 421, 664, 756, 788, 817 — 818
ზაიცევი ბ. — 16
ზაკრევსკი — 343
ზავილეისკი — 251
ზეინალოვი ა. — 643
ზელინსკი ს. — 219, 222 — 223, 433
ზომბარტი ვ. — 135, 142
ზუბალიშვილი — 311, 377
თავართქილაძე — 48
თაიროვი ა. — 362, 377
თამარ მეფე — 119, 155 — 156, 159 — 160, 166, 411
თამამშევი — 377
თამამშევი გ. ს. — 362
თამამშევი მ. ე. — 362
თარხნიშვილი დ. — 192
თარხან-მოურავი — 197, 318, 322 — 323, 836
თაყაიშვილი ე. — 59, 141, 169, 184.
თბილელი ი. — 168
თედორაძე გ. — 440 — 441, 443

თეიმურაზ. II — 38, 46
თემურლენგი — 751
თემურ-ხანი — 67
თეოფილაქტე — 194, 196
თორელი კ. — 119, 122 — 125, 139 — 141, 144, 160
თუმანიანი ო. — 664
თუმანიშვილი მ. — 38, 88, 580, 685
თუმანიშვილი გ. — 531, 771
თურდოსპირელი დ. — 772, 945
იაგოდინსკი პ. — 499
იაგოდინსკი ნ. — 415
იგნატიევი ი. — 743
იგნატიევი პ. — 540
Якубовский А. — 128
იარალოვი გ. — 378
Яснопольский — 350
Иваненко В. — 259, 385, 393
იეღიგაროვი — 643
იზმიროვი ს. — 362, 377
ინგოროყვა პ. — 779
იოანე ეპისკ. — 79
Иоаниснан И. — 34
იოვიძე ა. — 592, 600
იოსელიანი ა. — 42
იოსელიანი ი. — 460, 465
იოსელიანი ო. — 226
იოსელიანი პლ. — 15, 29 — 30, 79
ისმაილ-ხანი — 67
კაველიანი კ. — 479, 542 — 543, 601
კაიდანოვი — 275
კაკაბაძე ს. — 43, 46, 47, 49, 51, 130, 183, 232
Кольвейт Э. — 701, 704 — 705 791
კანდელაკი — 578
კანკრინი — 24 — 25; 53 — 55, 73, 82 — 83, 100 — 102, 343, 352 — 354, 523
კანჩერი ე. — 320, 325 — 326, 714, 808, 830
კაპანაძე დ. — 33 — 34, 40, 46, 49
კარპინსკი ა. — 16
კაქდანი ა. — 410, 429
Карышев — 676
კასტელა — 348, 352
კაუფმანი ა. — 479
Кауфман И. — 33, 101
კახელი ე. — 796
კვიტკა პ. — 408, 494 — 495, 675
კეკელიძე კ. — 59, 119
კელენჯერიძე მ. — 578
კეტერბერიელი გ. — 155
კილკატურასშვილი ს. — 184
კირაკოსიანი — 834.
Кипшидзе А. — 882.
კლდიაშვილი დ. — 413 — 414, 578, 751, 793
კლემიონოვი ვ. — 16
კლინგენი ი. — 526
Ключевский — 101
კნორინგი — 8, 13, 49
კოვალენსკი პ. — 6, 13, 30
კოვალევსკი მ. — 499, 701
კოზოდავლევი — 246
კოლიუმბაკინი — 554
კონდრატენკო ე. — 666 — 667, 861
კონსტანტინოვი ო. — 230 — 231
კოპალაძე — 453
კორფი — 550
Корганов С. — 881
კოსტავა ქ. — 192
Косминский Е. — 433
Костанянц — 138
კოშელიოვი ა. — 542 — 543, 601
Кочаровский — 479

კოჩუბეი — 357 — 358
კრუზერშტერნი ა. — 554, 560
Кулишер И. — 33, 129, 143
კურპალატი ბ. — 411
კუტაისოვი — 26, 56, 251 — 252, 258
კუჩაევი მ. — 205, 216, 229, 233, 285, 322, 337 — 339, 385 — 386, 513, 632, 682, 833 — 834
კუჩენბახი ა. — 643, 815 — 816
კუჩენბახი მ. — 817 — 818
კუჩუხაშვილი — 643
ლავრენტიევი — 470, 529, 809
ლავროვი პ. — 193
ლაზარევი — 8, 29
ლაზარიანცი ი. — 835 — 836
ლანსკოი — 540
ლასხიშვილი გ. — 751.
Levasser — 132, 138
Лексис — 347
Лемке М. — 577
ლენინი ვ. — 116, 193, 206, 210, 219, 222, 228 — 229; 242, 327 — 329, 336, 339, 392, 431 — 432, 478, 482 — 483, 484 — 486, 545, 539, 543, 544 — 587, 639, 656, 704, 725, 764, 770, 775, 796, 805, 806, 811, 844, 893 — 896, 941
ლეონტიევი — 8, 890
Линден В. — 394
ლომოური თ. — 67, 119, 130
ლორთქიფანიძე გრ. — 47, 130
ლორთქიფანიძე კ. — 589, 617, 621
ლორის-მელიქოვი — 296, 643
Лофицкий — 7
Лосицкий А. — 787
Лотхин — 659, 912
ლუბინ-იარმოლოვიჩ-ლოზინ -ლოზინსკი გ. — 768
ლუი-ბლანი — 618
Лядов М. — 934
Лященко П. — 480, 481, 541, 745, 913
მათიაშვილი ალ. — 772 — 773
მაიაშვილი გ. (ზდანოვიჩი) — 472, 836
მაისურაძე გ. — 422
მაისურაძე ივ. — 422
მაისურაძე ო. — 422
მაკალათია ს. — 414, 439, 443, 444
მაკაროვი — 216, 217
მალანია — 944
Малама Я. — 105
მამაცაშვილი კ. — 575 — 577, 603
მამაცაშვილი ქრ. — 287, 596, 594, 598 — 599, 611
Мананд ян Я. — 138, 158
მანთაშევი — 932
მანკაბერდელი ს. — 145
მანსვეტაშვილი ი. — 590, 599, 751
მარდალაშვილი — 411
მარი ნ. — 119, 145, 157, 661, 792 — 793
მარიამ დედოფალი — 141
Марков А. — 43
Марков Ф. — 460, 469, 507, 657, 789
მარკო-პოლო — 157
მარქაროვი — 373
მარქსი კ. — 6, 78, 91, 100, 114 — 117, 139, 144, 191, 196, 346, 478, 482 — 483, 496, 517, 543, 545, 681, 695, 784, 897
მარლანია კ. — 190
მასუდ-ბეგ — 127

მაღალაშვილი ლ. — 197, 267, 285
მაღალაშვილი მ. — 643
მაჩაბელი ალ. — 809
მაჩაბელი ივ. — 460, 473, 530, 675, 861, 887
მაჩაბელი მ. — 422, 821
მაჩაბელი ს. — 197, 212 — 213, 215, 220 — 222, 235, 487, 497, 514, 643, 666, 703, 709, 792, 849
მაჭუტაძე — 723
მახარაძე ფ. — 894, 926 — 927
მაჰმუდ იალავაჩი — 127 — 128
მგალობლიშვილი — 418
Медведев Я. — 713
მელაძე თ. — 171
მელიქიშვილი ი. — 30, 643
მელიქიშვილი ს. — 50
მელიქ-ალამალოვი — 645
მელიქსედ-ბეგი ლ. — 145
მელიქსედეკ კათ. — 411
მელიქ-შაჰი — 129
მემანიშვილი გ. — 192
Мендельсон Л. — 368
Мерхалев Д. — 805
მესხი ს. — 206, 739 — 740
მესხია შ. — 145
მეუნარგია ი. — 48, 295 — 296, 732, 751, 824
მეჩნიკოვი — 26, 251 — 252, 257— 258
მეძმარიაშვილი — 534
მზარეულოვი — 291
მთაწმინდელი ე. — 163
მთაწმინდელი გ. — 43
მიდენდორფი — 446, 447
მინგრელსკი (დადიანი) ნ. — 643, 753, 772, 944
მირზოევი — 370
მირიმანოვი ს. — 362, 377
მირსკი — 296
მიურატი ა. — 717
მიქავა უტუ — 638
მიქელაძე — 590
Михайловский Ф. — 129
მკრტჩიანცი ტერ; ხ. — 362
მოლეშკო ე. — 557
მორგანი — 489
მოროხოვეცი ე. — 634
მოურავოვი — 91
მოჰამედი — 446
მურიე — 74
მუსინ-პუშკინი — 11 — 12, 14 — 16, 30 — 31, 42, 51, 53, 88
მუსტაფა შირვან-ხანი — 67, 510
მუსხელიშვილი ლ. — 683
მუხრან-ბატონი გ. — 580
მუხრან-ბატონი კ. — 665, 751
მუხრან-ბატონი ივ. — 285, 290, 348, 571 — 572, 575, 579, 597 — 598, 626, 643, 650, 703, 717, 749
მუხრან-ბატონი ბ. — 344
ნადირაძე პ. — 377
ნადიროვი რ. — 362
ნადირ-შაჰი — 399
ნაზარაშვილი ი. — 31
ნაზიმოვი ვ. — 540
ნაკაშიძე ა. — 377
ნაკაშიძე ო. — 202
ნალბანდიანი შ. — 622 — 625
ნაპოლეონი — 100
ნეიდგარდტი — 83, 389
ნერსესი, პატრიარქი — 511
ნესელროდე — 777
ნიდიგერი — 816
ნიზამ ალ-მულქ — 129
ნიკოლაი ა. — 471, 579 — 580, 781 — 782
Николас Д. — 527
Николас В. — 530

ნიკოლაძე ნ. — 285, 288, 471 — 472, 511 — 512, 552 — 553, 555, 617 — 622, 732, 739
ნიკოლოზ I — 389
ნიკოლოზ II — 763
ნიკოლსკი — 479
ნიკიფოროვი ნ. — 507
ნიეარაძე — 627
ნოსოვიჩი დ. — 460, 464, 470, 679, 680
Огановский — 914
ოგარევი — 601, 622
ომარ-ფაშა — 552
ონიკაშვილი ა. — 362, 377
ოპოჩინი ნ. — 643
ორბელიანი ა. — 36, 556, 749
ორბელიანი გრ. — 90, 92 — 93, 285 — 296, 299 — 305, 554, 571, 534 — 536, 750 — 752, 824
ორბელიანი დ. — 295, 551, 751
ორბელიანი ვახ. — 130, 643
ორბელიანი ი. — 643
ორბელაშვილი ნ. — 171
ორბელიანი პ. — 37 — 38
ორბელიანი ს.-ს — 44, 74, 126, 162, 165, 191, 410 — 411, 683
ორბელიანი ს. — 154
ორლოვი ვ. — 326
ორლოესკი კ. — 560, 571, 580, 597
ოსესშვილი ი. — 183
ოსტროვსკი ვ. — 769
ოუენი — 618
ოძელაშვილი ა. — 638
Парсамян В. — 894
პასკევიჩი — 24—25, 54—55, 100, 524, 777
პაულუჩი — 63
პახომოვი ე. — 51, 130
პერეირიე — 357
პერეჩჩი — 133
პეტრიაშვილი ბ. — 732
Петрович П. — 788 — 789, 819
Петрушевский И. — 128, 383, 394, 630, 700
Печерин Я. — 100
პეჩერინი პ. — 310
პიტოევი ე. — 643
პლეხანოვი გ. — 478
პოზენი — 104, 107 — 109, 260 — 263, 355 — 356, 542
Pöhlman — 133
Поппе Н. — 126
პოპოვი — 12
პოსტნიკოვი ვ. — 329
პოღოსოვები — 750 — 751
Прозоровский Д. — 43
პრუდონი პ.-ჟ. — 618
პტი-დიუტაი, შარლ — 155
პუშკინი ა. — 262
Пурцеладзе Д. — 187
ჟორდანია თ. — 35, 45, 121, 121, 126, 159 — 161, 410 — 412, 433
ჟორდანია ნ. — 135, 942 — 943
რამიშვილი ნ. — 940 — 942
რაშიდ ად-დინი — 126
რაშიდ-ხან შირვანელი — 510
Рашкович — 913
რეადი — 343 — 344
Reineggs J. — 29
რეიტერი კ. — 362, 377
Реснер — 383
რეიტერნი ს. — 276, 282
რიჩარდ ლომგული — 155
როზენი — 27, 190, 201
Романов Б. — 43
Романов Г. — 14, 19, 57
რომანოვი მიხ. — 274, 294, 298, 734
რომანოვი ნ. — 643

Рожков Н. — 101
როსტოვცევი — 480
Рота П. — 129, 133
როტინოვი ი. — 377
როტშილდი — 732, 870
Рождественский — 132
რტიშჩევი — 22, 96 — 98, 99, 189
რუბრიკვისი გ. — 167
რუდაკოვი ა. — 577
რუმიანცევი — 95
რუსთაველი შ. — 119, 130
რუსტამბეგოვი — 633
Рутенбург В. — 129, 133
Рштуни В. — 632 — 635. 645
საკაძე გ. — 522
საგინოვი — 751
Савельев П. — 43
სამარინი ი. — 543
სანდალა — 850
სარაჯიშვილი ვ. — 300
საჰმადინი ა. — 145
სეგალი ი. — 434, 493 — 496, 507, 509, 519, 826
Семевский В. — 540
Семин О. — 493, 692, 759, 765
სემიონოვი პ. — 643
სენ-სიმონი — 618
სერგეევიჩი — 479
სერებრიაკოვი ი. — 211
სვიატოპოლკ-მირსკი — 626
სიმონოვიჩი — 189
სიპიაგინი — 102, 351, 353 — 354
სიუზანე — 259
სკანდელი ნ. — 621
Скибицкий М. — 448, 878
სმეკალოვი — 847
სოკოლოვი ი. — 7, 10, 386
Солнцев Д. — 43
სოლოვიოვი — 414, 479
სოლომონ II — 48 — 49
სოლოღაანი — 751
სპასკი პ. — 310, 399
სტალინი ი. — 518, 540, 586, 794, 894
სტარიცკი ე. — 525, 580
სტოლიპინი — 483 — 486, 518
სტრეკალოვი — 523
Судейкин В. — 350
სუვოროვი — 100
სუმბათაშვილი ქ. — 79
სურგულაძე ა. — 949
სურგუნაშვილი — 39
ტარასოვი — 31, 52
ტარასოვი ნ. — 798
ტერ-მკრტიჩიანცი ხ. — 362
ტიგრან II — 34
ტიმოფეევი ს. — 217 — 218, 799
ტოლსტოი — 40, 814
ტოლსტოი დ. — 301
Толстой С. — 128
ტომასოვი — 53, 95 — 96, 99, 246, 341 — 342
Торнау Н. — 395
ტოტლებენი — 41, 91
ტრეასკოვსკი — 556
Туманов Г. — 532, 689
Туманян О. — 664
ტუჩკოვი — 8
ტუხუაისძე დ. — 160
Удинцев — 131
უმეკი ჰარონ — 136 — 139, 144 — 145
უმიკაშვილი პ. — 46, 502, 638
უმიწაწყლო ი. — 155
უნკოვსკი ა. — 542
ურბნელი ნ. — 863
ფადეევი ა. — 580
ფავლენიშვილი — 197
ფაიზულა-ბეგ ქობლიანელ-ათაბეგოვი — 665
ფალავანდიშვილი — 389, 643

ფივეგი — 471
ფირალიშვილი ა. — 458
ფიშერი — 14
ფრესკობალდი — 133
ფრიდონოვი ნ. — 377
ფრიდონოვი მ. — 932
ფრენკელი ა. — 167
ფრონელი ალ. — 715, 849
ფურიე — 618
ფურცელაძე ა. — 200 — 207, 214, 331, 332, 334 — 336, 472, 476, 522, 589, 599, 617 — 618, 674, 729, 732 — 733, 780, 783, 831— 832, 833, 836, 838 — 839, 846, 860
ფურცელაძე დ. — 39 — 40, 175, 502
ქაველაძე ვ. — 122
ქიქოძე გ. — 157
ქობლიანელ-ათაბეგოვი —643—644
ქობულაშვილი — 197, 643
ქოიავა ნ. — 42, 51
ქოსაისძენი — 411
ქოჩაკიძე ა. — 753
ქურდიანი ი. — 771, 773 — 774
ღოღობერიძე ბ. — 317 — 318
ყაზბეგი გ. ნ. — 943
ყაზვინი ჰამდალაჰ — 152 — 155
ყარალაშვილი — 197
ყაუხჩიშვილი ს. — 159
ყიფიანი დ. — 196, 202, 523, 526, 550 — 556, 559, 563 — 570, 574 — 575, 579, 580, 594 — 598, 617
ყიფიანი კ. — 643
ყიფიანი ნ. — 564
ყიფშიძე ალ. — 738, 740, 743
ყორღანოვი ა. — 362, 377
ყორღანოვი სტ. — 449 — 450, 880
ყუთლუ-ასლანი — 159 — 160
შალიკაშვილი — 207, 237, 847, 886 — 887
შანიძე ა. — 226, 439
შარდენი ე. — 628
შარფარონიანცი — 377
შაღუბათოვი ი. — 97
შაჰბაზი — 751
შერემეტიევი — 717, 932
Шестаков А. — 881
შეფინასშვილი — 183
შიოშვილი ზ. — 474
Шитов Г. — 81
შიშმარიოვი — 16
შმაკოვი — 274
Шодуар М. — 43
Шопен И. — 81, 449, 452, 504
შოშიაშვილი ნ. — 120, 123
შტიდა — 142
შუვალოვი პ. — 541
Шулейкин — 482
შულცე დელიჩი — 331 — 332, 831
ჩაიგეტოვი — 377
ჩიგატაი — 127
ჩითახოვი ი. — 348
ჩინგის-ყაენი — 127
ჩიქობავა არ. — 458 — 459
ჩიქოვანი ა. — 627
ჩიჩერინი — 479
ჩერნიშევსკი ნ. — 479, 544, 611, 618 — 619, 621 — 622
ჩერნიშევი ა. ტ. — 201, 390
ჩერქეზიშვილი — 643
ჩოლოყაშვილი — 197
ჩოლოყაშვილი ა. — 643
ჩოლოყაშვილი გ. — 643
ჩოლოყაშვილი დ. — 932
ჩოლოყაშვილი ე. — 643
ჩოლოყაშვილი ს. — 29
ჩხატარეიშვილი — 788
ჩხეტია შ. — 564, 593, 596 — 597, 600

ცაგარელი ალ. — 41, 92
ცაიშვილი ს. — 57
ციციშვილი — 177, 197, 267, 643
ციციშვილი დ. — 198
ციციშვილი ივ. — 741, 883
ციციანოვი პ. — 12, 14, 31, 52, 189, 245, 348, 362, 510 — 511
ცურინოვი ბ. — 362, 377
ცხაკაია მ. — 650, 660, 725, 793
წერეთელი ა. — 589 — 591
წერეთელი ბ. — 46
წერეთელი გ. — 611, 617, 620 — 621, 750
წერეთელი ნ. — 318, 626
წერეთელი პ. — 41
წინამძღვარიშვილი ი. — 599
წოვიანოვი — 377
წულუკიძე — 626, 689, 746, 792
ჭავჭავაძე — 197, 643
ჭავჭავაძე ალ. — 6, 262, 837 — 838
ჭავჭავაძე მ. — 389
ჭავჭავაძე დ. — 580, 644
ჭავჭავაძე ი. — 201, 228, 253, 285, 323 — 325, 396 — 400, 402 — 403, 405, 413 — 414, 418 — 419, 454, 473, 476 — 478, 498 — 499, 507, 509 — 510, 527, 529, 579, 587, 589, 591 — 600, 611, 623, 682, 684 — 685, 694, 739, 831, 859 — 860
ჭავჭავაძე ი. ნ. — 285, 287, 300
ჭავჭავაძე ნ. — 285, 593, 595 — 598, 600
ჭავჭავაძიანნი — 751
ჭავჭავაძე ზ. — 889 — 890
ჭავჭავაძე ზ. ნ. — 592, 595, 612, 850
ჭონქაძე დ. — 618
ჭიკინაძე ზ. — 552, 555
ჭყონდიდელ-მიტროპოლიტი გრ. — 47
ხან-აგოვი ა. — 423, 502, 510
ხასკინი ფ. — 291
ხაჭაპურიძე გ. — 949
ხაჩატუროვი ი. — 406
ხახანაშვილი ა. — 168, 182, 661, 796.
ხიზანიშვილი ნ. — 397, 441, 472
ხიმშიაშვილი ნ. — 643
ხიტროვი ე. — 285
ხოდსკი ლ. — 31
ხოვენი — 429
ხომერიკი ნ. — 930
ხომერიკი ალ. — 934 — 936, 939
ხრამელაშვილი ე. — 240
ხერხეულიძე-ქობულაშვილი ბ. — 76
ხუნდაძე ს. — 564
ჯაბადარი ი. — 210
ჯამბაკურ-ორბელიანი მ. — 291, 560
ჯაბადარი — 210
ჯავახიშვილი — 197, 267
ჯავახიშვილი გ. — 522
ჯავახიშვილი ე. — 183
ჯავახიშვილი ივ. — 3, 34, 43, 45, 50, 75, 124, 126, 130, 137, 141, 160 — 165, 191, 396 — 397, 465, 509, 522, 678, 955
ჯავახიშვილი ს. — 181
ჯამბაკურიან-ორბელიანი ალ. — 572
ჯანაშვილი ბ. — 46
ჯანაშვილი ი. — 224 — 225, 822
ჯანაგვილი ი. — 46
ჯანაშია ს. — 119
ჯანდიერი — 197
ჯანდიერი ლ. — 828
ჯაფარიძე — 778, 780
ჯეკობი — 78
ჯიქია ს. — 67

ჯორჯაძე დ. — 93, 285, 300, 317, 598, 688
ბასან სუმბატის ძე — 120 — 123
Haxthausen A. — 388, 479, 781
ჰენრიხ II — 155
ჰონენკი ტ. — 144 — 145
ჰუსეინ ყული-ხანი — 106
ჰუსეინ-ხან მაჰმედ-ასანხანი — 66

გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებელი

ავლაბარი — 277
ავსტრია — 912
აზერბაიჯანი — 130, 218, 229, 231, 382, 388, 390, 394, 420, 437, 502, 520, 556, 630, 632, 635, 644 — 645, 671, 699, 835, 841, 886 — 887, 916, 921, 930, 948
აზია — 36 და სხვ.
აზოვის ზღვა — 143
ათონი — 162
ალავერდი — 20, 799
ალაზანი (მდ.) — 741
ალექსანდრია — 119
ალექსანდროპოლი — 223, 788, 840
ალისი — 513
ალისუბანი — 465
ამერიკა — 789
ამიერკავკასია — 3, 6, 21, 26 — 27 და სხვ.
ამსტერდამი — 357
ამური — 789
ანგროინი — 124
ანისი — 144, 156
არანი — 153
არაქის ველი — 787
არაქსი — 803
არადეთი — 742
არგენტინა — 913
არეში — 405, 415, 699
არზრუმი — 156
ასტრახანი — 98, 341, 350, 355 — 356
ატენი — 504
აუგსბურგი — 143
აფხაზეთი — 47, 130, 190, 466, 627, 635, 814, 934, 946
აშშ — 912, 913
აჭარა — 46, 75, 923, 934
ახალბაიაზეთი — 405, 449, 700, 785, 788, 841
ახალქალაქი — 277, 323, 420, 423, 434, 643, 648, 713
ახალშენი — 522
ახალციხე — 8, 65, 69, 105, 347, 386, 400, 406, 420, 421, 423, 434, 514, 630, 634, 637, 643, 648, 665, 822, 828, 946
ახტალა — 15
ბაკურიანი — 714
ბაკურციხე — 786
ბაზელი — 142 — 143
ბათუმი — 217, 372, 375 — 776, 789, 791, 796, 799 — 801, 804, 807, 847, 868, 870, 894, 902, 907 — 910, 916 — 921, 923 — 925, 934
ბარი — 321
ბაკო — 62, 67, 95 — 96, 98 — 99, 105, 217, 233 — 235, 347, 370, 372, 375, 377, 384, 403,

414 — 415, 417, 421, 432, 437, 445, 469, 498 — 499, 515, 520, 527, 538, 630, 634, 640, 644, 657, 659, 698, 700, 710 — 711, 713, 726, 727, 730, 750, 786, 789, 791 — 792, 799, 800, 804, 807, 818, 822, 835, 840, 885, 895
ბაღდადი — 120, 123 — 124, 157
ბელგია — 358, 912 — 913, 921
ბელორუსია — 924
ბელაქანი — 259
ბიზანტია — 410, 429,
ბიკვინთა — 47, 130
ბოლბეზურაბაანი — 841
ბოლაზ-ქესანი — 817 — 818
ბორჩალო — 291, 385, 408, 420, 450, 630, 634, 643, 648, 665, 741, 815
ბორჯომი — 315 — 316, 713 — 714, 830
ბუეთი — 130
ბუხარა — 98
განჯა — 17, 26, 62, 68, 97, 105, 215, 233 — 235, 347, 384 — 385, 405, 414 — 415, 421, 432, 434, 437, 450 — 452, 469, 499, 502, 507 — 508, 527, 534, 698, 701, 710, 726 — 727, 730, 792, 800 — 801, 807, 818, 822
გეგჭალი — 841
გელათი — 411
გენიკი — 138
გენუა — 121, 129, 133, 139, 142, 157 — 158
გეოგჩაი — 405, 417, 432, 498
გერმანია — 34 — 35, 402, 413, 431, 434, 505, 912 — 913, 921
გიაურარხი — 291
ბლოლა — 778
გომბორი — 599, 932
გომი — 397
გორი — 7, 86, 93, 212 — 213, 235, 268, 294, 302, 323, 404, 417, 425 — 426, 477, 487, 497, 513, 561, 643, 648; 666, 684, 692, 698, 701, 703, 706, 709 — 712, 732, 752, 774, 786, 792, 809, 939, 941
გოქჩა — 633
გუმბრო — 405, 447, 700, 822
გუმისტა — 814
გურია — 47 — 48, 73, 75, 95, 109, 112, 201 — 202, 237, 259, 462, 464, 533, 551, 626 — 627, 637, 661, 675, 707, 777, 779, 792, 793, 866 — 869, 891 — 892, 920
გურჯაანი — 666 — 667
დანია — 912 — 913
დაღისტანი — 390, 547, 558
დერბენტი — 62
დვალეთი — 778
დონის-როსტოვი — 217
დუშეთი — 302, 310, 312, 406, 417, 425 — 426, 643, 648, 698, 703, 772, 792, 840
ეგვიპტე — 70, 119, 143
ევროპა — 36, 76, 127, 250, 354, 357, 539, 541, 552, 576, 578, 619
ევროპა დას. — 121, 129, 131, 138 — 140, 143 — 144, 321, 369, 410, 433, 479. 556, 576, 701, 733
ეკი — 458
ეკატერინბურგი — 21, 53, 350
ეკატერინენფელდი — 841
ელისავეტპოლი — 520, 538, 630 — 634, 640, 644, 657, 659, 885.
ერაყი — 35, 153

ერევანი — 8, 24, 34, 65, 70, 72, 86, 138, 145, 222 — 223, 233—234, 237, 347, 376, 384, 386, 393, 395, 404 — 405, 414, 420—421, 423, 437 — 438, 445, 449, 452, 469, 500, 502, 507 — 511, 515, 520, 527, 534, 538, 633 — 634, 640, 644 — 645, 657, 659, 664, 700, 710 — 711, 713, 720, 726 — 727, 730, 785, 787 — 788, 792, 800, 807, 818, 822, 826, 840, 847, 879, 880, 885, 886, 902
ეჩმიაძინი — 404, 700, 840
ვანის ტბა — 153
ვარდისუბანი — 715
ვარციხე — 932
ვაქირი — 457
ვენეცია — 35, 129, 131, 133, 139, 142, 157
ვერა — 277
ვოლგა (მდ.) — 157
ვორონცოვკა — 434
ზანგეზური — 405, 433, 633, 664, 785, 799, 840
ზაქათალა — 409 — 410, 741
ზედათმოგვი — 421 — 422
ზემო აღდაში — 786
ზემო ახტი — 785
ზემო ეგდისი — 522
ზემო იმერეთი — 436, 741, 777, 823
ზემო მაჩხაანი — 463
ზემო ქართლი — 741
ზემო ცხირეთი — 522
ზერთი — 704
ზონდი — 143
ზუგდიდი — 460, 464, 466, 468, 629, 643, 648, 662, 666, 668, 732, 735, 751, 752 — 753, 923
თავრიდა — 329
თავრიზი — 143, 156 — 157
თბილისი — 6 — 48, 51, 53 — 63 და სხვ.
თეჰერანი — 81
თელავი — 86, 97, 194, 234, 268, 291, 294, 302, 406 — 407, 409, 413 — 414, 417, 424, 426, 435 — 436, 443, 455, 486, 513, 558, 594, 596 — 597, 648, 674, 715, 731, 848, 873, 889
თერგი (მდ.) — 792, 796
თიანეთი — 294, 315, 327, 334 — 335, 406, 417, 436, 438, 643, 648, 710, 830, 889 — 890
თურქეთი — 4, 23, 35, 38, 42 — 43, 53, 81, 95 — 98, 99 — 100, 104 — 105, 283, 286, 340, 342, 346, 358, 368 — 369, 514, 536, 545, 663, 791, 801 — 804, 814, 816
თურქესტანი — 136, 789
თუშეთი — 403, 436, 443 — 444
თუშ-ფშავ-ხევსურეთი—417, 438—443
იბერია — 57
იერუსალიმი — 168
იორი — 315 — 316, 327, 474
იმერეთი — 47 — 48, 70, 73—74, 78, 105, 192, 237, 257 — 258, 465, 590, 626 — 627, 637, 782, 791, 793, 820, 867, 920, 938 — 939
იმიერკავკასია — 217, 791, 795 — 796, 804
ინგლისი — 34, 133, 155, 433, 898, 912, 921
ინდოეთი — 35, 98, 127, 143, 157, 295, 912
ირანი — 4, 10, 23, 32, 35 — 37, 42 — 44, 81, 87, 95—99, 104—105, 153, 156, 340, 342 — 343,

346 — 347, 358, 382, 384 — 385, 389, 510, 545, 634, 782, 789, 802, 804 — 885
ირბიტი — 350
ირლანდია — 676
იტალია — 100, 129, 131, 133, 144, 157, 912, 921
კავკავი — 217
კავკასია — 8, 12, 24 და სხვ.
კათის ხევი — 427
კაკაბეთი — 457
კალუგა — 924 — 925
კანადა — 912 — 913
კარდანახი — 316, 786, 830, 932
კასპიის ზღვა — 96, 157, 804
კახეთი — 14, 193, 197 — 198, 211, 293, 297, 399, 404, 406, 407, 435 — 436, 493, 500, 558 — 559, 599, 731, 735, 741, 747, 778 — 779, 786—789, 820, 827, 938 — 939
კიევი — 350
კოლხიდა — 57
კონდოლი — 207, 715
კონსტანტინოპოლი — 867 — 868
კრწანისი — 501
ლაიპციგი — 354
ლალისყური — 291
ლაშხეთი — 773
ლევანტიის ქვეყნები — 143
ლენინგრადი — 16, 630
ლენქორანი — 65, 67, 803
ლეჩხუმი — 47, 460, 466, 629, 643, 648, 662, 753, 772 — 773, 777 — 778, 790, 841
ლიუბეკი — 142
ლონდონი — 357, 578
ლოს-ანჟელოსი — 789
ლოკინო — 471
მანაკი — 932
მარანი — 321
მაღარო — 443, 938
მაჰმუთლო — 817
მესხეთი — 637
მირზაანი — 453
მოსკოვი — 43, 98, 200, 217, 261, 269, 272, 308, 310, 326, 343, 344, 350, 359, 368, 378, 534, 745, 869
მოხისი — 406
მტკვარი — 156, 871
მუღანლო — 803
მცირე აზია — 69, 143, 153, 157
მცხეთა — 410, 412
ნავთლული — 277, 932
ნატანები — 668
ნაფარეული — 207, 316, 830, 848
ნახჭევანი — 8, 68, 70, 72, 405, 451, 502, 700, 711, 840
ნესაკოვო — 668
ნიგოითი — 723
ნიკორწმინდა — 191
ნოვგოროდი — 43, 308, 350, 924
ნოვოალექსანდროვკა — 841
ნოვოროსიისკი — 217, 661, 867
ნუკრიანი — 938
ნუხა — 62, 66, 67, 405, 698
ოდესა — 217, 591, 604, 788, 867 — 868
ოდიალაური — 789
ოდიში — 47
ოზურგეთი — 460, 462, 464, 466, 468, 643, 648, 662, 668, 679, 698, 723, 731, 790, 792, 796, [illegible]4, 846, 892, 923
ოსი — 321 — 322
ოსეთი — 259, 741, 792
ოსმალეთი — 619, 740
ოძისი — 312 — 316, 335, 522, 830
პარიზი — 59, 121, 123, 220, 357
პატარა კაბარლუ — 816

პატარა მეჯვრისხევი — 704
პატარძეული — 454, 457, 487
პეკინი — 127
პენზა — 925
პეტერბურგი — 7, 10, 15, 16, 21 — 23, 25, 28, 31, 33, 40, 55 — 56, 70, 75, 76, 79 — 80, 82 — 83, 86 — 87, 89, 100, 249, 251, 265, 269, 272 — 273, 296, 298, 308, 350, 359, 378, 526, 551, 554, 584, 621, 752, 753, 770
პეტროპავლოვსკი — 621
პოლონეთი — 14, 157, 358, 621, 912
პოლტავა — 350
პონტო — 47
პრაღა — 742
პრუსია — 14, 576
პსკოვი — 43

ჟენევა — 620, 622

რაჭა — 226, 321, 462, 464, 466, 468, 506, 637, 648, 662, 666, 674, 741, 777 — 778, 790, 796, 830, 840, 945
რეველი — 142
რიონი — 130, 156
რუსეთი — 3 — 4, 5, 7 და სხვ.
რცხილათი — 786
ხაბუე-ენისელი — 316, 830
საგარეჯო — 316, 327
საგელათო — 130
სამეგრელო — 46, 48, 73, 75, 237, 458, 462, 464, 553, 555, 627, 628, 629, 777, 779, 791, 867, 920
სამერზაყანო — 468
საბუხი — 357
სამცხე — 779
სამცხე-საათაბეგო — 69
საინგილო — 399, 473
საფრანგეთი — 30, 35, 121, 131 — 133, 138, 155, 912 — 913, 921
საქართველო — 4 — 53 და სხვ.
საღოლაშენი — 742
საჩერგეზო — 713
საჩიქობაო — 458 — 459
საწირე — 130
სევანის ტბა — 788
სევასტოპოლი — 788
სენაკი — 460, 462, 464, 466, 468, 629, 643, 648, 662, 666, 753, 772, 814, 923, 938, 944
სვანეთი — 47, 440, 629, 635, 627, 643, 701, 705, 772, 777 — 779, 791, 889
სიონი — 168
სიმბირსკი — 924, 925
სირიაჩქონი — 668
სიღნაღი — 17, 198, 213, 216, 224, 225, 232 — 233, 268, 291, 294, 302, 347, 406, 417, 429, 453, 457, 458, 559, 564, 597, 643, 648, 698, 711, 741, 774, 786, 822, 823, 841, 843, 889, 938
სოლოლაკი — 277
სომხეთი — 34, 65, 138 — 139, 153, 157 — 158, 207, 218, 376, 382, 387, 394, 403 — 404, 420, 435, 437, 452, 520, 556, 623, 630, 632 — 635, 644 — 645, 664, 671, 835, 886 — 887, 894, 916, 921, 948
სორმონი — 130
სოხუმი — 466, 595, 643, 661, 668, 718, 719, 720, 726, 727, 730, 791, 796, 801, 804, 807, 814 — 815, 867 — 868, 903 — 910,

916 — 917, 919 — 921, 923 — 925, 934
სურამი — 235
სურმალო — 404, 423, 449, 451, 700, 788, 840
სუფსა — 668
სპარსეთი — 619, 740
სტამბოლი — 70
სხვავი — 321
ტალიში სოფ. — 65, 67, 105
ტანა (მდ.) — 504
ტაშკენტი — 128 — 129, 136
ტბა — 714
ტვერი — 43, 542
ტიხორეცკი — 804
ტრაპიზონი — 143, 156
ტულა — 15, 924 — 925
ტყიბული — 789, 799
უზბეკისტანი — 128 — 129
უკრაინა — 804, 895, 914
უნგრეთი — 912, 921
ურალი — 924
ურბნისი — 215
ურმია — 789
ფაზისი — 156
ფარცხანაყანევი — 411
ფინეთი — 14, 912, 921
ფიტარეთი — 750
ფლორენცია — 133, 143
ფოთი — 96, 156, 377, 791, 804, 867, 868
ფრანკფურტი — 142
ფშავი — 403, 436, 441, 443
ქართლი — 7, 14, 211, 403, 701, 735, 741, 770, 789, 820
ქაშუეთი — 168, 751
ქერგანი — 153
ქვალონი — 668
ქვედაბექი — 788
ქვემო ეგდისი — 622
ქვემო ცხირეთი — 522
ქიზიყი — 399, 436 — 437, 453, 458, 473, 489, 490 — 491, 500, 891, 938
ქუთაისი — 86, 237, 293, 296, 302, 313, 319—321, 347, 460 — 462, 466, 468 — 470, 520, 527, 529, 531 — 532, 533 — 534, 537 — 538, 578, 598, 625 — 629, 637, 640 — 643, 646 — 668, 674, 687, 692, 697, 699, 700, 704, 705, 708, 716, 718 —720, 726— 730, 734, 736 — 737, 743 — 746, 762, 772, 774, 777, 789 — 792, 795, 797, 799, 807 — 809, 822, 840, 843, 851 — 855, 875 — 876, 884 — 886, 892, 903 — 910, 913 — 925, 930, 934
ქურთა — 809
ყაზანი — 840, 841
ყაზბეგი — 943
ყაზახი — 215, 385, 405, 786, 801
ყანდაურა — 457
ყარაბაღი — 26, 62, 65, 67, 383, 391, 664
ყარსი — 143, 156, 158, 902
ყვარელი — 315 — 316, 599, 830
ყიზლარი — 341
ყირიმი — 101, 157, 357, 547, 621
ყორღანი — 399, 475
ყუბთა — 62, 67, 105, 384, 405, 499, 711, 840
შავი ზღვა — 96, 104, 143, 156 — 157, 346, 552, 791, 867
შარური — 803
შარურ-დალაგიოზი — 405, 451
შაქი — 8, 26, 62, 65 — 66; 384, 390
შემახია — 17, 62, 86, 347, 405, 417, 432, 713, 840
წითელ მღვიმე — 124, 234, 673

შირვანი — 8, 26, 62, 65, 68, 105, 153, 384, 390
შირაქი — 741
შორაპანი — 460, 462, 465 — 466, 648, 662, 666, 731, 787, 841, 945
შუშა — 67, 405, 433 — 434, 502, 664, 698
ჩინეთი — 124, 127, 143, 157
ცაგერი — 773
ცემი — 714
ციმბირი — 912
ციხისჯვარი — 714
ცხილეთი — 191
ცხინვალი — 235
წალვერი — 714
წებელდა — 190
წვერი — 742
ჭარ-ბელქანი — 86
ჭიათურა — 377, 789, 791, 794, 799, 932
ჭიორა — 778
ჭოროხი — 46
ჭოტორი — 938
ჭუკიში — 841
ხანდაკი — 522
ხარკოვი — 350
ხევსურეთი — 226, 403, 436, 439, 441, 443
ხვანჭკარა — 321
ხლათი — 156
ხმელთაშუაზღვა — 133
ხოვლე — 120 — 125
ხოჯენდი — 127
ჯებრაილი — 433 — 434, 405, 450 — 451, 664
ჯევათი — 405, 459, 700
ჯევანშირი — 502, 664, 698
ჯულაანი — 453
ბოკი — 138
ჰოლანდია — 921

საგნობრივი საძიებელი

აბრეშუმი — 95 — 97, 125, 127, 157, 352, 475
აგრარული მოძრაობა — 388, 483, 518, 689, 870, 882
— პოლიტიკა — 395, 484, 486, 519, 641, 644, 648, 653, 669, 670, 755, 893, 936, 942, 947
— რეფორმა — 484, 485, 518, 934, 939, 942
— საკითხი — 585 — 586, 670, 740, 892, 893, 930, 933
— ურთიერთობანი — 337, 381, 398, 402, 412, 421, 432, 483, 526, 533, 536, 633, 720, 745, 895, 896, 902, 944, 948
აგრონომი — 408, 494 — 495, 716, 770, 799
ადათი — 195, 442, 446, 498, 562, 572, 633, 680
ადგილმამული — 183, 200, 252, 270, 286, 288 — 289, 292, 390, 532, 546, 563, 569, 779 — 780, 782, 889, 902
აზნაური (აზნაურობა) — 175, 197 — 198, 291, 389, 412, 430, 440, 533, 541, 578, 598, 607, 645, 661, 711, 743, 793, 795, 863, 940
აზნაურთა შავი რაზმი — 940
აზნაურობის გაღარიბება — 750
აზრი, საზოგადოებრივი — 330 — 331, 745
ამიერკავკასიის პრიკაზი — 264, 266 — 268, 270 — 275, 280, 286, 288, 305, 530
ამპა-ჩარექობის სისტემა — 420 — 424, 431 — 432, 438
ამქარი — 236, 341, 347, 802
ანაბარი — 244, 266 — 270, 274 — 275, 279 — 284, 288, 304, 350, 367, 369, 376, 844
ანტაგონიზმი — 627, 826, 870, 875
არისტოკრატია — 114, 145, 148, 182, 186 — 187, 290, 547 — 548, 632, 642, 761, 943
ასიგნაცია — 67, 95 — 103, 108
ასოციაცია ვაჭართა — 122 — 123
ასოციაცია საკრედიტო — 119 — 125, 151
აუცილებელი პროდუქტი — 724
აქლემი — 917
აქცია — 363 — 364, 372, 376, 378 — 379
აქციონერული საზოგადოება — 361 — 380
აღალარი (აღა) — 382 — 385, 388 — 390, 392 — 394, 409, 521, 630 — 633, 635, 645
აღებ-მიცემობა — 180, 201, 218, 220, 336, 833
აღწარმოება — 897
აღწერები — 93, 154, 411, 414, 428, 481, 562, 598, 902 — 903,

910 — 911, 915, 923 — 924, 930
ახო — 499
ახჩა — 386, 420, 435, 514
აჯანყება — 109, 259, 525, 546, 555, 605, 621
ბაზარი — 6, 9 — 10, 101 — 103, 111, 119, 128, 193 — 194, 202 — 203, 216 — 222, 230, 242 — 246, 359, 365, 369, 375, 507, 572, 714, 813 — 814, 819, 838, 855, 857, 871 — 875
ბამბა — 95, 97, 376, 524, 788, 798, 801, 808, 819
ბანკი — 99, 131 — 133, 205 — 206, 264 — 268, 273, 275, 279 — 280, 285, 288, 305, 331 — 332, 340 — 380, 705, 735, 743 — 747, 832, 837, 858, 935
— კომერციული — 102, 260, 265, 272, 284, 340, 346 — 362, 366 — 380
— სათავადაზნაურო — 276 — 277, 286, 317, 358, 737, 743 — 745, 858
— სასოფლო — 308, 310, 312 — 314, 326, 329, 332 — 337, 833
— სახელმწიფო — 275 — 276, 280 — 281, 286, 297, 350, 372, 705
ბანკირი — 7, 10, 15, 23, 129, 220, 338, 347, 352, 357
ბანკობიადა — 745
ბაჟი — 125, 194, 386, 572, 712 — 714, 721, 780, 872, 890
ბატი — 850
ბატონყმობა — 193, 204 — 206, 267, 288 — 289, 439, 539 — 546, 571 — 573, 585, 620, 633 — 638, 731, 847, 882 — 886
ბატონყმობის გაუქმება — 319, 349, 480, 540, 638, 662, 669, 688 — 689, 753, 755 — 757, 805, 846 — 847, 882 — 886
ბატონყმური ურთიერთობანი — 425, 440, 562, 566, 585, 587, 589, 617, 625, 631, 634, 655, 671, 696, 704, 717, 782, 809, 856, 858
ბაღ-ბოსტანი — 387, 399, 447
ბაღი — 231, 245, 254 — 255, 262, 384, 387, 393, 398, 416, 435 — 436, 469, 502 — 505, 524, 572, 581, 606, 661
ბაღ-ვენახი — 401, 467, 505, 513, 609, 643, 646 — 647, 686, 806, 906
ბეგარა — 11, 13, 49, 85, 130, 201 — 202, 204, 212, 215, 221 — 222, 227 — 230, 311, 337, 385, 387 — 393, 419, 427 — 430, 438, 480 — 481, 490, 513, 522, 549, 561 — 567, 570, 580 — 581, 603, 627, 630 — 633, 779, 837, 861, 893
— გასამყრელო — 688
კულუხი — 290, 567, 571, 600, 610, 614, 616, 697
ბეგარა ნატურალური — 47, 116, 201, 310, 420, 427, 547, 548, 574, 887 — 888, 929
— საბატონო — 427, 429 — 430, 542, 548, 570 — 571, 573, 631, 697, 886
— საერობო — 581, 764
— სახაზინო — 201, 238, 387, 427, 429 — 430, 438, 581
— ფულადი — 47, 201
ბეგარა-გამოსაღები — 9, 11, 20, 26, 72, 94, 109, 112, 128, 130,

194, 230, 326, 383, 755, 757, 759, 855, 860 — 861, 864
ბეგები — 231, 382 — 383, 386 — 394, 409, 503, 510, 521, 631, 635, 643, 645, 819
ბიუროკრატია — 243, 645, 650
ბიუჯეტი — 769, 842, 873 — 874, 936
ბოგანო — 810, 849 — 850
ბოსტანი — 384, 393, 399, 569, 803, 887
ბოსტნეული — 491, 629, 680
ბრინჯი — 387, 524, 699, 801, 915
ბურჟუაზია — 543, 558, 623, 642, 655, 659 — 660, 748, 827, 856, 900
ბურჟუაზიული თაოსნობა — 265, 273, 347, 359, 365, 496, 541, 549
— ეკონომიკური მეცნიერება — 520
— რეოლუცია — 586, 591
— ურთიერთობანი — 5, 364 — 379, 471 — 519, 539 — 548, 579 — 582, 588, 635, 646 — 663, 672 — 750, 775, 857, 867 — 894, 902 — 949
გადამეტმოსახლეობა — 809
გადასახადი — 85, 146, 201, 203, 207 — 209, 304, 396, 401, 419, 455, 485, 511, 513, 524, 535, 551, 664, 705, 737, 758 — 760, 762, 765, 768, 772, 776, 822, 829, 849, 874, 892
გადასახდელი — 116, 125, 128, 208, 210, 229, 386, 409, 431, 630 — 631, 673, 707, 711, 758, 764, 766, 824 — 826, 873
— საჯარო — 673, 693, 698, 700, 707, 711, 724
— მოსაკრებელი — 125, 208, 758, 763 — 765, 766, 768, 873
გადასახლება — 481, 563, 632, 790, 809
გამომღებელი წოდება — 201, 430 — 431, 550, 755 — 756
გამოსყიდვის ოპერაციები — 204, 207 — 208, 319, 488, 600, 604, 752, 846 — 848, 882, 884, 886 — 888, 928 — 929, 935, 938
გამოსაღები — 63, 99, 128, 280, 337, 387, 410, 425, 428 — 430, 532, 581, 633, 756 — 758, 809, 861, 893
განმანათლებლები — 544, 553, 584 — 585, 587, 611, 622
გაპროლეტარება — 570, 660, 793 — 794, 798, 806
გარეშე-ეკონომიკური იძულება — 203, 384, 547
გაფიცვები — 868, 894
გაცვლა-გამოცვლა — 201, 203, 229, 250, 351
გზები — 95 — 96, 401, 439, 772, 872, 874
გილდია — 122 — 123, 144, 341 — 342, 513
გირავნობის ოპერაციები — 165 — 166, 173 — 175, 177, 179 — 180, 241, 247, 251, 252, 262, 273, 276 — 277, 279, 291, 295, 297, 300, 301, 305, 363, 515, 705, 733, 736, 739, 747
გიშერი — 789
გლეხი (გლეხობა) — 52, 101, 103, 114 — 115, 183 — 184, 186 — 187, 193, 195 — 196 და სხვ.
— ბობოლა (კულაკი) — 206, 210 — 211, 213, 221, 227, 233, 236 — 238, 241, 243, 322, 330, 332 —

333, 406 — 407, 478, 483 — 846, 497, 505, 518, 655, 658 — 659, 672, 696, 706, 785, 805 — 806, 815, 823 — 830, 832, 834— 835, 854, 933 — 934
— „დროებითვალდებული"— 270, 279, 290, 397, 408, 462, 495, 600, 603, 606, 616, 640 — 641, 658, 662, 690, 694, 709, 729, 741, 748, 753, 758, 765 — 766, 783, 846, 848, 850, 882, 884, 886, 889, 928 — 929
— საბატონო — 289, 397, 445, 462, 535
— საეკლესიო — 193 — 196
— საშუალო შეძლების — 830, 839, 857
— სახაზინო — 641, 658, 662, 666, 694
— სახელმწიფო—233, 391, 396 — 398, 424, 443, 445, 448, 452, 461, 469, 474, 487, 492, 497 — 499, 510, 513, 535,. 657 — 658, 666, 673, 685, 703, 709, 755 — 756, 758 — 760, 766, 837, 839, 841, 845 — 846, 850
— უმიწაწყლო — 523, 696, 699, 717 — 718, 722, 783 — 784, 795 —796, 803, 805, 867, 922— 923, 938
— ღარიბი და უღარიბესი — 206, 241, 339, 484, 486, 659, 833, 837, 854, 899, 937 — 938
გლეხთა აჯანყება — 539, 549, 551, 553 — 555
გლეხთა განთავისუფლება — 196, 203, 545, 553, 561, 575, 592, 599, 605, 618, 620
გლეხთა მიწიანათ განთავისუფლება — 541, 568, 576, 578 — 580, 595, 597, 599, 602, — 603, 606, 624
გლეხთა მოძრაობა — 484, 486, 534, 539 — 540, 555, 602, 760, 893 — 894
გლეხთა უმიწოთ განთავისუფლება — 542, 545, 599, 610
გლეხთა მდგომარეობა — 207, 785, 786, 827, 848, 887, 890
გლეხის ბიუჯეტი — 836 — 837, 839 — 843
გლეხობის გაღატაკება (გაპროლეტარება) — 203, 730, 785, 787, 792, 806, 817 — 818, 837, 843, 848, 854, 887 — 888, 945
გლეხობის დიფერენციაცია (დაშლა) — 229, 412, 425, 427, 455, 478, 483, 485, 487, 672, 805, 826, 836, 855, 857 — 858
გლეხური სოციალიზმი — 623
გუთანი — 212, 401, 407, 432 — 434, 446, 448, 452 — 454, 456 — 457, 569, 712, 809
გუთნეული — 426, 427, 433, 899
გუთნის დედა — 200, 212, 457
დაბეგვრა — 203, 208 — 209, 419, 644, 716, 757, 761 — 762, 780, 859
დაგირავება (გირავნობა)— 122 — 123, 165, 267, 276, 278, 290, 293 — 296, 301, 786, 820
დაკაბალება უშუალომწარმოებელთა — 206, 213, 338, 388, 572, 617, 626, 707, 779
დაქირავებული შრომა — 17, 241, 319, 478, 484, 513, 542, 548 — 549, 573, 588, 623, 696, 703, 717 — 718, 724, 755, 780, 782, 785, 793, 797, 801, 806, 811 — 813, 815, 820 — 821, 842

დეკრეტი მიწის შესახებ — 773, 926

დუქანი — 99, 176, 219, 220 — 228, 254, 334, 426, 572, 820 — 823, 832, 844, 864

ეკონომიკური პოლიტიკა — 11 — 27, 51 — 55 და სხვ.

ეკლესია — 5, 47, 93, 120 — 122, 126, 134, 141, 161, 193 — 195, 412, 522, 547, 549, 578, 651, 742, 751, 805, 809, 892

ერობა — 208, 308 — 309, 337, 339, 639, 641, 755, 758, 763 — 767, 769, 771 — 773, 777, 828, 857, 872 — 874, 893

ექსპლოატაცია — 137, 190, 196, 203, 213, 241, 243, 478, 483, 497, 542, 557, 573, 588, 622, 655, 670, 696, 703, 713, 747, 787, 805 — 806, 812, 820, 836, 847, 856

ექსპორტი — 96, 375, 712, 913, 915, 947

ექსპროპრიაცია — 237, 696, 850

ვაზი — 210, 508, 667, 677, 679, 699, 824

ვასალიტეტი (ვასალობა) — 467, 550

ვაჭართა კლასი — 128, 143, 266, 287, 351, 354

ვაჭართა კორპორაცია — 119, 143, 158, 341

ვაჭარი — 3, 5, 7, 9 — 10, 36, 39, 47, 52, 67, 95 — 100, 103, 119, 122 — 123, 125, 129, 142, 146, 157, 178, 206, 212 — 214, 218 — 219, 222 — 223, 227 — 229, 236, 245, 251, 254, 263, 268 — 269, 286, 328, 340 — 345, 347 — 348, 351 — 354, 357, 361, 377, 513, 547, 549, 650, 655 — 656, 696, 807, 820, 823, 832, 858, 871

ვაჭარი-მევახშე — 151, 216, 227, 229, 549

ვაჭარი-შემსყიდველი — 805, 813

ვაჭრობა — 6, 9, 19, 23, 25, 35, 69, 94, 99, 102, 107 — 108, 111, 118, 125, 128, 131, 138, 139 — 140, 145, 156, 159, 161, 173, 179, 186, 192, 211, 213, 220, 224, 241, 250, 260, 287, 289, 297, 340, 342, 346 — 347, 350 — 356, 375, 388, 427, 516, 549, 813, 819, 825, 838, 856, 873

— საგარეო (საერთაშორისო) — 6, 35, 67, 98, 118, 126, 131, 139, 147, 150, 156 — 157, 216, 319, 547

— სატრანზიტო — 6, 126, 147, 150, 158, 187

ვენახი — 184, 216, 232, 234, 240, 261 — 262, 289, 295, 333, 389, 398 — 399, 411, 426, 427, 433, 436, 463, 495, 501 — 503, 506 — 507, 513 — 514, 522, 524, 567, 569, 572, 577, 580 — 581, 599, 606 — 607, 609, 628 — 629, 667, 677 — 681, 688, 691, 693, 699, 712, 715 — 716, 786, 787, 791, 808, 826, 844, 848 — 849, 864

— მაღლარი — 628, 679, 810

ვერცხლი — 3, 8, 11 — 12, 14, 17 — 18, 21 — 23, 26, 30, 32, 38 — 39, 49, 68, 70, 84, 91, 101 — 102, 104 — 105, 108, 137, 150, 164, 255, 261, 291, 781, 822

ვირი — 165, 917

ზარაფი — 38, 81, 103, 129 — 131, 143, 151, 347 — 348, 352

ზარაფხანა — 14, 15 — 23, 25 — 33, 38 — 39, 42, 50 — 54, 58, 62, 70, 78 — 82, 86 — 89, 94, 111, 347
ზედმეტი პროდუქტი (შრომა) — 115, 185, 717, 805
თაბუნი — 414, 451 — 452
თავადაზნაურობა — 5, 60 — 68, 175, 196 — 200, 245, 250, 254, 264 — 265, 267, 270 — 271, 273, 277, 285 — 287, 289 —292, 295 — 298, 300 — 301, 303 — 309, 322 — 323, 425, 464, 503, 526, 540, 542 — 543, 547, 549, 551, 555, 557, 560 — 565, 567, 573, 575, 578, 580 — 584, 588, 590, 592, 594, 597 — 598, 601, 603, 616, 620, 625, 627, 629, 638, 656, 663, 705, 728, 732 — 735, 746, 749, 750 — 751, 755, 756, 763 — 764, 768, 853, 855, 865, 876, 877, 893, 930 — 931, 935, 943
თამასუქი — 103, 133, 172 — 174, 180, 181, 214, 216, 223 — 225, 340, 341, 350, 352 — 354, 370, 376, 552, 558, 822, 824, 825
თამბაქო (მეთამბაქოობა) — 791, 803, 808, 815, 821
თაოსნობა კომერციული — 102, 111, 113, 144, 149, 186 — 187, 250, 265, 286, 350 — 351, 359, 365, 496, 541, 549
— მეურნეობრივი — 113, 143, 286, 351, 525
თარეშები — 382, 684, 778, 838
თემი (სოფელი) — 382, 385, 389, 402, 405, 422, 424, 431 — 432, 436, 439, 452, 462, 469, 479, 481, 483, 485, 492, 503, 517, 546, 594 — 595, 600, 780, 858, 863, 866, 880
თემობრივობა — 412, 421, 440, 442, 495 — 497, 662
თეოკრატული სისტემა (წყობილება) — 438, 440 — 441
„თერგდალეულები" — 578, 584, 589
თვითმპყრობელობა — 113, 118, 188, 190, 236, 304, 337, 339 — 340, 558, 620, 756 — 757, 878, 881, 890 — 893, 895
თოხი — 304, 448, 550, 790
თუთის ხე — 506, 524, 679
თხა — 785, 917, 920 — 922
იალაღი — 384 — 385, 439, 444 — 447, 449 — 451, 672, 710 — 711, 717, 801, 864, 878 — 879, 881
იმპორტი — 94, 96, 98, 369
ინტელიგენცია — 205, 583 — 584, 601, 732, 738, 743, 748, 770, 834, 877, 927
ირიგაცია — 205, 415, 572
იჯარა მიწის — 12, 127, 191, 237, 342, 386, 460, 575, 658, 668, 670 — 728, 754, 787, 819, 855, 881 — 882, 889, 931, 940
— გლეხური (სასურსათო) — 670 — 671
— გრძელვადიანი — 677 — 694
— მეწარმეობრივი (კაპიტალისტური) — 670 — 671
— ნატურალური — 696, 700, 704 — 705
— სანაშენო — 677, 679 — 680
იჯარის ქირა — 680, 695 — 696, 698, 700, 704 — 705, 714, 720 — 728, 855, 881 — 882, 889, 899, 940

.კაბალური ურთიერთობანი — 191, 210, 219, 542, 575, 615, 623, 659, 702, 709, 717, 900
კავი — 712, 899
კამერალური აღწერა — 407, 422, 470, 757
კამერალური კომლი — 417, 421, 432, 757
კამეჩი — 529, 816, 817, 917, 919
კაპიტალი — 97, 99, 115 — 116, 133, 135, 165, 174, 194, 229, 283, 309, 312, 353, 357, 359, 376, 516, 541, 572, 606, 609, 619, 688
კაპიტალის კონცენტრაცია — 897
კაპიტალი სავაჭრო — 111, 114, 210, 216, 222, 228, 242, 250, 342, 346, 351, 365, 805, 819, 858, 891
კაპიტალი სავახშო — 114, 115, 164, 178, 181, 183 — 187, 190, 192, 193, 195, 196, 199, 200, 201, 222, 228, 231, 233, 238, 242, 805, 858, 891
— ფულადი — 114 — 115, 186, 187, 219, 235, 351
კაპიტალიზაცია — 542, 626, 695
კაპიტალიზმი — 5, 219, 328, 336, 465, 477, 482, 486, 539, 544, 775, 805, 811, 812, 836, 838, 877, 881, 894, 895, 897, 898, 900 — 901
კაპიტალისტი — 145, 230, 231, 346, 357, 358, 737, 747, 807
კაპიტალისტური ურთიერთობანი — 238, 487, 576, 731, 779, 784, 809, 875, 902
— წარმოება — 117, 552, 728, 783, 855, 867, 870, 898
კაპიტალისტური წარმოების წესი — 115, 136, 482, 518, 753, 856, 891, 896
კერძო საკუთრება — 279, 501, 511, 748
კლასი (კლასები) — 243, 483 — 484, 517, 521, 588, 648, 682, 696, 811, 827 — 828, 856, 877
კოდი — 167, 169, 214, 215, 304, 418, 882
კოლონია — 6, 10, 14, 65, 111, 113, 202, 434, 523, 845, 862, 916
კოლონიზაცია — 468, 523, 536, 549, 718, 730, 738, 745 — 776, 782, 903
კოლონიური ექსპლოატაცია — 5, 15, 546 — 549, 557, 584, 591
— პოლიტიკა — 28, 353, 395, 554, 653
კომერციული საქმიანობა — 4, 35, 100, 119, 136, 140 — 142, 151, 231, 287, 344 — 342, 344, 351, 549
კომიტეტი საგლეხო — 337, 560, 579, 580, 582, 608 — 610, 629, 635, 695
კომუტაცია — 116, 201 — 204, 547, 855
კონკურენცია — 674, 675, 819, 897
კონფისკაცია მიწის — 893
კონცენტრაცია — 799, 896
კრედიტი — 102, 105 — 106, 115 — 119, 125, 139, 160, 162, 184, 205, 212, 222, 228 — 229, 231, 235, 236, 238, 245, 257, 260, 273, 286, 288, 298, 305, 306 — 309, 320, 323, 324, 327, 328, 329, 337, 343, 347, 350, 351, 352, 353, 360, 369, 375, 819, 821, 822, 825, 826, 831, 833, 834, 835, 858

— კომერციული — 133, 273, 340, 343, 344, 346, 347, 352
— საადგილმამულო — 131, 132, 205, 298, 525, 575
— სასოფლო — 236, 327, 331, 336, 337, 833, 936
— ჰიპოთეკური — 135, 272, 273, 733, 737, 743, 745, 748, 754, 858
კრიზისი ეკონომიკური — 283, 284, 365, 369 — 370, 377, 547
კულაკი-მევახშე — 206, 484 — 486, 659, 815, 829
ლატიფუნდია — 649 — 650, 673, 948
ლიბერალიზმი — 543 — 544, 577, 748
ლიტრა-ჩარექობა — 417, 420, 424, 430 — 431
ლობიო — 225, 908 — 909
მამასახლისი — 73, 388, 398, 438, 454, 834, 860 — 862, 866
მამული — 122 — 123, 138, 160, 175, 183, 199 — 200, 218, 239, 256, 262, 267, 289 — 290, 293, 295, 297, 300, 303, 393 — 397, 400, 413, 435 — 456, 458, 460, 465, 476, 488 — 489, 503, 512 — 513, 522 — 525, 527 — 529, 533 — 534, 561, 563, 569, 580, 643, 645 — 648, 688, 721, 738, 749, 780, 817 — 818, 849, 851, 855, 862, 864, 869, 877, 898, 944
მამულის გაყიდვა — 122, 296, 447, 614
მანუფაქტურა — 20, 346, 352, 901
მარანი — 184, 261
მარგალიტი — 123, 125, 263, 525
მარგანეცი — 377, 791, 794 — 795
მარილი — 778 — 779
მარცელეული — 448, 452, 458, 500, 507, 679 — 680, 692, 697, 803, 819, 897, 906 — 907, 910, 913 — 915
მატყლი — 7, 119
მეაბრეშუმეობა — 211, 506 — 507, 509, 660, 813, 826, 916 — 917
მეფუტკრეობა — 916
მებამბეობა — 211, 509, 675, 706, 799, 812, 818, 819, 826
მებატონე — 547, 551, 559, 568, 636 — 638, 674, 712, 812, 837, 943
მებაღეობა — 211, 452, 470, 506, 507, 509, 574, 782, 802, 821
მებოსტნეობა — 789, 802 — 803
მედუქნე — 210, 217, 220, 222, 226, 227, 228, 805, 814, 819 — 822, 824, 826, 830, 839, 858
მევახშეობა — 9, 114 — 240, 269, 337, 351, 504, 511, 513, 514, 820, 824, 825, 827, 828, 835, 856, 898
მევახშური კრედიტი — 116, 172, 183, 184, 187
— სარგებელი — 205, 260, 330, 351
მევენახეობა-მეღვინეობა — 211, 215, 231, 234, 506, 507, 509, 679, 681, 682, 706, 788, 812 — 813, 815, 821, 826, 830, 942
მეთამბაქოობა — 660, 706, 7[illegible] 803, 809, 812, 814 — 815, 826, 946
მეიჯარე — 81, 338, 383, 392, 683, 715
მელიქები — 382, 383, 388, 389, 390, 393, 503, 510, 521, 632, 635, 645

მემამულე — 279, 285, 287 და სხვ.
მემამულე-არისტოკრატი — 233, 642, 653, 656, 717, 916, 948
მემამულე მსხვილი — 642—643, 650, 728, 897
მემარნეობა — 699
მემინდვრეობა — 211, 452, 574, 580 — 581, 604, 607, 819
მერუე — 862
მერძეობა — 490, 817
მესარეწეობა — 69, 201, 223, 235, 243, 265, 286, 308
მეტროპოლია — 26, 202, 242, 263 — 264, 547 — 548
მეურნეობა, გლეხური — 215 — 216, 470, 660, 666, 669 — 671, 676, 758, 825, 855, 864, 884, 895, 897 — 898, 900, 906, 909, 911, 913, 916, 932
— კაპიტალისტური — 328, 339, 341, 880, 900
— კარჩაკეტილი (ნატურალური)— 203, 288, 813
— მემამულური — 288, 655, 712, 813, 898, 899, 906, 908, 909
— წვრილგლეხური — 655, 669, 716, 744, 809, 896, 923
მეურნეობრივი ანგარიშიანობა 8, 297
მეფრინველეობა — 915 — 916
მეღვინეობა — 217, 660
მეღორეობა — 917, 922
მეშჩანი — 254, 632, 655 — 656, 696
მეცხვარეობა — 672 — 673, 813, 917, 922
მეცხენეობა — 922
მეცხოველეობა — 444 — 446, 636, 672 — 673, 812 — 813, 817, 878, 880, 915, 917, 921 — 922, 925
მეწარმეობა კაპიტალისტური — 111, 113, 187, 307, 326, 378, 435, 453, 497, 520, 584, 591, 712, 781, 819, 826, 833, 855
მეჯოგე — 445, 805, 814, 816, 819
მთიელი — 297, 782, 791
მინერალური სიმდიდრე — 11 — 12, 526, 531
მიულკადარი — 383, 387 — 388, 392
მიურიდიზმი — 390
მიწა — 184, 191, 233, 289, 383, 388, 391, 394, 411, 414, 438, 443, 472, 487, 491, 505, 580, 581, 615, 645, 648, 657, 674, 689, 716, 739, 744, 806
— ვარგისი — 398, 401, 402, 413, 423, 467, 497, 646 — 648, 756
— თავისუფალი — 392, 409, 685, 776, 796, 797
— თემის, სათემო — 384, 399, 402, 420, 430, 431, 432, 434, 443, 453, 454, 457, 458, 473, 475, 476, 486, 487, 492, 499, 506, 508, 511, 515, 516, 662, 663, 688, 691, 717
— მემამულის — 206, 337, 580, 641, 687, 761, 882, 888
— ნავთობიანი — 370
— საბალახო — 450, 709, 881
— საბოსტნე — 491
— საეზოვე — 235, 436, 499, 508
— საეკლესიო — 893, 926
— სავენახე — 436, 475, 610, 667
— სათიბი — 221, 401
— საიჯარო — 688, 691, 716, 718, 723, 806, 866
— საკარმიდამო — 401, 463, 470,

498, 541, 603 — 604, 646 — 647, 667
— საკომლო — 413, 422, 431, 577, 583, 636, 686, 906
— სანადელო — 204, 220, 223, 224, 233, 236, 237, 238, 338, 401, 410, 417, 422, 423, 451, 481, 485, 492, 511, 515, 535, 581, 583, 602, 605, 627, 660, 666, 689, 709, 762, 806, 809, 815, 844, 857, 903
— სახაზინო — 233, 234, 396, 445, 448, 487, 492, 498, 508, 510, 512, 513, 523, 535, 636, 658, 714, 725, 759, 761, 926
— სახატე — 443
— სახელმწიფო — 387, 396, 400, 509, 511, 658, 663
— სახმარი — 209, 403, 411, 430, 431, 482, 498, 504, 581, 604 — 607, 610, 626, 637, 643, 644, 645, 651, 661, 667, 709, 718, 761, 883, 885, 903, 906, 907
— სახნავი — 210, 221, 235, 333, 400, 415, 417, 419, 425, 436, 441, 442, 463, 465, 466 — 468, 482, 494, 497, 507, 514, 631, 646, 647, 651, 658, 660, 668, 693, 697, 740, 824, 906, 912
— ყამირი — 452, 675
მიწადაქსაქსულობა — 462, 482, 526, 627, 664, 665, 666, 668 — 670, 709, 862
მიწათმოქმედება — 205, 242, 287, 319, 388, 415, 439, 445 — 448, 458, 482, 495, 506, 507, 517 525, 636, 660, 669 — 670, 700, 704, 728, 776, 777, 782, 798 803, 812, 814, 816, 819, 821, 855, 878, 879, 882, 896, 916, 925
მიწათმოქმედების იარაღი — 304, 448, 481, 516, 550, 702, 712, 758, 790, 855, 899, 913, 919
მიწათმოქმედი — 99, 489, 493, 722, 807, 826, 835
მიწათმოწყობა — 483, 534, 536, 663
მიწათმფლობელობა — 287, 301, 381, 388, 396—398, 407 — 409, 410, 412, 415, 438, 444, 460, 461, 487, 491, 495, 496, 520, 522, 523, 525, 526, 615, 635, 637, 663, 690, 721, 752, 760, 776, 851 — 854, 903 — 906, 927, 950
— არათავადაზნაურული — 646, 647, 649, 651, 655, 656, 852, 853, 854
— ბურჟუაზიული — 206, 467 — 468, 485, 543, 642, 655, 662, 863
— გვაროვნული — 397, 461, 464
— გლეხური — 644, 656, 657, 662, 665
— თავადაზნაურული — 642, 646, 649, 651, 739, 744, 851, 933, 934
— თემური — 396, 397, 400, 401, 408, 409, 412, 423, 431, 435, 441 — 446, 449, 452, 455, 460 — 461, 468, 471, 472 — 479, 481 — 483, 485 — 489, 491, 493 — 497, 500, 505, 506, 510, 516, 518, 536, 544
— კერძო — 131, 397, 400, 409, 412, 442, 444, 466, 467, 505, 520, 523, 526, 531, 641, 642, 645 — 649, 651, 653, 654, 661, 731, 760, 897, 926, 927
— კომლობრივი — 462, 463, 483, 615

— კოლექტიური — 463 — 465
— წაკვეთობრივი —461, 480, 483, 498, 509
— წვრილ გლეხური —636, 649 — 653, 744
მიწათსარგებლობა — 384, 392, 396, 398, 409, 410, 412, 415, 434, 453 — 455, 460, 461, 472, 489, 520, 635, 657, 665, 669, 691, 695, 716, 718
— დატაცებითი — 452, 454, 458, 459, 467, 479
— თემური — 396, 445, 456, 463, 479, 481, 484, 492, 508, 509, 516
მიწის გადანაწილება (პერიოდული) — 401, 403 — 408, 413, 416 — 418, 420 — 424, 429 — 432, 434 — 438, 442 — 444, 450, 453, 457, 458, 472, 478, 479, 480, 483, 486, 492, 494, 495, 496, 507, 646, 656
— გამიჯვნა — 404, 406, 506, 520, 521, 523, 524, 528, 529, 534, 864
— გაყიდვა — 338, 375, 387, 397, 412, 462, 512, 515, 628, 740, 743, 754, 806, 846, 937
— დაგირავება — 235, 255, 289, 293, 301, 504, 511, 735, 744
— დაჩემება, დასაკუთრება — 436, 457 — 460, 463, 464, 497, 498, 504, 508 — 510, 525
— იჯარა — 386, 461, 504, 549, 658, 694, 717, 725, 803, 804
— იჯარის ქირა —526, 688 — 690, 705, 708, 711, 717, 724 — 726, 807
— კანონი — 516, 927 — 929
— მზომელი — 414, 438, 521, 526, 533, 933, 938
— შუშა — 387 — 389, 395, 448, 452, 575, 631, 635, 686, 805, 810
— ნაციონალიზაცია — 485, 518, 669, 893, 927
— ფასი — 204, 277, 543, 695, 728 — 731, 807, 889, 937
— ჩამორთმევა — 416, 933 — 935
მოიჯარადრე — 377, 690
მოიჯარადრე-გლეხი — 724
მოიჯარათ ამხანაგობა — 710
მოიჯარე — 377, 662, 668 — 680, 689, 694 — 702, 706, 708, 710, 716 — 718, 724, 801, 819, 829
მოლარეთუხუცესი — 183
მომთაბარე თემები — 444 — 448, 452, 460, 630 — 631, 879
მონა — 441
მონასტერი —138, 160— 161, 383, 388, 433, 616
მონაშენე — 678 — 681
მონგოლები — 121, 123, 127, 128, 136, 146, 155, 428
მონეტა — 10, 11 — 13 და სხვ.
მონოპოლია — 222, 329, 681, 695, 720, 946
მონური შრომა — 446
მორწყვა — 205, 415, 864
მოსავალი-მოსავლიანობა — 231, 758, 884, 885, 912, 913, 914
მოსახლეობა — 3, 4, 6, 9, 11 და სხვ.
მოსახლეობა გლეხური — 217, 220, 329, 493, 660, 718, 731, 756, 766, 805, 836, 893, 907, 910
— ჭარბი — 797, 799, 809, 811

მოურაეი — 243, 707, 715
მოუსავლიანობა — 191, 192, 215, 239, 430, 785, 787, 788, 830, 849
მოჯამაგირე — 448, 478, 483, 696, 699, 801, 805, 817, 841, 844, 857, 899, 920
მრავალწლიანი კულტურები (ნარგავები) — 436, 470, 506 — 507, 575, 676, 677, 686
მრეწველობა — 3, 4, 95, 102, 242, 270, 287, 337, 355, 357, 547, 548, 567, 689, 712, 819, 838, 873, 875, 896
მუსლიმანური პროვინციები — 8, 230, 386, 521, 630, 631, 634, 635
მუშა — 115, 210, 230, 630 — 632, 659, 671, 683, 717, 718, 782, 801 — 802, 804 — 805, 867, 891
მუშათა კლასი — 19, 591, 748, 785, 794, 808, 810, 868
მუშა პირუტყვი — 432, 478, 512, 758, 916, 919, 921
მუშა ხელი — 22, 415, 417, 423, 430, 480, 630, 671, 703, 717, 728, 779, 781, 797, 801, 911, 922, 923
მცირე მიწიანობა — 447, 455, 480, 481, 487, 494, 513, 523, 627, 661, 663 — 666, 668, 671, 673, 675, 706, 709, 717, 720, 724, 738, 756, 776, 777, 788, 789, 795, 796, 843, 862, 891
მწარმოებლური ძალები — 365, 523, 689
მწყემსი — 817, 862
ნადელი (სანადელო მიწები) — 207, 343, 400, 410, 414, 416, 417, 419, 423 — 424, 427, 431 — 434, 460, 484, 488, 502, 535, 541, 545, 607—609, 613, 628—629, 752, 788, 796, 837, 846, 848 — 849, 882 — 885, 892
ნავთობი — 375 — 377, 526, 801, 890
ნავსადგური — 363, 788, 791
ნაროდნიკობა — 228, 328, 336, 355, 472, 478, 544, 619
ნატურალური მეურნეობა — 202, 456, 704, 812
— ურთიერთობანი — 155, 540, 696, 776
ნაციონალური საკითხი — 5, 28, 557, 586, 591, 889, 891, 895
ნეოგოციანტი — 352 — 353, 356, 376
ნიადაგის ნაყოფიერება — 698, 724, 884
ნუმიზმატიკა — 40, 43, 46, 49, 57, 118, 141
ობა — 451 — 452
ობლიგაცია — 363 — 364
ოიდიუმი — 786
ომი — 69, 100 — 101, 116, 127, 139, 296 — 297, 345, 369, 382, 525, 553, 559, 683 — 684, 837, 839, 911
ორტაღი — 119, 120, 122 — 123, 125 — 128, 134 — 135, 139, 140, 151 — 152
ოსტატი — 17, 20, 27, 427
ოქრო — 3, 70, 91, 101, 104 — 105, 108, 123, 137 — 138, 156, 249, 822
ოჯახური მრეწველობა — 812
პარცელური მეურნეობა — 807, 898
პაუპერიზმი — 200, 207, 733, 846
პირველი დასი — 617, 620

პირველი მსოფლიო ომი — 141, 910, 913, 924, 929, 944
პრიკაზი — 197 — 198, 212, 244—307, 733, 735
პროლეტარი, პროლეტარიატი — 5, 200, 207, 297, 485, 576, 733, 793, 805, 846, 868, 881, 888, 894 — 895, 899 — 900
პროცენტიანი ქაღალდები — 363—364, 372 — 374
პუბლიცისტიკა — 472, 477, 585, 682, 689
პური — 95, 123, 167, 203, 205, 212, 333, 369, 468, 555 — 559, 569, 614, 688, 748, 785 — 786, 790 — 791, 801, 803, 828, 831, 857, 868, 889 — 890, 893, 912
პირუტყვი — 401, 430, 450, 482, 660, 661 — 666, 709 — 710, 711, 779, 824, 828, 843, 857, 879, 897, 915 — 917, 919—920, 922 — 933, 940
პლუტოკრატია — 7, 642, 655
პოლიცია — 764, 770, 775, 828 — 829, 860, 873
რაიიე — 383 — 384, 387 — 388, 391, 410
რედისკონტი — 363
რევერსი — 40, 60
რევოლუცია — 485, 602, 663, 713, 723, 747, 758, 797, 811, 888, 895, 938, 911, 926, 929
რევოლუციური მოძრაობა — 483—484, 762, 770, 797, 811, 867, 881, 894
რენტა — 122 — 123, 133, 204, 673, 675, 693, 695 — 697, 700, 702, 704, 738, 744
— ნატურალური — 613, 813
— პროდუქტადი — 384, 631, 697, 704
— ფულადი — 384, 631, 697, 704 — 705
— შრომით — 389, 570, 631
რენტის კაპიტალიზაცია — 132, 744, 613, 697, 701 — 720, 724
რენტაბელობა — 655, 803, 815, 856
რეპროდუქცია (იხ. აღწარმოება)
რეფორმა (საგლეხო) — 199, 236, 288 — 289, 315, 339, 348, 360, 462, 478, 481, 553, 558, 563, 571, 575, 590, 601, 608, 617 — 618, 621 — 622, 625—639, 659, 682, 694, 755, 845, 858, 882, 884, 890, 930, 936
რეჩბარი — 387, 391, 699
რკინიგზა — 222, 296, 319, 357 — 360, 363 — 364, 372, 375, 509, 704, 712, 714, 788 — 789, 795, 849, 867
რუსეთთან შეერთება — 3 — 5, 12, 35, 81, 296, 425, 430, 524, 548, 562, 762
საადგილმამულო ურთიერთობანი — 381, 384 — 386, 441, 531, 537, 582, 570, 627, 635, 685, 695, 732, 738, 858
საბალახო — 221, 401, 435, 439, 442, 445, 448, 451, 463, 464, 469, 481, 490, 501, 536, 546, 570, 610, 631, 643, 646, 651, 658, 662, 672, 685, 693, 709, 710, 711, 715, 772, 879, 886, 888, 889, 897, 934
საბაჟო — 355, 375
საგამომღებლო ერთეული — 428, 431

საგვარეულო ყოფიერება — 263, 396, 436, 439
საერთო ნიადაგის თეორია — 748, 749, 877
საეკლესიო ბრუნვა — 81, 89, 106, 123, 127, 136, 141, 151, 158, 193, 277, 352, 357, 363
— მიწათმოქმედება — 241, 471, 496, 537, 548, 573, 574, 709, 754, 775, 819
სათიბი — 398, 453, 454, 463, 469, 475, 481, 522, 536, 546, 583, 610, 613, 643, 647, 658, 685, 906 — 907
საკრედიტო ამხანაგობა, ასოციაცია — 119, 131, 134, 834, 835
— დაწესებულება — 107, 108, 152, 158, 205, 222, 237, 245, 246, 254, 257, 258, 260, 261, 265, 267, 279, 281, 284, 286, 288, 337, 338, 356, 361, 369, 376, 746, 821
— ოპერაციები — 129, 156, 224, 229, 244, 265, 266, 269, 273, 309, 338, 372, 378
საკუთრება — 115, 188, 296, 397, 463, 465, 517, 525, 567, 620, 639, 645, 753 — 754, 936
სამართალი ადათობრივი — 118, 172, 180, 465, 505, 628, 678, 680, 682, 687, 688, 691
სამთო მრეწველობა — 12, 20 — 22, 26, 30 — 31, 799, 844
სამიჯნაო უწყება — 3, 520 — 538, 878
სანადელო ერთეული — 420, 729
სარგებელი (%%) — 116, 134, 135, 163, 165, 166, 167, 168, 173, 174, 175, 176, 181, 182, 183, 184, 185, 186, 188, 189, 190, 196, 198, 202, 207, 213, 214, 216, 225, 228, 232, 233, 242, 247, 248, 268, 269, 284, 294, 338, 351, 352, 356, 357, 427, 512, 514, 515, 608, 733, 734, 752, 753, 785, 786, 807, 821, 822, 823, 824, 825, 826, 830, 831, 832, 848
სარწყავი არხი — 424, 438, 501, 502, 504, 572, 691 — 693, 704
სასულიერო წოდება — 186, 440, 513, 858, 876, 892, 893
საქალაქო ცხოვრება — 201, 547, 689, 813, 896
საქართველო — 3 — 4 და სხვ.
საქონელი — 7, 10, 94 — 96, 98, 102, 103, 210, 215, 221, 333, 343, 351 — 354, 439, 489, 539, 672, 705, 778, 811, 849, 855 — 856, 864, 898 — 899, 930
საშოვარზე გასვლა — 481, 661, 775, 776, 777, 778, 779, 780, 782, 784, 785, 787, 788, 790, 791, 792, 794, 799, 800, 803 — 812, 817, 843, 850, 857, 867, 868, 876, 899
საძოვარი — 384, 387, 400, 448, 449, 450, 476, 481, 482, 490, 529, 535, 577, 654, 716, 889, 934
სესხი — 161 — 162, 164, 179, 180, 204, 226, 232, 246, 255 — 256, 262 — 268, 274 — 277, 281, 285 — 286, 295, 309, 313 — 314, 326, 351, 354, 363, 377, 514, 571, 583, 615, 826, 847
სიმინდი — 399, 500, 679, 689, 697 — 699, 723, 786, 798 — 799, 803, 827 ,906 — 917
სიღატაკე — 945, 947

სოფელი — 37, 40 და სხვ.
სოფლის მეურნეობა — 4, 5, 212, 253, 287, 293, 308, 337, 483, 517, 520, 547 — 548, 577, 702, 770, 777, 788, 797, 806, 808, 812, 820, 896, 902
სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანები — 238, 417, 483 — 485, 491 — 517, 573, 728, 777, 813, 820, 913
სოფლის პროლეტარიატი — 484, 696, 783, 805, 806, 812, 857
სპეკულაცია — 187, 207, 319, 672, 830, 847, 947
სპილენძი — 3, 12, 21, 29, 33, 526
სტატისტიკა — 315, 479, 639, 641, 644, 646, 732, 776, 788, 914
ტექნიკა — 238, 353 — 357, 417, 458, 483 — 485, 517, 573, 652, 654, 665, 717, 724, 728, 777, 813, 820 — 821, 871, 875, 884, 913, 914
ტრანზიტი — 102, 158, 250, 350, 355
ტყე — 209, 337, 383, 397, 401, 441 — 442, 447, 463 — 469, 476, 481, 491, 501, 508, 522, 536, 569, 572, 577, 610, 643 — 647, 651, 662, 666, 685, 693, 711 — 716, 722, 728, 740 — 742, 771, 787, 888 — 889, 897, 906, 934, 947
უმუშევრობა — 794, 947
ურემი — 291, 871, 873
ფაბრიკა — 7, 10, 222, 332, 342 — 343, 572, 795, 829, 844, 867
ფასი — 6, 48 და სხვ.
ფეოდალი — 115, 119, 127, 183, 196, 199, 200, 383, 439, 683, 685, 696
ფეოდალიზმი — 118, 132, 496, 550, 556 — 557, 856
ფეოდალური მემამულე — 5, 114, 166, 181, 186 — 187, 196, 227, 242, 264, 305, 307, 382, 388 — 389, 394, 511, 546, 558, 572, 623, 694, 948
ფეოდალური ურთიერთობანი — 114 — 115, 143, 186 — 188, 201, 394 — 395, 550, 562, 589, 630, 634, 673, 753
ფერმა — 817 — 818
ფერმერი — 670, 695, 853
ფეტვი — 168, 192
ფილოქსერა — 785
ფინანსები — 21, 72, 80, 89 — 90, 99 — 103, 276 — 277, 309, 387, 429, 443, 480, 535, 550, 752, 755, 757, 766, 775
ფული — 108, 114 — 116, 125, 129 — 130, 132, 197, 199, 206, 210, 212, 214, 218, 222 — 224, 280, 282, 287, 348, 351 — 352, 548, 558, 563, 614 — 615, 631, 675, 679, 706, 736, 776, 779, 786, 819 — 820, 822, 832, 862, 872
ფულის კურსი — 8 — 9, 27, 34, 54, 65, 74, 82, 347
ფულის მოკრა — 29 — 30, 33, 38 — 40, 44, 52, 81
ფულის ნიშნები — 6, 62, 73, 91, 113
ფულის სისტემა — 50, 128
ფულის ტრიალი — 52, 94, 201, 220, 350, 372, 378
ქათამი — 675, 850, 861 — 862
ქალაქი — 4, 37, 69, 79, 96 — 97, 103, 133, 137, 146 — 149, 157, 178, 221, 254, 285, 288, 363, 383, 388, 399, 421, 475, 776,

788, 790, 794, 799, 805, 809 — 810, 812, 822, 829, 839, 868, 870 — 875
ქალაქის მიერ სოფლის ექსპლოატაცია — 870 — 872
ქარხანა — 200, 572, 788, 795, 810, 815 — 819, 868, 870
ქერი — 168, 633, 862, 906, 908— 909, 913, 916
ქვანახშირი — 12, 526
ქონება — 170, 178 — 179, 186, 191, 194, 210, 244, 261, 426, 570 — 571, 688
ღალა — 290, 385, 515, 535, 541, 562, 567, 571, 600, 610, 614, 616, 631, 688, 692 — 693, 697 — 698, 701, 707, 826, 837, 882 — 883, 885, 886, 940, 943
ღარიბები (სიღარიბე) — 329, 478, 483 — 486, 518, 744, 806, 810, 824, 843 — 845
ღვინო —95, 167 — 169, 194, 203, 211 — 212, 216, 218, 222, 231 — 233, 261, 512, 558 — 559, 614, 674, 680 — 681, 778 — 779, 824, 831, 857, 861, 883, 942
ღორი — 426 — 428, 638, 917, 920, 921
ყველი — 816 — 817, 857
ყიშლაღი — 439, 445 — 447, 672, 710 — 711, 878 — 880
ყმა-გლეხი —196 — 197, 199, 289, 383, 441, 540, 546 — 547, 552, 555, 568, 573, 577, 581, 603, 601, 610, 620, 624, 632, 636 — 637, 690, 696, 724, 732, 779, 782, 846
ყურძენი — 216, 667, 679
შემნახველ-გამსესხებელი ამბანაგობა — 308 — 311, 314, 326, 328 — 330, 332 — 339, 819, 830 — 832, 834, 836
შემნახველი სალარო —268 — 270, 272, 274, 286
შემსყიდველი — 210 —212, 217 — 219, 328, 338, 426, 805, 814, 820, 826
შემსყიდველი-მევახშე — 211, 213, 215 — 216, 818, 834
შეშა — 426, 711, 714, 789, 824 — 825
შვრია — 906, 908 — 909, 916
შიმშილობა — 945 — 948
შინამოსამსახურე — 792, 823, 858, 868
შინამრეწველობა — 187, 210, 329, 706, 779, 789, 801, 805, 814, 822, 826, 844, 856, 897
შრომა, დაქირავებული — 577, 591, 654, 716 — 717
შრომა-მიგება — 330, 654 — 655, 671, 681, 693, 712, 886, 898 — 900
შრომის დანაწილება — 779
— იარაღები — 778 — 897
— მწარმოებლურობა — 545
— ორგანიზაცია — 328, 655 — 656
— შინაგანი ბაზარი — 800
ჩაის პლანტაცია — 808
ჩამონაპრები — 608, 616, 627, 883 — 885, 892
ჩარჩი — 193, 203, 227, 240, 332, 336, 729, 743, 822 — 823, 831, 833 — 835, 871
ცარიზმი — 7, 10 და სხვ.
ცარიზმის ბიუროკრატია — 6, 7, 10, 319, 463, 881, 891
ცხენი — 46, 138, 165, 219, 337, 452 — 453, 778, 785, 816 — 817, 917, 919 — 921
ცხვარი — 121, 154, 165, 426 —

428, 569, 710, 785, 816 — 817, 828, 917, 920 — 922, 926
ძროხა — 116, 154, 165, 213, 428, 529, 785 — 786, 815 — 817, 917
წარმოების საშუალებები — 115, 218, 514, 857
წარმოებრივი ურთიერთობანი — 113, 188, 196, 442, 586, 780
წვრილი მწარმოებელი — 114, 166, 178, 182, 186 — 188, 190, 192, 202, 270, 339, 462, 497, 810, 814, 818, 822, 851, 875
წისქვილი — 184, 426 — 427, 522, 572, 821, 843 — 844
წოდება (წოდებრიობა) — 131, 159, 233, 337, 342, 350, 383, 391, 511, 513, 535, 560, 631, 635, 642 — 649, 655 — 656, 733, 856 — 858, 875 — 876
წოდებრივი წყობილება — 619, 656, 856
ჭაობების ამოშრობა — 938
ჭაჭა — 680, 699
ჭვავი — 906, 908 — 909, 916
ხაზინა — 9 — 13 და სხვ.
ხალხსნები — 228, 476, 830, 836
ხარი — 165, 191, 213, 220, 304, 518, 785 — 787, 817, 899, 919 — 920
ხარ-კამეჩი — 433, 920 — 921
ხარკი — 4, 128, 149, 151 — 152, 156, 196, 203, 412, 430, 695
ხატის მამულები — 441 — 443
ხელოსნობა — 21, 54, 114, 136, 187, 222, 225 — 226, 236, 269 — 270, 327, 388, 427, 782, 789, 814, 822, 830, 867, 897
ხელფასი — 24, 166 — 169, 727, 782, 788, 794 — 795, 801 — 803, 807, 808, 810
ხეხილი — 398, 494, 506, 677, 680, 728
ხიზნობა — 408, 460, 476, 498, 570 — 575, 581 — 582, 598, 640 — 641, 658, 662, 682 — 695
ხმლისა და გუთნის ფილოსოფია — 594
ხორბალი — 167 — 168, 191, 215, 233, 304, 448, 500, 512, 633, 699, 801 — 802, 823, 844, 861 — 862, 883, 906 — 910, 913, 916, 930
ხუტორი — 470 — 471, 483 — 484, 486, 492, 932
ხუცები — 161, 328, 513, 834, 889, 893
ჯარი — 7 — 9, 11, 13, 38, 62, 124, 127, 552 — 553, 559
ჯარიმა — 214, 232, 258, 535
ჯვაროსანთა ლაშქრობა — 138, 158
ჯოგი — 150, 439, 710, 801, 805, 879, 917
ჰამშარი — 803
ჰიპოტეკური ბანკი — ნახე ბანკები

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება

გვ.	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემ.	ქვემ.		
125	—	10	ეზოში	ეზომი
403	—	6	მხითარ გორის	მხითარ გოშის
598	—	19	მომხადებასთან	გაუქმების მოვხადებასთან
867	1	—	VI	XII
902	1	—	VII	XIII

რედაქტორი ა. ნუცუბიძე
გამომც. რედაქტორი ვ. შალამბერიძე
მხატვარი რ. ზედელაშვილი
ტექრედაქტორი გ. იაშვილი
კორექტორი ე. ტრიპოლსკაია

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VIII-56 წ.
უე 00405. ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9$. ქაღალდის ზომა $84 \times 108^1/_{32}$. ნაბეჭდი თაბახი 50,64. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 47,97. შეკვ. 569. ტირაჟი 5000.
ფასი 31 მან.

*

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
შთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის 50.

1-я Типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.